ბავშვთა ლიტერატურა

ბუნი
ცოდა

„ნაკადული“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული
ენციკლოპედია
II

„ეროვნული“

სარედაქციო კოლეგია:

სუტა ბერულავა, ელენე ვირსალაძე,
ქსენია სისარულიძე, ალექსანდრე ღლონტი,
ძისეილ ჩიქოვანი

ტომი შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები
დაურთო პროფ. ალექსანდრე ღლონტმა

მხატვრობა ელგუჯა ამაშუკელისა

* * *

„ხალხური სიბრძნის“ მეორე ტომშიც ზღაპრებია შესული და იგი პირველი ტომის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. აქ ჯერ ვეცნობით ქართული ფანტასტიკურ-ჯადოსნური ზღაპრების რამდენიმე ნიმუშს, ხოლო შემდეგ, უფრო სრული სახით — საყოფაცხოვრებო ზღაპრებს, ხალხურ ნოველებს, გონებამახვილურ პატარა მოთხრობებს.

ფანტასტიკურ-ჯადოსნური ზღაპრების ეს ნიმუშები ფართო პოპულარობით სარგებლობენ. ადამიანის ფანტაზია ამ ზღაპრებში უმაღლეს მწვერვალს აღწევს. ამით აიხსნება, უწინარეს ყოვლისა, რომ ხალხში მათი ათეული ვარიანტი არსებობს, ხოლო ზოგი მათგანის ცალკეულ მოტივთა პარალელებს არა მარტო ჩვენში, სხვა ხალხთა ეპოსშიც ვპოულობთ.

კრებულში შეტანილია მდიდარი კოლექცია საყოფაცხოვრებო ზღაპრების — ხალხური ნოველებისა, რომლებშიც ასახულია ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვადასხვა სფერო. ხალხური ნოველა მცირე ზომის მოთხრობაა საყოფიერო თემაზე. მისთვის უცნობია ფანტასტიკურ-ჯადოსნური მოტივები, ზღაპრის ტრადიციული დასაწყის-დასასრული. მოქმედება აქ რეალისტურად ვითარდება. თემატიკურად ნოველები მრავალფეროვანია. მათი პერსონაჟები ცხოვრების შუაგულიდან ამოყვანილი ადამიანებია, რომლებიც ჩვენს ყურადღებას თავიანთი საოცარი თავგადასავლით იპყრობენ.

დიდი ნაწილი ამ ნოველებისა ეძღვნება შრომასა და მშრომელ ადამიანებს. შექებულია შრომისმოყვარე, ხოლო სა-

მარცხვინო ბოძზეა გაკრული უქნარა, მატყუარა კაცი. ხალხი მართალი, კეთილი ადამიანის მხარეზეა, გმობს ბოროტებას, სიცრუეს, სოციალურ უკუღმართობას, სიზარმაცეს, ქურდობას, მატყუარობას, რელიგიური კულტის გახრწნილ მსახურთა და გაბატონებული კლასების გაქსუებულ მოხელეთა აღვირახსნილობას, სირეგვნესა და სიბრიყვეს. ასეთი სახის ხალხურ მოთხრობებს წითელი ზოლივით გასდევს მაღალი ფილოსოფიური აზრი — „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. ასეთი და მსგავსი შინაარსის ნოველები ადამიანს უნერგავენ შრომის სიყვარულის გრძნობას, ზრდიან მას კაცთმოყვარეობისა და ჰუმანური სულისკვეთებით, ხელს უწყობენ მათი დადებითი მორალური თვისებების ჩამოყალიბება-განმტკიცებას.

ხალხი ერთმანეთს უპირისპირებს ორ საწყისს, კეთილსა და ბოროტს. მისი სიმპათია ყოველთვის კეთილის, დაჩაგრულის, ღარიბის, შრომისმოყვარე ადამიანის მხარეზეა. ხალხის გენია, ერთი მხრით, მხატვრულ ფერებს არ იშურებს საყვარელი გმირის პორტრეტის შესამკობად, გაატარებს მას განსაცდელის ბეწვის ხიდზე, დააძლევინებს საბედისწერო დაბრკოლებებს და შემდეგ თავზე ადგამს გამარჯვების გვირგვინს; მეორე მხრით, მუქი ფერებით ხატავს ცბიერ, ბოროტ, უკეთურ ადამიანს, ნიღაბს ხდის და აშიშვლებს მის ბილწ სახეს. ხალხის ფანტაზია სავსებით მართებულად ასახავს საზოგადოების განვითარებისა და მისწრაფების ბუნებრივ ტენდენციას, ობიექტურ კანონზომიერებას. ნოველის მხატვრულ ფორმას ხალხი იყენებს თავისი შეხედულებების უფრო სხარტად და ცოცხლად გადმოსაცემად. ხშირად სავსებით რეალისტურ სიუჟეტურ ქსოვილში ჩართულია ირეალური მოტივები, ბედისწერა, სასწაულთმოქმედი ნივთები, ჯადოსნური აქსესუარი, რაც შემოქმედს სჭირდება იმისათვის, რომ წინა პლანზე წამოსწიოს სოციალური მოტივი, გამარჯვება არგუნოს მშრომელთა ფენის წარმომადგენელს. ხალხი თავის საყვარელ გმირს სწორედ ამ გზით ატარებს და თანაც გამარჯვებას ანიჭებს.

ზღაპრები ჩვენს ყურადღებას იქცევენ თავიანთი ნათელი

იდეებით, კომპოზიციით, ხატოვანი ენით. მარტივი ფრაზები, მკაფიო სინტაქსური შეხამებანი, ცოცხალი დიალოგები, გემოვნებით შერჩეული ლექსიკა, შესანიშნავი შედარებანი, ჰიპერბოლები, ეპითეტები, მეტაფორები, გამეორებანი, აზრტევადი შეგონებანი, მყარი ფრაზეოლოგიური შეერთებანი და სხვა ენობრივ-სტილისტიკური სამკაულები, აი, რა ახასიათებს ხალხური პროზის ამ მშვენიერი ნიმუშების მხატვრულ ენას. ყველაფერ ამას უნდა დაემატოს ნოველათა ძირითადი ციკლების იუმორისტული ტონი და გამგმირავი სატირული იერი, რაც კიდევ უფრო ზრდის კრებულში შეტანილი ტექსტების შემეცნებითს მნიშვნელობას. მკითხველი აქ იპოვის ბევრ შესანიშნავ ნათქვამს, ჭეშმარიტად ხალხურ ნაკვეს, გონებამახვილურ სენტენციას, სხარტ ფრთიან სიტყვასა და იდიომურ გამოთქმას, რომლითაც ასე მდიდარია საყოფაცხოვრებო თემებისადმი მიძღვნილი ეს ნაწარმოებები. ხალხური ენის ჩუქურთმებში ძვირფასი თვლებივითაა ჩასმული ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხისათვის ბუნებრივი სიტყვა-შეგონებანი, რომლებიც ნიჭიერსა და ენაწყლიან მთქმელებს უხმარიათ. ზღაპარი მაღალოსტატური მხატვრული ქმნილებაა, თავისი მტკიცედ ჩამოყალიბებული შინაგანი სტრუქტურითა და ფორმით, თემითა და სიუჟეტით, მოტივებითა და პერსონაჟებით. აქ ვეცნობით რეალურსა და ჯადოსნურ ძალებს, რომელთა მოქმედებაში, წარმატებასა და მარცხში სიმბოლურად ჩაქსოვილია ხალხის ღრმა აზრი, მაღალი ზნეობა, მომავლის რწმენა.

ყოველივე ამით აიხსნება ის უსაზღვროდ დიდი პოპულარობა, რითაც ზღაპარი სარგებლობს ყველა ასაკის ადამიანთა შორის და, პირველ რიგში, ბავშვებსა და ახალგაზრდობაში. ხალხური ზღაპარი ადამიანთა მხატვრული გემოვნების განვითარებისა და ესთეტიკური აღზრდის ფრიად მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს. იგი ჩვენი კულტურის მარად უჭკნობი სამყაროა.

წარმოდგენილ ზღაპრებს შეიძლება ვუპოვოთ მრავალრიცხოვანი სიუჟეტური ვარიანტი, როგორც გამოცემებში, ისე ხელ-

ნაწერთა კოლექციებში. რედაქციამ საჭიროდ არ ცნო ძირითად ტექსტთან ერთად ვარიანტების გამოქვეყნება. თუმცა კრებულში შეტანილია ზოგი ისეთი ტექსტი, რომელშიც ნაცნობი მოტივები მეორდება, მაგრამ მეორდება განსხვავებული ასპექტით.

ტექსტების დიდი უმეტესობა ამოღებულია ქართული ხალხური ზღაპრების არსებული კრებულებიდან, პერიოდული გამოცემებიდან, არქივებიდან და ფოლკლორისტთა საკუთარი კოლექციებიდან. გათვალისწინებულია ქართული ზღაპრების თითქმის ყველა გამოცემა.

ტექსტები ჩაწერილია საქართველოს ყველა კუთხეში. გამოყენებულია ქართული ხალხური ზეპირშემოქმედების ძველ და თანამედროვე მოამაგეთა ჩანაწერები და პუბლიკაციები, რაც თავ-თავის ადგილასაა აღნიშნული შენიშვნებში.

ხალხურ ნოველებს წინათ ცალკე წიგნად არ სცემდნენ, ისინი ჩვეულებრივ კრებულებში შეჰქონდათ საყოფიერო ან ნოველისტური ზღაპრების სახელით. ქართული ხალხური ნოველების პირველი პატარა კრებული მხოლოდ 1956 წელს გამოიცა. წინამდებარე წიგნი საშუალებას იძლევა უფრო ღრმად გავეცნოთ ქართული ხალხური პროზის ამ მდიდარი და თვითმყოფი ჟანრის მხატვრულ-ესთეტიკურსა და ფილოსოფიურ-დიდაქტიკურ ღირსებებს.

ტექსტები რამდენადმე გამართულია სალიტერატურო ენის ნორმების შესაბამისად. ცალკე მთქმელთა მეტყველების კოლორიტი, ადგილობრივი ფრაზეოლოგიური შეხამებანი, იდიომური გამოთქმები და ლექსიკა უცვლელადაა დატოვებული.



ცეროდენა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი.

ქმარი სოფლის განაპირას ხნავდა. ცოლმა სადილი წაუღო. ხურჯინი გადაიკიდა მხარზე, შიგ მჭადები ეწყო და ქილით მაწონი ედგა. ცოლი ორსულად იყო. შუა გზაზე რომ მივიდა, მუცლიდან დაუძახა ვაჟმა: დედი, მომეცი, მე ავიკიდებ ხურჯინსო!

— სადა ხარ, შვილო, საიდან აგკიდოო, — უპასუხა დედამ.

— აი, დედილო, აქა ვარო, — მოესმა დედას დაბლა მიწიდან, დაიხედა და ცერისტოლა ვაჟი კი დაინახა. ხელები გაეშვირა და იდგა.

— მომეცი, დედი, მე წამოვიღებო! — არ ეშვებოდა ცეროდენა დედას.

მისცა დედამაც. აიკიდა ცეროდენამ ხურჯინი, მაგრამ რას წაიღებდა? ხურჯინი დააწვა ზევიდან, კინაღამ დაახრჩო. წავიდნენ დედა და შვილი მამასთან. გუთანი რომ დაინახა, ცეროდენამ დაუყვირა მამას: მამილო, შენ ჩამოდი, მე უნდა დავუჯდეო.

— შენ რა ხარ, შე პაწაწკინავ, — უთხრა მამამ, — შენ რა უღელზე დასაჯდომი ხარ, ხომ ჩამოვარდი და გაგტყლიტეს ხარებმაო.

— არა, უნდა დავუჯდე და უნდა დავუჯდეო, — დაიყვირა ცეროდენამ.

ჩამოვიდა მამა. ცეროდენა დაუჯდა, მაგრამ გადმოვარდა და კამეჩის პატივში ჩავარდა.

ეძება მამამ, მაგრამ ვერ იპოვა და ვერა. დაიკარგა ჩვენი ცეროდენა. დაღონდა დედაცა და მამაც.

ბედად ცა მოიღრუბლა, დაიქუხა, დაიგრიალა, გააგრიალ-გამოაგრიალა თავისი რკინის ბურთები ცაზე და კოკისპირულად დაუშვა წვიმა. კამეჩის პატივი გაშალა, გაფანტა და ჩვენი ცეროდენა უვნებლად კი ამოვიდა. გამოირეცხა პირი, ყურები და ისევ ის ბიჭი დადგა. ცოტათი შესცივდა. წამოვიდა და ვაზების ქვეშ ცეცხლი დაინთო, მოუჯდა გვერდზე და თბებოდა.

ერთიც ვნახოთ, მგელი მოძუნძულდა, დაინახა ცეროდენა და ესიამოვნა: ერთი ლუკმა მაინც გამომივაო.

მივიდა ცეროდენასთან და უთხრა: უნდა შეგჭამოო.

— ვერ შემჭამო, — უპასუხა ცეროდენამ გულადად. წამოხტა და მგელს თავისი წვეტიანი ჯოხით შეუტია. მგელმა პირი გააღო და ცეროდენა პირში მოიქცია.

მგელს ძვლების ხვრაში ერთი კბილი ჰქონდა ახლადმოტეხილი და საშინლად სტკიოდა. ჩაჯდა იმ ნაკბილარში ცეროდენა და დაუწყო ჯოხით ჩხვლეტა. მგელს საშინლად სტკიოდა, ეწვოდა და ღრიალი მორთო.

— გამოდიო, — შეეხვეწა ცეროდენას მგელი.

— ვერ გამოვალ, შენ გინდა კბილებში როგორმე მიგდო, — უპასუხა ცეროდენამ, — მე აქაც კარგა თბილადა ვარო.

მგელს კბილი ძალიან ეწვოდა. შეჰფიცა ცეროდენას: ოღონდ გამოდი მანდედან და, პირიქით, ოქროსმატყლიან ერკემალსაც გაჩუქებო.

გამოვიდა ცეროდენა კბილიდან. მგელსაც დაუამდა ტკივილი, აჩუქა ერთი ოქროსმატყლიანი ერკემალი ცეროდენას და თვითონ თავის გზაზე გასწია.

ცეროდენა უდგას თავის ოქროსმატყლიან ერკემალს და აძოვებს. თან მღერის და უკრავს ჩალის სტვირსა.

ყაჩაღებმა ჩამოიარეს. საყდრის გატეხა უნდოდათ, მაგრამ რადგან საყდრის კარები შიგნიდან იყო დაკეტილი, ვერაფერი მოეხერხებინათ. ცეროდენა რომ დაინახეს, ძალიან გაუხარდათ.

— წამოდი, — უთხრეს ცეროდენას, — საყდარში გადაგსვამთ ფანჯრიდან, კარები გაგვიღე და, რასაც გამოვიტანთ, შენც გინაწილებთო.

— არა მცალია, ჩემს ერკემალს რაღა ვუყო, — უპასუხა ცეროდენამ. — მგელი შემიჭამს, მარტოკა რომ დავტოვოო.

ყაჩაღებმა არ დაიშალეს. ნახევარს მოგცემთო, უთხრეს და, როგორც იყო, დაიყოლიეს. წაიყვანეს და გადასვეს ფანჯრიდან.

ცეროდენამ გაუღო კარები. როცა ყველაფერი გამოზიდეს, ცეროდენამ უთხრა ყაჩაღებს: მომეცით ჩემი ერკემალი და დაპირებული ნახევარიო.

ყაჩაღებმა ნახევარზედაც უარი უთხრეს და ერკემალიც წაართვეს. დარჩა ცარიელი ცეროდენა.

ცეროდენა მაშინვე სოფლისკენ გაიქცა ყვირილით: მდევარი, მდევარი ჩქარა, ყაჩაღებმა საყდარი გაძარცვესო!

გამოეკიდა ხალხი ყაჩაღებს, დახოცეს, ის ოქროს ერკემალიც წაართვეს და ის ნაპარავი ნივთებიცა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

სამი და

იყო ერთი ცოლ-ქმარი. ჰყავდათ სამი ქალიშვილი. ძალიან ღარიბად იყვნენ. არაფერი ებადათ, მამული არა ჰქონდათ და დედული.

ერთხელ იმ კაცის ცოლი თაროსა წმენდდა. თაროს წმენდის დროს სამი პურის მარცვალი გადმოვარდა. წაიღეს ეს მარცვლები, გაჩიჩქნეს მიწა და დათესეს. ყანა მოვიდა ისეთი, რომ ავი თვალით არ შეეხედებოდა, ზღვასავითა ღელავდა; თავთავისაგან მისხეპილი და მიწოლილი იყო. ცოლ-ქმარი სიხარულით ცას ეწეოდა.

აი, დამწიფდა მარცვალიც, შემოვიდა ყანა. ყველანი წავიდნენ მოსამკალად. მომკეს, შეკონეს და დადგეს უზარმაზარი ძნა.

მეორე დღეს მამამ გაგზავნა უფროსი ქალი ძნის სანახავად. მივიდა ქალი, შეხედა, ძნას ერთი უზარმაზარი გველეშაპი შემოხვეოდა, სულ შემოსწვდენია ამ ძნას და კუდი პირში უპირავს. ქალს შიშით გული წაუვიდა. მოვიდა მამასთან, უთხრა, ასეა საქმეო.

მამამ ახლა შუათანა ქალი გაგზავნა: ჰკითხე, რა უნდა, რისთვის მოვიდაო. ქალი შიშით კინაღამ მოკვდა, ვერაფერიც ვერა ჰკითხა.

მერე უმცროსი ქალი გაგზავნა მამამ. ქალი მივიდა გველეშაპთან და ჰკითხა: რა გინდა, რისთვის მოსულხარ, შეგვატყობინეო?

გველეშაპმა უთხრა: წადი, მამაშენს უთხარი, ერთ-ერთი ქალი მომცეს ცოლადაო.

ქალი წავიდა მამასთან და უთხრა გველეშაპის დანაბარები.

მამამ უფროს ქალს ჰკითხა: გაჰყვები თუ არა, შვილო?

— აბა, მაშ! — უპასუხა უფროსმა ქალმა, — აღარაფერს დავუკლებ, მე მაგას ცოლად გავყვეო!

შუათანამაც ასე თქვა. ჯერი უმცროსზე მიდგა. უმცროსმა ქალმა თქვა, გავყვებიო.

წამოიყვანა გველვეშაპმა ეს ქალი და წამოვიდა. წინ გველვეშაპი მიცურავს და უკან ქალი მისდევს. იმ სოფელს რომ გასცდნენ, გადიძრო გველვეშაპმა ტყავი და ისეთი ვაჟკაცი გამოჩნდა, რომ უკეთესი აღარ იქნება. ქალს ძალიან გაუხარდა.

ქმარმა უთხრა: ჩვენს ქვეყანაში ქაჯურად ლაპარაკობენ, ჩემმა დედამ რომ გითხრას, კოკა გატეხეო, კოკა უნდა მიუტანო, რომ გითხრას, წყალი დააქციეო, წყალი უნდა მიუტანო, რომ გითხრას, თონე დაამტვრიეო, შენ თონე უნდა გაახურო, რომ გითხრას, სუფრა აალაგეო, შენ სუფრა გაშალე, რომ გითხრას, ჯამები დაამტვრიეო, შენ მოიტანე. ასე დაარიგა ცოლი და წავიდნენ.

ქაჯების ქვეყანაში რომ მივიდნენ, დედამთილმა უთხრა ახალ რძალსა: წყალი დააქციეო. რძალმა აიღო და მიუტანა. ყველაფერი ისე აასრულა, როგორც ქმარმა დაარიგა. ძალიან უკვირდა ყველას: ახალმოსულია და როგორ იცის აქაური რიგი და წესიო. ყველამ მოიწონა და შეიყვარა.

ქალი დაორსულდა. მშობიარობის დრო რომ მოახლოვდა, წინაწვევად მამის სახლში, სამშობლოში წაიყვანეს. დებს ძალიან შეშურდათ იმისი ქმარი და ცხოვრება.

მოილოგინა ქალმა. ვაჟი ეყოლა. ქმარიც მოუვიდა. როცა წასვლა დააპირეს, უფროსმა დამ გაყოლა მოინდომა. უმცროსმა დამ უთხრა: ნუ წამოხვალ, ჩემი დედამთილი ბოროტია, არ მოგასვენებსო. ქალმა არ დაიშალა და გაჰყვა.

გზაზე რომ მიდიან, ცოლისდამ უთხრა სიძეს: შენ წინ წადი და მოგეწევითო.

ვაჟი წავიდა წინ და დები უკან მიდიან.

გზაზე ერთი მსხმოიარე ვაშლი შეხვდათ. ძალიან მაღალი იყო და გლეკი, უტოტო. უფროსმა დამ უთხრა უმცროს დას: მოდი, დაო, ჩემი ტანისამოსი ჩაიცვი, შენი ტანისამოსი არ დაგეხიოს. მე გიზურგულებ, ადი ამ ვაშლზე, დაკრიფე, სანამ ჩამოხვალ, ბავშვს მე დავიჭერო.

რას იფიქრებდა საბრალო დედა! შვილი დას მისცა, იმან უზურგულა და ავიდა ვაშლზე. ქალმა აიყვანა ვაჟი ხელში და გზას გაუდ-

გა. ტირის ბავშვი, ტირის, სულ მუშტისტოლა ცრემლებს აბნევს, მაგრამ ვინ უგდებს ყურს?!

ზის ქალი ვაშლზე და ესმის შვილის ტირილი. ვერ გაძლო და დაუძახა დას:

ნუ მიტირებ, დაო, ყრმასა.
შემომისვი ქანდარასა,
მოგიწოვებ პატარასა.

ამ ქალმა სიძე რომ დაინახა, დაუძახა: მოიცადე, ადამიანო, რძე გამიშრა და ბავშვი მიტირისო!

დაუცადა კაცმაც. იმასაც თავისი ცოლი ჰგონია, რაკი ისე არის მორთული, როგორც იმისი ცოლი. წამოვიდნენ შინ და წამოიყვანეს ვაჟიც.

— და რაღა უყავით? — ჰკითხა გველეშაპმა.

— მე ვუთხარი, რომ ჩემს დედამთილს ვერ გაუძლებ-მეთქი და უკან დაბრუნდაო.

მივიდნენ სახლში. დედამთილი ეუბნება: რძალო, ლიტრა გატეხეო. ისიც აიღებს, დასცხებს და ჩახ! ჯამები დაამტვრიეო. ისიც აიღებს, დასცხებს და ამტვრევს. თონე ჩაანგრიეო! აიღო ცული. დასცხო და ჩაანგრია! ყველამ ეჭვი შეიტანა, აქ რაღაც ამბავიაო!

რაკი რძე არა ჰქონდა, ერთი ძროხა ჰყავდათ და იმისი რძით დაუწყეს ბავშვს ზრდა. როდესაც ცოტა მოიზარდა, წაიყვანდა ხოლმე თავის ძროხას მინდორში და თვითონაც იქ ედგა და აძოვებდა.

დედა ვაშლზე რომ დარჩა, იმდენი იტირა, იმდენი იტირა, რომ ცრემლად და სისხლად ჩამოიღვარა მიწაზე. სადაც იმისი სისხლი და ცრემლი მოხვდა, ისეთი ლერწამი მოვიდა. როგორც ტყე. ათასნაირი ყვავილი და ბალახი გაიშალა.

ერთხელ პატარა ბიჭმა წაიყვანა ძროხა და იმ ვაშლთან მივიდა. მოსტეხა ერთი ლერწამი, ფრჩხილით გააკეთა სტვირი, დაუკრა და დაუკრა. სტვირი უკრავდა და თან იძახოდა:

სტვირო, სტვირო,
რასა ტირო?
მე დედაშენი ვშავდები,
შენ ჩემი შვილი ბრძანდები!

სტვირი სულ ამას იძახდა. ვაჟმაც ჩაიკრა გულში სტვირი და აღარ იშორებდა. სახლში რომ მოვიდა, მოიტანა, დაუკრა და სტვირმა ისევ ის სიტყვები დაიძახა. ქალს გულზე ცეცხლად წაეკიდა.

წაართვა სტვირი ბავშვს და დაუმტვრია, მაგრამ ნატეხი სტვირი ისევ უკრავდა და იძახოდა:

სტვირო, სტვირო,
რასა ტირო?
მე დედაშენი ვშავდები,
შენ ჩემი შვილი ბრძანდები!

ქალმა გაიგონა კიდევ, წაართვა ნამტვრევებიც ბავშვსა და თონეში ჩაყარა. ნამტვრევები რომ დაიწვა, ნაცრისაგან ქალის სახე გამოისახა და ჰიესვენა თონეზე. ბავშვიც იქვე იჯდა და ჩასტიროდა.

ჩაიხედა იმ ქალმაც და დაინახა თონეში დის სახე. გაცეცხლდა, გაბრაზდა, ამოაღებინა ნაცარი და ბანზე მოაყრევინა. იმ ადგილას მშვენიერი ალვის ხე ამოვიდა. ნახა გველეშაპმა, ძალიან გაუხარდა, აატანინა ლოგინი და დაიდგა იმის ქვეშ. ღამე რომ დაეძინებოდა, ჩამოხრიდა ალვის ხე ტოტებს და ჩაეკონებოდა მძინარე ქმარსა.

ქალი კი სიბოროტითა კვდებოდა. მოიავადმყოფა თავი და უთხრა ქმარს: თუ მაგ ალვის ხეს მოჭრით, მაგის ვარცლს გააკეთებთ და შიგ იმ ვარცლში მაბანებთ, ხომ კარგი, მოვრჩები, თუ არა და მოვკვდებიო.

— ჯანაბას შენი თავი, თუ მოკვდები, — უპასუხა ქმარმა, — მოკვდი და მოძასვენეო.

გველეშაპი სანადიროდ წავიდა. ცოლმა მუშებს დაუძახა და მოაჭრევინა ალვის ხე, გააკეთებინა ვარცლი, მაგრამ არ გაიბანა კი: ავად არ იყო და რად გაიბანებოდა?

მოვიდა ქმარი. ძალიან ეწყინა და გაჯავრდა, მაგრამ გაჯავრება რაღას უშველიდა.

იმ ალვის ხის ერთი ნაფოტი ერთი უშვილო ბებრის ბანზე დაეცა. იპოვა ბებერმა, შეიტანა და სახაშეს დააფარა. ბებერი რომ სადმე წავა, ის ნაფოტი გადაიქცევა ქალად, დაგვის, დააკრიალებს იქაურობას, დარეცხავს ჯამ-ჭურჭელს. დაალაგებს, ისევ ნაფოტად გადაიქცევა და ისევ სახაშეს დაეფარება.

მოვა ბებერი, დაინახავს დაგვილ-დაწმენდილ სახლს, დარეცხილ-დასუფთავებულ ჭურჭელს, უკვირს. მიდის მეზობლებში და ზოგ ვის ეუბნება მადლობას და ზოგ ვისა.

— შენს სახლში ფეხიც არ შეგვიდგამს, არც დაგვიგვია და არც დაგვისუფთავებია. იქნება ვინ იყოს, კარებს უკან დაიმალე და ნახავო. — ეუბნებოდნენ მეზობლები.

ბებერი სწორედ ისე მოიქცა, როგორც უთხრეს. დაიმალა კარებს უკან და დაუწყო ცდა.

ნაფოტმა იფიქრა: ახლა კი წავიდა ბებერიო, იქცა ქალად და დაუწყო სახლს დაგვა და დაწმენდა. მოეპარა ბებერი, სწვდა და დაიჭირა.

— ვაიმეო! — დაიწივლა ქალმა.

— ნუ გეშინია, შენ შვილი და მე დედა, — უთხრა ბებერმა, — ღმერთმა სხვა შვილი არ მომცა და შენ მაინც იყავი ჩემი ქალიშვილიო.

ქალსაც ძალიან გაუხარდა. ამას იქით ერთად იყვნენ და ცხოვრობდნენ ტკბილად.

ერთხელ ქალი შეეხვეწა ბებერს: შენი ჭირიმე, ჩემო დედავ, აქ რომ ვეშაპია, ის დავპატიჟოთ, ივის ცოლიცა და შვილიცაო.

ბებერმა ნება დართო, რატომ არა, შვილო, ვინც გინდა, მე რა წინააღმდეგი გაგიხდები, დავპატიჟოთ, თუკი ვინმე გესიამოვნებაო.

გამართა ქალმა სადილი და მიიპატიჟა თავისი ქმარი, შვილი და ის ბოროტი და.

სადილზე სადღეგრძელოები რომ ჩამოაყოლეს და ყველამ მიირთვა, ქალმა აიღო ჭიქა, დაასხა ღვინო და დაილოცა:

— გაცოცხლოს შენ, ჩემო ქმარო, შენც, ჩემო შვილო, და შენც, ჩემო დაიო!

ქმარს აქამდისაც ეცნობოდა ეს ქალი, გულიც შეუვარდა და ახლა კი დარწმუნდა, რომ მისი ცოლი ეს იყო.

ქალმა დაწვრილებით უამბო ყველაფერი. მოაბა ქმარმა ის მოღალატე და ცხენის ძუას და დააჩქლეთინა. თვითონ ისევ თავისი წინანდელი ცოლი შეირთო და ბედნიერად იცხოვრეს.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ბატო იქა, ფქვილი აქა.

ეშმაკის ლაგამი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი საშინლად ძუნწი, მაგრამ ძალიან მდიდარი კაცი. აუარებელი ცხვარი და საქონელი ჰყავდა, შინაც სარჩო ჰრავალი ჰქონდა. ისეთი ძუნწი იყო, რომ სულ მშიერი და ტიტველი დადიოდა. არაფერს არ იცვამდა ტანზე, ცოლ-შვილსაც

შიმშილით ხოცავდა. მწყემსებს არ იჭერდა: დაკლავენ და შეჭამენ რასმეო, თვითონ მწყემსავდა.

არც თვითონა ჭამდა და არც სხვებს აჭმევდა, არც მეზობლისა და არც სტუმრისა სახლში შეყვანა არ იცოდა.

ერთხელ ეს ძუნწი კაცი ბინდორში ცხვრებს მიერეკებოდა. შეხედა, მგელს ერთი უსახელო, ეშმაკის პატარა შვილი უჭირავს პირში და მიარბენინებს. მეცხვარემ მოიგლიჯა თოფი, გადაურბინა მგელს წინ, ესროლა და გააგდებინა. მერე მივიდა და თან წამოიყვანა.

უსახელომ უთხრა, რაკი გადამარჩინე, ჩემ დედ-მამასთან თუ არ წაგიყვანე, არ იქნება: ისინი გადაგიხდიან ჩემს მაგიერ სიკეთესაო.

აღარ მოეშვა უსახელო ამ ძუნწსა. დაუყენა ძუნწმაც ცხვარს კაცი და გაჰყვა უსახელოს. ისეთ ღადღუდაზე ატარა, ისეთ კლდეებზე მიჰყავს, რომ ეს ძუნწი ძლივსღა მიათრევს ფეხებს.

იარეს და იარეს ამ კლდეებზე. უსკდება გული ძუნწსა. ფიქრობს: ვაითუ ამ ეშმაკმა გამიტყუოს და გადამჩეხოსო.

უსახელომ უთხრა: ჩემს დედ-მამას დიდი სარჩო აქვს, ბევრ ოქრო-ვერცხლს შემოგაძლევენ და არ აიღო. შენ უთხარი: ჩემი ქონება მომეციოთ-თქო.

მივიდნენ ეშმაკის სახლში. უამბო პატარა ეშმაკმა, როგორ გამოსტაცა ამ მეცხვარემ მგელსა. ეშმაკებმა დიდი სიამოვნებით მიიღეს ძუნწი, შეიყვანეს სულ ოქროთი და ვერცხლით სავსე ოთახში.

— აი, შვილო, წაიღე რამდენიც გინდა, აკრიფე, გუდაში ჩაიყარეო! — უთხრეს ძუნწ მდიდარს პატარა ეშმაკის მშობლებმა.

მისდის სული ძუნწს, უნდა აკრიფოს ეს ოქრო-ვერცხლი, გაივსოს გუდა და წაიღოს, მაგრამ პატარა ეშმაკი თვალს უშვრება.

— აკრიფე ოქრო და ვერცხლი, რამდენიც გინდაო,—ეუბნებიან ეშმაკის მშობლები.

ძუნწი ხმას არ იღებს.

— წაიღე ოქრო-ვერცხლი, რამდენიც გინდაო, — ეუბნებიან.

ის კიდევ ჩუმად არის, არ იღებს ხმას.

— მაშ, რას ითხოვ, რა მოგცეთ, გვითხარ და აგისრულებთ. შენთვის არაფერს დავიშურებთო.

— ჩემი ქონება მომეციოთო, — უთხრა ძუნწმა.

ეშმაკებს როგორღაც ემძიმათ ძუნწის სათხოვარი. შეყოყმანდნენ, მაგრამ მერე მივიდნენ ძუნწთან და ქისტი წაჰკრეს კისერში. ამ

ძუნწს პირიდან ლაგამი კი წავარდა. დაავლო ლაგამს ხელი ეშმაკმა და შეინახა.

ეს ძუნწი თითქოს ახლა გამოერკვაო, მიიხედ-მოიხედა: სადა ვარ, აქ რას ვაკეთებ, ვინ მომიყვანა ამ სახლშიო.

დაიხედა ტანზე, ხედავს, თითქმის ტიტველია, ჩამოხეულ-ჩამოგლეჯილია, თავის თავი თვითონ შეზიზღდა. ფეხაკრეფით გამოსწია. მოდის გზაზე და ფიქრობს თავის თავზე. მოაგონდა მაშინ, ცოლ-შვილიც მშიერ-ტიტველი და საცოდავები რომ ჰყავდა, დანანდა, გაუჯავრდა თავის თავსა. ახლა სულ თვალწინ წარმოუდგა, რაც თავის სიძუნწით გაჭირვება და სიხარბე გაწია.

მოვიდა ცხვარში. უბრძანა ბიჭს, დაეკლა ერთი კარგი ჭედილა, გაგზავნა სახლშიაც საკლავი. ცოლს შეუთვალა: ტანისამოსი გამომიგზავნეო. იყიდა ყველაფერი თავისი ცოლ-შვილისათვის და გაგზავნა. სანამ ტანისამოსი არ მოუვიდა, თვითონ ვერ წავიდა სახლში, რცხვენოდა.

უხარია ცოლ-შვილს, ეს რა ხასიათი შესცვლია ამ კაცსაო.

ამრიგად, მისი ქონება ეშმაკებს აღარ დარჩა და თვითონვე მოიხმარა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

დღისით მკვდარი

იყო ერთი სოვდაგარი. ჰყავდა სამი ქალიშვილი.

ერთხელ სავაჭროდ მიდიოდა, თავისი ქალიშვილები მოიხმო და ჰკითხა: უცხო მხარეს ვივდივარ და რა მოგიტანოთო?

უფროსმა უთხრა: ისეთი კაბა მომიტანე, ვისით ჩამეცმებოდეს და ვისით გამეხდებოდესო.

შუათანამ უთხრა: ისეთი სარკე მომიტანე, რომ ყველაფერი დამანახოს, რაც დედამიწის ზურგზე და მაღლა ცაში ხდებაო.

უმცროსს უთხრა: შენ რაღა მოგიტანოო? უმცროსმა უთხრა: მოვიფიქრებ და გეტყვიო.

ქალს ერთი ძალიან ჭკვიანი ძიძა ჰყავდა და იმას ჰკითხა: მამა უცხო ხეარეს ვიდის და რა დავაბარო, რა მოვიტანოს, შენ მასწავლეო.

ძიძამ უთხრა: ისეთი ვაშლი მოგიტანოს, რომ ნატვრა გისრულდებოდესო.

წავიდა ქალი და მამას დააბარა: ისეთი ვაშლი მიყიდე, გავჭრა, ისევ გამთელდეს, გაჭრილი შევჭამო და მეფის დედა გავხდეო.

— კარგიო, — უთხრა მამამ და წავიდა.

დაბრუნდა ერთი წლის შემდეგ. უფროსებს მოუტანა, რაც დაბარეს. უმცროსს უთხრა: შენ რაც დამაბარე, ვერ ვიშოვე. აღმოსავლეთისაკენ ყოფილა ერთი ბაღი. გველების ღობე ჰქონია, მცველად პირდაღებული ვეშაპები ჰყოლია და ის ვაშლიც იქა მდგარა. იმ ბაღს ჯერ ადამიანის ძე არ მიჰკარებია და, აბა, მე როგორ მოგიტანდიო!

დაღონდა ქალი, ტირილი დაიწყო. მოვიდა ძიძა და ჰკითხა: რად ტირი, გენაცვალეო?

— ასეა ჩემი საქმე, მამას ის ვაშლი ვერ უშოვია, ჩემი დების დაბარებული საჩუქრები კი მოუტანიაო.

ძიძამ ანუგეშა: თუ მარჯვედ მოიქცევი, შენ თვითონ იშოვი მაგ ვაშლსაო. წადი აღმოსავლეთისაკენ, ერთ ტრიალ მინდორში თვალს მოჰკრავ პატარა ბაღსა. ეს არის სწორედ ის ბაღი, გველების ღობე რომ ავლია და ორი პირდაღებული ვეშაპი შესასვლელთან რომ უწევსო. ბაღში ერთადერთი ის ხე დგას. ესენი იმ ხესა და მის ნაყოფს დარაჯობენო. შუადღეზე, მზე მაღლა რომ აიწევა და სიცხე ჩამოაჭერს, ჰაშინ გველებს და ვეშაპებს ეძინებაო. სწორედ ის დრო შეარჩიე, შევარდი, მოწყვიტე ერთი ვაშლი და უკან არ მიიხედო, ისე გამოიქეცი.

წავიდა ქალი. იარა ერთი დღე, ჰეორე, ჰესამე, ერთი თვე. მიაღწია, როგორც იყო, იმ მინდორს. გაიხედ-გამოიხედა, დაინახა საკვირველება: ერთ ალაგას რგვლად არის მოვლებული გველების ღობე. შესავალთან პირდაღებული უშველებელი გველვეშაპები წვანან. შიგნით ერთადერთი ვერცხლის ხე დგას, ზურმუხტის ფოთლები ასხია, მსხვილმსხვილი ვაშლები აბია: ერთ მხარეს ლალის ფერის, მეორე მხარეს ალმასის ფერისა.

ამის დანახვაზე ქალმა კინაღამ ჭკუა დაკარგა. გადაწყვიტა: ან ამ ქვემძრომების ლუკმა უნდა გავხდე, ანდა ეს ვაშლი უნდა დავკრიფოო, შუადღისას მივიდა ახლოს. გაიხედა, მართლაც, სძინავთ გველვეშაპებს, დაუდვიათ მიწაზე თავი და ხვრინავენ. ქალმა ისკუპა და შევარდა ბაღში. მოწყვიტა ერთი ვაშლი და გამოიქცა უკან. მორბის და ჰოაქვს ვაშლი. უხარია, ჰაგრამ რაღაც ხმაურობა ესმის: აშლილა

მთელი გველეთი, გველვეშაპები წივილ-კივილითა და ყვირილით მოსდევენ ქალს. მოიხედა უკან, რაღა ქნას! ჰირბის, ღონე ელევა. უკან მისდევს აუარება ქვემძრომი. რაღაც ხმა გაიგონა: გადაუგდე ვაშლი, თუ არა, დაიღუპებიო.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ქალმა გადაუგდო უკან ვაშლი და გრძნობამიხდილი იქვე დაეცა. ცოტა ხანს ვერე ვონს მოკიდა, ადგა, გაიხედ-გამოიხედა, არაფერი არა ჩანს, არც ვაშლია, არც გველვეშაპი და გველები მოსდევენ. დგას ერთ მინდორში. უნდა დაბრუნდეს სახლში, მაგრამ გზა დაეკარგა, საით წავიდეს, არ იცის. დაადგა გზას და მიდის. სად მიდის, თვითონაც არ იცის.

გაიხედა, მოჰკრა თვალი პატარა საყდარს. მიადგა კარს. კარი დაკეტილია შიგნიდან. არც საჭელი, არც არაფერი. შემოუარა გარს: უნდა თავი შეაფაროს. ტირის, დაჯდა იქვე. რომ დაღამდა, რაღაც ხმაური გაიგონა შიგნიდან. შეშინდა და იქვე დაიმალა. უცებ ვაიღო კარი, ერთი ახალგაზრდა ვაჟი გამოვიდა საყდრიდან და ბნელაში მიიმალა. კარი ღია დარჩა. ქალი შიგ შევიდა და ნახა: ერთ კუთხეში კუბო დგას, მეორეში — ლოგინი. ლოგინის წინ სუფრაა გაშლილი პურ-ღვინით. ქალს ძალიან ჰშია. უნდა პური მოტეხოს, მაგრამ ამ დროს ფეხის ხმა გაიგონა. ლოგინქვეშ შეძვრა. შემოვიდა ვაჟი. გაიარ-გამოიარა, პირი დაიბანა. დაჯდა და პურის ჭამას შეუდგა. ჭამს ბიჭი პურსა.

გათენებამ მოაწია თუ არა, ვაჟმა ახადა კუბოს თავი და შიგ ჩაწვა.

ქალი გამოვიდა საფრიდან. მივიდა კუბოსთან. უნდა ამ ბიჭს პური სთხოვოს. ნახა, რომ ვაჟი უკვე მკვდარია. ქალს შეეშინდა, მივიდა სუფრასთან და იფიქრა: მე თვითონ მოვტეხ პურსა და ვჭამო. ყველაფერი ხელუხლებელივით დახვდა. გაუკვირდა ძალიან: ეს კაცი წუხელ პურსა ჭამდა და სუფრა კი ისევ ისეაო. ქალმა ვერ გაბედა პურის ჭამა, ჰშია, მაგრამ არ ახლო ხელი არაფერს.

გააღო კარი და გამოვიდა გარეთ. უნდა წასვლა, მაგრამ სად წავიდეს, ვერაფერს ხედავს, არც გზა არის, არც არაფერი.

იხეტიალა ცოტა ხანს. საღამო ჟამს ისევ ამ საყდარში შევიდა.

მზე რომ ჩავიდა, სინათლე თავისთავად აინთო საყდარში. მიიხედა, კუბოდან კიდევ რაღაცა ხმაური გაიგონა. შეეშინდა, ისევ იმ ლოგინქვეშ შეძვრა და დაიმალა. გამოიჭვრიტა და ხედავს, კუბოდან მშვენიერი შესახედავი ვაჟი ამოძვრა, გაიზმორა, გაიარ-გამოიარა, პირი დაიბანა, მივიდა სუფრასთან, დაჯდა, აიღო პური და ჭამას შეუდგა. პურის ნამცეცები სუფრის წინა ცვივა. ქალმა ხელი

გამოყო, პაწაწინა ნამცეცები პირში ჩაიდო და ცოტა სული მოითქვა.

გათენებამ მოაწია თუ არა, ვაჟი ისევ ჩაწვა კუბოში. ქალი არ შეუშინებია.

მეორე დილას ქალი გამოვიდა ლოგინქვეშიდან. ახლა კი ვეღარ მოითმინა. შიმშილისაგან დასუსტდა, მივიდა სუფრასთან, ნახა, ყველაფერი ისევ ხელუხლებელია. გაბედა, როგორც იყო, პური და ხორცი მოჭრა და შეჭამა. ერთი ჭიქა ღვინოც დაასხა და დალია.

ამასობაში დაღამდა. კვლავ შეძვრა ლოგინქვეშ. ვაჟიც ადგა კუბოდან ცოტა ხნის მერე და მოუჯდა სუფრას. დახედა პურს თუ არა, ზეზე წამოვარდა: ეს რა ამბავია ჩემს თავსაო! ოცდაათი წლის განმავლობაში თაგვი რა არის, ისიც არ მინახავს ამ საყდარშიო.

ერთი ბოზრდილი პურის ნაჭერი ისროლა. ქალმა გამოყო ხელი და წაეტანა. ვაჟმა სტაცა ხელში ხელი და გამოათრია. შეხედა, რას ხედავს. მშვენიერი ქალია!

მოეწონა ძალიან. უამბეს ერთმანეთს თავიანთი თავგადასავალი. ქალმა ვაჟს ჰკითხა: რა არის, რომ დღისით მკვდარი ხარ და ღამით ცოცხალიო?

ვაჟმა უამბო: მე ვარ ერთი სოფლის ბატონიშვილი. ნადირობა მიყვარდა ძალიან. ერთხელ სანადიროდ წავედი. ერთ ირემს გამოვეკიდე. ირემი თვალიდან არ მეკარგებოდა, დღე და ღამ მივდევდი. ერთ მაღალ მთაზე ავიდა და იქ გაქრა. მთაზე რომ ავდიოდი, მზის ცხრა თვალი დაჰყურებდა დედამიწას და არემარეს წვავდა. მეც, სიცხისაგან შეწუხებულმა, მზეს მშვილდ-ისარი ვესროლე. მოხვდა თვალში და ცალი თვალი წაუხდინა. იმის მერე ქვეყნის ნახევარი სულ ბნელშია გახვეულიო. ამისთვის ღმერთმა დამსაჯა: დღე მკვდარი ვარ და ღამე ცოცხალიო. ნათესავებთან ცხოვრება არ შემიძლია, დედ-მამამ ამ მინდორში ამიშენა საყდარი. აქ დაასვენეს ჩემი კუბო და ასე ვცხოვრობ მას მერე. დღეში ერთი პური, ერთი ცხვრის გავა და ერთი დოქი ღვინო მეძლევა. გადმოვასხამ, ღვინოს იმდენივე ემატება, მოვჭრი ხორცსა — ხორცი მთელდება, მოვჭრი პურსა — პური მთელდებაო... აი, შენ რომ პური მოგიჭრია, ხომ ხედავ, ემჩნევა, არ გამთელებულა! ახლა არ ვიცი, შენ რა უნდა გაჭამოო?

ძალიან შეუყვარდათ ერთმანეთი. ვაჟი გაქრებოდა ღამის სიბნელეში, მოჰქონდა პურის ნატეხები. ხან თვითონ მშიერი რჩებოდა და იმ ქალს აძლევდა თავის ულუფას.

ასე შეინახა ვაჟმა ქალი ექვს თვეს. ქალს დაეტყო ორსულობა.

ვაჟმა უთხრა: შენი აქ ყოფნა შეუძლებელია. ძალიან მიყვარხარ, მაგრამ აქ ვერ შეგინახავ, უნდა წახვიდეო.

ქალმა ტირილით უთხრა: მე შენ თავს ვერ დაგანებებო.

ვაჟმა არ უსმინა. ამოიღო გორგალი, ძაფის ბოლო ხელში მისცა, გორგალი გააგორა მინდორში და უთხრა: მიყევი მაგ გორგალს და ჩემს მშობლებთან მიგიყვანსო. მშობლებს არაფერი უთხრა, ბავშვი გეყოლება, ბავშვს იქვე დატოვებ და ისევე ჩემთან გამოიქცევიო.

გადაეხვია ქალს, აკოცა და გაისტუმრა.

წავიდა ქალი, მიჰყვება გორგალს. იგორა გორგალმა და ერთი ციხე-დარბაზის წინ გაჩერდა. ქალიც იქვე ჩამოჯდა. ნახეს მოსამსახურეებმა, ჯერ არ შეუშვეს სახლში, მაგრამ მერე სახლის პატრონმა მოჰკრა თვალი, შეეცოდა ორსული ქალი და შინ შეუშვა. ცხოვრობდა იქ. ერთ დღეს ეყოლა მშვენიერი ვაჟიშვილი.

კუთხეში აგდია საწყალი, ჩალა უგია და კონკები ახურავს.

ღამღამობით ვიღაცა მოდის ამ ქალთან და უძახის ეარედან: სულო ჩემო, როგორ შენ და როგორ ჩემი ძეო?

— ჩალაზე ვწევართ მე და შენი ძე, კონკები გვახურავს, პურის ქერქი გვიყრია, იმის დასალბობად ერთი კათხა წყალი გვიდგასო.

კაცმა ჩაილაპარაკა: ვაი დედასა ჩემსა! ვაი მამასა ჩემსა! ვაი უფრო გადიასაო!

ეს გაიგონეს მოსამსახურეებმა. წავიდნენ და ბატონს უთხრეს: ვიღაც კაცი მოდის ღამით და ამისთანა სიტყვებს უძახის იმ ქალს. ჩვენ რომ აქ გვყავს სამადლოდაო.

ერთ ღამეს თვითონ ოჯახის პატრონები ჩამოვიდნენ ძირს და დაიმალნენ კუთხეში. ღამით ისევ მოვიდა ეს კაცი და დაიძახა: სულო ჩემო, როგორ შენ და როგორ ჩემი ძეო?

იმ ქალმაც დაუძახა: ჩალაზე ვწევართ მე და შენი ძე. კონკები გვახურავს, გამხმარი პურის ქერქები წინ გვიყრია, იმის დასალბობად ერთი კათხა წყალი გვიდგასო.

კაცმა გარედან დაუძახა: ვაი დედასა ჩემსა! ვაი მამასა ჩემსა! ვაი უფრო გადიასაო! და გაქრა ღამის სიბნელეში. გამოცვივდნენ გარეთ, მაგრამ ვერაფერი ვერ დაინახეს.

ქალს გამოჰკითხეს: ვინ არის, რომ გელაპარაკებაო?

ქალმა უამბო თავისი თავგადასავალი. ვაჟის დედ-მამას ეჯვი დაებადათ: ეს უთუოდ ჩვენი შვილი იქნებაო.

ქალი დააწვინეს მშვენიერ ოთახში და მომვლელები დააყენეს თავზე.

— ის ვაჟი რომ მოვიდეს, აქ შემოიხმე და არ გაუშვა, გვაჩვენეო.

იმ ღამეს არაფერი. მეორე ღამეს მოვიდა კარს უკანა და დაიძახა: ჩემო სულო, როგორ შენ და როგორ ჩემი ძეო?

ქალმა რა გაიგონა, აქედან ხმა მისცა: შემოდი ოთახშიო.

იმან უთხრა: მე შემოსვლა არ შეშიძლია. ის კი არა, აქ მოსვლის უფლებაც არა მაქვსო. მითხარი, როგორ ხართო?

ქალი არ მოეშვა: არ გეტყვი, შენი თვალითა ნახეო!

კაცმა ვერ გაუძლო ქალის მუდარას. შევიდა. ბავშვს დაუწყო კოცნა. ქალსაც გადაეხვია. კარის უკან დედ-მამა იყო ჩასაფრებული. შემოცვივდნენ მაშინვე, შემოეხვივნენ ვაჟს, იცნეს შვილი, დაუწყეს კოცნა. დედ-მამა ტიროდა. არ უშვებდნენ: ჩვენთან დარჩიო, ეუბნებოდნენ.

ვაჟი არ ნებდებოდა: საცა არის, გათენდება, უნდა წავიდე, თუ არა, აქ მოვკვდებიო.

ამასობაში მამალმაც იყივლა. უკვე თენდებოდა. ვაჟს მუხლები მოეკვეთა და მკვდარი დაეცა.

შეიქმნა წივილ-კივილი. დედ-მამის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. ამ დროს ქალი წამოვარდა: მე უნდა ვიშოვნო ამის მოსარჩენი წამალიო.

ადგა და წავიდა. დედ-მამამ მოსამსახურეები გააყოლა — ოთხი კაცი.

ქალი ფიქრობს: უნდა წავიდე მზესთან და იმან უნდა მომცეს მაგის მოსარჩენი წამალიო.

მიდის ქალი. მიჰყვებიან კაცები. თვეობით მიდიან, წლობით მიდიან. მოსამსახურეები გზაში დაეხოცა. თვითონ ტანისამოსი დაეხა, დაგლახაკდა. მობრუნების იმედი არა აქვს. გადაწყვიტა, ცოცხალი არ დავბრუნდებიო. მზის ქვეყანას უნდა მიაღწიოს. მზეს უნდა გამოსთხოვოს ვაჟის მოსარჩენი წამალი.

მივიდა მზის სასახლეში, სული ძლივს მიიტანა.

მზე შინ არ იყო. მზის დედას გაუკვირდა, აქ ჩემი შვილის შიშით ადამიანი არ მოსულა, ყოველივე სულდგმულს წვავს მისი სიახლოვე, შენ როგორ გაბედე მოსვლაო?

— მე არ მეშინია, — უთხრა ქალმა, — სათხოვარი მაქვს მზესთანაო.

მოუყვა თავის თავგადასავალს. სთხოვა, მზე მაჩვენეო. მზის დედამ უთხრა: მზის ნახვა არ იქნება, სიახლოვეს ყველაფერს დაწვავს, შენს გაჭირვებას მე მოვახსენებო.

მზის დედას ქალი შეეცოდა, რადგანაც თვითონაც დედამიწის შვილი იყო. ქალი დაბანა, ჩააცვა, აჭამა და დამალა.

საღამო ჟამს მოვიდა მზე თავისი ცეცხლის მფრქვეველი თვალებით. დაიძახა მაშინვე: ადამიანის სუნი მეცაო!

დედამ უთხრა: არაფერია, შვილო, დღეს ტანისამოსი გამოვიცვალე, ტანი დავიბანე, მე ხომ ადამიანი ვარ, ჩემი სუნი იქნებაო.

ამ სიტყვებმა ნათქვამი გადაავიწყა შვილსა. დასხდნენ. ვახშამი მოუტანა დედამ და თანაც სიტყვა შეაპარა: მოგიკვდეს, შვილო, დედა! ეგ მეცხრე თვალიც რომ გქონოდა, რა ლამაზი იქნებოდი! მოუკვდეს იმას თავი, ვინც ის თვალი წამოგთხარა! მაშინვე იქ რატომ არ დაწვიო.

— არა, დედი, იმას ეყოფა სატანჯველი: დღისით მკვდარია და ღამით ცოცხალია! ოცდაათი წელიწადია ადამიანი არ უნახავსო.

— უი, შვილო! ნამეტანი მოგსვლია მაგის დატანჯვაო! — დედამ უთხრა.

— აბა, დედი, ამისთანა საქმე დამემართა, ამდენი ხანია მარტოდ-მარტო, ტრიალ მინდორში დვას ერთი საყდარი, იქ კუბოში ასვენია დღისითო. ღამე გაიღვიძებს, გაივლ-გამოივლის, დილას ისევ მოკვდებაო.

დედამ წუწუნი დაიწყო: უი, შვილო, დიდად დაგიტანჯავსო!

— მეც მეცოდება, მაგრამ შველაც არ შემიძლიაო.

— ნუთუ იმის მოსარჩენი წამალი არ იქნება ქვეყანაზეო? — დედამ უთხრა, — კმარა სატანჯველიო.

— კი, წამალი როგორ არ არის, მაგრამ ვინ მიუტანსო!

— რა არის, მაინცაო? — ჰკითხა დედამ.

— ერთი წვეთი ჩემი პირისნაბანი წყლის წასმა და მისი მორჩენა ერთი იქნებაო.

მეორე დილას დედამ წყალი მიუტანა მზესა. მზემ პირი დაიბანა, რალაც ეჭვი აიღო და დედას უთხრა: ეს წყალი გადაღვარეო!

დედამ წყალი გადაღვარა, ცოტა კი მაინც ჩატოვა.

მზე ადგა და წავიდა. დედამ ქალი გამოიყვანა. ეს წყალი სურაში ჩაუსხა. საგზალი გაატანა და გაუშვა.

— გზაში თუ ვინმე მკვდარი ნახო, ყველას წაუსვი და გააცოცხლეო, — დააბარა.

წავიდა ქალი, ფიფრინავს ჩიტივით. თოვლში ჩამხრჩვალ ხალხსა ხედავს. მივა, წაუსვამს ამ წყალსა და ყველას აცოცხლებს, გააცოცხლა თავისი მოსამსახურეებიც.

ერთი წლის ბერე მოაღწია სახლში. ყველას გაუხარდა მისი მოსვლა, მით უმეტეს, წამალი მოჰქონდა ქმრის მოსარჩენად. წაუსვა და გააცოცხლა. იმათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

დღესაც ბედნიერად ცხოვრობენ.

გველის ტყავზე ამოსული ალვის ხე

ერთ სოვდაგარს მუდამ წელიწადს მოჯამაგირე ჰყავდა. წელიწადში სამ თუმანს უხდიდა.

ერთ წელიწადს ერთი საწყალი გლეხი დაუდგა მოჯამაგირედ. წლის ბოლოს სამი თუმანი დაუწყო წინ და უთხრა: ეს სამი თუმანი გირჩევნია, თუ სამი სიტყვაო?

გლეხმა იფიქრა: მაინც ღარიბი ვარ და ღარიბი, სამი თუმანი ხომ ვერ გამამდიდრებს, მოდი, ამ სამ თუმანს დავანებებ და სამი სიტყვა მითხრასო.

სოვდაგარმა ეს სამი თუმანი მაშინვე ჩაიკეცა ჯიბეში და უთხრა სამი სიტყვა: ერთი — აქედან რომ წახვალ, რაც შენმა თვალებმა მოიწონოს, უბრალო კენჭიც კი, აიღე და შინ წაიღე; მეორე — რასაც ვერ შეხვდე, არ წაეპოტინო; მესამე — შენი გულის პასუხი, ცოლი რა არის, იმასაც არ უთხრაო.

გლეხი ადგა და წავიდა. „ვაი, სამო თუმანო, აბა, რად მინდოდა სამი სიტყვა, სამი თუმანი ჩემს გაჭირვებულ ცოლ-შვილს ცოტა რამეს უშველიდაო", დარდობდა გზაში. მოდის დაფიქრებული.

ერთ ჭრელ გველს ტყავი გაუხდია. და გზაზე გდია. მოეწონა. მოაგონდა სოვდაგრის სიტყვა, აიღო, დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო. მივიდა სახლში. ეზოში რომ შევიდა, გველის ტყავის გადაგდება უნდოდა, მაგრამ შეეშინდა: არაფერი ავნოს ვისმესო და დიდი ქვის ქვეშ შედო. შევიდა შინ, დაწვა და დასაძინებლად მოემზადა. ცოლმა ჰკითხა:

— რა ჰქენი, კაცო?

— დამაცა, გათენდეს, ხვალ გეტყვი!

გათენდა მშვიდობის დილა. ქალი გარეთ გამოვიდა, შეხედა, ეზოში ერთი ძალიან დიდი ალვის ხე ამოსულა, ცაში აქვს წვერი. შევარდა შინ და ქმარს უთხრა: კაცო, ეს ალვის ხე შენ ხომ არ მოგიტანია, გუშინ არ იყო, დღეს საიდან გაჩნდაო?

გლეხმა შეხედა თუ არა, თქვა. ერთი თუმანი უკვე გავანაღდეო!

ახლა მთელი სოფელი ალაპარაკდა: საიდან და როგორ ამოვიდა ამოდენა ალვის ხეო. გლეხმა ხალხს უთხრა: თუ ძალიან გინდათ გაგება, მე ვიცი. რაზეც არის ამოსული ეს ალვის ხე, დავნაძლევდეთ და, თუ ვინმემ გაიგოს, თავი მოვჭერით, თუ არადა, სანაძლეო დააწყვეთო!

დღესა, ხვალა, ზეგა ამ კაცმა გადმარჯვა სანაძლეოებით. საქმე წინ მიდის. მოდის და მოდის სანაძლეო. ერთ დღეს ვიღაც ვაჭარმაც ჩამოიარა. ყრილობა რომ დაინახა, იკითხა:

— ეგ ხალხი რად მოგროვილაო?

— აგერ, ეს ალვის ხე ერთ ღამეს ამოვიდა და ამხელა გაიზარდა; პატრონმა იცის, რაზეა ამოსული და სანაძლეოებს იგებსო. — უპასუხეს.

ვაჭარმა თქვა: ამ საქმეს თუ გავიგებ, ქალისაგან, თორემ ქმარი არ იტყვისო!

ერთ დილაზე ადრე ჩამოიარა. გლეხის კარზე ჯერ არავინ მოსულიყო. აიღო ათი მეტრი ჩითი და გადაუგდო. მეორე დილასაც ადრე ჩამოიარა და ათი მეტრი აბრეშუმი გადაუგდო. მესამე დილას საკაბე გადაუგდო. ახლა ქალმა დაუძახა:

— აქეთ გამოიარე, რატომ ყრი მაგ ფართალს, გუნებაში რა გაქვსო?

— რამდენი წელიწადია, მიყვარხარ, პირში ვერ გიბედავ და ასე შორიდან მინდა, რამე გასარგებლოო. — უპასუხა ვაჭარმა.

ქალმა იფიქრა: თუკი ამ ვაჭარს მე ვუყვარვარ, მეც ის მიყვარსო! გამოუტყდა სიყვარულში. ვაჭარმა დაიწყო ქალთან სიარული. გავიდა დღე, თვე, წელიწადი. ერთხელ ქალს უთხრა:

— ნუთუ არ იცი, ეს ხე რაზეა ამოსული?

— არ ვიცი და არც მიკითხავს!

— აბა, საღამოზე შეეკითხე ქმარს და სინამდვილე გაიგე!

მოვიდა საღამოს ქმარი და ცოლმა ჰკითხა:

— რა კარგია, მეც ვიცოდე, ეს ხე რაზეა ამოსული, განა არ მეტყვი?

— აბა, რად გინდა?

— როგორ არ მინდა, დღეს დიდი სანაძლეო დავკარგე, შენ შინ არ იყავი, მსურველები კი უკან წავიდნენ, რომ მცოდნოდა, მეც მოვიგებდი სანაძლეოს!

— არა უშავს რა, რასაც მე ვღებულობ, საკმარისია! — უთხრა ქმარმა.

ცოლი კიდევ შეუჩნდა, ჩააცივდა, დღე და ღამე მოსვენება არ მისცა. უნდა მითხრა და უნდა მითხრაო!

— კარგი, ხვალ გეტყვიო, — უთხრა გაბეზრებულმა ქმარმა, — ოღონდ არავინ გაიგოსო!

ქალმა მეორე დღეს გააფრთხილა ვაჭარი, კარებთან დაწექი, ჩუმად მოისმინე, რასაც ქმარი მეტყვისო. ვაჭარი ღამით მიიპარა კარებთან და ყური დაუგდო ცოლ-ქმრის საუბარს. შუაღამეა და ქმარი ჩუმად ეუბნება: არავინ გაგვიგოს კია და ეს ალვის ხე გველის ტყავზეა ამოსულიო!

— რაო, გველის ტყავზეო? — წამოიძახა ქალმა ხმამაღლა: რა არის, კარებში რომ ვაჭარი წევს, იმას გააგონოს.

ვაჭარმა გაიგონა ყველაფერი, წავიდა და ტკბილად დაიძინა. გათენდა დილა და ჯორ-აქლემით მიადგა გლეხს კარებზე.

— აბა, სანაძლეო დავდოთ, გამოდი გარეთ! — დაუძახა გლეხს,— მე ვიცი ეს ხე რაზეც არის ამოსული. თუ გამოვიცნო, ეს ხე რაზეა ამოსული, სამ რამეს დავადებ შენს ოჯახში ხელს და მომეცი, თუ ვერ გამოვიცნო, სამ რამეს, რასაც შენ დაადებ ჩემს სახლში ხელს, მოგართმევო!

დანაძლევდნენ. ვაჭარმა უთხრა:

— ეგ ალვის ხე გველის ტყავზეა ამოსულიო!

— მართალია, ნამდვილად გველის ტყავზეა ამოსულიო! — უპასუხა გაკვირვებულმა გლეხმა.

მართლაც, მოჭრეს ალვის ხე, ნახეს, გველის ტყავზეა ამოსული. წააგო სანაძლეო! ბოლოს, ვაჭარს სთხოვა: სანაძლეო კი მოიგე, მაგრამ მომეცი ერთი დღე-ღამის ვადა, ამის შემდეგ, პირობის თანახმად, სამ რამეს, რასაც ისურვებ, მიიღებო!

ვაჭარმა მისცა ვადა. თვითონ საქეიფოდ დაჯდა. გლეხმა კი დაჰკრა ფეხი და სოვდაგართან გაიქცა. სოვდაგარს მისი მისვლა გაუკვირდა:

— რა გაგიჭირდა, რად დაღონებულხარ, ხომ არა შეგემთხვა რაო?

— ასე და ასეა ჩემი საქმე, სანაძლეო წავაგე, რამე მიშველეო.

— დაჯექი, ჯერ პური ვჭამოთ და მერე მოვიფიქროთო! — უთხრა სოვდაგარმა.

დასხდნენ, პური ჭამეს და საუბარი გამართეს.

— განა არ გითხარ, შენი საიდუმლო არავის უთხრაო? საიდუმლო გაგამხელია და სანაძლეოც იმისათვის წაგიგიაო.

— რა ვქნა, ქალმა შემაცდინა, ცოლია, ვენდობი-მეთქი, ვიფიქრე.

სოვდაგარმა მისცა ერთი ხოროსნის ხმალი და ერთიც სალე-

სავი; თანაც დაარიგა: წადი, დადექ ამაღამ და მთელი ღამე ლესე ეს ხმალი. კარგად გალესე და დილით ადრე კიბეზე დადექი, ვაჭარი მოვა თუ არა, შემოდგება საფეხურზე და ცალ ხელს მოაჯირს მოჰკიდებს, მეორე ნაბიჯს რომ გადმოდგამს, . მეორედ მოჰკიდებს ხელს, მესამე საფეხურზე მესამედ მოჰკიდებს ხელს მოაჯირს. შენ მაშინვე გააჩერე, სამ რამეს უკვე დაადე ხელი-თქო, ჩამოუჭერი ეს მოაჯირი და მიეცით.

გლეხი გახარებული წამოვიდა. მთელი ღამე ლესა და ლესა ხმალი. ცოლს გული უსკდება, თუ თავს მჭრის, რაღას აგვიანებსო, შიშით არა და არ ეძინება. გათენდა დილა, მოვიდა ვაჭარიც.

— აბა, მეგობარო, სანაძლეო ხომ მოგიგე, მზადა ხარ თუ არაო?

— მობრძანდი, მზადა ვარ, რაც გნებავს, დაადე ხელი და წაიღეო!

ჩაუდგა მეხუთე საფეხურზე და დაუდგა ხმლით. ამოდის ვაჭარი, ფეხი რომ გადმოდგა, ხელიც დაადო მოაჯირს, მეორე ნაბიჯზე — მეორედ დაადო ხელი, მესამედაც რომ დაადო ხელი, გლეხმა ჩაუჭრა მოაჯირი და უთხრა: აი, სამჯერ ამას დაადე ხელი, აიღე და წაიღეო!

ხალხმა თქვა: სწორია ეგ კაცი, არა ტყუისო!

— არა, ძმაო, არ მინდა თქვენი მოაჯირი, აქვე იყოს, ვხედავ, მაჯობეო! — თქვა ვაჭარმა და წავიდა ხახამშრალი.

გლეხი მობრუნდა სახლში, მისდგა ცოლს და სულ ტყავი გააძრო: ღამით გითხარ საიდუმლო, დილით უკვე გამეცი, რა ადამიანი ხარო!

ამ სანაძლეოში ერთ ხელმწიფეს ოქროსტარიანი დანაც მოუგო. ეს ხელმწიფე უკვე დიდი ხანია მოკვდა, ახლა მისი შვილი განაგებს სახელმწიფოს. მიუტანეს ამბავი ახალ ხელმწიფეს: მამაშენს ერთი ოქროსტარიანი დანა ჰქონდა. ამა და ამ გლეხმა სანაძლეოში მოუგო. უნდა მიიპატიჟო ისა და დანა როგორმე ხელში ჩაიგდოო.

ხელმწიფემ დიდძალი ხალხი დაპატიჟა, მათ შორის — ეს გლეხიცა და სოვდაგარიც. ყველა კაცს შემწვარი ქათამი ან ინდაური მიართვეს. მასპინძელმა გამოაცხადა: საყოფი დანები არ გვაქვს, საკუთარი დანები ამოიღეთ, დაჭერით ქათმები და მიირთვითო.

ყველამ ამოიღო დანა, დაიწყეს შემწვარი ქათამ-ინდაურების დაჭრა, გლეხი დანას არ იღებს. ქალი შეუჩნდა: ამოიღე ეგ დანა, რაღა შავი დღისთვის გინდაო.

სოვდაგარმა თვალი უყო: არ ამოიღო დანა, არ გაბრიყვდეო! მაგრამ ქალი არ მოეშვა, აიძულა ამოეღო დანა. როგორც კი დანა

გაშალა და ფრთა და ბარკალი მოაჭრა შემწვარ ქათამს, ხელმწიფის შვილმა უყვირა: დანა დააგდე, ეგ მამაჩემის დანაა, შენ ის მოგიკლავს და დანაც წაგირთმევიაო!

დაიჭირეს გლეხი და მიაბრძანეს დილეგში. ხალხმა განაგრძო ქეიფი.

გათენდა მშვიდობის დილა. სოვდაგარმა თქვა: მოდი, ერთს კიდევ ვუშველი, ერთი თუმანი კიდევ მმართებსო. წაიყვანა პატარა კატა და მივიდა ციხესთან. ეს პატიმარი ფანჯრიდან იყურებოდა და ყველაფერს ხედავდა.

— შენ ხომ იცი, — ვითომ კატას ეუბნება სოვდაგარი და სცემს, — გეტყვიან, ეგ დანა ვინ მოგცაო, ადექი და უპასუხე: მართალია, დანა მამაშენის ნაქონია, მას მამაჩემის ვალი მართებია, არ გადაუხდია, მამაჩემი გაბრაზებულა, მამაშენი მოუკლავს და დანაც წაურთმევიაო. თუ მამის ვალს, გადამახდევინებ, იცოდე, არც შენ შეგრჩება და ჩემი შვილი გაზღვევინებს ჩემს ვალსაო.

ყველაფერი გაიგონა პატიმარმა. დილით დაიბარა ხელმწიფემ და ჰკითხა:

— ეს დანა ვინ მოგცაო?

— ეგ დანა, მართალია, მამაშენის ნაქონია, მაგრამ მას მამაჩემის ვალი ჰქონია, ვალი რომ არ გადაუხდია, ამდგარა მამაჩემი, მოუკლავს მამაშენი და დანაც წაურთმევია. და თუ მე, შვილს, გადამახდევინებ მამის ვალს, იცოდე, არც შენ შეგრჩება, ჩემი შვილი მაინც გაზღვევინებსო, — უპასუხა გლეხმა.

მაშინ ხელმწიფემ თქვა: დანას ვართმევ, ვართმევ, სიკვდილს რაღას ვემართლებიო. გაათავისუფლა გლეხი.

გლეხი შინ რომ მივიდა, კარგად დაბეჭა ცოლი: ყველაფერი შენი ენისგანა მჭირსო.

ამის შემდეგ კარგად ცხოვრობენ და მხიარულადაც არიან.

გველის ძმოგილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქვრივი დედაკაცი და ერთი ვაჟიშვილი ჰყავდა. ქვრივ-ობლობაში გამოზარდა. რომ დავაჟკაცდა, უთხრა:

— დედი, განა სულ შენ უნდა იწვალო, წავალ, ან მოჯამაგირედ დავდგები, ან სხვა რამეს მოვახერხებო.

— შვილო, ისე კი არ გამიხადო საქმე, რომ თვეში ერთხელ არა ვნახოო.

— დრო მეფობს, დედი, იქნებ ორ თვეშიაც ვერა გნახო, მაგრამ წერილს მოგწერო.

ადგა და წავიდა ეს ბიჭი. იარა, იარა, ერთ ხელმწიფესთან მივიდა.

— დიდებულო ხელმწიფევ, ერთი ქვრივ-ოხერი დედა მყავს და, თუ შეიძლება და გჭირდება, ჰოსამსახურედ ამიყვანეთო.

— მოდი, შვილო, თუკი ასეთი ჭკვიანი ხარ და დედის ამაგს აფასებ, მოდი, კარგი ადამიანი იქნებიო. მეცხვარეს ყავლი გასდის, აღარა დგება და ცხვარში შენ წადიო.

აიყვანა იმ ხელმწიფემ მწყემსად. უთხრა: ხვალ ცხვარს ჰორეკავენ და შენ ჩაიბარეო.

ჩაიბარა ცხვარი. იმისთანა ყისმათიანი იყო ის ბიჭი, რომ სამი წელიწადი იყო და ერთი ცხვარი არ დაჰკლებია.

— ამას კი გთხოვთ, — უთხრა მან წინასწარ, — ექვს კვირაში ერთხელ დედაჩემი უნდა ვნახო, თორემ თავს მოიკლავს დარდითაო. დაჰპირდა ხელმწიფე — გაგგზავნიო!

ერთი თვე გავიდა და გაგზავნა. მატყლი, ერბო, პური, ფქვილი და ვინ იცის, კიდევ რა არ გაატანა დედასთან; ფულიც კი მისცა.

მიდის ეს ვაჟი გზაზე და, დასწყევლოს წმინდა გიორგიმ ჩვენი დამძრახავი, ერთი მცურავი დახვდა გზაზე გაშოტილი. ჩამოვიდა ბიჭი, აიყვანა ეს მცურავი და შეიყვანა ჯაგებში. წინ პური და ყველი დაუდო და უთხრა: ჩემო გველანა ძმობილო, ნუღარ გამოხვალ გზაზე, თორემ დაგხვდება ვინმე, ქვას დაგიშენსო. იყავი შენთვის, შენც სიცოცხლე გინდაო.

წავიდა თავის დედასთან ის ბიჭი. თქვენც გაიხარეთ, ვინცა გყავთ წასულები იმათი მოსვლითა და მეცა, როგორც იმ დედამ გაიხარა. იყო იმ ღამეს იქა. გათენდა დილა და ბიჭი ადრე ადგა, ისაუზმა და წავიდა. ის მცურავი ისევ იქ დახვდა. დაუძახა ბიჭმა: მე რომ გთხოვე, ჩემო გველანა ძმობილო, ნუღარ გამოხვალ გზაზეო. რატომ არ მიჯერებო?

ჩამოვიდა ცხენიდან, შეიყვანა ჯაგებში, დაუდო პური და ყველი: აი, ეს ჭამე, ნუღარ გამოხვალ აქედან, ქვას დაგარტყამენ თავშიო.

მცურავმა უთხრა: რაკი ეგრე მადლიანი ხარ, ენა გამოყავი და ჩემ ენის წვერს დაადეო.

ბიჭი შეკრთა, მაგრამ მერე თქვა, რაც იქნება, იქნებაო. დაადეს ენის წვერები ერთმანეთს.

— ახლა წადი, — უთხრა გველმა, — ცხვარი დაიბღავლებს, გაიგებ, ძაღლი დაყეფს — გაიგებ, ცხენი დაიჭიხვინებს — გაიგებ, სულ ყველა ოთხფეხისა და ფრინველის, ყველა მცენარის ენა იცი. ახლა რომ გაივლი, ყური უგდე, ცხენი ქვას ფეხს რომ წამოჰკრავს, გაიგონებ, რასაც იტყვის. ხანჯალი ამოიღე, ბებერ ხეს დაჰკარ, გაიგონებ, რასაც იტყვისო.

მიდის და, მართლაც, პირველად ცხენმა ქვას წამოჰკრა ფეხი. ქვამა თქვა: ოჰ, მეცხვარეო, შენამც გაქვავდები, პირი დამამტვრიეო!

— შენ გაქვავდიო! — დაუჭიხვინა ცხენმა და ქვას მეორედ დასცხო წიხლი.

გაიარა და ახლა ბებერ ხესთან მიეიდა. დაუკაკუნა, ვითომ მოჭრა უნდა.

— არა, არა, მე ძნელი მოსაჭრელი ვარ, დაგიგვიანდება, რომელიც ადვილი მოსაჭრელია, იმასთან მიდიო!

მივიდა ახლა პატარასთან. პატარამ შესტირა: წადი და ბებერს უთხარი, რომ ჯერ მე მაგხელა გავიზარდო, რაც ის ბებერია, ვნახო წუთისოფელი და მერე მომჭერიო.

ერთი სიტყვით, ესმის ყველაფრის ენა ამ ყმაწვილს. ან ჩიტი დაიჭიკჭიკებს, ან რა...

მოვიდა ცხვართან. იმსახურა სამი წელიწადი. როცა გაუვიდა ყავლი, ბევრი სთხოვა ხელმწიფემ, მაგრამ იმ ბიჭს დედა მოუხუცდა და — უნდა მივხედოო!

— ჩამორეკე, შვილო, ცხვარი და გავყოთო, — უთხრა ხელმწიფემ. — რაკი ასეთი ადამიანი ხარ და გეცოდება დედაო.

ჩამორეკა ცხვარი. შემოვიდა ცხვარი ფარეხში და ბატკნები თავის დედებს ეთამაშებიან.

ამ ბიჭს ერთი კოჭლი ცხვარი ჰყავდა შეჩვეული, სულ თან დასდევდა. ბატკანი შეუკუნტრუშდა კოჭლ ცხვარს და უთხრა: როგორ გულს მაკლია, დედი, რომ შენ კოჭლობ და სხვასავით ბატკნებს ვერ ეთამაშები, სულ უკან რჩებიო.

ცხვარმა უპასუხა: ეჰ, შვილო, განა მართლა კოჭლი ვარ? მთელი ე მაგ ცხვრის დოვლათი ზურგზე მკიდია და ამიტომ ვკოჭლობ. ე მაგ ბიჭს თუ ჭკუა აქვს, ხელიდან არ გამიშვებსო.

წაიყვანა ბიჭმა კოჭლი ცხვარიც სხვა ცხვრებთან ერთად. წამოვიდნენ. გზისპირას ერთი მეკომური დგას. საფქვავი გაუფენია

და ქალი უზის. რომ გამოატარა ცხვარი და ახლოს მოაღწია, ქალი შინ შევარდა და სარკმლიდან უყურებს. საფქვავს ჩიტები დაეხვივნენ და იძახიან: როგორც ეს პურია გამრავლებული, ისე გამრავლდეს შენი ცხვარ-ბატკანი, სანამ შენ ცხვარს ჩამოატარებ, ჩვენ მაგრად გავძღებითო. ბიჭს გულიანად გაეცინა, გადაიხარხარა.

ჰოვიდა ბიჭი თავის დედასთან. გაუხარდა დედას. მეცხვარედ სხვა დაიჭირეს. სახლები გამართა, ის კოჭლი ცხვარი კი სულ თანა ჰყავს. მერე დედამ უთხრა: ახლა უნდა დაგაქორწილო, წაიყვანე ნათლიდედა დღეობაში და ვინც მოგეწონება, აირჩიეო.

წავიდნენ დღეობაში. დადის და ვერავინ აურჩევია. ერთ ადგილას ერთი ქალი ნახა და ძალიან მოეწონა. ითხოვა და გადაიხადეს დიდი ქორწილი. თურმე ეს ქალი ის იყო, სარკმლიდან რომ იყურებოდა. იმ ღამეს აბა რა იქნებოდა, მეორე ღამეს კი, ერთად რომ დაწვნენ, ქალი ჩამოეკიდა: რაზე გაიცინე, როცა ცხვარი მიგყავდა ჩემ სახლთანაო?

ამ ბიჭს კი გველისაგან ნათქვამი ჰქონდა, არამც და არამც არ გასცე ეს საიდუმლო, თორემ მოლევის ქვად იქცევიო.

— შენ ჩემი სიკვდილი გინდაო! — უთხრა ბიჭმა.

სამი-ოთხი ღამე ასე აწვალებს ამ ვაჟს.

ვაჟმა თქვა: ეს ცხვარი უნდა გავყიდოო! გარეკა ცხვარი და ესმის, ცხვრები ლაპარაკობენ: ვაი, რა პატრონი გვიკვდებაო!

ერთი ციკანი შეეთამაშა დედას. თხამ უთხრა: ნეტავ შენ, რა გათამაშებს, როგორი პატრონი გვიკვდებაო!

ციკანმა უპასუხა: ნეტავ რა გადარდებს! თუ არ უნდა სიკვდილი, გამოჭრას სამი კონა წკეპლა, ამაღამ შინ შეიტანოს და როგორც კი ის ქალი ხმას ამოიღებს, მოსცხოს; მანამდის სცემოს, სანამ არ შეეხვეწება: მომეშვი, აღარაფერი მინდა შენიო. ისიც ცოცხალი დარჩება და ჩვენც პატრონი გვეყოლებაო!

ბიჭი ასეც მოიქცა. როცა ივახშმეს და დასაწოლად შევიდნენ, ქალმა უთხრა: შენ გენაცვალე, უნდა მითხრა, რაზე გაიცინეო!

გადმოიღო ბიჭმა ეს სამი კონა წკეპლა და ერთი რომ გადაამტვრია ზედ, ახლა მეორე დაიწყო. ქალი შეეხვეწა: ოღონდ ნუ მომკლავ და, თუ კიდევ გკითხო, მძინარეს ყელი გამომჭერიო.

მას შემდეგ ცხოვრობდნენ ბედნიერად.

ტყის კაცი

სამი სვანი წავიდა სანადიროდ. სანადირო ალაგას რომ მივიდნენ, განცალკევდნენ: ერთი ერთ მხარეს წავიდა და მეორე — მეორე მხარეს. იმ ერთმა სვანმა იარა, იარა და მივიდა ერთი ტბის პირას, სადაც ბევრი შველი და არჩვი ჩამოდიოდა. დახოცა შველი და არჩვი, მოიტანა ერთი ხის ქვეშ, დაანთო ცეცხლი, ააგო მწვადები და შემოუფიცხა გარშემო.

საღამო ჟამი იყო. ამ დროს ტყიდან გამოვიდა ტყის კაცი, რომელსაც თავით ფეხამდე ერთი არშინი თმა ესხა. მოვიდა და მიუჯდა. სვანს სრულებითაც არ შეშინებია. უშიშრად შესცქეროდა ტყის კაცს. ტყის კაცმა უთხრა:

— მწვადი მომითალე ერთიო!

— მწყალობდეს ღმერთიო, — უთხრა სვანმა.

— მომითალე ორიო!

— მინამ მყავდა ღორიო, არც მაკლდა ლორიო, არცა მისი ქონიო.

— მომითალე სამიო!

— სამი ისარი ავაგდე, დევის ყურები ავაგეო.

— მომითალე ოთხიო!

— ოთხი ფარა ცხვარი მყავდა, არც მაკლდა ნაპარსი, არცა მისი ყველიო.

— მომითალე ხუთიო!

— ხუთი ძმაკაცი რომ სახლში იქნება, იმათ რა გაუჭირდებაო.

— მომითალე ექვსიო!

— ექვსი უღელი ხარი მყავდა, ვხნავდი, ვფარცხავდი, ცოლშვილს კარგად ვინახავდიო.

— მომითალე შვიდიო!

— მოვმართე მშვილდიო.

— მომითალე რვაო.

— ტყეში მტრედი მოვკალი, მოვიტანე და დავიწყე ბდღვნაო.

— მომითალე ცხრაო!

— აქედან გამეცალე, თორემ გაგიწყრება ანგელოზიმცაო.

ეს რომ უთხრა სვანმა, ტყის კაცი ადგა და მოშორდა. გაიარა პატარაზე და დაიკივლა გახარებულმა. მისი სიხარული ეს იყო, რომ შუაღამისას მოვიდოდა და მძინარე სვანს შეჭამდა. მაგრამ სვანმაც ხერხი იხმარა: დაანთო დიდი ცეცხლი, შემოიხსნა ხანჯალი, ტარით დაარტყა ცეცხლაპირას მიწაში და გადააფარა ზედ

ნაბადი. თვითონ გატენა თოფი ორი ტყვიით და ავიდა ხეზე.

შუაღამის დროს მოვიდა ტყის კაცი, გაშალა ხელები და დაეცა მკერდით ხანჯალზე: მძინარე კაცი ეგონა. ხანჯალი გულში შეერჭო. ტყის კაცმა დაიყვირა, გამწარებულმა გამოიძრო გულიდან ხანჯალი და გადააგდო. ამ დროს სვანმა ზევიდან ორტყვიიანი ბეჭებში დააყოლა. ტყის კაცმა დაუძახა: ერთი კიდევ მესროლეო. სვანმა უთხრა: ჩემგან ეგ გეყოფა და ერთსაც წმინდა გიორგი გესვრისო.

წავიდა ტყის კაცი, ჩავარდა ქვე ტბაში და მოკვდა. მოვიდნენ ტყის კაცები და დაიწყეს ტირილი: ჩვენი იბრუხი მოკლესო.

გათენდა დილა, ჩამოვიდა სვანი ხიდან, აიკიდა ნანადირევი ზურგზე და მოვიდა შინ მშვიდობით.

ციება, ცხელება და სიკვდილი

ციება, ცხელება და სიკვდილი დაძმობილდნენ. ერთ ტრიალ მინდორზე პური მოშივდათ. სერზე მეცხვარე დაინახეს და ციებას უთხრეს:

— წადი და ერთი ცხვარი გამოართვი!

წავიდა ციება და მეცხვარეს უთხრა:

— ერთი ცხვარი უნდა მომცე!

— განა ვინა ხარ, ცხვარს რომ მთხოვ?

— მე ციება ვარ!

— შენ თუ ციება ხარ! აბა ნახე! — დაუძახა მეცხვარემ, წამოავლო ჩომბახს ხელი და უდო და უდო გვერდებში.

შეუჯდა ჯანში ციება და მეცხვარე გააცია. წინ ცივი წყარო მოდიოდა, თითი რომ შიგ ჩაგეყო, მოგაზრობდა, გაქანდა მეცხვარე და ტყაპა გაადინა შიგა. ციებამ ვეღარ გაუძლო ცივ წყალს, გამოეცალა და წამოვიდა. მივიდა სიკვდილთან და ცხელებასთან.

— რა ჰქენი? — ჰკითხა სიკვდილმა.

— ციება მე კი არა, ის ყოფილაო!

— აბა, ახლა მე წავალ, — თქვა ცხელებამ.

მივიდა ცხელება მეცხვარესთან და უთხრა:

— ერთი ცხვარი უნდა მომცე!

— განა ვინა ხარ, ცხვარს რომ მთხოვ? — ჰკითხა მეცხვარემ.

— მე ცხელება ვარ!

— შენ თუ ცხელება ხარ, აბა ნახე! — დაუძახა მეცხვარემ, წამოავლო ჩომბახს ხელი და უდო და უდო.

შეუჯდა ჯანში ცხელება და მეცხვარე გააცხელა. ბიჭს ცხვრის ტყავები ჰქონდა მოგროვილი, გაქანდა და შიგ ჩაწვა. ცხელებამ ვეღარ გაუძლო სიცხეს, გამოეცალა და წავიდა.

— რა ჰქენი? — ჰკითხა სიკვდილმა.

— ცხელება მე კი არა, ისა ყოფილა, კინაღამ დამწვა!

— აბა, ახლა მე წავალ, — თქვა სიკვდილმა, — ვნახოთ, მოვიყვან ცხვარს, თუ არა!

მივიდა სიკვდილი მეცხვარესთან და უთხრა:

— ერთი ცხვარი უნდა მომცე!

— განა ვინა ხარ, ცხვარს რომ მთხოვ?

— მე სიკვდილი ვარ!

— მთელი ფარა წაიყვანე, მხოლოდ ერთი მითხარი, როდის უნდა მოვკვდე?

— ჩემი ძალით ხომ ვერ მოგკლავ, აგერ სიას გადავსინჯავ და გეტყვი. გადასინჯა სიკვდილმა სია და უთხრა: შენ ახლა ხარ ოცი წლისა, ოთხმოცი წელი კიდევ უნდა იცოცხლო, ასად უნდა შეასრულო.

— რახან ოთხმოცი წელი უნდა ვიცოცხლო, ცხვარი შენ რაში უნდა მოგცეო, — უთხრა მეცხვარემ, გადმოიღო ჩომბახი, უდო და უდო, გააგდო სიკვდილიც.

ავი დედაკაცი

მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. კაცი კეთილი ხასიათისა იყო, ქალი ავი, ბოროტი; ჩაგრავდა ქმარს.

ერთხელ კაცი სათევზაოდ წავიდა. მტკვარში ბადე გადაისროლა და ერთი პატარა თევზი დაიჭირა. გადააბრუნ-გადმოაბრუნა, ძალიან ეპატარავა, საჭმელად არ გამოდგებაო. გადააგდო ისევ წყალში. თევზი მოუბრუნდა კაცს და უთხრა: რახან სიცოცხლე მაჩუქე, დამილოცნიხარ, ამიერიდან ყოველი ფრინველისა და ცხოველის ენა გეცოდინება, ხოლო თუ შენს საიდუმლოს ვინმეს გაუმხელ, მოკვდებიო.

წამოვიდა კაცი შინ. მინდორში დიდი მუხა იდგა და იმის ჩრდილში დასვენა. მოფრინდა ორი ყვავი, ერთი დედა, მეორე — შვილი. დასხდნენ მუხაზე და საუბარი გამართეს. შვილმა დედას უთხრა:

— ჩავალ, ამ კაცს თვალებს დავთხრი, მშია.

— დაიცადე, შვილო, ადამიანი ეშმაკია, იქნებ არ სძინავს, დაგიჭერს და მოგკლავს, — უთხრა დედამ.

ეს ყველაფერი ესმის ამ კაცს და თავი მოიმძინარა. შვილმა არ დაუჯერა დედას, ჩაფრინდა დაბლა, ჩუმად მიეპარა მძინარე კაცს და უნდა ჩაჰკრას ნისკარტი თვალებში. ამ დროს კაცი სწვდა ყვავს და დაიჭირა. ყვავმა დაიწყო ჩხავილი.

— დედა, მიშველე, დედა, მიშველეო!

— მაგ კაცმა ჩვენი ენა რომ იცოდეს, ჩემს რჩევას გაიგონებს, მუხის ქვეშ ოქროთი სავსე ქილაა დაფლული, იმას ამოიღებს და შენ გაგიშვებსო. — ჩამოსძახა დედა ყვავმა.

კაცმა ყვავი მაშინვე გაუშვა და ჯოხით გამოჩიჩქნა მუხის ძირი, იპოვა ოქროთი სავსე ქილა და შინ წაიღო. ცოლს ძალიან გაეხარდა. შეიძინეს ყველაფერი, ცხოვრობენ ბედნიერად.

ერთ დღეს ქალი შეუჩნდა:

— უნდა მითხრა, სად და როგორ შეიძინე ეს სიმდიდრეო!

— შენ ხილი იხილე, ჭამე და სვი, ჩაიცვი და დაიხურე, რას კითხულობ, საიდან მოვიტანეო, — უთხრა კაცმა.

ქალი მაინც არ მოეშვა. სულსა ხდის საწყალ კაცს. მოსვენებას არ აძლევს, არ იცის, რა ქნას.

კაცის მწუხარება მამალმა გაიგო. შეებრალა კაცი და თავისებურად ჩაულაპარაკა. კაცი მიხვდა, საკენკსა მთხოვსო. გამოიტანა და ქათმებს ბლომად დაუყარა საკენკი. მამალმა დაიხორხოცა და დედლები მაშინვე გაშორდნენ საკენკს. შემდეგ რაღაც დაუკაკანა და დედლებიც კაკანით მისცვივდნენ საკენკს. მამალმა ჩაილაპარაკა თავისთვის: ეჰ, საწყალი კაცი, მე აგერ ოც ცოლს ვუვლი, უჩემოდ ვერავინ გადადგამს ფეხს და მაგას ერთისათვის ვერ მოუვლია. რას შესჩერებია ავ დედაკაცს, ერთი კარგად მიტყიპოს და თავიდან მოიშორესო.

ეს გაიგონა კაცმა: მამლის რჩევა მოეწონა, გამოიტანა და საკორკოტე მარცვალი დაუყარა. ამ დროს ავი დედაკაცი კვლავ მოეჭრა:

— ჩქარა მითხარი, სად იშოვნე ის სიმდიდრე, თორემ დაგახრჩობო!

კაცმა ახლა აღარ მოუთმინა. წამოავლო სახრეს ხელი, ქალს სწვდა და ლაზათიანად გაჯოხა. ახლა ქალმა იკადრა თხოვნა: შენი ჭირიმე, თავი დამანებე და ამის შემდეგ აღარაფერს გკითხავო.

კაცმა ცემით რომ გული იჯერა, გაუშვა. ამის შემდეგ ცოლ-ქმარი ტკბილად ცხოვრობდა. ერთი გადაკრული სიტყვაც არ უკადრებიათ ერთმანეთისათვის.

გველი და გლეხი

ცხოვრობდა ერთი ღარიბი გლეხი. ძროხის მეტი არაფერი გააჩნდა. მუდამ დღე ამ ძროხის რძეს ყიდდა და ცოლ-შვილს იმით ინახავდა.

ერთხელაც გაიარა და გველის სორო ნახა. თქვა: გამიგონია, გველს რძე უყვარსო, მოდი, ამ ერთ დღეს თუ გინდ ცოლ-შვილი მშიერი დამრჩეს, რძეს გველს ვაჭმევო. დადო სოროს პირზე სარძევე და თვითონ შორიახლოს დაიმალა.

ამოვიდა სოროდან გველი, რძე დალია, სარძევეში ერთი თუმნიანი ჩააგდო და ისევ ჩაძვრა სოროში. აიღო კაცმა სარძევე და წამოვიდა. თუ ცოტა რამე უნდა ეყიდა, ახლა ოქროს თუმნით ბევრი რამ იყიდა, საჩუქრებიც წამოუღო ცოლ-შვილს. მათ ჰკითხეს:

— საიდან იშოვნე ამდენი ფულიო?

— ჭამეთ, სვით, ჩაიცვით დაიხურეთ, ეგ რა თქვენი საქმეაო!

მეორე დილით ღარიბმა გლეხმა ისევ წამოიღო რძე, იქვე სოროსთან დადგა სარძევე. კიდევ ამოვიდა გველი, რძე დალია, სარძევეში ოქროს თუმნიანი ჩააგდო და წავიდა.

ისე შეეჩვია კაცი გველს, რომ აღარ ერიდებოდნენ ერთმანეთს. კაცი პირდაპირ მივიდოდა, დაუდგამდა რძეს, გველი დალევდა, ჩააგდებდა სარძევეში ოქროს თუმნიანს და წავიდოდა.

ეს კაცი ძალიან გამდიდრდა. დიდძალი ქონება შეიძინა.

ერთხელ სხვაგან მოუხდა წასვლა მთელი კვირით. გლეხი დარდობს: ერთი კვირით რომ წავიდე, გველს რძეს ვინღა მიუტანს, ვაი თუ ის გველი დავკარგო! იფიქრა: მოდი, ჩემს საიდუმლოებას უფროს შვილს გავანდობ, შვილია, გამიტანსო.

წამოიყვანა შვილი, წამოიღო რძე და აჩვენა გველის სორო. ყოველ დილით მოიტანე რძე, გველი დალევს და სარძევეში ოქროს

თუმანს ჩააგდებსო. მე ამ გველმა გამაკეთა, თორემ პურის ფულიც მიჭირდაო.

წავიდა ეს კაცი. ბიჭიც ყოველ დილით უზიდავს რძეს და ასმევს, გველიც აგდებს სარძეველში ოქროს თუმნიანებს. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... ბიჭმა თქვა: ნეტავ, ამ გველს ამოდენი ოქროს ფული ვინ მისცა, ალბათ, ნატვრისთვალი აქვს, ძოდი, გველს მოვკლავ და ნატვრისთვალი მე დამრჩებაო.

ერთ დღეს კეტი წაიღო თან. გველი რომ დაეწაფა და სვამს, მოუქნია, თავში უნდა დაერტყა, მაგრამ გველი გასრიალდა და ბოლო წააწყვიტა. მოუბრუნდა და ბიჭი დაკბინა. სახლამდის კი მიაღწია და სული დალია.

სად არის, სად არა, ეს კაციც დაბრუნდა. ნახა, სახლში გველისაგან დაკბენილი შვილი გდია. მაშინვე მიხვდა კაცი მიზეზს. შემოირტყა თავში ხელი. ამბობს: შვილი ვიდარდო, თუ მუდამ დღე ოქროს თუმნის დაკარგვაო?! დაასაფლავა შვილი და კარგა ხნის შემდეგ თქვა: უნდა წავიდე გველთან, ან უნდა დამგლიჯოს, ან უნდა შევურიგდეო.

აიღო სარძეველ, გაავსო რძით, მიიტანა სოროსთან, თვითონ შორს დადგა. გველი ამოვიდა და უთხრა:

— არ დავლევ, რძე უკან წაიღე, არ შეგირიგდები! ან როგორ უნდა შეგირიგდე, შენ ჩემი საიდუმლო არ შეინახე და შვილს გაანდე, მან ჩემი სიკვდილი მოინდომა, მე შვილი მოგიკალი. ერთხელაც იქნება, ერთმანეთს რასმე ავუტეხთ. სჯობს, შენ შენთვის იყო, მე ჩემთვისო!

კაცმა უთხრა:

— არა, არაფერს გერჩი, რაც მოგვივიდა, მოგვივიდა, შევრიგდეთო!

— შევრიგდეთ მხოლოდ იმ პირობით, რომ შორს იყავი. დავლევ რძეს, სარძეველში თუმნიანს ჩავავდებ და წაიღეო.

ეს კაცი ასე იქცევა. მიაქვს რძე, შორი-ახლო დგება, გველი დალევს რძეს, სარძეველში თუმნიანს ჩააგდებს და მიდის.

გველი და კაცი

ერთხელ ცოლ-ქმარი ცხენებზე იჯდა და სტუმრად მიდიოდა. გზაზე გველის წიწილები გამოშლილიყვნენ. კაცმა ცხენები გააჩერა, გადმოხტა და თქვა: გამიგონია, შვილი გველსაც არ უნდა მოუკლაო, აუქშია წიწილებს და სოროში შერეკა.

ერთ ძველებურ დარბაზს ესტუმრნენ. ვახშამი რომ ჭამეს, ყველამ რაღაცა თქვა. ამ კაცსაც ეხვეწებიან, შენც თქვი რამეო.

საღამოზე გველი დაბრუნდა. წიწილებმა ამბავი დაახვედრეს: ერთმა კაცმა გაიარა და ცემით სულ წელები დაგვწყვიტაო. გველი კვალს გამოჰყვა და მოვიდა ამ დარბაზთან. შემოერტყა გარედან, ბანიდან თავი ჩაყო შიგ, რომ დაიძინებენ, უნდა დაკბინოს ყველა.

ამ კაცს კიდევ აცივდებიან: თქვი რამე, გზაში ნავალი კაცი ხარ, ახალი ამბები გეცოდინებაო.

მასაც მოაგონდა: მართლა, რომ მოვდიოდით, აუარებელი გველის წიწილა გამოშლილიყო გზაზე, გადმოვხტი ცხენიდან და სოროში შევრეკე: ცხენმა და კვიცმა ფეხი არ დაადგას–მეთქი.

გველმა ეს გაიგონა: ამ კაცს სიკეთე გაუკეთებია და წიწილებმა, შეხედეთ, რა ამბავი დამახვედრესო! მოვიდა თავის სოროში და წიწილებს სულ ცემით წელები დასწყვიტა.

გათენდა მშვიდობის დილა და ამ კაცმა ცხენები წაიყვანა წყალზე. გველი იქ დახვდა. კაცს შიშით გული კინაღამ გაუსკდა. გველმა უთხრა: ენა გამოყავი, უნდა გაკოცო.

კაცი კიდევ უფრო შეშინდა, ლამის გული წაუვიდეს, სიკვდილს თავისი თვალითა ხედავს.

— გამოყავი, ნუ გეშინია, შენთვის სიკეთე მინდა, ბოროტი არაო!

შეშინებულმა კაცმა გამოყო ენა. გველმა ზედ ენის წვერზე აკოცა და უთხრა: რამაც დაილაპარაკოს, პირუტყვი იყოს თუ ფრინველი, ყველას ლაპარაკი გესმოდეს, ხოლო შენს საიდუმლოს თუ ვისმე ეტყვი, იმ წუთში მოკვდებიო!

წამოვიდა ეს კაცი ისევ იმ ოჯახში. პური ჭამეს, დაისვენეს, შესხდნენ ცხენებზე და გამობრუნდნენ. ქალი ორსულადაა, ზის მაკე ცხენზე და უკან წამოჩრიხვული კვიცი მისდევს. კვიცი ჩამორჩა და კაცმა გაიგონა მისი ლაპარაკი: დამიცადე, დედაო!

ცხენმა კი დაუძახა: არა გრცხვენია, მე ოთხი სული მოვდივარ და შენ ერთი სული, ისიც ასე ახალგაზრდა, კიდევ მეუბნები, დამიცადეო!

ამ კაცმა რომ ცხენის ლაპარაკი გაიგონა, გაეცინა, მიხვდა, რაზე იყო საუბარი: ქალი ორსული იყო და ცხენი — მაკე. ცოლმა ჰკითხა:

— რად გაიცინეო?

— რა ვიცი, გამეცინა უნებურადო! — უპასუხა ქმარმა.

— არა, უნდა მითხრა, რად გაიცინეო.

— უბრალოდ გამეცინა, რა სალაპარაკოა, წავიდეთო! — ეუბნება ქმარი.

— არა, ახლავე, უნდა მითხრა, რად გაიცინე, თორემ აღარ წამოვალო! — დაემუქრა ქალი, ჩამოხტა ცხენიდან და ჯიუტად დადგა.

— წამოდი, ადამიანო, შინ გეტყვი, აქ რომ გითხრა, მოვკვდები და სახლში მაინც მოვკვდე! — უთხრა საწყალმა კაცმა.

წამოვიდნენ. მოვიდნენ სახლში. ქალს ტანისამოსი არ გაუხდია, ისე მივარდა ქმარს: აბა, ჩქარა მითხარი, რად გაიცინე!

— ხვალ წადი, წირვა-ლოცვა მოისმინე და მაშინ გეტყვი!

მეორე დღეს ქალი ადრე გაიქცა წირვა-ლოცვის მოსასმენად, მაგრამ ამის დარდი სულ არა აქვს. მხოლოდ იმაზე ფიქრობს, ჩქარა გაიგოს, რაზე გაეცინა ქმარს. ქალი რომ გაისტუმრა, კაცი ცეცხლისპირას დაჯდა და ფიქრობს, სადაც არის საიდუმლოს გავამხელ და მოვკვდებიო. მუხლებზე კატა უზის. სად არის, სად არა, ერთი მამალი შემოვარდა, ნისკარტითა და ფეხებით ჩააფრინდა ამ კატას.

— ადე, შე ოხერო, გიარ-გამოიარე, რა ჩაგიწირპლია თვალები ამ ცეცხლის პირას, წადი, თაგვი მაინც დაიჭირეო!

კატამ უთხრა:

— ნეტავ შენ, დარბიხარ და დათარეშობ, ჩემს გულში კი არ იხედები, რა ბოღმა ტრიალებსო!

— ნეტავ რა გაქვს სადარდებელიო?

— სად არის, სად არა, ამ კაცის პირცეცხლიანი ცოლი მოვა, კაცმა საიდუმლო სიტყვა იცის, ქალი მის გამხელას სთხოვს, კაციც ეტყვის და მოკვდება. მე ის მადარდებს, რომ ეს ტარტაროზი ქალი მეც სახლიდან გამაგდებსო!

— მეხი შენც დაგაყარე და მაგ კაცსაც! — უთხრა მამალმა, — ეგ რა კაცია, მე ას ცოლს ვიგერიებ, ვინ შემომკადრებს ხმის შემობრუნებას! განა მაგას არ შეუძლია, აიღოს სახრე და ჭკუა ასწავლოსო?

კაცი ახლა გონს მოვიდა და მამალს საკორკოტე ხორბალი დაუყარა. სად იყო, სად არა, ქალიც მოვიდა. კაცს სახრე მზადა აქვს: ქალს ჯერ არ მოუხდია ლეჩაქ-ბაღდადი და მიახალა:

— აბა, ჩქარა მითხარი, რისთვის იცინოდიო?

— ჯერ გაიხადე ეგ ახალი ტანსაცმელი, ძველი ჩაიცვი და მერე გეტყვიო!

ქალმა გაიხადა ახალი ტანისამოსი თუ არა, კაცმა დაუჭირა საყელო, აიღო სახრე და ერთი თუ ორი: მე რა ვიცი, რისთვის გამეცინაო!

კარგა რომ მიბეგვა, ხელი გაუშვა. ქალი ძლივს სუნთქავდა, ყვეელაფერი სტკიოდა. ცოტა ტკივილები რომ შეუჩერდა და გვერდები დაუამდა, თქვა: შე ახირებულო ჩემო თავო, რა გინდოდა იმ საწყალ კაცთან, გაეცინა, გაეცინაო!...

სიკვდილის ჩამოსვლა დედამიწაზე

ერთ სოფელში იყო ერთი უშვილო ღარიბი კაცი. ამ ქვეყანაზე არაფერი საზრუნავი არ ჰქონია. დილიდან საღამომდის მუშაობდა ყანაში, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა ცხვირ-პირზე. დაღამდებოდა და ააყუდებდა სამ ოყიან თოხს ჯარგვლის ღოჯეზე, შეაღებდა კარებს, დაანთებდა ცეცხლს, ოზანდარიდან გამოიტანდა ცივ მჭადს და აცუცქნიდა ზედ თევზის კუდს. დაწვებოდა, დასვენება უნდოდა, მაგრამ სიზმარი საშველს არ აძლევდა. ესიზმრებოდა მიცვალებული დედა, რომელიც ვითომ საიქიოს მიათრევდა მას. ამიტომ ძალიან ეშინოდა სიკვდილისა.

ერთხელ სიკვდილი შემჯდარა თეთრ ცხენზე და ჩამოსულა დედამიწაზე. თურმე ეძებს საიქიოში წასაყვან კაცებს. მიდის გზაზე და ცხენს ჩიაჯირითებს. ის ღარიბი კაცი შეხვდა პირდაპირ. შიშმა აიტანა, იფიქრა, წამიყვანსო. დამალვაც კი მოინდომა, მაგრამ ვერ მოახერხა. სიკვდილმა მოაჭენა ცხენი ამ კაცთან და მიესალმა, შიშისაგან გათავებულმა კაცმა ძლივს უთხრა, გაგიმარჯოსო!

— ნუ გეშინია, მე შენს წასაყვანად არ მოვსულვარ, ამ სოფლიდან ერთი-ორი კაცი უნდა წავიყვანო და მანამდის ეს ცხენი დამიჭირე! — გამოელაპარაკა სიკვდილი.

კაცმა გამოართვა ცხენი და აღვირი ხელში დაიჭირა. სიკვდილი გაიქცა სოფელში კაცების წამოსაყვანად. დარჩა კაცი მარტო სიკვდილის ცხენთან. იფიქრა: მოდი, სიკვდილს ამ ცხენს მოვპარავ, შევჯდები ზედ და წავალ; მერე როგორღა მოაკითხავს ვინმეს და ხალხს სიკვდილისაგან ვიხსნიო.

შეჯდა ცხენზე. უნდოდა გაეჭენებინა და იქაურობას გაშორებოდა, მაგრამ ცხენი ადგილიდან არ დაიძრა. სიკვდილს მათრახი თან წაეღო და უმათრახოდ ცხენი არ დაიძრა. ზის ცხენზე და ძალიან წუხს. ცოტა ხანში სიკვდილიც გამოჩნდა. მიუვლ-მოუვლია სოფელში, წამოუყვანია ახალგაზრდა გოგო და ბიჭი.

კაცს რომ ცხენზე შემჯდარს მოუსწრო, ძალიან გაუკვირდა: ჩემი ცხენის მოპარვა ხომ არ გინდოდაო? — ჰკითხა. კაცმა ვერაფერი უპასუხა. სიკვდილს გაეცინა. წამოიძრო ხელიდან მათრახი, მისცა და უთხრა: შემოჰკარი მათრახი ჩემს ცხენს და ცაში აგაფრენს, რაც იქიდან დაინახო, მითხარიო.

კაცმა შემოჰკრა მათრახი და სიკვდილის ცხენმა უცებ ააფრინა ცაში. დიდხანს იფრინა უგზო-უკვლოდ და კარგა ხნის შემდეგ დაბრუნდა.

— აბა, მითხარი, რა ნახე ცაში? — შეეკითხა სიკვდილი.

ღარიბმა კაცმა უპასუხა:

— რას ვნახავდი, ვერაფერი ვერ ვნახე, მაგრამ ის კი ძალიან გამიკვირდა, რომ ჩვენი დედამიწა ციდან კვერცხის ოდენა გამოჩნდა!

სიკვდილს კიდევ გაეცინა და უთხრა:

— ბიჭო, თუკი დედამიწა კვერცხისოდენა ყოფილა, როგორ ფიქრობდი, ჩემთვის ცხენი რომ მოგეპარა, ამ კვერცხისოდენა ქვეყანაზე ეცხენოდ ვერ გიპოვიდი? ახლა წადი და მეორეჯერ აღარ იფიქრო ცუდ საქმეზეო.

სიკვდილი შეჯდა ცხენზე. შემოისვა უკან გოგო და ბიჭი და გაუყვა საიქიოს.

შემცბარი ღარიბი კაცი დიდხანს იჯდა შარისპირზე დაფიქრებული...

ბედი და იღბალი

ბედი და იღბალი ერთად მიდიოდნენ. ერთი ღარიბი კაცი ნახეს. იღბალმა უთხრა ბედსა: მოდი, დამენაძლევე, ეს კაცი გავამდიდროო.

დანაძლევდნენ. იღბალმა კაცს მისცა ოქროს ფულები და უთხრა: წადი, დიდი დუქანი გააღე და ივაჭრე, აქ რას წვალობო!

წამოიღო კაცმა ეს ოქროს ფული და თქვა: ამოდენა ფული მაქვს, ცოტა რამე მაინც ვუყიდო დამშეულ ცოლ-შვილსო. ერთი წითელი ხელსახოცი შეიძინა, საჭმელ-სასმელიც ბლომად იყიდა, ხელსახოცში გამოკრა და მოაქვს სახლში. გზაში დაისვენა. ხელსახოცი იქით დადო. ერთი მშიერი ყვავი დასწვდა და წაიღო.

მივიდა ღარიბი კაცი დაღონებული და დაძმარებული. უანბო ცოლს თავგადასავალი. ცოლმა, რა თქმა უნდა, არ დაუჯერა.

ერთი კვირა რომ გავიდა, ბედი კიდევ შეხვდა იღბალს და ჰკითხა:

— რა ჰქენი, გაამდიდრე ის ღარიბი, თუ არაო?

— არ ვიცი, ოქროები კი მივეციო!

ჩაიარეს ღარიბ კაცთან, ისევ ღარიბად ცხოვრობს.

— რა უყავი ის ოქროებიო? — ჰკითხა იღბალმა.

— ასე და ასე მომივიდა, ყვავმა მომტაცაო.

იღბალმა ახლა ორი იმდენი მისცა: წაიღე, გამდიდრდიო.

ღარიბმა კაცმა ბაზარში რომ გამოიარა, თქვა: ამოდენა ფული მაქვს და მოდი, რამეს ვუყიდი დამშეულ ცოლ-შვილსაო!

ფული რომ ამოიღო, ორმა ქურდმა დაინახა. დიდმა ქურდმა პატარას უთხრა: მე დანით გამოგიდგები, ეგ კაცი ქულაჯის ქვეშ ამოგიფარებს და ფული ამოაცალეო.

დიდი ქურდი დანით გამოუდგა პატარას. ღარიბ კაცს შეებრალა და დაუძახა: მოდი, შვილო, მოდი, მე დაგიფარავო და ქულაჯის ქვეშ დამალა. ქურდმა ჯიბიდან ამოაცალა ფული და თავს უშველა. ღარიბი შინ მოვიდა თუ არა, ცოლს უთხრა: — აი, იმ კაცმა ორი იმდენი კიდევ მომცაო. ჩაიყო ხელი ჯიბეში, მაგრამ კაპიკი არა აქვს. იფიქრა, უსათუოდ იმ პატარა ბიჭმა ამომაცალაო.

ქალმა უთხრა: შენ ეშმაკები გაწვალებენ, თორემ ორას თუმანს, აბა, ვინ მოგცემსო!

გავიდა ერთი თვე და ბედი და იღბალი კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს, ბედმა ჰკითხა: რა ჰქენი, გაამდიდრე ის ღარიბი, თუ არა?

— ორი იმდენი კიდევ მივეცი და არ ვიცი, — უპასუხა იღბალმა.

ჩაუარეს ღარიბ კაცს და ისევ დაგლახაკებული იპოვეს.

— რა უყავი იმდენი ფულიო? — ჰკითხა იღბალმა.

— იქით გამეცალეთ, ეშმაკებო, თქვენი ფული ჩემთან არა დგება.

იღბალმა ახლა სამი იმდენი მისცა და უთხრა:

— შენ თუ შნო არა გაქვს, ამხანაგი აიყვანე და შენი საქმე წინ წავაო.

წაიღო ეს ფული ღარიბმა და პირდაპირ ცოლს მიუტანა. — აი, თუ არ გჯერა, იმ კაცმა კიდევ მომცა ფული. ცოლს არც შეუხედავს, ისე უთხრა: ჩააგდე ქოთანში და შეინახეო.

ღარიბი ამხანაგის საშოვნელად წავიდა. ამ დროს მეზობლის ბავშვმა მოირბინა და დიასახლისს სთხოვა: მარილი გვასესხეო!

ქალი ცომს ზელდა და ბავშვს უთხრა: მე, შვილო, ცომიანი ხელები მაქვს, ქოთნიდან ამოიღეო.

ბავშვმა ჩაყო ხელი ქოთანში, მარილიც წაიღო და ეს ფულიც გააყოლა. მიუტანა დედას მარილიცა და ფულიც. დედამ ფული რომ დაინახა, შვილს უთხრა: წაიღე და ჩვენი ფულის ყუთში ჩააგდეო.

ღარიბმა მოიყვანა ამხანაგი, ნახა, ფული აღარ არის.

— რა იქნა ფულიო? — ჰკითხა ცოლს.

— მე ფული არ მინახავს, ხომ გითხარი, ეშმაკები გატყუებენ, თორემ ორას-სამას თუმანს რომელი კაცი მოგცემსო!

ღარიბმაც დაიჯერა: მართლაც, ეშმაკები მატყუებენო! გავიდა ხანი. ბედი და იღბალი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს.

— რა ჰქენი, გაამდიდრე ის ღარიბი, თუ არაო? — ჰკითხა ბედმა.

— სამი იმდენი კიდევ მივეცი და არ ვიცი, რა მოუვიდაო!

ნახეს, კაცი ისევ ღატაკია.

— რა უყავი ის ფულიო? — ჰკითხა იღბალმა.

ღარიბმა ვეღარ მოითმინა და კეტს წამოავლო ხელი. თქვენი ფული ჩემთან არ დგება, დაიკარგეთ, ქაჯები და ეშმაკები ხართო!

ახლა ბედმა უთხრა იღბალს: შენ ხომ ამდენი მიეცი და ვერ გაამდიდრე, მე სულ ცოტას მივცემ და ნახე, თუ ვერ გავამდიდროო! ბედმა ღარიბ კაცს მისცა ხუთი მანეთი და უთხრა: სამი მანეთით ვირი იყიდე, ათი შაურით — ცული, ათი შაურით — თოკები და მოსართავები, მანეთისა — საჭმელ-სასმელი. ტყეში შეშა მოჭერი, ყოველდღე ჩამოიტანე ქალაქში, გაყიდე და აღებული ფულით ტკბილად იცხოვრეო!

მართლაც, ღარიბმა სამ მანეთად ვირი იყიდა, ათ შაურად — ცული, — ათ შაურად — მოსართავები, მანეთის — სასმელ-საჭმელი და წამოვიდა შინ. მუდამდღე ტყიდან ჩამოაქვს შეშა, ყიდის და თავისი ნაოფლარით ბედნიერად ცხოვრობს.

შემოდგომით ერთი ხმელი წიფელი ნახა. შემოუარა ირგვლივ და თქვა: ამას მოვჭრი და მთელ ზამთარს მეყოფა საზიდავადო. წიფელი წააქცია და რას ხედავს: თურმე ის წითელი ხელსახოცი ყვავს ამ ხეზე ღარჩენოდა და იპოვა. ის ოქროებიც შიგ იდო. წამოიღო და მიუტანა ცოლს. ახლა ღარიბს ბევრი ფული აქვს, მაგრამ მაინც შრომობს და შეშას ყიდის.

ერთხელაც ღარიბი კაცის მეზობელს დაეთვალა თავისი ფული და სამასი თუმანი მეტი აღმოჩენოდა. მაშინვე გაიგო მიზეზი და უკანვე დაუბრუნა. ეს კაცი ახლა კი გამდიდრდა. კარგი სახლებიც დაიდგა.

გავიდა რამდენიმე წელიწადი, იღბალი შეხვდა ბედს და ჰკითხა:

— რა ჰქენი, გაამდიდრე შენი ხუთი მანეთით ის კაციო?

ჩაუარეს ღარიბს და ნახეს, მართლა გამდიდრებულა. კაცმა დაინახა თუ არა ბედი და იღბალი, გაუხარდა და შინ შეიპატიჟა. კარგად იქეიფეს.

ღარიბმა კაცმა თქვა: ღარიბი ვიყავი, მაგრამ ახლა არა მიშავსო. ეგრეა, მაშრომე, ბედი მომეცი და სანეხვეზე გადამაგდეო!...

მეჩონგურე

იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა ერთადერთი ქალი, რომელიც სილამაზით მზეს ეცილებოდა. მამა ქალის მთხოვნელებს ეუბნებოდა: ამა და ამ ადგილას, ამა და ამ ბაღში იზრდება უკვდავების ვაშლი, ვინც იმ ვაშლის ნაყოფს მომიტანს, ჩემ ქალს იმას მივათხოვებო.

ყველა მიდიოდა ვაშლის საძებრად. ბევრი ვაქკაცი წავიდა, მაგრამ უკან დაბრუნებული არავინ უნახავთ.

ხელმწიფის მახლობლად ერთი მეჩონგურე ცხოვრობდა. განთქმული იყო თავისი სიმღერებითა და დაკვრით. მასაც მოსწონდა მზეთუნახავი, მაგრამ თხოვას აბა როგორ გაბედავდა! ერთ მშვენიერ დღეს ეს მეჩონგურეც მივიდა ხელმწიფესთან და მზეთუნახავი სთხოვა. მასაც უკვდავების ოქროს ვაშლის მოტანა დაავალეს.

მეჩონგურემ აიღო თავისი ჩონგური და გაუდგა გზას. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ცხრა მთა გადაიარა. მიადგა ერთ უზარმაზარ ბაღს, რომელიც ისეთი მაღალი კედლით იყო შემოვლებული, რომ ჩიტიც ვერ გადაფრინდებოდა.

მეჩონგურემ დიდხანს უარა ბაღს, მაგრამ კარი ვერსად უპოვა. უვლის ბაღს მეჩონგურე ირგვლივ, უკრავს ჩონგურს და მღერის ტკბილად. ამ სიმღერას ყურს უგდებს მთელი ქვეყანა, ტყემ შეაჩერა ფოთლების შრიალი და ტკბება სიმღერით, ცაში მონავარდე ფრინველები ბაღისაკენ მიფრინავენ, სხდებიან მახლობელ ხეებზე და ყურს უგდებენ მეჩონგურის ხმას. სიმღერამ დაატკბო ყველაფერი, თვით ქვის კედელიც კი.

უცებ მეჩონგურის წინ გაიხსნა სალი კლდის კედელი და გამოჩნდა ყვავილებით მოფენილი გზა. გზა პირდაპირ ბაღში მიდიოდა. მიჰყვება ამ ყვავილოვან გზას მეჩონგურე და თანაც მღერის თავის გულსაკლავ სიმღერას.

ის უკვდავების ვაშლი, თურმე, ამ ბაღში იდგა და მას მცველად ჰყავდა გველეშაპი. ვინც ბაღს ახლო მიეკარებოდა, ცოცხლად ყლაპავდა. მოესმა უცხო ხმა, ახრიალდა, საზიზღარი პირი დააღო და დაიღმუვლა: ვინ არის ეს თავხედი, ვინ გაბედა ჩემს ბაღში შემოსვლაო, აქ ჩემი შიშით დაბლა ჰიანჭველები ვერ დადიან და ცაში ფრინველები ვერ დაფრინავენო!

მეჩონგურე უკრავს და მღერის. მღერის თავის სიმღერას და თვალებიდან თქრიალით მოსდის მდუღარე ცრემლი, მღერის და თანაც ტირის. გველეშაპი ღრიალით გამოქანდა მეჩონგურისაკენ, საზარელი პირი დააღო, უნდა ჩაეყლაპა, მაგრამ უცებ შეჩერდა და ყური

დაუგდო მას. ტკბილმა სიმღერამ გააბრუა გველვეშაპი. დიდხანს უსმენდა გაჩუმებული. ვეღარ გაუძლო მისმა ბოროტმა გულმაც და გასისხლიანებული თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა. აკანკალებული და აცრემლებული უცქეროდა საწიზღარი გველვეშაპი მეჩონგურეს, რომელიც კიდევ უფრო მგრძნობიარე სიმღერებს მღეროდა.

ერთი კიდევ ჩამოჰკრა მეჩონგურემ და უცებ დასწყდა ჩონგურის ლარები. შეწყდა წკრიალა ხმებიც. თავდახრილი მეჩონგურე დგას პირდაღებული ურჩხულის წინაშე და გადმოსდის ცრემლი. თვალებდასისხლული გველვეშაპი დუმს, მასაც თვალებში ცრემლები უჩანს და სიბრალულით შესცქერის მეჩონგურეს.

უცებ გველვეშაპი გონს მოვიდა. ასწია თავი. ამოწყვიტა უკვდავების ვაშლი და გაუწოდა მეჩონგურეს. მეჩონგურე შეკრთა, თვალებს არ უჯეროდა. გველვეშაპმა უთხრა: წაიღე, ნუ მორცხვობ. ჩემს სიცოცხლეში ასეთი ხმა არა მსმენია, არავინ დაშლაპარაკებია მაგნაირი ენით. წადი, წაიღე ეს ვაშლი და სიტყვას გაძლევ, დღეის იქით ალარ დავღვარო შენი მოდგმის სისხლი, რა ტკბილი ყოფილა ადამიანის ხმაო.

გახარებულმა მეჩონგურემ დაავლო ხელი უკვდავების ვაშლს და უკან გამობრუნდა.

ფისასოს ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი დიდებული ხელმწიფე. ჰყავდა სამი ვაჟი და სამი ქალი.

როდესაც ხელმწიფე კვდებოდა, შვილებს უანდერძა: შვილებო, ეს მთელი ჩემი სახელმწიფო თქვენთვის დამილოცნია, როგორც გსურდეთ, ისე მოუარეთ. მაგ სამ ცოდვის შვილს კი ნუ გამიუბედურებთ, ვინც პირველმა გთხოვოთ, იმას მიეცითო.

უმცროს შვილს მისცა ერთი თვალი და უთხრა: უბედურების დროს დაგიხსნისო. დაანახა ერთი შავი მთა და უთხრა: იმ მთაზე ნუ წახვალთ, წითელსა და თეთრ მთაზე კი შეგიძლიათ ნადირობაო.

მოკვდა ხელმწიფე. დამარხეს, როგორც ხელმწიფეს შეეფერებოდა, და იგლოვეს.

გავიდა ორი თვე. ერთ დღეს, კარებზე რომ დიდი ქვა იდო, იმაზე ბუ შემოჯდა. ძმებს კაცი შეუგზავნა და სთხოვა და ცოლად.

ძმებმა, უფროსმა და შუალამ, კეტებს მოავლეს ხელი: წაეთრიოს იქვე, საიდანაც მოთრეულა, ჩვენს დას ბუს როგორ მივცემთო! უმცროსმა ძმამ კი მოავლო უფროს დას ხელი: მამის ანდერძს ვერ გაეტეხო, და მისცა ბუს.

ბუმ შეისვა მხრებზე ქალი და გაფრინდა.

მეორე დღეს მოვიდა მგელი. უფროსმა ძმებმა ისეთივე პასუხი მისცეს, როგორც ბუს. უმცროსმა კი მეორე და გამოიყვანა და მისცა.

სიტყვა რალა გავაგრძელოთ, მესამე დღეს შავარდენი მოფრინდა და უმცროსმა ძმამ უმცროსი და იმას მისცა. შავარდენმა შეისვა ქალი ზურგზე და ღრუბლებში აფრინდა.

რაკი დები გაათხოვა, უმცროსმა ვაჟმა იფიქრა, მამის ეს ერთი ანდერძი ხომ არ გავტეხე, მოდი და ერთი იმ შავ მთაზეც წავალ, ვხახავ, რა არის იქ ისეთი, რომ საშიში იყოსო.

მართლაც ადგა, ჩაიცვა ჯაჭვი, აისხა აბჯარი, შეჯდა ცხენზე და გასწია სანადიროდ. მთელი დღე ინადირა შავ მთაზე, ვერსად სულიერი ვერა ნახა, ვერც ვერაფერი მოკლა. იმ ღამეს იქ დადგა.

მეორე დღეს იარა კიდევ და ბოლოს ერთი ტბა ნახა. შუა ტბაში ერთი ბატი დაცურავდა. იფიქრა: სხვა ვერაფერი მოვკალ, ეს ბატი მაინც მოვკლა, თორემ შიმშილი მომკლავსო. ვაჟმა ტბას მიაშურა და ბატს თოფი ესროლა, მაგრამ ვერ მოარტყა. თოფის გასროლაზე ჩაყურყუმელავდებოდა და შორს სადმე ამოჩნდებოდა. კაცს ეგონებოდა, ან ფეხები ექნება დამტვრეული და ან მხრები. ვაჟმა იმდენი ესროლა, რომ ტყვია-წამალი სულ გაუთავდა, მაგრამ მაინც ვერ მოარტყა. ბოლოს, შეჯდა ცხენზე და შეცურდა ცხენდაცხენ, მაგრამ ბატი ისე ეშმაკურად დაცურავდა, რომ ეშმაკიც ვერ დაიჭერდა: ხან წინ გაუცურდებოდა ცხენს, ხან უკან მოექცეოდა, ხან ფეხქვეშ გაუძვრებოდა, ხან შორს გაუცურდებოდა. ბოლოს ბატმა ვაჟი კარგა შორს შეიტყუა.

რაღაც განგებით ვაჟი უკან გამოცურდა, მაგრამ ცხენი და აბჯარი სულ იქ დარჩა. ის იყო ღამდებოდა კიდევაც. შორს, სადღაც, ტყეში ცეცხლი გამოჩნდა. ვაჟმა იქეთ გასწია.

იარა, იარა და ბოლოს ბუების სოფელში მივიდა. ბუები ხნავდნენ და თესავდნენ. ვაჟი მივიდა იმათთან და მიესალმა:

— გამარჯობათ, ბუებო, ბუს ქვეყნისანო! ან სალამი, ან გამარჯვება არ იცით? ან ბატონი არა გყავთ?

ბუები კაცები ყოფილიყვნენ, მაგრამ ბუების ტყავები კი ეცვათ.

— გამარჯვებაც ვიცით და ბატონიცა გვყავს! — უპასუხეს ბუებმა. — ჩვენმა ბატონმა ახლა ამომავალი ხელმწიფის ქალი მოიყვანა და ყველანი გახარებულნი ვართ!

— აბა, ერთი მაჩვენეთ, სად არის თქვენი ბატონის სახლი, — უთხრა ვაჟმა.

სიხარულით მიასწავლეს. ვაჟმა გასწია ბატონის სახლისაკენ და შორიდანვე იცნო თავისი უფროსი და. და ჩამოეგება ძმას, გადაეხვია და კოცნა დაუწყო. დასხდნენ და ერთმანეთს ტკბილად გამოჰკითხეს ამბავი.

საღამო რომ მოახლოვდა, დამ უთხრა ძმას: ძმაო, ახლა შენ სხვა ოთახში უნდა გახვიდე. ბუთა ბატონი რომ მოვიდეს, ვაითუ ან კლანჭი გაგკრას და ან ნისკარტიო.

საღამოზე მოვიდა ბუ. გადიძრო ბუს ტყავი და გამოჩნდა მშვენიერი ვაჟკაცი. ცოლს რომ მიესალმა, უთხრა: სულიერის სუნი მომდისო!

— შენ იფრინე ქვეყანაზე, შენ მოგყვებოდა კაცის სუნი, აქ სხვას რა უნდოდაო, — უთხრა ცოლმა.

შემდეგ ჰკითხა:

— ახლა რომ აქ ჩემი ძმა იყოს, რას უზამ?

— უფროსს და შუალა ძმას თვალებს გამოვჩიჩქნი, უმცროსს კი გადავეხვევი და ვაკოცებ.

— აქ არის ჩემი უმცროსი ძმა, — უთხრა ცოლმა და გამოუჩინა.

ბუ გადაეხვია თავის პატარა ცოლისძმას და კოცნა დაუწყო, ბოლოს, მოსვლის მიზეზი გამოჰკითხა. ვაჟმაც ყველაფერი უამბო, რაც დაემართა. ბუმ უთხრა:

— მე სამი წელი ვდიე იმ ბატს, ის ბატი ქალია, მაგრამ ხელთ ვერ ვიგდე და, აბა, შენ რას დაიჭერდი?

— მაშ, ვერაფერს გავხდები? — ჰკითხა ვაჟმა.

— მე ვერაფერს გიშველი, — უთხრა ბუმ. — და იქნება მგელი დაგეხმაროს.

ვაჟი მგელთან წავიდა. მგელმა უთხრა: ორი წელი ვცდილობდი იმის დაჭერას, მაგრამ ვერაფერს გავხდი. იქნება შავარდენი დაგეხმაროსო.

ვაჟი წავიდა შავარდენთან. შავარდენმაც დიდი სიხარულით მიიღო. როდესაც ცოლისძმამ უამბო თავისი თავგადასავალი, შავარდენმა უთხრა: მაგ ბატს ტყუილად დასდევ. იგი მზეთუნახავია და ბატის ტყავით დაცურავს. მე მთელი ერთი წელიწადი ვდევდი, ცაზე ავდიოდი, იქიდან დავიხუვლებდი, მაგრამ ბატი, როგორც კი

დამინახავდა, ტბაში ჩაყვინთავდა. იმას ვერავინ დაიჭერს. ერთი დევია, ცალი გვერდი გამხმარი აქვს და ცალი საღი. თუ ეცოდინება, იმას ეცოდინება მისი ამბავიო.

ვაჟი მაშინვე წავიდა იმ დევთან. ბევრი სიარულის შემდეგ, დაინახა, რომ ერთ გორაზე ხესავით უზარმაზარი კაცი აყუდებულა. ვაჟმა მოუარა დევს გამხმარი გვერდიდან და უთხრა:

— გამარჯობა, მამავ!

— აქეთ მოდი, — უთხრა დევმა, — მამობა რომ არ გეთქვა, შენი საქმე ცუდად იქნებოდა. რა გაგიჭირდა, რომ ჩემთან გაბედე მოსვლა?

ვაჟმა უამბო თავისი თავგადასავალი. დევმა უთხრა: მე დევების ხელმწიფე ვიყავი. რვა ცოლი მყავდა, მაგრამ, ეგ ბატი ძალიან ლამაზი ქალი იყო, მაგის მოტაცებაც მოვინდომე. აქედან იმის სახლი კარგა დიდ მანძილზეა; ღამე ტბიდან სახლში ბრუნდება. მიეედი იმის სახლში და დავიმალე. მინდოდა მომეტაცა, მაგრამ გამიგო, ამიტეხა ქარი და სეტყვა, გამოვექეცი. ის იყო, იმის საზღვარს უნდა გადმოვსულიყავი, ერთი ფეხი ჩემს მიწაზე მედგა, რომ დამკრა ქარი და გამაქვავა. ახლა ვინც იმ ქალთან მივა, თუ სტუმრულად არის, ქალი არაფერს ეტყვის; ვისაც იმისი ცოლად შერთვა უნდა, მან სამი სიტყვა უნდა ათქმევინოს და იმას გაჰყვება ცოლად, თუ ვერ ათქმევინა, გააქვავებსო. ნეტავი მე კი გავექვავებინე და ჩემს მიწაზე ფეხი არ გადმომედგა, რომ ტანჯვას მოვრჩენილიყავიო.

ვაჟმა მადლობა გადაუხადა და გზას გაუდგა.

იარა, იარა და მივიდა იმ ქალის სახლში. შევიდა და წამოწვა ტახტზე: რამდენი ზღაპარი და ლექსი ვიცი, ყველაფერი რომ ვუამბო, განა ვერ ვათქმევინებ რამესო.

საღამოზე მოვიდა ქალი და დაწვა ვაჟის პირდაპირ. ქალი ისეთი ლამაზი იყო, რომ ვაჟს სულ დაავიწყდა, თუ სადმე ან გაეგონა, ან ენახა რამე.

მიდიოდა დრო და ვაჟი მაინც ვერაფერს ამბობდა. ბოლოს, ვაჟმა თქვა გულში: ეს ღამე მიდის და ხვალ თავს მომჭრიან, თუ არაფერი მოვიგონეო.

ამ დროს ვაჟს მოაგონდა მამის მიცემული თვალი და თქვა, რაღა ოხრად მინდა ან თვალი ან სხვა რამე, თუ კი ახლა ვერაფერს მიშველისო.

ამოიღო თვალი და უთხრა, აბა, ახლა მიშველეო!

ქალს ფეხებთან სანთელი ედგა. ვაჟმა თვალი სანთელთან დადო. თვალმა უთხრა სანთელს: ფისასო, ხომ ხედავ, ჩვენი ბატონები შეწუხებულები არიან, მოდი, ზღაპარი ვთქვათ და შევაქციოთო.

— რა ვთქვათ? — უთხრა სანთელმა, — საღამოზე ამანთეს, თავზე ცეცხლი მიკიდია, დილამდე დავდნები.

— მაშ, კარგი, — უთხრა თვალმა, — მე გეტყვი.

თვალმა დაიწყო: ერთი მღვდელი, ერთი თერძი და ერთი დურგალი მიდიოდნენ. გზაზე ერთ ტყეში დაუღამდათ, დაანთეს ცეცხლი და დადგნენ. როდესაც დასაძინებლად მოემზადნენ, თქვეს, მხეცებმა რომ არაფერი გვავნონ, ვიყარაულოთო.

წილი ჰყარეს. პირველად დარაჯობა დურგალს შეხვდა. როდესაც მღვდელსა და თერძს დაეძინათ, დურგალმა; რომ არ დასძინებოდა, ამოიღო თავისი იარაღები, გააკეთა ერთი მშვენიერი ხის ქალი და შიაყუდა ხეზე.

როდესაც დურგლის ვადა გავიდა, დარაჯობა თერძმა დაიწყო. მან ხეზე აყუდებული ხის ქალი დაინახა. რომ არ დასძინებოდა, ამოიღო თავისი იარაღები და შეუკერა მშვენიერი ტანსაცმელი, შემოსა დედოფალივით და ხეზე მიაყუდა.

ახლა მღვდელს ერგო დარაჯობა. მღვდელმა ხეზე მიყუდებული ქალი დაინახა, იფიქრა: ეშმაკი თუ არისო და დაუძახა: ვინ ხარ, ეშმაკი თუ კაციო?!

ქალი ხმას არ სცემდა.

— შე წყეულო, ვინა ხარ? — გაუმეორა მღვდელმა.

ქალმა პასუხი არ გასცა. მღვდელი გულადი იყო. მივიდა, მოჰკიდა ხელი, ცეცხლში ჩაგდება უნდოდა, მაგრამ ხელში ხის ქალი შერჩა. მღვდელი მიხვდა, რომ ხისგან იყო გაკეთებული. ამოიღო ჯვარ-საბარება და დაიწყო ლოცვა. ილოცა დიდხანს და ქალი გააცოცხლა.

— ახლა, ფისასო, ვის ეკუთვნის ის ქალი, — ჰკითხა თვალმა, — დურგალს, თერძს, თუ მღვდელს?

— მე რა ვიცი, თავზე ცეცხლი მიკიდია, დილამდე გავთავდები, — უპასუხა სანთელმა, — მე რა იმისი ჯავრი მაქვს!

ამ დროს წამოიწია ქალმა და გაჯავრებულმა უთხრა სანთელს: შე წყეულო, ისე იქცევი, თითქოს ჯერ ჩემთან არა ყოფილიყავ! უთხარ, რომ იმას ეკუთვნის, ვინც წინწინ შეუდგა საქმეს. დურგალს რომ არ დაეწყო, ან თერძი ვის რას ჩააცმევდა და ან მღვდელი ვის ჩაუდგამდა სულსაო.

— ეს ერთიო! — თქვა ვაემა.

— აბა, ფისასო, ახლა შენი ჯერია! — უთხრა თვალმა სანთელს.

— რა ზღაპრისა მცხელა? — უპასუხა სანთელმა, — თავზე ცეცხლი მიკიდია, დილამდის გავთავდები.

— მაშ, ისევ მე გეტყვი. — თქვა თვალმა და დაიწყო, — გზაზე სამი კაცი მიდიოდა: ფეხმარდი, გულთმისანი და ექიმი. ფეხმარდს სარბე-

ნად გული ერჩოდა და გულთმისანს უთხრა: თუ ძმა ხარ, ერთი ჩაიხედე საწუთროს ჯამში, იქნება ვინმე იყოს ავად, ეს ექიმი წამალს მოამზადებს, მე გავაქცევ და მოვარჩენთო.

გულთმისანმა ჩაიხედა ჯამში და თქვა, ერთ ქვეყანაში ხელმწიფის შვილი კვდება და ის შეგვიძლია მოვარჩინოთო.

ექიმმა მაშინვე მოამზადა წამალი, ფეხმარდმა ფეხებიდან დოლაბები მოიყრეინა და ხელმწიფისაკენ გაიქცა. მიუტანა წამალი და მოარჩინა ხელმწიფის შვილი! ახლა შენ მითხარ, ფისასო, ვინ მოარჩინა ის ხელმწიფის შვილი?

— მე რა ვიცი,—უპასუხა ფისასომ,—ხომ მხედავ, მე ჩემი დარდი მაქვს, ვიწვები.

— შე წყეულო, უთხარ, რომ იმან, ვინც წამალი მიუტანა, — დაუძახა გაჯავრებულმა ქალმა სანთელს.

— ეს მეორეო! — თქვა ვაჟმა.

— აბა, ახლა შენა თქვი, ფისასო, — მიუბრუნდა თვალი სანთელს, — სულ მე ვლაპარაკობ და შენ კი არაფერს ამბობ.

— რა ლაპარაკისათვის მცხელა, — უპასუხა სანთელმა, — თავზე ცეცხლი მიკიდია, დილამდის ჩამოვდნები.

— მაშ, უკაცრავად ნუ ვიქნები, — თქვა თვალმა, — და ერთს კიდევ ვიტყვი.

დაიწყო: გზაზე ერთი კაცი მიდიოდა ცოლითა და ცოლისძმით. ყაჩაღები დახვდნენ, გაძარცვეს, დასჭრეს თავები კაცებს და დაყარეს. ქალი ცალკე ქმარს ტიროდა, ცალკე — ძმას. ღმერთს შეესმა ქალის ტირილი და გამოგზავნა ორი ანგელოზი: წადით, უშველეთ რამეო.

ანგელოზები მოფრინდნენ, დასხდნენ მტრედებივით მკვდრების ახლოს ხეზე, ჩააგდეს ერთი შტო და თქვეს: მაგ ქალს რომ ესმოდეს და იმ შტოს მკვდრებს წაუსვამდეს, ხომ გაუცოცხლდებოდნენო.

ქალმა აიღო ეს შტო და მოუსვა მკვდრებს. მკვდრები გაცოცხლდნენ, მაგრამ, საუბედუროდ, ქმრის თავი ძმას მოება და ძმისა — ქმარს.

— ახლა შენ მითხარ, ფისასო, ვისია ის ქალი?

— მე რა იმათი ჯავრი მაქვს, — უპასუხა ფისასომ, — ხომ ხედავ, გავთავდი, თავზე ცეცხლი მეკიდება და გონი მელევა!

— აი, შე წყეულო, — უთხრა ქალმა და ადგა, — განა შენ ჩემ ხელში არა ყოფილხარ, რომ ვერაფერს ეუბნები? უთხარ, რომ იმის ცოლი იქნება, ვის ტანზედაც ქმრის თავია მიბმული.

— ესეც მესამეო! — დაიძახა ვაჟმა, — შენ ჩემი ცოლი იქნებიო, — და ქალს მოეხვია.

გადაიხადეს ქორწილი და ზღაპარიც აქა თავდება.

მარგალიტის ცრემლი

იყო და არა იყო რა, იყო ორი ძმა. ძმები ერთად ცხოვრობდნენ. ორივენი ცოლიანები იყვნენ, მაგრამ ერთს შვილები ჰყავდა, მეორეს კი — არა.

კარგა ხანს ცხოვრობდნენ ერთად ტკბილად და უშფოთველად. ამ ერთ ძმას წამოეზარდნენ შვილები. ცოლმა ქმარს დაუყენა: შენ ძმას უნდა გაეყარო, დაბერდა, რაღას გვარგიაო. ქმარი გაუჯავრდა: რას ამბობ, დედაკაცო, დაბერდნენ, ახლა სადღა წავლენ, სანამ ახალგაზრდები იყვნენ, ჩვენთვის და ჩვენი შვილებისათვის შრომობდნენ, მაშინ არ ვერეკებოდით და ახლა გინდა მაგათი მოშორება, როდესაც ჩვენი შესანახები გახდნენო!

— არ იქნება და არა, თუ არ გაეყრები, წავალ და წყალში თავს დავიხრჩობო.

რაღას იზამდა საწყალი კაცი, წავიდა და უთხრა ძმას.

უშვილო ძმა ძლიერ დაღონდა და უთხრა: რად უნდა გამაგდო. ძმაო, ამ სიბერ-სიკვდილის დროს. შენი ძმა ვარ, ცოდვად დაგედება. თუ იმასა ფიქრობ, რომ შეგიჭამ რასმე, ჩემი წილი მე კი არა, მთელ ოჯახს ეყოფა, შვილები არა მყავს, ჩემ წილს განა სამარეში წავიღებ, შენს შვილებს არ დავუტოვებო?

— რა ვქნა, — უთხრა ძმამ, — შენი რძალი მაგაზეა დამდგარი: თავს მოვიკლავო, ამბობს, თორემ მე, ხომ იცი, არ მესიამოვნება შენი ძოშორებაო.

რაღას იზამდა უშვილო ძმა? წავიდა, უთხრა ცოლს და მეორე დღეს გაუდგნენ გზას უარარაოდ.

იარეს, იარეს და მივიდნენ ერთ ტყეში. ეძებეს თავშესაფარი, გავიდა ორი-სამი დღე და ვერსად იპოვეს.

მესამე დღეს ერთი სახლი ნახეს, შიგ არავინ იყო, ღვინო და პური კი რამდენიმე წლის საკმარი იყო. ბერიკაცი თავისი ცოლით შევიდა ამ სახლში და თქვა: იქნებ სახლის პატრონი დევი მოვიდეს, დაგვხოცოს და ტანჯვას მოგვარჩინოსო.

გავიდა თვეები, მაგრამ პატრონი არავინ გამოჩენილა. კაცმა და დედაკაცმა დაიწყეს ცხოვრება ახალ სახლსა და ახალ ქვეყანაში. ბერიკაცი და დედაკაცი ტკბილად ცხოვრობდნენ, მაგრამ ზოგჯერ კი ჩივილს დაიწყებდნენ ხოლმე: ვინ დაგვმარხავს, ვინ დაგვიხუჭავს თვალებს, რომ დავიხოცებითო.

გავიდა რამდენიმე თვე. ერთხელ ამ დედაკაცმა იგრძნო, რომ

ფეხმძიმედ იყო. დედაკაცი დაღონდა, ტირილითა და ქვითინით წავიდა ქმართან. ქმარმა ტირილის მიზეზი ჰკითხა.

ცოლმა უთხრა: შენც ხომ იცი, შენთანა ვარ დაბერებული, შენი მოღალატე არ ვყოფილვარ! თუ ეჭვს რასმეს აიღებ, ვისზე იფიქრებ, ვინ არის აქ? ან რაღა ჩემი შვილოსნობის დრო არის? მაგრამ ეს მატირებს, რომ ახლა დავორსულდი!

— ნუ იჯავრებ, — უთხრა ქმარმა, — აბა, ჩვენ ხომ ვერ უარვყოფთ, რაც არის, არისო.

მართლაც, მოკლე ხანში გაუჩნდა მოხუც დედაკაცს მშვენიერი ქალიშვილი.

ქალი რომ მონათლეს, ჰკითხეს ნათლიებს, რას დაანათლავთო? ერთმა თქვა: დეე, ჩემმა ნათლულმა რომ იტიროს, ცრემლაღ მარგალიტი აფრქვიოსო. მეორემ თქვა: როდესაც გაიცინებს, ისეთი ვარდი და ია გადმოუვიდეს პირიდან, რომ სიკვდილის პირას მისული გამოაბრუნოს იმათმა სუნმაო.

— მაშ, მე ისეთ მძივებს დავანათლავ, რომ სანამ ის ედება ყელზე, იცოცხლოს და როცა მოიხსნის, მოკვდესო, — თქვა მესამემ.

მოხუცებულები გაკვირვებულნი და გახარებულნი დარჩნენ.

ერთხელ ბავშვმა რაღაცაზე იტირა და გადმოშალა მარგალიტი. ბერიკაცმა აკრიფა, წაიღო ქალაქში. უყიდა ტანსაცმელი, საგებ-სახურავი და ქალის სხვადასხვა მორთულობაც. როცა ქალი რამეზე იტირებდა, ცრემლად მარგალიტი სცვიოდა.

გამდიდრდა ბერიკაცი. ქალს მშვენიერი სახლი აუშენა. დრო გავიდა. გოგო გაიზარდა. თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა ისეთი ლამაზი იყო, რომ იმის მნახველს წუთისოფელი დაავიწყდებოდა.

ერთხელ ამ ქვეყნის ხელმწიფის შვილი სანადიროდ წამოსულიყო იმ ტყეში, სადაც ბერიკაცი სახლობდა. მას თან წამოეყვანა ვეზირიც.

მთელი დღე ინადირა ხელმწიფის შვილმა, ვერაფერი მოკლა, ერთი ხოხბის მეტი.

საღამოზე ვეზირს უთხრა, თქვენ წადით, ეს ხოხობი სადმე შემიწვით, ამაღამ აქ უნდა დავრჩეთ, ხვალ თუ არაფერი მოვკალ, სირცხვილით ქალაქში როგორ დავბრუნდებიო.

ვეზირმა წაიღო ხოხობი და ბერიკაცის სახლში მივიდა. ბერიკაცმა დიდი სიამოვნებით მიიღო ხელმწიფის შვილის ვეზირი, კარგად გაუმასპინძლდა და უთხრა: თუ ამხანაგები გყავდნენ, რატომ ისინიც არ მოვიდნენო.

ბერიკაცს უნდოდა ხოხობი გამოერთვა და შეეწვა, მაგრამ ვეზირმა არ დაანება: მე თვითონ უნდა შევწვაო.

გააჩაღეს ცეცხლი. ვეზირმა ხოხობი შამფურზე ააგო და დაუწყო წვა. ამ დროს ბერიკაცის ქალი შემოვიდა. ვეზირს თვალები ქალზე დარჩა. ქალი იდგა, ვეზირი იმას შესცქეროდა და ხოხობი ნახევრად დაეწვა.

წამოუღო ნახევრად დამწვარი ხოხობი თავის ხელმწიფის შვილს.

ხელმწიფის შვილმა უთხრა: რა გიქნია, რაზე დაგიწვავს ეს ხოხობიო.

— ბატონიშვილო, რა მექნა, ბერიკაცი მშვენივრად გამიმასპინძლდა, მთხოვა, თქვენი ბატონიც აქ მობრძანდეს, ხოხობსაც შევუწვავთო. მაგრამ არ დავთანხმდი. მინდოდა, თვითონ შემეწვა. დავიწყე კიდევაც შეწვა, მაგრამ იმ ბერიკაცს ერთი ქალი ჰყოლია, გამოვიდა, თვალი ვეღარ მოვაშორე და, აი, ხოხობიც დამეწვაო.

ხელმწიფის შვილი ნაზირ-ვეზირით წავიდა ბერიკაცთან. ბერიკაცი ძლიერ გულგახსნით დაუხვდა ხელმწიფის შვილს და, რაც რამ ჰქონდა, ყველაფერი მიართვა.

როდესაც ვახშამზე სხდებოდნენ, ბერიკაცმა წყალი ჩამოატარა სტუმრების ხელის დასაბანად. როდესაც ხელმწიფის შვილთან მიიტანა, მან უარი უთხრა, უფროს კაცს ხელებს როგორ დაგაბანინებთ, უმცროსი ვინმე გეყოლებათ, ხელები იმან დაგვაბანინოსო.

ხელმწიფის შვილს უნდოდა, რომ ბერიკაცის ქალს დაებანინებინა ხელები.

წყალი ახლა ბერიკაცის ცოლმა ჩამოატარა, მაგრამ ხელმწიფის შვილმა არც იმას დაასხმევინა წყალი.

ბოლოს, ქალს დაუძახეს. გამოვიდა ქალი ლიტრით და ხელმწიფის შვილსაც, იმის მნახველს, გული წაუვიდა. ქალს გაეცინა, პირიდან ვარდი და ია გადმოუვიდა. ამ ვარდითა და იით მოაბრუნეს ხელმწიფის შვილი და დასხდნენ ვახშამზე.

ვახშმის შემდეგ ხელმწიფის შვილმა ბერიკაცს ქალი სთხოვა ცოლად.

ბერიკაცმა მოახსენა: ბატონიშვილო, ჩვენ თქვენი ღირსნი არა ვართ და თუკი გვიკადრებთ და ჩვენ ქალს ცოლად შეირთავთ, თქვენზე უკეთესს ვის ვიპოვითო.

გახარებულმა ხელმწიფის შვილმა იმ ღამესვე დანიშნა ქალი და მეორე დღეს გასწია ქალაქში, დედ-მამას გავახარებო.

მშობლებმაც საწინააღმდეგო არაფერი უთხრეს: თუ შენ მოგეწონა, შვილო, ჩვენ მეტი არაფერი არ გვინდაო.

ხელმწიფის შვილს ერთი ავი გამზრდელი ჰყავდა. იმ გამზრდელს უნდოდა თავისი ნაბუშარი ქალი როგორმე გაეთხოვებინა ხელმწიფის შვილზე.

ხელმწიფის შვილმა საცოლის მოსაყვანად ის გამზრდელი გაგზავნა და თან ნაზირ-ვეზირები გააყოლა. გამზრდელმა ეტლში თავისი ყორანივით შავი ქალი დამალა და გასწია ხელმწიფის შვილის საცოლესთან.

მივიდნენ ბერიკაცის სახლში, წამოიყვანეს ქალი და წამოვიდნენ.

გამზრდელმა გზაზე ეტლში ჩუმად ჩაიდგა ორი ლიტრა წყალი. ქალს ისეთი საჭმელი აჭამა, რომ ქალი წყურვილით კვდებოდა. შეევედრა გამზრდელს: წყალი დამალევინეო.

გამზრდელი გაუჯავრდა: აქ წყალს რა უნდა, ერთ უღრან ტყეში ვართო.

ქალმა კიდევ სთხოვა გამზრდელს.

— თუ ერთ თვალს გამოითხრი და მომცემ, — უთხრა გამზრდელმა ხელმწიფის შვილის საცოლეს, — წყალს მაშინ დაგალევინებო.

— გამომთხარე, — უთხრა ქალმა, — ოღონდ წყალი კი დამალევინეო.

გამზრდელმა ერთი ლიტრა წყალი მისცა და სამაგიეროდ ერთი თვალი გამოსთხარა და შეინახა. ქალმა მთელი ლიტრა დაცალა, მაგრამ მალე ისევ მოსწყურდა. ქალმა კიდევ სთხოვა წყალი. გამზრდელმა მეორე თვალიც გამოსთხარა და მისცა მეორე ლიტრაც.

გამზრდელმა ნაზირ-ვეზირებს უბრძანა: წინ წადით, ქალი უნდა დავასვენოთო.

ნაზირ-ვეზირები წავიდნენ. ჩამოვიდა გამზრდელი, გადმოათრია ბრმა ქალი, გახადა ტანისამოსი, მიიყვანა ერთ ხესთან და იქ დატოვა. იმისი ტანისამოსი ჩააცვა თავის ქალს, მოისვა გვერდზე და მიიყვანა სასახლეში.

ხელმწიფის შვილს საცოლის მოლოდინში ქორწილი გაემართა. დაეპატიჟა სტუმრები. მაგრამ აი, მოუყვანეს ერთი ვიღაც საძაგელი გომბიო. ბერიკაცის ქალის მნახველს, ხელმწიფის შვილს, აბა, რას მოეწონებოდა ვიღაც ყორანივით შავი ქალი. მივარდა თავის გამზრდელს: რა უყავი ჩემი საცოლე, ეს ის არ არის, სად დაღუპეო?!

— დიდებულო ბატონო, — უთხრა გამზრდელმა, — ეს ქალი ეახლავს თქვენი საცოლე. დედ-მამასთან გამოთხოვების დროს ბევრი იტირა და ფერი შეეცვალაო.

ხელმწიფის შვილი მაინც ვერ დააჯერა და ვერ მიაკარეს ახლოს გამზრდელის ქალს. ცოლი ცალკე ცხოვრობდა, ქმარი — ცალკე.

ახლა იმ ბრმა ქალს დავუბრუნდეთ, თვალებდათხრილი რომ დატოვა ხესთან ხელმწიფის შვილის გამზრდელმა.

უშტრად დარჩენილი ქალი იდგა ხესთან და ტიროდა. ჩამოსდიოდა ცრემლი მარგალიტად და ქალი იმალებოდა მარგალიტში.

ბოლოს, მარგალიტი მკერდამდე მიადგა და წელქვევით ერთიან დაფარა.

იმ ტყის ახლოს, სადაც ქალი დატოვა ხელმწიფის შვილის გამზრდელმა, ერთი ქალაქი იყო. იმ ქალაქში ერთი საწყალი ბერიკაცი ცხოვრობდა. ბერიკაცს ერთი ვირი ჰყავდა. დილით წავიდოდა ბერიკაცი ტყეში, აჰკიდებდა ვირს ფიჩხს, მოიტანდა ქალაქში, გაჰყიდდა და ფულს გლახებს დაურიგებდა. წავიდოდა შუადღისას, მოჰკრეფდა ფიჩხს, აჰკიდებდა ვირს, გაჰყიდდა ქალაქში, ფულს საუდარში შეიტანდა და შესწირავდა; საღამოზე წავიდოდა, მოიტანდა, გაყიდდა და აღებული ფულით თვითონა და იმისი ცოლი ირჩენდნენ თავს.

ერთხელ ბერიკაცი ტყეში იყო. ვირი გაუშვა დაუბმელად და თვითონ შეშასა ჭრიდა. როდესაც ფიჩხი მოამზადა ასაკიდებლად, ვირი იარსად იყო. ძებნა დაუწყო. ნახა და რა ნახა: ვირი მისულა ერთ ხესთან, დამდგარა და შესცქერის ნახევრად მარგალიტში ჩაფლულ ქალს. ბერიკაცი გაუჯავრდა ვირს.

ქალმა გაიგონა კაცის ხმა და სთხოვა, ძმა ხარ თუ მამა, მიშველე რამე, გარს კლდე მაქვს შემოვლებული, შემომამტვრიეო.

ბერიკაცი მივიდა ქალთან, მოაშორა მარგალიტი და წაიყვანა სახლში. წაიღო მარგალიტიც. ბერიკაცი უცებ გამდიდრდა, ქალს ჩააცვა მშვენივრად და მისცა ცალკე ოთახი.

ერთხელ ქალის ახლო კრუხმა რაღაცაზედაც წიწილას ჩაუნისკარტა. წიწილამ წიწინი დაიწყო, მამალი მოვარდა უცებ და კრუხს დაუწყო ჩხუბი: რადა სცემ შვილსაო.

ქალმა გაიგონა ეს ლაპარაკი ქათმებისა და გაეცინა. პირიდან ია-ვარდი გადმოუვიდა და ოთახში მშვენიერი სუნი დადგა.

ბერიკაცი რომ შევიდა ოთახში, ძლიერ გაუკვირდა: ამისთანა ია-და ვარდი საიდან მოვიდაო.

ქალმა უთხრა ბერიკაცს: წაიღე, მამავ, ეს ია-ვარდი, ხელმწიფის ქალაქში დაატარე გასაყიდად. თუ ვინმე შეგევაჭროს, ნუ მიჰყიდი, რაც უნდა ბევრი ფული გაძლიოს. ხელმწიფის შვილის გამზრდელს აქვს ჩემი თვალები, და თუ შეგხვდა, ის იყიდის ამ ია-ვარდს თავი-

სი ქალისთვის. უთხარ, რომ თვალზე ვყიდი-თქო. მოგცემს ერთ თვალს და მომიტანეო.

ბერიკაცმა წაიღო ეს ია-ვარდი ქალაქში, მაგრამ არავის მიჰყიდა, თუმცა ბევრი მყიდველი გამოუჩნდა. ბოლოს, შეხვდა ხელმწიფის შვილის გამზრდელი და ჰკითხა, რაზე ყიდი, ან როგორ ყიდი მაგ ია-ვარდს, ბერიკაცო?

გამზრდელს ია-ვარდი თავისი ქალისთვის უნდოდა, რომ ხელმწიფის შვილისთვის ეთქვა: აი, ჩემს ქალს პირიდან რა ია და ვარდი გადმოუვიდაო.

ბერიკაცმა უთხრა: ადამიანის თვალზე ვყიდიო.

გამზრდელმა მისცა ქალის ერთი თვალი და გამოართვა. მაგრამ ხელმწიფის შვილი მაინც არ მიჰკარებია იმის ქალს.

ბერიკაცმა წაიღო ეს თვალი და თავის ნაშვილებს მიუტანა. ქალმა ჩაისვა თვალი, ჩალესა მარგალიტი და ია-ვარდი და გადაისხა ზედ. თვალი გაუმთელდა და აეხილა ისე, როგორც წინათ ჰქონდა.

ერთი თვალი აახილა ქალმა, მაგრამ მეორით ისევ ბრმა იყო. ახლა როგორმე მეორე თვალი უნდა ეშოვა. ქალმა მოიმზადა კუბო, ჩაწვა შიგ და ბერიკაცს კი უთხრა, ეს მძივი, ყელზე რომ მიკეთია, შემხსენ, წაიღე და მეორე თვალი იყიდე. მე მოვკვდები, ამ კუბოთი წამიღე და სადაც მიპოვე, იქ დამდგიო.

ბერიკაცმა იყიდა მეორე თვალიც ხელმწიფის შვილის გამზრდელისაგან, მოიტანა, გაუკეთა მიმკვდარებულ ქალს და ტირილითა და ვიშით წაიღო იქ, სადაც პირველად იპოვა.

ქალი ხელმწიფის შვილისაგან ორსულად იყო და კუბოში გაუჩნდა მკვდარს ვაჟი. ბავშვი დედის მკერდს არ შორდებოდა და ისე სწოვდა ძუძუს.

ერთ დღეს დადარდიანებული ხელმწიფის შვილი სანადიროდ წავიდა. გაიარა ტყე და ერთგან შველი წამოუხტა. ხელმწიფის შვილმა ესროლა ისარი, ვერ მოარტყა, შველი გაიქცა, დაედევნა ხელმწიფის შვილიც.

ირბინა შველმა, ირბინა ხელმწიფის შვილმაც. შველი კუბოზე გადახტა და გაქრა.

მივიდა ხელმწიფის შვილი კუბოსთან, ჩაიხედა შიგ და თავისი საცოლე კი დაინახა. ქალი ისე იწვა, თითქოს სძინავსო. ვაჟი გადაეხვია თავის მკვდარ ცოლს, კოცნა დაუწყო და მრავალი ცრემლი აფრქვია. ბევრი ცრემლი ღვარა, მაგრამ ცრემლით რას უშველიდა.

რაკი ტირილით გული მოიჯერა, ვაჟმა დაავლო ხელი თავის შვილს და სახლში წაიყვანა.

გამზრდელის ქალმა თავისთან შეიყვანა ეს პატარა ბავშვი, უნდოდა ხელმწიფის შვილის გული მოეგო და თამაშობა დაუწყო. რაკი ხელში აიყვანა, ბავშვი სწვდა იმის ყელზე ჩამოკიდებულ მძივს, მოებღაუჭა და დაიწყო ტირილი. უნდოდათ ბავშვი მოეშორებინათ, მაგრამ ის ხელს არ უშვებდა.

ხელმწიფის შვილმა უბრძანა გამზრდელის ქალს: მიეცი, რასაც გთხოვს, ნუ ატირებ ბავშვსაო.

ქალმა მოიხსნა მძივი და მისცა ბავშვს. ბავშვმა დედისკენ დაიწყო წევა და ტირილი. ხელმწიფის შვილმა შემოისვა ბავშვი ცხენზე და კუბოსკენ გაქუსლა. ბავშვმა დედა რომ დაინახა, გაიღიმა და სიხარულით ხელების ქნევა დაიწყო.

ხელმწიფის შვილმა ბავშვი დედასთან დასვა და ცქერა დაუწყო, ვნახოთ, რას იზამსო.

ვაჟი შეაფოფხდა მკვდარ დედას და ეს მძივი ყელზე მიადო. შეეხო თუ არა მძივი, ქალმა მაშინვე თვალები გაახილა და წამოდგა.

გახარებულმა ხელმწიფის შვილმა აღარ იცოდა, რა ექნა. შემოისვა ცხენზე ცოლიც, შვილიც და გასწია სახლში.

— აი, ჩემი ცოლიო, — დაიძახა ვაჟმა. როგორც კი შევიდა სასახლეში. გამოეგებნენ ხელმწიფე და დედოფალი და სიხარულით გადაკოცნეს თავიანთი რძალი.

შევიდა ქალი სასახლეში და ცრემლებმა დაუწყო თვალებიდან ფრქვევა: იატაკზე გაიშალა აუარებელი მარგალიტი. ქალმა ნახა გამზრდელის ქალი, გაეცინა იმის საძაგლობაზე და პირიდან ია და ვარდი გადმოსცვივდა.

გამზრდელი და გამზრდელის ქალი კი ცხენის კუდით ათრიეს და ისე დახოცეს. ხელმწიფის შვილმა თავისი წინანდელი საცოლე შეირთო და ცხოვრობდნენ ტკბილად.

ჭირი იქა, ლხინი აქა
ქატო იქა, ფქვილი აქა.

მოხუცი სტუმარი

თიბვის დაწყებისას დღეობას იხდიდა თურმე ხალხი.

ერთხელ ყველა მინდორშია ჩაცმულ-დახურული და ნელა თიბავს, დღესასწაულია. იმ ხალხში სამი ღარიბი ძმა არის, მათ არც საჭმელი აქვთ და სასმელად კი მხოლოდ არაყის ნახადი აქვთ. სადილად დასხდა ყველა, არის სიმღერა და ქეიფი.

ამ დროს დაბლიდან ერთი მოხუცი კაცი გამოჩნდა. მთიბავებს აქეთ-იქით ვამარჯვება უთხრა. სუფრასთან არავინ მიიპატიჟა. გაიარა იმ სამი ძმის ახლოს. უმცროსმა ძმამ თქვა: დავუძახოთო. ძმებმა უთხრეს: რა უნდა აჭამო და ასვაო?

—ჩვენ რაცა გვაქვს, ის დავალევინოთო.

არ ჰკითხა ძმებს და დაუძახა: იკადრეთ და ჩვენთან მობრძანდით ცოტა ხანსო. სტუმარმა უთხრა:

— აბა, ყველა მღერის და ქეიფობს. თქვენ რაღას უყურებთო?

— რა ვქნათ, საჭმელი არა გვაქვს. სასმელად არაყის ნახადი წამოვიღეთ, მეტი არაფერი გვქონდა, რითი ვიქეიფოთო!

სტუმარმა უმცროს ძმას უთხრა: არა უშავს რა, ჩამოასხი დოქიდან ეგ ნახადი და დაგვალევინეო.

ჩამოასხა, ღვინო არის შესანიშნავი!

— პური არა გაქვთ? — იკითხა სტუმარმა, — აი, იმ მთაზე თეთრად რომ ჩანს, აბა, ის რა არის, ჩამოიტანეო!

— ქვა არის, რად ჩამოვიტანოო!

— წადი, შენ რა გინდა, ჩამოიტანეო!

ავიდა და ნახა მშვენიერი დიდი ცხვარი და თეთრი პური. ახლა კი გაიშალა სუფრა. დასხდნენ, დაიწყეს სიმღერა. ყველა ჩააჩუმეს; ვინ არის ისეთი, რომ ამისთანა სიმღერა იცოდეს!

მთიბავები იცინიან: ნეტავ რა აქვთ, სტუმარიც რომ მიიპატიჟეს, რას ასმევენ და აჭმევენ ეგ ღატაკებიო.

ჭამა რომ დაამთავრეს, მოხუცმა უფროს ძმას ჰკითხა:

— შენ რა გირჩევნია, უფრო რისი მოყვარული ხარო?

— მიწა მინდა, საჭმელს ვიშოვნიო!

— მიწაც გქონდეს და საჭმელიც, სანამ სტუმარი არ შეგძულდესო! — და დაულოცა მიწა.

ახლა საშუალო ძმას ჰკითხა:

— შენ რისი მოყვარული ხარო?

— ჯოგისაო, — უპასუხა.

— შენისთანა ჯოგი არავის ეყოლება, სანამ სტუმარი არ შეგძულდებაო.

ბოლოს, უმცროს ძმას ჰკითხა:

— შენ რაღა გინდა, რას ინატრებდიო?

— მე იმისთანა ცოლი მინდა, სტუმარი და მასპინძელი უყვარდეს და ოჯახის მოვლა იცოდესო, — უთხრა უმცროსმა ძმამ.

— ოჰო! მაგისთანა ქალი ქვეყანაზე მხოლოდ ორი მეგულება, ერთი გათხოვილია, მეორეს ქორწილი ამაღამ აქვს, თუ მოვახერხე, შეგრთავო.

უფროსი ძმები იქვე დაასახლა, ერთს მიწა და პური მისცა, მეორეს—ჯოგი, უმცროსი ძმა კი თან წაიყვანა.

ერთი კეისრის შვილსა და მეორე კეისრის ქალს ქორწილი აქვთ. მოხუცმა წვიმა და ქარი მოიყვანა. მიადგნენ კარზე მექორწილეებს და დაუძახეს:

— მასპინძელო, ბინა არა გვაქვს, ამაღამ დაგვასვენეო.

მოახსენეს კეისარს და იმან უარი უთხრა: ქორწილზე ვიღაც უცნობი შემოვა, ამას უსიამოვნება მოჰყვება, ამაღამ არ შემოვუშვებ და შემდეგ ვისაც შემოვუშვებ, მე ვიცი.

მოხუცმა ჰკრა წიხლი კარს, შეამტვრია და შევიდა. შეიყვანა ბიჭიც. მაგიდა გაშლილია. ნეფე-დედოფალი ერთად სხედან, ესენი მეორე მხარეს დასხდნენ. მოხუცმა ბიჭს უთხრა: წადი, საქმრო ააყენე და იქ შენ დაჯექიო.

ბიჭი ასეც მოიქცა. კეისარი გაბრაზდა: ამიტომ არ გიშვებდით სახლშიო.

მოხუცმა უთხრა: რას ლაპარაკობ, ქალი ამ ვაჟის არისო. კეისარი უფრო გაჯავრდა. მოხუცმა უთხრა: აბა, ნაძლევი დავდოთ, თუ ქალი ამისი არ იყოსო.

— რა ნაძლევი მინდა, ქალი გათხოვილიაო, — თქვა კეისარმა, მაგრამ ბოლოს ჰკითხა, — არა, მაინც რა ნაძლევი გინდაო?

— ამ ვაჟებს ხელში ვაზის თითო წნელი მიეცით, რომლის ხელშიაც წნელი ფოთოლს გამოიყვანს, აყვავდება, ყურძენი დამწიფდება და ამ სუფრაზე მოგერთმევა, ქალიც იმას დარჩებაო.

კეისარს არ უნდოდა დათანხმება, მაგრამ სხვა გზა აღარა ჰქონდა. მისცეს ორივე ვაჟს ხელში ვაზის წნელი. უმცროსი ძმის ხელში წნელი განედლდა, ფოთოლი გამოიყვანა, აყვავდა, ყურძენი დაისხა და დამწიფდა. კეისრის შვილს კი გაუხმა.

— ახლაც არ მისცემ ქალს ამ ბიჭსო? — ჰკითხა მოხუცმა კეისარს.

— არა, არ მივცემ, გათხოვილიაო.

— აბა, რომელმაც ხანჯლის წვერებზე იცეკვოს, იმას მიეციო-

ააყენეს საქმრო, მაგრამ როგორც კი ფეხს დაადგამს ხანჯალს, ეჭრება.

— ადექ, ბიჭო, ახლა შენ იცეკვეო! — უთხრა მოხუცმა უმცროს ძმას.

ადგა ის და დატრიალდა ამ ხანჯლის წვერზე.

— ახლა ხომ გვატან ქალსაო? — უთხრა კეისარს მოხუცმა.

— არა, არ გაგატანთო!

სტუმრები ადგნენ და წავიდნენ. ადგა ქალიც და მხიარულად წამოჰყვა მათ, ვერავინ დაუშალა. მოხუცმა ისინი დაასახლა კარგ ადგილას და დალოცა: სანამ სტუმარი არ შეგძულდებათ, თქვენისთანა ბედნიერი არავინ იყოსო.

გავიდა ხანი. სამივე ძმა ბედნიერად ცხოვრობს. ამოიარა კიდევ ამ მოხუცმა კაცმა — წმიდა გიორგიმ. წვიმს. იმისთანა ავდარია, რომ გარეთ გასვლა არ შეიძლება. მიადგა უფროს ძმას.

— დამაყენე, წვიმაა, მადლიაო.

— ჩემს ცოლს ხელი აქვს დამწვარი სტუმრის პურის ცხობით და არავის შემოვუშვებო, — უპასუხა უფროსმა ძმამ.

— რა ბედიც გქონდა, ის დაგრჩებაო! — უთხრა მოხუცმა. ახლა მიადგა საშუალო ძმას. იმანაც ასე უპასუხა სტუმარს: ჩემს ცოლს ხელი აქვს დამწვარი სტუმრის პურის ცხობით, არავის შემოვუშვებო.

— ძველი ბედი გექნებაო, — უთხრა მოხუცმა.

მიადგა უმცროს ძმას. შინ ცოლია, ქმარი მოკვდომია, კუბო უდგას და ტირის.

— მასპინძელო, მასპინძელო! კაი ქალო, დამაყენე ამაღამო.

დაშფოთებულმა ქალმა გამოხედა: მობრძანდი, ახლავე დავგვი სახლსაო. ქალი დატრიალდა, ცრემლები მოიწმინდა, კუბო ბნელაში მიმალა, სახლი დაგავა, ცეცხლი დაანთო, ქათამი დაკლა და სტუმარი მიიწვია.

— ოჰ, შენ მარტოდ ყოფილხარ, ქმარი სად არის? — ჰკითხა მოხუცმა.

— დიახ, მარტო ვარ, ქმარი ბაზარშია წასული, არ მოსულაო,— უთხრა მოწყენილმა ქალმა.

სტუმარმა იცის, რომ ქმარი მკვდარი ჰყავს და კუბოში ასვენია ბნელში. ადგა სტუმარი, ვითომ გარეთ გასვლა უნდაო, წავიდა სიბნელისაკენ, კუბოს საფარი ახადა, შეუბერა, ვაჟი გააცოცხლა, რაც იყო, იმაზე უკეთესი გახადა, ხელი გაუყარა მკლავში და ოთახში შემოიყვანა.

— რატომ დაიგვიანეო? — ჰკითხა სახეგანათებულმა ქალმა ქმარს ისე, რომ სტუმარს არაფერი შეამჩნევინა.

— მე ყველაფერი ვიცი, კაი ქალი ყოფილხარ, ბედიც კარგი გექნებათო! — დალოცა მოხუცმა უმცროსი ძმა და მისი ცოლი, გამოემშვიდობა და წავიდა.

იმ დღიდან უმცროსი კიდევ უფრო მდიდარი და ბედნიერი გახდა. უფროსი ძმები დარჩნენ ისევ დაგლახაკებულები.

სიზმრის ახსნა

იყო საწყალი კაცი. ღარიბად ცხოვრობდა. მუდამდღე ტყეში ხმელ შეშას აგროვებდა, ყიდდა და თავს იმით ირჩენდა.

ერთ დღეს კაცი ჩვეულებრივ ტყეში წავიდა. უცებ გზაზე ხვრელიდან თავი გამოყო გველმა და უთხრა: თქვენს ხელმწიფეს სიზმარში უნახავს ცაზე ჩამოკიდებული სისხლიანი ქამარ-ხანჯალი. მაგრამ სიზმარი მისთვის ვერავის აუხსნია. წადი და მოახსენე: ეს სიზმარი იმის მომასწავებელია, რომ ჩქარა დიდი ომი ატყდება-თქო, და რითაც ხელმწიფე დაგასაჩუქრებს, შუაზე გავიყოთო.

კაცი გაიქცა და ეს ყველაფერი ხელმწიფეს უამბო. სიზმრის ახსნა ხელმწიფეს ძალიან ესიამოვნა და საწყალი კაცი ოქრო-ვერცხლით დაასაჩუქრა. თვითონ კი დიდი ომისათვის მზადებას შეუდგა. კაცს დაენანა ამოდენა ოქრო-ვერცხლის შუაზე გაყოფა და გველის მოკვლა მოინდომა. გამოეკიდა, მაგრამ გველმა ხვრელში შეასწრო, მხოლოდ კუდი მოაწყვიტა.

გავიდა ხანი. ხელმწიფემ კიდევ ნახა სიზმარი. ახლა ვითომ ციდან მელა იყო ჩამოკიდებული კუდით. სიზმარი ვერავინ აუხსნა. ხელმწიფემ ისევ დაიბარა საწყალი კაცი და სიზმრის ახსნა მოსთხოვა. კაცს რა უნდა ექნა, მოსაფიქრებლად ორი კვირის ვადა ითხოვა. გამოემშვიდობა ხელმწიფეს და შინ წამოვიდა. გველთან მისვლა ვერ გაბედა. დიდხანს იყო დაღონებული, ვერა გაიგო რა. ბოლოს, კვლავ გველთან წასვლა გადაწყვიტა. მივიდა სოროსთან, დადგა შორიახლოს და სთხოვა გველს სიზმრის ახსნა. გველმა ჯერ ხმა არ გასცა, შემდეგ გამოვიდა და უთხრა: ეს სიზმარი მოასწავებს ისეთი წლის დადგომას, რომ ადამიანები ერთმანეთის მოტყუილების მეტს არაფერს გააკეთებენო.

გახარებული კაცი მაშინვე გაიქცა ხელმწიფესთან და სიზმარი აუხსნა. ხელმწიფემ კიდევ უფრო მეტი ოქრო-ვერცხლით დაასაჩუქრა იგი. კაცმა ამდენი ოქრო-ვერცხლის მიღება სულ არ შეატყობინა გველს. ამის შემდეგ გველის რჩევა რაღაში დამჭირდებაო, — იფიქრა და შინ წაიღო.

კიდევ გავიდა დრო და ხელმწიფემ ისევ ნახა სიზმარი: ვითომ ციდან მამალი ცხვარი იყო ჩამოკიდებული დუმით. სიზმრის ახსნა ვერავინ შეძლო. ხელმწიფემ ისევ დაიბარა საწყალი კაცი და სიზმრის ახსნა უბრძანა. შეწუხებულმა კაცმა მოფიქრებისათვის სამი კვირის ვადა ითხოვა. ბევრი იფიქრა, სხვებსაც ჰკითხა, მაგრამ ვერც რა თვითონ მოისაზრა და ვერც სხვამ ვერაფერი ასწავლა. მიადგა

ისევ გველის სოროს. ყოველდღე დადიოდა აქ. სთხოვდა გველს დახმარებას, მაგრამ ის გარეთ არ გამოდიოდა.

ბოლოს, გამოვიდა გველი ხვრელიდან და უთხრა: ეს სიზმარი იმის მაუწყებელია, რომ წელს დიდი მოსავალი იქნება და ხალხი გამდიდრდებაო.

ხელმწიფეს ძალიან ესიამოვნა სიზმრის ასსნა და კაცი ახლა უფრო მეტი ოქრო-ვერცხლით დააჯილდოვა. კაცმა თქვა: ამდენა სიმდიდრე გველის მეშვეობით შევიძინე, მოდი, ამ ოქრო-ვერცხლს მთლიანად გველს მივუტანო. ასეც მოიქცა. ყველაფერი გველს მიართვა. გველმა მადლობა მოახსენა:

— ეს შენი სურვილით კი არ ხდება, წელიწადია მოსავლიანი, უხვი და ოქრო-ვერცხლიც იმიტომ არ გშურსო! არც იმაში იყავი დამნაშავე, რაც უწინ ჩაიდინეო. — უთხრა გველმა, გამოატანა ოქრო-ვერცხლი უკანვე და თვითონ სოროში შეძვრა.

იმათ მოსვლამდის არაფერი გეტკინოთ!

ნატვრის თვალი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. ერთ ქვეყანაში ცხოვრობდნენ ცოლი და ქმარი, ჰყავდათ ერთი ვაჟიშვილი. ეს ბიჭი ჩვიდმეტთვრამეტი წლისა იყო, მაგრამ მაინც თავის მშობლებს შეჰყურებდა ხელებში, მთელ ცისმარე დღეს უქმად ატარებდა.

მისმა უსაქმურობამ უსიამოვნება შეიტანა ოჯახში. ცოლ-ქმარს ხშირად ჰქონდა ჩხუბი და საყვედურით ერთმანეთს ყურს უხვრეტდნენ: არა, ბავშვობიდანვე შენ გარყვენი, არა, შენ გარყვენიო!

ერთ დღეს, როცა მშობლებს კვლავ შვილის თაობაზე ჰქონდათ ლაპარაკი, ცოლმა უთხრა: კაცო, იქნება ჩვენი შვილი იმიტომ არა მუშაობს, რომ ოჯახში ფული ეგულება. მოდი, გავყოთ ის ფული, ჩვენ ჩვენი წილი ავიღოთ, იმას კი თავისი მივცეთ, იქნება მაშინ თავისას მაინც გაუფრთხილდეს და ხელი გაანძრიოს.

ქმარს მოეწონა ეს აზრი. მოიტანეს შენახული ფული, დაუძახეს თავიანთ ყალაღანა ბიჭს და უთხრეს: აი, შვილო, რაც ოჯახში ფული გვქონდა, სულ ეს არის. გავყოთ თანასწორად, ყველას თავისი ფული თვითონ ჰქონდეს და, როგორც უნდა, ისე მოუაროსო.

გაიყვეს. ოც-ოცი თუმანი თვითონ აიღეს, ოცი კი შვილს ჩააბა-

რეს და უთხრეს: წაიღე, შვილო, იქით მიდექ, აქეთ მოდექ, მაგ ფულს ფული მიუმატე და იცხოვრეო.

ბიჭმა ჩაიდო ოცი თუმანი ჯიბეში და გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, გავიდა ერთ მინდორზე. გაიხედ-გამოიხედა და დაინახა, რომ მეცხვარეებს დაუჭერიათ ერთი ძაღლი და ახრჩობენ. ბიჭს შეებრალა პირუტყვი, მივიდა მეცხვარეებთან და უთხრა: ოღონდ ეგ ძაღლი გაუშვით და, მე რომ ოცი თუმანი მაქვს, იმას მოგცემთო.

მწყემსებმა გაუშვეს ძაღლი. ძაღლმა ერთი კი შეხედა თავის მოსარჩლეს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოკურცხლა. ბიჭმა მისცა ოცი თუმანი და დაბრუნდა ისევ სახლში. დაჯდა კვლავ ძველებურად შინ და არაფერს არ აკეთებდა.

დაღონდნენ მშობლები.

— ოც-ოც თუმანს რომ გვაგულებს, ალბათ, იმიტომ არ მუშაობს ჩვენი შვილი. მივცეთ ამ ფულიდანაც ნაწილიო. — კაცმა გამოიტანა ფული, გაყო შუაზე, ნახევარი შვილს მისცა და ნახევარი თვითონ დაიტოვა. ბიჭმა ჩაიდო ჯიბეში ფული და გაუდგა გზას.

იარა, იარა და მიადგა ერთ სოფელს. ხედავს, რომ დედაბერს დაუჭერია ერთი საბრალო კატა და ახრჩობს. ბიჭს შეებრალა ცხოველი, მივიდა დედაბერთან და შეეხვეწა: ბები, ოღონდ ეგ კატა გაუშვი და, მე რომ ოცი თუმანი მაქვს, იმას მოგცემო. ბებერმა გაუშვა. გახარებულმა კატამ რამდენჯერმე მოიხედა უკან და მოუსვა ტყისაკენ. ბიჭმა მისცა ოცი თუმანი და წამოვიდა შინისაკენ. სახლში რომ მივიდა, წამოწვა ძველებურად შუაცეცხლთან და ხან ერთ გვერდზე გადაგორდებოდა, ხან — მეორეზე.

დაღონდნენ კვლავ მშობლები.

— ოც თუმანს რომ კიდევ გვაგულებს, ალბათ, იმიტომ არაფერს აკეთებს, მივცეთ ისიც, რომ აღარაფერი გვექნება, იქნება მაშინ მაინც გააკეთოს რამეო.

კაცმა გამოიტანა ის ოცი თუმანიც, მისცა თავის ლონდრე ბიჭს და უთხრა: აი, ეს არის ჩვენი უკანასკნელი ფულიანობა, ამასაც შენ გაძლევთ. აქამდე თუ იმის იმედით არაფერს აკეთებდი, რომ ფულს გვაგულებდი, ახლა ერთი გროშიც აღარა გვრჩება სახლში, რომ თვალზე მივიფაროთ. წაიღე! გაისარჯე, შრომა ფულად აქციე, ფულს ფული მიუმატე და იცხოვრეო.

ბიჭმა გამოართვა ფული, ჩაიდო ჯიბეში და გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, გავიდა ერთ მინდორზე, გაიხედა და რასა ხედავს! ერთ კაცს დაუნთია დიდი ცეცხლი, დაუჭერია გველს წი-

წილა, მოუბამს გრძელ ჯოხზე და ცეცხლის ალზე ატრიალებს. გველი წივის და იკლაკნება სიმწრისაგან. ბიჭს შეებრალა, მივიდა და შეეხვეწა: ოღონდ გაუშვი ეგ გველის წიწილა და, ჯიბეში რომ ფული მაქვს, იმას მოგცემო.

კაცმა მაშინვე გაათავისუფლა გველი. ბიჭმა მისცა ოცი თუმანი და გასწია შინისაკენ. რამდენიმე ნაბიჯი არც კი იქნებოდა გამოვლილი, რომ ბალახებიდან გამოსრიალდა გველის წიწილა, დაუდგა წინ და უთხრა: რადგან ასეთი სიკეთე ძიყავი და სიკვდილს გადამარჩინე, მეც სიკეთით მინდა გადაგიხადო. წამოდი ჩემთან, ნურაფრის გეფიქრებაო!

ბიჭი დათანხმდა და გაჰყვა. გველის წიწილამ ასე დაარიგა გზაში თავისი სტუმარი: ჩემს მშობლებს ჩემს მეტი შვილი არა ჰყავთ. მე რომ ვუამბობ ჩემს ამბავს, ვიცი, ძალიან გაუხარდებათ და საჩუქრად ბევრ ოქრო-ვერცხლს შემოგაძლევენ. შენ ის საჩუქარი არ გამოართვა. უთხარი: თუ ჩემი პატივისცემა გინდათ, თქვენ რომ წითელთვლიანი ბეჭედი გაქვთ, ის მომეცით-თქო. ის ბეჭედი ნატვრისთვალია და რასაც ინატრებ, შეგისრულდება.

იარეს, იარეს და შევიდნენ ერთ ბნელ გამოქვაბულში. გველის მშობლებმა ბიჭი რომ დაინახეს, შეაგდეს მაშინვე ბეჭედი და მიაძახეს: ნატვრისთვალო, ნატვრით გინატრებთ, ნატვრა შეგვისრულე და ეს ბიჭი ქვად აქციე! ბიჭი გაქვავდა. გველის წიწილამ ტირილი დაიწყო და თავს იკლავდა. მშობლებმა უთხრეს:

— შენ ჯერ კიდევ გამოუცდელი ხარ. არ იცი, ვინ არის შენი მოკეთე და ვინ არის შენი მოავე. ეს ადამიანის შვილია, ჩვენი დაუძინებელი მტერი!

— მე ამან გადამარჩინა წამებასა და სიკვდილს. როგორც მოკალით, ისე გააცოცხლეთ, თორემ მეც ახლავე თავს მოვიკლავ!—ეხვეწებოდა გველის წიწილა.

მშობლები შეფიქრიანდნენ: მართლა თავი არ მოიკლასო. დედა-გველმა შეათამაშა მაღლა წითელთვლიანი ბეჭედი და უთხრა: ნატვრისთვალო, ნატვრით გინატრებ და ნატვრა შემისრულე: ეს ქვადქცეული კაცი ისევ გააცოცხლე!

ბიჭი გაცოცხლდა. გველებმა უთხრეს: რადგან ჩვენს შვილს დახმარებიხარ და სიკვდილისაგან გიხსნია, ამიტომ ჩვენ სიკეთე სიკეთით უნდა გადაგიხადოთ: რასა გვთხოვ, რომ შეგისრულოთ?

— სხვა არაფერს ვითხოვ: თქვენ რომ წითელთვლიანი ბეჭედი გაქვთ, ის მომეცით.

გველებმა ცივი უარი უთხრეს: ეს ბეჭედი მთელ ხმელეთად გვიღირს, იმას ვერ დავთმობთ!

— რახან ის უბრალო ბეჭედი ჩემ თავს გირჩევნიათ, დაე, ისევ ის ბეჭედი იყოს თქვენთან, მე კი ხელს ვიღებ თქვენს შვილობაზე და ამ კაცს მივდევ! — წყრომით უთხრა გველის წიწილამ თავის მშობლებს.

დედაგველს შეეშინდა: მართლა ამ კაცს არ გაჰყვესო. გამოიტანა ბეჭედი, მისცა ბიჭს და თანაც დაარიგა, თუ როგორ უნდა მოეხმარა. ბიჭი დაემშვიდობა გველებს და წავიდა სახლისაკენ.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მოვიდა შინ. ამ ხნის განმავლობაში მისი მშობლები ისე გასაწყლებულიყვნენ, რომ ოჯახში მუჭაზე დაყრა ფქვილიც აღარა ჰქონდათ, რომ პური გამოეცხოთ.

— დედი, პური მშია, მაჭამე რამე! — უთხრა ბიჭმა.

— ეხ, შვილო, პური ვინ მოგვაშავქვავა. ლამის არის სულები ამოგვძვრეს შიმშილისაგან! — წუწუნით უპასუხა დედამ.

— მიდი, ნახე კიდობანში, პურის ნამცეცები მაინც იქნება, ის მომიტანე!

— რაც არა ჩამიდვია რა, შიგ რა იქნება!

ბიჭმა ამოიღო ნატვრისთვალი, შეაგდო მაღლა და უთხრა: ჩემო ნატვრისთვალო, ნატვრით გინატრებ და ნატვრა შემისრულე: ეს კიდობანი გამტკიცული პურით გაავსე! — მერე მიუბრუნდა ისევ დედას და უთხრა: დედი, მიდი, ახადე, იქნება იყოს შიგ რამე!

დედა მივიდა, ახადა კიდობანი და რასა ხედავს! თეთრი გამტკიცული პურებით არის სავსე. ჯერ თვალებს არ უჯერებდა, მაგრამ როცა საბოლოოდ დარწმუნდა, გახარებულმა ამოიღო რამდენიმე პური, ივახშმეს და დაიძინეს.

მეორე დღეს ბიჭმა დედას უთხრა: ჩვენს ხელმწიფესთან წადი და მოახსენე: თქვენ რომ მზეთუნახავი ქალიშვილი გყავთ, ჩემს შვილს მიათხოვე-თქო!

— რას ამბობ, შვილო, ხელმწიფე გლეხსა და ისიც საწყალ კაცს შვილს მიათხოვებს? — უპასუხა დედამ.

— შენ მიდი, უთხარ, ნებით მომცემს, ხომ კარგი, არადა — ძალით წამოვიყვან.

— კარგი, შვილო, წასვლით წავალ, მაგრამ ამ დაკონკილი ტანისამოსით როგორ წავიდე?

ბიჭმა შეაგდო მაღლა ნატვრისთვალი და უთხრა: ნატვრისთვალო, ნატვრით გინატრებ და ნატვრა ამისრულე! დედაჩემის სკივრი ძვირფასი ტანისამოსით გაავსე! — მერე მიუბრუნდა დედას და უთხრა: დედი, აბა, მოდი, ახადე შენი მზითევის სკივრს, იქნება გაქვს უკეთესი კაბა და აღარ გახსოვს. აბა, მიდი, ხახეო.

დედა მივიდა, ახადა სკივრს და რას ხედავს! ხავერდისა და ფარჩის ტანისამოსით ისეა სავსე, რომ ხელი არ დაეჭირება. ძალიან გაუხარდა, აარჩია, რომელიც უფრო ძვირფასი იყო, ჩაიცვა და წავიდა. მივიდა ხელმწიფესთან, თავი დაუკრა და მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფევ, ნუ გამირისხდებით და ერთი სათხოვარი მაქვს.

— თქვი, რა გინდა, გისმენ! — მიუგო ხელმწიფემ.

— ჩემი შვილი თქვენს ქალს ნდომობს და უნდა მიათხოვოთ. ამასაც მოგახსენებთ, რომ თუ ნებით მისცემთ, ხომ კარგი, არადა — მაინც წაიყვანს.

ხელმწიფე ჯერ გაბრაზდა, მერე კი იფიქრა: იმ კაცს იმედი რომ არა ჰქონდეს თავის თავისა, არც ასე შემომითვლიდა. მოდი, ისეთ რამეს დავავალებ, რომ მისი შესრულება ადამიანის შვილს არ შეეძლოს. თუ შეასრულა, ხომ მართლა ღირსი იქნება ჩემი სიძეობისა, თუ ვერა და სახრჩობელაზე უნდა ჩამოვკიდოო. უთხრა: შენს შვილს ორ რამეს დავავალებ, თუ შეასრულა, ჩემი ქალი მისი იყოს, თუ ვერ შეასრულა, კატასავით ჩამოვკიდებ ბოძზე.

— ბრძანეთ, დიდებულო ხელმწიფევ, და გადავცემ ჩემს შვილს.

— ჩემი სასახლიდან თქვენს სახლამდე ისეთი ხეხილი გააშენოს, რომ რიგისა ყვაოდეს, რიგისა მწიფდეს, რიგისა იკრიფებოდეს.

დედაკაცი დაემშვიდობა ხელმწიფეს და წამოვიდა. შინ რომ მივიდა, შვილს უთხრა: რაც დამავალე, ხელმწიფეს მოვახსენე. მიბრძანა: შენ ვაჟს ორ რამეს დავავალებ, თუ შეასრულა, სიძედ გავიხდი, თუ ვერ შეასრულა, კატასავით ჩამოვკიდებ და ისე დავახრჩობო. შემოგითვალა: გათენებამდე ჩემი სასახლიდან შენ სახლამდე ისეთი ხეხილის ბაღი გააშენეო, რომ რიგისა ყვაოდეს, რიგისა მწიფდეს, რიგისა იკრიფებოდესო. აბა, შვილო, ისეთი საცოლე რად გინდა, თუ შენს თავს მოინელებ? ჯადოქარი ხომ არა ხარ, რომ ერთ ღამეში ბაღი გააშენო?

— ნუ გეშინია, დედი, ეგ ადვილია! — ანუგეშა ბიჭმა. მერე შეაგდო ნატვრისთვალი და უთხრა: ჩემო ნატვრისთვალო, ნატვრით გინატრებ და ნატვრა შემისრულე! აქედან ხელმწიფის სასახლემდე ისეთი ხეხილი გააშენე, რომ რიგისა ყვაოდეს, რიგისა მწიფდეს, რიგისა იკრიფებოდეს.

ბიჭს ნატვრა შეუსრულდა. მეორე დღეს გაგზავნა თავისი დედა ხელმწიფესთან და დააბარა: კიდევ რას დამავალებო? დედაკაცი მივიდა ხელმწიფესთან და შვილის დანაბარები მოახსენა. ხელმწიფემ ახლა ამგვარი რამ უბრძანა:

— ისეთი ხალიჩა მოქსოვოს, რომ ჩემი სასახლიდან მის სახლამდე გზაზე გაიფინოს და ერთი იმდენი კიდევ დარჩეს.

დედაკაცი დაემშვიდობა და წამოვიდა. შინ რომ მივიდა, შვილს უთხრა: ხელმწიფემ დამბარა, ისეთი ხალიჩა მოქსოვოს, რომ ჩემი სასახლიდან მის სახლამდე მთელ გზაზე გაიფინოს და ერთი იმდენი კიდევ დარჩესო.

— ეგეც ადვილია! — უთხრა ბიჭმა. ამოიღო თავისი ნატვრისთვალი, შეაგდო მაღლა და უთხრა: ჩემო ნატვრისთვალო, ნატვრით გინატრებ და ნატვრა შემისრულე! ჩემი სახლიდან ხელმწიფის სასახლემდე ოქროს ბაწრით ნაქსოვი ხალიჩა დაფინე! ის ხალიჩა ისეთი გრძელი უნდა იყოს, რომ მთელი გზაც დაფაროს და ერთი იმდენი დარჩესო.

ბიჭს ნატვრა შეუსრულდა. მეორე დღეს კიდევ გაგზავნა ხელმწიფესთან დედა, მივიდა და მოახსენა: დიდებულო ხელმწიფევ, კიდევ რას დააკალებთ ჩემს შვილს?

— სიტყვა მოგეცით და უნდა შევასრულო: მოვიდეს და წაიყვანოს ჩემი ქალი.

დედამ შვილს მოუტანა ამბავი და თანაც დაუმატა: შვილო, ხელმწიფის ხალხს კარგი დახვედრაც უნდა და კარგი სასახლეც.

— ნუ გეშინია, დედი, ეგეც ადვილია! — ამოიღო თავისი ნატვრისთვალი, შეაგდო მაღლა და შესძახა: ჩემო ძვირფასო ნატვრისთვალო, ნატვრით გინატრებ და ნატვრა შემისრულე! ისეთი სასახლე დამიდგი ბაღითა და გალავნით, რომ ხელმწიფესაც კი შეშურდეს მისი დანახვა! — თქვა თუ არა, ისეთი სასახლე გადაიჭიმა, რომ მზის სხივებზე ათასფრად ელავდა მისი კედლების ქვები და სახურავი. ბიჭმა კვლავ შეაგდო ნატვრისთვალი: — ჩემო ნატვრისთვალო, ნატვრით გინატრებ და ნატვრა შემისრულე! საქორწილოდ ისეთი სუფრა გამიშალე, რომ ხელმწიფეს შეშურდეს მისი დანახვა! — გაიშალა ოქროს სუფრა ოქროს ჯამ-თეფშითა და კოვზებით. რა საჭმელებს ინატრებდა ადამიანი, რომ იქ არ იყო! ჩიტის რძეც კი ოქროს თასებით იდგა.

ბიჭმა წამოიყვანა ხელმწიფის ქალი, გადაიხადა დიდი ქორწილი და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

ერთ დღეს ბიჭი მახლობელ ქალაქში წავიდა. ამ დროს ჩამოიარა ერთმა მეწვრილმანემ და დაიძახა: ალმასის ბეჭდები და საყურეები გასაყიდიო! ხელმწიფის ქალმა აიყვანა მეწვრილმანე სასახლეში და საყურეების არჩევა დაიწყო. მეწვრილმანემ მოჰკრა თვალი ნატვრისთვალს, რომელიც სარკის წინ იდო; მაშინვე მიხვდა, რაც იყო, და

თავის გუნებაში გადაწყვიტა: რადაც უნდა დამიჯდეს, ხელში უნდა ჩავიგდოო. ხელმწიფის ქალმა შეარჩია ალისფერთვლიანი საყურეები და გამყიდველს ჰკითხა:

— ამათ რა ფასი აქვთ?

— მაგ საყურეებს ვერ გავყიდი, აი, იმ ბეჭედზე კი შემიძლია გაგიცვალოთ. ისიც თქვენი ხათრის გულისთვის, — უპასუხა მეწვრილმანემ.

ხელმწიფის ქალმა არ იცოდა იმ ბეჭდის ძალა, აიღო და გადაცვალა საყურეებზე.

მეწვრილმანემ მაშინვე ინატრა: ნატვრისთვალო, მე და ეს ქალი სასახლიდან აგვაფრინე ცისიერად და ერთ შუა ზღვაში, კუნძულზე დაგვაფრინეო. მეწვრილმანეს შეუსრულდა ნატვრა: აფრინდა სასახლე და ერთ უკაცურ კუნძულზე დაეშვა.

ბიჭი დაბრუნდა ქალაქიდან და, რაკი აღარც სასახლე დახვდა თავის ადგილას და აღარც ხელმწიფის ქალი, მაშინვე ნეკზე იკბინა: მიხვდა, რომ ნატვრისთვალი ვიღაცამ ჩაიგდო ხელში და ცოლი და სასახლეც იმან გაიტაცა. მწარედ დაღონდა, მაგრამ რაღას უშველიდა! წავიდა მათ საძებრად.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, შემოხვდა გზაზე ძაღლი.

— გამარჯობა, ბიჭო, რად დაღონებულხარ? — ჰკითხა ძაღლმა.

— ცოლი, სასახლე და ნატვრისთვალი ვიღაცამ მომტაცა, იმათ საძებრად მივდივარ, — უპასუხა ბიჭმა.

— მეც დაგეხმარები. განა დამავიწყდა ის სიკეთე? შენ რომ არ გადაგერჩინე, ახლა ჩემი ძვლებიც აღარ იქნებოდა.

ბიჭმა გაიყოლა ძაღლი და გაუდგნენ გზას.

იარეს, იარეს და შემოხვდათ ახლა კატა.

— გამარჯობა, ძმობილო, რად დაღონებულხარ? — ჰკითხა მან. ბიჭმა იმასაც უამბო თავისი ამბავი.

— მეც დაგეხმარები. განა აღარ მახსოვს, შენ რომ სიკეთე გამიწიე და მიხსენ სიკვდილისაგან? — უთხრა კატამ. ბიჭმა ისიც თან გაიყოლა და გაუდგნენ გზას. გაბრაზებული კატა გზა-გზა სულ მუსრს ავლებდა თაგვებს — არც დიდს ინდობდა, არც პატარას. თაგვები შიშის ზარმა აიტანა, ლამის შიმშილისაგან ამოწყდეს მთელი სათაგვეთი, სოროს გარეთ ცხვირი ვეღარავინ გამოჰყო. თაგვებმა კრება გამართეს, მოილაპარაკეს, მოითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ თავისი ხელმწიფისათვის შეეჩივლათ და რაიმე დახმარება გამოეთხოვათ. ასეც მოიქცნენ.

სათაგვეთის ხელმწიფემ დაიბარა კატა და ჰკითხა:

— რა დაგიშავეს თაგვებმა, რომ ასე პირაღებით ხოცავ ყველას?

— მაგათ იციან და არ მეუბნებიან, სად არის ჩემი ძმობილის სასახლე, მისი ცოლი და ნატვრისთვალი, — უპასუხა კატამ.

სათაგვეთის ხელმწიფემ დაიბარა მთელი თაგვები და გამოუცხადა:

— ბატონი კატა ძალიან გაჯავრებული ყოფილა იმაზე, რომ გცოდნიათ და არ ეუბნებით თურმე, სად არის მისი ძმობილის სასახლე, ცოლი და ნატვრისთვალი. გიბრძანებთ: ვინც იცის, დაუყოვნებლივ თქვით, თორემ მთელ სათაგვეთს ამოწყვეტა მოელის!

— ჩვენი მტერი უნდა იყოს, ვინც იცის და არ მოახსენებს ბატონ კატას! — ერთხმად შესწრუწუნეს თაგვებმა. ჯერ ყველა ჩუმად იყო, მერე კი გამოვიდა ერთი კოჭლი თაგვი და ხელმწიფეს მოახსენა:

— მოგახსენებთ სიმართლეს: ერთ დღეს დავინახე ჰაერში მოფრინავდა ერთი ძვირფასი სასახლე და ზღვაში კუნძულზე დაეშვა.

— დღეიდან ჩემი შიში ნუღარ გექნებათ, შეგიძლიათ თავისუფლად იაროთ ყველგან, მხოლოდ ეს თაგვი უნდა გამოვყვეს იმ კუნძულის საპოვნელად! — სთხოვა კატამ სათაგვეთის ხელმწიფეს.

— შენ, ეი, კოჭლო თაგვო! ახლავე გაჰყევი ქვეყნის მბრძანებელს — კატას და ვიდრე იმ კუნძულს არ იპოვი, სათაგვეთისაკენ პირი არ იბრუნო! — უბრძანა თაგვების ხელმწიფემ.

კატამ მიიყვანა ბიჭთან კოჭლი თაგვი და უთხრა: აი, ამას დაუნახავს ჰაერში აფრენილი თქვენი სასახლე და ისიც სცოდნია, თუ სად დაშვებულა.

ბიჭს ძალიან გაუხარდა ეს ამბავი. გაუდგნენ გზას. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მივიდნენ ერთი ზღვის ნაპირზე. თაგვმა უთხრა: ის კუნძული, აი, ამ ზღვის შუაგულში იმყოფება, იქამდე კი წყალი უნდა გავცუროთ.

— ძმობილო, შენ აქ დაიცადე, ჩვენ კი შევცურდებით და, სადაც იქნება, თუ არ იქნება, ვიპოვით იმ კუნძულს, — უთხრა კატამ ბიჭს.

— რაკი ჩემი გულისთვის თავს იწუხებთ, ეს სიკეთეც მიყავით: ეცადეთ როგორმე, ის ნატვრისთვალი წამომიღოთ, — სთხოვა ბიჭმა.

კატა ძაღლს შეაჯდა, კატას — თაგვი და შეცურეს ზღვაში.

ბევრი იცურეს, ბევრი ზღვის ღელვა და ქარიშხალი გამოიარეს, ბოლოს გავიდნენ იმ კუნძულზე, სადაც ის სასახლე იდგა. ძაღლი ზღვის ნაპირას დარჩა, კატა და კოჭლი თაგვი კი წავიდნენ სასახლისკენ. როცა მიუახლოვდნენ, კატამ თაგვს უთხრა: შენ შეძვერ შიგ-

ნით და პირველ რიგში ის გაიგე, სადა აქვთ შენახული ის ნატვრისთვალიო.

თაგვი შეძვრა სასახლეში, მიიარ-მოიარა მთელი ოთახები, მაგრამ ნატვრისთვალი ვერსად ნახა. გამოვიდა და კატას მოახსენა: ბატონო კატავ, მთელი ოთახები შემოვიარე, პატარა ხვრელიც კი არ დავტოვე გაუსინჯავი, მაგრამ ნატვრისთვალს ვერსად წავაწყდი. სასახლეში ერთი მზეთუნახავი ქალია და ერთი კაცი.

— მაშინ უსათუოდ კაცს ექნება. შეძვერ ისევ და კარგად უთვალთვალე, გაიგე, საიდან გამოიღებს და სად შეინახავს! — უბრძანა კატამ. თაგვი შეძვრა ისევ სასახლეში და კაცს თვალს არ აშორებდა. როცა ქალი და კაცი პურის საჭმელად სუფრას შემოუსხდნენ, თაგვმა შენიშნა, რომ კაცმა პირიდან გამოიღო ნატვრისთვალი, გამოძვრა მაშინვე და კატას მოახსენა: ბატონო კატავ, ნატვრისთვალი კაცს პირში აქვს დამალულიო.

კატა სიხარულით ცას ეწია. ჯერ გაიქცა და გამოიქცა, გადახტა და გადმოხტა. მერე კი შეხტა მაღლა და ბასრი ბრჭყალებით ჰაერს მოეპოტინა. თაგვი შიშისაგან ილეოდა, ფიქრობდა: სურვილმა არ მოუაროს და თათი არ დამკრასო.

— რაკი ვიპოვნეთ, რაც გვინდოდა, გამოტანა ადვილია. შედი, კუდი ჯერ ცეცხლზე მოიტრუსე, მერე ძმარში ამოივლე და, როცა იმ კაცს ეძინოს, ცხვირშიც შეუყავ და ტუჩებზეც მოუსვი. იმას შეეზიზღება, გადმოაფურთხებს და თან გადმოაყოლებს ნატვრისთვალსაც. შენ კი მზად იყავ, დასტაცე პირი და გამოაქციე.

თაგვი შეძვრა ისევ სასახლეში და, როგორც უბრძანა კატამ, ისიც ისე მოიქცა. როცა კაცს ტკბილად ეძინა, თაგვმა თავისი გატრუსული კუდი ჯერ ტუჩებზე მოუსვა, მერე კი ღრმად ცხვირში შეუყო. კაცს ეგონა, გველი შემიძვრაო, წამოვარდა გიჟივით, ხველება და ცემინება აუვარდა. დაავიწყდა თავისი ნატვრისთვალი და პირიდან გამოუვარდა. თაგვმა დაავლო მაშინვე პირი და გამოიქცა. მიურბენინა კატას და მოახსენა:

— აი, ბატონო კატავ, მოვიტანე, — და ნატვრისთვალი დაუგდო წინ. კატას ახლა უფრო ძალიან გაუხარდა: ჯერ გაგორდა და გამოგორდა. იქ ახტა და ჩამოხტა, აქ მაღალ ჩირგვებს გადაევლო და. თაგვთან ერთად. ზღვის სანაპიროსკენ მოკურცხლა.

— ძმობილო, ვიპოვეთ ნატვრისთვალი! — ახარა კატამ ძაღლს.

ახლა ძაღლმა დაიწყო ნავარდობა: გაიქცა და გამოიქცა. აქ ჩირგვებს შემოურბინა, იქ თავის ამხანაგებს გაეთამაშ-გამოეთამაშა. საწყალი კატა ინაბებოდა, შიშისაგან ფერწასული, და თავისთვის

ფიქრობდა: ჩვენი ძველი მტრობა არ მოაგონდეს და კბილი არ გამკრასო.

როცა ძაღლმა მოიმხიარულა, ამხანაგებს უთხრა: აბა, ახლა გავუდგეთ გზას, მხოლოდ ნატვრისთვალი მე მომეცითო.

კატა ციე უარზე იყო, ეუბნებოდა: მე შენი ამბავი ვიცი, გზაში თევზებს რომ დაინახავ, დაჭყეფ და ნატვრისთვალი პირიდან წამოგვარდებაო. დიდი დავიდარაბის შემდეგ ძაღლმა მაინც თავისი გაიყვანა. ჩაიდო ნატვრისთვალი პირში, შეისვა ზურგზე კატა, კატას თაგვი შეახტა და შეცურდნენ ზღვაში. ის იყო უახლოვდებოდნენ ნაპირს, რომ ძაღლს წინ ერთი ჭრელი თევზი გადაეღობა და გზას არ აძლევდა. ძაღლმა ითმინა, ითმინა, ბოლოს ვეღარ მოითმინა, შეჭყეფა და ნატვრისთვალი პირიდან გადმოუვარდა. თევზი გამოეკიდა ბეჭედს, დაეწია და გადაყლაპა.

დაღონდნენ მგზავრები. კატამ უსაყვედურა ძაღლს, ჩემი სიტყვა რად არ გაიგონეო, მაგრამ საყვედურით რაღას უშველიდა. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს ეს მოიფიქრა: მოდი, იმ ბეჭდის დაკარგვას მე დავიბრალებ, დავბრუნდები უკანვე, იქნებ ვიპოვო. ამით ძაღლის გულსაც მოვიგებ და ბიჭისასაც. ასეც მოიქცა. როცა ბიჭთან მივიდნენ, კატამ უთხრა:

— ძმობილო, შენი დავალება შევასრულეთ, ნატვრისთვალი წამოვიღეთ, მაგრამ ზღვაში გამოსვლის დროს დიდმა თევზმა შემაშინა, დავიკნავლე და წყალში ჩამივარდა. იმედი კი არ დაკარგო, მე ისევ დავბრუნდები უკან და შევეცდები, ის ნატვრისთვალი კვლავ ხელში ჩავიგდო.

— ჯანდაბას, — თქვა ბიჭმა, — ის ბეჭედი იმას ხომ მაინც აღარ ექნება, ვინც ცოლი, სასახლე და ნატვრისთვალი მომტაცა. სხვა რომ არა იყოს რა, პური შემოაკლდებათ და შიმშილით დაიხოცებიან.

ბიჭი, ძაღლი და თაგვი გაუდგნენ ისევ გზას. კატამ კი ისევ ზღვას მიაშურა. ერთ ადგილას მეთევზეებს ქოხი ჰქონდათ გაკეთებული და თევზს იჭერდნენ. კატა შევიდა ქოხში. მეთევზეებს ძალიან გაუკვირდათ: ეს კატა მიწიდან ამოძვრა თუ ზღვამ გამოაგდო ნაპირზეო! მოეფერნენ: ფისო! ფისოო! კატაც მიუახლოვდა და კრუტუნი დაიწყო.

როცა მეთევზეები საჭმელად თევზებს გამოწელავდნენ, კატა მივიდოდა და წელებს სინჯავდა ხოლმე.

— ჩვენი კატა ხორცზე არ გვეცილება და წელებზე ირთობს თავს, — ამბობდნენ მეთევზეები.

ერთ დღეს მეთევზეებმა ჭრელი თევზი დაიჭირეს, გამოწელეს და მოსახარშად ქვაბში ჩადეს. კატამ იცნო თევზი და გადაყრილ წელებს გულდასმით დაუწყო სინჯვა. სინჯვის დროს კბილი რაღაცას გამოსდო. ბრჭყალებით გასწი-გამოსწია და რას ხედავს! შიგ ნატვრისთვალია. გახარებულმა დაავლო პირი მაშინვე და გამოიქცა. მეთევზეები მისძახოდნენ: ფისო! ფისოო! მაგრამ კატას უკანაც აღარ მოუხედავს. ბევრი ირბინა თუ ცოტა, წამოეწია თავის ამხანაგებს. ბიჭს წინ დაუდო წითელთვლიანი ბეჭედი და უთხრა:

— აი, ძმობილო, მოგიტანე ნატვრისთვალი!

ბიჭმა სიხარულისაგან აღარ იცოდა, რა ექნა. კატას ხან ერთ თვალში კოცნიდა, ხან მეორეში. მერე აიღო თავისი ნატვრისთვალი, შეაგდო მაღლა და უთხრა: ჩემო ნატვრისთვალო, ნატვრით გინატრებ და ნატვრა შემისრულე! ის ჩემი სასახლე ისევ ძველ ადგილას დამიდგი!

ბიჭს ნატვრა შეუსრულდა. შინ რომ მივიდა, სასახლე კვლავინდებურად იქ დახვდა. მეწვრილმანე მაშინვე გაქცეულიყო. მზეთუნახავი ცოლი კი ეზოშივე გამოეგება და გადაეხვივნენ ერთმანეთს.

ბიჭმა თავისთან დატოვა ძაღლი, კატა, კოჭლი თაგვი და დღესაც ბედნიერად ცხოვრობენ.

თვალჩიტა

იყო ერთი უშვილო სოვდაგარი, მდიდარი კაცი. ერთ დღეს ამ სოვდაგარმა თავის ცოლს უთხრა: მე სხვა სახელმწიფოში მივდივარ, დავრჩები სრულ ათ წელიწადს, თუ ამ ხანს გადასცდა და არ მოვედი, მაშინ მკვდარი ვიქნები, მიტირე და მიგლოვეო.

რა წელიწადსაც ეს მდიდარი კაცი წავიდა, იმ წელიწადს დედაკაცს გაუჩნდა ვაჟი.

სოვდაგარი სხვა სახელმწიფოში დარჩა თხუთმეტი წელიწადი. შვილიც გაუხდა თხუთმეტი წლისა. ცოლი მიცემული ვადის გასვლის შემდეგ ყოველდღე მოელოდა თავის ქმარს, მაგრამ რაკი მოლოდინი გაუცრუვდა, მკვდრად ჩათვალა, ჩაიცვა შავები და როგორც შეჰფეროდა, იტირა და იგლოვა.

დაიწყო მეთექვსმეტე წელიწადი. სოვდაგარმა გადაწყვიტა, დაბრუნებულიყო თავის ქვეყანაში, შეკრა, რაც კი რამ წამოსაღები

ჰქონდა, დაიწერა პირჯვარი, ახსენა ღმერთი და გაუდგა გზას. ხმელეთზე ეტლით იარა, ზღვას რომ მიადგა, ჩაჯდა გემში და წამოვიდა. შუა გზა არც კი ექნებოდა გამოვლილი, რომ ზღვის ქაჯმა დაიჭირა გემი და აღარსაით უშვებდა.

— შე დალოცვილო ღმერთო, რა დაგიშავე ისეთი, რომ თხუთმეტი წელიწადია სახლში არა ვყოფილვარ და ახლაც შუა წყალში გამაჩერე! — საყვედურით ამბობდა სოვდაგარი.

— შენი უცოდინარი მე მომეკი და ახლავე გავუშვებ გემს, — ამოსძახა დეევქაჯმა.

„ცოლი მყავს — ვიცი, სახლები მაქვს — ვიცი, აბა, სხვა რაღა უნდა იყოს ჩემი უცოდინარი?“ — ფიქრობდა დაღონებული სოვდაგარი. ბოლოს ჩასძახა:

— შენი იყოს, ოღონდ გამიშვი, რომ ჩემს ოჯახში მშვიდობით მივიდე.

— გაგიშვებ, მხოლოდ გახსოვდეს: წლის თავზე თვითონ უნდა მოვიდეს ჩემთან, პირობა არ გატეხო, თორემ მთელს შენს ქვეყანას ზღვას წავაღებინებ! — მუქარით ამოსძახა ქაჯმა.

გემი დაიძრა და წამოვიდა. ხმელეთზე რომ გადმოვიდა, თავის ცოლს აცნობა, მოვდივარო.

დედაკაცმა დაიჭირა ეტლი, ჩაისვა თავისი შვილი და შუაგზაში მიეგებნენ. ცოლი მოეხვია დიდი ხნის უნახავ ქმარს და გადაკოცნეს ერთმანეთი.

— ეს შენი შვილია, უკვე თხუთმეტი წლისაა; შენ რომ წახვედი, იმ წელიწადს მეყოლა, — უთხრა ცოლმა.

სოვდაგარს გაახსენდა ქაჯისათვის მიცემული პირობა და ძალიან დაღონდა: შვილი მყოლია და სხვას მივეცი.

მოვიდნენ სახლში. ეს კაცი აღარც პურსა ჭამს, აღარც ხმას იღებს.

— კაცო, რა მოგივიდა, რამ დაგაღონა? შვილის გაჩენა ხომ არ გეწყინა? — ჰკითხა ცოლმა.

— ნუ მკითხავ! — უპასუხა ქმარმა.

— მაინც მინდა გავიგო: შვილის ყოლა გაგიხარდა თუ გეწყინა?

— ჩემი უცოდინარობით შვილი სხვას მივეცი და იმაზე ვარ დაღონებული, — უპასუხა სოვდაგარმა და ყველაფერი დაწვრილებით უამბო ცოლს.

— მამა, ვადა არაფერი მოგცა? — ჰკითხა შვილმა.

— ხუთოლოდ ერთი წელიწადი, ჩემო ბიჭიკო, მერე კი იმასთან უნდა გაგგზავნო.

— ნუ დარდობ. მამაჩემო, ერთ წელიწადს ვიხაროთ, მერე კი წავალ და ისე იფიქრე, ვითომ შვილი არა გყოლია.

სიტყვა შორს ალარ მიდის და ეს წელიწადიც მალე გავიდა.

— მამავ. აბა, ახლა მაწყავლე, სად და ვისთან უნდა მივიდე. — უთხრა შვილმა.

მამას არ ემეტებოდა შვილი, მაგრამ მეექვარის აცხადებისა ეშინოდა და უთხრა: აი, იმ მხარეს წახვალ, რამდენიმე დღის შემდეგ მიაღწევი ერთ ზღვას. შენ იქ ნაპირზე დაჯექი და დაიძახე: ზღვის ქაჯო, მამაჩემმა პირობა რომ მოგცა, მოვედი-თქო! ის გაიგებს ამ ხმას, გამოვა და წაგიყვანს.

ბიჭი გაემზადა წასასვლელად. ჩაიდო ჩანთაში რამდენიმე პური. ცოტა ყველი, გადაკოცნა თავისი მშობლები და გაუდგა გზას. მიდის ეს ბიჭი, თვითონაც არ იცის, საით მიდის. ბოლოს, როგორც იყო, მიადგა ერთ ზღვას. ნატარ-ნამგზავრს წყალი მოსწყურდა. მიიხედ-მოიხედა და იქვე წყარო დაინახა, მივიდა, ცივი წყლით გაიგრილა გახურებული გული, პურიც ჭამა და ცოტა ხნით იქვე წამოწვა. დაღლილს მალე ძილიც მოეპარა. სიზმარში ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა:

— აქ რას უწევხარ, ადექი! აქვე ახლოს გამოქვაბულია, შედი იმ გამოქვაბულში და დაიმალე. შუადღისას სამი ქალი მოფრინდება აქ, იმ ზღვის ხელმწიფისა, რომელთანაც შენ უნდა მიხვიდე. ისინი დაიხდიან ტანისამოსს, ცალ-ცალკე დააწყობენ, შევლენ ზღვაში და იბანავებენ; შენ თვალი დაიჭირე, სულ პატარას ტანისამოსი აიღე და დამალე, ვიდრე ცოლ-ქმრობის პირობა არ მოგცეს, არ გამოუჩინო. ქალები რომ გამოვლენ წყლიდან, ერთს ისეთს დაიწვლებენ, რომ ხე ხეს ეცემა, ქვა—ქვას, მთა—მთას, შენ გამოქვაბული დაგიფარავს, არაფერი დაგიშავდება.

ბიჭს გამოეღვიძა, ადგა მაშინვე და დაიწყო გამოქვაბულის ძებნა. იქით მიდგა, აქეთ მოდგა და ბოლოს შავად გამოთხრილი გვირაბი დაინახა. მივიდა, შევიდა შიგ და დაიმალა. კარგა რომ ჩამოცხა, მოფრინდა სამი ქალი, დაიხადეს ტანისამოსი და შეცვივდნენ საბანაოდ ზღვაში. ბიჭმა როცა დრო შეურჩია, ჩავიდა, აიღო პატარა დის ტანისამოსი და ისევ გამოქვაბულში დაიმალა.

უფროსმა დებმა როცა ცურვით გული იჯერეს, გამოვიდნენ და თანაც ისეთი დაიწვლეს, რომ ხე ხეს ეცა, ქვა—ქვას და მთა—მთას. მერე ჩაიცვეს ტანისამოსი და გაფრინდნენ.

პატარა და კი დიდხანს ეთამაშებოდა ზღვის ტალღებს. ბოლოს,

ომაცაც მოეწყინა, გამოვიდა, ბევრი ეძება ტანისამოსი, მაგრამ რაკი ვერარსად იპოვა, მიხვდა, ვიღაცამ დამიმალაო და დაიძახა:

— ძმად მეკუთვნი — ძმა იყავი, მამად მეკუთვნი — მამა იყავი, ოღონდ ტანისამოსი გამომიჩინე!

ბიჭმა არც ხმა გასცა და არც გამოჩნდა. შეწუხდა ქალი და დაიძახა:

— შენ ქმარი და მე ცოლი, ოღონდ გამომიჩინე ტანისამოსი!

ბიჭი მაშინ კი გამოვიდა გამოქვაბულიდან და მიუტანა ტანსაცმელი. ქალმა ჩაიცვა საჩქაროდ და უთხრა:

— მე ჩემს პირობას ვერ გადავუხვევ, დღეიდან შენ ქმარი და მე ცოლი... წავიდეთ სახლში.

ქალი გამოეძღვა წინ და გაუდგნენ გზას.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მიადგნენ ერთ მარმარილოს სასახლეს. ქალმა შეიყვანა ბიჭი ერთ ოთახში, მოუმზადა კარგი ვახშამი, აქეიფა და შერე ჰკითხა:

— ვინა ხარ, ან სადაური ხარ?

ბიჭმაც ყველაფერი უამბო. ქალმა უთხრა: ვისთანაც შენ მიდიხარ, ის მამაჩემია — ზღვის ხელმწიფე; ის ქალები, ჩემთან რომ ბანაობდნენ, ჩემი დები არიან. ჩვენ კიდევ ცალკე ვცხოვრობთ. ავმა დედინაცვალმა გამოგვრეკა. მამაჩემთან რომ მიხვალ, ოთხ რამეს დაგავალებს, მაგრამ არ შეშინდე, მე დაგეხმარები.

მეორე დილის ადგნენ ორივენი. ქალმა დაანახვა მამის სახლი და გაისტუმრა. გასწია სოვდაგრის ბიჭმა, მივიდა დეექაჯთან და უთხრა:

— მოვედი შენი ტყვე, აბა, რას დამავალებ?

ზღვის ხელმწიფემ საღამომდის ბიჭს არა უთხრა რა, შებინდებისას კი დაიბარა და გამოუცხადა:

— აი, იმ მინდორზე, ამ ადგილიდან იმ ადგილამდე, — თანაც შორიდან შემოუხაზა, — გათენებამდე ისეთი გალავანი უნდა შემოავლო, რომ სამი მხარი სიმაღლე ჰქონდეს და ერთი მხარი სიგანე, თუ ვერ შეასრულებ ამ დავალებას, ცეცხლზე შეგწვავ და ისე შეგჭამ!

დაბრუნდა ბიჭი ჩაფიქრებული.

— რამ დაგაღონა? — ჰკითხა ქალმა.

— მამაშენმა დამავალა: აი, იმ მინდორს გათენებამდე ისეთი გალავანი უნდა შემოარტყა, რომ სამი მხარი სიმაღლე ჰქონდეს, მხარი კი — სიგანეო. ჯადოქარი ხომ არა ვარ, რომ შევუბერო, ვუთხრა, აშენდი-მეთქი, და აშენდეს.

— ნუ გეშინია, ეგ ადვილია, სხვა ძნელია, — ანუგეშა ქალმა.

მოუტანა კვლავ პური, ღვინო, თვითონაც გვერდით მოუჯდა, კარგად ავახშმა და დააძინა, თვითონ კი ამოიღო წითელი ვაშლი და თქვა: ჩემო წითელო არაბებო, გაჭირვებისათვის გახსენებთ, ახლავე ჩემთან დაიბადეთ!

თქმა და ცხრა არაბის შემოსვლა ერთი იყო. ქალმა უბრძანა:

— ამა და ამ მინდორს გათენებამდე ისეთი გალავანი უნდა შემოარტყათ, რომ სამი მხარი სიმაღლე ჰქონდეს, მხარი კი — სიგანე.

არაბები მაშინვე გაქრნენ.

გათენდა. ქალმა გააღვიძა ბიჭი, ააფარა ფეშტამალი, მისცა ხელში ქაფჩა და უთხრა:

— გალავანი მზად არის. შენ წადი ახლა და კედლებს აქა-იქ ქაფჩა უსვი.

ბიჭიც წავიდა და, როგორც ცოლმა დაარიგა, ისე მოიქცა.

დილით გამოიხედა ზღვის ხელმწიფემ და, გალავანი რომ დაინახა, თავის ავ ცოლს უთხრა:

— დედაკაცო, დაინახე, ჩვენს ტყვეს როგორი გალავანი შემოურტყამს!

— დაგიდგეს თვალი! შენმა ტყვემ კი არ შემოარტყა, შენმა პატარა ქალმა შემოარტყმევინა არაბებს, — უთხრა ცოლმა და თანაც ქოქოლა მიაყარა.

ზღვის ხელმწიფე გაბრაზდა, ერთი მაგრად სცემა და უთხრა: სახლიდან გამიძევე შვილები და იქაც აღარ ეხსნებიო!

სოვდაგრის ბიჭი საღამომდის იქ დარჩა, შებინდებისას კვლავ დაიბარა ხელმწიფემ და უთხრა: ამ გალავანში ისეთი ბაღი უნდა გააშენო, რომ რიგისა ყვაოდეს, რიგისა მწიფდეს, რიგისა იკრიფებოდესო.

ბიჭი წამოვიდა შინ დაღონებული.

— რამ დაგაღონა? — ჰკითხა ცოლმა.

— აგრე მითხრა: ისეთი ბაღი უნდა გააშენო, რომ რიგისა ყვაოდეს, რიგისა მწიფდეს, რიგისა იკრიფებოდესო.

— ნუ გეშინია, ეგ ადვილია, სხვა ძნელია, — ანუგეშა ქალმა, — წადი და თესლები გამოართვი.

წავიდა ბიჭი, გამოართვა თესლები და წამოვიდა. ცოლმა ავახშმა კარგად და დააძინა. თვითონ კი ამოიღო წითელი ვაშლი და თქვა: ჩემო წითელო არაბებო, გაჭირვებისათვის გახსენებთ, ახლავე ჩემთან დაიბადეთ!

სიტყვა შორს მიდის და შემოვიდა ცხრა არაბი. ქალმა მისცა თესლები და უბრძანა: წადით და იმ გალავანში გათენებამდის ისეთი

ბაღი გააშენეთ, რომ რიგისა ყვაოდეს, რიგისა მწიფდეს, რიგისა იკრიფებოდესო.

არაბები უცებ გაქრნენ.

გათენდა. გალავანში მართლა ისეთი ბაღია გაშენებული, რომ, რა ხილი გინდა, იქ არ არის: რიგისა ყვავის, რიგისა მწიფს.

ქალმა გააღვიძა ბიჭი, ააფარა ფეშტამალი და უთხრა: წადი, შედი ბაღში და სადაც მწიფე იყოს, ხელს შეაწვდიდეო.

ბიჭი წავიდა. დადის ბაღში და აქა-იქ მწიფე ხილს კრეფს.

გამოიხედა ხელმწიფემ, გაშენებული ხეხილის ტყე რომ დაინახა, დაუძახა თავის ცოლს და უთხრა: გამოიხედე, დედაკაცო, ჩვენს ტყეს როგორი ბაღი გაუშენებიაო!

— დაგიდგეს თვალი, ტყეემ კი არა, შენმა პატარა ქალმა გააშენაო, — უპასუხა ცოლმა.

ზღვის ხელმწიფემ ახლა კი ჯოხით სცემა და თან დაჰყვიროდა: დაეხსენ იმ საწყალ გოგოს! თავი დაანებე!

საღამომდის ის ბიჭი იქ იყო, შებინდებისას კვლავ დაიბარა ხელმწიფემ და უთხრა: — აი, ამ ზღვას ხომ ხედავ? ამაღამ ზედ ისეთი სპილოს ძვლის ხიდი უნდა ააგო, რომ ცხრა ხელმწიფის ჯარმა ზედ თამამად გაიაროსო!

წამოვიდა ბიჭი დაღონებული.

— რამ დაგაღონა? — ჰკითხა ხელმწიფის ქალმა.

— ასე მითხრა: ამ ზღვაზე ისეთი სპილოს ძვლის ხიდი უნდა გასდო, რომ ზედ ცხრა ხელმწიფის ჯარმა გაიაროს. თანაც ერთ ღამეში უნდა გააკეთოო.

— ეგ ადვილია, სხვა ძნელია! — ანუგეშა ქალმა.

მოუტანა პური, ღვინო, თვითონაც გვერდით მოუჯდა, აჭამა, დაათრო და დააძინა. თვითონ კი ამოიღო უბიდან წითელი ვაშლი და უთხრა: ჩემო წითელო არაბებო, გაჭირვებისათვის გახსენებთ, ახლავე ჩემთან დაიბადეთო!

ამის თქმა და არაბების იქ გაჩენა ერთი იყო.

— წადით ახლავე და გათენებამდე აი, იმ ზღვაზე ისეთი სპილოს ძვლის ხიდი გადეთ, რომ ზედ ცხრა ხელმწიფის ჯარმა გაიაროს!

არაბები მაშინვე გაქრნენ. ქალმა დილაბნელზე გააღვიძა ბიჭი, ააფარა ფეშტამალი, მისცა ხელში ჩაქუჩი და უთხრა:

— ხიდი მზადაა. წადი და ამ ჩაქუჩით აქა-იქა ჩაუკაკუნე ხოლმეო.

წავიდა სოვდაგრის ბიჭიც, ხელში უჭირავს ჩაქუჩი და აქა-იქ უკაკუნებს.

გამოიხედა ზღვის ხელმწიფემ და, ხიდი რომ დაინახა, ცოლს დაუძახა:

— ერთი დაინახე, ჩვენს ტყვეს როგორი ხიდი გაუდვია ზღვაზე!

— დაგიდგეს თვალი, ემაგრე გატყუებენ! ტყვემ კი არა, ეგ ხიდი შენმა პატარა ქალმა გააკეთაო!

ზღვის ხელმწიფემ ახლა კი კეტითა სცემა თავის ცოლს.

ის ბიჭი საღამომდის იქ იყო.

ხელმწიფეს ორი რაში ჰყავდა: ნიავქარი თვალთუალა და გულთმისანი თვალჩიტა. თვალთუალა სახლში ჰყავდა საჯდომად, თვალჩიტა კი ჯოგში იყო გაშვებული. შებინდებისას ზღვის ხელმწიფემ დაიბარა თავისი ტყვე და უთხრა:

— წადი ჯოგში, დაიჭირე ჩემი თვალჩიტა და მომგვარე.

ბიჭი გახარებული წამოვიდა სახლში. გზაში ფიქრობს: რა ცხენი უნდა იყოს ისეთი, რომ ვერ დავიჭიროო.

ცოლმა მხიარული რომ დაინახა თავისი ქმარი, ჰკითხა:

— დღეს რაღაც გახარებული დაბრუნდი, რა დაგავალა?

— ეს დავალება კი ადვილია. მითხრა: ჩემი თვალჩიტა დაიჭირე და მომგვარეო.

— ეგ ყველაზე ძნელია, მაგრამ ჩვენ მაინც ვეცადოთ. წადი მამაჩემთან და გამოართვი ცხრა ლაგამი, ცხრა ალმასის აღვირი, ალმასის ბორკილი და უნაგირი.

ბიჭი გაბრუნდა უკან და გამოართვა, რაც კი ცოლმა დააბარა.

ქალმა მოუტანა კარგი ვახშამი, კარგი ღვინო, დაათრო და დააძინა. გათენებამ რომ მოატანა, ამოიღო წითელი ვაშლი და თქვა: ჩემო წითელო არაბებო, გაჭირვებისათვის გახსენებთ, ახლავე ჩემთან მოფრინდითო. ქალს სიტყვა ჯერ არც კი დაემთავრებინა, რომ გაჩნდა ცხრა არაბი, ქალმა გააღვიძა თავისი ქმარი, შეასხდნენ ორივენი არაბებს და წავიდნენ რაშის დასაჭერად.

მზე ახლად იყო ამოსული, რომ იალაღზე გასულ ჯოგს მიუახლოვდნენ. თვალჩიტა გამოსულიყო განზე და აქეთ-იქით იყურებოდა: მტერი ხომ არავინ მოდისო.

ქალმა მისცა არაბებს თოკები და უბრძანა: აი, ის რაში უნდა დაიჭიროთო.

რომელი არაბიც კი მიუახლოვდებოდა თვალჩიტას, ის გამოუქანდებოდა, დაჰკრავდა წინა ფეხებს და იქვე კლავდა. რაშმა ცხრავე დახოცა. ჯერი ახლა სოვდაგრის ვაჟზე მიდგა: ქალმა მისცა თოკი, თვითონ კი დაიჭირა ხელში ბასრი დანა და უთხრა: მე შენ

მკვდარს ვერ გიხილავ თვალით. რაში გამოქანდება თუ არა შენსკენ, დანას დავიცემ გულშიო.

ქალი და ვაჟი გადაეხვივნენ ერთმანეთს და გამოემშვიდობნენ. ბიჭმა აიღო თოკი, ახსენა ღმერთი და გაემართა დასაჭერად. თვალჩიტამ შორიდანვე დაუძახა: მებრალებით დასახოცად, მოდით, დამიჭირეთ და შემასხედითო!

ბიჭი და ქალი მივარდნენ რაშს, ჯერ ყელზე მოეხვივნენ, მერე კი შეასხდნენ ზედ და ზღვის გაღმა ქვეყნისაკენ გააქროლეს.

ზღვის ხელმწიფე მოუთმენლად მოელოდა თავის ტყვეს, მაგრამ რომ აღარ დაბრუნდა. ცოლს უთხრა: რაკი აღარ დაბრუნდა ჩვენი ტყვე, ეტყობა, რაშმა მოინელაო.

— შენ კი დაგიდგეს ეგ თვალები! შენი პატარა ქალი და ის ტყვე თვითონ თვალჩიტაზე სხედან ახლა და სხვა ქვეყნისკენ მიქრიან.

ზღვის ხელმწიფემ ამჯერად კი დაიჯერა ცოლის სიტყვები, შეჯდა მაშინვე თვალთულაზე და გამოუდგა უკან.

ნახევარი გზა რომ გაიარეს, თვალჩიტამ უთხრა ბიჭს: აბა, მიიხედე უკან, ხომ არაფერი მოჩანსო.

ბიჭმა მიიხედა და უთხრა: შორს რაღაცა ბუზისოდენა მოჩანსო.

— ის უსათუოდ ჩემი პატრონია. მე ვიქცევი ვაზებად, ქალს ვაქცევ ყურძნად, შენ კი — მეზვრედ, ხელმწიფე ვერ გვიცნობს და გადავრჩებითო. თქმა და ასრულება ერთი იყო. ბიჭი უვლის გარშემო ვენახს და თან ვაზებს ეალერსება.

ზღვის ხელმწიფე მიუახლოვდა ბიჭს და ჰკითხა: აქეთ ცხენიან ბიჭს და ქალს ხომ არ გაუვლიათ?

— მთელი წელიწადი აქა ვმუშაობ და არა კაცი არ დამინახავს, — უპასუხა ბიჭმა.

დაბრუნდა უკან განაწყენებული ზღვათა ხელმწიფე.

ვაზები იქცა ისევ რაშად, მტევნები — ქალად, შესხდნენ კვლავ თვალჩიტაზე და გაუდგნენ გზას.

ზღვათა ხელმწიფე სახლში რომ მივიდა, ცოლმა ჰკითხა:

— რა ჰქენ, ვერ დაეწიე?

— ვერა.

— არც გზაში შეგხვედრია ვინმე?

— მხოლოდ ერთი მეზვრე ვნახე, ვაზებს ათვალიერებდა.

— დაგიდგეს ეგ თვალი! ის ვენახი შენი რაში იყო, ყურძენი — შენი ქალი, მევენახე კი — შენი ტყვე. რატომ არ მოკალ ის მევენახე და რატომ სულ არ გადაჭერი ის ვაზები?

ზღვის ხელმწიფე შეჯდა ისევ თავის თვალთულაზე და გამოუდგა უკან.

მირბის თვალჩიტა, მაგრამ იცის, რომ თუ პატრონი თვალთულათი გამოეკიდა, ვერსად წაუვა.

— აბა, მიიხედე უკან, ხომ არაფერი მოჩანს? — უთხრა რაშმა ბიჭს.

— რაღაცა მოჩანს ძალიან შორს.

— ეგ უსათუოდ ჩემი პატრონია. მე ვიქცევი საყდრად, ქალს ვაქცევ ხატად, შენ კი გაქცევ მღვდლად.

სიტყვის თქმა და შესრულება ერთი იყო. ბიჭი მღვდლის ტანისამოსში გამოწყობილი დგას საყდარში და რაღაცას დუდუნებს. გამოიარა ზღვის ხელმწიფემ და ჰკითხა:

— აქეთ ცხენიან კაცსა და ქალს ხომ არ გაუვლია?

— წელიწადზე მეტია, ამ საყდარში ვარ და ფრინველიც არ დამინახავს მაღლა გადაფრენილი, არათუ ადამიანი.

ზღვის ხელმწიფე გამობრუნდა უკან. საყდარი ისევ ცხენად იქცა, ხატი — ქალად, მღვდელი — ბიჭად და კვლავ გაუდგნენ გზას. ზღვის ხელმწიფე სახლში რომ მივიდა, ცოლმა ჰკითხა: — ახლაც ვერ დაეწიე?

— ვერა.

— არც არავინ შეგხვედრია გზაში?

— ერთ საყდარში მღვდელი ვნახე და რაღაცას ბუტბუტებდა.

— დაგიდგეს ორივე თვალი, ის საყდარი შენი რაში იყო, ხატი — შენი ქალი, მღვდელი კი — შენი ტყვე. შე უბედურო, ის საყდარი უნდა დაგენგრია, ხატი დაგემტვრია. მღვდელი კი მოგეკლა.

ცოლმა ჩამოიყვანა ქმარი რაშიდან, თვითონ შეჯდა ზედ და გამოუდგა.

მირბის თვალჩიტა, მაგრამ სად გაექცევა თვალთულას?

— აბა, მიიხედე უკან, ხომ არაფერი მოჩანს? — უთხრა რაშმა ბიჭს.

— ვიღაცა ნიავქარივით მოაქროლებს ცხენს, — უპასუხა სოვდაგრის შვილმა.

თვალჩიტა იქცა დიდ ტბად, ქალი და ბიჭი — იხვებად, სხედან წყალში და ლივლივებენ.

ზღვის ხელმწიფის ქაჯი ცოლი მოვიდა თუ არა ტბასთან, გადმოხტა მაშინვე, დაეწაფა წყალს და დაუწყო წრუტვა.

წყალი ნელ-ნელა კლებულობდა, იხვებიც თან მისდევდნენ

წყალს. .ის იყო, უნდა დაღუპულიყვნენ იხვები, რომ დედაკაცი წყლით გაიბერა, გადაბრუნდა და მოკვდა.

ტბა ისევ იქცა რაშად, იხვები კი — ქალ-ვაჟად.

— სულ ლუკმა-ლუკმად აქციე ეგ წყეული, თორემ კიდევ არ მოგვასვენებს, — უთხრა ქალმა ბიჭს.

ბიჭმა იშიშვლა ხმალი და ქაჯი დედაკაცი სულ აკუწა. შემდეგ ერთი შეჯდა თვალთულაზე, მეორე — თვალჩიტაზე და გაუდგნენ გზას.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მივიდნენ ბიჭის მშობლებთან. დედ-მამას ძალიან გაუხარდა და კარგი ქორწილიც გადაუხადეს.

გავიდა ხანი, პატარძალი დაორსულდა და ქალი გაუჩნდა. მშობლებმა გადაწყვიტეს, ბავშვისათვის ისეთი სახელი მიეცათ, რომელიც მხოლოდ მშობლებს უნდა სცოდნოდა და სხვას — არავის. ბევრი ფიქრის შემდეგ ქალს დაჯექალა დაუძახეს.

გაიზარდა ეს ქალი, უკვე გასათხოვარი გახდა. დედ-მამამ გადაწყვიტა, შვილი იმისათვის მიეთხოვებინა, ვინც მის სახელს გამოიცნობდა. მოდიან მდიდრის შვილები, მაგრამ მისი სახელი ვერავის ვერ გამოუცვნია. გამოიარა ამ დროს ერთმა არაბმა, თავმოყრილი ახალგაზრდები რომ დაინახა, ერთ ბებერს ჰკითხა:

— დედი, რა ამბავია, რისთვის დგას ეს ხალხი?

— მანდ, შვილო, ქალია გასათხოვარი, ვინც იმის სახელს გამოიცნობს, მშობლებიც იმას მიათხოვებენ, მაგ ახალგაზრდებსაც იმისათვის მოუყრიათ თავი.

— მერე რომ გამოვიცნო, მომათხოვებენ? — იკითხა არაბმა.

— შენ რაღა ხარ!.. აღთქმა ისეთი აქვთ.

არაბი შევიდა ეზოში და დაიძახა: მაგ ქალს დაჯექალა ჰქვია!

რაკი არაბმა ქალის სახელი გამოიცნო, მშობლებმა, აღთქმის თანახმად, მას მიათხოვეს.

დაჯექალა მწარედ ტიროდა და წყევლიდა თავის ბედს: ეს როგორ მეწერა, რომ არაბი უნდა შემხვედროდა ქმრადო.

ბევრი ინაღვლა დაჯექალამ, ბევრი ცრემლიც ღვარა, მაგრამ რას გააწყობდა: მშობლების სიტყვას წინ როგორ აღუდგებოდა.

— აბა, ახლა ჩემს სახლში უნდა წავიდეთ! — უთხრა არაბმა თავის ცოლს.

მწარედ დაღონდა დაჯექალა.

— ჩემო საყვარელო მშობლებო, მე ხომ უბედურ ვარსკვლავზე ვყოფილვარ დაბადებული, ეს ნატვრა მაინც შემისრულეთ, ჩვენი თვალჩიტა გამაყოლეთ მზითევში.

მშობლები როგორ ეტყოდნენ უარს ბედისაგან დაჩაგრულ შვილს.

შეუკაზმეს თვალჩიტა, შესვეს ზედ დაჯექალა, წინ არაბი გაუმძღვარეს და გაისტუმრეს. თვალჩიტას თან გააყოლეს თავისივე ლაგამი და ბორკილებიც.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, გავიდნენ ერთ გაშლილ მინდორზე. არაბმა ჩამოიყვანა დაჯექალა რაშიდან და უთხრა: ცოტა ხანს აქ დავისვენოთ, ცხენსაც ეშიებაო.

ქალმა ბალახზე მოიკეცა, არაბმა კი თავი მიდო მის მუხლებზე და მალე ხვრინვა ამოუშვა. არაბს ერთი ზნე სჭირდა: თუ დაიძინებდა. ერთ კვირამდე აღარ გამოეღვიძებოდა. დაჯექალა დაჰყურებს არაბის შავ პირისახეს და თვალები ცრემლებით ევსება. თვალჩიტაც იქვე დგას და დაღონებული უყურებს ქალს:

— ადე, დაჯექალა, შემაჯექი და სხვა სახელმწიფოში გაგიყვან,— უთხრა რაშმა.

— ვაითუ გაიგოს?

— თავი ნელა გადაუწიე, თუ გაიღვიძოს, უთხარი, მუხლი დამეღალა-თქო. ერთი შემჯექი და მერე გინდა მთელი არაბეთი დაგვედევნოს, შენ ნურაფრისა გეშინია.

ქალმა არაბს მძიმედ გადაუცურა თავი, ადგა და შეჯდა რაშზე. თვალჩიტა ნიავქარივით გაფრინდა. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, გავიდნენ ერთ ქვეყანაში. რაშმა უთხრა: ვაჟკაცის ტანისამოსი იყიდე და ის ჩაიცვიო.

დაჯექალამ იყიდა ვაჟკაცის ტანისამოსი და იმაში გამოეწყო. ვაჟი გამოჩნდა ისეთი, რომ ადამიანს თვალი ზედ დარჩებოდა.

ერთ დღეს ქალმა თავისი რაშით ხელმწიფის სასახლის წინ ჩაიარა, დაინახა რკინის კარებთან შეიარაღებული ჯარისკაცები, მივიდა და უთხრა: სათხოვარი მაქვს ხელმწიფესთან, ან გამიშვით, ან თქვენ მიმიყვანეთ იმასთანაო.

კარისკაცებმა ვეზირს მოახსენეს, ვეზირმა კი — ხელმწიფეს. ხელმწიფემ ბრძანა, შემოეყვანათ სტუმარი. ვაჟურად ჩაცმული დაჯექალა ისეთი ლამაზი იყო, რომ ხელმწიფე კინაღამ გადაირია.

— რას ითხოვ, ახალგაზრდავ? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— მცირე სათხოვარი მაქვს, დიდებულო ხელმწიფევ, შორეული ქვეყნიდან ვარ წამოსული, არც ბინა მაქვს, არც საჭმელი, გთხოვთ, ცოტა ხნით მიმსახუროთ და თავშესაფარიც მომცეთ.

— ახლავე გამოუნახეთ ბინა ამ ვაჟს და მის ცხენსაც, სასმელ-საჭმელი არ მოაკლოთ! — უბრძანა ხელმწიფემ თავის ვეზირს.

დაჯექალას მისცეს პატარა ოთახი, თვალჩიტა კი თბილ თავლაში დააბინავეს. გავიდა ერთი კვირა, გავიდა მეორე, მესამე... აღარ უშვებენ სასახლიდან. ხელმწიფეს მისი ტოლი ბიჭი ჰყავდა და ისე შეეჩვია დაჯექალას, რომ უიმისოდ პურსაც აღარ ჭამდა.

დაჯექალას ვაჟობაზე ეჭვი აიღო დედოფალმა და ერთ დღეს გამოუტყდა თავის შვილს:

— შვილო, ჩვენი სტუმარი ბიჭი კი არა, ქალი უნდა იყოს.

— რას ამბობ, დედავ, ქალი რომ იყოს, ვაჟკაცურად ეცმებოდა?!

— თუ არ გჯერა, აბა, ღვინოში გამოსცადე!

ხელმწიფის ვაჟი მართლა დააეჭვიანა ამ სიტყვებმა და ერთ დღეს, როცა ამხანაგები ბაღში ისხდნენ, ხელმწიფის ვაჟმა უთხრა დაჯექალას: ერთხელ მე და შენ ღვინის სმაში უნდა შევეჯიბროთ ერთმანეთსო.

ქალი მეტად ჩააფიქრა ამ სიტყვებმა და დაღონებული თავის რაშთან შევიდა.

— რადა ხარ დარდიანი, ჩემო საყვარელო პატრონო? — ჰკითხა თვალჩიტამ.

— ეჰ, ჩემო ერთგულო მეგობარო, როგორ არ ვიყო დაღონებული: მეფის შვილმა მითხრა, ღვინოში შევეჯიბროთო. ვიცი, დავითვრები და ჩემს ქალობას შეიტყობენ.

— ნუ გეშინია, ჩემო საყვარელო, როგორც დაგარიგო, ისე მოიქეცი: სადღეგრძელო რომ დალიო, გუნებაში თქვი: მე ღვინოს დავლევ, თვალჩიტა კი დათვრეს-თქო. ღვინო მე მომეკიდება, შენ კი ფხიზელი დარჩები. მხოლოდ პურის ჭამა რომ მოათავო, მალე მომხედე, მთვრალი არ წავიქცე.

დაჯექალა გახარებული გამოვიდა და ხელმწიფის შვილს ღვინოში შეჯიბრებაზე თანხმობა გამოუცხადა.

შემოუსხდნენ მაგიდას. ბიჭმა ექვსი ხელადა ღვინო თვითონ დაიდგა, ექვსი კი ამხანაგს დაუდგა. დაიწყეს სმა. დაჯექალა სვამს სადღეგრძელოს, გუნებაში კი ამბობს: მე ღვინოს დავლევ, ჩემი თვალჩიტა კი დათვრესო. დალიეს ექვს-ექვსი. ბიჭმა კიდევ მოიტანა: სამი ხელადა თვითონ დაიდგა, სამი მას დაუდგა. თითო ხელადაც რომ დალიეს, ხელმწიფის ვაჟი დათვრა და იქვე მიეძინა. დაჯექალა კი ადგა მაშინვე, თან წაიღო სველი ტილო და თავლაში შევიდა. თვალჩიტა მართლა ისე დამთვრალიყო, რომ ფეხზე ძლივსღა იდგა. ქალმა მოუსვა თვალებზე სველი ტილო და მოაბრუნა.

ხელმწიფის შვილი ისე იყო გალახული ღვინისაგან, რომ ორ-სამ დღეს ლოგინიდან ვეღარ ადგა.

— დედავ, რად მოაკვლევინე ჩემი თავი, არ გეუბნებოდი, რომ ბიჭი არის-მეთქი!

— არა, შვილო, ახლაც გეუბნები, რომ ეგ ქალია და ვაჟის ტანისამოსშია გადაცმული. თუ არა გჯერა, მე თვითონ გამოვტეხ.

ხელმწიფის ცოლს ძალიან მოსწონდა დაჯექალა და გუნებაში გადაწყვეტილი ჰქონდა, ჩემ შვილს შევრთავო.

— შვილო, ვიცი, რომ ქალი ხარ, გამიგონე: გაიხადე ეგ ვაჟური ტანისამოსი და ჩემს შვილს მისთხოვდი. ამაზე კარგ ადგილას სხვაგან სად წახვალ?

რა ჰქონდა საუარო? გაიხადა დაჯექალამ ტანისამოსი და ხელმწიფის შვილმა ჯვარი დაიწერა მასზე. ცხოვრობდნენ ბედნიერად და საამურად.

გავიდა შვიდი თვე და სხვა სახელმწიფომ ომი გამოუცხადა ამ სახელმწიფოს. დაიწყო სამზადისი. ხელმწიფემ ბრძანა, ქუდზე კაცი გამოსულიყო.

დაღონდა დაჯექალა. ის არა მარტო ქმარზე წუხდა, არამედ ერთგულ ცხენზეც.

ერთ დღეს, როცა დაჯექალა გვერდით უდგა და ეალერსებოდა, თვალჩიტამ უთხრა: მე ვიცი, რომ ხელმწიფის შვილი ომში თან წამიყვანს. ჩემი მოკაზმულობიდან ან ალმასის ლაგამი დაიტოვე, ან ალმასის ბორკილი. თუ რამ გაგიჭირდეს, აიღე ის ჩემი სახსოვარი, მახსენე და იმწამსვე შენთან გავჩნდებიო.

ხელმწიფის ვაჟი გაემზადა ომში წასასვლელად, შეკაზმა თვალჩიტა.

ცოლი დიდხანს ეხვეწა, რომ დაეტოვებია ან ალმასის ბორკილი, ან ალმასის ლაგამი, მაგრამ ქმარმა არ გაუგონა და ორივე თან წაიღო.

გავიდა ორი თვე, დაჯექალას ოქროსთმიანი ქალ-ვაჟი გაუჩნდა. გახარებულმა ხელმწიფემ და დედოფალმა მაშინვე წერილი მისწერეს ომში წასულ შვილს: ოქროსთმიანი ქალ-ვაჟი გეყოლა, გეამება თუ გეწყინება, პასუხი შეგვატყობინეო. მისცეს ეს ბარათი ფეხმარდ შიკრიკს და გაგზავნეს.

შიკრიკმა ჩაიდო წერილი ქუდის ყალამაში და გაუდგა გზას.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა ერთ წყაროს; ნატარ-ნამგზავრს წყურვილისაგან პირი უშრებოდა, მივიდა, გულიანად დაეწაფა, დალია წყალი, მერე კი წამოწვა და მალე ძილიც მოერია.

სწორედ ამ დროს გამოიარა იმ არაბმა, რომელმაც ცოლად შეირთო დაჯექალა. არაბმა დაუნახა შიკრიკს ქუდის ყალამაში წერილი, ამოაცალა, გაშალა და წაიკითხა: ოქროსთმიანი ქალ-ვაჟი გე-

ყოლა, გეწყინა თუ გეამა, მოგვწერეო. არაბმა დახია ეს წერილი და თვითონ სხვა დაწერა: ძაღლის ლეკვები გეყოლა, გეწყინა თუ გეამა, მოგვწერეო. ჩაუდო ისევ ქუდის ყალამაში და თვითონ კი იქვე ერთ ჩირგვს მოეფარა.

შიკრიკს გამოეღვიძა, პირი ცივი წყლით დაიბანა, მერე ცოტა წაისაუზმა და გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ბრძოლის ველზე, მონახა ხელმწიფის შვილი და წერილი მიართვა. ვაჟს გაუხარდა, გახსნა მაშინვე და წაიკითხა: შენს ცოლს ძაღლის ლეკვები ეყოლა, გეწყინა თუ გეამა, პასუხი მოგვწერეო.

— შე დალოცვილო ღმერთო, უბედურება არ მეყოფა, რომ ახალგაზრდა კაცი ყოველ წუთს სიკვდილს თვალებში შევყურებ? ის ძაღლის ლეკვები რაღაა ჩემ შესარცხვენად! — ჩაილაპარაკა ხელმწიფის შვილმა და მწარე ფიქრებს მიეცა. ბოლოს, ჩაიქნია ხელი და ასეთი წერილი მისწერა თავის დედ-მამას: ძაღლის ლეკვები კი არა. გინდა კატის კნუტები იყვნენ, ვიდრე მე არ დავბრუნდე, ცივი ნიავიც არ მიაკაროთო.

შიკრიკმა გამოართვა წერილი, ჩაიდო ქუდის ყალამაში და წამოვიდა. წყაროსთან რომ მოვიდა, დაისვენა და დაღლილ-დაქანცულს კვლავ ტკბილად ჩაეძინა. სად იყო, სად არა, გაჩნდა ისევ ის არაბი, ამოაცალა წერილი, წაიკითხა, დახია და გადაყარა. ამოიღო ქაღალდი და ასეთი წერილი დაწერა: ჩემი შვილები გინდა ოქროსთმიანები იყვნენ, სამი დღე და ღამე საკირე ახურეთ და შიგ დაწვით, თორემ თუ ცოცხალი დავბრუნდი, ყველას სახრჩობელაზე ჩამოგკიდებთო. ჩაუდო წერილი ქუდის ყალამაში და ისევ მიიმალა.

შიკრიკს გამოეღვიძა, დაიბანა პირი, ცოტა წაისაუზმა კიდეც და წამოვიდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ხელმწიფესთან და მიართვა შვილის გამოგზავნილი წერილი. ოჯახში სათითაოდ წაიკითხეს და გაუკვირდათ: დასაწვავად როგორ იმეტებს ოქროსთმიან შვილებსაო. ძალიან დაღონდნენ, ბევრიც იფიქრეს, მაგრამ რას იზამდნენ. დღეს ხელმწიფე ის ვაჟი იყო და აქ მის ბრძანებას ვინ გადაუხვევდა! შეუკეთეს საკირეს, ახურეს სამი დღე და ღამე. მაგრამ ვერ იპოვეს ისეთი კაცი, რომ ეს ლამაზი ბავშვები ცეცხლში ჩაეყარა. სიბრალულის გამო არავინ ეკარებოდა. დაჯექალას ცოდვით მაღლა ცა იწვოდა და დაბლა დედამიწა. სწორედ ამ დროს გამოიარა იმავე ბოროტმა არაბმა, ხალხი რომ დაინახა, დაინტერესდა და ერთ ბებერს ჰკითხა:

— მითხარ, დედაშვილობას, ამ ხალხს რისთვის მოუყრია აქ თავი, ან იმ საკირეს რისთვის ახურებთ?

— ხელმწიფის ოქროსთმიანი ქალ-ვაჟი უნდა დაწვან, მაგრამ ბავშვებს ცოდვით არავინა ჰკიდებს ხელს.

— მე ჩავყრი! — დაიყვირა არაბმა და გაეშურა სასახლისაკენ. გულთმისანმა თვალჩიტამ უმალ შეიტყო თავისი პატრონის გასაჭირი. წუხს, ჭიხვინით იკლებს ბრძოლის ველს, მაგრამ რა ქნას: თავი ალ-ბასის ლაგმითა აქვს მიბმული წიფლის ხეზე, ფეხებში კი ალმასის ბორკილები აქვს გაყრილი. მოიკრიფა მთელი ძალ-ღონე, გასწია, დაწყვიტა ბორკილები, წიფელი ძირიანად მოგლიჯა და მოკურცხლა. მორბის თვალჩიტა და თან მოაქვს მთელი არემარე.

არაბმა, ის იყო აიყვანა ბავშვები და საკირეს უახლოვდებოდა, რომ მოვარდა თვალჩიტა და გამწარებულმა დაიჭიხვინა: რას შვრები, შე სულწაწყმედილო, შენაო.

შეშინებულმა არაბმა დაყარა მაშინვე ბავშვები და გაქცევა დააპირა, მაგრამ თვალჩიტამ სტაცა კბილები და გავარვარებულ საკირეში გადააგდო.

დაჯექალამ ეს ამბავი რომ შეიტყო, გამოიქცა მაშინვე, მოეხვია თვალჩიტას ყელზე და ხან ერთ თვალს უკოცნიდა, ხან — მეორეს.

— აიყვანე ეს ბავშვები და შემაჯექი ზედ, — უთხრა რაშმა თავის საყვარელ პატრონს.

უარს როგორ ეტყოდა დაჯექალა თავის მხსნელს!

შეჯდა. შემოისხა წინ თავისი შვილებიც, აუკრა ცხენს ლაგამი და გააფრინა.

თვალჩიტა ნიავქარივით მიქროდა. ბევრი იარა, ათასი მთა გადაიარა, ბოლოს გავიდა ერთ ტრიალ მინდორზე და დადგა.

— ჩამოდით! — უთხრა რაშმა თავის პატრონს.

დაჯექალაც ჩამოვიდა თავისი ოქროსთმიანი შვილებით.

— მე სიკვდილი მიახლოვდება, — დაიწყო თვალჩიტამ. — ცხოვრებისა არ შეგეშინოს, არ იდარდო, არ მიტირო, მომისმინე და რაც გითხრა, ის შეასრულე: რომ მოკვდები გამატყავე, ხორცი დაჭერი, ძვალი ცალკე დააწყვე, რბილი — ცალკე, მერე აიღე ძვლები და მინდორში შორი-შორს დაყარე, იქ მაღალი გალავანი შემოევლება; ჩემი ორი ფეხი, აი, იმ ალაგას, ერთმანეთის პირდაპირ. დადე; იქ შესასვლელი კარები შეებმება; მერე აიღე ხორცი, ჩაიწყვე კალთაში, ჩაიარე შუა მინდორში და რიგზე ერთი იქით გადააგდე, მეორე — აქეთ. ახლა იქიდან ამოიარე და რიგზე ერთი იქით გადააგდე, მეორე — აქეთ. იმ ადგილებში ქალაქი გაშენდება ფართო და გრძელი ქუჩებით, მაღაზიებით და სასადილოებით; ჩემი თავი თავით დაიდეთ, ძუა — ფერხთით, ტყავი ზედ დაიხურეთ, ორი ფეხი აქეთ-

იქიდან დაიდეთ. იმ ადგილას კი აშენდება მარმარილოს სასახლე, რომელშიაც თქვენ იცხოვრებთ. შენ იქნები ამ ქალაქის მბრძანებელი დედოფალიო.

თვალჩიტამ დაამთავრა თუ არა თავისი ანდერძი, წაიქცა და მოკვდა. დაჯექალამ ბევრი იტირა, ბევრი მწარე ცრემლი დააფრქვია თავის ერთგულ მეგობარს, მაგრამ რაღას უშველიდა!

როცა ტირილით გული იჯერა, მერე ადგა, რაში გაატყავა, დაჭრა, ძვალი ცალკე, რბილი ცალკე და შემდეგ, როგორც უთხრა, მინდორში ისე დაალაგა. ამასობაში დაბინდდა კიდეც, თვალჩიტას თავი თავით დაიდეს, ძუა — ფერხთით, ფეხები აქეთ-იქით დაილაგეს, ტყავი ზედ დაიხურეს, დაწვნენ და დაიძინეს.

გათენდა. გამოიღვიძა დაჯექალამ და რასა ხედავს! თავისი ბავშვებით მდიდრულად მორთულ ოთახში იწვა. დაჯექალა არ უჯერებდა თვალებს და ყველაფერი ეს სიზმარი ეგონა. თავს ადგეს ძვირფასად ჩაცმული მოსამსახურე ქალები და ეკითხებოდნენ: რას გვიბრძანებთ, დედოფალო!

დაჯექალა ადგა, გააღვიძა ბავშვებიც. მსახურებმა გაშალეს სუფრა და რას ინატრებდა ადამიანი, რომ იქ არ იყო! დედოფალმა ისაუზმა და ახლა გარეთ გავიდა. გადაიხედა და რას ხედავს! სასახლე, რომელშიაც თვითონ ცხოვრობდა, აშენებული იყო შუა ბაღში; ბაღში ათასგვარი ხეხილი და ყვავილი ყვაოდა, გალობდნენ სხვადასხვა ფრინველები; მოჩუხჩუხებდნენ ანკარა და ცივი წყაროები. სასახლის წინ იდგა დიდი ვაშლის ხე, რომლის კენწერო მესამე სართულს სწვდებოდა. იქ, სადაც ძვლები დაყარა, შემოვლებული იყო მაღალი გალავანი; სადაც ფეხები დაყარა, იქ დიდი კარები იყო შებმული; სადაც ხორცი დაყარა — ფართო ქუჩები გაჭიმულიყო, ქუჩების ორივე მხარეს კი დუქნები და სასადილოები იყო ჩამწკრივებული.

იმ ქალაქს ქალთა ქალაქი დაარქვა ხალხმა, რადგან ხელმწიფედ ქალი ჰყავდა. ხმა გავარდა მთელ სახელმწიფოში, რომ ამა და ამ ადგილას ქალთა ქალაქი გაჩნდაო. ყოველდღე ათასი მნახველი მიდიოდა მის სანახავად.

დაჯექალას ქმარი ბრძოლის ველიდან სახლში რომ დაბრუნდა და ცოლ-შვილი აღარ დახვდა, ძალიან დანაღვლიანდა, აღარც იცინოდა, აღარც ლაპარაკობდა. ყოველდღე მოდიოდნენ მისი სწორ-ამხანაგები, ცდილობდნენ, რომ გაერთოთ და დარდი გადაეყარათ გულიდან, მაგრამ არ იქნა და არა, ახალგაზრდა ხელმწიფეს შუბლი აღარ გაეხსნა.

ასე მიდიოდა დრო და ხანი.

ერთ დღეს, როცა ხელმწიფის ვაჟის გასართობად თავი მოეყარა მის ამხანაგებს, შევიდა დედოფალი და შეეხვეწა: ქვეყანა რომ მიდის იმ ახალი ქალაქის სანახავად, გაატარეთ ჩემი შვილი, იქნება ვაერთოს და ცოლ-შვილის დარდი გადაეყაროს გულიდანო.

სტუმრებს მოეწონათ დედოფლის აზრი, შეაბმევინეს ეტლი, ჩასხდნენ შიგ, ჩაისვეს ხელმწიფის შვილიც და წავიდნენ.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, შევიდნენ ქალთა ქალაქში. დაჯექალამ შეიტყო თუ არა მათი მისვლა, თავის ოქროსთმიან ბიჭიკოს უთხრა: შვილო, აგერ იმ ეტლით მამაშენი მოვიდა, ჩაირბინე და სასახლეში მოიპატიჟე. ვინაობას კი ნუ ეტყვი.

ბავშვი გაიქცა გახარებული. თავი აბრეშუმის თავსახვევით ჰქონდა შეხვეული, რომ ოქროს თმები არ გამოსჩენოდა. მიირბინა მომავალ ეტლთან, გააჩერა და შიგ მსხდომთ უთხრა: დედოფალი გთხოვთ, რომ მასთან აბრძანდეთ სასახლეშიო.

სტუმრებმა უარი უთხრეს. ბიჭი არ მოეშვა მაინც: უნდა წამოხვიდეთ, აქ ასეთი წესია: ვინც ახლად შემოდის ამ ქალაქში, დედოფალთან უნდა გამოცხადდესო.

სტუმრებმა ველარ გაბედეს უარის თქმა და გაჰყვნენ ბიჭუნას. ავიდნენ მესამე სართულზე. ხელმწიფის შვილმა შეხედა თუ არა დაჯექალას, თითქოს იცნო, მაგრამ არა სჯერა, ფიქრობს: ჩემი ცოლი რომ იყოს, ესეც ხომ მიცნობდა?.. არა, ჩემს თვალებს მუდამ მისი სახე უდგას წინ და ახლა ასე ეჩვენებათო.

დაჯექალამ მსახურებს უბრძანა: კარგი სადილი მოუმზადეთ საპატიო სტუმრებსო. სადილს ვახშამიც მოჰყვა.

— ამაღამ აქ მოისვენეთ, ხვალ კი ქალაქს დაგათვალიერებინებთ! — უთხრა დაჯექალამ.

სტუმრებმა კარგი დრო ატარეს დიდხანს, მერე კი აიშალნენ სუფრიდან.

— ახლა სუფთა ჰაერზე გაბრძანდით, — უთხრა დაჯექალამ, — მხოლოდ ერთსა გთხოვთ: სასახლის წინ რომ ვაშლის ხე დგას, მას ათი ნაყოფი აბია. გასვლის დროს ვაშლმა არ მიგიტყუოთ და არ მოწყვიტოთ.

— რასა ბრძანებთ, დედოფალო, თქვენი ნებართვის გარეშე როგორ ვიკადრებთ, ხელი შევახოთ რაიმეს! — ერთხმად უპასუხეს სტუმრებმა და მოკრძალებით გავიდნენ გარეთ.

— აი, ის კაცი მამაშენია, მოწყვიტე ერთი ვაშლი და დაწოლის დროს ჯიბეში ისე ჩაუდე, რომ არ დაგინახოს, — უთხრა დაჯექალამ თავის ვაჟს და თანაც თითით ანიშნა.

ოქროსთმიანმა ბიჭმა მოწყვიტა ვაშლი და, როცა სტუმრები დასაძინებლად ემზადებოდნენ, ისე ჩუმად ჩაუდო მამას შარვლის ჯიბეში, რომ მან ვერაფერი შეამჩნია.

გათენდა დილა. სტუმრები აიშალნენ. დაჯექალამ ახლაც ძვირფასი საუზმე მიართვა. როცა პურის ჭამა მოათავეს, დედოფალმა გამოაცხადა:

— ვაშლი ხომ არავინ მოწყვიტეთ?

— რას ბრძანებთ, დედოფალო, მაგას როგორ გავბედავდით! — უპასუხეს სტუმრებმა.

დაჯექალა გამოვიდა, ტყუილად დაიწყო ვაშლების თვლა და ისევ შევიდა:

— ჩემს ხეს ათი ვაშლი ეპა, ერთი ვიღაცას მოუწყვეტია!

შეწუხებულმა სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ახლავე ვიპოვით ვაშლის მომწყვეტს, — თქვა დაჯექალამ და სათითაოდ ყველა გაჩხრიკა. ამოაცალა თავის ქმარს ჯიბიდან ვაშლი და უთხრა: ვაშლის მოწყვეტისათვის სახალხოდ დაისჯებითო.

შერცხვენილ ხელმწიფის შვილს დიდხანს ხმა ვერ ამოეღო, დანარჩენ სტუმრებსაც ენა დაებათ. აქ კი ვეღარ მოითმინა დაჯექალამ და უთხრა:

— დამშვიდდი, ხელმწიფის შვილო, შენც ისევე ცამდე მართალი ხარ, როგორც ჩემი შვილები, რომელნიც საკირეში უნდა დაეწვათ.

თქვა თუ არა ეს, დაუძახა მაშინვე თავის გოგონას და ბიჭუნას, მოხსნა აბრეშუმის თავსახვევები და ალერსიანად გადაუსვა ორივეს ოქროს თმებზე ხელი.

— ესენი შენი შვილები არიან. ამისთანა ბავშვებს მამა სასიკვდილოდ გაიმეტებს?!

აქ კი ვეღარ შეიმაგრა თავი ხელმწიფის შვილმა, გული ამოუჯდა და ცრემლები წასკდა თვალებიდან.

— ჩემო საყვარელო შვილებო! — ქვითინით ამოიძახა მამამ და ხელებგაშლილმა გულში ჩაიკრა ორივე ბავშვი. მერე კი ცოლ-ქმარი გადაეხვივნენ და დიდხანს კოცნიდნენ ერთმანეთს.

სტუმრები ახლა კი მიხვდნენ, რაც მოხდა და გახარებულნი სათითაოდ ულოცავდნენ ორივეს, ხელმწიფესთან კი კაცი აფრინეს მახარობლად.

სასიხარულო ხმამ მთელი ქალაქი ფეხზე დააყენა: დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი ჯარივით მოაწყდა დაჯექალას სასახლეს და ყიჟინით ულოცავდნენ ბედნიერ დღეს.

აშასობაში მობრძანდნენ კიდეც ხელმწიფე და დედოფალი. მთელი სასახლე ვეზირებითა და დიდებულებით გაივსო. გაიმართა სიმღერა და თამაში.

დაჯექალამ ამჯერად კი თვითონ გადაიხადა ხელმეორედ ქორწილი. სასახლეში ცხრა დღე და ღამე განუწყვეტელი სიმღერისა და საკრავების ხმა გაისმოდა. ქალაქის მთელ ქუჩებში აუღებელი სუფრა იყო გაშლილი და გამვლელ-გამომვლელი — ყველა დაჯექალას და მისი მეუღლის სადღეგრძელოს სვამდა. იმ ქორწილში მეც გახლდით და მეფე-პატარძლის სადღეგრძელოდ ცხრა ყანწი ღვინო დავცალე.

ჭირი იქ დავაგდე,
ლხინი აქ მოვიტანე,
ქატო იქ დავყარე,
ფქვილი აქ მოვიტანე.

გლეხი, მოლა და ეშმაკი

ერთი საწყალი გლეხი წერაქვით ხუნჩებს თხრიდა. ის იყო, უკანასკნელი ხუნჩი უნდა ამოეგდო, რომ ამოთხრილი ორპოდან ეშმაკი ამოხტა და წივილ-კივილით ღელისაკენ დაეშვა. სად იყო და სად არა, ძეძვიანი ღობიდან ამოძვრა ერთი მურა მგელი და ეშმაკს დასაჭერად გაეკიდა.

გლეხს შეებრალა ეშმაკი, წამოავლო ცულს ხელი და ჰაე, ჰაეს ძახილით უკან გამოუდგა.

მგელმა სდია, სდია და, რაკი კაციც არ დაეხსნა, თავის საკბილოს თავი დაანება.

ეშმაკი შედგა, მიუბრუნდა გლეხს და უთხრა:

— რადგან სიკვდილს გადამარჩინე, მეც სიკეთით უნდა გადაგიხადო, ოღონდ როგორც დაგარიგო, ისე მოიქეცი: მე გადავიქცევი სახედრად, შენ ბაზარზე გასაყიდად გამიყვანე. მყიდველი ბევრი გამოგიჩნდება, მაგრამ ას თუმანს ფეხი არ მოუცვალო.

ეშმაკი იქცა მართლა კარგ, თეთრ სახედრად. გლეხმა შეაბა თოკი და გაუძღვა წინ. შევიდა თუ არა ბაზარში, ვირმა ისეთი კუნტრუში დაიწყო, რომ გლეხი ხელში ვეღარ იოკებდა. გამვლელი და გამომვლელი ყველა მას უყურებდა და ქებით გაიძახოდა: „აი, ვირი!

ამისთანა საქონელში მიცემული ფული ალალია, ჩემო ძმაო, ალალი!"

მყიდველები ერთიმეორეს ეცილებოდნენ, კინაღამ ჩხუბიც კი მოუვიდათ, მაგრამ, რაკი პატრონი ას თუმანს ფეხს არ უცვლიდა, თვითონაც შენაძლევი ფასის მომატებას ვერა ბედავდნენ.

სად იყო და სად არა, მოვიდა ერთი მდიდარი მოლა. დაინახა თუ არა თეთრი ვირი, ძალიან მოეწონა და გადაწყვიტა: თავის წონა ფულიც რომ დამიფასოს, უნდა ვიყიდოო.

— რას აფასებ შენს ვირს? — ჰკითხა მოლამ.

— ას თუმანს, — უპასუხა გლეხმა.

— მოლავ, ფულიანი კაცი ხარ, მიეცი! მაგისთანა საქონელში ფულის მიცემა არაა დასანანი! — უძახოდა აქეთ-იქიდან მაყურებელი ხალხი.

მოლამ დაუთვალა გლეხს ასი თუმანი, გაიგდო წინ სახედარი და გაუდგა თავისი სახლისაკენ მიმავალ გზას.

ვირი ახლა უფრო გახალისდა: ხან კუნტრუშობდა, ხან აიკლირსებოდა, ხან კი ახალ პატრონს მიუტრიალდებოდა და გაეთამაშებოდა.

მოლაც თვალს არ აშორებდა და სიხარულით გული ევსებოდა.

— ამისთანა სახედარი სწორედ ჩემი საკადრისია! — ჩაილაპარაკებდა ხოლმე მოლა და ნასიამოვნები ჩამოისვამდა ხელს ინით შეღებილ წვერზე.

მოლამ მოიყვანა ვირი თავის სახლში და თავლაში დაბა. იმ დღიდან ის თვითონ უვლიდა საყვარელ პირუტყეს: ჯერ სველი ტილოთი კარგად გაწმენდდა, მერე აუშვებდა ავშარას და ფართო ეზოში სანავარდოდ გაუშვებდა. არც საჭმელს აკლებდა, ქერსა და ქიშმიშს თავსაყრელად აძლევდა. ახურს პირამდე გაუვსებდა ხოლმე.

ერთ დღეს მოლას კვლავინდებურად გამოეყვანა თავისი სახედარი და წმენდდა. იქვე, ახლოს, პატარა სურა ედგა ტილოს გასარეცხად. ვირმა უცბად შეიკუნტრუშა და სურაში ჩაძვრა. მოლა სახტად დარჩა, თვალებს არ დაუჯერა.

ცოტა ხნის შემდეგ ვირმა ჯერ თავისი დიდი ყურები ამოყო, მერე ამოძვრა, დაიკუნტრუშა და ისევ შიგ ჩაძვრა.

მოლა ახლა კი დარწმუნდა, თვალი არ მატყუებსო და მორთო ყვირილი: ჩემი ვირი სურაში ჩაძვრა!.. ჩემი ვირი სურაში ჩაძვრაო!

ყვირილზე შეშინებული გამოცვივდნენ მისი ცოლ-შვილი და მეზობლები. ჰკითხეს: — მოლავ, რა იყო?! რა დაგემართა?!

— ჩემი ვირი, აი, ამ სურაში ჩაძვრა!

— რას ამბობ, მოლავ, ვირი სურაში როგორ უნდა ჩაძვრეს! — ეკითხებოდა გაკვირვებული ხალხი.

მოლა კი ისევ თავისას გაიძახოდა: ჩემი ვირი სურაში ჩაძვრა! ჩემი ვირი სურაში ჩაძვრაო!

ყველანი დაღონდნენ: საწყალი, ჭკუაზე შეიშალაო!

შესვეს მაშინვე მეზობლის ჯორზე და სახელგანთქმულ დალაქთან გააქანეს. მოლას არც იქ ავიწყდებოდა საკვირველი ამბავი და გაიძახოდა: ჩემი ვირი სურაში ჩაძვრა! ჩემი ვირი სურაში ჩაძვრაო!

— ციებ-ცხელება აქვს მორეული, სიცხე თავში ავარდნია! — თქვა დალაქმა. მოლას გახადეს მაშინვე ტანისამოსი, შეუკრეს ხელფეხი, ჩააწვინეს ლოგინში და თავზე ყინული დაადეს.

გავიდა რამდენიმე დღე.

— მოლავ, სად ჩაძვრა შენი ვირი? — ჰკითხა ლოგინთან მჯდომმა დალაქმა.

— ჩემი ვირი სურაში ჩაძვრა! სურაში!...

— მაშ, სიცხე ჯერ ისევ თავში აქვს დაბუდებული, — ჩაილაპარაკა დალაქმა და საწყალ მოლას უფრო დიდი ყინულის ნატეხები დაადო.

მოლას სიცივისაგან თავი გაეყინა, სახე გაულურჯდა.

— საწყალო ჩემო თავო! — ჩაილაპარაკა თავისთვის ლოგინში მწოლიარე მოლამ. — სიმართლეს არავინ გიჯერებს, გიყად გთვლიან და თავზე ყინულებს გადებენ. შენს თავს შენვე თუ არ უშველე, იქნება ამ წამლობით ფეხები გაფშიკო და სიკვდილის შემდეგ მართლა გიყის სახელი შეგრჩეს.

— მოლავ, სად არის შენი კარგი, თეთრი ვირი? —ჰკითხა კვლავ დალაქმა.

— ჩემი ვირი ჩემს თავლაში აბია, — უპასუხა მოლამ.

დალაქს გაუხარდა, ააცალა თავიდან ყინულები, გაუხსნა შეკრული ხელ-ფეხი და უთხრა:

— ახლა სრულიად მორჩენილი ხარ, ჩაიცვი ტანისამოსი და წადი. ოღონდ, თუ ციებ-ცხელება კვლავ გამოგაჩნდეს, დროით მოდი ჩემთან, — დაარიგა დალაქმა.

მოლა წავიდა სახლში. ეზოში რომ შევიდა, გაახსენდა თავისი ვირი და ჩაილაპარაკა: მოდი, ვნახავ, რა დაემართა, მოკვდა თუ ისევ ცოცხალიაო?

შევიდა ოთახში, მიათვალიერ-მოათვალიერა და რას ხედავს!

მის თეთრ ვირს კვლავ ამოეყო სურიდან თავისი დიდი ყურები და აწკაპუნებდა.

მოლამ უყურა, უყურა და ამოოხვრით ჩაილაპარაკა: ეჰ, ჩემო ვირო, ვიცი, რომ მანდა ხარ, მაგრამ ჩემს სიმართლეს ვინღა უჯერებსო.

მენახირე

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყვნენ ორნი ძმანი: ერთი იყო მიწის მუშა, მეორე კი — მენახირე.

გავიდა დრო. უფროსმა ძმამ ცოლი შეირთო. პატარძალმა პირველი დღიდანვე ჩხუბი და ალიაქოთი შეიტანა ოჯახში. ძმები ვეღარ შეთვისდნენ და გაიყარნენ.

პატარა ძმამ ისევ მენახირეობას მოჰკიდა ხელი. სოფელში ბევრი დასცინოდა და პირში ეუბნებოდა: ბიჭო, რას გამოები მაგ ძროხების კუდს, უკეთესი ხელობა ვეღარა ნახეო!

— შეჩვეული ჭირი მირჩევნია შეუჩვეველ ლხინსა, — უპასუხებდა ხოლმე მენახირე.

გავიდა რამდენიმე წელიწადი, მენახირე დავაჟკაცდა, მოუვიდა ცოლის შერთვის დრო. მოუხშირეს მაჭანკლებმა სიარული, ბევრი გაუთხოვარი ქალი უქეს და უდიდეს, მაგრამ არც ერთზე არ მიუვიდა გული.

— შვილო, რაკი საცოლედ არავინ მოგწონს, გაისროლე ისარი და სადაც დაეცემა, შენი ბედიც იქ იქნება, — ურჩია ერთმა დედაბერმა.

— მოდი და ერთი ვცდი ჩემს ბედსა, — თქვა მენახირემ. გაისროლა ისარი და გაჰყვა თან. ისარი ერთ ხავსმოკიდებულ ჭაობში ჩაერჭო. მენახირემ ამოსწია და რას ხედავს! ისრის წვერს მოჰკიდებია ერთი მწვანე ბაყაყი.

— წამიყვანე, შენი ბედი ვარ! წამიყვანე, შენი ბედი ვარ! — ეუბნებოდა ბაყაყი. მენახირემ ყურიც არ ათხოვა მის სიტყვებს და წამოვიდა შინისაკენ. მოდიოდა, უკან კი სკუპ-სკუპით მოსდევდა ბაყაყი. შევიდა მენახირე სახლში და ისიც შეუმჩნევლად შეჰყვა თან.

მეორე საღამოს, როცა მენახირე დაბრუნდა და შინ შევიდა, სახლი დასუფთავებული და დალაგებული დახვდა. გაუკვირდა:

— იქნებ ავ რძალს ახლა დავუტკბი და ის დიასახლისობს ჩემს ოჯახში, — ჩაილაპარაკა თავისთვის მენახირემ და საკითხავად წავიდა.

— მომწყდი თავიდან! მე შენს დაკეტილ სახლთან რა მესაქმება! — ყვავივით დასჩხავლა რძალმა.

მენახირემ გადაწყვიტა, თვითონ ეთვალთვალა. მეორე დილას ძროხები სხვას გაატანა, თვითონ კი კარებს უკან მიიმალა და სული განაბა.

არ გასულა დიდი ხანი, გამოხტა ბაყაყი, გაიძრო მწვანე ტყავი და ისეთი ლამაზი ქალი გამოჩნდა, რომ ბნელი ოთახი მზესავით გაანათა.

ქალმა, ის იყო, აანთო ბუხარი და ოთახის დალაგებას უნდა შესდგომოდა, რომ გამოხტა მენახირე, დაეცა ტყავს და ცეცხლში შეგდება დაუპირა. ქალი ხელებში მივარდა და შეეხვეწა:

—არ დაწვა, თორემ სანანებლად გაგიხდება! მე ხომ ისედაც შენი ცოლი ვარ, ეგ ტყავი კი ბევრ რამეში გამოგვადგება!

მენახირეს შეეშინდა: ვაითუ მომატყუოს, ისევ ბაყაყად გადაიქცეს და ასეთი ლამაზი ქალი ხელიდან წამივიდესო. ამიტომ ბევრი აღარ იფიქრა და ტყავი ცეცხლში შეაგდო.

იმ დღიდან ქალმა და მენახირემ დაიწყეს ერთად ცხოვრება.

მალე გავარდა ამზეთუნახავი ქალის სილამაზის ხმა, მისმა ქებამ ხელმწიფის სასახლემდეც მიაღწია.

ერთ დღეს ხელმწიფემ დაიბარა თავისი ვეზირები და უბრძანა: წადით და სინამდვილით შემიტყვეთ იმ მენახირის ცოლის ამბავი: მართლა ისეთი ლამაზია, როგორც ხმები დადის, თუ ამ უბრალო ხალხს ვიღაც გლეხის გოგო ქალთამზედ ამოსჩვენებიაო.

ვეზირები წავიდნენ. მიდიოდნენ და ვინც კი შეამოხვდებოდათ გზაზე, ყველას ეკითხებოდნენ მზეთუნახავი ქალის ამბავს. მგზავრებიც—დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი—ერთხმად ეუბნებოდნენ: ის ქალი კი არ არის, ამომავალი მზეაო!

ვეზირებმა, როგორც იყო, იპოვეს მენახირის სახლი. არც კი დაუძახეს ოჯახის პატრონს, პირდაპირ შინ შეევიდნენ. მზეთუნახავ ქალს ის იყო, თავი დაებანა და ხშირი, კუპრივით შავი თმა გასაშრობად მხრებზე ჩამოეშალა. იმ წუთში კაცის თვალი იმაზე უკეთესს სხვას ვერაფერს ნახავდა. ვეზირებმა რომ დაინახეს, ჯერ არ დაიჯერეს და თვალების სრესა დაიწყეს — გვეჩვენება თუ სინამდვილეაო! როცა შეიტყვეს, რომ ის მართლა მენახირის ცოლი იყო, გამობრუნდნენ უკან და ხელმწიფეს მოახსენეს: დიდებულო

ხელმწიფევ, შეეასრულეთ თქვენი ბრძანება: მენახირის ცოლი მართლაც საქები ყოფილა! მას სილამაზეში მზეც ვერ შეეტოლება! ის მხოლოდ თქვენი საკადრისია!

— ჩემი საკადრისია და მალე ჩემიც იქნება, — უპასუხა ხელმწიფემ.

— მთელი ძალა და უფლება თქვენს ხელშია, დიდებულო ხელმწიფევ, გვიბრძანე და იმ ქალს ახლავე აქ მოგიყვანთ.

— არა, ძალით წართმევა არ მინდა, ამით ხალხის სალანძღავი გავხდები და კარგად იცით, ყბადაღებული წყალწაღებულიაო; ისევ ისეთ რამეს დავავალებ, რომ მისი შესრულება ქაჯმაც კი ვერ შეძლოს.

ხელმწიფემ დაიბარა მეორე დღეს მენახირე და უბრძანა: ხვალ უნდა წახვიდე და ასი დღიური მიწა კიდეც უნდა მოხნა, კიდეც დათესო და კიდეც დაფარცხო! თუ ვერ შეასრულებ ამ დავალებას, შენს ცოლზე ხელი უნდა აიღოო.

დაღონდა მენახირე. მოდის, მაგრამ მისი გული და ფიქრი ზღვას ერევა. არც კი გაუგია, როგორ მიუახლოვდა თავის სახლს, ან როდის შევიდა შინ.

— რამ დაგაღონა? განა ასეთი რა გითხრა ხელმწიფემ?! — ჰკითხა ცოლმა.

— ხვალ ასი დღიური მიწა უნდა მოხნა, კიდეც დათესო და კიდეც დაფარცხო. თუ ჩემს ბრძანებას არ შეასრულებ, ცოლს წაგართმევო! — უპასუხა მენახირემ.

— ახია შენზე! — უთხრა ცოლმა, — ხომ გეხვეწებოდი, რომ ტყავს ნუ დაწვავ-მეთქი! მაგრამ არა უშავს რა. წადი ახლა იქ, საიდანაც მე წამოგყევი და ჩასძახე შენს სიდედრ-სიმამრს: თქვენმა ქალმა დამაბარა, რომ გუთანი და ნიშა ხარები გამომიგზავნეთ-თქო.

მენახირე წავიდა, მივიდა ჭაობთან და თავის სიდედრ-სიმამრს ჩასძახა: ჩემო სიდედრო და სიმამრო! ჩემმა ცოლმა დამაბარა, თქვენი გუთანი და ნიშა ხარები გამომიგზავნეთო.

არ გაუვლია ხანს, რომ ჭაობის ნაპირზე გაჩნდა გაწყობილი გუთანი შიგ შებმული ნიშა ხარებით. მენახირემ წამოიღო გუთანი და წამოვიდა. სახლში რომ მივიდა, ცოლმა უთხრა: წადი ახლა ხელმწიფესთან და მოახსენე, რომ კაცები გამოგაყოლოს, მოხნული აზომონ და თვალიც დაიჭირონ.

მენახირე წავიდა ხელმწიფესთან და, როგორც თავისმა მზეთუნახავმა დაარიგა, ისე მოიქცა. ხელმწიფემ გამოაყოლა ვეზირები.

მეორე დღეს ჯერ კიდევ დილაბნელი იყო, რომ მენახირემ გა-

აღვიძა ვეზირები, გაიტანა გუთანი ერთ ტრიალ მინდორზე, ახსენა ღმერთი და შეუდგა ხვნას.

— შენ უღელზე დაჯექი, თორემ ვერ გამოგვყვები, — უთხრეს ხარებმა მენახირეს. მენახირე დაჯდა უღელზე. ხარებმა გაიწიეს და ნიავქარივით მოიტაცეს გუთანი. ჯერ ისევ დილა იყო, რომ მინდორი მთლად გადააშავეს. სამხრობამდე დათესილიც იყო და დაფარცხულიც.

ვეზირებმა საღამომდე აღარც მოიცადეს, შესხდნენ ცხენებზე და წავიდნენ. სასახლეში რომ მივიდნენ, მოახსენეს: დიდებულო ხელმწიფევ, იმ კაცს ისეთი ხარები ჰყოლია, რომ ასი დღიური კი არა, მთელი მინდორი გადააშავესო.

ხელმწიფეს არ ესიამოვნა ეს ამბავი, მაგრამ რას იზამდა. გავიდა ხანი და ხელმწიფემ მეორედ დაიბარა მენახირე, უბრძანა: ყანები მოსამკელი გამხდარა. ის მთელი მოსავალი ისე უნდა აიღო, რომ ერთი მარცვალიც არსად დაგრჩეს, თორემ კატასავით თოკზე ჩამოგკიდებ, შენს ცოლს კი მე დავისვამ დედოფლადო.

წამოვიდა მენახირე. სახლში რომ მივიდა, ცოლმა დარდიანი დაინახა და ჰკითხა: რამ დაგაღონა, კიდევ დაგავალა რამე?

— დავალებაც დავალებას ჰქვია! ის ასი დღიური ყანა ისე უნდა აიღო, რომ ერთი მარცვალიც არსად დაგრჩეს, თორემ სახრჩობელაზე ჩამოგკიდებ და შენს მზეთუნახავ ცოლს კი მე წამოვიყვანო!

ქალმა კიდევ უსაყვედურა: ის ტყავი რომ არ დაგეწვა, ასეთ წვალებაში არ ჩავარდებოდი, მაგრამ არც ახლა უშავს რა. წადი შენს სიდედრ-სიმამრთან და ჩასძახე: თქვენმა ქალმა შემოგითვალათ, რომ შავი ყუთები მომეცით-თქო.

მენახირე წავიდა და, როგორც ცოლმა დაარიგა, ისე მოიქცა. სიდედრ-სიმამრმა მისცა ორი შავი ყუთი და წამოვიდა. სახლში რომ მივიდა, ცოლმა უთხრა: ამ შავ ყუთებში შავი ჭიანჭველები არიან. ესენი გაუშვი ყანაში და უბრძანე, რაც უნდა გააკეთონ. ესენი ისე აიღებენ მთელ მოსავალს, რომ მარცვალსაც კი არ დაკარგავენ. ახლა კი წადი ხელმწიფესთან, გამოგაყოლოს კაცები და ადგილიც გიჩვენოს, სადაც ხორბალი უნდა მიზიდონ.

მეორე დღეს, დილით ადრე, ადგა მენახირე, დაიჭირა იღლიაში ყუთები და წავიდა ხელმწიფესთან. ხელმწიფემ გააყოლა თავისი ვეზირები და წავიდნენ. როცა მივიდნენ ყანასთან, მენახირემ ვეზირებს ჰკითხა: რა ადგილას დავყარო ხორბალიო? ვეზირებმაც მოუხაზეს კალოსავით სწორი ადგილი.

მენახირემ ახადა სახურავები შავ ყუთებს, გამოუშვა შავი ჭიანჭველები და უთხრა: აი, ამ გაქიმულ ყანას ხომ ხედავთ! მთელი ეს მოსავალი ისე უნდა აიღოთ, რომ ერთი მარცვალიც არსად დაგრჩეთო.

ჭიანჭველები შეესივნენ ყანას და ჯერ მზე არც კი იყო გადახრილი, რომ ხორბლის მთელი ზვინები დააყენეს. ერთი მარცვალი დააკლდათ და იმის ძებნაშიღა იყვნენ. თურმე, ნუ იტყვი, ის მარცვალი ერთ კოჭლ ჭიანჭველას წამოეღო, გზაში ნატკენ ფეხს შეეწუხებინა და ცოტა ხანს გამხმარი ბალახის ქვეშ შემძვრალიყო. როცა ეს მარცვალიც ხორბლის ზვავს ზედ მოაგორეს, მენახირეს მოახსენეს: ჩვენო ბატონო და პატრონო, თქვენი დავალება შევასრულეთ, მთელი ხორბალი უკლებლივ მოზიდულიაო.

— ვეზირებო, ჩემმა მუშებმა სამუშაო შეასრულეს, გნებავთ, ყველა თავთავი საითითაოდ გადასინჯეთ და, თუ სადმე ერთ მარცვალს იპოვით, დაე, შესრულდეს ხელმწიფის ბრძანება. — უთხრა მენახირემ.

ვეზირებმა ხელი ჩაიქნიეს და უთხრეს: — ეხ, რაღა უნდა ვნახოთ. ისე ვერა ვხედავთ, ასი დღიური ყანა ორ საათში აიღეს და ამათ აქ რამე დარჩებოდათ?

ვეზირები შესხდნენ ცხენებზე და წავიდნენ. მენახირემ კი შავი ჭიანჭველები ჩასვა ისევ შავ ყუთებში, დახურა სახურავები, ამოიდო იღლიებში და ისიც შინისკენ გაეშურა.

როცა ხელმწიფემ შეიტყო მენახირის გამარჯვების ამბავი, ძალიან ეწყინა, მაგრამ რას იზამდა!

გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი, ხელმწიფემ მესამედ დაიბარა მენახირე და უბრძანა: წადი საიქიოს და მამაჩემს უთხარი: ოქროს ქამარ-ხანჯალი რომ გაგყვა თან, გამომიგზავნე-თქო!

დაბრუნდა მენახირე დაღონებული. სახლში რომ შევიდა, ცოლმა კვლავ სახემოღრუბლული დაინახა და ჰკითხა: რამ დაგაღონა, კიდევ დაგავალა რამე?

ბიჭმაც უთხრა, რაც დაავალეს. მზეთუნახავმა კვლავ უსაყვედურა, ბაყაყის ტყავი რატომ დაწვიო, მაგრამ თანაც ანუგეშა და უთხრა: ნუ გეშინია, მაგის შესრულებაც ადვილია. წადი ისევ იქ, საიდანაც მე გამოგყევი, და შენს სიდედრ-სიმამრს ჩასძახე: თქვენმა ქალმა დამაბარა, ჩემი ნართის გორგალი გამომიგზავნეთო.

მეორე დღეს წავიდა მენახირე, მივიდა იმავე ჭაობთან და თავის სიდედრ-სიმამრს ჩასძახა: თქვენმა ქალმა დამაბარა, ჩემი ნართის გორგალი გამომიგზავნეთო!

იმათაც მისცეს და გამოისტუმრეს. მენახირე დაბრუნდა სახლში. ცოლმა დაარიგა: გორგლის ერთი წვერი ხელში დაიჭირე, გააგორე და საითაც წავიდეს, მიჰყევი.

მენახირე დაემშვიდობა თავის მზეთუნახავს, გააგორა გორგალი და გაჰყვა უკან.

ბევრი იარა, ცხრა მთა გადაიარა, ბოლოს, როგორც იყო, მიადგა საიქიოს ქვეყანას. მიგორავს ნართის გორგალი და მისდევს უკან ჩვენი მენახირეც. იარა, იარა და დაინახა ერთი ცოლ-ქმარი. ისინი იწვნენ ერთ კალოსოდენა ტახტზე და ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ: ადექ, სხვა ტახტზე დაწექ, ვერა მხედავ, მეც ძლივს ვეტევიო!

მენახირეს გაუკვირდა მათი ჩხუბი, მივიდა ახლოს და ჰკითხა: მიკვირს თქვენი ამბავი: შირაქისოდენა ტახტზე წევხართ და მაინც ვერ დატეულხართ?

— ავლილი ბევრი გვინახავს, დაბრუნებული კი — არავინ; თუ ჩამოივლი, მაშინ გეტყვით ჩვენს ამბავს.

გორგალი გაგორდა ისევ მძიმედ და გაჰყვა ბიჭიც უკან. ცოტა მანძილი რომ გაიარა, მენახირემ ახლა სხვა ცოლ-ქმარი დაინახა, ისინი ცულის ტარზე იწვნენ და თანაც ერთმანეთს ეუბნებოდნენ: ჩემსკენ მოიწი, აქეთ კიდევ დიდი ადგილიაო!

მენახირეს გაუკვირდა მათი ამბავი და ჰკითხა: ცოტა მოშორებით ერთ ცოლ-ქმარს შევეყარე, შირაქისოდენა ტახტზე იწვნენ და ერთმანეთს მაინც ეჩხუბებოდნენ: მიიწი იქით, არ გადამაგდოო! თქვენ კი ამ ცულის ტარზე როგორ ეტევით?

— ავლილი ბევრი გვინახავს, ჩამოვლილი კი — არავინ. თუ შენც ბედმა არ გიღალატა და მშვიდობით დაბრუნდები, მაშინ გეტყვით,— უპასუხა ცოლ-ქმარმა.

მენახირე კვლავ გაუდგა გზას. მიგორავს გორგალი და მისდევს ბიჭი. იარა, იარა და მიადგა ერთ დედაბერს. მას კალთა ხახვითა ჰქონდა სავსე და მათი სიმწვავისაგან თვალებიდან ცრემლები სდიოდა. მენახირეს გაუკვირდა და ჰკითხა: მითხარ, დედაშვილობას, რად გინდა, რომ კალთაში ხახვი ჩაგიყრია და თვალებს ძალით ითხრი?

— ეჰ, შვილო, ამ გზაზე ავლით ბევრს აუვლია, მაგრამ ჩამოვლით აღარავის. თუ მშვიდობით დაბრუნება გეღირსა, მაშინ გეტყვი, — უპასუხა ბებერმა.

მიგორავს გორგალი და მისდევს უკან მენახირე. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა ერთ დედაკაცს, რომელსაც ორივე ხელში მახათი ეჭირა და ხან ერთ თვალში იტაკებდა, ხან — მეორეში. მენა-

ხირეს გაუკვირდა და ჰკითხა: დედაშვილობას, მითხარი, ძალით რად ითხრი თვალებს?

— თუ ძალიან გინდა გაიგო, იქიდან რომ ჩამოივლი, მაშინ გეტყვი, — უპასუხა დედაკაცმა.

გაგორდა გორგალი და გაჰყვა მენახირე. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ახლა მიადგა ერთ თმაგაწეწილ დედაბერს. მას საკუთარი ენისთვის დიდი გაზი მოეჭირა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გარეთ ეწეოდა.

— მითხარ, დედაშვილობას, რადა სჩადი მაგრე, ენას ძალით რად იგლეჯ? — ჰკითხა გაკვირვებულმა მენახირემ.

— ავლილი ბევრი მინახავს, დაბრუნებული კი — არავინ. თუ ჩამოივლი, მაშინ გეტყვი, — უპასუხა დედაბერმა.

გაგორდა კვლავ გორგალი და გაჰყვა უკან მენახირეც. ცოტა მანძილი რომ გაიარა, შევიდა შუასაიქიოში და კითხვა-კითხვით მივიდა ხელმწიფის დედ-მამასთან.

— რა გინდა, რისთვის დამეძებ? — ჰკითხა ხელმწიფის მამამ.

— თქვენმა შვილმა გამომგზავნა და შემოგითვალათ: ოქროს ქამარ-ხანჯალი რომ გაგყვათ, გამომიგზავნეთო.

— ამ უბრალო საქმისათვის აქ გამოგგზავნა იმ უღმერთომ. იმან?

ხელმწიფის მამამ მისცა ოქროს ქამარ-ხანჯალი და თან დააბარა: წაიღე ეს ნივთები და, როცა ჩემს შვილს მისცე, უთხარი: შენამც ქცეულხარ კურდღლად, შენი ნაზირ-ვეზირები კი — მწევრებად. გამოგიდგნენ და შეგჭამონ-თქო!

გამობრუნდა მენახირე, მოგორავს გორგალი და მოსდევს ისიც უკან. ცოტა რომ გამოიარა, დაინახა ის დედაბერი, შეჩერდა და ჰკითხა: დედაშვილობას, ახლა მაინც მითხარ, გაზით რად იგლეჯ ენას?

— რაკი მშვიდობით დაბრუნდი. გეტყვი: ვიდრე იმქვეყნად ვცხოვრობდი. ჩემი ენით ყველგან შხამს ვანთხევდი: ცოლს ქმარს ვაძულებდი, შვილს — მშობლებს, დას — ძმას, მეზობელს — მეზობელს და მოყვარეს — მოყვარეს. აი, ღმერთმაც ასე ამიტომ დამსაჯა, — უპასუხა დედაბერმა.

მენახირემ გამოაგორა გორგალი და გამოჰყვა უკან. ახლა მოადგა მეორეს. ბიჭი შეჩერდა და ჰკითხა: დედი, ახლა მაინც მითხარ, რად იყრი თვალებში მახათებს?

იმანაც ისე უთხრა, რაკი მშვიდობით დაბრუნდი, გეტყვი: ვიდრე იმქვეყანას ვცხოვრობდი, ამ ჩემს დასამიწებელ თვალებს სხვისა ყველაფერი შურდათ. ცალთვალა მეზობლისა ის ერთი თვალიც

ეკლად მხვდებოდა, დღედაღამ ღმერთს სანთლებს ვუნთებდი და ვეხვეწებოდი: ჩემს მეზობელს ის ერთი თვალიც გამოთხარე-მეთქი. აი, მხედავ, ღმერთმაც ასე ამიტომ დამსაჯა.

გაგორდა გორგალი და გამოჰყვა უკან მენახირეც. იარა, იარა და შეხვდა მესამე ბებერს, შეჩერდა და იმასაც ჰკითხა: დედაშვილობას, ახლა მაინც მითხარ, რად გინდა რომ კალთაში ხახვი გიყრია და მაგის სიმწვავისაგან თვალებიდან ცრემლს იდენ?

— რაკი მშვიდობით დაბრუნდი და ჩემი ამბავი გინდა გაიგო, გეტყვი: ვიდრე იმქვეყანას ვცხოვრობდი, ისეთი გულქვა და ხელდამწვარი ვიყავი, რომ კარზე მომდგარი, ხელგამოწვდილი გლახისათვისაც კი ლუკმაპურის მიცემა მენანებოდა და მწარე ხახვს გავუტანდი ხოლმე. აი, ღმერთმაც ამისათვის დამსაჯა ასე,—უპასუხა ბებერმა.

გორგალი ისევ გამოგორდა და მენახირეც გამოჰყვა უკან. ჩამოუარა ცულის ტარზე მწოლიარე ცოლ-ქმარს. ბიჭს არც ამათი ამბავი დააინტერესა და ჰკითხა: ახლა მაინც მითხარით, ორნი მაგ ცულის ტარზე როგორ დატეულხართ?

— რაკი მშვიდობით დაბრუნდი და ჩვენი ამბავი გინდა გაიგო, გეტყვით: ვიდრე იმქვეყანაში ვცხოვრობდით, ერთმანეთის სიყვარულში და აღერსში დავიბერეთ თავი. ის სიყვარული არც აქ მოგვიშალა ღმერთმა და აი, ხედავ, ცულის ტარზეც სიამოვნებით ვწევართ, — უპასუხა მოსიყვარულე ცოლ-ქმარმა.

გორგალი გამოგორდა და გამოჰყვა მენახირეც. მოადგა ტახტზე მწოლიარე მოჩხუბარ ცოლ-ქმარს.

— დედაშვილობას, ახლა მაინც მითხარით, რა გაჩხუბებთ? თქვენს მეზობლად ცოლ-ქმარი ცულის ტარზე იწვა და თქვენ ამოდენა ტახტზეც ვერ მოთავსებულხართ?!

— რაკი მშვიდობით დაბრუნდი და ჩვენი ამბავიც გინდა გაიგო, გეტყვით: ვიდრე იმქვეყანას ვცხოვრობდით, ერთმანეთი გვეჯავრებოდა, დღეს ჩხუბში ვალამებდით და ღამესაც თეთრად ვათენებდით. ღმერთმა ის სიავე არც აქ მოგვიშალა და აი, შენ თვითონაც ხომ ხედავ, რა დღეში ვართ, — უპასუხა მოჩხუბარმა ცოლ-ქმარმა.

გორგალი გამოგორდა და თან გამოჰყვა მენახირეც. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს, როგორც იყო, მოვიდა ხელმწიფესთან, მოუტანა მამის გამოგზავნილი ოქროს ქამარ-ხანჯალი და უთხრა: შენამც ქცეულხარ კურდღლად, შენი ნაზირ-ვეზირები კი — მწევრებად, გამოგიდგნენ და შეგეპამონ! მართლაც, ხელმწიფე იქცა კურდღლად, ნაზირ-ვეზირები — მწევრებად. ძაღლები გამოუდგნენ კურდღელს და შეეპამეს. . . .

მეფის სიკვდილით გახარებულმა ხალხმა ალარ გაუშვა მენახირე და სთხოვა: რაკი ავი ხელმწიფე თავიდან მოგვაშორე, მისი ტახტი შენ უნდა დაიკავო!

დათანხმდა მენახირე. გადაიყვანა სასახლეში თავისი მზეთუნახავი ცოლიც და დღესაც კეთილად ცხოვრობენ.

მზეთუნახავის ცხვირსახოცი

იყო ერთი ხელმწიფე, ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი. ოცი წლისა რომ შესრულდა, მამამ შვილს ბლომად ფული მისცა და უთხრა: წადი. შვილო, ქვეყნები შემოიარე, ღრო გაატარე და, რაც მოგეწონოს, იყიდეო.

წავიდა ხელმწიფის ვაჟიშვილი და ქვეყნები შემოიარა, მაგრამ არსად არაფერი არ მოსწონებია. ბოლოს გადაწყვიტა სახლში დაბრუნება. თავის ქალაქში რომ მივიდა, ქუჩაზე დაინახა ერთი კაცი, რომელსაც ხელში აბრეშუმის ცხვირსახოცი ეჭირა და ყიდდა.

ხელმწიფის ვაჟიშვილს ცხვირსახოცი ძალიან მოეწონა და კაცსა ჰკითხა:

— რა ღირს ეგ ცხვირსახოცი?

— ასი თუმანი ღირსო, — უპასუხა კაცმა.

რაკი ხელმწიფის ვაჟიშვილს ცხვირსახოცი ძალიან მოეწონა, აიღო და ასი თუმნის მაგივრად ორასი თუმანი მისცა, გამოართვა ცხვირსახოცი და სასახლეში მივიდა.

ხელმწიფე შვილს შეეკითხა: აბა, შვილო, რა მოგეწონა და რა იყიდეო? შვილმა ცხვირსახოცი აჩვენა და თან დაუმატა: — მთელი ქვეყანა შემოვიარე, არსად არაფერი არ მომწონებია, ჩვენს ქალაქში რომ დავბრუნდი, გზაში ერთი კაცი შემხვდა, რომელსაც ეს ცხვირსახოცი ჰქონდა, მომეწონა და ვიყიდეო.

— რად გინდა ეგ ცხვირსახოცი? — შეეკითხა ხელმწიფე შვილს.

— ვინც ეს ცხვირსახოცი მოქსოვა, ის ქალი ცოლად უნდა შევირთოო, — უპასუხა შვილმა.

— მერედა, იცი კი, ვინ მოქსოვა ეგ ცხვირსახოციო?

— არაო, — მიუგო შვილმა.

— მაშ, როგორ გავიგოთ, ვინ მოქსოვა ეგ ცხვირსახოციო?

შვილმა ამაზე უპასუხა: მამა, მე უნდა წავიდე, მთელი ქვეყნები კიდევ შემოვიარო. სანამ იმ ქალს არ ვიპოვი. სახლში არ დავბრუნდებიო.

ხელმწიფემ შვილს ოცი აქლემი ოქრო-ვერცხლით დაუტვირთა, მხლებლები და აქლემების მომვლელებიც გააყოლა და გაისტუმრა. ხელმწიფის შვილი ცხენზე შეჯდა, ზედაც ერთი ხურჯინი ოქრო-ვერცხლით გატენილი გადაჰკიდა, ქარავანს წინ გაუძღვა და ქალაქიდან გავიდა. ცხრა დღედაღამე შეუსვენებლად იარეს და მხოლოდ მეათე დღეს, საღამოს, დაისვენეს ერთ მინდორზე.

მხლებლებმა არაფერი იცოდნენ და ჰკითხეს, სად მივდივართო?

ხელმწიფის შვილმა ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და თავისი გადაწყვეტილება უთხრა.

მხლებლებმა და აქლემების მომვლელებმა იმ ღამეს მოითათბირეს: ასე როდემდის უნდა ვიაროთ, როცა თვითონაც კი არ იცის, სად მიდისო? გადაწყვიტეს, გაპარულიყვნენ. იმავე ღამეს დრო იხელთეს და ყველანი გაიპარნენ, ხელმწიფის შვილი მარტო დატოვეს.

დილა რომ გათენდა, ხელმწიფის შვილს გაეღვიძა და ხედავს, ვის გარშემო აღარავინ არის. ძალიან დაღონდა, მაგრამ რაღას იზამდა. აქლემები ერთიმეორეზე გადააბა, წინა აქლემი ცხენს გამოაბა და გზა განაგრძო.

ერთ ადგილას მდინარეს მიადგა და დაინახა, რომ მდინარეში სისხლივით წითელი წყალი მოდის. ხელმწიფის შვილს ეს ძალიან გაუკვირდა და გადაწყვიტა, წყალს სათავისაკენ აჰყოლოდა და გაეგო მიზეზი. წყალი გზის ნაპირ-ნაპირ მიდიოდა და ისიც ამ გზას აჰყვა.

დიდხანს იარა და, ბოლოს, ერთი სოფლის ბოლოს დაინახა, რომ სოფლელებს დევი დაუჭერიათ, ჯაჭვებით შეუკრავთ, მთელი სოფელი დახვევია და ურიებით და ჯოხებით სცემენ. დევს სისხლი თქრიალით სდის, მდინარეს ერთვის და წყალს წითელ ფერს აძლევს. ერთი რიგი სოფლელებისა დევს რომ სცემს, მეორე რიგი ისვენებს. დევი საშინლად იტანჯება, მაგრამ ვერაფერს გამხდარა.

ხელმწიფის შვილს შეეცოდა დევი და ხალხსა ჰკითხა: ნეტა რა დააშავა ამ დევმა, რომ აგრე უმოწყალოდ სცემთო? სოფლელებმა უპასუხეს: ხელმწიფის შვილი არ იყო, ჩვენ ვიცით, რასაც გიზამდით მაგ შეკითხვაზეო!

ხელმწიფის შვილი მაინც არ მოეშვა: არა, უნდა მითხრათ, რა დანაშაული აქვს დევსაო.

— ის დანაშაული აქვს, რომ ეს დევი ყოველ წელიწადს მოდის,

სოფლის მთელ ნახირს ერთიანად შეჭამს და სოფელს ცარიელზე ტოვებს. ძლივს მოვახერხეთ მაგის დაჭერა, გვინდა ჯავრი ამოვიყაროთ, ორ კვირაზე მეტია ვცემთ და ვერაფერი დაგვიკლია, გვინდა მოვკლათო.

ხელმწიფის შვილი სოფლელებს მოელაპარაკა: მოდი, ეგ დევი მე მაჩუქეთ, თქვენ ბევრ ფულს მოგცემთ, ნახირი იყიდეთ და გაიყავითო. სოფლელები დათანხმდნენ და დევს თავი გაანებეს.

მისცა ხელმწიფის შვილმა სოფლელებს ათი ოქრო-ვერცხლით დასაპალნებული აქლემი და დევი გაათავისუფლა. სოფლელებს ძალიან გაუხარდათ ამდენი ოქრო-ვერცხლის შოვნა, დევს კი ძალიან გაუკვირდა ხელმწიფის შვილის ასეთი სულგრძელობა. ხელმწიფის შვილმა დევს ჭრილობები შეუხვია და თან წაიყვანა.

კარგა ხანს იარეს, იარეს და დევმა ერთ ადგილას საქონლის ნახირს მოჰკრა თვალი და მშიაო. უთხრა ხელმწიფის შვილს. იმან მენახირეებს დაუძახა, მისცა ათი დასაპალნებული აქლემი, ნახირი შეისყიდა და დევს აჭამა. დარჩა ხელმწიფის შვილი ერთი ცხენით, წაიყვანა გამაძღარი დევი და გზა განაგრძო.

მეორე დღეს დევმა კიდევ უთხრა, მშიაო. ხელმწიფის შვილმა გაიხედა და დაინახა, რომ ერთი კაცი მიწასა ხნავდა. გუთნისდედას დაუძახა და მოელაპარაკა, ოქრო-ვერცხლით გატენილი ხურჯინი მისცა. საქონელი შეისყიდა და დევს აჭამა. მესამე დღეს დევმა კიდევ უთხრა, მშიაო.

— ახლა რაღა გაჭამოო? — შეეკითხა ხელმწიფის შვილი. — ცხენიო, — უპასუხა დევმა. შეაჭამა დევს თავისი ცხენი და ახლა ფეხით განაგრძო გზა.

დევს ძალიან უკვირდა ხელმწიფის შვილის ასეთი გულკეთილობა და ბოლოს ჰკითხა: ასეთი სიკეთე მიქენი და ერთი ისიც მითხარ, სად მივდივართო? ხელმწიფის შვილმა ცხვირსახოცი აჩვენა და ყველაფერი უამბო.

დევმა უთხრა: რატომ აქამდის არ მითხარი, შენ მე ტანჯვასა და სიკვდილს გადამარჩინე, ამოდენა ქონება შემაჭამე და ამაზე არ დაგეხმარებოდი? მაგის მომქსოვი აქედან ისე შორს ცხოვრობს, რომ ასე ნელა თუ ვიარეთ, ოც წელიწადს მოვუნდებით იქამდე მისვლას. მზეთუნახავის ცოლად შერთვა სხვა დევებსაც უნდათ და ვერ მოუხერხებიათ. შემაჯექ ზურგზე და სასწრაფოდ მიგიყვანო.

შეაჯდა ხელმწიფის შვილი დევს ზურგზე, დევი გაფრინდა და ცხრა მთა გადაიარა.

ერთ ადგილას დევმა უთხრა: ახლა მალე მივალთ იმ ადგილას. იქ

ტრიალი მინდორია. ერთი დიდი მუხა დგას, შენ იმ მუხაზე შეგსვამ ღამე იმ ხესთან დევები მოვლენ და ცეკვა-თამაშს გამართავენ, მათი ცეკვა-თამაშით საშინელი ქარი ამოვარდება და მუხა აქეთ-იქით გადაიზნიქება. შენ რომ არ ჩამოვარდე, მუხაზე თოკებით მაგრად მიგაბამ. ის ქალი ცხოვრობს კლდეში გამოკვეთილ სასახლეში, რომელსაც ქვის ვეება კარი აქვს. მე წავალ სახლში, ვისადილებ, მჭედელს ასფუთიან ლომს გავაკეთებინებ, ხვალ დილით მოვალ, ლომს მოვიტან, კარებს ავწევ და შენ შიგნით შეგიშვებო.

მიფრინდა დევი მუხასთან და ყმაწვილი კაცი ზედ მაგრად მიაბა. დევი რომ წავიდა, ღამე სხვა დევები მოვიდნენ და ცეკვა-თამაში გამართეს. ისეთი ქარი ამოვარდა, რომ მუხა აქეთ-იქით იზნიქებოდა, მაგრამ ხელმწიფის შვილს არაფერი დაშავებია. გათენებისას დევები თავიანთ სახლებში წავიდნენ. რამდენიმე ხანში ის დევიც მოვიდა. მოიტანა ასფუთიანი ლომი, ხელმწიფის შვილი მუხიდან ჩამოხსნა და იმ კლდისაკენ წავიდნენ. დევმა ასფუთიანი ლომი კლდის კარებს შეუყარა, მაგრამ კარები ისეთი მძიმე გამოდგა, რომ ლომი გაიღუნა. მაშინ დევი წავიდა მჭედელთან და ორასფუთიანი ლომი გააკეთებინა. მივიდა კლდესთან, ასწია კლდის კარები და ხელმწიფის შვილი შიგნით შეუშვა. — მე კი აქ დაგიცდიო, — უთხრა დევმა.

ხელმწიფის შვილი შიგ რომ შევიდა, გაშტერდა და განძრევაც ვერ მოახერხა: იმ მზეთუნახავის სილამაზემ, სასახლის ღამაზმა მორთულობამ განაცვიფრა. მზეთუნახავი ქალის მარმარილოს მსგავსმა სახემ, ელვარე თვალებმა და მშვენიერმა ტანადობამ ისე მოაჯადოვა, რომ გაშეშდა და ადგილიდან ვეღარ ინძრეოდა. მაშინ ქალი მივიდა მასთან, ხელი მოჰკიდა და დარბაზში შეიყვანა, ტახტზე ჩამოსვა და ჰკითხა: ვინა ხარ, როგორ მოახერხე ჩემს სასახლეში შემოსვლა? მრავალი ვაჟკაცი ცდილობდა და ახლაც ცდილობს აქ მოსვლას, მაგრამ ვერავინ ვერ მოახერხა.

ხელმწიფის შვილმა ცხვირსახოცი ამოიღო და აჩვენა, მერე თავისი თავგადასავალი უამბო და უთხრა, რომ გადაწყვეტილი მქონდა, ამ ცხვირსახოცის მომქსოვი ქალი ცოლად შემერთო, აი. ახლა გიპოვე, ძალიან მომწონხარ, და თუ ჩემი სიცოცხლე გინდა, ცოლად უნდა წამომყვეო. მზეთუნახავსაც მოეწონა ვაჟი და უთხრა: ასეთ ცხვირსახოცს მე შვიდ წელიწადში ერთსა ვქსოვ, შვიდ წელიწადში ერთხელ კლდის პირას დავდივარ. როცა კარები იღება, ნაქსოვ ცხვირსახოცს დაბლა ვაგდებ და ქარს ფრიალ-ფრიალით მიაქვს, აქეთ-იქით. მეც გადაწყვეტილი მქონდა იმას გავყოლოდი ცოლად, ვინც პირველად ჩემთან მოვიდოდა. აი, შენ ყველა სიძნელე დაგი-

ძლევია და ჩემთან მოსულხარ, მეც ძალიან მომწონხარ და თანახმა ვარ. ცოლად გამოგყვეო; მხოლოდ მითხარი, როგორ გინდა, აი. ხომ ხედავ, აუარებელი სიმდიდრე მაქვს. გინდა აქ დავრჩეთ და გინდა თან წამოგყვებიო.

ხელმწიფის შვილმა უთხრა: ხომ იცი, წესია, ქალი ვაჟის სახლში უნდა მივიდეს რძლად და მეც მამაჩემის სასახლეში მიგიყვანო.

ქალი დაეთანხმა. მაშინ ხელმწიფის შვილმა დევს დაუძახა და სასახლეში მოიყვანა, ოქროს სკამზე დასვა და უთხრა: ჩვენ შევთანხმდით ყველაფერში და შენ ჩემი ნათლია უნდა იყო. დევსაც ძალიან გაუხარდა მათი შეუღლება და თანხმობა უთხრა. პატარა ქორწილი გადაიხადეს და წასასვლელად მოემზადნენ.

მზეთუნახავმა დევს ოქროულობითა და სამკაულებით სავსე კიდობანი გადასცა და უთხრა, ეს შენ წამოგვიღეო. გარეთ რომ გამოვიდნენ, კარები დაკეტეს და გზას გაუდგნენ. ერთ ადგილას დევს მოაგონდა, რომ მათთვის გამზადებული საჩუქარი — სარკე და ხელსახოცი სახლში დარჩა და თქვა: აი, ამ გზით სულ პირდაპირ იარეთ. არც აქეთ გადაუხვიოთ და არც იქით, მე სახლში გავიქცევი, სარკესა და ხელსახოცს წამოვიღებ და დაგეწევითო. ამ სიტყვებით მიბრუნდა.

ხელმწიფის შვილი და მზეთუნახავი, ხელიხელჩაკიდებულნი გაუდგნენ გზას ერთმანეთს ესიყვარულებოდნენ და ველარაფერს ამჩნევდნენ. დაავიწყდათ ნათლია დევის დარიგება და გზას გადაუხვიეს. ცოტა ხნის სიარულის შემდეგ დევების კალოზე აღმოჩნდნენ. სამი დევი-ძმა კალოზე პურსა ლეწავდა. ვაჟი და ქალი რომ დაინახეს, ძალიან გაუკვირდათ და ლეწვა შეაჩერეს. უფროსმა ძმამ. მზეთუნახავი რომ დაინახა, შესძახა: ეს ხომ ის ქალია, რომლის კარებზედაც ღამეებს ვათენებდით, ახლა კი თავისი ფეხით მოვიდაო!

დევმა ხელმწიფის შვილს ხელი სტაცა, კისერი მოუგრიხა, სახლის ჭერზე შეაგდო, მზეთუნახავი სახლში შეიყვანა და გადაწყვიტა საჩქაროდ ქორწილი გადაეხადა. უმცროსი ძმა ღვინოზე გაგზავნა და წვეულების სამზადისს შეუდგა.

ნათლია დევმა სარკე და ხელსახოცი წამოიღო და ქალ-ვაჟის დასაწევად გამოეშურა. სწორ გზაზე რომ ისინი ვერა ნახა, გადასახვევში ფეხის ნაკვალევი შეამჩნია და ნაკვალევს მიჰყვა. თან შეწუხებულმა დაიძახა: ვაიმე, ნამდვილად ამ გზით წავიდნენ. სამი დევი-ძმის კალოზე მივიდნენ და დევები უსათუოდ შეჭამდნენო. ფეხს აუჩქარა. გზაში უმცროს დევს შეხვდა და ჰკითხა, სად მიდიხარო?

— ამაღამ ჩემს უფროს ძმას ქორწილი აქვს, მზეთუნახავს ირთავს

და ღვინის მოსატანად მივდივარო, — უპასუხა მან. ნათლია დევმა მას ერთი სილა შემოარტყა და ადგილზე გადააყირავა. დოქები დაუმტვრია და გზა განაგრძო.

უფროსმა ძმამ რომ დაინახა, უმცროსი აგვიანებდა, საშუალო ძმა გაგზავნა ღვინოზე. გზაში ნათლია დევი მასაც შემოხვდა, მასაც ისეთივე დღე დააყენა, რაც უმცროს ძმას და მათი ბინისაკენ გაეშურა. საშუალო ძმამაც რომ დაიგვიანა, უფროსი ახლა თვითონ წავიდა ღვინის მოსატანად და ძმების მოსაყვანად.

მზეთუნახავი დარჩა მარტო და გადაწყვიტა, ოთახები დაეთვალიერებინა. მეოცე ოთახში რომ შევიდა, დაინახა, რომ შიგ ერთი უზარმაზარი დევია დაბმული. ქალს ძალიან შეეშინდა და უკან დაიხია. დაბმული დევი ქალს გამოელაპარაკა. ნუ გეშინია, ღმერთმა გიშველოს, რომ კარები გამიღე, თორემ აი, ასი წელიწადია, აქა ვარ დამწყვდეული და სინათლე არ მინახავსო. მერე სთხოვა: წყალი მწყურია, აი, იმ დოქში, მგონი, წყალი უნდა იყოს, როგორმე ჩემამდე მოაჩოჩე და მე თვითონ დავლევო.

ქალმა დოქი მიუჩოჩა, დევმა ასწია და სულ დალია. თურმე იმ დოქში ყოფილა ძმარი, რომელმაც დევს ლონე მოუმატა, გასწიგამოსწია, ჯაჭვები დაწყვიტა და თავი გაითავისუფლა. ბევრი აღარც დაუყოვნებია, მზეთუნახავი მოიტაცა და თავის სახლში წაიყვანა. ეს დევი ნათლია დევის ძმა იყო, მაგრამ აბა, რა იცოდა, რა ჩაიდინა!

რამდენიმე ხნის შემდეგ ნათლია დევი დევების ბინაში მივიდა, ქალი იქ რომ აღარ დახვდა, ძალიან დაღონდა, ხელმწიფის შვილს ძებნა დაუწყო და კისერმოგრეხილი რომ ნახა, ჭერიდან ჩამოიყვანა, კისერი გაუსწორა და ფეხზე დააყენა. ამასობაში დევებიც მოვიდნენ სახლში და, რომ გაიგეს ტყვე დევის გაქცევა და მზეთუნახავის მოტაცება, ისინიც ძალიან შეწუხდნენ.

ნათლია დევმა ამ სამ ძმას ერთი ამბავი დააყენა და უთხრა: დასახოცები ხართ, მაგრამ მაგის დრო არა მაქვს, ახლა იმ ქალის დასაბრუნებლად მივდივარ, ხელმწიფის შვილს თქვენ გაბარებთ, არაფერი ავნოთ, თვალის ჩინივით მოუარეთ ჩემ მოსვლამდეო.

ნათლია დევი წამოვიდა და თავის ძმის სახლში ჩუმად შეიპარა ისე, რომ არავის დაუნახავს.

მისი ძმა დევი დღისით სანადიროდ დადიოდა, საღამოთი კი ნანადირევი მოჰქონდა და სახლში იყო. ეს იცოდა ძმამ და ამიტომ ქალს დღისით ეჩვენა. მზეთუნახავს უსაყვედურა, რატომ ჩემი და-

რიგება არ შეასრულეთ და თავი ხიფათში რად ჩაიგდეთო! ახლა ვიცი, რომ ჩემი ძმა შენს თავს ისე არ გამატანს, მას რაღაცაში აქვს ძალა, ეს გამიგე და მე გავუსწორდებიო!

საღამოთი ისევ დაიმალა. დევი რომ დაბრუნდა, ქალი მხიარულად დაუხვდა და ჰკითხა: რაშია შენი სული და ძალაო? დევმა ხან რა მოატყუა. ხან რა და ბოლოს უთხრა: ცხრა მთას იქით ერთი ირემია, მის გულში ერთი კოლოფია, შიგ სამი ჩიტი ზის, ისინი არიან ჩემი თვალის ჩინი, ძალა და სულიო. იმ ირემს ასი კაცი თივას უთიბავს და აკმევსო. ირემს ვერაფერი მოკლავს, თუ ისარი ჩემს შარდში არ იქნება ამოვლებულიო. დევი მთვრალი იყო და მალე ჩაეძინა. ღამე მოშარდვა მოუნდა. ქალი წამოხტა და კარში არ გაუშვა, გაცივდებიო. შემოურბენინა თიხის ჭურჭელი.

რომ გათენდა, დევი სანადიროდ წავიდა, ქალმა ნათლია დევს ყველაფერი უთხრა. მან ისარი შარდში დაასველა, ქალს გამოეთხოვა და წავიდა ირმის მოსაკლავად. ცხრა მთას გადაუარა და მინდორზე გაჩნდა. სადაც ასი კაცი ირმისათვის ბალახს თიბავდა. დევმა მათ უთხრა: ეყოფა რაც გათიბულია, ახლა სახლებში წადითო! მათ უარი უთხრეს. მაშინ დევმა ცელები წაართვა, იქით გადაუყარა და ცემა-ტყეპით იქიდან გარეკა. თვითონ ბალახში დაიმალა და ირემს ლოდინი დაუწყო.

შუადღე გადასული იყო, ირემი მოვიდა და ბალახს ჭამა დაუწყო. დევმა იდრიკა. ირემს ისარი ესროლა და მოკლა. მაშინვე შუაზე გაჭრა, გულიდან კოლოფი ამოუღო, ძალის ჩიტს თავი წააგლიჯა და ძმის სახლისაკენ წამოვიდა. დევის ძმამ მაშინვე ღონის დაკარგვა იგრძნო და წამოიძახა: უჰ, ირემს ვინმე მომიკლავდა, ეს სულ იმ ქალის ბრალი იქნებაო და წამოვიდა სახლისაკენ მზეთუნახავის მოსაკლავად. სახლში რომ მივიდა, ძმა იქ დაუხვდა.

ნათლია დევმა უთხრა: ეს ქალი რად მოიტაცე, ეს ჩემი მეგობრისა და მხსნელის, ხელმწიფის შვილის ცოლი არისო! მომცემ თუ არა, რომ წავიყვანოო.

— მე არაფერი ვიცოდი, მაგრამ მაინც არ მოგცემო.

მაშინ ნათლია დევმა ჩინის ჩიტსაც წააგლიჯა თავი და დევს შხედველობა დაეკარგა.

— მომცემ თუ არა, რომ ეს ქალი ხელმწიფის შვილს წავუყვანოო?

ძმამ უარი უთხრა. მაშინ ნათლია დევმა სულის ჩიტსაც წააგლიჯა თავი და მოკლა, წამოიყვანა მზეთუნახავი და სამი ძმა დევის ბინას

მიუახლოვდა. დევმა რომ დაიგვიანა, ძმებმა გადაწყვიტეს ხელმწიფის შვილის შეკმა და სწორედ იმ დროს მოუსწრო იმანაც.

ნათლია დევმა წამოიყვანა ორივენი და მათ სახელმწიფოში წამოვიდნენ.

სასახლეში რომ მივიდნენ, დედ-მამას ძალიან გაუხარდა შვილის და რძლის დაბრუნება. სახელმწიფოში ძაძები მოხსნეს და ქორწილი გამართეს. ორი კვირა სულ ნადიმობდნენ. ხელმწიფემ დიდძალი საჩუქარი დაარიგა.

ნათლია დევმა ქალ-ვაჟს სარკე და ხელსახოცი მიულოცა და გამოეთხოვა, თან უთხრა: როცა რაშე გაგიჭირდეთ, ამ სარკეში ჩაიხედეთ. მე დამინახავთ, ეს ხელსახოცი დამიქნიეთ და მაშინვე თქვენთან გავჩნდებიო. — უთხრა ეს და წავიდა.

ხელმწიფის შვილი თავის მზეთუნახავ ცოლთან ბედნიერად ცხოვრობდა.

ერთი თვე რომ გავიდა, მეზობელმა ხელმწიფემ შეიტყო, ხელმწიფის შვილს მზეთუნახავი ქალი ჰყავს ცოლადო. შურით აივსო, კაცი გამოუგზავნა და დაბარა: ან ეგ მზეთუნახავი ქალი ნებით მომეცი, ან არადა ძალით წაგართმევო. ხელმწიფის შვილმა უარი შეუთვალა და თან უთხრა: მოდი და ძალით წაიყვანეო! ვაშინ იმ ხელმწიფემ შეკრიბა აუარებელი ჯარი და გამოილაშქრა.

ხელმწიფის შვილმა სარკეში ჩაიხედა, დევი დაინახა და ხელსახოცი დაუქნია. ნათლია დევი თავის მეგობრებში ქეიფობდა, მაგრამ ხელმწიფის შვილისა ისეთი სიყვარული ჰქონდა, რომ ერთი წუთიც არ დაუყოვნებია და მასთან გაჩნდა. ამბავი რომ გაიგო. ხელმწიფის შვილს უთხრა: თქვენ აქ იყავით, იმათ მე გავუსწორდებიო.

წამოვიდა ნათლია დევი და დაერია მომხდური ხელმწიფის ჯარს. ნახევარი დახოცა, ნახევარი სახლში გარეკა, თვითონ ხელმწიფე დაატყვევა და ხელმწიფის შვილს მიჰგვარა.

ხელმწიფე შეეხვეწა, ოღონდ ნუ მომკლავთ და თქვენი მონა-მორჩილი ვიქნებიო.

მისი სახელმწიფო თავიანთ სახელმწიფოს შეუერთეს, ის ხელმწიფე სასახლეში დატოვეს და, რასაც უბრძანებდნენ, იმას აკეთებინებდნენ.

ამის შემდეგ გამარჯვება იდღესასწაულეს და ხალხი დიდად დაასაჩუქრეს. ნათლია დევი ხალხს დაემშვიდობა: ნურაფრისა გეშინიათ, მე თქვენი განუყრელი მეგობარი ვარ და როცა გაგიჭირდეთ, თქვენთან გავჩნდებიო, უთხრა ეს და წავიდა.

დედინაცვალი და გერი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქალი. მომაკვდავმა დედამ ერთი ფინია და ერთი ძროხა დაუტოვა. თან ანდერძად დაუბარა: ვინიცობაა, შვილო, მამაშენმა მეორე ცოლი შეირთოს და ძროხა დაკლას, შენ ამ ძროხის ხორცი არ ჭამო და ძვლებს კი თავი მოუყარე და ორმოში ჩაყარეო...

მამამისმა მართლა მეორე ცოლი შეირთო. დედინაცვალი გერს გადაეკიდა, სულ იმის ფიქრში იყო, რა ხერხი ეხმარა, რომ დაეჩაგრა. ადგა და ავადმყოფობა მოიგონა, ლავაშები დააცხობინა, ზედ ლოგინი გაიშალა და დაწვა. გადაბრუნდ-გადმობრუნდებოდა და ლავაშებს მტვრევა გაჰქონდა. ქმარმა რომ ნახა, ჰკითხა: ქალო, ავად რითი ხარო?

— გვერდები მტკივა და მემტვრევაო, — მიუგო ცოლმა.

— მერე რა უნდა იწამლოო? — ჰკითხა ქმარმა.

— ასე მითხრეს, სანამ თქვენი ძროხის ნაღველას არ დალევ, არა გეშველება რაო, — უთხრა ცოლმა.

კაცმა იწყინა: დედამ ერთი ძროხა დაუტოვა თავის ქალს და როგორ დავუკლაო.

რაკი აღარაფერი გაეწყობოდა, ძროხა დაკლეს. მაშინ ადგა გერი, ერთ დედაბერთან წავიდა და შესჩივლა: დედაჩემის დატოვებული ძროხა დამიკლესო.

— დედაშენმა რა გითხრაო? — ჰკითხა დედაბერმა.

ქალმა მიუგო: ასე მითხრა, ძროხის ხორცს ნუ ჭამ და ძვლებს კი თავი მოუყარეო. დედაბერმა დაარიგა: წადი, შვილო, ბაგის ქვეშ ორმო გათხარე და ის ძვლები შიგ ჩაყარეო.

გერი დაბრუნდა, ბაგის ქვეშ ორმო გათხარა, ძროხის ძვლები, ტყავი და თავ-ფეხი შიგ ჩაყარა და ზედ ფიცრები დაახურა.

დედინაცვალმა ნაღველა დალია და მორჩა. ადგა და გერი სამწყემსურში გაგზავნა. ერთი პური გაატანა და უთხრა: ეს პური გამვლელსაც აჭამე, გამომვლელსაც, შენცა ჭამე და შინაც ბევრი მოიტანეო.

გერი წავიდა. ტყეში რომ შევიდა, მაღლობზე შედგა, ტირილი დაიწყო და აბრეშუმის რთვას მოჰყვა. მაღლობიდან გადმოიხედა და ერთი სახლ-კარი დაინახა, შიგ დედაბერი იყო. მივიდა სახლის ბანზე, ჩამოჯდა და აბრეშუმის რთვა დაიწყო. გერს კვირისტავი ჩაუვარდა და ჩასძახა: დედაშვილობას, ეგ კვირისტავი მომაწოდეო.

დედაბერმა ასძახა: აჰა, შვილო, კვირისტავიო; მერე უთხრა: ჩამოდი ძირს, ერთი სახლი დამიგავეო.

გერი ჩავიდა, სახლი დაუგავა, დაუწმინდა.

— ერთი ჭურჭელი დამირეცხეო, — უთხრა დედაბერმა.

დაურეცხა, დაუსუფთავა და დაულაგა.

— ერთი ქვევრებსაც დამიხედეო.

წავიდა, დახედა და მოახსენა: უჰ, რა კარგი და სუფთა ქვევრები გქონიაო.

ბოლოს უთხრა: შვილო, რათა ტიროდიო?

— დედინაცვალმა ეს აბრეშუმი და ეს პური გამომატანა. პური გამვლელსაც აჭამე, გამომვლელსაც, შენცა ჭამე და შინაც ბევრი მოიტანეო; აბრეშუმიც დამირთეო.

დედაბერმა თავისი პური აჭამა, მისი კი უკანვე მისცა, აბრეშუმის დართვაშიც მოეხმარა. დაღამებისას კი შინ დაბრუნდა. გერი დედაბერს მიეჩვია და ყოველთვის, როცა სამწყემსურში წავიდოდა, იმას ესტუმრებოდა.

ერთხელ, გერი რომ მორჩა სახლ-კარის დაგვა-დალაგებას, დედაბერმა, თითქო მადლის გადასახდელადაო, უთხრა:

— წადი, შვილო, აგერ მდინარე წყალი მოდის, ნაპირას დაჯექ. თეთრმა წყალმა რომ ჩამოიაროს, არ იბანაო, არც შავში, არც ვირის ფერში; ოქროსფერმა რომ ჩამოიაროს, იმაში კი თავი დაისველე და ჩემთან მოდიო.

გერმა ოქროსფერ მდინარეში თავი დაისველა და დედაბერთან მოვიდა. ოქროს თმა ამოსვლოდა. თავი მაგრად შეუხვია და საღამოს შინ გაისტუმრა. გერი დედინაცვალს ემალებოდა, ვაითუ თმა დამინახოს და მომკლასო.

მაგრამ მისი თმის ბრწყინვას დედინაცვალმა თვალი მოჰკრა, მივარდა, თავს გადახადა, დახედა, გაოცდა და შურით გლეჯა დაუწყო.

მერე დაწვრილებით გამოჰკითხა და როცა გერის თავგადასავალი შეიტყო, იმის მაგივრად ახლა თავისი საკუთარი ქალი გაგზავნა სამწყემსურში, თანაც დაარიგა, როგორც უნდა მოქცეულიყო. პური და აბრეშუმ-თითისტარი გაატანა და რაც თავის გერს, იმასაც ისე დააბარა.

წავიდა ქალი, ტყეში შევიდა, შედგა დედაბრის სახლის ბანზე და ხელი მიჰყო აბრეშუმის რთვას, კვირისტავი ჩაუვარდა და გადასძახა: შე ქოფაკო დედაბერო, ეგ კვირისტავი მომაწოდეო.

— ჩამოდი და აიღეო, — უთხრა დედაბერმა.

ქალი ჩავიდა.

— აბა. ერთი სახლი დამიგავეო, — უთხრა დედაბერმა.

შევიდა სახლში და ყველაფერი მიუმტვრ-მოუმტვრია.

— ერთი ჭურჭელი დამირეცხეო.

ჭურჭელი სულ დაუმტვრია.

— ერთი ქვევრებს დამიხედეო.

— ფუჰ! ფუჰ! რა მყრალი ქვევრები გქონია, უწმინდურობით არის სავსეო.

— აბა, შვილო. წადი, — უთხრა დედაბერმა, — და ამა და ამ ადგილას დაჯექი; რამდენიმე წყალი ჩამოიღ.ის, მაგრამ თავი არ დაისველო, სანამ ვირისფერმა წყალმა არ ჩამოიაროსო.

ქალი წავიდა, ვირისფერ წყალში დაისველა თავი და ვირის ყურები გამოება. ადგა და დედასთან გაეშურა ტირილით და თავისი ამბავი შესჩივლა.

დედამ რომ ნახა, თავში ხელი იცა და ბევრი იდარდა, მაგრამ რაღას გააწყობდა.

ხანი გავიდა. დღესასწაულმა მოატანა. დედინაცვალი თავისი ქალით თემობაზე წავიდა და გერი კი შინ დატოვა, ერთი კოდი ფეტვი დაუყარა და საცეხველი დაუდგა: ეს ფეტვი ცრემლით ისე აკრიფე, ერთი მარცვალიც არ დარჩესო.

გერმა ტირილი მორთო, წავიდა და დედაბერს შესჩივლა: ასეა ჩემი საქმე და რა ვქნაო?

— ნუ გეშინია, შვილო, წამოვალ და მაგ საქმისა მე ვიციო.

წამოჰყვა, დაუძახა, რაც ქვეყანაზე ფრინველი იყო, და უთხრა: ეს მარცვლები აკრიფეთო.

ფრინველებმა აკრიფეს და საბათმანოში ჩაყარეს; მერე დედაბერმა საცეხველში წყალი ჩაასხა, მარილი ჩაყარა და უთხრა გერს: — ადე, შვილო, ხელ-პირი დაიბანე, წადი და საცა ძროხის ძვლები ჩაყარე, იმ ორმოს ახადე და ასე თქვი: რაშო, ყველაფრით გაწყობილო, ამოდი და ჩემი ტანისამოსიც ამომიტანე-თქო.

გერი წავიდა, ორმოს თავს დადგა, ყველაფერი უთხრა, როგორც დედაბერმა დაარიგა. რაში შეკაზმული ამოვიდა და გერის ტანისამოსიც ამოიტანა. ჩაიცვა გერმა და რაშზე შეჯდა, დედაბერმა უთხრა: წადი ახლა დღეობაში, ცალ ხელში თვალ-მარგალიტი დაიჭირე, ცალ ხელში ნაცარიო.

გერი წავიდა. რაშიანი ქალი რომ ნახეს, გაუკვირდათ. თვალ-მარგალიტი მამისკენ გადაყარა, ნაცარი — დედინაცვლისკენ და საჩქაროდ გამობრუნდა, რომ შინაურებისათვის შინ მიესწრო, მაგრამ მდინარე წყალში გასვლის დროს ცალი ქოში ჩაუვარდა. შინ რომ

მივიდა. ტანთ გაიხადა, ტანისამოსი შეახვია და რაშს დააკრა, ბაგაზე შეიყვანა და უთხრა: რაშო, ჩაბრძანდი შენ ადგილასო.

რაში ჩავიდა, გერმა ორმოს თავი დახურა, შემობრუნდა შინ, ძველებურადვე მობუდნული დაჯდა კერასთან და დაიწყო ტირილი.

დედინაცვალი რომ დაბრუნდა, გერს თავში ჩაჰკრა და უთხრა: შენმა სიცოცხლემ, სწორედ შენა გგავდა, დღეობაში რომ ქალი ვნახეო!

იმ მდინარე წყალზე, სადაც გერს ქოში ჩაუვარდა, ხელმწიფის მეჯინიბეებმა ცხენები ჩაიყვანეს წყლის დასალევინებლად. ცხენები დაფრთხნენ და წყალი აღარ დალიეს, რაკი შიგ ოქროს ქოში ბრწყინავდა.

ხელმწიფეს ამბავი მიუვიდა: მდინარეში რაღაცა გდია, ცხენები დაფრთხნენ და წყალი არ დალიესო.

ხელმწიფემ მაშინვე მცურავები გაგზავნა. მცურავებმა ქოში ამოიღეს და ხელმწიფეს მიართვეს.

ხელმწიფემ ქოში იასაულებს მისცა და უბრძანა: რკინის ქალამნები ჩაიცვით, რკინის ჯოხები დაიჭირეთ, წადით, ცისქვეშეთი დაიარეთ. სადაც ქალამანი გაგიცვდეთ და ჯოხი გაგიტყდეთ, იქ იქნება ამის ჩამცმელი ქალი და ის ქალი წამოიყვანეთო.

ქვეყანა მოვლეს, მივიდნენ იმ გლეხისას, სადაც ის ქალი იყო. ჯოხიც იქ გატყდა და ქალამნებიც იქ გაცვდა.

— სახლში შეგვიშვით, უნდა შევამოწმოთო, — უთხრეს იასაულებმა.

დედინაცვალმა არ შეუშვა, ხელი ჰკრეს, შეცვივდნენ და ძებნა დაუწყეს. დედინაცვალმა გერი საჩქაროდ თონეში ჩააგდო, ჭილობი გადააფარა, ზედ სიმინდი დაყარა და კრუჩ-წიწილს დაუძახა. მივარდა თავის ქალს, ქოშის ცმა დაუწყო, მაგრამ არ მოერგო. იასაულები გავიდნენ ეზოში, ნახეს, ფინია თონეს გარშემო ურბენდა და იძახდა: თეთრი ქალია თონეში, თეთრი ქალია თონეშიო!

მივიდნენ, თონეს ახადეს და მშვენიერი ქალი კი ამოიყვანეს. ქოში რომ ნახა, თქვა ჩემიაო, ჩაიცვა და მოერგო. წაყვანა დააპირეს, მაგრამ გერმა მოახსენა: აქ მომიცადეთ და ახლავ გიახლებითო.

წავიდა, ორმოს თავს დადგა, ახადა და უთხრა: რაშო, ყველაფრით გაწყობილო, ამოდი და ჩემი ტანისამოსიც ამომიტანეო. რაში მაშინვე ამოვიდა. ქალმა ტანთ ჩაიცვა, მზეს დაემსგავსა, შეჯდა რაშზე და იასაულებს წაჰყვა. დედინაცვალი მოახლედ წაიყვანეს და მასთან მისი ქალიც.

გზაში მდინარე წყალი დახვდათ გასავლელი. დედინაცვალს თურ-

შე კალთაში კატა გაეხვია. წყალს რომ მიუახლოვდნენ, კატა გაუშვა და დაიყვირა: არიქა, კურდღელი, კურდღელო!

ისაულები გამოუდგნენ. დედინაცვალი მაშინვე გერსა სწვდა, ტანსაცმელი გახადა, თავის ქალს ჩააცვა და რაშზე შესვა, გერს კი ბელი ჰკრა და წყალში ჩააგდო. გერი თევზმა ჩაყლაპა. დედინაცვლის ქალი ხელმწიფეს მიჰგვარეს. იქორწილა. ვირის ყურები რომ უნახა ქალს, არ იამა, მაგრამ რას იზამდა.

ერთი მებადური თურმე იმ მდინარეზე თევზაობდა; ბადე ისროლა, ნახა, რომ დიდი თევზი მოედო, გამოიტანა, თევზი გამოფატრა და ცოცხალი ქალი გამოიყვანა.

მებადური თვითონ უშვილო იყო და თქვა: ღმერთმა შვილი ჰოძცაო.

ქალმა უთხრა: რადგან წყლიდან გამომიყვანე და ქვეყნიერება დაშანახე, წამიყვანე და ბედსა გწევო.

მებადურმა ცოლს მიჰგვარა: შვილი მაინც არა გვყავდა და ახლა ღმერთმა ეს ქალი მოგვცა შვილადო.

კარგად მოუარეს, ჩააცვეს და დაახურეს. გერი თუ უწინ კარგი იყო, ახლა ერთიორად უკეთესი გახდა. კარგა ხანმა რომ გაიარა, მეშადურს უთხრა:

— მაძავ, ესა და ეს ხელმწიფე დამიპატიჟეო.

— შვილო, ჩვენ რა გვაქვს მისი საკადრისი, ან რა ღირსი ვარო ხელმწიფე დავპატიჟოთო.

შვილობილმა დაამშვიდა: ნუ გენაღვლება, მხალს გავაკეთებ და იმაზე მოვიწვევო.

ხელმწიფე სანადიროდ დადიოდა. მებადური შემოეყარა და მოახსენა: ხელმწიფეე, გთხოვთ, ღარიბის ოჯახში მობრძანდეო.

ხელმწიფემ თქვა: რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩემთან, რომ მპატიჟებსო, და ეწვია. სახლში რომ შევიდა, სკამი მიართვეს. ხელმწიფე დაბრძანდა. ქალმა მხალი, პური და ღვინო მიართვა. ქალს პირბადე ჰქონდა ჩამოფარებული.

— ჩემო ხელმწიფეე, მე ამის მეტი შეძლება არა მქონდა, რომ გაგმასპინძლებოდიო.

ხელმწიფეს გაუკვირდა: პირახვეული რად არისო?

— სიტყვა მაქვს მოსახსენებელი, იმიტომ გავბედე და გავკადნიერდი, შენ დაპატიჟებას მამაჩემი ვერ ბედავდა, მაგრამ ძალა დავატახეო.

— აბა, პირს აიხადე და მითხარი, რა გაქვს სათქმელიო.

ქალმა პირბადე აიხადა. ხელმწიფემ რომ შეხედა, მისი მშვენიერებით გაოცდა და ოქროს თმაშ გააკვირვა.

ქალმა უამბო თავისი თავგადასავალი.

ხელმწიფემ მაშინ გაგზავნა იასაულები, ორივე დედა-შვილი მოაყვანინა, ცხენის კუდზე გამოაბმევინა და ისე ათრევინა.

ქალი წაიყვანა, მეთევზე და მისი ცოლი თან გაიყოლა.

შინ რომ მივიდა, იქორწილა და იწყეს ბედნიერი ცხოვრება. მათ ნახვა მტერსაც კი უხაროდა.

ელასა, მელასა,
ძილი გაამოთ ყველასა.

არვიცია

იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა მოჯამაგირე, რომელიც მონადირე გახლდათ. დადიოდა იგი სანადიროდ და ნანადირევი ხელმწიფესთან მიჰქონდა.

ერთ დღეს მონადირემ არაჩვეულებრივი ჩიტი დაინახა. იფიქრა, ცოცხლად დავიჭერო, მივიდა, სტაცა ხელი, ჩაისვა უბეში და გასწია შინისაკენ. მიიყვანა ჩიტი შინ და ჩაკეტა.

მეორე დღეს მოჯამაგირე ისევ სანადიროდ წავიდა. როცა შინ დაბრუნდა, ნახა, რომ ჩიტი მზეთუნახავ ქალად ქცეულიყო.

მონადირე მთელ დღეებს ქალთან ატარებდა; ხელმწიფემ იფიქრა, რაღაც ცუდი ამბავია ჩემი მონადირის თავსაო და გაგზავნა ორი ვეზირი. ვეზირები მივიდნენ მონადირესთან, დაინახეს მზეთუნახავი ქალი, თვალი ვეღარ მოაშორეს და იქ დარჩნენ.

გაუკვირდა ხელმწიფეს, რომ აღარც ვეზირები გამოჩნდნენ და კიდევ გაგზავნა ორი ვეზირი, იმათაც ისე მოუვიდათ, მზეთუნახავს თვალი ვერ მოაშორეს და იქ დარჩნენ.

შეწუხდა ხელმწიფე, რაღაც კარგი ამბავი არ არისო, და ახლა უფროსი, გამოცდილი ვეზირი გაგზავნა და უთხრა: წადი და გაიგე, რა ამბავია, რა მოუვიდათ მონადირესა და ვეზირებსაო.

ვეზირი წავიდა, ნახა ყველაფერი, დაბრუნდა მეფესთან და უთხრა: რა მოგახსენო, ბატონო, მონადირეს ისეთი მზეთუნახავი ქალი ჰყავს, რომ შენ არც დაგსიზმრებიაო.

ხელმწიფეს ეუცხოვა ეს ამბავი და თქვა: მონადირეს უნდა მოვუხერხო რაიმე და მზეთუნახავი წავართვაო.

რჩევა-დარიგებისათვის დაიბარა ვეზირები. ერთმა ურჩია, დაავალე: მთა, რომელიც დილის მზეს გიფარავს, ხვალ დილამდის აწმინდოსო. ხელმწიფემ დაიბარა მონადირე და უთხრა: აი, ეს მთა ხვალ დილამდის უნდა აწმინდო. თუ არადა შენი მზეთუნახავი უნდა მომცეო.

შეწუხდა მონადირე, დაბრუნდა შინ და უამბო ქალს, რაც ხელმწიფემ დაავალა.

— ეს არაფერიაო, — უთხრა ქალმა, მისცა ერთი ვაშლი და დაარიგა: ამ ვაშლს გაჰყევი; სადაც ვაშლი გაჩერდეს, იმ ეზოში ჩადი, სატეხი და ეჩო ითხოვე და მოგცემენო.

ვაშლი გაგორდა და ერთ ეზოში გაჩერდა. ეს თურმე მზეთუნახავის მშობლების სახლი იყო. დედ-მამამ მაშინვე იცნო ვაშლი და მონადირე კარგად მიიღეს. მონადირემ სატეხი და ეჩო მოითხოვა, ამათაც მისცეს და გამოისტუმრეს.

მოვიდა ვაჟი შინ და მოიტანა სატეხი და ეჩო. ცოლმა უთხრა: ამ საღამოთი დაიძინე, ხვალ ადრე ადექი, დაიჭირე ეჩო და სატეხი და იმუშავეო.

მონადირე დაწვა და დაიძინა. მეორე დილით წავიდა და ნახა, მთა აწმენდილი იყო. მოვიდა, დაუწყო მიწას სწორება.

ხელმწიფეს გამოელვიძა და ძალიან გაუკვირდა. დაიბარა ისევ ვეზირები და ჰკითხა: როგორ მოვიშორო ეს ჩემი მონადირე თავიდანაო?

ახლა მეორე ვეზირმა ურჩია: უბრძანე, ზღვის გაღმა ქალაქი რომ არის, ის ხვალ დილამდის გამოღმა გამოიტანოსო.

ხელმწიფემ დაიბარა მონადირე და ის დაავალა, რაც ვეზირმა ურჩია.

მონადირე დაღონდა და ისევ ცოლს დაეკითხა: რა მეშველება, როგორ მოვიქცეო?

ქალმა ისევ ვაშლი მისცა და უთხრა: გაჰყევი ამ ვაშლს, სადაც გაჩერდება, იქ მოითხოვე საყვირი. მინდორში როცა გამოხვალ, დაიყვირე და რაც ქვეყანაზე ნადირია, ყველა მოგროვდება და უთხარი შენი გაჭირვებაო.

მონადირე ასეც მოიქცა. საყვირის ხმაზე მოცვივდნენ ნადირები და უთხრეს: რაზე დაგჭირდით, ბატონო?

მონადირემ უთხრა ნადირებს: ასე და ასე არის ჩემი საქმე, ეს ქალაქი, წყლის გაღმა რომ არის, ხვალ დილამდის გამოღმა გააშენეთო.

ნადირებმა მოისმინეს მონადირის სიტყვა და წავიდნენ. მონადირე დაბრუნდა შინ. მეორე დღეს გაიხედა და დაინახა წყლის გამოღმა გაშენებული ისეთი მშვენიერი ქალაქი, რომ უკეთესს კაცის თვალი ვერ ნახავდა. ხელმწიფეს ეწყინა ეს, მაგრამ რას იზამდა. ბოლოს ერთმა ვეზირმა ურჩია: უბრძანე „არვიცია“ მოგიტანოსო.

ხელმწიფემ მოიხმო მონადირე და უთხრა: გაძლევ სამი დღის ვადას, თუ მოგიტანია „არვიცია“, ხომ მოგიტანია, თუ არადა მოგკლავ და შენს მზეთუნახავს მე წავიყვანო.

წავიდა მონადირე „არვიციას“ საშოვნელად. იარა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ უდაბურ ტყეში. იქ ერთი ქოხი ნახა. ქოხში ერთი ბებერი იჯდა და იძახდა: პილტონ, აბა, სადილი მომიტანეო!

მაშინვე სადილი გაჩნდა.

— აბა, პილტონ, ღვინო დამისხიო, — თქვა ბებერმა.

ღვინოც დაუსხა ვიღაცამ თუ რაღაცამ. მონადირე გაოცებული იდგა და ფიქრობდა: ნამდვილად ეს უნდა იყოს „არვიციაო“. ბებერი გარეთ გამოვიდა. მონადირე ჩუმად შევიდა ქოხში, ისადილა და ბოლოს დაიძახა: პილტონ, მოდი, ღვინო დალიეო.

მონადირეს მოესმა ხმა: არა, ბატონო, მადლობას გწირავ, მე ღვინოს არა ვსვამ; რამდენი ხანია ბებერს ვემსახურები, იმას ჩემთვის ერთი წვეთი ღვინო არ მოუწოდებია და შენ კი მოსვლისთანავე მომაწოდეო.

მონადირეს უკვირდა: რა სულდგმულია, რომ ლაპარაკობსო. ბოლოს დაიძახა: პილტონ, წამოხვალ ჩემთან თუ არაო?

— კი, ბატონო, — მოესმა ხმა.

წამოვიდა შინ და გზაზე მალიმალ გაიძახოდა: პილტონ!

— რაა, ბატონო? — ესმოდა პასუხი.

გზაზე ერთი კაცი შეხვდა, რომელსაც ყუთი მიჰქონდა. ახადა ამ კაცმა ყუთს თავი და უცბად ჯარი ამოცვივდა. კაცმა ისევ ჩარეკა ჯარი ყუთში, დახურა, მოიკიდა ზურგზე და წასვლა დააპირა.

მონადირემ უთხრა: მოდი, კაცო, დავჯდეთ, პური ვჭამოთო.

მგზავრმა უპასუხა: არც შენა გაქვს რაიმე, არც მე, რა უნდა ვჭამოთო.

მონადირემ დაიძახა:

— პილტონ, სუფრა გაშალეო!

გაიშალა სუფრა ნაირ-ნაირი საჭმელებით. დასხდნენ და ისაუზმეს.

— პილტონ, აალაგე სუფრაო, — დაიძახა მონადირემ და სუფრა გაქრა.

მგზავრს გაუკვირდა ყველაფერი ეს და სთხოვა მონადირეს: გა-მიცვალე შენი პილტონი ჩემს ყუთშიო.

მონადირეს ჩასჩურჩულა ხმამ: გაატანე ჩემი თავი, ცოტაზე გავყვები და ისევ შენთან დავბრუნდებიო.

მართლა გაცვალეს. ცოტა მანძილი გაიარა მონადირემ და მოესმა ხმა: დაბრუნდიო.

მონადირე მივიდა ხელმწიფესთან. ხელმწიფემ ჰკითხა: რა ჰქენი, მომიყვანე „არვიციაო"?

ამ დროს ხელმწიფეს სტკიცა ვილაცამ სილა და ჰკითხა:

— აბა, თქვი, ვინ შემოგკრა სილაო?

გაოცებულმა ხელმწიფემ უპასუხა: — არ ვიციო.

— მე გახლავარ „არვიციაო", — მიუგო ხმამ.

ხელმწიფე საშინლად გაბრაზდა, უნდოდა მოეკლა მონადირე; მაგრამ მონადირემ ახადა ყუთს თავი, ამოცვივდა ჯარი და დახოცა ხელმწიფე და მისი ვეზირები.

მონადირე დაჯდა ხელმწიფედ, მზეთუნახავი — დედოფლად და „არვიცია" — უფროს ვეზირად.

გუშინ იქ ვიყავი,
დღეს აქ მოვედი.

უმცროსი ვაჟი და მგელი

იყო ერთი ხელმწიფე და ჰყავდა სამი შვილი. ხელმწიფეს მთაში ბაღი ჰქონდა, ბაღში იდგა ერთი შესანიშნავი ხე და ოქროს ნაყოფს ისხამდა. ერთი ფრინველი შეეჩვია ბაღს, ყოველთვის მიდიოდა და ჰიჰქონდა ხილი. ხელმწიფე დიდად წუხდა და უბრძანა თავის შვილებს: უდარაჯეთ ამ ხეს და ქურდი დამიჭირეთო.

პირველად სადარაჯოდ წავიდა ორი უფროსი შვილი, მაგრამ ვერ დაიჭირეს ქურდი. მერე წავიდა უმცროსი, ავიდა ხეზე და დაუდარაჯდა ქურდს. ამ დროს მოფრინდა ერთი უზარმაზარი ფრინველი, მოგლიჯა ნაყოფი და უნდოდა წაელო. ყმაწვილმა ხელი სტაცა, მაგრამ ვერ შეიმაგრა, მხოლოდ ერთი ფრთა გამოაგლიჯა. მიუტანა მამას და მოახსენა: ჩვენი ქურდი უზარმაზარი ფრინველი ყოფილა, თვითონ ვერ დავიმორჩილე, ფრთა გამოვგლიჯე და მოგიტანეო.

ხელმწიფემ მოიხმო თავისი შვილები და უთხრა: ჩემი შვილი ის იქნება, ვინც ამ ფრინველს მომგვრისო.

პირველად ორი უფროსი ძმა წავიდა. დიდი დრო გადავიდა და აღარ დაბრუნდნენ. ადგა და უმცროსი ძმაც წავიდა. იარა, იარა და მივიდა ერთი ხის ძირას. ხის ქვეშ ერთი ქვა იდო და ზედ ეწერა: მარჯვნივ წახვალ, წყალში ჩავარდები; მარცხნივ — ცეცხლში ჩავარდები, შუა გზაზე — მგელი შეგჭამსო. ყმაწვილმა მგლისაკენ წასვლა ირჩია. კარგა ხანს იარა და გავიდა ერთ მინდორში. იქ ჩამოხტა ცხენიდან და დაისვენა. ამ დროს გამოვარდა მგელი, მივარდა ცხენს და შეჭამა. ყმაწვილმა ტირილი დაიწყო. მგელმა გამოჰკითხა: ვინ ხარ, საიდან მოდიხარ და სად მიხვალო?

ყმაწვილმა ყველაფერი უამბო. მგელმა უთხრა: შემაჯექ ზურგზე და მე დაგეხმარებიო.

შეაჯდა ზურგზე ყმაწვილი, მგელმა სასახლეში მიიყვანა და უთხრა: აგერ იმ ფრინველის გალია, მიდი ჩუმად, გალიას ხელი არ ახლო, ფრინველი კი გამოიყვანეო.

ყმაწვილმა არ გაუგონა, გალიას ხელი ახლო, შეიქნა საშინელი ზარის რეკა. გამოცვივდნენ მოსამსახურენი, დაიჭირეს ყმაწვილი და მიჰგვარეს ხელმწიფეს.

ხელმწიფემ ჰკითხა: ვინა ხარ, რომ აქ შემოსვლა გაბედე ფრინველის მოსაპარადაო?

ყმაწვილმა თავისი ამბავი უამბო. ხელმწიფეს უნდოდა მოეკლა, მაგრამ ყმაწვილი შეეევედრა. ხელმწიფემაც აპატია, მხოლოდ უბრძანა: ერთს მეფეს რომ ოქროსფაფრიანი ცხენი ჰყავს, წადი და ის მომგვარე, თორემ ჩაგიგდებ ხელშიო.

გამოვიდა დაღონებული ყმაწვილი და უამბო თავის მგელს ეს ამბავი.

— შენ ნუ გეშინია, შემაჯექ და ახლა იქ წაგიყვანო, — უთხრა მგელმა.

შეაჯდა ზურგზე და წავიდა. იარა, იარა და მივიდა იმ მეფისას. მგელმა უთხრა: აგერ ცხენი, მაგრამ ოქროს უნაგირს ხელს ნუ მოჰკიდებ, მხოლოდ ცხენი წამოიყვანეო.

ყმაწვილმა არც აქ დაუჯერა, მოჰკიდა უნაგირს ხელი, საშინელი ზარის რეკვა ატყდა. გამოცვივდნენ, დაიჭირეს ყმაწვილი და მიუყვანეს მეფეს.

აქაც გაურისხდა მეფე: როგორ გამიბედე ცხენის მოპარვაო! იმ პირობით მოგიტევებ, თუ წახვალ ერთ სახელმწიფოში, სადაც ერთი უზეთუნახავი ქალი ჰყავთ, და იმ ქალს აქ მომგვრიო.

ეს ამბავიც უამბო თავის მგელს. მგელმა ზურგზე შეისვა და წაიყვანა. იარა, იარა და მივიდა იმ სასახლეში. აქ მგელმა უთხრა: ახლა კი დამიჯერე, რაც გითხრა. თორემ ვეღარას გიშველიო. კარს ხელი არ ახლო. მხოლოდ ქალი წამოიყვანეო. ყმაწვილი სწორედ ისე მოიქცა და გამოიყვანა მზეთუნახავი ქალი. მაშინ მგელმა უთხრა: ამ მზეთუნახავ ქალს ნუ დავკარგავთ, მე გადავიქცევიმაგ ქალად და მიმიყვანე იმ ხელმწიფესთანაო.

გადაიქცა ქალად მგელი. ყმაწვილმა მიჰგვარა ხელმწიფეს და მიიღო ოქროსფაფრიანი ცხენი. ყმაწვილი წამოვიდა. მგელიც გამოექცა იმ ხელმწიფეს და დაუხვდა წინ ყმაწვილს. ახლა ოქროსფაფრიან ცხენად გადაიქცა. ყმაწვილმა ცხენის მაგიერ მგელი მიჰგვარა ხელმწიფეს და ფრინველი მიიღო. მგელი იქიდანაც გამოიქცა და ყმაწვილს უთხრა: ახლა სამივე შენია, წადი და წაიყვანე, ნულარაფრისა გეშინიაო.

ყმაწვილმა მადლობა გადაუხადა, გახარებულმა სამივე წაიყვანა და მშვიდობით მივიდა თავის მამასთან.

მუხაგლეჯია სიდედრისა და სიმამრისა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხკაცი. ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი. როცა ეს ვაჟიშვილი მოიზარდა, მამამ მოინდომა იმისი დაქორწინება, მოღალა მაჭანკლები, შემოიარა ქვეყანა, მაგრამ ტყუილად, არ იქნა იმისი ბედი არ გაიხსნა.

ადგა ბოლოს ეს ბიჭი და წავიდა მრჩეველთან. მრჩეველმა უთხრა: წადი, ამა და ამ ადგილას რომ ერთი მუხა დგას და იმ მუხის ძირში წყარო გამოდის, იქ მიდი, იმ წყაროზე პირი დაიბანე, აიხედე მაღლა, იქ ერთ ქალსა ნახავ, წაიყვანე და ის იქნება შენი ბედიო.

წამოვიდა ბიჭი; როგორც მრჩეველმა უთხრა, ისე მოიქცა. იპოვა მუხა, მივიდა იმის ქვეშ და დაიბანა პირი, მერე აიხედა და ხეზე ერთი ქალი დაინახა; ჩამოიყვანა და წაიყვანა ცოლად.

ის დალოცვილის გაზრდილი საკვირველი სულიერი გამოდგა: თითო ჯერზე სამ თონე პურსა ჭამდა. ცოტა არ იყოს, შეწუხდა ამ ქალის ქმარი, სადა ჰქონდა იმდენი, რომ ის გამოეკვება.

— ვისი ქალი ხარ, სადაური ხარ, ვინ არის შენი დედ-მამაო, — ჰკითხავს ქმარი, — უნდა წავიდე, შენი დედ-მამა ვნახო, თან მოსაკითხი წავუღოო.

ცოლმა ასწავლა, სადაც უნდა წასულიყო, რა მხარეზე ეძებნა სიმამრი; კაცმა გამოაცხო ექვსი თონე პური, დაკლა საკლავი, ქათამ-ინდაურები, ჩაალაგა ხურჯინში, შეჯდა ცხენზე და წავიდა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა თავის სიმამრთან. სიმამრი ეზანას რწყავდა, ხნულში წყალი უდიოდა. სიძეს უნდოდა იმ წყალში გასვლა, მაგრამ მოიტაცა წყალმა თავის ცხენიანად და ჩაიტანა ბო-ლოში. ფართხალებს ეს კაცი, ცდილობს გამოვიდეს, მაგრამ ლამის დაიხრჩოს. შეეცოდა სიმამრს. მოსდო ბარი და გადმოაგდო თავის ცხენ-ხურჯინიანად მშრალზე. წამოდგა სიძეკაცი, მიესალმა თავის სიმამრს, გამოეცნაურა.

— კაცო, რაზე დაიხრჩობოდი, ჩემი სიძე ყოფილხარ, წამო და დავისვენოთ; შენი სიდედრიც მოვა, სადილს მოიტანს, პატარა კიდეც შევჭამოთ რამე.

დასხდნენ, ამოიღო სიძემ რაც რამ ნამცხვარი ჰქონდა და ქათამ-ინდაურები, მოსაკითხად წამოღებული. დაუსხდნენ, დაუწყეს ჭამა. სიმამრმა მიუსვ-მოუსვა, მიჭამ-მოჭამა ყველაფერი, ლუკმა აღარა-ფრისა გადარჩა, მერე ულვაშებზე გადისო ხელი, შესცქერის სიძე კაცი, შიშით სული სცვივა: მეც არ ჩამყლაპოსო.

ამხანად სიდედრიც მოვიდა, არც ის იყო პატარა ტანისა. თავზე ერთი ხახალი ედგა, ზედ ექვსი თონის ნამცხვარი ეწყო, ხელში ერთი ქილა შეჭამანდი ეჭირა, იქნებოდა ესე სამი კოკისტოლა.

— მოიტანე, ადამიანო? ძლივ არ მოხველ, რა დაგემართა, აქამ-დე ლამის შიმშილით მოვკვდეო, — უთხრა ქმარმა ცოლსა.

მოიხადა ხახალი დედაკაცმა, ჩამოდგა ძირს, დაუდგა ის შეჭამან-დიანი ქილაც.

— ცოტა დამიგვიანდა, შეჭამანდი არ იყო მოხარშული, — უთხრა ცოლმა, — აი, ახლა მიირთვითო.

თვითონაც გვერდით მოუჯდა.

— ჭამე, კაცო, მე შინა ვჭამე, აქ განა იმიტომ დავჯექ, რომ ვჭამო რამე, შენა ჭამე, დაღალული ხარო.

დაუჯდა ეს სიმამრი, დაუწყო ჭამა. თითო პურს თითო ლუკმად ადებდა.

— რატომ არა ჭამ, სიძე კაცო, — ეუბნება სიძეს სიმამრი.

რასა ჭამს, შიშით მუშტისტოლა გამხდარა, მეც არ შემაყოლო-ს. სიმამრმა ეს ექვსი თონე პური და ეს იმოდენა შეჭამანდი სულ ერთიანად შეჭამა. ულვაშები გადიწმინდა.

საღამო ხანზე სახლში წავიდნენ. სიძეც გაიპატიჟეს. მოდიან გზაზე. სიდედრი და სიმამრი ფეხით არიან, სიძე ცხენით მობრძან-

დება, მაგრამ ვერ ეწევა. მიაჭენებს ცხენს, მაგრამ მაინც ვერ ეწევა. შეეცოდა სიდედრს თავისი სიძე.

— აქ მოდი, სიძე, მოდი, ხახალზე დაჯექ, ცხენიც აქ დასვი, ხომ ჰხედავ დავარდი.

მოუცადა სიდედრმა, ჩამოდგა მიწაზე ცარიელი ხახალი, თავისი ცხენიანად სიძე აიყვანა და ზედ დასვა. მერე ისევ შეიდგა თავზე და მიაქვს.

გზაზე ერთ მუხას გაუარეს. სიძე კაცი მუხაზე წკეპლას მიეწვადა მოსატეხად. ხელი წაავლო, მაგრამ რაკი სიდედრი მიდიოდა, ვეღარ მოასწრო ხელის გაშვება და ზედ შერჩა. რაკი სიძე კაცი ხახალში ვეღარ დაინახა, სიდედრი მობრუნდა: რა მექნა, სად წავიდაო. დაინახა, რომ სიძე მუხის ტოტზე აკონწიალია.

— რას აკეთებ მანდ, სიძე ბატონო, — ჰკითხა სიდედრმა.

სიძე კი ვერ ჩამოსულა მუხიდან და გაჭირვებული ძლივს ქშიტინებს.

— არაფერს, ჩემო სიდედრო, ცხენისთვის წკეპლა მინდოდა მომეტეხნა და ამ მუხაზე გაველო.

მოგლიჯა მუხა ძირიანად სიდედრმა და დაიდვა ისიც ხახალზე. ასლა კი, ცოტა არ იყოს, შიში მიეცა სიძე კაცსა. აქ ხეირი არ არის, თუ თავს არ ვუშველეო. იფიქრა გულში.

— სიდედრო, წყალი მინდა დავალევინო ცხენს. ჩამოგვსვი და ბალე მოგეწევით ისევა, თქვენ წადით, ნუ მომიცდითო.

ჩამოსვა სიდედრმა ხახალიდან თავის ცხენიანად.

ცოტა დაიცადა სიძე კაცმა და, როცა სიმამრ-სიდედრი კარგა შანძილს გასცდნენ, მოახტა თავის ცხენს და მოძუძგა სახლისაკენ გულგახეთქილმა.

ღორისთავიანი გიჟი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. იყო ერთი ცოლ-ქმარი. შვილი არ ჰყავდათ და ღმერთს შესთხოვეს: ოღონდ ერთი შვილი მოგვეცი და გინდ ძაღლი იყოს, გინდ ღორი, მაინც გავზრდითო. ცოლ-ქმარს ნატვრა შეუსრულდა და ვაჟი შეეძინა. ბიჭს ღორის თავი დაჰყვა, მაგრამ დედ-მამას მაინც უყვარდა და ისე უფრთხილდებოდა, როგორც თვალის ჩინს.

ბიჭი უკვე საქორწილო გახდა. დედ-მამა დარდობდა, ღორის-თავიან ვაჟს ვინ გამოყვებაო!

ერთ დღეს ბიჭი მამასთან მივიდა და უთხრა:

— ჩვენი ხელმწიფის ქალი უნდა შევირთოო.

— შენ ხელმწიფის ქალს ვინ მოგცემს, ღარიბ-ღატაკი ხარო, — უთხრა მამამ.

— არა, უნდა წახვიდე და სთხოვოო, — აიჩემა ბიჭმა.

რაღას იზამდა მამა. წავიდა და ხელმწიფეს მოახსენა:

— ჩემ შვილს თქვენი ქალი უყვარს და ცოლად უნდა გამოაყოლოო.

ხელმწიფეს გამოცხადებული ჰქონდა, რომ ვინც ერთი დღეღამის განმავლობაში მის ეზოში ოქროს კოშკს დადგამდა და თავის კარიდან ხელმწიფის სახლამდე მარმარილოს დააგებდა, ქალს იმას მიათხოვებდა. ბიჭის მამასაც ასე უთხრა:

— შენმა შვილმა ხვალ დილამდე ოქროს კოშკი ამიგოს და ქალს მაშინ მივათხოვებ, თუ არა და თავს მოვჭრიო.

ბიჭის მამა დაღონდა, გამობრუნდა და ყველაფერი შვილს უამბო.

— ჯავრი ნუ გექნებაო, — უთხრა ვაჟმა და არხეინად დაიძინა.

მამას დილით ადრე გაეღვიძა და შვილი სახლში ვეღარ ნახა. გარეთ გაიხედა და რას ხედავს! ხელმწიფის ეზოში ოქროს კოშკია აგებული და ისე ბდღვრიალებს, რომ თვალებსა სჭრის! შვილიც მოვიდა და მამას უთხრა:

— წადი ხელმწიფესთან და ჰკითხე, რას იტყვისო.

კაცი წავიდა და ხელმწიფეს ჰკითხა:

— ახლა რას იტყვი, დიდო ხელმწიფევ, პირობა ხომ შესრულებულიაო!

— თუ შენი შვილი ხვალამდე თქვენი კარიდან ჩემ სასახლემდე მარმარილოს დააგებს, ქალიშვილს მივათხოვებ, თუ ვერა და, მოვკლავო.

მამა რაღას იზამდა, შინ წამოვიდა და ხელმწიფის სიტყვები შვილს გადასცა.

— ჯავრი ნუ გექნება, — ახლა მე ვიციო, — უთხრა ვაჟმა და წავიდა.

მეორე დღეს ბიჭის მამა ადრე ადგა, დაინახა, თავისი ეზოდან ხელმწიფის სასახლემდე ისეთი მარმარილოა დაფენილი, რომ თვალებს სჭრის.

ბიჭმა ისევ გაგზავნა მამა: გამიგე, ხელმწიფე კიდევ რას მიბრძანებსო. კაცი წავიდა და ხელმწიფეს უთხრა:

— დიდებულო ხელმწიფევ, ჩემმა ვაჟმა ახლა ხომ ყველაფერი შეგისრულა, კიდევ რას უბრძანებო?

— ახლა წადი, შენ შვილს უთხარი, ქორწილისათვის მოემზადოსო, — ბრძანა ხელმწიფემ.

ბიჭის მამა გამოიქცა შინ და შვილს გამარჯვება ახარა. ქორწილისათვის მოემზადნენ. სტუმრები მოიწვიეს, ბიჭი ჩაჯდა ეტლში, თან წაიყვანა მაყრები და ხელმწიფის სასახლისაკენ გასწია.

ხელმწიფემ ღორისთავიანი ბიჭი რომ დაინახა, გული შეუღონდა, მაშინვე ნაზირ-ვეზირებს უბრძანა, დაიჭირეთ და მოკალითო!

ბიჭმა ხელმწიფეს უთხრა:

— თუ შენი სიტყვა დაარღვიე და ქალი არ გამატანე, ამ მარმარილოს გზას ახლავე მტვრად ვაქცევ და შენ სახლ-კარსა და ჯარსაც ზედ მივაყოლებო.

ხელმწიფე შეშინდა, რაღას იზამდა, ადგა და სასიძო მიიპატიჟა. ქალმა რომ ღორისთავიანი ბიჭი დაინახა, ტირილი დაიწყო, მამაც ძალით მოუსვა გვერდით სასიძოს. ბიჭმა ხელმწიფის სახლში დაიწყო ცხოვრება.

ქალი მთელი დღე სახლში იჯდა და ტიროდა, გარეთ აღარ იხედებოდა.

ერთხელ ვაჟმაც მიუსწრო, ქალი პირს იხოკდა და მოთქვამდა. შეებრალა. ღორის ტყავი გადაიძრო და იმისთანა ლამაზი ბიჭი გადმოხდა, რომ თქვენი მოწონებული! ახლა კი შეუყვარდა ქალს ქმარი. სთხოვა, ნუღარ გადაიცმევ მაგ ღორის ტყავსაო, მაგრამ ბიჭმა არ დაუჯერა და ისევ ღორის ტყავით დადიოდა. ერთ დღეს ქალმა ტყავი ჩუმად თონეში ჩააგდო და დაწვა.

ბიჭს გაეღვიძა და ტყავი მოიკითხა. ქალმა უთხრა, დავწვიო. ამ სიტყვების თქმა და ბიჭის მტრედად ქცევა ერთი იყო. მტრედი საცოდავად აჭყიოლდა და გაფრინდა. ქალმა ბევრი იტირა და იდარდა, მაგრამ რაღას უშველიდა! მას შემდეგ, ქალის თვალზე ცრემლი აღარ შემშრალა, აღარც ჭამდა, არც სვამდა, იჯდა — ტიროდა, იწვა — ტიროდა და ვეღარაფრით აჩერებდნენ.

ხელმწიფე ძლიერ შეწუხდა და გამოაცხადა: ვინც ჩემს შვილს გაამხიარულებს, დავასაჩუქრებო.

ვინ არ სცადა ქალის გამხიარულება, მაგრამ გაგიგონიათ? წარბიც ვერ გააშლევინეს. ბოლოს, ქალმა მამას უთხრა:

— მომეცი რკინის ტანსაცმელი, სახლიდან უნდა წავიდეო!

ხელმწიფე რაღას იზამდა, მისცა ტანსაცმელი შვილსა და გზა-

დაულოცა. ქალმა რკინის ტანსაცმელი ჩაიცვა და მტრედის საძებრად გაეშურა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთი ირემი შეხვდა. ირემს ცალი რქა ცაზე ჰქონდა მიბჯენილი, ცალი კი — დედამიწაზე. ქალმა ირემს ჰკითხა:

— კეთილო ირემო, აქეთ მტრედი ხომ არ გამოფრენილაო?

— მე მხოლოდ ერთ მხარეს ვიყურები და არ დამინახავს; იქნებ მეორე მხარეს გაფრინდაო.

ქალმა ტირილი დაიწყო. იმისი ცრემლები ზღვას ერთოდა. შეებრალა საცოდავი ქალი ირემს და უთხრა:

— მოდი, ჩემ რქებს ზევით აჰყე და ცაში აგიყვანს. იქ მზისა და მთვარის დედას ჰკითხე, იმათ ეცოდინებათ, საით გაფრინდა მტრედიო. იმასაც გთხოვ, გამიგო, როგორ შეიძლება ჩემი რქებისაგან გათავისუფლებაო.

ქალი ირმის რქებს აჰყვა და ზეცაში ავიდა. ერთი დიდი კოშკი დაინახა და იქით გასწია. კოშკში მზისა და მთვარის დედა ცხოვრობდა. უცხო ქალი რომ დაინახა, გაკვირვებით უთხრა:

— უმე, შვილო, როგორ გაბედე აქ მოსვლა, მზე მოვა და დაგწვავსო!

ქალმა მზისა და მთვარის დედას ყველაფერი უამბო, მზისა და მთვარის დედას შეებრალა და ოთახში დამალა.

საღამოს მზე მოვიდა და დედას უთხრა:

— ადამიანის სუნი მომდის, ხომ არავინ მოსულა აქაო?

— ვინ უნდა იყოს, შვილო, ჩვენთან მოსვლას, აბა, ვინ გაბედავდაო! — უპასუხა დედამ. მერე მზეს ტაშტი მიუტანა და ხელები დააბანინა. პურის საჭმელად დასხდნენ. დედამ შვილს ჰკითხა:

— მთელ ქვეყანას გარშემო უვლი და საკვირველი არაფერი გინახავსო?

— საკვირველი ბევრი შემხვდა, დედი, მაგრამ იმაზე საცოდავი არაფერი მინახავს, ვიდრე მტრედად ქცეული ვაჟიო, მთელი დღე ზის საწყალი და ტირისო.

— როგორ უნდა იცნონ იმდენ მტრედებში ის ბიჭიო? — ჰკითხა დედამ.

— იმ მტრედს შავი ნიშანი აქვს, განაპირა მინდორში ზის სამ მტრედს შორისო, — უპასუხა მზემ.

— მერე, შვილო, არ შეიძლება იმის ადამიანად ქცევაო?

— როგორ არა, თუ იმ მტრედს ჩემი და ჩემი ძმის ხელისნაბან წყალს გადაავლებენ, ისევ ბიჭად იქცევაო.

დედამ მზის ხელისნაბანი წყალი ქილაში ჩაასხა და შეინახა.

ეზე რომ წავიდა, მთვარე მოვიდა. დედამ იმასაც დააბანინა ხელები და წყალი ჩუმად შეინახა. პურის საჭმელად რომ დასხდნენ, დედამ ჰკითხა:

— შვილო, მთელ ქვეყანას დაჰყურებ და საკვირველი არა გინახავს რაო?

— როგორ არა, იმაზე საკვირველსა და საცოდაობას რას ვნახავდი, ქალაქში ხელმწიფის ქალი რომ იტანჯებაო, — უთხრა მთვარემ.

— რად იტანჯება ხელმწიფის ქალიო?

— იმისი ქმარი მტრედად გადაიქცა და საბრალო ქალი მთელი დღე და ღამე ტირის, იმისი საცოდაობით მთელი ქვეყანა იწვისო.

— მერე, შვილო, მტრედს აღარაფერი ეშველებაო?

— როგორ არა, იმ ქალმა მტრედს ხელი უნდა სტაცოს და უბეში ჩაისვას ისე, რომ მტრედმა დღის სინათლე ვეღარ დაინახოსო.

— მერე— იმის ადამიანად ქცევა როგორ შეიძლება? — ჰკითხა ისევ დედამ.

— ჩემი და ჩემი დის ხელისნაბან წყალს თუ ვინმე გადაავლებს, ისევ ბიჭად იქცევაო. — უთხრა მთვარემ და წავიდა.

მზისა და მთვარის დედამ ქალი გამოიყვანა, შვილების ხელისნაბანი წყალი გამოუტანა და გამოგზავნა. ხელმწიფის ქალმა ჰკითხა:

— იმ ირემს რაღა ეშველებაო?

— რას გაჩერებულა ერთ ადგილას. რაც ძალი და ღონე აქვს, გააქნიოს თავი და რქები დასცვივაო.

ქალი წამოვიდა და ირემს მზის და მთვარის დედის რჩევა გადასცა. ირემმა თავი გააქნია და რქები სულ დასცვივდა. გახარებულმა ქალს მადლობა გადაუხადა და მოკურცხლა.

ქალმა გზა განაგრძო. ერთ მინდორში სამი მტრედი დაინახა, შუალას მიეპარა, ხელი სტაცა და უბეში ჩაისვა. მტრედმა ბევრი იჭყივლა, მაგრამ ქალმა ყური არ უგდო. მიიყვანა სახლში, მზისა და მთვარის ხელისნაბანი წყალი გადაავლო და მტრედი ისევ ბიჭად გადაიქცა.

ქალმა და ვაჟმა კვლავ იქორწინეს და ბედნიერად იცხოვრეს.

ასლანის გაზრდილი

იყო და არა იყო რა. ერთ ხელმწიფეს ორი შვილი ჰყავდა. უმცროსი ავად გაუხდა. ერთმა მოხუცმა უთხრა: ეს პატარა ისეთი გამოცვა, რომ ხელს აბანინებდეო.

ხელმწიფე გაბრაზდა: ისეთი შვილი რად მინდა, ჩემი უფროსი

გახდესო. წააყვანინა და უდაბურ ტყეში გადააგდებინა. ბიჭი ტყეში შეეჩვია ასლანს და ამანაც გაზარდა. უფროსი შვილი დარჩა შინ. ერთ დღეს სანადიროდ წავიდა იმ ტყეში, სადაც ასლანი ზრდიდა უმცროს ძმას. უფროსმა შვილმა დაინახა ასლანის გაზრდილი ბიჭი, მაგრამ რას იცნობდა.

— არ მომკლა, შენი ძმა ვარ, — უთხრა ასლანის გაზრდილმა.

წამოიყვანა უფროსმა ძმამ იგი და ჰყავდა შინ. ასლანის გაზრდილი ისეთი ღონიერი იყო, რომ უფროსს ბევრად სჯობნიდა.

უფროსმა ძმამ გადაწყვიტა, შვიდი დევის დას ცოლად შევირთავო. ასლანის გაზრდილმა წაიყვანა შვიდ დევთან, დაუძახა დევებს და უთხრა: სამოყვროდ მოვედით და თუ შეგიძლიათ, გაგვიმასპინძლდითო. დევებს შეეშინდათ ასლანის გაზრდილისა და ქალი მისცეს.

შვიდ დევს ცხრა ოთახი ჰქონდა, გასაღებს ქალი ინახავდა.

ერთ დღეს ასლანის გაზრდილმა დევები სანადიროდ წაიყვანა. ხოლო ხელმწიფის შვილი და ქალი შინ დატოვა.

ხელმწიფის შვილმა ქალს გამოართვა გასაღები და ყველა კარი გააღო. მეცხრე კარზე ქალმა უთხრა: ამას ნუ გააღებ, თორემ ინანებო.

ხელმწიფის შვილმა არ დაიშალა. იმ ოთახში თურმე სამარშინწვერიანი დევი იყო დაბმული. იგი ამ ქალის წასაყვანად მოსულიყო, დევებს დაეჭირათ და ჯაჭვით დაებათ. ერთი დიდი ჯამით საჭმელი დაედოთ, მაგრამ შორიდან აცქერინებდნენ, არ აჭმევდნენ.

ბიჭმა რომ ოთახი გააღო, წვერიანმა დევმა უთხრა: ეს ჯამი ახლოს მომიწიეო. ბიჭმა მიუწია. დევმა ჩაისხა მუცელში საჭმელი თუ არა, გაგლიჯა ჯაჭვი, ერთი სილა გაარტყა ბიჭს, ქალი მოიტაცა და გაფრინდა. დარჩა ხელმწიფის შვილი ცარიელი.

საღამოს ასლანის გაზრდილი და დევები დაბრუნდნენ. ბიჭი გდია უგონოდ. ღია ოთახები რომ დაინახეს, დევები მიხვდნენ, რაც მომხდარიყო. ბევრი იდარდეს, მაგრამ რაღას იზამდნენ.

ასლანის გაზრდილმა უთხრა დევებს: ჩემი ძმა ჩემს მოსვლამდის აქ იყოს, მე ქალს მოვძებნი და ვიპოვი. ერთ წელიწადში დავბრუნდებიო. ასლანის გაზრდილმა ისინი აქ დატოვა და მარტო წავიდა ქალის საძებრად. ერთხელ ზღვის პირას გაიარა, ზღვიდან უღელი კამეჩი გამოვიდა და ჭიდაობა დაიწყეს. ამ დროს ზღვის კაცი გამოვიდა, ჩაავლო კამეჩებს ხელი, ერთი ცხრა მთას იქით გატყორცნა, მეორე — რვა მთას იქით. ასლანის გაზრდილს ეს გაუკვირდა და უთხრა:

— რა მკლავში გაქვს ამდენი ძალაო?

— მე რაო, კაცი ის არის, ვინც შვიდი დევი მოყვრად გაიხადაო.

— ეს ხომ მე ვარო, — უთხრა ასლანის გაზრდილმა.

— აბა, ვიძმოთო, — და დაძმობილდნენ.

წავიდნენ ორივენი. ერთი წყალი ჩამოდის. ზედ კაცი გადაბჯენილა ხიდად, ურემი გადის-გამოდის, მაგრამ დრეკა არა აქვს. რომ გადავიდნენ, ასლანის გაზრდილმა ჰკითხა:

— კაცო, რა წელი გიძლებს, ამოდენა ტვირთს როგორ იტანო?

— მე რაო, კაცი ის არის, ვინც შვიდი დევი მოყვრად გაიხადაო.

— ეს ხომ მე ვარო, — უთხრა ასლანის გაზრდილმა. დაიძმობილეს ეს კაციც და გახდნენ სამნი. წავიდნენ. კითხულობენ იმ წვერიანი დევის კვალს.

ერთ ალაგას დადგნენ. გაუვალი ტყეა. ღამეც იქ არიან და დღეცა. ცოტა მოშორებით წყალი ჩამოდის. ინადირეს, ზღვის კაცს ნანადირევის მოხარშვა დაავალეს, ბოგირის კაცი და ასლანის გაზრდილი სანადიროდ წავიდნენ.

ზღვის კაცი კერძს ხარშავს. თვალი მოჰკრა სამარშინწვერიან დევს. დევმა წყალი დალია და მივიდა ზღვის კაცთან.

— რასა ხარშავო? — ჰკითხა.

— ხორცსაო! — უპასუხა მან.

დევმა აიღო ეს ხორციანი ქვაბი და სულ ჩაისხა მუცელში.

— ეგ რა მიყავი, ძმობილებს როგორ უნდა დავხვდეო! — გაჯავრდა ზღვის კაცი.

დევი მოუბრუნდა, ერთი სილაც გააწნა და წააქცია. მეგობრები რომ დაბრუნდნენ. ჰკითხეს ზღვის კაცსა:

— რა მოგივიდაო?

— ავად გავხდი და არ ვიცი, ვინ შეჭამა კერძიო.

ნამდვილი ამბავი არ გაამხილა.

ახლა ბოგირის კაცი დარჩა კერძის გამკეთებლად, ზღვის კაცი და ასლანის გაზრდილი სანადიროდ წავიდნენ. ხარშავს ხორცს. სად იყო. სად არა, კიდევ მოვიდა სამარშინწვერიანი დევი, წყალი დალია, მთელი ქვაბი კერძი მუცელში ჩაისხა, ბოგირის კაცს ერთი სილა გააწნა, შიწაზე დასცა და წავიდა.

მონადირეები დაბრუნდნენ. კერძი არ დახვდათ. არც ამან გაამხილა, თუ ვინ გააწნა სილა. ახლა ასლანის გაზრდილი ხარშავს კერძს, ორი ძმობილი კი სანადიროდ წავიდა. ასლანის გაზრდილმა დაინახა წვერიანი დევი.

— რასა ხარშავო? — შეეკითხა დევი.

— ხორცსაო! — უპასუხა ასლანის გაზრდილმა.

დევმა აიღო ქვაბი და კერძი რომ უნდა ჩაესხა მუცელში, ეცა შაშინვე ასლანის გაზრდილი, მიათრია წყაროსთან და დიდ ხეზე თავისივე წვერით მიაბა. ხორცი მოხარშა. ძმობილებიც დაბრუნდნენ,

გაშალეს სუფრა და პურსა ჭამენ. წყალი მოსწყურდათ. წავიდა ზღვისკაცი. დაინახა წვერიანი დევი, შეშინდა და უკან დაბრუნდა ხელცარიელი, ვერც ბოგირის კაცმა მოიტანა წყალი. ბოლოს ასლანის გაზრდილმა მოიტანა წყალი. სადილის შემდეგ ასლანის გაზრდილს დაეძინა. წვერიანმა დევმა იმდენი იწია, რომ ძირიანად მოგლიჯა ხე და წაათრია. ბოგირისა და ზღვის კაცები შეშინდნენ. გააღვიძეს ასლანის გაზრდილი. ამასობაში დევმა წვერი გაგლიჯა და თავს უშველა. ძმობილები გამოუდგნენ და დაინახეს, რომ დევი ერთ ალაგას ორმოში ჩახტა. სამივე იმ ორმოს მიადგა.

წვერიან დევს ერთი უბრალო სახლი ჰქონდა. ასლანის გაზრდილი ბანზე ავიდა და სახლში თავისი რძალი დაინახა. დევიც იქვე იყო, დაღლილი დაწოლილიყო და ეძინა. ასლანის გაზრდილმა ქალს ჩასძახა: გამიგე, მაგის სული რაშიაო.

წვერიანს რომ გამოეღვიძა, ქალმა ჰკითხა: მითხარი, შენი სული რაშია, შენ რომ აქ არ იქნები, იმაზე ვილოცებო.

— ჩემი სული ფილთაქვაშიაო.

ქალმა ეს ფილთაქვა ააყვავა, სულ ეალერსება. წვერიანმა თქვა: ვუვარებივარო.

— ჩემი სული მაგაში როდია, ცოცხშიაო.

ახლა ცოცხი მორთო ქალმა.

როცა დარწმუნდა ქალის ერთგულებაში, დევმა უთხრა: ჩემი სული ნამდვილად სხვაგან არის. ამ ბანიდან ერთი მთა ჩანს, იქ წყარო ჩამოდის, იმ წყაროში ერთი კოლოფი დევს. კოლოფში სამი ჩიტი ზის და მათ აქვთ ჩემი სულიო; ერთი რომ მოკვდეს — გამაციებს, მეორე — გამაცხელებს და მესამე რომ დაიღუპოს, მეც თან გადავყვებიო.

ეს გაიგონა ასლანის გაზრდილმა და მაშინვე წავიდა. ის მთა გადაიარა, წყარო იპოვა, კოლოფი ამოიღო, ნახა სამი ჩიტი, სამივეს მაშინვე წააგლიჯა თავი და წვერიანი დევიც მოკვდა.

წვერიან დევს ბევრი სიმდიდრე ჰქონდა. ეს ასლანის გაზრდილმა ქვევიდან მოაწოდა ამხანაგებს. ქალმა უთხრა:

— მოდი, ჯერ შენ ადი და მერე მე ამიყვანეო.

— არა, როგორ იქნება, ჯერ შენ ადიო.

— ამხანაგები გიღალატებენ, ჯერ შენ ადიო, — კვლავ უთხრა ქალმა.

არ დაიშალა ასლანის გაზრდილმა და სიმდიდრე რომ მიაწოდა, მერე ქალიც აუშვა. ქალმა უთხრა: თუ ამხანაგებმა გიღალატეს და არ აგიყვანეს, აქ გამოივლეს ორი ერკემალი, ერთი შავი, მეორე თეთრი

და დაიწყებენ თამაშს, თუ თეთრზე შეახტები, მაღლა ამოგაგდებს, თუ შავზე — ქვესკნელში ჩაგაგდებსო. იმდენი ეცადე, თეთრს შეახტიო.

ამხანაგებმა მართლა უღალატეს, აღარ ამოიყვანეს. წაიღეს ეს ქონება და წაიყვანეს ქალიც. დარჩა ასლანის გაზრდილი ორმოში. სად იყო, სად არა, გამოჩნდა ორი ერკემალი. თამაშობენ. ეწვალა, მაგრამ ვერ შეახტა თეთრს. შეახტა შავს და ჩავარდა ქვესკნელში. ასლანის გაზრდილი მივიდა ერთ სახელმწიფოში. ნახა ერთი ბებერი დედაკაცი.

— წყალი დამალევინეო! — სთხოვა ბებერს.

— სად არის, შვილო, წყალი, წყალი გველეშაპს უჭირავს, სახელმწიფო კი უწყლოდ იხრჩობა. ახლა ხელმწიფემ გასათხოვარი ქალი მისცა. გველეშაპი ჯერ მას შეჭამს და ცოტა წყალს დაგვითმობსო.

ასლანის გაზრდილმა უთხრა: მომეცი ჭურჭელი, წყალს მე მოგიტანო!

აიღო კოკა და წავიდა. ნახა, ხელმწიფის ქალი ზის და ტირის.

— რად ტირიო? — ჰკითხა ასლანის გაზრდილმა.

— გველეშაპმა უნდა შემჭამოს და განა სატირალი არა მაქვსო!

ასლანის გაზრდილმა თავი კალთაში ჩაუდო და დაიძინა: როცა გველეშაპი მოვიდეს, გამაღვიძეო.

მოდის გველეშაპი. ქალი ვერ აღვიძებს. ცრემლი ჩამოსდის, აეწვა თვალები. ასლანის გაზრდილს გაეღვიძა, ესროლა და გველეშაპი იქვე მოკლა. ქალმა სისხლში ხელი ჩაყო და ზურგზე დაადო ასლანის გაზრდილს, თვითონ კი მამასთან გაიქცა. ასლანის გაზრდილმა მიუტანა ბებერს წყალი.

ხელმწიფე ქალს გაუჯავრდა: გველეშაპი ხომ ყველას დახოცავს. რად გამოიქეცი, ახლავე გაბრუნდიო!

— გველეშაპი მოკლესო! — უთხრა ქალმა. ხელმწიფეს გაუხარდა და გამოაცხადა:

— ვინც ის გველეშაპი მოკლა, ჩემი ქალი იმას უნდა მივათხოვოო.

შეყარა მთელი სახელმწიფო. დაიბარა ასლანის გაზრდილი და თავისი მზეთუნახავი შესთავაზა.

— არა, აქ ვერ დავრჩები, ზეციდან ვარ ჩამოსული და იქ ამიყვანეო, — სთხოვა ასლანის გაზრდილმა.

— მე ზეცაში ვერ აგიყვან, მაგრამ გზას კი გასწავლიო: ერთ ფასკუნჯს შვილებს უჭამს გველეშაპი, თუ იმ გველეშაპსაც მოკლავ, ფასკუნჯი აგიყვანსო.

ასლანის გაზრდილი წავიდა. მივიდა იმ ხის ძირში, სადაც ფასკუნჯს ბუდე ჰქონდა. მოკლა გველეშაპი და ბარტყები გადაარჩინა. ფასკუნჯმა უთხრა:

— შვილების გადარჩენისათვის რას მთხოვო?

— ზეცაში უნდა ამიყვანოო!

— მომიტანე შვიდი ხარი, შვიდი რუმბი წყალი, დამიწყვე ფრთებზე, შემაჯექ ზედა და აგიყვანო.

კამოართვა ხელმწიფეს შვიდი ხარი და შვიდი რუმბი წყალი. დაუწყო ფრთებზე ფასკუნჯს და ვაფრინდნენ. ფასკუნჯმა უთხრა:

— რამდენიც ფრთა ავიქნიო, იმდენი ხარი და რუმბი წყალი ჰომეციო.

ასეც მოიქცა. ზესკნელამდე ცოტა იყო დარჩენილი, როცა გამოელია ხორცი. ასლანის გაზრდილს შეეშინდა, ისევ ქვევით არ წაჰიყვანოსო, კუნთი გამოიჭრა და ჩაუდო პირში. ავიდნენ ზესკნელში. ასლანის გაზრდილმა კოჭლობა დაიწყო.

— ეს ტკბილი ხორცი რისა იყო? — ჰკითხა ფასკუნჯმა.

— მე გამოვიჭერიო.

— რომ მცოდნოდა, ასეთი ტკბილი ხორცი გქონდა, იქვე შეგჭამდიო.

გამოიძრო ფრთა, მიუსვ-მოუსვა და მოარჩინა.

წამოვიდა და თავისი ამხანაგები დაინახა, ქალი შორიახლო ზიხ, ისინი ერთად სხედან. ესროლა ასლანის გაზრდილმა და ორივე დახოცა. წამოიყვანა ქალი და მოვიდა დევებთან. დევებს და ძმას დიდად გაეხარდათ. გადაიხადეს დიდი ქორწილი და მეორე დღეს წამოვიდნენ დედ-მამასთან. გახარებულმა ხელმწიფემ ასლანის გაზრდილს ხელები დააბანინა. ახლა კი გაიგო, რომ მისი შვილი იყო და მოხუცის სიტყვებიც ასე ასრულდა. შემდეგ ცხოვრობდნენ ბედნიერად.

ჭირი იქა, ლხინი აქა.
ნაცარი იქა, ფქვილი აქა.

გოლოლა

იყო ერთი ხელმწიფე. ცოლი ჰყავდა და შვილი კი არა.

მეფე საგონებელს ჩავარდა. ერთ დღეს გამოვიდა სასახლის აივანზე, სავარძელში ჩაჯდა და მიეცა ფიქრს.

ამ დროს გამოიარა ერთმა ქაჯმა და მოახსენა: დიდებულო ხელმწიფევ, რას დაფიქრებულხარო? ხელმწიფემ უპასუხა: რას დავფიქ-

რებულვარ და აგერ ოთხმოცი წლისა ვარ და შვილი არა მყავს; კფიქრობ, ეს ჩემი სახელმწიფო ვის ჩავაბაროო.

— კარგი, დიდებულო ხელმწიფევ, მე ისეთს წამალს მოგცემთ. რომ სამ წელიწადში სამი შვილი გეყოლოთ, ერთი მე და ორი თქვენაო.

ხელმწიფემ უბრძანა: ოღონდ შვილი მეყოლოს და ორი შენ და ერთი მეო.

— არა, ბატონო, ერთი მე და ორი თქვენაო, — მოახსენა ქაჯმა.

მისცა წამალი და დედოფალს მართლა სამ წელიწადში სამი შვილი ეყოლა. თუ სხვანი წლითა და თვით იზრდებოდნენ, ისინი კვირითა და დღითა.

შვიდი წელიწადი რომ გავიდა, მოვიდა ქაჯი და მოახსენა ხელმწიფეს: აბა, პირობაზე როგორ ხარო?

— მე ძალიან კარგად ვარ და არც ჩემს პირს გადავალ, რომელიც გინდა, წაიყვანეო.

დაიბარა უფროსი შვილი და უთხრა: აი, შვილო, მე ოთხმოცი წლისა ვიყავ და შვილი არა მყავდა, მერე ამ კაცმა ისეთი წამალი მომცა, რომ სამ წელიწადში სამი შვილი მომეცა და პირობა კი ისე გვქონდა, რომ ამ სამ შვილში ერთი ამისათვის უნდა მიმეცა და უნდა შენ გაჰყვეო.

ვაჟმა უთხრა: აქედან გამეცალოს, თორემ ასეთ წამალს მივცემ. გზა ვეღარ გაიგნოსო! მეორემაც ასე უთხრა.

ბოლოს დაიბარა უმცროსი შვილი. უმცროსმა შვილმა მოახსენა: რა უშავს, მამა, ეგეც ადამიანია და თქვენცა, გავყვებიო.

დაემშვიდობა დედ-მამას და გაჰყვა.

ქაჯი შეჯდა ცხენზე, ყმაწვილი უკან შემოისვა და უცებ გაქრა. მეფემ და დედოფალმა ტირილი დაიწყეს. ნეტავი ან გვარი გვეკითხა ან სახელი, თუ ცოცხალს ვეღარ ვნახავდით ჩვენ შვილს, მკვდარი მაინც გვეპოვნაო.

ამასობაში ქაჯმა იარა, იარა და მივიდა ბინაზე. მეფის შვილი ცხრაკლიტულში შეიყვანა და უთხრა: დაჯე, შვილო, სადილს მოვიტან და ერთად ეჭამოთო.

ქაჯი გამოვიდა, ცხრა კარი დაკეტა, გასაღები და ერთი დანა თავის დედას გადასცა და უთხრა: ცხრაკლიტულში ერთი ცხვარი დავამწყვდიე, ეგ დანა სამი დღე და ღამე ლესე, ის ცხვარი დაკალ და მუჟუჟად ჩადეო.

დედაბერმა სამი დღე და ღამე ლესა ის დანა, მეოთხე დილა რომ გათენდა. ადგა. ცხრაკლიტული კარები გააღო და თქვა: სად ხარ,

ჩემი შვილის მოყვანილო ბატკანო, უნდა დაგკლაო. მეფის შვილი კამოვიდა და ჰკითხა: რა იყო, დედიო?

დედაბერმა უპასუხა: დედა არ გეთქვა, ეს დანა შენთვის მომქონდა, ყელი უნდა გამომეჭრაო.

მოკიდა ხელი და გამოიყვანა. აჭამა პური, მასუკან ბოსელში შეგზავნა და უთხრა: რომელი რაშიც მოგეწონოს, გამოიყვანე, შეჯექ და წადიო. მისცა სამი ნივთი: სავარცხელი, ერთი შუშა ზეთი და სალესავი ქვა.

მეფის შვილი წავიდა, გზაში რაშმა უთხრა: ქაჯი რომ ახლა რაშზე ზის, ის რაში დედაჩემია. ვიცი, გამოგვიდგება, ეტყვის ქაჯს: შენი მოყვანილი მეფის შვილი წავიდა, ჩემს შვილზე ზის და ისე ბიდისო. მალ-მალ მიიხედე უკან, თორემ დაგვეწევა და დაგვიჭერს, შენც მოგკლავს და მეცაო. დედაჩემი რომ გამოჩნდეს, სავარცხელი გადააგდე და ატყდება ტყეო. სანამ იმას გაკაფავს, ჩვენ კარგა გზას კავივლითო. მერე თუ კიდევ დაგვეწიოს, გადააგდე სალესავი, ამოსდება კლდე. სანამ ამ კლდეს გატეხს, კიდევ კარგა გზას გავივლით და, თუ კიდევ დაგვეწიოს, უკან გადაღვარე ზეთი, ერთი წვეთი წინ არ გადაგეღვაროს, თორემ გაჩნდება ზღვა და ზღვასა და ზღვას შუა მოვემწყვდევითო.

მიიხედა უკან მეფის შვილმა და უთხრა თავის რაშს: ბუზის ტოლა მოჩანსო.

— მაშ, ჯერ კარგა გზას გავივლიო.

— აბა, კიდევ მიიხედეო.

მიიხედა და უთხრა:

— არიქა, ხელი მტაცაო!

— გადააგდე სავარცხელიო.

გადააგდო სავარცხელი და გაჩნდა ტყე.

კარგა გზა რომ გაიარეს, რაშმა უთხრა:

— აბა, მიიხედეო.

მიიხედა და უთხრა:

— ბუზის ტოლა მოჩანსო.

— მაშ, ჯერ კიდევ კარგა გზას გავივლიო.

მიდის ყმაწვილი. რაშმა უთხრა:

— აბა, კიდევ მიიხედეო.

მიიხედა და უთხრა:

— არიქა, ხელი მტაცაო!

— გადააგდე სალესავიო.

გადააგდო და გაჩნდა კლდე.

გაიარეს დიდი გზა და რაშმა უთხრა:
— მიიხედეო.
— ბუზის ტოლა მოჩანსო.
გაიარეს კიდევ კარგა გზა.
— აბა, მიიხედეო, — უთხრა რაშმა.
მიიხედა და უთხრა:
— არიქა, ხელი მტაცაო!
— უკან გადაღვარე ზეთიო.
ერთბაშად აიქნია შუშა და ერთი წვეთი კი წინ გადაეღვარა.

დარჩნენ ზღვასა და ზღვას შუა. რაშმა უთხრა: ჩამოხტი, ახლა დავისვენოთო. ყმაწვილმა რაში გაუშვა და თვითონ წამოწვა. ქაჯი კი სცემდა რაშსა: ზღვაში გადი, უნდა დავიჭირო მეფის შვილიო!

— ვერ გავალ, შენც დაიხრჩობი და მეცაო, — უთხრა რაშმა.

ქაჯი მაინც სცემდა: უნდა გახვიდე, არ შეიძლებაო.

მეფის შვილის რაშმა დედას დაუძახა: კარგი, აღარა გრცხვენია. რომ მეც მომკალი და შენი თავიც მოიკალი. ახლა გატრიალდი უკანვე, თორემ თქვენი გამოსვლა და დახოცვა ერთი იქნებაო. რაშმა უთხრა ქაჯს: გესმის, რას მიქადის ჩემი შვილიო. ადგა ქაჯი და უკან გამობრუნდა. მაშინ რაშმა უთხრა მეფის შვილსა: ადე, შემკაზმე და ისე მომიჭირე მოსართავები, რომ ხელი შემომხვიო ზედაო. ყმაწვილმა შეკაზმა, შეჯდა. რაში შეცურდა ზღვაში და გავიდა მეორე ნაპირს.

ძიდიან გზა-გზა და დაუღამდათ. რაშმა უთხრა ყმაწვილს: ხედავ სინათლეს, ნემსის ყუნწის ოდნად რომ მოჩანს? იმდენი უნდა ვიაროთ, რომ იმ სინათლესთან მივიდეთო.

იარეს ბევრი და მივიდნენ. იქ დახვდათ რვა ძმაკაცი, დიდი ცეცხლი ენთოთ, ზედ ედგათ საარაყე ქვაბი, ხორცით სავსე. გადმოხტა მეფის შვილი. მიიხედ-მოიხედა, დაინახა, რვა ძმაკაცი ნაბადში გახვეულა, გვერდით კი ცხენები უბიათ. მისწი-მოსწია და თავისი რაში შუაში ჩააბა, დაუყარა თივა-ქერი, თვითონ მივიდა ცეცხლთან, საარაყე ქვაბი ნეკით გადმოდგა, ამოიღო ხორცი, შეჭამა რამდენიც უნდოდა, მერე თვითონაც შუაში ჩაუწვა რვა ძმაკაცს. დილა რომ გათენდა, აიშალნენ, თავ-თავიანთ ცხენებს მისცვივდნენ. ნახეს, ერთი ცხენი მეტი იყო და გაუკვირდათ: ეს ვილასიაო. მერე ნაბდები დასინჯეს და ნახეს, კაცი იწვა.

— მოვკლათო, — უთხრეს ერთმანეთს.

უფროსმა თქვა:

— გაიღვიძოს და ვნახოთ, რას იტყვისო.

შუადღე გადავიდა და კიდევ ეძინა.

ბოლოს წამოდვა, მიიფშვნიტ-მოიფშვნიტა თვალები და უთხრა ყველას: გამარჯობათ, ძმეპოო. სალამი მისცეს და უთხრეს: გამარჯობა კი, მაგრამ აი, იმ ბაირაღს ხედავ, იქ რომ არჭვია და ცისთვის წვერი მიუბჯენია? კაი ბიჭი იქნები, თუ იქ ახვალ, ზევით რომ ბაღდადია, მოხსნი და ჩამოიტან. თუ ვერ ჩამოგიტანია, თავს მოგეკრითო.

— მეტს ნურაფერს მიბრძანებთ და მაგას ახლავე შევასრულებო,—უთხრა მეფის შვილმა. გაიხადა ფეხთ, ავიდა და მოხსნა ბაღდადი. ძმებს გაუკვირდათ: თხუთმეტი წელიწადია ვერ მოგვიხსნია და ამან როგორ მოახერხაო.

მეფის შვილმა დაკეცა ბაღდადი, ჩაიდო ჯიბეში და ჩამოსვლა დააპირა. ამ დროს წივილ-კივილით წამოვიდა ზემოდან ქალი, დააფრინდა და მაღლა აიტაცა.

ვაჟმა იმდენი იღონა, რომ ქალს თმაში წაავლო ხელი. გაჩაღდა საშინელი ბრძოლა. ბოლოს ვაჟმა აჯობა. ქალს მარჯვენა ოქროს ქოშიც წაართვა და მერე ძირს დაეშვა გამარჯვებული.

— წავიღოთ და ქოში გავყიდოთო, — უთხრეს ძმაკაცებმა.

წაიღეს გასაყიდად ეს ქოში. შეხვდათ ვაჭარი, გამოართვა ქოში, სინჯვა დაუწყო და თქვა: ეს ხომ ჩემი ცოლის ქოშიაო. წაიყვანა ძმები და დააჭერინა.

— მაშ კარგიო, — უთხრა მეფის შვილმა, — მე წავალ და ვადად დამიდე სამი წელიწადი, სამი თვე, სამი კვირა, სამი დღე, სამი საათი, სამი წამი. თუ ამ დროზე მოვედი და ამ ქოშის ცალიც მოვიტანე, ხომ კარგი, თუ არადა, ეგენი დაახრჩეო.

მეფის შვილი წავიდა. დაინახა, ერთ ადგილას ჯარი რაღაცას დახვევია. მივიდა და იკითხა: რა ამბავიაო?

— ეს ერთი მეფის შვილია, თხუთმეტი წელიწადია ერთი ჯადოქალი მოდის, დღისით ქვად გადააქცევს და ღამით აცოცხლებს, გათენებისას კი ხელახლა აქვავებსო.

მეფის შვილმა კვლავ იკითხა: ცოცხალი რომ გაჩვენოთ, რას მომცემთო?

ეს რომ გაიგონეს, გაიქცნენ მეფესთან და მოახსენეს: კაცი გამოჩნდა, რომელიც თქვენი გაქვავებული შვილის გაცოცხლებას ლამობსო.

დაიბარეს მეფის შვილი. ადგა და მოვიდა. მეფემ ჰკითხა: თქვენ გამიცოცხლებთ ჩემს შვილსა, თვალით მაჩვენებთო?

მეფის შვილმა მოახსენა: დღესვე ერთი ოთახი დამიდგით, ორი სარკეელი და ორი კარი დაატანეთ, შიგ ტახტი დადგით და ზედ ის გაქვავებული ვაჟი დასვენეთო.

გაუკეთეს ისე, როგორცა თქვა. ბოლოლამ, ეს სახელი ერქვა

მეფის შვილს, კარი ცოტა ღია დატოვა, თვითონ ტახტქვეშ შეძვრა. მოვიდა ქალი, გამოაღო კარი და შევიდა, მიიპედ-მოიხედა, არავინ დახვდა. ამოიღო ჯიბიდან სამი წკეპლა, დაარტყა ერთი, შეინძრა, დაარტყა მეორე, შეინძრა, მესამე რომ დაარტყა, ყმაწვილი გაცოცხლდა. გათენებისას ისევ გააქვავა. ბოლოლა გამოძვრა ტახტის ქვეშიდან.

მეორე ღამეს კიდევ უდარაჯა. ქალი მოვიდა, წკეპლები რომ ხელში აიღო, ბოლოლა მივარდა და წაართვა.

ქალ-ვაჟმა იმდენი იომა, რომ ვაჟს კაბის ნაჭერი ხელში შერჩა.

ბოლოლამ დედ-მამასთან კაცი გაგზავნა და შეუთვალა: მოდით, თქვენი შვილი ნახეთო. ამოიღო წკეპლები ერთი დაარტყა და შეინძრა, მეორე დაარტყა და შეინძრა, მესამე რომ ღაარტყა, ყმაწვილი წამოვარდა და ბოლოლას გადაეხვია, დაუწყო კოცნა.

ბოლოლამ ჰკითხა: რამდენი წელიწადია, რაც ეგრე ხარო?

— თხუთმეტი წელიწადია, რაც ამ ყოფაში ვარო.

— დედ-მამა არ გინახავსო?

— არაო.

— გინდა გიჩვენოო?

— როგორ არ მინდაო.

დედ-მამა შემოცვივდა, მოეხვივნენ ბოლოლას და კოცნა დაუწყეს: მეფედ შენ უნდა დაგსვათ და შვილიც შენ იქნები ჩვენიო.

— მე მეფობა არ მინდა, — უთხრა ბოლოლამ, — მომეცით ექვსი გემი პური, სამი ღაფქული და სამიც დასაფქვავიო.

ყმაწვილის დედ-მამა დიდ უარზე იყო, მეტის ღირსი ხარო, მაგრამ ბოლოლა თავისას არ იშლიდა. აიღეს და მისცეს ექვსი დატვირთული გემი. თვითონ უკანა გემში ჩაჯდა და გაუდგა გზას. ზღვის ნაპირას ის ქვეყანა იყო, სადაც ერთ დროს ცხოვრობდა ქაჯი. შუა ზღვაში რომ შევიდა, შეატყო, გემი იღუპება, იძირება. ბოლოლა გადახტა წინა გემზე, ჩაიხედა ზღვაში და დაინახა, რომ ქალმა შუბი ატაკა გემს. ბოლოლა სწვდა მაჯაში, შუბიც წაართვა და სამაჯურიც წააძრო მაჯიდან. გემი გადაარჩინა და გავიდა ნაპირს. პური ზოგი გაყიდა და ზოგი ხალხს დაურიგა.

ბოლოლამ თქვა: წავალ, ერთი ვნახავ. ქაჯი ცოცხალია, თუ არაო. მივიდა ქაჯის სახლში, შევიდა ცხრაკლიტულში, მიიხედ-მოიხედა, არავინ დახვდა. კარში გამოვიდა და ნახა, რომ ერთი ბებერი კაცი მოდის.

— შენ ის შეჩვენებული ქაჯი იქნებიო, — უთხრა ბოლოლამ. შემოჰკრა და იქვე მიწაზე გაამტვერა. შევიდა ისევ იმ

სახლში, ნახა ვაშლილი სუფრა და ზედ სამი კერძი და სამი ხელადა ღვინო, თითო-თითო ჭიქაც უდგა თითო კერძს. სამივედან თითო ლუკმა შეჭამა, სამი ჭიქა ღვინოც დალია და მერე ტახტქვეშ შეძვრა.

სამი ქალი გამოვიდა ოთახიდან და საჭმელად დასხდნენ. უფროსმა თქვა: ჩემ კერძს აკლიაო. დანარჩენებმაც იგივე თქვეს. დაიწყეს ჭამა. დაასხა უფროსმა ქალმა ერთი ჭიქა ღვინო და თქვა: ღმერთმა აცოცხლოს ის ყმაწვილი, ბაღდადი რომ ჩამოხსნა, მე ფეხიდან ქოში წამაძრო და წაიღოო.

— ამინო! — გაიმეორეს და დალიეს.

დაისხა შუათანამ: ღმერთმა აცოცხლოს ის ვაჟი, თხუთმეტი წელიწადი ერთს ყმაწვილს რომ ღამე ვაცოცხლებდი და დღე ვკლავდი და იმან გაათავისუფლაო.

— ამინო! — თქვეს.

ახლა მესამე ქალმა დაიძახა: თხუთმეტი წელიწადი ერთი მხარე მშიერი მყავდა და მეორე მაძღარი, ზღვაში გემებს ვღუპავდი და ერთმა ყმაწვილმა კი შუბიც მომტაცა და სამაჯურიც წამაძრო მაჯიდან. ღმერთმა აცოცხლოს ის ყმაწვილიო. — ამინო! — და დალიეს ეს მესამეჯერაც. ბოლოლა გამოძვრა ტახტის ქვეშიდან, მივიდა სუფრასთან, ერთი ჭიქა ღვინო დაისხა და მადლობა გადაუხადა სადღეგრძელოსათვის. უფროს ქალს ქოში და ბაღდადი მიართვა, შუათანას — წკეპლები და კალთის ნახევი, უმცროსს — შუბი და სამაჯური. მისცვივდა სამივე: არა მე უნდა შემირთო, არა მეო.

— მომეცით ამ ქოშის ცალი და მე თქვენ პატრონს გაგიჩენთო.

გააღეს ოთახი და მისცეს ერთი ცალი ქოში.

ბოლოლამ ქოში წაიღო, მივიდა რვა ძმასთან სწორედ იმ დროს, როდესაც კიდეც უნდა დაეხრჩოთ. ბოლოლამ უთხრა: აი, მოვიტანე ცალი ქოშიც და ამ ჩემს ძმებს ნულარ დასჯითო.

მერე ბოლოლა ქალებთან დაბრუნდა, გამოიყოლა სამივე, მივიდა შინ და უფროსი ქალი უფროს ძმას მიათხოვა, შუათანა—შუათანას და უმცროსი კი თვითონ შეირთო.

სამი ძმა და მათი და

იყო სამი ძმა. ჰყავდათ ერთი და. დედ-მამის სიკვდილის შემდეგ ძმებს ურიცხვი ხარი და ძროხა დარჩათ. ის და გამხეცებული ვინმე იყო, მუდამ ტყეში ცხოვრობდა. მიეჩვია თავისი ძმების ჯოგს. ყოველ ღამე ჯოგში საუკეთესოს ირჩევდა, ტანს ჭამდა, თავს კი სად-

ღაც შორს გადააგდებდა ხოლმე. შეწუხდნენ ძმები, არ იცოდნენ, როგორ დაეცვათ ჯოგი დის ღორმუცელობისაგან. ივეზირეს და ისე გადაწყვიტეს: თითო ძმას ყოველღამე მორიგეობით უნდა ედარაჯნა პირუტყვისათვის.

პირველ ღამეს უფროს ძმას შეხვდა ჯოგის დარაჯობა. დარაჯობს უფროსი ძმა შუაღამემდე, შუაღამის მერე ძილი მოერია და დაიძინა. გათენებისას მოვიდა და, ხარი აირჩია ჯოგში, ტანი შეჭამა, თავი იქვე დააგდო. ნახა ეს მეორე დღეს უფროსმა ძმამ, ძლიერ ეწყინა. მაგრამ რას უშველიდა. შინ წამოვიდა.

მეორე ღამეს საშუალო ძმა წავიდა სადარაჯოდ. შუაღამემდე ამანაც უყარაულა ჯოგს, შუაღამის მერე დაეძინა. გათენებისას ისევ მოვიდა და, საუკეთესო ძროხა ამოირჩია, სტაცა ხელი, ტანი შეჭამა, თავი იქვე დააგდო. საშუალო ძმაც შეწუხებული დაბრუნდა შინ.

მესამე ღამეს უმცროსი ძმა წავიდა ჯოგის სადარაჯოდ. შუაღამემდის იძინა, ნაშუაღამევს გამოიღვიძა, გათენებისას მოვიდა კიდეც ის ალქაჯი, დაერია ჯოგს, ყველას მოერია, მხოლოდ ერთი ურქო ხარი — ბაბუ ვერ დაიმორჩილა. ამ ღამეს ჯოგში ვერც ერთი სული ვერ დააშავა. მეორე დღეს უმცროსი ძმა შინ მოვიდა. უთხრა თავის ძმებს, გავიყაროთო. ჩემ წილად არაფერი მინდა სხვა, მხოლოდ ურქო ხარი მომეცითო.

— თუ არ გეცოტავება წილად, ბაბუს როგორ არ მოგცემთო,— უთხრეს ძმებმა.

მიიღო წილად უმცროსმა ძმამ ბაბუ, ჩაება ბაწარი და გასწია თავის გზაზე. იარა, იარა, ორ ზღვას შუა მივიდა. აქ ერთი დევი ცხოვრობდა. მიადგა დევის კარს და დაუძახა:

— დედავ, კარი გამიღეო!

— ჰე, ისემც აშენებულხარ, ვიღაც ხარ, მე დედის დამძახებელი ვინმე მყავდეს! ერთი შვილი მყავდა და ისიც შარშან ლაშქარს მომიკლესო!

— არა, არ მოუკლავთ, მე ვარ შენი შვილიო!

ქალმა ვერაფერი თქვა, ჩაჯდა, ხელები დაიბანა, გობი გამორეცხა და ფქვილი მოცომა.

— დედა, რას შვრები მაგასაო, — უთხრა ამ კაცმა.

— აბა, რა უნდა ვქნა, მყავეწყალი აქვე გამოდის, მაგრამ სამი დევი დაეპატრონა და მე არ მანებებენო.

წავიდა ეს კაცი, მყავეწყალი ნახა, დალია, ისეთია, რომ მისთანა თავის დღეში არა ენახავს რა: შუშხუნა, საამო, ოქროს ღარი უდგას, ოქროს ქვიშა გარს არტყია. დაბრუნდა დევთან, წყლის ჭურჭე-

ლი აიღო, წავიდა მჟავეწყალზე, ჭურჭელი აავსო. დევს მოუტანა, მერე ბაბუ წაიყვანა წყლის დასალევად. ბაბუ რომ მჟავეწყალზე მიიყვანა, დაინახა ისეთი დიდი შავი დევი მოდის მისკენ, რომ მიწას აზანზარებს: იმდენი ხარისა და ცხენის ჯოგი მოყავს, რომ იქაურობა აავსო. დაინახა ეს კაცი დევმა და დაუძახა:

— ვიღაც კაცუნა ჩემს მჟავეწყალზე ხარ, თუ მანდ დამხვდი, შენს რბილს შევჭამ და ძვალს დავნაყავო!

— ჰა, შე ბილწო, შენმა სიცოცხლემ, გამოვლევ შენს მჟავეწყალს განა!

არ მოერიდა დევს და აქვე დაუცადა. მოვიდა დევი. ჯერ ხარის ჯოგი მიუშვა წყალზე, მერმე ძროხისა. როცა ამათ წყალი დაალევინა, უთხრა ამ კაცს:

— მოდი, ერთი შენი ხარი და ჩემი ჯოგი დავაჯახოთო.

— ჩემმა ხარმა როგორ უნდა გაუძლოს მთელ ჯოგს, მაგრამ შენი რება იყოს, რაც იქნება, იქნება, — უთხრა კაცმა.

მიუშვეს ერთმანეთთან ბაბუ და დევის ჯოგი. მაშინვე ეძგერა ბაბუ ჯოგს, ისე დაიმორჩილა, რომ კლდის ძირში მიიმწყვდია მთელი ჯოგი. დევი ცუდ გუნებაზე დადგა. რას იფიქრებდა, თუ ერთი ბაბუ მოერეოდა მის ურიცხვ ჯოგს. უთხრა კაცს დევმა: ვხედავ, რომ შენმა ბაბუმ აჯობა ჩემს ჯოგს, მოდი ახლა მე და შენ ვიჭიდაოთო.

მოჰკიდა ხელი დევმა და როგორც უნდა, ისე აბურთავებს კაცსა. ის-ის არის, მიწას უნდა დაახეთქოს და ამ დროს კაცმა დაიძახა:

— აბა, ჩემო ბაბუ, ხომ ხედავ, გასაჭირში ვარ, მიშველე რამეო.

გამოვარდა ბაბუ, ამოჰკრა თავი, დევს გული შეუღონდა და იქვე დაეცა მიწაზე. კაცი ზედ დააჯდა დევს, მოკვლას უპირებს. დევმა უთხრა: ნუ მომკლავ და ჩემი ჯოგის ნახევარს შენ მოგცემო.

კაცი ბაბუს დაეკითხა: ავუშვა თუ არა დევიო?

— აუშვი და სიკეთესაც დაგაყრის: ჩემს თავს წაგართმევს და შენც მოგკლავსო.

ბოუქნია დაშნა და კისერი გააგდებინა დევს. მკვდარი იქ დატოვა, მოსდვა ხელი მის ჯოგს და ნაცნობი დევისას მირეკა. მეორე დღეს დაბრუნდა მჟავეწყალზე. ბაბუც თან წაიყვანა. გაიხედა, მოდის წითელი დევი, სიმძიმით დედამიწას აზანზარებს. დევი თან მოერეკება ცხვრისა და თხის ფარას. დაინახა ეს კაცი მჟავეწყალზე და დაუძახა:

— ვიღაც ხარ მანდ, ნუ დამხვდები, თორემ უბედურ დღეს დაგაყენებო.

— შე ბილწო, შენმა სიცოცხლემ, ამოწურავს მჟავეწყალს ჩემი ხარიო.

მოვიდა დევი, ჯერ ცხვრის ფარას დაალევინა წყალი, მერმე თხისას. შემდეგ უთხრა ამ კაცს:

— მოდი, ბაბუ და ჩემი ფარა შევაჯახოთ ერთმანეთსო.

— კარგიო.

მიუშვეს ერთმანეთზე ბაბუ და დევის ფარა. ბაბუმ დაიმორჩილა ფარა. ძლიერ ეწყინა ეს დევს, მაგრამ რას იზამდა.

— აბა, ახლა მე და შენ ვიჭიდაოთო.

არ უნდა ამ კაცს, მაგრამ უარის თქმა ვეღარ გაბედა. ეცა დევი, ბურთივით აათამაშა ხელში. ეს-ესაა, უნდა დაახეთქოს მიწას, ამ დროს კაცმა დაუძახა თავის ბაბუს: აბა, ჩემო ბაბუ, მიშველე რამეო!

ბაბუ ეძგერა დევს, თავბრუდასხმული გაშხლართა მიწაზე. კაცმა ამ დევსაც თავი გააგდებინა. ფარასაც თვითონ დაეპატრონა და გამორეკა ნაცნობი დევისას.

მესამე დღესაც გაეშურა მჟავეწყალზე. გაიხედა, მოდის თეთრი დევი, ისეთი ხმაურითა და ზრიალით, გეგონება, დევთან ერთად მთა და ბარი მოდისო. დევს ურიცხვი ცხენის ჯოგი მოჰყავს. დაუძახა ამ კაცს:

— ვიღაცა ხარ, ჩემს მჟავეწყალზე დამდგარხარ. გირჩევნია თავს უშველო, თორემ შავ დღეს დაგაყენებო!

— შე ბილწო! რას გიშავებ აქ, იქნება გგონია, ჩემმა ბაბუმ ამხელა წყალი ამოწრუპოსო!

მოვიდა დევი, ცხენის ჯოგს დაალევინა და მერე ამანაც ისე უთხრა, როგორც წინა დევებმა უთხრეს. ბაბუმ მის ჯოგსაც აჯობა. დევს ეწყინა და აღარც კი უკითხავს, ისე ეცა კაცსა. ეს-ესაა, უნდა გაათავოს კაცი, მაგრამ ისევ ერთგულმა ბაბუმ უშველა პატრონს.

მოუქნია კაცმა დაშნა, შემოჰკრა კისერზე, მაგრამ ტყავიც ვერ გაუჭრა. ამ დროს დევის პირიდან თაგვი ამოძვრა.

— ჰე, შე საწყალო კაცო! ამას, შენ რომ გგონია, ისე ვერ მოკლავ, მაგრამ მე გასწავლი ხერხს. ამ დევს საკუთარი ხმალი აქვს. ამოიღე როგორმე, დაადევი კისერზე. შენ უსვი ხმალი და მე წყალს გისხამ. მხოლოდ ასე შეიძლება, თავი გააგდებინო!

ამ კაცმა ასე ქნა: თვითონ ხმალს უსვამს, თაგვი წყალს უსხამს. ცოტა უკლია კაცს, რომ კისერი გააგდებინოს დევს და ამ დროს თაგვმა ურჩია: ასე უთხარი დევს, რაც შენს სიცოცხლეში ადამიანი და პირუტყვი გადაგიყლაპავს, ყველა ფეხზე დამიყენე და არ მოგკლავ-თქო. კაცმა აგრე უთხრა დევს. დევმა მიუგო: ფერდის ძვალი

გამომიღე და, რაც ადამიანი და პირუტყვი ჩამიყლაპავს, ყველანი ცოცხლად გამოვლენო.

კაცმა ერთის მაგიერ ორი გამოიღო. იმდენი კაცი და საქონელი გაჩოვიდა ფერდიდან, რომ აავსო მინდორი. ყველაზე ბოლოს წმიდა გიორგის მწევრები გამოვიდნენ, მაგრამ ისინი ბრმები იყვნენ.

— ჰა, შე ბილწო, ბრმა მწევრები რად მინდა! ახლავე აუხილე თვალები, თორემ ეს-ესაა, გაგათავეო!

— ოჰ, დაგწყევლა ეშმაკმა, — თქვა დევმა, — ცოტა ღვიძლი მომჭერი, ცოტა ფილტვები, წაუსვი მწევრებს თვალებზე და აეხილებათო!

კაცმა ბლომად მოსჭრა გულს, ღვიძლს, ფილტვებს, წაუსვა მწევრებს, იმათ თვალები აეხილათ. ბოლოს მაინც გააგდებინა დევს კისერი. თეთრი დევის ჯოგი ნაცნობი დევისას მირეკა და უთხრა: შინ ორი ძმა დამრჩა, იმათი უნახაობა არ მარგია. სანამ დავბრუნდებოდე, წმიდა გიორგის მწევრები კარგად შემინახეო.

შეჯდა თეთრ ცხენზე და გასწია. თაგვი თან წამოიყვანა. მოვიდა შინ და ნახა, რომ მის მხეც დას ჯერ ჯოგი შეუჭამია და მერმე ძმები. ძმების თავები ხელში აქვს სათამაშოდ. ამას რომ შეხედა, გული მოუკვდა. და მიეგება ძმას და უთხრა: მშვიდობით შენი მოსვლა, ჩემო ჯუმდა-ბუმდაო! მოჰკიდა ხელი, სახლში შეიყვანა, თვითონ გამოვიდა და ამის ცხენს დაუწყო ჭამა. უცებ გამოგლიჯა ერთი ბარძაყი, მერმე ძმასთან შემოვიდა და უთხრა: ჩემო ძამია, შენი ცხენი სამფეხიანიაო. და კიდევ გავიდა კარში და მეორე ბარძაყი მოგლიჯა ცხენს. მერე შებრუნდა შინ ისევ და უთხრა ძმას: შენი ცხენი ორფეხიანიაო. გამოვარდა ამ დროს თაგვი და უთხრა ამ კაცს: შენ რაღა უბედურებას უცდი აქ? ჯერ ცხენი არ მოუთავებია შენს დას, თორემ რა გგონია, დაგზოგავსო?!

— მაშ, რა ვქნა? — უთხრა კაცმა.

— სამი გუდა ნაცარი სხვენზე შედგი და როგორმე დარბაზის კარში გაიპარე.

კაცმა დაიჯერა თაგვის რჩევა. ამ დროს და გარეთ იყო, ძმის ცხენს შეექცეოდა. შემობრუნდა შინ, მარტო თაგვი დახვდა.

— თაგუნია, სად არის ჩემი ძამია? მითხარი. თორემ ურტყულ-ბურტყულ!

— შე ბილწო, მე რა ვიცი, სად არის!

ქალმა თაგვს გადაყლაპვა მოუნდომა, მაგრამ გაექცა. ისევ რომ დასტაცა ხელი, თაგვი შეშინდა: შე მხეცო, დამაცა, გეტყვი, სადაც არის შენი ძმა. ის ახლა სხვენზეა. იშოვე საჩეჩლები, ერთიმეორეზე დაადგი, აჰყევი და სხვენზე ახვალო.

ქალმა ცხრა საჩეჩელი იშოვა, ერთი მეორეზე დაადგა. საცა მიაღწევს სხვენს, თაგვმა ძირა საჩეჩელი გამოაცალა, გადმოვარდა ქალი, გადმოჰყვა ნაცრიანი გუდა და თვალებში ჩაეყარა. ქალს თვალები მოეწვა და ფშვნეტა დაუწყო. თაგვმა დრო იხელთა და გამოძვრა კარში; მოეწია ამ კაცს და უთხრა: შენი მხეცი და უკან გამოგეკიდება, მაგრამ როგორც გითხრა, ისე მოიქეცი და ეგებ თავს უშველო. მისცა ერთი სალესი და სამი თითისტარი. როდესაც შენი და მოგიახლოვდეს, ეს სალესი მიწას დაარტყი და უშველებელი კლდე გაჩნდება. მართალია, შენს დას ვერაფერი უძლებს. კლდეს გახვრეტს, მაგრამ ამასობაში შენც ცოტა მანძილს როდი გაივლი. როდესაც კლდე გახვრიტოს და ეს-ესაა, გეწეოდეს, ერთი თითისტარი მიწას დაარჭვე. თითისტარი ალვის ხედ გადაიქცევა, შენ იმაზე ადი. შენი და ხეს მივარდება დასახრავად. როცა ხე წაქცევაზე მიაყენოს, მაშინ მეორე თითისტარი ჩამოაგდე. ისიც ალვის ხედ გადაიქცევა. ამასაც დახრავს, მაშინ მესამე ჩამოაგდე და იმაზე ვადადი, მანამდის ეგებ შენც რავე მოიგონოო.

კაცმა ყველაფერი ასე ქნა. მიადგა მხეცი და კლდეს, ხვრიტა. ხვრიტა და საურმე გზა გააკეთა კლდეში. ძმამ თითისტარი ჩაარჭო მიწაში, თითისტარი ალვის ხედ გადაიქცა. ამ ხეზე ავიდა ძმა. დამ ეს ხეც წაქცევაზე რომ მიიყვანა, ჩამოაგდო ძმამ მეორე თითისტარი. მერმე მესამე და ეს-ესაა, მესამე ხეც წაქცევაზეა, ამ დროს კაცმა დაიძახა:

— აბა, მწევრებო, თუ ერთგულნი ხართ, ახლა მიშველეთ!

გაიგონეს მწევრებმა და უმალვე გაჩნდნენ ამ კაცთან. გაიდევნეს მხრებზე ალვის ხე და ნაცნობი დევისას მიიტანეს. მხეცი და მაინც გაეკიდა ძმას, რომელიც იმ ალვის ხეზე იჯდა. მაშინ ეცნენ მწევრები მხეც ქალს. იმდენი სისხლი დაიღვარა მისი გვამისაგან, რომ იქაურობა აავსო. მწევრებს მადლობა გადაუხადა კაცმა და ყველა გაუშვა. თვითონ კი იქ დასახლდა.

სანამ მართალი არ გამოდგეს, მანამ არაფერი გეტკინოთ!

ულუნო და ხელმწიფის შვილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა სამი ქალიშვილი და სამიც ვაჟიშვილი. ხელმწიფემ ერთ დღეს დაუძახა თავის ვაჟიშვილებს და უთხრა: მე მოვხუცდი და ჩქარა მოვკვდები, ჩემი ტახტი ერთი დღითაც ცარიელი არ დატოვოთ, თორემ შავი

ვეზირი გამეფდება და თქვენ კი სასახლიდან გაგრეკავთო. მუდამ სწორ გზაზე იარეთ, შეიყვარეთ სიმართლე და ხალხს კარგად უპატრონეთო. ჩემი ქალიშვილები პირველსავე მთხოვნელებს მიეცით, პირველი ბეღი არ გაუქციოთო.

გავიდა ხანი. ხელმწიფე გარდაიცვალა. უმცროსმა ძმამ უთხრა უფროსს: ახლავე ადი ტახტზე და იმეფე, მამის ანდერძი არ დავივიწყოთო. ამ ძმამ არ დაუჯერა: სანამ მამაჩემის გვამს მიწას არ მივაბარებთ, მანამ ჩემი მეფობა არ შეიძლებაო. პატარა ძმამ ახლა შუათანას სთხოვა: აბა, შენ ადი ტახტზეო. არც ამან დაუჯერა.

— აბა, მე ავალო, — თქვა პატარამ, მაგრამ არც იგი აუშვეს. დაასაფლავეს დიდი ზარით მამა. როცა დაბრუნდნენ, ნახეს, შავი ვეზირი ასულიყო ტახტზე. ძმები მათრახის ცემით გარეკა. უმცროსმა ძმამ უფროსებს უთხრა: მე რომ არ დამიჯერეთ, იმიტომ მოხდა ასეო. ძმებმა გაუგზავნეს კაცი შავ ვეზირს და შეუთვალეს: მოგვეცი ექვსი ცხენი, ექვსი ხურჯინი საგზალი და წავალთო.

შავმა ვეზირმა სიხარულით გამოუყვანა ექვსი ცხენი და გაატანა ექვსი ხურჯინი ოქრო. უფროსობა პატარა ძმამ იკისრა.

საღამო რომ მოახლოვდა, პატარა ძმამ უთხრა უფროსს: ისარი გაისროლე და სადაც დავარდება, ეს ღამე იქ გავათენოთო. უფროსმა ძმამ გაისროლა ისარი და დავარდა ერთ პატარა ტყეში. აანთეს იქ ცეცხლი და გაამზადეს ვახშამი. როცა პურს ჭამდნენ, მოვიდა ერთი არწივი და ითხოვა: თუ შეიძლება, თქვენი და მოგეცით ცოლადაო.

წამოუხტა ორი ძმა: როგორ შეიძლება, ამას ჩვენი და მივცეთო! უმცროსმა ძმამ მისცა უფროსი და. ფრინველმა წაიყვანა ქალი და წავიდა. დარჩნენ ორი და და სამი ძმა.

დილაზე ადგნენ, გაუდგნენ გზას. მოახლოვდა საღამო. უმცროსმა უთხრა შუათანა ძმას: გაისროლე ისარი, სადაც დავარდება, ღამე იქ გავათენოთო. გაისროლა ამანაც ისარი და დავარდა შიშველ მთაზე. მოკრიფა კაჭაჭი, აანთო ცეცხლი, მოამზადა ვახშამი, შეუდგნენ პურის ჭამას. აი, ამ დროს მოვიდა დათვი და სთხოვა ძმებს: თუ შეიძლება, თქვენი შუათანა და მომეცით ცოლადაო! წამოვარდა მაშინვე ორი ძმა, იშიშვლეს ხმლები და იყვირეს: როგორ თუ ჩვენი და მივცეთ დათვსაო! პატარა ძმამ ჰოაგონა მათ მამის ანდერძი, აიყვანა ქალი და მისცა დათვს. დარჩნენ ერთი და და სამი ძმა.

გათენდა დილა. გაუდგნენ გზას. როცა მოსაღამოვდა, გაისროლა ისარი პატარა ძმამ. ისარი უღრან ტყეში ჩავარდა. აანთო ცეცხლი, გააკეთა საჭმელი და დაიწყეს ჭამა. მოვიდა მგელი, სთხოვა ამ ძმებს მესამე და: თუ შეიძლება, მომეცით თქვენი პატარა და ცოლადაო! წამოვარდა ისევ ორი ძმა, იშიშვლეს ხმლები: როგორ შეიძლება, ჩვენი და მივცეთ მგელსაო! პატარა ძმამ არც აქ უღალატა მამის ანდერძს, და მისცა მგელს.

დარჩნენ სამი ძმა და ექვსი ცხენი. აანთეს ცეცხლი. ძმებს ჩაეძინათ. პატარა ძმას ადრე გამოეღვიძა, დაინახა, რომ ცეცხლი ჩამქრალა. აღარ ჰქონდა აბედი ცეცხლის ასანთებად. შემოიკრა თავში ხელი, ეს რა უბედურება დაგვემართაო; ჩემმა ძმამ ცეცხლი შიშველ მთაზე არ ჩააქრო და მე კი ტყეში გამიქრაო. ავიდა მაღალ ხეზე, გაიხედა და დაინახა, რომ ერთ ადგილას ცეცხლი ენთო. დაჰკრა ფეხი და გაუდგა გზას. მივიდა ერთ ბებერთან. ხედავს. ბებერი თეთრ გორგალს შლის და შავ გორგალს ახვევს.

— გამარჯობა, ბებეროო!

— გაგიმარჯოსო!

— რა ამბავია, რომ თეთრ ძაფსა შლი და შავს ახვევო.

— შუაღამემ გადაიარა, ახლა შავი უნდა დავახვიო და თეთრი გავშალო, მალე გათენდებაო.

ამ ბიჭმა ბებერს შეუკრა ხელები, დაუშალა შავი ძაფი და წავიდა. მივიდა ცეცხლთან. ზედ იდგა ქვაბი, რომელსაც ცხრა ყულფი ჰქონდა. ცალი ხელით ასწია ეს ქვაბი და ძირს გადმოდგა. აიღო ნაკვერცხალი და ქვაბი ისევ შედგა.

იქ დევები იყვნენ და ამას კარგად ხედავდნენ. გაუკვირდათ. თქვეს: ამ ქვაბს ჩვენ, ცხრა ძმანი, ძლივს ვწევთ და ვდგამთ ცეცხლზე. ამან კი ცალი ხელით გადმოიღო და შედგაო; ბიჭი ასე ღონიერი ყოფილა და თუ მზეთუნახავ ქალს ვინმე მოიყვანს, სწორედ ეს მოიყვანს, სხვა ვერავინო. უთხრეს ბიჭს: ამა და ამ ადგილს არის მზეთუნახავი, წამოდი, განახოთო. მაგრამ წინ ისეთი კლდე შეგვხვდება, რომ შესვლა გაგვიჭირდება, კარიდან ვერ შევალთ, კედელზე უნდა ავიდეთო; დაგვჭირდება ორმოცი ლურსმანი, რომ მივაჭედოთ კედლებზე და ავიდეთო.

ბიჭი დათანხმდა. მოევზადნენ. დევებმა წაიღეს ორმოცი ლურსმანი, ბიჭიც შეისვეს ზურგზე და წაიყვანეს. კლდესთან რომ მივიდნენ, აიღეს ქვა ლურსმნის მისაჭედებლად, მაგრამ ქვით ვერ მიაჭედეს, ბიჭმა აიღო და მუშტით მიაჭედა. პირველად თვითონ გადავიდა კედელზე.

— აბა, — უთხრა დევებს, — თქვენც გადმოდით თითო-თითოდო.

კედელზე გადასვლისას ყველა დევი დახოცა. მერე ერთი კარი გააღო, დაინახა მზეთუნახავი. თავბოლოს თაფლის სანთლები ენთო, გვერდზე შარბათით სავსე კასრი ედგა. შარბათი დალია. სანთლები შეუცვალა, ბეჭედი გამოაძრო და თქვა გულში: ეს ჩემს უფროს ძმასო.

გავიდა მეორე ოთახში. კარი რომ გააღო, დაინახა მეორე მზეთუნახავი, ოთახში ხუთი ფარდა იყო ჩამოხურული. მზეთუნახავს თავბოლოს თაფლის სანთლები ენთო, გვერდით შარბათი ედგა. შარბათი დალია. სანთლები გამოუცვალა. ბეჭედი გამოაძრო, თითზე წამოაცვა და თქვა: ეს ჩემს შუათანა ძმასო.

შემდეგ მესამე კარიც გააღო, ნახა, შვიდი ფარდა იყო ჩამოხურული, ოთახში კი მზეთუნახავი იწვა, თავბოლოს თაფლის სანთლები ენთო, გვერდით შარბათი ედგა. შარბათი დალია, სანთლები შეუცვალა, ბეჭედი გამოაძრო, თითზე წამოაცვა და თქვა: ვინ იცის, იქნებ ჩემი ბედი ეს იყოსო.

გააღო მეოთხე კარიც, ხედავს, ერთი ისეთი ვაჟკაცი წევს ლოგინში, რომ მასზე ნაკლები არ არის. დაინახა, მძინარეს გველი ეპარება, უნდა უკბინოს. იძრო ხმალი, შემოუქნია და დაუვარდა. დარჩა უხმლოდ. აიღო, ჩააგო ქარქაშში და წამოვიდა. მოვიდა ცეცხლთან, ბებერს ხელები გაუხსნა, ცეცხლი წაიღო და ძმებს ისევ დაუნთო.

დილას ძმებმა გამოიღვიძეს, დაიწყეს ლაპარაკი, წუხელ ცუდი სიზმარი ვნახეთო. პატარა ძმამაც თქვა: მეც ვნახე სიზმარიო. თითქოს დევებმ დამეხოცა და თქვენთვის საცოლეები მეშოვნაო.

პატარამ უთხრა: ახლა მე გავხდები თქვენი მოჯამაგირე და თქვენ ჩემი უფროსიო.

ადგნენ, იარეს და ერთ ქალაქში შევიდნენ. იქაურ ხელმწიფეს ებრძანებინა: ვინც ერთ ფუთ ოქროს დათვლის, ჩემს ქალიშვილს იმას მივათხოვებო. მოვიდა ხალხი, დაუწყეს თვლა. არავინ გამოვიდა სწორი. მაშინ მეფემ იკითხა: კიდევ დარჩა ვინმე, რომ ბედი სცადოსო? უთხრეს: ახლა შემოვიდა ქალაქში ორი დიდი ვინმე და ერთი მოჯამაგირეო. წავიდნენ და დაუძახეს ამ ორ კაცსაც. დაიწყო უფროსმა ძმამ ოქროს თვლა, მაგრამ ვერც იმან დაითვალა სწორად და ისიც გააგდეს. შუათანა ძმამ იფიქრა: უფროსმა ძმამ ცოტა ჩქარა დათვალა, მე ნელა დავთვლი, იქნებ

სწორად გამოვიანგარიშოო. ნელ-ნელა თვალა, მაგრამ არც ამას გამოუვიდა რამე. ესეც გააგდეს.

— აბა, კიდევ არის ვინმეო? — იკითხა ხელმწიფემ.

უთხრეს: მოჯამაგირეღა დარჩაო.

დაუძახეს. მოვიდა პატარა ძმა და დაიწყო თვლა. აიღო პირველი ოქრო და თქვა: იყო ერთი ხელმწიფე, ჰყავდა სამი ვაჟიშვილი და სამი ქალიშვილი. მამამ ანდერძი დაუტოვა შვილებს: როცა მოვკვდები, რომელიმე თქვენთაგანი ტახტზე ავიდეს, თორემ შავი ვეზირი მოგასწრებთ და გაგაგდებთ. ტყუილი არ ილაპარაკოთო, სულ სწორ გზაზე იარეთო. ხელმწიფე მოკვდა და, მართლაც, ტახტზე შავი ვეზირი ავიდა, ხელმწიფის შვილები კი იქიდან გარეკა. ესეც პირველიო, — თქვა მოჯამაგირემ და გვერდზე გადადო ერთი ოქრო. აიღო ხელში მეორე ოქრო და განაგრძო: ხელმწიფის შვილებმა სთხოვეს შავ ვეზირს ექვსი ცხენი, ექვსი ბურჯინი ოქრო და ვეზირმაც მისცაო, და გადადო გვერდზე მეორე ოქროც. აიღო კიდევ ოქრო ხელში და დაუმატა: უფროსობა ჩაიბარა პატარა ძმამ. უთხრა უფროსს: გაისროლე ისარი და სადაც დავარდება, იქვე უნდა დავბინავდეთო. გაისროლა ისარი უფროსმა ძმამ. დავარდა პატარა ტყეში. მოვიდა არწივი და ითხოვა უფროსი და. ძმებმა მისცესო.

თქვა და გადადო გვერდზე ის ოქროც. აიღო შემდეგი ოქრო და განაგრძო: მოახლოვდა საღამო. გაისროლა შუათანა ძმამ ისარი და დავარდა მთაზე. გააკეთეს საჭმელი და დაიწყეს პურის ჭამა. მოვიდა დათვი და მოითხოვა შუათანა და. ძმებმაც მისცესო. გათენდა დილა. ისევ გაუდგნენ გზას. როცა მოახლოვდა საღამო, პატარა ძმამ გაისროლა ისარი, რომელიც ღრმა ტყეში ჩავარდა. აანთო ცეცხლი და დაიწყეს პურის ჭამა. მოვიდა მგელი და ითხოვა მესამე და. ძმებმა მესამე და გაატანეს მგელსაო. — თქვა ეს და კიდევ გადადო გვერდზე ოქრო.

აიღო სხვა ოქრო და დაუმატა: ძმებმა დაიძინეს. ღამით პატარა ძმას გამოეღვიძა, დაინახა, რომ ცეცხლი გამქრალიყო, ავიდა მაღლა ხეზე, გაიხედა, ცეცხლი მოჩანს. წავიდა, შეხვდა ერთ ბებერს, რომელიც შავ გორგალს აბვევდა. თეთრ გორგალს კი შლიდა. ბებერს ხელები გაუკრა. ნახა, რომ ცხრა ყულფიანი ქვაბი ცეცხლზე დგას, ცალი ხელით გადმოიღო იქიდან ეს ქვაბი და ისევ ცალი ხელით შედგა, დევები კი ამას განცვიფრებულნი უყურებდნენ. დევებმა ბიჭს უთხრეს: ამა და ამ ადგილას არის მზეთუნახავი, მას თუ წამოიყვან მხოლოდ შენ, სხვა იქ ვერავინ მიბედავსო.

ამ ლაპარაკში ბიჭი თვლის და თვლის ოქროს. კიდევ აიღო ხელში ოქრო და განაგრძო: დევები ქვით აჭედდნენ ლურსმნებს, ბიჭმა კი მუშტით მიაჭედა. კლდეზე ასვლის დროს სუყველას თავები დაა-ჭრაო.

ასე ამბობდა თავიანთ თავგადასავალს და თვლიდა ოქროს. ბოლოს, უკანასკნელი ოქრო აიღო ხელში და ხელმწიფეს გაუწოდა თავისი ხმალი. ნახეს, ზედ ეწერა ამ ბიჭის სახელი და გვარი. ხელმწიფეს მოეწონა ეს ვაჟი და თავისი ქალი მიათხოვა.

ორმოც დღესა და ორმოც ღამეს გაგრძელდა ქორწილი. ბიჭები ხელმწიფემ ვეზირებად დაიყენა.

უმცროსი ძმა სანადიროდ დადიოდა. მზეთუნახავი ხვევნა-კოცნით გააცილებდა ხოლმე და ალერსით ხვდებოდა.

ერთ დღეს ქალაქში სამფეხა ცხენით შემოვიდა ერთი უღუნო. ნახა ეს ბიჭი და უთხრა: შემიწყალე, ალაგი მომეცი, გემსახურებიო.

ბიჭს უთხრეს: ეს ცუდი კაცია, კარგ რამეს არ შეგამთხვევს, ნუ აიყვანო, მაგრამ არ დაუჯერა, დაიყენა მეჯინიბედ. უღუნო უვლიდა ცხენებს. ერთ დღეს ნახა კუდიანი ბებერი და უთხრა: რა იქნება, მზეთუნახავი აბანოში წაიყვანოო!

ბებერი ჯერ გაინაზა, როცა უღუნომ ოქრო ძისცა, მაშინ დაჰპირდა, მზეთუნახავს აბანოში წავიყვანო.

მეორე დღეს ბიჭი სანადიროდ გაემგზავრა. ბებერი კი წავიდა მზეთუნახავთან და უთხრა: ოჰ, ამდენი ხანია ვერ გნახე, თუმცა შვილივით გამიზრდიხარ. ახლა კი ჭინდა ჩემი ხელით გაბანაო აბანოშიო.

მზეთუნახავმა უთხრა: კარგი იქნება, მაგრამ მოვიდეს ჩემი ქმარი. დავეკითხებიო.

საღამოს მზეთუნახავი ბიჭს კარებში დაუხვდა. ხვევნა-კოცნით ავიდნენ ოთახში. ცოლმა ბანაობის ნებართვა სთხოვა, ბიჭი დაეთანხმა.

მეორე დღეს ბიჭი სანადიროდ წავიდა, მზეთუნახავი კი — აბანოში. დაინახა უღუნომ, შეჯდა თავის სამფეხა ცხენზე და გაიტაცა მზეთუნახავი. ხელმწიფემ გაიგო მზეთუნახავის გატაცება თუ არა, მთელი ჯარით გამოედევნა. მაგრამ ამაოდ.

საღამოს დაბრუნდა ბიჭი, გაიგო ცოლის დაკარგვა და ძალიან შეწუხდა. შეჯდა თავის ცხენზე და წავიდა მზეთუნახავის საძებრად. სამი დღე და სამი ღამე მშიერმა იარა, ჯავრით ვერც ჭამდა და ვერც სვამდა.

მივიდა ერთ ტყეში. დაინახა დიდი სასახლე, რომლის ახლოს წყარო იყო. ჩამოხტა წყაროსთან, ცხენი გაუშვა საბალახოდ. თვითონ პური შეჭამა და დაეძინა.

ამ დროს ერთი კოჭლი ქალი ორი კასრით წყალზე ჩამოვიდა. ერთი კასრი ააავსო, მეორეც რომ უნდა აევსო, წყაროსთან ვაჟი დაინახა, მოეწონა და ინატრა: ოჰ, ნეტავი ეს ვაჟი მითხოვდეს, თავს ვანაცვალებდიო! გულში ჩაუვარდა ვაჟის სიყვარული. დარჩა ერთი კასრი ავსებული, მეორე — ცარიელი, აღარ იცოდა, რა ექნა. გაიქცა შინ. ქალბატონი გაუჯავრდა: ქალო, ეგ რა დაგმართია, ერთი კასრი სავსე მოგიტანია, მეორე — ცარიელიო!

— მე კი არა, ის ვაჟი თქვენც რომ ნახოთ, უარესი დაგემართებათო, — უთხრა კოჭლმა ქალმა თავის ქალბატონს. გაიქცა ეს ქალბატონი, ნახა, მის ძმას სძინავს, გააღვიძა, ორივემ გაიხარა, ჰკითხა: ძმაო, აქ რა გინდა, რა გაგჭირვებია?!

— ეჰ, დაო, ნურას მკითხავ, უღუნომ მზეთუნახავი მომტაცაო.

— წამოდი, სახლში დაგმალავ, ხანდახან თქვენი სიძე გაჯავრებული მოდის, არ შეგამთხვიოს რამეო.

საღამოზე მოვიდა მგელი გაჯავრებული. ქალმა ჰკითხა:

— ჩემი უფროსი ძმა რომ გესტუმროს, რას უზამო?

— ლუკმა-ლუკმად ვაქცევ, ძვლებიანად შევჭამო.

— შუათანა რომ გესტუმროსო?

— იმასაც ისე ვუზამო!

— პატარა რომ გესტუმროს, რას უზამო?

— ხვევნა-კოცნით დავახრჩობ, ზურგზე შევისვამ, ქვეყანას შემოვატარებო.

ამ დროს გაიღო კარი და გამოვიდა ბიჭი, მისი პატარა ცოლისძმა. მივარდა მგელი და დაუწყო ხვევნა-კოცნა. როცა სუფრა ეააწყეს, ბიჭმა ამოიოხრა, მგელმაც დაიკვნესა და ვაჟს ჰკითხა:

— რა დაგემართა, რაზე სწუხარო?

— მე მზეთუნახავი მომტაცეს, მაგრამ შენ კი რაღა დაგემართაო?

— დღეს უღუნოს მზეთუნახავი მიჰყავდა, დავედევნე, რაც ჯარი მყავდა, სულ გავწყვიტე, მაგრამ მაინც ვერას გავხდი. მაგას თავი დაანებე, უკეთეს მზეთუნახავს შეგრთავო.

— არ შემიძლია, თავს ვერ დავანებებ, ან ვიპოვი, ან მოვკვდებიო.

მაშინ მგელმა მისცა ერთი ბეჭედი და უთხრა: თუ გაგიჭირდეს, ენა წაუსვი და ჩემი ჯარით იქვე გავჩნდებიო.

სვეს. ჭამეს იმ ღამეს, დაწვნენ და დაიძინეს.

დილაზე ადგა ბიჭი და გზას გაუდგა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ ტყეში. დაინახა ჩინებული სასახლე და მშვენიერი წყარო. ცხენი გაუშვა საბალახოდ. თვითონ პური ჭამა და ჩაეძინა. ამ წყაროსთანაც ერთი მოსამსახურე ქალი ჩამოვიდა. ნახა ვაჟი, უკანვე გაიქცა და თავის ქალბატონს შეატყობინა. ქალბატონი მაშინვე გამოიქცა წყაროსთან. იცნო მძინარე ძმა და გადაეხვია. ბიჭმა ნახა თავისი შუათანა და.

— აქ რამ მოგიყვანა, კიდევ კარგი, რომ ამ ტყეში არაფერმა შეგეჭამაო, — უთხრა დამ.

— უარესი რა უნდა დამემართოს, უღუნომ მზეთუნახავი მომტაცაო.

— წამოდი შინ, ჩქარა შენი სიძე დაბრუნდება, იქნებ გიშველოსო, — უთხრა დამ.

საღამოს მოვიდა დათვი, გზაში სულ გლეჯდა ყველაფერს, გაჯავრებული მოდიოდა და მობუტბუტებდა. ქალმა გაუღიმა და ჰკითხა:

— ჩემი უფროსი ძმა რომ გესტუმროს, რას უზამო?

— ნაკუწ-ნაკუწად დავფლეთ და ისე შევჭამო!

— შუათანა ძმა რომ გესტუმროსო?

— იმასაც ისე ვუზამო.

— პატარა ძმა რომ გესტუმროსო?

— ხვევნა-კოცნით დავახრჩობ, ზურგზე შევისვამ, მთელ ქვეყანას შემოვატარებო.

ამ დროს გაიღო კარი და შემოვიდა პატარა ძმა. დაუწყო სიძემ ხვევნა-კოცნა, იმოდენა დორბლი შეაყარა, რომ ორი კასრი წყალი დასჭირდა მის დაბანას.

გაშალეს სუფრა. ბიჭმა ამოიოხრა. დათვმაც იმისთანა ამოიოხრა, რომ მუშტისოდენა ფურთხი შეაყარა სახეში.

— რა დაგმართნია, რატომ ოხრავო? — ჰკითხა დათვმა.

— მე მზეთუნახავი წამართვა უღუნომ, მაგრამ შენ რაღას ოხრავო? — უთხრა ბიჭმა.

— ოჰ, რა გითხრა, ჩემო ცოლისძმავ, რაც ჯარი მყავდა, დღეს ყველა გავწყვიტე, მაგრამ უღუნოსთან მაინც ვერას გავხდი. შენ მაგას თავი გაანებე, უკეთეს მზეთუნახავს მოგიყვანო.

— არა, მე იმას თავს ვერ დავანებებ, თუ ცოცხალი ვარ, უნდა ვიპოვოო, — უთხრა ბიჭმა.

დათვი თან არ წაჰყვა. მისცა ერთი ბეჭედი და დაარიგა: როცა გაგიჭირდეს, ენა მოუსვი და იქვე დავიბადებიო. თანაც ასწავლა. აქ ახლოს ჩემი ქვისლი ცხოვრობს, თუ ვისმე რამე შეუძლია, იმას შეუძლია, მოინახულეო. სვეს, ჭამეს, დაწვნენ და დაიძინეს.

გათენდა დილა. გაიყოლა ბიჭმა სიძის ჯარისკაცი და პირდაპირ მივიდა თავის დასთან.

— ოჰ, ძმაო, შენ საიდან გაჩნდი, აქ რამ მოგიყვანა?

ბევრი ისაუბრეს. ბოლოს, ძმამ უთხრა, უღუნომ მზეთუნახავი მომტაცა და იმის საძებრად მივდივარო.

— ჯერ განჯინაში დაგმალავ, საღამოს მოვა შენი სიძე და ვნახოთ. ხანდახან ისეთი გაჯავრებული მოდის, რომ იმის ფრთის შემოკვრა ქალაქს დაანგრევსო.

მართლაც, საღამოს არწივი შინ გაჯავრებული დაბრუნდა. ქალმა აქედან გაუღიმა, იქიდან გაუღიტინა და გამბიარულა. ჰკითხა:

— ჩემი უფროსი ძმა რომ გესტუმროს, რას უზამო?

— ცალ ფრთაზე დავისვამ, მაღლა ჰაერში ავიყვან და იქიდან ძირს გადმოვუშვებო.

— შუათანა ძმა რომ მოვიდესო?

— იმასაც ისე ვუზამო!

— პატარა ძმა რომ გესტუმროსო?

— ავიყვან ფრთებით, მთელ ქვეყანას შემოვატარებ და ისევ მოვიყვან ხვევნა-კოცნითო.

ამ დროს გაიღო განჯინა და გამოვიდა უმცროსი ცოლისძმა. დაუწყო არწივმა კოცნა.

გაიწყო ვახშამი და სუფრას მიუსხდნენ. ბიჭმა ამოიოხრა, არწივმაც ისე ამოიოხრა, რომ კინაღამ ბიჭი აქედან გადავარდა. უთხრა ბიჭმა:

—სიძევ, რა დაგემართა, მე მზეთუნახავი მომტაცეს, შენ კი რაღას ოხრავო.

— ოჰ, რას მეუბნები, ჩემო ცოლისძმავ, რაც ჯარი მყავდა, სულ უღუნოს შევაწყვიტე, მაინც ვერას გავხდი. შენ ოღონდაც იმას თავი დაანებე და უკეთეს მზეთუნახავს გაპოვნინებო.

ვაჟმა უარი უთხრა, სანამ ცოცხალი ვარ, ჩემი მზეთუნახავი უნდა ვეძიოო. მაშინ არწივმა მისცა ერთი ფრინველი. ცხენიც ზედ დააკრეს, ბიჭიც ზედ დაჯდა და გადაფრინდნენ საზღვარზე. ბიჭმა ბევრი იარა თუ ცოტა, მივიდა უღუნოს სახლში, დაინახა, თავი მზეთუნახავის კალთაში ჩაედო. ვაჟმა უთხრა მზეთუნახავს: დატო-

ვე ეგ ურჯულო და ჩემთან წამოდიო. ქალი ჩუმად ადგა, უღუნოს თავქვეშ მუთაქა დაუდო და თვითონ წამოვიდა.

ამ დროს სამფეხა ცხენმა დაიჭიხვინა, უღუნო გააღვიძა: მზეთუნახავი წაგართვესო.

— დიცა, ვერსად ვერ წავაო. — ჩაილაპარაკა უღუნომ. გამოედევნა. ხაზღვარზე მიუსწრო, დაიჭირა ბიჭი, დაჭრა ასო-ასოდ და გადაყარა.

ეს გაიგო არწივმა, აკრიფა ცოლისძმის ნაფლეთები, ასო-ასოზე მიაწყო, უკვდავების წყალი მოიტანა, დაასხა და გააცოცხლა. არწივმა თქვა: უკვე სამასი წლისა ვარ და ქვეყანაზე სიკეთე არ მიქნია, მოდი, ერთ რამეს მაინც გავაკეთებო. მისცა ბიჭს ერთი ქუდი. დაიხურა ბიჭმა და მივიდა მზეთუნახავთან. უღუნოს მზეთუნახავის მუხლზე თავი დაუდვია და სძინავს. ბიჭმა უთხრა ქალს: ჰკითხე მაგას, ძალა შენშია თუ ცხენში-თქო. ქალმა ჰკითხა უღუნოს: ის ვაჟი ხომ მოკალი, დავრჩით მე და შენ, ახლა მაინც მითხარი, შენი ძალა ცხენშია, თუ შენშიაო?

— რა მაქვს დასამალავი: ჩემი ძალა სხვა ცხენებშია, რომლებიც ზღვაში ცხოვრობენ და ზღვის პირას ჭაში სვამენ წყალს. იმათ თუ ვინმე დაიმორჩილებს, მეც მომერევა. საჭიროა თორმეტი საპალნე ბამბა, რომ ის წყალი ამოსრუტო ბამბით და თორმეტი საპალნე ღვინო, რომ შიგ ჩაასხა. ჭას იცავენ ჭიანჭველები, რომელთაც სჭირდება ორმოცი ცხვარი საჭმელად. ერთიც ცხენის მჭედელი უნდა გყავდეს, რომ დაჭედონ ცხენიო.

გაიგო ეს ბიჭმა, წამოვიდა არწივთან და ყველაფერი უამბო.

არწივმა შეისვა ფრთებზე და წამოიყვანა. მოვიდნენ ფრინველთა ხელმწიფესთან, აუსვა ბიჭმა ენა ბეჭედს, იქვე გაჩნდა დათვების ხელმწიფე თავის ჯარით, აუსვა მეორე ბეჭედს ენა და იქვე მოვარდა მგლების ხელმწიფე თავისი ჯარითა.

მგლებს მოთხოვეს ორმოცი ცხვრის მოყვანა, დათვს — ბამბის მოტანა, ღვინის შოვნა ითავა არწივმა. წავიდა მგლების ხელმწიფე და მოიყვანა ცხვარი, დათვმა კი იმოდენა ბამბა ვოიტანა, რომ ლოგინადაც ეყოფოდათ.

თორმეტი საპალნე ღვინო, თორმეტი საპალნე ბამბა, ორმოცი ცხვარი, ერთი ნალბანდი. სულ ერთ ფრინველს აჰკიდეს. აფრინდა ფრინველი, მივიდა ზღვის პირას. დათვებმა ის ბამბა ჭაში ჩაკიდეს და ამოიწურა წყალი, შიგ ღვინო ჩაასხეს და ტყეში დაიმალნენ. გამოვიდნენ ზღვიდან ცხენები, დასუნეს, არ დალიეს. გამოვიდა ერთი ჭაკი ცხენი, დაეყუდა, დალია და იქვე დათვრა. ორმოც

ჭიანჭველას ორმოცი ცხვარი გადაუგდეს. ნალბანდმა ცხენი დაჭედა. შეჯდა ბიჭი ცხენზე და მოვიდა უღუნოსთან. აიღო ხვალი, უღუნო ლუკმა-ლუკმად აქცია, გამოიყვანა მზეთუნახავი, შესხდნენ ცხენებზე და მოვიდნენ ფრინველთა ხელმწიფესთან.

დაინახეს, რომ მზეთუნახავი მოჰყავთ და ჩიტებმა დაიწყეს ჭიკჭიკი, დათვებმა — სიხარულით ბუტბუტი, მგლებმა — ყმუილი. გაიმართა დიდი ქორწილი, სამი დღე და სამი ღამე იქეიფეს, სულ თქვენს სადღეგრძელოებს სვამდნენ, მაგრამ არც ის მზეთუნახავები დავიწყებიათ, ცეცხლის მაძიებელმა უმცროსმა ძმამ კლდესთან რომ იპოვა და ძმებისათვის დანიშნა. მათი სადღეგრძელოებიც ბევრჯერ ითქვა.

ჭირი იქ გავუშვი.
ლხინი აქ მოვიტანე.

კ ე ი ს ა რ ი

არის ერთი კეისარი. ჰყავს სამი შვილი. მამა უკვდებათ.

— ჩემო შვილებო, ვკვდები. სამი ოქროს ქათამი მყავს, მომიყვანეთ ისინი და ერთი დამიკალითო, — უთხრა მამამ.

მოიყვანეს ოქროს ქათამი და დაკლეს. ხორცი შვილებს აჭამა. ქათმის კუჭი ყოფილა ნატვრის ბეჭედი, ქათმის თავი — ხელმწიფობა, ტანი კი — ოჯახის ცხოვრება.

კუჭის შემჭმელს უთხრეს: შორს, მინდორში მზეთუნახავია, კარგი იქნება, ცოლად მოიყვანო, მაშინ შენისთანა არავინ იქნებაო.

იფიქრა ამ ვაჟმა: ამას ვიზამ და შემდეგ თუ მოვკვდები, აღარ ვიდარდებო. წავიდა ვაჟი. განვლო გრძელი გზა. მივიდა იმ მინდორში. იქ კოშკი იდგა და მზეთუნახავი იყურებოდა. მზეთუნახავი გაიქცა თავის მამასთან და შეეხვეწა:

— მამაჩემო, თუ მათხოვებ, ახლა გამათხოვე, საქმრო კარგი მომივიდაო.

მამამ უთხრა: ვერ გაგათხოვებ, ცოდვას ვერ ჩავიდენ, შენ ისედაც ბევრი ცოდვა ჩაგიდენიაო.

მზეთუნახავი ჩამოვიდა მინდორში, შემოეხვია ყელზე ვაჟს და უთხრა: შენ ქმარი და მე ცოლი! აიყვანა თავის ოთახში.

— ჯერ სუფრას დავდგამ. დაენაყრდეთ, ქორწილზე მერე ვილაპარაკოთო.

მზეთუნახავმა კომბოსტოს წნილი და ღვინო მოიტანა, ვაჟმა

ღვინო დალია, კომბოსტო შეჭამა. აერია გული, აღებინა და ნატვრის ბეჭედი ამოჰყვა კომბოსტოს. გადაყლაპა ცოლმა მისი ნატვრის ბეჭედი, ვაჟს კი პანღური ჰკრა და გააგდო. დარჩა ვაჟი საცოდავად.

რა უნდა იღონოს? წავიდა ისევ მინდორში. დაინახა, სამი დევი ჩხუბობს, მათი ჩხუბი დედამიწას არყევს. კეისრის ვაჟი მივიდა და ჰკითხა:

— დევებო, რატომ ჩხუბობთო?

— როგორ არ ვიჩხუბოთ, გასაყოფი გვაქვს და ვერ ვიყოფთო!

— ამისათვის ნუ ხოცავთ ერთმანეთს, გასაყოფი ქონება მიბვენეთ, მე გაგიყოფთო.

— გასაყოფი გვაქვს მფრინავი ოქროს ზარფაშა და ოქროს ჭუნირ-ფანდური. ჩვენი ოქროს ზარფაშა საღამოს ცარიელია, დილით სავსეა ოქრო-ვერცხლით. ამას ვერ ვიყოფთო.

— აბა, თქვენ წადით ტყეში, ტყის ტყეში. მინდვრის მინდორში, კლდის კლდეზე, მე მანამდე მოვიფიქრებ და გაგიყოფთ ამ ნივთებსო.

დევები წავიდნენ ტყის ტყეში, მინდვრის მინდორში, კლდის კლდეზე. ვაჟმა დევებს არ დაუცადა, ჩაჯდა ზარფაშაში და გაფრინდა, მოვიდა და გაისეირნა ცოლის ბაღში. ქალმა ვერ იცნო, ვითომ შეუყვარდა, ისევ უთხრა მამას:

— მამაჩემო, თუ მათხოვებ, ახლა გამათხოვე, თორემ გადავხტები კოშკიდან და მტვრად ვიქცევიო.

— მე ვერ გაგათხოვებ, არა ვარ შეჩვეული ადამიანის ცოდვას. შენ უჩემოდ გათხოვილხარ ხოლმე, ადამიანის თავებით მინდორი გაქვს სავსეო.

გამოვიდა ეს ქალი მინდორში და ამ ვაჟს შეეხვეწა: შენ ქმარი და მე ცოლიო! ცოლ-ქმრობა დაასკვნეს, სუფრა გაშალეს. ვაჟმა კომბოსტო, ბოლოკი და ღვინო მოატანინა. ღვინო გულს აურევს, კომბოსტოსა და ბოლოკს ნატვრის ბეჭედს ამოაყოლებინებსო. ისადილეს და, მართლაც, ქალს გული აერია და ნატვრის ბეჭედიც ამოაყოლა.

ვაჟი შეეკითხა ოქროს ზარფაშასა და ოქროს ჭუნირ-ფანდურს:

— ჩემო ოქროს ზარფაშა, დილით სავსე ხარ ვერცხლითა და ოქროთი, საღამოს ცარიელი ხარ, ჩემო ოქროს ჭუნირ-ფანდურო. სულ მღერი, ახლა მჭირდებით, რაში დამეხმარებით?

— ჩვენ წასვლა-წამოსვლაში მოგეხმარებით, ზღვასთან მი-

გიყვანთ, როცა მოგშივდება, გაჭმევთ, როცა დაიღლები, დაგაბანებთ, ოქროსა და ვერცხლს განახებთ, გულს მოგეშვებაო.

წავიდნენ და შუა ზღვაში დასახლდნენ.

— ჰა, ჩემო ცოლო, როგორ გამაწვალე, ახლა ნახე, რას გიზამ? ზღვაში ჩაგაგდებ, დევ-ეხეცებს შევაჭმევ შენს თავს!

— არა, ჩემო ქმარო, ოღონდ ზღვაში არ ჩამაგდო და რაც შენ გინდა, იმას ვიზამ!

ჩავიდნენ ზღვაში. ყურყუმელაობენ. ქალმა ნატვრის ბეჭედი წამოაგდებინა ვაჟს, ზღვაში დატოვა და თვითონ სახლში დაბრუნდა. ვაჟს მშველელი არავინა ჰყავს.

წყლის ნათლობა მოახლოებული იყო, როცა მოვიდა წმინდა გიორგი.

— დიდება შენდა, დიდო წმინდა გიორგი! გევედრები, მიშველო!

— მე შენ აქედან ვერ გაგიყვან, წყლის ნათლობის დღეს დაუცადე; იმ დღეს ნაძვი და ალვის ხე ერთმანეთს მიესიყვარულებიან, იმათ შეეხვეწე, ან ერთი გიშველის, ან მეორე, მე ვერ გიშველიო!

მოვიდა წყლის ნათლობის დღე. ალვის ხე მოეხვია ნაძვს. შეეხვეწა ვაჟი: მადლი ჰქენი, ნაძვო, მიშველე, გაჭირვებული ვარ, დიდი ხანია აქ შიმშილით ვკვდები, გადამიყვანე მეორე ნაპირასო!

— თუნდაც მომკვდარხარ, ვერ დაგეხმარებიო!

— რატომაო?

— ადამიანს ვეჯავრები. სადაც ცუდი ადგილია, იქ მაშენებენ, ქვებისა და მეწყრისაგან ვიტანჯებიო.

— ალვის ხეო, შენ მაინც მიშველე, თორემ ვკვდები, სიკვდილამდე რაღა მიკლიაო!

— არ მოგკლავ, დარდი ნუ გაქვს! მე ადამიანი ძალიან მიყვარს, რადგან მეწყრიდან გადამარჩენს ხოლმე და მინდორში ჩამრგავს. ძალიან მაღალი ვიზრდები, ცამდე ავდივარ. ჩემზე მაღალი ხე არსად არის. დღეს მე გიშველი, ნუ დარდობ, მაგრად ჩაეჭიდე ხელები, ნუ გეშინია, არ გატყუებო.

გამოიყვანა ვაჟი ალვისხემ ზღვის აქეთ. ვაჟმა ჩირგვს კეტი დაარტყა და იქვე გაჩნდა კარგი ფერის აღვირი, კარგად შეკეთილი ოქროს უნაგირი, ოქროსფერი ცხენი. ვაჟმა ცხენს უნაგირი შეადგა, აღვირი ამოსდო და ზედ შეაჯდა.

— ნურაფრის გეშინია, მე გიშველი! — ეუბნება ცხენი.

დაბრუნდა ვაჟი იმავე ბაღში. ქალმა ვერ იცნო, ძალიან მოეწონა

და ისევ მამას უთხრა: მამაჩემო, თუ მათხოვებ, ახლა გამათხოვე, თორემ გადავხტები ამ კოშკიდან და მტვრად ვიქცევიო.

— მანამდე მამას ნუ ეყოლები, ვიდრე მე არ გაგათხოვო! ადამიანის ცოდვა გადეკვს, აბა, რად ღირს შენი სიცოცხლეო!

ჩამოვიდა ქალი, მივარდა ვაჟს, ჰკოცნის. ცხენმა წიხლი ჰკრა და მზეთუნახავი ვირად აქცია. მისმა ქმარმა ტირილი დაიწყო.

— ვაი, რა დამემართა მე საბრალოს! ამისათვის ბევრი გასაჭირი ამიტანიაო!

— გაჩუმდი, შენ რა გედარდება, მე რას ვშვრები, შენ რა იციო,— უთხრა ცხენმა, — შენ რომ ჩემოდენი გცოდნოდა, მაშინ ამდენი უბედურება არ შეგემთხვეოდა. ახლა ამას მაგარი კეხი დაადგი, რამდენიც შენ გაგაწვალა, იმდენი შენ გააწვალე, ისე გაამწარე. ქოჩრიდან კუდამდე ტყავი ასძვრეს. ამის შემდეგ წავალთ ხელმწიფესთან და სამართალს მოვითხოვთო.

მართლაც, ვაჟმა ვირს დიდი კეხი დაადგა და ტყავიც გააძრო. წავიდა ხელმწიფესთან და ვირიც თან წაიყვანა. ვირი მიაბა ხელმწიფის ჭიშკარს, თვითონ კი ხელმწიფეს ეახლა. ვირმა ყურები შეიბერტყა, ვირის ყური ზარს მოხვდა და დარეკა. ხელმწიფემ თქვა: ჩემო ვეზირებო, ვიღაც რეკავს, ალბათ, მომჩივარია, მომიყვანეთო!

გავიდნენ, კარებთან არავინაა, მხოლოდ ვირია. ხელმწიფეს ვირის სახელი ვერ აკადრეს, უკანვე შემობრუნდნენ და უთხრეს: არავინაა.

კიდევ შეიბერტყა ყურები ვირმა, ისევ მოხვდა ზარს.

— ჰოი, ვეზირებო, ნუ მატყუებთ, მომჩივანია კარებთანო!

წავიდნენ ვეზირები, არავინ დახვდათ ვირის გარდა. ვირის სახელი ვერც ახლა შეჰკადრეს ხელმწიფეს. მესამედ შეიბერტყა ყურები.

— ჰა, ვეზირებო, შემოიყვანეთ, ვინც არის, ძაღლია იქ, თუ კაცი, სულ ერთია. მანახეთ, მორიდება არ იქნებაო! — ბრძანა ხელმწიფემ.

შეიყვანეს ვეზირებმა ვირი. ყურს აპარტყუნებს, ვერაფერს ლაპარაკობს.

— ვინც ამიხსნის ამის საჩივარს, ჩემს საბრძანებელს დავუთმობო, — თქვა ხელმწიფემ.

— ამის ლაპარაკს მე აგიხსნიო, — უთხრა ვაჟმა.

— ჩემ ხელმწიფობას შენ მოგცემ, თუ ამის გასაჭირს გაიგებო! — უთხრა ხელმწიფემ.

— მე ვიცი და გეტყვი: ეს ვირი მზეთუნახავი გახლავთ. მე

ცოლად მინდოდა, მაგრამ ძალიან გამაწვალა. დღეს რაშმა მიშველა და ეს მზეთუნახავი ვირად ვაქციე. ახლა საჩივარი აქვს, გუშინ მზეთუნახავი ვიყავ, დღეს ვირად მაქციესო.

— ეს რატომ დაემართა? — იკითხა ხელმწიფემ.

— ადამიანის ცოდვით სავსეა. ამის ბაღში რომ შეიხედო, კაცის თავებით არის მოფენილი. ვინც შევიდა, ცოცხალი არავინ დაბრუნებულა. მეც მივედი, კომბოსტოსა და ბოლოკს მაჭმევდა და ნატვრის ბეჭედს ამომაგდებინებდა ხოლმე. ამ მზეთუნახავს მხოლოდ ერთ წამს ვუყურდი. ბოლოს ზღვაში დამტოვა, სამი წელიწადი ზღვაში ვიტანჯებოდი. იქიდან ძლივს გამოვედი და, როგორც მოგახსენე, ვირად ვაქციე. ახლა ამას ჩივის: მზეთუნახავი ვიყავი, დღეს ვირი ვარო.

— აბა, თუ შეგიძლია, ეგ ვირი ისევ მზეთუნახავად აქციე, მაშინ ჩემს სახელმწიფოს ნამდვილად შენ დაგილოცავო, — უთხრა ხელმწიფემ.

— ამას ახლავე გავაკეთებ, მაგრამ ის კიდევ ბევრ ცოდვას ჩადენსო.

ვირი ისევ მზეთუნახავად აიქციეს და მამის სახლში გაგზავნეს.

— ახლა მე შენ გეტყვი: შენ ჩემი ძმა ყოფილხარ კუჭის შემჭმელი; შუათანა ძმა მე ვარ — თავის შემჭმელი; ტანის მჭამელი, დიდი ძმა, შინ გველოდება, ჩვენ აქ ვართო. — უთხრა ვაჟმა ხელმწიფეს.

ვიდრე იქ არ ვიყოთ, მანამდე დაუმარცხებლად ვიყოთ, დღეგრძელი ვიყოთ.

სიკვდილი და ყაჩაღი

იყო სახელგანთქმული ყაჩაღი. არავითარ ბოროტებას არ ერიდებოდა: კაცის კვლას, ქურდობას, ავაზაკობას. ერთ გლეხს კაი დეკეული ჰყავდა. უკანასკნელად ყაჩაღმა მისი მოპარვა განიზრახა. წავიდა. გზაში ერთი ოჯახიდან საშინელი კივილი მოესმა. გაუკვირდა და იქით გაეშურა. ჭიშკართან რომ მივიდა, დაინახა, ცხენზე ზის თეთრწვერა კაცი, უკან კი უზის თექვსმეტი წლის ახალგაზრდა ქალი. ყაჩაღმა იფიქრა, ნამდვილად ამ კაცს ქალიშვილი მოუტაცნიაო.

ჯიშკარზე რომ გადმოვიდა, ყაჩაღი ცხენიანს სწვდა აღვირში და გაიჩერა. უბრძანა:

— ჩქარა ჩამოსვი ძირს ეს ქალი, თორემ სულს გაგაფრთხობინებო!

თეთრწვერა კაცს გაეცინა და ჰკითხა:

— შენ ვინ ხარ, ასე რიხით რომ მიბრძანებო!

— მე ესა და ეს ყაჩაღი ვარო!

— აბა, მიცნობდე, მე სიკვდილს მეძახიან. ამაღამ ეს ქალი მიმყავს, დღეის სწორს შენი სტუმარი ვიქნები, თუ ვაქკაცი ხარ, დამხვდიო, — უთხრა თეთრწვერა კაცმა და უცებ გაქრა.

ყაჩაღი გაფითრდა, ძალიან შეშინდა. სახლში რომ მივიდა, ძმებს უთხრა:

— აჰა, ოქრო და ვერცხლი, რამდენიც გინდათ დახარჯეთ და ერთ კვირაში ისეთი სასახლე ამიგეთ, ერთი კარი ჰქონდეს და იყოს ისეთი სიმაგრე, რომლის აღება არავითარ ძალას არ შეეძლოსო.

დაფაცურდნენ ძმები. იშოვნეს მასალა, მშენებლები და აუგეს ქვიტკირის შენობა.

დრო რომ მოვიდა, ყაჩაღი ჩაიკეტა ოთახში, დაიწყო ახლოს ყველა იარაღი, რაც კი ჰქონდა, და დაუწყო ლოდინი სიკვდილს. კარები კარგად ჰქონდა გადარაზული, რომ ვერავის გაეღო, და უცდიდა: აბა, საიდან შემოვა სიკვდილიო. მაგრამ სიკვდილი არსად ჩანდა, იგვიანებდა. ყაჩაღიც არ იძინებდა. იარაღს ხელში ათამაშებდა, ტყვიას მალიმალ გამოუცვლიდა, მაგრამ სიკვდილი მაინც არსად ჩანდა. ბოლოს იფიქრა: მოდი, მივწვები, ცოტას დავისვენებო! მიწვა და კიდეც ჩაეძინა. გავიდა ცოტა ხანი და ვიღაც აღვიძებს. გაიღვიძა. შეხედა — სიკვდილია. შეშინდა, მაგრამ რაღას იზამდა.

— აბა, მოემზადე, უნდა წაგიყვანოო!

— დიდი სიამოვნებით წამოვალ, სხვა რა გზა მაქვს, მაგრამ მე, შენც იცი, დიდი ხნის ყაჩაღი ვარ, ჩემს სიცოცხლეში ბევრი ცოდვა ჩამიდენია, ქრისტიანი კაცი ვარ და მანამდის ნუ მომკლავ, სანამ „მამაო ჩვენოს“ არ ვიტყვიო!

— თქვი, აბა ჩქარაო! — უბრძანა სიკვდილმა.

— არა, ასე ვერ ვიზამ, მომეცი პირობა, რომ სანამდის არ დავამთავრებ „მამაო ჩვენოს“ თქმას, მანამდის არ მომკლავო!

— მომიცია პირობა, თქვიო! — ეუბნება სიკვდილი.

— მარტო პირობას ვერ ვენდობი, მომეცი ღმერთი თავდებად. დაიფიცე ღმერთი, მანამდის არ მომკლავ, სანამ „მამაო ჩვენოს“ არ დავამთავრებო!

მისცა თავდებად ღმერთი და ყაჩაღმაც დაიწყო: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა“... ნახევარი თქვა და მერე გაჩერდა.

— თქვი ჩქარა, დაამთავრე, რაღას უცდიო! — უთხრა სიკვდილმა.

— შენ ხომ ღმერთი მომეცი თავდებად, სანამდი არ დავამთავრებ, ვერ მომკლავ, ახლა მეტის თქმა არ მსურსო!

სიკვდილმა იგრძნო, რომ მოტყუვდა და ყაჩაღს უთხრა:

— რადგან შენ ასეთი ჭკვიანი ყოფილხარ, მოდი, შევამხანაგდეთ და მე სიკეთეს მოგანიჭებო!

შეამხანაგდნენ. სიკვდილმა ურჩია: ყაჩაღობას თავი დაანებე და ექიმობა დაიწყეო. მე ყველა ავადმყოფთან ვიქნები, შენს მეტი ვერავინ დამინახავს, ავადმყოფს ან თავთან ვეყოლები დამჯდარი, ან ფეხთან, თუ თავთან დამინახო, ავადმყოფი არ მორჩება და შენც უარი თქვი მის მკურნალობაზე, თუ ფეხებთან — მაშინ ავადმყოფი მოსარჩენია, შენ უბრალო წყალი გამოუწერე და მაინც მორჩებაო!

ყაჩაღმა თავის ძველ ხელობას თავი დაანება და ექიმობა დაიწყო. ყოველგვარ ავადმყოფს მკურნალობდა. სადაც მივიდა და თქვა: ეს ავადმყოფი მორჩებაო, მართლაც, ყველა მორჩა; ვისზედაც თქვა— მოკვდებაო, მართლაც მოკვდა. გაუვარდა დიდი სახელი. გამდიდრდა.

გავიდა რამდენიმე წელიწადი. ერთხელ ეს კაცი ავადმყოფთან მიდიოდა ცხენით. წყლის ნაპირზე დამხრჩვალი ბავშვი ნახა. გადააბრუნ-გადმოაბრუნა, გაცოცხლება აღარ შეიძლებოდა და იქვე გაუთხარა საფლავი. ბავშვს ყელზე ჯვარი ეკიდა. რადგან ქრისტიანი ყოფილა, მოდი, ამას „მამაო ჩვენოს“ ვეტყვი და ისე დავასაფლავებო, — იფიქრა. მართლაც, დაიწყო და თავიდან ბოლომდის დაამთავრა „მამაო ჩვენო“. უცებ ეს ბავშვი გაცოცხლდა და ექიმმა იცნო სიკვდილი, რომელიც მას დასდევდა.

— ხომ თქვი „მამაო ჩვენო“ ბოლომდის, აბა, ახლა ჩაბრძანდი ამ საფლავშიო, — უთხრა სიკვდილმა. ყაჩაღი მიხვდა, საქმე ცუდად წაუვიდა და სთხოვა: რადგან ამდენი სიკეთე მიქენი, ერთი სათხოვარი კიდევ მაქვს: შინ ძალზე მოხუცი მამა მყავს, მომეცი ნება, რომ მას სიკვდილის წინ გამოვემშვიდობოო!

სიკვდილი დათანხმდა და ორივე წავიდა. შვილმა მამას ყველაფერი უამბო და დაუწყო გამომშვიდობება.

— აბა, ჩქარა მოემზადე, ხომ შეგისრულე თხოვნაო! — უთხრა სიკვდილმა.

— კეთილი, მაგრამ ერთი ჭიქა ჩვენი ჭის წყალი დამალევინე და ერთი ამ ჩვენს მსხალზე მოკრეფილი ნაყოფი მაჭამეო!

— ჭამე, დალიე, ნუ გადამაყოლე, მალე ჰქენიო! — უთხრა სიკვდილმა.

წყალი მიუტანეს და დაალევინეს, მაგრამ მსხლის მომკრეფი არავინ აღმოჩნდა.

— მე მოხუცებული ვარ და ხეზე ასვლა არ შემიძლია, თუ მსხალს მოუკრეფ და აქმევ, შენ იცი! — სთხოვა მამამ სიკვდილს.

სიკვდილი ავიდა მსხალზე, მოკრიფა, მაგრამ ძირს ვეღარ ჩამოვიდა. წვალობს, წრიალებს, ვერ ჩამოდის.

თურმე, ქრისტე რომ ქვეყანაზე დადიოდა გლახაკის ტანისამოსით, ამ ყაჩაღის მამასაც სტუმრებია. სტუმარი მას კარგად მიუღია. პატივი უცია და ღამეც გაუთევინებია. დილით უთქვამს:

— რადგან შენ ასე კარგად მიმიღე, მთხოვე რამე და აგისრულებო.

მოხუცს უთქვამს: მე სათხოვარი ბევრი არაფერი მაქვს, ყველაფერი მომეპოვება. ოღონდ ერთია, რომ მსხლის გადარჩენას ვერ ვახერხებ. როცა დამწიფდება, მეზობლის ბავშვები დღედაღამ ზეღ არიან და მე ვეღარ ვსარგებლობო.

— კარგი, — დაუბარებია ქრისტეს, — შენც დამილოცნიხარ და ვინც მაგ მსხალზე უშენოდ ავიდეს, ძირს ვეღარ ჩამოვიდეს ისე, თუ შენ არ უშველეო!

ახლაც ქრისტეს ძალამ გააწეშა სიკვდილი მსხალზე.

ტრიალებს სიკვდილი ხეზე, ხან ზევით, ხან ქვევით, მაგრამ ჩამოსვლას ვერ ახერხებს. ყაჩაღი უძახის: რას შვრები, კაცო, ჩამოდი. მსხალი მაჭამე და წავიდეთო!

სიკვდილმა მთელი დღე იხეტიალა ხეზე და ძირს რომ ვეღარ ჩამოვიდა, თქვა: ოღონდ აქედან ჩამომიყვანეთ და რასაც მთხოვთ, აგისრულებთო. მაშინ მოხუცმა უთხრა: მომეცი პირობა, ამ ჩემ შვილს მანამდის არ მოკლავ, სანამ თვითონ არ გეტყვის, და ჩამოგიყვანო!

სიკვდილმა მისცა კიდევ ღმერთი თავდებად, მოხუცმაც უთხრა — ჩამოდიო და ჩამოვიდა კიდეც. ამგვარად, ყაჩაღი კიდევ გადარჩა სიკვდილს.

გავიდა რამდენიმე წელიწადი. ნაყაჩაღარი ძალიან მოხუცდა, უკვე სიარული აღარ შეუძლია, დავრდომილია. ერთხელაც წამოიძახა: — ჰეი, სიკვდილო, სადა ხარო? მაშინვე გაჩნდა სიკვდილი, ხელში ცელი უჭირავს.

— აბა, რა გინდა, მოდიხარო?

— არა, წამოდგომაში მომეხმარეო.

გავიდა დრო, ნაყაჩაღარი დაგლახაკდა, დაბრმავდა, დაყრუვდა. ხშირად ნატრობს სიკვდილს, მაგრამ როცა სიკვდილი გამოეცხადება.

კიდევ სთხოვს, ცოტა მადროვეო. ბოლოს, იძულებული გახდა შეეედრებოდა, მომკალიო.

ამგვარად, სიკვდილმა მაინც ჩაიგდო ხელში ეს სახელგანთქმული და ბკვიანი ყაჩაღი, რომელმაც ორჯერ მოატყუა იგი.

ქურდი და ხელმწიფის შვილი

ერთ ქვეყანაში ერთი ხელმწიფე იყო. შეეჩვია ერთი ქურდი და სულ გაუჩანაგა ყველაფერი. ვერა და ვერ დაიჭირა.

ერთხელაც ხელმწიფემ ქუჩაში ფული გაფინა და მცველები დაუყენა. ქურდმა ვერ მოითმინა, წაისვა ფეხსაცმელებზე ცხელი ფისი, გაიარა და გამოიარა. ფისმა აიკრა ფული. დაიჭირეს ეს ქურდი. ჩააგდეს საბნელოში.

გახარებულმა ხელმწიფემ დაპატიჟა ორი მეზობელი ხელმწიფე: ერთი კაი მეჯლისი უნდა გადავიხადო, რახან ქურდი დავიჭირეო.

ამ ხელმწიფეს ერთი პატარა ბიჭი ჰყავდა, იმათაც თითო ბიჭი ჰყოლიათ. შეიყარა სამი ბიჭი და ჩილიკა ჯოხის თამაში დაიწყეს.

ამ ხელმწიფის შვილმა უთხრა სტუმარ ბავშვებს: აბა, აქედან იმ ქურდის საბნელოში ვინ ჩააგდებს ჩილიკსო. გატყორცნა ერთმა და გადააცილა, მეორემ აქეთ დააგდო, ამ პატარამ კი შიგ საბნელოში ჩააგდო. მივიდა და ქურდს უთხრა: შენი ჭირიმე, მომაწოდე ეს ჯოხიო! ქურდმა უთხრა:

— წადი, დედაშენს თმაში გასაღები აქვს, მოიტანე, გააღე კარები, გამომიშვი, ჯოხსაც მოგცემ და პატივსაცა გცემო.

მივიდა, მართლაც, ბიჭი დედასთან, გამოაცალა თმიდან გასაღები და გაუღო კარები. ქურდმა მისცა ეს ჯოხი და უთხრა: იცოდე, ბოლოს მე გამოგადგები, ჩემს მეტი არავინ გიშველისო. ადგა და წავიდა.

ბიჭი მოვიდა სახლში დაღონებული. ხელმწიფეები რომ წავიდნენ, ბიჭმა მამას უთხრა: ერთი დანაშაული ჩავიდინე და თუ მაპატიებო?

— გაპატიებ, შვილო, ისეთი რა უნდა ჩაგედინა, რომ ვერ გაპატიოო?!

— ვიცი, არ მაპატიებო!

— არა, გაპატიებო!

— მაშ, თუ ასეა, სიტყვა მომეცი ხალხთან, რომ ნამდვილად მაპატიებო.

ხელმწიფემ მოიწვია ხალხი მოწმედ. რომ დასხდნენ, ბიჭმა კიდევ ჰკითხა მამას: ხომ ნამდვილად მაპატიებო?

— გაპატიებ, შვილო!

— ხალხო, მაპატიებს მამაჩემი დანაშაულს თუ არაო? — იკითხა ბიჭმა.

— გაპატიებს, რახან პირობა მოგცაო! — უპასუხეს.

— ჩვენი ქურდი გავუშვიო! — უთხრა ბიჭმა. ეს რომ ხელმწიფემ კაიგონა, წამოავლო ხმალს ხელი. ხალხმა დაიჭირა: პირობა პირობაა. უნდა აპატიო!

— დღეიდან ჩემმა თვალებმა აღარ დაგინახოსო! — უთხრა გამწარებულმა ხელმწიფემ.

ბიჭს სხვა რაღა უნდა ექნა, ადგა და წავიდა. შემოხვდა გზაში ერთი უფროსი ბიჭი. დაძმობილდნენ და ერთად წავიდნენ. ერთ ალაგას ფლატეზე მიდიან. ხელმწიფის შვილს წყალი მოსწყურდა.

— ჩადი დაბლა და დალიეო, —უთხრა მეგობარმა. ჩავიდა ხელმწიფის შვილი, წყალი კი დალია, მაგრამ ზევით ვეღარ ამოვიდა.

— ამომიყვანე, განა ძმები არა ვართო, —ამოსძახა ხელმწიფის შვილმა.

— იმ პირობით ამოგიყვან, შენს ტანსაცმელს თუ მე ჩამაცმევ. შენ გვარს მე დამაწერ და ჩემსას შენ დაიწერო!

ხელმწიფის შვილი დაეთანხმა, სხვა რა გზა ჰქონდა.

ჩავიდა მაშინვე ეს ბიჭი ამოსაყვანად. ჩააცვა ხელმწიფის შვილმა თავისი ტანისამოსი, სახელი და გვარიც გადაუწერა და ამოიყვანა.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მივიდნენ ერთ ხელმწიფესთან. ხელმწიფემ შეხედა და უფროსი ბიჭი მეგობარი ხელმწიფის შვილად მიიჩნია, რადგან მისი ტანისამოსი და გვარი ჰქონდა. ამ ბიჭს უთხრა: ეგ მეორე ვიღა არისო?

— ჩემი ამხანაგიაო.

ხელმწიფეს ერთი ქალი ჰყავდა და ის დანიშნა ამ ბიჭზე. ხელმწიფის შვილი კი მზარეულად დაიყენა. ქალმა შეხედა თუ არა, ხელმწიფის შვილი მოეწონა.

ქალი ხელმწიფის შვილს ეხვეწება: ხმა გამეცი, მაგრამ ბიჭი გაჩუმებულია. ქალს ისე შეუყვარდა ბიჭი, ისე, რომ ლამის გაგიჟდეს. მიდის და ჰკოცნის. დანიშნულმა ბიჭმა ქალს უთხრა: ქალო, ნუ ჰკოცნი მაგ ბიჭსა, თორემ ვეტყვი მამაშენსაო!

ქალმა უპასუხა: მეხი შენც დაგაყარე და მაშაჩემსაცო!

წამოვიდა დანიშნული ბიჭი და ხელმწიფეს უთხრა: ჩემო სიმამრო, შენი ქალი მე ყურს არ მიგდებსო.

ხელმწიფე ადგა და ეს მზარეული მეღორედ დააყენა. მაგრამ საღამოთი რომ ბრუნდება. ქალი მაინც იმასთან მიდის. კიდევ უთხრა დანიშნულმა სიმამრს. მაშინ ხელმწიფემ ბიჭი ცხენის ჯოგში გაგზავნა. ქალი ძალიან შეწუხდა. ერთი კვირა ძლივს გასძლო. მეორე კვირას მამას უთხრა:

— ხელმწიფე კი ხარ, მაგრამ სწავლა გაკლიაო: ჯარისკაცი რომ შემოგხვდეს გზაში, როგორ უნდა იცნოო?

— აბა, რა ვიცი, შვილო, როგორო!

— უნდა დაიბარო და ყველას შენი ნიშანი დააღოო.

მოეწონა ეს აზრი ხელმწიფეს და დაიბარა თავისი ჯარი. ჯარი რომ მოვიდა, ცხენები სულ ამ ბიჭს ჩააბარეს. ქალი კი სახურავზე ავიდა, რომ დაენახა, მოდის ჩემი ბიჭი, თუ არაო.

ხელმწიფის შვილმა ცხენის ჯოგი გამორეკა და დაფიქრებულს ჩაეძინა. როცა გამოეღვიძა, ნახა, ერთი ცხენიც აღარ არის. ტირის, ტირის, რა ქნას, აღარ იცის, ამ ტირილში სად იყო, სად არა, იმ ქურდმა ჩამოიარა. შეხედა თუ არა, ბიჭი იცნო.

— რადა ტირიო? — ჰკითხა.

— ასეა, ჩემი საქმე, ამოდენა ცხენის ჯოგი დავკარგეო.

ქურდმა წაიყვანა სახლში და დაუდგა ათი ჯამი საჭმელი: ეს უნდა შეჭამოო. როგორც იყო, შეჭამა.

— როგორა მხედავო? — ჰკითხა ქურდმა.

— ისე ჩანხარ, როგორც ბუზიო, — უთხრა ხელმწიფის შვილმა.

ქურდს ერთი სალამური ჰქონდა, დაუკრა და ის ცხენები სულ მოაგროვა. მისცა ხელმწიფის შვილს ეს სალამური და დააბარა: თუ კიდევ დაგეკარგოს ცხენები, დაუკარი და მოგროვდებიანო. გათენდა დილა, გამორეკა ბიჭმა ცხენები, მაგრამ კიდევ დაეძინა. გამოეღვიძა და ნახა, ცხენები ისევ დაჰკარგვია. დაიწყო ტირილი. კიდევ ჩამოიარა იმ ქურდმა.

— რადა ტირიო? — ჰკითხა ხელმწიფის შვილს.

— კიდევ დავკარგე ცხენებიო.

ისევ ისე წაიყვანა სახლში და დაუდგა თხუთმეტი ჯამი საჭმელი, როგორც იყო, შეჭამა ბიჭმა ეს საჭმელი.

— ახლა როგორ მხედავო? — ჰკითხა ქურდმა.

— ისე ჩანხარ, როგორც კოღოო! — უთხრა ხელმწიფის შვილმა.

— მაშ წადი, სალამური დაუკარი და ცხენები მოგროვდებიანო.

დაუკრა სალამური, მოაგროვა ცხენები და ბაკში შერეკა.

გათენდა დილა. კიდევ გამორეკა ცხენები და კიდევ დაეძინა. გაიღვიძა, მაგრამ ცხენები ვერც ახლა დაინახა. დაიწყო ისევ ისე ტირილი. სად იყო, სად არა, კიდევ ჩამოიარა ქურდმა: რად ტირიო? — ჰკითხა.

— ისევ დავკარგე ცხენები და ვტირიო.

წაიყვანა ქურდმა კიდევ ხელმწიფის შვილი და ახლა დაუდგა ოცი ჯამი საჭმელი. დაადგა და როგორც იყო, შეჭამა ეს საჭმელი.

— როგორ მხედავო? — ჰკითხა ქურდმა.

— ისე ჩანხარ, როგორც ქინქლაო! — უთხრა ხელმწიფის შვილმა. ქურდმა ახლა მისცა ბაღდადი, შიგ გამოუკრა სამი ბეწვი რაშისა: რომ გაგიჭირდება, ამ ბაღდადს გაიქნევ და სამი კაცი მოგვარდება, სადაც უნდა იყო, გიშველიან, ხოლო რაშის ბეწვს თუ მოტრუსავ, მაშინვე რაში გაჩნდებაო. მისცა სალამურიც.

წამოვიდა ბიჭი, დაუკრა სალამური, მოაგროვა ცხენები და შერეკა ბაკში. ამ დროს კიდეც მოვიდა ჯარი, რომელიც ხელმწიფეს ჰყავდა დაბარებული ნიშნის დასადებად.

ერთი კვირა რომ გავიდა, ქალს კიდევ მოუნდა ბიჭის ნახვა. მივიდა ხელმწიფესთან და უთხრა: შენი ცხენები როგორ უნდა იცნოო?

— რა ვიციო, — უპასუხა ხელმწიფემ.

— სულ ყველა უნდა დადაღოო.

მოეწონა ეს აზრი ხელმწიფეს და მეორე დღეს მოარეკინა თავისი ცხენები: ხელმწიფის შვილმა თითო ხელზე ათ-ათი ცხენი აიჩინჩხლა და ისე წამოიყვანა. ქალი სახლის სახურავზეა: ეგებ დავინახო ჩემი ბიჭიო. დაინახა თუ არა ხელმწიფის შვილი, მივარდა და გადაკოცნა, მაგრამ ბიჭმა ხმა არ გასცა.

ხელმწიფემ ყველა ცხენი დადაღა და უკან გაისტუმრა. ქალმა მამას უთხრა: განა ცოდვა არ არი, ეს ბიჭი ცხენებში გყავს, მოდი, ისევ მზარეულად დავაყენოთო.

დაუჯერა ხელმწიფემ ქალს და ეს ბიჭი ისევ მზარეულად დაიყენა. ქალმა ახლო არ გაიკარა თავისი დანიშნული, სულ ამ ხელმწიფის შვილთან დადის, ეხვევა და ესურვილება. დანიშნულმა უთხრა: ქალო, მაგას ნუ ჰკოცნი, თორემ მამაშენს ვეტყვიო.

ქალმა უპასუხა: მეხი შენც დაგაყარე და მამაჩემსაცაო!

წამოვიდა დანიშნული და სიმამრთან დააბეზღა: შენი ქალი მე ყურს ისევ ისე არ მიგდებს, მზარეულს ესურვილებაო.

გაბრაზდა ხელმწიფე და ეს ბიჭი საბნელოში ჩააგდო.

შეწუხდა ქალი. დაიბარა ჩუმად ვეზირები და უთხრა: ერთი ისე-

თი მენაღმე მომიყვანეთ, ჩემი სახლიდან საბნელომდის გვირაბი გაიყვანოსო. მოიყვანეს მენაღმე და მაშინვე გაჭრეს გვირაბი. ქალმა უხვად დაასაჩუქრა იგი და თვითონ შეავიდა საბნელოში. ხშირად ჩადის ხელმწიფის შვილთან, ეხვევა, ჰკოცნის, მაგრამ ბიჭი კიდევ ხმას არა სცემს.

სად არის, სად არა, ერთხელაც ერთი სამთავიანი დევი მოვიდა და ხელმწიფეს უთხრა: ან ჩემთან მეომარი გამოიყვანე, ან ეს ქალი მომეციო!

— აბა, ჩემო სიძე, ეომეო! — უბრძანა ხელმწიფემ თავის სიძეს.

— წაიყვანოს, შუაგზიდან მოვაბრუნებო! — უპასუხა დანიშნულმა. წაიყვანა დევმა ქალი. ეს საბნელოში გაიგო ხელმწიფის შვილმა. გაიქნია ბაღდადი, მოვარდა სამი კაცი, აყარეს ჭერი და ბიჭი ამოიყვანეს. მოტრუსა წითელი რაშის ბეწვი, მოვარდა რაში იარაღითა და ტანისამოსით. აისხა ხელმწიფის შვილმა იარაღი, ჩაიცვა ახალი ტანსაცმელი და მოახტა რაშსა. გამოედევნა დევს უკან. რომ წამოეწია, დევს უთხრა: ეგ ქალი იქით დავსვათ, არა ვაწყინოთ რა, და მე და შენ ვიომოთო! მოაჭრა სამივე თავი დევს და ქალი უკან წამოიყვანა. გზაში შეხვდა დანიშნული. მოჰკიდა ქალს ხელი და წაიყვანა. ხელმწიფის შვილი კი ისევ ისე საბნელოში ჩავიდა ჩუმად. დანიშნულმა ხელმწიფეს უთხრა: — არ გითხარი, ჩემო სიმამრო, შუაგზიდან დავაბრუნებ-მეთქი, ხომ შევასრულე სიტყვა.

ქალი კიდევ იძახის: არა, მამა, ამას არ დავუხსნივარ, სხვამ დამიხსნაო! მაგრამ მამამ არ დაუჯერა. ქალმა მაშინვე ჩაირბინა გვირაბში და ხელმწიფის შვილს უთხრა: შენს იღბალზე ვიღაცამ გადამარჩინაო.

მეორე დღეს მოვიდა ექვსთავიანი დევი და ხელმწიფეს უთხრა: ან მეომარი გამოუშვი, ან შენი ქალი მომეციო! გაქანდა ეს ქალი და ხელმწიფის შვილს უთხრა: შენი ჭირიმე, ხმა გამეცი, ახლა ექვსთავიან დევს მივყავარ და ვიღა მაჩვენებს შენს თავსაო.

ხელმწიფის შვილი ისევ ისე არაფერს ეუბნება. გუნებაში იძახის; წაგიყვანოს, თავებს დავაცლი იმ დევსაცაო.

სიძემ კიდევ უთხრა ხელმწიფეს: წაიყვანოს, შუაგზიდან დავიბრუნებ ქალსაო.

წაიყვანა დევმა ქალი. ხელმწიფის შვილმა კიდევ გაიქნია ბაღდადი, მოვიდა სამი კაცი, აჰყარეს ჭერი და ამოიყვანეს. ბიჭმა მოტრუსა მაშინვე ლურჯი რაშის ბეწვი, მოვარდა ლურჯი რაში, მოაჯდა ზურგზე და გამოედევნა დევს. როცა წამოეწია, უთხრა: ქალი გვერდზე გადავსვათ, არა ვავნოთ რა, ჩვენ კი ვიომოთო! შემოჰკრა ხმალი

და ექვსივე თავი წააცალა. შემოისვა რაშზე ქალი და წამოიყვანა. შემოხვდა კიდევ გზაში დანიშნული, მოჰკიდა კვლავ ქალს ხელი და წაიყვანა. ხელმწიფის შვილი კი ისევ ისე შევიდა საბანელოში.

ქალი რომ მოიყვანა, დანიშნულმა ტრაბახი დაიწყო: ოომ კოქვი, შუა გზიდან დავაბრუნებ-მეთქი.

ქალი კიდევ იძახის: არა, მამა, ეს არა ყოფილა, სხვამ დამიხსნაო! მაგრამ არც ახლა დაუჯერეს.

ისევ ჩავიდა ქალი საბანელოში. მოეხვია ხელმწიფის შვილს და უთხრა: შენ გენაცვალე, ხმა გამეცი, შენ იღბალზე კიდევ უკან დაძაბრუნესო, მაგრამ ბიჭი ხმას მაინც არ იღებს.

მესამე დღეს ცხრათავიანი დევი მოვიდა და ხელმწიფეს უთხრა: ან ჩემთან მეომარი მომიყვანე, ან შენი ქალი მომეცით!

— აბა, ჩემო სიძევ, მიშველეო, — დაუძახა ხელმწიფემ.

— წაიყვანოს, შუა გზიდან მოვატრიალებო, — მიუგო სასიძომ. ქალი მაშინვე ჩავიდა ხელმწიფის შვილთან:

— ახლა ვინ მიშველის, ხმა მაინც გამეცი ამ დაკარგვის ხანსაო.

არც ახლა უპასუხა ბიჭმა.

ქალი ცხრათავიან დევს შეევედრა: ერთი კვირა მომიცადე და შემდეგ წამიყვანეო.

დაეთანხმა დევიც. ამ ერთ კვირაში ქალმა თავის ბაღდადზე ამოქარგა ხელმწიფის შვილის სახე, რომ თან წაიღოს სახსოვრად. ერთი კვირის შემდეგ ცხრათავიანი დევიც მოვიდა. კიდევ ჩავიდა ქალი ხელმწიფის შვილთან და უთხრა: შენი ჭირიმე, ხმა გამეცი, ცხრათავიან დევს მივყავარ და კვლავ ვინ მაჩვენებს შენ თავსაო.

ბიჭი ახლაც დუმს, არას ეუბნება.

წაიყვანა დევმა ქალი. ცოტა ხანი რომ გავიდა, ხელმწიფის შვილმა გაიქნია ბაღდადი, მოვიდა სამი კაცი, აჰყარეს ჭერი, ამოვიდა ბიჭი, მოტრუსა შავი რაშის ბეწვი, მოვარდა რაში, მოაჯდა ზურგზე და გამოუდგა დევს. რომ წამოეწია, ამასაც უთხრა: ქალი იქით დავსვათ და ჩვენ ვიომოთო!

დაიწყეს ომი, რვა თავი მოსჭრა ხელმწიფის შვილმა და მეცხრე თავს რომ დაჰკრა, მკლავი დაიზიანა. დაღონდა ბიჭი, წამოწვა ქალის მუხლზე და დაეძინა. მაჯიდან წურწურით გამოუვიდა სისხლი. ქალმა თქვა: სამჯერ ამ ვაჟმა გადამარჩინა, რაღად მინდა ის ბიჭი, ამდენი ხანია მიყვარს და ხმას არა მცემსო! აიღო თავისი ბაღდადი, რომელზედაც იმ ბიჭის სახე იყო ამოქარგული, და შეუხვია მკლავი. გამოეღვიძა ბიჭს, არც იცის, თუა დაჭრილი, შეჯდა რაშზე, შემოისვა უკან ქალი და წამოვიდა.

გზაში კვლავ შეხვდა დანიშნული. მოჰკიდა ამ ქალს ხელი და წაიყვანა, ხელმწიფის შვილი კი ისევ ისე ჩავიდა საბნელოში.

— არ გითხარი, ჩემო სიმამრო, შუა გზიდან მოვაბრუნებ-მეთქი! — ისევ დაიტრაბახა დანიშნულმა. ქალმა კიდევ იყვირა: ეგ არ იყო, მამა, სხვა ვინმემ დამიხსნაო, მაგრამ არც ახლა დაუჯერეს.

მაინც ჩავიდა ეს ქალი საბნელოში. ბიჭს ეძინა და მაჯიდან ბაღდადი უჩანდა. ქალმა რომ დახედა, კინაღამ გაგიჟდა: თურმე ეგ ყოფილა ჩემი მშველელიო. გაიქცა მაშინვე მამასთან: აი, გაჩვენებ, ვინც გადამარჩინაო. ხელმწიფემ ნახა გვირაბი, ბიჭი, ბაღდადი. ამოიღო ხმალი და უნდა მოეკლა თავისი ქალიცა და ხელმწიფის შვილიც: როგორ გაბედეთ ამისთანა რამეო. უცებ გამოეღვიძა ბიჭს, სწვდა ხელმწიფეს და აჰყარა იარაღი.

ხელმწიფემ უთხრა: ოღონდ ნუ მომკლავ და ქალიც შენი იყოს და სახელმწიფოცაო.

დარჩა ამ ბიჭს სახელმწიფოცა და ქალიც.

ჭირი იქა, ლხინი აქა.
ხაცარი იქა, ფქვილი აქა.

ორი ძმისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ღარიბი კაცი. წვრილ-შვილით დადიოდა ტყეში, ჩიტებს იჭერდა და ჰყიდდა.

ერთხელ მშვენიერი ჩიტი დაიჭირა. წაიყვანა ქალაქში გასაყიდად. ზოგმა აბაზი შეაძლია, ზოგმა — ხუთი შაური, ზოგმა — ორი აბაზი. ერთმა სოვდაგარმა რაღაც შენიშნა ამ ჩიტსა და უთხრა: ორმოცდაათ თუმანს გაძლევ და მომეციო.

— შე კაი კაცო, რას დამცინიო!

რომ არ გაანება თავი, ადგა და მიჰყიდა; აიღო ორმოცდაათი თუმანი.

ამ ჩიტს მარჯვენა ფრთაზე ეწერა: „ვინც შეჭამს ამ ფრთას, ხელმწიფედ უნდა დაჯდესო“; მარცხენა მხარეს ეწერა: „ვინც შეჭამს ამ ფრთას, ჯიბე თავისთავად აევსება ფულითაო“.

სოვდაგარმა ეს არავის არ გააგებინა. წავიდა. სავაჭროდ და

მსახურს დაუბარა: სანამ დავბრუნდებოდე, ჩემი ცოლი, ეს ორი ბიჭი და ეს ჩიტი ვინძლო კარგად შემინახოო!

გაუწყრა ღმერთი ამ სოვდაგრის ცოლსა და შეიყვარა ერთი ვაჭარი. იგი ხშირად მოდიოდა ამ ქალთან.

ერთ დღეს ვაჭარმა წაიკითხა ამ ჩიტის ფრთაზე დაწერილი და საჩქაროდ წავიდა სახლში. საყვარელს კაცი მოუვიდა: ვაჭარი კვდება და ჩქარა წამოდიო. მაშინვე გაიქცა ქალი. ვაჭარმა უთხრა: თუ დაკლავ შენს ჩიტს და შემაჭმევ, მოვრჩები, თუ არა მოვკვდებიო.

ქალმა მსახურს ძალად დააკვლევინა ჩიტი. როცა ხრაკავდა, ბავშვები გარშემო ეხვეოდნენ. მზარეულმა გაგლიჯა და ნახევარი ერთს შეაჭამა და ნახევარი მეორეს. დაკლა კარგი ვარია და ვაჭარს ის გაუგზავნა.

ვაჭარმა შეჭამა ვარია და თითქოს კარგად გახდა, მაგრამ არც ფული და არც ხელმწიფობა! მივიდა ვაჭარი საყვარელთან, შეხედა უმცროს ვაჟს, ფული აქვს ჯიბეში და უფროსს კი ხელმწიფის ნიშნები ემჩნევა. უმცროსმა ბიჭმა უთხრა დედას: დედა, დამიცალე ჯიბე, ფულით მევსებაო.

ვაჭარი დაბრუნდა შინ და კიდევ გახდა ავად. დაიბარა მოსამსახურე და უთხრა: წადი, სოვდაგრის ბავშვები ტყეში წაიყვანე, დაკალი, გულ-ღვიძლი ამოაცალე და მომიტანეო.

მოსამსახურე ძალიან შეწუხდა, მაგრამ უარს ხომ ვერ ეტყოდა. გაიტყუა სოვდაგრის ბავშვები და წაიყვანა ტყეში. მიდის და ტირის. ბავშვებმა ჰკითხეს: რა მოგივიდა, რატომ ტირი, განა ჩვენ რა გაწყენინეთო?

მაგრამ მათ ხმა არ გასცა, წინ გაუშვა. მიდიან და მოსამსახურე კიდევ ცრემლებს აფრქვევს. შემოხვდა ერთი მეცხვარე. გამოეპასუხა:

— კაცო, რა გატირებს, რა გაგჭირვებიაო?

— ჩემმა ბატონმა მიბრძანა, აი, ეს ბავშვები დაკალი, გულ-ღვიძლი ამოაცალე და მომიტანეო. ამაზე ვტირი, როგორ უნდა გავიმეტო ეს ანგელოზივით ბავშვები დასაკლავადო.

— შე კაი კაცო, მაგისთვის რა გატირებს, ციკნისა და ბავშვების გულ-ღვიძლი არ გაირჩევა; ეგ ბავშვები მე მომეცი და ორ ციკანს დაგიკლავო.

ასეც მოიქცნენ. დაკლეს ორი ციკანი, ამოაცალეს გულ-ღვიძლი, ბავშვებს გახადეს ტანსაცმელი, მოსვარეს სისხლში. და გახარებულმა მოსამსახურემ წამოუღო ვაჭარს. ბავშვები კი მეცხვარესთან დატოვა.

მოუტანა გულ-ღვიძლი, შეჭამა ვაჭარმა და თითქოს მორჩა, მაგრამ არც ხელმწიფე გახდა და არც ფულიანი.

ბავშვები იყვნენ მეცხვარესთან ერთ წელიწადს, დაიზარდნენ და ერთმანეთს უთხრეს: ჩვენ აქ ყოფნა არ გამოგვადგება, გავიპაროთ ჩუმად, რომ მეცხვარემ არ გაგვიგოსო.

ერთ დღეს ბიჭები, მართლაც, გაიპარნენ. იარეს, იარეს კარგა ხანი და მიადგნენ ერთ ჯვარედინ გზას. იმ გზასთან ერთი დიდი ქვა იდო, ზედ ეწერა: „მარჯვენა მხარეს ნათელი გზა არის, მარცხენა მხარეს ბნელეთისაო". უმცროსმა ძმამ უთხრა:

— მე ბევრი ფული მაქვს და ბნელეთის გზაზე წავალ, შენ ნათელ გზაზე წადიო. მამისეული ერთნაირი ქამრები ერთყათ, ზედ თავიანთი გვარი და სახელი ეწერათ. უმცროსმა უთხრა: შენ ხელმწიფობის ნიშანი გაქვს და ეს ქამარი წელიდან არ შემოიხსნა, შეიძლება, შევხვდეთ ერთმანეთს და ამით ვიცნობთო.

გაიყარნენ. წავიდა თუ არა უფროსი ძმა ნათელ გზაზე, მივიდა ერთ სახელმწიფოში. იქ ხელმწიფეს ირჩევდნენ. ააფრინეს მტრედი და ახალ მოსულ ბიჭს დააფრინდა მხრებზე. ბიჭი წაიყვანეს და ძველ ბოსელში დაამწყვდიეს, მაგრამ მტრედი სანათურიდან ჩაძვრა და ისევ ამ ბიჭს დააჯდა მხარზე. გამოიყვანეს და დასვეს ხელმწიფედ.

უმცროსი ძმა წავიდა ბნელეთის გზაზე. იარა, იარა, დიდი გაჭირვება გადაიტანა და გავიდა შუქზე. მივიდა ერთ ბებერთან.

— შვილო, სტუმარი კი არ მეჯავრება, მაგრამ კი არაფერი მაქვს რა, რითი დაგხვდეო!

ბიჭმა უთხრა: საჭმელზე ნუ შეწუხდები, ფული ბევრი მაქვს, საჭმელი ვიყიდოთ და ვჭამოთო.

დარჩა ბიჭი ერთ კვირას ამ ბებერთან, იმდენი ფული დაუტოვა, რომ სიკვდილამდის ეყოფოდა. ბიჭმა ჰკითხა ბებერს: რა ამბავია ამ თქვენ სახელმწიფოშიო?

ბებერმა უთხრა: ჩვენი ხელმწიფის ქალისათვის ეძებენ ისეთ საქმროს, რომელიც ხელმწიფის ჯარს შეინახავს და ხელმწიფეს არაფერი დაეხარჯებაო.

— ეს სწორედ ჩემი საქმე არისო, — თქვა ბიჭმა და მეორე დღეს გამოცხადდა ხელმწიფესთან.

— რისთვის მოსულხარო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— თქვენი ქალის სათხოვნელადაო!

— ერთ წელიწადს ისე უნდა შეინახო ჩემი ჯარი, რომ კაპიკი არ დამეხარჯოსო.

— სამ წელიწადს შევინახავო.

გაუხარდა ხელმწიფეს და დადეს პირობა. მეორე დღესვე დაიწყო ბიჭმა ჯარის რჩენა, ფული ბევრი აქვს. გავიდა სამი წელიწადი. მოატანა დრომ, ხელმწიფის ქალი უნდა დანიშნოს ამ ბიჭმა. ქალს არ უნდა ეს ვაჟი. დაიბარა და უთხრა: კაი დრო გავატაროთო. ეს ბიჭიც, რა თქმა უნდა, ესტუმრა ხელმწიფის ქალს. პურის საჭმელად რომ დასხდნენ, ბიჭს ისეთი საწამლავი დაალევინეს, რომ მთელი ჯიგარი ამოეღო. ქალმა შეჭამა ჯიგარი და ბიჭი აივნიდან გადმოაგდო.

ადგა სანსალით ეს ბიჭი. წავიდა, შორი გზა გაიარა, დაინახა ორი კაცი ჩხუბობდა.

— რა გაქვთ საჩხუბარი, რაზე ჩხუბობთო?

— გასაყოფი გვაქვს ერთი სკივრი, ერთი სუფრა და ერთი ხალიჩაო. ხალიჩაზე რომ დაჯდები, სადაც ეტყვი, იქ წაგიყვანს; სუფრას რომ გაშლი, რა კერძსაც უბრძანებ, თავისთავად გაჩნდება; სკივრს კი წკეპლას რომ დაარტყამ, იმდენი ჯარი ამოვა, რამდენიც ერთ ხელმწიფეს არა ჰყავსო, თუ მეორედ დაარტყამ წკეპლას, ისევ ისე ჩავა შიგაო.

ბიჭმა უთხრა: აი, ეს ჯოხი ერთ-ერთმა გაისროლეთ, გაიქეცით. ვინც ადრე მომიტანს, სუფრა მას ეკუთვნისო.

გაისროლეს ჯოხი და ორივე გაიქცა.

ბიჭმა კი ეს სკივრი და სუფრა დააწყო ხალიჩაზე და უბრძანა: იმ ბებერთან წამიყვანე, საიდანაც წამოვედიო.

ეს ბიჭი მივიდა ბებერთან. გათენდა დილა, დაჰკრა წკეპლა სკივრსა, იმდენი ჯარი ამოვიდა, რომ ეს სახელმწიფო სულ ჯარმა დაიჭირა. იმ ჯარში გამოვიდა ერთი გულთმისანი კაცი და ბიჭს უთხრა: ის ქალი, შენ რომ ჯიგარი ამოგაცალა, იქცევა მტრედად და თვალების დათხრას მოგინდომებს, რომ ეს ჯარი დაიმორჩილოსო, აასხი სიმინდის მარცვალი კანაფზე, შედი და ბებრის სახლში გულაღმა დაწექი, ის კანაფზე ასხმული სიმინდი კბილით დაიჭირეო; რომ მოფრინდება ქალი მტრედის სახით, ღუღუნს დაიწყებს, შენც დაუყვავე, დოი დოი-თქო, რომ მოატანს ახლოს, სტაცე ხელი და დაიჭირეო. სიმინდის მარცვალი ამოსწიე, ჯიგარი ამოჰყვება, ჩაყლაპე და რაც კაცი იყავი, ისევ ისეთი გახდებიო.

ეს ბიჭი მართლაც ასე მოიქცა. დაჰკრა წკეპლა და ჯარი ჩალაგდა სკივრში. მოფრინდა მტრედი, დაიჭირა, ამოაცალა ჯიგარი, ჩაყლაპა და ისევ ისეთი გახდა, როგორიც იყო — ფულიანი კაცი.

ამ მტრედს კი გადაჰკრა წკეპლა და აქცია ჯორ-ცხენად. შეაბა საბარგულში და დაუდო ზედ თავისი სკივრი, ხალიჩა და სუფრა, გასწია და წავიდა. უნდა იპოვოს თავისი ძმა.

შევიდა ერთ ქალაქში. უდროოდ დადიოდა ეს კაცი და დაიჭირეს თავისი ნივთებით. მეორე დღეს უნდა ჩამოახრჩონ. გათენდა დილა და ეს კაცი წარუდგინეს ხელმწიფეს. ბიჭს რომ ჯიბიდან ფული ეპნეოდა, ხელმწიფე ეპვებში შევიდა.

— ვინა ხარ, რა კაცი ხარ, საიდან მოხვედიო? — ჰკითხა ხელმწიფემ. ბიჭმაც, რაღა თავი შეგაწყინოთ, უამბო თავისი თავგადასავალი. ხელმწიფემ უთხრა: განა ნიშანი გაქვს რამეო?

— ქამარი მაქვს, ამ ქამრით უნდა ვიპოვო ჩემი ძმაო.

— იცნობ, რომ ნახოო?

— როგორ არაო.

ამოიღეს ქამრები და ძმებმა ერთმანეთი იცნეს. ძალიან გაიხარეს.

გავიდა ხანი. ძმებმა თქვეს: მოდი, წავიდეთ და მამაჩვენი ვნახოთო. უმცროსმა დაისვა ხელმწიფე თავის საბარგულზე და წავიდნენ. მივიდნენ თავიანთ ქვეყანაში.

იმათ მამას შვილების ხარჯი აქვს. სადილზე უთხრეს სოვდაგარს: უცხოეთის ხელმწიფე მობრძანდა და დავიპატიჟოთო.

ბიჭებმა იცნეს მამა, დაღონებული სოვდაგარი კი ვერ მიხვდა, რომ ეს სტუმრები მისი შვილები არიან. დედა მხიარულად დადის, ვაჭარიც აქ არის.

შუა პურის ჭამაში იყო ხალხი, როცა ხელმწიფემ ბრძანა: სახლიდან გარეთ არავინ გაუშვათო!

ადგა ეს ხელმწიფე და დაიწყო თავისი და ძმის თავგადასავალი.

სოვდაგარმა თქვა: ვაი, თქვენს მამასა, რა ჩემსავით გაუბედურებული ყოფილა ისიც. ბიჭები ახლა კი მივარდნენ მამას და გადაეხვივნენ, ჩვენ შენი შვილები ვართო. ყველამ გაიხარა. ვაჭარი ცხენის ძუაზე მოაბეს და დააფლეთინეს.

ელასა, მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსა და გამგონებელსა,
ძილი გაამოთ ყველასა.

სოვდაგრის შვილი და ოქროს ირემი

იყო და არა იყო რა, ღმერთის უკეთესი რა იქნებოდა. ერთ ხელმწიფეს ერთი შვილი ჰყავდა. ხელმწიფემ დაიძმობილა ერთი სოვდაგარი. მასაც ბიჭი ჰყავდა. ერთმანეთს არ შორდებოდნენ და ბიჭებიც ერთად დაზარდეს.

ერთ მშვენიერ დღეს, ბიჭები სანადიროდ წავიდნენ. ტყეში გზა აერიათ და ერთმანეთი ვეღარ იპოვეს. ხელმწიფის შვილმა ტყეში ეკლესია ნახა და იქ დაისვენა. ეკლესიის კედელზე ქალის სურათი დაინახა და საღამომდის იმას ეკენჭავა. საღამოს ეკლესიიდან ერთი კაცი გამოვიდა.

— რას ეკენჭავები, რას უყურებ, ეგ ქალი მეც მინდოდა, მაგრამ ხელში ვერ ჩავიგდე, ხელმწიფის ქალია. თვალით ვერ ვნახე, იმისი სურათი დავახატვინე მაგ ეკლესიის კედელზეო, — უთხრა კაცმა.

ხელმწიფის შვილი სახლში დაბრუნდა, სოვდაგრის შვილიც შინ დახვდა.

ხელმწიფის შვილი იმ ქალის სიყვარულით ავად გახდა. სოვდაგრის შვილს უთხრა ხელმწიფემ: შენ ერთი დღით წაიყვანე ჩემი შვილი და ავად გამიხადე, რამე რომ მოუვიდეს, თავს მოგჭრიო.

— რახან ეგრეა, ცალკე ოთახში დააწვინე, თუ მოვარჩინე, მოვარჩინე, თუ ვერა, რაც გინდა, ის მიყავიო. — უპასუხა სოვდაგრის შვილმა.

დააწვინეს ცალკე ოთახში ავადმყოფი და თავს დაადგა სოვდაგრის შვილი.

— რისგან ხარ ავად, მითხარი, თორემ მოგკლავ, მაინც მკლავს მამაშენიო.

— ტყეში, ეკლესიის კედელზე ქალის სურათი ვნახე და იმის სიყვარულით ვარ ავადო.

სოვდაგრის შვილმა უთხრა: მალე მტერი მოგიკვდეს, თუ მალე ის მზეთუნახავი ქალი არ შეგრთო, ოღონდ მორჩიო.

წავიდნენ იმ ქალაქში, სადაც ის მზეთუნახავი ქალი იყო. მივიდნენ ერთ ოქრომჭედელთან, მას ცხრა შეგირდი ჰყავდა. სოვდაგრის შვილმა სთხოვა:

— ისეთი ოქროს ირემი გამიკეთე, შიგ რომ კაცი ჩასვა, ყველაფერს ხედავდეს, გარედან კი არაფერი ჩანდესო.

— სანამდის ამ ქალაქში მიივლ-მოივლი, მანამდის გაკეთებული დაგხვდებაო, — უთხრა ოქრომჭედელმა.

მიიარ-მოიარეს და როცა დაბრუნდნენ, ირემი გაკეთებული დახვდათ. ჩასვა ხელმწიფის შვილი ამ ირემში და გაატარ-გამოატარა ქალაქში. მთელი ქალაქი სულ თან დასდევს.

ხელმწიფეს ქალიშვილის მთხოვნელები მოსვლია და საქმეც გადაწყვეტილა: იმ დღეს უნდა წაიყვანონ ეს ქალი. ქალს წონით აჭმევენ საჭმელს და დილა-საღამოთი წონიან ხოლმე.

ხელმწიფემ მზარეული გაგზავნა, სადილი მოამზადე სტუმრებისთვისაო. მზარეულმა ირემი დაინახა, სადილი დაავიწყდა და მას დაუწყო ცქერა. ხელმწიფემ ახლა მეორე მზარეული გაგზავნა. ისიც ირმის ყურებამ გაიტაცა: ვეღარ გააკეთეს სადილი. ხელმწიფე სასტიკად გაჯავრდა.

— ერთ კაცს ოქროს ირემი დაუყავს, ის რომ დავინახეთ, ყველაფერი დაგვავიწყდა, გინდა დაგვხოცე, გინდა რაც გსურს, გვიყავიო.

ხელმწიფემ გაგზავნა კაცი ოქროს ირმის მოსაყვანად. მოუყვანეს ირემი, ეზოში დააყენეს. ჭამა აღარ აგონდებოდათ და სმა, ამ ირემს შესცქერიან. საღამოს მზეთუნახავმა გაიგო ირმის ქება და მოინდომა მისი ნახვა: შემოიყვანეთ ჩემთანაო.

შეუყვანეს. ქალმა უყურა, უყურა და თქვა: ამაღამ ირემი მე დამიტოვეთო.

სოვდაგრის შვილს სხვაგან მისცეს ბინა, ირემი ქალმა დაიჭირა. იმ ღამეს ქალს ვახშამი შემოუტანეს, ქალიც აწონეს და საჭმელიც. საჭმელი აღარ აგონდება, სულ ირემს შესცქერის. ხელმწიფის შვილი შიგნიდან ხედავს ამ ქალს. როცა დაეძინა, ხელმწიფის შვილი გამოვიდა ირმიდან. ქალს თავთანაც და ფეხთანაც სანთელი ენთო. ბიჭმა თავის სანთელი ფეხთით დაუნთო, ფეხთითა—თავით, გადაეხვია და სამჯერ აკოცა. ქალმა ვერ გაიგო. ბიჭი კი ისევ ჩაჯდა ირემში. დილით სანამ ქალი გამოიღვიძებდა, სოვდაგრის შვილმა ირემი მოიკითხა.

გამოიყვანა, წაიყვანა და ისევ ქალაქში ატარებს. ქალს რომ გამოეღვიძა, ასწონეს და სამი გირვანქით მომატებულიყო.

ქალმა კიდევ მოიკითხა ოქროს ირემი და ისევ მოუყვანეს. სოვდაგრის შვილმა უთხრა ხელმწიფის შვილს, ღამით ქალი დაგიჭერს, მცველებს დაუძახებს, შენ კი პირზე ხელი მიაფარე და უთხარი: შენი სირცხვილია, იტყვიან, ირემში ეჯდა საყვარელიო, და ნუ იყვირებ-თქო.

ქალმა დაიდგა ოთახში ოქროს ირემი, უცქირა, უცქირა და ჩაეძინა. ბიჭი ამოვიდა, უნდა ეკოცნა და ქალმა დაიჭირა, დაყვირება ვეღარ შეძლო, ბიჭმა პირზე ხელი დააფარა: შენი სირცხვილია, იტყვიან, საყვარელი ჰყავდა ირემშიო!

ქალმა ჰკითხა: მაშ, რა ვქნაო?

— ცოლად უნდა წამომყვეო.

— აქ რომ საქმრო მყავს, იმას რაღა ვუყოო?

— არა უშავს რა, შენ ეკლესიასთან ჩამოდი, პირჯვარი დაიწერე და მერე მე ვიციო. — ქალი ასეც მოიქცა. მეორე დილით ეკლესიას-

თან ჩავიდა. იქ დახვდნენ ხელმწიფის შვილი და სოვდაგრის შვილი. ჩაისვეს ქალი ირემში, გაიტაცეს და წავიდნენ. ერთ დაბურულ ტყეში დაულამდათ. დაისვენეს, კარავი დადგეს ღამის გასათევად.

ხეზე სამი მტრედი შემოჯდა. ერთმა მტრედმა სოვდაგრის შვილს უთხრა: ერთი დარახტული რაში მოვა, შენც მოგკლავს და მაგ ქალსაც წაიყვანსო. მეორემ უთხრა: მზად იყავი და რაში მოკალიო. მესამემ თქვა: ვინც გაგვცეს, ქვად იქცესო.

როცა გაიღვიძეს, ქალი შესვეს ოქროს ირემში და გზა განაგრძეს. სოვდაგრის შვილმა დაიხსომა მტრედების სიტყვები.

პური მოშივდათ. ერთი ხის ძირში დასხდნენ და ისადილეს. ხელმწიფის შვილმა და მზეთუნახავმა დაიძინეს. სოვდაგრის შვილს რა დააძინებდა, მცველად იდგა. იმ ხეზეც სამი მტრედი შემოჯდა. ერთმა თქვა: ზეციდან ეჟვნიანი ქორი ჩამოვა, მაგ ქალს კლანჭებით წაიყვანს და შენც დაგგლეჯს, სოვდაგრის შვილოო; მეორემ თქვა: მზად იყოს, მოკლას და ეგეც გადარჩება და ისიცო; მესამემ დაუმატა: ვინც გაგვცეს, ქვად იქცესო.

წავიდნენ კიდევ და ერთ ხის ძირში ჰამეს პური. კიდევ დაეძინათ ხელმწიფის შვილსა და მზეთუნახავ ქალს. იმ ხეზედაც შემოჯდა სამი მტრედი. ერთმა თქვა: სადაც მზეთუნახავი და ხელმწიფის შვილი დაწვებიან, კედლიდან გამოვა ერთი წყეული და ორივეს დახოცავსო. მეორემა თქვა: იქ მცველად უნდა დაუდგეს სოვდაგრის შვილი, ის წყეული მოკლას, თვითონაც გადარჩება და ისიცაო. მესამე მტრედმა კიდევ დაუმატა: ვინც გაგვცეს, ქვად იქცესო.

წავიდნენ მგზავრები. მივიდნენ მამასთან. ხელმწიფემ დასწერა ჯვარი და დააბინავა. სადაც ისინი დაწვნენ, კარის მცველად სოვდაგრის შვილი დადგა. დაიძინეს. ყური დაუგდო, დაინახა, კედლიდან გამოძვრა წყეული. შემოჰკრა ხმალი, ნახევარი შიგ დარჩა და ნახევარი აქეთ გადმოვარდა. ხელმწიფის შვილს გამოეღვიძა, სოვდაგრის შვილს ამოღებული ხმალი რომ დაუნახა, უთხრა:

— შენ ჩემი მოკვლა და ამ ქალის გატაცება გინდოდაო?

რა იცოდა, რომ სოვდაგრის შვილმა გადაარჩინა.

— რახან ეგრე იფიქრე, სამი სიტყვა მათქმევინე და მერე თუ გინდა, მომკალიო.

ადგა და უთხრა: პირველ ხის ძირში რომ დაგეძინათ, მე გიცავდით. იქ სამი მტრედი მოფრინდა, ერთმა თქვა: ამ ქალს დარახტული რაში მოიტაცებსო, მეორემა — სოვდაგრის შვილმა უნდა მოკლას, ის რაშიო, მესამემა კი — ვინც გაგვცეს, ქვად იქცესო. თქვა ესა და მუხლებამდის გაქვავდა. როცა კიდევ წამოვედით და ხის ძირში და-

ვისვენეთ, იქაც სამი მტრედი მოფრინდაო და უამბო, რაც იმ მტრედებმა თქვეს. სოვდაგრის შვილი ახლა წელამდის გაქვავდა. მესამე ხის ძირში რომ დავისვენეთ, იქაც სამი მტრედი შემოჯდა ხეზე. ერთმა თქვა: სადაც ხელმწიფის შვილი და მზეთუნახავი დაწვებიან, კედლიდან გადმოვა ერთი წყეული, მეორემ თქვა: სოვდაგრის შვილი მცველად უნდა დაუდგეს და ის წყეული მოკლასო, მესამემ კი დაუმატა: ვინც გაგვცეს, ქვად იქცესო. ეს რომ თქვა სოვდაგრის შვილმა, აჩვენა კედელში გაკვეთილი წყეული და სულ გაქვავდა.

ბევრი ირტყა თავში ხელმწიფის შვილმა, მაგრამ რაღას უშველიდა

კარების წინ ხელმწიფეს ბაღი ჰქონდა, ეს გაქვავებული სოვდაგრის შვილი იქ ჩაიტანეს და ხეზე მიაყუდეს. ყოველ დილა-საღამოთი მიდიან და ქვას ცრემლით ბანენ.

მათ გაუჩნდათ ოქროსქოჩრიანი ვაჟი.

ერთ დღეს ცოლ-ქმარი ქვასთან იდგა და ტიროდა. ამ ქვაზე ორი მტრედი შემოჯდა. ერთმა თქვა:

— ამ საწყლებს რა ატირებთ, თავიანთი ოქროსქოჩრიანი ვაჟი დაკლან, მაგის სისხლი ქვას გადაასხან და გაცოცხლდებაო. მეორემ დაუმატა: სოვდაგრის შვილმა, როცა გაცოცხლდება, ნეკა თითიდან სისხლი გამოუშვას, ვაჟს წაუსვას და მორჩებაო.

ეს გაიგონეს ხელმწიფის შვილმა და მისმა ცოლმა. ასეც მოიქცნენ.

გადაასხეს ვაჟის სისხლი ქვას და სოვდაგრის შვილი გაცოცხლდა. სოვდაგრის შვილმა მაშინვე ნეკა თითიდან გამოუშვა სისხლი, იმ ბავშვს წაუსვა და ისიც გააცოცხლა.

ამის შემდეგ ბედნიერად ცხოვრობდნენ.

ჰირი იქა, ლხინი აქა.

მეფე და სკვინჩა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ძლიერი, მაგრამ მეტად ხარბი და შეუბრალებელი მეფე. რასაც კი თვალსაჩინოსა და ჭოსაწონს ნახავდა თავის საბრძანებელში, ყველაფერი თავისთვის უნდოდა. მხოლოდ თავის შინაობას, ნაზირ-ვეზირებს და დიდ კაცებს ამდიდრებდა და ალაღებდა...

მეფის სახელით ასეთ ძარცვა-გლეჯაში გაწვრთნილი და წათამა-

მებული მოხელეები ხალხს აწვალებდნენ და აღატაკებდნენ მთელს სახელმწიფოს. ხალხის ნაძარცვისაგან ხელმწიფესთან ნახევარიც არ მიჰქონდათ, მაგრამ ვინ იყო მთქმელი? ვინ გაბედავდა: „ჰეი, რას შვრებითო“, რომ ეთქვა მოხელეებისათვის? ან ხელმწიფისათვის გაებედნა რამე? ამისთანებს მაშინვე თავს გააგდებინებდნენ, ანდა ხუნდებშეყრილებს სამუდამოდ ჩააგდებდნენ ბნელეთში.

ხალხი ძლიერ შეწუხებული იყო, მხსნელი კი არსაიდან ჩანდა.

საიდან იყო და საიდან არა, ამ დროს გამოჩნდა ერთი მოლაპარაკე ჩიტი, სკვინჩა. ეს ჩიტი ხანდახან მოფრინდებოდა მეფის ბაღში და მოსეირნე მეფეს რომ დაინახავდა, ჭიკჭიკით დასძახებდა:

მეფე ძარცვავს ღარიბებს,
მისიანებს ამდიდრებს.
მეფე ძარცვავს ღარიბებს,
მისიანებს ამდიდრებს.

ხან კიდევ სხვა ჰანგზე შემოსძახებდა:

მეფე ხოცავს მართალ ხალხს,
არც კაცს ზოგავს, აღარც ქალს.
მეფე ხოცავს მართალ ხალხს,
არც კაცს ზოგავს, აღარც ქალს.

მეფე ხშირად განრისხდებოდა ხოლმე ამ ჩიტზე და მის ასეთ თავხედობაზე, მაგრამ დაჭერა გაძნელდა. ბოლოს კი ბრძანა: უსათუოდ დაიჭირეთ ის სკვინჩაო!

მეფის სურვილი შეასრულეს, როგორც იყო ჩიტი დაიჭირეს და მიუყვანეს მბრძანებელს. სკვინჩამ რომ მეფე ახლოს ნახა, უფრო უარესი სიტყვები მიახალა პირში. მაშინ განრისხებულმა მეფემ ბრძანა:

— წაიყვანეთ ეს სკვინჩა სამზარეულოში, დაკალით, გაპუტეთ, გააკეთეთ, შეწვით და სუფრაზე მომართვითო!

მეფის ბრძანება მაშინვე შეასრულეს. დაკლეს ჩიტი, გამოკუჭეს, გარეცხეს, წამოაგეს შამფურზე, შეწვეს და მიართვეს მეფეს სუფრაზე, მაგრამ ერთი გასაოცარი ამბავი მოხდა ამ დროს, შემწვარმა ჩიტმა ჩვეულებრივად დაიწყო ძახილი:

მეფეს სუფრას დავუმშვენებ,
მაგრამ კი არ მოვასვენებ.
მეფეს სუფრას დავუმშვენებ,
მაგრამ კი არ მოვასვენებ.

გამწყრალმა მეფემ დაგლიჯა ჩიტი და შეჭამა.

სადილის შემდეგ მეფემ ჩვეულებრივად გაისეირნ-გამოისეირნა, მცირეოდენი სეირნობის შემდეგ მუცლიდან მოესმა მეფეს ჩიტის ძახილი:

ღირსი იყო, გავლანძღე,
შიოდა და გავაძღე.
ღირსი იყო, გავლანძღე,
შიოდა და გავაძღე.

მეფე ძლიერ შეშინდა: ვაითუ მუცელში რაიმე მიყოსო. მოიხმო ექიმები და წამლები დალია. ჩიტის უსიკვდილოდ გაშვება არავითარ შემთხვევაში არ უნდოდა. მეფემ მაშინვე დაიბარა ვეზირები და კარისკაცები და უბრძანა:

— შემომიდექით აქეთ-იქით შიშველი ხმლებით და თუ ვინიცობაა, ჩიტი გამოხტეს, უთუოდ და უთუოდ მოკალით, თუ არა, ცოცხალი ვერ გადამირჩებითო!

ნაზირ-ვეზირები და კარისკაცები შიშმა აიტანა და ააკანკალა. ამოიღეს ხმლები და შემოუდგნენ მეფეს. ამ მიხლა-მოხლასა და ფაცა-ფუცში უცებ გამოვარდა სკვინჩა, ვეზირებმა სწრაფად მოუქნიეს ხმლები, მოახვედრეს მეფეს და მთელი უკანა ტანი ჩამოაჭრეს.

ჩიტმა ფრთები გაიბერტყა, ჰაერში ჭიკჭიკით გაინავარდა, მერე ისევ შემოჯდა ბაღში ხეზე და დასძახა მომაკვდავ მეფეს:

უსამართლო მეფესა,
ასეთი რამ შეხვდესა!
უსამართლო მეფესა,
ასეთი რამ შეხვდესა!



ნაცარქექია

იყო და არა იყო რა, იყო ერთი რძალ-მაზლი. მაზლი საშინელი ზარმაცი და ზორბა ტანისა იყო; არაფრის გაკეთება არ შეეძლო. სულ ბუხართან იჯდა, ხელში ჩხირი ეჭირა და ნაცარს ქექავდა, ამისთვის ნაცარქექია დაარქვეს. რძალი ეუბნებოდა:

— კაცო, აქეთ მოდექ, იქით მიდექ, იმუშავე და ოჯახში რამე შემოიტანე, თორემ მე შენი რჩენის თავი არა მაქვსო!

რძალმა მაინც ვერაფერი ვერ გააწყო. მაზლი სულ ბუხართან იჯდა და კარში ვერასგზით ვერ გაიტყუა.

აღდგომა დღეს ნაცარქექია ძლივს წავიდა წირვაზე და წირვის შემდეგ რომ დაბრუნდა, რძალმა კარი მაგრად ჩაუკეტა და შინ აღარ შეუშვა.

ნაცარქექიამ რძალს საგზაოდ ერთი გუდა ნაცარი, საოკისი და ახალი ყველი სთხოვა და ვზას გაუდგა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ დიდ წყალს მიადგა. მეორე ნაპირზე უშველებელი დევი დაინახა. დევი წყალს დასწაფებოდა და სვამდა. ნაცარქექია ძალიან შეშინდა, მაგრამ რა ექნა, ერთი გზის მეტი არ იცოდა. იმ გზით ისევ შინ, რძალთან უნდა დაბრუნებულიყო, თუ არა და დევის საუზმე გამხდარიყო.

იფიქრა, იფიქრა და, ბოლოს, ეს მოიგონა, აბა, გავიღი და მტვერს დავაყენებო.

ნაცარქექიამ გუდას სადგისი უჩხვლიტა, გახვრიტა და რომ გაიარ-გამოიარა, საშინელი მტვერი დადგა.

დევი გაოცდა, შეშინდა კიდეც: ქვა აიღო და გამოსძახა: აბა, ამ ქვას წყალი გამოადინეო!

ნაცარქექიამ უცბად ახალი ყველი ამოიღო, თან დაიხარა, ვითომ ქვა ავიღეო, მაგრად მოუჭირა ხელი, წყალი თქრიალით გამოადინა და დევს შესძახა: აბა, აქეთ გამოდი, მხარზე შემისვი და წყალს გამიყვანე, ფეხის დასველება არ მინდაო.

დევი მაშინვე გამოვიდა. ნაცარქექია მხარზე შეისვა და უთხრა: ოჰ, რა ძალიან მსუბუქი ყოფილხარო!

— ეს იმიტომ, რომ ერთი ხელი ცაზე მაქვს მოკიდებული და, თუ ხელი გავუშვი, მაშინ ვეღარც კი დამძრავო.

— რაკი ეგრეა, აბა, გაუშვი ხელიო, — უთხრა დევმა.

ნაცარქექიამ სადგისი ამოიღო, დევს კისერში ჩაურჭო. დევმა საშინელი ყვირილი მორთო და სთხოვა, ხელი ისევ ცისათვის მოეკიდა.

როდესაც წყალს გავიდნენ, დევმა უთხრა: წამოდი, დღეს სადილად მეწვიეო.

ნაცარქექია შეშინდა, მაგრამ რას იზამდა, უთუოდ უნდა წაჰყოლოდა.

დევისას რომ მივიდა, ნაცარქექიას დევის სახლი ძალიან მოეწონა. დაინახა, ვეება კეცი ბუხარში იყო შედგმული.

დევი სადილის მოსამზადებლად წავიდა და ნაცარქექიას დაუბარა, ხმიადისთვის ყური ეგდო, არ დამწვარიყო. ნაცარქექიას უნდოდა კეცი მოებრუნებინა, რადგან დაინახა, ერთი გვერდი ძალიან შეწითლებულიყო. როგორც კი კეცს ხელი ახლო, მაშინვე გადმობრუნდა და ნაცარქექია ქვეშ მოჰყვა. ბევრი ეწვალა, მაგრამ კეცის ქვემოდან ვერ გამოძვრა. დევები შემოვიდნენ ოთახში და სტუმარი კეცქვეშ მოყოლილი ნახეს. გაჰკვირდნენ.

— კაცო, ეგ რა გიქნიაო, — შეეკითხა ერთი დევი.

— მუცელი ამტკივდა ძალიან და თბილი კეცი მუცელზე დავიდე, ეგება როგორმე ტკივილმა გამიაროს-მეთქი. ახლა კარგადა ვარ და აიღე კეციო, — უთხრა ნაცარქექიამ.

სუფრას რომ მიუსხდნენ, დევებს ღვინო შემოელიათ. აიღეს დიდი კოკა და ნაცარქექიას უთხრეს: თუ ძმა ხარ, გადი, ეზოში ქვევრია, ამ ხელადით ღვინო ამოიღე და მოგვიტანეო.

ნაცარქექიას შეეშინდა, უშველებელი დიდი კოკა რომ დაინახა, მაგრამ მაინც გავიდა ეზოში და დიდხანს აღარ დაბრუნდა. დევებს ლოდინი მოსწყინდათ, გავიდნენ და ნახეს, ნაცარქექიას ბარი აეღო ხელში და ქვევრის გარშემო მიწას თხრიდა.

— შაგას რას შვრები? — ჰკითხეს დევებმა.

— სჯობია, მთლად ამოვიღო ქვევრი და ისე დავლიოთ, თორემ პაწაწინა ხელადით მოტანა ადამიანს მოსწყინდება.

დევებმა იფიქრეს: ჩვენ, ცხრა ძმათ, ძლივს ჩავსვით ცარიელი ქვევრი და ეს კი მარტო აპირებს სავსე ქვევრის ამოღებასაო.

თვითონ დევებმა აავსეს ხელადა ღვინით და შეუდგნენ სადილს.

ამ დროს ერთმა დევმა დაახველა და ნაცარქექია ჭერს მიეკრა. დევებმა მაღლა აიხედეს და ნახეს, ნაცარქექია ჭერის კოჭს ეჭიდება.

— კაცო, მანდ რამ აგიყვანა, რას აკეთებო?!

— როგორ გაბედეთ ჩემ წინ დახველება, — უთხრა ნაცარქექიამ, — ეს წკეპლა უნდა ჩამოვიღო და სულ გვერდები აგიწვათო!

დევები ძალიან შეშინდნენ: ჩვენ, ცხრა ძმათ, ძლივს მოვიტანეთ თითო ხე და ეს კი წკეპლას ეძახისო!

შეშინებული დევები სახლიდან გაცვივდნენ და გაიფანტნენ. ნაცარქექია, როგორც იყო, ჩამოძვრა და დევების ოჯახს დაეპატრონა.

ერთ დევს გზაზე მელა შეხვდა და ჰკითხა: დევო, სად მირბიხარ, რა დაგმართნიაო?

— რაღა სად მივრბივარ, ჩვენთან ერთი კაცი მოვიდა, კინაღამ დაგვხოცაო, — და უამბო დევმა ყველაფერი.

მელიას გაეცინა: ის ხომ ნაცარქექიაა, საცოდავი კაცი, რადგან არას აკეთებდა, რძალმა სახლიდან გამოაგდო. მე იმათ კარგად ვიცნობ: რაც ქათმები ჰყავდათ, სულ მე გავუჩანაგე. წამოდი, როგორ შეგაშინა მაგ ლაჩარმაო.

— ვერ გენდობიო, — უთხრა დევმა.

მელია ბევრს ეხვეწა.

— მაშ, რომ არ მიღალატო, მოდი, ამ თოკით წელზე გამომები.

მელიამ თვითონ მოიბა თოკი, მეორე ბოლო დევს გამოაბა და ასე გასწიეს დევის სახლისაკენ.

ნაცარქექიამ დაინახა მელია და დევი, ძალიან შეშინდა, მაგრამ რაღას იზამდა. მაშინვე კარში გამოეგება და მელიას დაუძახა: აჰ, შე საძაგელო! ჩემი თორმეტი დევი გემართა და ბედ მარტო ერთი მოგყავსო!

დევს ისე შეეშინდა, რომ თოკი დაგლიჯა, მელია სულ მთლად დაფლითა და თვითონ ცხრა მთას იქით გადიკარგა.

ნაცარქექიამ დევების სარჩო და სიმდიდრე, რაც რამ ჰქონდათ, სულ მთლად აქლემებს აჰკიდა და თავის რძალთან წაიღო. რძალი გამდიდრა და ისევ დაიწყეს ტკბილი ცხოვრება.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ერთი მანეთის შოვნა

ერთ კაცს ჰყავდა ზარმაცი შვილი, რომელიც ოჯახში არაფრის გამკეთებელი არ იყო. არ შეეძლო არც ერთი შაურის შოვნა. მამამისი, სანამდისაც ძალა ჰქონდა, არჩენდა, მაგრამ მოხუცდა და ვეღარ შეძლო ოჯახის შენახვა. მამა დაავადმყოფდა, ჩაწვა ლოგინში. დაუძახა ცოლს და უთხრა: ჩემი ქონება სხვა ვინმეს უნდა გადავცე, რადგან ჩემი შვილი უქნარაა, ერთი მანეთის შოვნაც არ შეუძლიაო!

ცოლი ამაზე ძლიერ შეწუხდა:

— როგორ არ შეეძლება ერთი მანეთის შოვნაო?

ქმარმაც თავისი დაიჩემა: აბა, თუ შეუძლია, წავიდეს, მისი ნაშოვარი ერთი მანეთი მომიტანოს და დავუტოვებ ჩემს ქონებასაო!

— კარგი, ვეტყვიო! — უთხრა ცოლმა.

მივიდა შვილთან, მისცა ერთი მანეთი და დაარიგა: წადი, შვილო, საღამომდის სადმე, შინ ნუ გამოჩნდები, საღამოს მოუტანე ეს მანეთი მამაშენს, მე ვიშოვე-თქო!

ბიჭი ასეც მოიქცა. დაბრუნდა საღამოს, მოუტანა ეს მანეთი მამას და უთხრა: გადავყევი მაგ მანეთის შოვნასო!

მამამ უსუნა მანეთს, გადააბრუნ-გადმოაბრუნა, აიღო და შეაგდო ბუხარში: ეს არაა შენი ნაშოვნიო! ბიჭმა გაიცინა და დედასთან წავიდა. დედას ეს ამბავი ძალიან ეწყინა. მეორე დღეს ხელახლა მისცა მეორე მანეთი და დააბარა: წადი, საღამომდის ტყუილად იყავი, საღამოს ერთი ორი ვერსი გამოიქეცი, გაოფლიანდი და მამაშენს უთხარი: ოფლით ვიშოვე ეს ფული-თქო!

ბიჭი ასეც მოიქცა. საღამოს გაოფლიანებული შევარდა მამის ოთახში და უთხრა: ხომ ხედავ, მამაჩემო, როგორ გადატკლეცილი ვარ ოფლი შუბლზე, ძლივს ვიშოვნე ეს მანეთიო!

მამამ ახლაც უსუნა ამ მანეთს. გადააბრუნ-გადმოაბრუნა, აიღო და კიდევ ბუხარში შეაგდო: მატყუილებ, შვილო, მაგი შენი ნაშოვნი არააო! შვილს გაეცინა და ესეც არაფრად ჩააგდო. დედას გული მო-

უკვდა, მიხვდა, რომ საქმე წახდა და ბიჭს უთხრა: შვილო, ხომ ხედავ, მამაშენს ჩვენ ვეღარ მოვატყუილებთ, ის ჭკვიანი კაცია, წადი სადმე, თუნდაც ერთი კვირა დაგჭირდეს, იმუშავე, ორი შაურიც რომ აიღო დღეში, ერთ მანეთს მოუყარე თავი და შენი ოფლით ნაშოვნი ფული მოუტანე მამაშენსო!

ბიჭმა დაუჯერა დედას. წავიდა და, მართლაც, მთელი კვირა მოუნდა მანეთის შოვნას. ზოგს რა გადაუტანა, ზოგს რა გაუკეთა, მოაგროვა გაჭირვებით ერთი მანეთი და მიუტანა მამას. მამამ უსუნა ამ ფულს, გადააბრუნ-გადმოაბრუნა და კიდევ ბუხარში შეყარა: არა, შვილო, ეს შენი ნაშოვნი არააო!

ბიჭმა ახლა კი ვეღარ მოითმინა, ორივე ხელებით გამოხვეტა ბუხარში შეყრილი ფული და ყვირილი დაიწყო: მამაჩემო, შენ გასულელებულხარ, მე ამ მანეთის შოვნას ერთი კვირა ზედ გადავყევი და შენ ცეცხლში მიწვავო!

მაშინ მამამ უთხრა: ახლა კი მჯერა, შვილო, გული ისე დაგეწვა შაგ მანეთზე, რომ ის ნამდვილად შენი ნაშოვნია! ასე ძნელია ფულის შოვნა, იმუშავე და გექნება, არ იმუშავებ და შიმშილით მოკვდებიო!

შვილს დაუტოვა თავისი ქონება და თვითონ გაემგზავრა იქ, საიდანაც უკან აღარ ბრუნდებიან...

ვინც საქმე გააკეთა, პურიც იმანა ჭამოს

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ბიჭი, ჰყავდა დედა და ერთი ხარი. ხვნის ან ლეწვის დროს ხართან უღელში ხან შვილი, ხან დედა შეებმებოდნენ ხოლმე. ერთხელ ხართან უღელში დედა იყო შებმული, შვილი კევრზე იდგა და ასე ლეწავდნენ ძნას. ამ დროს ხელმწიფემ გამოიარა.

— ბიჭო, რას შვრები მაგას, რა გიქნია საცოდავი დედაკაცისათვის?!

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, ერთი ხარის მეტი არა გვყავს და მეტი ღონე არა გვაქვს, ასე ვშველით ხარს უღლის გაწევაში!

— მაშ, თუ ეგრეა, წამოდი ჩემთან და მე მოგცემ ერთ ხარს,— უთხრა ხელმწიფემ.

ბიჭს გაუხარდა და გაჰყვა.

თურმე ხელმწიფეს ჰყავდა ერთი ისეთი გიჟი ხარი, რომ ახლოს

არავის იკარებდა. დაახვია ხელმწიფემ ამ ხარს თავისი ჯარი და რის-ვაი-ვაგლახით შეაგდეს ბაკში. ბიჭმა უთხრა: რამდენიმე დღეს ნურა-ფერს აჭმევთო. კარგა ხნის შემდეგ ბიჭი მიუახლოვდა ხარს და ცოტა თივა შეაჭამა, ბიჭმა დაიჭირა ხარი, იღლიაში თივა ამოიდო და გამოუძღვა. ხარი უკან გაჰყვა, მიიყვანა შინ, შეაგდო ბოსელში და ოთხი დღე არაფერი აჭამა. მეხუთე დღეს გამოიყვანა, შეაბა კევრში თავის ხართან, თავისი დედა კევრზე დაუსვა, თვითონ თივა აიკიდა და გაუძღვა წინ. გაჰყვა მშიერი ხარი უკან. ბოლოს ისე მოარჯულა ეს ხარი, რომ დაუფასებელი გახდა.

ერთხელ ეს ბიჭი თავის ხარებს კალოზე დააქროლებდა, თვითონ კევრზე იდგა და ოროველას დასძახოდა. ამ დროს ხელმწიფემ გამო-იარა და ბიჭს ჰკითხა:

— ვისია ეგ ხარი?

— ჩემია, შენი ჭირიმე, თქვენ რომ მაჩუქეთ, ის ხარია, — მიუგო ბიჭმა. მეფეს გაუკვირდა და ბიჭს უთხრა:

— წამოდი ჩემთან, ერთი ქალი მყავს და შენ უნდა მოგათხოვო.

— რასა ბრძანებ, შენი ჭირიმე, მე რა თქვენი ქალის ღირსი ვარ!

— მე შენ გიბრძანებ, უნდა წამოხვიდე და ჩემი ქალიშვილი შეირ-თო! — უთხრა ხელმწიფემ.

ბიჭი კიდევ შეეხვეწა, თავი გაენებებინა, მაგრამ მეტი ღონე არა-ჰქონდა, ადგა და გაჰყვა ხელმწიფეს.

თურმე ამ ხელმწიფეს ერთი ისეთი ზარმაცი ქალი ჰყოლია, რომ რაც დაბადებულა, ლოგინიდან არ ამდგარა, ლოგინში ჩააცმევდნენ, იქვე ჭამდა და სვამდა. მივიდნენ სასახლეში. ეს ბიჭი კიდევ შეემუდა-რა ხელმწიფეს: გამათავისუფლე, შენი ჭირიმე, რა ჩემი საქმეა ეს ქა-ლიო! ხელმწიფემ თავისი არ დაიშალა. ბიჭმა უთხრა ხელმწიფეს: კარგი, შენი ჭირიმე, რაკი აღარ მეშვებით, მაშ ერთი ჟანგიანი ხმალი მომეცით, ერთი ქეციანი ძაღლი და ერთიც გადამკვდარი ცხენი!

ამაზე უარს ვინ ეტყოდა, მისცეს, რაც ითხოვა. ჩამოიკიდა და-ჟანგული ხმალი, წამოიყვანა ხელმწიფის ქალი, ქეციანი ძაღლი და, გაძვალტყავებული ცხენი. მოდის ბიჭი და ზარმაცად, ზლაზვნით მის-დევენ ყველანი უკან. მიუბრუნდა ბიჭი ძაღლს და ეუბნება: ძაღლო, ჩემს ნაფეხურზე დაადგი ფეხი, თორემ ამ ხმალს ხომ ხედავ, თავს მოგაგდებინებ!

რასაკვირველია, ძაღლი ვერ აუსრულებდა ბრძანებას. მოუბრუნ-და ბიჭი ძაღლს, დაჰკრა ხმალი და თავი გააგდებინა. ახლა ცხენს უთხრა: ცხენო, ჩქარა იარე, ფეხი ჩემს ნაფეხურზე დაადგი, აქეთ-იქით ნუ გადაუხვევ, თორემ ამ ხმალს ხომ ხედავ, თავს წაგაგდები-

ხებ! ცხენს რა გაეგებოდა ბიჭის ლაპარაკი, როგორ აასრულებდა მის ბრძანებას! მიუბრუნდა ბიჭი, დაჰკრა ხმალი და თავი წააგდებინა.

მერე ქალს უთხრა: ქალო, ხომ ხედავ ამ ხმალს, ჩქარა იარე, ფეხი ჩემ ნაფეხურზე დაადვი, თორემ შენც ისე გაგაგდებინებ თავს, როგორც სხვებსა!

მიდის ბიჭი, მისდევს ქალი, ეშინია, არ ჩამორჩეს. როგორც იყო და არ იყო, მივიდნენ სახლში. გაუშალეს ლოგინი, ჩაწვა შიგ ეს ქალი და არც იქით იძვრის და არც აქეთ.

მეორე დღეს დედა და შვილი სამუშაოდ წავიდნენ კალოზე. მთელი დღე იმუშავეს, გალეწეს, გაანიავეს და საღამოთი შინ დაბრუნდნენ. დედამ დაუძახა შვილს:

— შვილო!

— რა გინდა, დედა?

— საქმე ვინ გააკეთა?

— მე და შენა, — მიუგო შვილმა.

— პური ვინა ჭამოს?

— მე და შენა.

ჭამეს დედა-შვილმა პური, ქალი კი შორიდან უყურებს მშიერ-შწყურვალი. დაწვნენ და დაიძინეს. მეორე დღეს ისევ სამუშაოდ წავიდნენ. ასე გაატარეს ოთხი დღე, ქალს მეხუთე დღეს ისე მოშივდა, რომ სულ კუჭი ეწვოდა შიმშილით. თუ არა გავაკეთე რა, ეს ხალხი მშიერს მომკლავსო, — თქვა ქალმა, მისწვდა ლოგინიდან ცოცხს და რასაც ლოგინიდან მისწვდებოდა, შემოიგავა გარშემო. დედა და შვილი საღამოს დაბრუნდნენ.

— შვილო!

— რა გინდა, დედა?

— საქმე ვინ გააკეთა?

— მე და შენა! — უთხრა შვილმა.

— პური ვინა ჭამოს?

— მე და შენა.

დასხდნენ დედა-შვილი და ჭამეს პური.

დედამ შვილს უთხრა: ცოტა პური ამასაც მოვუტეხოთ, თავის გარშემო შემოუგვიაო. მოუტეხეს ერთი ხელისგულის ოდენა პური. ცოტა პურმა ქალს უფრო მადა გაუღვიძა. მეორე დილით დედა და შვილი სამუშაოზე რომ წავიდნენ, შიმშილმა ისე შეაწუხა ეს ქალი, რომ ადგა, აიღო ცოცხი და ნახევარი კერა შემოგავა, მივიდა და ისევ ლოგინში ჩაწვა. მოვიდნენ დედა-შვილი, ჭამეს პური და ნახევარი პური ქალსაც მოუტეხეს.

დილით ისევ სამუშაოზე წავიდნენ. ქალი ადგა, მთელი სახლი დაგავა, ლოგინი დაიბერტყა, დაადგა და ისევ შიგ ჩაწვა. ჭამეს პური და ქალსაც ერთი მთელი პური მიუტანეს. მეორე დილით ჩვეულებრივ დედა-შვილი სამუშაოზე წავიდნენ. ქალმა იფიქრა: ეს კარგი, ერთი პური დღესა და ხვალ მეყოს, მერე? თუ არა გავაკეთე რა, ეს ხალხი შიმშილით მომკლავსო. ადგა, აილაგა ლოგინი, დაიბანა პირი, დაგავა, დაასუფთავა სახლი, ჯამ-ჭურჭელი დარეცხა, დააკრიალა, კერაში შემოდგა შეჭამადი, მოირთო და ისე დახვდა დედამთილსა და ქმარს. დედა-შვილს გაუხარდათ, გადაეხვივნენ და გადაკოცნეს. ამის შემდეგ ისე მორჯულდა ეს ქალი, რომ ბადალი არა ჰყავდა.

ერთხელ ხელმწიფემ თქვა: მოდი, წავალ, გავიგებ, როგორაა ჩემი ქალი, ცოცხალია თუ მკვდარიო! დედამთილი და ქმარი სამუშაოდ იყვნენ წასული, თვითონ დერეფანში იჯდა და ლობიოს არჩევდა. დაინახა თავისი მამა, გაექანა და გადაეხვია, მეფეს ძალიან გაუხარდა, რომ თავისი ქალი ასე ნახა. ქალმა უთხრა მამას:

— ჩემი ქმარი, ვინც საქმეს არ გააკეთებს, პურს არ აჭმევს, აბრძანდით ბანზე ვეზირებთან ერთად და ბანი დატკეპნეთო.

ამ ქალის ქმარს ის-ის იყო ახალი ქვიტკირის სახლი გაეკეთებინა და ბანზე მიწა იყო დაყრილი. გახარებული მეფე ვეზირებთან ერთად ავიდა ბანზე და კარგად დაუტკეპნა ბანი. ამ დროს დედა და შვილიც მოვიდა, გამართეს ლხინი და მეჯლისი. მეფემ დაასაჩუქრა თავისი სიძე და ქალი და დაიწყეს ტკბილი ცხოვრება.

უფროსი ძმა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი გლეხი. ჰყავდა ორი ვაჟიშვილი. უფროსი — მშრომელი, უმცროსი—უქნარა, მუქთამჭამელი. რასაც მამა და უფროსი ძმა შოულობდნენ, უმცროსი ძმა ანიავებდა. ბევრი ურჩია მამამ, პატიოსან შრომას მოჰკიდე ხელიო, მაგრამ ამაოდ. უმცროსი ძმა თავისას არ იშლიდა, მთელი დღე-ღამე დასეირნობდა, ქეიფობდა, ამხანაგებიც თავისი ჭკუისა ჰყავდა.

უფროსი ძმა დაქორწინდა. დაქორწინდა უმცროსიც. უფროსი რძალი ჭკვიანი გამოდგა, უმცროსი — აბდალი. „ფერი ფერსაო, მადლი ღმერთსაო“, ამბობდნენ მეზობლები მათზე, როგორი ქმარიც იყო, ისეთი ცოლიც შეხვდაო.

ერთ დღეს მამამ დაიბარა ძმები და უთხრა:

— მე, შვილებო, მოკხუცდი, სიკვდილი მომიახლოვდა, ჩემი წუთისოფელი შრომა-ვარჯაში გამიტარებია, ჩემი ოფლი მიწას ერთოდა და ისე გზრდიდით. ახლა ოჯახს ბარაქა აკლია. ორივე ხმაშეწყობილად არა ხართ. ჩემს მამულს იმას დავუტოვებ, ვინც იმდენ ღომსა და სიმინდს მოიყვანს, ოჯახსაც ეყოს, სტუმარსაც და მასპინძელსაცო!

უფროსმა ძმამ ადრე გაზაფხულზე შეაბა უღელში ხარები და მიწა მოხნა. სიმინდი და ღომი ნაადრევად დათესა. უმცროსი ძმა კი არ ჩქარობდა: რა დროს თესვაა, ყანა სად გამექცევა, ჯერ კიდევ ადრეაო. ოცა უფროსი ძმა სიმინდის მარგვლას შეუდგა, უმცროსმა თესვაც ძლივს მოათავა.

შემოდგომაზე მამამ ისევ დაიბარა შვილები და მოსავლის ამბავი გამოჰკითხა.

— დიდი მოსავალი მივიღე, ოჯახსაც ეყოფა, სტუმარსაც და მასპინძელსაც, მტერსაც და მოყვარესაცო! — იცრუა უმცროსმა.

უფროსმა დაიმორცხვა და მამას მართალი უთხრა: ცოტა მოსავალი მოვიდა, გვალვამ ყანები გააფუჭა, გასამხელადაც არ ღირს ჩვენი მოსავალი. ღომი ღომად ავიღე, სიმინდი სიმინდად, მაგრამ ცოტაა. თუ ახლა რამე არ ვიღონეთ, ოჯახი მშიერი დაგვრჩებაო.

ეს მამამ იწყინა. მუშაობა დაუწუნა. მამული ჩამოართვა და უმცროს შვილს გადასცა. უმცროსმა გაიხარა. თავი მაღლა აიღო და ყოყოჩობა დაიწყო. მაგრამ მამა ჩქარა დარწმუნდა მის მკვეხარობაში. ღომსა და სიმინდს ვიღა ჩიოდა, ჩალაც ვერ მიიღო. ოჯახი გაღარიბდა. გამათხოვრდნენ. მოწყალებას ეძებდნენ.

მამამ დაიბარა უმცროსი შვილი და უთხრა: წადი, ვინმეს მოჯამაგირედ დაუდექი, ცოტა ღომი და სიმინდი იშოვნე, თორემ მშივრები დავიხოცებითო!

უმცროსი ძმა წავიდა და მოჯამაგირედ დაუდგა ერთ მღვდელს. ძროხა უნდა ემწყემსა, თვეში კი სამი მანეთი მიეღო. წაიყვანა ერთ დღეს ძროხა საძოვრად. გამოვარდა მგელი, ეცა ძროხას, გამოღადრა კისერი და დაუწყო ჭამა. უმცროსი ძმა გულგახეთქილი გამოიქცა შინ. შემდეგ მღვდლისაკენ გახედვითაც აღარ გაუხედავს.

— ასე და ასე იყო ჩემი საქმეო, — შესჩივლა მამას.

მამამ ახლა უფროსი შვილი დაიბარა: წადი, შვილო, ვინმეს მოჯამაგირედ დაუდექი, ცოტა ღომი და სიმინდი იშოვნე, თორემ შიმშილით დავიხოცებითო!

ადგა უფროსი ძმა და გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, შეხვდა ერთ მეცხვარეს. დაუდგა მოჯამაგირედ, თვეში უნდა მიეღო თითო ცხვარი. სამი თვის შემდეგ მეცხვარემ მისცა სამი ცხვარი, ჰატიოსანი მუშაობისათვის ფულითაც დაასაჩუქრა და შინ გაისტუმრა.

ამ სამ თვეში ოჯახი სულ უკან წასულიყო. მამა დაავადებული და ლოგინად ჩავარდნილი დახვდა, უმცროსი ძმა კი—გამათხოვრებული. ყველას შიმშილით კუჭი ეწვოდა. უმცროს ძმას მამულები დაეყიდა, მაგრამ ოჯახისათვის მაინც ვერაფერი ეშველა.

უფროსმა ძმამ ცხვარი სახლში შეიყვანა. ცხვარმა ერთ კუთხეში დადო რძე და კარაქი, მეორე კუთხეში — ყველი, მესამე კუთხეში — ხორცი, მეოთხე კუთხეში—მატყლი, შუა ოთახში თვითონ დადგა და სიღარიბეს დასჭყივლა: გამეცალეო!

ოჯახი ჩქარა ფეხზე წამოდგა. სახლში ბარაქა დატრიალდა. უფროსი ძმა ერთგულად უვლიდა ცხვარს. მოხუცმა მამამ გადმოიხედა ლოგინიდან, დალოცა უფროსი შვილი და უთხრა:

— ასეა, შვილო, თუ მარჯვენას მოიხმარ, ბარაქა გექნება, უქნარას უქნარობაში ამოხდება სული. ოჯახის უფროსობა შენთვის დამილოციაო!..

უმცროსი ძმა კი იდგა მამის ლოგინთან ყურებჩამოყრილი...

ამგავი ხელმწიფის შვილისა, ქალი რომ არ მისთხოვდა, სანამ ხელოგას არ ისწავლიო

იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა ერთი შვილი. ხელმწიფე დაბერდა და შვილის დაქორწინება მოინდომა. ხელმწიფის შვილმა უთხრა თავის მამას: სოფლები დამატარეთ და ვინც მომეწონება, იმას შევირთავო.

წაიყვანეს, მოატარეს, მაგრამ არავინ მოეწონა.

ბოლოს, ერთი საწყალი კაცის ქოხის წინ ერთი ქალი ნახა. ხელმწიფის შვილს ის ქალი ძალიან მოეწონა. ქალს უთხრა: უნდა ცოლად გამომყვეო!

— ჩემი მამა და დედა აქ არ არიან, საღამოზე მოვლენ და თვითონ იციანო, — უთხრა ქალმა.

მოუცადა ხელმწიფის შვილმა. მოვიდნენ გლეხი და იმისი ცოლი.

— უნდა თქვენი ქალი მე მომათხოვოთო, — უთხრა ხელმწიფის ვაჟმა.

— აბა, ჩვენ რა შენი საკადრისები ვართ, თუ გნებავთ, მოსამსახურედ გამოგყვებითო.

— ხელობა იცი რამეო? — ჰკითხა ქალმა ხელმწიფის შვილს.

— არაფერი! არაფერი! და ხელმწიფობა ხელობა არ არისო? — უპასუხა ვაჟმა.

— დღეს შეიძლება ხელმწიფედ იყო, ხვალ აღარა, მერე რიღათი გნებავს იცხოვრო? წადი, ერთი რამე ხელობა ისწავლე და მერე გამოგყვებიო!

დაღონდა ხელმწიფის შვილი: ასე უცებ ხელობა როგორ ვისწავლოო?

წავიდა მამასთან: ესეა, ესე ჩემი საქმე და როგორ მოვიქცეო?

დაიბარა ხელმწიფემ ყველა ხელოსანი. დურგალსა ჰკითხა:

— რამდენ წელიწადში ასწავლი შენს ხელობასო?

— ხუთშიო.

— უჰ, ხუთ წელიწადში ის ქალი კიდევაც გათხოვდება და მერე რაღად მინდაო, — თქვა ვაჟმა.

ზოგმა ოთხი უთხრა, ზოგმა სამი, ზოგმა ორი, ზოგმა მეტი. ბოლოს ერთი მენაბდე წამოდგა:

— მეც ხელოსნებში ვიხსენები, მე მომაბარეთ, ერთ დღესა და ღამეში ვასწავლიო.

მართლაც, გაჰყვა ხელმწიფის შვილი და ისწავლა ნაბდების თელვა, შეირთო ის ქალი და დაიწყეს ტკბილი ცხოვრება. ხელმწიფე რომ მოკვდა, ის დაჯდა ტახტზე.

ერთხელ თქვა: მოდი, წავალ, დავივლი ჩემს ქვეყანას, იქნება რა უჭირს ხალხს, ან რა ულხინს, რას ამბობს ჩემზე ხალხიო.

ჩაიცვა უბრალოდ და წავიდა. ერთ ქალაქში ჩამოიარა: ისეთი საქმლის სუნი მოუვიდა, რომ მეტი აღარ შეიძლება. თქვა: მე ამდენსა ვხარჯავ მზარეულებზე, ასეთ საქმელს ვერ მიმზადებენ, აბა, ჩავალ, ვნახავ, როგორ აკეთებენო.

ჩავიდა ერთ სარდაფში, კაცის ხორცს აბუეუეებდნენ. ხელმწიფემ უთხრა: მოიტათ, ერთი კერძი დამისხითო.

დაუსხეს. რომ შეჭამა, ამ ურჯულოებს ჰკითხა: ამ სარდაფში რა არისო?

ახადეს და ჩააგდეს შიგა. სამი სხვა კაცი იყო იქ დამწყვდეული.

— მე ხვალ დამკლავენო! — უთხრა ერთმა.

— მე ზეგაო! — თქვა მეორემ.

— მე მაზეგ!— თქვა მესამემ, — შენ რაკი მსუქანი ხარ, კვირას დაგკლავენო.

შეწუხდა ძალიან ეს ხელმწიფის შვილი. როცა ისინი დაკლეს და ჯერი იმაზე მიდგა, ხელმწიფის შვილმა უთხრა: მე ისეთ ნაბადს მოვთელავ, რომ ორას თუმნად გაყიდით. იმის ყიდვას ვერავინ შესძლებს, თუ არა ამა და ამ ხელმწიფის ცოლიო.

მოუტანეს მატყლი. ისეთი მშვენიერი, აყვავებული ქეჩა მოთელა, რომ თვალს მოსტაცებს კაცს. ყვავილსა და ყვავილს შუა დააწერა: ამა და ამ ქალაქში, ამა და ამ ქუჩაზე ვარ ასეთ გაჭირვებაში, ამ ორ დღეში თუ არ მიშველეთ, მერე გვიანღა იქნებაო.

დაიდო ურჯულომ ეს ქეჩა თავზე და მიიტანა ხელმწიფის ცოლთან. გამოართვა ქეჩა, წაიკითხა ზედ, რომ ამისთანა და ამისთანა გაჭირვებაში ვარ და თუ ორ დღეში არ მომეშველებით, მომკლავენო, მისცა ორასი თუმანი ხელმწიფის ცოლმა და წავიდა ურჯულო.

ის რომ წავიდა, თვითონაც დაუძახა ჯარისკაცებს და შორიახლოს გაჰყვა ურჯულოსა. ხელმწიფის ცოლმა შემოარტყა ჯარი ამ დუქანს და დაარიგა: მე შიგ ჩავალ და ჯამს გავტეხ, როცა ხმა გაიგონოთ, მაშინვე შემოდითო.

ჩავიდა ხელმწიფის ცოლი. დაასხმევინა ერთი კერძი, დაახეთქა ძირს ჯამი, გატეხა, მაშინვე ჩაიჭრნენ სარდაფში ჯარისკაცები, დაიჭირეს ურჯულოები და სულ დახოცეს. ხელმწიფე გაათავისუფლეს და წამოიყვანეს.

ცოლმა უთხრა: — აბა, ახლა შენ რომ ხელობა არა გცოდნოდა, შენი ხელმწიფობა რას გიშველიდა, დაგკლავდნენ და შეგჭამდნენო.

წამოვიდნენ და იცხოვრეს ბედნიერად.

ამის შემდეგ ძალიან ხელს უწყობდნენ ხელოსნობის გავრცელებას ხალხში.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ზნიანი ქალი

ერთ ხელმწიფეს მშვენიერი ქალი ჰყავდა. მთხოვნელებს ეუბნებოდა: ავი ზნე მაქვსო!

ზნიანი ქალი აბა ვის რად უნდოდა და ყველა უკან მიდიოდა.

ამ ქალის ამბავი ერთმა ყმაწვილმა გაიგო და სათხოვრად მივიდა. ქალმა უთხრა:

— მოგთხოვდები, მაგრამ ერთი ავი ზნე მაქვს!

— რა ზნე? — ჰკითხა ყმაწვილმა.

— ქალბატონობა მომივლის ხოლმე!

ყმაწვილმა უთხრა:

— მეც მაქვს ერთი ზნე, ვაჟბატონობა მომივლის!

— მაშ, ჩვენი საქმე კარგად ყოფილა, შენც ზნე გაქვს და მეც, მოგთხოვდები! — მიუგო ქალმა.

ითხოვა ყმაწვილმა ეს ქალი და შინ წაიყვანა.

ერთხელ გახურებული მკაა. ყმაწვილმა სამკალში მამითადი წაასხა, გოჭი დაკლა და ცოლს დაუბარა: სადილი წამოგვიღეო. ქალმა ქმარი გაისტუმრა თუ არა, რაც კარგი ტანისამოსი ჰქონდა, ჩაიცვა, დაიხურა, გამოეწყო, დაჯდა და ფერ-უმარილს ისვამს. შემოვარდა ძაღლი და მაგიდიდან მოიტაცა გოჭი.

სადილობა უკვე გადავიდა. მამითადს მოშივდა. სადილი არა ჩანს. ყმაწვილს უთხრეს: არ გვინდა გოჭი, ცარიელა პური მაინც გვაჭამეო.

წამოვიდა ყმაწვილი სახლში. ნახა, რომ ქალი ფერ-უმარილს ისვამს.

— რა დროს ეგ არის, დედაკაცო, მამითადი დამემშა!

— შენი მამითადი რაში მეკითხება, დღეს ქალბატონობამ მომიარა! — უპასუხა ქალმა.

— ჰო, რახან ქალბატონობა მოგსვლია, კარგი, გოჭი რაღა იქნა?

— შემოვიდა ცუგუა და გაიტაცა ქუცუა!

— აბა, ნუ გეწყინება, მეც ვაჟბატონობა თუ მომივლის, — უთხრა ქმარმა. წამოავლო სახრეს ხელი და ისე მაგრად ურტყა, სულ ჯარასავით ატრიალა.

— შენი ჭირიმე, ოღონდ ახლა დამეხსენ და ჩემს დღეში აღარ მომივლის ქალბატონობა! — ევედრებოდა ქალი.

ამის შემდეგ აღარც ქალს მოსვლია ქალბატონობა და არც ქმარს ვაჟბატონობა.

ღარიბი ბიჭი

იყო ერთი ღარიბი ბიჭი. ცხრა შვილში მხოლოდ ის დარჩა საწყალ დედას, ბიჭი შრომისმოყვარე იყო. დღედაღამე ტყეში შეშას ჭრიდა, სახედრით ქალაქში ეზიდებოდა, ყიდდა და აღებული ფულით დედას არჩენდა. თავისი ბედით კმაყოფილი იყო.

ერთმა კაცმა თქვა: უნდა შევამოწმო, ეს ბიჭი მართლა თავისი პატიოსანი შრომით ირჩენს თავს, თუ ეშმაკობსო. ტყიდან შეშა რომ შოჰქონდა, წინ ცული დაუგდო, ვნახოთ, რას იზამსო. ბიჭმა ცული დაინახა, აიღო და თან წამოიღო. გზაზე ეს კაცი შეხვდა.

— სადღაც ცული დავკარგე, იქნებ იპოვე? — ჰკითხა ბიჭს.

— აგერ მაქვს, თუ თქვენია, წაიღეთ, სხვისი იარაღი მე რად მინდა, — უთხრა ბიჭმა და ცული მიაწოდა.

წამოვიდა ქალაქში, შეშა გაყიდა, სასმელ-საჭმელი იყიდა და შინ დაბრუნდა. ყველაფერი დედას უამბო. დედამ ქცევა მოუწონა. მეორე დღეს შეაბა სახედარი და ისევ წავიდა ტყეში. საღამოს შინ რომ ბრუნდებოდა, იმ კაცმა წინ წალდი დაუგდო. ბიჭმა წალდი იპოვა, აიღო და თან მოაქვს. გზაზე კვლავ შემოხვდა ეს კაცი.

— ძმობილო, წალდი დავკარგე, იქნებ იპოვე? — ჰკითხა მას.

— აგერ მაქვს, თუ თქვენია, ინებეთ, სხვისი იარაღის წაღება რა საკადრისია! — უთხრა ბიჭმა და წალდი მიაწოდა.

კაცმა მადლობა მოახსენა და თქვა: მართლა პატიოსანი ყმაწვილი ყოფილა, ღირსია კარგი ბედისაო.

მესამე დღეს ბიჭმა დატვირთა სახედარი შეშით და წაიღო გასაყიდად. გზაზე ისევ ისე შეხვდა ეს კაცი და უთხრა:

— საცოლო ყმაწვილი ხარ, ბედი უნდა გწიო, შენი გუნების ქალი უნდა გაგირიგო, რას იტყვი?

ბიჭს შერცხვა და არაფერი არ უპასუხა. საღამოზე შინ რომ მივიდა, ეს ამბავი დედას უამბო. დედამ ცოლ-შვილიან კაცებში გაგზავნა, მათ ჰკითხე რჩევაო. ბიჭი ასეც მოიქცა. გამოელაპარაკა ცოლ-შვილიან კაცებს. მათ მოუწონეს: შენი გუნების ქალს თუ გირიგებენ, მაგას რა სჯობიაო.

ამ ბიჭს ამ მისვლა-მოსვლაში სამი დღე შეაგვიანდა. მესამე დღეს შეხვდა ის კაცი და ჰკითხა:

— რა ჰქენი, გადაწყვიტე თუ არა?

— თუ ჩემი გუნების ქალს გამირიგებ, ძალიან გამიხარდება, სწორედ მასეთ საცოლეს ვეძებ, — უპასუხა ბიჭმა.

— სამი დღე დააგვიანე, ის ქალი სხვაზე დაინიშნა, დღეს ქორწილი ექნება, თუ მიუსწრებ, იქნებ წამოგყვეს, — უთხრა კაცმა. თან ერთი ვაზის ლერწი გაატანა, ეს გიშველისო.

ბიჭი მაშინვე გაიქცა იმ სოფელში, სადაც მისი გუნების ქალი ცხოვრობდა. გამართული იყო ქორწილი. სიძეს ელოდნენ. მასაც

ცოტა შეგვიანებოდა, მაგრამ უკვე გამოჩნდა. ბიჭმა მექორწილეებს უთხრა: ეგ ქალი ჩემია, თქვენ სხვაზე რად ათხოვებთ, დიდი ხანია, დანიშნული მყავსო.

მექორწილეებმა შემოუტიეს, შეიქმნა ჩოჩქოლი და აყალ-მაყალი. ერთმა ჰკითხა: რით შეგიძლია დაგვიმტკიცოთ, რომ ქალი შენი დანიშნულიაო.

— ამ ვაზის ლერწს ცხელ ნაცარში გადავაგდებ და, სიმართლით თუ გამოცოცხლდეს, საცოლე დამიბრუნეთ, თუ არა — მაგას გაატანეთო, — თქვა ბიჭმა.

აიღო და ვაზის ლერწი ცხელ ნაცარში გადააგდო. ლერწი მაშინვე გამოცოცხლდა. ფოთლებმა თავი წამოყო.

მექორწილეებს რაღა ეთქმოდათ. სიძე დარჩა ხელცარიელი. ქალი კი ამ ბიჭმა წამოიყვანა შინ და ღარიბული ქორწილი გადაიხადა. რაც პური ჰქონდა, შემოელია. ტყეში შეშის მოსაპრელად ვეღარ წავიდა. გაუჭირდათ ცხოვრება. გასაყიდი შინ არა ებადათ რა. ქალს ერთი კაი შალი ჰქონდა. ქმარს უთხრა: წაიღე ეს შალი ქალაქში, გაყიდე, აღებული ფულით პური იყიდე და მოიტანეო.

ბიჭმა წაიღო შალი და წავიდა. ბაზარში ერთი ვაჭარი შეხვდა, ხელში მამალი ეჭირა.

— ყმაწვილო, ეგ შალი მომყიდე და მამალს მოგცემ, — უთხრა ბიჭს.

ბიჭმა იფიქრა: ეს მამალიც კარგია, დაიყივლებს, დილით ადრე გამაღვიძებს და სამუშაოზეც ადრე წავალო. გამოართვა მამალი და შალი მისცა. ახლა მეორე ვაჭარი შეხვდა.

— ყმაწვილო, ეგ მამალი მომეცი და ამ ნემსს მოგცემ, — უთხრა ბიჭს.

ბიჭმა თქვა: მამალი კარგია, მაგრამ არც ნემსია ნაკლები, ოჯახში ისიც საჭიროაო. მისცა მამალი, გამოართვა ნემსი და წამოვიდა შინ.

ერთი წყალი ჰქონდა გამოსავლელი, ზედ მოკლე ხიდი იყო გადებული. ბიჭი შედგა ხიდზე თუ არა, ფეხი გადაუბრუნდა და ნემსი წყალში ჩაუვარდა. ფეხთ გაიხადა, შეტოპა წყალში და ნემსს ეძებს.

ამ გზაზე ერთმა სოვდაგარმა გამოიარა, ოქრო-ვერცხლით დატვირთული ვირი მოჰყავდა.

— ბიჭო, წყალში რას ეძებ? — ჰკითხა.

— ნემსი ჩამივარდა წყალში და უნდა მოვძებნო, — უთხრა ბიჭმა.

— ნემსი ვინ მოგცა?

— მამლის ფასად ვიყიდე.

— მამალი ვინ მოგცა?

— ცოლმა ძვირფასი შალი გამომატანა გასასყიდად და იმით ვიყიდე.

— ვაი, უბედურო, ეგ რა გიქნია, სახლში არ მიხვიდე, თორემ ცოლი მოგკლავს!

— ნუ დარდობ, ჩემი ცოლი ცუდ სიტყვას არ მკადრებს, ის ჩემი გუნების ქალია.

— სანაძლეოს მოგცემ, თუ სასიკვდილოდ არა გცემოს, — უთხრა სოვდაგარმა.

— დავნაძლევდეთ, თუ ჩემმა ცოლმა ერთი მწარე სიტყვაც არ შემომკადროს, შენი ოქრო-ვერცხლი მე დამრჩეს, თუ კი — სამ წელიწადს უფასო მოჯამაგირედ წამოგყვებიო.

სოვდაგარმა ხელი მისცა, უფასო მოჯამაგირე ვიშოვნეო. წავიდნენ ბიჭისას. ცოლი გაღიმებული შემოეგება კარებში და ჰკითხა:

— რა ჰქენი, კაცო, შალი გაყიდე?

— გავყიდე!

— რაზე გაყიდე?

— მამალზე!

— შენ კი გენაცვალე, მამალი რა უყავი?

— ნემსზე გადავცვალე, ხომ არ გამიჯავრდები?..

— რა გასაჯავრებელია, ნემსი ოჯახში საჭიროა, მაგრამ ნემსი რა უყავი?

— წყალში ჩამივარდა, ვძებნე და ვერ ვიპოვე.

— გენაცვალოს ჩემი თავი, რაღას წვალობდი, ნემსი იყო, სხვა ხომ არაფერი!..

სოვდაგარმა წააგო სანაძლეო. ჩამოხსნა ვირს საპალნე ოქრო-ვერცხლი და ამ ბიჭს დაუტოვა. ბიჭმა სიმდიდრე კი შეიძინა, მაგრამ ტყეში შეშის მოსაჭრელად მაინც დადიოდა. ყოველ კვირა დღეს ჩაიტანდა ხოლმე ბაზარში შეშას, გაყიდდა, სამაგიეროდ სანოვაგეს იყიდდა და შინ მიჰქონდა.

ერთ დღეს მისი ნაცნობი კაცი ესტუმრა. დიდი სიყვარულით შეიღო, ცხრა დღე-ღამე აქეიფა, კარგად დაასაჩუქრა და ისე გაუშვა.

ამ კაცმა ბედნიერი ღარიბი ბიჭი ტკბილად დალოცა, გამოემშვიდობა და წავიდა.

ასეა, თუ შენი გუნების ცოლი გეყოლება, ბედნიერად იცხოვრებ!..

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ნაცარი იქა, ფქვილი აქა.

ზარმაცი კაცი

ერთ საწყალ დედაბერს ზარმაცი შვილი ჰყავდა. ბავშვობიდან შეიძულა შრომა და არ იქნა, ხელი ვერ გაანძრევინეს. „ნენავ, შვილო, რაღა დროის შენი ბალღობაა, აგერ შეიჯოშე ვაჟკაცი, დაფაცურდი, ხელი გაანძრიე, ხომ ხედავ, დავბერდი, მე მეტი აღარ შემიძლიაო“, — ეუბნებოდა დედამისი. ბიჭი კი არხეინად გაიწოდინებდა და, თუ მაძღარი იყო, მეზობლებში საღლაბუცოდ წავიდოდა. „მე მიწადსაჭმელმა, ერთი შვილის პატრონი ვარ და ბალღობას წელს როგორ მოვსწყვეტ-მეთქი, ვიფიქრე, შევაჩვიე ალამცარობას და ახლა ისე გაზარმაცდა, რომ სული რომ გერჯებოდეს, ერთ მუგუზალს არ წაგიწევს. ჩემი შვილის საყვედურს კი არ უნდა ვჩიოდე, ჩემი დღე მას შეემატა, მაგრამ ასე რომ წახდა, იმას ვჩივიო“, — ეუბნებოდა მეზობლებს საწყალი დედაბერი.

— შვილი მტრულად გაზარდე და მოყვარე იქნება შენიო! — პასუხობდნენ მეზობლები.

ბოლოს, ვერაფერს რომ ვერ გახდნენ, ურჩიეს დედას: მოჰგვარე ქალი, ეგება ცოლ-შვილმა ჭკუაზე მოიყვანოს, თორემ მაგას მეტი არაფერი უშველისო.

გავიდა ხანი. ზარმაცი ბიჭი დააცოლშვილეს, მაგრამ ძილისა და ჭამის მეტს ახლაც არაფერს აკეთებდა. საწყალი ცოლი დღე და ღამე მუშაობდა. ზარმაცი მხოლოდ ჭამდა და სვამდა. ქალმა ველარ აიტანა ამდენი გაჭირვება და ერთ დღეს თქვენი ჭირი წაიღო. მეორე ცოლი მოიყვანა. ამასობაში გაჭირვებული დედამისიც მოკვდა. ახალი ცოლი ეხვეწება ბიჭს: ხელი გააქანე, რამე წამეხმარე, შენი ღვთის გულისთვის, რაზე არ გეცოდება ბალღები მაინც. ქალი ჩქარა შეატყობდა, რომ ასეთი ლაპარაკით ვერაფერს ასმენდა და ისევ ჩაილაპარაკებდა: რაზე ვიტკივებ ტყუილად თავს, მაგის ჩიჩინს ჯობია, საქმეს მივხედოო.

ერთ დღეს ზარმაცი წირვაზე წავიდა. წირვის შემდეგ კარგ გუნებაზე დაბრუნდა. ცოლმა ჰკითხა:

— რა შეიტყვე ისეთი, ასე კარგ ხასიათზე რომ ხარო?

— დღეს მღვდელმა ისეთი რამეები იქადაგა, მეც ისე უნდა მოვიქცეო!

— მაინც რა თქვა ისეთი, ჩვენც გაგვაგებინეო!

— რაო და ეს ქვეყანა ერთი წუთის საცხოვრებელიაო, ხვალისათვის ნუ ზრუნავთ, საუკუნო სასუფეველი საიქიოაო. იქ არც მდიდრები და არც ღარიბები არიან, თუ ამ ქვეყანას ცუდი რამ არ გაგიკეთებია, ქრისტე სამოთხეში დაგაბრძანებს, მუშაობა აღარაა საჭირო, გადაიდევი ფეხი ფეხზე და იყავი ისეო. ეს მთლად ჩემი საქმეა. ამიტომ მოვიფიქრე, საიქიოს წავიდე და თქვენც თან წაგიყვანოთო!

ქალი მაშინვე მიხვდა, რა ჭკუის კოლოფიცა ჰყავდა, გულში ჩაიცინა და არაფერი გაიკვირვა. ბოლოს უთხრა: ყველას ერთად წასვლა არ ივარგებს, ეგების იქ ადგილი ვერ ვიშოვოთ, თუ მაინცა და მაინც არ მოიშლი, ჯერ შენ წადი და შენგან ამბავს რომ გავიგებთ სიზმარში, მეც წამოვალ და ბავშვებსაც წამოვიყვანო.

ზარმაცმა ეს აზრი მოიწონა, მაგრამ ახლა ის აბრკოლებდა, თუ როგორ წასულიყო საიქიოს, იქ ხომ მარტო მკვდრები მიდიან.

— ჰოდა, მეც მოვკვდები, არ ვჭამ, არ ვსვამ, თვალებს დავხუჭავ, ფეხებს გავწვართავ, ხელებს გულზე დავიკრეფ და ასე წავალო, — უთხრა ცოლს. ისიც დაემოწმა, საუცხოო აზრიაო.

ამგვარად მოკვდა ზარმაცი კაცი. ცოლმა იყიდა კუბო და ჩაასვენა შიგ, კუბოს ჭუჭრუტანები მაინც დაუტოვა, რომ სუნთქვა შეძლებოდა. ცოტა საჭმელიც ჩაულაგა და ტირილ-ყვირილით გაასვენეს ეკლესიაში. იქიდან ანგელოზებს უნდა წაეყვანათ საიქიოს, სადაც უმუშევრად ცხოვრობენ. ქალი მღვდელს წინასწარ მოელაპარაკა და კუბო იმ ღამეს ეკლესიაში დაასვენეს.

ზარმაცს ყველაფერი ესმის. ისიც გაიგონა, თუ მისმა ცოლმა და ბავშვებმა როგორი კურცხლითა და კივილ-ჩხივილით გამოასვენეს. მკვდარი იყო, თორემ უნდოდა ენუგეშებინა, ორიოდე ტკბილი სიტყვა ეთქვა მათთვის: ნუ ტირით, გენაცვალეთ, სიკვდილი არც ისეთი ცუდი ყოფილა, როგორც ამბობდნენ, არაფერი მტკივა, კიდეც ვსუნთქავ, ხელს არ ვაქანებ, მაგრამ პირს ვამუშავებ, საჭმელს გეახლებით და შიმშილით თავს არ ვიკლავ, არაფერია, თქვენც მალე წაგიყვანთო, მაგრამ მკვდარი კაცი ასეთ სანუგეშო სიტყვებს ხომ ვერ იტყოდა! საჭმელი ამ ეკლესიაში მჭირდება, თორემ საიქიოში ჭამა რაღა საჭირო იქნებაო, — გაიფიქრა. ბევრი რამ მოაგონდა, ბავშვო-

ბა, ახალგაზრდობა, დედამისი, პირველი ცოლი და უცებ ყველა მათგანი დაივიწყა. პირაღმა წოლამ დაღალა კაცი.

ამასობაში ეკლესიასთან მივიდნენ. მღვდელმა გააღო ეკლესიის კარები და კუბო შუა ადგილას დაასვენეს. დაკეტეს კარები და წავიდ-წამოვიდნენ. ზარმაცი დარჩა მარტოდმარტო კუბოში პირაღმა დაწოლილი. კიდეც დაღამდა. შუაღამეც გახდა, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, ანგელოზები არ ჩანან, რომ ეს კაცი სამოთხეში წაიყვანონ.

თურმე, ჩუმად ზარმაცის ცოლისძმას ეკლესიის სახურავზე კიბე მიუყუდებია და ზედ მიდის. ზარმაცს კუბოში ხმაურობა შემოესმა. იფიქრა, ანგელოზები მოდიანო. ყურები ცქვიტა. უცებ გაიგონა ამ ანგელოზის ხმა:

— სმენა იყოს და გაგონება, მე, გაბრიელ მთავარანგელოზი, ღმერთის ბრძანებას ვკითხულობ. ხვალიდან ზეცაში დიდი ეკლესიის აშენებას ვიწყებთ, ახალი მკვდრები სამუშაოზე ადრე უნდა გამოხვიდეთ, ვისაც ხარ-ურემი არ მოგიყვანიათ, ქვა და ხრეში გოდრით უნდა ზიდოთ ზღვიდან, ექვს თვეს თქვენი მოტანილი ხარჯით უნდა იცხოვროთ, საჭმელი არ მოგეცემათ. ვინც წინააღმდეგობას დაიწყებს, ვაი მისი ბრალი, გადაეცემა ჯოჯოხეთის კუპრში ჩასაგდებად რეჯებ ეშმაკსო...

ზარმაცს შიშით გული კინაღამ გაუსკდა. მისი ყურით გაიგონა, გოდრებით ქვები უნდა ზიდოთო. ატეხა ყვირილი ამ შუაგულ ეკლესიაში: მიშველეთ, მუშაობას გამოვექეცი, აქ უარესი ყოფილა, აქ ყოფნა არ მინდა, ისევ სააქაოს დავრჩები, გოდრით ქვას მაინც არ მაზიდვინებენო. ყვირილზე მონაზვნებს გამოეღვიძათ. გააღეს ეკლესია, ნახეს, მკვდარი გაცოცხლებულიყო. აკანკალებულებმა ახადეს თავი კუბოს და ლოცვა დაიწყეს. აფრინეს კაცი ზარმაცის ცოლთან. ქალი მაშინვე მოვიდა და დაყვავებით წაიყვანა შინ ქმარი.

— თუ იქაც სამუშაო ყოფილა, საშველი არა გქონია და ის არის. გოდრით ქვის ზიდვას, ჯობს ადვილ სამუშაოს მოჰკიდო ხელიო, — ეუბნებოდა გზაში ცოლი.

ქმარი ახლა ყურადღებით უსმენდა ცოლს. დაიწყო ისევ მუშაობა, აბა, მეტი რაღა გზა ჰქონდა! მღვდელთან გზადაც აღარ გაუვლია.

ამ ამბავს დაძველება, მომსმენს დღეგრძელობა!

ოქროსტარიანი ცული

იყო და არა იყო რა. სამი ძმა ცხოვრობდა. მშობლები რომ დაეხოცათ, გაიყარნენ. უფროსმა ძმამ სახლ-კარი დაისაკუთრა, შუათანამ ბოსელი, ბოლოლას აღარაფერი ერგო. დაუდგა ძმებს მოჯამაგირედ. ამუშავებდნენ დღედაღამ, თითო ლუკმის ჭმევაც კი ეზარებოდათ.

ერთ დღეს ბოლოლა ძმას უფროსმა ძმებმა ტყეში შეშის მოჭრა დაავალეს. გაიმზადა სამი დღის საგზალი, აიღო ხელში მამა-პაპის დატოვებული ცული და გზას გაუდგა. ბევრი შეშა მოჭრა. დაიღალა და პურის საჭმელად მდინარეზე ჩავიდა. ძალიან სწყუროდა. წყალს რომ დაეწაფა, თავი ვეღარ შეიმაგრა და შიგ გადავარდა. თვითონ გადარჩა, მამაპაპური ცული კი წყალში ჩაუვარდა. ბევრი ეძება, ბევრი იწვალა, მაგრამ ამოდენა ძდინარეში ცულს აბა რას იპოვიდა.

რაღა უნდა ექნა საწყალ კაცს. ჩამოჯდა ქვაზე და წყალს ჩასძახა: ჩემი ცული გამომიჩინე, ღმერთი არა გწამს! შინ უცულოდ ვერ წავალ, ძმები მომკლავენ.

ამ დროს სად იყო, სად არა, მდინარის ნაპირას ერთი წვერიანი კაცი გამოჩნდა. ბოლოლა ძმას რომ მიუახლოვდა, გამარჯობა უთხრა.

— კეთილო კაცო, რას დაღონებულხარ, რა გაგჭირვებიაო? — ჰკითხა ვახ.

— მდინარეში ცული ჩამივარდა და ვერ მიპოვია, დასაღონებელი როგორ არა მაქვსო, — უპასუხა ბოლოლა ძმამ.

წვერიანი კაცი გადაეშვა მდინარეში, ამოიღო ოქროსტარიანი ცული და გაუწოდა ბოლოლა ძმას.

— აი, შენი ცული აქ ყოფილაო.

ბოლოლა ძმამ უპასუხა: არა, ეგ ჩემი არაა, სხვის ცულს მე ხომ ვერ წავიღებო. წვერიანმა კაცმა ეს ოქროსტარიანი ცული ნაპირზე გადმოისროლა და კვლავ ჩაყო ხელი წყალში. ამოიღო ახლა ვერცხლისტარიანი ცული.

— აი, შენი ცული აგერ ყოფილაო.

— არა, არც ესაა ჩემი ცული, სხვისას ხომ ვერ წავიღებო, — უთხრა ბოლოლა ძმამ.

წვერიანმა კაცმა ვერცხლისტარიანი ცულიც ნაპირზე გადმოისროლა და ისევ ისე ჩაყო წყალში ხელი. ამოიღო ახლა სპილენძისტარიანი ცული და გაუწოდა ბოლოლა ძმას.

— არა, არც ესაა ჩემი ცული, სხვისას კი ხელს ვერ მოვკიდებო.

წვერიანმა კაცმა სპილენძისტარიანი ცულიც გადმოისროლა ნაპირზე და წყლიდან ამოიღო ამ კაცის ცული.

ბოლოლა ძმამ ახლა კი გახარებულმა დაიძახა: აი, ჩემი ცული, ეს ჩამივარდა წყალშიო!

წვერიანმა კაცმა სამივე ცული აჩუქა ამ ბიჭს და გზას გაუდგა. ბოლოლა ძმამ კიდევ იმუშავა ორ დღეს და შინ დაბრუნდა. ძმებს ყველაფერი უამბო და თან მიუტანა ოქროსტარიანი, ვერცხლისტარიანი და სპილენძისტარიანი ცულები.

უფროსი ძმა შურიანი და ხარბი იყო. იფიქრა: მოდი, მეც წავალ ტყეში შეშის საშრელად და ოქროსტარიან ცულს ვიპოვიო. ადგა, ცოლს სამი დღის საგზალი გააკეთებინა, აიღო ხელში მამა-პაპისეული ცული და გზას გაუდგა. მდინარესთან რომ მივიდა, თავისი ცული შიგ ჩადაუძახა. დაიწყო ყვირილი: მიშველეთ, ხალხო, დამეხმარეთ, წყალში ცული გადამივარდაო.

სად იყო და სად არა, აქ გაჩნდა ის წვერიანი კაცი.

— ძმობილო, რა მოგივიდა ასე რატომ ყვირიო? — ჰკითხა უფროს ძმას.

— მდინარეში ცული გადამივარდა, თუ შეგიძლია, დამეხმარე მის ამოღებაშიო.

წვერიანმა კაცმა ფეხთ გაიხადა და მდინარეში გადაეშვა. ამოიღო კიდევ ოქროსტარიანი ცული და უფროს ძმას უთხრა: აი, შენი ცული, შეხედე სად ყოფილაო!

შურიანმა და ხარბმა ძმამ ვეღარ მოითმინა და ყვირილი მორთო: ჩქარა გამომიტანე, ეგაა ჩემი ცულიო.

წვერიანი კაცი გაბრაზდა. გამოვიდა ნაპირზე, ერთი მაგარი სილა გააწნა და უთხრა: ტყუილის მთქმელს არც თავისი ცული ერგებაო. ეს ოქროსტარიანი ცული ისევ ისე მდინარეში გადაუძახა და თვითონ გზას გაუდგა.

ხარბი ძმა უკან გამოუდგა: კაცო, რას მიშვრები, ჩემი ცული მაინც ამომიღე წყლიდანო! მაგრამ წვერიან კაცს უკან აღარ მოუხედავს და თვალს მიეფარა.

ასეა, ხარბი კაცი სხვის ქონებას ეტანება, მაგრამ არა თუ სხვისას, თავისასაც დაკარგავს.

სამი ტყუილი

ერთ ქვეყანაში იყო ახირებული ხელმწიფე. ჰყავდა ერთი ქალიშვილი. აიხირა: ვინც სამ ტყუილს მეტყვის, ჩემ ქალიშვილს მას მივათხოვებ, ვინც სამ ტყუილს ვერ მეტყვის, თავს მოვჭრიო.

ოთხმოცდაცხრამეტ ვაჟკაცს მოსჭრა თავი, რადგან ტყუილი ვერა თქვეს. იმ სახელმწიფოში ერთი კარგი მენახირე ბიჭი იყო. სოფლის საქონელს მწყემსავდა. ერთ დღეს თქვა: მოდი, სამ ტყუილს მოვიგონებ, თუ გავიდა, გავიდა, თუ არა, ასად შევასრულებ თავმოჭრილებსო. დედამ ბევრი უშალა ბიჭს, ნუ წახვალ, შენ ასეთ ტყუილებს როგორ იტყვიო, მაგრამ ბიჭმა არ დაიშალა. მივიდა ხელმწიფის კარზე და კარისკაცებს ხელმწიფის ნახვა სთხოვა. მიიყვანეს ხელმწიფესთან.

— რისთვის მოსულხარ, ბიჭო?

— სამი ტყუილის სათქმელადო!

— მერე შენ საიდან გეცოდინება სამი ტყუილი, რატომ იღუპავ თავს, თუ ტყუილს ვერ იტყვი, კისერს წაგაცლიო!

— ოთხმოცდაცხრამეტი გყოლია თავმოჭრილი. ასად მინდა შევასრულოო.

ბიჭმა რადგან თავისი არ დაიშალა, ხელმწიფემ უბრძანა: აბა, თქვი ტყუილიო.

— გუშინ ნახირიდან რომ მოვედი, — დაიწყო ბიჭმა, — დედაჩემს სადილი არ ჰქონდა გაკეთებული, მე კი პური მშიოდა. ჩვენს ბაღში ერთი გოგრა მეგულებოდა, ავდექი და მის მოსატანად წავედი. მივედი, ვნახე, სადაც მეგულებოდა, იქ აღარ იყო. გავყევ გოგრის კავს. ოკეანის გაღმა გასულიყო და იქ იდო გოგრა. გავიარე ამ კავზე, გავედი გაღმა, მოვგლიჯე გოგრა, საჭამადი გავაკეთეთ და მე და დედაჩემმა კაი ვახშამი გიახელითო.

— ეგ ხომ ტყუილია! — თქვა ხელმწიფემ.

— მეც იმისათვის ვარ მოსული, ტყუილი ვთქვაო!

გამტყუნებულმა ხელმწიფემ უბრძანა: წადი და ორი დღის შემდეგ მოდიო! გავიდა ორი დღე და ისევ მოვიდა მენახირე.

— აბა, დაიწყე ტყუილი! — უბრძანა ხელმწიფემ.

— გუშინ საღამოს ნახირიდან რომ მოვედი, დედაჩემს საჭამადი შეენელებინა და მარილი ვერ ეშოვნა. მეზობლებშიც გავიკითხეთ, მაგრამ არავის ჰქონდა. მე ვუთხარი დედაჩემს, მარილს ახლავე მოგიტან-მეთქი. ავდექი და გავიქეცი გუმარში, საიდანაც მარილი მოაქვთ. ვნახე აქ, სიპი კლდის მეტი არაფერია, მე არც ჩაქუჩი

მქონდა. არც არაფერი, რომ კლდე დამენგრია და მარილი წამომეღო. ხან აქეთ მივარტყი თავი ამ კლდეს, ხან იქით და ერთი კაი მოზრდილი ლოდი მოვაგდებინე. გავიგდე მხარზე და შინისაკენ გამოვიქეცი. შევანელეთ საქამადი და იმ ღამეს კაი ვახშამი გიახელითო!

— ეგ ხომ ტყუილია! — თქვა ხელმწიფემ.

— მეც იმისათვის ვარ მოსული, ტყუილი ვთქვაო!

გამტყუნებულმა ხელმწიფემ უბრძანა: წადი და ზეგ მოდიო. ბიჭმა თქვა: მესამე ტყუილი რაღა ვთქვა, აღარაფერი ვიცი. იფიქრა, იფიქრა, მთელი დღე-ღამე იფიქრა. ერთი ასკოკიანი ქვევრი ჰქონდათ. დაიქირავა მუშები და მიწიდან ამოაღებინა. აგორავა, აგორავა ეს უზარმაზარი ქვევრი და ხელმწიფესთან მიაგორა.

— მოხვედი? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— დიახ, გიახელი, — ყოჩაღად უთხრა მენახირემ.

— აბა, თქვი ტყუილი!

— მამაშენს მამიჩემის ეს ერთი დიდი ქვევრი ოქრო ემართა და უნდა გადამიხადო!

— ტყუილია! — წამოიძახა ხელმწიფემ.

— მეც ეგ მინდოდა, სამი ტყუილი ხომ შესრულდა და ეგ არ[illegible]!

დაამტკიცეს, რომ მენახირემ მართლა თქვა სამი ტყუილი. შეირთო ხელმწიფის ქალი ცოლად. დიდი ქორწილი გადაიხადეს. დარჩა ტახტიც და იმ ქვეყანაში დღესაც ეს მენახირეა ხელმწიფედ.

ჭირი იქა, ლხინი აქა.
ნაცარი იქა, ფქვილი აქა.
მთას ურემი ავიტანე,
აქ ჩამოვა გორებითა,
აქ სიცოცხლით გამიძეხით,
საიქიოს ცხონებითა.

ეგ არის და გორის ციხე!

ნამდვილი ტყუილი

ცხოვრობდა ერთი ხელმწიფე. ჰყავდა ერთადერთი ქალი. მზეც მასზე ამოსდიოდა და მთვარეც. ხელმწიფემ დაიბარა ვეზირები და უთხრა: ჩემი ქალიშვილი ისეთ ვინმეს უნდა მივათხოვო, ვინც ნამდვილ ტყუილს იტყვისო.

დაიწყეს ასეთი კაცის ძებნა. მთელი სახელმწიფო შეიძრა, ვინ არ ნახეს და ვის არ გამოჰკითხეს, მაგრამ ნამდვილი ტყუილი ვერავინ თქვა. ტყუილს ყველა ამბობდა, მაგრამ ხელმწიფეს ისინი არ მოსწონდა: ნამდვილი ტყუილი არაა.

ერთმა გლახამ თქვა: მოდი, სხვა სახელმწიფოში წავალ, იქნებ იქ ვისწავლო ნამდვილი ტყუილი და ხელმწიფის ქალი ხელში ჩავიგდოო. აიკიდა გუდა-ნაბადი და წავიდა სხვა სახელმწიფოში.

დაინახა, ერთი კაცი ზის შუა შარაგზაზე, კალათში უყრია დამარცვლული ნიორი და მუხუდო, ხელში კვერი და გამოთლილი ჯოხი უჭირავს. დაარჭობს ხოლმე ამ კვერით ჯოხს შარაგზაზე, ზედ მოაყრის თითო-თითო ნივრის კვნიტსა და მუხუდოს. შემდეგ ამოიღებს ჯოხს და მეორე ადგილას დაარჭობს და ასე თესავს ნიორსა და მუხუდოს.

გაუარა გლახამ და ჰკითხა: რას შვრები, კაცო, შარაგზაზე თესვა ვის გაუგონიაო!

— შენი გზა ნახე, მე როდის გეკითხები, სად მიდიხარ. ჩაიარეო! — უპასუხა კაცმა.

არ მოეშვა გლახა: მითხარი, რას აკეთებო!

ბოლოს კაცმა უთხრა: ამ დილით რამდენიმე ურემმა აღმა აიარა და რამდენიმემ დაღმა ჩაიარა, სანამ ურმები ამოივლ-ჩამოივლის, ნიორი და მუხუდო მოვა. გავმართავ ვაჭრობას და თავს ვირჩენო. გლახამ თავისთვის თქვა: რახან ამან ესეთი ტყუილი მითხრა, უფრო მეტიც ეცოდინებაო და თავის ხელმწიფესთან წამოიყვანა.

ცხრა თვე და ცხრა დღე იარეს. მივიდნენ ამ სახელმწიფოში. მიაკითხა ვეზირებს: კაცი მოგიყვანე ნამდვილი ტყუილის სათქმელადო.

ვეზირებმა დასვეს სკამზე ეს კაცი და უბრძანეს ნამდვილი ტყუილის თქმა.

კაცმა დაიწყო: მე და მამაჩემი გუშინწინ საქონელში ვიყავით, საჭმელი არ გვქონდა და სასმელი. დედაჩემმა ჩაყარა კვახის გული კალათში და წაიღო ბაღში დასათესად. შუადღემდის კვახი იმოდენა გაზრდილიყო, გაეგლიჯა ღობეები და მტკვარში გადავარდნილიყო. ჩავედით მე და მამაჩემი შინ და არც იქ დაგვხვდა საჭმელი. დედაჩემმა ბაღში გამგზავნა: კვახი მოგლიჯეო. ჩავედი ბაღში, მაგრამ კვახი იქ არ დამხვდა. მივყევ ნაკვალევსა და მტკვარში ვნახე გაჩერებულიო. სიმძიმით ორმოცი ფუთი გამხდარიყო. მოვიკიდე ზურგზე და ამოვიტანე, გავეერი შუაზე და ორივე ნაჭერი ღუმელში შევდე

შესაწვავადო. ჩქარა შეიწვა და მე და მამაჩემმა ეს ორმოცფუთიანი კვახი შევჭამეთო. აბა, თუ ურევია ამაში მართალიო?

ვეზირები ჩაუკვირდნენ და ტყუილში მართალი არაფერი არ აღმოჩნდა. კაცს მაინც შარი მოსდეს: ერთი ნამდვილი ტყუილი კიდევ თუ არ გითქვამს. იავს მოგკერითო.

ეს კაცი წამოვიდა გლახასთან. იმ დღეს დაწნა დიდი გოდორი, დადო ურემზე და მეორე დღეს მიადგა ხელმწიფეს კარზე. ხელმწიფემ და მისმა ვეზირებმა გამოიხედეს.

— ეგ რა მოგიტანიაო? — ჰკითხეს.

— დიდებულო ხელმწიფევ, შარშან ამ დროს მამაჩემმა ამ გოდრით ოქრო რომ გასესხა, რატომ უკან არ აძლევ, არა გრცხვენია, მოხუცი დაგიბრიყვებიაო!

ხელმწიფე მიხვდა, რომ ამ კაცმა ასე ოსტატურად მოატყუა. ჩაფიქრდა: უთხრას, ეგ ტყუილია, არავითარი ოქრო მამიშენისაგან არ მისესხებიაო, ქალი ამ კაცს დარჩება, არადა ამოდენა ოქროს დაკარგვაც ენანება. ბევრი იფიქრა, თუ ცოტა იფიქრა, ისევ ოქროს მიცემა არჩია. მაშინვე მისცა ერთი ურემი ოქრო და თვითონ შინ დაბრუნდა.

ამ კაცმა მოგებული ოქრო გლახასაც გაუნაწილა და შემდეგ ბედნიერად იცხოვრეს. ხელმწიფის ქალი კი დღესაც გაუთხოვარია და ბედს ელის...

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ნაცარი იქა, ფქვილი აქა.

ცრუ და მართალი

ერთ სოფელში უსაქმო ცრუ კაცი ცხოვრობდა. მთელი თავისი წუთისოფელი უსაქმურობაში, სხვის მოტყუებაში, ქურდობასა და ავკაცობაში გაეტარებინა. სოფელში ყველას სძულდა, ერიდებოდნენ მის სტუმრობას, მასთან შეხვედრასა და გამოლაპარაკებას. ცრუ კაციც მიხვდა, ამ სოფელში აღარ დამედგომებაო. აიკიდა გუდა-ნაბადი და გზას გაუდგა. ცხრა დღე და ღამე იარა, ცხრა მთა გადაიარა. ერთ სოფელთან დაუღამდა. წამოვიდა კოკისპირული წვიმა და სულ დასველდა.

მოიგონა ბრმობა და ერთ გლეხს მიადგა კარებზე: ამ თავსხმა წვიმაში ბრმა კაცი შეიფარეო.

ეს გლეხი ყოფილიყო კეთილი, შრომისმოყვარე და მართალი კაცი. ტყუილი მას თავის დღეში არ ეთქვა. შრომობდა პატიოსნად და სარჩოც მუდამ საკმარისი ჰქონდა. ცოლიც გამრჯე და მშრომელი ჰყავდა. გლეხმა ბრმა რომ დაინახა, შეებრალა და შინ შეიყვანა. გლეხის ცოლმა ბრმას სველი ტანსაცმელი გახადა და ქმრის ახალი ტანსაცმელი ჩააცვა. სველი ტანსაცმელი გაუშრო, გაუწმინდა და მოუმზადა.

იმ ღამით სტუმარი არ გაუშვეს: ასეთ წვიმაში ბრმა კაცი სადაც გადაიჩეხებაო. კარგად გაუმასპინძლდნენ და აბრეშუმის ლოგინში ჩააწვინეს.

ცრუ კაცს გუნებაში ბოროტი განზრახვა ჰქონდა. მთელი ღამე სახლს ათვალიერებდა, მაგრამ მოსაპარავი ვერა იპოვა რა. ლოგინს ხომ ვერ გაიტაცებდა. ისევ თვალი დაადგა ახალ ტანსაცმელს. დილით ადრე წამოხტა, ახალი შარვლის ჯიბეში სამი თეთრი ფული ჩადო და ტომარაში გაახვია. თვითონ თავისი დაგლეჯილი ტანსაცმელი ჩაიცვა და გზას გაუდგა.

გლეხს რომ გაეღვიძა, ყველაფერს მიხვდა. იფიქრა: ქურდი ჯერ კიდევ ასე შორს ვერ წავიდოდაო და გამოედევნა. მეზობელ სოფლამდის, მართლაც, დაეწია ბრმა კაცს, გააჩერა და ჩუმად უთხრა: კაცო, არა გრცხვენია, მე სტუმრად მიგიღე, პატივი გეცი, შენ კი ტანსაცმელი მომპარეო?!

ცრუ კაცმა ღრიალი მორთო: ქურდი მე კი არა, შენა ხარ, ბრმა კაცი გზაზე მივდივარ და ცილსა მწამებ; შენთან არასოდეს ვყოფილვარ და არც გიცნობ, ეგ ტანსაცმელი ჩემიაო.

მართალი კაცი შეწუხდა, ვეღარ მოითმინა და ხელიდან გამოგლიჯა ტომარა.

ამ ყვირილსა და ღრიალზე ხალხი შეგროვდა. ბრმა კაცმა თავი მოიკატუნა და ხალხს შესჩივლა: ეგ ყაჩაღი თავს დამესხა და ჩემი გაქურდვა სურს, ერთადერთი ტანსაცმელი წამართვაო.

ხალხს ბრმა შეებრალა. ეცნენ მართალ კაცს, ხელიდან გამოგლიჯეს ტომარა და ცრუს დაუბრუნეს: შე ყაჩაღო, ბრმა კაცი გაგიქურდავს, არა გრცხვენიაო!

მართალი კაცი ყველას ეუბნებოდა: რას ჩადიხართ, ეს ტანსაცმელი ჩემია, ამ ბრმას ღამე გავათევინე და მომპარაო. მაგრამ, ამას, აბა, ვინ დაიჯერებდა!

ახლა ცრუ კაცმა გამოიდო თავი. მართალი ადამიანივით წინ წამოიწია და ხალხს ჰკითხა: ეგ ტანსაცმელი თუ მაგ კაცისაა, აბა, მითხრას, შარვლის ჯიბეში რა უდევსო?

მართალმა კაცმა უთხრა: ტანსაცმელი ჩემია, შარვლის ჯიბეში რა უნდა იყოს, არაფერიო.

— ტყუისო, — დაიყვირა ბრმა კაცმა, — შარვლის ჯიბეში სამი თეთრი ფული მაქვს შენახული, თუ ტანსაცმელი მაგისია, ჩემი ფული ჯიბეში საიდან გაჩნდაო...

გასინჯეს შარვალი და ჯიბეში მართლა იპოვნეს თეთრი ფული. ახლა კი ყველა დარწმუნდა, ტანსაცმელი ნამდვილად ბრმისა ყოფილაო. შეარცხვინეს მართალი კაცი, სცემეს, მეორედ ბრმის გაქურდვა არ განიზრახოსო.

— მე გამქურდეს და მევე მცემთ, სამართალი სადა გაქვთო! — ამბობდა მართალი კაცი.

ამ დროს ხალხიდან ერთი ჭაღარა კაცი გამოვიდა, მიიხედ-მოიხედა, დინჯი ნაბიჯით ბრმასთან მივიდა, მხარზე ხელი დაადო და უთხრა: ეგ ტანსაცმელი ბაღდადს შეუკერავთ, ზედ წითელ-წითელი ზოლებიც დაუყოლებიათ, შენ მაგას ვინ მოგცემდაო! ცრუ კაცს ახლა დაავიწყდა, რომ თავი ბრმად გაასაღა და მოხუცს პირში მიახალა: რას მიედ-მოედები, ბრმა ხომ არა ხარ, ჩემი ტანსაცმელი შავი ფერისაა და არავითარი ზოლები არა აქვსო!

მოხუცმა ცრუ კაცს ჩამოართვა ტანსაცმელი და მართალს გადასცა: შენ ტყუი, ბრმა არა ხარ, ეს ტანსაცმელიც ამ გლეხისაა!

ცრუ კაცი შერცხვენილი გაეცალა იქაურობას.

გურჯისტანის ხატი

ერთ სოფელში გაბედული ვაჟკაცი ცხოვრობდა. კარგი სახელი ჰქონდა გავარდნილი. ედგა პატარა ქოხი, თავს ბედნიერად გრძნობდა, მაგრამ უშვილობას ძალიან დარდობდა. ისა და მისი ცოლი სულ შვილზე ოცნებობდნენ. ხანი გადიოდა და შვილი არ ეძლეოდათ. ამიტომ ეს კაცი მთელ თავის დროს ნადირობაში ატარებდა.. იქ ერთობოდა.

ერთ დღეს ის ჩვეულებრივ წავიდა სანადიროდ. ცოლმა სამი თვის საგზალი მოუმზადა. ხანი გამოხდა. ამ სახელმწიფოს თავს დაესხა აღმოსავლეთის ხელმწიფე. მთელი ქვეყანა ააოხრა და მოსპო. არც ერთი ვაჟკაცი არ დარჩენილა ცოცხალი. თუ კი ვინმე გადარ-

ჩა. წყეულმა ხელმწიფემ წინ გაირეკა და თავის მონებად დაიყენა. ტყვეებს საშინლად აწამებდა.

მონადირე შინ რომ დაბრუნდა, ვეღარავინ იპოვნა. ქვეყანა აოხრებული დახვდა, სახლ-კარი—დამწვარ-დაბუგული, ცოლი ტყვედ წაეყვანათ. „რადაც არ უნდა დამიჯდეს, მტერს. სამაგიერო უნდა გადავუხადოო“, თქვა მონადირემ, აიღო ხელში მშვილდისარი და გამოუდგა მის კვალს.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მიადგა ერთ გზაჯვარედინს. აქ ლოდზე ეწერა: „ვინც დასავლეთით წავიდეს, მთელი ცხოვრება იაროს და მშვიდობით დაბრუნდეს; ვინც სამხრეთით წავიდეს, გაჭირვებით დაბრუნდეს; ვინც აღმოსავლეთით წავიდეს, ვეღარ დაბრუნდეს“.

მონადირე ჯერ სამხრეთისაკენ წავიდა. კარგა გზა რომ გაიარა, ისევ უკან დაბრუნდა და აღმოსავლეთის გზას გაუდგა. ცხრა თვე და ცხრა დღე იარა, ძალიან დაიღალა, უდაბური მინდვრები გადაიარა. ტრიალ მინდორში ხე დაინახა და მის ჩეროში დასასვენებლად წამოჯდა. სად იყო, სადა არა, იქ ერთი მგზავრი გამოჩნდა. ხელში გრძელი ჩომბახი ეჭირა და ძლივს მიდიოდა.

— ხუთი დღის მშიერ-მწყურვალი ვარ, ქენი კაცობა, პური მაჭამეო, — სთხოვა მონადირეს.

მონადირეს ნამცეცებიღა მორჩენოდა და მიაწოდა მგზავრს. ის მადიანად შეექცა ხმელ პურს. ბოლოს მგზავრმა ჰკითხა: საით გიმგზავრია, ყმაწვილო, ამ უდაბურ ქვეყანაში რამ მოგიყვანა. აღმოსავლეთის ხელმწიფის შიშით აქ თავისუფალ ადამიანს ფეხი ვერ დაუდგამს, ხალხი წელშია გაწყვეტილი, დედამიწასაც პირი შეუკრავს და ნაყოფს არ იძლევა, ქალი და საქონელი გაბერწებულია და უნაყოფოდ ილუპება ყოველი სულდგმული. შენ აქ რამ მოგიყვანაო!

მონადირემ თავისი თავგადასავალი უამბო. მგზავრს ძალიან შეებრალა მონადირე და უთხრა:

— შური უნდა იძიო, ყმაწვილო, შური, შენი ქვეყნისა და ოჯახის დამქცევი აღმოსავლეთის ხელმწიფეაო!

— კი, მაგრამ როგორ ვიპოვო ის წყეული, მე მასთან ვინ მიმიშვებსო?

— ნუ დარდობ, გზას მე გასწავლი, შენ ყოჩაღად მოიქეცი, გული არ გაიტეხო. აქ რომ დედამიწას პირი შეუკრავს და ნაყოფს არ იძლევა, ეს გურჯისტანის ხატის ძალითაა. აღმოსავლეთის ხელმწიფეს გურჯისტანი დაუქცევია, კაცი და ქალი გაუწყვეტია, ვინც

ცოცხალი გადარჩენილა, ამ უდაბნოში გამოურეკია. ხატი მოუტაცნია, გაუძარცვავს და ის არის განრისხებული მასზე. აღმოსავლეთის ხელმწიფე ხატს თუ თაყვანს სცემს, დედამიწა პირს გაიხსნისო.

მგზავრებმა დიდხანს ილაპარაკეს და იმ ღამით იქ დარჩნენ. დილით მონადირემ რომ გაიღვიძა, მგზავრი ვეღარსად იპოვა: ადრე წასულიყო. ადგა და გაუდგა აღმოსავლეთის ხელმწიფის გზას.

გაიარა და ხედავს: უწყლობით ადამიანები სულს ღაფავენ, საქონელი ბღავის. მდინარეში წყალი დამშრალა. ცოტა კიდევ გაიარა და ხედავს, ხალხი შიმშილით დახოცილა. მინდვრები გადამწვარა, ნამი არ ჩამოვარდნილა. აღმოსავლეთის ხელმწიფეც დაგლახაკებულა და პირიდან დორბლსა ჰყრის.

მონადირემ სტყორცნა ისარი და ზედ ხელმწიფის სახლის კარზე დაარჭო. ხელმწიფემ ბრძანება ვასცა: ახლავე მომგვარეთ ის თავხედი, ვინც ეს გაბედაო.

დაიჭირეს მონადირე და ხელმწიფეს მიუყვანეს.

— როგორ გაბედე ჩემს საბრძანებლოში შემოსვლა და ასეთი თავხედობა? — დასჭყივლა ბოროტმა ხელმწიფემ.

— გურჯისტანის ხატი უარეს დღესაც დაგათენებს, გიჯობს, ახლავე გაათავისუფლო დატყვევებული ხატი და ხალხი, თორემ შენი აღსასრული მოახლოვდა! — უთხრა მონადირემ.

— დაიჭირეთ ეს თავხედი, წაიღეთ გურჯისტანის ხატიც და ანთებულ საკირეში ჩააგდეთ! — ბრძანა განრისხებულმა ხელმწიფემ.

ეცნენ მონადირეს, ხელ-ფეხი შეუკრეს, წაიღეს გურჯისტანის ხატიც და ერთად ჩააგდეს ანთებულ საკირეში. ეცენ აგიზგიზებული ცეცხლი ჩაქრა. საკირე გაიღო და მონადირემ გამოასვენა ხატი. შეშინებული მცველები ხელმწიფესთან გაიქცნენ. მონადირემ ხელმწიფის სასახლეს ცეცხლი წაუკიდა და ხელმწიფე და მისი სახლობა ძირიანად ამობუგა. ტყვეები გაათავისუფლა და სამშობლოში დააბრუნა. წამოასვენა გურჯისტანის ხატი და ლომისაში დაასვენა.

მონადირე შემდეგაც კიდევ დიდხანს ეძებდა თავის საყვარელ მეუღლეს, მაგრამ ვერ იპოვა. აღმოსავლეთის წყეულ მეფეს ის თავისი ხელით დაეხრჩო...

ხარგი ოქრომჭედელი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი კაცი. დღე და ღამე შრომობდა, ხნავდა და თესავდა, მარგლიდა და თოხნიდა, მაგრამ სიღარიბიდან თავი მაინც ვერ დაეხსნა. მემამულის მიწას ამუშავებდა და მის შემოსავალს ბარაქა არა ჰქონდა: მოსავლის ნახევარი მიწის მეპატრონეს მიჰქონდა.

ერთ გაზაფხულზე ამ კაცმა შეაბა კავში ხარები და შეუდგა ხვნას. შუადღე გადასულიყო, მაგრამ დასვენებას არ ფიქრობდა. იმ დღეს საშინლად ცხელოდა, მინდორში ბუღი იდგა, ნიავიც არ იბროდა, კაცს სულის მოთქმაც კი უჭირდა. უცებ სახნისი რაღაცას მოედო და მიწიდან დიდი ლოდი ამოაგორა. ლოდი ორად გატყდა და მზეზე ბრწყინვა დაიწყო. ღარიბი კაცი შეშინდა: ფარცაკი რამე არ იყოსო!

ამოათრია მიწიდან ლოდი, მიწა შემოაცალა და რას ხედავს, ნამდვილი ოქროს ზოდი, ორად გატეხილი! შეახვია პერანგში, გაიდო მხარზე და შინ წაიღო.

მეორე დღეს ერთი ნატეხი ბაზარში წაიღო და ოქრომჭედელს მიუტანა. ოქრომჭედელმა თვალები წამოკარკლა, საწყალი კაცის მოტყუილება მოინდომა. ნატეხი აწონა, გამოვიდა სამი ოყა, ღარიბ კაცს კი უთხრა: ნახევარ ოყას იწონის, უვარგისი ნატეხია, ასი თუმანი ღირსო. ღარიბი კაციც არ იყო ისე ბრძალი, რომ ოქრომჭედლის ეშმაკობას ვერ მიმხვდარიყო. ნატეხი უკანვე გამოართვა და წამოსვლა დააპირა. ოქრომჭედელი არ მოეშვა: მომყიდე და მომყიდეო! მაგრამ ფულის გადახდა არ უნდოდა.

ბოლოს ღარიბმა კაცმა ხერხი იხმარა. ოქრომჭედელს უთხრა: მომეცი ხელწერილი, რომ ჩემგან იყიდე ნახევარი ოყა ოქროს ნატეხი, ორმოცდაათი თუმანი დღეს მომეცი და დანარჩენი ორმოცდაათი თუმანი შემდეგო. ოქრომჭედელს სახე გაუნათლდა. ორმოცდაათი თუმანი იქვე დაუთვალა და ხელწერილიც მაშინვე დაუწერა.

ღარიბმა კაცმა, ხელწერილი და ფული რომ მიიღო, ბევრი აღარ დააყოვნა, დაავლო ხელი ოქროს ნატეხსაც და მოკურცხლა. ოქრომჭედელმა ჯერ იფიქრა, ხუმრობსო, მაგრამ როცა შეატყო, საქმე წახდაო, ყვირილი მორთო, ხალხი დაედევნა და ღარიბი კაცი შეიპყრეს.

ადგილზე ბოქაულიც მობრძანდა. მან გამოიძია ყვირილის მიზეზები. ოქრომჭედელმა თავისი საჩივარი მოახსენა: ამ კაცმა ოქროს ნატეხი მომყიდა, ფული მ-ეცი, მაგრამ ოქროს ნატეხი უკანვე გაიტაცა და მიმალვას აპირებდაო.

— არა, ოქრომჭედელი მართალს არ ამბობს, — უთხრა ბოქაულს ღარიბმა კაცმა, — მე მაგას ოქროს ნატეხი ხელში მივეცი.

— მე როგორ მომცემდა, აგერ უჭირავს ხელშიო, — თქვა ოქრომჭედელმა.

— არა, ოქრომჭედელი ახლაც არ ამბობს მართალს, ეს ოქროს ნატეხი სულ სხვაა, მიწის პატრონს უნდა მივართვაო. თუ არ გჯერათ, ნახეთ ხელწერილი, მე მაგას მივეცი ნახევარი ოყის წონის ნატეხი, ეს კი სამ ოყას იწონისო. ბოქაულმა შეამოწმა ოქროს ნატეხი და, მართლაც სამ ოყას იწონიდა, ხელწერილში კი ნახევარი ოყა ეწერა.

ხარბი ოქრომჭედელი გამტყუნდა: ოქროც დაკარგა და ფულიც.

მეორე დღეს ღარიბმა კაცმა ოქრომჭედელს თავისი ორმოცდაათი თუმანი უკანვე გაუგზავნა, ხოლო ოქროს ზოდის ნატეხი საკადრის ფასში გაყიდა.

ღარიბი კაცი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე, ავი და მავნე. სულ ომობდა. ხალხს ჟლეტდა და ხოცავდა. ყველას სძულდა.

ერთ დღეს ამ ხელმწიფეს ომი გამოუცხადა მეზობელმა ხელმწიფემ. მტერი ძალიან სასტიკად იქცეოდა, ყველაფერს ცეცხლს უკიდებდა, კაცებს თავს სჭრიდა, ქალებს იტაცებდა, მოხუცებს და ბავშვებს წვავდა. გავერანდა მთელი სახელმწიფო. ხელმწიფე იძულებული შეიქმნა თავი შეეფარებინა ერთი ციხისათვის. ჩაიკეტა შიგ თავისი ჯარით. მტერი გარს შემოერტყა და ციხეს დანგრევას უქადდა.

ამ ხელმწიფემ დაიბარა თავისი ნაზირ-ვეზირები და უთხრა: თუ სამ დღეში მტერს უკან ვერ განდევნით, სულ ყველას თავებს დაგაჭრითო.

ნაზირ-ვეზირებმა სიტყვის შებრუნება ვერ გაუბედეს, თავი დაუკრეს და უკან გამობრუნდნენ. დასხდნენ, ბევრი იფიქრეს, თავი იმტვრიეს, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრეს.

ნაზირ-ვეზირებთან ერთი ღარიბი კაცი მივიდა. ჯერ თავმდაბლად მიესალმა და შემდეგ დაღონების მიზეზი ჰკითხა.

ნაზირ-ვეზირებმა ერთმანეთს გადახედეს, ერთს მისი გაგდება

უნდოდა, მაგრამ მეორემ გააჩერა: მოდი, ჩვენი გაჭირვება ვუამბოთ, იქნებ დაგვეხმაროსო!

— ჩვენ ვერა მოგვიფიქრებია რა, ეგ გლეხი აბა რას მოიფიქრებსო, — უთხრა მეორემ და, — გამეცალეო! — დაუყვირა გლეხს.

საწყალი კაციც უკან გაბრუნდა. გული კი ძალიან დასწყდა: კაცადაც არ ჩამაგდეს, არ გამომელაპარაკნენო.

ბოლოს ერთმა ვეზირმა დაუძახა ამ კაცს: აქ მო, გლეხო, თუ ხვალამდის არ მოგიფიქრებია მტრის დამარცხებისათვის რაიმე, თავს მოგჭრითო.

— ძალა სადაა, თორემ მაგას რა მოფიქრება უნდა, დიდი ხანია მოფიქრებული მაქვსო.

— მერე და რა ძალა გჭირდება, ძალა ჩვენა გვაქვსო, — უთხრეს ნაზირ-ვეზირებმა.

— მომეცით ასი მუშაკაცი, ასი ბარი და ასი წერაქვი და მე ვიცი, — უთხრა გლეხმა.

ნაზირ-ვეზირებმა მაშინვე გამოიყვანეს ასი კაცი. ამ გლეხმა ციხის მთავარ კარს მეორე კარი გაუკეთა, აქედან გვირაბით ციხის ეზოში სამი გასავალი გააკეთა. თუ მტერი მთავარ კარს გახსნიდა, ციხის ეზოში სამი გვირაბით უნდა შესულიყო. მაგრამ გვირაბები ისე იყო გაკეთებული, რომ იქიდან ვერც ერთი კაცი ცოცხალი ვერ მიაღწევდა ციხის ეზომდის. გლეხმა რომ ეს გააკეთა, ნაზირ-ვეზირებს უთხრა: ახლა მე ციხიდან გადამაგდეთ, თან ციხის გასაღებიც გამატანეთ. მე მტერს კარებს გავუღებ, ისინი შემოცვივიან გვირაბებში, თქვენ კი ნაწილ-ნაწილად დახოცეთო.

ეს აზრი ნაზირ-ვეზირებს მოეწონათ. შეუკრეს ხელ-ფეხი ამ გლეხს, აიყვანეს ციხის მაღალ კედელზე და გადაუშვეს თოკით.

მტერმა რომ ეს დაინახა, გაუკვირდა. აიყვანეს ხელფეხშეკრული გლეხი და თავიანთ ხელმწიფეს მიგვარეს.

— ვინა ხარ, რა კაცი ხარ, რა დაგიშავებია, რომ ასე გადმოგაგდეს ციხიდანაო, — ჰკითხა ხელმწიფემ.

— თქვენი ერთგული ვარ, ციხის კარის გაღება მინდოდა, მაგრამ მომისწრეს, მცემეს, მაწამეს, ხელ-ფეხი შემიკრეს და მოსაკლავად გამამზადესო. ის კი არ დაუნახავთ, რომ ციხის მთავარი კარების გასაღები მოვიპარე და უბეში დავიმალეო. თუ არ მომკლავთ, გასაღებს გადმოგცემთ და ციხეს ახლავე გავტეხთო.

ხარბი ხელმწიფე ამ ამბავმა შეაცდინა. მაშინვე ხელიდან გამოგლიჯა გლეხს გასაღები, ეცა კარებს, უცებ გააღო და თავისი ჯარი მიუსია ამ კარებს. კარები რომ გაიღო, მას ეგონა ციხის ეზოში შე-

ვიდოდა, მაგრამ მწარედ მოტყუვდა, ბნელ გვირაბში ამოყვეს თავი. ველარაფერს არჩევდნენ, გვირაბის გასასვლელთან ხმალამოწვდილი მეციხოვნენი იდგნენ და მუსრს ავლებდნენ მტერს. სულ მოკლე ხანში ეს ხელმწიფე და მისი საუკეთესო ჯარი განადგურდა. ვინც დარჩა, პირი იბრუნა და უკან გაიქცა. გამარჯვებულები დაედევნენ მტერს და ყველას კუდით ქვა ასროლინეს.

ხელმწიფე გამარჯვებას დღესასწაულობდა. დაიბარა თავისი ნაზირ-ვეზირები და ოქრო-ვერცხლით დააჯილდოვა. მთავარ ვეზირს სამი ჯორ-აქლემი თვალ-მარგალიტით დატვირთული მიუძღვნა.

ყველაფერი რომ დაწყნარდა, ხელმწიფესთან მივიდა ეს გლეხი და დახმარება სთხოვა. მთავარმა ვეზირმა გამოაგდო, როგორ ბედავ ხელმწიფესთან მისვლასო. უბრძანა თავის კაცებს და ეს გლეხი გააბაწრინა. ცემით რომ გული იჯერეს, გლეხი წაიყვანეს და ორმოში გადააგდეს.

სამი წელიწადი და სამი თვე იტანჯებოდა ეს გლეხი. ძლივს გადაურჩა სიკვდილს. შემდეგ ხალხში ლაპარაკობდა: მტერი მე გავანადგურე, მე გადავარჩინე ჩვენი ციხეო.

მეზობლები კი საწყალ კაცს დასცინოდნენ: საბრალო, ჭკუაზე შეცდა, შეხედეთ, რაებს როშავსო!

ძმეგი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი ცოლ-ქმარი. ჰყავდათ ორი ვაჟიშვილი. ცხოვრობდნენ გაჭირვებით, პურიც აკლდათ და ფულიც.

ვაჟიშვილები წამოიჩრიხვნენ. უფროსმა ძმამ ცოლი შეირთო და მშობლებთან ერთად დასახლდა. უმცროსი ძმა კი იქ ვეღარ მოთავსდებოდა. ადგა და სოფლის ბოლოს დასახლდა. უნდოდა ხარურმის შეძენა. ჯერ მიწის პატრონს დაუდგა მოჯამაგირედ, შემდეგ საქირაოდ იმუშავა და რის ვაივაგლახით იყიდა ერთი უღელი ხარი. გაჭირვებით ხნავდა და თესავდა; წლის სარჩო პურს ძლივს იწევდა. როცა დაცოლშვილდა, კიდევ უფრო გაუძნელდა ცხოვრება, მაგრამ გულს არ იტეხდა, ერთგულად მუშაობდა და მომავლის იმედი ჰქონდა.

არც უფროსი ძმა ცხოვრობდა უკეთესად. მას ცოლშვილთან

ერთად დედ-მამაც ჰყავდა სარჩენი. მაგრამ გულს არც ეს იტეხდა, პატიოსნად შრომობდა და მომავლის იმედი ჰქონდა.

გავიდა ხანი, ერთ წელიწადს ცუდი მოსავალი იყო. გვალვამ ყანები გააოხრა. უმცროსმა ძმამ რაღაც ოციოდე ძნა მომკო. ასევე ცოტა მოუვიდა პური უფროს ძმასაც. მისი მომკილი ოცდახუთიოდე ძნა ძლივს იქნებოდა. უმცროსმა ძმამ იფიქრა, ჩემს ძმას წელს ძალიან გაუჭირდება, ღარიბად ცხოვრობს, ცოლ-შვილთან ერთად დედ-მამაც მის კისერზეა, მოდი, ჩუმად რამდენიმე ძნას წავუღებ და მის ძნებში შევურევო. როცა დაღამდა, აიკიდა ზურგზე ორი ძნა და წაიღო. მთვარე ჯერ არ ამოსულიყო, მაგრამ ვიღაც კაცი კი დაინახა გზაზე, მასაც ძნები მოქონდა. მიიტანა ჩუმად თავისი ძნები და ძმის ძნებს მიუმატა.

შინ რომ დაბრუნდა, ისევ ისე ოცი ძნა დაუხვდა. ახლა უფრო გაუკვირდა, ნეტავ რა მემართებაო, — იფიქრა.

ძლივს ვაი-ვაგლახით აიკიდა ოთხი ძნა და ძმას წაუღო. შუა გზაზე კვლავ შეეჩეხა ვიღაც ძნებაკიდებული კაცი. ერთმანეთს დაეჯახნენ. გამოისაუბრეს და ერთიმეორე იცნეს. თურმე ეს უფროსი ძმა ყოფილიყო.

უფროს ძმას ეფიქრა: წელს ცუდი მოსავალი იყო, უმცროსი ძმა ღარიბად ცხოვრობს, მოდი, რამდენიმე ძნას ჩუმად მივუტან, ძმა არის, ბედნიერად იცხოვროსო. ძმებმა თავიანთი თავგადასავალი უამბეს ერთმანეთს. ორივეს ცრემლები მოადგათ თვალებზე. ერთმანეთს გადაეხვივნენ და დიდხანს საუბრობდნენ ამ შუაღამით.

ასეთია ნამდვილი ძმობა!

სამი და

ერთ ღარიბ კაცს სამი ქალი ჰყავდა. სამივე ლამაზი და კარგი. ხანი გამოხდა და ქალები გათხოვდნენ. უფროსი და წაჰყვა აზნაურს, შუათანა — მდიდარ სოვდაგარს, ბოლოლა კი — მწყემსს. უფროსი დები სასაცილოდ იგდებდნენ უმცროს დასა და მის ქმარს. მაგრამ ისინი თავისი ბედით კმაყოფილი იყვნენ, პატიოსანი შრომით ცხოვრობდნენ.

ერთ დღეს ღარიბი კაცი ავად გახდა და სიძე-ქალიშვილები მოიწვია. მობრძანდა უფროსი ქალი და მისი აზნაური ქმარი. ცხენები

ეზოში გაუშვეს და ავადმყოფი მოიკითხეს. ცოტა ხნის შემდეგ შუა-თანა ქალიშვილი და მისი სოვდაგარი ქმარი მობრძანდნენ ეტლით. მათაც მოიკითხეს ავადმყოფი. სიძეები საუბრობდნენ, დები ისევ ბოლოლას დასცინოდნენ.

შუადღე გადასული იყო, როცა გამოჩნდნენ ბოლოლა და მისი ქმარი — მწყემსი. ქალს ხელში ფუთა ეჭირა, ქმარს მხარზე ხურჯინი გადაეკიდა. მოვიდნენ, მოიკითხეს ავადმყოფი მამა, მას ბოლოლა ქალმა საჩუქრები მიართვა: კარგად შეკერილი პერანგი და ჩოხა; სიძემ — მთელი ხურჯინი ქადა-ნაზუქები, შემწვარი ქათმები, ხაჭა-პურები და დოქით შავი ღვინო.

მშობლებს ძალიან გაუხარდათ სიძე-ქალიშვილების სტუმრობა. ავადმყოფმა მამამ თვალები გამოახილა, ახალი პერანგი ჩაიცვა, ჩოხა მოიხურა და ზეზე წამოდგა. დედა კი ვახშმის სამზადისს შეუდგა. უფროსი დები და სიძეები განაგრძობდნენ ბოლოლა დისა და სიძის დაცინვას. ბოლოლა და კი დედას ეხმარებოდა ვახშმის მომზადებაში. მოხუც მშობლებს სახლში არაფერი არ ჰქონდათ, რაც ბოლოლა ქალმა და მისმა ქმარმა მოიტანეს, იმით გაუმასპინძლდნენ საპატიო სტუმრებს. აზნაურმა და სოვდაგარმა ზედიზედ გადაკრეს შავი ღვინო, ერთხელაც არ უხსენებიათ მისი მომტანი. კარგად გამოთვრნენ და იმ ღამეს არხეინად დაიძინეს.

ხანი გამოხდა. მცონარა აზნაური გაღარიბდა. სახლ-კარი გაუქერანდა, მიწა-მამული გაყიდ-გამოყიდა, ფული შემოაკლდა, ვალები დაედო და ცხოვრება გაუჭირდა. სოვდაგარიც შორს ქვეყანაში საკაპროდ წავიდა, მისი საქონლით დატვირთული გემი ზღვაში ჩაიღუპა და თვითონ ძლივს გადარჩა. სახლ-კარი გაყიდა და ლუკმაპატრის შოვნაც უჭირდა.

მწყემსი და მისი ცოლი კი პატიოსნად შრომობდნენ. მწყემსობაში აღებული ფულით სახლ-კარი გამართეს, ცხვარი და ძროხა შეიძინეს, ერთგულად შრომობდნენ და ტკბილ ლუკმას ჭამდნენ. შვილებიც წამოეზარდათ და მათაც პატიოსან შრომას ასწავლიდნენ. მათ ბედნიერებას მეზობლები შენატროდნენ.

ერთ დღეს კარებზე მოადგათ უფროსი და; ის სულ გამხდარიყო, ტანსაცმელი ზედ შემოგლეჯოდა და შიმშილს ძლიერ გაეტანჯა.

— შენი უფროსი და ვარ, შემიფარე, ცოტა რამე დამეხმარე, თორემ შიმშილით სული გვხდებაო, — შეაბრალა თავი ბოლოლა დას.

ბოლოლა დამ რომ უფროსი და ასეთ გაჭირვებაში ნახა, გული აუჩუყდა, ბევრი იტირა, და სიყვარულით მიიღო, კარგადაც გაუმასპინძლდა. მეორე დღეს მთელი ურემი დაუტვირთა ხორბლით

და თან გაატანა. უფროს დას მადლობაც კი არ უთქვამს. გამორეკა ურემში შებმული ხარ-კამეჩი და წამოვიდა.

გავიდა რამდენიმე დღე და ახლა ბოლოლა დას კარზე მიადგა შუათანა და. სილამაზე სულ დაჰკარგოდა, გაძვალტყაევებულიყო, ტანს ძონძები ეცვა, ცნობაც კი გაუჭირდებოდა კაცს.

— შენი შუათანა და ვარ, გამიჭირდა, დამეხმარე, შიმშილით სულს ნუ ამომბდიო! — უთხრა ბოლოლა დას.

ბოლოლა დამ ძლივს იცნო შუათანა და. ტირილით გული ამოუჯდა. ცრემლებით ჰკოცნიდა და ეალერსებოდა. ძონძები გახადა, თავისი კარგი კაბები ჩააცვა და მეორე დღეს საჩუქრებით გაისტუმრა. მასაც გაატანა ერთი ურემი ხორბალი. მადლობა არც შუათანა დას უთქვამს.

მწყემსს ძალიან ეწყინა ცოლისდების ასეთი უმადურობა.

— ეგენი ღირსნი არ არიან პატივისცემისა, იშრომონ და ექნებათ, ჩვენ როცა ვშრომობდით, ხომ გახსოვს, როგორ დაგვცინოდნენო, — უთხრა ცოლს.

ბოლოლა დას ისევ ცრემლი მოერია, დები მაინც არ ემეტებოდა გასალანძღავად.

მეორე წელიწადს კიდევ მიადგნენ კარს უფროსი და შუათანა დები. ახლა მათ მწყემსი სიძე შეხვდა.

— თქვენ ღირსნი არა ხართ სტუმრობისა, შრომა არ გიყვართ, მშრომელ კაცს კი დასცინით, თხოვნისა არ გრცხვენიათ, პატიოსნად და მოთმინებით იშრომეთ და ყველაფერი გექნებათ, ჩვენი იმედი ნუ გაქვთო! — უთხრა მათ და კარები გამოიკეტა.

დები კუდამოძუებული გაიქცნენ. მიდიოდნენ და მიბუზღუნებდნენ. მათ გასცქეროდა ბოლოლა და თვალები ცრემლებით ევსებოდა.

— როგორ ულმერთოდ გააგდე, ისინი მაინც ხომ ჩემი დებიაო! — უთხრა ქმარს...

გლეხი და ვაჭარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მდიდარი ვაჭარი. ჰყავდა ახალგაზრდა ცოლი, დიდი სოვდაგრის ქალიშვილი. ქალს მამა მოუკვდა და ძალიან დამწუხრებული გაბლდათ.

ერთ დღეს ვაჭარი სავაჭროდ წავიდა. ჩამოიარა ღარიბმა გლეხმა და ქალს მოწყალება სთხოვა.

— საიდან გივლია, სად ყოფილხარ, ასე რამ დაგაჩაჩანაკა? — ჰკითხა ქალმა.

— იმ ქვეყნიდან მოვდივარ, შენი ჭირიმე, საიქიოს გახლდი, ვერ გავუძელი გაჭირვებას და ამ ქვეყანას ჩამოვიარე, ხვალ ისევ უკან უნდა დავბრუნდე! — უპასუხა გლეხმა.

ქალი დატრიალდა, სადილი გააკეთა, ორი ქათამი დაკლა, სავსე ქვევრს მოხადა, გლეხს კარგად გაუმასპინძლდა. სამი ოქროს თუმნიანიც აჩუქა.

— კეთილო კაცო, საიქიოს მამაჩემი არ გინახავსო? დიდი სოვდაგარია, შავი და გრძელი წვერი აქვს, ჩოხა-ახალუხი აცვია, აი ეს ერთი თვეა, რაც ამ ქვეყანას გამოეთხოვა და ობლად დაგვტოვა! — ჰკითხა ქალმა.

— როგორ არა, შენი ჭირიმე, მამათქვენს ძალიან კარგად ვიცნობ, ერთ სახლში ვცხოვრობთ, საწყალს ძალიან უჭირს, არც პური აქვს და არც პურის ფქვილი, ის კარგი შავი წვერი გაუთეთრდა, ის შავი ჩოხა-ახალუხი ტანზე შემოაცვდა, — უთხრა ეშმაკმა გლეხმა.

ქალი საშინლად შეწუხდა. ტირილი წასკდა. დასტირის მამას. სთხოვა გლეხს: კეთილო კაცო, ცოტა რამეს გაგატან მამაჩემთან, ნუ დაიზარებ წაღებას, იქნებ უშველო საწყალს, თორემ შიმშილი და სიცივე შეაწუხებს.

— მთელი ურემი დამიტვირთე, შენი ჭირიმე, ყველაფერს უკლებლივ მივუტან, მადლია, ნურაფერს დაიზარებ და დაიშურებ! — უპასუხა გლეხმა.

ქალმა მაშინვე გამოიყვანა უღელი ხარი. შეაბა დიდ ურემში. დატვირთა საჭმელ-სასმელებით: ცხრა ტომარა ხორბლით, ცხრა ტომარა ბრინჯით, ცხრა ტომარა ფქვილით, ცხრა ფუთი ერბოთი, ცხრა ფუთი ყველით, ცხრა ფუთი თაფლით, ცხრა კოკა ღვინით, გაატანა თან ცხრა წყვილი ახალი ტანსაცმელი, ერთიც თბილი ქუდი, ცხრაასი თუმანი ოქრო და გაისტუმრა. გლეხმა გარეკა ხარები და სახლისაკენ გასწია. უხაროდა, ბრიყვი ქალი ასე ადვილად რომ მოატყუა.

სად იყო, სად არა, ვაჭარიც დაბრუნდა შინ. ცოლმა ყველაფერი უამბო: საიქიოდან კეთილი კაცი მესტუმრა, მამაჩემი გაჭირვებული უნახავს, ცოტა საგზალი გავატანე, აი, ეს-ეს არის გავისტუმრეო.

ვაჭარი მიხვდა ეშმაკი გლეხის ოინებს. საშინლად გაბრაზდა: გაბრიყვებულხარ, გლეხს გაუსულელებიხარ, თორემ სად გაგონილა საიქიოს ურმით საგზლის გაგზავნაო! გამოიყვანა თავისი საუკეთე-

სო ლურჯა ცხენი, შეკაზმა ოქროს უნაგირით, შეჯდა ზედ და გამოუდგა გლეხს.

გლეხი არხეინად მირეკავდა ხარებს. უკან მოიხედა და დაინახა მდევარი. გადაუხვია ტყეში. ურემი დამალა. ხარები საძოვრად გაუშვა, თვითონ კი გზაზე დაჯდა, ქუდი წინ დაიდო და ზედ ყვავილები მიაყარა.

გამოიარა ვაჭარმა. მოაჭენებდა გაოფლიანებულ ცხენს. გლეხს ჰკითხა: კეთილო კაცო, აქ ურმით ხომ არავის გაუვლია, ზედ უწყვია ფქვილით, ხორბლითა და ბრინჯით სავსე ტომრები, ერბოთი, თაფლითა და ღვინით სავსე კასრები?

— როგორ არა, შენი ჭირიმე, ახლახან გაიარა, ურემში კარგი ხარები ება, ზედაც ყოჩაღი გლეხი იჯდა, შენისთანა ჩია კაცს ახლოსაც არ გაიკარებდა. ახლა სამშვიდობოს იქნება!

— ჩქარა დავეწევი?

— არ ვიცი, გაიარე!

— არა, მითხარი, ჩქარა დავეწევი?

— გაიარე, გეუბნები, გაიარე, გავიგო, როგორ მიგყავს ცხენი!

ვაჭარმა ცხენს მათრახი გადაჰკრა და გაქუსლა. გლეხმა დაუძახა: მოაბრუნე, მოაბრუნე, ცხენოსნობა არ გცოდნია, საღამომდის ვერ დაეწევი, დრო რომ მქონდეს, გიშველიდი, მაგრამ ახლა არა მცალია!

ვაჭარი ცხენიდან ჩამოხტა. შველა სთხოვა. საჩუქრებს დაჰპირდა. ოღონდ ის გლეხი დამაჭერინე და რაც გინდა, მთხოვე, მოგცემო.

— არა, არ შემიძლია, შენი ჭირიმე, — უთხრა გლეხმა, — ამ ქუდში ბატონის მიმინო მყავს დამწყვდეული და მას ვდარაჯობ, ბატონი ტყეში ნადირობს, სადაცაა მოვა. მიმინო რომ არ დავახვედრო, თავს მომჭრისო.

— მიმინოსთან მე დავრჩები, ხელსაც არავის მივაკარებინებ. აი, ჩემი ცხენი, ოღონდ ის გლეხი გამათოკინე და რაც გინდა, მთხოვეო! — უთხრა ვაჭარმა.

მისცა წინასწარ ათი თუმანი ოქრო. შესვა ოქროს უნაგირიან ცხენზე და გაუშვა. გლეხმა ცხენს მათრახი გადაჰკრა და ვაჭარს დაუძახა: მიმინოს ვინძლო კარგად მოუარო, არ გაგიფრინდესო!

ვაჭარმა დიდხანს უცადა. უკვე დაღამდა, მაგრამ არც გლეხი გამოჩნდა, არც მისი ბატონი. იფიქრა, მიმინოს ხელში დავიჭერო. ფრთხილად ასწია ქუდი და შეყო შიგ ხელი. სად არის მიმინო! ახლა კი მიხვდა, ეშმაკმა გლეხმა გამაბრიყვაო.

გამწარებული ვაჭარი შინ დაბრუნდა. ხმა არ ამოუღია. ცოლისათვის არაფერი გაუმხელია.

ახლა მე თქვენ გეკითხებით, რომელია უფრო დიდი ბრიყვი, ვაჭარი, თუ მისი ცოლი?!.

ბრიყვი ბატონი და მოჯამაგირე

ბატონი მხართეძოზე წამოწოლილიყო და გრძელ ყალიონს აბოლებდა. მოჯამაგირე თავს ადგა და ბუზებს უგერიებდა. საწყალ მოჯამაგირეს უსმელ-უჭმელობით ფერი აღარ ჰქონდა, ფეხუცმელობით ფეხის გულები დახეთქოდა. ძლივს იდგა.

ბატონს საუზმე მოართვეს. მადიანად შეექცა. მთელი დოქი ღვინოც დააყოლა, კარგად გამოიბრუჟა და ისევ მხართეძოზე წამოწვა. მოჯამაგირე ნერწყვს ყლაპავდა. შიმშილით თვალები უბნელდებოდა. მოსამსახურემ საჭმლის ნარჩენები წაიღო და ღორებს გადაუყარა. მოჯამაგირეს ლუკმაც არ აჭამეს.

სისხლი ყელში მოადგა. რა უნდა ექნა. ბატონს ხომ ვერაფერს შეკადრებდა.

ამ დროს ბატონის ეზოს ორმა ცხენოსანმა ჩაუარა. აქეთკენ არც კი გამოუხედავთ, ისე განაგრძეს გზა. ბატონი გაბრაზდა. მოჯამაგირეს უბრძანა: წადი, გამიგე, ვინ ოხრები არიან, ჩემს ეზოს ჩამოუარეს და ბოდიში არ მოიხადეს!

მოჯამაგირე ცხენოსნებს გამოედევნა. ძლივს მიაწვდინა ხმა. ცხენოსნები შეჩერდნენ. ერთმა მათგანმა მოჯამაგირეს ჰკითხა:

— ვინ ხარ, რას თხოულობ, რა გინდა?

— ჩემმა ბატონმა შემოგითვალა, ვინ ოხრები ხართ, ჩემს ეზოს რომ ჩამოუარეთ და ბოდიში არ მოიხადეთო!

ცხენოსანი მოჯამაგირეს მოუბრუნდა და უთხრა: წადი, შენს ბატონს უთხარი, შენ სულელი და ბრიყვი ხარ, შენი მოჯამაგირე — ბრიყვის მსახური ბრიყვი-თქო!

მოჯამაგირე დაბრუნდა. ბატონმა ჰკითხა:

— ვინ იყვნენ, ჩემი ნაცნობები თუ უცნობები?

— ნაცნობები, შენც კარგად გიცნობენ და მეც!

— როგორ, ჩვენ ისინი საიდან გვიცნობენ?

— არ ვიცი, ასე კი მითხრეს: შენი ბატონი სულელი და ბრიყვია, შენ კი ბრიყვის მოჯამაგირე ბრიყვიო!

— ეგ რა გაუბედავთ იმ თავხედებს, რატომ კარგად არ უთავაზე!

— სიმართლის თქმისთვის განა კაცს სცემენ!

მოჯამაგირის ამ სიტყვებზე ბატონი პირდაღებული დარჩა და ხმა აღარ ამოუღია.

ცოლ-ქმრის ამგავი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი, ქმარი ხელმწიფესთან მსახურობდა და ყოველ თვისა და თვის თავს ჯამაგირს აიღებდა თუ არა, გაუგზავნიდა ცოლს.

გავიდა სამი თუ ოთხი თვე, ფული აღარ მოუვიდა ცოლს, ქმარი რაღაც მიზეზით აღარ უგზავნიდა. ცოლი ძალიან შეწუხდა, ადგა და წავიდა მამასახლისთან საჩივლელად: სამი-ოთხი თვეა ქმრისაგან ჯამაგირი აღარ მიმიღია, შიმშილითა ვკვდები, რა მიზეზია, მიშველე რამეო!

მამასახლისმა აათვალიერ-ჩაათვალიერა. თვალში მოუვიდა, უთხრა: მე ამაღამ თქვენთან წამოვალ და ხვალ გავიგებ მაგ საქმესო.

ქალმა უთხრა: მე თქვენს საკადრის ვახშამს როგორ მოვამზადებ, ღარიბი ვარო.

მამასახლისმა ფული მისცა: წადი, კარგი ვახშამი მოამზადეო.

ქალი მამასახლისიდან უფროსთან წავიდა საჩივლელად: შენი პირიმე, ბატონო, სამი-ოთხი თვეა, ქმრისაგან ჯამაგირი აღარ მიმიღია, და რა ვიცი, რა მიზეზია, მიშველე რამეო!

— ამაღამ თქვენთან წამოვალ და ხვალ გავიგებ მაგ საქმესო, — უთხრა უფროსმა.

— მე თქვენს საკადრის ვახშამს ვერ მოვამზადებ, — უთხრა ქალმა, — ღარიბი ვარო.

უფროსმა ფული მისცა: წადი, ვახშამი მოამზადე, ამა და ამ დროს მოვალო.

ქალი ახლა არქიელთან წავიდა.

— შენი ჭირიმე, ბატონო, სამი-ოთხი თვეა, ქმრისაგან ფული აღარ მიმიღია, არ ვიცი, რა მიზეზიაო!

არქიელმა უთხრა: ამაღამ, შვილო, თქვენთან წამოვალ და ხვალ ყველაფერი გარიგდებაო.

ქალმაც იგივე პასუხი მისცა: თქვენს საკადრის ვახშამს მე როგორ მოვამზადებო?!

მისცა ფული არქიელმა და უთხრა: წაიღე, შვილო, კარგი ვახშამი მოამზადე და ამა და ამ დროს მეც მოვალო.

ქალი წამოვიდა სახლში. სამი კარადა იყიდა, მოიტანა, დადგა და მოამზადა ვახშამი.

შებინდდა თუ არა, მოვიდა მამასახლისი, გაშალეს სუფრა და დასხდნენ. ვახშამს ჭამენ. ზედ უფროსიც მოვიდა. მამასახლისი ძალიან შეშინდა, გაქცევა დააპირა.

ქალმა უთხრა: საწყენად კი ნუ მიმიღებ, ამ კარადაში შებრძანდი, ვინ არის, ვნახავ, გავისტუმრებ, მერე გამოდი, დავსხდეთ და ქეიფი გავწიოთო!

მამასახლისი შეჯდა კარადაში, ქალმა გარედან დაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო. მოვიდა უფროსიც. გაუშალა სუფრა, დასხდნენ ვახშამზე. ამ დროს მოვიდა არქიელი, ქალმა უთხრა უფროსს: თუ შეიძლება კარადაში შებრძანდი, გავიგებ, ვინ მოვიდა, გავისტუმრებ, გამობრძანდი მერე, დავსხდეთ და ქეიფი გავწიოთო!

გაუღო მეორე კარადა, შეჯდა შიგ უფროსი, ქალმა გარედან დაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

შემობრძანდა არქიელი, გაშალეს სუფრა, დასხდნენ და დაიპირეს ვახშმობა. ქალს მეზობლის ბიჭი დარიგებული ჰყავდა, როდესაც არქიელი სუფრაზე დავსვა, მოდი და კარი დააკაკუნეო. მოვიდა მეზობლის ბიჭი და დააკაკუნა კარი.

ქალმა უთხრა არქიელს: საწყენად კი ნუ მიმიღებთ და კარადაში შებრძანდით ცოტა ხანს, გავისტუმრებ, ვინ არის და მერე გამობრძანდითო.

— დიდი სიამოვნებით, — უპასუხა არქიელმა, — ოღონდ კი დამმალე და რატომ არ შევალო!

შეჯდა კარადაში არქიელი. ქალმა გარედან დაკეტა, გასაღები ჯიბეში ჩაიდო. ქალი და მეზობლის ბიჭი დასხდნენ ვახშამზე და კარგად შეექცნენ.

მეორე დღეს ქალმა დაიჭირა სამი მუშა, აჰკიდა ზურგზე სამივე

კარადა და მთავარმმართებელს მიართვა. ქალმა სთხოვა: თქვენს მსახურთ უბრძანეთ, კარადები გააღონო.

მთავარმმართებელმა ქალს უბრძანა: თქვენ გააღეთო!

გააღო ერთი კარადა ქალმა და გამოძვრა მამასახლისი; გააღო მეორე — გამოვიდა უფროსი; გააღო მესამე — გამობრძანდა არქიელი.

მამასახლისი სამსახურიდან გამოაგდეს, უფროსი დაითხოვეს, არქიელი გაკრიჭეს და ციმბირში გაგზავნეს. უფროსობა ქალის ქმარს მისცეს...

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ᲥᲕᲠᲘᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ

იყო ერთი ქვრივი დედაკაცი. ჰყავდა ერთადერთი ვაჟი, მოუსვენარი, ყაჩაღი, მატყუარა. დედამ უთხრა:

— შვილო, ოღონდ ნუ იყაჩაღებ და სულ მე გარჩენ, ხელს ნუ გაანძრევ!

— არა, დედი, ვანა ჩემი ნებით ვყაჩაღობ? ზევით რომ წმიდა გიორგია, იმის ნებით ვყაჩაღობ, ის მიბრძანებს.

ადგა ეს დედაკაცი, დააცხო ხაჭაპურები, დაკლა ქათმები და ძღვნად წაუღო იმ წმიდა გიორგის. ბიჭმა დედას გაასწრო. შევიდა სალოცავში, ჩამოიფარა ფარდა და ფეხებს აქანავებს. სად იყო, სად არა, მოვიდა დედამისიც. შეეხვეწა წმიდა გიორგის:

— შენი სახელის ჭირიმე, ჩემ შვილს ყაჩაღობა მოაშლევინე, ერთი შვილი მყავს და ნუ დამიღუპავ.

— შენი შვილი ყაჩაღობაზე ამიგია და ყაჩაღობაზე უნდა გადავაგო! — უპასუხა თითქოს წმიდა გიორგიმ.

დედას რაღა უნდა ექნა, ეს ძღვენი იქვე დატოვა და შინ წამოვიდა გულდაწყვეტილი. ბიჭი გამოხტა, მოუსვა ხელი ამ სასმელ-საჭმელს და სულ ერთიანად შეჭამა. შემდეგ შინ გაიქცა და დედას კიდევ მიასწრო. დედა რომ დაბრუნდა, ჰკითხა:

— რა გითხრა იმ წმიდა ,ვიორგიმა?

— შენი სიტყვა მართალი ყოფილა, ეგრე მითხრაო.

ამის შემდეგ ამ ბიჭმა გაიამხანაგა დეიდაშვილი და ის სა-

ხელმწიფო სულ აიკლეს, სალაროები გაძარცვეს, სავაჭროები გაანაგეს. უაჩაღების გზა-კვალი ვერავინ იპოვნა, ბევრი ეძებეს, მცველებიც მიუჩინეს სალაროებს, მაგრამ ფულები იკარგებოდა. უაჩაღებს ვერ პოულობდნენ. ერთხელ სახელმწიფო ხაზინასთან კუპრით სავსე კასრი დადგეს, იქნებ ქურდი შიგ ჩავარდესო. ამ დღეს ქვრივიშვილმა ფულის მოსაპარავად დეიდაშვილი გაგზავნა. ის გადავიდა თუ არა, კუპრში ჩავარდა. ქვრივიშვილმა ვერა და ვერ ამოიყვანა. მოაჭრა თავი და თან წამოიღო, იქნებ ვერ იცნონო. მეორე დღეს ნახეს, რომ კაცი კი გდია კუპრში, მაგრამ თავი არა აქვს. მოაბეს ამ კაცს თოკი და ათრევენ ქუჩაში, ვინც ტირილს დაიწყებს, პატრონი ის იქნება და დავიჭიროთო.

ქვრივიშვილმა დეიდაშვილის ცოლს უთხრა: ხმა არ ამოიღო, არ იტირო, თორემ გაგვიგებენ, დაგვიჭერენ და ყველა დავიღუპებითო.

პატრონი რომ ვერ იპოვეს, მკვდარი შარა-გზაზე ერთ ხეზე ჩამოკიდეს, მცველები მიუჩინეს, აქ მთელი ხალხი მიდი-მოდის, პატრონი გამოჩნდება, დაიტირებს და დავიჭერთო.

ამ ბიჭის ცოლი ძალიან ტიროდა. უნდოდა მკვდარი ქმრის დატირება, მაგრამ ქვრივიშვილი აო უშვებდა, ბოლოს, ქვრივიშვილმა რძალს გაატანა საჭმელი და ჯამ-ჭურჭელი: წაიღე, ვითომ მუშებთან მიგაქვს. როცა მკვდართან გაივლი, დალეწე და შემდეგ იტირე რამდენიც გინდა. მცველებს ეგონებათ, ჯამ-ჭურჭელს ტირისო! ქალი ასეც მოიქცა. დაამტვრია ჯამ-ჭურჭელი და დაიწყო ტირილი. მიცვივდნენ მცველები. ნახეს, რომ ქალი ჯამ-ჭურჭელს დასტირის, ვერ დაიჭირეს.

ქალმა ტირილით ფული იჯერა და წამოვიდა სახლში. ქვრივიშვილმა მკვდარს საფლავი გაუმზადა, ვირს აპკიდა სასმელ-საჭმელი და თითქოს შორეული მგზავრი იყო, საღამო ხანს მცველებთან მივიდა. სთხოვა, ღამე გამათევინეთო. მცველებმა უარი არ უთხრეს. ბიჭმა ამოალაგა სასმელ-საჭმელები და გაუმასპინძლდა. ბოლოს ზევით აიხედა და მკვდარი დაინახა.

— ეგ რა არი?

— მკვდარია ჩამოკიდებული.

— ეგ ვირს მომპარავს, მიშველეთ!

— არა, კაცო, მკვდარი კაცია, ვირს როგორ მოგპარავს!

— ნამდვილად მომპარავს, აქ ვეღარ დავდგები.

— თუ მოგპარავს, ჩვენ გიზღავთ, — უთხრეს მცველებმა.

ბიჭი ამაზე ვითომ დამშვიდდა. მცველებმა ბევრი ჭამეს, სვეს,

დათვრნენ და დაიძინეს. ქვრივიშვილს რა დააძინებდა! წამოდგა. ჩამოიღო ეს მკვდარი, აჰკიდა ვირს და სახლში გაუშვა. თვითონ კი მიუწვა გვერდით მცველებს და დაიძინა.

მეორე დილით პირველად მცველებმა გაიღვიძეს. ნახეს, ვირი არა ჩანს, ჯაღლა შეიხედეს, მკვდარი აღარ არის. შექმნეს ერთი უბედურება. გააღვიძეს ქვრივიშვილი.

— მკვდარს შენი ვირი მართლა მოუპარავს და გაქცეულაო.

ქვრივიშვილმა დაიწყო თავში ცემა:

— რატომ დამლუპეთ, განა არ ვიცოდი, მკვდარი ვირს მომპარავდა!

მცველებმა აუნაზღაურეს ვირის ფასი და ქვრივიშვილიც შინ დაბრუნდა. დედაშვილი დიდი ამბით დამარხა. დაიწყო ისევ ისე ქურდობა. ძარცვავდა სალაროებს, ვერავინ ვერაფერი გაუგო. ერთხელ სალაროს მცველებმა მინდორზე გაშალეს ფულები და თქვეს: ვინც ფულს დაწვდება, ქურდიც ის იქნება და დავიჭერთო. წამოვიდა ქვრივიშვილი, ფისში ჩადგა ფეხები, გაიარა ფულზე და სულ ფეხებზე აეკრა. არც დახრილა დაბლა. ისე აკრიფა ეს ფული. ყარაულები დარჩნენ პირში ჩალაგამოვლებული.

ამ ხელმწიფის გასაჭირი გაიგო მეზობელმა ხელმწიფემ და ჩიხტიკოპი გამოუგზავნა: ყაჩაღები ვერ დაგიჭერია. დედაკაცი ხარ და დაიხურეო.

გაბრაზდა ხელმწიფე და გასცა ბრძანება: ვინც არის ქურდი, მოვიდეს, არას დავუშავებ და ფულითაც დავასაჩუქრებო.

ეს შეიტყო ქვრივიშვილმა. ადგა და უშიშრად გამოცხადდა ხელმწიფესთან: მე ვარ თქვენი ხაზინიდან ფულის წამღებიო.

ხელმწიფემ უთხრა:

— ოღონდ ჩემს მეზობელ ხელმწიფეს რამე მოჰპარე და ყველაფერს გაპატიებ, ბევრ საჩუქარსაც მოგცემ!

— რა უნდა მოვპარო, თვითონ მას მოვიპარავ და აქ მოგიყვანო! — მიუგო ქვრივიშვილმა.

შეაკერინა ოთხი თხის ტყავის წამოსასხამი, ყველა ბეწვზე ელარუნები და ეჟვნები მიაბა, გააკეთებინა ერთი საკაცე ყუთი და წავიდა იმ სახელმწიფოში. ღამით მივიდა ხელმწიფის კარებზე. წამოიხურა ეს ტყავი და სულ ელრიალი გააქვს, დაუძახა ხელმწიფეს:

— მე მიქელ გაბრიელი ვარ, უფალმა გამომგზავნა, ცოცხალი უნდა წაგიყვანო, ჩქარა გამოდი!

ხელმწიფემ სთხოვა:

— ერთი დღის ვადა მომეცი, ჩემი ნათესავები ვნახო, ყველას გამოვემშვიდობოო!..

ქვრივიშვილმა მისცა ერთი დღის ვადა. იმ საღამოს ქალაქში გავიდა და კარგად იქეიფა. მეორე საღამოს ისევ მიადგა კარებზე. ჩასვა ამ ყუთში ხელმწიფე, დაკეტა მაგრად და თავის ხელმწიფეს მიართვა. გახსნეს ყუთი და შეშინებული ხელმწიფე ამოიყვანეს. მიუტანეს ჩიხტიკოპი და თავს დახურეს.

— მე თუ ქურდი ფულს მპარავდა, შენ თვითონ მოგიპარა, დედაკაცი შენ ყოფილხარ! — უთხრა ამ ხელმწიფემ.

ის ხელმწიფე ჯავრით მოკვდა. ქვრივიშვილმა დიდი საჩუქარი მიიღო. დაანება ყაჩაღობას თავი, შეირთო ცოლი და ხელმწიფეს კარისკაცად დაუდგა.

ფ ი ნ ა ჩ ი

ერთ ქალაქში ფინაჩი[1] ცხოვრობდა. ძალიან სახელოვანი კაცი იყო, მთელი დღე მუშაობდა, საღამოს კი უეჭველად ქეიფობდა. ერავის აწყენინებდა, ცდილობდა, ყველასათვის სელი გაემართა. ხალხს ამიტომ ძალიან უყვარდა. ეს ამბავი ხელმწიფემდისაც მივიდა. ხელმწიფემ დავრიშის ტანისამოსი ჩაიცვა და წავიდა ფინაჩის სანახავად. საღამოს მოადგა ფინაჩის კარს, შეიხედა სახლში, ფინაჩი ქეიფობს თავის ცოლ-შვილში, თვითონ მღერის, ბავშვები უზუნდარას თამაშობენ. დავრიში რომ დაინახა ფინაჩმა, სიხარულით მიიპატიჟა. ხელგაშლილი მიეგება:

— მობრძანდი, ძია დავრიშ, მობრძანდი, ერთი კარგი რამე დაუკარი!

დავრიშის ტანისამოსში გადაცმულმა ხელმწიფემაც დაუკრა. იმხიარულეს. ფინაჩმა აიღო და სამი მანეთი მისცა: დღეს ცოტა ქესატად ვიყავი და ნუ დამემდურებიო. კარგი დრო გაატარეს, ბევრი სვეს და ჭამეს. ბოლოს ხელმწიფემ უთხრა:

— მეუბნებიან, სულ ქეიფობ და დროს ატარებ. საიდან მოგდის ამდენი ფული?

— ნეტავ შენ, — უპასუხა ფინაჩმა,—საქმე გამოგლევია, ერთი საწყალი ფინაჩი ვარ, დილიდან საღამომდის ვმუშაობ, რასაც

[1] მეჯღანე.

ვშოულობ, შინ მომაქვს, არა ვქურდობ და არა ვვაჭრობ, საღამოს კი ყოველთვის ვქეიფობ!

ხელმწიფე წამოვიდა და იმ ღამითვე ვეზირებს უბრძანა: ხვალ ქალაქში არც ერთი ფინაჩი არ გაუშვათ სამუშაოდო.

მეორე დღეს ფინაჩი გამოვიდა თუ არა სამუშაოდ, ხელმწიფის ვეზირებმა გააგდეს. თავისი სახარაზო ყუთი დაუმტვრიეს. დაღონდა ფინაჩი: საღამოზე ქეიფი შინდა, საქმეზე არ მიშვებენ. რაღა ვქნაო. დაწანწალებს ქალაქში. ცხელა, საშინელი ბუღი დგას. ვიღაც ცივ წყალს ყიდის და ხალხი თავს ეხვევა. ფინაჩმა თქვა: მოდი, მეც გავყიდი ცივ წყალს, იქნებ პურის ფული მაინც ვიშოვნოო. გაიქცა შინ, დიდ კასრში ჩაასხა ცივი წყალი, ხელში ტოლჩა დაიჭირა და ყიდის. საღამომდის კაი ფული აიღო. სამი ამხანაგიც დაპატიჟა, სასმელ-საჭმელი იყიდა, ცოლ-შვილს მიუტანა, სუფრა გაშალა და დროს ატარებს.

ხელმწიფემ კიდევ ჩაიცვა დავრიშის ტანისამოსი და ფინაჩის შესამოწმებლად წამოვიდა: დღეს ხომ სამუშაოზე არ გავუშვი, აბა, ვნახოთ, რითი იქეიფებსო!

იმ დროს მოვიდა ხელმწიფე, როცა ფინაჩის ამხანაგები თამაშობენ და ერთი ამბავი აქვთ. ხელმწიფეს გაუკვირდა. დააკაკუნა. ფინაჩმა გამოიხედა:

— მობრძანდი, დავრიშ, მობრძანდი, აბა, კარგი რამე დაუკარი! — უთხრა. აიღო ხუთი მანეთი და აჩუქა: — ნუ დამემდურები, დავრიშ, ჩვენს ხელმწიფეს ამოუწყდეს სახლ-კარი, დღეს საქმეზე არ გამიშვა, თორემ მეტს მოგცემდიო.

გვიან ღამით ყველა წავიდ-წამოვიდა, დავრიში დარჩა ბოლომდის და ფინაჩს ჰკითხა:

— დღეს ხომ ხელმწიფემ სამუშაოზე არ გაგიშვა, საიდან იშოვნე საქეიფო ფული?

— ნეტავ შენ, — მიუგო ფინაჩმა, — სვი, ჭამე, რა შენი საქმეა. ერთი საწყალი ფინაჩი ვარ, არ ვქურდობ და არ ვვაჭრობ, ჩემი შრომით ლუკმა პურს ვშოულობ და ვქეიფობ, კიდევ დაუკარი რამეო! წყეულმა ხელმწიფემ ფინაჩობა ამიკრძალა, მაგრამ ცივი წყალი გავყიდე, პურის ფული ვიშოვნე, ცოლ-შვილს სასმელ-საჭმელი მოვუტანე, ამხანაგებსაც ვაქეიფებ და შენც ცოტა რამე მოგეცი, ხვალაც ვიშოვნი რამეს, ქვეყანა დიდია!..

ხელმწიფემ იმ ღამით ვეზირებს უბრძანა: ხვალ არც ერთი წყლის გამყიდველი არ გაუშვათ ქალაქშიო.

მეორე დღეს ფინაჩმა დილით ადრე გამოიტანა კასრით წყალი.

მაგრამ მეფის ვეზირებმა წაართვეს და გადაუგდეს. დაღონდა ფინაჩი. არ უშვებენ არც საფინაჩოდ, არც წყლის გასაყიდად. ტრიალებს ბაზარში. უქმად გაჩერება არ შეუძლია. დაინახა, მორბის ერთი გლეხი. ფინაჩს უთხრა:

— გეტყობა, საქმე არა გაქვს, ორმოცი მუშაკაცი მიშოვნე და კარგად დაგასაჩუქრებ!

დატრიალდა ფინაჩი. იშოვნა ორმოცი მუშაკაცი. წავიდნენ გლეხთან და იმ დღით ერთგულად იმუშავეს. საღამოთი გლეხმა ყველას მისცა ფული. ფინაჩს ორმოცი მანეთი ზედმეტი მისცა, კარგი მუშა ყოფილხარო. ორმოცივე ამხანაგი წამოვიდა ფინაჩთან, კარგი ქეიფი გამართეს.

ხელმწიფემ კიდევ გადაიცვა დავრიშის ტანისამოსი და წამოვიდა ფინაჩის შესამოწმებლად. შეიხედა სასლში და დაინახა დიდი ქეიფი. ფინაჩმა მხიარულად მიიპატიჟა, აბა, კარგი რამე დაუკარი, დავრიშო! დაუკრა დავრიშმა, ფინაჩმა აიღო და თუმნიანი აჩუქა, სხვებმა — თითო-ორ-ორი მანეთი. კარგი დრო გაატარეს. ყველა წავიდ-წამოვიდა, დავრიში დარჩა და ფინაჩს უთხრა:

— კი, მაგრამ შენ ხომ ხელმწიფემ საქმეზე არ გაგიშვა, საიდან მოგიყრია ეს ორმოცი კაცი?

— რა შენი საქმეა, სვი, ჭამე, ადექი და წადი, — უთხრა ფინაჩმა, — იმ ხელმწიფეს ამოუწყდეს ცოლ-შვილი, წყლის გაყიდვა რომ ამიკრძალა, განა სხვა საქმეს ვერ ვიშოვიდი?! ერთ გლეხს მოვეხმარეთ, ფულიც კარგი მოგვცა და მე ცალკეც კიდევ დამასაჩუქრა. ცოლ-შვილს სახარჯო დავუტოვე, შენც პურის ფული მოგეცი, ამხანაგებშიც სირცხვილი არ ვჭამე, ერთად ვიქეიფეთ. ხვალაც გავახერხებ რამეს, ქვეყანა დიდია!..

ხელმწიფემ იმ ღამით ვეზირებს უბრძანა, ხვალ ფინაჩი ჩემთან დამიბარეთო. დილაზე მოვიდა ფინაჩი. ჩააცვეს სამხედრო ტანისამოსი, ჩამოჰკიდეს ხმალი და თოფი და ხელმწიფის კარებზე დარაჯად დააყენეს. ფინაჩმა თქვა: ეს რა წყალში ჩავვარდი, აქ რომ ვიდგე, საღამოზე ვინ მაქეიფებს, ცოლ-შვილს პურის ფულს ვინ მისცემსო. ამოსწია ხმალი და ნახა, ხოროსნის პირი აქვს. რომ დაღამდა, შეცვალეს. წამოიღო ხმალი. თხუთმეტ მანეთად გაყიდა. გააკეთებინა ხის პირი. ხუთი მანეთის ღვინო იყიდა, ხუთი მანეთის საჭმელი და ხუთიც ჯიბეში ჩაიდო. მოვიდა ცოლ-შვილში და ქეიფობს.

ხელმწიფემ თქვა: დღეს ხომ ვეღარ იქეიფებდა ფინაჩი, მოდი, შევამოწმო, რას შვრებაო. გადაიცვა ისევ დავრიშის ტანისამოსი

და კარებზე მიადგა. ნახა, ფინაჩი ქეიფობს, თავის ბავშვებს ათამაშებს. დავრიშის მოსვლა ძალიან გაუხარდა. ერთი კარგი რამე დააკვრევინა. აიღო და ორი მანეთი აჩუქა: ჩვენს ხელმწიფეს ამოუწყდეს ცოლ-შვილი, დღეს საგუშაგოზე დამაყენა და მეტი ვერ ვიშოვნე, თორემ მეტს მოგცემდიო.

— კი მაგრამ, მაინც სად იშოვნე ეს ფული? — ჰკითხა დავრიშმა.

— შენ, კაცო, ხელმწიფის ჯაშუში ხომ არა ხარ, რაც კი გითხარი, სულ ამიკრძალეს მეორე დღეს! — უთხრა ფინაჩმა.

— არა, კაცო, მეც შენებურად მინდა დროს გატარება, ჯაშუშობა რას მიქვია! — დარცხვენით უპასუხა დავრიშმა.

მაშინ ფინაჩმა უამბო:

— ჩვენს ხელმწიფეს თვალი აეხვა, ხორასნის პირიანი ხმალი მომცა, ის გავყიდე. ხის პირი გავუკეთე. თხუთმეტი მანეთი ავიღე, ხუთი მანეთის ღვინო ვიყიდე, ხუთის — საჭმელი, ორი შენ მოგეცი და სამიც ცოლ-შვილს დავუტოვე პურის ფულად, ხვალაც მოვაზერხებ რავეს, ქვეყანა დიდია!..

მეორე დღეს ხელმწიფემ დაიბარა ფინაჩი და უთხრა:

— ერთი კაცი ყავს მოსაკლავი, მთელი საზოგადოება შეიკრიბება მოედანზე, შენ შენი ხმლით მას თავი უნდა წააგდებინო!

— დიდებულო ხელმწიფევ, ამოდენა კაცი გავხდი, ჩემს დღეში წიწილა არ დამიკლავს და კაცს თავი როგორ წავაჭრა, გთხოვ, სხვა ვინმეს უბრძანო! — უთხრა ფინაჩმა.

— არა, შენ უნდა მოსჭრა თავი, თუ ჩემ ბრძანებას არ შეასრულებ, შენ მოგჭრი თავსო!

რაღას იზამდა ფინაჩი. მოიწვიეს დიდძალი ხალხი. გამოვიდა თვით ხელმწიფე და მისი ვეზირები. გამოიყვანეს ფინაჩიც და მოსაკლავ კაცს გვერდში დაუყენეს. ძალიან შეწუხებული სახე აქვს. ხელები უკანკალებს. წაიწია წინ და ხალხს გადასძახა:

— ხალხნო და ჯამაათნო, ამოდენა კაცი გავხდი და თავის დღეში წიწილა არ დამიკლავს, ჩემი შრომით ვცხოვრობდი ამ ქვეყანაზე, არავის არაფერს ვუშავებდი. ახლა ხელმწიფემ მიბრძანა, ამ კაცს თავი წააგდებინეო. თუ ეს კაცი ღირსია, თავიც მოეჭრას და ფეხებიც, თუ ამის ღირსი არ არის, ამ ჩემ ხმალს პირი ხედ გადაექცესო, — თქვა ეს და იძრო ხმალი. გასინჯეს, ხის პირია. შეიქმნა ერთი ამბავი: ალალ-მართალი კაცი ყოფილა. ხელმწიფის ხმალს პირი ხედ ექცაო. გაათავისუფლეს ეს კაცი და შინ გაუშვეს.

ახლა ხელმწიფემ დაიბარა ფინაჩი და სახლში წაიყვანა. ფინაჩს ჰგონია, ნამდვილად თავს მომჭრისო. აიღო და ხუთასი თუმანი მისცა, მართლა მშრომელი კაცი ყოფილხარ და შნოც გქონიაო.

ფინაჩი ამის შემდეგ ისევ ფინაჩობდა და ყოველ საღამოს ქეიფობდა. სამუშაოცა და ფულიც მუდამ ჰქონდა.

ჭკვიანი და გიჟი ძმა

იყო ორი ძმა: ერთი ჭკვიანი, მეორე გიჟი. ჰყავდათ ერთი ძროხა. გადაწყვიტეს მისი გაყიდვა. ჭკვიანმა ძმამ ძროხის გაყიდვა გიჟს დაავალა. მანაც წაიყვანა ძროხა ბაზარზე. გზაზე ასკილი დაინახა, თავს უქნევდა. გიჟმა იფიქრა: ასკილმა უნდა იყიდოსო. მიიყვანა, მიაბა მის ძირზე და შინ წამოვიდა

— ძროხა რა უყავი, გაყიდე? — ჰკითხა ჭკვიანმა ძმამ.

— ასკილს მივყიდე, ოღონდ ფული არ მომცაო! — უპასუხა გიჟმა.

გაბრაზდა ჭკვიანი ძმა, ორივე წავიდა ასკილთან. ნახეს, ასკილის ძირზე თოკიღა იყო, ძროხა მგელს შეეჭამა. გახელდა ჭკვიანი ძმა, მაგრამ რაღას იზამდნენ. დაბრუნდნენ სახლში. საღამოს გიჟმა აიღო წერაქვი და ბარი და წავიდა ასკილთან. დაუწყო ყვირილი, რა უყავი ჩემი ძროხაო! პასუხი რომ ვერ მიიღო, დაჰკრა ბარი და სულ ძირიანად ამოაგდო. ასკილის ძირს ამოჰყვა ერთი ოქროთი სავსე ქილა. წამოიღო ქილა და წამოვიდა. დაღამდა. მთვარის სინათლეზე მისდევს თავისი ჩრდილი. მას მგელი ეგონა და ოქრო გადაუყარა. სახლში რომ მოვიდა, ძმას უთხრა:

— ასკილმა ოქრო მომცა, გზაში ვიღაც გამომედევნა და მას გადავუყარე, ცოტა კიდევ დარჩა ქილაშიო.

ჭკვიანი ძმა გაიქცა გიჟის ნაკვალევზე. მთვარის შუქზე იპოვა ეს ოქროები და ისევ აავსო ქილა. ფული მოიხმარეს. რაც დარჩათ, თახჩაში შეინახეს. ერთ დღეს ჭკვიანი ძმა შინ არ იყო, მათხოვარი მოვიდა და პური ითხოვა. გიჟმა პური ვერ იპოვა და ქილა გაუტანა. მათხოვარმა დალოცა: დედაც ვიცოცხლოს, მამაც, ძმებიც და დებიცაო!

საღამოთი ჭკვიანი ძმა დაბრუნდა და ქილა მოიკითხა.

— მათხოვარი მოვიდა, ძალიან დაგვლოცა და იმას მივეცი, — უთხრა გიჟმა.

ჭკვიანმა თქვა: ახლა კი დავიღუპეთ, უნდა წავიდეთ და ვინმეს მოჯამაგირედ დავუდგეთო. წავიდნენ და ერთ მდიდარ მონადირეს დაუდგნენ მოჯამაგირედ. მონადირემ სანადიროდ ჯერ ჭკვიანი ძმა წაიყვანა. რაც ინადირეს, ამას აჭკიდეს და საღამოთი მოიტანეს ნანადირევი.

მეორე დღეს მონადირემ გიჟი ძმა წაიყვანა. აჭკიდა სანადირო იარაღები. როცა დაიღალა, თავისი წამოსასხამიც ჩააბარა. ნადირი ბლომად დახოცა, ისიც გიჟს აჭკიდა. მონადირემ კურდღელი დაიჭირა და ისიც გიჟს მისცა ხელში, არ გაგექცესო. ბოლოს, მონადირემ ასე დატვირთული გიჟი ძმა შინ გამოისტუმრა, თან მწევარიც გამოაყოლა. თვითონ კი ნადირობა განაგრძო. ძალიან დაიღალა გიჟი ძმა. აიღო მონადირის წამოსასხამი და მწევარს ჩააცვა, ფეხები სამკლავეებში გააყოფინა: მე დავიღალე, შენ ატარეო. ცოტა გზა გამოიარა და გაუშვა კურდღელი: წადი და შინ დაეხვდი, სხვაგან ფეხი არ გადაადგაო, — დაუბარა. კურდღელი ტყისკენ გაიქცა. გამოუდგა მწევარი და მონადირის წამოსასხამი სულ ნაფლეთებად აქცია. როგორც იყო, მოაღწია შინ გიჟმა ძმამ. შეეგება ჭკვიანი. ჰკითხა:

— კურდღელი რა უყავი?

— სახლში გამოვგზავნე, განა არ მოსულა?

— მონადირის წამოსასხამი სადღაა?

— მწევარს ჩავაცვი, განა არ მოუტანია?

ჭკვიანი ძმა მიხვდა, საქმე ცუდად წავიდა და იქიდან გაქცევა გადაწყვიტა. გიჟმა უთხრა:

— განა ისე წავიდეთ, არა წავიღოთ რა?!.

აიკიდა ალაყაფის კარები და თან წაიღო. სანამ მონადირე შინ დაბრუნდებოდა, ამათ კარგი მანძილი გაიარეს. შორეულ სოფელში ერთ მეცხვარეს დაუდგნენ მოჯამაგირედ. წელიწადში ათ-ათ ცხვრად.

პირველად ჭკვიანმა ძმამ წაასხა ცხვარი. აძოვა და საღამოთი მორეკა. მეორე დღეს გიჟმა ძმამ წაასხა ცხვარი. ერთ მიტოვებულ კალოზე არეკა, არც იქით უშვებდა, არც აქეთ, იქ კი ბალახი არ იყო. ცხვრებმა ამოცოხნა დაიწყეს. გიჟს ეგონა, კევს ღეჭავენო და უთხრა ცხვრებს, მეც მაღეჭინეთ კევიო. მაგრამ ცხვრებმა ყურიც არ გააქანეს. შემდეგ გიჟმა ცხვრები ერთ მინდორზე გარეკა. აქ დიდი პანტა იდგა, ავიდა ზედ. დაარხია და ცხვრებს დაუძახა,

მეც შემინახეთ ჩემი წილიო. ცხვრებს აბა რა ესმოდათ, მოედვნენ და სულ შეჭამეს. ხუთ თხას წვეტიანი რქები ჰქონდათ და ჩამოცვენილი პანტა ზედ შერჩენოდათ.

გიჟი ძირს რომ ჩამოვიდა, გაბრაზდა, პანტა რად არ შემინახეთო, მოუსვა ხელი და იმ ხუთი თხის მეტი სულ დახოცა. ამ თხებმაც დაიწყეს კიკინი. ვიჟმა იფიქრა, მეცხვარესთან მიჩივლებენო, და ისინიც ზედ მიაყოლა. საღამოს დაბრუნდა ცარიელი. ჭკვიანი ძმა გამოეგება და ჰკითხა:

— ცხვრები რა უყავი?

— დავხოცე!

— როგორ თუ დახოცე, მეცხვარე ხომ პასუხს მოგვთხოვს!

— კეკი ვთხოვე, არ მაღეჭინეს, პანტა არ შემინახეს, დასახოცი იყვნენ, აბა რა! — უთხრა ვიჟმა.

ჭკვიანი ძმა შეშინდა, მაგრამ ხერხი იხმარა. წაიყვანა ეს გიჟი და დახოცილი ცხვრები ფარეხში შეზიდეს. ჭკვიანი თუ ერთს იკიდებდა, გიჟი ექვსს იკიდებდა. მიაწყვეს ერთმანეთზე. შებინდებისას მეცხვარემ გადახედა ფარეხს და მოჯამაგირეებს მადლობა უთხრა: ცხვარი კარგად გიძოვებიათ, სიმაძღრისაგან დაყრილანო. პურის ჭამაზე რომ დასხდნენ, მეცხვარემ ჭკვიან ძმას ორი ჭიქა ღვინო მიაწოდა, გიჟს — ერთი. გიჟი გაბრაზდა:

— შენ ერთს იკიდებდი, მე კი — ექვსს; შენ ორი ჭიქა ღვინოს გასმევენ, მე — ერთს, ეს სამართალია!

ჭკვიანმა ძმამ შეუტია. მეცხვარემ იკითხა:

— რაო, რას იკიდებდი ექვსსა და შენ ერთს?

— ფიჩხს ვზიდავდით, მე ერთს ვიკიდებდი, ის — ექვსს და იმას ამბობსო, — იცრუა ჭკვიანმა.

პურის ჭამას რომ მორჩნენ, დაწვნენ და დაიძინეს. შუა ღამით ჭკვიანმა გაალვიძა გიჟი და უთხრა:

— ადექი, აქედან გავიქცეთ, თორემ მეცხვარემ თუ ჩვენი ამბავი გაიგო, დაგვხოცავს!..

გიჟმა თქვა:

— არა უნდა წავიღოთ რაო? — დაავლო ხელი დიდ საარაყე ქვაბსა და ალაყაფის კარებს და წავიდნენ.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ერთი ჭადრის ძირში მივიდნენ. დაინახეს, ყაჩაღები მიდიოდნენ სოფლის ასაკლებად, ასე ოცდაათი კაცი იქნებოდა. ძმები ავიდნენ ჭადრის ხეზე დასამალავად. გიჟმა ზედ აიტანა საარაყე ქვაბიც და ალაყაფის კარებიც. ყაჩაღებმა ჭადრის ჩრდილში დაისვენეს. გიჟმა ვეღარ დაიმაგრა

საარაყე ქვაბი და ძირს ჩაუვარდა. ყაჩაღებს ეგონათ, ზეციღან ჩამოვარდაო, ცეცხლი გააჩაღეს და ფაფის გაკეთებას შეუდგნენ. ამოდენა ქვაბი ფაფა მოხარშეს და ლოცვა დაიწყეს. გიჟს გაუსხლტა ხელიდან ალაყაფის კარები, ჩამოუვარდა და ოცდაათიდან ოცდაცხრა კაცი დაიტანა. ახლა კი ძმები ჩამოვიდნენ ძირს. ჭკვიანი დაეჭიდა ცოცხლად გადარჩენილს. გიჟი კი მიადგა ამ ფაფას და სულ შეჭამა.

ყაჩაღებს ნაძარცვი ოქრო-ვერცხლი მოჰქონდათ. ჭკვიანი ადგა და მას დაუწყო თავმოყრა. გიჟმა კი დახოცილებს ფარაჯები გახადა, მათგან კარავი გააკეთა, შევიდა შიგ, დაწვა და არხეინად დაიძინა. ჭკვიანი ძმა ოქრო-ვერცხლს ყარაულობდა. ღამით საშინლად აცივდა, ჭკვიანი სულ გაყინა, დილით სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. ამ დროს მზე ამოვიდა და ცოტა დათბა. გაყინული კაცი გალხვა, შეიშმუშნ-შემოიშმუშნა და წამოდგა.

აიკიდეს ძმებმა ეს სიმდიდრე და შინ წაიღეს. ამის შემდეგ ჭკვიანი ძმა გიჟ ძმას მარტოდ არსად უშვებდა და სულ ერთად ცხოვრობდნენ ბედნიერად.

გლეხის ცოლი

იყო ერთი ღარიბი გლეხი. ჰყავდა ლამაზი ცოლი. მისი სილამაზე ყველას ხიბლავდა, მაგრამ ქალი თავისი ქმრის ერთგული იყო, არ ღალატობდა. მთელ დღეებს შრომასა და ფუსფუსში ატარებდა. ერთ დღეს გამოუარა ამ კაცს ვაჭარმა და უთხრა: სავაჭროდ მივდივარ, წამომყევ, კარგად იმუშავებ, კარგად დაგასაჩუქრებო.

გლეხმა იფიქრა: ღარიბი კაცი ვარ, იქნებ ცოტა რამე ვიშოვოო და წაჰყვა. დაემშვიდობა თავის საყვარელ მეუღლეს და ჩქარა დაბრუნება აღუთქვა.

შორი გზა აქვთ გასავლელი. ერთ სოფელში დაულამდათ. ჩამოხტნენ დასასვენებლად. ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა. ზოგი დედას აქებს, ზოგი — ცოლს, ზოგი — ცოლისდას. ლაპარაკში ეს კაციც ჩაერია: მე ისეთი ცოლი მყავს, ბრილიანტები რომ დაუწყო, ჩემს მეტს ხმას არ გასცემსო, — თქვა. ვაჭრებმა სიცილი დაიწყეს. ამ

კაცს ეწყინა: თუ მაგრეა, სანაძლეო დავდოთო. ერთმა ვაჭარმა თქვა: დავნაძლევდეთ, მე უკან დავბრუნდები და ყველა ნიშანს მოგიტან, რომ შენს ცოლთან ვიყავი, თუ ასეთი ნიშანი მოგიტანო, სამი წელიწადი უფასოდ მემსახურე, თუ ვერ მოგიტანო. ჩემი ქონება შენ დაგრჩესო.

დანაძლევდნენ. ვაჭარმა მოაბრუნა ცხენი და უკან გაბრუნდა. მივიდა ამ ქალთან, მაგრამ ახლოსაც ვერ მიეკარა. სახითაც არ ეჩვენა. ბევრი უტრიალა ვაჭარმა, ფულებიც გაუგზავნა, საქონელიც, მაგრამ ამაოდ. ბოლოს მივიდა ერთ დედაბერთან და შველა სთხოვა. დედაბერმა ჩასვა თავის ზანდუკში, გაუკეთა სათვალეები, შეკრა, მიუტანა იმ ქალს და უთხრა: თუ არ დაიზარებ, ეს ზანდუკი შენს ოთახში შემინახე, სხვაგან მივდივარ და ჰეშინია, არ მომპარონო.

ქალმა, რა თქმა უნდა, დაიტოვა. დაღამდა. ვაჭარი უცქერის ამ ქალს ზანდუკიდან. ქალმა ტანთ გაიხადა, ტანისამოსი ამ ზანდუკზე დაალაგა, დაწვა და დაიძინა. ვაჭარმა დაინახა, რომ ქალს მარჯვენა ძუძუზე ხალი აქვს. ერთი პერანგიც შეეთრია ზანდუკში. ამ პერანგზე კი ქმრის ნაჩუქარი ძვირფასი ქინძისთავიც ებნია. მეორე დღეს დედაბერმა შინ წაიღო თავისი ზანდუკი. ქალმა პერანგი ერთხანს კი ეძება, მაგრამ რომ ვერ იპოვა, თავი დაანება, ალბათ, არ მეცვაო.

მეორე დღეს ვაჭარი დაეწია თავის ამხანაგებს. გლეხს მიუტანა მისი ცოლის პერანგი და თანაც უთხრა: წუხელ მასთან ვიყავი, მარჯვენა ძუძუზე ხალი აქვსო.

კაცს ენა ჩაუვარდა. რა უნდა ეთქვა. წააგო სანაძლეო. ცოლი მოღალატე აღმოაჩნდა. შეუთვალა, მოღალატე ყოფილხარ და სახლში აღარ დამხვდეო.

წავიდა ქალი სახლიდან. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთი ზღვის პირზე. სთხოვა მეთევზეებს: რამდენი გინდათ, მთხოვეთ, ოღონდ თქვენი ტანისამოსი მომეცითო.

გაიხადა ერთმა მეთევზემ თავისი ტანისამოსი და მისცა, მაგაში რა უნდა გამოგართვათ, საჩუქრადო. ქალმა ჩაიცვა ვაჟურად და წავიდა. მივიდა ერთი გემის უფროსთან და სთხოვა: მეზღვაურად მიმიღეთო. მიიღეს მეზღვაურად. თავისი ყოჩაღობით ეს ქალი სულ მალე გემის უფროსიც გახდა. შორს გაუვარდა სახელი. ყველა მას აქებდა.

ერთ დღეს ეს ქალი დადის ბაზარში. დაინახა, რომ ვიღაც ვაჭარი ყიდის აბრეშუმის პერანგს, რომელზედაც მისი ძვირფასი

ქინძისთავიც აბნევია. იცნო თავისი პერანგი და ქინძისთავი.

— ვინ მოგცა ეს პერანგი და ქინძისთავი? — ჰკითხა მრისხანედ. ვაჭარი დაიბნა. ხმას ვერ იღებს. — ახლავე მითხარი, სად იშოვნე, ან ვინ მოგცა, თორემ აქვე მოგკლავო! — კვლავ დაუყვირა ქალმა.

ვაჭარმა ძლივს ამოიდგა ენა და დაიწყო ლუღლუღი: ასე და ასე იყო, ერთ გლეხკაცს პატიოსანი ცოლი ჰყავდა, სანაძლეო დავდევი მის ქმართან, ქალმა ახლოს არ მიმიკარა, შემდეგ ერთმა დედაბერმა თავის ზანდუკში ჩამსვა და იმ ქალის ოთახში დამტოვა, დავინახე ქალის ნიშანი და ეს პერანგიც იქ მოვიპარეო.

ქალს უნდოდა იქვე მოეკლა ვაჭარი, მაგრამ თავი შეიკავა.

— მერე და ის კაცი სად არის, ან ის დედაბერი სადღაა? — კიდევ უფრო მრისხანედ ჰკითხა ქალმა.

— კაცი მოჯამაგირედ მყავს, დედაბერი კი თავის ბინაზე იქნებაო! — უთხრა ვაჭარმა.

ქალი მივიდა მოსამართლესთან, დაბარებინა ეს ვაჭარი, დედაბერი და მისი ქმარი. საწყალი კაცი ამ ორ წელიწადში მოტეხილიყო, დადარდიანებულიყო, ჯავრს წაეღო. მოსამართლემ ყველაფერი გამოიძია. ბოლოს, ვაჭარს ჰკითხა:

— რად დასწამე ცილი პატიოსან ქალს, რად მიუტანე ბოროტი ენა მის ქმარსო?

ვაჭარი ხმას ვეღარ იღებდა. ახლა ქალმა ჰკითხა თავის ქმარს:

— შენი ცოლი რომ ცოცხალი ნახო, როგორ მოიქცეოდიო?

— მთელ სიცოცხლეს მას შევწირავდი. ის უდანაშაულო ყოფილა. დამნაშავე მე ვარ, რომ მოღალატედ მივიჩნიეო! — თქვა კაცმა და ცრემლები წასკდა.

ამ დროს გემის უფროსმა გადაიძრო ქუდი და გადაეხვია თავის ქმარს. ყველა გაკვირდა. ერთგული ცოლი და მისი ქმარი ცრემლმორეული წავიდნენ შინ.

ს ტ უ მ ა რ ი

ერთი ზარმაცი კაცი ადგა და გზას გაუდგა: შინ მაინც არ მაყენებენ, მასპინძელი ვინმე გამიჩნდება, სტუმარს ხომ გარეთ არ გამომაგდებსო. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ერთი სოფლის ბოლოს დაუღამდა. ძალიან შიოდა. ქერის თავთავის მეტი არა ებადა რა.

ერთ სახლს მიადგა. პატივით მიიღეს და კარგადაც გაუმასპინძლდნენ. დაწოლის წინ სტუმარმა ქერის თავთავი დიასახლისს მიაბარა და უთხრა: ეს თაეთავი იქ შემინახეთ. სადაც მამალი ჯდებაო.

დილით სტუმარს საუზმე მოართვეს: წასვლის წინ მან თავისი თავთავი მოითხოვა. ვერსად იპოვეს: მამალს გაეკენკა. შეწუხდნენ მასპინძლები. სტუმარი ახტა და დახტა: ან ჩემი ქერის თავთავი მომეცით, ან ეგ მამალი, თორემ აქაურობას ავიკლებო!

მასპინძლებს შეეშინდათ. გამოუყვანეს მამალი და გამოატანეს. ზარმაცს მოჰყავს მამალი და მოიმღერის. ერთი სოფლის ბოლოს კვლავ დაუღამდა.

— ოჯახის შვილებო, ოჯახის შვილებო, სტუმარი არ გინდათ?!— გადასძახა ერთ კაცს.

— მობრძანდი, შენი ჭირიმე, მობრძანდი, სტუმარი ღვთისაა, თუ გვიკადრებ, ჩვენთან დაისვენეთ!

ზარმაცი არხეინად შებრძანდა ეზოში. თავისი მამალი დიასახლისს მიაბარა და სთხოვა: ეს მამალი იქ შეაგდეთ, სადაც უშობელი გიბიათო. დიასახლისმა მამალი ჩამოართვა, გომურში შეიყვანა და უშობელთან დაბა.

სტუმარს კარგად გაუმასპინძლდნენ. მთელი ღამე უმღერეს. კარგი ღვინო დაალევინეს, თბილად დააძინეს. დილით კიდევ უფრო ტკბილად მოიკითხეს. საუზმის შემდეგ სტუმარმა თავისი მამალი მოითხოვა. დიასახლისი გომურში შევარდა, მაგრამ რას ხედავს: მამალი უშობელს ფეხით გაეთელა. ძალიან შეწუხდა. სტუმარს პატიება სთხოვა.

ზარმაცი ცეცხლივით აენთო. მორთო ღრიალი: ან ჩემი მამალი დამიბრუნეთ, ან ეგ უშობელი მომეცით, თორემ აქაურობას ავიკლებო!

მასპინძლებს რაღა უნდა ექნათ, გამოუყვანეს უშობელი და ზარმაცი გაისტუმრეს. მოჰყავს უშობელი ზარმაცს და მოიმღერის. ერთი სოფლის ბოლოს ისევ დაუღამდა. სადღაც შუქი დაინახა. ახლოს მივიდა სახლთან და ბანიდან გადასძახა:

— ოჯახის შვილებო, ოჯახის შვილებო, სტუმარი არ გინდათ?!

— მობრძანდი, შენი ჭირიმე, მობრძანდი, სტუმარი ღვთისაა! — გამოსძახეს მასპინძლებმა.

სტუმარი პატივისცემით მიიღეს. უმცროსმა ქალიშვილმა ზარმაცს უშობელი ჩამოართვა, ხეზე მიაბა და თივა დაუყარა. სტუმარი სახლში შეიყვანეს. კარგი ვახშამი აჭამეს და რბილ ლოგინში ჩააწ-

ვინეს. ზარმაცს უმცროს ქალზე თვალი დარჩა, ძალიან მოეწონა. ღამით ჩუმად ადგა, თავის უშობელს ყელი გამოღადრა, სისხლიანი დანა მძინარე ქალს ჯიბეში ჩაუდო, დაწვა და არხეინად დაიძინა.

დილით რომ გაიღვიძეს, საშინელი სურათი გადაეშალათ თვალწინ: უშობელი ყელგამოღადრული ეგდო.

სტუმარმა ხელი წაიშინა თავში, ეს იყო ჩემი ცხოვრება, სიმდიდრე და სიხარული, რაღა მეშველება, ვინღა მანუგეშებსო...

მასპინძელი ბევრს ეძია, მაგრამ ვერ გაიგო, ვინ დაკლა უშობელი. ბოლოს, სტუმარმა თქვა: ვისაც ჯიბეში სისხლიანი დანა აღმოაჩნდება, უშობელი მისი დაკლული იქნებაო.

ყველას გაუსინჯეს ჯიბეები და უმცროს დას აღმოაჩნდა სისხლიანი დანა. მამა საშინლად გაბრაზდა. დედა თმებში სწვდა ქალიშვილს, სტუმარი კი ყვიროდა: ან მომეცით ჩემი უშობელი, ან ეგ ქალი, თორემ აქაურობას ავიკლებო!

მასპინძელს შეეშინდა, მართლა არ აგვიკლოსო და მისცა ზარმაცს თავისი ქალიშვილი, კარგადაც დასაჩუქრა და დიდი ამბით გაისტუმრა.

ზარმაცმა ქალი შინ მიიყვანა, ყველას უკვირდა, ვინ მისცა ამას ეს მზეთუნახავიო. ქალმა ურჩია: ვიშრომოთ და ბედნიერად ვიცხოვრებთო!

ამის შემდეგ ზარმაცი ბეჯითად შრომობდა და ცოლს მუდამ კარგად ეპყრობოდა. ცხრა შვილი გამოზარდეს, ცხრავე ნამდვილი ვაჟკაცი...

სამი სიტყვა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი ცოლ-ქმარი. გაჭირვებით ცხოვრობდნენ. ქოხმახი თავზე ექცეოდათ, სარჩოს ვერ იწევდნენ. კაცმა იფიქრა: ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობსო, წაიღო სამი დღის საგზალი და წავიდა სხვა სოფელში. ერთი მდინარის ნაპირზე მეთევზე დაინახა და ჰკითხა:

— კეთილო კაცო, მოჯამაგირედ დამაყენე, ერთგულად გემსახურები!

— დაგაყენებ, — უპასუხა მეთევზემ, — და წლის თავზე გასამრჯელოდ ისეთ ძროხას მოგცემ, დღეში ხუთჯერ იწველიდეს და ორ კვირაში ორ ხბოს იგებდეს.

კაცი დაეთანხმა, დადგა მოჯამაგირედ. ერთგულად მუშაობს. ხან ბადის გადაგდებაში ეხმარება, ხან საქონელს უმწყემსავს, ხან ვენახს უბარავს, ბაღს ურწყავს. ერთი წელიწადი რომ შესრულდა, მეთევზემ გამოიყვანა ძროხა და უთხრა: აი, ძმობილო, წაიყვანე ეს ძროხა. სამი წლის, სამი თვისა და სამი დღის შემდეგ გამოგივლი, სამ სიტყვას გეტყვი, თუ მიპასუხებ, კარგი, თუ ვერა, ნამატს უკანვე წავიყვანო.

გამოეშვიდობა კაცი, წამოიყვანა ძროხა და წამოვიდა შინ. ცოლი გახარებული შეხვდა. ძროხა მართლაც დღეში ხუთჯერ იწველიდა. ყოველ ორ კვირაში ორ ხბოს იგებდა. წლის ბოლოს მთელი ჯოგი ჰყავდა. ცხოვრობდა ბედნიერად და სიხარულით, მაგრამ გულში მაინც ეშინოდა, ნეტავ რა სიტყვას მეტყვის ის მეთევზეო.

გავიდა სამი წელიწადი და სამი თვე. მეთევზის მოსვლამდის სამი დღეღა დარჩა. იმ ღამით ცოლ-ქმარს ერთი მეზობელი ესტუმრა. მოწყენილობა შეამჩნია მასპინძლებს. მანაც მოიწყინა, მაგრამ შინ წასვლას არ ჩქარობდა. ბოლოს მაინც იკითხა: რას ჩამოგიშვიათ ცხვირ-პირი, შეძლება არ გაკლიათ და საქმელ-სასმელი, რას დარდობთო.

კაცმა თავისი ამბავი უამბო: ხვალ მეთევზე გამოივლის. სამ სიტყვას მეტყვის, თუ ვერ ვუპასუხე, ძროხის ნამატს სულ წაიყვანს და ამას ვდარდობო.

— ფიქრი ნუ გაქვთ, მეც თქვენთან ვიქნები, ოღონდ კარები არ გაუღოთ. არც ფარებში შეახედოთ, პასუხს მე გავცემო.

მეორე დღეს ჯერ კიდევ არ იყო კარგად გათენებული. ცოლ-ქმარს კარებზე მოუკაკუნეს. კაცმა გამოსძახა:

— ვინა ხარ, გათენებამდის რომ მაღვიძებ?

— მე ვარ, მეთევზე, სამი სიტყვა უნდა გითხრა, კარი გააღე! — მიუგო სტუმარმა.

— რა სიტყვა უნდა მითხრა, მანდედან თქვი, რაღა შინ შემოხვიდე! — გამოსძახა ახლა მეზობელმა.

— გუშინ რომ ჩიტი გამოგიგზავნე, რა უყავი?

— ის ჩიტი კი არა, ბუზი იყო და მამალმა ჩაყლაპა.

— პატარა მამალი ყოფილა.

— პატარა კი არა, აქ რომ დაიყივლებდა, ცხრა მთას იქით დედაბერს აბერწებდა.

— ის ბერწი დედაბერი იქნებოდა.

— ბერწი კი არა, ცხრა წელიწადში ცხრა შვილი შობა. ყველა დევგმირი გაიზარდა და ჩემს ჯოგს მცველებად ადგანან.

მეთევზეს გული გაუსკდა: თუ ცხრა დევგმირი გამომიდგა, შავ ღელეს დამაყენებსო და უპასუხა:

— ღირსი ყოფილხარ მაგ ქონებისა, შეგარგოს!

ახლა კი ცოლ-ქმარმა გაუღეს კარები, შინ შეიპატიჟეს მეთევზე, კარგა აქეიფეს და ისე გაისტუმრეს. ამის შემდეგ ერთმანეთში მისვლა-მოსვლა არ შეუწყვეტიათ.

ხელმწიფე და მოჯამაგირე

ერთი ღარიბი გლეხის შვილი მოჯამაგირედ დაუდგა ავ ხელმწიფეს. პატიოსნად ემსახურებოდა, მაგრამ ხელმწიფე მაინც უკმაყოფილო იყო. განიზრახა მოჯამაგირის თავიდან მოშორება. ერთ დღეს დაიბარა და უთხრა: სამ დავალებას მოგცემ და თუ სამ დღეში არ შემისრულებ, თავს წაგაცლიო.

მოჯამაგირე შეშინდა, მაგრამ გული გაიმაგრა და — ბრძანეთ, — უთხრა. ხელმწიფემ თქვა: გამიგე, რა მანძილია მთვარესა და მზეს შორის, მითხარი ყველაზე დიდი ტყუილი და ამიხსენი, მე რას ვფიქრობ და რაზე ვდარდობ.

მოჯამაგირე წამოვიდა გამწარებულ-დაძმარებული. ვინ ასწავლიდა ამდენ რამეს. წავიდა და თავისი გაჭირვება ერთ მოხუც კაცს შესჩივლა.

— შენ ნუ დარდობ, მაგას მე მოვუვლი, შენ წადი და დაიძინე, — უთხრა მან მოჯამაგირეს.

მესამე დღეს მოხუცმა ჩაიცვა მოჯამაგირის ტანისამოსი, თმები შავად შეიღება, წვერ-ულვაში მოიპარსა, ზურგზე დიდი ბოდორი მოიგდო და ხელმწიფეს ეახლა. ხელმწიფე გამოვიდა და მოჯამაგირეს ჰკითხა:

— შეასრულე, რაც დაგავალე?

— ყველა უკლებლად შევასრულე!

— აბა, მითხარი, რა მანძილია მთვარესა და მზეს შორის?

— შვიდი ათას ექვსას სამოცდაორი ნაბიჯია, წუხელაც შევამოწმე. ნამდვილად ასეა!

— მერე და ამას რითი დაამტკიცებ?

— თვითონვე გამოვთვალე, თუ არ გჯერათ, შეამოწმეთ!

ხელმწიფე მიხვდა, რომ მოჯამაგირემ აჯობა, მაგრამ თითქოს არაფრად ჩააგდო და ისევ ჰკითხა:

— აბა, მითხარი ყველაზე დიდი ტყუილი?

— მამათქვენს მამიჩემისა ეა გოდორი ოქრო მართებია. ახლა-ვე დამიბრუნე, თორემ მთელ ხალხს ვეტყვიო.

— რას მიედ-მოედები! — გაანჩხლდა ხელმწიფე.

— ტყუილის თქმა მინდოდა! — სიცილით მიუგო მოჯამაგირემ. ხელმწიფე დარწმუნდა, რომ ვახეში გაება, მაგრამ მაინც ჰკითხა:

— აბა, მითხარი, მე რას ვფიქრობ და რაზე ვდარდობ?

— თქვენ ახლა ფიქრობთ. რომ თქვენს წინ მოჯამაგირე დგას, მაგრამ სასტიკად ცდებით, თქვენ ახლა იმას დარდობთ, როგორ გაჯობათ მოჯამაგირემ, მაგრამ რას იზამთ! — უპასუხა მოხუცმა.

ეს თქვა თუ არა, მეორე კარებში მოჯამაგირე გამოჩნდა, ხელმწიფეს მდაბლად თავი დაუკრა და მოახსენა: თქვენი დავალება ხომ უნაკლოდ შეკასრულე, პირობას ხომ არ გადავსულვარო.

შერცხვენილი ხელმწიფე დიდხანს იდგა გაშეშებული. მოჯამაგირე და მოხუცი გულიანად ხარხარებდნენ.

ივანიკა და სიმონიკა

ცხოვრობდა ორი ძმა. უფროსს ერქვა ივანიკა, უმცროსს — სიმონიკა. ივანიკა ჭკვიანი იყო, სიმონიკა — სულელი, მაგრამ ტკბილად ცხოვრობდნენ, არც არავის აწუხებდნენ და არც არავინ აწუხებდათ. ცოლებიც კარგები შეხვდათ, ივანიკას ცოლს ერქვა თეკლე, სიმონიკას ცოლს — თინა.

ერთ დღეს თეკლემ უთხრა ივანიკას: მომბეზრდა ამ შენი სულელი ძმის ცქერა. გავეყაროთ, ცალკე მინდა ცხოვრება!

— რა დაგიშავა ჩემმა ძმამ, თავისი სისულელეც ეყოფა, ნუ გავეყრებით, — შეეპასუხა ქმარი.

თეკლემ ღრიანცელი ასტეხა: თუ დღესვე არ გაეყრები შენს სულელ ძმას, თვალებს დავთხრიო.

ივანიკას შეეშინდა. საღამოზე სიმონიკა სამუშაოდან რომ დაბრუნდა, უთხრა: უნდა გავიყაროთ, სულელი ძმის რჩენა მეტი აღარ შემიძლია, შენცა და შენი ცოლიც ზარმაცები და მცონარები ხართ, მუქთად ჭამთ, საქმეს არ აკეთებთო.

— შენ იცი, — უთხრა სიმონიკამ, — ჭკვიანი შენა ხარ და, თუ გაყრა სჯობს, გავიყაროთო.

მეორე დღეს ივანიკამ და თეკლემ მოილაპარაკეს, სიმონიკასა და თინას მხოლოდ ერთი თხა არგუნეს და სახლიდან გაისტუმრეს.

სიმონიკა დაყაბულდა: შენ ჭკვიანი ხარ, უკეთ იცი, რა მეკუთვნის და რა არა, მშვიდობით იყავითო. — ამ სიტყვებით გამოემშვიდობა სიმონიკა ძმასა და რძალს.

სიმონიკამ და თინამ აიკიდეს სამი დღის საჯზალი, წამოიყვანეს თავიანთი თხა და წავიდნენ ბედის საძებრად. ერთი სოფლის ბოლოზე დანგრეული ქოხი ნახეს და იმ ღამეს იქ გაჩერდნენ. დილით სიმონიკამ ცოლს უთხრა: ამ თხას გავყიდი, ცოტა სანოვაგეს მოვიტან. თორემ ხვალ შიმშილით დავიხოცებითო.

ცოლიც დაეთანხმა. წაიყვანა თხა ბაზარში. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, დაეღამდა. დაინახა დიდი კლდე. მიიყვანა თხა, იქ ერთ ქვაზე მიაბა და დაუბარა: ამ თხას გიტოვებ, იცოდე, ბაზარში მიმეყავს გასაყიდად, სხვა არაფერი გამაჩნია, კარგად მოუარე, ხვალ გამოვივლი და წავიყვანო.

იმ ღამეს სიმონიკა შინ დაბრუნდა. ცოლს ყველაფერი უამბო და კარგადაც გამოიძინა. მეორე დღეს ისევ ისე მიადგა კლდეს. დაინახა, მის თხას დახვევიან ტურები და გააქვთ და გამოაქვთ. სიმონიკამ იფიქრა: კლდეს სტუმრები მოუპატიჟია, ჩემი თხა უყიდია და უმასპინძლდებაო. მიჯდა იქვე ჩირგვებში და მიიძინა.

მზე კარგად გადახრილი იყო დასავლეთისაკენ, როცა გამოეღვიძა. კლდესთან თხის რქები და თოკი დარჩენილიყო, სხვა სულ შეეჭამათ ტურებს. სიმონიკა მივიდა კლდესთან და ტკბილად უთხრა: რას ვემართლები, მომეცი ჩემი თხის ფასი, მთელი დღეა გელოდები, სტუმრებთან არ შეგარცხვინეო.

ერთჯერ თუ ორჯერ გაუმეორა კლდეს ეს თხოვნა, მაგრამ კლდემ ხმა არ გასცა. სიმონიკამ ახლა ყვირილი დაიწყო: შე ავაზაკო, ფული მომეცი, თორემ ამ ქვებით სულ მტვრად გაქცევო. მაგრამ კლდემ არც ახლა ამოიღო ხმა. გამწარებული სიმონიკა დაწვდა დიდ ლოდს და მთელი ძალით სთხლიშა კლდეს. კლდე ჩამოინგრა და ოქრო-ვერცხლით სავსე ქილა გადმოვარდა. სიმონიკამ დაავლო ხელი ამ ქილას და სახლისაკენ გამოიქცა. იყიდა კარგი სახლი, შეიძინა სახნავ-სათესი მამულები და ცხოვრობდა ბედნიერად.

ხანი გამოხდა. თეკლემ გაიგო, სიმონიკა გამდიდრებულაო და ივანიკას უთხრა: შენი სულელი ძმა გამდიდრებულა, წადი, გაიგე, როგორ შეიძინა ქონება, იქნებ ჩვენც გავმდიდრდეთო.

ერთ მშვენიერ დღეს ივანიკა ესტუმრა ძმას. სიმონიკამ ჭკვიანი ძმა კარგად მიიღო. თინა თითის წვერებზე დგებოდა, რას არ აცხობდა, რა კერძებს არ აკეთებდა საყვარელი მაზლისათვის. ორი

დღე აქეიფეს ივანიკა და თეკლესათვისაც საჩუქრები გამოატანეს. წამოსვლისას ივანიკამ ჰკითხა სიმონიკას:

— შენ ხომ სულელი ხარ, ამოდენა ქონება როგორ შეიძინე?

— თბა გავყიდე და აღებული ფულით ყველაფერი ვიყიდე, ოქრო-ვერცხლი ჯერაც არ გამომლევია! — უპასუხა სიმონიკამ.

— ვის მიჰყიდე ასე ძვირად?

— ერთ კლდეს. მას ჯერ არ უნდოდა ფულის გადახდა, მაგრამ როდესაც ლოდი ვუთავაზე, იკადრა ოქრო-ვერცხლით სავსე ქილის მოცემა! — რიხით უთხრა სიმონიკამ.

ივანიკამ ძმის გამდიდრების ამბავი დაწვრილებით უამბო თეკლეს. მან არც აცია და არც აცხელა, უბრძანა ქმარს:

— სულელ სიმონიკას ქეციან თხაში აუღია ამოდენი ოქრო-ვერცხლი, შენ წადი და მეწველი ძროხა მიჰყიდე იმ კლდეს. ახლავე გაიქეცი, უკან არ მოიხედო!

ივანიკა ფეხს ითრევდა. ენანებოდა მისი ხელით გამოზრდილი ძროხა, მაგრამ თეკლეს ხომ სიტყვას ვერ შეუბრუნებდა! გაიგდო წინ ძროხა და წავიდა. მივიდა იმ დიდ კლდესთან. მიაბა ქვაზე ძროხა და დაუბარა: ფულისათვის ხვალ გამოვიარეო.

. მეორე დღეს დილით ადრე გაუარა. ნახა, ძვლებიც აღარ იყო, ღამით მგლებს ძროხა სულ შეეჭამათ. მოსთხოვა კლდეს ფული. ბევრი ეჩიჩინა, მაგრამ რა მიგიცია, რომ მოგცეს, კლდე ხმას არ იღებდა. ქვაც ესროლა, ლოდებიც მიაყარა, კლდე კი იდგა გაშეშებული. ივანიკამ იფიქრა, სულელმა ძმამ მომატყუაო, მიუვარდა ღამით სახლში და მის სახლ-კარს ცეცხლი წაუკიდა. გამოიგუდა შიგ საწყალი თინა. სიმონიკამ კი ძლივს მოასწრო გარეთ გამოსვლა. აიკიდა ზურგზე თავისი დაფუფქული ცოლი და წაიღო დასასაფლავებლად. ერთ მინდორში დიდი ხე იდგა და იქ გაჩერდა. მკვდარი ცოლი ხეზე მიაყუდა, თვითონ წამოწვა და დაიძინა.

სად იყო, სად არა, ამ ხესთან დასასვენებლად გაჩერდა შორი მგზავრობიდან მომავალი სოვდაგარი. მთელი ქარავანი საქონელი მოჰყავდა გასაყიდად. ცხენებს ხეზე მიყუდებული მკვდარი წაექცათ და ფეხქვეშ გაეთელათ. ხმაურზე გამოეღვიძა სიმონიკას. მკვდარი ველარსად დაინახა. ასტეხა ყვირილი: ჩემი ცოლი ცხენებს გაუთელიაო.

ძალიან შეწუხდა სოვდაგარი.

— ოღონდ შენ დამშვიდდი და ერთი ცხენის საპალნე ოქრო-ვერცხლს მოგცემ!

სიმონიკას სხვა რაღა უნდოდა. წამოიღო ერთი საპალნე ოქრო-

ვერცხლი, ააშენა ახალი სახლი, მოიყვანა ახალი ცოლი და დაიწყო ბედნიერი ცხოვრება.

გავიხარა ხანი. თეკლემ კიდევ გაიგო, სიმონიკა გამდიდრებულაო და ივანიკას უთხრა: შენ სულელ ძმას უფრო მეტი ქონება შეუძენია, წადი, გაიგე ყველაფერი, იქნებ ჩვენც გავმდიდრდეთო.

ერთ მშვენიერ დღეს ივანიკა ესტუმრა თავის სულელ ძმას. სიმონიკამ ახლაც სიყვარულით მიიღო ჭკვიანი ძმა, მოიკითხა რძალი. სამი დღე აქეიფა ივანიკა და საჩუქრებიც გაატანა თეკლესათვის. წამოსვლისას ივანიკამ ჰკითხა სიმონიკას:

— ყველაფერი კარგი. მაგრამ ეგ ქონება და ახალი ცოლი საიდან შეიძინე, მე ხომ სახლი დავიწვი?

— წავიღე ჩემი დაფუფქული ცოლი, ცოცხალზე გადავცვალე და თანაც ოქრო-ვერცხლიც ბლომად მომცეს, — უპასუხა სიმონიკამ.

ივანიკა შინ რომ მოვიდა, წაუკიდა ცეცხლი სახლ-კარს, გამობუგა შიგ თეკლე. ნახევრად დამწვარი გამოათრია. აიკიდა ზურგზე და წაიღო ქალაქში. ჩამოატარა ქუჩებში და გაიძახოდა: „ვის გინდათ მკვდარი ცოცხალში, მკვდარი ცოცხალში, მკვდარი ცოცხალშიო!“ ხალხი მოსდგა ივანიკას და სულ კეტებით დაურბილეს გვერდები: „ვის გაუგონია, მკვდარს ცოცხალზე ცვლიდნენო!“

ახლა კი მიხვდა ივანიკა, იმ ჩემმა ძმამ მომატყუაო, დააგდო მკვდარი ცოლი და გამოიქცა მის მოსაკლავად. მიუვარდა სახლში საწყალ სიმონიკას. გამოათრია გარეთ, შეუკრა ხელ-ფეხი. ჩასვა ტომარაში, აიკიდა ზურგზე და მიაქვს, კლდიდან უნდა გადააგდოს. გზაზე ფეხმოტეხილმა კურდღელმა გადაურბინა. ივანიკამ იფიქრა: მოდი, ამ კურდღელსაც დავიჭერ, დღეს სადილად მეყოფაო. დააგდო ტომარა და გამოუდგა. ამ დროს აქ მეცხვარემ ჩამოიარა, ფარას მირეკავდა საძოვრად. ტომარაში კაცი რომ ნახა, ჰკითხა:

— ვინ ხარ, რა ამბავია შენ თავსაო?

— ეჰ! ჩემი საქმე წასულია, სოფდაგრის ქალზე ჯვარი უნდა დამწერონ და არ მინდა, დამიჭირეს, ხელ-ფეხი შემიკრეს და ძალად მივყავარ. ნეტავ, ვინმე ვნახო, ჩემი საბედო დავუთმო!

— მოდი, მე შევირთავ სოფდაგრის ქალს, ოღონდ შენ ცოტა ხანს ჩემს ფარას მიხედე! — უთხრა მეცხვარემ.

სიმონიკა ამოიყვანა ტომრიდან და თვითონ ჩაძვრა შიგ. სიმონიკამ მაგრად მოუკრა თავი ტომარას, გაირეკა ფარა და წავიდა შინ.

მოვარდა დაღლილ-დაქანცული ივანიკა. ვერც კურდღელი დაეჭირა და ვერც ვერაფერი. წამოავლო ხელი ტომარას, გააქანა და ზედ კლდეზე გადააგდო. მეორე დღეს ჩამოუარა სიმონიკას

ეზოს. დაინახა, მისი სულელი ძმა მხართეძოზე წამოწოლილა და მეცხვარეებს ესაუბრება. ჯერ ვერ დაიჯერა, რომ ეს მისი ძმა იყო.

— ნამდვილად სიმონიკა ხარ? — ჰკითხა გაკვირვებულმა.

— ნამდვილად სიმონიკა ვარ! — უპასუხა ძმამ.

— შენ ხომ კლდეზე გადაგჩეხე!

— მერე რა, შეხედე, იქიდან რამდენი ცხვარი ამოვრეკე! ნეტავ კიდევ უფრო ღრმა უფსკრულში გადაგეგდე. იქ მეტი იყო ცხვარი!

გახარებული ივანიკა პირდაპირ უფსკრულისაკენ გაიქცა. ისკუპა და შიგ უფსკრულში გადახტა.

ამის შემდეგ დიდი ხანი გავიდა. სულელი ძმა ელოდება ჭკვიანს, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა.

სამი მეცნიერი და გლეხი

სამ მეცნიერს ერთ სოფელში დაუღამდა. მივიდნენ ერთ გლეხთან. დასხდნენ პურის საჭმელად. ამათ თავიანთი კარგი საჭმელები ამოალაგეს. გლეხმა ლობიო დაისხა. ჯერ ერთი ჭიქა არაყი ,ადაკრა. შემდეგ ერთი დიდი ჯამი ლობიო შეჭამა და, ბოლოს, ორი ჯამი ღვინოც დააყოლა. მეცნიერებმა უთხრეს:

— ხომ მოგკლავს, ამოდენა საჭმლის ჭამა განა შეიძლება?

— რას დამაკლებს, ხომ ნახეთ, ჯერ ერთი არაყი დავლიე, ბოლოს ღვინო დავატანე, ლობიო შუაში მოვაქციე, აბა, რა უნდა მიქნას.

მოემზადნენ დასაწოლად. მეცნიერებმა თქვეს: გარეთ მოვისვენებთო. გლეხმა უპასუხა:

— ვიცი, ამაღამ გაავდრდება, ლოგინის ალაგებ-დალაგება ჩემი საწვალებელი იქნება, სჯობს, შინ დაიძინოთ!

— რა უნდა გაავდრდეს, ცაზე ღრუბელი არა ჩანს, აბა, საიდან უნდა მოვიდეს წვიმა? ჩვენ გარეთ დავიძინებთ!

დაწვნენ და დაიძინეს. ღამით მართლა მოვიდა წვიმა. გლეხმა მეცნიერები შინ შეიყვანა.

— როგორ გაიგე, რომ უნდა გაავდრებულიყო? — ჰკითხეს მეცნიერებმა.

— საღამოს ღორები რომ მოვიდნენ, ბოჭებმა ჭყვიტინი დაი-

წყეს, ეს ავდრის ნიშანი იყო; ფინიაც რომ მოიკუნტა და სათი-ვის ქვეშ ძოიკალათა, ესეც ავდრის ნიშანი იყოო.

ღილით მეცნიერები გლეხს დაემშვიდობნენ და ერთმანეთს უთხრეს:

— წავიდეთ, ჩქარა წავიდეთ აქედან: გლეხს, ფინიასა და გო-ჭებს ყველაფერი სცოდნიათ, ჩვენ კი ვერა გაგვიგია რა, სჯობს შინ წავიდეთო.

მეცნიერი და მენავე

ერთი მეცნიერი მენავესთან მივიდა და უთხრა: მოდი, ნავში ჩამსვი და გამასეირნეო.

ჩასხდნენ ნავში და გაცურეს. გზაში მეცნიერმა ჰკითხა:

— შენ რამე ცოდნა გაქვს, თუ არა?

— არა, არაფერი ცოდნა არ მიმიღია.

— მაშ, ნახევარი სიცოცხლე დაგიკარგავს, განა მენავეობაზე მეტი არა იცი რა?

— არა, ეს არის ჩემი ხელობა, მეტი არა მისწავლია რა.

— ვერაფერი ბიჭი ყოფილხარ, სირცხვილი!

ამ ლაპარაკში არიან და უცებ მენავემ ნავი მოატრიალა, თუ ვერაფერი ბიჭი ვყოფილვარ, გაჩვენებო. ნავი გადაიზნიქა, მეცნიერი ზღვაში გადავარდა, მენავე ზევიდან მოექცა. სწვდა მეცნიერს ქოჩორში, ჩააყოფინა თავი წყალში, შემდეგ ამოიყვანა და ჰკითხა:

— როგორი ბიჭი ვყოფილვარ?

— ერთი შენა ყოფილხარ ქვეყანაზე და მეორე — ღმერთი ცაში! — უთხრა შეშინებულმა მეცნიერმა.

მენავემ კიდევ ჩააყოფინა წყალში თავი, ბლომად აყლაპვინა მლაშე წყალი და კიდევ ამოიყვანა. ისევ ისე ჰკითხა:

— აბა, კარგად გასინჯე, როგორი ბიჭი ვყოფილვარ?

— შენისთანა ამ ქვეყანაზე არავინ ყოფილა, შენ ყოფილხარ ადამიანის მშველელი!

ახლა კი ამოიყვანა მეცნიერი, ჩაისვა ნავში და ნაპირზე გამოიყვანა. როცა მეცნიერი სამშვიდობოს გავიდა, თქვა: თავის დროზე, თურმე, ყველა ხელობა კარგი ყოფილა, ნეტავ, რას ვერ-ჩოდი იმ კეთილ მენავესო.

ბრმა მეჩონგურე

ერთ ქალაქში ბრმა მეჩონგურე ცხოვრობდა, გულთმისანი და კარგი მომღერალი.

ხელმწიფეს ამბავი მოუვიდა: შენს სახელმწიფოში ასეთი მომღერალიაო. დაიბარა ხელმწიფემ ეს მეჩონგურე.

თავის ეზოში კი დიდი ხარო გაათხრევინა და ზედ ხალიჩა გადააფარა. დანიშნულ დროს მოვიდა ბრმა მეჩონგურე და გაჩერდა ეზოს კარებში. დაუკრა ჩონგური:

მეფე ღმერთმა ადღეგრძელოს,
ეზო კარგად დაუგვია;
ხალიჩებიც დაუგია,
ქვეშ კი ორმო გაუთხრია!

გამოქანდა ხელმწიფე, უნდოდა ეკოცნა ბრმა მეჩონგურისათვის. თავის გათხრილ ორმოში თვითონვე ჩავარდა. ძლივს ამოიყვანეს. მეჩონგურეს სთხოვა: ერთი ლექსი კიდევ მიმღერეო.

მეჩონგურემ უმღერა:

შენი გულის პასუხს
სხვას ნუ გაუცხადებ,
და საფლავის ორმოს
სხვას ნუ გაუმზადებ!

გლეხი და ბატონი

იყო და არა იყო რა, იყვნენ ერთი ბატონი და გლეხი. გლეხი მჭედლობდა და ბევრ ფულს იღებდა. ბატონს შურდა: ეს გლეხია, მე ბატონი და ის მჯობნის ფულის აღებაშიო. ადგა და ბატონმაც გახსნა სამჭედლო, დაიწყეს მჭედლობა ბატონმა და მისმა მოურავმა. გამოიარა ერთმა გლეხმა. ბატონმა ჰკითხა:

— სად მიდიხარ, გლეხო?

— სამი ცალი ურმის თვლის რკინა უნდა ვიყიდო.

— მე იაფად მოგყიდი.

— რას გამომართმევ?

— ათ ოქროს.

— კარგი, ოღონდ ცუდი არ გამიკეთო, — უთხრა გლეხმა.

ბატონმა დაიწყო რკინის გაკეთება. ჯერ გაახურა რკინის ნაჭერი, კვერა, კვერა და უთხრა გლეხს: სამი რკინა კი ვერ გამოვა, იქნებ ორი გამოვიდესო.

გლეხმა უპასუხა: გააკეთე და, რაც გამოვა, იმის ფულ-მოგცემო.

ბატონმა კიდევ გააცხელა რკინა, აკაკუნა, აკაკუნა, კვერა, კვერა და უთხრა: ეხ, გლეხო, ამაში ორი კი არა, იქნებ ერთი რკინა გამოვიდეს.

— გააკეთე, რაც გამოვა, გამოვა, ფულს მაინც მოგცემო.

კიდევ გააცხელა ბატონმა რკინა, კიდევ კვერა, კვერა და უთხრა გლეხს: — ეხ, გლეხო, ერთი რკინა კი არა, იქნებ გუთნის სახნისი გამოვიდეს.

— რაც არის, არის. გააკეთე როგორმე!

ბატონმა ისევ აანთო ქურა, გააცხელა რკინა, მთელი ძალით კვერა, კვერა და კვერა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

— გუთნის სახნისი კი არა, იქნებ გუთნის საფხეკელა გამოვიდეს. მე სანამ საფხეკელას გავაკეთებდე, შენ წადი და ფული მოიტანე, — უთხრა გლეხს.

გლეხი წავიდა. თან ერთი დიდი სახრე მოიტანა. ბატონმა მოურავი გააფრთხილა: ფული რომ მოიტანოს გლეხმა, დაიძახე, დაუმატე, დაუმატე-თქო.

გლეხმა ფული მიაწოდა მოურავს, თანაც ბატონს სახრე გადასცხო.

— დაუმატე, დაუმატეო! — დაიძახა მოურავმა, როგორც იყო გაფრთხილებული. გლეხმა სახრე მიუმატა. ბატონი გაიპარა, ბევრი ეძება გლეხმა იგი, მაგრამ ვეღარ იპოვა. გულით უნდოდა ეცემა. განა არ იყო საცემი!

პურის მარცვალი

ერთ კაცს გუთანი ება და მიწას ხნავდა. ერთი პურის მარცვალი ამოაყოლა, როგორც თხილის გული, ისეთი კარგი. გაუშვა გუთანი და შინ წამოვიდა: იმ დრომდის არ ვიმუშავებ, სანამ არ ვიპოვი ამ პურის მჭამელ ხალხსო.

გასწია და დიდხანს იარა. ერთ ადგილას უთხრეს, რომ ამა და ამ სოფელში ბებერი ცხოვრობს და იმას ეცოდინებაო. მიადგა ბებრის კარებს.

— ოჯახის პატრონო, ოჯახის პატრონო!

გამოეპასუხა ძალიან მოხუცებული ქალი.

— შინ არის თქვენი ქმარი? — ჰკითხა.

— დიახ, შინ არის.

— თუ შეიძლება, დაუძახეთ, ძალიან დიდი საქმე მაქვს!

გამოვიდა ღრმა მოხუცი და ჰკითხა: რა გინდა, შვილოო?

კაცმა აჩვენა პურის მარცვალი და უთხრა:

— აი, იმ დროის მომსწრე ხარ თუ არა, როცა ხალხი ასეთ პურს ჭამდა?

— მე არა, შვილო, მაგრამ ჩემი უფროსი ძმა ცხოვრობს აგერ იქით და შეიძლება ის იყოს იმ დროის მომსწრე.

ასე უთხრა შუათანა ძმამაც. მიადგა უფროსი ძმის კარებს და დაუძახა: ოჯახის პატრონო, სტუმარი არ გინდაო?

გამოვიდა ისეთი ფაშფაშა ქალი, რომ კაცს თვალს მოსტაცებს.

— რა გინდა, ვინა ხარ?

— მე ოჯახის უფროსის ნახვა მინდა.

— ოჯახის უფროსს სძინავს, მეც ამ ოჯახის უფროსი ვარ, რაც გინდა, თქვი!

— არა, მე თქვენს მეუღლესთან მაქვს საქმე.

— აბა, დაუცადე ცოტა ხანს.

დაუცადა კაცმა. დიდი ხანი ელოდა, მაგრამ მოხუცს არ გამოეღვიძა. ქალს ერიდებოდა ქმრის გაღვიძებისა. კაცი შეწუხდა და ქალმა იფიქრა, მოდი, გავაღვიძებო. გააღვიძა. წამოდგა. პირი დაიბანა, სარკეში ჩაიხედა. ერთი ჭაღარა გამორეოდა. სტუმარი მიიპატიჟა. ჯერ პურის ჭამა დაიწყეს. შემდეგ მოსვლის მიზეზი ჰკითხა. კაცმა პურის მარცვალი აჩვენა და ჰკითხა:

— აი, იმ დროის მომსწრე ხარ თუ არა, როცა ხალხი ასეთ პურს ჭამდა?

— ვარ, როგორ არა, ოღონდ ჯერ დაიცადე, პურის ჭამა დავამთავროთ და მერე გეტყვი.

პური რომ ჭამეს, ცოლს უთხრა (ცოლი ორსულად ჰყავს, დღე-დღეზე ბავშვი უნდა შობოს!):

— ადი ახლა მესამე სართულზე და საზამთრო ჩამოგვიტანეო. გაიქცა ქალი და ერთი საზამთრო ჩამოიტანა.

— ეს არა, სხვა აარჩიე და ის ჩამოიტანე! — უთხრა ქმარმა.

გაიქცა ქალი, აიტანა მესამე სართულზე ეს საზამთრო და ისევ ჩამოიტანა.

— ამაზე უკეთესი ვერ აარჩიე, სხვა ჩამოიტანე! — კიდევ უთხრა ქმარმა.

ქალი მესამედ გაიქცა და ისევ ის საზამთრო ჩამოიტანა, სხვა არა აქვთ. დაჭრეს საზამთრო, ჭამეს.

— ჩემი დრო გავიდა, უნდა წავიდე, მითხარი ამ პურის ამბავი! — სთხოვა სტუმარმა.

— ეგ პური იმ დროინდელია, — უთხრა მასპინძელმა, — როცა ორი ძმა იყრებოდა, ერთი ცოლშვილიანი, მეორე — უცოლშვილო, კალოზე რომ ხვავს ყოფდნენ, უცოლო ეუბნებოდა, წაიღე, კაცო, მეტი, შენ ოჯახიანი კაცი ხარ, მეტი გჭირდება; ცოლშვილიანი კიდევ ეუბნებოდა: არა, კაცო, შენ წაიღე მეტი, უცოლო ხარ და მეტი ხარჯი გაქვსო. ეს მარცვალი მაშინ დაკარგულა და შენ გიპოვიაო.

— კი მაგრამ, შენ თუ უფროსი ხარ, ის შენი ძმები რად არიან ასე ბებრები და შენ ასე ჯეელი?

— ეჰ, ნეტავი შენ!—გაეცინა კაცს.—ჩემს უმცროს ძმასა და შუათანას ცოლები ტანჯავენ და ასე იმიტომაც დაბერდნენ. ჩემი ცოლი კი კეთილი ქალია და რა დაგვაბერებს. დღევანდლამდის ჭაღარა არ მერია. ახლა ერთი ჭაღარა გამომაჩნდა. რადგან ძილი ვერ დავამთავრე და ჩემმა ცოლმა ადრე გამომაღვიძა. ჩემს ცოლს ხომ უყურებ, როგორაა, დღე-დღეზე დასაწოლია, მაგრამ სამჯერ ავიდა მესამე სართულზე და ჩამოვიდა, მე განა იქ საზამთროს ბაღი მქონდა? სულ ერთადერთი საზამთრო გვედო, მაგრამ ხათრი არ გამიტეხა, ავიდა და ჩამოვიდა, იმიტომ არ დაბერდა, ხანი კი დიდი აქვს! ჩემი ძმები როგორ არ იქნებიან დაბერებულები, როცა ასე ავი ცოლები ჰყავთო! წადი ახლა და როგორც გიშრომია, ისე იშრომე, გულკეთილობა, ხათრი და პატიოსანი შრომა არც შენ მოგახუცებსო...

კაცი მასპინძელს გამოემშვიდობა, წამოვიდა შინ და როგორც შრომობდა, განაგრძო ისევ ისე თავისი შრომა.

მძლეთამძლე

იყო სამი ძმა, ორი ყოჩაღი, მესამე ჩოფანო, გლახა. უფროსმა ძმებმა ცოლები რომ შეირთეს, ერთად ვერ მოთავსდნენ და ქონება შუაზე გაიყვეს. ჩოფანო ძმა კი უწილოდ დატოვეს. ამ გლახამაც მოითხოვა ჰამისეული ქონების წილი, მაგრამ ძმებმა უთხრეს: შენ ცოლს არავინ მოგათხოვებს, ქონება რად გინდა, ხან ერთთან იმუშავე, ხან მეორესთან და ჩვენ გიპატრონებთო. ჩოფანომ ეს რომ გაიგონა, ერთი სიკვდილი მოკვდა, მაგრამ კარგად იცოდა, ჩხუბით ძმებთან ვერაფერს გახდებოდა. ბოლოს, წაიღო მამის დატოვებული ლეკური ხმალი და იქაურობას გაშორდა.

გაუდგა გზას. ცოტა იარა, თუ ბევრი იარა, მივიდა ერთ სოფელში. ჭონახა მდიდარი კაცი და მოჯამაგირედ დაუდგა. სამი თვე ემსახურა. აღებული ჯამაგირით ხმალს ქარქაში გაუკეთა, რკინაზე ოქროს ასოებით წააწერინა „მძლეთამძლე". გადაიკიდა მხარზე ხმალი და ისევ გაუდგა გზას, საით მიდის, არ იცის.

ვადიოდა თემშარაზე სოფელ-სოფელ და უშნოდ მიაკონწიალებდა ლეკურს. გამვლელ-გამომვლელები ეჭვნეულად ადევნებდნენ თვალს, ბავშვები ყოველთვის დასდევდნენ უკან და დასცინოდნენ. ჩოფანოს მოსწყინდა თემშარაზე ხეტიალი. გზიდან გადაუხვია და ტყის პირად, ხის ძირში მიწვა, ვითომ ცოტას დავისვენებო. ტყიდან ორი შეიარაღებული ვაჟკაცი გამოვიდა და მისკენ წამოვიდა. ჩოფანომ თავი მოიმძინარა. ვაჟკაცებმა ეჭვნეულად დაუწყეს ყურება. რაღაც თვალში არ მოუვიდათ. მივიდნენ და სიცილით გვერდში მიუსხდნენ. ერთმა, მასხრობით, მძინარეს ქარქაშიდან ხმალი ამოაძრო. ნახეს, რკინა ლაპლაპებს, ზედ აწერია „მძლეთამძლე". ახლა კი შეშინდნენ. ეგონათ, არც ისე სახუმარო კაცთან ჰქონდათ საქმე. ხმალი ისევ ჩუმად ჩაუგეს ქარქაშში: ეს ვიღაცაა, ალბათ, გამოცდილი ვაჟკაცია და იქნებ ჩვენი ამხანაგობაც ინებოსო. დიდი მორიდებით დაუწყეს გაღვიძება. ჩოფანოს ყველაფერი ესმის, გული გაიმაგრა და, ვითომ მაგრად ეძინაო, თვალები ამოიჭყლიმა, ადგა და მოსულებს მიესალმა. იმათაც „ღმერთმა გადღეგრძელოსო!" — უთხრეს და მუსაიფი გააბეს. ჩოფანოც მოყვა თავისი ვაჟკაცობისა და ლეკურის ამბავს. ახლა მომწყინდა ამდენი ომი, სისხლის ღვრა და ხელმწიფესთან უნდა გამოვცხადდეო, — გაათავა ტრაბახი ჩოფანომ. კაცებს გაუკვირდათ ჩოფანოს გმირობა და მათაც უამბეს თავიანთი თავგადასავალი. — ჩვენო, — უთხრეს, — აქ ორნი ვართ, მაგრამ ექვსი ამხანაგი

კიდევ გვყავს, თუ არ გაგვიბრაზდები, მეცხრე ამხანაგი შენ-
იყავიო! — ჩოფანოც დაეთანხმა. ესენი თურმე, განთქმული ყაჩაღები
არიან და ცხოვრობენ შორს, სადღაც ლურსკუმა ტყეში.

წაიყვანეს ჩოფანო ტყეში ატამანის სანახავად. ჩოფანოს ვაჟ-
კაცობის ამბავი ამხანაგებს ერთი ხუთად გადასცეს. ატამანმა
მაინც არ დაიჯერა და ჩოფანოს გამოცდა განიზრახა. დაავალა
ყაჩაღებს:

— ამაღამ ღორის სადარაჯოდ წახვალთ და ამ ახალ ამხანაგსაც
თან წაიყვანთო. ჩოფანო შიშმა აიტანა, მაგრამ თითქოს არ შეიმ-
ჩნია. საღამოს გაჰყვა ამხანაგებს ტყეში. თითქოს ძალიან გახარე-
ბულია, გულში კი ფიქრობს, იქნებ სადმე გავასწრო და გავიპა-
როო. ამხანაგებმა თოფი შესთავაზეს. მან კი ისინი სასაცილოდ
აიგდო: აბა, ეს ლეკური ტყუილადა მაქვსო! ნამდვილად არც
იცოდა, თოფი საიდან ისროდა.

ღორები რკოზე ყოფილიყვნენ მიჩვეული. ჯერ თურმე კარგად
გაძღებოდნენ, მერე დრუნჩებით დარნეებს თხრიდნენ. უცებ ერთი
ღორის ნაკვალევი შენიშნეს: ნამდვილად ეს არის, კამეჩის ტო-
ლას რომ ამბობენო, — თქვეს ყაჩაღებმა, — თურმე იმ სისქე ტყა-
ვი აქვს, ტყვია ვერ ატანს, ერთი ეშვის მოქნევით, კისრის სიმსხო
ხეებს გლეჯსო. ჩოფანო აქ დატოვეს, ისინიც იქვე ახლოს, ხის
ძირში ჩასაფრდნენ. წახდა საწყალი ჩოფანო. აღარც გაპარვა
ეწყობა ამ შუაგული ტყიდან და აღარც არაფერი. მადლობა
უფალს, ღორის ბედზე გავჩენილვარ და რა ვქნაო, — ფიქრობ-
გუნებაში. მეტი ვერაფერი მოიფიქრა, ავიდა მუხაზე და გადა-
ალაჯა ბოჯახში: თუ მაინცა და მაინც ღორი აქ მომადგა, რაღაცას
გადავუგდებ, შეშინდება და გაიქცევა, ბრალს ვერავინ დამდებს.

უცებ მოისმა შრიალი, ღორმა მუხის ქვეშ თვალები შემოაბრიალა
ზევითაც შეანათა. ჩოფანოს გული შეუწუხდა, მთლად აკანკალ-
და, დაუცდა ფეხი ტოტზე, ჩამოვარდა და იმ ღორს დაეცა
ზურგზე. ღორმა გაქცევა არ იკადრა და ადგილზე დატრიალდა. ჩო-
ფანომ მაგრად ჩაავლო ხელი ჯაგარში და არ იცის, რა ქნას. ეს
დაინახეს ამხანაგებმა, მოვარდნენ ლომებივით, დაუშინეს თოფები
და ღორი იქვე წააქციეს. ჩოფანო კი ახლა მოვიდა გონს. ნახა
საქმე გათავებულიყო და ეშმაკობა იხმარა, მორთო ყვირილი
თქვე ასეთებო და ისეთებო, მე ღორი დავიჭირე, ცოცხლად
მინდოდა წამეყვანა და თქვენ ხელში ჩამაკალითო. ყაჩაღებმა
ბოდიში მოიხადეს.

წაიღეს ამოდენა ღორი და წავიდნენ ატამანთან. ყველა

ვაუკვირდა ახალი ამხანაგის გმირობა. ღორს თავი მოსჭრეს, ვაუგზავნეს ხელმწიფეს და შეუთვალეს: ჩვენს დევნას თავი დაანებე, თორემ ინანებ, ახლა ისეთი მეცხრე ამხანაგი შევიძინეთ, რომ ეს ტახი ცალი ხელით დაიჭირაო.

ღორის დაჭერის ამბავი მთელმა ქვეყანამ შეიტყო და ყველა ბოფანოს აქებდა. ზოგი ამბობდა — დევკაციაო, ზოგიც — ტყვიას ელით იჭერსო. ყველას პირზე მძლეთამძლე ეკერა. ხელმწიფე და ჰისი ვეზირები შეშინდნენ და ყაჩაღების დევნას თავი დაანებეს.

გავიდა ხანი. ამ ხელმწიფეს ომი გამოუცხადა მეზობელმა ხელმწიფემ. დადეს პირობა: ყოველ წელიწადს მოვაწყოთ ორთაბრძოლა და ვისი ფალავანიც მოკვდეს, იმან გამარჯვებულს რამდენიმე სოფელი მისცეს თავისი ხალხითა და ქონებითო. ყოველ წელიწადს ჰარცხდებოდა ეს ხელმწიფე. უკვე ხუთი წელიწადი გავიდა და ერთხელაც ვერ გაიმარჯვა. მოწინააღმდეგე ხელმწიფეს ერთი ისეთი კმირი ჰყავდა, ვინც კი მიეკარებოდა, ყველას თავს აგდებინებდა. ვინ მოსთვლის, რამდენ ვაჟკაცს წააცალა თავი ამ წყეულმა. ხელმწიფე ძალიან შეშინდა, საუკეთესო ვაჟკაცები მტერმა გაუქლიტა. თვითონ მარტო რას იზამდა.

ბევრი იფიქრეს და ითათბირეს. ხელმწიფემ შეყარა ვეზირები და რჩევა სთხოვა. უფროსმა ვეზირმა სიტყვა აიღო და ბრძანა:

— ჩვენც გვყავს ერთი ვაჟკაცი, აი, ის მძლეთამძლე, ვეშაპი ტახი რომ ხელდახელ დაიჭირა, თუ იმას არ ვთხოვეთ, სხვა ვერავინ გვიშველის და მთელ ქვეყანას დავღუპავთო.

ეს აზრი ყველამ მოიწონა. ხელმწიფეც დაითანხმეს. მძლეთამძლეს შუაკაცები ვაუგზავნეს. დაუდეს პირობა: თუ მტრის ფალავანს მოკლავდა, ხელმწიფე მის ამხანაგებს გაათავისუფლებდა. თავის ერთ ქალს ცოლად მიათხოვებდა, კარგად დაასაჩუქრებდა და ტახტსაც დაულოცავდა.

შუაკაცებმაც აღარ დააყოვნეს, წავიდნენ და ინახულეს მძლეთამძლე და მისი ამხანაგები. ყაჩაღები სიხარულით კინაღამ გაფრინდნენ. საქმე მძლეთამძლეზე იყო. ის ღრმად ჩაფიქრდა. „საწყალს გულში ისეთი შიში ჩაუვარდა, ისეთი, რომ დამუნჯდა. „აქამდი ქე ვიყავი ცოცხალი, ავად იყო, თუ კარგად, სულს მაინც ვათრევდი, ახლა კი ბეჯითად ვხედავ, დაილია ჩემი დღე და მოსწრებაო,“ — ფიქრობდა. ბოლოს მაინც დაეთანხმა: უარის თქმა, სულ თავის მოჭრა გამოვა, ისეთი ვაჟკაცის ხელით რომ მოვკვდე, სირცხვილი არ იქნება, ამხანაგებს ხომ გავათავისუფლებო. აიღო თავი და შუაკაცებს განუცხადა:

— კარგი, თანახმა ვარ, გავუვები ორთაბრძოლაში, მაგრამ მრცხვენია, ერთ კაცს როგორ შევებრძოლო, ნეტავ სამი მაინც გამოუშვანო!

ამის გამგონეებმა სიხარულით ტაში შემოკრეს. ხელი მოჰკიდეს მძლეთამძლეს და ხელმწიფეს წარუდგინეს. ეს ამბავი მთელ ქვეყანას მოედო. ყველა მძლეთამძლეზე ლაპარაკობდა: ერთი კი არა, სამი გამოუწვევიაო; ხმალს არც კი ვიხმარ, ხელით წავაგლეჯ კისერსო!.. ზოგი ამბობდა: მძლეთამძლე, კაცო, ხეს რომ დაეჯახოს, მოგლეჯს, კაცი რას დაუმაგრდებაო! ამ ვითქმა-მოთქმამ იმ ვაჟკაცის ყურამდისაც მიაღწია. საწყალს გული წინდაწინ გაუსკდა: დაილია ჩემი დღეებიო, ფიქრობდა.

მოვიდა უკანასკნელი დღეც. მინდორზე ხალხი ველარ ეტევა: ყველა მძლეთამძლეს შეჰყურებს. რა პატარა ტანის კაცი ყოფილა, მაგრამ ხერხიანი იქნებაო, — ამბობდნენ. ფალავნები გამოვიდნენ. საწყალი ჩოფანო იმ ვაჟკაცთან სკვინჩას ოდენაც არ ჩანდა, მაგრამ გულს მაინც არ იტეხდა. მოვკვდები და ისაა, ანაბრინი ჩემს საქმესო! — ფიქრობდა თავისთვის. ვაჟკაცმა ახედ-დახედა მძლეთამძლეს და ჩაეცინა ულვაშებში: ამას ერთ დარტყმაზე წავაცლი კისერს, მაგრამ, ალბათ, პირშავს, ეშმაკური ხერხები ეცოდინება, და სჯობს, ჯერ მას ვაცალო, აბა, რას იზამს, თუ გავუგე ეშმაკობა, მე მკითხოს, რა დღეს დავაყენებო.

ხალხი უცებ გაცივცივდა. ფალავნებს ანიშნეს და ერთმანეთი-საკენ წაიწიეს. მძლეთამძლეს გულმა ველარ გაუძლო. თვალით ხედავს სიკვდილს. ხმლის ამოღებაც კი დაავიწყდა. დახუჭა თვალები, დაღუნა თავი და ისე მიდის წინ. ბარემ წამჭრას თავი, ქვე მაინც მოვრჩე ამ უბედურებასო, — იფიქრა.

ჩოფანო რომ ასე კისერწაწეული დაინახა, იმ ვაჟკაცმა იფიქრა, რაღაც ხერხს მიკეთებსო და მანაც წაგრძელა კისერი და დაესო ერთ ადგილზე. ჩოფანო ყოველ წუთს ელოდა თავის წაჭრას, მაგრამ, როცა დაგვიანდა, ჩუმად გაახილა მარცხენა თვალი. შეხედა, რას ხედავს! მის მოწინააღმდეგეს წაეგრძელებია კისერი დასაკლავ ქათამსავით, დაუხუჭავს თვალები და არის ისე გაჩერებული. ახლა კი ჩოფანომ იფიქრა, დრო ვიშოვნე. ნუ გეშინია, დაჰკარი, შეგლახაო! თავბრუდასხმულმა აშპუნა ლეკური, აღარც კი ახსოვს, როგორ მოუქნია, ვაჟკაცის თავი აქეთ გაგორდა, ტანი იქით წაიქცა.

შეიქმნა დიდი ამბავი და გაწევ-გამოწევა. მოავლეს ხელი მძლეთამძლეს და ხელმწიფეს მოურბენინეს. გახარებულმა ხელ—

ხელმწიფემ იმავე დღეს დასწერა ჯვარი თავის ქალიშვილზე და ტახტიც დაულოცა. ეს ჩოფანო ხელმწიფე გახდა. მისი ამხანაგები ვეზირად დაიყენა, მოიხმო ძმებიც და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

ასე გათავდა ჩოფანოს ამბავი.

ხელმწიფე და მისი შვილი

იყო ერთი ხელმწიფე. მას ჩვეულებად ჰქონდა, ყოველი წლის ნათლიღების წინადღით თითო კომლიდან ორ-ორი მანეთი შეეკრიბა. ერთ წელიწადს ყველგან აკრიფეს ფული, მაგრამ ერთმა გლახაკმა ხელად ვერ იშოვნა ორი მანეთი და ვერ გადაიხადა ბეგარა. მოახსენეს ხელმწიფეს: ამა და ამ კაცისაგან ფული ვერ ავიღეთო.

— მომიყვანეთ აქ ურჩი გადამხდელი! — ბრძანა ხელმწიფემ.

მიუყვანეს მაშინვე საწყალი კაცი. ხელმწიფემ გააშიშვლა (მაინც კი იყო შიშველი), ამ საშინელი იანვრის ღამეში გააჩერა შუა მინდორში, თავზე მცველები დააყენა, ცეცხლი არ დაინთოსო. გათენდა დილა. ხელმწიფემ იკითხა:

— რა ქნა?

— ცოცხალია, ბატონო! — მოახსენეს ვეზირებმა.

ხელმწიფე გაბრაზდა, მცველებს სცემა: იმ ყიამეთში ცოცხალი როგორ გადარჩებოდა, ცეცხლზე გაგითბიათო! შეშინებულმა მცველებმა ჯერ ხმა ვერ ამოიღეს, ბოლოს ხელმწიფეს მოახსენეს: წუხელ. ღამით ქვევიდან ისეთი ამოწითლებული იყო, რომ ეს კაცი ხან ფეხს და ხან ხელს უშვერდა, ალბათ, ამით თბებოდა, თორემ სხვა სითბო მას არ მიჰკარებიაო!

— მეც მაგას ვამბობ, რომ გამთბარა და იმიტომ გადარჩა ცოცხალიო! — თქვა ხელმწიფემ.

დაიჭირეს საწყალი გლახაკი და ორმოში ჩააგდეს.

გათენდა ნათლიღება დილა. არის მზადება. ხელმწიფე ჯერ წირვაზე უნდა წავიდეს. ხელმწიფის შვილმა მამას უთხრა: სადილის გაკეთება დღეს მე დამევალოს, თქვენ წირვაზე წაბრძანდით, ყველაფერს გამზადებულს დაგახვედრებთო.

შვილის სიტყვები გაუხარდა ხელმწიფეს. წაიყვანა თავისი წამყოლები და წავიდა წირვაზე. ხელმწიფის შვილმა გაზომა ერთი ქცევა მინდორი. ოთხივე მუხურობში დააწყობინა თითო საჟენი

შეშა და გაუკიდა ცეცხლი. ამ მინდვრის შუაზე დადგა უშველებელი ქვაბი ხორცით სავსე.

ხელმწიფე და მისი მხლებლები დაბრუნდნენ. ხუცესს წირვა გაეგრძელებინა და ყველა გამგელებული იყო შიმშილით. ხელმწიფემ ბრძანა: აბა, ჩქარა სადილი მოგვართვითო! ორი საათიც გავიდა, მაგრამ სადილი არსად ჩანდა. ხელმწიფის შვილი უპასუხებდა: კი, ბატონო, ახლავე, ცოტა აკლია. სადაცაა ხორცი მოიხარშებაო! ხელმწიფეს ჰოთმინების ფიცლა აევსო. გაბრაზდა. გაუწყრა შვილს: როგორ ვერ გააკეთე აქამდის სადილი, ლამის შიმშილით დავიხოცოთო.

ბიჭმა წაიყვანა ხელმწიფე და აჩვენა ეს მინდორი.

— მამაჩემო, ხომ ხედავ, ერთი საკენი შეშა აგერ იწვის, მეორე, ეგერ, მესამე და მეოთხე — იქით. ქვაბი შუაზეა დადგმული. არ იქნა, არ ადუღდა წყალი და არ ვიცი, რა ვქნაო!

ხელმწიფე უფრო გაანჩხლდა: ასე წყალი როგორ ადუღდება, შუაზე ცეცხლი არ ჰქონია შენთებულიო!

მაშინ შვილმა უპასუხა: ქვევიდან ამოწოლილი რომ იყო, იმან თუ გაათბო კაცი საშინელ ყინვაში, აქ, ერთ ქცევაზე, როგორ ვერ გაათბო ქვაბი ოთხმა საკენმა შეშამაო.

ხელმწიფე განცვიფრდა შვილის ბრძნული სიტყვებით. გლახაკი გაათავისუფლა და შვილს უთხრა: აწ კი რაღად ღირს ჩემი ხელმწიფობა, ვხედავ, მაჯობე და ტახტიც შენთვის დამითმიაო! და დაულოცა ხელმწიფობა შვილს...

მონადირე და ხელმწიფე

ერთ ხელმწიფეს კარგი მონადირე ჰყავდა. თუ კი დაინახავდა ნადირს, აუცილებლად მოკლავდა.

ერთხელ მონადირე ტყეში წავიდა. დაინახა ირემი, გადმოიღო მშვილდ-ისარი და მიწაზე გააგორა. მივიდა, ნახა და კინაღამ გული წაუვიდა: ხელმწიფის მოშინაურებული ირემი მოეკლა. შეშინდა მონადირე: ხელმწიფე ამისათვის ხომ ჩამომახრჩობსო! წამოვიდა შინ, არის ყურებჩამოფლარტული, დანა პირს არ უხსნის. ქალი შეუჩნდა:

— გინდა თუ არა, მითხარი, რისთვის ხარ დაღონებულიო?

კაცი წუხს, არ უნდა თქვას, მაგრამ ქალი რომ არ მოეშვა, უთხ-

ტრა: რა ვქნა, შენ რომ გითხრა, ქვეყანას მოსდებ და ამისათვის ვერ ვეტყვიო.

ქალმა პირობა მისცა, დაუფიცა და დაუნაბდა, არავის არ ვეტყვიო! ქმარმაც იფიქრა, მოდი, ვეტყვი, ცოლია, მტერი ხომ არაა და ყველაფერი უამბო: ამა და ამ დილას ხელმწიფის ირემი შემოჭაკვდაო.

ქალმა ნელ-ნელა ეს ამბავი ყველას უთხრა. მონადირის საქმე ისე გახმიანდა, რომ ხელმწიფის ყურამდისაც მიაღწია. გაცოფდა ხელმწიფე. უბრძანა ვეზირებს: ის მონადირე გაკოჭილი მომგვარეთო! გამოგზავნეს კაცები, დაიჭირეს საწყალი მონადირე, გაუკოჭეს ხელ-ფეხი და მიჰგვარეს ხელმწიფეს. ჭიშკარში რომ გამოვიდნენ, ქალმა დაუძახა: ერთი ხელი აბრეშუმის კაბა თუ არ მომიტანე მისი მოწყობილობით, სახლში არ შემოგიშვებო!

მიუყვანეს შეკოჭილი მონადირე ხელმწიფეს. ხელმწიფემ ბრძანა: ახლავე ჩამოახრჩეთო! გააკეთეს უშველებელი სახრჩობელა, გაიყვანეს ზედ მონადირე, გააყოფინეს კისერი მარყუჟში. მონადირემ იყვირა: ცოტა მაცალეთ, ორი სიტყვა დამრჩა უთქმელი და შათქმევინეთო!

ხელმწიფემ ნება დართო და მონადირემაც თქვა: მე ჩვენი ხელმწიფე ჭკვიანი კაცი მეგონა, თურმე მასაც და ჩემ ცოლსაც ერთნაირი ჭკუა ჰქონიათო.

ხელმწიფე გაბრაზდა, მივარდა სახრჩობელასთან და დაუწყო ყვირილი მონადირეს: როგორ გაბედე ამის თქმა, ვის მადარებ, თუ იცი?!

— ბატონო, მაინც მახრჩობთ, ვხედავ, ამის მეტს რაღას მიზამ? ახლაც ვიმეორებ, ჩემს ცოლსაც და შენც ერთნაირი ჭკუა გქონიათ, არც მეტი, არც ნაკლები! — გაიმეორა მონადირემ.

— მერე და როგორ? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— ჯერ ერთი, რაც დამემართა, ყველაფერი ჩემი ცოლის ენით დამემართა, მერე, როცა დასახრჩობად წამომიყვანეს, იმან აბრეშუმის კაბა დამაბარა. ჭკვიანი ქალი განა ამას იზამს? — თქვა მონადირემ.

— მე რაღა შუაში ვარ, შენი ცოლი თუ აბდალია? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— შენც აბდალი ხარ, თორემ ცოცხალი თუ ვიქნებოდი, ერთის მაგივრად ცხრა ირემს გადაგიხდიდი, შენ კი აღარც ძველი ნამსახური მოიგონე, აღარც არაფერი და მახრჩობო.

— მართლა აბდალი თუ არა ვარ, რას ვერჩი ამ კაცსო! — თქვა ხელმწიფემ და გაათავისუფლა.

ფულს ყველაფერი შეუძლია

იყო ერთი ხელმწიფე და ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი. ქალიშვილს ხელმწიფე მზეთუნახავად ზრდიდა, თავისთვის ჰქონდა ყველაფერი და თავს სამი მცველიც ედგა. ერთ დღეს მზეთუნახავმა სასახლის კედელზე წაიკითხა: „ფულს ყველაფერი შეუძლია". ადგა და ხელმწიფეს მოახსენა. ხელმწიფემ ბრძანა: ჩქარა მონახეთ და მომგვარეთ მაგის დამწერიო!

როგორც იყო იპოვეს მისი დამწერი და ხელმწიფეს მიუყვანეს. აღმოჩნდა ერთი ახალგაზრდა, თვალტანადი და ლამაზი ბიჭი. გამოტყდა, მე დავწერეო, მაგრამ თავი დამნაშავედ არ ცნო.

— ფულს ყველაფერი შეუძლია, ფული რომ მქონდეს, შენი ქალიშვილიც ჩემი იქნებაო, — გაუმეორა ხელმწიფეს.

ხელმწიფემ გულისწყრომა დაფარა, მიუბრუნდა და უთხრა:

— შენ ტყუილს ამბობ, თორემ, აჰა, ჩემი ხაზინა და, თუ შენ მუქარას ვერ აასრულებ, თავს მოგჭრიო!

— თქვენი ხმალი და ჩემი კისერიო, თუ ჩემ სიტყვას ვერ შეასრულებო! — უპასუხა ბიჭმა.

დადეს პირობა. ვადად ერთი წელიწადი დადეს და ხელმწიფემ თავისი ხაზინა გადასცა. მოიხმო საუკეთესო დურგალ-კალატოზები, ზღვაში მაგარი ციხე-სიმაგრე ააშენა, შიგ ჩასვა მზეთუნახავი, გარედან კუდიანი დედაბრები და მცველები დააყენა, მაგრად ჩაკეტა კარები და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

ბიჭი უკანასკნელ მოდაზე გამოეწყო, გაიჩინა ძმა-ბიჭები და ხელი მიჰყო ქეიფობას. ხარჯავდა და ხარჯავდა ფულებს. ნუ გეშინია, ხაზინა კი იყო გამოჭედილი ქაღალდის ფულით და ოქროებით. ბიჭს ყველა ამხანაგი დახმარებას ჰპირდებოდა. ზღვაში მიცურავდნენ, ციხეს ირგვლივ უვლიდნენ, მაგრამ ახლოს ვერ ეკარებოდნენ. დრო კი გადიოდა. ბიჭს ქეიფის მადაც ეკარგებოდა და საკუთარი თვალით ხედავდა, სიკვდილის დღეები უახლოვდებოდა. ბოლოს, ვერაფერი რომ ვერ გააწყო, ხაზინიდან ფულები გამოიტანა და ღარიბებსა და ძმა-ბიჭებს დაურიგა, ჩემი სიკვდილის შემდეგ მომიგონეთ და შესანდობარი დალიეთო.

გავიდა ექვსი თვე. ერთი ამდენი ხანი კიდევ დარჩა, მაგრამ რაუნდა მოეგონებინა. ერთ დღეს ბაღში იჯდა დაფიქრებული, იქვე მოშორებით ძმა-ბიჭები ქეიფობდნენ მის ანგარიშზე. თვითონ ქეიფის თავი აღარა ჰქონდა. ამ დროს სხვა სახელმწიფოდან ერთი ვაჭარი ჩამოსულიყო და ამ ქალაქს ათვალიერებდა. გამოიარა ბაღში

და დაიწყო სეირნობა. მოქეიფე ბიჭების ხმაურობა რომ გაიგონა, ეკითხა: ვინ არიან, ან რატომ ხმაურობენო?

მებაღემ აუხსნა: ასე და ასეა საქმე, ერთ ბიჭს ხელმწიფესთან საჩაძლეო აქვს დადებული და ისინი ქეიფობენო.

— როგორმე ის ბიჭი აქ მომიყვანეო! — უთხრა ვაჭარმა მებაღეს.

გამოიქცა მებაღე, დაინახა ბიჭი, მივარდა და ყველაფერი უთხრა. ამის შემდეგ გავიდა ერთი თვე და ბიჭი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ბისი ვერც ავი გაიგეს და ვერც კარგი. სახელმწიფოდან რომ არ გაპარულიყო, ხელმწიფემ საზღვრებზე მცველები დააყენა. ბევრი ეძებეს, მაგრამ მისი კვალიც კი არსად გამოჩნდა. ხალხი ლაპარაკობდა: ყოჩაღად მოიქცა, ხაზინა გაცალა და გაიქცაო. ნამდვილი ამბავი კი არავინ არ იცოდა. ასე მიდიოდა დღეები.

ერთ დღეს ჩამოსულმა ვაჭარმა განცხადება გამოაკრა: „ვეყიდი ისეთ არღანს, რომელიც ოცდაოთხნაირ სიმღერას უკრავს, საჭიროა მხოლოდ მსურველმა უთხრას, რომელი სიმღერის დაკვრა სურს“. ფასიც ისე ძვირი იყო გამოცხადებული, რომ უბრალო კაცი ვერ იყიდდა.

ერთხელ ეს არღანი ხელმწიფის ცოლმაც დაათვალიერა. არღნის სილამაზითა და სიმღერებით ძალიან გაკვირვებული დარჩა. შინ რომ მივიდა, ქმარს აუხირდა: ერთი შვილი გვყავს და ვიღაც ბიჭის აბდლურ სიტყვაზე გავაწვალეთ, იმან ხაზინა გაგიცალა და გაიქცა, ჩვენი შვილი კი სადღაც ზღვაში გვყავს ჩაკეტილი, ბედნიერებას მოკლებული, ან აქეთ გამოვიყვანოთ, ან გასართობად არღანი მაინც ვუყიდოთ და გავუგზავნოთო.

ხელმწიფემ ჯერ უარი თქვა, არამც და არამც არა ქნა არღნის ყიდვა, მაგრამ ცოლი ისე შეუჩნდა, რომ ბოლოს დაიყოლია, ხომ გაგიგონიათ: დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ დაახევინებს უკანო. ხელმწიფემ იყიდა არღანი და გაუგზავნა მზეთუნახავს ციხეში. ქალიშვილს ძლიერ მოეწონა საჩუქარი.

— აბა, ჩემო არღანო, ესა და ეს სიმღერა დაუკარიო, — ეტყოდა და არღანიც ხელად ამღერდებოდა.

ასე გავიდა კარგა ხანი. ხელმწიფისა და ბიჭის მიერ დადებული დროც გავიდა. ხელმწიფე ყოყოჩობდა: ხომ გავიმარჯვეო! ერთი ორი დღე კიდევ უცადა ხელმწიფემ, ეგებ გამოჩნდეს ბიჭიო, მაგრამ რომ აღარ გამოჩნდა, მზეთუნახავის საქმროდ მეზობელი ხელმწიფის შვილი მოიწვია და ქორწილიც დანიშნა. ამ ქორწილში მთელი მისი საბრძანებელი მოიწვია. მექორწილენი თავის ადგილზე დასხდ-

ნენ. ნეფე-დედოფალი. რასაკვირველია. ერთად დასვეს. არღანმაც თავისებურად დააგრიალა ახალ-ახალი სიმღერები.

წამოდგა თამადა და დაიწყო სადღეგრძელოები. ჯერ, როგორც წესია, ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო უნდა დაცლიათ. თამადამაც ხმა ამოიწმინდა და ორი საათი ილაპარაკა, აქო და ადიდა ნეფე-დედოფალი. ყველამ მიირთვა სადღეგრძელო, ხელმწიფემ ისეთი სიტყვა თქვა, ცხელცხელი კურცხლები გადმოყარა თვალებიდან. ახლა ის დროა, რომ სიტყვა უნდა თქვას ნეფე-დედოფალმა. უცებ გაიღო არღნის კარები და გამოვიდა მონაძლავე ბიჭი. ყველა განცვიფრდა. ხელმწიფეს მოჩვენება ეგონა, თვალებს არ უჯეროდა. ნეფე-დედოფალს შერჩათ ხელში ყანწები. ყველას ჩაუწყდა ენა. ბიჭმა დაიწყო: ბატონებო, პირველად ბოდიშს ვიხდი ნეფესთან, მაგრამ ვაცხადებ, პირობის ძალით ეს ქალი ჩემია, ამას მისი მუცელიც ამტკიცებს. მე ვთქვი და გავათავე: ფულს ყველაფერი შეუძლია-მეთქი. ამ ქვეყანაში ფულია ყველაფერი, ფულია ხელმწიფე და არა სხვა ვინმეო, — გაათავა ბიჭმა ლაპარაკი და მიუჯდა გვერდში დედოფალს. ახლა ყველა შიხვდა, რაც მოხდა.

ხელმწიფე რაღას იზამდა. სასიძოს მხლებლებმა გაისვეს ხანჯლებზე ხელი. შეიქმნა ერთი ამბავი: მოგვატყუეს, ორსული ქალის მოცემა უნდოდათო, — ყვიროდნენ და ილანძღებოდნენ.

როგორც იყო, ყველა დაშოშმინდა. ხელმწიფე მივიდა ბიჭთან და გამარჯვება მიულოცა. შებრუნდა ქორწილი. წეღანდელი სიძე მეჯვარედ გახდა, მომყოლი მაყრები — წვეულებად, თამადა კი თავის ადგილზე დარჩა. მან მოთავფლული ენით დაიწყო ახალი ნეფის სადღეგრძელო. ასე იქეიფეს ცხრა დღე. ქორწილიდან არავინ არ წაწულა ფხიზელი, ყველა დაითრო.

იმათ დათრობა, ჩვენ გართობა,
აიანთარი, ბაიანთარი.
წყეული იყოს ფულის ყანთარი.
გამგონემ გასძლოს ასი ზამთარი,
როგორც არ მითქვამს ყველა მართალი!

ეშმაკი ქმარი

ერთმა ღარიბმა კაცმა ცოლი შეირთო. ქალი ძალიან ანჩხლი, ენაშეწარე და უკმაკური ხასიათის გამოდგა. ყოველი დღე-ღამე ქმართან ჭხუბსა და ყაყანს უნდებოდა. ქმარი ბევრს ეწვალა, მაგრამ არ იქნა

და ქალი ვერ მოარჯულა. ბოლოს, გადაწყვიტა ცოლის თავიდან მოშორება. ერთ დღეს ქალს ტკბილად დაუწყო ლაპარაკი, აუხვია თვალები და უთხრა: კუკუმალობია ვითამაშოთო! ქალიც დაეთანხმა. აიყვანა ეს უშველებელი ქალი ხელში და ტყისკენ გააქანა. როცა მიაღწია შუაგულ ტყეს, საიდანაც გამოსვლა გაჭირდებოდა, ქალს თვალები აუხსნა და უთხრა: ახლა დაგემალები და სანამდის „კუკუ" არ დავიძახო, ადგილიდან არ დაიძრაო. კაცი დასამალავად წავიდა. ქალმა უცადა „კუკუს" დაძახებას, უცადა, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, კაცმა თავს უშველა, შინისკენ გამოიქცა.

ამ ქალს ცოტა ჭკუაც აკლდა. ერთ ხანს უძახა ქმარს და პასუხი რომ ვერ მიიღო, ადგა და დაიწყო ხეტიალი ტყე-ტყე. ერთ ადგილას შარდზე გასვლა მოუნდა. იქვე ჩაჯდა. მერე ჩხირი აიღო და დაქცეულ წყალს დაუწყო ჯვარედინად გადახაზვა, თანაც უყვიროდა: შენ აქეთ წადი, შენ — იქითო! თურმე იქვე. გვერდით, ყვერში ყაჩაღები სხედან და მოპარულ ოქროს იყოფენ. ქალის ხმა რომ გაიგონეს — შენ აქეთ წადი, შენ — იქითო, — ეგონათ, მდევრებმა მოგვაგნეს და ესაა, ალყას გვარტყამენო. მიატოვეს ნაქურდალი ოქრო-ვერცხლი და თავს უშველეს. ქალმა, როცა თავისი საქმე მოათავა, ისევ ხეტიალი დაიწყო, ეძებს გზას, შინ წასვლა უნდა. უცებ წააწყდა დაყრილ ოქროებს. ახვეტა ხელად, გამოიკრა კალთაში და წამოვიდა. მესამე დღეს ამოდენი ოქროებით დატვირთული მიადგა ქმარს კარზე.

— შენ კი დამტოვე შავ ტყეში, მაგრამ, აი, ხომ ხედავ, ღმერთმა არ წამახდინა და ოქროები მაშოვნინაო.

ქმარს ამოდენი ოქროების მოტანა გაუკვირდა, მაგრამ ცოლის ამბავი იცის და ამიტომ ეშმაკობა ამჯობინა.

— რაღად გვინდა ოქრო ან რამე, ნეტავ. რაც გაგვაჩნია, იგიც არ გვქონდეს, ხვალ ქვეყანა იქცევაო.

ქალს შეეშინდა. კაცმა დაიწყო ორმოს თხრა. დიდი ორმო რომ ამოთხარა, ქალს უთხრა: შენ შიგ ჩაჯექი, მე ცოტა ხანს ვუდარაჯებ ქვეყნის დაქცევასო.

ქალი ჩაჯდა ორმოში, კაცმა ზევიდან გადააფარა ხარის გამხმარი ტყავი და თვითონ დასაძინებლად წავიდა. დილას ადრე გამოუშვა ქათმები, ინდაურები, გოჭები, ღორები და ყველას საკენკ-საჭმელი ხარის ამ გამხმარ ტყავზე დაუყარა. შეიქმნა ზედ ხრიგინ-ხრიგინი, ქათმების კრიახი, ჭუჭულების წიაქი, გოჭების ჭყივილი და ერთი ვაიუშველებელი. კაცი უმატებდა და უმატებდა საკენკს. როცა მოსაღამოვდა, ქმარმა ორმოდან ამოუშვა ქალი და მიულოცა: მადლობა ღმერთს, გადავრჩით, ქვეყანა ჯერ კიდევ არ დაქცეულაო.

ქალი რომ დაერწმუნებინა, სახლის ნაბურავიდან ცოტა ისლიც ჩამოეგლიჯა და ხეებისათვის ტოტებიც დაემტვრია.

გავიდა სამი დღე. ამ კაცს მოაკითხეს, შენმა ცოლმა ოქროები იპოვა და უნდა ჩაგვაბაროო. კაცი უარზე დადგა: მე არაფერი ოქრო არ ვიცი, ჩემს ცოლს სახლში არაფერი არ მოუტანიაო.

დაიჭირეს და წაიყვანეს ქმარი. ბევრი აწვალეს, მაგრამ მაინც არ გამოტყდა. საქმე სასამართლოზე მიდგა. დანიშნეს დიდი სასამართლო. ქალიც გამოიძახეს. მან ყველაფერი კაკლა-კაკლად უამბო მოსამართლეს: ნამდვილად მივუტანე ჩემს ქმარს ოქროებიო. ქმარი გამწარდა, ველარ მოითმინა და მოსამართლეს უთხრა: ბატონო მოსამართლევ, ჩემი ცოლი აბდალია, რაღაცას ბოდავს და მაგის დაჯერება არ შეიძლებაო.

ქალი მოყვა ფიცს. ფიცავდა და ფიცავდა გამწარებული. მაშინ ქმარმა ერთი სიტყვა კიდევ მოითხოვა.

— ერთი ჩემს ცოლს მაინც ჰკითხეთ, როდის, რა დროს მოიტანა სახლში ოქროებიო?

ახლა ქალი გამოდგა და ქმარს უყვირა: არ გახსოვს, ქვეყანა რომ იქცეოდა, იმის წინა დღითო!

— ა, ჰკითხეთ ამისთანა ქალს ჭკუა, როდის იქცეოდა ქვეყანა, ხომ გითხარით, ბატონებო, ჩემი ცოლი აბდალია-მეთქი!—თქვა კაცმა.

ამ სიტყვაზე ქალი მართლა ყველამ გაამტყუნა და მისი ქმარი გაამართლეს.

ოქროები შერჩა ამ კაცს და მთელ სიცოცხლეში მის ოჯახს მეტი არაფერი დასჭირვებია.

ალი ართალი, მალი მართალი,
ასი ტყუილი, ერთი მართალი!

მდიდარი და ღარიბი

ერთი მდიდარი და ღარიბი გზაზე მიდიოდნენ. მდიდარს მიჰქონდა ფული, ღარიბს კი — ერთი პეშვი ფქვილი. დაუღამდათ. სადაც უნდა მისულიყვნენ, იმ ღამეს იქამდის ვერ მიაღწიეს. ორივეს ჰშია. ფულის ჭამა არ შეიძლება, ხოლო ღარიბის ფქვილი ორივეს არ ეყოფა. დაანთეს ცეცხლი და გამოაცხვეს პატარა კვერი. ღარიბმა თქვა: რა ვქნათ, ეს კვერი ორივეს არ გვეყოფაო.

მდიდარმა უთხრა: კვერი იმან შეჭამოს, ვინც მეტი სიცრუე თქვასო.

— კარგი, ასე იყოსო, — დაეთანხმა ღარიბიც.

ჯერ დაიწყო მდიდარმა: მამაჩემი რომ ცოლის მოსაყვანად წავიდა, მაყრად ვახლდი. აქედან წავიყვანეთ ასი მაყარი, იქედან გამოგვატანეს ხუთასი მაყარი. მივედით შინ, რას შვრები ახლა, ჩვენი ვახშამი ამათ საუზმედაც არ ეყოფათ. ბეღელში სამოცი ცალი პურის ძარცვალი გვქონდა შენახული. ავკიდეთ ეს პურის მარცვალი ბატს და წავიღეთ დასაფქვავად. ჩამოვიღეთ და ბატი წყალში გავუშვით. დაიფქვა პური. მოვიკითხეთ ბატი და სადღა გყავს! ვნახეთ, აგდია ღელეში, ტურას გამოუხრავს ორივე გვერდი. მამაჩემმა თხილის წნელით ამოულობა გვერდები. ავკიდეთ სამოცი მარცვლის ფქვილი და წამოვიღეთ შინ. პური გამოვაცხვეთ. ბატი დავკალით და მთელ ქორწილს თავზე საყარად ეყოო.

ახლა დაიწყო ღარიბმა:

— მამაჩემს ხუთი ათასი ძირი ფუტკარი ჰყავდა. დილით ყველას დაითვლიდა და საბალახოდ გაუშვებდა. საღამოს კიდევ დაითვლიდა და სკაში შედენიდა.

ვნახოთ, ერთ საღამოს ერთი დააკლდა. ეძება, ეძება, მაგრამ ვერ იპოვა. სამი დღის შემდეგ მოვიდა, ცოტა კისერზე ჰქონდა ტყავი გადაქლეტილი: ვიღაც კაცს დაეჭირა, შეება უღელში კამეჩთან ერთად და სამი ქცევა მიწა დაეხნა. რაღა უნდა ექნა. მონახა წამალი. ასწავლეს, ნიგვზის ტალახი დაადევი ზედ და მოურჩებაო. მამაჩემმა დაადო კისერზე ნიგვზის ტალახი და ამ ფუტკარს კისერზე იმოდენა ნიგოზი გაეზარდა, რომ სამ ქცევა მიწაზე აღარ ეტეოდა. გავიდოდით ზედ და ვბერტყავდით.

ერთ დღეს მამაჩემს ნიგვზის ქვეშ დაეძინა. ყვავმა ერთი კაკალი გადმოაგდო და დაეცა თავზე. მამაჩემი წამოხტა და ყვავს გოროხი ბიწა ესროლა. გოროხი შერჩა ნიგვზის ტოტზე და იმისთანა ერთი ქცევა მიწა გაკეთდა, რომ იმის ნახვას არაფერი სჯობდა. ავიდა და იმ მიწაზე მამაჩემმა პური დათესა. ისეთი პური მოვიდა, უკეთესი არ შეიძლებოდა. მოვემზადეთ პურის სამკალად და მაღლა ავედით. ვნახეთ, ყანაში ერთი კურდღელი ჩასულა და პური გაუნადგურებია. მამაჩემმა კურდღელს ნამგალი ესროლა და ზედ ზურგზე დაასო. ირბინა ამ კურდღელმა ყანაში და ცელა პური. ჩვენ მივადექით და ვკონეთ. იმდენი ცელა კურდღელმა, რომ სამნი ძლივს ავუთავდით კონვაში. როცა მოთავდა პურის ცელვა, მამაჩემი გამოეკიდა კურდღელს

და დაიჭირა. იმდენი სცემა, იმდენი სცემა, სანამ ბოლოდან წერილი არ გააგდებინა...

მდიდარმა თავი ველარ დაიჭირა და შეეკითხა:

— ნეტავ, რა ეწერა იმ წერილში?

— რა ეწერა და ღარიბს კვერი და მდიდარს არაფერიო! — უთხრა ღარიბმა.

ღარიბმა შეჭამა კვერი და მდიდარი დარჩა ცარიელი...

გლახა შვილი

ერთ მდიდარ კაცს ერთადერთი ვაჟიშვილი ჰყავდა. ეს ბიჭი დღე-დაღამე ქეიფობდა, ფულს ხარჯავდა და ლაღად ცხოვრობდა. მამა მდიდარი იყო და შვილს რისთვის დაენანებოდა ფულების ხარჯვა. სხვებსაც რა ენაღვლებოდათ, ნახეს აბდალი და თლიდნენ სანამდისაც სილბო ჰქონდა. მამამ რამდენჯერმე სთხოვა შვილს, ჩამოშორებოდა ასეთ ამხანაგებს: მე რომ მოკვდები, მთელ ქონებას გაფლანგავ და აღარაფერი დაგრჩებაო, მაგრამ შვილი მამის რჩევას ყურსაც არ უგდებდა.

— ჩემი ამხანაგები ჩემი გულისთვის თავსაც კი დადებენო, — ამბობდა ის.

ამდენ ხვეწნა-სწავლებაში მამა მოხუცდა. ერთ დღეს ავად გახდა, ხედავს, სიკვდილი მოუახლოვდა. დაიბარა შვილი და უთხრა: შვილო, შენ ჩემ სიცოცხლეში არაფერი არ დამიჯერე. მაგრამ ერთ რამეს დაგიბარებ და სიკვდილის შემდეგ უსათუოდ შემისრულეო...

შვილმა ეს რომ გაიგონა, გული აუჩვიოლდა, ატირდა და მამას ისე შესცქეროდა.

— როცა მოვკვდები, — განაგრძო მამამისმა, — შენ ჩემს ქონებას შეჭამ, გაჰყიდი და გაანადგურებ. საქმე თავის მოკვლაზე მიგიდგება. მაგრამ გთხოვ, ნურც წყალში დაიხრჩობ თავს, ნურც თოფით და ნურც დამბაჩით მოიკლავ თავს; ჩვენ რომ ყრუ სარდაფი გვაქვს დაბლა, შედი შიგ, დადექი სკამზე, იქვე თოკს დაინახავ. გაუყარე კისერი მარყუჟში, გაჰკარი სკამს ფეხი და ჩამოიხრჩობიო.

შვილს, რასაკვირველია, ასეთი ანდერძი არ ესიამოვნა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, დაიმახსოვრა.

მეორე დღეს მამა მოკვდა. დარჩა ბიჭი მარტო. ახლა უფრო უმატა ქეიფსა და ფულების ფლანგვას. მამის ქონება თითქმის გაანადგურა.

ფული შემოაკლდა. უფულოდ რომ დაინახეს, ამხანაგებიც ჩამოშორდნენ, დარჩა ცარიელი.

ერთ საღამოს ამ ბიჭის ძველ ნაცნობთან ვახშამი იყო დანიშნული, მიმსვლელებს ხორცი ან პური უნდა მიეტანათ. ამხანაგებმა არც კი შეატყობინეს, რადგან იცოდნენ, ბიჭი გაკოტრებული იყო და ფული არ ჰქონდა. ბიჭმა ეს შეიტყო და ერთი სიკვდილი მოკვდა, ჩავარდა საგონებელში, რა ექნა, არ იცოდა. ბევრი იფიქრა, მერე მივიდა ერთ ნაცნობ ყასაბთან.

— შენ მამაჩემს კი იცნობდი, მეც კაი ხეირი მომიცია, რამენაირად მიქენი კაცობა, ერთი ბეჭი მანდეო, — უთხრა.

ყასაბმა იმავე წუთში დანით გადახსნა ყველაზე საუკეთესო ბეჭი, გაუკეთა ხელის გამოსაყოფი, ბიჭმაც გამოუყარა ხელი და არხეინად გასწია ვახშამზე. მიდის გზაზე და ფიქრობს, თუ რას მეტყვიან ამხანაგები, როგორ შემხვდებიანო. ამ ფიქრში რომ არის, უცებ გამოვარდა უშველებელი ძაღლი, ეცა ბიჭს და წაართვა ძლივს ნაშოვნი ბეჭი. ბევრი სდია, ბევრი ეწვალა, მაგრამ არ იქნა, ძაღლი გაიქცა და ბეჭი ვერ გააგდებინა. ახლა კი მართლა დაღონდა. წავიდეს? როგორ წავიდეს, რცხვენია, არა და გული ერჩის, წასვლა უნდა. ბოლოს, გადაწყვიტა: მივალ, გამოვუტყდები ამხანაგებს, ასე და ასე დამემართაო.

მივიდა. ყველა დაცინვითა და სიცილ-ხარხარით შეხვდა: დაუპატიჟებელ სტუმარს გაუმარჯოს! აბა, ჩამოართვით ძღვენი, დატვირთული მოვიდაო! ზოგი იმასაც ეუბნებოდა: გვიკვირს, როგორ გაიგე დღევანდელი ვახშმის ამბავიო!

ბიჭმა გაჭირვებით უამბო ამხანაგებს თავგადასავალი, თუ როგორ წაართვა წყეულმა ძაღლმა ბეჭი, მაგრამ ამხანაგებს ეს სასაცილოდაც არ ეყოთ, სად ჰქონდა ამ გლახას ბეჭის ფულიო. ზოგმა თქვა: აჭამეთ მაინც და წავაო! თუმცა ჯერ ვახშმის დრო არ იყო, მაგრამ ამ ბიჭს გამოუტანეს საჭმელი და უთხრეს: ჭამე და გასწი, შენ ხომ მარტო ჭამისათვის მოხვედიო!

ბიჭი დიდად შეურაცხყოფილი დარჩა. არცა ჭამა, არც დალია, ადგა და წავიდა. გზაში ფიქრობს: აი, მოვიდა ის დრო, მამაჩემმა რომ დამიბარა, ამის შემდეგ რაღად ღირს ჩემი ცხოვრება, თავი უნდა მოვიკლაო!..

იმ ღამით წუთიც არ უძინია. გათენებამდის ადგა. გამოვიდა და სახლის წინ დაჯდა. დაინახა, ნაქეიფარი ამხანაგები მოდიან, ეტლებში სხედან, მღერიან. ახლა მთლად დაკარგა გონება: რაღად მინდა ასეთი ცხოვრება, გაჯახირებული და სირცხვილნაჭამი დავრჩიო.

ადგა და გაიქცა სარდაფში თავის ჩამოსახრჩობად. შედგა სკამზე, იქვე მარყუჟად გამოსკვნილი თოკი დაინახა, გაუყარა შიგ თავი, გაჭკრა სკამს ფეხი, მაგრამ ეს თოკი ჩამოვარდა და დაბლა ორი ფიცარი ჩამოჰყვა. ფიცრების ჩამოვარდნა და ბაჯაღლო ოქროების ჩამოცვენა ერთი იყო! ბიჭს უზომოდ გაუხარდა. მოიშორა კისრიდან თოკი. აკრიფა ოქროს ფული და შეინახა. ნაწილი ჯიბეში ჩაიდო და წავიდა ბაზარში რამე-რუმის საყიდლად. დაიქირავა მზარეულებიც და დაავალა: გამიწყეთ ისეთი მაგიდა, რომ უკეთესი არ იყოს, არ აკლდეს არც ერთი საჭმელიო.

თვითონ დაიქირავა ათი მოკრივე და მოჩხუბარი ბიჭი, მეორე ოთახში დამალა ისინი და უთხრა: თქვენ ამ ოთახში დამიცადეთ, ხელში მათრახები გეჭიროთ, რასაც ხედავთ და კეთდება, ჩვენი შესაჭმელია, ოღონდ მე რომ დაგიძახოთ, აბა, დაჰკარით, ბიჭებო-თქო, გამოცვივდით და ურტყით ცხვირ-პირში ჩემს სტუმრებსო.

წინასწარ მოკრივეები გვარიანად წააქეიფა და ჩხუბის ხასიათზე მოიყვანა. თვითონ წავიდა და ამბანაგები დაპატიჟა, ყველას სახლში ეტლი და ძღვენი გაუგზავნა. ქეიფი საღამოსათვის დანიშნა.

საღამოს სტუმრებმა ადრე მოიყარეს თავი. მასპინძელმა ისინი მიიპატიჟა გაწყობილ მაგიდასთან. გაივსო დარბაზი სტუმრებით. ის იყო, ჭამა უნდა დაეწყოთ, მასპინძელმა სიჩუმე მოითხოვა, წამოდგა ზეზე და დაიწყო: მე უნდა შევსვა მამიჩემის შესანდობარი სადღეგრძელო, იმ მამიჩემისა, რომელმაც დიდძალი ქონება დამიტოვა. მთელი ქონება და ფული მე თქვენთან გავფლანგე, მეგონა, ყველაფერი გამოვლიე, მაგრამ დღეს ჩავედი სარდაფში და მთელი ოთახი სავსე დამხვდა ოქროს ფულითა და რკინითაო. მაგრამ ნახეთ ჩემი უბედურება, ეს რკინები, ყველა რომ გამეყიდა, მთელ ქვეყანას ეყოფოდა, მაგრამ ნახევარზე მეტი თაგვებს შეუჭამია, დროზე რომ მენახა, ამოდენა ქონებას გადავარჩენდიო.

ერთმა-ორმა სტუმარმა ეს ამბავი თითქოს გაიკვირვა, დანარჩენები დაეთანხმნენ, თაგვი უეჭველად შეჭამდა რკინას, თორემ მასპინძელი ხომ არ მოიტყუილებსო!..

მაშინ ბიჭმა ველარ მოითმინა და იყვირა: თქვე უნამუსოებო, გუშინ რომ გითხარით, ბეჭი ძაღლმა შემიჭამა-მეთქი, დამცინეთ, ახლა როგორ მეთანხმებით, რკინას როგორ შეჭამდა თაგვიო? დაუძახა მოკრივეებს: აბა, ბიჭებო, დაჰკარით რამდენიც შეგიძლიათო! ეცნენ მოკრივეები და სულ თავ-პირი დაამტვრიეს სტუმრებს. ყველა კინწისკვრით გააძევეს. თვითონ მიუსხდნენ სუფრას და კარგად იქეიფეს.

შემდეგ ამ ბიჭმა დაფიქრებულად გამოიზოგა მამის მიერ დატოვებული ოქროები და იცხოვრა ბედნიერად.

ამისთანა და ამის უარესი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. შაშვი იყო შგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. ცხოვრობდა ერთი ჩოფანო კაცი. სახლში არაფერი არ ჰქონდა. ედგა ნახევრად დანგრეული ჯარგვალა, რომელსაც აქეთ-იქით ბიჯგები ჰქონდა მიყუდებული, ქარს რომ არ წაექცია.

კაცს მუშაობაც ეზარებოდა. ყოველდღე წაღმა-უკუღმა დაეხეტებოდა. ხან ერთ მეზობელთან მიდიოდა, ხან — მეორესთან. შინ წასვლასაც ვერ ახერხებდა. ამიტომ მისი სტუმრობა ყველას სძულდა.

ბოლოს, გადაღმა სოფლიდან მოიყვანა კაი გოგო და ცოლად დაისვა. ეს ქალი, თურმე, შრომას იყო შეჩვეული და როცა დაინახა, ქმარი სახლს არ შორდებოდა, ჩხუბი დაუწყო: კაცო, ხელი გააქანე, სადმე წადი, ფული იშოვნე, თორემ მშივრები დავიხოცებითო.

კაცს არ უნდოდა სამუშაოდ წასვლა. როგორ ვთქვა, მაგრამ დილას ადგომაც კი ეზარებოდა თბილი ლოგინიდან. ის გაჭირვებული თვითონ ვერაფერს ახერხებდა. სანამ ცოლი ფერდებში მუშტებს არ უთავაზებდა და ლოგინიდან არ გადმოაწიკუნტალებდა, დილაობით არ დგებოდა.

ერთხელ, როცა ნასესხები გავიდა, ნაადგომევს, ქალმა უთხრა: კაცო, სადმე ყანა დათესე, შენი თუ არა გაქვს, სახელმწიფო მიწა შაინც მოხანიო.

ქალმა გადაირბინა მეზობლისას, ითხოვა ხარები, კავ-სახნისი და მისცა ქმარს: შენ სამუშაოდ წადი, მე სადილს გავაკეთებ და ყანაში შოგიტანო.

წავიდა კაცი. იარა, იარა და მიადგა კოდარას გორას. იქ, დათუნა-შვილების მამულის ახლოს, სახელმწიფო მიწა დაინახა და დაუწყო ხვნა ხნავდა და ხნავდა გამწარებული. ჯერ კიდევ ადრე იყო. ცოლის ჯიბრზე ბევრი უნდოდა ემუშავა. ხნავდა და ხნავდა. მაგრამ უცებ ხარები გაჩერდნენ. კაცმა შოლტი მოუქნია და „აშიო“ — შეუძახა. ხარებმა ერთი გაიწიეს და ისევ გაჩერდნენ. თურმე სახნისი მიწაში რაღაცას მოდებოდა.

ხარებმა ერთი კიდევ გაიწიეს და მიწიდან ამოაგდეს ცისა და ქვეყნისოდენა ზანდუკი. ამ კაცს შეეშინდა. ააკანკალა. იფიქრა: ახლა ნამდვილად დავიღუპე, ოჯახი დავღუპე, ამ სახელმწიფო მიწაში რაღაც შენახული ყოფილა და ჩვენი ხელმწიფე მომკლავსო, როგორც იყო, შიშით გახსნა ზანდუკი და რას ხედავს მისი თვალები: მთელი ზანდუკი ოქროს ფულით არის გავსებული! ორი-სამი თუ ერია შიგ

ვერცხლისა და სპილენძის ფული, თორემ ისე სულ ოქროებით იყო სავსე ამხელა ზანდუკი. კაცმა ტირილი დაიწყო: ამ ამბავს ვიღაც ხელმწიფეს შეატყობინებს და ჩამომახრჩობენო.

ტირის საწყალი კაცი. ამასობაში გზაზე ერთი მღვდელი გამოჩნდა. სოფელში წირვა ჩაეტარებინა, ხურჯინი აევსო ქათამ-ხაჭაპურებით და ძლივს მიათრევდა ჯორი. მღვდელს ძალიან შეეცოდა ეს კაცი და ჰკითხა:

— შვილო, რა წაგეკიდა, რად ტირიო?

— ასე და ასეა, მამაო, ჩემი საქმე, — უთხრა კაცმა.

მღვდელმა დაანუგეშა: ეს არაფერია, მე გადაგარჩენ, მხოლოდ როგორმე მომეხმარე, ეს ოქროები ამ ჩემ ხურჯინში ჩამაყრევინეო.

საწყალ კაცს გაუხარდა: ეს რა მთავარანგელოზი გამომეცხადაო. მღვდელმა მთლად გაცალა ზანდუკი. დიდ-დიდი ოქროები ხურჯინში ჩაიყარა, ამ კაცს კი მისცა პაწ-პაწა სპილენძის შაურიანები: წაიღე, არაფერია, მე შევეხვეწები უფალს და ხელმწიფე გაპატიებსო.

ამასობაში შუადღე გახდა. მღვდელსაც და ამ კაცსაც გვარიანად მოშივდათ. გაიხედა კაცმა და დაინახა მისი ცოლი, მოჰქონდა სადილი და ერთი დოქი ღვინო. გაიქცა და მიახარა ასე ადვილად გადარჩენის ამბავი: ასე და ასე დამემართა და ამ ღვთისნიერმა მღვდელმა დამიხსნა ფათერაკისაგანო. ცოლმა გვარიანად ჩაუსისტიქინა საწყალ კაცს.

რაღას იზამდა ქალი. დაპატიჟა სადილზე მღვდელი, ქმარს კი ყურში ჩაუჩურჩულა: მღვდელმა ჩემი სახელი თუ გკითხოს, უთხარი, ამისთანა ჰქვია-თქო, შენ კი — ამისუარესი მქვია-თქო.

დაიწყეს სადილობა. ქალმა დაასხა ჯამში ღვინო და დაალევინა მღვდელს. ქმარს კი ერთი წვეთიც არ მიაწოდა.

კაცმა უთხრა: პატარა მეც დამალევინე ეგ ღვთის მოცემულიო, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, არ გაუგონა და, როცა მეორეჯერაც სთხოვა, ღვინო დამისხიო, ისეთი თვალებით შეხედა, რომ ღვინო კი არა, სადილის ჭამაც კინაღამ მიატოვებინა.

ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი, ყლაპა და ყლაპა მღვდელმა ეს ჩხავრის ღვინო!

— რაღამც ასეთი პატივი მეცით, თქვენი სახელები მაინც მითხარითო! — უთხრა მღვდელმა მათ.

კაცმა მღვდელს თავი გააცნო ისე, როგორც ცოლმა ასწავლა. ამასობაში მღვდელი ისე დათვრა, რომ მთლად აერია გონება, თავბრუ დაეხვა.

— ჩემო დაო, დამაწვინე სადმეო, — უთხრა ქალს. ქალმაც აიყვანა და იქვე ჯირკზე მიაწვინა.

— ახლა დაფაცურდი, — უთხრა ქალმა ქმარს, — ეს ოქროები აჰკიდე ჯორს, შენც ზედ შეაჯექი და სახლში მიარბენინეო!

კაცი ასეც მოიქცა. გადაჰკიდა მღვდლის ჯორს ზურგზე ოქროებით გავსებული ხურჯინი, გაირეკა წინ ხარები და დააყარა გზას ძუნძული. მღვდელმა კი ხვრინვა ამოუშვა.

ქალი მაშინვე გაიქცა იქვე ახლო მეზობლისას. ითხოვა მაკრატელი და მიირბინა მღვდელთან. მღვდელს კი ისე ეძინა, რომ მის ყურებთან ზარბაზნები რომ გაგესროლა, მაინც ვერაფერს გაიგებდა. ქალმა ჩუმად მოაკრიჭა ცალი მხარე წვერი და ულვაში. შემდეგ მაკრატელი პატრონს დაუბრუნა და გამოუდგა უკან ქმარს.

როცა მოსაღამოვდა, მღვდელს გამოეღვიძა, გაიხედ-გამოიხედა და ვეღარავინ დაინახა. ვეღარც ჯორსა და ხურჯინს მოჰკრა თვალი. რაღა უნდა ექნა საწყალ მღვდელს. ადგა და იგიც გამოუდგა უკან გაქცეულ ცოლ-ქმარს.

გზაზე მუშა კაცები შემოხვდნენ.

— გამარჯობა თქვენი! — დაუძახა მღვდელმა.

— გაგიმარჯოს! — უპასუხეს.

— იქნებ ამისთანა დაინახეთ აქ გამოვლილი?

მუშებს გულიანად გაეცინათ და უპასუხეს:

— არა, მაგისთანა არსად არ გვინახავსო.

მირბის მღვდელი. გზაზე კიდევ შეხვდა ხალხი. მათაც მიესალმა.

— გამარჯობა თქვენი!

— გაგიმარჯოს!

— ეგებ ამისუარესი ნახეთ სადმე?

— მაგის უარესს რას ვნახავდით, ცალი მხარე წვერი და ულვაში აღარ გაქვსო! — სიცილით უთხრეს მღვდელს.

მღვდელმა ახლა მოისვა პირზე ხელი და დაინახა, რომ ცალ მხარეს არც წვერი ჰქონდა და არც ულვაში. მაშინ მიხვდა: იმ ეშმაკის გამოგზავნილმა ცოლ-ქმარმა მიქნა ყველაფერი, მომატყუესო. ასე დარჩა საწყალი მღვდელი კუდამოძუებული.

ცოლ-ქმარი კი ამოდენა ოქროებით გამდიდრდა. დაიდგეს ორსართულიანი სახლი, შეეძინათ შვილები და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ჭატო იქა, ფქვილი აქა.

ქოსატყუილა დიაკონი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ქოსატყუილა დიაკონი. თავის სოფელში ყველა იცნობდა და სიცრუის ლაპარაკის გამო ხალხს სძულდა. მიხვდა, რომ ამ სოფელში აღარ დაედგომებოდა და აქედან აიბარგა. წავიდა ბედის საძებრად.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ სოფელში. შეიტყო, აქ ცხოვრობდა მდიდარი ხუცესი, რომელსაც კუდის ძირამდის გაეტყავებინა თავისი მრევლი. ხუცესს ერთი ქალიშვილის მეტი არავინ ჰყავდა. დიაკონმა გაიგო ისიც, რომ ამ ხუცესის დიაკონი არმობრუნდის ქვეყანაში წასულიყო და მიადგა კარზე.

— ადგილი თავისუფალი გქონებიათ, ბატონო ხუცესო, როგორც შემიტყვია და ამისათვის გიახელი. გამიცანი, ამისთანა-ამისუარესი მქვიაო, — გააცნო თავი მისვლისთანავე ქოსატყუილა დიაკონმა, — თუ კარგ მდგომარეობაში ჩამაყენებ, ჩემს უკეთეს დიაკონს ვერც ხასიათით და ვერც საღვთო წიგნის ცოდნით, სანთლით რომ ეძებო, ვერ იშოვნიო.

ხუცესიც ასეთ დიაკონს ეძებდა. პირობაზეც მორიგდნენ. ერთმანეთის მოთხოვნილებები დაწერეს და მამასახლისს დაამტკიცებინეს. პირობის ძალით, ხუცესი ვალდებული იყო დიაკვნისათვის ბინა მიეცა თავის ოჯახში, აგრეთვე მრევლიდან შემოსავლის მესამედი ფულად გაენაწილებინა. საკურთხი და არჩივი საერთოდ უნდა ეჭამათ. პირობაში ეწერა აგრეთვე, რომ ხუცესი დიაკონს ვერ დაითხოვდა, თუ თვითონ არ მოისურვებდა წასვლას. პირობის ვადად სამი წელიწადი დააწესეს. თუ სამ წელზე ადრე ხუცესი მოინდომებდა დიაკვნის გაგდებას, მაშინ მისთვის ნახევარი ოჯახი უნდა მიეცა. დიაკონს საეკლესიო საქმეებს გარდა ხუცესის ოჯახშიაც უნდა ემუშავა, ასრულებინა ყველაფერი, რასაც ხუცესი უბრძანებდა.

პირველ წელიწადს დიაკონი პირობას ერთგულად ასრულებდა. ხუცესსაც მზე მასზე ამოსდიოდა. მაგრამ ქოსატყუილა დიაკონი დროსა და შემთხვევას ეძებდა. ხუცესის ქალიშვილზე თვალი ეჭირა და დღედაღამე იმას ფიქრობდა, როგორ ჩაეგდო ეს გოგო ხელში. დიაკონი ამჩნევდა, რომ ქალიშვილი მამის უნებართვოდ არაფერს აკეთებდა და ეშმაკობა იხმარა. ერთ დღეს ხუცესმა დიაკონი წაიყვანა გორაკზე და შეშის პობა დაიწყეს. დიაკონმა დაჰკრა უშველებელ მორს ცული და ჩადო შიგ სოლი.

— აბა, გამოიანგარიშე, რამდენი თითის დადებაზეა გაპობი-

ლიო! — უთხრა დიაკონმა. ხუცესმა თქვა: ორი თითის დადების მეტი არ იქნებაო.

— რის ორი, ოთხი თითის დადებაზე მეტია, როგორ ვერ ხედავო! — შეუტია დიაკონმა, შექმნეს დავა. საქმე ნაძლევზე მივიდა. ხუცესმა თქვა: დავზომოთო.

— კი, ბატონო, დავზომოთო.

ხუცესმა გაპობილ ქართუხში ჩაყო ხელი თუ არა, ეშმაკმა დიაკონმა უცებ ამოაძრო სოლი. ხუცესს დარჩა ხელი გაპობილ მორში და მორთო ყვირილი: მიშველეთ, მოვკვდი კაციო!

დიაკონი ვითომ შეშინდა და ფაფხური დაიწყო: სხვა რა გიშველო, გავიქცევი სახლში, თუ შენი ქალიშვილი გამომატანს, სატეხ-კორკოტინას მოვიტან, ამოვჭრი მორს და გაგათავისუფლებო.

უთხრა დიაკონმა და გაიქცა შინისაკენ. მივარდა ქალიშვილთან და უთხრა: მამაშენმა შემოგითვალა, უნდა დამნებდე, თორემ ის ვიღაც ტყიურმა კაცმა დაიჭირა და მოკლავსო.

ქალიშვილმა უარი უთხრა: მაგას მამაჩემი არ იტყოდაო! გაბრაზდა დიაკონი, შედგა კარზე და ხუცესს გასძახა: შენი ქალიშვილი არ მიჯერებსო.

ხუცესმა იქიდან ყვირილი მორთო: არიქა, შვილო, მიშველე, რაც გითხრას, დაუჯერე დიაკონსა, თორემ მოვკვდი კაციო.

ქალიშვილი მამის ბრძანებას ხომ არ გატეხდა და დიაკონმაც შეისრულა სურვილი. წაიღო სატეხ-კორკოტინა და ნელ-ნელა წავიდა ხუცესისაკენ. ამოტეხა მორი, ხელი გაუთავისუფლა და ცოცხალ-მკვდარი ხუცესი სახლში წამოიყვანა. ცოტა ხანში ხუცესმა ყველაფერი გაიგო, მაგრამ პირობის ძალით დიაკონს ვერ გააგდებდა და ამიტომ ისევ გაჩუმება ამჯობინა.

ამის შემდეგ ხუცესი და დიაკონი ერთმანეთისათვის ის აღარ იყვნენ, რაც უწინ. ხუცესი მიზეზს ეძებდა, მაგრამ არც დიაკონს ჰქონდა თვალები დახუჭული.

გავიდა დრო. მოაღწია კალანდობამ. დილით, რასაკვირველია, ხუცესმა და დიაკონმა დიდი წირვა ჩაატარეს. იმ დღეს საშინელი ყინვა და ქარი იყო. რომ გამოწირეს, ხუცესმა დიაკონს უთხრა: წინწინ წადი და ისეთი ცეცხლი დამახვედრე, ჭიშკართან მომათბოსო.

— ბატონი ბრძანდები, დავანთებ მასეთ ცეცხლსო. — უთხრა დიაკონმა და სახლში გაიქცა.

ხუცესი რომ ჭიშკართან მივიდა, მართლა მიათბო ცეცხლმა: ქოსატყუილა დიაკონს სამზადი სახლისათვის ცეცხლი წაეკიდებინა და ის იწვოდა. ბევრი იყვირა ხუცესმა, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მი-

ვიდა, თვითონ გამტყუნდა: აბა, სხვა რა მექნა, როგორ დამენთო იმოდენა ცეცხლი, რომ ჭიშკართან მოგთბობოდაო! ხუცესი გაგდებით დაემუქრა, მაგრამ დიაკონმა პირობა რომ გაახსენა, ისევ გაჩუმდა.

ბევრი იფიქრეს ხუცესმა და მისმა ცოლმა, თუ როგორ მოეშორებინათ თავიდან დიაკონი, მაგრამ სახეირო ვერაფერი მოიფიქრეს.

ერთ დღეს ხუცესმა უთხრა დიაკონს: ვიღაცას მარნიდან ღვინო მოუპარავს, ღამღამობით იქ უნდა დაწვე, კიდევ არ მოგვპარონო.

— ბატონი ბრძანდები. დავწვებიო! — უთხრა დიაკონმა და ქვეშსაგებლით გადასახლდა მარანში.

შუაღამე რომ გახდა, ხუცესი წამოდგა, დაიჭირა ხელში ნაჯახი, შეიპარა მარანში და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დასცხო მძინარე დიაკონს. დიაკონმა საშინელი ტალახისფერი სისხლი გამოასხა. შეშინებული ხუცესი მივარდა ცოლთან: არიქა, მიშველე, ის ურჯულო მოვკალი, სისხლით დამსვარა, ჩქარა გამიწმინდე, არავინ გაგვიგოსო.

შეშინებული ქალი შეუდგა წმენდას: იმ წაწყმენდილს როგორი სისხლი ჰქონია, ადვილად ირეცხებაო. ხუცესმაც გაიკვირვა: როგორ აბდლურს ლაპარაკობ, დედაკაცო, ცოდვილებს რომ ასეთი სისხლი აქვთ, ეს აქამდის არ იცოდიო! ბოლოს მოილაპარაკეს: როგორც გაოენდება, შენ კვილი დაიწყე, მე კი მაძასახლისთან გავიქცევი და ვეტყვი, დიაკონი მომიკლა ვიღაცამ და მიშველე-მეთქი. დაიმედებულმა ხუცესმა და მისმა ცოლმა დაიძინეს.

ჯერ გათენებული არ იყო, რომ ხუცესის ცოლმა კვილი ასტეხა. ხუცესი მამასახლისთან გაიქცა. ხალხმა თავი მოიყარა. მაგრამ რას ხედავს ხუცესი: ხალხს კი არ მოჰყვა თან მისი დიაკონიც! დიაკონმა ახლა თავი გამოიდო და ტრაბახი დაიწყო, რომ თავის საწოლში თხლით სავსე ტიკი დააწვინა, თვითონ კი კუთხეში მიჯდა და თვალყურს ადევნებდა, თუ როგორ შემოიპარა მარანში ვიღაც ქურდი, მაგრამ ვერ იცნო, თუმცა წვერი ხუცესს უგავდა, დაჰკრა ტიკს ნაჯახი და გადარეულივით გაიქცა.

ახალი ამბავი მთელ სოფელს მოედო. დაიწყეს სიცილი და ხარხარი.

ხუცესი რაღას იზამდა, ისევ ბოდიში მოუხადა დიაკონსა და დაიწყეს ჩვეულებრივი ცხოვრება. ამასობაში მოვიდა აღდგომა. ხუცესმა მაგრად გადაჰკრა და მკვდარივით დაეძინა. ხუცესის ცოლი და ქალიშვილი მეზობლებში წასულიყვნენ. დიაკონმა დრო იშოვნა. გასაპნა ხუცესი, გამოიტანა სამართებელი და ნახევარი წვერ-ულვაში და თმა მოპარსა. ამას რომ მორჩა, თვითონაც სტუმრად წავიდა.

ხუცესს მოგვიანებით გამოეღვიძა. მაშინვე მიხვდა, რაც მოსვლოდა და ვისი მიზეზით. გამწარდა კაცი. გადმოიღო თოფი და გამოუდგა დიაკონს მოსაკლავად. დიაკონმა ეს რომ დაინახა, გაიქცა. ხუცესი დარბის და კითხულობს: შვილებო, ამისთანა ხომ არსად გინახავთო?!

— სწორედ მაგისთანა არაფერი გვინახავსო! — პასუხობენ.

— აბა, ამისუარესი მაინც არ გინახავთო?

— მაგის უარესი ღმერთმა ნუ გვაჩვენოსო, ხუცესო, ნახევრად გაპარსულხარო! — სიცილ-კისკისით ეუბნებოდნენ.

ხუცესმა მთელი სოფელი შემოირბინა, მაგრამ დიაკვნის კვალს ვერ მიაგნო. გაბრაზებულიყო დიაკონიც და მეორე დღეს ხუცესს შუაკაცები მიუგზავნა.

— მე წასვლა არ მინდა, შენ თუ ძალით მაგდებ, პირობის თანახმად, შენი ოჯახის ნახევარი კაკლა-კაკლად ჩამაბარე, თორემ ვერ გაპატიებ, თოფით რომ მოსაკლავად მომდევდი. თუ პირობას არ შემისრულებ, იმასაც გაგიხსენებ, მარანში რომ მკლავდი და ციმბირში ამოგაყოფინებ თავსო.

შეშინდა ხუცესი. ამ სიბერისას რაღა დროს ციმბირი იყო. შუაკაცებმაც შერიგება ურჩიეს და ისევ შერიგდნენ. რახან ეს დიაკონი ვეღარ მოვიშორე, უეჭველად ის ყოფილა ჩემი შემცვლელიო, — იფიქრა ხუცესმა და მეორე დღეს მის ქალიშვილსა და ქოსატყუილა დიაკონს ჯვარი გადასწერა. დიაკონი, რასაკვირველია, ჩამოისიძა, რადგან ვაჟიშვილი არა ჰყავდა. მთელი ქონება მას დაუმტკიცა და მრევლიც გადაულოცა. გაიმართა დიდი ქეიფი. ყველას უხაროდა, რომ ღმერთმა კარგი ხუცესი გამოუგზავნა ამ მრევლს.

ისინი იყვნენ ჭირში,
ჩვენ ვიყავით ლხინში.
ცხრაი ვაშლი ჩამოვაგდე,
ცხრაი კიდე ბროწეული,
ღმერთმა ყველას მოგახმაროთ
თქვენი მკლავით მოწეული.

გაფუფქული მღვდელი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი მდიდარი სოვდაგარი, საკუთარი ეკლესია ჰქონდა, ჰყავდა საკუთარი მღვდელი, ჰქონდა საკუთარი აბანო, ჰყავდა ცოლი და ქალ-ვაჟი. მოუკვდა ცოლი, იგლოვა როგორც შეეფერებოდა და მოიყვანა მეო-

რე ცოლი; იმას მოჰყვა ერთი ქალი. სოვდაგრის ქალი ლამაზიც იყო, ტანადიც, ხელგამრჯეც. მთელ დღეს სულ საქმეში, წერა-კითხვასა და ლოცვა-ვედრებაში ატარებდა. დედინაცვლის ქალი კი არც ლამაზი იყო, არც ტანადი, არც საქმე უყვარდა, მთელი დღე ზარმაცად ამთქნარებდა და წერა-კითხვა ხომ ჭირივით ეჯავრებოდა. თვითონ სოვდაგარი შორს იყო წასული სავაჭროდ და ვაჟიც თანა ჰყავდა.

დედინაცვალს შური აღეძრა გერზე, რადგანაც თავისი ქალი სათვალო არა ჩანდა და ის კი დღითი დღე ლამაზდებოდა. იფიქრა: „თუ ამას არა მოვუგონე რა, ჩემი ქალი თავის დღეში ვერ გათხოვდებაო“. ერთ დილით ადგა თუ არა, დაიბარა თავიანთი საკუთარი მღვდელი და უთხრა: შენ თუ ჩემს გერს არ შეარცხვენ, მღვდლობიდან დაგითხოვო და თუ ამისრულებ, გაგამდიდრებო.

მღვდელმა პირველად თუმცა უარი უთხრა, მაგრამ, თვალი ხარბია, მეტადრე მღვდლისა. ბოლოს ჰკითხა: აბა, როგორ შევარცხვინო, მასწავლეო?

სოვდაგრის ცოლმა უთხრა: აბანოში წადი, დაიმალე და იმასაც იქ გამოვგზავნი, იქ შეგიძლიაო.

როცა მღვდელი გაისტუმრა აბანოში, თვითონ მივიდა ქალთან და დაუწყო საყვედური: ასე რადა ზიხარ, ადექი, აბანოში წადი, იბანავე, სუფთად ჩაიცვი. მამაშენს მოსვლა უთქვამს, ასე ხომ არ დაუხვდებიო?!

ქალს თუმცა გაუკვირდა თავისი დედინაცვლის ასე მზრუნველობით მოპყრობა, მაგრამ მაინც ადგა და წავიდა აბანოში. შევიდა და მღვდელი რომ იქ ნახა, უარესად გაუკვირდა.

— აქ რად მოსულხარ, გადი აქედანაო!

— შენი სიყვარულით ვგიჟდები და თუ ერთად არ ვიბანავეთ, არ შემიძლიაო, — უპასუხა მღვდელმა.

ქალმა უთხრა: მაგას როგორ მეუბნები, შენს ხელში დავიბადე, შენი ხელით მოვინათლე, მამაჩემის რატომ არა გრცხვენია, ან არ გეშინიაო?

მღვდელი მაინც არ ეშვებოდა. რას გააწყობდა ქალი. ბოლოს უთხრა: კარგი, შენ ხელთა ვარ, სად წავალო, გაიხადე, ჯერ შენ იბანავე, მე დაგბან და ბოლოს მე ვიბანავებო.

მღვდელი დათანხმდა, გაშიშვლდა. ქალმა წაუსვა საპონი და დაუწყო წყლის დასხმა, თანაც კარებისაკენ დგებოდა. ბოლოს, აიღო და ადუღებული წყალი დაასხა. მღვდელმა ყვირილი მორთო. ქალმა იდროვა, გააღო კარები და გაიქცა, მივიდა სახლში, დაჯდა თავის

ოთახში და ხელსაქმეს შეუდგა. მივიდა დედინაცვალი და ჰკითხა: მალე რად დაბრუნდი, ასე მალე როგორ იბანავეო?

ქალმა ხმა არ გასცა. დედინაცვალი წავიდა მღვდელთან. მღვდელი ლოგინში დაუხვდა მთლად დაფუფქული, სახე დაიარავებული, თმა- და წვერულვაშგაცვივნული. გაუკვირდა და ჰკითხა: ეს რა დაგმართია, ან ქალი ისე ჩქარა რატომ დაბრუნდაო?

მღვდელმა უამბო ყოველივე და დაუმატა: ახლა როგორღა გაკიდე ხალხში? თმა და წვერი აღარა მაქვსო.

დედინაცვალი მაშინვე წავიდა, თავიანთი სახლის ექიმი გაუგზავნა და დააწყებინა წამლობა. თუმცა იარები მალე მოურჩა, მაგრამ თმა და წვერი კი აღარ ამოუვიდა.

დედინაცვალი ძალიან დააფიქრა ამ ამბავმა. თუ არ დავღუპე როგორმე ჩემი გერი, მამამისი რომ მოვა, ეტყვის ყველაფერს, გამოჰკითხავენ მღვდელსაც და ჩემი საქმე ცუდად წავაო. ადგა და თავის ქმარს წერილი გაუგზავნა: „ამ შენმა სასიკვდილე ქალმა შეგვარცხვინა, ღამე სხვაგან დადის, თავი მოგვეჭრაო“. მამამ რომ წერილი წაიკითხა, უთხრა თავის შვილს: წადი, შენი და მოკალი და იმის გულ-ღვიძლი მომიტანეო, რადგან ასეთი საქმე ჩაიდინა და შეგვარცხვინაო.

ჩაჯდა ვაჟი ეტლში და წამოვიდა დასთან. რომ მოვიდა, დას უთხრა გაჯავრებით: ადე, ჩაჯეო!

— ძმაო, რამ გაგაჯავრა, მიამბე, ან მამა როგორა ბრძანდება, ან ზარალი ხომ არა გაქვთ-რაო? — ეკითხება და.

ძმამ მაინც ხმაამოუღებლივ მოჰკიდა ხელი და ჩაისვა ეტლში. ქალს ერთი პაწია გოშია ჰყავდა და ისიც თან წაიყვანა. წავიდნენ.

ბევრი იარეს თუ ცოტა, ერთ უდაბურ ტყეში შევიდნენ. აქ კიდევ ჰკითხა დამ: ძმაო, მითხარ, აქ რად მომიყვანე, ან რატომ არ მელაპარაკებიო?

ამოიღო ძმამ და დედინაცვლის წერილი მისცა: მამაჩემმა ამისათვის გამომგზავნა, უნდა მოგკლა და ვერ გამიმეტებიხარო.

ქალი მიხვდა, რომ აქაც დედინაცვლის ხელი ერია და უთხრა ძმას: არც მინდა უკან დავბრუნდე და არც მინდა მამაჩემი გაჯავრებულ დროს ვნახო, აი, ეს გოშია დაკალ, ამის გულ-ღვიძლი წაუღე მამაჩემს და მე კი ამ უდაბურ ალაგას გამიშვი, ჩემმა სიალალმართლემ თუ მიშველა, კარგია, თუ არა, ან მხეცი შემჭამს, ან შიმშილით მოვკვდებიო.

ძმამაც გაუგონა, გოშია დაკლა, იმის გულ-ღვიძლი მამას წაუღო და ქალი ამ უდაბურ ადგილს დატოვა. ქალმა აიკეცა კაბა მაღლა, ახ-

სენა ღმერთი და წავიდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, დაუღამდა. ეშინია. ნადირმა არ შემჭამოსო. დაინახა ერთი განმარტოებული სამტოტიანი რცხილა. ავიდა დიდი გაჭირვებით ზედ და იმ სამ ტოტში ჩაჯდა. შემოიხსნა ოქრომკედის სარტყელი და ხეზე მიება: ძილში არ ჩავვარდეო. ილოცა და დაიძინა.

მეორე დღეს გვიან გამოეღვიძა. დაინახა, რომელ ხეზედაც თვითონ არის, იმის ქვეშ, ჩრდილში, ერთი ყმაწვილი კაცი გულაღმა წევს და იყურება. ქალმაც ამ დროს ჩამოხედა. ვაჟმა დაინახა, გაუკვირდა და დაუძახა:

— ვინა ხარ, რა სულიერი ხარ, მანდ რას აკეთებო?

ქალმა უთხრა: ქრისტიანი ვარო.

— თუ ქრისტიანი ხარ, პირჯვარი დაიწერეო, — უთხრა ვაჟმა.

ქალმა დაიწერა პირჯვარი. ვაჟს ქალი ძლიერ მოეწონა და უთხრა: მე ამ ქვეყნის ხელმწიფის შვილი ვარ, სანადიროდ წამოველ, ჩამოდი, შენ ცოლი და მე ქმარიო.

ქალმა უთხრა: შენ ძმა და მე დაო.

ვაჟი არ დათანხმდა და ცოლქმრობაზე პირობა დადეს. ჩამოიყვანა ქალი, დაუძახა თავის ყმას და დედ-მამასთან გაგზავნა: ქორწილი მოამზადეთ, საცოლე მომყავს და მოვდივარო. დედ-მამას ეწყინა: ტყის ქალი რა უნდა იყოს, ან ალი იქნება, ან — ქაჯიო.

რას იზამდნენ, შვილს არ აწყენინეს, დასწერეს ჯვარი, გადაიხადეს ქორწილი და ცხოვრობდნენ. ცხრა თვის შემდეგ მიეცათ ვაჟი, მეტად ლამაზი და დიდ სიხარულში იყვნენ.

ერთხელ მოუვიდათ მოპატიჟე, ქორწილში ეპატიჟებოდნენ ამ ხელმწიფეს თავის ოჯახობით. მამამ უთხრა: შვილო, მე მოვხუცდი, რაღა დროს ჩემი ქორწილში წასვლა არის, აი, შენი ცოლ-შვილით წადიო.

დაიწყეს მზადება და რა დღეს უნდა წასულიყვნენ, იმ დილით მიიღეს სხვა სახელმწიფოდან წერილი: საომრად მოვდივარ და მოემზადეთო. ხელმწიფის შვილმა თქვა: მამაჩემი მოხუცია, ვაი თუ აჯობონ, მე აღარ წავალ ქორწილში და ვიომებო. ცოლს კი უთხრა: შენ წადი, აი ჩვენი ვეზირი გაგაცილებსო.

ბევრი იუარა ცოლმა, მაგრამ დედამთილ-მამამთილის თხოვნით წავიდა. ზღვა უნდა გაევლოთ. ავიდნენ გემზე და გასწიეს. შუა ზღვაში რომ შევიდნენ, ვეზირმა უთხრა ქალს: ძლიერ მიყვარხარ, ჩემი უნდა გახდეო.

ქალმა უთხრა: აბა, გულზე დაიხედე, ეგ ჩინები ჩემი მამამთილისა და ქმრისაგან არა გაქვს მოცემული? როგორ მიბედავ მაგასო?

— არა, აქ ვინ არის ჩვენს მეტი, ვინ რას გაიგებსო? — უთხრა ვეზირმა.

ქალმა რა დაატყო, არაფერი გაუვიდოდა, უთხრა: აი, ეს ყმაწვილი დაიჭირე, მეორე ოთახში გავალ და ახლავე მოვალ, შენს ხელთა ვარო.

გავიდა, ახსენა ღმერთი და გადაეშვა ზღვაში, — ღმერთო და ჩემო სიალალმართლევ, შენ გამიყვანე ნაპირსაო!

ქალმა რომ დაიგვიანა, ვეზირი გამოვიდა, დაუწყო ძებნა, მაგრამ ქალი აღარსად იყო. მაშინვე შემოაბრუნა გემი და დაბრუნდა შინ. ხელმწიფესა და დედოფალს შესტირა: რაწამს გემში შევედით, ქალი ზღვაში გადაეშვა და გაქრაო.

დაიწყეს ტირილი და გლოვა: აკი ვუთხარით, შვილო, ტყის ქალი რად გინდაო და არ დაგვიჯერაო.

ხელმწიფის შვილმა ომი გამარჯვებით გაათავა და დაბრუნდა შინ. ცოლის დაკარგვა რომ გაიგო, ძალიან დაედარდა, სულ ტიროდა და თავში იცემდა. ამ ყოფით ატარებდა დროს. სადაც დაპატიჟებულნი იყვნენ ქორწილში, მაშინ თურმე მოუცდათ ქორწილი და გადადეს, ხელახლა პატიჟობდნენ. დედ-მამამ უთხრა: შვილო, წადი, გულს გადააყოლებ, გაერთობიო. თუმცა უარობდა, მაგრამ ძალად გაგზავნეს. ვეზირიც თან გაიყოლა, ჩასხდნენ გემში და წავიდნენ.

ქალი რომ წყალში ჩავარდა, ნაპირს მიაღწია იქით, საითაც ქორწილს ამზადებდნენ. ერთ ბებერთან მივიდა და უთხრა: დედაშვილობას, ერთი ძველი, პატარა ბიჭის ტანისამოსი მიშოვნე და აი, ეს ძვირფასი ტანისამოსი და ნივთები სულ შენი იყოსო.

ბებერმაც სიხარულით მოურბენინა თავისი შვილის ძველი ტანისამოსი. ჩაიცვა ქალმა, თმა აიკეცა, ქუდი დაიხურა, პირი მოითხუპნა და ნამდვილ ბიჭს დაემსგავსა. ბებერს ჰკითხა: თქვენში ვინ არის დიდი კაცი, ან რა ამბავია იქაო?

ბებერმა უთხრა: ჩვენში ერთი სოვდაგარია განთქმული თავისი სიმდიდრითა და დიდებით, აბა, რაღა გითხრა, ხელმწიფეს არ ჩამოუვარდებაო. ახლა ვაჟს აქორწინებს, სულ ხელმწიფეებს ეპატიჟება. ჯერ ერთხელ დაპპატიჟა და ქორწილი მოუცდა, ახლა ვინც მოვიდა, ხომ მოვიდა, ვინც არ მოვიდა, ხელმეორედ დაპპატიჟაო.

ადგა ეს ქალი, წავიდა მეძროხეებთან და დაეკითხა: ვისია ძროხაო?

— ამა და ამ სოვდაგრისა არისო, — მიიღო პასუხად.

— მოჯამაგირედ არ გინდათ დაგიდგეთ პურის ჭამაზე? ძროხებს მოგიბრუნებთო.

— იყავიო, — უთხრეს.

ძალიან სიმარდე გამოიჩინა, ყველას შეაყვარა თავი, პატარ-პატა-

რა ზღაპრად უამბობდა თავის ამბავს და იყო იმათთან. ქორწილიც გადაიხადეს სოვდაგრის შვილისა და მეორე დღეს შინაურები და შორეული სტუმრები დარჩნენ სადილზე. ისურვეს: ნეტავ, ერთი ზღაპარი გვითხრას ვინმემო. დაიბარეს ბიჭები. ყველამ უარი თქვა, არ ვიცითო. ბოლოს ერთმა წამოიძახა: ჩვენს ძროხაში ერთი ბიჭი არის, ის ყოველ ღამე სულ ზღაპრებს ამბობს, ის მოიყვანეთო.

დაიბარეს ეს ქალი. მოვიდა. უთხრეს: ქუდი მოიხადე და ზღაპარი თქვიო.

— ვერც ქუდს მოვიხდი და თუ კარებს არ დაკეტავთ და გასაღებს მე არ მომცემთ, ვერც ზღაპარს ვიტყვიო, — თქვა ქალმა.

დაიწყეს სიცილი, ალბათ, ეშინია ზღაპარი არ გაექცესო. დაკეტეს კარები და გასაღები ამ ბიჭს მისცეს.

დაიწყო ზღაპარი: იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი მდიდარი სოვდაგარი, საკუთარი ეკლესია ჰქონდა, საკუთარი მღვდელი ჰყავდა. საკუთარი აბანო ჰქონდა. პირველი ცოლიდან ქალ-ვაჟი ჰყავდა, ხოლო მეორე ცოლიდან — გერი. იმ ქალ-ვაჟის დედინაცვალი, ე მანდ რომ დედაკაცია, იმასა ჰგავდა და გერი კიდევ ე მაგ ქალს.

დედინაცვალმა იფიქრა: ეს ჩემი გერი რომ სახლში იყოს, ამ ჩემს ქალს ვინ მოიწონებს და ვინ ითხოვსო. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა თავის გულში. დაიბარა თავიანთი სახლის მღვდელი და უთხრა: შენ ფიცი მომეცი, რაც გითხრა, არ გამამჟღავნოო. მღვდელმაც შეჰფიცა, არაო. სოვდაგრის ცოლმა უთხრა: აბანოში წადი, ამ ჩემს გერსაც იქ გამოვგზავნი და შეარცხვინე, ნამუსი აჰხადე, ეგებ ჩემი ქალი მაშინ მაინც გავათხოვოო. მღვდელმა დიდი უარი უთხრა: როგორ შემიძლია მაგისთანა საქმე მოვიმოქმედო, ჩემს ხელშია დაბადებული, ჩემს ხელშია მონათლული, მაგის მამის მეოხებით ვცხოვრობო, ეგ როგორ გამიბედეო. დედინაცვალმა უთხრა: ისე გაგამდიდრებ, შენისთანა მდიდარი ამ ჩვენ მხარეში არავინ იყოსო, თუ არ გამიგონებ, სიკვდილით დაგსჯიო. მღვდელიც დაჰყაბულდა, ადგა და წავიდა აბანოში. დედინაცვალი ახლა თავის გერთან მივიდა და უთხრა: ადე, რას უზიხარ ე მაგისთანა ჭუჭყიანი, მამაშენს მოსვლა უთქვამს, წადი, აბანოში იბანავე და სუფთად დახვდიო.

ქალს გაუკვირდა დედინაცვლის ასეთი მზრუნველობა. თუმცა ქალი არც ჭუჭყიანი იყო და არც უსუფთაო, მაგრამ ადგა და წავიდა აბანოში. შევიდა თუ არა ქალი, მღვდელმა მაშინვე ჩაკეტა კარები და დადგა. ქალი ეუბნება: შენ აქ რა გინდა, გადი აქედანო. მღვდელმა უთხრა: ძლიერ მიყვარხარ და მინდა შენთან ერთად ვიბანავოო. ქა-

ლი ეუბნება: მაგას როგორ მიბედავ, შვილად შეგეფერები, ან მამა-ჩემისა არ გეშინია? რომ გაიგებს, რას გეტყვის? გადი აქედანაო. მღვდელი არ გავიდა. ქალმა უთხრა: კარგი, ხომ შენ ხელთა ვარ, ჯერ შენ გაშიშვლდი, დაგბან და მერე მეო. გაიხადა ტანისამოსი მღვდელ-მა. ქალმა საპონი წაუსვა თავზე ჯერ ერთხელ, ახლა მეორედ უფრო მეტი, თანაც ადუღებული წყალი დაასხა და ეცა კარებს, გააღო და გაიქცა სახლში. დედინაცვალს გულს შემოეყარა, ასე ჩქარა რად და-ბრუნდიო და მღვდელთან წავიდა. მღვდელი იწვა ლოგინში, თმა და წვერი სულ გასცვენოდა, სახე დაიარავებოდა.

— რად წევხარ, ქალი რად მოვიდა მალეო?

— იმისათვის ვწევარ, აი, ქალმა რა მიყო, ადუღებული წყალი დამასხა და გაიქცაო. მაშინვე სოვდაგრის ცოლმა თავისი სახლის ექიმი მიიწვია და უბრძანა იმისი მორჩენა. თუმცა კანი მოურჩა, მაგ-რამ თმა და წვერი კი აღარ ამოუვიდა. ეგ მღვდელი იმასა ჰგავს.

სოვდაგრის ცოლმა იფიქრა, თუ ეს აქედან არ დავკარგე, თავის შამას ამბავს მიუტანს და ჩემთვის ცუდიაო. წერილი მისწერა თავის ქმარს ქალის შესახებ. მიიღო თუ არა წერილი მამამ, ძლიერ გაჯავრ-და და თავის შვილს უთხრა: წადი, შენი და მოკალ, იმისი გულ-ღვიძლი დასარწმუნებლად აქ მომიტანეო. ეს სოვდაგარი ემ მაგ სოვ-დაგარსა ჰგავდა და ის სოვდაგრის შვილიც ეგ მაგ სოვდაგრის შვილ-საო. ეტლში ჩაჯდა და წამოვიდა ვაჟი დასთან. მოვიდა თუ არა, უთხ-რა: ადექი, ეტლში ჩაჯექიო. ქალი ეხვეწება: — ძმაო, რამ გაგაჯავრა, ან მამა როგორა ბრძანდებაო.

ვაჟმა არ მოუსმინა. მოჰკიდა ხელი და ძალად ჩასვა ეტლში. ქალს პაწია გოშია ჰყავდა, ისიც თან წაჰყვა, წავიდნენ, უდაბური მინდორი და ტყე გაიარეს.

დამ უთხრა: ძმაო, რატომ არ მეუბნები, სად მიგყევარ. ან მამა როგორ არის, ან რადა ხარ გაჯავრებულიო. ძმამ ამოიღო ჯიბიდან წე-რილი და მისცა, აი, წაიკითხეო, იმ ქალის დედინაცვლისაგან იყო მიწერილი თავის ქმართან: შენმა სამიწე ქალმა შეგარცხვინაო, ღამე სხვაგან დაიარება და მოეშველე, თორემ მთლად სახლიდან გავარ-დებაო.

ამ ქალმა დაიწყო ტირილი და უთხრა: ძმაო, არ შემიძლია თავი ვიმართლო, რადგან ასე გაჯავრებულს გხედავ, არას დამიჯერებ. აი, ეს გოშია დაკალ, ამისი გულ-ღვიძლი მამას წაუღე, რომ დარწმუნდეს ჩემს სიკვდილში და, აი, ამ უდაბურ ტყეში დამტოვე, თუ ჩემმა სი-მართლემ მიშველა, კარგია, თუ არა, ხადირი მაინც შემჭამს და შენი ხელი არ შეიმწიკვლება ჩემი სიკვდილითაო. ჩამოსვა ძმამ ეტლი-

დან, დაკლა გოშია, იმისი გულ-ღვიძლი მამის საჩვენებლად წაიღო და წავიდა.

დარჩა უმწეო ქალი იმ უდაბურ ადგილას. დაიწყო ტირილი. იმდენი იტირა, მანამ დაღამდებოდა. იფიქრა: აქ რომ ვიყო, ვაი თუ ნადირმა შემჭამოს, წავალ, იქნება სოფელში სადმე მივიდეო.

იარა საღამომდის, საღამოს ტყის განაპირას გავიდა. მშვენიერი მინდორი იყო. მწვანით დაფენილი, კაცის თვალი უკეთესს ვერ ნახავდა. ერთი რცხილა იდგა, სამი ტოტი ჰქონდა. ქალმა იფიქრა, აქ გავატარებ ღამესაო, ავიდა დიდი გაჭირვებით და იმ ტოტებ შუა ჩაჯდა, ოქრომკედის სარტყელი შემოიხსნა და წელი იმით მიიბა ხეზე. გათენდა მეორე დილა, გაეღვიძა ქალს და თქვა: ახლა კი ჩავალ ძირს, დავადგები გზას, იქნებ ხალხს სადმე შევხვდე, გზას მასწავლიან სოფლისასაო. ჩამოიხედა, უნდა ჩამოვიდეს ძირს და დაინახა, რომ ხის ჩეროში ყმაწვილი კაცია წამოწოლილი და იმ ხეს შეჰყურებს. ისე ხშირი ფოთლები ჰქონდა იმ ხეს, რომ აქამდის ქალი ვერ დაენახა. როდესაც ძირს ჩამოიხედა, მაშინ კი ვაქმა თვალი შეასწრო, გაუკვირდა და ჰკითხა: მანდ რას აკეთებ, ვინა ხარ, რა სულიერი ხარო?

ქალმა უთხრა: ქრისტიანი ვარო.

ვაქმა უთხრა: შენ ცოლი და მე ქმარიო, ხელმწიფის შვილი ვარ, ჩემს პატრონს ჩემს მეტი შვილი არა ჰყავსო.

ქალმა უთხრა: მე რა ღირსი ვარ თქვენი ცოლობისა, ერთი გზადაკარგული ქალი ვარ, თქვენ ძმა და მე დაო. ვაქი, სანამ ცოლქმრობის პირობა არ ჩამოართვა, არ მოეშვა, ჩამოიყვანა ის ქალი და გვერდს დაისვა.

ის ხელმწიფის ვაქი სწორედ ე მაგ ყმაწვილსა ჰგავდა.

დაუძახა თავის შინაყმას, აჰკიდა ბარგი, წინ გაგზავნა და შეუთვალა დედ-მამას: საცოლე ვიშოვე და მომყავს, ქორწილი მოამზადეთ, ჯვარი უნდა დავიწეროო.

დედ-მამას ძლიერ ეწყინა, ტყეში ნაპოვნი ქალი რად უნდა, ან ალი იქნება, ან ქაჯიო. ვაქმა არ დაუჯერა დედ-მამის რჩევას, დაიწერა ჯვარი და ცხოვრობდნენ ბედნიერად. ამ ბედნიერებას კიდევ ის დაემატა, რომ ეყოლათ მშვენიერი ვაქი, ეგ ბავშვი სულ იმ ბავშვსა ჰგავსო.

გაიარა რამდენიმე ხანმა და მოუვიდათ მოპატიჟე, ერთი მდიდარი სოვდაგარი ეპატიჟებოდა თავისი შვილის ქორწილში. დედ-მამამ ურჩია: წადი, შვილო, შენი ცოლ-შვილით, ეწვიე, თორემ ეწყინებაო.

რა დღითაც უნდა წასულიყვნენ ქორწილში, სწორედ იმ დღეს მოვიდნენ სხვა ხელმწიფის მოციქულები, ომი სურს ჩვენს ხელმწი-

ფესაო. ამ ხელმწიფის შვილმა იფიქრა: მე ქორწილში წავიდე, მამა-ჩემი მოხუცია, ვაი თუ აჯობონო და ცოლს ურჩია, მე აქ დავრჩები და შენ წადი, აი, ჩვენი ვეზირი წაგიყვანსო. ზღვით უნდა წასულიყვნენ. ცოლმა თუმცა უარი თქვა, მაგრამ დედამთილ-მამამთილმაც ძალა დაატანეს, წადიო და ეს ქალიც წავიდა თავისი ბავშვით და ვეზირით. შუა ზღვაში რომ შევიდნენ, ვეზირმა სხვანაირი ლაპარაკი დაუწყო: ძალიან მიყვარხარ, შენი გულისათვის თავს მოვიკლავ, უნდა ჩემი გახდეო.

ქალმა უთხრა: აბა, გულზე დაიხედე, რა ნიშნები გაქვს, სულ ჩემი მამამთილისა და ქმრის მოცემული, როგორ მიბედავ მაგასაო?

ის ვეზირი სწორედ ემაგ ვეზირსა ჰგავდა.

ვეზირმა კანკალი დაიწყო. ქალმა განაგრძო: მაინც არ მოეშვა ვეზირი. მაშინ ქალმა თავისი ბავშვი მისცა და უთხრა: აჰა, დაიჭი, მეორე ოთახში გავალ და ახლავ გამოვალ, რას ვიზამ, შენ ხელთა ვარო.

გავიდა თუ არა, გადაეშვა წყალში: ღმერთო და ჩემო სიალალ-მართლევ, მიშველე და ნაპირს გამიყვანეო.

ამ ქალს უსმინა ღმერთმა და გავიდა ნაპირზე. ერთ ბებერთან მივიდა და უთხრა: აი, ეს ძვირფასი ტანისამოსი და ნივთი შენი იყოს და ერთი ძველი ბიჭური ტანისამოსი მიშოვნეო.

ბებერმა სიხარულით გამოურბენინა თავისი შვილის ტანისამოსი. ქალმა გაიხადა თავისი და ბიჭის ტანისამოსი ჩაიცვა, პირიც მოითხუპნა და ნამდვილ მეძროხე ბიჭს დაემსგავსა. ბებერს ჰკითხა: ვინ არის ამ ქვეყანას დიდი კაცი, ან ხელმწიფე ვინა გყავთო?

ბებერმა უთხრა: ხელმწიფე ვის ეკადრება, ერთი მდიდარი სოვდაგარი ცხოვრობს, იმისი ცალი სხვა არავინ არის, ახლა ვაჟს აქორწილებს, დიდ მზადებაშია, წინათ აპირებდა, მაგრამ მოუცდა ქორწილი. ეს მეორედ დაჰპატიჟა ხალხი, ხელმწიფეებიცა ჰყავს მოწვეულიო.

ადგა ქალი, ბებერს გამოეთხოვა და წავიდა მეძროხეებთან, მოჯამაგირე ბიჭი არ გინდათ, პურის ჭამაზე გემსახურებით, საქონელს მოგიბრუნებთო.

— კარგიო, — უთხრეს და დარჩა იმათთან. ისეთი სიმარჯვე გამოიჩინა ამ ქალმა, რომ ყველას შეუყვარდა, მუდამ ღამე თავის თავგადასავალს ნაწყვეტ-ნაწყვეტ უამბობდა მეძროხეებს. მოვიდა ქორწილის დღეც, გადაიხადეს სოვდაგრის შვილის ქორწილი და მეორე დღეს მოესურვათ ზღაპრის გაგონება. დაიბარეს მეძროხე ბიჭები, ყველამ უარი თქვა, ჩვენ არ ვიცით, ჩვენთან ერთი ახალმოსული ბიჭია, იმან იცის, ყოველ ღამე ზღაპრებს ამბობსო. მოიყვანეს ის ქა-

ლი და დაიწყო, რაც გადაჰხდენოდა, სულ ზღაპრად უამბო. მოიხადა ამ ქალმა ქუდი და თმები ჩამოიშალა.

— აი, ის ქალი მე გახლავართ, მოხსენება ჩემი და სამართალი თქვენიო.

წამოდგნენ მაშინვე ქმარი, ძმა, მამა, ერთმანეთს აღარ აცდიდნენ მისალმებას. როდესაც გული იჯერეს ხვევნა-კოცნით, ის დედინაცვალიც, იმისი ქალიც, ის მღვდელიცა და ვეზირიც ცხენებს მოაბეს ძუაზე, ქუჩა-ქუჩა ათრიეს და ისე დაჩქლირთეს...

ეს ქალი მაშინვე აბანოში შეგზავნეს, სადედოფლო ტანისამოსით შემოსეს და მიეცნენ დიდ ლხინს. ხელმწიფის შვილმა თავის დედამამას კაცი გაუგზავნა, ჩემი ცოლი ვიპოვე, ღმერთმა გამომიყვანა შეჭირვებიდან და ჯერ ვერ მოვალთო. ორი თვე დაყვეს სულ ლხინსა და შექცევაში და შემდეგ დიდი ამბით გაუწყეს მზითევი მამამა და ძმამ და გამოისტუმრეს შინ.

მივიდნენ ხელმწიფესთან, მიიწვიეს მამა და ძმა და აქაც ქორწილი გადაიხადეს.

ჰირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

მღვდლის ზღაპარი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი უშვილო მღვდელი თავისი ცოლით. მღვდლებს წინათ კარგი შემოსავალი ჰქონდათ და ამიტომ მისი ცოლიც გასუქდა.

ერთ დღეს ქმარს უთხრა: გინდა თუ არა, ლათინური უნდა მასწავლოო.

მღვდელი დაღონდა: ვინ ვიშოვო ისეთი მასწავლებელი, ლათინური იცოდესო. იქაურ ბიჭს (ჩემსავით ოხერი ბიჭი იყო) გაუგია, მღვდლის ცოლს ლათინურის სწავლა უნდაო. დილით ჩამოიარა. მღვდელს მიესალმა: დილამშვიდობისა, მამაო! მოჯამაგირე ხომ არ გინდაო.

მღვდელმა უთხრა: რატომაც არა, მოდიო!

მღვდელი და მოჯამაგირე დადიოდნენ ვენახში სამუშაოდ. ვენახი კი მოშორებით ჰქონდათ. ერთ დღეს, სადილობის დროს, მღვდელმა მოჯამაგირე გამოგზავნა შინ. მოჯამაგირე მოვიდა სახლში და რასა

ხედავს: მღვდლის ცოლს ვიღაც უცხო ვაჟი ჰყავს სტუმრად, გაუშ-ლია სუფრა, სულო და გულო, რაც გინდა, ზედ ალაგია. ბიჭს ჰკითხა: რისთვის მოხვედიო?

— მღვდელმა სადილისათვის გამომგზავნაო.

ადგა ქალი, ჩაუწყო კუპატები, ყველი და ბიჭს უთხრა: მღვდელს არ უთხრა, თუ სტუმარი მყავსო.

ბიჭი კარში გავიდა და იქვე, უკან დაიმალა. ქალმა უთხრა სტუ-მარს:

— ბიჭმა არაფერი უთხრას მღვდელს, ამიტომ გავიდეთ. ჩვენს ბაღში მავანი ატმის ძირასაო.

ბიჭმა ეს ამბავი გაიგო თუ არა, გაიქცა, შეხტა ატამზე და დაიმა-ლა. სტუმარ-მასპინძელი თავიანთი საუზმით მივიდა იმ ატმის ქვეშ. ერთმანეთს შეეკითხნენ: ჯერ რა ვნახოთო. ვაჟმა უთხრა, ვისადი-ლოთო. ამ დროს ბიჭმა მაღლიდან დაიყმუვლა, მღვდლის ცოლი და მისი სტუმარი გაიქცნენ: აქ ვიღაც ყოფილაო. ჩამოხტა მოჯამაგირე ბიჭი, ის მომზადებული სანოვაგე ჩააწყო ხურჯინში და წავიდა მღვდელთან. მღვდელმა სამდურავი უთხრა: რატომ დაიგვიანეო.

— ჩვენებისაკენ ჩამოვიარე, იქ ხარჯი ჰქონდათ და წამოვიღე, სახლში აღარ ავსულვარო.

მღვდელმა ნახა საჭმელები, გაუკვირდა: მე კი არა, ეს ყოფილა პატრონიო.

საღამოს დაბრუნდნენ სახლში. მღვდელი ნასიამოვნები იყო, ცოლს ჩუმად უთხრა: ეს რა მოჯამაგირე ვიშოვნე, დღეს ისეთი სა-დილი ჩამომიტანა, რომ ჩვენ მაგისთანას ათ წელიწადს ვერ გავაკე-თებთო.

მეორე დილას, მოჯამაგირე ბიჭი რომ ადგა, უთხრა მღვდელს:

— მე ამ ფასად ვერ ვიმუშავებ შენთანაო.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მე მასწავლებელი ვარ ლათინურისაო.

გაუხარდა მღვდელს და უთხრა: ჩემ ცოლს ასწავლე და რასაც მთხოვ, მოგცემო.

იმ დღეს ჩვეულებრივ წავიდნენ ვენახში. შაბათი იყო. ისევ იმ დროს მღვდელმა სადილისათვის გამოგზავნა შინ მოჯამაგირე. მოვი-და მოჯამაგირე და რას ხედავს: ის სტუმარი ისევ იმ დღეშია. ქალმა ჰკითხა: რად მოხვედიო?

— სადილისათვის გამომგზავნა მღვდელმაო.

ისევ ჩაუწყო კუპატები და ქალმა ბიჭს უთხრა: ღმერთი არ გაგი-წყრეს, მღვდელს არ უთხრა, რომ სტუმარი მყავსო.

გამოვიდა მოჯამაგირე, კედელს აეფარა და ყური დაუგდო. ქალმა უთხრა სტუმარს: ამ ბიჭს არაფერი წამოსცდეს, თორემ მღვდელი ორივეს დაგვხოცავსო. მოდი, წავიდეთ ჩვენს ძველ ნაწისქვილარშიო.

გაიგო მოჯამაგირემ ეს თუ არა, გაიქცა, შევარდა წისქვილში და დაკეტა კარები. ქალმა სტუმარს ხურჯინი გაუვსო და უთხრა: თქვენ წაბრძანდით წისქვილში, მე სახლს მივალაგებ და მოვალო.

ეს კაცი გაჰყვა არხის პირს ნელ-ნელა და მიადგა წისქვილის კარებს. მიაწვა კარებს, მაგრამ დაკეტილი დახვდა. შიგნიდან მოჯამაგირემ გამოსძახა: შენ გენაცვალე, ამ გაჩვრეტილში წვერი შემოყავიო.

შეყო კაცმა წვერი და მოჯამაგირემ ზედ აკოცა. მეორედ უთხრა, კიდევ შემოყავიო. იმანაც შეყო წვერი. ახლა მოჯამაგირემ გახსნა დანა, დაუსვა და მოპარსა. გაიქცა კაცი, ხურჯინი გადააგდო და ყვირილით მირბის. გამოვარდა მოჯამაგირე, დაავლო ხელი ხურჯინს და გაიქცა. მივიდა მღვდელთან და დაასწრო თქმა: ჩვენსას წავედი, თქვენთან ასვლა დამეზარა და იქიდან წამოვიღე ხარჯი, ნასუფრალი ჰქონდათო. მღვდელმა დაინახა და თქვა: ეს ვინ არის, ამისთანა ხარჯს ნასუფრალს ეძახისო. შაბათ საღამოს ცოტა ადრე შეწყვიტეს მუშაობა, კვირაძალი იყო და მისთვის ადრე წამოვიდნენ შინ.

კვირა გათენდა. მოჯამაგირემ ჩუმად უთხრა მღვდლის ცოლს: თქვენი სტუმარი გუშინ ვენახებზე გარბოდა და თუ გნებავს ნახოთ, იმ თქვენ ნაწისქვილარში არის, ჩიხტიკოპი დაიხურეთ, მიბრძანდით, სამჯერ უთხარით, შენ რაც გტკივა, მე მაბიაო, და გამოვაო. მართლაც, მღვდლის ცოლმა გაიკეთა ჩიხტიკოპი და მისვლისთანავე სამჯერ მიაძახა ზედიზედ: შენ რაც გტკივა, მე მაბია, შენ რაც გტკივა, მე მაბიაო! ნაწისქვილარიდან ბიჭმა გამოსძახა:

— შენ გენაცვალე, ენა გამოყავი, გაკოცოო.

ქალმა გამოყო ენა და ბიჭმაც აკოცა. ქალმა ჰკითხა:

— რა დაგემართა, რა მოგდისო.

— ერთი კიდევ გამოყავი ენა, უნდა გაკოცოო.

ქალმა გამოყო ენა, დაწვდა ეს ბიჭი და მოაგლიჯა ძირში. ქალმა დაიწყო ყმუილი და ყვირილი. გამოვიდა მოჯამაგირეც. ნახა თუ არა ეს ქალი, რომელიც ქართულს ვერ ლაპარაკობს, გაიქცა და მღვდელს ახარა, შენს ცოლს ლათინური ვასწავლე, ქართულს ვეღარ ლაპარაკობსო. მოვიდა ქალი და მღვდელს შეეხვეწა, წამიყვანე სადმე, მიშველეო, მაგრამ მის ბლუკუნს მღვდელი რას მიხვდებოდა. მღვდელი მოჯამაგირეს შეეკითხა: რას ამბობსო? მოჯამაგირემ უთხრა: იმას ამ-

ბობს, რომ ჩვენი ქონება ამ ბიჭს დავუტოვოთ, ჩვენ წავიდეთ და რაკი ენა ვისწავლე, ისეთ საცხოვრებელს ვიშოვნით, ჩვენს თავს დაენატროდეთო.

მღვდელმა დაუჯერა მოჯამაგირეს. თავის ცოლს ხელი მკლავში გაუყარა და გაუდგნენ გზას. ცოლს ჰგონია, ექიმთან მიჰყავს, მღვდელსა ჰგონია, საცხოვრებლად მიჰყავს. წავიდნენ და გადაიკარგნენ სადღაც. მღვდლის სახლ-კარი იმ ბიჭს დარჩა. გამართა კაი ქეიფი, მიიწვია ყველა მეზობელი, მეც ამოვიარე და ცოტაოდენი ვსვი.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
მთას ურემი ავიტანე,
წამოვიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით დამიძეხით,
საიქიოს ცხონებითა.

ცერცვი და ცეცხლი

ერთი მღვდელი თავზე წაესწრო ცოლს, კუროს რომ ეტრფიალებოდა. დაავლო კეტს ხელი და შეუტია. კურო სარკმლიდან გავარდა. მღვდელი გამოუდგა და მორთო ყვირილი: დაიჭირეთ, ნუ გაუშვებთ მაგ ქურდს, მაგ ავაზაკსო!

მოგროვდა ხალხი და შეაკავეს გაქცეული, რომელმაც, ბაღში რომ გარბოდა, იმ დროს რამდენიმე ცერცვი მოგლიჯა და მუჭში ეჭირა. ხალხმა ჰკითხა: რა ამბავიაო?

— როგორ რა ამბავია! მღვდლის ბაღში ეს ერთი მუჭა ცერცვი მოვგლიჯე და ამისთვის მომდევს მოსაკლავად, აღარ მზოგავს და მიშველეთო.

ხალხს გაუკვირდა, ბიჭი გაუშვა, გადაეღობა წინ მღვდელს და დაუწყო საყვედური: მღვდელო, როგორ გეკადრება უბრალო რამეზე მოთმინების დაკარგვა? ერთი მუჭა ცერცვისათვის კაცი ვის მოუკლავს, რომ შენ მოგაკვლევინოთო!

მღვდელი ოჯახის გაკიცხვას მოერიდა, რაც იყო, ველარ გაამხილა, წაიშინა თავში ხელი და აღრიალდა: შვილებო, ვინც არ იცის — ცერცვია, მაგრამ, ვინც იცის, ცეცხლიაო! მეტი რაღა მეთქმისო, — თქვა და გამობრუნდა სახლისაკენ.

თქვა უფალმა

ერთმა მღვდელმა წირვის დაწყებამდე მოძებნა სახარებაში წასაკითხი ადგილი და პრასით დანიშნა.

დიაკონმა ჩუმად ამოიღო სახარებიდან პრასი და შეჭამა. მოაღწია წირვის მსვლელობისას სახარების წაკითხვის დრომ. მღვდელმა აიღო სახარება და იძახის: თქვა უფალმაააა... თქვა უფალმა�ა... და ეძებს სახარებაში ჩადებულ პრასს. მღვდელი განაგრძობს ძახილს: თქვა უფალმა�ა... თქვა უფალმაااა... მაგრამ პრასს ვერ პოულობს.

დიაკონმა გამოსძახა: ამიიინ... რა თქვა უფალმაااა...

— დიაკონის სულის ამოხდენااا... — გამოსძახა მღვდელმა.

მღვდელი და დიაკონი

ერთმა მღვდელმა დიაკონი თხის მოსაპარავად გაგზავნა. დიაკონი რომ დაბრუნდა, მღვდელი წირვად იდგა. დაინახა მღვდელმა დიაკონი და სულწასულმა ლოცვაში გაურია კითხვა:

— დიდება შენდა, უფალო, დიდება შენდა... დიაკონო, დიაკონო, ჰე-ჰე-ჰე რა უყავიი?..

დიაკონმა ამგვარადვე უპასუხა:

— ამინ, ალილუია, ალილუიااა... ჰე-ჰე-ჰეს ვინ ჩიოდა, ვი-ჰი-ჰი-ჰიც წამართვეეეს... (ვითომ თხის ქურდობაზე ჯორი დავკარგეო).

მღვდელი და ჯვარცმული ქრისტე

ერთ მღვდელს შემოსავალი არა ჰქონდა, მოიგონა სასწაული: სამ თუმნად ერთი მუშა დაიჭირა, მთელი დღე ჯვარზე შიშველი უნდა გაგაკრაო.

მოვიდნენ მლოცველები, ნახეს და გავარდა ხმა ხალხში: ჯვარზე ნამდვილი ხორცშესხმული ქრისტე გამოჩენილაო.

დიდძალი ხალხი მოაწყდა და დიდი შესაწირავი ფული შემოვიდა.

უკვირდათ სასწაული, რომ ასე ნამდვილს, ბორცშესხმულ ჯვარ-ცმულსა ხედავდნენ.

ერთი ქვრივოხერი დედაკაცი მოვიდა. სამი გასათხოვარი ქალი ჰყავდა. საყდარში დაიმალა, მარტო შეეეეედრები ქრისტეს, წყალობა მომცესო. ხალხი რომ გამოვიდა და საყდარი დაკეტეს, დედაკაცი მივიდა ჯვარცმულის წინა და ხვეწნა-ვედრება დაუწყო: მომხედე ქვრივოხერსა და ობლების პატრონსაო, წყალობა მოიღე და ერთი ოცდაათი თუმანი მიწყალობე ქალების მზითევადაო.

ტყუილმა ქრისტემ ჩამოსძახა: შე ოხერო, დილა ცისკარს აქეთ მთელი დღე სამ თუმნად ასე ვაყუდივარ, ოცდაათი თუმანი საიდან მოგაშავოო?!.

ზოგჯერ ეშმაკსაც უნდა დაუჯერო

ერთი კაცი საზიარებლად ემზადებოდა და მღვდელთან მივიდა აღსარებისათვის. მღვდელმა დარიგება მისცა: წირვა-ლოცვაზე, იარეო, შესაწირავი შესწირეო, მღვდელს წირვა აწირვინეო, ლოცვა ათქმევინეო, ცოდვას ნუ იზამ, ეშმაკი გაცდენსო, ეშმაკს არ უნდა დაუჯეროო.

ამასობაში კაცმა ცმუკვა და მხრის ქნევა დაიწყო და ამბობს:— დამეხსენ, დამეხსენო!

მღვდელმა ჰკითხა: რას შვრები, რას ბუტბუტებო?

კაცმა უპასუხა: ეშმაკი მეუბნება. აწირვინეო, მღვდელს ფული მიუტანეო!

მღვდელმა უთხრა: ჰო, შვილო, ზოგჯერ ეშმაკსაც უნდა დაუჯეროო.

ძუნწი ხუცესი

ერთ სოფელში გაუმაძღარი და ძუნწი ხუცესი ცხოვრობდა. სტუმარი სძულდა. მეზობლებს ახლოსაც არ იკარებდა. ერთადერთი თავისი მუცელი ახსოვდა. არც შვილი ჰყავდა და არც ძირი. არა თუ სტუმარ-მეზობლები, ახლო მოკეთე-ნათესავებიც არ უყვარდა. ცოლიც იძულებული იყო, ქმრის ჭკუაზე ევლო.

ერთ დღეს შორიდან ცოლისძმა ესტუმრა. ქალმა ძალიან გაიხარა უფროსი ძმის სტუმრობა, მშვენიერი სადილი მოამზადა. ღვინოც ამოიღო და სუფრა გაშალა.

მიუსხდნენ სუფრას. რამდენიმე ლუკმა რომ აიღეს, ხუცესმა დაიძახა: მეც გავძეხი და ჩემი სტუმარიც, დედაკაცო, ჩქარა აალაგე ყველაფერიო!

ქალს გული დასწყდა, ძმას ვერ გავუმასპინძლდიო, მაგრამ რაღას იზამდა, შეასრულა ქმრის ბრძანება.

დაღამდა. ცოლისძმა მშიერ-მწყურვალი დაწვა. რა დააძინებდა. ღამით დაინახა, ხუცესი ადგა, მივიდა ოზანდარასთან, გამოაღო კარები, გამოიტანა სასმელ-საჭმელი და მადიანად მიაძღა. ღვინოც ბლომად დააყოლა, დაწვა და ხვრინვა ამოუშვა.

მეორე დილით მოშივებული ცოლისძმა გამოემშვიდობა ხუცესს და შინ წავიდა. ძლივს მიიტანა მშიერი კუჭი შინამდის. ყველაფერი ძმებს უამბო. მათ არ დაიჯერეს: ჩვენი სიძე ასეთი ძუნწი ხუცესი როდიაო.

გავიდა ხანი. ახლა შუათანა ძმამ თქვა: მოდი, წავალ, დასა და სიძეს მოვინახულებო. შეკაზმა ცხენი და გაემგზავრა.

ხუცესმა ცოლისძმა კარგად მიიღო. სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. ქათმები დაკლა, ორი ხელადა ღვინო ამოიღო და საღამოს ისეთი სუფრა გაშალა, ხელმწიფესაც ეკადრებოდა. ხუცესმა დალოცა სუფრა და ჭამას შეუდგნენ. ორი სამი ლუკმა რომ შეჭამეს, ცოლს უბრძანა: მეც გავძეხი და ჩემი სტუმარიც, დედაკაცო, ჩქარა აალაგე ყველაფერიო!

ცოლს რა უნდა ექნა, შეასრულა ქმრის ბრძანება. დარჩა მშიერ-მწყურვალი შუათანა ძმაც. ძლივს მიაღწია შინამდის. ძმებს მანაც ყველაფერი უამბო. უმცროსმა ძმამ არ დაიჯერა, უფროსი — დაემოწმა.

გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი და უმცროსმა ძმამ თქვა: აბა, ახლა მე ვესტუმრები ჩემს დასა და სიძეს და ვნახოთ, როგორ პატივს მცემენო.

შეკაზმა ცხენი და გზას გაუდგა. ხუცესი უმცროს ცოლისძმას დიდი სიყვარულით მიეფართქალდა და ხელს აღარ უშვებდა. ისე ეხვეოდა. ცოლს ინდაურის საცივი გააკეთებინა, დიდი დოქით ჩხავრის ღვინო ამოიღო და სუფრა გაშალა. ხუცესმა ისევ აკურთხა სასმელ-საჭმელი, სტუმარიც მიიპატიჟა და ჭამას შეუდგნენ. ორი-სამი ლუკმაც არ ჰქონდათ შეჭმული, ხუცესი ადგა და ცოლს უთხრა: მეც

გავძეხი და ჩემი სტუმარიც, დედაკაცო, ჩქარა აალაგე ყველაფერიო!

ქალს კურცხლები გადმოსცვივდა თვალებიდან, ნეტავ ვისთვის გავაკეთე ამდენი რამეო. უმცროსი ძმა არ დაიბნა და თქვა: მე ჯერ ჭამაც არ დამიწყია, ვინც გაძღა, გაძღა, ადგეს და დაიძინოსო.

ხუცესს რაღა უნდა ექნა, ადგა სუფრიდან, გაიშალა ლოგინი და დაწვა. უმცროსი ძმა კი მიადგა ამ საციეს და სულ შეჭამა. ერთი ლუკმაც არ დატოვა. ღვინოც დააყოლა ზედ, კარგად შექეიფიანდა, დაწვა და დაიძინა.

შუაღამეზე მშიერ ხუცესს გამოეღვიძა. გააღვიძა ცოლი და უთხრა: დედაკაცო, ძაღლივით მშია, მაჭამე, თუ რამე დარჩა იმ შენ ძმასაო.

— რაღა უნდა დარჩენოდა, ყველაფერი შეჭამაო, — უთხრა ცოლმა.

— აბა, კვერი მაინც ჩამიგდე, თორემ შიმშილით ვკვდებიო.

ქალი ადგა, საფქვილიდან აიღო ნახევარი კოთხო ფქვილი, მოზილა გობზე ცივი წყლით, ღადარი გადასწია და კვერი ჩააგდო.

ყველაფერ ამას ხედავდა ძმა. წამოდგა ზედ, მიუჯდა დას გვერდით კერასთან სკამლოგინზე და მასლაათი გამართა. ქალმა ჰკითხა:

— რაფერ ხართ სოფელში, ძამია, რა ამბავია ახალი, ხომ ყველა მშვიდობით არისო?

ძმამ აიღო დიდი მუგუზალი, მიუსვ-მოუსვა ღადარში, სადაც კვერი იყო ჩაგდებული, და დას უთხრა: რაფერ ვიქნებით, ჩვენს მეზობლებს ერთი დიდი ასვარიე-დასვარიე აქვთო! და კიდევ მიუსვ-მოუსვა ღადარში მუგუზალი. კვერი სულ ნაკარში შესვარა.

დამ ყველაფერი კარგად დაინახა, მაგრამ რაღას ეტყოდა. დაწვნენ ისევ და დაიძინეს. ხუცესიც უყურებდა ამ უბედურებას. შიმშილმა სულ აღარ დააძინა. ცოტა ხნის შემდეგ წამოიკუნკლა ლოგინიდან, ღადარი გაშალა, დაუწყო კვერის ნამცეცებს ძებნა. აიღებდა ნამცეცს, სულს შეუბერავდა და ჭამდა.

უმცროსმა ძმამ ეს კარგად დაინახა. უცებ წამოხტა ლოგინიდან, წამოავლო დიდ მუგუზალს ხელი და უდურთა ხუცესს ზურგზე: ძაღლი შემოსულა სახლშიო.

ხუცესს ხმა აღარ ამოუღია. ძლივს მიიტანა წელი ლოგინამდის, დაწვა და მთელი ღამე კვნესოდა.

მღვდელი და ღარიბი გლეხი

იყო ერთი მღვდელი. ახლოს არავის იკარებდა, სტუმარს არ ღებულობდა, ლუკმა პურსაც არავის აჭმევდა. სხვისას კი მუცელგაშლილი იყო. ჭამდა და სვამდა, გაძღომას ვერ ხვდებოდა. ხალხს მოსძულდა ავი მღვდელი: ღვთის კაცი და ასე ხელდამწვარი ვის უნახავსო. ცოლისძმაც კი არ შეუშვა სახლში. უპმელ-უსმელი გაისტუმრა, მეორეჯერ არ მესტუმროო

ერთმა ღარიბმა გლეხმა თქვა, მაგ მღვდელს ოინი უნდა ვუყოო! ჩამოუარა მეზობლებს და უთხრა: მივალ მღვდელთან და კარგ სადილსაც გამიმართავსო.

მეზობლებმა გლეხი სასაცილოდ აიგდეს: შენ კი არა, მღვდელი სადილს დიამბეგსაც არ გაუმართავსო.

— არა, სანაძლეო დავდოთო, — თქვა ღარიბმა გლეხმა.

გამოვიდა შეძლებული გლეხი და უთხრა: შენ თუ მღვდელს მაგიდაზე შემოუჯდები, უღელ ხარს მოგცემ, თუ არა, ერთ წელიწადს უფასოდ მემსახურეო.

ღარიბი გლეხი დაეთანხმა. დადეს პირობა. მოსამართლეები დანიშნეს, მოწმეები გამოიყვანეს და ღარიბი გლეხი წავიდა მღვდელთან. კარები ფოფოდიამ გაუღო. მღვდელი სადილის მოლოდინში ტახტზე იყო გაშოტილი. ღარიბი მიესალმა:

— თქვენი დღეგრძელობა, მამაო, იმაზე გიახელი, მამაჩემს რომ თქვენი ასი ოქრო მართებდა, ახლა როდის შეიძლება მისი მორთმევა, ღმერთმანი, ძალიან ვწუხდი, აქამდის ვერა გითხარი რაო, — დაიწყო მობოდიშება ღარიბმა.

მღვდელი მხიარულად წამოდგა. ღარიბი გლეხი ახლოს მიიწვია. ძალიან ესიამოვნა მისი სიტყვები. ფოფოდიას უბრძანა, კარგი სადილი გაეკეთებია. სუფრას მიუსხდნენ და კაი ქეიფი გასწიეს.

უკვე დაღამდა. მღვდელიცა და გლეხიც შეზარხოშდნენ. სიმღერა დაიწყეს, ფოფოდიას უზუნდარა ათამაშეს. ღარიბი გლეხი სულ ტლინკებს ისვროდა, ისე ცეკვავდა. მოსამართლეები და მოწმეები მღვდლის სახლს აუვლიან და ჩაუვლიან. ხედავენ, დიდი ქეიფია, ღარიბი გლეხი სულ სადღეგრძელოებს ამბობს.

კარგად რომ შეთვრნენ, მღვდელმა გლეხს უთხრა:

— აბა, შვილო, ხვალ დილით, ის ასი ოქრო ადრე მომიტანე, დაგვიანებით ნუ დამიგვიანებო!

— რის ასი ოქრო, რა ასი ოქრო, მღვდელო, გიჟი ხომ არა ხარ, რას მიედ-მოედებიო! — დასჭყივლა ღარიბმა გლეხმა.

შეიქმნა შეხლა-შემოხლა. მთვრალი მღვდელი თავისას გაიძახოდა, გლეხი თავისას ამბობდა. ბოლოს, მღვდელი გაბრაზდა, ჰკრა გლეხს ხელი და გარეთ გამოაგდო. გლეხმა ჩაიცინა და მღვდელს მიაძახა:

— ნეტავ შენ, თორემ მე კარგი სადილიც ვჭამე და უღელი ხარიც მოვიგეო!

ასე მოიგო უღელი ხარი ღარიბმა გლეხმა.

ავი მღვდელი და დიაკონი

იყო ერთი ავი მღვდელი და ჰყავდა უფრო ავი დიაკონი, მთელი მრევლი გააჩანაგეს, ხალხს ყველაფერი წაგლიჯეს, ღმერთსაც ატყუებდნენ და კაცსაც.

ერთ დღეს მღვდელმა დაიბარა დიაკონი და უთხრა:

— სამარგლი სიმინდი მაქვს, ორ დღეს მომეხმარე და სააღდგომო საკურთხით გავისწორდებიო.

— ბატონი ბრძანდები, თუ სააღდგომო საკურთხით გამისწორდები, მაგას რაღა სჯობს, სამ დღეს მოგეხმარებიო!

დილით ადრე დიაკონი თოხით მიადგა კარზე მღვდელს. მღვდელი ადგომით კი ამდგარიყო, მაგრამ საუზმე ვერ მოესწრო. დიაკონმა უთხრა: ჯერ კიდევ ადრეა, მოდი, ვისაუზმოთ, ცოტა დავისვენოთ და შევუდგეთ მარგლასო.

მღვდელს რა უნდა ეთქვა. დაუძახა ცოლს, საუზმე მოგვიტანეო, და მიუსხდნენ მაგიდას. კარგად გამოძღნენ. თითო ჭიქა არაყიც გადაკრეს და ცოტა დაისვენეს. დიაკონს ჩამოეძინა. მღვდელმა გააღვიძა:

— წავიდეთ, ძმობილო, ცოტა გავმარგლოთ სიმინდი და სადილიც მოგვისწრებსო!

— რა გვეჩქარება, ჯერ კიდევ ადრეა, მოდი, ბარემ წავისადილოთ, შემდეგ მივადგეთ და ზარმლობამდის ვმარგლოთ! — უპასუხა დიაკონმა.

მღვდელმა დაუძახა ცოლს, სადილი მოგვიტანეო და მიუსხდნენ მაგიდას. კარგად გამოძღნენ. თითო თასი ღვინოც დააყოლეს და დასასვენებლად მწვანე მოლზე წამოწვნენ. მზე გადახრილი იყო, როცა გამოეღვიძათ.

— ახლა კარგია მარგვლა, წავიდეთო, — უთხრა მღვდელმა.

— მოდი, ბარემ ვიზარმლოთ და შემდეგ ვახშმობამდის ვურტყათ თოხიო, — უპასუხა დიაკონმა.

მღვდელმა ცოლს გასძახა, ჩქარა ზარმელი მოგვიმზადეო!

კარგად იზარმლეს. თითო დედალი შეეპამეს, თითო თასი ღვინოც დააყოლეს, ყალიონები გააბოლეს და მწვანეზე დაისვენეს. მღვდელი წამოდგა, ახლა დროა, მარგვლას შევუდგეთო.

— მოდი, ბარემ წავივახშმოთ, ცოტა დავისვენოთ და სიმინდი მერე ვმარგლოთო! — უთხრა დიაკონმა.

მღვდელმა ცოლს გასძახა, აბა, ჩქარა ვახშამი მოგვიმზადეო. მოუსხდნენ მაგიდას. კარგად ივახშმეს, თითო ჭიქა არაყი დააყოლეს, ღვთისა და კაცის ამბები ილაპარაკეს და დასასვენებლად მწვანეზე წამოჯდნენ.

დიაკონი ჩქარა ადგა, თოხი მხარზე გაიდო და მღვდელს დაეშშვიდობა:

— ახლა ძილის დროა, დღეს გვარიანად ვიმუშავეთ, ხვალ დილით გამოგივლი, საუზმე კი ახლავე მოამზადეო!..

გამოქექილი ბერიკაცი და მღვდელი

ერთ ღარიბ ბერიკაცსა და დედაბერს უღელი ხარი ჰყავდათ. მართალი გითხრათ, კაი ხარები იყო. ძალიან გაუჭირდათ ცხოვრება და ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა: წავიყვანოთ ხარები ბაზარში და გავყიდოთ, ეგების ერთ ხახს თავი შევინახოთო.

წაიყვანა ბერიკაცმა ხარები გასაყიდად. ბევრი მუშტარი დაეხვია, ყველას მოსწონს საქონელი. ბოლოს, ერთი მღვდელი მივიდა.

— ყიდი ხარებს? — ჰკითხა.

— ვყიდი, მიჭირს და იმიტომ, — უთხრა კაცმა.

— მომყიდე მე!

— ინებეთ, ბატონო!

— რამდენს აფასებ, რა მოგცე?

— მე ერთი საწყალი ღარიბი კაცი ვარ, შენ მღვდელი — ღვთის კაცი, რაც ღირს, ის მომეცი, ჩემი მოტყუილება თუ არ გინდა.

მღვდელმა დაუწყო ფიცილი:

— მამავ და შვილო, როგორ მინდა შენი მოტყუილება, ჯვარი გეწეროს ქრისტე მაცხოვრისაგან. სამ თუმანს მოგცემ მაგ უღელ ხარში!

— წაიყვანე, ბატონო, ქრისტემ შეგარგოს და მოგახმაროს, — დაეთანხმა ბერიკაცი.

გახარებულმა ხუცესმა ხელად დაუთვალა სამი თუმანი და წაიყვანა ხარები. ბერიკაცი შინ დაბრუნდა. ფული კი ეცოტავებოდა. მაგრამ რაღას იზამდა.

სახლში როგორც მოვიდა, ცოლმა ჰკითხა:

— როგორ გაყიდე?

— სამ თუმნად!

ქალმა კივილი გააბა: — გადაირიე, თუ გადაიშალე, ეს რა გიქნია, მღვდელს მოუტყუილებიხარ, იმ დაწყევლილს, იმასა, დაუქცევია ჩვენი ოჯახიო!

ამაზე კაცი გაბრაზდა — ხუცესი ღვთის მაგიერი კაცია, როგორ მომატყუილებდაო. შეწუხდა ქალი ძალიან, მაგრამ რაღა უნდა ექნა. ქმარს ხომ ვერ მოკლავდა. ფული კი არ მიიღო. არიან ცოლ-ქმარი უთანხმოდ. ქალი გააკეთებს სადილს, დააწყობს ყველაფერს მაგიდაზე, თვითონ წავა მეზობლისას, ქმარს არაფერს ეუბნება. ბერიკაცი მივა, ჭამს საჭმელს, გაიდებს თოხს მხარზე და გაუყვება სამუშაოზე. ასე დამდურებულნი იყვნენ ერთ კვირას.

ერთ დღეს ბერიკაცმა ეს ფული წაიღო და კიდევ წავიდა ბაზარზე. იყიდა ერთი სამაბაზიანი ქუდი, დაიხურა თავზე და დადის, დანარჩენი ფული ჯიბეში აქვს შენახული. გაიარ-გამოიარა და დაინახა ის ხუცესი, ვინც მისი ხარები იყიდა. მიაშურა და ხელი ჩამოართვა.

— როგორ გყავს ჩემი მოცემული ხარებიო? — ჰკითხა ბერიკაცმა.

— ღმერთმა კარგად გიკითხოს, კარგადო! — უპასუხა ხუცესმა.

— მეც იმედი მქონდა, კარგად იქნებოდნენო! — დაუმატა ბერიკაცმა.

ბევრი რომ ილაპარაკეს და ახალი ამბებით გაძღნენ, ბერიკაცმა ხუცესს უთხრა:

— რადგან ხარები კარგად ყოფილან, მოდი, ერთ რამეს გთხოვ და, თუ კაცი ხარ, ნუ გამაწბილებ!

— თქვი, რა გინდა? — ჰკითხა ხუცესმა.

— შენგან დიდად პატივცემული ვარ, მინდა სადმე დაგპატიჟო, თუ ვინმეა ამ ქალაქში შენი ნაცნობი, ბლაღოჩინი ან ეპისკოპოსი, მოიყვანე ამა და ამ სამიკიტნოში, ერთი კარგად უნდა გაქეიფოო.

ხუცესი ჭამაზე ჭიპმოჭრილი იყო და ეს ამბავი ძალიანაც გაუხარდა.

— კი, კაცო, მაგი რა საქმეა, გესტუმრებიო, — უთხრა ბერიკაცს.

ბერიკაცი წავიდა სამიკიტნოში და მიკიტანს შეეხვეწა: აქ სტუმრები მომყვება, მიქენი კაცობა, გამიკეთე საჭმელებიო, და ფული, ოცდახუთი მანეთი, წინდაწინ მისცა. ბერიკაცმა ბოლოს გააფრთხილა: როცა ანგარიშების გასწორების დრო მოვა, მე ქუდს მოვიხდი და გეტყვი: ქვით დახლიდარო-თქვა და შენც დაიძახე: ქვით-თქო.

— კი, ბატონო, ადვილი სამსახურიაო, — უთხრა მიკიტანმა და ჩაიჯიბა ოცდახუთი მანეთი.

გახარებულმა ხუცესმა თავისი ნაცნობები დაპატიჟა, ბლაღოჩინი, ეპისკოპოსი, დიაკონი — სულ იქ იყვნენ. თხუთმეტმა კაცმა მოიყარა თავი. სამიკიტნოში მათ დახვდა გამხიარულებული მასპინძელი.

დასხდნენ. მიირთვეს სადღეგრძელოები. სვეს, ჭამეს, ბოლოს, კმაყოფილი რომ შეიქმნენ, ადგნენ. როცა ფულის გადახდის დრო შოვიდა, ბერიკაცმა მოიხადა ქუდი და მიკიტანს დაუძახა:

— ქვით, დახლიდარო!

— ქვით, ბატონო! — მაშინვე უპასუხა იმანაც და წავიღნენ.

ეს ყველას ძალიან გაუკვირდა. სტუმრები გააცილ-გამოაცილეს და ხუცესი მიუბრუნდა ბერიკაცს: შენთან დიდი მადლობელი ვარ, ასეთი პატივი მეცი, მაგრამ იმან გამაოცა, რომ იმ დახლიდარისთვის ფული არ მიგიცია და არაფერი მოგთხოვაო, თუ კაცი ხარ, მითხარი, რა უქენი იმისთანა?

ბერიკაცმა ეს თითქოს არ შეიმჩნია და ისე უთხრა: ჰე, ჰე. ჰე! ამას შენ რას ეძებ, თქვენ ჭამა-სმა ვერ შესძელით, თორემ, თუ გინდ ხუთასი მანეთი დამეხარჯა, ეს ქუდი იმისთვის მაქვს, ყველას გადაიხდიდაო!

ახლა შეუჩნდა ხუცესი: რამენაირად ეს ქუდი მომყიდეო!

— არა, — უთხრა ბერიკაცმა, — ხარები რად მინდოდა, მგელი ეცა, ეს ქუდია ჩემი ცხოვრება, მაგას როგორ გავყიდი, ღმერთი როგორ გამიწყრება!

ხუცესი დაფიქრდა: ხარებში კი მოვატყუილე და ახლა ეს ქუდიც თუ ხელში ჩავიგდე, მთლად გავკეთდი კაციო. არ ეშვება: ბარემ იმდენი ხათრი დამდე, ქუდიც მომყიდეო! ბოლოს, ხუცესი რომ არ მოშორდა, ბერიკაცმა უთხრა: რადგან ასე გულით გინდა ეს ქუდი, მომეცი, ძმაო, ხუთი თუმანი და მეტს არაფერს გთხოვო.

ხუცესმა მაშინვე მისცა ხუთი თუმანი, ქუდი ჯიბეში ჩაიდო და წავიდა. გავიდა ერთი კვირა. წავიდა კიდევ ბაზრობაზე ხუცესი გადაქაჩული. მივიდა ბლაღოჩინთან და სადილად დაპატიჟა. მოიწვია კიდევ ბევრი სხვა სტუმარიც. შევიდნენ სამიკიტნოში. მოითხოვეს ნაირ-ნაირი საჭმელები. მიკიტანს მოაქვს ყველაფერი, საჭმელი და სასმელი. რომ დაკმაყოფილდნენ, ხუცესმა მოიხადა ქუდი და მიკიტანს დაუძახა: ქვით, დახლიდაროო! სამჯერ გაუმეორა, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, არავინ ეუბნება „ქვითო“.

ბოლოს, გაცეცხლებულმა დახლიდარმა შეუტია: ხუცესო, ხომ არ გადარეულხარ, რის ქვითაა, ალბათ, დამთვრალხარო! ეცნენ ხუცესს: ფული მოგვეცი, თორემ კისერს წაგაწყვეტთო.

ჩამოდგნენ შუაზე ბლაღოჩინი და ეპისკოპოსი: ხუცესს ფული არ ჰქონია და ჩვენ გადავიხდითო. გაათავისუფლებინეს ხუცესი და თვითონ გადაიხადეს დანახარჯი. სირცხვილნაჭამი ხუცესი წამოვიდა შინ, მაგრამ შენი მტერია, როგორც იგი მოდიოდა. ახლა მიხვდა, რომ ბერიკაცმა ასე ეშმაკურად მოატყუილა. გაბრაზებული ხუცესი გაიქცა ბერიკაცისას: ასეთი მოტყუებისათვის ცოცხალს არ დავტოვებო.

ბერიკაცმა თავდასაცავი ხერხი წინასწარ მოიფიქრა და ელოდება ხუცესს. სწრაფად დაკლა ქათმები და მათი სისხლი სამ გუდაბერაში ჩაასხა. სისხლიანი გუდაბერები შეაბა კისერზე ცოლსა და ორ ბავშვს, აიღო ერთი ჯაყვა და ელოდება ხუცესს.

სად იყო, სად არა, მოვარდა გაბრაზებული ხუცესი. ყვირის და იგინება, უნდა ეცეს ბერიკაცს და წააგდებინოს თავი. ბერიკაცმა ტკბილად უთხრა: მობრძანდიო. ხუცესმა ყვირილი დაუწყო: როგორ მომატყუე, როგორ დამავსე, რა მომეცი ხუთ თუმნადო!

ბერიკაცმა სახე დაიღრიჯა და უთხრა: არა, კაცო, მე შენ როგორ მოგატყუებდი, ცოლმა მიქნა ყველაფერი, თორემ ღვთის მაგიერ კაცს როგორ შეგაცდენდიო!

ამოიღო ჯიბიდან ჯაყვა, ეცა ცოლს და გამოუსვა ყელში, ქალმაც გაასავსავა ფეხი, სისხლი ამ გუდაბერიდან წამოვიდა თქრიალ-თქრიალით. მერე ბერიკაცი ეცა ბავშვებს და ვითომ ორივეს გამოღადრა ყელი. დაიწყო ყვირილი. ხმაურზე მოცვივდნენ მეზობლები, დაინახეს, ქალი და ბავშვები სისხლის ტბაში ყრია. დაჰკრეს ხუცესი და დაუწყეს გინება: შენ რა ადამიანი ხარ, ბერიკაცი თუ ქალ-ბაღანას ხოცავდა, ხელი რად არ შეუშალეო!

ხუცესი თავს იმართლებდა: ბერიკაცმა მე მომატყუა, ახლა

თავისი ქალ-ბაღანა დაკლა, გადარეული ყოფილა, ნეტავ, აქ სულ არ მოვსულიყავიო!

მეზობლები შეწუხდნენ. ხედავენ, რომ დგას სისხლის ტბა. ზოგი აგერ გდია ყელგამოღადრული, ზოგი — ეგერ. ბოლოს ბერიკაცმა თქვა: თქვენ რა გაწუხებთ, მე ჩემი ცოლ-შვილი დავკალი, ოღონდ ეს ხუცესი ჩამომშორდეს და მე მათ ახლავე გავაცოცხლებო...

— ოღონდ ეგენი გააცოცხლე და სხვა შენი არაფერი მინდაო,— უთხრა ხუცესმა.

ბერიკაცმა ქალს რაღაც შეულოცა, შემდეგ ჯაყვის ყუა კისერზე მოუსვა და ქალი წამოვარდა ზეზე. — დედა, ბეჩა, უკაცრავად ვყოფილვარ, სტუმრები მოსულანო!—ყველა გაშტერდა ამ სანახაობით, ეს რა სასწაული მოახდინა ბერიკაცმაო. შემდეგ ბავშვებიც გააცოცხლა, დაჯდა და დაისვენა.

მეზობლებს გაუხარდათ. ხუცესი კი წავიდა შინისაკენ. ახლა მოტყუებას რაღას დაეძებს, ის უხარია, რომ ასე იოლად გადარჩა ამ ხათაბალას. მიდის ხუცესი და ფიქრობს, რა კარგია, მასაც ჰქონდეს ასეთი ჯაყვა! მის უამურ ცოლ-შვილს, ყოველდღე რომ საქმეს უპირვებენ და არ ასვენებენ, ერთს მაინც შეაშინებდა.

გავიდა ხანი. ხუცესი კიდევ წავიდა ბაზარზე რაღაცის საყიდლად. შეხვდა კიდევ ბერიკაცს. მან, რასაკვირველია, ხუცესს პირველად ხარების ამბავი ჰკითხა.

— არიან კარგად, არა უშავსო, — უთხრა ხუცესმა. მოაგონდათ იმდღინდელი ამბავი.

— ყველაფერში მომატყუე, მართალია, მაგრამ იმ ჯაყვამ მთლად გადამრია, კაცო, როგორ ჩემს თვალწინ გააცოცხლე ყელგამოჭრილი ხალხიო, — ეუბნებოდა გაკვირვებული ხუცესი.

— ის დანა რომ არ მქონდეს, ჩემს ცოლ-შვილს ვერ გავუძლებდიო, — დაიწყო ტრაბახი ბერიკაცმა.

— მთლად ჩემი საქმეა მაგფერი ჯაყვა, და თუ კაცის ნამუსი გაქვს, რამდენიც გინდა წაიღე, ოღონდ მომყიდეო, — შეეხვეწა ხუცესი.

ბერიკაცმა ფეხი გაიდგა ჯორივით. არ იქნა, ვერ მოიშორა ეს აბეზარი ხუცესი. ბოლოს, დიდი თხოვნა-მუდარის შემდეგ, მიჰყიდა ჯაყვა სამ მანეთად და დაუბარა: ჯაყვა ჭკუით იხმარე, მე გაჩვეული კი მაქვს, მაგრამ მაინც საფრთხილოა, გლახად რამეზე არ წაგცდესო!..

მივიდა ხუცესი შინ, რაღაც სხვაგვარად იბღინძება. სურს რამე მიზეზი უპოვოს ცოლ-შვილს. იშოვნა მიზეზიც. შეიქმნა ჩხუბი და უბედურება. ხუცესმა იძრო ჯაყვა და ჯერ ცოლს ეცა. ეს რომ მისმა

გასათხოვარმა ქალმა დაინახა, კივილით მიაშურა, ხუცესმა იმასაც გამოუსვა დანა კისერში და უყურებს ამ სურათს სახეგაცინებული.

ამ კივილზე მოცვივდნენ მეზობლები. საშინელი სანახაობა ნახეს, შენმა მტერმა ნახოს ისეთი სანახავი! გადარეულა ხუცესიო, — იფიქრეს. ხუცესმა იხტიბარი არ შეიტეხა, კიდეც იცინის. ხალხმა ჩხუბი დაუწყო: კაცო, რამ გადაგრია, როგორ დაგიხოცავს ცოლ-შვილი, ესაა ღვთის კაცი ვარო?!.

ხუცესმა მხიარულად ჩაილაპარაკა: აგენი ჩემთვის უამური იყვნენ და შესაშინებლად დავკალი, თორემ ახლავე გავაცოცხლებ ყველასო.

წაუსვა დანის ყუა ქალს კისერზე, კიდევაც შეულოცა რაღაც, მაგრამ შენი მტერი არ გაცოცხლდა იმის მეტი, რაც ისინი არ გაცოცხლებულან. დაკლულ ადამიანებს, აბა, რა გააცოცხლებდა! ბევრს ეწვალა ხუცესი, ექიმებიც მოიყვანა, მაგრამ არაფერი ეშველა. ახლა კი მიხვდა, რომ კიდევ მოატყუა იმ შეჩვენებულმა ბერიკაცმა. მიატოვა დახოცილები და გაიქცა ბერიკაცისას (ნუ გეშინია, გზა კი იცის, სამჯერაა ნამყოფი!). ეცა ბერიკაცს მგელივით: შენ დამივსე ოჯახი, ცოლ-შვილი დამახოცვინე, ახლა მაინც აგიგებ წესსო. შეუკრა ხელფეხი ძუის ბაწრით და წაიყვანა ზღვაში დასახრჩობად.

ხუცესმა მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ისეთი ვერაფერი დაინახა, რომ გამოდგომოდა ბერიკაცის ზღვაში გადასაგდებად. გაიხედა შორს და თვალი მოჰკრა ვიღაც მენავეს, თევზაობდა. ბერიკაცს ფეხებიც შეუკრა და გაიქცა ნავის მოსაყვანად.

მენავეს რომ უთხრას, კაცის დასახრჩობად მათხოვე ნავიო, როგორ ათხოვებს, მაგრამ ხუცესიც ეშმაკია. მოიგონა რაღაც ხრიკი და მენავეც დაითანხმა.

ხუცესმა რომ ზურგით რაღაც მოიტანა ზღვასთან და მიწაზე დააგდო, თურმე დაუნახავს მეცხვარეს, რომელიც იქვე ახლოს იდვა და ცხვარს მწყემსავდა. მეცხვარემ იფიქრა: ხუცესმა რაღაც დატოვა და მოვიპარავო. მივიდა და რას ხედავს, ხელფეხშეკრული კაცია. ჰკითხა: რა დაგემართა, რა მოგსვლიაო?

— ასე და ასეა ჩემი საქმე, — უთხრა ბერიკაცმა, — კაცო, ხუცესი დავპატიჟე, შენგან ნაყიდი ცხვარი დავუკალი, ის კი ამბობს, ცხვარი კი არა, ძაღლი იყოო და ამისათვის კი მახრჩობს ზღვაში; თუ ძაღლი იყო, რატომ ამომაგდე და მომყიდე! იწამე ღმერთი, შემაჭერი ეს ბაწარი, გავიქცევი და იქნებ შენც გადარჩე, თორემ შენს ამბავსაც ვეტყვი და გახელებული ხუცესი დედას გიტირებსო.

მეცხვარეს შეეშინდა და გაათავისუფლა. ბერიკაცმა გაიხადა ტანისამოსი და გაიქცა. მირბის თავქუდმოგლეჯილი.

ამასობაში ხუცესს მოყავს ნავი. მივიდა და რას ხედავს, ტანისამოსი კი ყრია, მაგრამ ბერიკაცი გაქცეულა! თვალი მოჰკრა მეცხვარეს, ბერიკაცი ეგონა და გამოუდგა. მირბის მეცხვარე და ყვირის: კაცო, მე ძაღლი არ მიმიყიდია, ნამდვილი ცხვარი მივეციო!

მაგრამ ხუცესს ეს არ ესმის. როგორც იყო დაიჭირა საწყალი მეცხვარე და არ აძლევს საშველს, ჩაისვა ნავში და წაიყვანა დასახრჩობად. კაი მანძილით რომ მოშორდნენ ნაპირს, ხუცესი დარწმუნდა, რომ მეცხვარე ვეღარ გამოვა ნაპირზეო და ჩააგდო ზღვაში. მეცხვარემ ცურვა კი იცოდა, მაგრამ ხელი შეკოჭილი ჰქონდა და დაიხრჩო.

ბერიკაცი ყოველივე ამას შორიდან უთვალთვალებდა. ნახა, მეცხვარეს ორმოცი ცხვარი უპატრონოდ დარჩა, გამოირეკა და წამოვიდა შინ. ერთ დღეს ოცი სული ცხვარი ბაზარზე გარეკა გასაყიდად. რაღაც ეშმაკზე კიდევ შეხვდა ხუცესს. ის ხედავს ბერიკაცს, უცქერის და გაკვირვებულია, თვალებს არ უჯერის. ჰკითხა ბოლოს:

— ზღვაში რომ ჩაგაგდე, შენ ხარ იგი?

— ჰო, მე ვარ, მაგრამ, შე გაჭირვებულო, შორს რატომ არ გადამაგდე ზღვაში! შენ რომ ჩამაგდე, იქ ზღვა ღრმა არ იყო, ვნახე, ცხვრები ძოვდნენ, გამოვირეკე ორმოცი სული და წამოვედი, ოცს აგერ ვყიდი, და თუ გინდა, უფასოდ წაიყვანე, მაინც მუქთად მყავს ნაშოვნიო, ჯაყვა შენ ვერ მოიხმარე, თორემ კარგი ფასი ღირს, თუ გსურს, მომეცი და ორ ცხვარს მოგცემო.

ხუცესი გაკვირდა: დანას მოგცემ, კაცო, ცხვარი არ მინდა, ოღონდ ერთი სიკეთე მიქენი, წამიყვანე და მეც ჩამაგდე იმ ზღვაში, ჩემთვისაც ამოვდენი ცხვარსო!..

ეშმაკმა ბერიკაცმა შურიანად უთხრა ხუცესს: შენ ხელ-ფეხი შეუკოჭავი გექნება და ას სულს მაინც ამოდენი, მეც არ დაგავიწყდე, ბარე ექვსი სული ჩემთვისაც წამოიყვანეო.

ბერიკაცმა წაიყვანა ყეყეჩი მღვდელი. ჯერ თავის სახლში გამოატარა. აქ დიდი ქეიფი გასწიეს. ცოლმა უთხრა: შენ ვერ მოიხმარე, თორემ ჩემმა ქმარმა ყველაფერი კარგი ნახელავი მოგყიდა, ხარები იყო და მშვენიერი იყო, დანა და — კიდევ უკეთესი! ახლა ცხვრებსაც ბლომად იშოვნიო.

გამოქექილმა ბერიკაცმა წაიყვანა ხუცესი ზღვაზე. ჩასვა ნავში და მიჰყავს. ხუცესი იძახის: კიდევ იქით გამწი, იქით, უფრო მეტ ცხვარს ამოვიყვან შენს ჯიბრზეო!

ამასობაში ბერიკაცმა ჭკრა ხელი და ხუცესი გადაუძახა ზღვაში. ამის შემდეგ არც ხუცესი ჩანს და არც ცხვარი.

მღვდელი და მისი ლამაზი ცოლი

ერთ სოფელში ბებერ მღვდელს ძალიან ლამაზი ცოლი ჰყავდა. ახალგაზრდა ქალს ცხრაკლიტულში ამყოფებდა, გარეთ არ უშვებდა.

იმ სოფელში ერთიც კაი ბიჭი იყო. ძალიან მოსწონდა მღვდლის ლამაზი ფოფოდია. დაენაძლევა ამხანაგებს, ამ მღვდლის ცოლს ვითხოვ და ჯვარსაც მღვდელთან დავიწერო!

— თუ შენ მაგას იზამ, — ერთმა უთხრა, — ღვინო ჩემზე იყოსო, მეორემ უთხრა, — ცხვარს მე დავკლავო, მესამემ — პურს მე მოვიტანო, მეოთხემ კი — რაც სხვა ხარჯი იქნება, ჩემი საქმე იყოსო.

ბიჭმა დაიბარა მიწის მთხრელები. დაუდო გეგმა, ჩემი სახლიდან იმ მღვდლის სახლამდის ხვრელი უნდა გაჭრათო. დაიწყეს ხვრელის გათხრა და მღვდლის განჯინამდე გაიყვანეს.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა მღვდელი შინ არ იყო, ბიჭი შეძვრა ხვრელში, გამოაღო განჯინის კარები და გადახტა. ქალი ტახტზე იჯდა, ბიჭი რომ დაინახა, შეშინდა.

— ნუ გეშინია, შენს მხსნელად ვარ მოსული, — უთხრა ბიჭმა,— მაგ მღვდელს რომ ცხრაკლიტულში ჰყავხარ დამწყვდეული, უნდა გაგათავისუფლო, ცოლად წამომყევიო.

— თანახმა ვარ, მოგთხოვდები, ოღონდ კი ამ ჯოჯოხეთიდან, დამიხსენიო, — მიუგო ქალმა.

ბიჭმა აჩვენა ხვრელი, აქედან ვივლიო, — დაუბარა და წამოვიდა ამხანაგებთან. ამხანაგები პირობის შესრულებას შეუდგნენ: ზოგმა პური მოიტანა, ზოგმა — ღვინო, ზოგმა — ცხვარი. ყველაფერი მოამზადეს. მხოლოდ მღვდლის გაფრთხილებაღა იყო საჭირო. საღამოზე მივიდა ბიჭი მღვდელთან და უთხრა: ხვალ ცოლი მომყავს და ჯვარი უნდა დამწეროო.

მეორე დღეს მღვდელი გამოემშვიდობა თავის ახალგაზრდა ცოლს, დატოვა ცხრაკლიტულში და წამოვიდა.

მღვდელი რომ გაისტუმრა, ქალი ხელად ჩახტა ხვრელში და მიუდგა ბიჭს გვერდზე. მღვდელმა ქალს შეხედა და პირჯვარი გადაიწერა: ეს ხომ ჩემი ცოლიაო!

— ცოტა დამაცადეთ, საცეცხლური დამავიწყდა, ახლავე მოვალო! — თქვა მღვდელმა და შინ გაიქცა: უნდა ნახოს, ცოლი სახლშია თუ არა.

ქალმა მაშინვე გაირბინა ხვრელი, საშინაო ტანსაცმელი გადაიცვა და ისევ ისე დაჯდა თავის ოთახში. მღვდელი რომ დაინახა, ქალმა ჰკითხა:

— რად მობრუნდი, ხომ არაფერი ამბავია?

— არა, საცეცხლური დამავიწყდა! — იცრუა მღვდელმა და უკანვე გამოიქცა.

ქალმა კიდევ გამოირბინა ხვრელი და ისევ მიუდგა ბიჭს გვერდზე. მღვდელმა კიდევ შეხედა და თვალები ამოიფშვნიტა: ნეტავ რა მემართება, ეს ხომ ნამდვილად ჩემი ცოლიაო! ახლა იცრუა, სახარება დამავიწყდაო და ისევ შინ გაიქცა. ქალმა ხვრელიდან მიასწრო და შინ დახვდა.

— მღვდელო, ახლა წახვედი, უკან რისთვის მობრუნდი, რა გემართება, ავად ხომ არა ხარ? — უთხრა ქალმა.

— არა, სახარება დამავიწყდა და იმიტომ მოვედი! — უპასუხა.

ისევ დაკეტა ცხრა კარები და წავიდა. ქალმა უცებ გაირბინა ხვრელი და ისევ მიუჯდა ბიჭს გვერდზე. მოვიდა მღვდელი, შეხედა ქალს და თქვა: ეს ნამდვილად ჩემი ცოლია, ნეტავ რა მემართება, ღმერთო, მიშველეო! ოლარები დამავიწყდა, შვილო, და ამ წუთში მოვალო, — უთხრა ბიჭს და შინ გაიქცა. ქალმა უფრო ადრე გაირბინა ხვრელი და თავის ოთახში დახვდა.

— მღვდელო, რა მოგივიდა, რა ყოველ წუთს დარბიხარ, რა არის, რომ ვერ დასწერე ჯვარი იმ საწყალ ბიჭსა!

— როგორ უნდა დავწერო ჯვარი, იმ ბიჭის ცოლი სულ შენა გგავს! — უთხრა მღვდელმა.

— მერე რა არის, მღვდელო, ადამიანი ადამიანს ჰგავს, ეგ რა ვასაკვირია! — დაიმედა ცოლმა.

მღვდელი დარწმუნდა, რომ ცოლი ნამდვილად შინ არის, მაგრად გამოიკეტა კარები, კარგად შეამოწმა ცხრაკლიტული და წამოვიდა.

ქალმა უცებ გაირბინა ხვრელი, კიდევ უფრო კოხტად გამოეწყო და მღვდლის მოსვლამდე მიუჯდა ბიჭს გვერდზე. მღვდელმა დაიწყო კურთხევა, მაგრამ ვინც ამბობს: ეგ სულ ჩემს ცოლს ჰგავს, ნეტავ რა მემართებაო.

წავიდნენ საყდარში, დასწერა ჯვარი და წამოვიდნენ ქორწილში. გაიმართა დიდი ქორწილი. მღვდელი თამადად დააყენეს. ბიჭმა მეღვინეებს სთხოვა: ისე დაათვრეთ, სულ ყირაზე გადადიოდესო.

მღვდელმა ბევრი ღვინო დალია. ისე დათვრა, რომ იქვე დაეძინა. ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. ბიჭები ადგნენ, ამ მღვდელს წვერი გაკრიჭეს, ტანისამოსი გახადეს, ჯარისკაცის ტანსაცმელი ჩააცვეს, ჯარისკაცის ქუდიც დაახურეს, ერთი ჟანგიანი თოფი ხელში მისცეს, გაიყვანეს და ერთ შარაგზაზე დააწვინეს.

გამთენიისას მღვდელს შესცივდა და გამოფხიზლდა. ცოტა შეიშმუშნა, წვერზე ხელი ჩამოისვა, ნახა, წვერი არა აქვს, თავზე ჯარისკაცის ქუდი ახურავს.

ადგა. უნდოდა ანაფორის მოხვევა, მაგრამ ანაფორის მაგივრად ჯარისკაცის ტანსაცმელი ეცვა. გადაყო გვერდზე ხელი — ჟანგიანი თოფი უდევს. გაუკვირდა. აზრზე ვერ მოვიდა. თქვა: თუ სალდათი ვარ, ჩემი პოლკი სად არის? თუ მღვდელი ვარ, ან წვერი რა მექნა, ან ანაფორა! მოდი, წავალ მღვდელთან, თუ მღვდელი შინაა, მაშინ მე სალდათი ვიქნები, თუ შინ არ არის — მაშინ მე მღვდელი ვიქნებიო. მოვიდა თავის სახლში და დაიძახა:

— ფოფოდია, ფოფოდია, გამოიხედე!

ამ დროს ფოფოდია და მისი ახალგაზრდა ქმარი მღვდლის სახლში არიან. ფოფოდიამ გამოსძახა:

— ვინა ხარ, ვის ეძებ?

— მღვდელი, სახლშია?

— ეს არის, ამ წუთში ნათლობაში წავიდა!

ახლა მღვდელმა თქვა: მაშ, მე ნამდვილად სალდათი ვყოფილვარო, და ისევ ისე ფოფოდიას დაუძახა:

— უკაცრავად კი ვარ, რომ გაწუხებ, მაგრამ დღეს აქ ჯარის ხალხს ხომ არ ვაუვლია?

ფოფოდიამ გადმოსძახა: ამ საღამოზე გამოიარეს, კარგად რომ ირბინო, დაეწევიო!

მოიგლიჯა მღვდელმა ქუდი, ცალ ხელში თოფი დაიჭირა და გაიქცა: არიქა, ჩემს ნაწილს ჩამოვრჩენილვარ, უნდა დავეწიოო! მღვდელი დღესაც გარბის, მაგრამ არ იქნა და ვერ დაეწია თავის ჯარს!..

მღვდლის ცოლი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მღვდელი, რომელსაც კარგი ცოლი ჰყავდა.

ერთხელ მღვდელი სხვა სოფელში წავიდა. ცოლმა კი საყვარლები გაიჩინა, ისინიც მღვდლები. ერთი დაიბარა საღამოს რვა საათზე, მეორე ცხრაზე და მესამე — ათზე. ქმარი კი თერთმეტ საათზე უნდა მოსულიყო.

მართლაც, რვა საათზე მოვიდა პირველი მღვდელი. მოუტანა

ქალს საუზმე, სასმელ-საჭმელი. საუზმესა და ტკბილ მუსაიფში ერთი საათი გავიდა. მოაკაკუნა მეორე მღვდელმაც. ცოლს ვითომ შეეშინდა: ვაიმე, ჩემი ქმარი მოვიდა და სად დაგმალოო! ერთი ქვევრი ჰქონდა. ახადა და შიგ ჩასვა.

გაუღო კარი მეორე მღვდელს. ისიც სასმელ-საჭმლით დატვირთული შემოვიდა. საუზმესა და ტკბილ საუბარში ერთი საათი გავიდა. მოაკაკუნა მესამე მღვდელმაც. ქალი ვითომ კიდევ შეშინდა: ჩემი ქმარი მოვიდა და სად დაგმალოო! ახადა იმავე ქვევრს და მეორე მღვდელიც შიგ ჩასვა.

მესამე მღვდელსაც იგივე დაემართა და ბოლოს თავისი ქმარი მოვიდა. ვერაფერი გაიგო, ლაზათიანად ივახშმა და არხეინად დაიძინა.

დილით მღვდელი იმავე სოფელში წავიდა. ცოლმა ქმარი რომ გაისტუმრა, ახადა ქვევრს და ნახა, სამივე მღვდელი დამხრჩვალიყო. ცოლმა თქვა: ქმარმა რომ არ გაიგოს, უნდა გადავყაროო! ამოათრია ერთი მღვდელი ქვევრიდან და იქვე დააგდო. გაურიგდა ერთ კაცს თუმნად, რომ სადმე შორს გადააგდეო.

— ეს მღვდელი ქვევრში ჩამხრჩვალა და გადააგდეო.

კაცმა აიკიდა ზურგზე მღვდელი, წაიყვანა და სოფლის ბოლოს ხრამში გადააგდო. როცა დაბრუნდა ფულის მისაღებად, ნახა, მღვდელი ქვევრის თავზეა. ესეც აიკიდა და მაღალი მთიდან დააგორა.

კიდევ დაბრუნდა ფულისათვის, მაგრამ ქვევრის თავზე კიდევ დახვდა მღვდელი. ესეც აიკიდა და იმავ ხრამში გადაუძახა. ფულისათვის რომ დაბრუნდა, დაინახა ცხენზე მჯდომი მღვდელი მოდის, ეს იმ ქალის ქმარი იყო. შინ ბრუნდებოდა.

კაცმა თქვა: ეს ცხენით მოდის, მე ფეხით როგორ მოვასწრებდიო, მივარდა, გადმოაგდო ცხენიდან, ჯერ მაგრად სცემა, შემდეგ ქვაზე დაუდო თავი და გაუჭეჭყა, წაიღო და იმავ ხრამში გადაუძახა. თვითონ შეჯდა ამ ცხენზე და წამოვიდა ფულის ასაღებად. მღვდლის ცოლს გულზე შემოეყარა: ამას ჩემი ქმარიც მოუკლაესო! რაღას იზამდა, ადგა და თუმანიც გადაუხადა...

წუწკი მღვდელი

ერთ სოფელში წუწკი მღვდელი იყო. მისი სახლის წინ ერთი გლეხი ცხოვრობდა და კარგი ცოლი ჰყავდა. მღვდელი გამოვიდა დილით და ამ ქალს დაუძახა: ქალო, ყიყლიყოო! ყოველ დილით ასე უძახდა, მაგრამ ქალმა ვერაფერი გაიგო.

ერთხელაც ქალმა ქმარს გაუმხილა: მღვდელი ყოველ დილით ასე მიძახისო. ბიჭმა გაამზადა ორი კოდი ნედლი სიმინდი, ხელსაფქვავები, დიდი კომბალი და ცოლს უთხრა: ხვალ დილით მღვდელმა რომ დაგიძახოს ყიყლიყო, შენ უპასუხე — მაყვლიყო-თქო. ის შენთან მოვა, მეც აქ ვიქნები დამალული და სეირს გაჩვენებო.

მეორე დღეს მღვდელმა ჩამოიარა და ქალს დაუძახა:

— ყიყლიყოო!

ქალმა უპასუხა:

— მაყვლიყოო!

მღვდელმა პირჯვარი გადაიწერა, რახან ვეღირსე, ქალმა ხმა გამცა, საქმეც გაკეთებულიაო. მივიდა ქალთან გაღიმებული. კარი რომ შემოაღო, ქმარი დახვდა.

— მღვდელო, აქ რა გინდაო?

— ისე მოვედი, როგორც მეზობელი, მეტი არაფერიო.

ბიჭმა ცოლს უთხრა: გამოიღე ხელსაფქვავები და ის ორი კოდი ნედლი სიმინდიცაო.

ქალმა ესენი მოიტანა. ბიჭმა ახლა ერთი კომბალი გადაჰკრა მღვდელს და უბრძანა: საღამომდე ეს თუ არ დაგიფქვავს, თავ-პირს დაგამტვრევო!

მშიერ-მწყურვალი მღვდელი დაჯდა და საღამომდე ატრიალა საფქვავი. საღამოთი ბიჭი დაადგა კომბლით და კარგა მაგრად სცემა, სულ სისხლი ადინა და დააბარა: წადი, საცა შენი თქვა, იქ ჩემიცა თქვიო!

წავიდა მშიერი და ნაცემი მღვდელი სახლში. ცოლმა ჰკითხა:

— მღვდელო, ეგ რა მოგსვლია, განა სად ყოფილხარო?

— რაღა რა მომსვლია, დილას აქეთ თორმეტი ნათლობა გამოვიარე, ყველგან თამადად ვიყავი, დავითვერი, გზაში წავიქეცი და თავ-პირი დავიმტვრიეო.

დაიძინა ასე ნაცემმა და დამტვრეულმა. სამ დღეს ზეზე არ ამდგარა. მეოთხე დღეს რომ ჩამოიარა, ქალმა დაუძახა:

— მღვდელო, ყიყლიყოო!

— რაო, შენი ჭირიმე, — გასძახა მღვდელმა, — კიდევა გაქვთ სიმინდი დასაფქვავიო?!

იმ დღიდან მღვდელი სულ აღარ იყურებოდა მეზობლისაკენ.

მეწისქვილის ვაჟიშვილი და სამი ძოსა

ერთ მეწისქვილეს მშვენიერი ვაჟიშვილი ჰყავდა. რომ გაიზარდა, თქვა: რადაც არ უნდა დამიჯდეს, ხელმწიფის ქალი უნდა შევირთო ცოლადო. მშობლებმა დაუშალეს: რას ამბობ, შვილო, ხელმწიფემ ეს რომ გაიგოს, დაგვხოცავს, სად ჩვენ და სად ხელმწიფის ქალი, საწყალი მეწისქვილის შვილს ხელმწიფე განა ქალს მოგცემსო? ბიჭი ჩაცივებით იძახდა: რადაც არ უნდა დამიჯდეს, ხელმწიფის ქალი უნდა ვითხოვოო.

ხელმწიფემ გაიგო, რომ მეწისქვილის ვაჟიშვილი მისი ქალის თხოვნას აპირებდა. დაიბარა და შეეკითხა: ჩემ ქალს რომ თხოულობ, განა შეგიძლია მისი შენახვა? ერთ დეკეულს მოგცემ, წაიყვანე ქალაქში და, თუ გაყიდი, ჩემს ქალს მოგათხოვებო.

ბიჭი დათანხმდა: ერთ დეკეულს როგორ ვერ გავყიდიო! წაიყვანა დეკეული ქალაქში გასაყიდად.

ამ ქალაქში სამი ვაჭარი ქოსამატყუარა ცხოვრობდა. უფროსი ქალაქის თავში იდგა, შუათანა — შუა ქალაქში, უმცროსი — ბოლოში. ქოსამატყუარები პატიოსან ადამიანებს ძარცვავდნენ და ლუკმაპურს პირიდან აცლიდნენ. ეს ბიჭიც მათ ჩაუვარდა ხელში. ქალაქის თავში მას უფროსი ქოსა შეხვდა. შეევაჭრა: ეგ დეკეული როდია, ბატია, თუ გინდა, ბატის ფასს — ექვს შაურს მოგცემო.

ბიჭი ჩაფიქრდა, მაგრამ უარი უთხრა.

შუა ქალაქში შუათანა ქოსა შეხვდა. ისიც შეევაჭრა. ბიჭმა დეკეულის ფასი უთხრა, ქოსამ ბატის ფასი, ექვსი შაური შეაძლია. ბიჭი ახლა შეეჭვდა, იქნებ, მართლა ბატიაო, მაგრამ ამ ფასად მაინც არ გაყიდა.

ქალაქის ბოლოს უმცროსი ქოსა შემოეგება. ისიც შეევაჭრა. ბიჭმა დეკეულის ფასი სთხოვა, ქოსამ ექვსი შაური შეაძლია, ამის მეტი ბატი არ ღირსო.

ბიჭმა ახლა კი იფიქრა: ნამდვილად ბატი ყოფილაო და მიჰყიდა დეკეული ბატის ფასად. ქოსამ დეკეული მაშინვე დაკლა, გაატყავა და შესაწვავად მისცა ფურნეში. ბიჭმა კუდი გამოართვა, იქვე ახლოს ბინა იშოვნა და ქოსას თვალთვალი დაუწყო. დეკეული რომ შეიწვა, ბიჭი მივიდა მეფურნესთან და უთხრა: ქოსამ გამომგზავნა დეკეულისათვის, ეს კუდი ნიშნად გამომატანა და შემწვარი დეკეული მომეცი.

მეფურნემ მაშინვე მისცა შემწვარი დეკეული. ბიჭმა ის თავის ბინაზე წამოიღო და კარგ დროს ატარებს. ქოსებმა ბევრი ეძებეს დეკეულის წამღები, მაგრამ ვერსად იპოვეს.

ბიჭმა მკითხაობა დაიწყო.

ქოსებმა თავი მოიყარეს და თქვეს: ქალაქში ჯერ არავის მოვუტყუილებივართ, იმ თითის სიგრძე ბიჭმა როგორ გაგვაბრიყვა, ცოცხალი, ან მკვდარი უნდა ვიპოვოთო. მოდი, მკითხავთან წავიდეთ, ის გაიგებს, თუ სად დაიმალა ის ბიჭიო.

მივიდნენ მკითხავთან და თავიანთი გაჭირვება შესჩივლეს. ბევრ ფულს შეპირდნენ, ოღონდ იმ ბიჭის კვალი გვიჩვენეო. მკითხავმა უთხრა მათ:

— თქვენ ერთი ბიჭი მოგიტყუილებიათ, დეკეული ბატად გიყიდიათ და კუდი მიგიციათ. დეკეულიც იმ ბიჭს შეუჭამია და ამ წუთშიც გატყუილებთო.

ქოსებს ეს ამბავი ენიშნათ და მკითხავს კარგი საჩუქარი მისცეს. ბიჭმა ამ მკითხაობაში აღებული ფულით ქალის ტანისამოსი იყიდა, უკანასკნელ ქალურ მოდაზე გამოეწყო და ქალაქში გაიარ-გამოიარა. უმცროსმა ქოსამ დაინახა და ძალიან მოეწონა. მიუგზავნა კაცები და საქმე გაარიგა. დაინიშნა ქორწილი.

ამ ქოსებს ერთი დიდი სახლი აქვთ მდინარის პირს. სახლს მდინარეზე გადასახედი ფანჯარა აქვს. ქოსები თურმე ამ ფანჯარაში გააყოფინებდნენ თავს სტუმარ სოვდაგრებს, ფულს ამოაცლიდნენ და მდინარეში გადაუძახებდნენ. ასე გამდიდრებულან ეს ქოსამატყუარები.

ამ სახლში დაინიშნა ქორწილი. ბიჭს ძალიან მოეწონა ეს ოთახი და მისი ფანჯარა. აცდინა ქოსა და ყველაფერი ათქმევინა. უთხრა:

— აბა, ერთი მასწავლე, როგორ უნდა შეყოს კაცმა ამ ფანჯარაში თავიო?

შეყო ქოსამ ფანჯარაში თავი თუ არა, ბიჭმა დააჭირა ხელი კისერზე. ამოიღო დეკეულის კუდი და აჩვენა:

— რა არის ეს?

— დეკეულის კუდი!

— აკი ბატის კუდი იყო! — უთხრა და, აბა, ურტყა და ურტყა ქოსას გამხმარი კუდი. ქოსა იქვე ჩაკეტა, თვითონ მთელი მისი ქონება აქედან წაიღო და საკუთარ ბინაზე გადაიტანა.

მეორე დღეს უფროსმა ძმებმა ნახეს, თუ რა საშინელ დღეში იყო უმცროსი ქოსა.

ამ ბიჭმა ქალის ტანისამოსი გაიხადა, ცხენები იყიდა, ეტლში შეაბა და მეეტლეობა დაიწყო.

ქოსა ძმებმა განიზრახეს თავიანთი გაჭირვება მოეხსენებინათ ხელმწიფისათვის. მოდი, ეტლი დავიქირაოთ და იმით წავიდეთო, —

თქვეს. დაუძახეს მეეტლეს. ხელში მოხვდათ მეწისქვილის ვაჟიშვილი. ჩასხა სამივე ძმა ეტლში და წაიყვანა ხელმწიფესთან.

ქოსებმა თავიანთი გაჭირვება მოახსენეს ხელმწიფეს. ხელმწიფემ მაშინვე გაიგო ყველაფერი. როცა ქოსებმა თავიანთი საჩივარი დაამთავრეს, წამოდგა მეწისქვილის ბიჭი და მოახსენა: დიდებულო ხელმწიფეე, შენი დეკეული გავყიდე და მისი მყიდველი ქოსებიც აქ მოგიყვანეთო. თუ არ გჯერათ, აი, დეკეულის კუდიო და აჩვენა.

ხელმწიფემ ქოსებს კუკუ ამოჰკრა. მეწისქვილის შვილს ქალიც მიათხოვა და ხელმწიფობაც დაულოცა.

ჰირი იქა, ლხინი აქა.
ქატო იქა, ფქვილი აქა.

სამი მოჯამაგირე

ერთ ღარიბ კაცს სამი ვაჟი ჰყავდა. გაჭირვებით გამოზარდა შვილები, მოხუცდა და დაავადმყოფდა. სიკვდილის წინ დაიბარა შვილები და უთხრა: ჩემი ცხოვრება შრომა-გარჯაში გავატარე. ყველა კაცს პატივს ვცემდი, მძულდა მხოლოდ ქოსა კაცი. თქვენც პატიოსნად იშრომეთ, შვილებო, თქვენივე მარჯვენის იმედი გქონდეთ, ქოსა კაცს ნუ ენდობითო.

მამა გარდაიცვალა. ობლებს ცხოვრება გაუძნელდათ. გადაწყვიტეს მოჯამაგირედ დადგომა. წავიდნენ მეზობელ სოფელში.

— მოჯამაგირე ხომ არ გინდათო, — კითხულობდნენ.

შეხვდათ ქოსა კაცი.

— მე ვეძებ მოჯამაგირეს, კარგ გასამრჯელოს მოგცემთ, დამიდექით!

— არა, ჩვენ მამის ანდერძს ვერ ვუღალატებთ, ქოსას მოჯამაგირედ არ დავუდგებით, — უპასუხეს ძმებმა და გზა განაგრძეს.

ქოსამ ტანისამოსი გამოიცვალა, თავი და პირი შეიხვია და ისევ წინ დაუდგა ბიჭებს. მათ ქოსა ვერ იცნეს და მოჯამაგირედ დაუდგნენ. დადეს ასეთი პირობა: მოჯამაგირეებს ყოველდღე უნდა ემუშავათ, მაგრამ თუ რომელიმე გაბრაზდებოდა, ბატონს ცემა-ტყეპით უნდა გაეგდო, თუ ბატონი გაბრაზდებოდა, მისი ქონება მოჯამაგირეს უნდა დარჩენოდა.

პირველ დღეს სამუშაოდ წავიდა უფროსი ძმა. მთელი დღე იმუშავა, მაგრამ სადილი არავინ არ გაუგზავნა. საღამოს დაბრუნდა უფროსი ძმა არაქათგამოცლილი და ქოსა გამოლანძღა.

— რა მოხდა, ხომ არ გაბრაზებულხარ? — შეეკითხა ქოსა.

— როგორ არ გავბრაზდები, მთელი დღე ვიმუშავე და ლუკმაპურიც არ მაჭამე, — უთხრა უფროსმა ძმამ.

პირობის თანახმად, ქოსამ აიღო სახრე, ჯერ კარგად სცემა ამ ბიჭს და შემდეგ სახლიდან გამოაგდო.

მეორე დღეს სამუშაოდ შუათანა ძმა წავიდა. ვენახი იყო საბარავი. მთელი დღე დაუსვენებლივ იმუშავა. თითქმის სამი დღის ვენახი დაბარა. მოშივდა, მოსწყურდა, მაგრამ პურიც კი არავინ აჭამა. დაბრუნდა შინ გამწარებული.

— რა მოხდა, რად მოგიწყენია, ხომ არ გაბრაზებულხარ? — ჰკითხა ქოსამ.

— როგორ არ გავბრაზდები, მთელი დღე თავაუღებლივ ვიმუშავე და ლუკმაპურიც არ მაჭამე, — უთხრა შუათანა ძმამ.

პირობის თანახმად ქოსამ აიღო სახრე, ჯერ კარგად სცემა ამ ბიჭსაც და შემდეგ კი ისიც გააგდო სახლიდან.

მესამე დღეს სამუშაოდ წავიდა ბოლოლა ძმა. მას ქოსამ სამწყემსავად გაატანა ძროხები და ცხვრები.

— შენ გარეკე საქონელი. მე სადილს გამოგიგზავნი! — დაუბარა ქოსამ.

ბოლოლა ძმა უსაუზმო იყო. ერთ წყარომდის მირეკა საქონელი. აქ ხელი წაავლო კარგ ჭედილას, გამოუსვა დანა კისერში, ცეცხლი აანთო და კარგი მწვადები შეწვა. საქონელი თავის ნებაზე მიუშვა, წამოწვა და დაიძინა. შუადღისას კიდევ შეწვა მწვადები, დანაყრდა და ისევ მხართეძოზე წამოწვა. საღამოს ძლივს მოუყარა თავი ძროხებს. სამი ცხვარი დაკარგოდა. ქოსამ, რა თქმა უნდა, სადილი არ მიუტანა.

— ხომ არ გაბრაზდი სადილი რომ არ მოგიტანე? — ჰკითხა საღამოს ქოსამ ბიჭს.

— არა, რა საწყენი იყო, მე ერთი კარგი ჭედილა დავკალი და მწვადები გეახელი, — უთხრა ბიჭმა და, რომ შეატყო, შეიშმუშნა, ჰკითხა:

— რაღაცას იღუშები, ხომ არაფერი გეწყინა, ხომ არ გაბრაზდი?

— არა, გასაბრაზებელი რა არის, კარგა გიქნია!

ბოლოლა ბიჭმა თქვა: თუ კარგი მიქნია, ხვალ ნახე, რა დღე დაგაყენოო.

მეორე დღეს ისევ გაატანა ძროხები და ცხვრები საძოვრად და

დაუბარა, სადილს ადრე მოგიტან, ვინძლო საქონელს კარგად მოუაროო. ბიჭი ჯერ ელოდა, ქოსა რომ არ გამოჩნდა, წამოაქცია მეწველი ძროხა, გამოსჭრა ყელი, გაატყავა, აანთო ცეცხლი და მწვადები შეწვა. გამვლელსაც ბლომად აჭამა და გამომვლელსაც, საღამოს შინ რომ დაბრუნდა, ქოსამ ჰკითხა:

— ხომ არ გაბრაზდი, სადილი რომ არ მოგიტანე?

— არა, გასაბრაზებელი რა იყო, შენ მეწველ ძროხას ყელი გამოვსჭერი, მწვადები შევწვი და მადიანად მივაძეხი.

ახლა ქოსამ ვეღარ მოითმინა და უყვირა:

— რა გიქნია, ოჯახი დაგიქცევია, ის ძროხა იყო ჩემი მარჩენალი!

— არა, ხომ არ გაბრაზდი, გემჩნევა ხასიათი შეგეცვალა? — ეშმაკურად შეეკითხა ბოლოლა ძმა.

— როგორ არ გავბრაზდები, საქონელი გამიჩანაგე, თავიდან მომშორდი! — ყვიროდა ქოსა.

ბოლოლა ძმამ, პირობის თანახმად, აიღო დიდი სახრე, გვერდები დაუზილა ქოსას, კინწისკვრით გააგდო სახლიდან და მთელი მისი ქონება დაინარჩუნა, მოიყვანა აქ თავისი ძმებიც და დღესაც ბედნიერად ცხოვრობს.

სოლომონ ბრძენი და ბერიკაცი

სოლომონ ბრძენი თავის ორ კაცთან ერთად სოფელზე მიდიოდა. ერთ ადგილს, სახლის კარებზე ერთი დახავსებული ბერიკაცი იჯდა ჩაფიქრებული. სოლომონ ბრძენი მივიდა და მიესალმა. ბერიკაცი ფეხზე აუდგა სოლომონ ბრძენს და მადლი მოახსენა. სოლომონმა ჰკითხა:

— სხვა, ბერიკაცო, რასა იქ, როგორა ხარ?

— რა მიჭირს, — უპასუხა ბერიკაცმა, — თორმეტსა და ოცდათორმეტს მაინც ვერაფერი გადავარჩინე.

— ორზე როგორა ხარ? — ჰკითხა ისევ სოლომონმა.

— უკვე დავსამდი, — უპასუხა ბერიკაცმა.

— შორს როგორა ხარ?

— ახლოს მოველ.

— წისქვილები როგორა გაქვს?

— მგელმა დამიჭამა, რაც მგელს გადაურჩა, უწყლოდ, უღაროდ დგანან და აღარაფერში მარგიან.

— მთაში თოვლი მოსულა, — უთხრა კიდევ სოლომონმა.

ბერიკაცმა ჩამოისვა თეთრ წვერზე ხელი და უთხრა:

— ბარშიც ჩამოვიდა.

— მაშ კარგი, — უთხრა სოლომონმა, — მე ორ თხას გამოგიგზავნი და ვინძლო კარგად გაკრიჭო.

— ისე გავკრიჭო, — უპასუხა ბერიკაცმა, — რომ ტყავის მეტი ზედ არაფერი შერჩეს.

გამოემშვიდობა სოლომონი ბერიკაცს და გასწია სახლში. შინ რომ მივიდა, თავის მხლებლებს ჰკითხა: გაიგეთ, რამე, რაც მე ვუთხარი ბერიკაცს?

— არა, — უთხრეს მსახურებმა, — თქვენ სულ იგავებით ლაპარაკობდით და, აბა, ჩვენ რას გავიგებდით. ის ბერიკაცი ვერაფერს ვერ გიპასუხებდათ, ერთი საწყალი გლეხკაცი იყოო.

— სტყუით, — უთხრა სოლომონმა, — ის ბერიკაცი სულ ყელში მიჭრიდა სიტყვას: თუ არ წახვალთ და არ გაიგებთ, რას ნიშნავს იმის სიტყვები, ახლავე თავებს დაგჭრით.

მხლებლები მაშინვე წავიდნენ იმ ბერიკაცის საძებნელად. იპოვეს და ჰკითხეს:

— ერთი გვითხარ, ბერიკაცო, რა ილაპარაკეთ შენ და სოლომონმა?

— ჩვენ არაფერი გვილაპარაკნია, — უპასუხა ბერიკაცმა, — თქვენ ტყუილად გარჯილხართ, მე არაფერს გეტყვით.

სოლომონის მხლებლებმა დაუწყეს თხოვნა.

ბერიკაცმა უთხრა, სანამ ოც-ოც თუმანს არ მომცემთ თითო სიტყვაში, არ გასწავლითო.

რას იზამდნენ კარისკაცები: ფულს მაინც სიცოცხლე სჯობიაო, თქვეს იმათ და წავიდნენ, სადაც რამ ეგულებოდათ, წამოიღეს ბერიკაცთან, ოც-ოცი თუმანი რომ მისცეს, ბერიკაცმა უთხრა: პირველად რომ მითხრა, რასა იქ და როგორა ხარო და მე რომ ვუპასუხე, თორმეტსა და ოცდათორმეტს ვერაფერი გადავარჩინე-მეთქი, ის არის, რომ თორმეტი თვე არის წლისა და ოცდათორმეტი კბილები. კაცმა რაც უნდა იშრომოს, მუცელს ვერაფერს მოაჭარბებს.

როცა მეორე სიტყვაშიც ოც-ოცი თუმანი მისცეს, ბერიკაცმა განაგრძო: მეორედ სოლომონმა მკითხა, ორზე როგორა ხარო და მე ვუპასუხე — დავსამდი-მეთქი, ის არის, რომ სანამ ახალგაზრდა ვიყავ, ორი ფეხით დავდიოდი და ახლა უჯოხოდ ვეღარ გავივლი.

— მესამე სიტყვაო? — ჰკითხეს კარისკაცებმა.

— ამოიღეთ კიდევ ოც-ოცი, — უთხრა ბერიკაცმა.

იმათაც ამოიღეს ფული მესამედ.

ბერიკაცმა თქვა: მე რომ ვუპასუხე: შორს ვიყავ და ახლოს მოვედი-მეთქი, ის არის, რომ წინათ კარგად ვხედავდი, ახლა კი თვალთ მაკლია და ახლო ძლივსღა ვხედავო.

მეოთხე: წისქვილები კბილებია, მგელი ჭიაა, რაც კბილები ჭიამ დაჭამა, ხომ გამოუსადეგარი არის, და რაც იმას გადარჩა, არც არაფრად ვარგა ის კბილები.

მეხუთე: მთაში თოვლი მოსულაო რომ მითხრა და მე რომ ვუპასუხე, ბარად ჩამოსულა-მეთქი, ხომ ხედავთ, თმაც თეთრი მაქვს და წვერიც — ეს არის. მეექვსედ რომ ამოიღეს კარისკაცებმა, რაც კი რამ ებადათ, ბერიკაცმა უთხრა: ის ორი თხა თქვენ ხართ, ჩაიყავით ჯიბეებში ხელები, გაქვთ კიდევ რამე, თუ არა; წადით და ეგრე მოახსენეთ სოლომონსაო.

სოლომონ ბრძენის რჩევა

ერთ კაცს რვა შვილი ჰყავდა: სამი ბიჭი, ხუთი ქალი. მამას გაუჭირდა შვილების რჩენა. ბიჭები რომ წამოიზარდნენ, მამამ უთხრა: მე აღარ შემიძლია თქვენი რჩენა. წადით, ვინც პური გაჭამოთ, იმასთან იმუშავეთო!

უმცროსმა უთხრა უფროსებს: წავიდეთ, გავეცალოთ! მამა მართალს გვეუბნება, ვინმე პურს როგორ არ გვაჭმევსო.

უმცროსი წავიდა, უფროსები არ წავიდნენ.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ ქალაქში. ერთ ადგილას ბევრი მუშა დაინახა.

— მამუშავეთ და პური მაჭამეთო! — უთხრა მათ.

მუშებმა უპასუხეს: ჩვენც მუშები ვართ და შენ რა გაჭამოთო.

ესენი სოლომონ ბრძენის მუშები იყვნენ. სოლომონ ბრძენმა ბიჭი დაიბარა და უთხრა:

— წელიწადში ათ თუმანს მოგცემ, პურსაც გაჭმევ, ტანზეც ჩაგაცმევ და გამუშავებო.

წელიწადი რომ შეასრულა, სოლომონმა დაიბარა ბიჭი, აიღო ათი თუმანი და უთხრა:

— აი, შვილო, გაგითავდა წელიწადი, სწავლა გირჩევნია, თუ ეს ათი თუმანი?

— სწავლა მირჩევნია!

სოლომონმა უთხრა: შენს თავს ზევით ნურას წაეპოტინები, შენს თავს ქვევით, რასაც შესწვდე, დასჯერდიო! წახვალ თუ კიდევ იმუშავებო? — ჰკითხა სოლომონმა.

— არა, ვიმუშავებ!

— ახლა ოცი თუმანი გექნება წელიწადშიო.

შესრულდა მეორე წელიწადიც. დაიბარა სოლომონმა ბიჭი და ჰკითხა:

— სწავლა გირჩევნია, თუ ოცი თუმანი?

— სწავლა!

სოლომონმა უთხრა: სანამ შენი ყურით არ გაიგონო და შენი ოვალით არ ნახო, არავისი დაიჯეროო.

კიდევ იმუშავა ბიჭმა. ახლა წელიწადში ოცდაათი თუმანი დაენიშნა. რომ შესრულდა მესამე წელიწადი, სოლომონმა დაიბარა ბიჭი და მისცა ოცდაათი თუმანი.

— წახვალ თუ მოიცდი?

— არა, უნდა წავიდეო.

— აბა, ახლა წადი, ხელმწიფეს ქალი სთხოვეო. ბევრი მათხოვარი ჰყავს, ქალი ბაყაყის ტყავშია გახვეული და ვერავინ ნახულობს. შენ ამოიცნობ ქალს და დიდ მზითევსაც მოგცემენო.

წავიდა ბიჭი და ქალი სთხოვა ხელმწიფეს.

— თუ ამოიცნობ, ჩემი ქალი სად არის, მოგათხოვებო!

ბიჭი შევიდა ოთახში, სადაც ქალი იყო დამალული, და ხელმწიფეს ჰკითხა: რა დანაშაული აქვს შენს ქალს, რომ ბაყაყის ტყავში გყავს დამალულიო?

ხელმწიფეს ეს პასუხი გაუკვირდა. ქალმა გადაიძრო ტყავი, ბიჭს მოეხვია. დიდი ქორწილი გადაუხადეს. ხელმწიფემ დაუტვირთა ორი ურემი მზითევი და სიძე გაისტუმრა თავის სამშობლოში.

ბევრი იარეს, თუ — ცოტა, ერთ ქოხთან დაუღამდათ. იმ ღამეს იქ დადგნენ. ქოხში ერთი მდიდარი სოვდაგარიც გაჩერებულიყო. დილით ისაუზმეს და წასასვლელად გაემზადნენ.

ხეზე უცხო ფრინველი შემოჯდა. სოვდაგარმა უთხრა: ორასი თუმანი შენი, ორასი ჩემი, ვინც ის ფრინველი ჩამოიყვანოს, ეს ფული მას დარჩესო. დადეს სანაძლეო.

ბიჭმა თქვა: მე ავალ და ჩამოვიყვანო. შეხედა ხეს და ეშაღლა. რომ ჩამოვვარდე, ჩემი ცოლი და მისი მზითევი ვის უნდა დარჩესო!

მოაგონდა სოლომონ ბრძენის სიტყვები და აღარ ავიდა ხეზე. სოვდაგარს უთხრა: შენ ადი, თუ დაიჭერ, ოთხასი თუმანი შენ დაგრჩესო!

სოვდაგარმა გაიხადა პალტო და ხეს წვერზე მოექცა. ფრინველი სხვა ტოტზე გადაჯდა. მოუტყდა ტოტი და ჩამოვარდა, მიწაზე სულიც არ დაჰყოლია. სოვდაგრის ქონება ამ ბიჭს დარჩა. ისევ გზას გაუდგა. ერთი ვაჟი შეხვდა.

— ჩემი დედ-მამა როგორ არიანო? — ჰკითხა.

— იმათი ნაალაგავიც აღარ ეტყობაო!

— თუ კი ჩემი დედ-მამა და ძმები აღარ დამხვდებიან, მე რაღა მინდა იქაო, — გამობრუნდა და ისევ იმ ქოხთან მივიდა.

მეორე დღეს მოაგონდა სოლომონ ბრძენის სიტყვები: „სანამ შენი ყურით არ გაიგონო და შენი თვალით არ ნახო, სხვისი არ დაიჯეროო“ და გამობრუნდა უკანვე. შინ დედ-მამა ისევ ღარიბად დაუხვდა. ყველას საჩუქრები დაურიგა და დღესაც კარგად ცხოვრობენ.

სოლომონ ბრძენი და ღარიბი გლეხი

იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი თქვენი მწყალობელი. იყვნენ რვა ძმანი. ძმებმა თქვეს: ერთ ოჯახში რვა კაცმა როგორ უნდა ვიცხოვროთ, გავიყაროთო,

ძმები გაიყარნენ და ბედის საძებნელად წავიდ-წამოვიდნენ. უფროსი ძმაც გაუდგა გზას.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, შეხვდა მეგუთნეებს, უყურებს და თავის თვალებს არ უჯერებს; გუთანში თორმეტი უღელი ხარ-კამეჩი აბია — ექვსი უღელი — ერთ მხარეს, ექვსი უღელი — მეორე მხარეს. შეხრეები დასჭყივიან და სახრეებს ზედ ამტვრევენ საწყალ საქონელს; ხარ-კამეჩები ეწევიან, რაც ძალი და ღონე აქვთ, მაგრამ გუთანი ადგილზეა გაჩერებული. როგორ გასწევენ, როცა ერთი ერთ მხარეს ეწევა, მეორე — მეორე მხარეს! ამ კაცს გაუკვირდა, მივიდა ახლოს და მეგუთნეს უთხრა:

— ძმაო, რას აწვალებთ ამ საქონელს ან თქვენს თავს, აუშვით ერთი მხარის ხარები, მეორე მხარის ხარებმა გასწიონ!

— ჩვენმა პატრონმა ასე გაგვიმართა, — უპასუხეს მეგუთნეებმა.

— ვინ არის თქვენი პატრონი?

— სოლომონ ბრძენი.

დაინტერესდა ეს კაცი და წავიდა სოლომონ ბრძენის სანახავად: უნდა ვიკითხო, რად შეუბამს ხარები გუთანში ორივე მხარესო.

იარა, იარა და მიადგა რვათვლიან წისქვილს, შევიდა შიგ და რას ხედავს! იფქვება დარჩეული ხორბალი, ფქვილი კი ძირს ჩადის და წყალს მიაქვს. ახლა მეწისქვილეს ჰკითხა:

— რატომ საფქვილეებს არ დაუდგამთ, რომ ფქვილი შიგ ჩავიდეს, წყალს რად ატანთ?

— ამის პატრონმა ასე გამართა, — უპასუხა მეწისქვილემ.

— ვინ არის ამისი პატრონი?

— სოლომონ ბრძენი.

წავიდა ეს კაცი და მივიდა სოლომონ ბრძენთან.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს! — სალამი დაუბრუნა სოლომონ ბრძენმა.

— ის გუთანი და წისქვილი თქვენია? — ჰკითხა მან.

— დიახ, ჩემია.

— ისე რად გამართეთ ან ერთი ან მეორე?

— რადაც გავმართე, შენ უნდა ამიხსნა. თუ ვერ ამიხსნი, სიკვდილით დაგსჯი.

— ერთი კვირის ვადა მომეცით, მერე თუ აგიხსენით, ხომ კარგი, თუ არადა, თქვენი ნება იყოს.

სოლომონმა მისცა ერთი კვირის ვადა.

წავიდა ეს კაცი. მიდის დაღონებული, ვინც კი ხვდება გზაში, ხმას არავის არა სცემს, სალამსაც არ აძლევს.

ერთი პატარა ბიჭი გზის სანაპიროს ძროხებს აძოვებდა. მწყემსმა, დაღონებული რომ დაინახა მიმავალი მგზავრი, ჰკითხა: გამარჯობა, ძიავ, რა დაღონებული მოდიხარო?

ამ კაცმა ხმა არ გასცა. ან რა ხმა უნდა გაეცა, როცა მას თავისი დარდი აწუხებდა!

— ძიავ, რადა ხარ დაღონებული? — ჰკითხა ხელმეორედ პატარა მწყემსმა.

კაცმა არც მაშინ გასცა ხმა. ბიჭი არ მოეშვა, ახლა კი წინ გადაუდგა და მესამედ ჰკითხა: ძიავ, მითხარი, რადა ხარ დაღონებულიო?

კაცი შედგა და თავისთვის ჩაილაპარაკა: მოდი, ვეტყვი, იქნება ამ ბიჭმა რაიმე მიშველოსო. უთხრა:

— შვილო, რაკი ძალიან გაინტერესებს ჩემი დარდი, გეტყვი:

გზაზე ერთი გუთანი ვნახე, თორმეტი უღელი ხარი ება შიგ. ექვსი უღელი — ერთ მხარეს, ექვსი უღელი — მეორე მხარეს. მეხრეები დაჰკიოდნენ საწყალ საქონელს, ხარები ეწეოდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მაგრამ გუთანი მიწას არ ედებოდა, ან როგორ მოედებოდა გუთანი, როცა ხარები აქეთ-იქით ეწეოდნენ. მე ხალხიც შემებრალა და საქონელიც, მივედი და გუთნისდედას ვკითხე: ძმაო, ან საქონელს რაზე ტანჯავთ, ან თქვენს თავს! აუშვი ერთ მხარეს ხარები, მეორე მხრისანი გასწევენ, გუთანი მოედება მიწას და მოხნავთ-მეთქი! „ჩვენმა პატრონმა ასე გაგვიმართაო“, — მიპასუხა გუთნისდედამ. იმათი პატრონი სოლომონ ბრძენი ყოფილიყო თურმე.

წავედი სოლომონ ბრძენთან საკითხავად, მივდივარ და ახლა რვათვლიანი წისქვილი ვნახე. წისქვილი ფქვავდა, ფქვილი კი წყალს მიჰქონდა. „რატომ საფქვილეებს არ გაუკეთებთ, რომ ფქვილი შიგ ჩავიდეს და წყალმა აღარ წაიღოს-მეთქი“, ვკითხე მეწისქვილეს. „ჩემმა ბატონმა ასე გამართაო“, მიპასუხა მეწისქვილემ. იმისი ბატონიც ის სოლომონ ბრძენი ყოფილიყო თურმე.

წავედი, კითხვა-კითხვით მივედი სოლომონ ბრძენთან, შევედი მასთან და ვკითხე: „ის გუთანი და წისქვილი ისე რად გამართეთ-მეთქი? „შენ უნდა მითხრა, რად გავმართე ისე ან ის გუთანი, ან ის წისქვილი, თუ ვერ გამოიცნობ, სიკვდილით დაგსჯიო!“ — მიპასუხა სოლომონ ბრძენმა და მოფიქრების ვადად ერთი კვირა მომცა. აი, რატომ ვარ დაღონებული.

ბიჭმა უთხრა: მე გასწავლი, მაგრამ არ კი გამცე! გუთანში ორივე მხარეს რომ ხარები ებათ, ეს ის არის, როგორც ის ხარები ეწეოდნენ აქეთ-იქით და გუთანი წინ ვერ მიდიოდა, ისე ძმები რომ გაიყრებიან და ცალ-ცალკე გავლენ, არც იმათი საქმე წაგა წინ.

ის წისქვილი კიდევ იმას ნიშნავს, რომ, თუ ოჯახში კარგი შემნახველი დედაკაცი არ არის. იქ გინდა რვა კაცი იყოს კარგი მომნაგრებელი, იმათი ქონებაც სულ წყალწაღებული იქნება.

კაცი გახარებული გამობრუნდა უკან, მივიდა სოლომონ ბრძენთან და ყველაფერი მოახსენა.

— მითხარი, ვინ გასწავლა, თორემ სიკვდილი არ აგცდება! — უთხრა გაბრაზებულმა სოლომონ ბრძენმა.

— თქმით ვერ გეტყვით, წამობრძანდით, შორიდან დაგანახებთ.

სოლომონმა შეაბმევინა ეტლი, ჩასხდნენ და წავიდნენ.

პატარა ბიჭს ძროხები მუხის ჩრდილში შეერეკა და თვითონაც იქვე ბალახზე წამოწოლილიყო. ეტლმა რომ გაიარა, შემთხვევით ერთ ფურს დაეჯახა.

— ეგ ფური არ გამიბერწოთ, პატიოსანი სახარე ხბო ჰყავს, — უთხრა პატარა მწყემსმა.

სოლომონ ბრძენმა გააჩერებინა ეტლი, დააკვირდა მაკე ძროხას და უპასუხა:

— მართალია, სახარე ხბო ჰყავს, მაგრამ ნიშაა.

— არა, ნიშა არ არის, კუდვარდაა, ეს კუდი შუბლზე უძევს და შენ ნიშა გგონია, — მიუგო მწყემსმა.

გაიმართა ცილობა. დადეს სანაძლეო, დაკლეს ფური, ამოაცალეს ხბო და მართლა კუდვარდა გამოვიდა.

— ბრძენი მე კი არ ვყოფილვარ, ეს ყოფილა, — თქვა სოლომონმა. ჩაისვა პატარა მწყემსი ეტლში, წაიყვანა სასახლეში და თავის ვეზირად დააყენა. ეს კაცი კი ოქრო-ვერცხლით დააჯილდოვა და გაისტუმრა.

ა რ ჩ ე ვ ა ნ ი

ერთ კაცს სამი ერთიერთმანეთზე ლამაზი ქალი ეძლეოდა. კაცი არჩევანში შევიდა, არ იცოდა, რომელი შეერთო. ბევრი ფიქრისაგან გახდა, ვერ გადაეწყვიტა. მამა ეკითხებოდა სიგამხდრის მიზეზს, შვილი უმალავდა. როგორც იყო, მამამ ათქმევინა შვილს, რომ სამი ლამაზი ქალი ეძლევა და ვერ გადაუწყვეტია, რომელს მოჰკიდოს ხელი. უთხრა: რას ეწვალები, შვილო, წადი სოლომონ ბრძენთან და როგორც ის დაგარიგებს, შენც ისე მოიქეცი.

წავიდა. ჯვარედინ გზაზე ხედავს: უზარმაზარ ხის მორისათვის თავსა და ბოლოს ოთხ-ოთხი უღელი კამეჩი მოუბამთ, ოთხ-ოთხი კაცი დგას და სცემენ კამეჩებს. კამეჩები ორივ მხრივ იწევენ და ხე ადგილზე რჩება. გაუკვირდა მგზავრს და ჰკითხა: რად აწვალებთ საქონელს? ან თავიდან ახსენით კამეჩები ან ბოლოდან, რომ წაიღონო.

კაცებმა უპასუხეს: გასწი შენს გზაზე, ვინა გკითხავს? ხეც, საქონელიც სოლომონ ბრძენისაა, ჩვენც სოლომონ ბრძენის კაცები ვართ და საქმისაც ჩვენ ვიცითო.

კაცმა იფიქრა: სოლომონ ბრძენი თვითონ სულელი ყოფილა და მე რა ჭკუა უნდა მასწავლოსო? გაიარა კიდევ, ხედავს: ტყეში კაცს დიდძალი ლატნები წამოუკიდია ზურგზე. ეწევა და ვერ ერევა, მაინც კიდევ სხვას იმატებს. მგზავრმა ვეღარ მოითმინა და უთხრა:

— კაცო, მაგ ლატნებსაც ვერ ერევი და სხვას იმატებო?

— მიდიხარ, შენი გზა მონახე, ეს ტყე სოლომონ ბრძენისა არის. ის არ მედავება და შენ ვინა ხარო?

მიდის კაცი, ერთი კაცი კედელს მისდგომია, შეაყრის ცერცვსა და ცვივა ძირს.

მგზავრს გულმა ვერ მოუთმინა და უთხრა: ძმობილო, ტყუილად რაზე ეწვალები, კედელზე ცერცვის შეჩერება ვის გაუგონიაო?

კაცმა შეუტია: ჰაიდა, მონახე შენი გზა, ეს ადგილი სოლომონ ბრძენისა არის და მეც იმას ვეკუთვნიო.

მგზავრმა მიატანა ქალაქს. ქალაქის მისავალში ოთხი თვალი წისქვილის ქვა ბრუნავს. თითო ხვიმირაში ოთხი კაცი ტომრებით ხორბალს ყრის და ალატში მტვერიც არა ჩანს. მგზავრი განცვიფრდა და ჰკითხა: მაგდენს აყრითო ჭირნახულს და სად ქრებაო?

კაცებმა უთხრეს: ეს წისქვილი სოლომონ ბრძენისა არის და ჩვენც იმას ვეკუთვნითო. ჩვენც არ ვიცით, ამოდენა ფქვილი სად მიდისო.

ბოლოს მიაღწია კაცმა სოლომონ ბრძენს, უამბო: სამი ქალი მეძლევა, ერთმანეთზე ულამაზესი: ერთი ქალიშვილია, მეორე — ქმარზე ხელაღებული, მესამე — ქვრივი. არ ვიცი, რომელი შევირთო. ჩემით ვერ გადამიწყვეტია და თქვენთან რჩევისათვის მოვედიო.

სოლომონ ბრძენმა უთხრა: კარებზე ჩემი შვილი თამაშობს, ის მოგცემს პასუხსო.

ყმაწვილი ჯოხზე გადალაჯული დახტოდა, თამაშობდა. შეაყენა მგზავრმა და უამბო თავისი გაჭირვება.

ბავშვმა უთხრა: ქალიშვილი ერთია; ქვრივთან სამი იქნებით; ქმრიანთან ცხენი ქერსა ჭამსო, და გაიქცა.

კაცმა სოლომონ ბრძენს გადასცა შვილის სიტყვები და უთხრა: რას ნიშნავს ეს სიტყვები ვერ გავიგეო.

სოლომონ ბრძენმა უთხრა: ქალიშვილ ქალს რა ახსნა უნდა, ცოლ-ქმრობის გამოუცდელია და ერთია. ნაქვრივალს ბევრჯერ მოაგონდება მკვდარი ქმარი, მეტადრე მაშინ, თუ შენზე უკეთესი იყო, და სამი არ იქნებით? ქმარგაშვებული ქალი, თუ ძალიან კარგად არ მოექეცი, უსიამოვნებას ვერ აიტანს. როგორც პირველი ქმარი დასთმო, შენც გაგშორდება, გაგექცევაო.

მგზავრმა მადლობა უთხრა და სთხოვა გზაში ნანახის ახსნაც.

სოლომონ ბრძენმა დაუწყო ახსნა: ეს სუყველა ადამიანთა უგუნურების მაგალითებია: ხის თავსა და ბოლოს ოთხ-ოთხი უღელი კამეჩი რომ მოებათ — ეს ადამიანთა ერთმანეთის გაუტანლობას გამოხატავს; ტყეში კაცს შეშა რომ წამოუკიდია — ასეთი კაცი არას-

დროს შეიმატებს ცხოვრებას, სიხარბეში გაატარებს სიცოცხლეს და გაკიცხული ჩავა საფლავში; კედელს ცერცვს აყრიდა კაცი, არა რჩებოდა ზედა — ეს ძმები რომ გაიყრებიან და ერთობა დაერღვევათ, როგორც ცერცვი კედელზე არ გაჩერდება, ისედაც გაყრილი ძმები ვეღარ შეერთდებიან; წისქვილის თითო ხვიმირაში ოთხ-ოთხი კაცი რომ ერთად აყრიდა ხორბალს და ფქვილი კი არ ჩანდა ალატში — გაფუფუნებული ოჯახიც რომ იყოს, თუ ხელმრუდე ადამიანი ურევია, სარჩოს ბარაქა არ მიეცემა.

კაცი გამოემშვიდობა, მადლობა გადაუხადა სოლომონ ბრძენსა და წავიდა. რომელი ქალი შეირთო, კი არ ვიცი.

საგრალო ფასოს ამგავი

ერთ სოფელში, სოლომონ ბრძენის დროს, ცხოვრობდა ერთი შეტად საწყალი და დავრდომილი კაცი, რომელსაც სახელად ეძახდნენ ფასოს. ამას ჰყავდა: ცოლი, ორი ვაჟი და ერთი ქალი, ნაზიკო. საცოდავს ცოლ-შვილი შიმშილით ეხოცებოდა, ძლივს ვაითა და ვაგლახით შოულობდა დღიურ ლუკმას. ასეთ მწუხარებაში ატარებდა თავის სიცოცხლეს. სიღარიბემ მეტად რომ შეაწუხა და ვეღარსით ვეღარა იშოვა რა, უთხრა ტირილით და თავში ცემით თავის ცოლ-შვილს: ხომ მხედავთ, დღე არა მაქვს მოსვენება და ღამესაც დღედ გადავაქცევ ხოლმე, ვმუშაობ, ვწვალობ, მაგრამ მაინც ჩემს ნამუშევარს ბარაქა ვერ დავდე, ერთხელ რიგიანად კუჭი ვერ გაგიძღეთ და ვერცა რა ტანზე ჩაგაცვით. მე ვხედავ, რომ თუ ერთ ან ორ წელიწადს არსაით არ გადავვარდი სარჩოს საშოვნელად, ჩვენ ფიტს ვერ მოვიკრავთ, მაგრამ რა ვქნა, რომ თქვენი ჯავრი თან გამყვება, არც დღე მომასვენებს და არც ღამეო!

— შენ ჩვენი ჯავრი ნუ გექნება, წადი, მხოლოდ ამას კი გეხვეწებით, რომ სამ წელიწადზე მეტი არსად დადგე, თუნდა იშოვო რამე და თუნდა არა, ამ დროის განმავლობაში ჩვენ, როგორც იქნება, ვიცხოვრებთო, — უპასუხა ცოლ-შვილმა.

ეს რომ გაიგონა ფასომ თავისი ცოლ-შვილისაგან, ხმამაღლა დაიწყო ტირილი. ადგა ფეხშიშველი, ტანშიშველი, ტანზე ათასნაირად დაკონკილი ჩოხით და უნდა წავიდეს, ვინ იცის, საითკენ! როდესაც გამოვიდა კარში, დაუძახა ცოლსა და შვილებს, დაკოცნა ქვითი-

ნით და ცრემლების დენით და გაშორდნენ ერთმანეთს. განშორების დროს, ცოლმა თუმცა გული ვეღარ მოიბრუნა ტირილისაგან, მაგრამ როგორც იყო ამოილუღლუღა: კაცო, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, მშიერი და მწყურვალი რად მიხვალ? აჰა, ეს ნახევარი მჭადი მაინც ჩაიდე ჯიბეშიო.

ქმარმა უპასუხა: ჩემო სიცოცხლევ, მაგის მეტი ხომ არა გრჩებათ რა და ეგეც რომ მე წავიღო, თქვენ რაღა გემშველებათო.

ასეთი ტირილით, მწუხარებითა და დამწვარ-დადაგული გულით გაშორდა ცოლ-შვილს.

იარა რამდენიმე დღე და ღამე, შიმშილმა და სიტიტვლემ შეაწუხა. შიმშილს იკლავდა ბალახების ძირით და სიტიტვლეს იფარავდა გზაზე შემთხვევით ნაპოვნი ძონძებით. მიაღწია იმ ქალაქს, სადაც მეფობდა ბრძენი სოლომონი. კარგა ხანი იარა, მაგრამ ალაგი ვერსად იშოვა, რომ მოჯამაგირედ დამდგარიყო. შეხვდა კი ისეთი კეთილი ხალხი, რომელიც შეძლებისდაგვარად აძლევდა მოწყალებას. ტანზე შეიმოსა ცოტა წესიერად, ორისა და სამი კვირის განმავლობაში მოეცა იერი და საპატიო კაცს დაემსგავსა. შემდგომ მივიდა სოლომონ ბრძენთან და მოახსენა: ბატონო, ერთი საწყალი კაცი გახლავარ, მინდა მოჯამაგირედ დავდგე და ალაგი ვერსად მიშოვია. გთხოვ, შენი ჭირიმე, მიმსახუროთ და რისი ღირსიც აღმოვჩნდე, მიბოძოთ, რომ ჩემ საცოდავ ცოლ-შვილს მივუტანო რამეო.

ბრძენმა სოლომონმა არც ვინაობა ჰკითხა, არც სადაურობა: წელიწადში როგორ დადგებიო?

საბრალო კაცი დაფიქრდა: ბევრი ვთხოვო, ვაითუ არ დამიჭიროს და ცოტა რას მიზამსო! იმ საცოდავმა არ იცოდა, თუ რასაცა სთხოვდა, მისცემდა. კიდევ განუმეორა: რასა თხოულობ წელიწადში?

მოახსენა შიშით და მეტად შეწუხებული ხმით: სამ თუმანსო.

— კარგი, შვილო, სამ თუმანს მოგცემ წლის დასრულებაზეო. დადეს ასეთი პირობა.

ამ საცოდავმა ფასომ დაიწყო სამსახური და მეტად კარგად ემსახურებოდა. ყოველ საქმეში დაუღალავი და დაუზარებელია, სოლომონს მოსწონს. ასე გაატარა ერთი წელიწადი და უხარია: ჩემს სიცოცხლეში ხომ სამი თუმანი ფიქრადაც არ მომსვლია, არამც თუ ხელში მჭეროდეს, ახლა რომ სამი თუმანი ჩემ ცოლ-შვილში მივიტანო, ძლიერ გავახარებო.

როდესაც გავიდა წელიწადი, მოახსენა: ბატონო, ჯამაგირი მიბოძეთ, ჩემ ცოლ-შვილს მივაშველოო.

სოლომონმა ხმის ამოუღებლივ ამოიღო ვერცხლის მანეთები, დაუთვალა სრულად და დაუწყო სუფრაზე, მერე უთხრა:

— აი, შვილო, შენი ჯამაგირი, ძლიერ კარგი ყმაწვილი კაცი ხარ, მომწონს შენი სამსახური, არასოდეს შენგან არა მწყენია რა. თუ გინდა, აიღე ეგ ფული და წადი, როგორც პირობა გვაქვს, თუ გინდა — ერთ სიტყვას გასწავლი და ეგ ფული მე დამრჩესო.

ამ სიტყვაზე ფასო დაფიქრდა: არც ფული ემეტება და სწავლაც უნდა. კარგა ხანი იყოყმანა და მერე მოახსენა: მასწავლეო.

სოლომონმა მოუსვა ხელი და ფული უკან ჩაყარა. მერე უთხრა:

— აი, შვილო, ეს ჩემი სწავლა გახსოვდეს: თუ ვინმემ გკითხოს რამე, უცებ ნუ უპასუხებ, დაფიქრდი კარგად და ისე უთხარიო.

დაღონდა ეს საცოდავი ყმაწვილი კაცი. ფიქრობს: რა ვქნა? წავიდე შინ, ცარიელი როგორ მივიდე? არ წავიდე და ცოლ-შვილის ჯავრი მაწუხებს! ბევრი იფიქრა და გადაწყვიტა: ერთ წელიწადს კიდევ ვემსახურები, ეგებ გასული წლის ჯამაგირიც და ამ წლისაც მომცესო.

სოლომონ ბრძენმა, რასაკვირველია, შეატყო, რომ მეტად შეწუხდა, მაგრამ სრულებითაც არ შეჰბრალდა! უთუოდ იმისათვის, რომ იცოდა, უნაყოფოდ არ დარჩებოდა, და უბრძანა: წადიო.

საბრალომ მოახსენა: ბატონო, ნათქვამია, ცარიელ კაცს საბაჟოზე მიუხაროდაო; რომ წავიდე, რა მივუტანო ჩემ საცოდავ ცოლ-შვილს? გთხოვ, შენი ჭირიმე, შენ სადღეგრძელოდ, ერთ წელიწადს კიდევ მიმსახუროო.

— კარგი, შვილო, მაგაზე უარს არ გეტყვი, დარჩი ჩემთან, მხოლოდ ჯამაგირზე მომირიგდი, რასა მთხოვო?

მოახსენა კანკალით და ძლივს გასაგონი ხმით: ათი თუმანი მიბოძე, შენი ჭირიმეო.

— ძლიერ კარგი, შვილო, ათ თუმანს დაგითვლი, როდესაც ყავლს გაათავებ, თუნდა ფული წაიღე და თუნდა ერთ სიტყვას გასწავლი და ფული მე დამრჩესო.

მორიგდნენ ასეთი პირობით.

დაიწყო სამსახური. ამ მეორე წელიწადს, რაც იყო პირველ წელიწადს, იმაზე ერთი ორად და სამად გადაამეტა. ამ ერთგული და პატიოსანი სამსახურისათვის ძლიერ შეიყვარა სოლომონ ბრძენმა. გავიდა წელიწადი და უხარია ამ საბრალო ფასოს: ათ თუმანს მიუტანს თავის ცოლ-შვილს და გაახარებს, თავს დააღწევენ სიღარიბეს და იცხოვრებენ ბედნიერად.

მოახსენა ფასომ სოლომონს: ბატონო, მიბოძეთ ჩემი ჯამაგირი, რომ მივეშველო ჩემს საცოდავ ცოლ-შვილსაო.

სოლომონმაც მის თხოვნაზე ვერცხლის მანეთები დათვალა, დააწყო სუფრაზე და უთხრა: აი, შვილო, შენი ერთი წლის ჯამაგირი — ასი მანეთი. თუ გინდა, აიღე და წადი, თუ არადა, ერთ სიტყვას გეტყვი, როგორც პირობა გვქონდა, და ეგ ფული მე დამრჩესო.

საცოდავი, სიღარიბისაგან დამწვარ-დადაგული კაცი დაჰყურებს მშვენიერ, ახალმოჭრილ მანეთებს... რა ჰქნას? ფულიც უნდა და კიდეც უნდა, რომ ისწავლოს რამე. ფულს ისევ სწავლა არჩია და მოახსენა: მასწავლეო.

სოლომონმა მოუსვა ხელი, უკანვე ჩაყარა ფული და უთხრა: აი, შვილო, ეს იქნება ჩემი სწავლა: რაც შენი საქმე არ იყოს და რასაც ვერ შეწვდებოდე, ნუ შეეწვდებიო.

დაღონდა ეს საცოდავი, გულმა ფრიალი დაუწყო და სიმწრისაგან ვეღარა გაიგო რა. მოაგონდა ცოლ-შვილი და გადმოყარა ცხარე ცრემლები, რომელთა კვალი დააჩნდა ლოყებზე, თითქო მდუღარე წყალი ჩამოუსხამთო. სოლომონს სრულებითაც არ შეებრალა და უბრძანა, წადიო.

მაგრამ სად წავიდეს, როდესაც საგზაოდ ერთი გროშიც არ აქვს?! ბევრი ფიქრის შემდეგ მოახსენა:

— ბატონო, ერთ წელიწადსაც კიდევ მიმსახურე, შენ სადღეგრძელოდო.

— კარგი, შვილო, შენი კარგი სამსახურისათვის ძლიერ მიყვარხარო, — ამასთანავე ანუგეშა კიდეც, — ჯიბეში ფულის ჩაწყობას, თავში რომ ეწყოს, ისა სჯობია, ჯიბიდან ან დაიკარგება, ან მოიპარავს ვინმე ან ძალით წაგართმევენ, ხოლო თავიდან არაფერი დაიკარგება, სიკვდილამდე დაგრჩება და, როდესაც დაგჭირდება, მოიხმარო.

ამ სიტყვების შემდეგ ჰკითხა, — რას ითხოვ ამ მესამე წელიწადსაო?

რაკი ამ საწყალმა კაცმა გაიგონა ტკბილი ლაპარაკი, ქება და სამსახურის მოწონება, იფიქრა, რაც უნდა ვთხოვო, მომცემსო და მოახსენა:

— ოცდაათი თუმანი მიბოძე წელიწადშიო.

— კარგი, შვილო, ოცდაათ თუმანს მოგცემ, წელიწადს რომ გათავებ, დაგითვლი შენს ჯამაგირს, თუნდა ფული წაიღე და თუნდა ერთ სიტყვას გასწავლი და ჩემი ფული მეევე დამრჩესო.

მორიგდნენ ასეთი პირობით.

დადგა მესამე წელიწადი და დაიწყო სამსახური. როგორც ჯაჭაგირი მოიმატა, ისე ყოველ საქმეზე ბეჯითია, არც დღე ზოგავს თავს და არც ღამე ისვენებს, მის თვალებს ძილი არ ეკარება. რა საქმესაც ხვალისთვის დაავალებს, ის იმას გათენებამდის დასრულებული და გათავებული აქვს. სოლომონ ბრძენსაც მოსწონს მისი საქმსახური და აქებს ყოველთვის.

სრულდება წელიწადი და უხარია ამ საცოდავ ფასოს. ფიქრობს: ოცდაათ თუმანს მივიტან სახლში და გავახარებ ჩემ საცოდავ ცოლ-შვილსო. გავიდა წელიწადი, გამოსთხოვა ფული, სოლომონმაც დაუყოვნებლივ ახადა პატარა ყუთსა, ამოკრიფა ახალ-ახალი ოქროსა და ვერცხლის მანეთები, დაუთვალა სამასი მანეთი, დაუწყო წინ და უბრძანა: აი, შვილო, შენი ჯამაგირი, შენც დათვალე, ხომ არ აკლია რაო, — და იმასაც დაათვლევინა.

სიხარულისაგან ხელები უკანკალებს, გული უფაცფაცებს, თვალები უჭრელდება ოქროსა და ვერცხლის ბრჭყვიალა მანეთების ყურებით... დათვლა რომ გაათავა და დააწყო, კიდევ უთხრა: თუნდა აკრიფე და წაიღე, თუნდა ერთ სიტყვასაც გასწავლი და ეგ ფული მე დამრჩესო.

ამ საწყალ კაცს ცეცხლი წამოსდის თვალებიდან, უნდა აკრიფოს და ვერც გაუბედავს: ფულიც უნდა და სწავლაც... ფიქრობს, ყოყმანობს, არის ერთ გაჭირვებაში... უბრძანა სოლომონმა: რაღას ფიქრობ? თუნდა ფული აკრიფე და წადი, თუნდა ერთ სიტყვას გასწავლიო.

დახედე ამ საწყალ კაცს, ფულს ისევ სწავლა არჩია! მოახსენა: მასწავლეო.

ახადა ყუთსა, გადაუსვა ხელი, ჩაყარა ფულები და უთხრა:

— აი, შვილო, ჩემი სწავლა გახსოვდეს, რასაც ახლა გეტყვი: რაც შენი თვალით არა ნახო, სხვის ნათქვამს ნუ დაიჯერებო.

მოსწყდა წელი, დაღონდა ეს საცოდავი. ცოლ-შვილისაგან დადებული ვადაც გაუვიდა, მოჯამაგირედ დადგომასაც ვეღარ გაბედავს, რადგანაც მის ცოლ-შვილს მკვდარი ეგონება და შეწუხდებიან ისედაც სიღარიბისაგან შეწუხებულნი. თვალცრემლიანი გამოვიდა და გამოეგზავრა დიდი მწუხარებით, დარდითა და ბოროტებით სავსე. ამ მეტისმეტად მდიდარმა მეფემ, რომელზე მდიდარი არც ყოფილა, არც არის და არც იქნება, სრულებითაც არ შეიბრალა, ერთი აბაზიც არ აჩუქა, რომ გზაზე პური ეყიდა! სოლომონ ბრძენმა იცოდა, სწავლა უნაყოფოდ არ დარჩებოდა, რო-

გორც ნათქვამია: სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილ-დებისო.

ბევრი იარა ამ საწყალმა ნამოჯამაგირალმა ყმაწვილმა კაცმა ფასომ, შევიდა ერთ ქალაქში, სადაც ხელმწიფეს ცოლად ჰყავდა ბაყაყი: დღისით ბაყაყი იყო, ღამით ქალი. იმისთანა მშვენიერი იყო, რომ, როდესაც გაიხდიდა და გამოვიდოდა ბაყაყის ტყავიდან, მაშინ იმისთანა სინათლე და ბრწყინვალება მზესაც არა ჰქონდა. თურმე იმისთვის ყოფილა დღისით ბაყაყი, რომ თუ ჩაუცმელი დარჩებოდა და კარში გამოვიდოდა, — მზე დაბნელდებოდა მისი ბრწყინვალებისაგან და მისი შემხედველნი დაბრმავდებოდნენ. ასეთი თვისება ჰქონდა მინიჭებული მანამდის, ვიდრემდის ბაყაყის ქალობას გაიგებდა ვინმე და მის ქებას იტყოდა. ამისათვის ყოველ უცხო კაცს, როდესაც მოახელებდნენ ქალაქში, დაიჭერდნენ, წაიყვანდნენ, აჩვენებდნენ ბაყაყს და ჰკითხავდნენ: ეს რა არისო? რასაკვირველია, მნახველები იტყოდნენ — ბაყაყი არისო. ასეთ პასუხზე მოსჭრიდნენ თავს და კაცის თავებით შემოვლებულ დიდ და მაღალ გალავანს მიუმატებდნენ. ფასოც დაიჭირეს, შეიყვანეს დიდ და მშვენივრად მორთულ დარბაზში, რომელიც სოლომონ ბრძენის დარბაზს ბევრით სჯობდა, მიიყვანეს ბაყაყთან და ჰკითხეს: ეს რა არისო?

ყმაწვილი კაცი შეჰყურებს განცვიფრებით, ჰხედავს, გაბერილი ბაყაყია. ბაყაყიც შეჰყურებს დაღონებული თვალებით. იფიქრა კარგა ხანი და, ის არის უნდა წამოიძახოს, რომ ბაყაყიაო, მაგრამ, დახე ბედს, მოაგონდა სოლომონ ბრძენის ნასწავლი სიტყვა: „კარგად ვიდრე არ დაფიქრდე, ისე არაფერი თქვაო“. იფიქრა, ასე დიდი და მშვენიერი ხალიჩებით მორთულ ტახტზე, ორხოებითა და ოქროს სტავრა-თვალმარგალიტით შექედილ დიდ ფასდაუდებელ ოქროს სინზე ზის ეს ბაყაყი, კარგი რამ რომ არ იყოს, აქ არ დასვამდნენო! თანაც დაღონებული ბაყაყის მზერა როგორღაც გულს მოხვდა.

ჰკითხეს კიდევ: რატომ არას ამბობო?

ამ კაცმა მოახსენა: მე მინდა სიტყვის თქმა, ვიგონებ, ვფიქრობ, მაგრამ ვერ მომიგონია იმისთანა სიტყვა რომ მაგისი ქება და დიდება გამოვხატოო.

ეს რომ თქვა, ჩაფუფქულმა და დაღონებულმა ბაყაყმა ყურები ცქვიტა და ზეზე წამოიწია ფასო მიხვდა, რომ ამ სიტყვაზე ბაყაყმა მეტად გაიხარა. მერე დაიწყო და მოახსენა იქ მდგომ მრავალ ხალხს, ნაზირ-ვეზირთა და თვით ხელმწიფესაც, ბაყაყის ქმარს: დიდებულო ხელმწიფევ! მართალია, დიდი და ძლიერი ხელმწიფე ბრძანდებით, მაგრამ თქვენ რომ მშვენიერი, სიტყვით გამოუთქმელი, კალ-

შით აღეწერელი, ფასდაუდებელი, ერთი სიტყვით, ხმელეთის ფასი და მზის დარი არსება გყავთ, მით უფრო ბედნიერი ბრძანდებით! ბევრს, დიდებულო ხელმწიფევ, ხელმწიფეებსა და მეფეებს ენატრებათ მაგისთანა მშვენიერი არსება, მაგრამ ღმერთს მხოლოდ მარტო თქვენ უკურთხებიხართ და თქვენზე დაუბერტყნია თავისი უხვი მოწყალების კალთაო.

ეს სიტყვები რომ გაიგონა ბაყაყმა, დიდად გაიხარა, მეტისმეტი სიხარულისაგან ხან აქეთ გადახტა და ხან იქით, ამ თავის მაქებელ ყმაწვილ კაცს ხან მხარზე შეახტა და ხან გულზე მიეკრა. ხელმწიფემაც მხიარული სახე მიიღო და ყოველმა იქ მყოფმაც დიდად გაიხარა. ერთი სიტყვით, პირველად ამ ყმაწვილი კაცისაგან გაიგონეს მისი ქება. ამ კაცმაც რაკი შეიტყო, რომ მისი ქებით ძლიერ ისიამოვნეს, უფრო მოუმატა (აბა მიბრძანეთ, სამ წელიწადს სოლომონ ბრძენთან ნამყოფი კაცი რას არ მოიგონებდა!), აღარა და აღარ შეწყვიტა მისი ქება, ხოლო ბაყაყმა, ხელმწიფემ და ხალხმა — მხიარულება და სიხარული.

მოატანა საღამომ, ჩავიდა მზე და მოეფინა სიბნელე ქვეყანას. ამ ბაყაყმა გაიხადა ბაყაყის ტყავი და გამოვიდა მშვენიერი, ქვეყნის მანათობელი ქალი, გადაეხვია ამ თავის მაქებელ ყმაწვილ კაცს ფასოს და დაუწყო კოცნა. ეუბნება: შენ კი გენაცვალე, ძმაო, რომ ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ შენგან გავიგონეთ მეცა და ჩემმა ქმარმაც ჩემი ქება! ეტყობა, ღმერთს ჰყვარებიხარ და შენთვის სიკეთე სდომებია, თორემ, აბა, შეხედე ამ უშველებელ გალავანს, ვინ დათვლის, რამდენი კაცის თავი ძევს ამ გალავანზე. შენც რომ ჩემთვის ბაყაყი გეწოდებინა, მოგჭრიდნენ თავს და, — მიუთითა, — აგერ აკლია გალავნის დასრულებას ერთი თავიო! მაგრამ შენც გადარჩი სიკვდილს და მეც მოვრჩი ამდენ ჭირსა და მწუხარებასო!

დასხდნენ იმ ღამეს, ჩაისვეს ფასო ხელმწიფემ და მისმა ცოლმა შუაში და მიეცნენ ერთ გამოუთქმელ სიხარულს. ხან ერთი ეხვევა და ჰკოცნის, ხან — მეორე. გათენდა მშვიდობის დილა. სთხოვენ, რომ მათთან დარჩეს და იყოს იმათი შვილი, მემკვიდრე, მაგრამ ფასომ უარი განაცხადა და მოახსენა: მე, ბატონო, ერთი საწყალი კაცი გახლავარ, მყავს საცოდავი, სიღარიბისაგან დამწვარ-დადაგული ცოლ-შვილი, სამი წელიწადი გავიდა, მე იმათი აღარა გამიგია რა, მინდა ჩქარა წავიდე და ვნახო ისინი, მე უიმათოდ ცხოვრება და სიცოცხლე არ შემიძლია, კარგნი არიან თუ არა, რაც ღმერთმა მომცა, უნდა დავჯერდეო.

რადგანაც ფასომ თავისი ღარიბი სახლ-კარი და საცოდავი ცოლ-შვილი არჩია ხელმწიფის შვილობას და მემკვიდრეობას, მათაც მოუწონეს საქციელი და მისთვის მოარეკინეს ასი აქლემი, ასი ცხენი და ასი ჯორი. აუკიდეს ოქრო, ვერცხლი და მრავალი სიმდიდრე და ძვირფასი ნივთეული. მისცეს კაცები, მოსამსახურეები; შემოსეს სამეფო ტანისამოსით, ცოლ-შვილისათვის შეაკერინეს ოქროქსოვილით მორთული ტანსაცმელი. შეიქნა მდიდარი, მრავალი ძვირფასი ნივთისა და სხვა ქონების პატრონი.

იარეს რამდენიმე დღე. საქონელი შეწუხდა, რადგანაც მეტად მძიმე ტვირთი ეკიდა. დაისვენეს ერთ მშვენიერ და სასიამოვნო ტყის პირას, რომელსაც მარჯვენა მხარეს ედო ათასნაირი ყვავილებითა და სურნელოვანი ბალახებით შემკული ტურფა მინდორი. აქ დააწყვეს საპალნეები, საქონელი საძოვარზე გაუშვეს. მოსამსახურეები დარაჯობდნენ საქონელს, ხოლო თვითონ ფასომ, ამ ახალმა მებატონემ, გააშლევინა ოქროს ქსოვილი, დაიდო თავით ძვირფასი მუთაქა და წამოწვა ზედ. შემდგომ მოითხოვა სადილი და რა უნდა სულსა, რომ იმას არ მოართვეს!

როდესაც ისადილა წესიერად, დაინახა, რომ შორი გზიდან მოდის ერთი სოვდაგარი და მოაქვს აუარებელი სიმდიდრე. ეს სოვდაგარიც მის სიახლოვეს გაჩერდა. როდესაც ყველა დააბინავა ამ სოვდაგარმა, შეისვენა და ისადილა, ადგა და დაიწყო სეირნობა. ამ სიარულში მივიდა იმ ყმაწვილ კაცთან, ფასოსთან, დაუკრა თავი, მოიკითხა და დაიწყეს საუბარი იმ ხის ქვეშ, სადაც ფასო იყო ჩამომხდარი. ხის ტოტზე შემოჯდა ერთი პატარა, მშვენიერი, ათასფერი ბუმბულით დამშვენებული ჩიტი. ეს ფრინველი იქნევს ბოლოს და ჭიკჭიკებს მეტად სასიამოვნოდ. ბევრი ხანი უგდეს ყური და ისიამოვნეს. მოეწონა სოვდაგარს იმ ჩიტის გალობა-ჭიკჭიკი და სიმშვენიერე. უთხრა ფასოს: კარგი იქნება, რომ ეს ჩიტი დავიჭიროთო.

ფასომ უპასუხა: რასაკვირველია, კარგი იქნება, მაგრამ როგორ დავიჭიროთო?

ეს ტურფა და მშვენივრად შემკობილი უცნაური ფრინველიც ზის უძრავად ერთ ალაგას, თითქოს დაბმულიაო, და მღერის თავისთვის უდარდელად. სოვდაგარმა უთხრა ყმაწვილ კაცს: მოდი, ადი ხეზე, თუ დაიჭერ, აი, ხომ ხედავ ამ ჩემს აურაცხელ სიმდიდრეს, ხალხს, ამას ყველას შენ მოგცემ, თუ ვერ დაიჭერ, ეგ შენი ქონება, რომელიც ჩემი ქონების მესამედიც არ არის, მე შომეციო.

დაფიქრდა ფასო და მოაგონდა სოლომონ ბრძენისაგან ნასწავლი

სიტყვა: „შენი ძალა კარგად გაზომე წინასწარ, რასაც ვერ შესწვდები, ნუ შეეწვდებიო“. ამის მოგონება და უარის თქმა ერთი იყო.

რაკი ფასომ უარი გამოაცხადა იმ ჩიტის დაჭერაზე, მერე უთხრა სოვდაგარმა: მაშ, თუ შენ ვერ დაიჭერ, მე დავიჭერ და შენი ქონება მე მომეცი, თუ ვერ დავიჭირო, ჩემი სიმდიდრე შენი იყოსო.

ამ სიტყვაზე კიდევ დაფიქრდა ფასო და გუნებაში თქვა: თუ დაიჭირა და ჩამომართვა სიმდიდრე, გავბრუნდები ჩემ მამობილ-დედობილთან და იმდენს კიდევ მომცემენ, რომ ჩემი ცოლ-შვილი გავახაროო.

ეს პატარა მშვენიერი ფრინველი იქვე ზის უძრავად და ჭიკჭიკებს. დაუძახა სოვდაგარმა თავის ხალხს და ფასომ — თავისებს. დასხეს და დააწერინეს პირობის წერილი, დაამტკიცეს ხელისმოწერით და ბეჭდების დასმით.

ადგა სოვდაგარი და მიეპარა ჩიტს. უნდა სტაცოს ხელი და დაიჭიროს, ამ დროს ეს ჩიტი შეხტა და ცოტა ზემოთა ტოტზე შეჯდა. სოვდაგარი ავიდა ცოტა მაღლა და წასწვდა. ჩიტმა შეატყო დაჭერას მიპირებსო, აფრინდა და ზემოთა ტოტზე შემოჯდა. ასე ამ დიდ და უშველებელ ხეზე რამდენჯერმე გამოიცვალა ჩიტმა ადგილი. სოვდაგარიც თან მისდევს. როდესაც ავიდა ხის კენწეროზე და ჩიტს აღარ დარჩა გადასანაცვლებელი ტოტი, შეიფრთხიალა და გაფრინდა. სოვდაგარი ჩამოვიდა ხიდან. ფასომ მიუმატა თავის სიმდიდრეს სოვდაგრის სიმდიდრე და გაემგზავრა შინ. ლოცავდა თავის მასწავლებელს.

იმგზავრა ამ ჩვენმა მდიდარმა ყმაწვილმა კაცმა ფასომ რამდენიმე კვირას და მიუახლოვდა თავის სოფელს, თავის მიწა-წყალს. უხარია ჯერ სიმდიდრე და მერე ცოლ-შვილის ნახვა. დარჩა ორი დღის სავალი გზა მის სოფლამდის. შეხვდა ერთი თავისი მახლობელი მეზობელი, რომლისთვისაც ბევრჯერ მჭადის ნატეხები უთხოვია ფასოს, მაგრამ მეზობელს არც კი უსესხებია. ველარ იცნო თავისი ღარიბი მეზობელი. ფასომ კი რა წამს დაინახა, მაშინვე გულმა ფრიალი დაუწყო, გაიხარა და მეტისმეტი სიხარულისაგან თვალებიდან სიხარულის ცრემლებმა დაუწყო დენა და გულამომჯდარმა დაუძახა:

— ტიტე, აბა, აქეთ მობრუნდიო!

ტიტე შეკრთა, შეშინდა, იფიქრა: ეს უსათუოდ მეფე იქნება, მაგრამ ჩემი სახელი რა იცის და რად მეძახისო!. გულში ელდამ გაუარა და თავში ათასნაირი ფიქრი წარმოუდგა. ხან ფიქრობს: დანაშაული ხომ არა მაქვს რა და იმისთვის მეძახიანო, ხან — ტყუი-

ლად ხომ არავინ მიჩივლა და არ დამაბეზღაო. უნდა მიახლოვება, მაგრამ ვერ გაუბედავს.

რამდენიმე დაძახების შემდგომ მიუახლოვდა, მდაბლად თავი დაუკრა და ხმა კი ვერ ამოუღია შიშისაგან, თითქმის ენა ჩაუვარდა. ფასომ, რაკი შეამჩნია ტიტეს ასეთი შეკრთომა, მაშინვე მივიდა, გადაეხვია და დაუწყო კოცნა. ტიტე სრულებით ვერ მიხვდა, თუ ეს იმისი ღარიბი მეზობელი ფასო არის. მერე ფასომ უთხრა: კაცო, შენ ჩვენი ტიტე არა ხარო?

ტიტე ფიქრობს: მე ვინა და ეს ვინა, მე ჩემ დღეში და ჩემს სიცოცხლეში თვალით არ მინახავს ამისთანა კაცი და ეს კი თავისას მეძახისო. ფასომ კიდევ ჰკითხა: მართლა ვერ მიცანიო?

ტიტეს ენიშნება თვალებში, ლაპარაკში, მაგრამ რას მოიფიქრებს, თუ ეს ოქროქსოვილით მეფის მსგავსად ჩაცმული და დახურული კაცი მისი ღარიბი და საცოდავი მეზობელი ფასოა! ვერა და ვერ მოიფიქრა და ვერ მოიგონა ტიტემ მისი ვინაობა. მერე კანკალით მოახსენა პირში ნერწყვგამშრალმა: ვერა, ბატონო, ვერ გიცნობ, თუმცა კი გამსგავსებ ვისმე ჩემგან როდისმე ნახულს, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, ვინა ბრძანდებითო.

— კაცო, — უთხრა ფასომ, — მაშ, ვერ მიცნობ? სამ წელიწადზე მეტი ხომ არ არის, რაც სახლიდან და ჩემი სოფლიდან წამოვედი.

გაიგონა თუ არა ტიტემ, გაჰკვირდა, განცვიფრდა, სიტყვა ვეღარ მოუხერხებია რა, რომ თქვას რამე! მერე როდის ამოილუღლუღა:

— ფასო, შენა ხარ?!

— სწორედ მე ვარ, — უპასუხა ფასომ.

— ვისია ეს ამოდენა სიმდიდრე? — ჰკითხა ტიტემ ფასოს.

— ჩემიაო, — უპასუხა.

— სად და როგორ იშოვე?

ამ კითხვაზე ფასომ პასუხი აღარ მისცა რა. უბრძანა ბიჭებს საღილის მოტანა, დასხდნენ სამი წლის უნახავი მეზობლები და ისეთი დროება გაატარეს, რომ მეტი აღარ შეიძლება. სადილობის დროს ფასომ თავის თავგადასავალსა და სიმდიდრის შოვნაზე უამბო. სადილის შემდგომ ჰკითხა ტიტეს: ჩემი საცოდავი ცოლ-შვილი როგორღა არისო?

— შენი ცოლ-შვილი, შენი ჭირიმე, სადღა არის? ყველანი, შენ რომ თავი დაანებე, იმავე წელიწადს დაიხოცნენ; შენი ნაქოხარიც აღარ არის, იმით თუ შეატყობ, რომ აქ როდისმე ქოხი მდგარაო,

რომ წვიმისაგან გუბე დგება და ბაყაყით ივსება, რომელთა ყიყინისაგან მოსვენება არა გვაქვს. რამდენჯერმე მოვინდომეთ მისი ქვითა და მიწით ამოვსება, მაგრამ ვერ მოვიცალეთო.

გაიგონა თუ არა ფასომ ეს ამბავი, შემოიკრა და შემოიკრა თავში, თავ-პირი დაისისხლიანა და მწარედ იტირა. მისმა მოსამსახურეებმა ძლივძლივობით დააშოშმინეს და ნუგეში სცეს. შემდგომ ამისა იფიქრა ფასომ: რაღად მინდა რომ წავიდე ჩემს სოფელში ქვეყნის სამასხარაოდ? ამას არ მეტყვიან: სარჩო და სიმდიდრე რაღა ოხრად გინდაო, ცოლ-შვილი შიმშილით გაწყვიტეო! ამის მოფიქრება და უკან დაბრუნება ერთი იყო.

უკანვე გამობრუნებულმა ფასომ, იმგზავრა რამდენიმე დღე. თვალზე ცრემლი არ შეშრობია, აღარცა ჭამს და აღარცა სვამს, სიცოცხლეში წილი აღარ უძევს! ასეთი მწუხარებით მიაღწია იმ ალაგს, სადაც შეხვდა სოვდაგარი. აქ ჩამოხდა, გააშლევინა ოქროს ქსოვილი, დაიდო თავისი მუთაქა და წამოწვა მწუხარებით სავსე. ფიქრობს: სად უნდა წავიდე და ამოდენა სიმდიდრე სად და ვის უნდა მივუტანოო? ამ ფიქრში რომ იყო, შეხედა იმ ხეს, რომელზედაც ჩიტი იჯდა და გუნებაში თქვა: სოლომონ ბრძენს რომ არ ესწავლებინა მისი სიბრძნე, ხომ დავიღუპებოდიო? ამ დროს გახსენდა მესამე სიტყვა: „რაც შენი თვალით არ ნახო, სხვის ნათქვამს ნუ დაიჯერებო“.

ამის მოფიქრება და სახლისაკენ გაბრუნება ერთი იყო. უბრძანა დატვირთვა საქონლისა. მსახურთ აღასრულეს ნაბრძანები და გამოემგზავრნენ. რადგან საქონელი ერთი კვირის შესვენებული იყო, იმგზავრეს ჩქარა. ფასო ხან მწუხარობს, ხან მოილხენს, გუნებაში ფიქრობს: იქნება სოლომონ ბრძენის სიტყვა ამიცხადდეს და იმ კაცის სიტყვა სულ სიცრუე გამოდგესო.

იმგზავრეს ათიოდე დღე და, ბოლოს, მიუახლოვდნენ თავის სოფელს. სოფლის ნაპირიდან გაიყოლა რამდენიმე კარგი, რჩეული კაცი და წავიდა სახლისა და ცოლ-შვილის სანახავად. შორიდანვე დაინახა თავისი საცოდავი ქოხი. მივიდა და ჩამოხტა ქოხის წინ. მისი ცოლი დახეულ კაბის კალთას ხან აქეთ მხარეს მოიფარებდა და ხან იქით. ფასომ დაინახა თუ არა თავისი ცოლი ასეთ ყოფაში, სიხარულისაგან ვეღარა გაიგო რა, გადმოხტა ცხენიდან, მივარდა ცოლს, გადაეხვია და დაუწყო კოცნა... საბრალო დედაკაცმაც, თავზარდაცემულმა, დაიწყო ხმამაღალი წივილ-კივილი და უთხრა: ვინა ხარ, შე წყეულო და შეჩვენებულო! სიღარიბე, შიმშილი და სიტიტვლე არ მეყოფა, რომ ახლა შენც გული არ გადმომიბრუნო?

თუმცა მეტად ღარიბი ვარ, მაგრამ ჩემს სინდისს, პატიოსნებას ვერ ვუღალატებ და ქმრის ღალატს არ გავბედავ, თუნდა სულიც ამომდიოდესო!

— აბა, შემომხედე, თუმცა ღარიბული ტანისამოსი გამოვიცვალე და მეფური ჩავიცვი, მაგრამ ნუთუ მართლა ვერა მცნობო?!

ცოლმა ხმაზე მიამსგავსა და თვალებში რომ შეხედა, იცნო. სიხარულისაგან გული წაუვიდა.

როდესაც ცოლმა იცნო ქმარი და დარწმუნდა, რომ ის არის, გადაეხვივნენ ერთმანეთს. გაკვირდნენ მიყოლილი საპატიო კაცები და ამბობენ გუნებაში: ამას რას ვხედავთ, ნუთუ ეს საცოდავი დედაკაცი არის ამის ცოლიო?

როდესაც მოიკლეს ერთმანეთის სურვილი, ფასო გამოვიდა კარში და ბრძანა ხურჯინების ჩამოხდა. მაშინვე მშვენიერი და ძვირფასად შემკობილი ტანისამოსი შეუტანა ცოლსა და ჩააცვა. თუმცა ტანსაცმელი კარგი და ძვირფასი იყო, მაგრამ სიღარიბისაგან მეტად ფერმიხდილია ზილფა. შავი, მაყვალივით თვალები და წამწამ-წარბები ამშვენებენ მის მაღალ ტანს და წვრილ წელს. მეტადრე, როდესაც ჩაიცვა ახალი ტანისამოსი, სრულებით გამოიცვალა, ახლა ვეღარავინ იცნობს, თუ ის ღარიბი ზილფა არის!

ფასომ მოიკითხა თავისი ორი ვაჟი და ერთი ქალი.

— ვაჟები სამუშაოდ არიან, დღეში თითო მჭადზე, და ქალი მეზობელს მატყლს უწეწავსო, — უპასუხა ცოლმა.

— იმას რაღას აძლევენო?

— იმას ფასს არ აძლევენ, — უპასუხა ზილფამ, — მარტო უნდა მჭადი აჭამონო. საღამოზე შვილები ორ მჭადს მოიტანენ, დღევანდელს ნამუშევარს, იმათ თვითონ კი აღარა ენდომებათ რა, ერთი მჭადი ამაღამ მე მეყოფა და მეორე მჭადი — ხვალ, მანამდის კიდევ მომიტანენ. ასეთ მწუხარებასა და ვაი-ვაგლახში ვატარებთ ჩვენს სიცოცხლეს, მაგრამ რაკი შენ დაგინახე, ახლა თუნდა ამაზე უარესი ღარიბი ვიყოო.

ისაუბრეს კარგა ხანს. ფასომ გაგზავნა რამდენიმე კაცი და მოატანინა სახლთან ყოველი თავისი ნაშოვნი.

მის სახლთან არ იყო იმოდენა ალაგი, რომ მოთავსებულიყო იმისი სიმდიდრე, იქირავა სხვისი ეზოები და იქ დააწყო, ვიდრემდის ალაგს უშოვნიდა. საღამოზე მოუვიდნენ შვილები, მაგრამ შიშისაგან ხმა ვერ ამოუღიათ. იმ საცოდავებს ჰგონიათ: მტერი დაგვცემია და ისედაც სიღარიბისაგან შეწუხებულები უნდა

აგვიკლოს და დაგვხოცოსო! გამოვიდა იმათი დედა, მაგრამ რას იცნობენ ოქრო-ქსოვილით მორთულს! ჯერ ჰატარა ქალს ახარა: შვილო, მამაშენი მოვიდა და ეს ამოდენა ქონება მოგვიტანაო. მერე ვაქებს გადაეხვია და დაუწყო კოცნა: მოდით, შვილებო. ახლა მამათქვენია.

საცოდავებს მაინც არა სჯერათ. გამოვიდა მამა, დაკოცნა ყველანი. შეიყვანა სახლში, გამოუცვალა ტანსაცმელი და მიეცნენ ყველანი გამოუთქმელ სიხარულს.

ხელმწიფე და მეღორე

დასავლეთში მეფობდა ძლიერი ხელმწიფე, სახელად ალექსანდრე მაკედონელი. მთელი დასავლეთი დაიპყრო. სადაც კი მივიდოდა, ხალხს სპობდა, სისხლის ღვარს აყენებდა და ამიტომ სასტიკი მეფის სახელი ჰქონდა გავარდნილი. მხოლოდ აღმოსავლეთის მეფე არ ემორჩილებოდა. ბევრჯერ განიზრახა მისი დამორჩილება, მაგრამ ვერაფერს გახდა. აღმოსავლეთის ხელმწიფე ალექსანდრე მაკედონელის მუქარას ყურსაც არ უგდებდა.

ერთ დღეს ალექსანდრე მაკედონელმა დაიბარა ნაზირ-ვეზირები და უბრძანა: საჩქაროდ გამიგეთ, დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე რამდენი ხნის სავალია, აღმოსავლეთის ხელმწიფესთან ომი უნდა დავიწყოო!

უფროსმა ვეზირმა სასტიკ მეფეს კითხვა გაუბედა: დასავლეთის დიდო ხელმწიფევ, შენი საბრძანებელი თვალმიუწვდომელია, დასავლეთის ყველა ქვეყანა შენი მონა-მორჩილია, შენი შიშით იქ მიწაზე ჭიანჭველას ვერ გაუვლია და ჰაერში ფრინველებს ვერ უფრენიათ, რად გინდა აღმოსავლეთი, იქ ხომ საშიში ველურები ცხოვრობენო.

ამ სიტყვებმა საშინლად გააბრაზა ისედაც ბრაზიანი ხელმწიფე. უფროსი ვეზირი მაშინვე გარეთ გამოაგდო, ვეზირობა ჩამოართვა და მეჯინიბედ დაიყენა.

უმცროსი ვეზირები შეწუხდნენ. განრისხებულ ხელმწიფესთან მისვლას ვერავინ ბედავდა. დაიბარეს მეცნიერები და რჩევა ჰკითხეს. პასუხი ვერ გაიგეს. ერთი მეღორე გამოტყვრა: მიმიყვანეთ ხელმწიფესთან, მე მას ვასწავლი აღმოსავლეთის გზასო!

ვეზირებმა თავხედი მეღორე ჯერ ახლოსაც არ მიიკარეს, მაგრამ

არ მოეშვა. ბოლოს ვეზირებმა იფიქრეს: იქნებ რამე იცოდეს და გვიშველოსო, და მიუყვანეს ალექსანდრე მაკედონელს. ხელმწიფემ მეღორეს ჰკითხა:

— აბა, მითხარი, დასავლეთიდან აღმოსავლეთამდის რამდენი ხნის სავალიაო?

— დასავლეთის დიდო ხელმწიფევ. ეგ არავინ იცის, მაგრამ აღმოსავლეთიდან დასავლეთამდის კი მანძილი გამოთვლილი მაქვსო,— უპასუხა მეღორემ.

— ჩქარა მითხარი, რამდენი ხნის გზაა? — უბრძანა მოუთმენელმა ხელმწიფემ.

— მანძილი ბევრია, იქ არც შენ ყოფილხარ და არც მე, მზე კი აღმოსავლეთიდან დასავლეთამდის მისვლას ოცდაოთხ საათს უხდებაო. თუ ლაშქრობას აპირებ, გირჩევ, ხელი აიღო, შენ და შენი ჯარი იქამდის თქვენს სიცოცხლეში ვერ მიაღწევთო.

ალექსანდრე მაკედონელს მეღორის რჩევა ჭკუაში დაუჯდა და აღმოსავლეთის ხელმწიფესთან ომზე ხელი აიღო.

ქვრივი ქალი და ვაჭარი

იყო ერთი ქვრივი ქალი. ქმარი ადრე მოუკვდა, მაგრამ ობლებს კარგად ზრდიდა. საქმეში ყოჩაღი იყო, ვერავინ ვერაფერს გამოაპარებდა. მისი ბოროტ კაცსაც ეშინოდა, ეშმაკსაც და ქაჯსაც.

ქალის ქებას ყური მოჰკრა ერთმა ეშმაკმა ვაჭარმა და თქვა: თუ მაგ ქვრივს ვერ ვაჯობე, რაღა ბიჭობა მეთქმისო.

ერთ დღეს მივიდა ქვრივთან, მიესალმა და უთხრა: ძალიან გაქებენ, ვერავინ ვერაფერს გამოგაპარებსო. მოდი, დამენაძლევე, თუ მაჯობოო.

— მე ერთი საწყალი ქალი ვარ, ჩემი ხელით ვშრომობ და ობლებსაც ვზრდი, რა სანაძლეო შემიძლია, მაგრამ თუ შენ სურვილი გაქვს, დავნაძლევდეთო, — უპასუხა ქვრივმა.

— რაზე დავნაძლევდეთო? — ჰკითხა ვაჭარმა.

— ხვალ დილით მზის ამოსვლას ვინც უწინ გაიგებს, მოგებული ის იყოს და წამგები ერთ წელიწადს მეჯინიბედ ემსახუროსო! — უთხრა ქალმა.

დადეს ეს სანაძლეო. მეზობლები მოწმედ დაისწრეს, ივახშმეს,

დაწვნენ და დაიძინეს. ეშმაკი ვაჭარი ღამით ჩუმად ადგა, გარეთ გამოიპარა, გადმოდგა ბანზე და დაიწყო აღმოსავლეთისაკენ ყურება, მზემ აბოსვლა არ მომასწროსო. თვალი არც კი მოუხუჭავს. ქვრივმა კარგად გამოიძინა. მამლებმა უკანასკნელად რომ იყივლეს, წამოდგა, ხელ-პირი დაიბანა, ცოტა ისაუზმა, გარეთ გამოვიდა და კიდეც ირიჟრაჟა. თავს წაადგა ბანზე დაყუნტულ ვაჭარს, ბრაზით შეხედა და უთხრა:

— აბა, წამობრძანდი, მეჯინიბობა უნდა ჩაგაბარო, სანაძლეო ხომ მოგიგე!

— რას ამბობ, ჯერ მზე არსად ჩანს, სანაძლეო საიდან მოიგე?

— შე საბრალოო, აბა, გახედე ბრუტსაბძელას, ნახე, მის წვერზე როგორ თამაშობს მზის სხივები!

ვაჭარმა ჩრდილოეთისაკენ მიიხედა და, მართლაც, დაინახა, ბრუტსაბძელას მზის სხივები ოქროსავით შეფრქვეოდა.

— ქალი კი არა, მართლა ეშმაკი და ქაჯი ყოფილხარო, — უთხრა შერცხვენილმა ვაჭარმა ქვრივს და თავი ჩაღუნა.

სხვა რაღა გზა ჰქონდა, მთელი წელიწადი მეჯინიბედ ემსახურა.

დაკარგული შარვალი

იყო და არა იყო რა, ცხოვრობდა ერთი ბრიყვი კაცი, რომელსაც სამი გასათხოვარი ბრიყვი ქალი ჰყავდა. კაცს ერთი დახეული შარვლის მეტი არაფერი გააჩნდა, ქალიშვილები კი ნახევრად ტიტვლები დაუდიოდნენ. ბრიყვი კაცის გვერდზე ცხოვრობდა ერთი ვაჟი, რომელსაც შინ არავინ ჰყავდა.

ერთხელ ვაჟმა შარვალი გარეცხა და გასაშრობად გაფინა. ამოვარდა ძლიერი ქარი, გარეცხილი შარვალი გაიტაცა და ბრიყვი კაცის ეზოში გადააგდო. ბრიყვმა გაიხარა. ვაჟმა ბევრი ეძება თავისი შარვალი, მაგრამ ვერსად იპოვა.

ერთ დღეს დაინახა, მისი შარვალი ბრიყვ კაცს ეცვა. ვაჟმა უთხრა: ეგ შარვალი ჩემია, ჩქარა გაიხადე, რად მომპარეო!

— არა, არ მომიპარავს, ვიპოვეო, — უპასუხა ბრიყვმა.

ვაჟი რომ არ მოეშვა, ბრიყვმა კაცმა უთხრა: ოღონდ შარვალს ნუ გამხდი და ერთ ქალს მოგათხოვებო!

ვაჟმა აირჩია უფროსი ქალი და წაიყვანა. მიიყვანა შინ, გააცნო

ოჯახი, აჩვენა სად რას ინახავდა, სად იყო კარაქი, ერბო, ხორცი.

ერთხელ ვაჟი სხვაგან წავიდა. ქალი შინ მარტოდ დარჩა. მოულოდნელად წვიმა წამოვიდა. ნახვრეტებიდან წყალი ჩამოვიდა. ქალმა წაიღო კარაქი და ნახვრეტების გამოლესვა დაიწყო. კარაქი სულ დადნა და დაიღვარა. საღამოს ვაჟიც დაბრუნდა.

— როგორა ხარო, — მოიკითხა ცოლი.

— რაღა როგორა ვარ, ამ დანგრეულ სახლს სულ ვლესავ, მაგრამ გალესვა არ ეღირსაო, — უპასუხა ქალმა.

— რითი ლესავო? — ჰკითხა ვაჟმა.

— კარაქითო! — უთხრა ქალმა.

ვაჟი გაბრაზდა და ბრიყვი ქალი სახლიდან გააგდო. მივიდა ბრიყვ კაცთან და თავისი შარვალი მოსთხოვა.

— ოღონდ შარვალს ნუ გამხდი და მეორე ქალს მოგათხოვებო! — უთხრა ბრიყვმა.

წაიყვანა ვაჟმა შუათანა და. რა იცის, რომ ესეც ბრიყვია! დაარიგა, ყველაფერი აუხსნა, ასწავლა.

მეორე დღეს ვაჟი სამუშაოდ წავიდა. ქალმა ნახა, ვირი ტალახში იყო ამოსვრილი. აიყვანა, ვარცლში ჩააწვინა, თბილი წყლით გაბანა, გაამშრალა, სუფთა ლოგინი გაუშალა და შიგ ჩააწვინა.

საღამოს ვაჟიც დაბრუნდა. ეს რომ დაინახა, გაბრაზდა, ბრიყვ ცოლს მაგრად სცემა და სახლიდან გააგდო. მივიდა ისევ ბრიყვ კაცთან და თავისი შარვალი მოსთხოვა.

— ოღონდ შარვალს ნუ გამხდი და უმცროს ქალს მოგათხოვებო. — უთხრა ბრიყვმა.

წამოიყვანა ვაჟმა ახლა უმცროსი და.

ერთხელ სტუმარი მოუვიდა. ქალს უთხრა, კერძი გააკეთეო. ქალი ნაგვის ყუთთან მივიდა, შიგ ბაყაყი დაინახა, ხორცი ჩაუყარა და უთხრა: ბაყაყო, კერძი გააკეთე, ნახევარი შენ და ნახევარი ჩვენო.

ცოტა ხნის შემდეგ ვაჟმა ქალს ჰკითხა: კერძი რა უყავი, რატომ არ მოგაქვსო?

— მზარეულს მივეცი, აკეთებსო. — უპასუხა ქალმა.

გაიხედეს და დაინახეს, რომ ხორცს ძაღლები მიათრევდნენ. ვაჟმა ეს ბრიყვი ქალიც გააგდო სახლიდან, იმ კაცს შარვალი გახადა: ბრიყვი ყოფილხარ და ბრიყვი ქალებიც გაგიზრდიაო.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

მ ე დ ა ი რ ე

იყო ერთი მედაირე. თუმცა თავისი ხელობა კარგად ჰქონდა შესწავლილი, მაგრამ რადგანაც არავინ იცნობდა, ვერსად მიდიოდა.

ერთხელ ცოლმა უთხრა: რას ჩამოგიკიდია დაირა და შეჰყურებ. წადი, იქნებ იშოვო რამეო.

ქმარმა დაუჯერა და წავიდა.

ერთ ადგილას სასახლე დაინახა და მივიდა. თურმე, იქ ქორწილი ჰქონდათ გამართული. დაჯდა ჩვენი მედაირე და დაუკრა დერეფნის ქვეშ. ხალხს გაუკვირდა: ასე მშვენივრად ვინ უკრავსო? იპოვეს მედაირე და აიყვანეს ქორწილში.

მოაგროვა ოც თუმნამდის ფული და როცა ქორწილი გათავდა. წავიდა სახლისაკენ. შინ რომ მივიდა, ცოლმა ჰკითხა: რა იშოვეო? მედაირემ ჩაიყო ჯიბეში ხელი. უნდოდა ფული ამოეღო, მაგრამ ხახამშრალი კი დარჩა... თურმე ჯიბე დახეული ჰქონებოდა და ის ფულები სულ დაჰკარგოდა. ბევრი იდარდა, მაგრამ რაღას იზამდა. გაჯავრებული დაჯდა და ექვსნაკეცი ტილოს ჯიბე დაიკერა.

წავიდა მეორე დღეს კიდევ რისამე საშოვნელად. წვიმამ მოასწრო, გზა დაკარგა და ერთ ტყეს მიადგა. იქ ერთი კაჭკაჭი დაიჭირა. ჩაისვა უბეში და გააგრძელა გზა. ამასობაში კიდეც დაღამდა.

ერთს ადგილას სინათლე დაინახა. დააკაკუნა კარები და შეეხვეწა სახლის პატრონს: სახლში შემიშვიო. იქიდან ქალმა უპასუხა: ქმარი შინ არა მყავს და როგორ შემოგიშვაო?.. ბევრი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ, როგორც იყო, შეუშვა, დაუგო კარებს უკან ლოგინი და უთხრა: დაიძინეო. მედაირეს ძილი არ მოუვიდა, მაგრამ ისე აჩვენა თავი, ვითომ ეძინა. ქალიც არ აპირებდა ძილს, ეტყობოდა, ვიღაცას უცდიდა.

ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ვიღაც კაცი. ქალი მიეგება და უთხრა: რად დაიგვიანე, ჩემო საყვარელოო. ისიც მიესაყვარლა. მერე გაშალეს სუფრა და დაიწყეს ქეიფი. ქეიფის შემდეგ ქალმა სუფრა აალაგა, ლოგინი გაშალა და დაწვნენ. ყველაფერს ამას მედაირე უცქეროდა.

არ გასულა ბევრი ხანი, რომ კიდევ კარების კაკუნი მოისმა. ქალმა უთხრა თავის საყვარელს: ჩქარა ქვევრში ჩაძვერი, თორემ ჩემი ქმარი მოგკლავსო. ჩასვა ქვევრში და თვითონ კარები გაუღო ქმარს.

— ამდენი ხანი რად მაცდევინე? — ჰკითხა ქმარმა.

— მეძინა და ვერ გავიგეო! — ცბიერად უპასუხა ცოლმა.

ქმარმა ტანისამოსი გაიხადა და მედაირეს თვალი მოჰკრა.

— ეს ვინ არისო?

— ვიღაც კაცია და აქ თავი შემოაფარაო.

— მაშ, გაალვიძე და ვახშამიც მოგვიტანე, ერთად ვჭამოთო.

ქალმა სუფრა გაშალა, ააყენა მედაირე და დასხდნენ პურის საჭმელად, მაგრამ რა გამოვიდა? ძაღლიც კი არ იკადრებდა იმისთანა მჭადს, როგორიც იმათა ჰქონდათ. მედაირემ მოუჭირა ხელი კაჭკაჭს, რომელიც უბეში ჰყავდა, და დააჩხავლა. მასპინძელმა ჰკითხა: ეგ რას ამბობსო?

მედაირემ უპასუხა: თახჩაში ტიკით ღვინოა, გამოიტანეთ და დალიეთო.

შეგზავნა ცოლი და გამოატანინა. მედაირემ კიდევ დააჩხავლა.

— რას ამბობსო?

იმან უპასუხა: თახჩაში ქადა-ნაზუქებია, გამოიტანეთ და ჭამეთო.

გამოიტანეს ისიც. მედაირემ დაუკრა თავისი დაირა და დაიწყეს ქეიფი. ქადები როცა შემოაკლდათ, სტუმარმა კიდევ მოუჭირა ხელი და დააჩხავლა. ასე რომ, ამნაირის ეშმაკობით მედაირემ გამოაზიდვინა დედალი, ნაზუქები, შემწვარი ინდაური და სხვ. ბოლოს, მედაირემ კაჭკაჭი კიდევ დააჩხავლა და, როცა მასპინძელმა მიზეზი ჰკითხა, მან უპასუხა: თქვენ რომ ქვევრი გაქვთ, იმაში მაბანავეო.

გააცხელეს წყალი, ჩასვეს კაჭკაჭი ქვევრში და ზევიდან მდუღარე დაასხეს. კაჭკაჭიც შიგ ამოიფუფქა და იქ მჯდომი კაციც.

მეორე დღეს, როცა მასპინძელი წავიდა, ქალმა უთხრა მედაირეს: ხომ იცოდი, რომ იმ ქვევრში კაცი იჯდა, რად დამღუპეო. მედაირემ გადაჰფიცა.

— მაშ, წაიღე მაინც და დამარხე, რომ არავინ გაიგოსო.

მედაირემ უთხრა: ერთი კარგი ვირი მომეცი და ასი თუმანი ფული და მაშინ დავმარხავო.

რას იზამდა. როგორც გიპირდეს, ისე გიღირდესო, აიღო და მისცა.

მედაირემ შეკაზმა ვირი, შესვა ზედ გაფუფქული კაცი, დაამაგრა და წავიდა. მივიდა ბოლოს ერთ კალოსთან. მუშები პურსა ჭამდნენ. მედაირემ მიუშვა ვირი ხვავზე და თვითონ მიეფარა. დაინახეს მუშებმა ვირი და შეუტიეს: კაცო, ხვავს რად აჭმევ, ბზე აჭამეო.

მაგრამ მკვდარი კაცი რას გაუგებდა. გაჯავრდნენ მუშები და შეშოჰკრეს ჯოხი ვირს, ვირი შეხტა და გადმოაგდო მხედარი. გადმოხ-

ტა მაშინ მედაირე და დაიწყო ყვირილი: რაზე მომიკალით ბებერი შამა, რაზე დაიდეთ ჩემი ცოდოო!

გამოვიდნენ თვითონ მებატონეები და ამშვიდებდნენ, მაგრამ მედაირე არა ცხრებოდა. მაშინ უთხრეს: ორმოც თუმანს მოგცემთ და მკვდარსაც ჩვენ დავმარხავთო, ოღონდ ნურავის გააგებინებო. მაგრამ მედაირე გაიძახოდა: არ მინდა ფულებიო.

დაახარბეს. ას თუმნამდის რომ ავიდნენ, მაშინ დათანხმდა მედაირე. დამარხეს მკვდარი, გადაუხადეს ქელეხი, მისცეს მედაირეს ასი თუმანი და გაისტუმრეს.

იარა მთელი დღე და დაუღამდა ერთ დანგრეულ წისქვილთან. შევიდა შიგ და კუთხეში წამოწვა. შუაღამე რომ გადავიდა, შემოვარდა დათვი, მიათრია წისქვილის დოლაბი და მიადო კარებს. მედაირეს შეეშინდა, მაგრამ მერე თქვა: რაც მომივა, მომივა, დაირას მაინც დავუკრავო. ჩაჯდა ხვიმირაში და დაუკრა. დათვი დაფრთხა, კარებს ველარ მიაგნო, რომ გაქცეულიყო, დაიწყო ტრიალი და ხტუნვა.

ამ დროს მოდიოდა ერთი სოვდაგარი და აუარებელი სიმდიდრე მოჰქონდა თან. დაირის ხმა რომ გაიგონა, თქვა: ამ დანგრეულ წისქვილში რა ამბავი არისო და მიაწვა კარებს. ქვა გადავარდა, გააღო კარები. გამოვარდა დათვი და გაიქცა. მედაირემ დაიწყო ღრიალი: რაზე დამღუპე! დათვი ხელმწიფისაგან მყავდა მობარებული, თამაშობას ვასწავლიდი და შენ კი გამიქციეო.

სოვდაგარმა დაუწყო ხვეწნა: გაჩუმდი, კაცო, ხელმწიფეს ნუ გააგებინებ, თორემ ორივეს მოგვკლავს; იქნებ რამე მოვახერხოთო. მედაირე კი გაიძახოდა: რა უნდა მოვახერხოთ, ახლა რაღა პასუხი უნდა გავცე ხელმწიფესო? სოვდაგარმა უთხრა: ერთი საპალნე ოქრო-ვერცხლი წაიღე და მიართვი, იქნებ დაგჯერდესო, მედაირე თავისას გაიძახოდა. ბოლოს, ორი საპალნე შეაძლია. მაშინ კი დაშოშმინდა მედაირე. გამოართვა ორი საპალნე ოქრო-ვერცხლი და წამოვიდა. მოვიდა შინ და დაიწყო ცხოვრება ბედნიერად.

ზ ა რ მ ა ც ი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი. ქმარი მეტისმეტი ზარმაცი გახლდათ. არაფერს აკეთებდა, მხოლოდ იჯდა, ჭამდა და ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდებოდა და ხან — მეორეზე. ცოლი კი, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, შრომობდა, იმასაც კვებავდა, აცმევდა

და თავის თავსაც; მაინც მეტად ღარიბად ცხოვრობდხენ. იმათ ბედობაზე მარტო ერთი მამული იყო სადღაც შორს, რიყეზე და ქვიშაზე, ჭინჭრისა და ღოლოს მეტი არც არაფერი იდგა იმაზე და არც არაფერი მოდიოდა.

ერთ გაზაფხულზე ცოლმა სთხოვა მეზობლებს, მოახვნევინა, მერე თესლი ჩამოითხოვა, დათესეს. ყანა მოვიდა, რა ყანა, სულ ზღვასავით ღელავდა! დადგა მკათათვე. შემოვიდა ყანები.

ცოლმა უთხრა ქმარს: კაცო, ადექ, წადი, ნახე, იქნება ი მამულზე არაფერი არ მოვიდა და ჩვენ კი ტყუილად იმედი გვაქვსო.

ადგა, როგორც იყო, ზარმაცი, წავიდა მამულის სანახავად. ნახევარი გზაც არ გაუვლია, დაბრუნდა ისევ უკან და ცოლი მოატყუა: ვიყავი და იქ ღოლოსა და ჭინჭრის მეტი არაფერი მოსულა, თესლი რაზე გადავყარეთ ტყუილადაო.

ცოლმა იცოდა, როგორი ყანაც იდგა, მიხვდა, რომ ქმარი ტყუოდა, მაგრამ არაფერი არ უთქვამს. როდესაც სამკალი .გახდა ყანა, ცოლმა უთხრა ზარმაცს: კაცო, ან სამკალს წადი, ან სახლში დარჩი, რძე შედღვიბე, კრუხ-წიწილას საკენკი დაუყარე, თვალი დაიჭირე, ფქვილი გაცერ და პური გამოაცხვეო.

ზარმაცმა სახლში დარჩენა არჩია. კრუხ-წიწილა რომ არსად წასულიყო, ზარმაცმა აიღო ცოლის თხორი (გორგალი), გადაბა ერთმანეთს წიწილებიც, კრუხიც და ისე გაუშვა კალოზე. უცებ საიდანღაც გაჩნდა ქორი, დააფრინდა კრუხ-წიწილას და გააქანა ერთბაშად ყველა. ზარმაცმა აიკიდა ზურგზე საცერი და ფქვილიანი გუდა, სარძეული და ისე გამოუდგა ქორს: კრუხ-წიწილასაც დავაგდებინებ ქორს, ფქვილიც დაიცრება, რძეც შეიდღვიბება და ერთბაშად ყველა საქმეს გავაკეთებო. მაგრამ ვერც კრუხ-წიწილა გააგდებინა, ფქვილიც დააბნია. დაბრუნდა ზარმაცი სახლში, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებული.

„რაღა ვუთხრა ცოლსა, — იფიქრა ზარმაცმა, — საიდან ვუშოვო ან კრუხ-წიწილა და ან ფქვილიო". იფიქრა, იფიქრა და მოიგონა: „ჩემ ცოლს ხომ კვერცხები აქვს, ჩავაწყობ იმათ საბუდარში, ზედ მე დავჯდები და, სანამ ჩემი ცოლი სამკლიდან დაბრუნდება, წიწილებს გამოვჩეკავო". აიღო მართლაც. ჩააწყო კვერცხები ბუდეში, ზედ თავად დააჯდა და მოჰყვა კრუშკრუშს.

საღამოზე ცოლი დაბრუნდა სამკლიდან, ქმარს დაუძახა:

— კარი გამიღე!

— კრუხ, კრუხ, კრუხ! — მოესმა სახლიდან.

— კარი გამიღე! — გაუმეორა ცოლმა.

— კრუხ! კრუხ, კრუხ! — კვლავ მოესმა სახლიდან.

მესამედ დაუძახა ქმარს: სადა ხარ, სად დაიკარგე, კარი გამიღეო!

ჭაგრამ იმას ხმა არავინ გასცა და მარტო კრუშკრუში ესმის. შეამტვრია ცოლმა კარი და შევიდა სახლში. იმისი ქმარი ჩამჯდარა ქათმის საბუდარში და კრუშკრუშებს.

— რა არი, კაცო. ეგ რაღა საქნელი იყო, რასა შვრები? ამოდი მაგ გოდრიდანაო!

— კრუხ-წიწილა ქორმა წამართვა და კვერცხებს დავაჯექი გამოსაჩეკადაო! — უპასუხა ქმარმა.

— შენი გამოჩეკილი არ მინდა, — უთხრა ცოლმა, — ამოდი გოდრიდანაო! ამოიყვანა ბუდიდან ცოლმა ზარმაცი ქმარი, დასვა კერაზე.

მეორე დღეს ცოლმა ჰკითხა ზარმაცს: აბა, რას იზამ, ისევ სახლს მოუვლი, თუ სამკალს წახვალო?

— სამკალს წავალ, — უპასუხა ქმარმა. — თუ დღეში სამ ქათამს დამიკლავ: ერთს სადილად, ერთს სამხრად და ერთს ვახშმად, მარტოკა მე მოვმკი იმ მამულსაო!

— ოღონდ შენ ის ყანა მომკე და თუნდ ოთხ ქათამს დაგიკლავო, — უპასუხა ცოლმა.

წავიდა ზარმაცი ყანაში. მთელი დღე ორი-სამი ძნა ვერ გამოჭრა. სულ ეგდო და ეძინა, სამი ქათამი კი შეჭამა.

ასე გავიდა სამი-ოთხი დღე. ყანა მამულში ჩაიწვა.

ერთ დილას ადგა ზარმაცის ცოლი, ითხოვა ცხენი, კაცის ტანისამოსი ჩაიცვა ტანზე, იარაღიც აისხა, შეჯდა ცხენზე და ქმრისაკენ გასწია. ზარმაცს რომ მიუახლოვდა, დაუძახა: მომკალო, ერთი ზარმაცი კაცი არ იცი, ხელმწიფეს შვილი ჰყავს ავად, უკვდება და ზარმაცის ღვიძლი გვასწავლეს, ის უშველისო!

ზარმაცი შეშინდა და შეჰფიცა: აი, ეს ერთი საათია, რაც მკა დავიწყე და მეტს როგორ მოვმკიდიო.

— თუ საღამომდისინ არ მოგიმკია ეგ ყანა, მოვალ, ვნახავ, თავს მოგჭრი და ღვიძლს ამოგარიდებო, — უთხრა მგზავრმა, გასცდა და წავიდა.

ეცა ზარმაცი ყანას და საღამომდის ბოლი აადინა. დაჯდა გადაწყვეტილი და დაიწყო ქშენა. საღამოზე ცოლმა საჭმელი მოუტანა. მაგრამ რაღა საჭმლის თავი ჰქონდა, იჯდა და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, კვნესოდა. ცოლმა განგებ ჰკითხა: რას დაუღლიხარო?

ზარმაცმა უამბო: ხელმწიფის კაცმა გამოიარა და დამემუქრა:

თუ საღამომდის ამ ყანას არ მომკი. საღამოზე მოვალ. თავს მოგჭრი, ღვიძლს ამოგარიდებ და წავიღებო!

ცოლმა გული გაუკეთა: ნუ გეშინია. მოგიმკია, ის შენ აღარაფერს გეტყვისო!

როგორც იყო, მოიტანეს ძნაც, გალეწეს და ჩაყარეს მარცვალი.

ზარმაცს ერთი ღორი ჰყავდა, რაც რამ ებადა, იმას აჭმევდა. ცოლმა უთხრა: კაცო, ჩვენთვის არაფერი გვაქვს, რომ ვჭამოთ, შენ ღორს აჭმევ. მოვიშოროთ, დავკლათო!

— სანამ უკან ქონი არ გამოეჩრება, არ დავკლავო, — უპასუხა ქმარმა.

ცოლი ადგა, გაათბო ერბო, მიასხა ღორს, მოიყვანა ქმართან, აჩვენა და უთხრა: აი, ისე გასუქებულა, რომ ქონი გამოსდისო.

მცონარამ დაკლა თავისი საყვარელი ღორი, რადგანაც თავისი მუცელი უფრო უყვარდა. ღორის ხორცი მალე შეჭამა ზარმაცმა, ხოლოდ ინის ცოლისაგან დამალული ერთი ბარკალიღა დარჩა. ქმარმა შეიტყო, რომ ჩემ ცოლს ღორის ბარკალი დაუმალავსო და გადაეკიდა, მომეციო. ცოლმა უარი მოახსენა.

— მოვკვდები, თუ არ გამომიჩენო, — უთხრა ზარმაცმა ცოლს. ცოლმა კიდევ არ მისცა.

— მოვკვდებიო, — უთხრა კიდევ ზარმაცმა.

— მოკვდი, თუ მოკვდები, ვის დააკლდებიო, — შემადლა ცოლმა.

ადგა მცონარა, წაწვა ტახტზე, დახუჭა თვალები, ვანაბა სული და მოიმკვდარუნა თავი. ცოლმა ყასიდად დაიწყო ტირილი ქმარზე. მოიყვანა მღვდელი, გააკეთებინა კუბო, ჩადეს შიგ და წაიღეს საყდარში. ცოლი ერთხელ კიდევ მივიდა ქმართან და წასჩურჩულა: გაცოცხლდი, თორემ დაგმარხავთო!

-- მკვდარი ვარ, როგორ გავცოცხლდეო! — უპასუხა ქმარმა.

— გაცოცხლდიო! — დაუყვირა ცოლმა.

— მაშ, თუ ღორის ბარკალს მომცემ, გავცოცხლდებიო. — უთხრა ქმარმა.

— არაო! — ეთხრა ცოლმა.

— მაშ, არც მე ავდგებიო!

წაიღეს მცონარა და დაასვენეს ეკლესიაში. რომ დაღამდა, ზარმაცის ცოლი ადგა. მივიდა საყდრის კართან და დაიძახა: მკვდარნო, ახალნო და ძველნო, გეყურებოდესთ, ადექით. ცაში საყდარი შენდება; ვინც ახალი მკვდრები ხართ, ორას-ორასი აგური უნდა აიტანოთ და, ვინც ძველნი — ას-ასიო!

მცობარამ იფიქრა: ვაჟო, მე ხუთ აგურს აქაც ვერ მოვრეევივარ და იქ ორასი რა ეშმაკით უნდა ავიტანოო!

წამოსტა და გაადინა ფხაჭა ეკლესიიდან. ის დღეა და ის დღე. აღარ მომკვდარა, აღარც ღორის ბარკალი მოუკითხავს და აღარც გვერდზე უგორავნია. მუდამ შრომობდა და იყვნენ ტკბილად და მდიდრად.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
ელასა, მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა...
მთქმელსა და გამგონებელსა
ჭირი გაშოროთ ყველასა.

ორი ცრუპენტელა

იყო ორი ცრუპენტელა. ერთს ერქვა დათუა, მეორეს — პეტრიკელა.

ერთხელ დათუა ცრუპენტელამ ერთი დიდი ტომარა მოიტანა ხავსით მაგრად გატენილი, თავზე მატყლი დაატენა და იმერეთში წაიღო გასაყიდად. კორტოხის წვერზე (სურამის მთაზე) რომ ავიდა და ტურფა იმერეთს გადახედა, სწორედ ამ დროს პეტრიკელა ცრუპენტელა შემოხვდა: ნიგვზის ნაჭუჭებით სავსე დიდი ტომარა ეკიდა, ხოლო ნაჭუჭების ზემოდან ნიგოზი ეყარა.

— გამარჯობა შენი! — შესძახა დათუა ცრუპენტელამ.

— გაგიმარჯოს! — მიუგო პეტრიკელამ.

— საიდან მოხვალ, ან სად მიხვალ?

— იმერეთიდან მოვდივარ ქართლში, გასაყიდად ნიგოზი მიმაქვს. მაგრამ ერთს გეტყვი, თუ დაიჯერებ: ტყუილუბრალოდ იქით-აქეთ სიარულს რას გამოვრჩებით, ქალამნები დაგვიცვდება, სხვა არა იყოს რა. მოდი, ჩვენ სავაჭრო გავცვალოთ: შენ ეს ნიგოზი წაიღე. ქართლში გაყიდე და მე მატყლი მომეცი, დავბრუნდები და იმერეთშივე გავყიდი.

— ძალიან კარგია, ძმობამ! გვირჩევნია ჩვენ ჩვენი სახლებისაკენ დავბრუნდეთ, თრევით რას გავხდებით. აბა, მატყლი და შენც შენი ტომარა ნიგოზი მომეცი.

ამგვარად, ორივ ცრუპენტელამ ტომრები ერთმანეთს გაუცვალეს და თავ-თავიანთი სახლებისაკენ დაბრუნდნენ.

ცოტა გზა გაიარეს და ერთმანეთს რომ ვეღარ ხედავდნენ, სწრაფად გასხნეს ტომრები. ნახეს, რა ნახეს, ერთმანეთი მოეტყუილებინათ.

გავიდა რამდენიმე ხანი. კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს. მიემშვიდობა დათუა და უთხრა პეტრიკელას: მე მეგონა, მარტო მე ვიცოდი ტყუილი, მაგრამ არც შენ ყოფილხარ, ძამიავ, ნაკლები.

— იმე! რა გაგკვირვებია, შე კაცო! თუკი შენ იცოდი რამე, რატომ მეც არ მეცოდინებოდა?!

— მაშ, მოდი, დავძმობილდეთ!

— ძალიან კარგი. იცი რა, მოდი, ერთად დავდგეთ სადმე მოჯამაგირეებად.

— შენი ნება იყოს!

ცრუპენტელები შეუდგნენ მოჯამაგირის ადგილის ძებნას. ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ბოლოს შეიტყვეს, ერთ დედაბერს ორი მოჯამაგირე უნდაო. ადგილი იკითხეს და მივიდნენ იქა.

დედაბერმა უთხრა: ერთი ძროხა მყავს და ეს სახლი მაქვს; ერთმა თქვენთაგანმა ძროხა უნდა ატაროს საბალახოდ და თანაც სალამური, ჩონგური და დაირა უნდა ჰქონდეს, რადგან ჩემმა ძროხამ ცეკვა იცის და უნდა აცეკვოს ხოლმეო. მეორემ კი აქაურობა უნდა დაგავოს, დაასუფთავოს და სხვის ეზოში გადაყაროს ნაგავი. თუ თანახმა ხართ და სამსახურს შესძლებთ, დადექითო.

— თანახმა ვართ, როგორ ვერ შევძლებთო, — უპასუხეს.

მეორე დღეს პეტრიკელა შინ დარჩა სახლ-კარის მოსავლელად, დათუამ კი პური, დაირა, სალამური და ჩონგური აიღო და ძროხას გაჰყვა...

პეტრიკელამ სახლ-კარი დაგავა, დაასუფთავა, ნაგავს თავი მოუყარა და, როცა სხვის ეზოში ჰყრიდა, დაინახეს, მისცვივდნენ და სასტიკად სცემეს: თქვენს ნაგავს ჩვენს ეზოში რატომ ჰყრითო!

ცემისაგან გვერდებდალურჯებული პეტრიკელა ბოლოს ტახტზე დაეგდო.

არც დათუა ცრუპენტელას დაადგა კაი დღე. გავიდა თუ არა ძროხა საბალახოდ, მაშინვე კუნტრუში დაიწყო და საღამომდე ფეხჩაუღებლად დარბოდა.

საღამოს შინ მობრუნდა, დათუაც თან მოჰყვა. სირბილისაგან და შიმშილისაგან ისე დაქანცულიყო, რომ პურის ჭამაც კი არ შეეძლო. შევიდა თუ არა ბოსელში, პეტრიკელას ჰკითხა: რა დაგემართა, ძამიავ, ავად ხომ არა ხარ?

— ავად კი არა!

— აბა, რატომ წევხარ?

— ბოსელი და ეზო დავგავე, ნაგავი სხვის ეზოში გადავყარე, დამინახეს თუ არა პატრონებმა, მიმიწვიეს და კარგად გამომასპინძლდნენ, ბევრი კახურის სმით თავი მიბრუის; შენ როგორიღა დრო ვაატარე?

— მეც კარგ ქეიფზე ვიყავი... დავუკარი დაირა, ჩამოვკარ თიოები ჩონგურის სიმებს და ჩავწკრიალე სალამური. ძროხამაც დაუარა მშვენიერი ფეხმარდი ლეკური. კაცი და ქალი აუარებელი ჭოგვაწყდა, ჩვენთან ისინიც მხიარულობდნენ. წარმოიდგინე, პური ისევ მთელი მოვიტანე: სიხარულით ჭამაც კი არ მომგონებია.

— აბა, რახან ეგრეა, ძმაო, ხვალ მე გავყვები ძროხას და შენ კი მეზობელს ეწვიე და ერთი ლაზათიანად გამოთვერი.

— შენი ნება იყოს, არ გაწყენინებ, — უთხრა დათუამ.

მეორე დღეს ისეთივე დღე დაადგა პეტრიკელას, რაც დათუას ვადახდა: საღამომდე თავქუდმოგლეჯილი არბენინა ძროხამ; დათუა კი ისე დაამქავეს ცემით, ძლივს მიათრია წელი ბოსლამდე.

ამ ღამეს რჩევა შეექმნათ და თქვეს, თუ აქედან არ გავიპარეთ, ან შიმშილს ვერ გავუძლებთ, ან სირბილს და ცემა ხომ ზედმეტიაო.

გადაწყვიტეს გაპარვა, მაგრამ კარებს საღამოობით დედაბერი თვითონ კეტავდა გარედან.

პეტრიკელამ თქვა: — მოდი, ეს ძროხა დავკლათ, ტომარაში ჩავდოთ, მერე ერთმა მეორეს უკიბოს, მაღლა ავიდეს, ჭერიდან აძვრეს და თოკი ჩამოუშვას. მეორემ ტომრით ხორცი მიაწოდოს, შემდეგ თვითონაც მოეჭიდოს და ავიდეს; შემდეგ კი ერთად წავიდეთო.

— ეგ ძალიან კარგი იქნება, — მოუწონა დათუამ, — მე უფრო ღონიერი ვარ, ხორცსაც ავიტან და შენც ადვილად აგიყვანო.

უკიბა პეტრიკელამ, ტომრის ცალი ყური თოკით მაგრად მოაკრა, შიგ ორიოდე ნაჭერი ხორცი ჩადო, თვითონაც ჩაჯდა და დაუძახა: ხორცი ასწი და ტომარა ისევ ჩამოუშვიო. დათუამ ტომარა მაღლა ასწია, ზურგზე მოიგდო და მოკურცხლა. კარგა დიდი მანძილი რომ გაირბინა, დაიღალა და დასვენება მოუნდა. ტომარა ზურგიდან მოიხსნა და ძირს დააგდო.

— ნელა, შე ოჯახქორო, არა მატკინო რა, — შესძახა პეტრიკელამ და ტომრიდან ამოძვრა.

— თვითონ შე ოჯახდაქცეულო! წელი რად მომწყვიტე?

— აბა, ჩემი რა ბრალია: ნუ ვუღალატებთ ერთმანეთს, ნურც

პირში, ნურც ლხინში და არც წელი მოგვწყდება და არც გული, — უთხრა პეტრიკელამ.

ის იყო და ის, ერთმანეთის მოტყუებას თავი დაანებეს, ძმურად, სიყვარულით იწყეს ცხოვრება და ერთმანეთის გატანას არაფერი ერჩივნათ.

მუჭანახევარა

იყო და არა იყო რა, იყო ორი კაცი. ერთი ქოთანი ლობიო ჰქონდათ, მარილი კი აღარ ჰქონდათ, რომ შუქამადისათვის დაეყარათ.

ერთმა უთხრა მეორეს: ხომ ხედავ, მარილი არა გვაქვს, წადი ქალაქში და იყიდე მუჭანახევარი მარილიო!

— დამავიწყდება, — უპასუხა მეორე კაცმა, — როგორ დავიხსომოო.

— წადი და გზაზე სულ ის იძახე: მუჭანახევარი, მუჭანახევარი-თქო!

წავიდა ეს კაცი მარილის საყიდლად ქალაქში. გზაზე ერთი კაცი დაინახა, მოუხნავს მამული, პურსა თესავს და თან იძახის: ერთი ათასად, ერთი ათასადო!

გაიარა კაცმაც და თან ყვირის: მუჭანახევარი, მუჭანახევარიო.

მთესველს ბრაზი მოუვიდა: მე, ერთი ათასად მომივიდეს, ივას ვითხოვ და შენ მუჭანახევარს ამბობო! დაიჭირა და მაგრად სცემა, გული რომ მოიჯერა, თავი დაანება.

კაცმა უთხრა: რადა მცემე, რა დაგიშავე, კინაღამ მომკალიო!

— იმიტომ გცემე, — უპასუხა მთესველმა, რომ მე ვიძახოდი — ერთი ათასად და შენ — მუჭანახევარიო!

— მაშ, როგორ უნდა მეთქვაო? — ჰკითხა კაცმა.

— ერთი ათასად, ერთი ათასად და ბევრსაც დაგიმადლებდიო, — უპასუხა მთესველმა.

წავიდა აქედან მარილის მყიდველი და ერთ სოფელში მივიდა. კაცი ვინმე მომკვდარა და მარხავენ. გაუარა გვერდზე ამ კაცმა და დაუძახა: ერთი ათასად, ერთი ათასადო!

გამოუხტნენ ეს მკვდრის პატრონები, მიარტყეს და მიარტყეს, გული რომ მოიჯერეს, თავი დაანებეს.

— რაზე მკლავთ, თქვე ურჯულოებო, მაშ, როგორ უნდა მეთქვაო? — ჰკითხა მარილის მყიდველმა.

— როგორ და უნდა მოსულიყავ, ქუდი მოგეხადა და გეთქვა: ღმერთსა ვთხოვ, რომ ეგ ამბავი პირველი და უკანასკნელი იყოს თქვენს ოჯახში-თქო! პატივსაც ბევრსა გცემდით და გაგისტუმრებდითო!

წამოვიდა იქიდანაც მუჭანახევარა და ერთ ადგილას ნეფიონს შემოხვდა. მოიხადა ქუდი, დადგა და დაუძახა:

— ღმერთსა ვთხოვ, რომ თქვენს ოჯახში ეგ ამბავი პირველი და უკანასკნელი იყოსო!

გადმოუხტნენ მაყრები, ბიარტყეს და ბიარტყეს, რაც სიგრძე ჰქონდა, ის სიგანე მისცეს.

მუჭანახევარამაც, როგორც იყო, მოიბრუნა სული და უთხრა მაყრებს: რაზე მკლავთ, რა დაგიშავეთ? მე ეგრე მასწავლეს, მაშ, როგორლა უნდა მეთქვაო?

მაყრებმა უთხრეს: უნდა ქუდი მოგეხადა, მოსულიყავი და სულ „ნეფეს გაუმარჯოს", „ნეფეს გაუმარჯოს" — გეყვირაო.

ამათ რომ გადაურჩა მუჭანახევარა, ისევ თავის გზას გაუდგა. ცემისაგან გვერდები სტკიოდა. იმასღა ფიქრობდა: როგორა ვთქვა, რომ ვინმე შემომხვდესო.

გზაზე ერთი მონადირე დაინახა. შემოუყენებია ჩახმახი და მტრედებს ეპარება. მუჭანახევარამ მოიგლიჯა ქუდი და „ნეფეს გაუმარჯოს" ძახილით გაიქცა მონადირისაკენ. მტრედები აფრთხიალდნენ და გაფრინდნენ.

წამოხტა მონადირე და კბილების კრაჭუნით გაექანა მუჭანახევარასაკენ. მოსდო და მოსდო თოფის კონდახი ზურგში, იმდენი სცემა, კინაღამ სული ამოჰხადა. ბოლოს, გული რომ მოიჯერა, დაანება თავი.

მუჭანახევარამ ჰკითხა: სამართალი აღარა გაქვს, კაცო, რომ მცემ, რადა მცემ, რა დაგიშავე? მაშ როგორ უნდა მოვქცეულიყავ. ან რა მეთქვა, ან რა მექნაო?

მონადირემ უთხრა: ხმა არ უნდა ამოგეღო, უნდა დაკუზულიყავ და ისე გაგეცლო; მტრედები ვეღარ დაგინახავდნენ და აღარც მოგხვდებოდაო.

მიდის მუჭანახევარა და ღობეს მიადგა. დაიკუზა და ისე მიიპარება ღობის ძირზე. ოთხ კაცს ფულიანი ქისა დაუკარგავთ და ეძებენ. მუჭანახევარა რომ დაინახეს, როგორ მიიპარება, გამოუდგნენ, სტაცეს ხელი ჩოხის ბოლოში და დაიჭირეს.

— სად მიიპარები, შე ყაჩაღო და არამზადავ, შენა, იპოვე და მალავო?! — ურტყეს და ურტყეს.

იმდენი სცემეს საწყალ კაცს, რომ შინამდის ფეხები ძლივს მიათრია...

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

პური და ხვნა-თესვა

იყო ერთი ძალიან მდიდარი სოვდაგარი. მიდის გზაზე და ხედავს, რომ ერთი გლეხკაცი ხნავს. სალაში არ მისცა. ისევ გუთნისდედა მიესალმა.

— კაცო, — უთხრა სოვდაგარმა, — შე საცოდავო, რას ებრძვი. მაგ მიწას და წელს იწყვეტ. ხომ ხედავ, არცა ვხნავ, არც ვთესავ, მაგრამ არც პური მაკლია და სარჩოც უთვალავი მაქვსო!

გუთნისდედამ არაფერი უთხრა. გასცდა სოვდაგარი და წავიდა თავის გზაზე.

გავიდა რამდენიმე წელიწადი, დადგა საშინელი შიმშილობა მოუსავლიანობისაგან: აღარსად იყო პური საყიდელი. სოვდაგარსაც გაუთავდა პური. ჰშია ცოლ-შვილსაც და თვითონაც. ადგა, წაიღო ბევრი ფული და წავიდა პურის საყიდლად. იარა სოვდაგარმა, იარა და აკი იმ გუთნისდედას მიადგა კარზე. სთხოვა: უნდა პური მომყიდოო.

— რამდენიც გნებავს, მიირთვიო, — უთხრა გლეხკაცმა.

— ერთი ოცი კოდი ამიწყე და რასაც მოხოვ, მოგცემო, — შეაძლია ფული. მაგრამ გლეხმა არ მიიღო: მე ფული არ მინდაო.

— მაშ, რა მოგცეო? — ჰკითხა სოვდაგარმა.

— შენ ცოლს თუ მომცემ, — უთხრა გლეხკაცმა, — მოგცემ პურს, თუ არა და — არაო!

დაფიქრდა სოვდაგარი. იფიქრა, იფიქრა და მერე უთხრა: ცოლი კი არა მყავს, მაგრამ მამიდა კი მყავს, თუ გინდა, იმას მოგცემო, — იცრუა სოვდაგარმა (ცოლი მამიდად გახადა).

— კარგი, — უთხრა გლეხმა, — ავიყვანო.

აუწყო, რამდენსაც წაიღებდა. სოვდაგარმაც მოუყვანა ცოლი.

ეს გლეხკაცი ისე ინახავს იმ სოვდაგრის ცოლს, როგორც თა-

ერს საკუთარ შვილსა და დას: კარგს აჭმევს, კარგს ასმევს, კარგს აცმევს. ჰყავს ცალკე მოსვენებით, სუფთად.

გავიდა რამდენიმე ხანი, ერთი თუ ორი წელი, არის სოვდაგარი სახლში და კედლებსღა შესცქერის. გრძნობს გულში, რომ ამ მდიდრულად მორთულ სახლში, ამ ოქროთი სავსე სკივრებთან ერთი ვიღაც აკლია. შემოეყარა გულს, დაენანა თავისი ცოლი და შერცხვა: რა ოხრად მინდა ამოდენა ფული, ან პური რად მინდა, ვის ვაჭამო. თუკი ჩემი ცოლი აქ არ იქნებაო.

ადგა მაშინვე, ჩაიცვა, წაიღო უთვალავი ოქრო, ფული და გასწია ცოლის გამოსასყიდლად. მივიდა იმ გლეხთან. გამოეგებნენ, შეიპატიჟეს და გაუმასპინძლდნენ მშვენივრად. გაშლილ სუფრაზე აიღო სოვდაგარმა ფაფუკი თეთრი პური და თქვა ლექსად:

პურო, ჩემო სულო და გულო,
ცოლი მამიდად გამიხდა,
ვაჰმე, სულო დატანჯულო!

მისცა გლეხმა სოვდაგარს ცოლი. როგორ გაეხარდა სოვდაგარს, როცა თავისი ცოლი მშვენივრად შენახული და მოვლილი ნახა. გლეხს გულითადი მადლობა შესწირა და ამის იქით ხვნა-თესვის პატივისმცემელი შეიქნა.

სამნი ძმანი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა სამი ვაჟი. ხელმწიფე რომ კვდებოდა, შვილებს ერთი ძვირფასი თვალი დაუტოვა. ერთხელაც დაეკარგათ ეს ძვირფასი თვალი: ერთმა იმათგანმა ჰოიპარა და დამალა, მაგრამ როგორ უნდა აღმოეჩინათ, არ იცოდნენ.

ბოლოს ძმებმა თქვეს: წავიდეთ ჩვენს მოსაზღვრე ხელმწიფესთან, ისიც ჩვენი ტოლი კაცია, და რასაც ის სამართალს დაგვდებს, ისე ჰოვიქცეთო!

ადგნენ ძმები და წავიდნენ იმ ხელმწიფესთან. გზაზე უფროსმა თქვა: ამ გზაზე აქლემს გაუვლია, ცალ გვერდზე თაფლი ჰკიდებია და ცალზე ძმარიო!

შუათანამ თქვა: იმ აქლემს ცალი თვალი ბრმა ჰქონიაო!

უმცროსმა თქვა: იმ აქლემზე ორსული დედაკაცი მჯდარაო!

კარგა გზა რომ გაიარეს, შემოხვდათ ერთი თათარი და იკითხა:

— აქლემი ხომ არ გინახავთო?

— ცალ გვერდზე თაფლი ხომ არ ეკიდა და ცალზე ძმარიო? — ჰკითხა უფროსმა.

— მართალია, ეკიდაო! — უპასუხა თათარმა.

— ცალი თვალით ბრმა ხომ არ იყოო? — ჰკითხა შუათანამ.

— კიო! — უპასუხა პატრონმა.

— ზედ ორსული დედაკაცი ხომ არ იჯდაო? — ჰკითხა უმცროსმა.

— ეგეც მართალიაო! — უპასუხა თათარმა.

თათარმა გაიფიქრა: მეც არ ვიცი ისე ჩემი აქლემი, როგორც ამათ სცოდნიათ, და თუ არ მოიპარეს, საიდან იციანო.

წავიდა თათარი და უჩივლა ხელმწიფესთან. ხელმწიფემ უთხრა ხან ძმათ: სირცხვილია, აიღეთ, ღირებული ფასი მიეცით და მოიშორეთ თავიდან, ნუ ალაპარაკებთო!

ძმებმა უთხრეს: მართალია, ჩვენ არ მოგვიპარავს, მაგრამ ფასს კი მივცემთო.

ხელმწიფემ ჰკითხა: მაშ, საიდან იცით, როგორი იყო ის აქლემიო?

უფროსმა უპასუხა: გზის ერთ ნაპირზე თაფლი იყო ნაწვეთი და ზედ ბუზები ეხვეოდა, მეორე ნაპირზე ძმარი ღვრილიყო, რომელ ბალახსაც დასხმოდა, გაეხმო; ამით გავიგე, რომ ერთ მხარეზე თაფლი ეკიდა და მეორე მხარეზე ძმარიო.

შუათანამ თქვა: აქლემს რომ გაუვლია გზაზე, რომელი თვალიც ბრმა ჰქონია, იმ მხარეზე ბალახისათვის ხელი არ უხლია და რომელი თვალიც საღი ჰქონია, ზოგან ნარი ამოუგლეჯია და ზოგან ბალახიო!

უმცროსმა თქვა: ერთ წყაროზე გაჩერებულიყო აქლემი, ჩამომხტარიყო დედაკაცი და წყალი დაელია: იმ წყაროსთან ლამი ყოფილა, და როდესაც დედაკაცი დასწაფებია წყალს, მუცელი დაუნაბერებია იმ ლამისათვის და კვალი დარჩენილიყო.

გაუკვირდა ხელმწიფეს იმათი სიბრძნე და ჰკითხა: რად მოხვედით ჩემთან, რამ შეგაწუხათო?

ძმებმა ყველაფერი უთხრეს: ბაბამ ერთი ძვირფასი თვალი დაგვიტოვა, როდესაც კვდებოდა. ის თვალი ერთმა ჩვენთაგანმა დამალა და ვერ აღმოგვიჩენიაო.

ხელმწიფემ უთხრა: მოიცადეთ. ამაღამ მოვიფიქრებ და ხვალ ვეტყვითო!

იმ ღამეს ხელმწიფე კარგად გაუმასპინძლდა ძმებს. ერთი მოსამსახურე მიუჩინა: დაუგდე ყური, რას იტყვიან, მერე მოდი და ყველაფერი მიამბეო.

ძმები ვახშამზე დასხდნენ. უფროსმა ძმამ აიღო დანა, მოსთალა მოხრაკულს და თქვა: კარგი მოხრაკულია, რომ ეს ბატკანი ძაღლის რძით არ იყოს გაზრდილიო!

შუათანამ აიღო პური, გატეხა და თქვა: ეს პური რომ სისხლით არ იყოს მორწყული, კარგი იქნებოდაო!

უმცროსმა თქვა: მაგ ხელმწიფემ რა სამართალი უნდა მოგვცეს, როდესაც თვითონაც მეწისქვილის შვილიაო!

ძმებმა ამოიღეს ხურჯინიდან პური, ჭამეს და დალიეს ღვინო. ეს ყველაფერი მოახსენა მოსამსახურემ ხელმწიფეს, უმცროსის სიტყვის გარდა. ხელმწიფემ ჰკითხა: — მითხარი, უმცროსმა რაღა თქვაო?

მოსამსახურე ჯერ არ ეუბნებოდა, ბოლოს კი უთხრა, რადგანაც ხელმწიფემ თქვა: თუ ყველაფერი არ გავიგე, არ იქნებაო!

დაიბარა ხელმწიფემ მეცხვარე და ჰკითხა: გუშინ რომ ბატკანი გამოგვიგზავნე, როგორ იყო გაზრდილიო?

— მაგ ბატკანს პატარას მოუკვდა დედა, — უთხრა მეცხვარემ, — და ძაღლს შევაჩვიე, არ მემეტებოდა სასიკვდილოდაო!

ხელმწიფემ ახლა პურის მომტანს გამოჰკითხა. იმან უთხრა: შემოდგომაზე სარწყავი წყალი ცოტა იყო, ჩვენა და გლეხებს ჩხუბი მოგვდიოდა, დავხოცეთ ისინი, სისხლი შეერია წყალში და იმით მოირწყო ყანებიო.

ამის შემდეგ ხელმწიფე წავიდა დედასთან: უნდა მითხრა, ვისი შვილი ვარო?

— შვილო, — უთხრა დედამ, — რაღა იქნება, გეტყვი ყველაფერს. მამაშენი კარგი ხელმწიფე იყო, დიდი სახელმწიფო ჰქონდა, მაგრამ მემკვიდრე არა ჰყავდა. არ მინდოდა უძეოდ დარჩენილიყო და მისი საბრძანებელი სხვას დარჩენოდა, ამიტომ... მეწისქვილისაგან მეყოლეო.

ხელმწიფემ იფიქრა: ეგენი შემარცხვენენ, თუ თავიდან არ მოვიშორეო, მაგრამ ვერ მოეგონა, თუ როგორი სამართალი მიეცა იმათთვის.

ხელმწიფეს ერთი მზეთუნახავი ქალი ჰყავდა. ქალმა უთხრა მამას: მამავ, ნება მომეცი, მე მივალ ამაღამ მაგათთან და გავიგებ, ვინ არის ქურდიო.

ხელმწიფეს ძალიან გაუხარდა და გაგზავნა ქალი.

იმ ღამეს ქალმა ითამაშა იმ ვაჟებთან; ჭამეს ვახშამი და როდესაც დასაწოლად დაემზადნენ, ქალმა უთხრა: თუ გესიამოვნებათ, ერთ ზღაპარს გეტყვითო.

— დიდი სიამოვნებით მოგისმენთო, — უთხრეს ვაჟებმა.

ქალმა დაიწყო: იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა ერთი მზეთუნახავი ქალი. იმ ქალს და ერთ ვაჟს პირობა ჰქონდათ და ფიცი ნათქვამი, რომ ერთმანეთისათვის არ ეღალატათ. მაგრამ მამამ ქალი ძალად გაათხოვა. ქალმა ჯვარი დაიწერა. როდესაც ერთად დასტოვეს ახალი ცოლ-ქმარი, ცოლმა უთხრა ქმარს: ფიცი მაქვს სხვისათვის მიცემული, რომ არ ვუღალატო და ნუ გამატეხინებ ფიცს, ღმერთს ნუ შემაცოდებ. გამიშვი იმასთან ცოტა ხანს და მერე სულ შენი ვიქნებიო!

ქმარი დათანხმდა და გაუშვა ცოლი.

ქალი მივიდა თავისი მიჯნურის სახლში და ნახა, რომ იმისი მიჯნური პირქვე გდია და ტირის. ქალი მივიდა ახლოს და დაუძახა: — განა ეგრე მაფასებ, რომ ფიცის გამტეხი გგონივარ? აქეთ. შენი ვარო!

ვაჟი ადგა მაშინვე, გადაეხვია ქალს და უთხრა: რაკი შენი ქმარი ეგეთი სინდისიანია და შენ კიდევ მე არ მიღალატე, შენ — და, და მე — ძმაო!

ქალი დაბრუნდა ქმართან, მაგრამ გზაზე ყაჩაღები დახვდნენ და გაუბედეს ძალადატანება. ქალმა სთხოვა:

— ფიცს ნუ გამატეხინებთ, გამიშვითო.

ავაზაკებმაც არაფერი დაუშავეს და გაუშვეს.

ახლა მე გკითხავთ: ვინ მოქცეულა კარგად და ვინ ავადო? — ჰკითხა ქალმა ვაჟებს.

უფროსმა თქვა: ქმარი ყველაზე კარგად მოქცეულაო.

შუათანამ თქვა: საყვარელი და ავაზაკები მოქცეულან კარგადო.

უმცროსმა თქვა: ქმარიც, საყვარელიცა და ყაჩაღებიც საძაგლად და უხეიროდ მოქცეულან. ქმარი იმიტომ, რომ თავისი ცოლი სხვას გაუგზავნა, საყვარელი იმიტომ, რომ საყვარელს დობა უთხრა, და ავაზაკები კიდევ იმიტომ, რომ ახალგაზრდა ქალი ხელიდან გაუშვეს და არც გაძარცვესო.

ქალმა მაშინვე უთხრა ვაჟებს: ნახეთ, უმცროს ძმას უძევს ჯიბეში თქვენი დაკარგული თვალიო.

ნახეს და მართლა იმას ედო.

ოგოლი და ქოსამატყუარა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი საბრალო ობოლი, უქონელი და უყოლელი.

ერთხელ ობოლმა ერთი გუდა საფქვავი იშოვა. წაიღო წისქვილში და დაფქვა. ამ დროს წისქვილში ქოსამატყუარამაც თავისი ერთი ,ვუდა მარცვალი მოიტანა და დაფქვა. წასვლის დროს ობოლს უთხრა: ერთად ვიაროთო.

— ძალიან კარგიო, — დათანხმდა ობოლი.

წავიდნენ, მიდიან გზას. ქოსამ უთხრა: — იცი, რა ვქნათო?

— რაო? — ჰკითხა ობოლმა.

— ისა ვქნათ, — უთხრა ქოსამატყუარამ, — რომ ჩემი ფქვილი მოვზილოთ, შენი მოვუყაროთ საფანლად და შენით მოვზილოთ ჩემიო.

— ძალიან კარგიო, — უპასუხა ობოლმა.

მოზილეს. ჩააკრეს კეცში და წითელ-წითელი შოთები ამოაყენეს.

ეს შოთები რომ ნახა ქოსამატყუარამ, უთხრა: მოდი, ვინც უკეთესი ტყუილი თქვას, შოთები იმას დარჩესო.

— ძალიან კარგიო, — უპასუხა ობოლმა.

ქოსამატყუარამ დაიწყო: ერთი ბატი მყავდა, პაპაჩემის გაზრდილი. ის ოხერი და ტიალი ისეთი კარგი რამ იყო, რომ მთელ ჯალაბობას გვინახავდა: საბნავი იყო, სათიბი იყო, თუ მგზავრობა, სულ ის დაგვყავდა; მე ვჯდებოდი ზედ და ხან მინდვრებზე დავაჭენებდი და ხან მთებზე. ერთხელ, საუბედუროდ, ტყეზე მოვაჭენებდი, უცებ ვნახოთ, ერთი მშიერი ტურა გადმომიხტა, ეცა ჩემს ბატს და გამოგლიჯა გვერდი. წაიქცა ბატი და სულსა ღაფავს. მაშინვე აზრზე მოვედი. მოვგრიხე წნელი, გამოვუწან იმით გვერდი, წამოვახტუნე და გავაჭენე სახლში... ახლა შენი ჯერია, ობოლავო!

ობოლმა დაიწყო: მამაჩემს ასი თვალი ფუტკარი ედგა. მუდამ-დღე ჩამოუვლიდა და თვლიდა. ერთხელ, ერთიც ვნახოთ, დათვალა ფუტკრები, ჩამოიკითხა და ერთი არ დაეკლდა სათვალავში?! მაშინვე აი იქით, აი აქეთ ვეძებეთ... თურმე ფეხი მოსტეხია და დარჩენილა ზღვის გაღმა; მოუსწრია ვიღაც ავაზაკ ხალხს, დაუჭერია. წაუყვანია, შეუბამს გუთანში და ახვნევინებენ.

ნახა ,ამაჩემმა, ძალიან გაჯავრდა: ვინ მოგცათო? — ჰკითხა. უარზე შედგნენ. აი იქით, აი აქეთ, გიხდა ერთი ხათაბალა. ბოლოს.

მოვლო მამაჩემმა ყურზე ხელი და დაეზიდა წასაყვანად. ამ ერთს მოსწყდა კისერი ფუტკარს და თავი ხელში კი შერჩა! მაშინვე ამოიღო მამაჩემმა ჯიბიდან ნიჩაბი, მოუსვა კისერზე ფუტკარს და მოება თავი. ნანიგვზარზე აკი ხე ამოვიდა! გაიზარდა ერთი უშველებელი, დაისხა კაკალი; მუდამ ვბერტყავთ და ვყიდით კაკალს.

ერთხელ კაკალზე ყვავი შემოეჩვია და ხულ გააჩანაგა. ესროლა მამაჩემმა ბელტი და ზედ არ დარჩა! გაიზარდა ის ბელტი, გადიდდა, გაკეთდა ხახნავ-სათიბი მიწები. გავაშენეთ ზედ ვენახი, დავრგეთ ვაზი, ისე გავაჩიხრიხეთ, რომ ერთი სიტყვით, მტერსაც კი ეამებოდა. დაისხა ყურძენი, დამწიფდა მშვენივრად; ვაზებზე მტევნები ხულ წითლად ღვიოდა. ჩვენ ველით, რომ ან ახლა მოვკრეფთ ან ახლა.

უცებ ერთი მელა-ტურა არ შემოგვეჩვია? გაგვიოხრა, გაგვიტაცა ერთიან, ხულ ხელი აგვაღებინა. ერთი სიტყვით, წყალი გადაგვიწურა, გამოქაქა ვენახი. ვთქვი: მოდი, ერთი წავალ. დავუჯდები და ღვერთს გავუნაწყრომებ. დავიჭერ და ხულ კუდით ქვას ვასროლინებ-მეთქი. თქმა და ქნა ერთი იყო; ვიპოვე ხაიდანაც მელა-ტურა შემოძვრებოდა ხოლმე, დავუჯექ და დავუწყე ლოდინი. ერთიც ვნახოთ, მოდის რაღაც და მოაფაჩუნებს. მე თან გული მისკდება შიშით, თან ჯავრით ვსკდები და თან სიხარულით მაკანკალებს: ერთი მელა-ტურა დავიჭირო-მეთქი. მართლაც. მელა-ტურა არ იყო! ვტაცე კუდში ხელი და დავიჭირე, გავუსვი და გამოვუსვი სახრე, გავუსვი და გამოვუსვი: სიკეთე მოგეცეს. მე ის დავზილე დაქარიანებულ კაცივითა! ვცემე და ის კიდევ ხულ ბარათებსა ჰყრის...

— რა ეწერა, მართლა, იმ ბარათებში? — გადაუჭრა სიტყვა ქოსამატყუარამ.

— ობოლს კვერი და ქოსამატყუარას მტვერიო!

დარჩა შოთები ობოლს.

ჭირი იქ დავაგდე,
ლხინი აქ მოვიტანე;
ჭატო იქ დავაგდე,
ფქვილი აქ მოვიტანე.

სამი ძმა და ქოსამატყუარა

იყო და არა იყო რა, იყო სამი ძმა. ის ძმები კარგა მდიდრები იყვნენ. ბლომად ჰქონდათ თვალ-მარგალიტი. იმათი მამა რომ კვდებოდა, შვილებს თურმე დაუგდო ანდერძად: შვილებო, ყველგან ივაჭრეთ, ყველას ენდეთ და ქოსას კი ნუ ენდობითო.

გავიდა ხანი. ძმებს არაფრისათვის არ დასჭირებიათ ქალაქს წასვლა. გაუთავდათ მარილი; ადგა უფროსი ძმა, შეკაზმა ჯორი, აჰკიდა თვალ-მარგალიტი და წავიდა ქალაქს, უნდა მარილი მოიტანოს.

უცებ წინ ერთი ქოსამატყუარა შეხვდა:

— გამარჯვება!

— გაგიმარჯოს!

— სად მიდიხარ?

— ქალაქს, თვალ-მარგალიტი მიმაქვს, უნდა გავყიდო, მარილი ვიყიდო და წავიღო შინაო.

— მე მომყიდე, — უთხრა ქოსამ, — მარილსაც მე მოგცემ და ყველაფერსაცო.

— არა, — უთხრა უფროსმა ძმამ, — მამაჩემმა ის დაგვიბარა ანდერძად, რომ ქოსებს ავადაც მოერიდენით და კარგადაცა; ნურც არას იყიდით იმათგან და ნურც არას მიჰყიდითო.

— კარგი, — უთხრა ქოსამ, — ძალით რა იქნებაო?

გაიქცა მაშინვე, აირბინა სხვა გზაზე, გადაუარა წინ და უთხრა ისევ გამარჯვება.

— სად მიდიხარო?

— მიმაქვს თვალ-მარგალიტი, უნდა გავყიდო, მარილი ვიყიდოო.

— მე მომყიდეო, — უთხრა ქოსამ.

— ვერა, — იუარა კაცმა, — მე მამის ანდერძს ვერ გავტეხო.

— მაშ, სადღა უნდა გაჰყიდო, — უთხრა ქოსამ, — მთელი ქვეყანა სულ ქოსამატყუარებისაგან არის შემდგარიო!

დაიჯერა კაცმა: კარგი, მოგყიდი, რაღა იქნებაო.

ქოსამ უთხრა: ერთს გამოცანას გეტყვი; თუ ის გამოიცანი, ერთი აქლემი მყავს, იმას დაგიტვირთავ თვალ-მარგალიტით, ეგ შენი ჯორიც წაიყვანე, მარილსაც მოგცემ და წადი, თუ ვერა და, შენი ჯორი თავის თვალ-მარგალიტით მე დამრჩებაო.

— ძალიან კარგიო. — გაუხარდა ამ ჯორის პატრონს.

ქოსამ უთხრა: ერთ კაცს ერთი ციცირი ჰყავდა, ის ციცირი დი-

ლით წავიდოდა, ტყეში კვერცხს დასდებდა და საღამოზე ციცირიც და კვერცხიც კაკანით მოვიდოდნენ შინ!

„რა უნდა იყოსო“, იფიქრა კაცმა, მაგრამ რას მოიფიქრებდა? წაგო ჯორიც და თვალ-მარგალიტიც.

წავიდა შინ დაღონებული. ქოსამ მარტო ერთ გირვანქამდე მარილი მოუტეხა და მისცა. მოვიდა შინ უფროსი ძმა და მოიტანა ერთი გირვანქა მარილი.

ადგა ახლა შუათანა ძმა. აჰკიდა ჯორს თვალ-მარგალიტი და წავიდა ქალაქს მარილის მოსატანად. გზაზე იმასაც ისევ ის ქოსა შეხვდა.

— გამარჯვება შენიო! — უთხრა შუათანა ძმას, — სად მიხვალო?

— ქალაქს, მარილი უნდა მოვიტანოო.

— მომეც, მე მოვყიდე, — უთხრა ქოსამ, — მარილსაც მე მოგცემ და ყველაფერსაც.

— არა, — უთხრა შუათანა ძმამ, — მამის ანდერძს ვერ გავტეხ: ქოსას არც არაფერს მივყიდი და მისგან არც არაფერს ვიყიდიო.

ქოსა გასცდება, აირბენს სოფელზე, ვადაუვლის წინ და ეტყვის: მოვყიდე მე, სად მიგაქვსო.

ჯორის პატრონმა დაიშორა: მე ქოსებს არაფერს არ მივყიდიო.

მაგრამ ქოსამ უთხრა: მაშ, ვილას უნდა მიჰყიდო, როდესაც ქვეყანაზე ქოსამატყუარების მეტი არავინ არისო!

დაუჯერა ჯორის პატრონმა და გაურიგდა.

ქოსამ უთხრა: ერთ რამეს გეტყვი, თუ გამოიცან, ეგ ჯორიც შენი იყოს, კიდევ ერთ აქლემსაც აგიკიდებ და მარილს მოგცემ, თუ ვერ გამოიცან, შენი ჯორი თავის ბარგით მე დამრჩებაო.

— ძალიან კარგიო, — დათანხმდა ჯორის პატრონი.

ქოსამ უთხრა: მე ერთი ციცირი მყავდა, დილით წავიდოდა, ტყეში კვერცხს დასდებდა, საღამოზე კვერცხი და ციცირი დაბრუნდებოდა შინ კაკანითო.

ვერ გამოიცნო შუათანა ძმამ. დარჩა ქოსას დატვირთული ჯორი. მოუტეხა ერთი გირვანქა მარილი და გაისტუმრა. შუათანა ძმა მივიდა შინ და მიიტანა ერთი ბეწო მარილი.

ადგა ახლა უმცროსი ძმა. აჰკიდა ჯორს თვალ-მარგალიტი, წაიყვანა და წავიდა ქალაქს. იმ ადგილას რომ ჩაიარა, სადაც იმისი ძმები ქოსამ გაძარცვა, ქოსა გადაუდგა წინ და მიესალმა. ვაჟმაც, რასაკვირველია, უპასუხა. მერე ჰკითხა ქოსამ: სად მიხვალ, სად მიგაქვს ეგ თვალ-მარგალიტიო?

უმცროსმა ძმამ ისე უპასუხა, როგორც სხვა ძმებმა. თან დიდი უარი დაატანა, რომ მე ქოსას არ მივყიდი და არ მივყიდიო.

დაანება თავი ქოსამ, გაიქცა სოფელ-სოფელ. გადაუარა წინ და დაუხვდა გზაში: მე მომყიდე ეგ შენი თვალ-მარგალიტიო.

— არ მოგყიდი, ქოსა ხარო. — უპასუხა ვაჟმა.

— მაშ, ვისლა მიჰყიდი, აქ სულ ქოსებიაო! — უთხრა ქოსამ.

— მაშ, კარგი მოგყიდიო. — უთხრა ვაჟმა.

ქოსამ უთხრა: ერთ რამეს გეტყვი, თუ გამოიცან, შენი ჯორიც შენ დაგრჩება, შენი თვალ-მარგალიტიც. მარილსაც მოგცემ და ერთ აქლემსაც აგიკიდებო.

— კარგიო, — დათანხმდა ვაჟი.

ქოსამ უთხრა: ერთი ციცირი მყავდა, დილით წავიდოდა, ტყეში კვერცხს დადებდა, საღამოზე კვერცხიცა და ციცირიც კაკანით დაბრუნდებოდნენო.

ვაჟმა უპასუხა: ეგ იმას ჰგავს, ჩვენ რომ ერთი თვალი ფუტკარი გვედგა. ყოველდღე ჩამოვუვლიდი და ჩამოვთვლიდი. ერთიც ვნახოთ, ერთხელ დავთვალე, ერთი ფუტკარი აკლდა, მაშინვე წაველ საძებნელად. ვიარე, ვიარე და ზღვას გალმა ვიპოვე: ფეხი მოსტეხოდა, დარჩენილიყო, მომკვდარიყო და ყვავ-ყორნები წიწკნიდნენო.

მეტი ღონე აღარ ჰქონდა, უნდა აქლემისათვის თვალ-მარგალიტი აეკიდა და მიეცა. ქოსამ უთხრა აქლემს: შენ რომ წაგიყვანს, ამა და ამ ადგილას რომ ჭაობებია და ლაფები, იქ ჩაუწექი; რაც უნდა გცემოს, არ ადგე; თუ ღმერთი გაგიწყრეს და ადგე, რომ მიგიყვანს, ბოსელში შეგიყვანს, შენ გაიბერე, კარებში ვერ შეეტევი. თავს დაგანებებს და გამოიქეცი ჩემთანაო.

წაიყვანა უმცროსმა ძმამ აქლემი, წაიყვანა თავისი ჯორიც. წაიღო თვალ-მარგალიტიცა და მარილიც. შუა გზაზე ერთი დიდი ტალახი ნახეს, მივიდა აქლემი და ჩაეგდო შიგ; უმცროსმა ძმამ ხმაც არ გასცა; დაჯდა ღობეზე, ამოიღო ჩიბუხი და დაუწყო წევა. ერთმა კაცმა გამოიარა.

— გამარჯვება! — უთხრა უმცროსმა ძმამ.

— გაგიმარჯოს! სადაური ხარ, სად მიხვალო? — ჰკითხა მგზავრმა.

— ოსოქოლელი ვარ, ჯანაბას მივალო, — უთხრა ვაჟმა და თანაც დაუმატა: ჩვენ სოფელზე ჩაივლი, ჩემს ცოლს ნახავ, ან ორსული იქნება ან არა, ეტყვი: ან გაგიჩნდება შვილი, ან არა, ან გაგიჩნდება ვაჟი ან არა, ან გაიზრდება ან არა-თქო. თუ გაიზარდოს,

უთხარ, შეაბას ურემი და წამოიღოს: ტალახში აქლემი დამრჩა და წავიღოთ-თქო.

აქლემმა იფიქრა: ალბათ ამის ცოლს ვაჟი გაუჩნდება და გაიზრდება, ან ჯანაბით აქ მოვა. მე ხომ დავლპი ამ ტალახში და, შიშველით მოვკვდიო; წამოხტა და გაუდგა გზას.

გაჰყვა თან უმცროსი ძმაც. ბოლოს, სახლში მოვიდნენ და მოიტანეს თვალ-მარგალიტი. გზაზე აქლემი აღარსად დააწოლია. ბოსელში რომ უნდა შეეყვანათ, უცებ აქლემი გაიბერა და არ შეეტია კარებში. ახედ-დახედა ვაჟმა აქლემს და დაუძახა ძმებს:

— ბიჭებო, ერთი ცული გამომიტანეთ, აქლემი განიერი მოვიდა, გვერდები უნდა ჩავათალოო!

აქლემმა იფიქრა: ეგ ისეთი გიჟი რამ ყოფილა, რომ არც კი გაუკვირდება, მართლა გვერდებს ჩამათლისო. დაიფუკა და შევიდა ბოსელში.

მოხადეს აქლემს თვალ-მარგალიტი. თუნდა ათი ჯორის სატვირთო გამოვიდოდა. თავისი ჯორიც თვითონ დარჩა და მარილიც მოიტანა.

ჭირი იქ დავაგდე,
ლხინი აქ მოვიტანე.
ქატო იქ დავაგდე,
ფქვილი აქ მოვიტანე.

ელასა-მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელსა...
მთქმელსაც და ვაჭრონებელსაც
ძილი გვაამოს ყველასა!

სოვდაგრის შვილი

იყო ერთი სოვდაგარი. ჰყავდა ცოლი და ერთი ვაჟი. ეს სოვდაგარი წინათ მდიდარი ყოფილიყო და შემდეგ გაღარიბებულა.

ერთხელ ვაჟმა უთხრა დედას: დედი, იქნებ მამიჩემის სიმდიდრიდან ცოტა ფული გადაგირჩა, მომეცი, ქარავანი მიდის სავაჭროდ და მეც გავყვებიო.

— ოცი თუმანი გვაქვს, შვილო, სამკვდროდ შენახული. სხვა არაფერი გაგვაჩნიაო, — უპასუხა დედამ.

— მომეცი ის ოცი თუმანი, ვაბარგებლებ. იქედან მოგებით მოვიტანო, — უთხრა ვაჟმა.

დედამაც აიღო ოცი თუმანი და მისცა შვილს, ქმარს კი არაფერი უთხრა.

წაიღო ფული ვაჟმა და დაფიქრებული მიდის ქუჩებში. ერთი სახლიდან წიგნის კითხვის ხმა მოესმა. ავიდა, ნახა, რომ სასწავლებელია.

— თქვენსავით წიგნის კითხვა და წერა მასწავლეთ და რასაც მთხოვთ, მოგცემთო, — უთხრა ვაჟმა მასწავლებელს.

— ათი თუმანი მომეცი და გასწავლიო, — მიუგო მასწავლებელმა.

— ოც თუმანს მოგცემ, ოღონდ ჩქარა მასწავლეო.

— კარგიო.

მალე ისე კარგად შეისწავლა ვაჟმა წერა-კითხვა, რომ მასწავლებელს სჯობნიდა. მისცა მასწავლებელს ოცი თუმანი, გამოართვა წიგნები, ქაღალდი, საწერ-კალამი და წამოვიდა შინ. მივიდა დედასთან და უთხრა:

— კარგი საქონელი ვიყიდეთ და მოგვქონდა, გზაზე მეკობრეები დაგვესხნენ თავს და სულ წაგვართვეს, მე გავექეცი და ჩემი ამხანაგები იქვე დახოცესო.

— ნუღარ იდარდებ, შვილო, რადგან შენ ცოცხალი გადარჩიო, — უთხრა დედამ.

გავიდა რამდენიმე დღე და კიდევ უთხრა შვილმა დედას:

— დედი, ფული აღარა გაქვს? მომეცი, ახლა სხვა ქარავანი მიდის, გავყვები, ვაჭრობაში გამოცდილი ვარო.

— ოცი თუმანი-ღა მაქვს, შვილო, რომ მოგცე, ვაი თუ მამაშენმა მოიკითხოს და რა ვუთხრაო? — უპასუხა დედამ.

— არა, დედი, ჯერ არ მოიკითხავს, მომეცი, მოგებას მოვიტანო, — შეეხვეწა შვილი.

მისცა დედამ ის ოცი თუმანიც. წაიღო ვაჟმა ფული და წავიდა. გზაზე ნახა კოჭებს თამაშობდნენ. ყველას ერთი ბიჭი უგებდა. მივიდა ვაჟი მასთან და უთხრა: — მასწავლე კოჭის თამაში, ისე რომ ვერავინ მაჯობოს, და რასაც მთხოვ, მოგცემო.

— ათი თუმანი მომეცი და გასწავლიო, — მიუგო მოთამაშემ.

— ოცი თუმანი წაიღე, მხოლოდ კარგად და ჩქარა მასწავლეო.

ასწავლა მოთამაშემ ვაჟს კოჭის თამაში. ორ დღეში ისეთი მოთამაშე შეიქმნა ვაჟი, რომ მასწავლებელს უგებდა. წამოიღო ორი კოჭი და წამოვიდა. მოვიდა შინ და დედას უთხრა:

— კაცი რომ უბედურ დღეს დაიბადება, ის არის; ვივაჭრეთ. გავემგზავრეთ და ღამით კლდის ძირას დავდექით; მოზვავდა კლდე.

ჩემი ამხანაგები და ნავაჭრი საქონელი ქვეშ მოიტანა; მე განზე ვიდექი და გადავრჩიო.

— რადგანაც შენ გადარჩი, შვილო. საქონელს აღარ დავეძებო, — უთხრა დედამ.

რამდენიმე დღის შემდეგ ვაჟმა ისევ უთხრა დედას:

— დედი, იქნება კიდევა გქონდეს ფული, ყოველთვის ხომ არ ვიზარალებ, ახლა მოგებას ვნახავო.

— რა ვქნა, შვილო, მამაშენმა სულ სამოცი თუმანი მომაბარა, ოცი თუმანიღა დამრჩა, ისიც რომ მოგცე, მამაშენს რაღა ვუთხრაო?

— დედი, განა კიდევ ვიზარალებ? ეგეცა ვცადოთო.

მისცა დედამ ის ოცი თუმანიც და გაისტუმრა. წავიდა ვაჟი. ბევრი იარა, თუ ცოტა, მივიდა ერთ ბაღთან. იქ ხალხი შეკრებილიყო. ზოგი დაფა-ზურნას უკრავდა და ზოგიც თამაშობდა. თამაშობდა ხე, ქვა, ფოთოლი, ბალახი, სულიერი და უსულო. ყველაფერი მხიარულობდა.

— რა მოგცე დაფა-ზურნის დაკვრის ასე კარგად შესწავლაში? — ჰკითხა ვაჟმა მედაფაზურნეს.

— ათი თუმანი მომეცი და ძალიან კარგად გასწავლიო.

— ოცი თუმანი იყოსო.

სამ დღეში ისე შეისწავლა ვაჟმა დაკვრა, რომ მედაფაზურნეს სჯობნიდა. წამოიღო დაფა-ზურნა და წამოვიდა შინ. მივიდა დედასთან და უთხრა:

— უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო რომ იტყვიან, ისეა ჩემი საქმეო. ძალიან კარგად ვივაჭრეთ, დიდი მოგება ვნახეთ და ზღვით ვბრუნდებოდით. ერთ დღეს ძლიერი ქარი ამოვარდა, ხომალდი დაიმსხვრა, ჩემი ამხანაგები ზღვაში დაიღუპნენ, მე ერთ ფიცარზე შევრჩი, ზღვამ ნაპირზე გამომრიყა და გადავრჩიო.

— რადგან შენ გადამირჩი, შვილო, ფულს ვინა ჩივისო, — უთხრა დედამ.

რამდენიმე დღის შემდეგ ვაჟმა მამას უთხრა:

— ჩვენს ქალაქში ერთი მდიდარი სოვდაგარი მოვიდა. ჩამატარე იმის კარზე და დაიძახე: ბიჭი ვის უნდა ერთ ტომარა ოქროზე გასაყიდი-თქო. ის უარის თქმას არ იკადრებს და მიყიდისო.

მამამ აიღო ტომარა, მოჰკიდა ხელი შვილს, წაიყვანა, მდიდარი სოვდაგრის კარზე ჩაატარა და დაიძახა: ვის უნდა ბიჭი, ერთ ტომარა ოქროზე ვყიდიო.

მდიდარ სოვდაგარს გაეცინა და ჩაილაპარაკა: ვინ მისცემს ბიჭში ერთ ტომარა ოქროსო?

შვილმა მამას ხმამაღლა უთხრა: აბა, აქ რისთვის მოვიყვანე. სადა აქვს მაგას ამდენი ოქრო, რომ გაიმეტოსო?

ითაკილა მდიდარმა ეს, მაშინვე აავსო ტომარა ოქროთი, მისცა მამას და ბიჭი დაიტოვა.

ბიჭმა ჩუმად უთხრა მამას: ეგ ფული დიდხანს გეყოფათ. შემდეგ მე მოგეშველებითო.

წამოიღო კაცმა ფული, მოუტანა ცოლს და იწყეს ცოტ-ცოტა ხარჯვა.

სოვდაგარი ნანობდა: ასე ძვირად ვიყიდე ბიჭი და რა უნდა გავაკეთებინო ისეთი, რომ ღირდესო. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა, შინ გაეგზავნა და იქ ემუშავებინა. დაწერა წერილი: ეს ბიჭი ძვირად ვიყიდე, ამუშავეთ, სულ ქვა და ქვიშა აზიდვინეთო. წერილი მასვე გაატანა ცოლისათვის გადასაცემად. აჰკიდა ჯორ-აქლემს საქონელი, ერთ კაცს გაატანა და ბიჭიც გააყოლა. ზღვა უნდა გაევლოთ. ჩასხდნენ გემში და წავიდნენ. გზაში იმ კაცმა და გემის პატრონმა კოჭი ითამაშეს. ყველაფერი წააგო: თავისიც, სოვდაგრის მიერ გატანებულიც, ბიჭიც და თავისი თავიც.

— რაც მე მაქვს ჯიბეში, ის ჩემია თუ მოგებულიაო? — იკითხა ბიჭმა.

— მე შენი თავი მოვიგე, რაც ჯიბეში გაქვს, შენიაო, — უპასუხა გემის პატრონმა.

ბიჭმა ამოიღო ჯიბიდან ორი კოჭი და ორი შაური ფული. ეთამაშა გემის პატრონს და მოუგო. დაიხსნა თავისი თავი; კიდევ ეთამაშა და გამყოლი დაიხსნა; ეთამაშა და დაიხსნა სოვდაგრის მიერ გამოტანებული საქონელი და ბოლოს, გემის პატრონს მოუგო ყველაფერი, გემიცა და თვითონ გემის პატრონიც მოიგო.

როცა ნაპირზე მოვიდნენ, ბიჭმა უთხრა გემის პატრონს: გამითავისუფლებიხარ, გემიც შენი იყოს, მხოლოდ თუ ჩემი გვარის კაცმა გამოიაროს, უფასოდ გამოიყვანეო.

— კარგიო, — მიუგო გემის პატრონმა.

ბიჭი და გამყოლი გაუდგნენ გზას. გზაზე ბიჭმა ჰკითხა: ვისთან მივდივართ, შინ ვინა ჰყავს ჩვენს ბატონსაო?

— ცოლი და სამი ქალიშვილი, ერთი გასათხოვარი და ორი პატარაო, — უთხრა სოვდაგრის კაცმა.

ბიჭმა ჩუმად გახსნა სოვდაგრის გამოტანებული წერილი და

წაიკითხა, რაც შიგ ეწერა. დახია და ისევითვე ხელით სხვა ქაღალდზე დაწერა: ეს ბიჭი რომ მოვიდეს, ჩვენს უფროს ქალზე ჯვარი დასწერეო.

მივიდნენ სოვდაგრის სახლში. ბიჭმა გადასცა წერილი სოვდაგრის ცოლს. დასწერეს ჯვარი ბიჭს სოვდაგრის ქალიშვილზე.

მოახლოვდა სოვდაგრის მოსვლის დრო. ბიჭი დაფიქრდა: რა უნდა ვუთხრაო? მთელი დღეები დაღონებული დადიოდა. ერთ დღეს ქალაქგარეთ გაიარა. ნახა, ერთი ყმაწვილი დგას და ერთ შენობას შეჰყურებს. ბიჭი მიესალმა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. ყმაწვილმა არ მოიხედა. ვაჟი მივიდა ახლოს, მოჰკიდა ხელი და ჰკითხა: რას შეჰყურებ ასე, რატომ არ მოიხედავო?

— იმ შენობაში ერთი ქალი დავინახე. მინდა ერთხელ კიდევ დავინახო, მაგრამ აღარ გამოდის, ჰამაჩემი ამ ქვეყნის ხელმწიფეა, ჩემს მეტი შვილი არა ჰყავს, ვინც იმ ქალს დამანახვებს, თავის ქონებას გაუყოფსო, — მიუგო ყმაწვილმა.

— იმისი ქონება არ მინდა, ერთი თხოვნა ამისრულოს და მე გაჩვენებ იმ ქალსაო, — მიუგო სოვდაგრის შვილმა.

— ისეთი რა უნდა ჰოსთხოვო, რომ ჰამაჩემმა ვერ შეგისრულოსო? — უთხრა ხელმწიფის შვილმა.

სოვდაგრის შვილმა ამოიღო თავისი დაფა-ზურნა, დაუკრა და დაუკრა. ყველამ და ყველაფერმა ცეკვა დაიწყო. თვითონ ხელმწიფის შვილიც ცეკვავდა. ქალი შენობიდან ცეკვით გამოვიდა და მოაჯირზე გადმოდგა. ბიჭმა შეწყვიტა დაკვრა.

ქალმა დაუძახა: კიდევ დაუკარიო!

— რა საკადრისია, ჩვენ აქ დავუკრათ და თქვენ მანდ იცეკვოთო!

ქალმა ყმაწვილები სახლში მიიწვია და სოვდაგრის შვილს უთხრა: შენ უნდა იყო ჩემი ქმარიო.

— მე ცოლი მყავს, აი, ეს ჩემი ძმა არის და მას უნდა მისთხოვდეო, — უთხრა ხელმწიფის შვილზე სოვდაგრის შვილმა.

ქალი დაეთანხმა. ხელმწიფის შვილმა ჰამასთან მახარობელი გაგზავნა და დაბარა: ცოლი შევირთე. ის ქალი, ვისი ნახვაც მენატრებოდაო.

ხელმწიფეს ძალიან გაეხარდა და ბრძანება გასცა:

— ჩემი შვილის გამბედნიერებელი აქ მომიყვანეთო!

წაიყვანეს სოვდაგრის შვილი ხელმწიფესთან.

ხელმწიფემ უთხრა: სავი წელია ჩემი შვილი იქ იდგა და იმ

სახლს შეჰყურებდა, დღეს ის შენ გამიბედნიერე და რას მთხოვ, რომ შეგასრულოო?

— სხვა არაფერი მინდა, ესა და ეს სოვდაგარი რომ მოვიდეს ამ ქვეყანაში, თავის სახლში მისვლამდის დააჭერინე და ჩამოხრჩობა გადაუწყვიტე. ბევრი მოვა და გთხოვს მის განთავისუფლებას; ნურვის თხოვნას ნუ შეიწყნარებ, მხოლოდ ჩემი თხოვნა შეიწყნარეო, — მიუგო სოვდაგრის შვილმა.

ხელმწიფე შეჰპირდა: ეგ ადვილი საქმეა და აგისრულებო!

ხელმწიფემ დასწერა ჯვარი შვილსა და რძალს, მოიწვია მრავალი სტუმარი და დიდი ლხინი გადაიხადა.

მოვიდა სოვდაგრის მოსვლის დრო. ყველა გზაზე დარაჯები დააყენეს. შემოვიდა ქალაქში სოვდაგარი თუ არა, დაიჭირეს და ხელმწიფეს წარუდგინეს. ხელმწიფემ ბრძანა: განუკითხავად ჩამოახრჩვეთო!

უკვირს სოვდაგარს: არაფერი დამიშავებია, რას მემართლებითო?

— განუკითხავად ჩამოახრჩვეთ, დიდი დანაშაული აქვსო! — გაიძახის ხელმწიფე.

აღმართეს სახრჩობელა, აიყვანეს ზედ სოვდაგარი, უნდა ჩამოახრჩონ. მიდიან ხელმწიფესთან ვეზირები და სთხოვენ, აპატიეთო.

— არ შეიძლება, ჩამოახრჩვეთო! — ამბობს ხელმწიფე.

ბოლოს, მოვიდა ხელმწიფესთან სოვდაგრის შვილი და სთხოვა: ჩემი ხათრისთვის აპატიეთო.

ხელმწიფემ ბრძანა: ჩამოხსენით ამ ვაჟის ხათრისთვისაო.

გაათავისუფლეს სოვდაგარი. გადახედა თავის მხსნელს და შინისაკენ წავიდა. შიშისაგან ავად გახდა და ლოგინში ჩაწვა. ამ დროს ფანჯარასთან გაიარა სოვდაგრის შვილმა. დაინახა სოვდაგარმა და თქვა: აი, ის არის ჩემი მხსნელი, მაგან გამათავისუფლაო!

— ეგ ხომ ჩვენი სიძეაო! — მიუგო ცოლმა.

— რა სიძე, რას ამბობო! — გაუკვირდა სოვდაგარს.

— ჩვენი ქალიშვილის ქმარია, შენ ხომ მოიწერე, უფროს ქალზე დასწერე ჯვარიო, და მეც დავწერეო, — უთხრა ცოლმა.

— მე ეგ არ მომიწერია, მე მოგწერე — ძვირად ვიყიდე და ქვა და ქვიშა აზიდინე-მეთქი, მაგრამ ეს ჩემი მხსნელია და ასე იყოსო.

დაუძახეს ვაჟს. სოვდაგარმა დალოცა სიძე-ქალიშვილი და

უთხრა: გინდ იქ იცხოვრეთ, გინდ წაიღეთ, რაც გინდოდეთ, და წადითო!

ვაჟმა თავის დედ-მამასთან წასვლა ირჩია. სოვდაგარმაც აუკიდა ჯორ-აქლემებს უამრავი სიმდიდრე და გაისტუმრა.

ვაჟი მივიდა მშობლებთან. იმათ ძალიან გაიხარეს შვილის დაბრუნებით და მშვიდობით ცხოვრობდნენ.

ალალი ორი შაური

იყო და არა იყო რა, იყო ღარიბი ცოლ-ქმარი. უჭირდათ ცხოვრება: ექვსი შვილი ჰყავდათ შესანახი. ერთ დღეს მოიფიქრა მამამ: წავალ, მოსამსახურედ დავუდგები ვინმესო.

მართლაც, ადგა და წავიდა სხვა სახელმწიფოში. იარა, იარა და მიადგა ერთ დიდ სასახლეს. სასახლიდან გამოვიდა ერთი კარგად ჩასუქებული კაცი. გლეხმა უთხრა: მოსამსახურე ხომ არ გინდაო?

— მინდაო, — უთხრა ამ კაცმა.

ახლა უნდა მორიგებულიყვნენ, თუ წელიწადში რამდენად იმსახურებდა. ჩასუქებულმა კაცმა ჰკითხა გლეხს: ალალი ორი შაური გინდა, თუ არამი ასი თუმანიო?

გლეხი დაფიქრდა და უთხრა: ალალი ორი შაური მირჩევნიაო. ასეც მორიგდნენ. გლეხმა სამი წელიწადი იმსახურა იმ კაცთან.

სამი წელიწადი რომ გავიდა, გლეხს მოუნდა ცოლ-შვილის ნახვა. შეეხვეწა ბატონს: სახლში დამითხოვეო. ბატონმა გამოუტანა სამი წლის ჯამაგირი ექვსი შაური, მისცა და უთხრა: წადი, ხეირი ნახეო!

გლეხი წამოვიდა ტირილით. ფიქრობს გუნებაში: სამი წელიწადი ვიმსახურე და ავიღე ექვსი შაური. აბა, რა მივუტანო ცოლ-შვილს ან რა ვუთხრაო?

ამ წუხილში გადავიდა სხვა სახელმწიფოში. დაინახა, ერთ ადგილას დიდი რიგი დგას. მივიდა გლეხი ხალხთან და დაინახა, არავის არაფერს არ აძლევენ დუქანში. გლეხმა იკითხა: რა იყო დუქანში გასაყიდიო? ხალხმა მიუგო: აქ არის სარკე გასაყიდი, მხოლოდ ალალ ორ შაურზე ჰყიდიანო. გლეხმა დაიძახა: მე მაქვს ალალი ორი შაურიო! შევიდა დუქანში და იყიდა სარკე. ჩააგდო ტომარაში და ისევ წავიდა ტირილით.

იარა, იარა და გადავიდა კიდევ სხვა სახელმწიფოში. აქაც დიდი რიგი იდგა. მივიდა, იკითხა, რა იყო გასაყიდი ხალხმა მიუგო, კატა არის გასაყიდი, მხოლოდ ალალ ორ შაურად ჰყიდიანო. შევიდა გლეხი დუქანში და იყიდა კატაც. ჩასვა ტომარაში და ისევ გაუდგა გზას.

ახლა ფიქრობს: ეს სარკე ვიყიდე, ეს კატაც ვიყიდე, დამრჩა ორი შაური. ეს ორი შაური კი ჩემს ცოლ-შვილს რას არგებსო და ისევ ტირილი დაიწყო. ამ ტირილში გადავიდა კიდევ სხვა სახელმწიფოში. აქაც დაინახა დიდი რიგი. გლეხი მივიდა და იკითხა, რა იყო გასაყიდი. ხალხმა მიუგო: აქ ჭკუასა ჰყიდიან ალალ ორ შაურადაო. გლეხმა იფიქრა, ბარემ ამასაც ვიყიდიო. შევიდა დუქანში და ნოქარს უთხრა: მე მაქვს ალალი ორი შაური და ჭკუა მასწავლეო. ნოქარმა უთხრა: ვინც რა უნდა შეგეკითხოს, შენ უთხარი: ორივე კარგი და ლამაზია-თქო.

ეს არის ჭკუაო. გლეხმა მისცა ორი შაური და გამობრუნდა.

ახლა ფიქრობს გლეხი: სამი წლის სამსახურით სარკე და კატა ვიყიდე, ჭკუაც ვისწავლე, მაგრამ ამით ჩემს ცოლ-შვილს რა ვარგოო?

გადავიდა სხვა სახელმწიფოში. დაინახა, რომ აქ მთელი ხალხი ტირის. გლეხმა იკითხა, თუ რა ატირებდა ხალხს. უპასუხეს: ჩვენს სახელმწიფოს წყალი არა აქვს. ერთი წყალი არის მიწაში კასრით ამოსატანი, ვინც მის ამოსატანად ჩავიდა, უკან ვეღარ ამოვიდაო.

გლეხმა იფიქრა: მე ხომ ჭკუა მაქვს, იქნებ ამოვიტანო წყალი და მომცენ რამეო. უთხრა ხალხს: მომიტანეთ ჭურჭელი, მე ამოვიტან წყალსო.

მართლაც, მიუტანეს ჭურჭელი, ჩავიდა გლეხი მიწაში და დაინახა ერთი ბებერი დედაკაცი და ორი ახალგაზრდა ქალი, ერთი ძალიან ლამაზი იყო — მზეთუნახავი, მეორე კი — შავი, როგორც ზანგი. ლამაზი ქალი გერი იყო ბებერი დედაკაცისა, შავი კი — შვილი. ბებერმა დედაკაცმა ჰკითხა გლეხს: შვილო, ა, ამ ორ ქალში რომელი უფრო ლამაზიაო?

გლეხმა უთხრა: ორივე კარგია და ლამაზიაო. დედაბერმა აუვსო კასრები და გაატანა.

ხალხმა რომ დაინახა, გლეხი ცოცხალი დაბრუნდა და წყალიც მოიტანაო, ძალიან გაუკვირდათ და გაიქცნენ მეფესთან გასაგებინებლად. მეფემ დაიბარა სასასლეში გლეხი და ჰკითხა, თუ როგორ ამოიტანა წყალი. გლეხმაც ყველაფერი უამბო. მეფემ იგი დააჯილდოვა ოცდაათი საპალნე ოქრო-ვერცხლით, თავის აქლემე-

ბიანად, თანაც შეიპატიჟა პურის საჭმელად, გლეხმა რომ კარებში თავი შეყო, დაინახა, აქეთ-იქით კაცები იდგნენ და ცოცხები მაღლა ჰქონდათ აწეული. გლეხს ეგონა, მე უნდა ჩამარტყანო და უკან გადმოხტა. მეფემ დაარწმუნა გლეხი, თაგვები გვყავს ძალიან გამრავლებული, ჩვენ რომ პურის საჭმელად დავსხდებით, დაგვეხვევიან და პურს მოგვტაცებენო. ესენი იმიტომ დგანან, თაგვები არ მოუშვან ახლოსო.

გლეხმა უთხრა: გაუშვით ეგ კაცები, მე მოვუვლი თაგვებსაო. ამოსვა ტომრიდან კატა. კატა აქეთ ეტაკა, იქით ეტაკა და თაგვები სულ დახოცა. დასხდნენ პურის საჭმელად თავისუფლად. კატამ ერთი თაგვიც არ მიუშვა ახლოს. მეფეს მოეწონა კატა და გლეხს ვაჭრობა დაუწყო. დიდი ხნის ვაჭრობის შემდეგ გლეხი დათანხმდა ოც საპალნე ოქროზე. გლეხი გულში იძახის: ჩვენს სოფელში ხელმწიფეც აღარ შემედრებაო, ეს ამოდენა სიმდიდრე უნდა წავიღოო. ჩემისთანა მდიდარს თმაგაწეწილი სიარული აღარ შეშვენისო. ამოიღო სარკე, დაიწყო შიგ ცქერა და ქოჩრის გვერდზე ვარცხნა.

თურმე იმ სახელმწიფოში არც სარკე იყო ცნობილი. მეფის ქალიშვილმა თვალი მოჰკრა სარკეს, მივიდა, თვითონაც ჩაიხედა: მიტრიალდა-მოტრიალდა, თავისი ტანი რომ დაინახა, გაუკვირდა. მივარდა მამას და უთხრა: მამი, სარკე მიყიდეო! მეფემ ისიც იყიდა. მისცა ათი საპალნე ოქრო. გლეხმა ეს სამოცი საპალნე ოქრო წაიღო თავის ცოლ-შვილში. აიშენა დიდებული სასახლეები და იმის შემდეგ ისე ცხოვრობდა, რომ მეფეებიც კი შენატროდნენ.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ორი ძუნწი

იყო ერთი საოცრად ძუნწი კაცი. ერთხელ უთხრეს: ამა და ამ ადგილას შენზე უფრო ძუნწი კაცი ცხოვრობსო. ადგა ეს ძუნწი და სტუმრად ეწვია იმ უცნობს. მასპინძელმა სტუმარი შინ შეიპატიჟა, ლამპა აანთო და ოჯახის წევრები გააცნო. შემდეგ კი, როცა სასაუბროდ დასხდნენ, ამ ძუნწმა ლამპა ჩააქრო: ნავთი რაზე დავხარჯოთ ტყუილად. ლაპარაკს ბნელაშიაც შეეძლებთო. მართ-

ლაც, დიდხანს ილაპარაკეს. დაძინების წინ კი ძუნწმა მასპინძელმა ლამპას მოუკიდა, ხედავს, რომ სტუმარი ტანთ იცვამს, გაუკვირდა და ჰკითხა:

— რატომ გაიხადე ტანსაცმელიო?

— ბნელაში ვინ დამინახავდა და ტყუილად რაზე გამეცვითაო. — მშვიდად უპასუხა სტუმარმა ძუნწმა.

მოხერხებული მეგაღე

ერთხელ მეფემ ჩაიცვა გლეხის ტანსაცმელი და სამეფოს დათვალიერებას შეუდგა: უნდოდა გაეგო, ვინ როგორ ცხოვრობდა. შევიდა ერთ ბაღში და მებაღეს ჰკითხა:

— რა გაქვს ჯამაგირიო.

— ერთი თუმანიო, — უპასუხა მებაღემ.

— მერე რას უშვრები მაგ თუმანსაო? — ჰკითხა მეფემ.

— ორ მანეთს ვჭამ, ორ მანეთს სესხად ვაძლევ, ორ მანეთს ფანჯრიდან ვაგდებ, ორ მანეთს ვინახავ და ორი მანეთით ვალს ვისტუმრებო.

მეფემ ვერაფერი გაიგო. მებაღეს უთხრა: მანამ ჩემი სახე არ დაინახო, არავის არაფერი უთხრაო და წავიდა.

მეფემ დაიბარა ნაზირ-ვეზირები და გადასცა მებაღის მიერ განაწილებული თუმნის ამბავი და უბრძანა: ჩქარა გაიგეთ, რას ნიშნავს ეს სიტყვები, თორემ ყველას დაგხოცავთო.

შეშინებულმა ნაზირ-ვეზირებმა მთელი სამეფო შემოიარეს, მაგრამ ვერსად ვერაფერი ვერ გაიგეს. ბოლოს, ამ ბაღში შევიდნენ და თავიანთი გაჭირვება მებაღესაც უამბეს. მებაღეს გაეცინა: მანეთი ჭომეცით და მე აგიხსნითო. მაშინვე მისცეს. დახედა ფულზე დახატულ მეფეს, იცნო და მაშინვე მიხვდა, თუ ვინ ყოფილა ჭასთან ადრე. უყურებს ამ მეფის სურათს და თან უხსნის ნაზირ-ვეზირებს: ორ მანეთს რომ ვჭამ, ამით მე ვცხოვრობ, ორი მანეთით დედ-მამას ვაცხოვრებ, იმათ ვალს ვიხდი. ორი მანეთით ვაუებს ვზრდი, რომ გაიზრდებიან, მერე მე მაცხოვრებენ, ორ მანეთს ფანჯრიდან ვყრი, ამით ქალებსა ვზრდი, გათხოვდებიან და წავლენ, მე რას მარგიან. ორ მანეთს კი შავი დღისათვის ვინახავო.

გახარებული ვეზირები მეფესთან მივიდნენ და ყველაფერი სწორად განუმარტეს. გაბრაზებულმა მეფემ მებაღე დაიბარა და გაუჯავრდა: მე ხომ გითხარი, სანამ ჩემ სახეს არ ნახავდი, არავისთვის გეთქვაო?!

მებაღემ ამოიღო ჯიბიდან მანეთი და უთხრა: აი, მეფევ, შენი სახე აგერ არის დახატული, მე ამას ველაპარაკებოდი, სხვისთვის არაფერი მითქვამსო.

მეფეს მოეწონა მოხერხებული მებაღის პასუხი და დიდად დაასაჩუქრა.

თავგაუტეხელი კაცი

ერთი მოხუცებული კაცი ვენახს რწყავდა, თან ღვინოს შეექცეოდა. აიღო სავსე ჩარექა, ცერი ყურში გაუყარა და თავისი თავი ასე დალოცა: ღმერთო, დამასწარ მრავალ ამ დროს. ამ ხნის კაცი ვარ, ჯერ თავი ჩემთვის არავის გაუტეხია და ნურც მივალ იმ ზომამდის, რომ ვინმემ გამიტეხოსო.

ერთი ჯეელი ბიჭი ყურს უგდებდა მოხუცის ლოცვას. აიღო თოხი და წყალი თავის ვენახს მიუგდო. რა წყალი შეუწყდა მოხუცს, გაჯავრებული წყლის სათავისაკენ გაეშურა. სათავეში თოხით ხელში ვიღაც ყმაწვილი დაინახა, რომელსაც წყალი თავის ვენახში გადაეგდო. მოხუცი შეეკითხა: რატომ გადამიგდე წყალიო?

ახალგაზრდამ უთხრა: ჩემი ჯერიაო.

— რათა, კაცო, ჩემი ჯერი არ იყო?

— შენი ჯერი იყო, მაგრამ მე უნდა მოვრწყა ახლა.

მოხუცმა რა შეატყო ახალგაზრდას — შარზეაო, უთხრა: კარგი და დღეს შენ მორწყე, შვილო, ხვალ კი მე მოვრწყავო.

ახალგაზრდამ უთხრა: ხვალაც მე მინდაო.

— კარგი და რაკი ხვალაც შენ გინდა, მე კიდევ ზეგ მოვრწყავ.

— არა, ზეგაც მე მინდა.

— კარგი და რაკი ზეგაც შენ გინდა, მაზეგ მე მოვრწყავ.

ახალგაზრდამ ვერ იპოვა მიზეზი, შერცხვა და უთხრა:

— ასეთი კაცი რომ ყოფილხარ, იმიტომ არ გაგტეხია თავიო, — და წყალი ისევ მოხუცის ვენახს მიუგდო.

მეფის შვილოგილი

ერთმა უშვილო მეფემ გამოუცხადა თავის ნაზირ-ვეზირებს: მოიარეთ ქვეყანა და ნახეთ სადმე ლამაზი, ჭკვიანი ბავშვი, რომ ვიშვილო და მემკვიდრედ დავტოვოო.

ნაზირ-ვეზირებმა შემოიარეს მთელი ქვეყანა და ერთ სახლში წააწყდნენ ერთ ბავშვს. ჰკითხეს: მამაშენი სად არისო? ბავშვმა მიუგო: ჩხუბს თესავსო.

— დედაშენი სად არისო?

— ცრემლს ავალებსო.

— ღვინო დაგვალევინეო.

— ცხენები ვაზებზე გამოაბით და შემდეგ დაგალევინებთო.

ვეზირებმა იარეს, იარეს, მაგრამ ვაზი ვერ იპოვეს. ბავშვს უთხრეს:

— ვაზი არსადა ჩანსო.

— აბა, ღვინო საიდან გვექნებაო.

— მამაშენი როგორ თესავს ჩხუბსაო? — ჰკითხეს ვეზირებმა.

— ყანას თესავს და თუ ვინმე გადივლის ზედ, წაეჩხუბებაო.

— დედაშენი როგორ ავალებს ცრემლებსაო?

— როგორ და მეზობელი გარდაიცვალა და იმას ტირის, ჩვენც მოვკვდებით და ისინიც გვიტირებენო.

ვეზირებს მოეწონათ ბავშვის მოსწრებული სიტყვა-პასუხი. წაუყვანეს მეფეს. ეს ბავშვი მეფესაც მოეწონა და იშვილა.

ახირებული დედაკაცი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი. ერთ დღეს ქმარმა სთხოვა ცოლს, ზამთარი მოდის, წინდები მომიქსოვეო. ქალმა წაიღო მატყლი და, სახლის გვერდზე რომ გუბე იყო, მასში ჩაყარა. გუბეში ბაყაყები ყუა-ყუას გაიძახოდნენ. ქალმა ბაყაყებს დაუბარა: აი, ეს მატყლი დაართეთ და ერთ კვირაში ჩემი ქმრისათვის წინდები მომიქსოვეთო.

გავიდა ერთი კვირა. ქმარმა ჰკითხა ცოლს: დედაკაცო, რა ჰქენი, წინდები მომიქსოვეო?

— ახლავე წავალ და მოვიტანო, — უთხრა ცოლმა.

წავიდა და ნახა, გუბე დამშრალიყო და მატყლი აქეთ-იქით

ეყარა. ქალმა გუბეს უსაყვედურა: მატყლს რად უნდოდა გარეცხვა, გარეცხილი იყოო. შემდეგ შინ დაბრუნდა და ქმარს უთხრა: მატყლი გუბეში ჩავყარე. ჯერ გასაშრობადა აქვთ, მერე დაართავენ და მოქსოვენო.

ქმარი გაბრაზდა და გუბის მოთხრა დაიწყო. დაჭკრა ბარი და ორი ოქროს ზოდი ამოაგდო. ზოდები შინ შეიტანა და ჭერზე ჩამოკიდა. თვითონ სამუშაოდ წავიდა.

ამ დროს მეწვრილმანემ ჩამოიარა. პატარა დედოფალს ყიდდა. ქალმა ჩამოწყვიტა ერთი ოქროს ზოდი და გავარდა მეწვრილმანესთან, თან ბოდიშიც მოუხადა, ფული არა მაქვს, მაგრამ ზოდს მოგცემო. მეწვრილმანეს გაუხარდა და რაც სათამაშო დედოფლები ჰქონდა, ყველა დაუტოვა.

ქალმა ერთი დედოფალა მაგიდასთან დასვა — გადაწმინდეო, მეორეს უთხრა — ლობიო მოხარშეო, მესამე სახლის კუთხეში დასვა — დაგავეო, ერთიც თავთან დაისვა — ჩემი ქმარი რომ მოვიდეს, გაშაღვიძეო. თვითონ კი დაწვა და დაიძინა.

მოვიდა ქმარი. ეძახის ცოლს, მაგრამ ქალს ვინ გააღვიძებდა! გვიან გამოეღვიძა, ნახა — ლობიო სულ ჩახარშულა, მაგიდა გადაუწმენდელია, არც სახლია დაგვილი. დაიწყო წყევლა.

ქმარმა აიხედა ზევით და შენიშნა, ერთი ოქროს ზოდი აკლია. გაბრაზდა და ცოლი სახლიდან გამოაგდო.

წავიდა ქალი. შეხვდა მამალი: ჩემმა ქმარმა გამომაგდოო, — უთხრა. მამალმაც უპასუხა: მეც სახლიდან გამოვიქეცი.

წავიდნენ ერთად. შეხვდათ ძაღლი. ქალმა უთხრა: მე ქმარმა გამომაგდო, მამალიც სახლიდან გამოქცეულიაო. ძაღლმა უთხრა: მეც სახლიდან გამოპარული ვარ, ერთად წავიდეთო.

გზაზე შემოეყარათ ჯორი და ისიც შეიამხანაგეს.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, შეხვდათ აქლემების ქარავანი, ოქრო-ვერცხლი მოჰქონდათ. მეპატრონეები ჩამორჩენილიყვნენ. ქალმა წაავლო ერთ აქლემს ხელი და მის მეგობრებთან ერთად მიიყვანა სახლში: ნეტავ, არც ახლა შემირიგდება ჩემი ქმარიო?

ქმარს ძალიან გაუხარდა საჩუქრები. აქლემი მაშინვე დაკლა, აკუწა და ხორცი ორმოში ჩაყარა. ოქრო-ვერცხლი დამალა. ამ დროს გამოჩნდა აქლემის პატრონიც.

— აქლემი რა უყავით, აქეთკენ წამოიყვანესო.

— გაჟი ხომ არა ხარ, რის აქლემი, რა აქლემიო? — უთხრა ქმარმა.

წავიდნენ მოსამართლესთან. ქმარი ცოლს მიუბრუნდა და უთხრა: სანამ მოვალ, კარებსა და ფანჯრებზე თვალი დაიჭირეო.

მოსამართლესთან დიდი დავა აქვთ. ქმარი ეუბნება, აქლემი თვალით არ მინახავსო. აქლემის პატრონი ედავება, შენმა ცოლმა წამოიყვანაო.

ცოლმა ჩამოხსნა კარები და ფანჯრები, აიკიდა ზურგზე და მივიდა მოსამართლესთან. ქმარმა გამოსძახა:

— დედაკაცო, ეგ რა არისო?!

— შენ არ მითხარი, თვალი დაიჭირე კარებსა და ფანჯრებზე, იქ ხომ არ დავტოვებდი, თან წამოვიღეო.

მოსამართლემ და აქლემის პატრონმა თქვეს: ეგ ქალი გიჟი ყოფილა, რა პასუხი უნდა მოვთხოვოთო და თავი გაანებეს.

ოქრო-ვერცხლი ამ კაცს დარჩა.

მდიდარი და საწყალი კაცი

ერთი საწყალი კაცი მივიდა მდიდართან და სთხოვა: ხუთი თუმანი მასესხეო. მდიდარმა უთხრა: დღეს არა მაქვს და ხვალ მოდიო. მივიდა მეორე დღეს.

— სხვას ემართა, უნდა მოეცა, იქნებ ხვალ მომცესო და მოდიო.

მივიდა დანიშნულ დროს, ბოლოს, მდიდარმა უთხრა: წადი, ვექსილი დააწერინე, მოიტანე და მოგცემო.

წავიდა ეს კაცი, დააწერინა ვექსილი (დამწერსაც ფული მისცა) და მიუტანა. მდიდარმა უთხრა: რა ვქნა, ძმაო, ველარ გასესხებო.

— რატომაო? — ჰკითხა გლეხმა.

— ანგელოზმა მითხრა: ნუ ასესხებ, აღარ მოგცემსო.

გამობრუნდა ეს კაცი დაღონებული... გავიდა ერთი წელიწადი. ერთხელ ამ მდიდარს საცალოებით დატვირთული ურემი მიჰყავს, დაღმართში ხარებმა თავი ვერ შეიკავეს, საცალოები უკან გადმოქანდნენ და ხარებს აპეურებმა ისე მოუჭირეს, რომ იხრჩობიან. მდიდარს ის გლეხი შემოხვდა.

— არიქა, დათიკო, მიშველე, ხარები მეხრჩობაო.

საწყალმა კაცმა უთხრა: რა ვქნა, გიშველიდი, მაგრამ ჩემი ანგელოზი მეუბნება, არ უშველოო. გაბრუნდა და თავის გზაზე წავიდა. იმას კი ხარები დაეხრჩო და ბევრიც ინანა.

ჩემი მამალი გზაშიაც იყივლეგსო

ერთი მათხოვარი დადიოდა სოფელში. დაუღამდა, თავის ბინას ვეღარ მიაღწია. იფიქრა, ვოდი, ვითომ ბრმა ვარ, ვინმეს ვთხოვ, შევეხვეწები და ღამეს გამათევინებსო.

შეხვდა ერთი მგზავრი, უამბო თავისი გაჭირვება, ბრმა ვარ და სახლამდე ვერ მივაღწევ, ღამე გამათევინეო.

ეს კაცი ძალიან გულკეთილი ყოფილა.

— წამობრძანდიო, — უთხრა ამ კაცმა.

შინ რომ მივიდნენ, ცოლს არ ეპიტნავა უცხო კაცი. ქმარი დატუქსა: ვინც არ უნდა იყოს, წაავლებ ხელს და მოგყავსო. დედაკაცმა გადამალა მოხარშული მამალი, მოიტანა ცარიელი პური და მიართვა სტუმარს. ივახშმეს ცარიელი პურით და დაიძინეს.

შუაღამისას ადგა გლახა, ახადა ქვაბს და მამალი თავის გუდაში ჩადო. მთვარე ამოვიდა, გათენებამაც მოატანა. ყველამ გაიღვიძა.

— ძველი კაცი ხარ, ძიავ, თქვი რამეო, — უთხრა ცოლ-ქმარმა.

— რა უნდა ვთქვა, შვილო, მე იმ დროის კაცი ვარ, მამალი ხელმწიფედ რომ იყო სპილენძის ციხეში და იქიდან გუდიციხეს რომ შევიდაო.

ცოლ-ქმარს გაუკვირდა, ეგ როგორ იქნებოდაო?!

— ახლა მე უნდა წავიდე და სხვა დროს გამოვივლი და აგიხსნითო, — უთხრა გლახამ.

— დაიცა, ძია, მამალმა ჭეორედ მაინც იყივლოსო.

— არა, შვილო, უნდა წავიდე, ჩემი მამალი გზაშიაც იყივლებსო, — და წავიდა.

ძუნწი ვაჭარი

ერთი ძალზე ძუნწი ვაჭარი იყო, რომელსაც ბევრი ფული ჰქონდა, მაგრამ ცოლ-შვილსა და თავის თავს აწვალებდა, ჯიგრის მეტს არაფერს ყიდულობდა. ერთ დღეს ბაზარში ჯიგარი ვერ იშოვა. ორ შაურად სხვა რა უნდა ეყიდა, ადგა და სხვა ბაზარში წავიდა.

ბევრი იარა და ერთ ადგილას დაუღამდა. შევიდა ერთ სახლში და სთხოვა, ღამე გამათევინეთო. დააყენეს. ამ სახლში ცოლი და

ქმარი ცხოვრობდა. გაშალეს სუფრა და ქმარმა ცოლს ჰკითხა:

— ჯერ ვცემოთ თუ ვჭამოთთო?

— ვცემოთ, ბარემ, მოვიშოროთ და მერე ვიქეიფოთ, — უთხრა ცოლმა.

გამოიტანეს ჭილობში გახვეული მკვდარი კაცი. სცემეს მაგრად, გაახვიეს ისევ ჭილობში და მიაგდეს კუთხეში. დასხდნენ და დაიწყეს ქეიფი. ძუნწმა იკითხა: ეგ მკვდარი კაცი ვინ არის ან რადა სცემეთო?

ქალმა უთხრა: ეგ კაცი ჩემი ქმარი იყო, დიდი ვაჭარი, იმდენი ფული ჰქონდა, რომ მთელ ქალაქს ეყოფოდა, მაგრამ იგი მხოლოდ ჯიგარს ჭამდა. ბოლოს, როგორც იყო, მოკვდა და მე კი ამ კაცზე გავთხოვდი. იმან არ გამახარა, ამასთან ვხარობ და იმას კიდეც ვტანჯავო.

ამ ძუნწმა მოუსმინა, ადგა დილით ადრე, გამოემშვიდობა, წავიდა ბაზარში, იყიდა ინდაური, სამწვადე, თეთრი პური, ღვინო, აჰკიდა მუშას და მიიტანა სახლში. ცოლს გაუკვირდა: ეს ჩემი ქმარი ხომ არ გაგიჟდაო. ქმარს უთხრა:

— კაცო, ეგ რაერთი რამე გიყიდია, რა ნახეო?

— შენი მეორე ქმარიც ვნახე და ჩემი მცემელი ცოლიცაო, — უთხრა ქმარმა ცოლს.

ორმოცი კაციც რომ გამომიგზავნოს...

ერთ ყრუ კაცს შვიდი თხა ჰყავდა, სულ მათ დასდევდა, აძოვებდა, უვლიდა, უყვარდა. ერთ თხას ცალი რქა მოტეხილი ჰქონდა.

ერთხელ ამ ყრუ კაცს დაეძინა. შვიდივე თხა დაიკარგა. ბევრი ეძება, მაგრამ ვერსად ვერ იპოვა. შემდეგ ღმერთს აღთქმა დაუდო: ვინც თხებს მაპოვნინებს, იმას რქამოტეხილ თხას ვაჩუქებო.

ნახა ერთი კაცი, აჩაჩით მიწას ხნავდა, ეს კაცი თხების პატრონზე უფრო ყრუ ყოფილიყო.

თხის პატრონმა ჰკითხა: თხები დავკარგე, ხომ არ გინახავსო?

მხვნელმა ვერ გაიგო, რას ეკითხებოდა და უთხრა: დღეს აქ ვხნავ და ხვალ იქით უნდა ვხნაო. თან ხელით ანიშნა.

თხების პატრონს ეგონა იქით არიანო და გასწია, საითაც მხვნელმა ხელი გაიშვირა. თხები, მართლაც, იქ დაუხვდნენ.

გამორეკა და იქ მიიყვანა, სადაც კაცი ხნავდა. აღთქმის შესასრულებლად დაიჭირა რქამოტეხილი თხა და ამ კაცს მიართვა — აჰა, შენთვის მომიცია, რადგან შენ მაპოვნინეო.

მეგუთნე ეფიცება ამ კაცს: მე არ მომიტეხია ეს. რქა, თხები თვალითაც არ მინახავსო. გამოიყვანა გუთანი და სახლში წავიდა. თხების პატრონი არ მოეშვა, ღმერთთან დადებული აღთქმა არ გამატეხინო, წაიყვანე ეს თხაო.

მივიდნენ სოფელში, ნახეს, რომ მამასახლისი ხის ქვეშ დამჯდარა და ვიღაცაზე ძლიერ გაჯავრებულია. ეს მამასახლისი ამ ორ ყრუზე უფრო მეტი ყრუ ყოფილა. ცოლს გაუჯავრებია და გარეთ გამოუგდია.

თხის პატრონმა და მხვნელმა თავიანთი გაჭირვება შესჩივლეს. მამასახლისს ცოლის გამოგზავნილი კაცები ეგონა და უთხრა: ორმოცი კაციც რომ გამომიგზავნოს მოციქულად, მაინც არ შევურიგდებიო.

როგორ ანუგეშა მოჯამაგირემ ბატონი

— რა ამბავია. ისაკო, სასახლეში? — ჰკითხავს მოჯამაგირეს ბატონი, რომელიც ხუთი წელიწადი იყო წასული და სახლის ამბავი არა იცოდა რა.

— მშვიდობა შენი, ბატონო! მადლობა ღმერთს, მხოლოდ შენი გოშია ძაღლი მოკვდა.

— უჰ, რას ამბობ, ბიჭო, რა ძალიან მეწყინა? რამ მოკლა მერე?

— რა ვიცი, შენი ჭირიმე, ნამეტანი ხორცის ჭამას ვერ გაუძლო!

— მერე და რატომ აჭამეთ ამდენი ხორცი?

— ვინ აჭამა, ბატონო, შენი ბედაური რომ მოკვდა და გადავათრიეთ, — მიმდგარიყო, იმდენი ეჭამა, რომ ვეღარ მოენელებინა და გამსკდარიყო საწყალი ძაღლი.

— რას მეუბნები, ბიჭო, ჩემი ბედაური რამ მოკლა?

— საწყალი შენი ქალიშვილი, ვარდიკო, რომ კვდებოდა, ექიმთან გაქცეულიყო თქვენი მელქირა, იმდენი ეჭენებინა, რომ ტყუილა ვეღარც ვარდიკოს მოუსწრო ცოცხალს და ცხენიც კი გადაჰყვა თან.

— ბიჭო, ხომ არ დამთვრალხარ, რაებს მელაპარაკები, ვარდიკო რამ მოკლა?

— რამ, ბატონო, და საწყალი ქალბატონი რომ დაიწვა, იმის ჯავრს ვეღარ გაუძლო.

— რა ღმერთი გიწყრება, ბიჭო! ქალბატონი რამ დაწვა?

— აბა, არ გაგიგია, ბატონო! მთლად რომ გადაიწვა შენი სასახლე, სამზარეულო, სასიმინდე და ყველაფერი, მაშინ დაიწვა ქალბატონიც.

— როგორ მეუბნები, ბიჭო, ასეთ საშინელ ამბავსო?! — და წაიშინა თავ-პირში.

— შენ რა გიჭირს, ბატონო, დასტურ ბედნიერი ბრძანებულხარ, რომ აქ არ დაესწარი, თვარა თქვენც მოიკლავდით თავსო, — ანუგეშა მოჯამაგირემ თავისი ბატონი.

ფილოსოფოსი და ვირი

ერთი ფილოსოფოსი, ძველებური ჩვეულების მიხედვით, ვირზე იჯდა და ისე დადიოდა სოფელ-სოფელ ხალხის დასამოძღვრებლად.

ერთხელ ღამის გასათევად მექორწილეებს მიადგა კარზე. იცნეს და მიიწვიეს სუფრაზე. ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო რომ დალიეს, ფილოსოფოსსაც მიაწოდეს სასმისი და დაალევინეს ნუნუა. მეორე სადღეგრძელოზე უარი განაცხადა სტუმარმა: მეტი აღარ მინდა და ვერ დავლევო. აღარ მოეშვნენ, ძალა დაატანეს და დაალევინეს. მესამეზე ხვეწნა-ვედრებით მიმართეს: მართალია, არ გინდა, მაგრამ პატივი გვეცი!.. შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, თუ გიყვარდეთო — და სხვანი.

ფილოსოფოსმა ამდენ მახვეწარს ხათრი ვეღარ გაუტეხა და ძალაუნებურად კათხას კათხაზე ცლიდა. ისე მოეკიდა ღვინო, რომ იქვე უგრძნობლად სუფრის ქვეშ გაგორდა.

მეორე დღეს რომ გამოეღვიძა, შერცხვა: ეს რა მომივიდაო? შეჯდა ვირზე და გამოიპარა შინისაკენ. გზაში ერთ პატარა მდინარეს მიადგა. მწყურვალმა ვირმა რომ წყალი ნახა, დაღუნა თავი და იმდენი სვა, სანამდის გული არ იჯერა; მერე კი ამოღო თავი და გაჩერდა. ფილოსოფოსმა უთხრა, დალიე კიდეო! ვირი არ გაინძრა.

— დალიე, გიბრძანებო! — შეუძახა. ვირმა მხოლოდ კუდი გაიქნია და ყურები გააპანტურა. გადმოხტა მხედარი, დაუჩოქა და

შეეხვეწა: თუ გიყვარდე, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, თუ ჩემი ხათრი გაქვს, დალიეო. ვირი არ ინძრეოდა, ყურადღებასაც არ აქცევდა პატრონის ხვეწნა-ვედრებას.

მაშინ ადგა ფილოსოფოსი და დიდი ჭოწიწებით თაყვანი სცა ვირს და მოახსენა: ვირი მე ვყოფილვარ, რომ სხვებს ავყევი და, რაც არ მინდოდა, იმაზე მეტი დავლიე, შენ კი — ფილოსოფოსი. რომ ამდენი ხანი გეხვეწები და ვერ დაგიყოლიეო.

ნათლიმამის მარილი

ერთხელ, როცა უმარილობა იყო ქვეყნად და ხალხს უჭირდა, ერთმა კაცმა იშოვნა ერთი კაი დიდი მარილის ქვა და ნათლიდედას მიაბარა: შემოდგომამდე შემინახეო. ნათლიდედას ძალიან უჭირდა მარილი, მაგრამ ვერ ბედავდა პატარა ნატეხი მაინც მოეტეხა. ბოლოს, მეტი გზა აღარ იყო, აიღო მარილის ქვა და წყლით სავსე კასრში ჩადო გასარეცხად და ამ ნარეცხს ხმარობდა. როცა მლაშე წყალი გაუთავდა, კიდევ გარეცხა მარილის ქვა. მარილის ქვის გარეცხვა და მლაშე წყლის ხმარება მოეწონა ნათლიდედას და უფრო ხშირ-ხშირად დაუწყო ქვას რეცხვა. რომ ილეოდა მარილის ქვა, იმას კი აღარ უკვირდებოდა.

ერთხელაც მოაკითხა ნათლიმამამ ნათლიდედას მიბარებული მარილის ქვის წასაღებად.

— დილამშვიდობისა, ნათლიდედ!

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, ნათლი.

— ალბათ, ღვთის წყალობით კარგადა ხართ ოჯახში, არა ნათლიდედ?

— ღვთის მადლით და შენი წყალობით კარგად, აგრემც შემოგევლოს შენი ნათლიდედა.

— მაშ, რახან კარგად ხართ, ერთი ჩემი მარილის ქვა გამომიტანე, ამ გაზაფხულზე რომ მოგაბარე, მინდა წავიღო, შემოდგომაა, ოჯახში ახლა უფრო საჭიროა, ჩემს პატივისცემას კი ღმერთი გადაგიხდის, ჩემო ნათლიდედ.

ნათლიდედა შეუძღვა ნათლიმამას მარანში მარილის ქვის მისაცემად. როცა ნახა ნათლიმამამ თავის მარილის ქვა, რომელიც ძალზე გალეულიყო და გათეთრებულიყო, მიხვდა ნათლიდედის ეშმაკობას და ლექსად თქვა:

აბა ჩემო, მარილაო, დღეში სამჯერ ბანილაო,
ფერი კარგად გიცვლიაო, ტანი კი არ გიქნიაო.

ხელმწიფე და გლეხის ქალი

ბატონის და მეფის ხელში
ნუ დაეძებ სამართალსა;
არაკს გეტყვით, შიგ არ გავრეე
არც ტყუილს და არც მართალსა.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი გლეხი, ჰყავდა გაუთხოვარი ქალიშვილი.

ერთ წელიწადს გლეხი მიწას ხნავდა. შემოუარა ათი კვალი და ბეთერთმეტე უნდა დაეწყო, რომ სახნისი რაღაცას წამოეედო და გუთანს ხაზი გაამრუდებინა. გლეხმა დააყენა ხარები, მივიდა იმ ადგილას და რას ხედავს! ხნულის შავ ნაღარში ოქროს ფილი გდია. პირველად არ უჯერებდა თავის თვალებს, მაგრამ როცა ჩოხის კალთით კარგად გაწმინდა და გააპრიალა, მაშინ კი დარწმუნდა და სიხარულისაგან კინაღამ გაგიჟდა.

გლეხმა გაანება თავი ხვნას და სახლისკენ გაეშურა.

შინ რომ მივიდა, ქალიშვილმა გაკვირვებით ჰკითხა: მამავ, რად დაბრუნდი, ნუთუ ასე ადრე მოათავე ხვნაო?

— რას ამბობ, შვილო, დღეს ისეთი ბედი დამეცა, რომ ხვნაც დამავიწყდა და საკუთარი თავიც!

— რა, მიწაში ხაზინა ხომ არ იპოვე?!

— აბა, შეხედე, განა ხაზინაზე უკეთესი არ არის! — უპასუხა გლეხმა და თანაც ძვირფასი ნივთი ხელში შეათამაშა.

— ეგ ხომ ოქროს ფილია! — გაკვირვებით წამოიძახა ქალიშვილმა.

— დიახ, შვილო, ოქროს ფილია, ოქროსი!

— მერე, რა უნდა ვუყოთ? რაში მოვიხმაროთ?

— როგორ თუ რა ვუყოთ! ჩვენს ხელმწიფეს მივართმევ და ამაში სამ დღიურ მიწას ვთხოვ.

— რას ამბობ, მამავ! ხელმწიფეს უნდა მიართვა?! იცოდე, ის წყალგამოღმა მოგედავება და ოქროს სანაყელსაც მოგთხოვს.

შვილი დიდხანს უშლიდა თავის მამას, რომ ხელმწიფისთვის არ მიერთმია ოქროს ფილი, მაგრამ მამამ შეაგდო ქვა და შეუშვირა თავი: ასეთი ძვირფასი ნივთი მხოლოდ მეფის საკადრისია და ამიტომ მას უნდა მივუტანოო!

გლეხმა აიღო ფილი და წავიდა. მივიდა ხელმწიფესთან, ქუდმოხდილმა სალამი მისცა და მოახსენა: დიდებულო ხელმწიფეე, ეს ძვირფასი ნივთი თქვენი საკადრისია და საჩუქრად მოგართვითო.

— რა არის, რა ნივთია?

— ოქროს ფილია, შენი ჭირიმე!

— ოქროს ფილია?! — გაკვირვებით იკითხა მეფემ. — მერე. სანაყელი რაღა უყავ?!

— ჭიწაში მარტო ეგ ვიპოვე, შენი ჭირიმე!

— რას ამბობ, ბრიყვო! სადაც ეს იპოვე, იქ სანაყელსაც იპოვიდი! წადი ახლავე და ისიც მომიტანე, თორემ მაგ მატყუარა ენას ქვით დაგინაყავ!

გლეხი დაღონდა. მაშინვე კი გაახსენდა თავისი ქალის დარიგება და ოხვრით ჩაილაპარაკა: ახია. შენზე, ჩემო თავო! რატომ ჩემს ქალს არ დავუჯერე.

ხელმწიფემ გაიგონა ეს სიტყვები და ჰკითხა:

— რა გითხრა შენმა ქალმა?

— ხელმწიფეს არ წაუღო ეგ ოქროს ფილი, თორემ ოქროს სანაყელსაც მოგედავებაო. — უპასუხა გლეხმა. — აი, აკი ამიხდა კიდეც.

— შენმა შვილმა წინასწარ საიდან იცოდა, თუ მე სანაყელსაც მოგედავებოდი?

— ეჰ, მე ვერ მოვიხმარე, თორემ, ვისაც ცოტაოდენი ჭკუა და აზრი აქვს, იმან წინასწარ იცის, ესა თუ ის საქმე რა ნაყოფს გამოიღებს.

— რაკი შენი ქალი ასეთი ჭკვიანი ყოფილა, წადი და ახლავე აქ გამომიგზავნე! — უბრძანა ხელმწიფემ.

წამოვიდა დაღონებული გლეხი სახლისაკენ. ჰოდიოდა და თავის თავს უსაყვედურებდა: არა. შე ოხერო ჩემო თავო, რაზე გადაიკიდე დარდი და ხათაბალა! ოქროს ფილი ხომ დავკარგე და დავკარგე. ოქროს სანაყელი ვალად დამედო, ჩემი ქალის ცოდვაში რაღაც ჩავდექიო.

გლეხი შევიდა თუ არა სახლში, ამოიოხრა, და თავის შვილს უთხრა: ეჰ, ჩემო შვილო, რა მალე ამიცხადდა შენი სიტყვები. ხელმწიფეს ჰივართვი თუ არა ოქროს ფილი, ჰკითხა: ოქროს სანაყელი რაღა უყავიო?! ისიც მომიტანე, თორემ ჩემი მოტყუებისათვის ენას ქვით დაგინაყავ! ჩემს დარდს გავუძლებდი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ შენი დარღიც დამემატა: წადი და შენი ჭკვიანი ქალი ახლავე აქ გამომიგზავნეო. ღმერთმა იცის, რა უძევს გუნებაში!

— ნუ გეშინია, მამაჩემო! ხელმწიფე, ალბათ, იმისთვის მიბარებს, რომ ჩემი ჭკუა გამოსცადოს. წავალ, იქნება გავიმარჯვო

და ოქროს სანაყელის დარდი მოგაშორო, — ანუგეშა შვილმა და წასასვლელად გაემზადა.

ქალი წავიდა. მივიდა ხელმწიფესთან, თავი დაუკრა და მოახსენა:

— რას მიბრძანებთ, დიდებულო ხელმწიფევ!

— აბა, თუ ჭკვიანი ხარ, ახლა გამოჩნდება: ხვალ კვლავ გამოცხადდები ჩემთან, მაგრამ ისე, რომ არც შიშველი იყო და არც ტანისამოსი გეცვას, არც ფეხით მოხვიდე და არც სხვა რამით, რაც ადამიანებს სამგზავროდ აქვთ გამოყენებული. შეასრულებ ამ დავალებას, მაჰაშენს უკანვე დავუბრუნებ ოქროს ფილს, შენ კი ცოლად შეგირთავ, თუ არა, ენას მოგჭრი!

გლეხის ქალი დათანხმდა და წამოვიდა.

მეორე დღეს ქალმა დაიხადა ტანისამოსი, ჩაჯდა ბადეში, გამოება უკან ვირს და ისე მივიდა ხელმწიფესთან.

ხელმწიფეს ძალიან გაუკვირდა ქალის ასეთი მოხერხება და, როგორც პირობა ჰქონდა მიცემული, ოქროს ფილი გლეხს დაუბრუნა, ქალი კი ცოლად შეირთო.

იმ დღიდან ცხოვრობდნენ ერთად მყუდროდ და ბედნიერად.

ხელმწიფე ხშირად მიმართავდა ხოლმე რჩევისათვის თავის ჭკვიან ცოლს და მისი დარიგება ყოველთვის კარგადაც უჯდებოდა.

ერთ წელიწადს მწყემსებს ცხვარი და ძროხა მთაში მიუდიოდათ. ერთ დღეს შებინდებამ მათ ქალაქის მახლობლად მოუსწრო. მწყემსებმა მოსინჯეს ღამის გასათევი ადგილი, მოხადეს დატვირთულ ცხენებს ბარგი-ბარხანა და საქონელიც იქვე დააყენეს.

იმ ღამეს ერთი მეცხვარის ცხენმა კვიცი მოიგო, მეორე მწყემსმა მოიპარა ქორფა კვიცი და თავის ხარს ფეხზე გამოაბა.

გათენდა. ცხენის პატრონმა კვიცი მოიკითხა. მივიდა ხარის პატრონთან და უთხრა: ძმობილო, ამ კვიცს შენთან რა უნდა? წუხელ ჩემს მაკე ცხენს მოუგიაო.

— რას ამბობ! ეს კვიცი შენი ცხენისა კი არა, ჩემი ხარისაა. რომ იგებდა, თავზე ვადექ და, დედას რომ არ მოშორებოდა, მის ფეხზე მივაბიო, — უმტკიცებდა მეორე.

მწყემსებმა იდავეს, იჩხუბეს და, რომ ვერ შეთანხმდნენ, ხელმწიფეს მიმართეს.

ხელმწიფე იმჯერად კი არ დაეკითხა თავის ჭკვიან ცოლს და ასეთი განაჩენი გამოიტანა: რადგანაც კვიცი გათენებისას ხართან აღმოჩნდა, ამიტომ ის ხარს მოუგია და არა ცხენსო.

ცხენის პატრონი სახტად დარჩა, გაყვითლდა, ენა დაება. გამოვიდა სასახლიდან გაბოროტებული, სიმწრისაგან ტუჩებს იკვნეტდა და თვალები ცრემლებით ევსებოდა.

სასახლიდან გამოსულ მწყემსს კარებთან ხელმწიფის ცოლი შემოეყარა წინ და ჰკითხა: ძმობილო, ასე მწარედ რაზე ხარ დაღონებულიო?

მწყემსმაც აღარ დამალა თავისი გულის ბოღმა და დაწვრილებით უამბო.

— ნუ გეშინია, შენი სიმართლე არ დაიკარგება და, როგორც დაგარიგო, ისე მოიქეცი: წადი, იშოვე სადმე ბადე, მოიტანე და ხელმწიფის სასახლის ეზოში გადაისროლე ბოლმე, ვითომ მებადური ხარ. ხელმწიფე რომ დაგინახავს, გკითხავს: რას შვრები, ცარიელ მიწაზე თევზების დაჭერა შეიძლებაო?! შენ უპასუხე: დიდებულო ხელმწიფევ, თუ ცარიელ მიწაზე თევზის დაჭერა არ შეიძლება, ის კი შეიძლება, რომ ხარმა კვიცი მოიგოს-თქო?! ხელმწიფე ჰიხვდება თავის შეცდომას და კვიცს შენ დაგიბრუნებს.

წავიდა მწყემსი, იშოვა სადღაც ერთი ძველი ბადე, მოვიდა სასახლის ეზოში და რამდენჯერმე გადაისროლა.

სწორედ იმ დროს ხელმწიფე გარეთ იყო გამოსული და, მწყემსი რომ დაინახა, გაუკვირდა და ჰკითხა:

— რასა შვრები, კაცო! ცარიელ მიწაზე თევზის დაჭერა ვის გაუგონია?!

— რატომ გაგიკვირდათ, დიდებულო ხელმწიფევ! თუ მიწაზე თევზის დაჭერა არავის გაუგონია, ის კი გაუგონია ვინმეს, რომ ხარმა კვიცი მოიგოს?

ხელმწიფეს მაშინვე გაახსენდა თავისი უსამართლო განაჩენი, მაგრამ მწყემსის თვალში სახელი რომ არ გაეტეხა, გაბრაზებულმა უპასუხა:

— ხელმწიფის სიტყვა გარდუვალია! როცა ის ბრძანებს, რომ შეიძლება ხარმა კვიცი მოიგოსო, მაშ, შეიძლება!

მწყემსი გაბრუნდა.

— ეს მწყემსი, უსათუოდ, ჩემი ცოლის დარიგებულია, — თქვა ხელმწიფემ, — ის თუ თავიდან არ მოვიშორე, მთელ ხალხში სახელსა და ნდობას დამიკარგავსო.

ერთ ღამეს განგებ მოიბრაზიანა თავი და ცოლს წაეჩხუბა: შენთან ცხოვრება აღარ შემიძლია! ოღონდ გამშორდი და უფლებას

ვაძლევ �. ჩემს სახლში რაც კი შენს თვალ-გულს მოეწონება, და თან წაიღოო.

— თუკი აღარ გინდა ჩემთან ცხოვრება, არც მე დაგატან ძალას, მხოლოდ ერთსა გთხოვ: დღემდე ტკბილად ვცხოვრობდით. გაყრითაც ტკბილად ვავიყაროთ. უკანასკნელად ერთად კიდევ ვჭამოთ პური და გზა დავულოცოთ ერთმანეთსაო.

ხელმწიფეს გული მოულბა ცოლის სიტყვებზე და დათანხმდა. ქალმა ქმრის ღვინოში ბანგი გაურია, თვითონ კი სუფთა ღვინო დაიდგა. ჭამეს პური. ხელმწიფე ჯერ ისევ სუფრასთან იჯდა, რომ ძილი მოერია და ხვრინვა ამოუშვა. ქალმა შესვა ცხენზე ნამძინარევი ქმარი და თავისი მამის სახლში მიიყვანა.

მეორე დღეს ხელმწიფეს გაეღვიძა. ქერსა და კედლებს მიავლ-მოავლო თვალი და თავისთვის ჩაილაპარაკა: სადა ვარ? ნეთუ ეს ჩემი სასახლეაო?

— დიდებულო ხელმწიფევ, შენ ახლა მამაჩემის სახლში ხარ, აქ გეძინა და აქვე გაიღვიძე, — უპასუხა თავით მჯდომმა გლეხის ქალმა.

— აქ რა მინდა?.. ან ვინ მომიყვანა?! — გაკვირვებით იკითხა ხელმწიფემ.

— როგორ თუ აქ რა გინდა! გუშინ ჩვენ რომ გავიყარეთ, შენ ხომ უფლება მომეცი: აირჩიე, რაც კი შენს თვალ-გულს მოეწონება. და თან წაიღეო. მე კი მხოლოდ შენ მომეწონე და მძინარე ჩემს სახლში წამოგიყვანე.

ხელმწიფე იმჯერადაც გააკვირვა გლეხის ქალის სიჭკვიანე-მოხერხებამ, მოეხვია და შერიგება სთხოვა.

იმავე საღამოს შესხდნენ ცხენებზე და დაბრუნდნენ სასახლეში; დაიწყეს ისევ ბედნიერი ცხოვრება.

ივანე და გოგია

იყო და არა იყო რა, რაც არ იყო, რა იქნებოდა. იყო ორი კაცი — ივანე და გოგია. ივანეს ფულის გასესხება უყვარდა, გოგიას კი ვალის გადახდა ეჯავრებოდა.

ერთხელ გოგია ივანეს ორ აბაზს ესესხა.

გავიდა დრო, ივანემ მოსთხოვა თავის მოვალეს ფული. გოგიამ

მიიპატიჟა სახლში, დაუკლა მსუქანი დედალი. კარგა აქეიფა და წასვლის დროს უთხრა: კვირას მოდი და მოგცემო.

კვირას კვლავ მივიდა ივანე თავის მოვალესთან. გოგიამ იმ დღესაც მიიწვია სახლში, დაუკლა ქათამი, აქეიფა კარგად და სუფრიდან ადგომის დროს უთხრა: კვირას მოდი და მოგცემო.

გოგიას ასეთმა საქციელმა მეტად გააბრაზა ცოლი და უთხრა: კაცო, სად გაქვს ჭკუა! ჯერ მარტო ქათამი ღირს ორი აბაზი, პურსა და ღვინოს რაღაზე მიხარჯავო!

— ეს ხარჯი მირჩევნია ვალის გადახდას, — უპასუხა გოგიამ, — შაგრამ ისიც ვიცი, რომ ივანე თავს არ დამანებებს, ამიტომ ეს ღონე უნდა ვიხმარო: როცა მოვიდეს და მიკითხოს, შენ თვალზე ხახვი მოისვი, თავი მოიჭირისუფლე და უთხარი: შენი ძმობილი გუშინ ვალის დარდისაგან მოკვდა-თქო.

როცა კვირა მოახლოვდა, გოგია ჩაწვა ლოგინში და წაიფარა პირზე საბანი.

მოვიდა ივანე და გოგიას ხრიხლიდან დაუძახა. ცოლმა მოისვა თვალებზე ხახვი, მივიდა მოვალესთან და ტირილით უთხრა:

— შენი ძმობილი, გოგია, შენი ვალის დარდმა თან გადაიტანა, გუშინ თავის ანგელოზს მიაბარა სული!

— ვაი, შენ ჩემო ორო აბაზო! — წაიშინა თავში ივანემ, — არა, ჩემს ორ აბაზს თავს ვერ დავანებებ, ვერა! თან გამოგყვები, გოგია, თან! — შევიდა სახლში და მოვალეს თავით დაუჯდა.

წევს გოგია სულგანაბული.

— დედაკაცო, მოიტანე კუბო და საყდარში წამასვენეთ, მაშინ მაინც არ დამანებებს თავს! — უთხრა გოგიამ თავის ცოლს, როცა ჯდომისაგან შებეზრებული ივანე ერთი წუთით გარეთ გავიდა.

ივანე შემოვიდა და ისევ თავით დაუჯდა.

გოგიას სიკვდილი მთელმა სოფელმა გაიგო. ცოლმა გააკეთებინა კუბო. ჩაასვენეს შიგ გოგია, წაიღეს და სოფლის მოშორებით მდებარე ერთ ძველ საყდარში დაასვენეს. ხალხი გამობრუნდა, ივანე კი მაინც არ მოშორდა, დაჯდა კუბოს თავით და მოვალეს თვალგაშტერებით დასცქეროდა.

დაღამდა. საყდარში ისეთი სიბნელე ჩამოწვა, რომ კაცი თვალთან მიტანილ თითსაც ვერ დაინახავდა.

შუაღამე გადაცილებული იქნებოდა, რომ ივანეს გარედან რაღაც ხმაური შემოესმა. შეეშინდა და საკურთხეველში დაიმალა. თურმე, ნუ იტყვი, ქურდებს ვიღაცის ქონება გამოეტაცათ და გასაყოფად მოდიოდნენ. გატეხეს საყდრის დაკეტილი კარი, შევიდნენ

შიგ, აანთეს სანთელი და დაიწყეს ნაქურდლის გაყოფა. გაანაწილეს ყველაფერი, მხოლოდ ერთი ხმალი მოუვიდათ ზედმეტი და იმის გაყოფაზე ღონდებოდნენ.

— მოდი, ვინც ერთი დაკვრით აი, ამ კუბოს შუაზე გაჭრის, იმისი იყოს. ერთმა დაიძახოს: ერთი, ორი და მესამეზე დაჭკრასო, — თქვა ერთმა და სხვებიც დათანხმდნენ.

ამოაძრო ერთმა ქურდმა ხმალი და შემართა მაღლა.

— ერთი!.. ორი!.. — თვლა ვეღარ დაამთავრა, რომ წამოხტა კუბოდან შეშინებული გოგია და დაიძახა: ძველო და ახალო მკვდრებო, აბა, მომეშველეთო!

— აქა ვარ, აქა! — ხმა მისცა საკურთხევლიდან ივანემაც.

ქურდს გაუვარდა ხელიდან ხმალი და ზარდაცემული ყველა გარეთ გავარდა.

მთელი ქონება დარჩათ გოგიას და ივანეს. ახლა მათ დაიწყეს ნაძარცვის გაყოფა. ნაქურდალი ჩაყარეს ტომრებში, მოიკიდეს ზურგზე და, ის იყო, საყდრიდან უნდა გამოსულიყვნენ, რომ ივანეს მოაგონდა გასესხებული ფული და თავის მოვალეს უთხრა:

— მოიცა, ძმობილო, მომეცი ჩემი ორი აბაზი.

— არა, არ მოგცემ! — გაბრაზებით უპასუხა გოგიამ.

საყდარში წრეს უვლიდნენ: წინ გოგია მიდიოდა, უკან კი ივანე მისდევდა და ვალსა სთხოვდა.

შეშინებული ქურდები პირველად დამფრთხალი თხებივით უგზო-უკვლოდ გარბოდნენ, მაგრამ მალე ისევ გონს მოვიდნენ, შედგნენ და ერთმანეთს უთხრეს: კაცო, ჩვენ როგორი ქურდები ვართ, რომ მკვდრებისა შეგვეშინდაო. ან იქნება ჩვენმა თვალმა და ყურებმა მოგვატყუეს!.. მოდი, გავიგოთ სინამდვილეო.

ერთი, რომელიც უფრო გაბედული იყო, ადგა და წავიდა. ფრთხილად მივიდა საყდართან და პატარა სანათურიდან თავი გადაყო. ყაჩაღს კარგი ტყავის ქუდი ეხურა თავზე. როცა გოგიამ სანათურთან გაიარა, მოხადა ქურდს ქუდი, მიარტყა ივანეს სახეში და თანაც მიაძახა:

— აჰა, შენი ორი აბაზი, არც ახლა დამანებებ თავს!

გულგახეთქილი ყაჩაღი გამოიქცა უკან და თავის ამხანაგებს დაწვრილებით უამბო ყველაფერი:

— სწორედ იმ დროს მივედი, როცა მკვდრები ჩვენს ნაძარცვს იყოფდნენ. ერთს ორი აბაზი დაჰკლებოდა და მეორეს ხმამაღლა ეჩხუბებოდა: მომეცი ორი აბაზიო! საყდარში გადავყავი თავი თუ

არა, მომაძრეს ქუდი და, რომ არ გამოვქცეულიყავ, ალბათ, ტანისამოსსაც გამხდიდნენო!

ყაჩაღებს ახლა უფრო მეტად შეეშინდათ და ცხრა მთას იქით გადაიკარგნენ.

ივანესა და გოგიას კი დღესაც ისევ დავა აქვთ იმ საწყალ ორ აბაზზე.

უმადური ხელმწიფე და ჭკვიანი გლეხის გიჟი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი საწყალი ცოლ-ქმარი, ჰყავდათ ერთი ვაჟი. მამამ თქვა: მე რომ ეგრე ვიტანჯები, მოდი და, ჩემს შვილს ვასწავლი, იმან მაინც კარგი ნახოსო.

წაიყვანა და ერთ მეცნიერ კაცს მიაბარა. მშობლები პირიდან ლუკმას იღებდნენ და შვილს უგზავნიდნენ.

გავიდა ხანი, ბიჭმა სწავლა დაამთავრა და დაბრუნდა თავის ქვეყანაში. დიდხანს ეძება სამსახური, მაგრამ, რაკი გლეხის შვილი იყო, ადგილი არ მისცეს. დარჩა ისევ ღარიბი მშობლების შემყურე.

ბიჭი ძალიან დააღონა ცხოვრების უკუღმართობამ, ყველაზე მეტად კი მშობლების გაწეული ამაგი აწუხებდა.

ბევრი იღონა, ბევრი იფიქრა და, ბოლოს, თავის დედ-მამას გამოუცხადა: ჩემო მშობლებო, ასეთ გაჭირვებაში რომ ვცხოვრობთ, წავალ ჩემს თავს გავყიდი და იმ ფულით თქვენ მაინც ცოტა ხანს კარგად იცხოვრებთო.

— ეგ აზრი გულში თუ გქონდა, სიტყვიერად როგორ გამიბედე!.. ერთ ლუკმა პურს, როგორც იქნება, ყოველთვის ვიშოვით და თავს დავირჩენთ! — წყენით უპასუხა მამამ.

ბიჭმა მაინც თავისი არ დაიშალა და ერთ დღეს გაიპარა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა თავიანთ ხელმწიფესთან და მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფევ, ერთი საწყალი ტყვე ვარ, სხვა ქვეყნიდან გამოპარული, ან შემისყიდეთ, ან მოჯამაგირედ დამიყენეთ!

— რა ხელობა იცი?

— სიმართლეს გამოვიცნობ, არ მოვტყუვდები,—უპასუხა ბიჭმა.

— არაა ცუდი ხელობა. რას აფასებ შენს თავს?

— რაცა ვღირდე, ის მომეცით.

ხელმწიფემ ამოიღო ორი ოქროს თუმნიანი. გადაუგდო და უთხრა:

— ამაზე მეტი არა ღირხარ.

ბიჭმა ის ფული თავის მშობლებს გაუგზავნა. თვითონ კი შეაგდეს ერთ ბნელ ოთახში და ხელმწიფის ბრძანებით დღეში ჭიქა წყალი და ერთი მჭადი დაუნიშნეს.

ერთხელ ერთმა გლეხმა ხელმწიფეს გამხდარი ცხენი მიუყვანა და უთხრა:

— დიდებულო ხელმწიფევ, იყიდეთ ეს ცხენი.

— რას აფასებ?

— ათ თუმანს.

ხელმწიფეს გაახსენდა თავისი ტყვე და თქვა: მოდი, ვკითხავ და იმის სიმართლეს გავიგებო. გამოაყვანინა მოსამსახურეს და უთხრა:

— ამ ცხენში ათ თუმანს მთხოვს, ღირს?

ბიჭმა შემოუარა ცხენს, ახედ-დახედა და უპასუხა:

— მართალია, გამხდარია, მაგრამ ღირს. მხოლოდ ერთი ზნე სჭირს: წყალში დაწოლა იცის.

ხელმწიფემ გამოართვა ცხენი, ჩააბარა თავის მეჯინიბეებს და უბრძანა, ძღომაზე ეჭმიათ ქერი და ქიშმიში.

გავიდა ერთი თვე, ცხენი ისეთი გახდა, რომ ვარსკვლავებს ეთამაშებოდა. ერთ დღეს ხელმწიფეს გასეირნება მოუნდა. შეაკაზმინა ნაყიდი ცხენი, გაიყოლა თან თავისი ვეზირები და გავიდა ტრიალ მინდორზე.

— მინდა, ჯერ სირბილში გამოვცადო ჩემი ბედაური, — თქვა ხელმწიფემ და მათრახი ჰაერში შეატრიალა. ცხენმა შეათამაშა ფეხები და მერცხალივით გაფრინდა.

— ბარემ წყალშიც გამოვცდი, — თქვა ხელმწიფემ და ახლა მდინარეში შეაგდო. შუა წყალში არც კი იქნებოდა შესული, რომ ცხენი უცბად ჩაწვა. ვეზირები მისცვივდნენ და ხელმწიფე ძლივს გამოიყვანეს. ცხენი კი ცურვით გაჰყვა წყალს და, როცა მოეწყინა, გავიდა ნაპირზე, ხელმწიფე შეჯდა ისევ ზედ და წამოვიდა. შინ რომ მოვიდა, გამოუძახა ნაყიდ ტყვეს და ჰკითხა:

— შენ რა იცოდი, რომ ამ ცხენმა წყალში წოლა იცოდა?

— ეგ ცხენი ფურკამეჩის გაზრდილია და წყალში წოლა ჯიშად მოსდგამს, თუ არა გჯერათ, მაგის პატრონს ჰკითხეთ, — უპასუხა ბიჭმა.

ხელმწიფემ გაგზავნა კაცები და მოაყვანინა ცხენის პატრონი.

— შენეული ცხენი რა ჯიშისაა? — ჰკითხა მეფემ.

— ეგ ჯერ ისევ კვიცი იყო, რომ დედა მოუკვდა, ერთ ფურკამეჩს შევაჩვიე და იმან გაზარდა, — უპასუხა გლეხმა.

ხელმწიფემ თავის ტყვეს სასმელ-საჭმელი მოუმატა: დღეში ჭიქანახევარი წყალი და ერთი პური დაუნიშნა.

ბიჭი ამითაც კმაყოფილი დარჩა და თქვა: მადლობა ღმერთს, მე თუ ამ დღეში ვარ, ჩემი მშობლები ხომ მაინც კარგ პირობებში არიანო.

გავიდა რამდენიმე წელი. ხელმწიფესთან მოვიდა ვიღაც კაცი. გადააწოდა ადამიანის თვალი და უთხრა:

— დიდებულო შეფევ, იყიდეთ, ეს ნატვრისთვალია!

— რას აფასებ?

— რამდენ ოქროსაც აიწონის.

დადეს სასწორზე. ვეზირებმა მთელი ხაზინის ოქრო შეუწონეს, მაგრამ ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა. ხელმწიფემ გამოიძახა თავისი ტყვე და უამბო ეს საკვირველი ამბავი.

ბიჭმა აიღო თვალი, გააგორ-გამოაგორა მიწაზე და მოახსენა:

— აბა, ახლა შეუწონეთ!

შეუწონეს აბაზიანი და ახლა იმანაც კი გადაწონა. ხელმწიფეს გაუხარდა და კიდევ მოუმატა თავის ტყვეს საჭმელ-სასმელი: ორი ჭიქა წყალი და პურნახევარი დაუნიშნა.

ბიჭი ამჯერადაც კმაყოფილი დარჩა და თქვა: მადლობა ღმერთს, მე თუ ამ დღეში ვარ, ჩემი მშობლები ხომ მაინც კარგ პირობებში არიანო.

გავიდა რამდენიმე წელი. ერთ დღეს ხელმწიფემ დაიბარა თავისი ვეზირები და უთხრა: ჩემი ქვეყანა უნდა შემოიაროთ და ჩემი მომდურავი ხალხი ყველა აქ მომგვაროთო.

ვეზირებმა მოახსენეს: ჩვენ სიმართლეს არ გვეტყვიან, დიდებულო ხელმწიფევ, დაგვიმალავენ, უკეთესი იქნება, თქვენი ტყვე გაგზავნოთ. იმან ყველაფერი იცის, სიმართლეს შეიტყობსო.

ხელმწიფემ დაიბარა თავისი ტყვე და უბრძანა: ჩემი ქვეყანა უნდა შემოიაროო და, ვინც ჩემი მომდურავია, ყველა აქ მომიყვანოო.

რა ქნას საწყალმა ბიჭმა, ხელმწიფის ბრძანებას როგორ გაეჭცევა?

ბიჭი წავიდა თუ არა, მთელ ქვეყანაში მაშინვე გავრცელდა ხმა: მოდის ვიღაც სიმართლის შემტყობი კაცი ხელმწიფის უკმაყოფილო ადამიანების წასაყვანადო.

ხალხი დაღონდა, არავინ იცოდა, როგორ მოქცეულიყო — ყველა ხელმწიფის მომდურავი იყო. ბევრი იღონეს, ბევრი იფიქრეს და,

ბოლოს, ერთ გამოცდილ მოხუცს მიმართეს: დაგვარიგე, როგორ მოვიქცეთო! იმან უთხრა: რა გაშინებთ, როცა ის კაცი მოვა, ყველამ ვთხოვოთ, შეგვინახოს და ხელმწიფესთან ნუ წაგვიყვანს; თუ ის ნამდვილად სიმართლის მთქმელია, მხარს ჩვენ დაგვიჭერსო.

ასე მოიქცნენ. ბიჭი წავიდა ხელმწიფის ბრძანების შესასრულებლად. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა იმ ადგილას, სადაც მთელ ხალხს თავი მოეყარა. ჯერ ყველა ჩუმად იყო. მერე კი გამოვიდა ჭკვიანი მოხუცი და მოახსენა: ეს ხომ ვიცით, რისთვის ხარ გამოგზავნილი, მოდი, შეგვინახე და ხელმწიფესთან ნუ წარგვადგენ, თორემ ყველას სახრჩობელა მოგველის, კანონიც მის ხელშია და ძალაცო.

ბიჭმა უთხრა: ნუ გეშინიათ, თუ მხარს დამიჭერთ, ხელმწიფე ვერც თქვენ დაგაკლებთ რასმე და ვერც მე, ყველანი თან გამომყევით და თქვენ მაგიერ მე ვიტყვი ყველაფერსო.

ხალხი შეფიქრიანდა: რომ გავყვეთ, ვაითუ მიგვიტყუოს და საოთითაოდ სახრჩობელაზე ჩამოგვკიდონო.

იფიქრეს, იღონეს და, ბოლოს, ისევ ჭკვიან მოხუცს ჰკითხეს:

— შენ რას გვირჩევ, როგორ მოვიქცეთ?

— ხალხო! როგორც ეს კაცი გვირჩევს, ისე მოვიქცეთ. თუ გაგვყიდა, დაე, ჩვენი და ჩვენი ცოლ-შვილის ცოდვა ამის კისერზე იყოს. ერთხელ დავბადებულვართ, ერთხელ მოვკვდებით, სხვას რას გვიზამენ!

ბიჭი გამობრუნდა და მთელი ხალხიც თან წამოიყვანა. ჯერ თვითონ შევიდა ხელმწიფესთან და მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფევ, ბრძანება შევასრულე!

— აბა, რა შეიტყვე, მიამბე!

— ჯერ პირობა მომეცით, რომ სიმართლის მოხსენებისათვის არ ვამიბრაზდებით!

ხელმწიფემ შეჰფიცა, რომ დამშვიდებით მოუსმენდა. ბიჭმა და იწყო: ხელმწიფევ, ხალხი კარგი გყავს, მაგრამ თვითონ შენა ხარ უმადური! შორს რომ არ წავიდეთ, ჩემს თავზე ავიღოთ: ცოცხალი ადამიანი ორ თუმნად მიყიდე, გამხმარ ცხენში კი ათი თუმანი მიეცი. ესეც არაფერი! იმ გლეხმა ის ცხენი შენ დასახრჩობად მოგყიდა და სიკვდილს მე გადაგარჩინე, მადლობის ნიშნად ნახევარი ჭიქა წყალი მომიმატე და ნახევარი პური. ესეც არაფერი! მეორე კაცმა თვალი მოგიტანა და იმ თვალში მთელი შენი ხაზინა მიჰქონდა. ის თვალი ხარბი კაცისა იყო, იმას შავი მიწის მეტი არაფერი გააძღებდა. მეც იმიტომ გავაგორ-გამოვაგორე და მიწა შევალოცე. აქაც

მე გიხსენ, შენ კი მადლობის ნიშნად ნახევარი ჭიქა წყალი მომიმატე და ნახევარი პური. ესეც არაფერი! მთელი ქვეყანა შემოვიარე და შენი მადლიერი კაცი ვერავინ ვნახე. აი, ის მომდურავი ხალხი თან წამოვიყვანეო.

ხელმწიფე განრისხდა და ვეზირებს უბრძანა:

— სათითაოდ ჩამოახრჩეთ ყველა! აკვნის ბავშვიც კი არ გაუშვათ ცოცხალი!

— ხალხო, განაჩენი ჩვენ თვითონ გამოვუტანოთ ხელმწიფეს!— დაიძახა ბიჭმა.

მართლაც, იგრიალა ხალხმა, დაიჭირეს უმადური ხელმწიფე, მისი ნაზირ-ვეზირებიც და ყველა ერთად ჩამოახრჩეს.

ხელმწიფედ ის ბიჭი დააყენეს და იმ დღიდან ისეთი ბედნიერი და მშვიდობიანი ცხოვრება დამყარდა, რომ მგელი თხას მეგობრობდა და კატა თაგვს ესარჩლებოდა.

სიმართლე

ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა ორი მეგობარი — მეცხვარე და სოვდაგარი. მეცხვარე ცხოვრობდა სოფელში და ჰყავდა უთვალავი ცხვარი. სოვდაგარი კი ცხოვრობდა ქალაქში და ჰქონდა აუარებელი სიმდიდრე. როგორ ეცათ ერთმანეთისათვის პატივი, აღარ იცოდნენ, მხოლოდ ერთ რამეში ვერ შეთანხმებულიყვნენ: იყო თუ არა ქვეყანაზე ისეთი კაცი, რომელსაც ტყუილი არ ეთქვა.

ერთხელ, ერთმანეთს რომ შეხვდნენ, პურისჭამის დროს ლაპარაკი კიდევ ამაზე ჩამოვარდა.

— ნამდვილად არ იქნება ისეთი ადამიანი, რომელსაც თავის სიცოცხლეში ტყუილი არ ეთქვას? — თქვა სოვდაგარმა.

— ჩემო მეგობარო, — უპასუხა მეცხვარემ, — მე მყავს ერთი ისეთი მწყემსი, რომელსაც თავის სიცოცხლეში ტყუილი არ უთქვამს და არც იტყვის.

— ვერ დავიჯერებ, რომ იმ მწყემსს საერთოდ ტყუილი არ ეთქვას და ან არასდროს არ იტყვის, — უთხრა სოვდაგარმა. მეცხვარე არწმუნებდა, სოვდაგარს არა სჯეროდა. ბოლოს, დანაძლევდნენ: თუ მწყემსი ტყუილს არ იტყოდა, სოვდაგრის ქონება მეცხვარეს უნდა დარჩენოდა, და თუ მწყემსი ტყუილს იტყოდა, მეცხვარის ფარა სოვდაგარს უნდა დარჩენოდა.

დასცილდნენ ერთიმეორეს და თავიანთ საქმეზე წავიდნენ. მეცხვარეს ცხვარი მთაში ჰყავდა და ასეთი წესი ჰქონდა, კვირაში ერთი-ორჯერ ადიოდა სანახავად და, როცა ფარეხში მივიდოდა, მწყემსს მიმართავდა: გამარჯობა, ჩემო მწყემსო! როგორა ხარ, როგორ არის ჩემი ცხვარი და ჩემი ყოჩიო?

— გაგიმარჯოს, ჩემო ბატონო, მეც კარგადა ვარ, თქვენი ცხვარიცა და ყოჩიც კარგად არისო. — ეტყოდა ხოლმე მწყემსი.

მოხდენილი და მშვენიერი იყო ფარის წინამძღოლი ყოჩი. დიდრონი დაგრეხილი რქები და ამაყი სიარული, ჭკვიანი თვალები აორკეცებდა მის სილამაზეს. ამიტომაც მეცხვარეს იგი ძალიან უყვარდა.

სანაძლეოს დადების შემდეგ კარგა ხანმა გაიარა. ერთ დღეს სოვდაგარმა კარგი საგზალი მოამზადა. ღვინოც ბლომად იყიდა, ორი სხვა მეგობარიც დაპატიჟა და მთაში წავიდა მწყემსის სანახავად.

სოვდაგარი მწყემსს კარგად იცნობდა, მაგრამ მის ასეთ პატიოსნებაში არ იყო დარწმუნებული.

მწყემსმა მეცხვარის მეგობრის მოსვლა რომ გაიგო, დიდად გაუხარდა, პატივსაცემად ცხვარი დაუკლა და კარგადაც გაუმასპინძლდა. სტუმრებმაც თავიანთი ხურჯინებიდან საგზალი ამოალაგეს, ხის ჩრდილში დასხდნენ და ჭამა-სმას შეუდგნენ. სოვდაგარი მწყემსს ღვინოს აძალებდა და, ბოლოს, დაათრო კიდეც, თვითონ კი ფხიზლები იყვნენ. სოვდაგარმა მწყემსის სიმთვრალით ისარგებლა და უთხრა:

— თუ შენ ჩვენი პატივისცემა გინდა, ფარაში ის ლამაზი ყოჩი რომ გყავთ, ის დამიკალიო.

— არა, ამას ვერ ვიზამო, — უპასუხა მწყემსმა, — ჩემს პატრონს ის ყოჩი ძალიან უყვარს, მთელ ფარას ურჩევნია, მერე იმას რაღა პასუხი გავცეო!

— შენს პატრონს უთხარი, რომ მგელმა მომტაცა-თქო, — დაარიგა სოვდაგარმა.

მწყემსი დიდ უარზე იყო, სოვდაგარი კი არ ეშვებოდა. ბოლოს, რომ აღარაფერი გასდიოდა, ისევ ღვინო დააძალა და უფრო მეტად დაათრო, ისე რომ მწყემსს აღარაფერი გაეგებოდა და ყოჩი დააკვლევინეს.

იმ ღამეს იქ დარჩნენ, დილით ადრე ადგნენ, მწყემსს კვლავ ურჩიეს — პატრონისათვის სიმართლე არ ეთქვა. გამოეთხოვნენ და გახარებულები ქალაქს წავიდნენ.

გამოფხიზლებული მწყემსი მიხვდა თავის შეცდომას და დიდად

შეწუხდა, საგონებელში ჩავარდა. აღარ იცოდა, რა პასუხი გაეცა მეცხვარისათვის.

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მინდვრად გავიდა, მიწაში ერთი მაღალი ჯოხი ჩაარჭო, ზედ თავისი ნაბადი წამოასხა, ქუდიც დაახურა და ისე მოიჩვენა, ვითომ ის მწყემსი იყო, თავისი თავი კი მეცხვარედ წარმოიდგინა; შორს წავიდა, მერე ისევ მობრუნდა, ჯოხთან მივიდა და უთხრა:

— გამარჯობა, ჩემო მწყემსო! როგორა ხარ, როგორ არის ჩემი ცხვარი და ჩემი ყოჩი?

— მე კარგად ვარ, ჩემო ბატონო, ცხვარიც კარგად არის, მაგრამ შენი ყოჩი წუხელ მგელმა მომტაცა.

ამ ტყუილის თქმით მწყემსი დიდ უხერხულობაში ჩავარდა, შერცხვა.

ასე რამდენიმეჯერ გაიმეორა, მაგრამ ვერა და ვერ შეეგუა ტყუილის თქმას და, ბოლოს, გადაწყვიტა: როცა პატრონი მოვიდოდა, ყველაფერი სიმართლით ეთქვა.

ამასობაში მეცხვარეც მოვიდა და მწყემსს უთხრა:

— გამარჯობა, ჩემო მწყემსო, როგორა ხარ, როგორ არის ჩემი ცხვარი და ჩემი ყოჩი?

— კარგად ვარ, ცხვარიც კარგად არის, მაგრამ შენი საყვარელი ყოჩი აღარა მყავს. გუშინ საღამოს შენი მეგობარი სოვდაგარი და მისი ორი მოკეთე მესტუმრნენ, კარგი პატივი ვეცი, იმათ ღვინით დამათვრეს, შემაცდინეს, შენი საყვარელი ყოჩი დამაკვლევინეს და თან დამარიგეს, შენთვის ტყუილი მეთქვა, ვითომ ყოჩი მგელმა მომტაცა; ასე შემაცდინეს, შენი ჭირიმე. ახლა რაც გინდა, ის მიყავი, როგორც გენებოს, ისე შემრისხე, რა ვქნა, მე ჩემს სიცოცხლეში ტყუილი არ მითქვამს და ვერც თქვენ მოგახსენეთო.

მეცხვარეს, მართალია, ყოჩის დაკვლა ძალიან ეწყინა, მაგრამ უთხრა: ნუ სწუხარ, ჩემო ძმაო, მადლობელი ვარ, რომ ტყუილი არ მითხარი, მაგ შენი სიმართლით ჩემს თვალში უფრო ამაღლდი და თან მეც სანაძლეო მომაგებინე, დღეიდან ეს ჩემი ცხვრის ფარა შენი იყოსო.

ცხვრის ფარა მწყემსს ჩაბარა და თვითონ ქალაქისკენ გაეშურა.

მეცხვარე სოვდაგართან მივიდა, მოიკითხა და ასე უთხრა: აკი ამბობდი, ქვეყანაზე არ მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომ ტყუილი არ ეთქვასო. ჩემმა მწყემსმა ყველაფერი სიმართლით მიამბო: თუ როგორ დაათვრეთ და ყოჩი დააკვლევინეთ, მერე დაარიგეთ, თითქოს ყოჩი მგელმა მოიტაცაო, ასე ეცრუა ჩემთან. იმან ტყუილის

თქმა ვერ გაბედა, იმიტომ რომ სინდისმა შეაწუხა; სიმართლის თქმაზე უკეთესი ცხოვრებაში არაფერი არ არის. შეიძლება კაცი ღარიბი იყოს, მაგრამ სიმართლის თქმისა არ ეშინოდეს. ტყუილს, ჩემო კარგო მეგობარო, მოკლე ფეხი აქვს, ტყუილის თქმა ქურდბა-ცაცა და ავაზაკ კაცს სჭირდება, პატიოსან ადამიანს კი სიმართლის თქმა სწორ გზაზე აყენებს და თავის შეცდომებს ასწორებინებს. ახლა, შენ ჩემო მეგობარო, სანაძლეო წაგებული გაქვს. ჩემი ცხვარი სიმართლის თქმისათვის ჩემს მწყემსს ჩავაბარე, პირობის თანახმად კი შენი ქონება მე მეკუთვნისო.

რაღას იზამდა სოვდაგარი, სანაძლეო წაგებული ჰქონდა, თავისი ქონება მეცხვარეს ჩააბარა, მეცხვარემ მისი ქონების ნახევარი ისევ სოვდაგარს დაუბრუნა და ცხოვრობდა სიმართლით.

ა ნ დ ა ზ ა: სიმართლემა თქვა — ურმით დავდივარ, მაგრამ ბედაურზე მჯდომ კაცსაც კი დავეწევიო.

მატყუარა მკითხავი

იყო ძეტად ზარმაცი კაცი. ზამთარში ცეცხლის პირს არა შორდებოდა. ზაფხულში მკვდარივით იდო, ეძინა და ბუზები ჭამდნენ.

ერთხელ ცოლმა ვეღარ მოითმინა და მოატყუა: კაცო, გადი გარეთ, ღმერთი ქადა-პურსა ყრისო. გაიტყუა და ჩაუკეტა კარები, აღარ შეუშვა. ზარმაცი აივლის გზაზე და ჩაივლის მთქნარებით. ორი კაცი შეხვდა და უთხრა: მეფის გამოგზავნილები ვართ, მან ოქროსტარიანი ხანჯალი დაკარგა და კარგი მკითხავი ხომ არსად გეცოდინებაო.

-- მე თვითონ მკითხავი ვარ, — უთხრა ზარმაცმა, — ხანჯალი წყალში გდიაო.

მაშინვე მოახსენეს მეფეს: მკითხავმა გვითხრა, წყალში გდია ხანჯალიო.

მეფეს გაახსენდა, იმ ცოტა ხანში წყალზე მოუხდა გადასვლა და ხალხი გაგზავნა საძებნელად. ხანჯალი მართლა წყალში იპოვეს.

მეფე ყოველ წელიწადს ხაზინიდან აუარებელ ოქრო-ვერცხლს კარგავდა. ეს ვითომ მკითხავი დაიბარა, სანამ მოვიდოდა, ყუთში კალიები ჩაამწყვდია და იფიქრა, თუ ამ კალიებს გამოიცნობს, ნამდვილ ქურდებსაც გამოიცნობსო. უთხრა მკითხავს: აბა, ამ ყუთში რა არისო?

ზარმაცი კაცი საგონებელში ჩავარდა. მოაგონდა ერთი ლექსი და თქვა:

ახტი, კალია, დახტი, კალია,
ვაი, შენ, ჩემო თავო,
რა ძალად მოგკალია.

მეფესთან ერთად ნაზირ-ვეზირებმა დაიძახეს: გამოჩენილი გულ-თმისანი მკითხავი ყოფილაო! მეფემ უბრძანა: ხაზინის ქურდებიც გვაპოვნინე და კარგად დაგასაჩუქრებო. მკითხავს შიშით გააცივ-გა-აცხელა და უთხრა: ერთი კვირა დამაცადეთო.

გავიდა ერთი კვირა. ქურდების ასავალ-დასავალსაც ვერ მიაგნო და რა უთხრას მეფეს. ცოლს სთხოვა, ნაზუქი გამოეცხო, მეფისა-თვის მიერთმია და ბოდიში მოეხადა, რომ ქურდები ვერ აღმოაჩინა.

საღამო ჟამზე შევიდა სათონეში და ჰკითხა ცოლს, რამდენი ნა-ზუქი გამოაცხვეო. ერთი ნაზუქი თონის თავზე იდო. ცოლმა უთხრა: აი, ეს ერთი, ცხრამეტიც სახლში შევიტანე, ოცი იქნებაო.

სწორედ ამ სიტყვების დროს ბანზე გაიარა ერთმა ქურდთაგანმა. გაიგონა, გაიქცა და უთხრა ამხანაგებს: დავიღუპეთ, გაუგიათ, რომ ხაზინის ქურდები ოცნი ვართ. ეს არის, ახლა მკითხავის სახლში ლა-პარაკობდნენო.

ქურდები მივიდნენ მკითხავთან და სთხოვეს, არ გაეცა ქურდები და ქრთამს რამდენსაც მოითხოვდა, მიართმევდნენ. მკითხავი მაინც მივიდა მეფესთან და ოცივე ქურდი მისცა ხელში. მეფემ მრავალი სიმდიდრე, ოქრო-ვერცხლი უბოძა და მკითხავის სახელიც ერთი ათად გავარდა.

ვაჭარი და ღარიბი ცოლ-ქმარი

ლატაკ ცოლ-ქმარს ერთი ვაჟიშვილი ჰყავდათ და ერთი ბერწი ძროხა. შვილს უთხრეს: შვილო, წაიყვანე, ძროხა, ბაზარში აატარ-ჩაატარე, სამ თუმნად თუ გაყიდე, ჭირნახული ვიყიდოთ, მშივრები ხომ არ დავიხოცებითო.

შვილმა წაიბა თოკი და ჩაატარა ბაზარში. დაინახა ერთმა ვა-ჭარმა და დაუძახა: მოიყვა ეგ ხბო, მე მომყიდე, სამ მანეთს მოგ-ცემო.

ბიჭმა უთხრა: ხბო კი არ არის, ძროხაა და სამ მანეთად როგორ მოგცემო.

ჩაატარა. გამოვიდა მეორე ვაჭარი.

— ბიჭო, ბიჭო, ეგ თხა სადღა მიგყავს, მომყიდე. ორ მანეთს მოგცემო.

ბიჭმა უთხრა: საიდან არის თხა, ძროხაა, ორ მანეთად ძროხას ვინ მისცემსო.

ჩაატარა. კიდევ დაედევნა მესამე ვაჭარი: რაღას ახეტიალებ ამ ციკანს, მანეთს მოგცემო. ბიჭმა უთხრა: ციკანი კი არ არის, ძროხაა. ძროხა როგორ უნდა მოგცე მანეთად, სამ მანეთად არ მივეციო.

ბიჭმა იფიქრა, იქნება ის სამი მანეთიც დავკარგო და სხვა ვაჭრებმა ათი შაური, აბაზი შემაძლიონო. აატარა პირველ ვაჭართან. სამ მანეთად მიჰყიდა.

სახლში ძალიან გაუჯავრდნენ. ბოლოს, მამამ უთხრა: წადი, უთხარი ვაჭარს, ვისაც ძროხას მივყიდდით, კუდი ჩვენთვის უნდა მოეცა, თუ არ მოგვცემ, აჰა, სამი მანეთი უკანვე წაიღე-თქო.

ვაჭარმა ძროხა ვერ გაიმეტა, მოსჭრა კუდი, მისცა. მამას უნდოდა შვილისთვის კუდით ეცემა, მაგრამ იფიქრა, ჩემი შვილი რომ მოვკლა, ვაჭრებს რა დააკლდებათო. იშოვა ფული, გააკეთა კარგი საჭმელები, სახლში ამოთხარა სამი პატარა ორმო, ჩადგა საჭმელები, წაიფარა მიწა. დაპატიჟა სამივე ვაჭარი, გაშალეს სუფრა, დაჭრა ბარი ერთ ორმოს, ამოიღო საჭმელი; დაჭრა მეორე ორმოს, ამოიღო საჭმელი; დაჭრა მესამე ალაგს, ამოიღო საჭმელი. ვაჭრები ხარბად ჭამდნენ და უკვირდათ: ამისთანა გემრიელი საჭმელები საიდან ჩხდება მიწაშიო. მასპინძელმა უთხრა: ეს ბარი ისეთი თილისმიანი გახლავთ, რომ, როცა მინდა, დავკრავ მიწას, ამოვა საჭმელებიო.

ვაჭრები შეეკითხნენ: ჩვენ მოგვყიდე, რამდენი მოგცეთო? მასპინძელი ვითომ არ ყიდდა ბარს, ბოლოს ათ თუმნად მისცა. წაიღეს ბარი, მოუვიდათ ჩხუბი ვაჭრებს, არა ჩემი უნდა იყოს, არა ჩემიო. როგორც იყო, მორიგდნენ, რიგრიგობით ვიხმაროთო. მიიტანეს შინ. დაჭრეს მიწას, საჭმელი არ აღმოჩნდა, მთელი სახლის მიწა სულ დაბარეს, მაგრამ საჭმელს რა გააჩენდა.

მეორე დღეს საჩხუბრად წავიდნენ ბარის პატრონთან. კაცმა იცოდა, ვაჭრები მიეჭრებოდნენ, იყიდა ორი კურდღელი. ცოლს ერთი კურდღელი დაუტოვა და უთხრა: საჭმელი გააკეთე, სუფრა გაშალე, სადილი მზად გქონდეს. ვაჭრები რომ მოვიდნენ, ჩემთან, მინდორში ჩამოასწავლეო. მეორე კურდღელი წაიყვანა.

ვაჭრები მივიდნენ ყვირილით. ცოლმა მინდორში გაგზავნა. ვაჭ-

რებმა ჩხუბი დაუწყეს, რად მოგვატყუე, მიწა სულ გადავთხარეთ და საშმლები არ აღმოჩნდაო!

კაცმა დაუწყო: თქვენ მოგნდომებიათ ბარი ყოველდღე საშმლებს გაძლევდეთ, ის კი კვირაში ერთხელ იძლევა საშმელსო.

ვაჭრები დარწმუნდნენ. კაცმა ისინი სახლისაკენ წაიყვანა. გაუშვა კურდღელი და დაუბარა: ჩემ ცოლს უთხარი, სანამ მოვიდოდეთ, სუფრა გაშლილი დაგვხვდეს, სტუმრები მომყავს-თქო.

კურდღელმა მოუსვა. ვაჭრები განცვიფრდნენ კურდღლის გონიერებაზე და მასპინძელს სთხოვეს, მოგვყიდეო. მორიგდნენ ათ თუმნად, წაიყვანეს.

გზადაგზა სტუმრები დაპატიჟეს. გაუშვეს კურდღელი და უთხრეს: აბა, კურდღელო, ჩვენ ცოლებს უთხარი, სტუმრები მოგვყავს და სანამ მოვიდოდეთ, სუფრა გაშლილი დაგვხვდეს-თქო.

მივიდნენ სახლში: არც კურდღელია, არც სუფრა გაშლილი. ჰკითხეს ცოლებს: კურდღელი სად არის, რომ გამოგიგზავნეთო? ქალებმა უთხრეს: კურდღელი ჩვენთვის არავის მოუყვანიაო.

ვაჭრებს შერცხვათ სტუმრებისა. გაჯავრებულნი გაეშურნენ ერთ გლეხთან, რომელმაც მათ კურდღელი შეატყუა.

კაცმა გააკეთა სტვირი, ცოლს ყელზე სისხლით სავსე ბუშტი შეაბა და უთხრა: ვაჭრები მოვლენ, მე სტვირს დავუკრავ, შენ დაამღერე. მერე დანას გაგისვამ ყელში, ბუშტს გავჭრი, სისხლი გადმოგივა, წაიქეცი, მოიმკვდარუნე თავი. ერთ ხანს სამგლოვიაროს დავუკრავ, შემდეგ სამხიარულოს. შენ წამოხტი და დაიწყე თამაშობაო.

გაათავა დარიგება და ვაჭრებიც მოეჭრნენ. კაცმა თავის მართლება დაიწყო: ჯერ უნდა სახლში გაგეშინაურებინათ, რა იცოდა თქვენი სახლი, სხვასთან მივიდოდაო.

გაშალა სუფრა. ჭამენ პურს. მასპინძელმა დაუკრა სტვირი, ცოლმა დაამღერა. ქმარი გაუჯავრდა, კარგად არა მღერიო, მივარდა დანით, ყელში გამოუსვა, ცოლი ძირს დაეცა, სისხლი გადმოსჩქეფს. კაცმა ჯერ დაუკრა სამგლოვიაროო, მერე — სამხიარულო. ქალი წამოხტა და თამაში დაიწყო.

ვაჭრები კინაღამ გადაირივნენ გაკვირვებისაგან. დაუწყეს ხვეწნა: რახან კურდღელი დავკარგეთ, სტვირი მაინც მოგვყიდეო. გლეხი არ იმეტებდა, მაგრამ, როგორც იყო, დაიყოლიეს კარგ ფასში. კაცი შვილს ვაჭრების მოსვლისას მალავდა, რომ არ ეცნოთ.

ვაჭრებმა მიიწვიეს სტუმრები. დაუკრეს სტვირი, დაამღერეს ცოლებმა. ვაჭრებს გული მოუვიდათ, რატომ კარგად არ დაამღერეთო, მივარდნენ, დანებით გამოსჭრეს ყელები. ცოლები დავარდნენ

ძირს. დაუკრეს სამგლოვიარო, მერე — სალხინო. ქალები არ ინძრეოდნენ. უკრეს, უკრეს, მოიღალნენ. ნახეს ცოლები, ანძრიეს, ასულიერეს, მაგრამ მკვდრებს როგორღა გააცოცხლებდნენ. შექნეს ტირილი, თავში ცემა.

დაწნეს გოდორი, მიიტანეს კაცთან გინება-ლანძღვით: ცოლები რად დაგვახოცინეო. ჩასვეს გოდორში, გადაუხლართეს თავი, მიაქვთ. უნდა მაღლა სადმე მთის წვერზე აიტანონ და გადააგდონ ხრამში. ერთ მინდორში დააგდეს გოდორი და ხრამის დასათვალიერებლად წავიდნენ. გოდორში კაცი ფართხალებს და იძახის: არ წავალ, არ მინდა, არ მინდა!

მეცხვარეს ცხვარი მიუდის, გაიგონა გოდრიდან კაცის ბუტბუტი. მივიდა, ჰკითხა: კაცო, ვინა ხარ, გოდორში რას ტუტუნებო?

— რას ვტუტუნებ და იმას, რომ ჩამციებიან, გინდა თუ არა, ხელმწიფის ქალი შეირთეო. რად მინდა ხელმწიფის ქალი, რა ჩემი საქმეა ხელმწიფის სიძეობაო?

— ეს ცხვარი შენი იყოს, ამოგიყვან, მე ჩავჯდები, ხელმწიფის ქალს მე შევირთავო, — უთხრა მეცხვარემ.

— კარგი, გადამიხსენ თავი, — ამოსძახა კაცმა.

ჩაჯდა მეცხვარე, გადაუხლართა თავი კაცმა, გაუძღვა ცხვარს ვაჭრები მივიდნენ, წამოიკიდეს გოდორი, აიტანეს კლდეზე და გადააგდეს. არხეინად წამოვიდნენ: ჯავრი ამოვიყარეთო. წინ შეხვდათ კაცი ფარა ცხვრით. ვაჭრები განცვიფრდნენ. იმ სიმაღლე კლდიდან ხრამში გადაგაგდეთ და კიდევ ცოცხალი გადარჩიო, ან ამოდენა ცხვარი სად იშოვეო!

— თქვენ გეგონათ მოვკვდებოდი? ძირს სულ დოშაკ-დორები ფენია და ფარა და ფარა ცხვარი დადის. აი, ეს ცხვარი იქიდან წამოვასხი, — უთხრა კაცმა. ვაჭრებმა სთხოვეს: რახან ეგრე ყოფილა, გოდორი დაგვიწანი, ჩავსხდებით და გადაგვაგდეო.

კაცმა დაწნა დიდი გოდორი, ვაჭრებიც მოიშველია. აიტანეს კლდეზე, ჩაჯდა შიგ სამივე ვაჭარი. კაცმა გადაუხლართა პირი, ჰკრა წიხლი და გადაუძახა უფსკრულში. თვითონ წამოასხა სახლში ცხვარი და იძახოდა გზადაგზა: ახლაც გაყვლეფთ ხალხს? ახლაც მოატყუებთ ხალხსო?

თავის მაგიერ დაღუპული მეცხვარე ენანებოდა, მაგრამ იმის ცოდვასაც ვაჭრებს ახვევდა თავს.

ორი სილა

იყო ერთი ღარიბი კაცი. მეტი სიღატაკისაგან კინაღამ მიიხრწნა. იფიქრა: რაც იქნება იქნება, უნდა ხელმწიფეს მოვახსენო ჩემი გაჭირვება. ან იქვე მომკლას, ან საზრდო გამიჩინოსო.

ჩაისვა მშიერი კატა გუდაში და გასწია. კარისკაცი არ უშვებდა ხელმწიფესთან, მაგრამ, როგორც იყო, დაჰყვა ნებას, იმ პირობით, თუ შუაზე გაუყოფდა, რასაც ხელმწიფე აჩუქებდა.

გლეხმა ამოუშვა კატა. მშიერი კატა ეცა კედლებს, დარბოდა აქეთ-იქით კნავილით. ხელმწიფემ ჰკითხა მისვლის მიზეზი. ღარიბმა მოახსენა: გიახელით, რომ ორი სილა გამკრათო.

ხელმწიფეს გაუკვირდა, რა სათხოვარი იყო სილის გაკვრა, მაგრამ კაცი იმდენს ეხვეწა, რომ ორი კარგი სილა გაარტყა. ღარიბმა მადლობა გადაუხადა, ჩასვა კატა გუდაში, გავიდა. კარისკაცი მიეგება მხიარულად: აბა, რა მიიღე, ჩქარა გამიყავიო! გლეხმა ლაზათიანი სილა სტკიცა. შეიქმნა ჩხუბი. ხელმწიფეს შეესმა, გამოვიდა. ჰკითხა, რაზე ჩხუბობთო. გლეხმა უთხრა: — ხელმწიფევ, თქვენთან არ მიშვებდა ეს კაცი, სანამ რასაც მიბოძებდით, შუაზე არ გავუყოფდი. იმიტომ გთხოვეთ ორი სილა, რომ ერთი ამას რგებოდაო.

ხელმწიფეს მოეწონა გლეხის მოქმედება და კარგად დაასაჩუქრა. კარისკაცი კი შერცხვენილი დარჩა.

ვირის მაძეგარი

იყო ერთი გლეხი, რომელსაც ჰყავდა ერთი ვირი. გლეხი, როცა ფქვილი შემოელეოდა, გადაჰკიდებდა ვირს სიმინდს და წისქვილში გაგზავნიდა. ვირი დაფქვავდა და ისევ მოიტანდა.

ერთხელ გლეხმა გაატანა სიმინდი დასაფქვავად. ვირმა გზაში ბალახობა დაიწყო, შეხვდა მგელი და შეჭამა ვირი. გლეხმა უცადა, უცადა ვირს და მერე წამოვიდა საძებრად.

პირველად წისქვილში მოვიდა და ჰკითხა მეწისქვილეს: ჩემი ვირი სად არისო? მან უპასუხა ხუმრობით: აქ არ იყო ცარიელი წისქვილი და ზევით წისქვილში წავიდაო.

წავიდა გლეხი ზევითა წისქვილში. იქაც მეწისქვილემ ხუმრობით უთხრა: შენმა ვირმა სიმინდი გაყიდა, იყიდა ჯორი, შეჯდა ზედ და პეტერბურგისაკენ წავიდაო.

გლეხმა დაუჯერა, დაბრუნდა სახლში, ჩაიდო საგზალი და წავიდა პეტერბურგში.

შეხვდა ხუთი კინტო და ჰკითხეს: სად მიდიხარო? გლეხმა უამბო, რომ მისმა ვირმა ჯორი იყიდა მისი სიმინდით, შეჯდა და პეტერბურგში წავიდა.

კინტოებმა იფიქრეს, რომ ან ჩვენზე უკინტოესი არისო, ანდა მთლად გამოუცდელიაო. მაგრამ ბოლოს მიხვდნენ, როგორც იყო საქმე და უთხრეს: შენი ვირი პეტერბურგს კი არ წასულა, არამედ, აგერ რომ სამსართულიანი სახლია, იქ შესულა, გამოწყობილა კაცივით და სკამზეა წამოჭიმულიო.

იქ მართლა იჯდა კაცი. იშოვა გლეხმა ბაწარი და შევიდა სახლში. მიეპარა ამ კაცს, გადააცვა კისერზე და წაუჭირა ყელში. ჰკითხეს გლეხს: რატომ შვრები ამასო? გლეხმა უპასუხა: ეს ჩემი ვირი ბრისო, აქ გამომეპარა და უნდა წავიყვანოო. მოჰკიდეს ხელი გლეხს და ცემით გააგდეს კარში.

საწყალი გლეხის ნიყვები

საწყალმა ღარიბმა გლეხმა ნიყვები იპოვა. თქვა: ამის შეჭმით რა მომემატება, მეფეს მივართმევ და დამაჯილდოვებსო.

წაიღო ნიყვები და მეფეს მიართვა. ნიყვები გლეხს ჩამოართვეს, შეწვეს საჩქაროდ, მეფეს მიართვეს. გლეხი კარებს უკან ალოდინეს.

როდესაც შემწვარი ნიყვი მეფეს მიართვეს, საწყალმა გლეხმა წამოიყვირა:

ვაიმე, ჩემო ნიყვო!
ჩემო თავო ბრიყვო!
შენ მეფის წინ იყო და,
მე კარებს უკან ვიყოო!
ოდეს გნახო, ნიყვო,
პირში ყლუწი გიყოო!

მეფემ ეს სიტყვები გაიგონა და ბრძანა: მომგვარეთ, ვინ არის ამის მთქმელიო?

მეფესთან მიიყვანეს.

— რა იყო, ეს სიტყვები რომ წამოიძახეო?...

— ბატონო, მე ნიყვი კი არა მძულდა; ეს ნიყვი იმიტომ მოგარ-თვით, თქვენგან წყალობას მოველოდი. წყალობა კი არა, შიმშილით კარებს უკან მალოდინესო.

ამაზე მეფე გაუჯავრდა თავის ქვეშევრდომებს: სირცხვილი რად მაჭამეთო?

მეფემ დიდად დაასაჩუქრა და გახარებული გამოუშვა საწყალი ღარიბი გლეხი.

საწყალი გლეხი ამბობდა: ალაგ თქმა ჯობს უთქმელობას, ალაგ თქმითაც დაშავდებისო.

დედაბერი და ხბო

იყო და არა იყო რა, იყო ერთი დედაბერი, ჰყავდა ერთი ძროხა და ერთი ხბო.

ერთხელ ძროხა რომ მოწველა, ხბო გარეთ გამოუშვა და თვი-თონაც გამოჰყვა. იმ დროს ჯორიანმა კაცმა ჩამოიარა, ხბოს თვალი უქცია და წაიყვანა, მაგრამ ხელით კი არა, ჯორს გააყოლა, ვითომც ჯორის შვილი ყოფილიყოს. დედაბერი გამოუდგა: ხბო რად მიგყავს, ჩემიაო. კაცმა უთხრა: რას ლაპარაკობ, შენი რად იქნება, ჯორის ნა-შობია. თუ აგრე არაა, წადი და მიჩივლეო.

საწყალი დედაბერი ადგა და სოფლის მამასახლისს შესჩივლა. მამასახლისი თურმე ბრმა იყო. ის იყო ჯორის პატრონიც მოვიდა. ხბო ფეხებში უხტოდა ჯორსა და ძუძუს ულოკავდა. მეჯო-რემ ბრმას ჰკითხა: ჩემი საქმისა რა გაარიგეო?

— დამაცა, აგერ ერთი შემომტირის, თევზებმა ოთხი ქცევა ნათესი შემიჭამესო.

კაცმა უთხრა: თევზებისაგან ყანის ჭამა სად გაგონილაო?

— ან ის სადღა გაგონილა, რომ ჯორი ხბოს შობდესო, — მიუგო მამასახლისმა.

სამი ექიმი ძმა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რაღა იქნებოდა, კახეთში სამნი ძმანი იყვნენ. იმათი ხელობა იყო ექიმობა. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ: არა მე გჯობივარ და არა მეო.

ერთმა თქვა: თქვენ რით მჯობიხართ, მე მოვიჭრი ჩემს მკლავს, დავდებ და სხვაგან წავალ; ერთი კვირის შემდეგ მოვალ, ავიღებ მკლავსა, მივიდებ მხარზე და ისევ მოვირჩენო.

მეორემ თქვა: ეგ რა გასაკვირველია. მე ამოვიღებ ჩემს თვალს, დავდებ. წავალ სხვაგან, ერთი კვირის შემდეგ მოვალ, ავიღებ თვალს და ჩავისვამო.

მესამემ თქვა: ეგ რა გასაკვირია, მე ამოვიღებ ჩემს გულსა, დავდებ, ერთი კვირის შემდეგ მოვალ, ავიღებ, ჩავიდებ და ისევ საღი დავრჩებიო. ბოლოს, თქვეს: ჯერ კაცი ვიშოვოთ, რომ დავაყენოთ თავზე ჩვენი სხეულის ნაწილებსო. იშოვეს ასეთი კაცი და მისცეს ორმოცი თუმანი. ერთმა ამოიღო თვალი, მეორემ ხელი მოიჭრა, მესამემ გული ამოიღო, დააწყვეს ერთ ალაგას და წავიდნენ.

ხუთი დღის განმავლობაში დაეხვია ჭია-ღუა და შეჭამეს ექიმების სხეულების ნაწილები. დარაჯმა თქვა: რა უნდა ვქნა, მოვლენ და რა პასუხი გავცეო.

წავიდა, მოკლა ერთი კატა და ამოაცალა თვალი. დაკლა ერთი ღორი და ამოაცალა გული. გაიგო, რომ იმ დღესვე ერთი ქურდი მოეკლათ, წავიდა, მოსჭრა ხელი და წამოიღო. მოვიდა იმ ალაგას, სადაც უწინ იყო და დააწყო: თვალი, გული და ხელი.

გავიდა ერთი კვირაც და მოვიდნენ ექიმები. რომელსაც ხელი ჰქონდა მოჭრილი, იმან მიიბა ქურდის ხელი: რომელსაც ჰქონდა გული ამოღებული, იმან ჩაიდო ღორის გული: თვალი რომელსაც ჰქონდა ამოღებული, იმან ჩაისვა კატის თვალი. მოირჩინეს და თქვეს: სამივენი კარგები ვყოფილვართო. მოდი და ახლა წავიდეთ სადმეო.

დაიქირავეს ეტლი და ჩასხდნენ შიგ. რომელსაც ქურდის ხელი ჰქონდა მიბმული, ის ხელი მეორე ხელით ეჭირა. თუ ხელი გაეშვებოდა, სხვისი ჯიბისკენ მიიწევდა.

ერთხელ ხელი რატომღაც გაუშვა და ხელმა მიიწია ძმის ჯიბისკენ. მუჯლუგუნი წაჰკრა ძმამ, გაუჯავრდა: რასა შვრები, რა მოგივიდაო. ყმაწვილმა უპასუხა: მეც მიკვირს, რასა ვშვრებიო.

გაიარეს კიდევ. დაინახეს ლაფი. მეეტლემ ეტლი მოარიდა. დაინახა თუ არა იმან, ვისაც ღორის გული ჰქონდა ჩადებული, გადახტა ლაფში, გადაგორდ-გადმოგორდა, ადგა და ჩაჯდა ეტლში.

ძმებმა ჰკითხეს: რასა შვრები, რა მოგივიდაო?

ყმაწვილმა უპასუხა: მეც მიკვირს, რასაც ვშვრებიო.

იარეს, იარეს და დაუღამდათ. მივიდნენ ერთი კაცის სახლში და დადგნენ. ვახშამზე იმ კაცმა, რომელსაც ჰქონდა კატის თვალი ჩას-

მუელი. აიღო ღვინო ყანწით და დაუწყო სმა. უეცრად დაინახა კუთხეში თაგვი, გაექცა მის დასაჭერად. თაგვმა სოროში შეასწრო და თვითონ თავი კუთხეს მიახალა. ჰკითხეს ძმებმა: რა მოგვიდა, კაცო, რას შვრებიო? ძმამ უპასუხა: მეც მიკვირს, რასაც ვშვრებიო.

ბოლოს, თქვეს, უთუოდ იმ კაცმა ჩვენი სხეულის ნაწილები გამოგვიცვალაო. წავიდნენ მის საძებრად, იპოვეს და ჰკითხეს: შენ ხომ არ შეგვიცვალე სხეულის ნაწილებიო? დარაჯმაც უპასუხა: დიახ, გამოგიცვალეთ, რადგანაც ჭია-ღუებმა შეჭამესო. ექიმებმა უთხრეს: — თუ კარგი კაცის თვალს, გულს და ხელს ჭოგვიტან, ორმოც თუმანს მოგცემთო.

— კარგიო, — უპასუხა.

მეორე დღეს გაიგო ამ კაცმა, რომ ვიღაც მომკვდარა: წავიდა. მოსჭრა ხელი, ამოუღო თვალი, გული და მოუტანა ექიმებს. ექიმებმა ფული მისცეს და გაისტუმრეს. ვისაც თვალი აკლდა, იმან თვალი ჩაისვა, ვისაც გული აკლდა, იმან გული ჩაიდო და ვისაც ხელი აკლდა, იმან ხელი მიიბა.

ჭირი იქ დავაგდე,
ლხინი აქ მოვიტანე.
მთას ურემი ავაგორე,
ბარს ჩავიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით გამიძეხით,
საიქიოს — ცხონებითა.

მოხუცი ნავეზირალის რჩევა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხელმწიფე. იმ ხელმწიფემ ბრძანა, რვა საათის შემდეგ სანთელი აღარავის სახლში აღარ ვნახო ანთებულიო, და თუ ვნახე, დამნაშავეს სიკვდილით დავსჯიო.

მართლაც, შეღამდებოდა თუ არა, ხელმწიფე ჩაიცვამდა გლეხურ ტანისამოსს და დადიოდა თავის სატახტო ქალაქში, და ვის სახლშიც ნახავდა რვა საათის შემდეგ სანთელს ანთებულს, სიკვდილით სჯიდა.

ერთ საღამოს ჩვეულებისამებრ ჩაიცვა ხელმწიფემ გლეხურად და დადის თავის ქალაქში. გაიარა ერთგან, შეხედა, რომ ერთი სახ-

ლიდან სანთელი ცოტათი ბეუტავდა, მივიდა და ეზოდან დაუძახა: მასპინძელო, ამაღამ მისტუმრებო?

სახლის პატრონი მოეგება და უთხრა: მობრძანდით, სტუმარი ღვთისაო!

შევიდა შინა. ხელმწიფემ ჰკითხა მასპინძელს: სანთელი ესე რად გიბეუტავსო?

— რა ვქნათ, შენი ჭირიმე, დიდებული ხელმწიფე ასე გვიბრძანებსო. — მიუგო მასპინძელმა.

ვახშამი ჭამეს, სტუმარს კაი პატივი სცეს, ცალკე გაუშალეს და დააძინეს; რა იციან, თუ ხელმწიფეა?

შუაღამე რომ შეიქნა, მასპინძლის ცოლი წამოდგა, ჩაიცვა, ჩამოიღო ხმალი, ამოაძრო ქარქაშიდან, დაადგა ქმარს და უთხრა: თუ გძინავს, არ გაიღვიძო, და თუ გღვიძავს-და — მოგკლავო.

ქმარი, საბრალო, თუნდაც რომ ღვიძებოდა, აბა, ხმას როგორ ამოიღებდა? დედაკაცმა ხმალი ისევ ქარქაშში ჩააგო, დაჰკიდა ალაგას, გამოვიდა გარეთ და გასწია სადღაც.

ხელმწიფემ ეს გაიგონა, ადგა და შორიახლო მიჰყვა დედაკაცს. დედაკაცი მიდის, ესეც მისდევს.

იარა, იარა დედაკაცმა, მიადგა ერთ უზარმაზარ კლდეს და შესძახა გამოქვაბულში: გამოდი, ჩემო საყვარელოო!

ვნახოთ, გამოვიდა უზარმაზარი არაბი, ისეთი უშნო, რომ ქვედა ტუჩი მიწაზე დასთრევდა და ზედა კი თავზე ჰქონდა გადაფარებული. შეხედა დედაკაცს და შეუტია:

— წადი, შენი დანაპირები არ მოგიტანია, მე შენ ვერ შეგიყვარებო!

დედაკაცი ტირილით დაბრუნდა ისევ უკან. ხელმწიფეც საჩქაროდ წამოვიდა და ჩაწვა ლოგინში. დედაკაციც მოვიდა და ჩაწვა დასაძინებლად.

გათენდა, ხელმწიფემ მადლობა გადაუხადა მასპინძელს და გასწია შინ.

მეორე დღეს, რომ დაღამდა, ხელმწიფემ სხვანაირი ტანისამოსი ჩაიცვა, მიადგა ისევ იმ კაცს კარებზე და დაუძახა: ოჯახიშვილო, თუ შეიძლება, მისტუმრე ამაღამო!

მასპინძელი გამოვიდა, სტუმარი ღვთისაო და შეიყვანა შინ. ვახშამი გაშალეს, სტუმარს კაი პატივი სცეს, ცალკე მოასვენეს და ცოლ-ქმარმა ცალკე დაიძინა.

შუაღამე რომ შეიქმნა, დედაკაცი კიდევ წამოდგა, ჩაიცვა, ჩამოიღო ხმალი და თქვა: ეჰ, როდემდის უნდა ვიტანჯო ასეო? ამოაძრო

ხმალი ქარქაშიდან, სწყვიტა ქმარს და გააგდებინა თავი. ხელმწიფე კი გამოჰყურებს საბნიდან განაბული. კანკალმა აიტანა: უთუოდ მეც მომკლავსო! დედაკაცმა გაახვია ბაღდადში თავისი ქმრის თავი, გამოვიდა გარეთ და გასწია სირბილით. ხელმწიფეც წამოდგა და შორიახლო მიჰყვა.

დედაკაცმა იარა, მივიდა ისევ უდაბური კლდის გამოქვაბულთან და შესძახა: გამოდი, ჩემო საყვარელო, მოგიტანე დანაპირებიო!

გამოვიდა ისევ ის საძაგელი ლაშიანი არაბი, დედაკაცს გამოართვა ბაღდადი, გახსნა და ნახა, რომ მშვენიერი ვაჟკაცის თავი იყო.

— შე წუწკო, ამისთანა მთვარესავით კაცს უღალატე, მე, ამ ბედასლს, როგორ შემიყვარებო?! — გაუშალა, ერთი სილა გაარტყა დედაკაცს და ცხრაჯერ ყირამალა გადაატრიალა.

დედაკაცი კარგა ხანს ეგდო დარეტიანებული, მერე წამოდგა და ტირილით დაბრუნდა შინ. ხელმწიფემაც ისევ ჩქარა გამოსწია შინ; შევიდა, დაისველა ხელი თავმოჭრილი კაცის სისხლში, გამოვიდა, დაჭკრა ალაყაფის კარებს, რომ დასტყობოდა ნიშანი, და გამოსწია სასახლისაკენ.

დედაკაცი მივიდა შინ, ნახა, რომ სტუმარი წასულიყო, საჩქაროდ დამარხა თავისი ქმარი იქვე ეზოში. მერე იფიქრა: იმ სტუმარმა არაფერი დამიშაოსო. მიათვალიერ-მოათვალიერა იქაობა. ნახა, რომ ალაყაფის კარებს სისხლიანი ხელი აქვს დარტყმული. ადგა, თვითონაც დაისველა სისხლში ხელი, დაჰყვა და თავისი სახლის დაყოლებაზე ყველა ალაყაფის კარზე ისეთივე ნიშანი დაადო.

ხელმწიფემ მეორე დღეს დაიბარა თავისი ვეზირები და უთხრა: წადით ამ და ამ ქუჩაზე და, რომელი სახლის ეზოს კარებსაც სისხლიანი ხელი ეტყობოდეს, იმ სახლში მყოფი დედაკაცი აქ მომგვარეთო!

ვეზირები წავიდნენ ხელმწიფის ბრძანების აღსასრულებლად. აიარ-ჩაიარეს ქუჩა და ნახეს, რომ იმ ქუჩაზე ყველა სახლის ეზოს კარებს სისხლიანი ხელი ეტყობოდა. დაბრუნდნენ ისევ და მოახსენეს ხელმწიფეს: დიდებულო ხელმწიფევ! იმ ქუჩაზე ყველა კარს სისხლიანი ხელი ატყვია და რომელი ქალი მოვიყვახოთ, არ ვიცითო.

ხელმწიფე ძლიერ ჩაფიქრდა. მეორე დღეს დაიბარა ერთი თავისი საყვარელი ვეზირი და უთხრა: სანადიროდ უნდა წავიდე, ორი კვირა მომიგვიანდება და სანამ მოვიდოდე, პირველად ჩემი ცოლი და ქალები დახოცე, მერე შენი და შემდეგ, რაც ჩემ ქალაქში დედათაგანი იყოს დიდიან-პატარიანად, უნდა გაწყვიტო, ერთი არავინ დარჩეს, თორემ დაბრუნებისას, თუ ჩემი ბრძანება შესრულებული არ დამხვდა, ჩაგაყრი ბურნუთს და ჰაერში გაგაქანებო.

მწარედ დაღონებული წამოვიდა ვეზირი შინ. ამ ვეზირს ჰყავდა მოხუცი პაპა. ყოველთვის, როცა გარედან შინ შემოვიდოდა ხოლმე ვეზირი, მივიდოდა პაპასთან, მიესალმებოდა და ხელზე აკოცებდა. ახლა კი არც მიესალმა და არც ზედ შეხედა. დაღონებული გადის და გამოდის. პაპამ დაუძახა და ჰკითხა: შვილო, რად ხარ დაღონებული, რა მოგსვლიაო?

— როგორ რა მომსვლიაო, ასე და ასე მიბრძანა ხელმწიფემ და, თუ არ აკასრულე, ბურნუთი უნდა ჩამაყაროს და ჰაერში გამაქანოსო.

— მაგისთვის რად დაღონებულხარ, შვილო? — უთხრა მოხუცმა. — ხელმწიფე რომ მობრძანდეს, მოახსენე, ჩემმა პაპამ არ დამანება თქვენი ნების ასრულება-თქო. დამიბაროს და პასუხს მივცემო.

გავიდა ორი კვირა და დაბრუნდა ხელმწიფე ნადირობიდან. მოვიდა შინ. ნახა, რომ თავისი ცოლ-შვილიც ცოცხალი იყო და სხვებისაც. ძლიერ განრისხდა. დაიბარა მაშინვე ვეზირი და დაიძახა: მომიტანეთ ჩქარა ბურნუთიო!

ვეზირმა დაიჩოქა მუხლებზე და მოახსენა: დიდებულო ხელმწიფეე, გთხოვთ, ერთი სიტყვა მათქმევინოთო.

— თქვიო, — უბრძანა ხელმწიფემ.

— მე ჯერ ჩემი ცოლ-შვილი უნდა დამეხოცა და მერე თქვენი. მაგრამ ერთი მოხუცი პაპა მყავს, იმან არ დამანება და მითხრა: ხელმწიფე რომ მობრძანდეს, დამიბაროს და მე მოვახსენებ პასუხსაო.

— მაშ, წადი, მომიყვანეო! — ბრძანა ხელმწიფემ.

წამოვიდა ვეზირი. აბა, სიარულის თავი მოხუცს სადა ჰქონდა? მაგრამ თეთრ ყუთში ჩაუგეს ბამბა, ჩააწვინეს შიგა და წაიყვანეს ხელმწიფესთანა. მიიყვანეს თუ არა, ასწიეს მოხუცი და ყუთით შეიტანეს ხელმწიფის სახლში. მობრძანდა ხელმწიფე, შეხედა, რომ თეთრი წვერი, თეთრი ყუთი და ბამბა არ ერჩეოდა ერთმანეთში. ხელმწიფემ ჰკითხა მოხუცს: — რატომ არ დაანებე ჩემი ბრძანების შესრულებაო?

— დიდებულო ხელმწიფეე, — დაიწყო მოხუცმა, — მამათქვენის მამის ვეზირი გახლდით. ჩვენ ვიყავით ორმოცი ვეზირი. ამ ორმოც ვეზირში ერთ ღამეს ერთი დაგვაკლდა ისე, რომ ვერავინ გაიგო მისი ასავალ-დასავალი; მეორე დღეს — მეორე; ოცდაცხრამეტი კაცი ოცდაცხრამეტ ღამეს თითო-თითოდ დაგვეკარგა და დავრჩი მარტო მე.

მეორმოცე ღამეს, ლოგინში რომ ვიწექი, ვიღაცამ დამიკაკუნა

კარებზე. წამოვფრინდი პერახგა, გარეთ უნდა გამეხედა. წამოხტა ჩემი ცოლი, წამომეწია, ისეთი წამომკრა, რომ თავბრუ დამესხა და მითხრა: სად მიდიხარ ტიტველა, იქნებ ის იარაღიანია და შენ უიარაღოდ გადიხარო? ჩაიცვი, აიხსი იარაღი და ისე გახედეო!

ჩავიცვი, ავიხსი იარაღი და უნდა გავსულიყავი გარეთ, რომ წამომეწია ჩემი ცოლი და კიდევ უარესად წამკრა კისერში: სად მიდიხარ, რომ მიდიხარ. იქნება ის ცხენით არის და შენ კი უცხენოდ მიდიხარო?

გავექანე, მაშინვე შევკაზმე ცხენი, შევაჯექ და გავედი გარეთ. დამინახა თუ არა მან. ვინც კარებზე დამიკაკუნა, მომძახა: უჰ, შენი გამჩენის ჭირიმე, შენი, ძლივს არ ვნახე ვაქკაციო! — შემოჭკრა თავის ცხენს ქუსლი: ჩქარა მომყევიო!

მეც დავძარ ცხენი და გავწიეთ. ცხენი ჰყავდა ისეთი, რომ ფრინველივით მიჰქროდა, მაგრამ მეც კარგი ცხენი მყავდა. სწორე გითხრათ. ძლიერ შევფიქრიანდი და გზაზე რამდენჯერმე გადავწყვიტე მოკვლა ჩემი თანამგზავრისა. კიდეც ამოვწიე ხანჯალი. მაგრამ, არ ვიცი, როგორ შემასწრო თვალი უკან მიმდევარს და მომაძახა: ჰეი, ყმაწვილო, ეგ ვაქკაცის საკადრისი არ არის, იარე, მომყევიო!

რა მეტი გზა მქონდა, მივდევდი!

ვიარეთ, ვიარეთ და მივედით ერთი უზარმაზარი კლდის ძირში, გამოქვაბულთან. გადმოხტა ჩემი თანამგზავრი და მეც გადმოვხტი; მომცა ცხენი ხელში და მითხრა: ამ გამოქვაბულში მტერი მყავს, უნდა შევიდე და დავეჭიდო. ერთს, როცა დავინახავ, მაშინ დავიწყვლებ. ერთს — როცა დავეჭიდები, და ერთსაც — თუ მოვერევი, მაშინ დავიწყვლებ; თუ მესამედ აღარ დავიწყვლო, იცოდე, რომ ის მომერია და მაშინ გასწი და წადი. ეგ ცხენიც შენთვის წაიყვანე, ღმერთმა მოგახმაროსო.

შევიდა გამოქვაბულში, მე დავიწყე ლოდინი. ლოდინი რომ მომწყინდა, მივედი გამოქვაბულის კარებში. როგორც შევდგი ცალი ფეხი შესასვლელად, ერთი ისეთი წივილი გამომესმა, რომ კინაღამ შიშით დავიბნიდე. გამოვბრუნდი, ისევ დავიწყე ლოდინი, კიდევ რომ მომწყინდა და ის იყო, ვაპირებდი გამობრუნებას. წინანდელზე უარესი წივილი მომესმა. დავიწყე კიდევ ლოდინი, რომ მომწყინდა, ის იყო, უნდა შევმჯდარიყავი ცხენზე. ცალი ფეხიც გავყავი უზანგში, ერთი საშინელი წივილიც კიდევ შემომესმა. მაშინ კი გავიგე, რომ გადარჩა ჩემი თანამგზავრი. ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა და აბრეშუმის ხელსახოცით შეხვეული რაღაც გამოიტანა,

შეჯდა ცხენზე და მითხრა: შეჯექ შენც და მომყეო! მეტი რა ვზა მქონდა, გავყევი.

ვიარეთ, ვიარეთ და მივადექით კიდევ ერთ უზარმაზარ კლდეს, სადაც უზარმაზარი გამოქვაბული იყო. შევხედე, რომ ამ გამოქვაბულში ჩემი ოცდაცხრამეტი ამხანაგი ჰკიდია: ზოგი ხელით, ზოგი ფეხით, ზოგი ცხვირითა და ზოგი რით. ესენი რომ ვნახე, მაშინ უფრო თავის იმედი გადავწყვიტე და ვთქვი: მშვიდობით, ცოლო და შვილო-მეთქი!

იქიდანაც ვიარეთ და, როგორც იყო, გავედით ედემისებურ მწვანე მინდორზე. მინდორში საუცხოო ბაღია გაშენებული და შიგ მშვენიერი სასახლე დგას. გადმოვხტით ცხენებიდან; ჩემი თანამგზავრი შევიდა სასახლეში, გამოიტანა ბარი და ნიჩაბი, ბაღში შემომიხაზა ადგილი და მითხრა: აბა, მოთხარე აქაო.

მეტი რა გზა მქონდა, დავიწყე თხრა და თან ვფიქრობდი: ჩემი ხელით ჩემს საფლავს ვთხრი-მეთქი. ვთხარე, ვთხარე და ერთი მშვენიერი კუბო გამოჩნდა. ამოიღეო, მითხრა. ამოვიღე კუბო. ახადეო, მითხრა. ავხადე, დავხედე, ისეთი მშვენიერი ვაჟკაცი იწვა კუბოში, რომ მის დანახვაზე მტერსაც კი ტირილი მოუვიდოდა; მერე მითხრა: იცი, ძმაო, მე ქალი ვარ. ეს მკვდარი არის ჩემი საქმრო. მე და ამას ერთმანეთი გვიყვარდა, მაგრამ ჩვენმა დედ-მამამ ნება არ მოგვცა. შემდეგ ამას ცოლმა უღალატა და მე — ქმარმა. მეც ქმარს თავი დავანებე. მე რომ კლდეში შევედი და გითხარი, მტერი მყავს-მეთქი, ის იყო, რომელმაც ამისი ცოლი გადაიბირაო.

გახსნა ის აბრეშუმის ხელსახოცი, რომელიც გამოქვაბულიდან გამოიტანა, და მაჩვენა ერთი საძაგელი არაბის თავი.

— ეს ჩემი საქმრო რომ კვდებოდა, ასეთი ანდერძი დამიტოვა, ჩემი მტერი მოკალი და შენც ჩემთან მოიკალ თავიო. მე დროზე მინდოდა ამესრულებინა მისი ანდერძი, მაგრამ დღემდე შენს მეტი ვაჟკაცი ვერ ვნახე, რომ ეს ჩემი ამბავი მეამბნა და მასთან ჩემი საქმროს ანდერძი ამესრულებინა; ახლა მე ამას თავი უნდა დავაკლა ზედ და გთხოვ, ამ საფლავში ერთად დაგვასაფლავო, შენ კი ღმერთმა მოგახმაროს ჩემი ცხენი და იარაღი. რაც რამე მოგეწონოს ამ სახლში, ყველაფერი წაიღე და წადიო.

მერე დაიწყო ტირილი, იტირა და მეც მატირა, იმდენი იტირა, რომ კუბოში ცხედარი სულ ცრემლით დაასველა. მერე ამოიძრო ხანჯალი, ტარი მიცვალებულს დააბჯინა, წვერი თვითონ მიიბჯინა გულში, დააწვა და ხანჯლის წვერმა ბეჭებში ამოჰყო თავი, დააკვდა ზედ. მერე, როგორც იყო, გადმოვაბრუნე, ამოვაძრე ხანჯალი და ორივენი

ერთად დავასაფლავე. რაც რომ მომეწონა, წამოვიღე და წამოვედი. გამოვიარე ჩემს ამხანაგებთან, ვინც ცოცხალი იყო, ჩამოვხსენი, გავათავისუფლე, ვინც მკვდარი იყო, დავმარხე, ცოცხლებს გავუყავი რაც წამოვიღე და მოვედი შინ.

აბა, დიდებულო ხელმწიფევ! ჩემს ცოლს რომ ჩემთვის რჩევა არ მოეცა, მეც ხომ იმ ალაგს ჩავვარდებოდი, სადაც ჩემი ამხანაგები იყვნენ? და იმ ქალს რომ თავის შეყვარებულისათვის ანდერძი არ აესრულებინა, ხომ, ვინ იცის, საიქიოსაც იმ მშვენიერ ვაჟკაცს დარდად ექნებოდა ჩაყოლილი თავისი მტრის ჯავრი? ახლა ხომ თქვენ თვითონ დარწმუნდით, რომ ქალებსაც შესძლებიათ რაღაც? შე დალოცვილო, ერთი წუწკი დედაკაცის გულისათვის ქალაქში მთელი დედათაგანის გაწყვეტა როგორ გინებებია?

რასაკვირველია, მოხუცი ნავეზირალის რჩევა ხელმწიფეს ძლიერ მოეწონა. იმას დიდი, დიდი წყალობა უბოძა და მის შემდეგ თავის სამეფოს უფრო გონივრულად განაგებდა.

ჭირი იქა, ლხინი აქა.
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ჭკუა მაქვს და სარჩო არა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი საწყალი კაცი, დადიოდა გზაზე და იძახოდა: ჭკუა მაქვს და სარჩო არა, ჭკუა მაქვს და სარჩო არაო!

გაიგონა ერთმა სოვდაგარმა და იფიქრა: მოდი, ერთი ორას-სამასი თუმანი ვითომც წყალში გადამიყრია, ავიღებ, მივცემ მაგ კაცს და, აბა, თუ ჭკუა აქვს, მაშინ გამოჩნდებაო.

სოვდაგარმა დაიბარა ეს გლეხი კაცი, მისცა ორასი თუმანი და უთხრა: აი, ახლა სოვდაგრები სავაჭროდ ემზადებიან და შენც უნდა წახვიდე იმათთან და ივაჭროო.

— კარგიო, — უთხრა საწყალმა კაცმა.

ეს კაცი სოვდაგრებთან რომ მივიდა, იმათ დაცინვა დაუწყეს: შენმა მზემ, შენს აღას ერთი ორად მიუტანო! რამ გააგიჟა ის სოვდაგარი და რამ მიაცემინა ამისათვის ფულიო?

საწყალმა კაცმა ჩაიცინა თავისთვის. სოვდაგრები მალე გაემგზავრნენ სავაჭროდ და გაჰყვა თან ეს საწყალი კაციც. ზღვასთან

რომ მივიდნენ, სოვდაგრები ჩასხდნენ ხომალდებში, ამ საწყალმა კაცმა კი თქვა: არა, ძმობილო, მე ზღვას ვერ ვენდობიო.

იყიდა ერთი პატარა ნავი, ჩაიდგა სამი-ოთხი ტომარა ჩამიჩი, ჩაჯდა და ნაპირის ახლოს დაიწყო ცურვა, თან ჩამიჩს ჭამდა. ერთ მჯიღ ჩამიჩს რომ შეჭამდა, მეორეს ზღვაში ჰყრიდა. საწყალი კაცის ნავს გარს თევზები ეხვეოდნენ და გაჩქარებით ყლაპავდნენ ტკბილ მარცვლებს.

— მე რომ ვჭამ, სხვებმაც ჭამონო, — ამბობდა საწყალი კაცი.

ახლა თევზებმა თქვეს: მოდი, ეგ რომ ხმელეთის ნაყოფს გვაჭ-ჭევს, ივენ ზღვის სიმდიდრე მივცეთო, იქნება გამოადგესო.

ჩაყურყუმელავდნენ თევზები წყალში და ცოტა ხანს შემდეგ ამოიტანეს თვალ-მარგალიტით სავსე პირები და გადმოუყარეს საწყალ კაცს მშრალზე. საწყალმა კაცმა უფრო ბევრი ჩამიჩი ჩაუყარა. უზიდეს და უზიდეს თევზებმა თვალ-მარგალიტი და დააგროვეს მთასავით.

საწყალმა კაცმა იფიქრა: ჩემი ამხანაგები რომ ნახავენ ამ სიმდიდრეს, მომკლავენ და წაიღებენ, თუ არაფერი ვიღონეო.

ადგა ეს კაცი, აიღო ნეხვი, გააკეთა ჯაჭებივით, ჩაყარა შიგ თვალ-მარგალიტი, დააფარა ზევითაც ნეხვი და ისე გაახმო წივად. ნეხვი რაკი გახმა, ამ კაცმა აიღო, ჩააწყო ყუთებში ოთხი საპალნე ნეხვი. ცარიელი წივაც შეკრა.

ამ დროს მოვიდნენ სხვა სოვდაგრებიც. ზოგს მაუდი ეყიდა, ზოგს ფარჩა და ზოგს სხვადასხვა საქონელი. სოვდაგრებმა რაკი ნახეს საწყალი კაცი და ამის წივა, დაუწყეს თავში ცემა: შე ოხერო, თუ შენი თავი არაფრად გეზოგებოდა, აღეს ფულებს მაინც გაუფრთხილდებოდი, რად გინდოდა ნეხვი, აქედან რომ არ წაგეღო, ჩვენს ქალაქში კი ცოტა არისო?

საწყალმა კაცმა უთხრა: მე ეს მინდოდა და ეს ვიყიდე, თქვენ რაც გინდოდათ, ის ივაჭრეთო.

შეკაზმეს აქლემები, ჯორ-ცხენები, აჰკიდეს საპალნეები და გაუდგნენ გზას. მთაზე სოვდაგრებს თოვლი მოუვიდათ. საწყალმა კაცმა მოჰხადა წივიანი ორი საპალნე, დაანთო ცეცხლი, შემოუმწკრივა ირგვლივ აქლემები, ყუთები და ჩამოჯდა თვითონაც. სოვდაგრები სიცივით იყინებოდნენ და დაუწყეს ხვეწნა წივის პატრონს: გვასესხე ორიოდე საპალნე წივაო!

წივის პატრონმა ცივი უარი უთხრა: თქვენც საქონელი გაქვთ. დაწვით და გათბითო.

სოვდაგრებმა დაუწყეს ხვეწნა: აბა, როგორ დავწვათ ეს საქონელი, გვასესხე წივა და ქალაქში ერთი-ხუთად მოგცემთო.

წივის პატრონმა უთხრა: მაშ, კარგი, თქვენ ხელწერილი მომეცით, რომ ისესხეთ ჩემგან ორი საპალნე ამ წივისა, რაც მე მიკიდია აქლემებს, მეტი არ მინდაო!

სოვდაგრებმა სიხარულით მისცეს ხელწერილი და გულში კი ლანძღავდნენ. როდესაც ქალაქს მიუახლოვდნენ, სოვდაგრებმა გაგზავნეს კაცები ქარვასლების დასაქირავებლად. კეთილ სოვდაგარს კი შეუთვალეს, რომ შენს ჭკვიან კაცს ნეხვი მოაქვს შენი ორასი თუმნისაო.

აღას საწყალი კაცისაგან წინათვე ჰქონდა ნათქვამი, რომ სანამ შენი თვალით არა ნახო და შენი ყურით არ გაიგონო, ნუ დაიჯერებ, რომ ჩემზე რამე გითხრან, ცილისწამება იქნებაო.

საწყალმა კაცმა გამოუგზავნა აღას კაცი და შეუთვალა: რომელიც კარგი ქარვასლა არის ქალაქში, ის დაიქირავეო.

დაქირავა საწყალი კაცის აღამ ერთი უკეთესი ქარვასლა და დაუწყო მოლოდინი თავის მოვაჭრეს. მალე მოაყენა წივით დატვირთული აქლემები ქარვასლას და უბრძანა კაცებს — ჩამოეხადნათ საპალნეები. აღამ ნახა, რომ იმის „ჭკვიანს“ მართლაც წივა მოუტანია, გული ჩასწყდა, მაგრამ მაინც რაღაცას ელოდა და არაფერს ამბობდა.

როდესაც დაღამდა, აღამ წაიყვანა ეს კაცი სახლში: წავიდეთ, პური ვჭამოთ, დაისვენე, მიამბე რა გაყიდე, რა იყიდეო.

ამ საწყალმა აიღო ორი ნაჭერი წივა, გაახვია ერთ ხელსახოცში და წავიდნენ. როდესაც დასხდნენ ვახშამზე და სანთლისათვის გავიდა აღა, საწყალმა კაცმა გატეხა ერთი წივა და თვალ-მარგალიტი გადმოცვივდა, სახლი მზესავით განათდა.

გამოვიდა აღა და გაკვირვებულს თვალები დაჭყეტილი დარჩა. საწყალმა კაცმა უთხრა: მე აი ეს მოვიტანე და იმ სოვდაგრებს ჩემი ორი საპალნე მართებთ ამ წივისაო, წავიდეთ, ვუჩივლოთ ხელმწიფესთან და წავართვათო.

მართლაც, გასწიეს ხელმწიფესთან და მიართვეს საჩუქრად, რაც ერთ წივაში თვალ-მარგალიტი იყო.

საწყალმა კაცმა იჩივლა, რომ მე და ის სოვდაგრები ერთად ვმგზავრობდით, გზაზე თოვლმა მოვვისწრო, იმათ ჩემგან ორი საპალნე ამ წივისა ისესხეს და ხელწერილიც მომცეს. ახლა კი აღარაფერს მაძლევენო.

მაშინვე დაიბარა ხელმწიფემ სოვდაგრები და უთხრა, რომ ამ

კაცისაგან ორი საპალნე წივა გისესხიათ, ხელწერილი მიგიციათ და ახლა აღარ აძლევთო. სოვდაგრებმა გაიცინეს და მოახსენეს ხელმწიფეს, რომ რად უნდოდა მაგ საწყალს ჩივილი, ნეხვს თუნდა ერთი ხუთად მივცემთო.

— ეს კაცი ნეხვს კი არა, ამისთანა წივას გთხოვთო, — უთხრა ხელმწიფემ და აჩვენა თვალ-მარგალიტით სავსე წივა.

სოვდაგრებმა უარი თქვეს: ჩვენ მაგისთანა წივა არ გამოგვირთმევიაო, მაგას ერთი წივა ჰქონდა თვალ-მარგალიტით სავსე და ახლა სურს, რომ ჩვენ ორი საპალნე მივცეთო.

საწყალმა კაცმა მოახსენა ხელმწიფეს: დიდებულო ხელმწიფევ, კაცები გამოგვაყოლე, სათითაოდ დავამტვრევთ ყველა წივას, სოვდაგრებიც იქ იქნებიან და თუ ყველაში თვალ-მარგალიტია, ხომ უნდა გადამიხადონ, თუ არ არის და მე თავი მომჭერითო.

ხელმწიფემ გაატანა კაცი და დაამტვრიეს სათითაოდ ყველა წივა. ყველა თვალ-მარგალიტით იყო სავსე.

რაღას იზამდნენ სოვდაგრები. იმათი სარჩო ნახევარი საპალნის ფასიც არ გამოვიდა და ამ კაცმა ეს ამპარტავანი სოვდაგრებიც მსახურებად წამოიყვანა.

მამასახლისისა და გლეხკაცის არაკი

იყო და არა იყო რა, ერთ სოფელში ბიძა და ძმისწული ცხოვრობდნენ. ძმისწულს მეტად ლამაზი ცოლი ჰყავდა. მდიდარია, გაუმტკიცავ პურს არა ჭამს, სულ თეთრ პურსა და ერბო-კვერცხს აჭმევს თავის ცოლსა. მის ცოლს კი მამასახლისი ჰყვარობს; მამასახლისია იმ სოფლის ბატონ-პატრონი. რაც იმ ქალმა ეს მამასახლისი შეიყვარა, ქმარზე გული აქვს აყრილი. აღარც სახლს უვლის, აღარც მოხუც ბიძასა. თავისი ქმარი და ბიძა სულ ხმელა პურზე ჰყავს. მამასახლისს ურჩევს კარგ ლუკმას.

ერთხელ ბიძა-ძმისწული სახნავად იყო წასული. ამ ქალმა მათ სამხარი წაუღო. ბიძა ჯავრობს: რა ვქნა, ეს რა ხმელი და დაობებული პური მოგაქვს, შვილო, ასეთი პური ჩემს სახლში არასდროს არ ყოფილაო!

ქალმა უთხრა: ბიძაჩემო, მე რომ ცომის მოსაზელად ფქვილსა

ვცრი, თქვენი ძმისწული გვერდზე დამიჯდება და ხულს უბერავს ხოლმეო. ამოდენა ფქვილი სულ იმან გაიტანა ქარსაო.

ბიძა ჯავრობს, ბიჭო, ცოცხალი არ გიდამირჩები იცოდეო.

ისამხრეს და წამოწვნენ გრილოში. ცოლი შინ წავიდა. ბიჭმა უთხრა ბიძას: გამიშვი ცოტა ხნით, მოვბრუნდები სულ მალეო.

გაიჭრა ბიჭი, მოკლე გზებით მოსჭრა და ცოლს ჩაასწრო შინ მისვლა. მივიდა შინ და რას ხედავს? წამოწოლილა ტახტზე მამასახლისი, დაუღია ხახა, სძინავს. წინ გამტკიცული შოთი პურები ულაგია, ცეცხლზე ერბო დუღს და კვერცხებია გამზადებული. აიღო ბიჭმა ეს ერბო ქაფად ადუღებული და ჩაასხა პირში. მძინარეს. ბიჭი გაიქცა. ქალი მოვიდა. დახედა — მკვდარია მამასახლისი. ტირის ეს ქალი: ვერ მოიცადე ცოტა ხანი, რა გაგიჭირდა ეგრე, მოვიდოდი და გემრიელად გაჭმევდიო, რად დაიმდუღრე ყელიო!

იტირა ბევრი, მაგრამ რას იზამდა, ტახტქვეშ დამალა მკვდარი, იფიქრა: ღამე გადავაგდებ ხრამშიო.

მოვიდნენ საღამოზე ბიძა და ძმისწული, გაიხადეს ფეხთა და შეაწყეს ქალამნები ტახტქვეშ. შეიხედა იმ ქალის ქმარმა ტახტქვეშ: უჰ! ბიძაჩემო, რა მოგვსვლია, ვიღაც მკვდარი გდია ტახტქვეშო!

ნახეს, მართლა მკვდარია. იცნეს მამასახლისი. შეწუხდა მოხუცი ბიძა. ძმისწული ეუბნება: ბიძაჩემო, არ შეგეშინდეს, ამ მკვდარს მე მოვიშორებ და ბევრ ფულსაც ვიშოვი ამითაო.

აიკიდა მკვდარი ზურგზე და წაიღო ღამიანად. მიიტანა ეკლესიის ეზოში და დადო. თვითონ მიირბინა სამრეკლოსთან, დარეკა ზარები და დაიმალა.

მღვდელმა უთხრა თავის ცოლს: ადე, ქალო, საწირავს მოიტანდნენ ცხვარსა და ხარსა, წყალი შედგიო!

ქალიც ადგა და წყალი შედგა. იმედი აქვს ფოფოდიას, ცხვარი მოდის ან ხარის ბეჭიო. გავიდა მღვდელი, მაგრამ იქ არავინ დახვდა. დაბრუნდა და ისევ ლოგინში ჩაგორდა. ქალმა უთხრა: რა ჰქენი, ვერაფერი მოიტანეო?

ისევ მივიდა ის ბიჭი, კიდევ დარეკა ზარები და დაიმალა. გამოვარდა მღვდელი, ისევ ვერავინ ნახა.

მესამედ რომ დარეკა ზარი, ეს მკვდარი მამასახლისიც იქვე დაეყენა და დაიმალა. მღვდელი გამორბის, ხელში ცული უჭირავს. ხედავს, კაცი დგას ცარიელა, არც შესაწირი მოუტანია, არც რა სხვა. გაცეცხლდა:

— შე ასეთო და ისეთო, შენა ხარ, რომ ძილი არ დამანებეო?! — მივარდა და დაჰკრა ცული. იცნო მამასახლისი. შეშინდა, მოიკიდა ზურგზე, მიიტანა სახლში. ქალს უძახის: გამიღე კარებიო. ფოფოდიას უხარია, შესაწირი მოდისო.

— რა მოგაქვსო?

— ივისთანა შენმა მტერმა მოიტანოს, როგორიც მე მომაქვსო.

დაასვენა მკვდარი ტახტზე. აქეთ ქალს გული შეუწუხდა, იქით მღვდელი გდია გულშემოყრილი. ამ დროს ამ ბიჭს აუღია ერთი ჩანახი მარილი და ეძახის: მღვდელო, ბიძაჩემმა გამომატანა, მარილი გვიკურთხეო.

მღვდელს რა მარილის დარდი აქვს, წააფარა მკვდარს საბანი საჩქაროდ, მაგრამ ცალი ჩექმა კი გამოუჩნდა. მოსწია ბიჭმა ჩექმა: ე ჩვენი მამასახლისი რად მოკალითო, წავალ სოფელს შევატყობინებო.

მღვდელი ეხვეწება, ყელს უწევს. ოღონდ ნუ წახვალ და ჩემი ქონება სულ შენ გენაცვალოსო.

ბიჭმა უთხრა: დარდი ნუ გაქვს, ამ მკვდარს მე დაგიმარხავთო.

მისცა მღვდელმა ოქრო-ვერცხლით სავსე ჩანახი: ოღონდ მომაშორე ეს მკვდარი აქედანაო.

წაიღო ბიჭმა ეს ოქრო, შიუტანა ბიძას. აიღო ერთი თოკი, აიკიდა მამასახლისი და წაიღო ახლა მეწისქვილესთან. მიიტანა, შორიახლო დამალა, თვითონ მივიდა წისქვილის სათავესთან და გადაუგდო წყალი. მეწისქვილეს გამოეღვიძა: რამ დააყენა ეს ჩემი წისქვილიო. ავიდა, ნახა, მოუგდო წყალი და ისევ დაიძინა. ახლა ამ ბიჭმა ეს მკვდარი კაცი წისქვილის ღარზე დააყენა. თვითონ კი წისქვილი ისევ გააჩერა. გამოვარდა მეწისქვილე, ესროლა თოფი მამასახლისს და მოარტყა ტყვია. წაიქცა ორი დღის მკვდარი მამასახლისი. მივარდა მეწისქვილე, წაიშინა თავში. წაიღო წისქვილში, დამალა.

ბიჭმა ჩაყარა ერთი ტომარა ხორბალი და მიიტანა მეწისქვილესთან: ეს ბიძაჩემმა გამომატანა, რომ არ დამიფქვა ამაღამვე, არ იქნებაო.

მეწისქვილე უტევს ამ ბიჭს: ჩემი ვერ დამიფქვავს და შენ სად დაგიფქვავო!

— წამოვწვები, სანამ მოიცლის წისქვილიო, — უთხრა ბიჭმა და ტომარაზე წამოგორდა. — უჰ, ეს რა ამბავია, ვინა გყავს ტომრებშუა დამალულიო?

გამოათრია ისევ ის მამასახლისი ბიჭმა: რად მოჰკალ ჩვენი მამასახლისი, ახლავე დავაჭერინებ შენს თავსაო!

მეწისქვილე ეხვეწება: შვილო, ოღონდ ნურსად იტყვი და რაც ჩემს წისქვილში ჭირნახული მაქვს, სულ შენ მოგცემო.

ახლა ბიჭი ეუბნება: მომეცი, რასაც მაძლევ, და არსად გაგცემ, მაგ მკვდარსაც მე მოგაშორებო.

გახვეტა ეს ამოდენა ჭირნახული ბიჭმა, დააბინავა. მოიკიდა მესამე ღამეს ეს მკვდარი, მიიტანა მის სახლში. მიიტანა, დააყენა კიბეზე და მისი ხმით შესძახა ცოლს: კარი გამიღე, შინ შემიშვიო!

გამწარებულმა ცოლმა გამოსძახა: სამი ღამეა შინ არ მოსულხარ, სად დადიხარ და დაეხეტებიო?

— გამიღე კარი, თორემ ფეხზე ძლივს ვდგევარო.

— საიდანაც მოსულხარ, იქვე წაეთრიეო, — ცოლმა უთხრა.

— გამიღე, თორემ თავს მოვიკლავ, იცოდეო!

— ჯანდაბაშიაც წასულხარო, — ცოლმა უთხრა.

ჰკრა ბიჭმა ამ მკვდარს ხელი და კიბიდან დაბლა ჩასჩეხა. იკივლა ცოლმა და გამოვარდა გარეთ, ბევრი იტირა, მაგრამ რაღას უშველიდა. რა იცოდა, სამი დღის მკვდარი იყო მისი ქმარი.

გაბრუნდა ეს ბიჭი, მივიდა შინ, გამოიტანა ვარცლი და საცერი, დაუძახა ცოლს და უთხრა: — აბა, მე ვცრი და შენ სული უბერე, თუ წაიღებს ფქვილს ქარიო.

ერთი ლაზათიანად ასწავლა ჭკუა ცოლსა და გააგდო სახლიდან.

ქალის შარი

ერთი თავადიშვილი გადაეკიდა ერთ ლამაზ ქალსა ისე, რომ სადაც გაივლიდა ის ქალი, ეს ვაჟიც დაბარებულივით იქ გაჩნდებოდა ხოლმე და სატრფიალო სიტყვებს გადაჰკრავდა.

ერთ დღესაც, როცა ეს ვაჟი იმ ქალს შორიახლოს მისდევდა და რაღაცას უჩურჩულებდა, შენიშნა ვიღაც მოხუცებულმა გლახამ. მივიდა იმ ვაჟთან, მოწყალება სთხოვა, დალოცა და თან, სხვათა შორის, დაუმატა: ღმერთმა დაგიფაროს ქალის შარისაგანაო.

ეს სიტყვა ძლიერ ეწყინა ამ ვაჟსა და წამოიძახა: რაო! ქალი რა არის, რომ მისი შარი რა იყოსო?!

ვაჟის ამ პასუხმა ქალს გულზე ძალიან უკბინა და თავის გუნებაში თქვა: მაშ, დამაცა, ახლა კი გაჩვენებ შენ სეირსაო.

როცა კარგა გზა გაიარეს, ერთმანეთს გაუსწორდნენ, მაშინ ერთი პირი შეხედა ქალმა ვაჟსა და მომხიბლავად გაუღიმა. ამას გაცნობაც მოჰყვა, გაცნობას დაახლოვება და, სხვათა შორის, ჰკითხა ვაჟმა:

— როდის მეღირსება თქვენთან ხლება და ტრფობაო?

ქალმა დრო დაუნიშნა და უთხრა: ჩემი ქმარი ამაღამ სხვა ქვეყანაში მიდის და თავისუფლად შეგიძლია მოსვლაო.

მივიდა ვაჟი დანიშნულ დროზე. კარგი სმა-ჭამის დროს კარების რახუნი მოისმა.

— აკი თქვი, ქმარი სხვაგან წავაო? — ჰკითხა ეაკვირვებით ვაჟმა.

— ეს უეჭველად ჩემი ძმა იქნებაო, — იცრუა ქალმა და დაუმატა: — ადექ ჩქარა, დაიმალე, თორემ შენც მოგკლავს და მეცაო.

— სად დავიმალო, მაჩვენე ალაგიო, — ამბობს გაფითრებული ვაჟი.

— სადა და, აი, აქაო, — ახადა ერთ დიდ სკივრს და უთხრა: — ჩაჯექ ამაშიო.

ჩაწვა ვაჟი. ქალმა დაკეტა სკივრი, გასაღები ჯიბეში ჩაიდო, წავიდა, კარი გაუღო ქმარსა და შემოიყვანა სიხარულით და ალერსით, სკივრში მყოფის გასაჯავრებლად და ჯავრის ამოსაყრელად. როცა ვახშამზე დასხდნენ, სხვათა შორის, გაეხუმრა და უთხრა ქმარს: — მე შენ აღარ მინდიხარო!

— რათა, ქალო, რა მოგეჩვენაო? — ეკითხება ქმარი.

— რათა და მყვარობს ერთი ახალგაზრდა თავადიშვილი, დღეს გამომიცხადა სიყვარული და მეც პირობა მივეცი, ის უნდა შევიყვაროო.

— მერე ვინ არის, სად არისო?! — ეკითხება ქმარი.

— სად არის და აი, იმ დიდ სკივრში. თუ არა გჯერა, აი, გასაღები, გააღე და შენი თვალითა ნახეო, — და გაუწოდა გასაღები.

გაცეცხლებულმა ქმარმა გამოართვა გასაღები თუ არა, ქალმა შესძახა: — ჰაიდოსთ, მოგიგე, მოგიგეო!

ქმარი გასაღებით ხელში დარჩა გაშტერებული, აქამდის მართალი ახლა სიცრუე ეგონა. მოტყუებულად ჩათვალა თავი.

მეორე დილას ქალმა ვაჟი სკივრიდან ამოსვა, გზა დაულოცა და თან დაუმატა: — ახლა ხომ ნახე ქალის შარიო, წადი და სადაც შენი თქვა, იქ ჩემიც თქვიო.

ვაჟმა ჩაილაპარაკა: ტყუილად არ უთქვამს გლახას: ქალის შარისაგან ღმერთმა დაგიფაროსო.

მოხუცი დურგალი და მისი რძალი

იყო ერთი მოხუცი დურგალი. განთქმული იყო თავისი ხელობითა და გონებით. ეს დურგალი მაღალი ბოძის წვერზე ააგებდა ისეთ სახლსა, რომელიც ამ ბოძზე ტრიალებდა და მუდამ მზე ანათებდა მის ოთახებს. მის მეტს ქვეყანაზე არავის შეეძლო ასეთი სახლის აშენება.

დურგალს ეყოლა ვაჟი. რომ წამოიზარდა, მამამ თავისი ხელობა ასწავლა.

იზრდება ეს ბიჭი. საქორწილო ვაჟია. მამამ უთხრა: შვილო, შენ ცოლი გინდა, მე — კარგი რძალი. ეს კია, ჭკვიანი ქალი უნდა ვიშოვოთ. ჭკვიანი რძალი აავსებს ოჯახს, სულელი კი — დაავსებსო.

შვილი დათანხმდა. წავიდა მამა, ბევრი ფული დახარჯა და ის კი მოახერხა, რომ თავის შვილს აზნაურის ქალი შერთო ცოლად. იფიქრა: ეგ უფრო კაი გაზრდილი და ნასწავლი იქნებაო.

გავიდა ხანი. ერთხელ მამა ეუბნება შვილს: აბა, შვილო, ახლა მომეტებული ჯაფა და შრომა გმართებს, ოჯახი უნდა ფეხზე დააყენო, წავიდეთ, სამუშაო ვიშოვოთ, ბარაქიანი შრომით ხარჯები ავინაზღაუროთო.

ცოტა თუ ბევრი სიარულის შემდეგ მიადგნენ ერთ ტყეს. მამამ უთხრა შვილს: შვილო, სიარული მიჭირს, შედი ტყეში მშველელი გამომიყვანეო.

შევა შვილი ტყეში. აქეთ-იქით აწყდება, ეძებს, მაგრამ ტყეში ვერავის ნახავს და ცარიელი გამოვა.

— ეს უბრალო საქმე გაგიჭირდაო, — მამამ უთხრა, — აბა, წადი, შენ ცოლსა ჰკითხე და ის გასწავლისო.

წავიდა ბიჭი, მაგრამ აზნაურის ქალმა პირი დააღო და ვერაფერი ერჩია ქმარს.

გაჯავრდა მამამთილი და ეუბნება შვილს: ახლავე გაუშვი ეგ ქალი, ჩვენს ოჯახს არ გამოადგებაო.

დაღონდა ვაჟი მეტისმეტად, მაგრამ მამისა დიდი ხათრი ჰქონდა. შესვა ქალი ცხენზე, მისი მზითევი ურემზე დააწყო და მიუყვანა სიმამრს.

წავიდა მამა, ორი იმდენი ფული დახარჯა და მოიყვანა რძლად თავადის ქალი.

რამდენიმე ხნის შემდეგ მამამ უთხრა შვილს: შვილო, ქალაქში წადი, ჩვენი ნახელავი წაიღე გასაყიდად, მაგრამ გზაზე სიარული

რომ არ გაგიჭირდეს, ბაზარზე გაიარე და ორ კაპიკად ცხენი და მისი უნაგირი იყიდეო.

ეს ვაჟი გაცეცხლდა: მამასხარავებ, მამაჩემო, ორ კაპიკად ცხენი და უნაგირი ვინ უნდა მომცესო?

— ჰკითხე შენ ცოლს, ის გეტყვისო.

თავადის ქალი თვალებს აცეცებს იქით-აქეთ, ჯავრობს: ეგეთი ცხენ-უნაგირი მამიჩემის სახლში არც მინახავს და არც მეკადრებაო.

— ახლავე გაუშვი ეს ქალიც, — მამა ეუბნება ვაჟს, — თორემ წავალ და გადავიკარგებიო.

რა ექნა ბიჭს? ბარემ არ უნდოდა, მაგრამ მეორე ცოლიც გზას გაუყენა. მამამ ახლა სამი იმდენი ფული დახარჯა და ხელმწიფის ქალი მოუყვანა ცოლად თავის პირმშოსა. ცხოვრობენ კარგად.

ერთხელ მამა და შვილი ყანაში წავიდნენ სიმინდის სატენად. დიდი აღმართი ჰქონდათ ასავლელი.

— შვილო, გზა დიდია და ან მე ამეკიდე, ან მე აგეკიდებიო, — მამამ უთხრა.

შვილი გაშტერებული უყურებს და უარზეა. როგორც იქნა ავიდნენ ყანაში. ყანა ისეთია, ავ თვალს არ დაენახვება. მამა ამბობს: ამ ზამთარს რა გვეშველება, ეს ყანა სანახევროდაც რომ არ არის მოსულიო.

— რას ამბობ, მამი, ჩვენი ყანის ნახვას არაფერი სჯობია, შენ ამბობ სანახევროდაც არ მოსულაო!

— რაკი შენ ვერ გაგიგია ამ ყანის ამბავი, წადი, ჰკითხე ცოლსა, იმას მაინც ეცოდინებაო.

მივა ქმარი თავის ცოლთან, ეკითხება, ცოლი კი ჯავრობს: მამიჩემის სახლში განა გულთმისნობას მასწავლიდნენო. მაგაზე ფიქრი სულაც არ მეკადრებაო.

ტირის ეს ბიჭი, თავში იცემს: მამამისი მესამე რძალს უშვებს სახლიდან.

— კარგიო, — ვაჟმა უთხრა, — წავალ, ჩემი გუნების ქალს მე თვითონ მოვძებნი და იმას კი აღარ შეველევი, ან სულ გადავიკარგები აქედანაო.

იარა, იარა, ჩვენი ენა მალე იტყვის, საქმე კი ნელა კეთდება. მივიდა ეს ბიჭი ერთ სოფელში. ღამეა და ერთი გლეხის სახლში სინათლე ბჟუტავს. მივიდა ეს ბიჭი, შეეხმაურა: მასპინძელო, ღამე გამათევინე, შორეული მგზავრი ვარო!

გაუღო კარი გლეხის ქალმა: მობრძანდი, სტუმარი დალოცვილიაო.

შევიდა ეს ბიჭი. ქალი ზის და მატყლს ართავს. ბიჭი უყურებს და თვალში მოსდის ეს ქალი, მაგრამ ფიქრობს: რად ძინდა ტყუილად ძაგის ცოდვაში ჩავდგე, მამაჩემი შაინც არ დამიყენებს. სადაც მეფის, თავადისა და აზნაურის ქალები დაიწუნა, ამ უსწავლელ გლეხის ქალს რას გააჩერებსო.

— რასა ოხრავო? — ქალმა ჰკითხა ბიჭსა.

— ე, ჩემი საქმე წასულია, მამაჩემი ცოლებს არ მიყენებს სახლშიო.

— რათაო?

— რათა და, — უამბო ამ ბიჭმა თავისი ცოლების ამბავი.

ქალმა გაიცინა: არც შენ ყოფილხარ ჭკვიანი და ცოლებიც სულელი გყოლია. აბა, ყური დამიგდე: მამამ რომ გითხრა, ტყიდან მშველელი გამოვიყვანეო, მოუკრიდი კარგ შინდის ჯოხსა და მშველელიც ის იქნებოდაო. ორ კაპიკად ცხენსა და უნაგირს არავინ მოგყიდდა, მაგრამ ღვინოსა და პურს კი იყიდდი, ის იქნებოდა შენი მატარებელი, ცხენიცა და უნაგირიცაო. მამაშენმა რომ გითხრა, გზა გრძელია, ან შენ ამეკიდე ან მე აგეკიდებიო, გეთქვა კარგი ზღაპარი გზაზე, ან მამაშენისათვის დაგეგდო ყური, გზაც შეგიმოკლებოდათო. ყანაზე რომ გითხრა მამაშენმა, სანახევროდაც არ არის მოსულიო, რატომ დაგავიწყდა, რომ ვალი გქონდათ და ნახევარი ივ ვალის დაფარვას უნდოდაო!

წამოხტა ვაჟი, ეხვეწება: შენს მეტი ცოლი არ მინდა, ჭკვიანიცა ხარ და ლამაზიცო!

წამოჰყვა ის ქალი სახლში. ცხოვრობენ ტკბილადა და უდარდელად.

ერთხელ მამა-შვილი მეფემ დაიბარა. შეუკვეთა სახლის აშენება. ააშენა დურგალმა სახლი; მაღალი ბოძის წვერზე ტრიალებს სახლი, მის ნახვას არაფერი სჯობს.

აივსო გაუმაძღარი მეფის გული შურით: ეს სახლი რომ ასეთი კარგი ამიშენა, ვინ იცის, წავა და სხვას კიდევ უკეთესს აუშენებსო, ან არადა სხვას რად უნდა ჰქონდეს ჩემისთანა სახლიო.

იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა, მოეკლა დურგალიცა და მისი შვილიც. მოხუცი დურგალი დიდი გონების კაცი იყო.

— აი, შენი ცოლის ჭკუა და მოხერხება სად გვჭირდება, ის თუ კვიშველის, სხვა ვერავინო, — უთხრა შვილს.

ადგა და გააჩერა ის სახლი დურგალმა. მეფე ეკითხება, რა ვქნა, ეს სახლი რატომ აღარა ტრიალებსო?

დურგალმა უთხრა: შინ დამრჩა უმართ-სამართი, სანამ იმას არ ვოვიტან, ეს სახლი ვერ მოიმართება რიგზეო.

— ვერ გაგიშვებთ შენა და შენ შვილსაო, — მეფემ უთხრა.

— ბატონი ბრძანდები, შენი შვილი წავიდეს, მე ჩემ რძალთან ლიტყვას დავაბარებ და ის გამოატანს უმართ-სამართსაო.

წავიდა ხელმწიფის ვაჟი. მივიდა დურგლის რძალთან და ეუბნება: მამამთილმა შემოგითვალა: ხელმწიფეს სახლი ავუშენე, მაგრამ უმართ-სამართსა მთხოვს და, აბა, შენ იციო.

მიხვდა ჭკვიანი რძალი. შეიპატიჟა ხელმწიფის ვაჟი სახლში, ჩაკეტა მაგრად ცხრაკლიტულში და ხელმწიფეს შეუთვალა: ჩემი ქმარი და მამამთილი ახლავ თუ არ გამოგიშვია ჯორკიდებული ოქროთი, შენ შვილს შავ დღეს დავაყენებო, მძევლადა მყავსო.

მეტი რა ღონე ჰქონდა ხელმწიფეს, გამოუშვა მოხუცი დურგალი და მისი შვილი. გამოატანა ჯორკიდებული ოქრო.

— ხომ ხედავ, შვილო, ჭკვიანი რძალი რად მინდოდა, — მამამ უთხრა შვილსა. — აკი გითხარი, ჭკვიანი რძალი აავსებს სახლსა, ბოულელი კი დაავსებს-მეთქი.

ძუნწი მასპინძელი

იყო ერთი ცოლ-ქმარი. ცხოვრობდნენ კარგად, მაგრამ ცოლი ეტად ძუნწი იყო. ერთი ბატი ჰყავთ სამი წლისა. ეხვეწება ქმარი ცოლს: დავკლათ ეს ბატი, მაღირსე მაგის ხორცის ჭამაო!

— ადამიანო, როგორ იქნება? გვეყოლება სტუმარი ვინმე და მაშინ დავკლავო.

ერთ დღესაც ნათლიმამა შეესწრო სტუმრად. უხარია ამ კაცს: ჩემი ცოლი ახლა ხომ მაინც დაკლავს ბატსაო?

სხვა გზა არ ჰქონდა ქალს, დაკლა ბატი, მოხარშა. მერე ქმარს უთხრა: ჩადი მარანში, ერთი ხელადა ღვინო გადმოიღე, სტუმარს გავუმასპინძლდეთო.

ჩავიდა კაცი მარანში. ცოლმა ბატი გადმოიღო, წვენი გადაწურა და კიდობანში ჩადგა, ბატი თახჩაში შეინახა, ჩააწყო შამფურები ცეცხლში, ჩაყარა ქვაბში ქვები და ხარშავს. ზის და თავისთვის ბუტბუტებს: გაცხელდით კარგად, შამფურებო, იხარშეთ, ქვებო! გაცხელდით, შამფურებო, იხარშეთ, ქვებოო!

— ნათლიდედ, ე შამფურები რაღად გინდა, ან ქვებს რადა ხარ-შავო? — სტუმარი ეკითხება.

— არ იცოდი, გენაცვალე, ჩვენში ასეთი წესია, ჯერ სტუმარი უნდა დავდაღოთ ცხელი შამფურებით, რომ სხვა დროს ვიცნოთ ხოლმეო, და მერე მოხარშული ქვები ვაყლაპოთო.

ამ კაცმა თქვა: ერიჰა! მე თუ აქ დამდაღეს, მერე ბატი რას მიქვიაო? — დაავლო ქუდს ხელი და გაიქცა.

მოდის ეს მასპინძელი კაცი მარნიდან, ხელადით ღვინო მოაქვს.

— ქალო, სტუმარი რა იქნაო?

— სტუმარი და მისი თავიო! მარანში ფეხი ჩადგი თუ არა, დაავლო ბატს ხელი და გავარდაო.

— ქალო, ამ ბატს სამი წელიწადია ველი, იმას როგორ შევარჩენო! — იშვირა ფეხი და ქუდმოგლეჯილი მისდევს ნათლიმამას.

დაეწია როგორც იქნა, გააჩერა სტუმარი და ეკითხება:

— შე კაცო, რა იყო, სად გავარდი, ან ეს ბატი ასე უცებ როგორ გაათავე, გააქრეო?

— სად იყო ბატი, შენმა ცოლმა ცხელი შამფურები ჩააწყო ცეცხლში ჩემ დასადაღავად, საჭმელად ქვები ჩაყარა ქვაბში. ბატი თახჩაში დამალა, წვენი კიდობანში ჩადგაო.

— წამოდი, შენი ჭირიმე, დაბრუნდიო.

— რას ამბობ, კაცო, თქვენთან რაღა მომიყვანსო!

წავიდა სტუმარი. კაცი შინ მობრუნდა და ცოლს უთხრა: ნათლიმამა ვერ ვნახე, ძლიერ დავიღალე და თავი კალთაში ჩამადებინე, ცოტა წავიძინოო.

ქალმა თავი კალთაში ჩაადებინა. მინაბა თვალები კაცმა. უცებ წამოხტა და დაიძახა: ქალო, ჩქარა თახჩიდან ბატი გადმოიღე, კიდობნიდან კი წვენი ამოდგი სუფრაზეო! — და მოყვა მის ლანძღვასა: — შე ასეთო, შე ისეთო, ასე უნდა მასპინძლობაო?!

— შენ საიდან იცი ბატის ამბავიო? — ჰკითხა ცოლმა.

— რა და, შენმა მუხლისთავებმა მითხრეს ეს ამბავიო.

გადმოიღო ბატი თახჩიდან, ამოდგა წვენი, აჭამა ქმარს. აიღო მერე ცხელი შამფურები, გაისვა და გამოისვა მუხლებზე: თქვენ დასამიწებლებო, ასე როგორ გამიმეტეთო?!

მზეთუნახავისა და ხელმწიფის შვილის ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე, ჰყავდა სამი ვაჟი.

იმ სახელმწიფოში ერთი მზეთუნახავი ქალი იყო. ის ქალი არავის არ ეჩვენებოდა უფასოდ. იმისი ერთი ხელი რომ ენახათ, უნდა ასი თუმანი მიეცათ და მთლიანად რომ ენახათ ქალი, უთვალავი ფული უნდა მიეცათ.

ხელმწიფის შვილებს ძლიერ უნდოდათ ამ ქალის ნახვა. უფროსს და საშუალოს მისცა მამამ უთვალავი ფული და ორივემ ნახეს. უმცროსს კი არ მისცა. ეწყინა ძალიან. წავიდა გზაზე, მიდის და ტირის. შემოჰხვდა ერთი ქოსამატყუარა და ჰკითხა: რა გატირებსო?

— ჩემმა ძმებმა კი ნახეს მზეთუნახავი, მისცა მამაჩემმა უთვალავი ფული და მე კი არ მომცა, რომ მენახაო,— უპასუხა ხელმწიფის შვილმა.

— წადი, ერთი თხა და სადგისი იყიდე, წავიდეთ და იმ მზეთუნახავს მალე გაჩვენებო, — უთხრა ქოსამატყუარამ.

წავიდა ვაჟი, იყიდა ერთი თხა, იშოვა სადგისები, წამოიყვანა, წამოიღო და მოიტანა.

მივიდნენ მზეთუნახავის სახლის წინ, წააქციეს თხა და დაუწყეს სადგისებით ჩხვლეტა: ვითომდა კლავდნენ, აჩხავლებდნენ თხასა. შეცვივდნენ მოსამსახურეები და მოახსენეს მზეთუნახავს: აბა, გამოდი, ქალბატონო, რანაირად კლავენ იმ თხას ის კაცებიო! გამოვიდა მზეთუნახავი და ხელმწიფის შვილმა დაინახა. ეს ერთხელ. უბრძანა მზეთუნახავმა მსახურებს: ჩადით, დაუკალით, როგორც რიგი და წესი იყოსო!

ჩავიდნენ, დაუკლეს, ქვაბში ჩაუყარეს და დადგეს ცეცხლზე. აიღო ქოსამატყუარამ ქვაბი და პირქვე მოაბრუნა. შევიდნენ კიდევ მოსამსახურეები მზეთუნახავთან და მოახსენეს: აბა, გამობრძანდი, ქალბატონო, რასა შვრებიან ის კაცებიო.

გამოვიდა მზეთუნახავი და უბრძანა მსახურებს: ჩადით და, როგორც რიგი და წესი იყოს, ისე მოუხარშეთო.

ეს მეორედ ნახა ხელმწიფის შვილმა მზეთუნახავი.

ჩავიდნენ მსახურები, გაურეცხეს ხორცი, ჩაყარეს ქვაბში და შედგეს ცეცხლზე. როდესაც მოიხარშა, მოუსხდნენ ქოსამატყუარა და ხელმწიფის შვილი. ხან ერთი ჩასცემს პირს და ხან მეორე, იწვავენ ლაშებს. ამას ნახავენ ქალის მსახურები, შევლენ და მოახსენებენ მზეთუნახავს: აბა, გამობრძანდით, ქალბატონო, ის კაცები რასა შვრებიანო!

მზეთუნახავმა უბრძანა: ჩადით, ამოიყვანეთ აქ, მაღლია, დავსხათ და ვაჭამოთ, როგორც რიგი და წესი იყოსო.

ჩავიდნენ, ამოიყვანეს, დასხეს, ასვეს და აჭამეს. ბოლოს, ძილი მოეკიდათ. ხან ქოსა გაწვება ხელმწიფის შვილზე, ვითომ ლეიბიაო, ხან ხელმწიფის შვილი — ქოსამატყუარაზე.

უბრძანა მზეთუნახავმა მსახურებს: ეგ ქოსა თქვენ წაიყვანეთ, დააწვინეთ და ამას მე დავაწვენო.

დაწვა ქალი და მოიწვინა ხელმწიფის შვილიც გვერდზე. უთხრა: აი, ასე უნდა წოლა. ხელი არ გაანძრიო, თორემ ახლავე თავს მოგჭრი. ხვალ სამ ოქრო-ვერცხლით აკიდებულ ჯორს მოგცემ, წაიყვანე, და თუ ერთიორად აქცევ, ქმრად შეგირთავ, და თუ ვერა — არაო.

წამოასხა ეს ჯორები. არის დაღონებული: ერთიორად როგორ უნდა ვაქციო. მოვიდა ერთ მეხაშესთან და უთხრა: აჰა, ეს ჯორი და, რომ ჩამოვიარო, ერთი თავი მომეციო.

გაუხარდა მეხაშეს ძალიან. აიარა კიდევ. ერთი მემაწვნეს მისცა: რომ ჩამოვიარო ერთი ქილა მაწონი მომეციო.

წავიდა და ერთიც ძესაბლეს მისცა: რომ ჩამოვიარო, ერთი საბელი მომეციო.

დარჩა ცარიელი და წავიდა დაღონებული. შემოეყარა ერთი კაცი და ჰკითხა: რადა ხარ დაღონებულიო?

— იმიტომა ვარ დაღონებული, რომ მზეთუნახავმა სამი ოქრო-ვერცხლით აკიდებული ჯორი მომცა; თუ ერთიორად ვაქცევდი. შემირთავდა. სამივ ტყუილუბრალოდ დავკარგე, ერთი მეხაშეს მივეცი, ერთი — მემაწვნეს, ერთიც — მესაბლეს და დავრჩი ცარიელიო.

კაცმა უთხრა: ამა და ამ ადგილას ერთი ხე დგას, იქ წადი, იმ ხესთან მოვლენ ის შენი მეხაშე, მემაწვნე და მესაბლე. შენ იმ ხეზე დაიმალე. იქ მოვა მათი უფროსიც და იმას ეტყვიან ყველა თავის ზარალ-სარგებელსა, თუ გეშველება, იქ გეშველებაო.

წავიდა ხელმწიფის შვილი, მიაგნო იმ ხეს, ავიდა ზედ და დაიმალა. მოვიდნენ ის კაცებიცა და იმათი უფროსიც.

— აბა, რა მოიგეთ, რა წააგეთო? — ჰკითხა უფროსმა.

მეხაშემ უთხრა: შე გუშინ კარგი მოგება ვნახე: ერთი კაცი მოვიდა, ერთი ოქრო-ვერცხლაკიდებული ჯორი მომცა და, რომ ჩამოივლის, ერთი თავი უნდა მივცეო.

— შენ მოგება არ გინახავს, — უპასუხა უფროსმა, — იქნებ კაცის თავსა გთხოვსო?!

გამობრუნდა დაღონებული მეხაშე.

ახლა მემაწვნე მოვიდა.

— შენ რაღა წააგე, ან მოიგეო?! — ჰკითხა უფროსმა.

— მე გუშინ დიდი მოგება მქონდა, — უპასუხა მემაწვნემ, — ერთმა კაცმა ჩამოიარა, ერთი ოქრო-ვერცხლით დატვირთული ჯორი მომცა და, რომ ჩამოივლის, ერთი ქილა მაწონი უნდა მივცეო.

— ვერ გქონია კარგი მოგება, — უთხრა უფროსმა, — იმან რომ ჩამოიაროს და ადამიანის რძისა გთხოვოს, საიდან მოუტანო?

წავიდა ისიც დაღონებული.

ახლა მესაბლე მოვიდა.

— შენ რაღა ჰქენიო?! — ჰკითხა უფროსმა.

— მეც გუშინ დიდი მოგება მქონდა; ერთი კაცი მოვიდა, ერთი ოქრო-ვერცხლაკიდებული ჯორი მომცა და, რომ ჩამოივლის, ერთი საბელი უნდა მივცეო.

— ვერაფერი მოგება გქონია, — უპასუხა უფროსმა, — იმ კაცმა რომ შენი ულვაშების თოკი გთხოვოს, საიდან მოუტანო?

ისიც დაღონებული წავიდა. უფროსიც თავის გზაზე წავიდა.

ჩამოვიდა ხელმწიფის შვილიც და წამოვიდა მაშინვე მეხაშესთან.

— აბა, გამომიტანე დაპირებული თავიო!

მეხაშემ ერთი კარგა გაკეთებული ცხვრის თავი გამოუტანა.

— აჰა, წაიღეო.

— არა, — უპასუხა ვაჟმა, — ჩვენი პირობა ეგ არ იყო. ან ერთიორად ჩემი ოქრო-ვერცხლი და ან კაცის თავიო!

რა მეტი ღონე ჰქონდა მეხაშეს, გამოუტანა და ერთიორად მისცა ოქრო-ვერცხლი. წამოიღო ვაჟმა და ახლა მემაწვნესთან ჩაიარა.

— გამომიტანე ქილაო!

მემაწვნემ ერთი ქილა მაწონი გამოუტანა.

— პირობა ეს არ იყო, — უთხრა ხელმწიფის ვაჟმა, — თუ ადამიანის რძისა არ იქნება, არ მინდაო.

წაართვა იმასაც ერთიორად ოქრო-ვერცხლი და წამოვიდა. ჩაუარა მესაბლეს.

— გამომიტანე ჩემი საბელიო!

მესაბლემ ერთი კარგი საბელი მოუტანა, ინებეთო.

— ეს არ მინდა, — უპასუხა ვაჟმა, — შენი ულვაშისა უნდა იყოს, არა და, ერთიორად, რაც მომციაო.

წაართვა ერთიორად და წამოვიდა გახარებული. მიუტანა ქალს, შეირთო და გაიხარა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ხელმწიფის გიჟი შვილი

იყო ერთი დიდებული ხელმწიფე. ხელმწიფეს ორი ვაჟიშვილი ჰყავდა. ერთ ვაჟს გიჟს ეძახდნენ. გიჟი ეგონათ და ყურსაც არ უგდებდნენ. მეორეს ჭკვიანს ეძახდნენ და ტახტის მემკვიდრედაც იმას ამზადებდნენ.

გიჟს დილით ჩააცმევდნენ მშვენივრად, მორთავდნენ ვერცხლითა და ოქროთი; მიეფარებოდა მერე სადღაც და საღამომდის აღარ გამოჩნდებოდა. საღამოზე დაბრუნდებოდა ჩამოხეული და ჩამოწეწილი, საძაგელი კონკებით, თითქოს გლახა არისო. მეორე დღეს ისევ ახალი უნდა ჩაეცმიათ. თუმცა არ მოსწონდა ხელმწიფეს შვილის საქციელი, მაგრამ რას იზამდა, ტიტველს ხომ ვერ ატარებდნენ?!

ხელმწიფეს ერთი ვეზირი ჰყავდა, ბრძენი და მეცნიერი, ერთგული ხელმწიფისა, სიერთგულეში სწორი არა ჰყავდა. მთელი თავისი სიცოცხლე ხელმწიფის სამსახურში გაეტარებინა, ხელმწიფეც პატივსა სცემდა და აფასებდა იმის ერთგულებას. ვეზირიც ხედავდა, რომ ხელმწიფის შვილი დილით ატლასიონს ჩაიცვამს, წავა და საღამოზე ჩითიონითაც აღარ მოვა.

ერთხელ თქვა: მოდი, გავყვები ამ გიჟს ისე, რომ ვერ გაიგოს, ვნახავ, ან ტანისამოსს რაზე ხევს, ან მთელ დღეს სად ატარებს, რას აკეთებსო.

ერთხელ, როდესაც ხელმწიფის შვილი, მშვენივრად მორთული გავიდა სასახლიდან და გასწია მინდვრისაკენ, ვეზირიც თან გაჰყვა. მიდის ხელმწიფის შვილი და მიჰყვება შეუმჩნევლად უკან ვეზირიც.

გაიარა ხელმწიფის შვილმა მინდორი, გავიდა შარაგზაზე და გზაგასაყარში დადგა. ააყოლებს და ჩააყოლებს თვალს გამვლელ-გამომვლელს, ხმას არავის არა სცემს. ბოლოს, ერთი საბრალო, ჩამოხეულ-ჩამოფლეთილი გლახა ჩამოივლის, ტანზე არა აცვია რა, ძონძების მეტი, ერთი საბრალო და ღვთის ცოდვილია. გადაუდგება წინ ხელმწიფის შვილი, შეაყენებს გლახას და უბრძანებს: გაიხადე ახლავე, რაც გაცვია და მე მომეცი!

გლახას გაუკვირდება: რა მაცვია, რად გინდა, რისთვის გავიხადო.

როგორც იქნა, გაახდევინა ტანისამოსი გლახას ხელმწიფის შვილმა, თვითონაც გაიხადა, თავისი გლახას ჩააცვა, გლახისა თვით ჩაიცვა. მერე გაუშვა: ახლა კი შენს გზაზე იარეო.

გლახა გასცდა და ხელმწიფის შვილმაც გულდასვენებით გასწია წინ. იარა, იარა, ერთ რიყეზე მივიდა და დაჯდა ლამზე. აიღებს ჩა-

ახს. აავსებს ლამით: ეს იმას, ვინც ძმას გაეყაროს და ძმობილს შეეყაროსო! აავსებს მეორედ ჩანახს: ეს იმას, ვინც ცოლს გულის სიტყვა უთხრასო! აავსებს მესამედ და იტყვის: ეს იმას, ვინც ბატონს ეერთგულოსო!

ამას რომ მორჩება, ადგება და გამოსწევს სახლისაკენ.

ვეზირს გულში ჩაეჭრა ხელმწიფის შვილის სიტყვები. იფიქრა: თუ ყველა ეს არა ვცადე, არ იქნებაო.

მეორე დღესვე ძმას რაღაც შარი მოუდო. გაეყარა და ძმობილს შეეყარა. სანამ ვეზირი ფულს აძლევდა და აჭმევდა, მეგობარსაც ძალიან მოსწონდა და უყვარდა, მაგრამ როდესაც ვეზირმა ქისას მოუჭირა, ცოტა ხანს ითმინა მეგობარმა, ბოლოს, ჰკრა ჭიტლაყი და გამოუძახა.

აუსრულდა ხელმწიფის შვილის სიტყვა ვეზირს. მერე მეორე და მესამე სიტყვის გამოცდა მოინდომა.

ხელმწიფეს ერთი შველი ჰყავდა, ძალიან უყვარდა. თავისთან აჭმევდა, ასმევდა და აძინებდა. სულ იმის ალერსსა და სიყვარულობაში იყო. ვეზირმა იმისი მოპარვა განიზრახა და აასრულა კიდეც. წამოიყვანა შველი და დამალა. თხა დაკლა და ცოლს უთხრა: ეს ხელმწიფის შველია, მე მოვიპარე, დავკალ და ვჭამოთთ.

ჭამეს თხის ხორცი. რა იცის ცოლმა, თუ შვლისა არ არის.

შვლის მოპარვამ ხელმწიფე ძალიან გააბრაზა. გასცა ბრძანება. რომ აუცილებლად უნდა ეპოვათ იმისი მომპარავი.

ერთ დღეს ვეზირმა ცოლი ლაზათიანად მიბეჟა. გაიქცა ცოლი და მაშინვე ხელმწიფეს მოახსენა: შენი შველი ჩემმა ქმარმა მოიპარა. დავკალით და შევჭამეთო.

დაიჭირეს ვეზირი და მაშინვე სახრჩობელაზე წაიყვანეს. ვეზირმა სთხოვა ხელმწიფეს: ერთი სიტყვა მათქმევინეთო! — დააცადეს.— ის შველი ცოცხალია, არ დაგვიკლავს. ესე, ესე გამოცდა მინდოდა ცოლისა და იმიტომ მოვიპარეო.

მოიყვანეს შველი და გადარჩა სახრჩობელას ვეზირი, მაგრამ გაიგო კი ვეზირმა, რაც უნდოდა, დარწმუნდა, რომ ბატონის ერთგულება მართლა არა ღირებულა არაფრად: ხელმწიფემ ერთი შვლის გულისთვის სახრჩობელაზე წამიყვანა ერთგული ვეზირი და ცოლმა კი პირველ წყენაზედვე გამცაო.

მაშინ მიხვდა ვეზირი, ვინ გიჟი იყო და ვინ ჭკვიანი.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ხელმწიფის შვილისა და ხელმწიფის ამგავი

ერთი დიდებული ხელმწიფე იყო. როდესაც დაბერდა და სიკვდილის ჟამს მიაღწია, დაუძახა თავის ერთადერთ მემკვიდრე შვილს და უთხრა: შვილო, ხომ ხედავ შენი თვალით, დღეს არა, ხვალ მოვკვდები, ფეხი სამარეში მიდგას, ქვეყანა შენ ხელთ უნდა მოექცეს. წადი ახლა და ყველა მხარეში თითო სახლი აიშენე. რომ გაჭირვება იქნება, თუ სხვა რამე, თავი იქ შეაფაროო.

შვილმა გაუგონა მამას ბრძანება, დაუხანებლად ადგა, წაიღო ფული და წავიდა თავის სახელმწიფოში. სადაც მოეწონება ადგილი, მთა იქნება, გორა, სოფელი თუ ტყე, მშვენიერი სახლები ააშენა. როცა ყველგან მორჩა სახლების აშენებას, დაბრუნდა მამასთან.

მამამ დაიბარა შვილი თავისთან და გამოჰკითხა ყველაფერი: რა ჰქენ. შვილო, ააშენე ყველგან სახლები, როგორც გითხარ, თუ არაო?

— ავაშენე, — უპასუხა გულდამშვიდებით შვილმა, — სადაც ან მთა, ან კორდი მომეწონა, ყველგან მშვენიერი სასახლე დავიდგიო.

— ვაჰ, შენ მტერსა. შვილო, შენ ის სახლები არ აგიშენებია, რაც მე გითხარი. ცარიელი სახლები, შვილო, გაჭირვებაში კაცს ვერ შეიფარებენ. მე ის გითხარი, წადი, ყველა ქვეყანაში თითო პატიოსანი კაცი დაიმეგობრე, შეიყვარე და შენი სახლი ის იქნებოდა. რა ქვეყანაშიაც კაცს კარგი და პატიოსანი მეგობარი ჰყავს, იქ იმისთვის სახლიც არის და ბინაცაო.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ცრუ და მართალი კაცი

იყო ორი ამხანაგი. ერთი იყო ცრუ და მეორე მართალი. ცრუს თავის დღეში სიმართლე არ ეთქვა და მართალს — სიცრუე.

ერთხელ ცრუმ უთხრა მართალს: გავიმზადოთ საგზალი, წავიდეთ ბედის საძებნელად, იქნება ხეირს შევეყაროთო.

— კარგიო, — მიუგო მართალმა.

გამოაცხვეს პურები, მჭადები და გაუდგნენ გზას. საგზალი ცრუმ წამოიკიდა ზურგზე.

იარეს, იარეს, მოშივდა მართალს და შეეხვეწა ცრუს: ცოტა თუ არ მაჭამე. შიმშილისაგან დავსუსტდი, სიარული აღარ შემიძლიაო.

ცრუმ უარი უთხრა: რა დროს ჭამაა, ფეხი გამოადგი ჩქარაო.

რას იზამდა მართალი კაცი, განაგრძო სიარული, მაგრამ უარესად დასუსტდა და ისევ შეეეედრა ამხანაგს: ცოტა მაინც მაჭამეო.

ცრუ ამხანაგმა უთხრა: თუ მარჯვენა თვალს ამოიგლეჯ, გაჭმევო.

რაღა უნდა ექნა მართალს, შიმშილით კუჭი ეწვოდა, ამოითხარა მარჯვენა თვალი და ლუკმისათვის ხელი გაიშვირა.

ცრუმ კიდევ იცრუა და უთხრა ამხანაგს: ჯერ ცოტა კიდევ იარე და მერე გაჭმევო.

ძლივსძლივობით კიდევ განაგრძო მართალმა გზა, მაგრამ შიმშილმა ძლიერ შეაწუხა და ისევ სთხოვა ამხანაგს პატარა მჭადი.

ცრუმ უთხრა: სანამ მეორე თვალს არ მოითხრი, არას გაჭმევო.

მართალს მეტი რაღა გზა ჰქონდა, ამოითხარა მარცხენა თვალიც და მჭადისათვის ცრუს ხელი გაუშვირა.

ცრუმ მჭადის ნაცვლად ბრმას ხელში ქვა ჩაუდო და სადღაც გაეპარა.

დარჩა მართალი თვალებდათხრილი მარტო, უდაბურ ტყეში. შეწუხდა საწყალი, მაგრამ რას იზამდა. გადადგა ორი ნაბიჯი და ხეს დაეჯახა. იფიქრა, ძირს რომ დავრჩე, ნადირი შემჭამსო და დიდი გაჭირვებით ხეზე აცოცდა. მოუსვა ხელები აქეთ-იქით და ხელში მწიფე მსხალი მოჰყვა: ხეს თურმე მსხალი ესხა. დაიწყო ბრმამ ჭამა და გაძღა.

გავიდა ცოტა ხანი და ბრმას ხის ძირიდან რაღაც ხმა შემოესმა. თურმე სამი ქაჯი მოსულა და ერთიმეორეს რაღაცას ელაპარაკებიან.

ქაჯებმა თქვეს: ვთქვათ, ვინც რა ვიცითო.

ერთმა დაიწყო: აქ მეგულება ერთი წყალი და, ზევით, ხეზე რომ ბრმა ზის, ის რომ იმ წყლით თვალს ამოირეცხავდეს, მაშინვე აეხილებაო.

მეორემ თქვა: ამა და ამ ქვეყანაში ფულის ქესატობაა, იქ ერთი დიდი ჭადრის ხეა, მის ძირში აუარებელი ფულია; ვინც ჭადარს მოთხრის, ფულიც მისი იქნებაო.

მესამემ თქვა: ამა და ამ მეფეს ერთადერთი ქალიშვილი ჰყავს და უკვდება. ვერავინ უშველა და არც მორჩება, თუ არ მოკლეს ის ბაყაყი, რომელიც ქალის ტახტის ქვეშა ზისო.

ბრმამ გაიგონა ქაჯების ნალაპარაკევი.

ქაჯები წავიდნენ. ბრმა ჩამოცოცდა ძირ'., როგორც იქნა, მოძებ-ნა წყალი, ამოიბანა თვალები და მორჩა, აეხილა თვალები.

წავიდა ჭადრის ხის საძებრად და იმასაც მიაგნო. მივიდა იქაურ მეფესთან და მოახსენა: რას მარგებ, იმდენი ფული რომ აღმოვაჩინო, შენს სახელმწიფოში ყველას ეყოსო.

მეფემ უპასუხა: ოღონდ აღმოაჩინე და რამდენიც გენებოს. წაი-ღეო.

წავიდა მართალი კაცი, წაიყვანა მეფის კაცები, მივიდა ჭადართან, მოთხარა, ამოიღო უამრავი ფული და მეფეს მიუტანა. ერთი ჯორკი-დებული თვითონ აიღო და მეფეს მიაბარა.

მართალი კაცი წავიდა მეორე სახელმწიფოში, მივიდა იქაურ მე-ფესთან და მოახსენა: მეფეე, რას მიბოძებ გასამრჯელოდ, ქალი რომ მოგირჩინოო?

მეფე დაჰპირდა: ყველაფერს მოგცემ, რასაც ისურვებ, თუკი ქალს მომირჩენო.

შევიდა მართალი ქალის ოთახში, გამორეკა ყველა გარეთ, მონა-ხა ტახტქვეშ ბაყაყი, მოკლა და ქალიც მორჩა.

გახარებულმა მეფემ უხვად დაასაჩუქრა ეს ექიმი, გამოატანა ჯორკიდებულები და გამოისტუმრა.

მართალმა კაცმა გამოიარა პირველ მეფესთან, გამოართვა მიბა-რებული ფული და წამოვიდა სამშობლოში. დაიწყო მდიდრული ცხოვრება.

გაიგო ცრუმ მართალი ამხანაგის გამდიდრება, მოვიდა და ჰკითხა: რამ გაგამდიდრაო?

მართალმა ყველაფერი სიმართლით უამბო.

ცრუმ იფიქრა: ავშენდი კაციშვილი, თუ ასე ადვილად შეიძლება გამდიდრებაო, წავიდა ტყეში, მონახა ის მსხლის ხე და აცოცდა ზედ. ღამით მოვიდნენ ქაჯები ხის ძირში და დაიწყეს ლაპარაკი. ცრუ სმე-ნად გადაიქცა.

ერთმა ქაჯმა თქვა: ამ ხეზე ცრუ კაცი ზის, ჩამოვიყვან ძირს და ერთს მაგრად მივბეგვავო.

მეორემ თქვა: მე მოვკლავო.

მესამემაც დაუმატა: ეს მოლესილი დანა რად მინდა? მე სულ ნაკუწ-ნაკუწად ვაქცევო.

ქაჯებმა შეასრულეს თავიანთი ნათქვამი: ერთმა ძირს ჩამოიყვა-ნა ცრუ და მიბეგვა, მეორემ მოკლა, მესამემ გალესილი დანით აკუწა.

მეფე და მსახური

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეფე. ძალიან უყვარდა ქეიფი და დროსტარება. ჰყავდა ერთი მსახური, რომელიც ჰკიცხავდა მის ასეთ საქციელს და ხშირად უსაყვედურებდა: მეფეს მთელი ქვეყანა აბარია, იგი მხოლოდ თავისთავის დაკმაყოფილებაზე კი არ უნდა ზრუნავდეს, არამედ ხალხის ბედსა და ავ-კარგზეო.

მეფე მაინც არ იშლიდა თავისას და ცდილობდა, ჭკუის დამრიგებელი მსახური თავიდან მოეშორებია.

ერთხელ მოიხმო მეფემ მსახური თავისთან და უთხრა: სამ კითხვას მოგცემ და სამი დღის ვადას გაძლევ. თუ სამი დღის განმავლობაში სამივე არ ამიხსენი, თავს მოგჭრიო.

— ბრძანეთო, — მიუგო მსახურმა

მეფემ დაიწყო: დალიე მთელი ზღვა; გაიგე, რა მანძილია ცასა და დედამიწას შუა და მითხარი, რას ვფიქრობ მეო.

წამოვიდა დაღონებული მსახური. არ იცის, რა ქნას, დღეს თუ ხვალ სიკვდილი მოელის.

გზაზე ბერიკაცი შეხვდა.

— გამარჯობა შენი, რას ჩაფიქრებულხარ აგრე მწარედო? — ჰკითხა ბერიკაცმა.

— ეჰ, როგორ არ ჩავფიქრდე, დღეს თუ ხვალ სიცოცხლეს უნდა გამოვესალმოო, — მიუგო მსახურმა და თანაც ბერიკაცს ყველაფერი უამბო.

— ნუ გეშინია, მაგ გაჭირვებისაგან მე გიხსნი. შენ მხოლოდ მეფეს ერთი ტომარა ნართი გამოართვი და სხვა მე ვიცი და ჩემმა გამოცდილებამაო, — უთხრა მოხუცმა.

მსახურს ძალიან გაუხარდა და მეფეს ერთი ტომარა ნართი სთხოვა. მეფემაც მისცა.

მოხუცმა ჩაიცვა მსახურის ტანისამოსი, ნართიანი ტომარა ზურგზე წამოიკიდა და ასე ამგვარად მეფესთან მივიდა.

— რა ჰქენი, ახსენი ჩემი კითხვები? — დაეკითხა მისვლისთანავე მეფე მოხუცს, რომელიც მას მართლა თავისი მსახური ეგონა.

— კი, შენი ჭირიმე, ავხსენი!

— დალიე ზღვა?

— დავლევ, ბატონო, თუ შეაჩერებ ყველა იმაში შემავალ მდინარეს და შიგ აღარ ჩაუშვებო.

მეფემ გაოცებით შეხედა.

— გაიგე, რა მანძილია ცასა და დედამიწას შუა?

— გავიგე, ბატონო, აგერ ზომაც მოგიტანეთ, აი, ეს ნართი. თუ არა გჯერათ, თქვენ თვითონ გაზომეთ და დარწმუნდებით, რომ მართალს ვამბობო, — მიუგო მოხუცმა.

— კარგი, ვთქვათ, ეს ასეა, ახლა მითხარი, მე რასა ვფიქრობო?

— თქვენ, ბატონო, ახლა იმას ფიქრობთ, თითქოს თქვენ წინაშე მსახური იდგეს, მაგრამ მოტყუებული ბრძანდებითო.

ამ სიტყვებთან ერთად მოხუცმა მსახურის ტანისამოსი გაიხადა.

მეფე მიხვდა, რომ მოტყუვდა, შერცხვა, გაწითლდა და მსახური კიდევ უფრო შეიყვარა.

ღარიბი კაცი და სოვდაგარი

იყო ძალიან ღარიბი კაცი, ჰყავდა ძალიან ლამაზი ცოლი და ორი ვაჟი.

ქვეყანაზე არაფერი არა გააჩნდათ რა.

კაცი დღეში თითო გუდურა შეშას მოჭრიდა, გაყიდდა და ასე იოლად მიდიოდნენ.

ერთხელ ცოლმა უთხრა: კაცო, შვილები წამოგვეზარდნენ, ტყეში დავსახლდეთ, ჩვენც ხელს წაგახმარებთ, შეშის მოჭრას გიშველითო.

კაცმა მოიწონა ცოლის რჩევა. ჩადგეს ქოხი ტყის პირში და დასახლდნენ.

კაცი სანამ ერთ გუდურა შეშას გაყიდდა, მეორე გუდურაც მზად იყო. ცოტა უკეთ დაიწყეს ცხოვრება.

ერთ საღამოს სოვდაგარი დასაპალნებული ჯორ-აქლემებით ტყის ახლო მინდორში ღამის გასათევად დაბინავდა. მოჰკრა თვალი ქალს, მოეწონა. თქვა: ეს ქალი უნდა მოვიტაცოო.

ღამე რომ კარგად გატყდა, ბიჭი მიგზავნა ქოხში: ქალს მუცელი გვიტკივა და თუ მანდილოსანი გყავთ, ღვთის გულისთვის მოხედოსო.

ქალი არ მიდიოდა, არ გვატყუებდნენო. ქმარმა გაგზავნა: რად მოგვატყუებენ, რა ჯავრი უნდა სჭირდეთ ჩვენიო.

სოვდაგარმა მაშინვე ჩასვა ქალი ყუთში. დაკეტა, წამოჰკიდა აქლემს და არხეინად გაემგზავრნენ.

დილით ქალი რომ აღარ დაბრუნდა შინ, ქმარი ხან აქეთ ეცა,

ხან იქით. ასავალ-დასავალი ვერ გაიგო. დამწუხრებულმა მოჰკიდა შვილებს ხელი და წავიდა უგზო-უკვლოდ. მიადგა ერთ მდინარეს. წყალი დიდი იყო. იფიქრა: ჯერ ერთს გავიყვან, მერე — მეორესაო.

უფროსი შვილი ნაპირზე დატოვა, უმცროსი აიყვანა ხელში და შევიდა წყალში. კაცი ფიქრებში წავიდა, გაეშვა ხელი და ბავშვი წყალში ჩაუვარდა. სდია, სდია, მაგრამ ვერ დაიჭირა ბავშვი.

გამობრუნდა: ეს ხელიდან წამივიდა, ის მაინც გამოვიყვანო მშვიდობითაო.

მიატანა ნაპირს. უცებ მგელი გამოვარდა საიდანღაც, დაავლო ბავშვს პირი და გაიტაცა. დაიწყო კაცმა თავში ცემა, ტირილი: ვაიმე. ცოლო, ვაიმე, სიღარიბეში გაზრდილო შვილებო, მოგიკვდეთ მამაო!

წავიდა იქიდან და მიადგა დუქანს. მედუქნეს ჰკითხა: მოჯამაგირე ხომ არ გინდა, დამაყენეო.

მედუქნემ უთხრა: გოდრის დაწვნა თუ იცი, დაგაყენებო.

კაცმა უთხრა: შე დალოცვილო, სოფლელ კაცს გოდრის დაწვნა როგორ არ მეცოდინებაო?

— მაშ. შენი სიგრძე დაწანიო, — უთხრა მედუქნემ.

დაწნა კაცმა გოდორი. მედუქნემ უთხრა: აბა, ჩაჯექი, როგორ მოგივაო.

კაცი ჩახტა. მედუქნემ სწრაფად გადაუხლართა თავი და წამოიკიდა ზურგზე, სირბილით აიტანა მთის წვერზე. იმ მთის წვერზე არწივი ბუდობდა და ვინც ადამიანს მოუყვანდა, სასყიდელს კარგს აძლევდა.

მედუქნემ დადგა გოდორი და უთხრა: იცოდე, თუ გაჩერდები, არწივი შეგჭამს, თუ გაანძრევ გოდორს, დაგორდება და ადიდებულ წყალში ჩავარდებიო.

კაცმა იფიქრა: არწივის შეჭმას სჯობს, წყალში დავიხრჩოო. შეინძრა, დაგორდა გოდორი, კაცი შიგ ხელებს აფათურებდა, ცდილობდა გოდორი როგორმე დაემტვრია. გოდორი ოღრო-ჩოღრო ქვაგორახებზე იმტვრეოდა, დაიშალა და გამოვიდა.

— ეჰ, ამ სიალალმართლემაც კეთილი არ დამაყარაო.

შეხვდა მისებრ საწყალი კაცი. ტანისამოსი გაუცვალა, წვერი მოიპარსა, კვლავ მივიდა მედუქნესთან და ჰკითხა: მოჯამაგირედ მინდა დავდგე და ხომ არ დამიყენებო?

— დაგიყენებ, თუ კალათის დაწვნა იციო, — უთხრა მედუქნემ.

— როგორი კალათიც გნებავდეს, დავწნავო, — მიუგო კაცმა.

— მაშ, შენი სიგრძე გოდორი დაწანიო, — უთხრა მედუქნემ.

გოდრის დაწვნა რომ გაათავა, მედუქნემ უთხრა: აბა, ჩაჯექი. როგორ მოთავსდებიო.

— ჯერ შენ ჩაჯექი, დაგინახო, რომ მეც ისე ჩავჯდეო.

ჩაჯდა მედუქნე. კაცმა გადაუხლართა თავი, წამოიკიდა. სულ სირბილით აიტანა მთის წვერზე, დატოვა იქ და არხეინად ჩამოვიდა. დაიწყო დუქანში ვაჭრობა.

ერთხელ ორი ვაჟი მივიდა მედუქნესთან და სთხოვა: ბიჭებად აგვიყვანეო. მედუქნემ აიყვანა.

ერთ დილით ერთი სოვდაგარი მივიდა დუქანში, მოითხოვა სასმელ-საჭმელი და ბიჭები. დუქნის ახლოს ჩამოხადა ჯორ-აქლემებს საპალნე, ბიჭები დაუყენა და თვითონ დუქანში შევიდა დასასვენებლად.

ბიჭები ჩამოსხდნენ ერთ ყუთზე. თქვეს: ერთადა ვართ ამდენი ხანია და ჯერ არა ვიცით რა ერთმანეთისა, ვინა ვართ, სადაურები ვართო.

ერთმა დაიწყო თავისი თავგადასავალი: — მამაჩემი ძალიან ღატაკი იყო. დღეში თითო გუდურა შეშის ფასით გვაცხოვრებდა ცოლ-შვილს, ორი ვაჟი ვყავდით, ჩვენ რომ წამოვიზარდეთ, დედა-ჩვენმა უთხრა მამაჩვენს: ტყეში დავსახლდეთ, ჩვენც მოგეხმარებით შეშა-ფიჩხის მოჭრაშიო. ავაშენეთ ქოხი. ტყის ნაპირას დავდექით. დღეში თითო გუდურა შეშას თითოს კიდევ ვუმატებდით და წინათ თუ ნახევარზე მშივრები ვიყავით, ახლა მუცელს ვიძღებდითო.

ერთ საღამოს ვიღაც მგზავრები დადგნენ ჩვენი ქოხის შორიახლოს. შუაღამისას დედაჩვენი წაიყვანეს: ქალს მუცელი გვიტკივა და უშველეო. ის იყო და ის, დაიკარგა, სად წაიყვანეს და სად არა, ვეღარა გავიგეთ რა. მამაჩემი ვეღარ დადგა სახლში, ჩაგვკიდა ხელი შვილებს და წაგვიყვანა.

ერთგან წყალი დაგვხვდა გასასვლელი. ჩემი უფროსი ძმა ნაპირზე დასვა: ორივეს ერთად ვერ გაგიყვანთო. მე ამიყვანა, ჯერ მე უნდა გავეყვანე, მერე ჩემი ძმა. მამაჩემს ხელი გაეშვა, წყალში ჩავუვარდი. მდია, მაგრამ ვეღარ მომეწია.

მატარა, მატარა წყალმა და წისქვილის სათავესთან მიმიყვანა. მეწისქვილემ ამომიყვანა, აქამდის მასთან ვიყავი, ახლა ამ მედუქნესთან დავდექი.

მეორე ბიჭი გადაეხვია: მე ვარ შენი ძმა, მგელმა რომ მომიტაცა. მონადირემ გამოგლიჯა მგელს ჩემი თავი და აი, როგორც ხედავ, მეც მედუქნესთან დავდექიო.

ყუთიდან ხმა მოისმა: თქვენ გენაცვალოთ, შვილებო, დედა, ჩქარა ამომიყვანეთო.

ბიჭებმა ყუთს მტვრევა დაუწყეს. სოვდაგარს შეესმა რახუნი, მტვრევა და გამოვარდა. მედუქნეც გამოჰყვა. დაუწყეს ლანძღვა ბიჭებს. ბიჭებმა უთხრეს: დედაჩვენი ზის ყუთშიო.

იცნო მედუქნემ, რომ მისი ცოლი იყო, შვილებიც გამოეცნაურნენ მამას, უამბეს თავიანთი თავგადასავალი.

მოეხვივნენ ერთმანეთს.

სოვდაგარი გაიპარა და იმისი ამოდენა სიმდიდრე, ფარჩეულობა, ჯორ-აქლემები სულ მათ დარჩათ და დაიწყეს ტკბილი, ბედნიერი ცხოვრება.

შრომის ყადრი

ერთ კარგ მეურნე გლეხთან ორი გლეხი მივიდა.

— რა გნებავთ, რისთვის მოსულხართ? — ჰკითხა მასპინძელმა.

პირველმა გლეხმა უთხრა:

— ერთი დოქი ღვინო უნდა მასესხო.

— ვენახი გაქვს? — შეეკითხა მასპინძელი.

— დიახ, მაქვს, მხოლოდ შემოუღობავი.

— წადი, შემოღობე და მერე გასესხებ.

შემდეგ მეორე გლეხს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— შენ რაღა გინდა?

— მეც ერთ დოქ ღვინოზე ვარ მოსული, მაგრამ უკან რომ მივდიოდე ის დროა: იმ გლეხს ვენახი ჰქონდა და არ ასესხე, მე როგორღა მასესხებ, როცა საკენახე მხოლოდ შემოღობილი მაქვს და ვაზი ჯერ არ ჩამიყრია.

— შენ გასესხებ, რადგან შრომის ყადრი გცოდნია, — უპასუხა მასპინძელმა, — ჯერ უნდა შემოღობო და ვაზი შემდეგ უნდა ჩაყარო. შენი ვენახი უფრო მალე გამოიღებს ნაყოფს, ვიდრე იმისიო!

მრუდე სამართალი

ერთ მოსამართლესთან ორი კაცი მივიდა საქმის გასარჩევად. ისინი ერთმანეთს ედავებოდნენ.

მომჩივანმა მოსამართლეს ერბოთი სავსე დიდი ქილა მიართვა, ხოლო მოპასუხემ სიმსუქნისაგან ათქვირებული ვეებერთელა ტახი მიიყვანა და მოსამართლეს ეზოში დაუბა.

მოსამართლემ დინჯად. დამშვიდებით მოისმინა ამ ორივე კაცის ურთიერთბრალდება, რის შემდეგაც ტახის პატრონი გაამართლა, ხოლო ერბოიანი ქილის პატრონი გაამტყუნა.

ერბოს პატრონს ძალიან ეწყინა მოსამართლის უსამართლო საქციელი და იმავე ღამეს შინ ეწვია. შევიდა თუ არა მოსამართლესთან, მაშინვე ბრაზიანად უსაყვედურა: კაცო, არა გრცხვენია, რისთვის გამამტყუნე, განა მაგიტომ მოგიტანე იმხელა ერბოიანი ქილაო!

— აბა, რა ვქნა, ძმაო, შენს ერბოიან ქილას ტახმა ეშვი ამოჰკრა და გატეხაო, — მიუგო მოსამართლემ.

მზე და წვიმა

ერთ გლეხკაცს ორი ქალიშვილი ჰყავდა. ერთი მხვნელ-მთესველს მისცა ცოლად, მეორე — თიხის ჭურჭლის ოსტატს.

გავიდა ხანი და ცოლმა უთხრა გლეხს: წადი, ნახე, შენი შვილები როგორ ცხოვრობენ, რა უჭირთ და რა ულხინთო.

გლეხი მართლაც წავიდა. მიადგა მხვნელ-მთესველი სიძის კარს. მოიკითხეს ერთმანეთი. გლეხმა ჰკითხა სიძეს: შენს მოსავალს რა პირი უჩანსო?

— აბა, რა გითხრა, თუ ამ ერთ კვირაში წვიმა არ მოვიდა, სულ დავიღუპებიო.

გლეხი ახლა მეორე სიძესთან მივიდა. იმასაც ჰკითხა: როგორ არის შენი საქმე, ჭურჭელი ბლომად გაგიკეთებია, ხომ მაგრად შეხვდები ამ ზამთარსო?

— აბა, რა გითხრა, — უპასუხა სიძემ, — თუ ამ ერთ კვირაში სულ მზიანი დღეები იქნება, კარგა გამოვაშრობ ჭურჭელს, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. და თუ წვიმა გატყვრა, დავიღუპებიო.

დაბრუნდა გლეხი სახლში. ცოლმა ჰკითხა: როგორ არიან ჩვენი შვილებიო?

— ამ ერთ კვირაში ან ერთი დაგვეღუპება, ან მეორეო, — უპასუხა გლეხმა.

პატარძალი

იყო ერთი ცოლ-ქმარი და ჰყავდა ერთი ვაჟი. სამივენი მუყაითი მშრომელები იყვნენ. გათენებიდან დაღამებამდე ვენახში მუშაობდნენ. ოჯახის მომვლელი და ვახშმის გამკეთებელი არავინ ჰყავდათ. გადაწყვიტეს — ვაჟი დავაქორწინოთ, ვაჟსაც გავახარებთ და ოჯახის მომელელსაც ვიშოვნითო.

ასეც მოიქცნენ. მოიყვანეს პატარძალი, მაგრამ ძალიან უსაქმური გამოდგა. დილით ადგებოდა თუ არა, შეჭამდა, რაც დაუხვდებოდა, მერე მეზობლის კარზე ჩამოჯდებოდა და ლაპარაკსა და მზესუმზირას კნაწუნში ატარებდა დღეს.

საღამოს დაღლილი დედამთილი შეუდგებოდა ვახშმის მზადებას და სახლის მოვლას. შეწუხდა ცოლ-ქმარი. გადაწყვიტეს: საღამოს ერთმანეთს შევეცილოთ საქმეში, შერცხვება პატარძალს და ის გააკეთებსო. პირში თქმა ვერ გაუბედეს—ცოლ-ქმარში უსიამოვნება არ ჩამოვაგდოთო.

ერთ საღამოს დაღლილმა დედაკაცმა კოკას დაავლო ხელი: წავალ, წყალს მოვიტან, წვეთი არ გვიდგა ყელამომხმარ ხალხსაო.

კაცმა წაატანა კოკას ხელი: რას ამბობ, დედაკაცო, დღეს მთელი დღე მუშაობდი და ახლა წყლის მოტანა შეგიძლიაო?

დედაკაცმა მაინც არ დაანება: შენ კი რა, მხართეძოზე იყავ წამოწოლილი? მთელი დღე თოხმა მოგკლა, ახლა კოკას მოგცემ ხელშიო?

პატარძალი, რომელიც აქამდე ქმართან ლაზღანდარობაში იყო გართული, მოუბრუნდა დედამთილ-მამამთილს და უთხრა: რა გაჩხუბებთ, ხალხო, ჯერ ერთმა მოიტანეთ წყალი და მერე მეორემო.

ბატონი და ყმა გლეხი

ერთხელ ბატონი საეკლესიო დღესასწაულზე სანადიმოდ წავიდა, თან შინაყმა გლეხი გაიყოლა.

მიდიოდნენ ცხენებით, ზედ ხურჯინებით ეკიდათ ხორაგი, პური და ღვინო. მდინარე უნდა გადაეცლოთ. ხიდი შორს იყო. ბატონი წინ მიდიოდა. მან ხიდისაკენ მიმავალ გზას გადაუხვია და მდინარის პირდაპირ გადალახვა მოიწადინა.

ყმამ უთხრა: ბატონო, შენი ჭირიმე, გაზაფხულია, წყალი ადიდებულია, საშიში არის, ხიდზე მოვუაროთო.

ბატონმა უთხრა: ბრიყვო, სულელო, სანამდე ხიდზე მოვუვლიდეთ, მე ცხენის ჯირითიც დამთავრებული მექნება, ქეიფობაც და ლეკვა-ჭიდაობაც.

ყმა გაჩუმდა. მიადგნენ მდინარეს. ბატონმა ადიდებული მდინარე რომ დაინახა, ცოტა შეკრთა, ცხენი შეაჩერა და ყმას მიმართა:

— მოდი, ბიჭო, წინ შენ წადიო!

ყმამ ცხენი შეაჩერა, ხელები გაასავსავა და ბატონს მორიდებით მიმართა: რას ბრძანებთ, ჩემო ბატონო, ღმერთმა ნუ მომასწროს იმ დღეს, რომ ბატონზე წინ ფეხი გადავდგაო!

ბატონმა ყმის ეს თავაზიანი შენიშვნა მიიღო; ცხენს მათრახი შემოჰკრა და მდინარეში შეაგდო. აზვირთებულმა მდინარემ ცხენიც და ბატონიც მაშინვე ყირამალა ამოატრიალა. ერთი-ორი გადატრიალების შემდეგ მდინარემ ბატონი და ცხენი ერთმანეთს დააცილა და ჩაძირა.

ყმამ ხელი ჩაიქნია და მიაძახა ბატონს: გეზარებოდა ხიდზე მოვლა და იარე, სანამ არ მოგეწყინებოდეს; ხურჯინში ღვინო და პური ბევრი გაქვს და წყალიც არ შემოგაკლდება, მშვიდობით მგზავრობა გქონდესო! — და შინისკენ გაბრუნდა.

ჯეელი მოსამართლე და მისი ცოლი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ჯეელი მოსამართლე, ხალხის საყვარელი კაცი.

ცოლი უნდა შეერთო. თქვა: ისეთი ქალი უნდა ვითხოვო, ჩემს საქმეში არ ჩაერიოსო.

მოეწონა ერთი ღარიბი კაცის ქალი. უთხრა: — გითხოვ, თუ ჩემ საქმეში არ ჩაერევიო!

ქალი დათანხმდა. დაქორწინდნენ. ცხრა დღე და ღამე იყო მათი ქორწილი. მოსამართლე საქმეზე დადიოდა, ქალი ოჯახს უვლიდა.

ერთხელ ამ სოფელში მეურმეები გაჩერდნენ. შორი გზიდან მოდიოდნენ და იქ დაუღამდათ. ცოტა ხნის შემდეგ მათთან ცხენოსანი კაცი მივიდა და სთხოვა: კეთილო ადამიანებო, ნება დამრთეთ, მეც აქ, თქვენთან ერთად, გავათიო ღამეო!

— მობრძანდი, დაისვენე, პური ჭამე. დარჩიო! —უპასუხეს მეურმეებმა.

ცხენოსანიც ჩამოხტა. პური ჭამეს, დაწვნენ და დაიძინეს. დილით ნახეს, რომ ცხენს კვიცი მოეგო და ურმის ქვეშ იწვა. მეურმეებმა თქვეს: ეს კვიცი ურემმა მოიგოო!

— არა, კაცო, ჩემმა ცხენმა მოიგოო! — უთხრა მგზავრმა.

ვერ მორიგდნენ. ჩხუბი მოუვიდათ. წავიდნენ მოსამართლესთან და დაუძახეს. ცოლი გამოვიდა, მოსამართლე შინ არ იყო.

— რა გაგჭირვებიათ, რაზე ჩხუბობთო?

— ესე და ესეა საქმე, ჩვენმა ურემმა კვიცი მოიგო, ეგ კაცი კი გვედავება, ჩემმა ცხენმა მოიგოო! — შესჩივლეს მეურმეებმა.

ქალმა ხმა არ გასცა, მოტრიალდა და შინ შევიდა. გვიან გამოიხედა. მოთმინებადაკარგულმა მეურმეებმა უთხრეს: სად ხარ აქამდის, ხმა რატომ არ გაგვეცი, გვეჩქარებაო!

— ჩემი სახლის უკან მდინარეს ცეცხლი წაჰკიდებია, გავიქეცი, ფიჩხი დავაყარე, ცეცხლი ჩავაქრე და აი, ეს არის მოვედიო! — უპასუხა ქალმა.

მეურმეებმა გაიკვირვეს: აბა, ქალო, რას ამბობ, წყალს ცეცხლი როგორ მოეკიდებოდაო?!

— წყალს თუ ცეცხლი არ მოეკიდებოდა, ვერც ურემი მოიგებდა კვიცსა, ეს კვიცი ცხენისაა და არა ურმისაო! — უთხრა მათ ქალმა და შინ შევიდა.

მეურმეები გაწბილდნენ. სად იყო, სად არა, ამ დროს მოსამართლეც მოვიდა, ცოლს ჰკითხა: ვინ იყვნენ ისინი, რას ელაპარაკებოდიო?

ცოლმა ყველაფერი უამბო.

მოსამართლე გაბრაზდა და ცოლს უთხრა:

— შენ პირობა დაგირღვევია, ჩემ საქმეში ჩარეულხარ, უნდა გავიყაროთ, ახლავე ადექ, წაიღე, რაც ყველაზე უფრო მოგწონს ჩემ ოჯახში, შეაბი ურემი და სახლიდან წადიო.

ქალი რაღას ეტყოდა, პირობა პირობა იყო!

— რახან ასეა, წავალ, ოღონდ გასაყრელი პური მაინც ვჭამოთ ერთადო.

— კარგი, ვჭამოთო! — დაეთანხმა მოსამართლეც.

დასხდნენ პურის საჭმელად. ცოლმა დააძალა კაცს ღვინო და დაათრო, მოსამართლეს ჩაეძინა. ქალმა შეაბა ურემი, ქმარი ზედ დააწვინა, თბილი საბანი დაახურა და ხარებს შოლტი გადაჰკრა.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, შევიდნენ ერთ გაუვალ ტყეში.

შთვრალ მოსამართლეს გამოეღვიძა. გონს რომ მოვიდა, შეეშინდა:

—ქალო, ეგ რა გიქნია, სად მიგყავარ?

— ხომ მითხარი, რაც ყველაზე უფრო მოგწონს, წაიღე და წადიო, მეც შენს ოჯახში შენს მეტი არაფერი მომწონდა და, აი, წაშოგიყვანეო!

მოსამართლეს შერცხვა და ურემი შინისაკენ მოაბრუნა. ცოლიც შინ წამოიყვანა და რჩევასაც ხშირად ისმენდა მისგან.

პირი იქა, ლხინი აქა.

მოჩხუბარი დედაბერი და ჭკვიანი პატარძალი

ერთ სოფელში ცხოვრობდა ორი დედაბერი. ერთი მდინარის გაღმა ესახლა, მეორე — გამოღმა. შორს იყო გავარდნილი მათი სიავის ხმა. გათენდებოდა თუ არა, ორივე გამოვიდოდა წყლის სანაპიროს და გვიან საღამომდე აღარა წყდებოდა მათი ჩხუბისა და დავიდარაბის ხმა. რაზე ჰქონდათ გაუთავებელი დავა? რა ჰქონდათ სადაო და გასაყოფი, არავინ იცოდა. ზნე სჭირდათ ისეთი და იმით იკლავდნენ ერთმანეთს.

ერთმა მათგანმა ოჯახში პატარძალი მიიყვანა. მთელ სოფელს გაუხარდა. ამბობდნენ: ალბათ, ახლა კი მოვისვენებთო.

დედამთილმა მხოლოდ ქორწილის დღეს შეიკავა თავი. მეორე დღეს კი გავიდა წყლის სანაპიროს და უფრო მეტი სიკაპასით ეკვეთნენ ერთმანეთს.

ერთ დღეს ჩხუბით შებეზრებულმა პატარძალმა დედამთილს სთხოვა: ნება მომეცი, ხვალ მე გავიდე მდინარესთანაო.

— რას ამბობ, ქალო! იმ აშართან მე ვერაფერი გამიწყვია და შენ რას გახდები?! — უგემურად უპასუხა ოჯახის თავდედაკაცმა.

— დედი, ოღონდ გამიშვი და სიტყვას გაძლევ, რომ ხმას არ გავცემ!

დედამთილმა ნება დართო.

პატარძალი მივიდა მდინარესთან და გამოღმა, დედაბრის პირდაპირ მუნჯივით დადგა.

— უყურეთ, უყურეთ იმ ვირზე ნაჯდომს, იმას! ხმასაც რომ არა მცემს! მოიცადე, ახლავე მანდ გამოგივარდები და სულ თმით გათრევ! — გადაირია გაღმელი დედაბერი.

გაასპიტებულმა კაბა მუხლებამდე აიკეცა და მდინარეში შეტოპა. ის იყო. შუაგულში მივიდა, რომ სიპ ქვაზე ფეხი გაუცურდა და წელუკუღმა გადავარდა.

დაიხახა თუ არა პატარძალმა, შეებრალა, საშველად ხალხსაც კი არ დაუძახა: ცოდოა, უფრო ქვეყანა შეეყრებაო, და თვითონ შეიჭრა მდინარეში. ფეხზე წამოაყენა დედაბერი, ხელი მკლავში გაუყარა და გალმა გაიყვანა, დასვა ქვაზე, გაუსწორა გაწეწილი თმა, მოახვია გადაგდებული მოსახვევი.

დედაბერი ერთ ხანს დუმდა, ძერე კი ცრემლმორეული თვალებით თავის მხსნელს შეხედა და მწარედ აქვითინდა. ძლივს ლუღლუღებდა.

მალე მთელმა სოფელმა შეიტყო ეს ამბავი. ყველა ქებით იხსენიებდა ჭკვიან და კეთილ პატარძალს.

იმ დღიდან აღარავის გაუგონია ავი დედაბრის ჩხუბის ხმა.

ბედნიერი კაცი

ერთი მეფე ავად გახდა. დაახვიეს ექიმები, მაგრამ ვერაფერი უშველეს. ბოლოს, განთქმული მკითხავი მოიყვანეს. მკითხავმა თქვა: თუ ბედნიერი კაცის პერანგს უშოვით, მორჩებაო!

დადიან, ეძებენ ბედნიერ კაცს. მთელი სამეფო შემოიარეს, ვერ ნახეს. სადღაც შეხვდნენ ერთ გლეხკაცს, ხის ძირში რომ იდგა და ამბობდა: ახლა კი ვარ ბედნიერიო.

ეცნენ, მოსთხოვეს პერანგი.

— პერანგი სადა მაქვსო.

— აბა, რით ხარ ბედნიერი, შე ქესატოო?

— სათოხარი მქონდა, მოვათავე და ბედნიერად ვთვლი თავსაო.

ოქრუა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მდიდარი კაცი, რომელსაც ერთი ვაჟიშვილის მეტი არავინ ჰყავდა. მამა დღე და ღამე იმის ცდაში იყო, რომ შვილისათვის ბლომად სიმდიდრე დაეტოვებინა.

შვილი წამოიზარდა, გადააბიჯა ოც წელიწადს თუ არა, გაიჩინა

ძმაკაცები და ქეიფს მიჰყო ხელი. მამა ძალიან წუხდა, დარიგებაც ბევრჯერ მისცა, მაგრამ შვილი მაინც თავისას არ იშლიდა.

ერთხელ მამა ძლიერ ავად გახდა. სიკვდილის პირს მიეწურა. დაიბარა შვილი და უთხრა: შვილო ოქრუა! მე ვკვდები და მსურს ანდერძი დაგიბაროო.

— გაძლევ მაღლა ღმერთს და ძირს დედამიწას, შენი ანდერძი არ დავარღვიო და შევასრულოო, — უთხრა ოქრუამ.

— მაშ, კარგი, შვილო, ოთხ რამესა გთხოვ:

პირველი: რაგინდ ძლიერ საშური საქმე გქონდეს. ზარების რეკა რომ გაიგონო, გადაუხვიე, მიდი საყდარზე. ღმერთი ილოცე, ხალხს გამოელაპარაკე და ისე წადი შენ გზაზეო.

მეორე: ძმაკაცებს უფრთხილდი. გზაზე რომ მიდიოდე და შეჩერდე, თუ ამხანაგმა არ შეგიცადა, ის სანდო არ არის და მოერიდე. სანამ კაცი მგზავრობასა და საქმეში არ გამოიცნო, მეგობრად ნუ გაიხდიო.

მესამე: ქალს ყოველივე შენს საიდუმლოს ნუ ეტყვიო.

მეოთხე: თუ ვინიცობაა, ძალიან გაგიჭირდეს ცხოვრება, სასოწარკვეთილებამ დაგძლიოს და თავი სასიკვდილოდ გაიმეტო, მაშინ სხვენზე რომ თავკაკვია მიჭედილი, იმაზე ჩამოიხრჩვე თავიო.

შვილმა პირობა მისცა, ყოველივე ნაანდერძევს შევასრულებო.

კარგა ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ოქრუას მამა. ოქრუამ, როგორც რიგი იყო, ისე გაასვენა, ყოველივე რიგი და წესი შეუსრულა მიცვალებულ მამას, გლოვობდა. გარშემოხვეულმა ძმაკაცებმა მაინც არ მოასვენეს, შავი თითქმის ძალათი შემოახიეს ტანზე და გულჯავრის გადასაყრელად საქეიფოდ გაიტაცეს.

სანამ ოქრუას ქონება და შეძლება ჰქონდა, გამუდმებით ქეიფობდა. მამის სიკვდილის ოთხი-ხუთი წლის შემდეგ თანდათან შემოაკლდა ქონება და, ბოლოს, მთლად გაღარიბდა, ძმაკაცებიც ჩამოშორდნენ. გზაში რომ შეხვდებოდნენ ოქრუას ძმაკაცები, პირს მოარიდებდნენ და გამარჯვებასაც აღარ ეუბნებოდნენ.

ოქრუა დარწმუნდა, რომ ყველა ძმაკაცი მხოლოდ სიმდიდრე-ქონების მეგობარი ყოფილა — მისი კი მტერი და დამღუპველი. დარწმუნდა, მაგრამ გვიანღა იყო, მაშინ გასაფრთხილებელიც აღარა ჰქონდა-რა.

იგი ნახევარჯერ მშიერი დადიოდა და ლუკმის მიმწოდებელი არავინ ჰყავდა.

ერთხელ სხვაგან წავიდა და გზაში საქეიფო ბაღებთან ჩაიარა, დაინახა, რომ ერთ ბაღში ყველა მის ძველ ძმაკაცს მოუყრია თავი

და გახურებულ ქეიფში არიან. ოქრუას არ მოუთმინა გულმა და მოინდომა მათთან შესვლა. მებაღემ კარებში არ შეუშვა: შენისთანა დახეულ-დაგლეჯილს აქ რა უნდაო. ღობეზე გადახტა და მივიდა მათთან. მოქეიფეებმა არ მიიღეს: საიდან მოთრეულხარ, გასწი, დაიკარგე აქედანაო!

— ხალხო! მე თქვენი ძმაკაცი და მეგობარი ოქრუა არა ვარ? მთელი ჩემი ცხოვრება თქვენ შეგაჯამეთ და ახლა ვეღარა მცნობთ, რომ გავღარიბდიო?

— რას როტავ, ვინ ოქრუა, რა ოქრუა! აქედან გაეთერი, თორემ სულ კინწისკვრითა და პანღურით გაგაგდებთო.

ამ ლაპარაკსა და დავიდარაბაში ძაღლს ცეცხლზე დაფიცხებული მწვადი მოეტაცა, სტაცეს ხელი ოქრუას, მისწი-მოსწიეს: თქვი, მწვადი რომ მოიპარე, სად წაიღეო!

— არა, ღმერთი, რჯული, მწვადი არ მომიპარავს, მე დავინახე, რომ ერთი ყურშა ძაღლი მიარბენინებდა შამფურიან მწვადსაო.

— რას ყბედობ! შამფურიან ცხელ მწვადს ძაღლი როგორ წაიღებდაო, — და საწყალი ოქრუა, სულ კინწისკვრით გამოაგდეს ბაღიდან.

გალახული და შეურაცხყოფილი ოქრუა საშინლად დაღონებული მიდიოდა შინისაკენ. თვალცრემლიანი და სრულიად სასოწარკვეთილი ამბობდა: ავიკიდე ამოდენა ძმაკაცები, მთელი მამიჩემის დანატოვარი სიმდიდრე ამ ოხერ ხალხს შევაჭამე; ესენი კი დღეს, მადლობისა და სამაგიეროს გადახდის ნაცვლად, აღარც კი მცნობენ, მცემენ და შეურაცხყოფასაც კი მაყენებენო. მამაჩემის ანდერძიც დავარღვიე და მისი საფლავიც შეურაცხვყავი, ამის შემდეგ მე სასიცოცხლო პირი აღარა მაქვს და სიკვდილი ჩემთვის ერთადერთი მკურნალიაო.

გადაწყვიტა ოქრუამ თავის მოკვლა. მივიდა სახლში, შეხედა სხვენში თავკაკვს და თქვა: ამ ერთ ანდერძს მაინც შევუსრულებ მამაჩემსაო. მიიდგა საფეხური, ჩამოაბა თოკი, გაუყარა მარყუჟში თავი და გამოიცალა ფეხებიდგან საფეხური: ჩანგალი მოძვრა და თან ჩამოჰყვა ნახევარი ადლი ალიზით გალესილი სხვენი. ოქრუა დაეცა ძირს და თავზე რამდენიმე პეშვი ოქრო დააცვივდა.

განსვენებულ მამას წინდაწინვე ეგრძნო, რომ შვილი ქონებას გაფლანგავდა და ამ გაჭირვების დღემდის მივიდოდა. ალიზით გალესილ სხვენში ოქროები ჩაეფლა და ზედ ჩანგალი მიემაგრებინა.

ოქრუამ ილოცა. კეთილი მამის სული და თაყვანი სცა მის საფლავს, ამის შემდეგ ოქრუამ ზოგიერთი გაყიდული და გაფლანგული

მამულიც დაიბრუნა, შეირთო ცოლი და ცხოვრობდა თავისთვის ბედნიერად.

ძმაკაცებმა გაიგეს თუ არა ოქრუას ქონება შეუძენიაო, ისევ დაუწყეს ძებნა. ცდილობდნენ ისევ დამეგობრებოდნენ.

ერთხელ ოქრუამ დაპატიჟა ყველა თავისი ძველი ძმაკაცი და გაუმართა კარგი სადილი. ოქრუას ყველა წარბში შეჰყურებდა და რასაც იგი იტყოდა, ყველა იქ მყოფი მოწიწებით ემოწმებოდა. ოქრუამ დაიწყო:

— იცით, რა საკვირველი და განსაცვიფრებელი ამბავი მომივიდაო?

— რა, ბატონო, შენი ჭირიმეო? — მოესმა აქეთ-იქიდან ხმები.

— ერთი სავსე სარდაფი რკინა მთლად თაგვებმა დამიხრეს და შემიჭამესო.

ყველანი დაემოწმნენ: ადვილი შესაძლებელია, ბატონო ოქრუა. აბა, რა არის გასაკვირველი. თაგვები არა თუ რკინას, თუჯსაც კი ადვილად გამოხრავენ და შეჭამენო.

— მაშ თუ აგრეა, რომ ერთ სარდაფ რკინასა და თუჯს შეჭამენ თაგვები, თქვე ღორმუცელა მლიქვნელებო. ერთ მწვადს ვერ მოიტაცებდა და შეჭამდა ძაღლი?! ადექით დაიკარგეთ ჩემი სახლიდან, თქვენი ფეხი ჩემმა კარმიდამომ აღარ ნახოსო.

გარეკა გარეთ მთელი ძმაკაცები. ჩამოშორდა სამუდამოდ იმათ ბრბოს და ცხოვრობდა ბედნიერად თავისი ცოლ-შვილით.

ერთხელ ოქრუა გაემგზავრა ორი დღის სავალზე. ისეთი საჩქარო საქმე ჰქონდა, რომ ერთი წამით შეჩერებაც არ შეეძლო გზაში. დილას წირვის დროზე გაჩქარებული რომ მიაგელვებდა თავის ლურჯას, ზარების რეკა გაიგონა. მოაგონდა მამის ანდერძი, მაშინვე გადაუხვია, ცხენი გალავნის გარეთ დაბა, თვითონ შეეიდა საყდარში და გულმხურვალედ ლოცულობდა წირვის გამოსვლამდის. წირვის შემდეგ გამოელაპარაკა ზოგიერთებს. გამოკითხა გზის ვითარებაც, რომელიც უნდა იმ ღამეს გაევლო. გაიგო, რომ ადიდებულ მდინარეს ხიდები მთლად დაუხვეტია და სანაპირო ჩასავალი გზებიც ისე არის დახრამული, რომ არა თუ ღამით, დღისითაც გაუძნელდება კაცს მგზავრობაო.

— ამაღამ აქ მოითმინე, თორემ უადგილო-ადგილებში დაგიღამდება და საფათერაკო მგზავრობა შეგექნებაო. ხვალ იახელი გამოცდილი მგზავრი, რომელმაც გზაც კარგად იცის და წყლების ფონიცა, — უთხრა ხალხმა.

მეორე დღეს ოქრუა გაემგზავრა დილაადრიანად და ბევრი გან-

საცდელიც გაიარა გზაში. თუმცა გზისა და ფონის მცოდნე მგზავრებიც კი ახლდა თან. ოქრუამ დაიწერა პირჯვარი და დალოცა მამის საფლავი: აქ რომ არ გავჩერებულიყავ და ყოველივე ეს არ გამეგო, ახლა მე ცოცხლებში აღარ ვიქნებოდიო, — ამბობდა გულში და ღმერთს მადლობას სწირავდა.

გავიდა კარგა ხანი და ერთხელ ოქრუას აზრად მოუვიდა ცოლის გამოცდა. საღამოზე როცა შინ მიდიოდა და მიაღწია სასოფლო წყაროს სიახლოვეს, ერთი ჯირკი დამარხა მიწაში და სახლს რომ მიუახლოვდა, ცხვირში ხელი შემოიკრა, სისხლი წაიგდო, პირისახე და ჩოხა-ახალუხის კალთა-გულისპირი მიისვარ-მოისვარა სისხლით და შევიდა შინ აღელვებული. შეშინებული ცოლი მაშინვე მივარდა:

— ეს რა ამბავია, ოქრუა, ჩვენს თავს, რა მოგვიდა?

— ჩუ, დედაკაცო! გაჩუმდი, არავინ გაიგონოს და არ დავიღუპოთ. ცეცხლი დაანთე, რომ სისხლიანი ტანისამოსი დავწვათ და წყალი მომიტანე, რომ თავ-პირი დავიბანო.

— ნუ გადამრიე. მითხარი. რა ამბავია? — ემუდარებოდა თვალცრემლიანი ცოლი.

— რომ გამამხილო სადმე, დავიღუპები და ვერ გეტყვი.

— რას ლაპარაკობ! რას ჰქვია გაგამხელ, მე ჩემი თავის დაღუპვას მოვინდომებ? აბა, რას ამბობ? მითხარი, თუ ღმერთი გწამს, ნუღარ მაწვალებ.

— მაშ, კარგი და თუ სადმე წაგცდა, მაშინ ჩემი გადარჩენა აღარაფერს შეუძლია.

— თქვი, ბეჩა, რა იყო? გული ნუ გადამილიე!

— რა იყო და ჩვენ წყაროსთან ჩხუბში კაცი შემომაკვდა და იქვე ჩავფალი მიწაში, ქვეყანაზე არავის არ უნახავს. ახლა ეს ტანისამოსი დავწვათ, წყალიც მომიტანე, დავიბანო, რომ არაფერი ნიშანკვალი აღარ ეტყობოდეს.

ტანისამოსი დაწვეს, ოქრუამ ხელ-პირი დაიბანა და სხვა ტანისამოსი ჩაიცვა.

მეორე დღეს დილას მთელი სოფლის დედაკაცები დამწკრივებულიყვნენ კოკებით და მიდიოდნენ წყაროზე, ოქრუას ცოლმა დაინახა თუ არა კოკებით დამწკრივებული ქალები, იმანაც წამოავლო კოკას ხელი, აიხვია ცხვირ-პირი და მიეწია ქალებს. შუა გზა არ ჰქონდათ ჩავლილი, რომ ოქრუას ცოლი, ფშლუკუნს მოყვა და თავსაფრის ყურით ცრემლმორეული თვალების წმენდა დაიწყო.

მთელ ქალებს ცნობისმოყვარეობა აღუძრა: ნეტა რა მოგვიდა, ქალო, რატომ არ გვეტყვიო.

ოქრუას ცოლმა უფრო მოუმატა ზლუქუნს.

— რა შეგემთხვა, თქვი, ქალო, ამისთანა რა უნდა იყოს, რომ თქმისა გეშინოდეს? ავადმყოფი ხომ არავინა გყავთ, ან ხომ არავინ მოგკვდომიათო?

— არა, არა! გენაცვათ, ნუ მკითხავთ, რაც არის, არის, ყველამ თავის ვარამი და ცეცხლი თვითონვე უნდა მოიქარვოსო.

— ბეჩა, რა არის მისთანა, თქვი, ქალო? მტრები ხომ არა ვარო და ურჯულოები, რომ გაგვეხარდეს. ნათქვამია: ჭირის თქმა დამწვარ გულს ნახევრად ანელებსო.

— აჰ! ვერ გეტყვით, გენაცვალეთ! მეშინია, წამოგცდებათ სადმე და ქმარშვილიანად დავიღუპები.

— ვაი! რისხავდეს მაღალი ღმერთი და ძარს დედამიწა. ვინც გაგამხილოს! განა ჩვენ მაგისთანები ვართ, რომ არ გვენდო?

— გეტყვით და, აბა, არსად არა წამოგცდეთ-რა, თქვენი ჭირიმე.

— არა, ღმერთი იყოს თავდები!..

— მაშ, სუნი არაფერი მოგდით ახლა თქვენა?

— რისი?.. რა სუნი?.. არ ვიცით.

— ბეჩა! მე ცხვირ-პირი მაქვს ახვეული და კიდევ მომდის სუნი და თქვენ რამ დაგიბიდგნათ ეგ ცხვირები?

ყველანი გაკვირვებულნი ერთმანეთს ავლებდნენ თვალებს და ვერაფერი გაეგოთ.

— თქვენი ჭირიმე, არსად წამოგცდეთ: წუხელის ჩემ ქმარს აქ, ეშმაკად და ქაჯად, კაცი შემოკვდომია და, აი, აგერ რომ ნაყარი მიწა მოჩანს, იქ დაუმარხავს.

— უიმე! გენაცვალეთ, თურმე მისი სუნი არ მოგვდიოდა! — წამოიძახეს ქალებმა და სუყველამ ცხვირ-პირი აიხვიეს, — ფუი! ფუი! რა საშინელი სუნი ასდენია ასე ჩქარაო.

ამგვარად ცხვირპირახვეულები ამოვიდნენ სოფელში, სადილობამდის მთელ სოფელს მოსდეს ამბავი. ჩქარა მსაჯულებმაც გაგეს. ოქრუა დაიჭირეს და საქმემ მეფის ყურამდისაც მიაღწია. რადგანაც ქვეყანა კაცის ნაკვლელად აღიარებდა ოქრუას, სახრჩობელა გადაუწყვიტეს და მეფემაც ამაზე დასტური ბრძანა. ოქრუამ ბევრი იყვირა: არა ვარ დამნაშავე, კარგად გამოიძიეთო, მაგრამ ყურადღებაც არავინ მიაქცია და ჩამოსახრჩობად ქალაქში გაამგზავრეს.

როცა ოქრუა მიჰყავდათ, სოფელში ცოლი წამოეწია და დაუძახა: ოქრუა! თუ ვინიცობაა სიკვდილს გადარჩე, ქალაქიდან შეიდიში წამომიღე, არ დაგავიწყდესო.

რამდენიმე კვირის სიარულის შემდეგ ოქრუა მიიყვანეს ქალაქში.

როცა ჩამოსახრჩობად წაიყვანეს, მეფეს ებრძანებია: სახრჩობელაზე რომ აიყვანოთ, უკანასკნელი სიტყვა თუ რამე თქვას, მომახსენეთო.

მარყუჟში თავს რომ აყოფინებდნენ, ოქრუამ თავისთვის ღიმილით ჩაილაპარაკა: ჩვენს მეფეს და ჩემს ცოლს ერთი ჭკუა აქვთო.

ბრძანებისამებრ ეს სიტყვები მაშინვე მოახსენეს მეფეს. მან ბრძანა: მკვლელი მომიყვანეთო. მიუყვანეს ჩვენი ბრალდებული. მეფე განურისხდა: შენ რა გითქვამს სახრჩობელაზე, როგორ გაბედე იმ სიტყვების თქმაო?

— ვიღას მოვერიდო, შენი ჭირიმე, მახრჩობენ და სიკვდილის წინ სიმართლე როგორ არ უნდა გავბედოო.

— აბა, რა არის სიმართლე იმ სიტყვებში, მითხარიო, — უბრძანა მეფემ.

— როგორ, სიმართლე არ გახლავთ, შენი ჭირიმე, — მოახსენა ოქრუამ, — მამაჩემმა ანდერძად დამიბარა, ქალს შენს საიდუმლოს ნუ ეტყვიო. მე ცოლის გამოსაცდელად ჯირკი ჩავმარხე ჩვენ წყაროსთან, ცხვირ-პირი სისხლით მოვისვარე და ცოლს ვუთხარი: არიქა კაცი შემომაკვდა და არ გამამხილო-მეთქი. იმან მთელ ქვეყანას მოსდო, მე დამიჭირეს თქვენგან დაყენებულმა მსაჯულებმა, არც კი გამოიძიეს რიგიანად საქმე, ჩემს სიმართლეს ყური არ ათხოვეს და თქვენც სახრჩობელა გადამიწყვიტეთ ასე ალალ-მართალ კაცს. როცა დასახრჩობად მივყავდი დარაჯებს, ჩემმა ცოლმა მომაყვირა: კაცო, თუ თავი გაითავისუფლო სიკვდილისაგან, შეიდიში წამომიღე ქალაქიდან, არ დაგავიწყდესო. აბა, ამის შემდეგ სად არის ან ჭკუა და ან სამართალიო.

მეფემ გამოიძია, ოქრუას ყველა ნათქვამი მართალი აღმოჩნდა. მაშინ გაათავისუფლა იგი და სხვა საჩუქრებთან ერთად თავისი ხალათიც უბოძა.

ჭირი იქ და ლხინი აქ,
ქატო იქ და ფქვილი აქ.

სტუმრები

ერთმა მდიდარმა მეზობელი გლეხი ქეიფზე მიიპატიჟა. გლეხმა დაძონძილ-დაკონკილი ტანისამოსი ჩაიცვა, ყველაზე ადრე მივიდა და საპატიო ადგილზე ჩამოჯდა. რამდენიც ახალი სტუმარი მოვიდა, იმდენჯერ წამოაყენეს, ადგილი დააცლევინეს და ქვემოთ დააწევინეს. ასე, თანდათან სუფრის ბოლოს მოექცა.

გავიდა რამდენიმე ხანი. გლეხი იმავე კაცმა დაპატიჟა. ახლა მდიდრულად ჩაიცვა და ეწვია მასპინძელს. დიდი თავაზით მიიღეს, მიიწვიეს და საპატიო ალაგას დასვეს. ხელის დასაბანი წყალიც პირველად მიართვეს. გლეხმა წყლის მომტანს თავისი ძვირფასი საცმლის კალთები მიუშვირა და უთხრა:

— აი, გარეცხეთო!

— რას ბრძანებთ, ბატონო, როგორ შეიძლებაო!

— თქვე სულელებო! ძველი ტანისამოსით მოვედი, სუფრის ბოლოში მომაქციეთ და ახლა მე კი არა მცემთ პატივს, არამედ ამ ჩემ ძვირფას ტანსაცმელსო.

ქელეხი

გარდაიცვალა ერთი დიდებული კაცი. ჭირისუფლებმა ქელეხში დიდძალი ხალხი მიიწვიეს. შეიყარა ხალხი და ეზოში ჩამოსხდა. ყველა დაღრეჯილია, დაღონებული. ბევრნი ტირიან. ამ დროს სოფლის მასხარა გამოჩნდა.

ხალხმა იფიქრა: ეს მასხარა რასმე იტყვის, გაგვაცინებს და სირცხვილს გვაჭმევსო. უთხრეს: ოღონდაც აქედან წადი და კომლზე თითო პინა ხორბალსა და ბრინჯს ვოგცემთო.

— კარგი, წავალო და პირობა კი შემისრულეთო.

წავიდა და ფიქრობს: თუ პირობა არ შემისრულეს, ქელეხსაც დავკარგავ, პურსა და ბრინჯსაცო.

გამოიყვანა თავისი მწევარი და აბრეშუმის მშვენიერი მოსართავითა და უნაგირით შეკაზმა. აბრეშუმის ხურჯინიც გადაჰკიდა. ერთი კურდღელიც სადღაც იშოვა, უბეში ჩაისვა, მწევარს ლაგამი პირში ამოსდო, გასწია და წავიდა.

ქელეხის ხალხი სუფრაზე უნდა დამჯდარიყო. მასხარა მარდად შევიდა ალაყაფის კარებში და თავისი რაშიც შეიყვანა. დაინახა თუ არა ხალხმა ეს მოჩვენება, დაიწყო ხარხარი. რამდენიმე კაცი მივიდა მასთან და უთხრა:

— კაცო, ხომ არ გაგიჟებულხარ, რასა შვრები?!

— თქვე სულელებო, ეგრე ადვილად ვერ მომატყუებთო,— უპასუხა მასხარამ.

გაიგო ეს ამბავი სახლის პატრონმა, ფქვილითა და ბრინჯით

გაუვსო ხურჯინი. მასხარამ მადლობა გადაუხადა და დაბრუნდა. ალაყაფის კარებთან რომ მიაღწია, უცებ მწევარს კურდღელი დაანახვა. შეხტა მწევარი, წკმუტუნი და ხტუნვა დაიწყო: — აი, შე გიჟო რაშო, რა დაგემართა, ამ მათრახს ხედავ? — უყვირის ძაღლს მასხარა. ამ დროს უბიდან ძაღლის წინ კურდღელი გადმოახტუნა. გაიქცა კურდღელი, მწევარიც გამოეკიდა. მწევარს რომ ფქვილი ეკიდა, სულ განიავდა.

მასხარა კი იდგა და იძახოდა: ერთი შეხედეთ ამ ჩემ რაშს, ბუქი და კორიანტელი არ დააყენაო!

ხალხი იცინოდა, კვდებოდა სიცილითა.

ნალის შეჭამადი

ერთხელ მოხუცი მამამთილი რძალს ესტუმრა. რძალს არ ესიამოვნა მისი მოსვლა და გუნებაში თქვა: კარგად რომ დავუხვდე, აკ სიარულს აღარ დაიშლის, მოდი, მარტო გამხმარ პურს მივუტანო.

სადილობა რომ მოახლოვდა, ქალმა ბოდიში მოიხადა:

— რა ცუდ დროს მობრძანდით, მამამთილო, სახლში არა მაქვს რა, რომ პატივი გცე; ქათმები იყო და, რაც ქორსა და ძერას გადაურჩა, ჭირმა გამიწყვიტა. წელს, კარგად მოგეხსენებათ, ღვინის მოსავალიც ძალიან ნაკლები იყო, ერთი-ორი ხელადა ჩავწურეთ ქოცოში და ისიც უპატრონობით დაგვიცხარდა. ლობიო გვალვამ ისე ამოახმო, რომ სათესლეც ვეღარ ავიღეთ.

— ვიცი, ჩემო რძალო, ვიცი,—უპასუხა მამამთილმა,—რას ღონდები, შვილო, საწყალი კაცის შეჭამადი გააკეთე.

— რა არის საწყალი კაცის შეჭამადი? ეგ მხოლოდ თქვენგან მესმის პირველად.

— საწყალმა ადამიანმა როგორ შეიძლება არ იცოდეს ეს შეჭამადი? ეს საჭმელი ნალის შეჭამადია, რაკი არც გაგიგონია და არც გემო გინახავს, მე მოვამზადებ, შენ კი მიყურე, ვიდრე მე ცეცხლს დავანთებ, შენ ცხენის ნალი მომინახე.

რძალმა ნალი მოარბენინა, მამამთილმა ცეცხლი ააბოლა.

— აბა, ქვაბი მომიტანე! — უთხრა მამამთილმა.

რძალმა მოარბენინა ქვაბი, მამამთილმა სუფთად გარეცხა ნალი და ჩადო ქვაბში.

— ჩემო რძალო, ცოტა ერბო და ხუთიოდე ხახვიც მომიტანე!

რძალმა მოურბენინა ერბოს ქილა და ხახვის კალათა.

მამამთილმა ერთი კოვზის მაგივრად სამი კოვზი ერბო ჩადო ქვაბში, ბლომად ხახვიც ჩააჭრა და ცეცხლზე შემოდგა. როცა ხახვი კარგად მოიწვა, წყალი დაასხა.

— ჩემო რძალო, ცოტა მწვანილიც მომიტანე ღა ერთი ხუთიოდე კვერცხი, ისეთი სადილი გაგიკეთო, რომ ხელმწიფეც კი ჩვენ შეგვნატროდეს!

რძალმა მოარბენინა ხასხასა მწვანილი და კვერცხებით სავსე ჯამფილა. მოხუცმა დაამტვრია კვერცხები, გათქვიფა და ჩაასხა ქვაბში. მწვანილიც ჩააჭრა. შეაზავა მარილით, გასინჯა და რძალს შესთავაზა.

— აბა, ნახე, ჩემო რძალო, როგორ მოგეწონება ნალის შეჭამადი?

რძალმა გასინჯა და ძალიან გაუკვირდა, ნუთუ ცხენის ნალისაგან ასეთი გემრიელი კერძი მზადდებაო?

— ახ, ჩემო რძალო, რომ იცოდე, როგორ უხდება ნალის შეჭამადს გვალვიანი წლის ღვინო! — უთხრა მამამთილმა.

— ოცჩაფიანი ქვევრი თეთრი ღვინითა გვაქვს სავსე, ჩემი ქმარი ძალიან აქებს წლევანდელ ღვინოს, — მიუგო რძალმა, სავსე ხელადა მოარბენინა და სუფრაზე დადგა.

მოხუცმა მოიხადა ქუდი, თეთრ თმაზე ხელი გადაისვა და თქვა:

— ახლა ორიოდე სიტყვა უნდა გითხრა, ჩემო რძალო: მე იმიტომ კი არ მოვედი, რომ ან მშიოდა ან მწყუროდა. არა, ჩემი შვილის ცხოვრება მაინტერესებდა, რა უჭირს, ან რა ულხინს-მეთქი. შენი წუწუნი გულში ეკალივით მომხვდა, მაგრამ რატომღაც არ დავიჯერე, მინდოდა შენი გამოცდაც და ჩემი შვილის ოჯახის ავლა-დიდების შეტყობაც. ამიტომ მოვიგონე ნალის შეჭამადიც.

ყასაბი და ვაჭარი

ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობდნენ ყასაბი და ვაჭარი. მათ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი: ჭირი და ლხინიც საერთო, საზიარო ჰქონდათ.

ერთ დღეს ყასაბი შორეულ სოფლებში საქონლის საყიდლად

უნდა წასულიყო. გამგზავრების წინ თავის ძმობილთან ერთად დაითვალა ოქროს თუმნიანები, ჩაიდო უბეში, შეჯდა კარგ იორღა ცხენზე და წასვლისას მეგობარს უთხრა: ნათქვამია, ანდერძს კაცი არ მოუკლავსო. თუ შეშაგვიანდეს, ჩემს ოჯახსა და ცოლ-შვილს პატრონობას ნუ მოაკლებო! დაემშვიდობა და გაუდგა გზას.

ყასაბს გამზადებული ნაბადი დარჩა სახლში. ცოლი ძალიან შეწუხდა: რა ეშველება, უამინდობა რომ შეესწროს? ან ღამით სიცივემ რომ შეაწუხოსო?

— რას ღონდები, ჩემო დაო, მომეცი, მე გავუქცევ, დიდი გზა არ ექნება გავლილი. — ანუგეშა ვაჭარმა. შეკაზმა მაშინვე მეორე ცხენი, წინ ნაბადი შემოიდო და გაეკიდა.

მიდიოდა, მაგრამ გონება სხვაგან მიურბოდა, სულ ნანახი ოქროს თუმნიანები ებლირსებოდა თვალებში. ოხვრით ამბობდა: ეჰ, რატომ ჩემი არ არის ის ოქროები, ხვალვე დიდ სასახლეს წამოვიმავდიო. ამ ფიქრებში იყო, რომ მიმავალ ცხენოსანს მოჰკრა თვალი, შორიდანვე იცნო და დაუძახა: ძმობილო, ძმობილო, დაიცადეო!

ყასაბმა მოიხედა, ბედაური შეაყენა და, თავისი მეგობარი რომ დაინახა, ელდამ გაჰკრა გულში, ჰკითხა: რა ამბავია? ცუდი რამ ხომ არა მოხდა რა სახლშიო?

— ნუ გეშინია, ყველაფერი კარგადაა, ნაბადი დაგრჩა შინ და ის წამოგიღეო!

ყასაბმა მადლობა გადაუხადა და ის იყო, მიბრუნდა, რომ ვაჭარმა დამბაჩა დასცა ზურგში. გაძარცვა მკვდარი, ამოაცალა ფული და წამოვიდა.

ოცი ნაბიჯი არც კი ექნებოდა გამოვლილი, რომ ცხენი ისევ შეაყენა და გაიხედ-გამოიხედა, გაიფიქრა: ხომ არავინ მიყურებდაო. არსად ძე-ადამიანი არა ჩანდა. მხოლოდ ერთგან კუდიან ქარს გზიდან მტვერი აეხვეტა და ჰაერში ძაბრივით ატრიალებდა. ხელსისხლიანმა ვაჭარმა დაცინვით თითი დაუქნია და მიაძახა: ჰაა, ქარო, ქვეყანა არ შემიყარო, ეს ამბავი შენ იცი და მეო!

დამარხა ყასაბი. დიდხანს ეძებეს მისი მკვლელი, მაგრამ ვერც ის იპოვეს და არც არავინ მნახავი გამოჩნდა. ერთ ხანს თვით ვაჭარზე ჰქონდათ ეჭვი, მაგრამ ყასბის ცოლი ალალი გულით უფიცავდა: ცოდვას ვერ დავიდებ, ის ჩემს ქმარს არ გაიმეტებდა მოსაკლავად, ღვიძლი ძმებივით უყვარდათ ერთმანეთიო.

გავიდა ხანი. ყველას დააავიწყდა ოდესღაც მომხდარი ამბავი. იდროვა გულბოროტმა ვაჭარმა და გამოაჩინა ნაძარცვი ოქროები. მოკლე დროში, მართლაც, ისეთი სასახლე წამოჭიმა, რომ ხელმწიფე-

საც კი თვალი ზედ დარჩებოდა. მაგრამ ვის შერჩენია ნაარმეევი, რომ მას შერჩენოდა?

ერთ დღეს ვაჭარი და მისი ცოლი ეტლით სასეირნოდ წავიდნენ. იარეს, იარეს და სწორედ იმ ადგილთან ჩაიარეს, სადაც რამდენიმე წლის წინათ ყასაბი მოკლა.

უცბად, გზაზე კუდიანი ქარი ამოვარდა, ჰაერში აიტაცა ხმელი ბალახ-ბულახი და თითისტარივით დაატრიალა. ვაჭარმა დაინახა თუ არა ციბრუტა ნიავქარი, გაახსენდა ოდესღაც თავისი ნათქვამი სიტყვები და გულიანად გადაიხარხარა.

— რაზე იცინი? რა დაინახე ისეთი? — შეეკითხა ცოლი. ქმარი დიდ უარზე იდგა, არ უნდოდა, გაემხილა თავისი ცოდვა და დანაშაული, მაგრამ არ იქნა და აღარ მოეშვა ცოლი. ვაჭარმაც დაწვრილებით უამბო ყველაფერი და თანაც შეეხვეწა, გაგონილი საიდუმლოდ შეენახა გულში, არავისთან არა წამოსცდენოდა რა. მაგრამ არ გავიდა სამი დღეც კი, რომ ყასაბის მოკვლის ნამდვილი ამბავი მთელ ქალაქს მოედო და მალე ხელმწიფემდისაც მიაღწია. მეფემ დააჭერინა ვაჭარი და ერთ დღეს სახალხოდ ჩამოახრჩვეს.

ასეა, არავის შერჩება ცოდვა და დანაშაული.

ორი ძმა — მდიდარი და ღარიბი

ერთ სოფელში ცხოვრობდა ორი ძმა — მდიდარი და ღარიბი.

ერთ წელიწადს მდიდარს შვილის ქორწილი ჰქონდა. რვა სოფლის ხალხი დაპატიჟა, თავისი ძმა წყლის მზიდავად დააყენა: ეთაკილებოდა, ქალამნებიანი და დაკონკილჩოხიანი გვერდით როგორ მოვისვაო?

სუფრაზე ისეთი ლხინი გაჩაღდა, რომ ვარჰალალოს და ტაშ-ფანდურის ხმა ცხრა მთას იქით გადიოდა. ღარიბ ძმას კი ლუკმა-პურიც არ მიაწოდეს. ის მუხლჩაუხრელად ტრიალებდა და სამი ვირით წყალს ეზიდებოდა. როცა შიმშილმა შეაწუხა, ისევ თავის ქოხს მიაშურა: ხმელ მჭადს მაინც შევჭამო.

წავიდა. გზაში უცბად მოაგონდა, რომ ძმისწულის ქორწილიდან მიდიოდა, თქვა: ვინც დამინახავს, რას იტყვის? ნაქეიფარი კაცი ასე ჩუმად უნდა მიდიოდეს? მოდი, ჩემ ძმას ნუ დავამცირებო.

გული გაიმხიარულა და სიმღერა შემოსძახა. მის სიმღერას ვიღაცამ ბანი მისცა, მიიხედ-მოიხედა და, რაკი ვერავინ დაინახა, ახლა

მრავალჟამიერი წამოიწყო. ამჯერადაც ვიღაცა აჰყვა. მიბრუნდა, უკან ერთი თავისავით ღარიბი კაცი დაინახა, ჰკითხა:

— ვინ ხარ? საით მიხვალ?

— მე შენი სიღარიბე ვარ, საითაც შენ მიხვალ, მეც იქით მოვდივარო!

— მე რას დამდევ? ახლა სხვასთან წადი!

— ვერ დაგშორდები, მე შენზე ვარ დაწერილიო.

— რომ მოვკვდები, მაშინ რალას იზამ?

— თან ჩამოგყვებიო, — უპასუხა სიღარიბემ.

კაცი მივიდა თუ არა სახლში, იმავე დღეს კუბო გააკეთებინა. სიღარიბემ გაიფიქრა: არ დამასწროსო და პირველი თვითონ ჩაწვა შიგ. კაცსაც სწორედ ეს უნდოდა. დააფარა სახურავი, მაგრად დალურსმა და სოფლის ბოლოს ღრმად ჩაფლა მიწაში. იმ დღიდან წინ წამოვიდა მისი ოჯახი.

გაბოროტდა მდიდარი ძმა, შურისაგან ბოღმა ჩაუვარდა გულში, აღარც ჭამდა, აღარც ეძინებოდა. ბოლოს, ვეღარ მოითმინა, მივიდა და ჰკითხა: კაცო, ასე უცბად საიდან გამდიდრდი? ოქროს ქილა იპოვე თუ ნატვრისთვალიო?

ძმამაც დაწვრილებით უამბო ყველაფერი.

— ბარემ ისიც მითხარი, სად დამარხე შენი სიღარიბე?—ჰკითხა მდიდარმა.

— ჩვენი სოფლის ბოლოს ძველი საყდარი რომ არის, იმის კარებთან ჩავფალ. კარგად კი დავუფასე ჩემზე გაწეული ამაგი! როგორც ის იყო ჩემთვის, მეც ისეთი სამაგიერო გადავუხადეო.

გახარებულმა მდიდარმა ძმამ იმავე ღამეს სოფლის ბოლოს მიაშურა. მივიდა საყდართან და, კარების წინ ახლად დაყრილი მიწა რომ ნახა, გაიფიქრა — ეს უნდა იყოს იმის საფლავიო, ჩასძახა:

— სიღარიბევ, ისევ მანდა ხარ?

— აბა, სხვაგან სად წამესვლევინება? — შემოესმა პასუხად.

— ამოგიყვან, თუ ისევ ჩემს ძმასთან წახვალო!

— მართალია, ამ შავ დღეში ჩამაგდო, მაგრამ იმას მაინც თავს არ დავანებებო.

გულბოროტმა ძმამ თხარა, თხარა და ამოიყვანა. სიღარიბე მაშინვე წელზე მოეხვია თავის მხსნელს და უთხრა: იმასთან რალა მინდა, ცოცხალი მიწაში დამმარხა, შენ კი სიკვდილს გადამარჩინე. ამიერიდან აღარ მოგცილდებიო.

იმ დღიდან უკან-უკან წავიდა მდიდარი ძმის ცხოვრება, მალე ისე გაღატაკდა, რომ მჭადის ლუკმაც კი ენატრებოდა.

ასე ემართება ყველა ბოროტსა და შურით სავსე ადამიანს.

მეცხვარე და მისი ნათლული

კავკასიონის მაღალ მთებში, პატარა სოფელში, ცხოვრობდა ვინმე მეცხვარე. ერთ წელიწადს მეცხვარე შირაქში მიდიოდა ცხვრის ფარის სანახავად. ზამთარი იყო, მთელ დღეს წყნარად თოვდა, მაგრამ შებინდებისას კი ამინდი შეიცვალა. ჯერ ნიავწანწალამ დაუბერა, მერე კი ქარბუქი ამოვარდა და მთელი მიდამო ნამქერში გაეხვია. ცხენი და მხედარი ბრმად მიიკვლევდნენ გზას. ქარი ქვიშასავით აყრიდათ თვალებში თოვლის მონახვეტს. ერთგან ხიფათსაც კი გადარჩნენ: უმოაჯირო ხიდი უნდა გაევლოთ, ცხენმა ნაპირისაკენ დაიწია და, ბედზე მხედარს თვალი რომ არ გაეხილა, ორივენი კლდეში გადაიჩეხებოდნენ.

— არა, წინ წასვლა აღარ შეიძლება, საქონელიც ცოდვაა, გზას ველარ იკვლევს, — ჩაილაპარაკა მეცხვარემ და ცხენი ვიწრო ორღობეში შეაბრუნა. პატარა ფანჯრიდან მბჟუტავი ლამფის სინათლე გამოკრთოდა. მეცხვარე პირდაპირ მივიდა ფიცრულ სახლთან და მათრახის ტარით კარი დააკაკუნა, დაუძახა ოჯახიშვილებს, გამოიხედეთო!

შინიდან კაცი გამოვიდა, როგორც წესია, ერთმანეთს მიესალმნენ.

— ძმობილო, მგზავრი ვარ, ქარბუქში გზას ველარ მივიკვლევ, ამაღამ შემიფარე როგორმე! — სთხოვა მწყემსმა.

— მოდი, კაცო, მოდი! ამისთანა ამინდში შენ კი არა, მტერიც რომ ყოფილიყო, იმასაც არ გავაბრუნებდი უკან, — გულიანად შეიპატიჟა მასპინძელმა.

— ცხენს მე დავაბინავებ, შენ შეციებული იქნები.

მეცხვარე დიდხანს ბერტყავდა თავის ნაბადსა და გრძელბეწვიან ტყავის ქუდს, მაგრამ შეყინული თოვლი მაინც ვერ გააყრევინა. მასპინძელმა კვლავ შეიპატიჟა სტუმარი და სახლში შეუძღვა. დიასახლისმა ცეცხლი გააღვივა, ვახშამი მოამზადა. ვაჟკაცებმა დიდხანს ისაუბრეს, თქვეს ამ მთისა, იმ მთისა, ალიანისა, ჩალიანისა, პურის ჭამა მოათავეს. მასპინძელი უხერხულ მდგომარეობაში იყო, ღონდებოდა: სად დაეძინებინა სტუმარი? იქნება კუნჭულს მაინც გამონახავდა, მაგრამ ფეხმძიმე ცოლი აფიქრებდა, იქნება ამაღამ იმშობიაროსო. მეცხვარე თითქოს გუმანით მიხვდა და თვითონვე გამოიყვანა მასპინძელი უხერხული მდგომარეობიდან, უთხრა:

— ძმაო, ნურაფერზე სწუხდები! მწყემსი კაცი ვარ, ჩემთვის გარეთ ძილი უფრო სასიამოვნოა. ნაბადი მაქვს, არ შემციოდებაო.

— ქარბუქია, კაცო, ახლა გარეთ დაწოლა არ შეიძლება. მოდი, თუ არ გეწყინება, მაღლა, სხვენზე მოისვენე, იქ თოვლის ნამქერი მაინც არ დაგეყრებაო.

მეცხვარე ავიდა სხვენზე, ნაბადში გაეხვია და მიწვა. ერთ ხანს იჭუჭყუნა და, რაკი სიცივისაგან ვერ დაიძინა, წამოჯდომა ამჯობინა.

შუაღამე ვადასული იქნებოდა, რომ დიასახლისს მართლაც მუცელი ასტკივდა. ქმარმა ბებიაქალი მოიყვანა.

ძილგამფრთხალ და ფიქრებში წასულ მეცხვარეს თავის სიახლოვეს რაღაც ჩურჩული შემოესმა. სმენადგადაქცეულმა ცხადად გაიგონა ყველაფერი: ახლა ამ სახლში ბიჭი რომ დაიბადება, ეს ბედი დაეწეროს: გაიზარდოს, ოცი წლისა რომ გახდეს, ცოლი შეირთოს, ქორწილის დღეს ცოფიანმა მგლებმა დაკბინოს და მოკვდეს. ვინც ჩვენს ნათქვამს ხელი შეუშალოს, მას გადახდეს ამ ბიჭის გადასახადიო.

მეცხვარეს უმალ გაახსენდა ხალხში გაგონილი, თქვა: ბედისმწერლებს რომ ამბობენ, ესენი უსათუოდ ისინი იქნებოდნენო. გაგონილი სიტყვები რამდენჯერმე გაიმეორა, გონებაში ღრმად ჩაიჭდევა, არ დამავიწყდესო.

გათენებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო დარჩენილი, რომ გახარებულმა მასპინძელმა ხმამაღლა შესძახა: ძმობილო, ბიჭი შემეძინა, ჩამოდი, ბედი დავულოცოთო!

ვაჟკაცები ხელმეორედ შემოუსხდნენ სუფრას, კვლავ გახშირდა ტკბილი, ქართული ბაასი.

— კეთილი ფეხი გქონია, ჩემო ძმაო! — უთხრა მასპინძელმა, — რაკი ძეობაში შეგვესწარ, მოდი, ნათლიაც შენვე იყავი! ხელიც კეთილი გექნება. დაე, შენი მარჯვენაც ფარავდეს ჩემს შვილს, როცა კი გასაჭირში იყოსო.

მწყემსმა რაკი სიტყვა მისცა, ნათლიად უსათუოდ მე ვიქნებიო, შეასრულა კიდეც. ის დაბადების ყოველ წლისთავზე ინახულებდა ხოლმე თავის ნათლულს და რამდენადაც გულს უხარებდა მისი ზრდა, იმდენადვე ფიქრი და დარდიც უხშირდებოდა.

აი, დაიწყო მეოცე წელიც. იმ წელიწადს მეცხვარე ცხვარში აღარ წავიდა.

შემოდგომის მზიანი დღე იყო, როცა მწყემსის ეზოში მისმა ნათლულმა ოფლით გახვითქული ცხენი შეაჭენა. შეღერებულ ვაჟკაცს ისედაც სიხარულით ნათელმოფენილ სახეს უფრო მეტად უმშვენებდა თეთრი ჩოხა-ახალუხი. სტუმარი შორიდანვე მიესალმა: ჩემს ნათლიას გაუმარჯოსო! ცხენიდან გადმოფრინდა და ერთმანეთი გადაკოცნეს.

— ნათლიავ, რაღაც ხასიათზე არ მეჩვენები, — ხუმრობის კილოთი უსაყვედურა ნათლულმა, — ჩემი ბედნიერება ხომ არ გეწყინა? ხვალ ქორწილი მაქვს და, ხომ იცი, უშენოდ ჯვარს არ დავიწერ.

მეცხვარემ ბედნიერება მიულოცა, ხელმეორედ გადაეხვია, მაგრამ გული ისე ჰქონდა დახურული და სახეც ისე გაქვავებოდა, რომ კაცი სასიხარულოს ვერაფერს ამოიკითხავდა.

— ნათლიავ, ჩემს ვაჟკაცობას გეფიცებით, ქორწილს ჩავშლი, თუ შენ იქ არ მეყოლები! — კვლავ მტკიცედ უთხრა მოპატიჟემ.

— წარღვნაც რომ იყოს, წამოუსვლელი არ დავდგები, — დაიმედიანა მწყემსმა და სოფლის შარაგზამდე გააცილა. ის კარგა ხანს თვალს არ აშორებდა თეთრცხენიან მხედარს. ყურში კი კვლავ ესმოდა: ქორწილის დღეს მგლებმა დაკბინონ და მოკვდესო. მეცხვარემ ხელი სატევარზე გაივლო და ჩაილაპარაკა: მაშ, მოგიკვდეს ნათლია, თუ ბედნიერი დღე გაგიმწაროსო.

მეცხვარემ ის ღამე თეთრად გაათენა, ძილი გაუფრთხა. ლოგინში წისქვილის დოლაბივით ტრიალებდა, ბორგავდა. ცაში ჯერ კიდევ ნათელი არ იყო ჩავარდნილი, რომ წამოდგა, ჩაიცვა ჯაჭვის პერანგი და ცხენი შეკაზმა, მერე ისევ სახლში შებრუნდა, ღვედის ბრტყელ ქამარზე ხმალი და სატევარი დაიკიდა, შიგ გატენილი დამბაჩა ჩაიბნია, თოფი მხარიღლივ გადაიგდო, შეჯდა შავ ულაყზე და ნიავქარივით წამოვიდა.

ნათლულმა შორიდანვე იცნო თავისი ნათლია და გახარებული გზაში მიეგება. მეცხვარე ომახიანად მიესალმა სტუმრებს, ნათლიმამას და ნათლიდედას კი შვილის ბედნიერება მიულოცა.

ხალხი გაკვირვებით უყურებდა აბჯარში გამოწყობილ უცხო ადამიანს და ერთმანეთს ჩურჩულით ეკითხებოდნენ: ეს კაცი ჩვენთან საომრად ხომ არ არის მოსულიო?

მექორწილენი ნეფე-პატარძალს გაჰყვნენ ეკლესიაში ჯვრის დასაწერად. ნათლია მხარში ედგა თავის ნათლულს და გასასვლელ გზას შორ მანძილზე თვალით სინჯავდა. ის საყდარში არ შეჰყვა, მოშორებით საფლავის ქვაზე შედგა და გაღმით, ტყიან ფერდობს გაჰყურებდა. ის იყო მექორწილენი ეკლესიიდან გამოდიოდნენ, რომ ვიღაცამ შემზარავი ხმით კივილი მორთო: მგლები! მგლებიო! ქალები და ბავშვები წივილ-კივილით ჯგუფად მიაწყდნენ საყდრის კარებს, ვაჟკაცები კი გაკვირვებულნი ერთმანეთს ეკითხებოდნენ: რა დაინახეს?! რა მოეჩვენათო?! მხოლოდ მაშინ გამოერკვნენ, როცა კარგა მოშორებით მეხივით გავარდა თოფი. მეცხვარეს შორს მოეკ-

რა თვალი ტყიდან გამოვარდნილი სამი მგლისათვის და წინ შეგებებოდა. ორმა მგელმა ერთი უკან მოიტოვა, ნასროლი ტყვიით გულგანგმირული, და ეკვეთნენ ვაჟკაცს. დამბაჩის ხმამ და ნადირის შემზარავმა ღმუილმა ერთხელ კიდევ ააფორიაქა შეშინებულთა გულები. ახლა ხმალი და სატევარი აელვარდა მამაცი მეცხვარის ხელში.

ყველაფერი ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ხანჯლებმომარჯვებულმა ვაჟკაცებმა მხოლოდ მაშინ მიუსწრეს, როცა ორი დაჩეხილი ნადირი უსულოდ ეგდო მიწაზე. ბრბოდ შემოხვეული ხალხი გაქვავებულივით იდგა და სიბრალულით შეჰყურებდა უცხო ვაჟკაცს, რომელსაც სისხლი თქრიალით სდიოდა წვივიდან და სისხლისაგან იცლებოდა: მგელს მოესწრო და კბილი გაეკრა. ყველაზე მეტად ნეფე იყო შეწუხებული, სახეზე ნაცრისფერი დასდებოდა, თვალები წყლით ავსებოდა. უილაჯომ პატარძალს თეთრი სარტყელიც კი ჩამოგლიჯა ჭრილობის შესახვევად, მაგრამ ვერა და ვერ შეუწყვიტეს მომსკდარი სისხლი.

ხალხის სიჩუმე ისევ მეცხვარემ დაარღვია: ჩემო ნათლულო! რაკი შენ გადაგარჩინე, აღარაფერსა ვჩივი. ნათლიმამავ, შენთანაც პირნათლად ვარ: თქვენს ოჯახში კეთილი ფეხით შემოვედი, ძეობის ღამეს მისურვე: დაე, შენი მარჯვენაც ფარავდეს ჩემს შვილს. როცა ძალიან უჭირდესო. დღეს ჭონდა გასაჭირი და მეც ჩემებურად დავეხმარე... მეცხვარეს კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ სისხლისაგან დაცლილს სიტყვა გაუწყდა და სული დალია.

ხალხმა ზღვა ცრემლით დაიტირა შორეული სტუმარი, დიდხანს დარჩათ სასინანულო მოსაგონებლად: ნამდვილი კაცური გული ჰქონია, რომ ადრევე შეუტყვია თავისი ნათლულის ბედისწერა, თავი გასწირა და ის კი გადაარჩინაო.

რძალი და ბრმა დედამთილი

ერთ რძალს ბრმა დედამთილი ჰყავდა. ერთ დღეს დედამთილმა ქათმის ხორცი მოინდომა და თავის რძალს სთხოვა: შვილო, შენ ისევაც დიდი ამაგი გაქვს ჩემზე, ეს სიკეთეც გამიწიე: ერთი პატარა მამალი ან ვარია დამიკალ, ქათმის ხორცისათვის კბილები მიკაწკაწებსო.

— რას ამბობ, დედამთილო, ერთს კი არა, ორს დაგიკლავო!

რძალმა დაიჭირა მაშინვე ერთი მსუქანი დედალი, დააკვლევინა

მეზობლის ბიჭს და ქვაბით შემოდგა ცეცხლზე. როცა მოიხარშა, ამოიღო და, როგორც კი დადო თეფშზე, მოხარშული ქათამი მკვდარ კატად იქცა.

რძალი ძალიან შეწუხდა, მაგრამ რას იზამდა! დაკლა მეორე, მოხარშა და, ამოიღო თუ არა ქვაბიდან, კვლავ მკვდარი კატა შერჩა ხელში. დაკლა მესამე, მოხარშა და ისიც კატად ექცა.

— უიმე, ეს რა მემართება! ღმერთო, განა რა შეგცოდე ისეთი, რომ სამაგიეროს ამით მიხდი?! — შეშინებულის ხმით წამოიძახა რძალმა.

ქათმის მოლოდინით სულწასულმა დედამთილმა ვეღარ მოითმინა და რძალს დაუძახა:

— შვილო, რა ჰქენ, ქათამი ვერ მოხარშე?

— დედამთილო, არ ვიცი რა უბედურებაა ჩემს თავს: რამდენიც მოვხარშე, იმდენი მკვდარ კატად მექცა. გამიგონია, რომ ასეთი რამ ცოდვიან ადამიანებს ემართებათო, მაგრამ ვის რა ცოდვა გავუკეთე! რომ დავდივარ, ჭიანჭველასაც კი ფეხს ვარიდებ, — შეწუხებულის კილოთი უპასუხა რძალმა.

— არა, შვილო, შენ რა შუაში ხარ. სამართლიანობამ მაგით მე დამსაჯა... მომიტანე ის მკვდარი კატა... მე ქათმის ხორცის ღირსი არა ვარ, — ათრთოლებული ხმით თქვა დედაბერმა.

— რას ამბობ, დედამთილო, განა რა ცოდვა მიგიძღვის ისეთი, რომ სიბრმავეც არ გეკმარა და კიდევ ისჯები? — ჰკითხა რძალმა.

— ეჰ, შვილო, ხელცოდვიანი ვიყავ და ისეც წამივიდა საქმე. მეც ჩემს რძლობაში ბრმა დედამთილი მყავდა. ერთხელ იმანაც ქათმის ხორცი მოინდომა. მე, სულგაყიდულმა, ქათამი ვერ გავიმეტე, შავი კატა დავკალ, მოვხარშე და ის ვაჭამე. აი, ხედავ, ცოდვა სად მომეწია! — თქვა დედამთილმა, ამოშრეტილ თვალებზე მომდგარი ცრემლები შავი ძონძით მოიწმინდა და აქვითინებული ხმით ჩაილუღლუღა: ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ავი საქმის მჭნელსაო, ავი გადახდესაო.

ბატონი და ყმა

ერთ თავადს ერთი ყმა გლეხი ჰყავდა. ყმამ მთელი თავისი ჯეელკაცობა ბატონის სამსახურში გაატარა. უღამურ ცხოვრებაში ისე უცბად შემოეპარა წვერულვაშში ჭაღარა, რომ ბავშვობისა და ახალგაზრდობისა არც კი ახსოვდა რაიმე.

ერთ დღეს ბატონი თავის ცოლ-შვილით მოყვრების სანახავად უნდა წასულიყო. როცა გაემზადნენ, ყმას გადასძახა: ურემი შეაბი, გალმა. ჩემს მოყვრებს უნდა ვესტუმრო, ჩემთვის კი კარგი ცხენი შეკაზმეო!

— ბატონო, რაკი წყალი უნდა გავიაროთ, უღელ კამეჩს შეკაბამ.

— კამეჩებს წინ ხარებიც მოუბი; უღელი საქონლით სოფლებზე გავიარო და ისიც თავადიშვილმა! — წყრომით უპასუხა ბატონმა

ყმამ გაამზადა ურემი და ეზოში შემოაგორა. გამოიყვანა თავლიდან შეკაზმული ცხენიც. გამობრძანდა ბატონი. ცოლ-შვილი ურემზე დააბინავა, თვითონ ცხენზე შებრძანდა და დოინჯშემოყრილი გვერდით გაჰყვა.

გაიარეს სოფლები. შემხვედრი გლეხები ქუდის მოხდითა და თავდახრით მიესალმებოდნენ ამაყ თავადიშვილს.

ის კი იყო გასცლოდნენ ორღობეებს, რომ მინდვრიდან მომავალი ერთი ბერიკაცი შემოეყარათ. მიესალმა თავადს და მოახსენა: ბატონო, თუ გალმა მხარეს მიბრძანდებით, არ გირჩევთ ფონზე გასვლას. ალაზანი ისეთი ადიდებული მოდის, რომ გეგონებათ ზღვა გადმოვარდნილაო.

— მე არც წყლისა მეშინია და არც მტრისა! — ამაყად უპასუხა თავადმა და თან ულვაშები შეიგრიხა.

შუადღე მოახლოებული იქნებოდა, როცა ურემი ალაზნის სანაპიროს მიადგა. ყმა დიდხანს გასცქეროდა მოზღვავებულ წყალს.

— ბატონო! — მოახსენა ყმამ. — გასვლა, ცოტა არ იყოს, სახიფათოა — არც ფონია და მდინარესაც, ხედავთ, რამოდენა ხეები და კარჩხლები მოაქვს.

— ზღვაც რომ იყოს გადმოვარდნილი, უნდა გავიდეთ! — უბრძანა ბატონმა. — შუა გზაში მოსული წყალს შევუშინდე და უკან გავბრუნდე!.. შედი და მეც უკან მოგაყოლებ ცხენს!

— ნუ შევალთ! აზღვავებულ მდინარესთან შებრძოლება შეიძლება?! — უსაყვედურებდა ქმარს შეშინებული ქალბატონი. შვილები ცალკე ეხვეწებოდნენ თავადს — დავბრუნდეთ უკანო, მაგრამ ახირებულმა ბატონმა რაკი ერთი თქვა, სიტყვა უკან ველარ ჩაიბრუნა.

ყმამ ფრთხილად შეაცურა ურემი ალაზნის მღვრიე ტალღებში. ფონის ადგილას, მართალია, წყალი გაშლილად მოდიოდა, მაგრამ ურემი შესვლისთანავე კოფომდე შიგ დაიმალა. სამ ნაბიჯზე არც კი იქნებოდნენ ნაპირიდან დაცილებული, რომ ბატონმა შემოატ-

რიალა ცხენი და უკანვე გავიდა, ყმას შეშინებული ხმით დაუძახა: ურემი გამოაბრუნე! წყალს დიდი კარჩხლები მოაქვსო!

ყმამ დაინახა თუ არა მოტივტივებული ხეები, გაიხადა მაშინვე ახალუხი და წინა ხარების მოსაბრუნებლად წყალში გადაეშვა. ის იყო უღელზე მკერდით გადაწოლილი ხარებს აბრუნებდა, რომ კარჩხალი მთელი ძალით დაეჯახა კოფოს და ურემი საქონლიანად შუაწყლისკენ გაიტაცა. ატყდა ბავშვებისა და ქალბატონის გულსაკლავი ყვირილი: გვიშველეთ!.. გვიშველეთ!..

ბატონი გაღმიდან უბრაზდებოდა ყმას და მათრახის ტარს უტურტურებდა.

ყმა თავგამეტებით ებრძოდა წყალს. იღბალზე მდინარის ერთ, შუა ადგილს, ამაღლებული ნაშე დაინახა. მიუახლოვდა თუ არა, ისევ ურმის თავზე ავიდა და კამეჩები უცბად ნაშისკენ მიირეკა. კარჩხალი ჯერ დაცერავდა, მერე კი წყალმა შეატრიალა, ურემს მოსხლიტა და ნაფოტივით გააქანა.

ყმამ თავისუფლად ამოისუნთქა.

— ახლა ნუღარ გეშინიათ! — ანუგეშა თვალცრემლიანი ქალბატონი, რომელსაც ორივე ბავშვისათვის მოეხვია ხელი და მთელი ძალით მკერდზე მიეკრა.

— აქეთა ნაპირზე გადმოიტანე ურემი! აქეთა ნაპირზე! — ხელის ქნევით გადმოსძახა ბატონმა.

ყმა ჩამოხტა ურმიდან, ჩახსნა ჯამბარა და ჯერ ხარები გარეკა გაღმა, მერმე კი მშვიდობით გაიტანა ურემიც და ბატონთან ერთად დაბრუნდნენ უკან.

მეორე დღეს ბატონმა დაუძახა თავის ყმას და უთხრა: რაკი ცოლშვილი გუშინ დაღუპვას გადამირჩინე, უნდა დაგასაჩუქრო, რას შთხოვ, რომ შეგისრულო?

ყმამ ქუდი მოიხადა, გულზე ხელები დაიკრიფა და უპასუხა:

— დიდო ბატონო! კარგად მოგეხსენებათ, რომ საწყალ ყმას სხვა არა აქვს რა სათხოვარი, თუ არა მიწა და თავისუფლება.

— თავისუფლებას ვერ მოგცემ. ღმერთს ყმა ყმად გაუჩენია. ბატონი კი — ბატონად. მიწას კი მოგცემ. რამდენი დღიური გინდა?

ყმას სახე გაუნათდა. ჯერ თქმას ვერ ახერხებდა, მერმე კი თავი შოიფხანა და გაუბედავად მოახსენა: — ბატონო, მოიტა, რასაც სირბილით შემოვუვლი, ის მიწა სულ ჩემი იყოს.

— მომიცია, — უპასუხა ბატონმა.

გახარებულმა ყმამ გაიხადა ახალუხი და გაშლილ ველს ხარბად მოავლო თვალები.—ოხ, ნეტავი, აი, ის, სამი დღიური ყამირი შემოშარბენინა!—ჩაილაპარაკა თავისთვის და გასაქცევად მოემზადა.

— გაიქეცი! აქედან გიყურებ! — უბრძანა ბატონმა.

ყმა გაიქცა. მირბის, რაც ძალი და ღონე აქვს, მირბის, მაგრამ მუშაობისაგან არაქათგამოცლილი, მალე დაიღალა, სულს ვეღარ ითქვამდა, ოფლი ღვარივით ჩამოსდიოდა, მაინც არ შეჩერდა, თვალებს არ აშორებდა ხასხასა ყამირებს. ბოლოს გაუსკდა გული და პირქვე დავარდა. მომაკვდავმა ყმამ ორივე ხელები წინ გაიწოდა: უფრო მეტი მიწა შემხვდებაო.

მოკვდა საწყალი ყმა და შეუსრულებელი სურვილი საფლავშიც თან ჩაიტანა.

ჭკვიანი რძალი

ერთ ოსტატს ჰყავდა ერთი ვაჟი. მამას უნდოდა ისეთი რძალი მოეყვანა, რომ მისი გულის აზრს მიჰხვედროდა ხოლმე.

გამოაცხო საგზალი, ჩააწყო ხურჯინში, გადაიკიდა ზურგზე და წავიდა სარძლოს საძებრად. იარა დღეს, ხვალ... გზაზე რომ მიდის, ერთი კაცი შეჰხვდა.

— გამარჯობა, ძმაო, შენიო, — უთხრა.

— ღმერთმა გაგიმარჯოსო, — უპასუხა ამ კაცმა.

— მართალია, შენ მოდიხარ, მაგრამ შენი ძმა რა უყავიო? — ჰკითხა რძლის მძებნელმა.

— ჩემი ძმა სახლში დავტოვეო, — უთხრა კაცმა.

ახლა იმ კაცმა უთხრა რძლის მძებნელს.

— შენც რომ არ მოგყავს ძმა, არა გყავს თუ რაო.

— მე ჩემი ძმა თან მომყავსო, — უთხრა რძლის მძებნელმა.

გაიხედა იმ კაცმა და ვერავინ დაინახა, კაცს არავინ არ მოჰყავდა.

გაუდგნენ გზას, ორივეს ერთი გზა აქვს. მიადგნენ ერთ აღმართს. რძლის მძებნელმა კაცს უთხრა: ამ აღმართზე ან შენ ამიყვანე, ან მე აგიყვანო.

იმან უთხრა: აქ ვერც მე აგიყვან და ვერც შენ შესძლებ ჩემს აყვანასო.

იარა ამ რძლის მძებნელმა და ავიდა აღმართზე. თანამგზავრის ასვლამდე ერთი ჩიბუხი თამბაქო მოსწია. მიდიან ისევ. ერთ ადგილას ისეთი პურის ყანა ნახეს, რომ მის შეხედვას არაფერი სჯობდა.

მგზავრმა თქვა: ჰაი, ბედნიერი ამის პატრონიო, რა კარგი ყანა ჰქონიაო.

— კარგია, შეჭმული თუ არ არისო, — უთხრა რძლის მძებნელმა.

ეს კაცი მივიდა ახლოს, დააკვირდა, მაგრამ პური შეჭმული არ იყო. იარეს, იარეს და ერთ ადგილას კივილის ხმა შემოესმათ.

— უბედური, ვიღაცა მოკვდაო, — თქვა მეორე კაცმა.

— თუ მთლად მკვდარია, ცოდვაა, თუ ნახევრადაა, არა უშავს რაო, — უთხრა რძლის მძებნელმა.

— ნახევრად მკვდარი როგორ იქნებაო, — შეეპასუხა.

იარეს, იარეს და ერთ ადგილას შემოაღამდათ. შევიდნენ ერთი კაცის სახლში.

— ღამე გაგვათევინეთო, — სთხოვეს.

— მობრძანდითო, — უთხრა მასპინძელმა.

რძლის მძებნელი შიგნით არ შევიდა: მოხუცებული ვარ, ხან დავახველებ, ხან გადავაფურთხებ, არ მინდა შეგაწუხოთო.

მგზავრი მასპინძელს შინ შეჰყვა. დაიწყეს ლაპარაკი. ილაპარაკეს იქითური, აქეთური და, ბოლოს, სტუმარმა რძლის მძებნელზეც უამბო:

— ერთ ადგილას, გზაზე შემხვდაო, გამარჯვება მითხრა და მკითხა: შენი ძმა რა უყავიო. მე ვუთხარი: ჩემი ძმა სახლშია, მაგრამ შენც თან არ გახლავს შენი ძმა-მეთქი! მე თან მოწყავს ჩემი ძმაო, — მითხრა, — მაგრამ მას თან არავინ ახლდა. წამოვედით და აღმართს რომ შევუდექით, კვლავ მითხრა: ან შენ ამიყვანე, ან მე აგიყვანო. მე ვუთხარი: აქ ვერც მე აგიყვან და ვერც შენ ამიყვან-მეთქი. მერე, კარგი პურის ყანა ვნახეთ. ბედნიერია ამის პატრონი, რა კარგი პურის ყანა ჰქონია-მეთქი, ვუთხარი. კარგია, მაგრამ, ვაი მისი პატრონის ცოდვა, თუ კი შეჭმულია უკვეო, თქვა მან. ვნახე, მაგრამ ყანა შეჭმული არ იყო. წამოვედით ისევ და ერთ ადგილას კივილის ხმა შემოგვესმა: ახავაი, მოკვდა ვიღაცა-მეთქი. იმან მითხრა: თუ მთლად მკვდარია, ცოდვაა და თუ ნახევრადაა მკვდარი, არა უშავს რაო. ამ კაცისა ვერა გავიგე რაო.

სტუმარ-მასპინძელმა დიდხანს ისაუბრეს ასე, მაგრამ ვერავინ ახსნა იმ კაცის სიტყვები. მასპინძელს ერთი ქალიშვილი ჰყოლია, წამოდგა და თქვა: ამას მე ავხსნიო!

— პირველად რომ გითხრა, შენი ძმა რა უყავიო, ყავარჯენი გქონდა?

— არა, ყავარჯენი არა მქონდაო, — უთხრა ამ კაცმა.

— იმას ჰქონდა?

— კი, იმას ჰქონდაო.

— აი, ის იყო ძმაო, — უთხრა ქალიშვილმა.

— აღმართს რომ შეუდექით, ისეთი საუბარი უნდა დაგეწყო, რომ არც იმას და არც შენ არ უნდა გეგრძნოთ დაღლა. პურის ყანაზე რომ უთქვამს, განა არ შეიძლებოდა იმ ყანის პატრონს ორი იმდენი ნასესხები ჰქონოდა და ამიტომ შეჭმული ყოფილიყოო! კივილის ხმა რომ გაიგონეთ, იმ მიცვალებულს თუ შვილი არ ჰყავდა, სულ მკვდარი იქნებოდა და, თუ შვილი დარჩა, ნახევრად მკვდარი იქნებოდა.

რძლის მძებნელმა ყოველივე მოისმინა, ადგა და სახლში შევიდა.

— შვილო, რძლად უნდა წაგიყვანოო, — უთხრა ქალიშვილს, ამოიღო ოქროულობა და დანიშნა.

დაბრუნდა შინ, მოაწყო საქორწილო სუფრა და რძალი მოიყვანა. ერთი თვე რომ გავიდა (ეს მამა-შვილი კარგი ოსტატებია), თავიანთი იარაღით გაემგზავრნენ სამუშაოს საძებრად. მივიდნენ ერთ ქალაქში. ხელმწიფემ მოჰკრა ზევიდან თვალი.

— ვხედავ, ისინი ოსტატებია და აქ მომგვარეთო! — უთხრა ვეზირებს.

მოიყვანეს ოსტატები. ხელმწიფემ ჰკითხა:

— თქვენ ოსტატები ხართო?

— დიახო, — უთხრეს.

— აბა, ისეთი სახლი ამიშენეთ, თავისით ბრუნავდესო.

— კარგიო, — უთხრეს და ფასზედაც მორიგდნენ.

ოსტატები შეუდგნენ სახლის აშენებას. ისეთი სახლი ააგეს, რომ მთელ ქვეყანაზე მისი მსგავსი არ მოიძებნებოდა, თავისით ბრუნავს. სამუშაოს მორჩნენ, დღეს თუ ხვალ ფულიც უნდა მიიღონ.

— ხვალ დილით მიიღებთ ფულსაო. — უთხრა ხელმწიფემ.

იმ ღამეს ხელმწიფემ და მისმა ცოლმა იფიქრეს: ასეთ სახლს ესენი სხვა ვისმესაც აუშენებენ და ჩვენ რაღა ხელმწიფეები ვიქნებითო. გადაწყვიტეს ამათი მოკვლა.

მოხუცებული მიხვდა, რაც მოელოდათ. სოლი ჩაურჭო ბორბალს და სახლი გაჩერდა.

— რა არის, სახლი რომ გაჩერებულაო? — დაუძახა ხელმწიფემ ოსტატს.

— უხერხო ხერხი დამრჩა შინ და უმისოდ ვერ იმოძრავებსო,— უთხრა ოსტატმა.

— აბა, რაღა ვქნაო? — იკითხა ხელმწიფემ.

— რა და მე წავალ და მოვიტანო.

— თქვენ არა, მე გავუშვებ კაცს და მოვატანინებო.

— ბატონო, სხვა კაცს მას არ მისცემენ და გააწბილებენო.

— მაშინ ჩემს შვილს გავაგზავნი და იმას მოვატანინებო, — უთხრა ხელმწიფემ.

— კარგი, გააყოლე ერთი კაცი და შენი შვილი გაგზავნეო.

ოსტატმა ხელმწიფის შვილს დააბარა: სახლში რომ მიხვალთ, უთხარით: ოსტატმა შემოგითვალა, უხერხო ხერხი გამომიგზავნეთქო.

მოვიდნენ ოსტატების სახლში. დახვდათ რძალი.

— ოსტატმა შემოგითვალა, უხერხო ხერხი გამომიგზავნეო, — უთხრა ხელმწიფის შვილმა.

რძალმა მეორე ოთახის კარი გააღო და უთხრა მოსულებს: მე იმას ვერ ავწევ, შედით და თქვენ აიღეთ, აქა ძევსო.

ხელმწიფის შვილი მომყოლითურთ შევიდა სახლში. რძალმა კარი გამოუკეტა: ხელმწიფესა და მის მეუღლეს ჩემი ოსტატების დახოცვა სურთ, მაგრამ იმათ იქ რომ დახოცავენ, მე თქვენ აქ დაგხოცავთო.

იფიქრა ხელმწიფის შვილმა, იფიქრა და ჰკითხა ამ ოსტატის რძალს: რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო?

— შენ აქ დარჩი, მეორე რომ ვყავს, ის გაგზავნე, ამბავი მიუტანოსო, — უთხრა ქალმა.

გაუშვეს ეს კაცი. ქალმა დააბარა: თქვენ ფიქრობთ ჩემი ქმრისა და მამამთილის მოკვლას, მაგრამ როგორც მათ დახოცავთ, თქვენს შვილს მე აქ გავუსწორდებიო.

მივიდა ეს ბიჭი და ყველაფერი ხელმწიფეს მოახსენა.

— არ ყოფილა ამათი საშველიო, — თქვა ხელმწიფემ. დაუძახა ოსტატებს და უთხრა: დააბრუნეთ სახლი და თქვენი ფული წაიღეთო.

ისევ დააბრუნეს სახლი, მისცეს ფული და ოსტატები წამოვიდნენ შინ. შინ რომ დაბრუნდნენ, ხელმწიფის შვილი გაუშვეს თავის სასახლეში.

ასეთი რძალი რომ არ მოეძებნა იმ კაცს, თავისი გულის ნააზრევის მიმხვედრი. მას და შვილს ორივეს მოკლავდნენ.

ბედის მაძებარი კაცი

ერთი ღარიბი კაცი წავიდა ბედის საძებრად: რადაც არ უნდა დამიჯდეს, ჩემი ბედი უნდა ვიპოვოო. მიკიდა ერთ ტრიალ მინდორზე, დაინახა დიდი ხე, სადაც დიდი ბგელი იდგა და იტანჯებოდა.

— გამარჯობა, მგელო, შენიო! — უთხრა.

— ღმერთმა გაგიძარჯოსო!— უპასუხა, — სად მიდიხარ, კაცო?

— ბედის საძებრად მივდივარო, — უპასუხა ღარიბმა კაცმა.

— იმ შენს ბედს ჩემი გაჭირვების მიზეზიც ჰკითხე. კბილი მტკივა და რა არის მისი წამალი, არ ვიცი.

წავიდა ეს კაცი. მივიდა ერთ ხელმწიფესთან. დაინახა, იქ იდგნენ ჰუშები, დიდძალი ხალხი.

— გამარჯვება თქვენიო! — უთხრა მათ.

— ღმერთმა გაგიმარჯოსო! — უპასუხეს.

— სად მიდიხარ, ბიჭო, — ჰკითხეს.

— ჩემი ბედის საძებრად მივდივარო, — უპასუხა.

— იმ შენს ბედს ჩვენი გაჭირვების მიზეზიც ჰკითხეო, — უთხრეს.

— რა გაგჭირვებიათო?

— ჩვენი გაჭირვება შიმშილიაო.

— მერე და რა მიზეზითო?

— პურს დავთესავთ, მოსამკალი რომ გახდება, ცეცხლი წაეკიდება და დაიწვებაო.

ღარიბი კაცი გამოემშვიდობა მათ და წავიდა. ხელმწიფის სასახლეს ჩაუარა. ხელმწიფეს მიესალმა. ხელმწიფემ ჰკითხა: — სად მიდიხარო?

— ჩემი ბედის საძებრად მივდივარო.

— იმ შენს ბედს ჩემი გაჭირვებაც გააცანიო.

— რა გაგჭირვებიათო?

— საომრად მივდივართ ისეთ ხელმწიფესთან, რომელსაც ცოტა ჯარი ჰყავს, მე კი ბევრი ჯარი მყავს, მაგრამ ის ყოველთვის მჯობნის. იქნებ გამიგოს, რა მიზეზიაო.

— ძალიან კარგიო, — უთხრა.

გასწია და გაუდგა გზას. შეხვდა ერთი კაცი. გამარჯობა უთხრა, მაგრამ იმ კაცმა პასუხი არ გასცა. კიდევ გაუმეორა გამარჯობა ორსამჯერ, მაგრამ პასუხი მაინც არ გასცა. მივიდა და ხელი მოჰკიდა:— რა არის, გამარჯობა გითხარ და არ მიპასუხეო.

— რა გინდა, კაცო, რა გიჭირსო?

— ჩემი ბედი მინდა მოვძებნოო.

— მე ვარ შენი ბედი და რასა მთხოვო? — უთხრა.

— გზაზე დიდი მგელი შემხვდა, კბილი სტკიოდა მთხოვა, გამეგო, რა არის კბილის ტკივილის წამალი.

— ვირის ტვინი შეეამოს და მაშინვე მორჩებაო, — უთხრა ამ კაცმა.

— გზაზე მუშა ხალხი შემხვდა, შემომჩივლეს: დავთესავთ პურს და მოსამკალი რომ გახდება, გაუჩნდება ცეცხლი და გადაიწვება; გაგვიგე, რა არის ამის მიზეზიო.

— საიდანაც ცეცხლი უჩნდება, იქ მიწაში ოქრო და ვერცხლია დამარხული, ის ხურდება და ცეცხლიც იმისგან ჩნდება. ამოთხარონ მიწა, ამოიღონ ის ოქრო-ვერცხლი და მერე არ გაჩნდება ცეცხლიო.

— ახლა ხელმწიფის გაჭირვების მიზეზიც მითხარი, ასეთ დიდ-ჯარიან ხელმწიფეს როგორ სჯობნის მცირეჯარიანი ხელმწიფეო.

ბედმა უთხრა: დიდჯარიანი ხელმწიფე ქალია, პატარაჯარიანი კი—მამაკაცი, ამიტომ სჯობნის დიდჯარიანსო. თუ ის თავის ტანი-სამოსს გაიხდის, მამაკაცს ჩააცმევს და აომებს, უსათუოდ გაიმარ-ჯვებსო.

— შენთან ჩემმა გაჭირვებამ მომიყვანა. მითხარი, რა ბედი მაქ-ვსო! — ჰკითხა ბოლოს ღარიბმა კაცმა.

— შენი ბედი გზაზე შეგხვდება, თუ მიხვდებიო.

გამობრუნდა ეს კაცი და წამოვიდა. მოვიდა ამ ხელმწიფესთან.

— რა ამბავი მომიტანეო, — ჰკითხა ხელმწიფემ.

— შენ ქალი ხარ, შენს ტანსაცმელს თუ გაიხდი და მამაკაცს ჩააცმევ, აჯობებ იმ ხელმწიფესო.

— მოდი, შენ ჩაიცვი ეს ტანსაცველი, შენ იომე, შენ იყავი ხელმწიფე და მე შენი ცოლი გავხდებიო.

— არა, მე ვერ დავიცდი, მიმეჩქარებაო.

დაიქირავეს ვიღაც კაცი, ის აომეს. აჯობეს მტერს.

ეს კაცი წამოვიდა. მოვიდა მეორე სახელმწიფოში.

— რა ამბავი მოგვიტანეო? — ჰკითხეს.

— ყანას საიდანაც ცეცხლი უჩნდება, იმ მხარეს ოქრო და ვერ-ცხლია დაფლული, ამოიღეთ და ყანა გადარჩებაო.

— მოდი, შენც შემოგვიერთდიო, —სთხოვეს.

— არა, მე მივდივარ და ეს თქვენ გქონდეთო.

მივიდა ამ დიდ მგელთან.

— რა ამბავი მოიტანეო, — უთხრა მგელმა.

— შენი კბილის ტკივილის წამალი ვირის ტვინი ყოფილა. რო-გორც კი შეჭამ, მაშინვე მორჩებიო.

— შენ რა გითხრაო?

— რად გინდა, მე რა მითხრაო?

— არა, მაინც მითხარი, რა დაგბარაო.

— მე მითხრა, თუ მიხვდები, შენს ბედს გზაში შეხვდებიო.

— არაფერს შეხვედრიხარო?

— ჯერ არაო.

— სულ არაო?

დაჯდა და უამბო, თუ რა შეხვდა გზაზე.

მგელმა აქეთ-იქით გაიხედა და თქვა: სად მოვა აქ ამაზე უფრო უკეთესი ვირი, ეს ყოფილა ჩემი კბილის წამალიო, წააქცია ეს კაცი და შეჭამა.

წითელი კაცის ზღაპარი

ცხოვრობდა სამი ძმა, ძალიან ღარიბები. თვითონ კარგები იყვნენ, მაგრამ ქონება არ ჰქონდათ. თქვეს: რა ვქნათ, მოჯამაგირედ მაინც დავუდგეთ ვინმესო.

წავიდა უფროსი ძმა. უმცროსი ძმები შინ დარჩნენ. იქ, ახლოს, ერთი კაცი ცხოვრობდა, ვინც სადმე წავიდოდა, ყველა მასთან უნდა მოხვედრილიყო. ეს კაცი წითელი იყო და სახელად ქოსა ერქვა. უფროსი ძმაც ამასთან მოხვდა.

— სად მიდიხარ, ბიჭოო? — ჰკითხა ქოსამ.

— ქირით მინდა ვიმუშაოო.

— მამა-შვილობას, კაცი მეჭირდება და ჩემთან იმუშავე, წელიწადში ას მანეთს მოგცემ, მაგრამ თუ რამეზე გული მოგივიდა, უნდა მოგკლა, მე თუ მომივიდეს გული, შენ მომკალიო. მორიგდნენ.

ქოსამ ბიჭი წაიყვანა სახლში. მეორე დღეს გამოუწყო კავი და ხარები, წინამძღოლად ძაღლი გაატანა და უთხრა: წადი, შვილო, და ყანა მოხანიო.

დაიწყო ხვნა, შენი ჭირიმე, მაგრამ ძაღლი დარბის აქეთ-იქით. კაცი დაიღალა, საღამოს გასავათებული დაბრუნდა შინ.

— რა ჰქენი, ბიჭოო? — ჰკითხა ქოსამ.

— ძაღლმა აქეთ-იქით მარბენინა, გავთავდი კაციო.

— რაო, გული მოგივიდა? — ჰკითხა ქოსამ ნიშნისმოგებით.

ამდენი რაღა გავაგრძელოთ, მოკლა ეს ბიჭი.

ერთი წლის შემდეგ ძმებმა თქვეს: ძმა დაგვეკარგა. მოდი, მოვძებნოთო.

მოილაპარაკეს და საძებრად შუათანა ძმა წავიდა. ისიც ამ ქოსასთან მოხვდა. ქოსამ ჩაილაპარაკა: აჰა, კიდევ მოსაგები საქმე მომივიდაო! ქოსამ ამ ბიჭსაც მისცა ძაღლი, კავი და ხარები. საღამოს დაბრუნდა ცოცხალ-მკვდარი კაცი.

— რა ჰქენი, ბიჭო, მოხანი ყანაო?

ბიჭი გამწარებული იხედებოდა.

— რა არის, გული მოგივიდაო?! — ჰკითხა ქოსამ ამასაც ნიშნის-მოგებით

მოკლა ესეც. ორ წელიწადში ორი ძმა შეიწირა. დარჩა უმცროსი ძმა.

ადრე ასე არ გაკვირვებია, მაგრამ ახლა მეორე ძმაც რომ დაიკარგა, თქვა: რა ამბავია, რა მოხდა. რაღაც უბედურებააო, და წავიდა მათ საძებრად.

გზაში ქოსა შეხვდა. გამარჯობა, კარგად ყოფნა უთხრეს ერთმანეთს, აქითურა-იქითურა ილაპარაკეს და. ბოლოს, ქოსამ ჰკითხა: რას ეძებ, შვილოო?

— სამუშაოს ვეძებ, უქონელი ღარიბი კაცი ვარ. რაღაც უნდა ვიშოვო, იმიტომ წამოვედიო.

— ძალიან კარგი, მოვრიგდეთ და ჩემთან იმუშავეო, — უთხრა ქოსამ და მორიგდნენ.

ამასაც ისეთი პირობა დაუდო. როგორც უფროსსა და შუათანა ძმებს. ბიჭმა გაიკვირვა: გული რაზე უნდა მიმივიდესო?

მორიგდნენ ას მანეთად (ყველას აძლევს ას მანეთს, მაგრამ რად გინდა, სამ დღეს არ აცოცხლებს). ქოსამ მეორე დღეს ბისცა ძაღლი, ხარები და გაუშვა სამუშაოდ. ძაღლი ტყეში გაიქცა. აქეთ-იქით ეცა.

ბიჭმა ესროლა და მოკლა. დაწყო ხვნა. შუადღისას სახლში მოვიდა.

— რა ამბავია, ბიჭო, ძაღლი რა უყავიო? — ჰკითხა ქოსამ.

— შე კაცო, ის გაუწვრთნელი ყოფილა და მოვკალიო, — უთხრა.

— რატომ მოხვედი ასე ადრეო?

— ბომშივდა და მოვედიო.

— რა ბოხდა ბერე, ძაღლმა რომ ირბინა, განა იმაზე გული მოგივიდაო?

— არა, გასაგულისებელი რა იყო, ძაღლმა აქეთ-იქით ირბინა. მერე რა ვუყოთო! მაგრამ შენ ხომ არ მოგსვლია გული. ქოსავ! — უთხრა ბიჭმა.

— არა, მე რაზე ბომივიდოდა გული?

ქოსას ეწყინა. მაგრამ რა ექნა: გუგულის მოსვლამდე იყვნენ გარიგებულნი: სანამ გუგული „გუ-გუს“ არ დაიძახებდა. ქოსა ამ

ბიჭს ვერ გაუშვებდა. ოჯახის წევრები გააფრთხილა: ეს არ არის კარგის მოქტანი და ფრთხილად იყავითო.

დილას ქოსამ ბიჭს უთხრა: ამ ხარებს ფეხი არ დაუსველდეს. ისე დაალევინე წყალიო.

ბიჭმა წაიყვანა ხარები, ფეხები დააჭრა, ისინი იქვე დატოვა. ფეხები შინ წამოიღო.

— ბიჭო, ეგ რა გიქნია?

— ფეხები არ დაასველებინოო, მითხარი და მეც მოვჭერი, სხვა რა უნდა მექნაო.

ქოსამ თქვა: ეს თუ თავიდან არ მოვიშორე, საქმე გამიფუჭდებაო.

— შენი ვადა გავიდა, შვილო, და აი, ასი მანეთი, წადი, ახლავე.

— არა, მამაშვილობას, შენი ცოდვა მე რად მინდა, გუგულის მოსვლამდე ჯერ დიდი დროა დარჩენილიო.

ქოსამ იფიქრა: ეს მე კარგს არ მიზამსო და დედას უთხრა: შენ ადი ხეზე და დილას დაიძახე „გუგუ“, იმას ვადა გასული ეგონება და გავუშვებო.

დილით ქოსას დედა ავიდა ხეზე და, როგორც დაარიგა შვილმა, „გუგუს“ ძახილი დაიწყო. ქოსა და ეს ბიჭი ერთად ისხდნენ.

— აჰა, ბიჭო, შენი ვადა მოსულაო — და ასი მანეთი შეაძლია.

ადგა ეს ბიჭი, ქოსას თოფს ხელი წამოავლო, ესროლა და ქოსას დედა ხიდან ჩამოაგდო.

— ბიჭო, ეგ რა გიქნიაო?

— რა, ხომ არ გეწყინაო?

— არა, როგორ შეწყინა, — მაგრამ სიცოცხლე კი გაათავა ქოსამ.

მესამე დღეს წავიდნენ საფლავის სათხრელად. ქოსას ვაჟმა დაიგვიანა.

ქოსა გაბრაზდა და ბიჭს უთხრა: წადი მალე და ეს ბარი თავზე გადაატეხე ჩემს შვილს, ამდენხანს რომ იგვიანებსო.

წავიდა ეს ბიჭი, ქოსას შვილს თავში დაჰკრა ბარი და იქვე გაათავა. მკვდარ დედაბერს რომ მოასვენებდნენ, ქოსას ვაჟიც მკვდარი დაინახეს.

ახლა კი ქოსამ ერთი სიცოცხლე გაათავა, მაგრამ რაღას იზამდა. დარჩა მარტოდ მარტო ცოლ-ქმარი. ქოსამ ცოლს უთხრა: აქედან უნდა წავიდეთ, ერთი დღე და ღამე მჭადი აცხვე, ჩვენი საშველი არ არის, აქაურობა ამ ბიჭს უნდა დავუტოვოთო.

ცოლმა, როგორც ქმარმა უთხრა, აცხო მჭადები, გრძელ ყუთში ჩაალაგა და გასაქცევად მოემზადა. ღამით ეს ბიჭი ამ ყუთში ჩაძვრა. ქოსამ ჩუმად მოიკიდა ყუთი, ცოლი წაიყვანა და წავიდა. გზაზე დაიღალნენ.

— ქალო, ცოტა რამე შევჭამოთ, — უთხრა ქოსამ ცოლს.

ცეცხლი დაანთეს. მივიდა ქოსას ცოლი ყუთთან, ახსნა და იქიდან ეს ბიჭი ამოვიდა, მიუჯდა ცეცხლს. ქოსამ გადაწყვიტა ღამით მოეკლა ბიჭი.

დაღამდა. დაწვნენ, დაეძინათ. ბიჭმა დაიძინა იქ, სადაც ქოსას ცოლი იწვა, ქალი კი თავის საწოლში გადმოიყვანა. ადგა ქოსა, აიღო ნაჯახი, თავში ჩასცა მძინარეს და ცოლს გადასძახა: ადექი, ქალო, წავიდეთ, ამ ბიჭთან ანგარიში გავასწორეთ.

უცებ წამოდგა ბიჭი. ქოსა კი გაშეშდა.

— რაო, გული ხომ არ მოგვიდა, ქოსავ!

— ახლა ჩემს ყოფნას, არ ვიყო ის სჯობიაო! — უთხრა ქოსამ.

მოკლა იმ ბიჭმა ქოსა. იმისი ქონება მას დარჩა და, როგორც უნდოდა, ისე მოიხმარა.

დარდიანი

ერთი კაცი ქვეყნიერებისთვის დარდობდა: რა დღესაც ავ სიტყვას გაიგონებდა, იმ დღეს პურს აღარ შეჭამდა.

ერთ დღეს ცუდი არა გაეგონა რა, იყიდა ხორაგი, მიიტანა სახლში და უთხრა ცოლს: დედაკაცო, დღეს ქვეყნის მშვიდობიანობა მესმის, კარგი სადილი მომიმზადეო.

გაუკეთა სადილი და, როგორც რომ დაჯდა სუფრაზე, შემოვიდა ერთი პატარა ბიჭი და უთხრა:

— ოსტატო, ახალი ამბავი არ გაგიგიაო?

— რა არის, შვილო, ახალი ამბავიო?

— ქვევით უბანში ერთ ფურს უკუდო ხბო მოუგიაო.

დაღონდა ეს კაცი და უთხრა ცოლს: აალაგე სუფრა, თორემ პური გაგვწარდაო.

ცოლმა უთხრა: კაცო, შენ იმისთვის რასა დარდობ, ცეტი ხომ არა ხარო!

— მაშ, იმას მკათათვეში რომ ბუზები დაეხვევიან, რით უნდა მოიგერიოსო? — თქვა და ადგა სუფრიდან.

მკვეხარა

ერთი კაცი ცოლს თავზე კვერცხს ადებდა, თოფს ესროდა და კვერცხს გადმოაგდებდა ხოლმე ძირს. დედაკაცს გული უსკდებოდა შიშისაგან და ქმარი კი იკვეხოდა: ჩემისთანა ვაჟკაცი კიდევ იქნებაო? ქალმა იჩივლა თავის დედასთან, რომ ჩემი ქმარი ესე მიშვრება და ძალიან მეშინიაო. დედამ უთხრა: ერთიც რომ დაიკვეხოს, შენ უთხარი: მჯობნზე მჯობი არ დაილევა-თქო.

როდესაც ამ კაცმა თავზე კვერცხი დაუდო და თოფით გადმოაგდო, მოჰყვა კვეხნას. ცოლმა უთხრა: რას იკვეხი, მჯობნზე მჯობნი არ დაილევაო!

ამ კაცმა თქვა: ვინ იქნება, რომ მე მაჯობოსო. წავიდა ასეთი კაცის საძებნელად.

ერთ სოფელში გაიარა. ნახა, რომ ერთმა ქალმა წყალი აავსო და მიჰქონდა.

— ერთი წყალი დამალევინეო, — უთხრა მკვეხარამ.

— აი, წყარო, მიდი და დალიეო.

— შენ დამალევინეო.

— მე კოკას ვერ დავანაკლულებო.

— დამალევინე, თორემ კოკას გაგიტეხო!

ქალმა ამ ბიჭს ფეხში ხელი ჩაავლო, კოკა და ბიჭი ორივე აიკიდა და შინ აიტანა, ხელ-ფეხი შეუკრა და ისე დააგდო. ამ ქალს მაჰამთილი მოუვიდა. ნახეს, კაცი შეკრული გდია. უთხრა: ვინ არის, შვილო, ეგაო?

— მაგას კოკა უნდა გაეტეხა ჩემთვის და იმისთვის შევკარიო.

მერე ის ბიჭი შეეხვეწა ბერიკაცს: სთხოვე, გამიშვასო. ბებერმა კაცმა უთხრა რძალს, გაათავისუფლეს ბიჭი და დაარიგეს: წადი და თავშდაბლად მოიქეცი, თორემ უარესი დღე დაგადგებაო.

ეს ბიჭი წამოვიდა, თავისი ვაჟკაცობა დაავიწყდა და ამბობდა: ჩემი ცოლი მართალს მეუბნებოდა, რომ მჯობნზე მჯობნი არ დაილევაო.

პირმყრალა

ერთი ძალიან მაგინებელი კაცი იყო და პირმყრალას ეძახდნენ. ყველას ეჯავრებოდა ეს კაცი. თქვა: რადგან ყველას ვეჯავრები, წავალ მონასტერში და ბერებს ვემსახურებიო. მივიდა ბერებთან

და უთხრა: თქვენი არა მინდა რა. პური მაუამეთ და თქვენ გემსახურებითო.

ბერებმაც მიიღეს და იმსახურეს რამდენიმე თვე.

ამ ბერებს ჩვეულებად ჰქონდათ: ზაფხულობით წავიდოდნენ და სოფელ-სოფელ პურს აგროვებდნენ. ამ კაცს აჰკიდებდნენ ტომრებს, ორი ბერი წინ მიუძღოდა.

მივიდნენ ერთ სოფელში, გამოვიდა ერთი ქალი და ხელი დაუქნია: დადექითო. ბერები დადგნენ. ამათ ეგონათ: სადილს გვაპმევენო. ერთი საათი ელოდნენ. მერე გამოვიდა ქალი და უთხრა: ახლა წადითო.

უყურა ამ მაგინებელმა და უთხრა: ან ჩვენი დაყენება რა იყო, ან წასვლა რა არისო?

იმ ქალმა უთხრა: ჩემმა დედამთილმა დამარიგა: მაღალქუდიანი კაცი რომ ნახო, კრუხი დასვიო და ქოჩორა წიწილებს გამოჩეკავსო. ახლა მე კრუხი დავსვი და ისიტომ დაგაყენეთო.

ამ კაცმა ჰკითხა: სად არის შენი დედამთილიო?

— საიქიოს არისო.

— საიქიოს ის ჩაძაღლდეს და საქაოს — შენაო!..

ბერებმა გაიცინეს და ჰკითხეს:

— ყოველთვის ეგრე სიმართლით გიგინებიაო?

— ასე მიგინებიაო.

— მაშ, შენ ცხონებული ყოფილხარო. — ადგნენ და წავიდნენ.

გაუმაძღარი ცოლი

ერთი საწყალი კაცი ჯაგებში დადიოდა და შეშას აგროვებდა. შეხვდა ერთი გველი და უთხრა: რას დადიხარო?

კაცმა უთხრა: რა ვქნა, წვრილშვილის პატრონი ვარ, შეშა უნდა მოვაგროვო და წავიღო.

გველმა უთხრა: მე ერთ რაშეს გასწავლი და იქ წადი: ხელმწიფეს ერთი სიზმარი უნახავს, წადი, აუხსენი და რაც გაჩუქოს, მოიტანე და შუაზე გამიყავიო.

— მასწავლეო, — უთხრა გლეხმა. გველმა უთხრა, წადი, ხელმწიფე დალოცე და უთხარი: წუხელ სიზმარი გინახავს და უნდა აგიხსნა-თქო. გეტყვის: მართალიაო, და უთხარი: შენ წუხანდელ

სიზმარში ხმალი გეკიდა, სხვა ხელმწიფე მოდის შენზე საომრად და თადარიგი დაიჭირე-თქო.

მივიდა ეს კაცი ხელმწიფესთან და სიზმარი აუხსნა. ხელმწიფემ მადლობა გადაუხადა, ერთი გუდა აუვსო ფულით. წამოვიდა სიხარულით თავის სახლში, მოიტანა და ცოლს უთხრა: ხელმწიფის სიზმარი ავხსენი და ერთი გუდა ფული მაჩუქა, მაგრამ ვინც მასწავლა, ნახევარი იმას უნდა მივცეო.

— ვინ გასწავლაო? — ჰკითხა ცოლმა.

— მცურავმა მასწავლაო.

— შენ ხომ არ გაგიჟებულხარო, — უთხრა ცოლმა, — მცურავს ფული რად უნდაო?!

ამ კაცმა ცოლის სიტყვა დაიჯერა და აღარ წაუღო.

ერთი კვირის შემდეგ ხელმწიფემ კიდევ ნახა სიზმარი და დაიბარა ეს კაცი. დაღონდა იგი და უთხრა ცოლს: აბა, ეს რა მიყავიო?

ადგა და წავიდა გველთან. გველი თავის სოროს პირზე იწვა. მივიდა ეს კაცი და შეეხვეწა: შენი ჭირიმე, დედაკაცმა შემაცდინა და ხელმწიფე მიბარებს, მასწავლე, რა ვუთხრაო?

მცურავმა უთხრა: ხელმწიფემ რომ გკითხოს, შენ უთხარი: სამი მჭლე ხარი გინახავს და სამი წელიწადი შიმშილობა ჩამოვარდება, მოსავალი არ მოვა და, თუ შეგიძლია, თადარიგი დაიჭირეთქო.

მივიდა ხელმწიფესთან და აუხსნა სიზმარი. კიდევ აუვსო ფულით გუდა და წამოვიდა. გამოიარა შინ და უთხრა ცოლს: ახლა კი უნდა წავუღო მცურავსაო.

ცოლმა უთხრა: კაცო, ხომ არ გაგიჟებულხარ, მცურავს ფული რად უნდაო? აიღე კეტი, მოკალი და სულ ჩვენ დაგვრჩებაო.

ეს კაცი მართლა გაბრიყვდა, აიღო ჯოხი და წავიდა მოსაკლავად. გველს რომ მიუახლოვდა, ჯოხი უკან დაიჭირა. გველმა იგრძნო, ეს კაცი ჩემს მოსაკლავად მოდისო და მაშინვე სოროში შევარდა. კაცმა ჯოხი ესროლა, კუდში დასჭრა, გამობრუნდა და წამოვიდა.

გავიდა რამდენიმე დღე, დაიბარა ხელმწიფემ და უთხრა: სიზმარი ვნახე და უნდა ამიხსნაო.

ამ კაცმა უთხრა, ხვალამდის დამაცადეო. წამოვიდა სახლში, ცოლი გამოლანძღა: შე ასეთ-ისეთო, ეს რა მიყავი, ხვალ ხელმწიფე ჩამომახრჩობს, თუ სიზმარი ვერ ავუხსენიო. მცურავი ახლა რაღას მასწავლისო.

ადგა, წავიდა მცურავთან და შეეხვეწა: მოვტყუვდი ცოლის

სიტყვითა და მაპატიე ჩემი დანაშაულიო. ახლა ხელმწიფე მიბარებს და თუ სიზმარი ვერ ავუხსენი, ჩამომახრჩობსო. აქვე თავს მოვიკლავ და იქ კი არ წავალო.

შეიცოდა გველმა და ასწავლა. წავიდა ეს კაცი და აუხსნა სიზმარი. მერე შეიყვანეს იგი ხაზინაში, აუვსეს ერთი გუდა ფულით და გაისტუმრეს. ეს კაცი შინ არ წავიდა, პირდაპირ მცურავს მიუტანა ის ფული და უთხრა: აი, ჩემო მეგობარო, რაც მომცა, სულ შენთან მოვიტანეო!

გველმა უთხრა: მე რად მინდა ფული? წაიღე, ეგეც შენი იყოს, მაგრამ შენს კაცობასა და იხტიბარს ვცდიდიო.

მეფე და ვეზირები

იყო ერთი მეფე. ჰყავდა სამი ვეზირი. ერთ დღეს მოიხმო მეფემ ვეზირები და უთხრა: გამიგეთ, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე რამდენი ხნის სავალია, ღმერთს საითა აქვს პირი და მე რამდენად ვლირვარო.

ვეზირებმა ვერ ახსნეს. მაშინ მეფემ უბრძანა:

— მე სამი დღის ვადას გაძლევთ და ამ სამ დღეში ან თქვენ ამიხსენით და ან იპოვეთ კაცი ამის ამხსნელი, თორემ სამივეს თავებს დაგჭრითო.

წავიდნენ. თვითონაც ბევრი იფიქრეს, სხვასაც ბევრს ჰკითხეს, მაგრამ ეს სამი კითხვა ვერ ახსნეს. მივიდნენ ერთ წისქვილთან და მეწისქვილეს ცეცხლის დანთება უბრძანეს. მეწისქვილემაც ცეცხლი დაანთო და შეამჩნია ვეზირებს მოწყენილობა. ჰკითხა: რად ბრძანდებით ეგრე მოწყენილები, ჩემო ბატონებოო. ჯერ არც ერთმა არა უთხრა-რა, იფიქრეს: ამას რა გაეგებაო. მერე ერთმა მათგანმა თქვა: იქნება ღმერთმა აგონოს და აგვიხსნასო. უთხრეს: ასე და ასეა ჩვენი საქმეო.

მეწისქვილემ მოახსენა: ეგ რა საფიქრებელი და დასაღონებელია, მე შეშიძლია მაგ კითხვების ახსნაო.

გაუხარდათ ვეზირებს, წავიდნენ და მეფეს მოახსენეს: ბატონო მეფეო, ჩვენ თქვენი კითხვების ახსნა ვერ შევძელით და კაცი კი ვიშოვეთ მაგის ამხსნელიო.

მაშინ მეფემ მოიხმო მეწისქვილე და უბრძანა: აბა, მითხარი, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე რამდენი ხნის სავალიაო?

მეწისქვილემ მიუგო: აღმოსავლეთიდან დასავლეთამდის არც თქვენ ბრძანებულხართ ფეხით და არც მე. მზე-მთვარით ოცდა-ოთხი საათის სავალი არისო.

მერე მეფემ უბრძანა: აბა, ახლა ამიხსენ, ღმერთს პირი საითა აქვსო?

მეწისქვილემ აანთო სანთელი და მოახსენა: აბა, ამ სანთელს საითა აქვს პირიო?

მეფემ თქვა: ამას პირი ყოველ მხრივა აქვსო.

მაშინ მეწისქვილემაც მიუგო: ღმერთსაც ყოველ მხრივა აქვს პირიო.

მეფემ ახლა მესამე კითხვა მისცა: მე რამდენად ვღირვარო?

მეწისქვილემ მოახსენა: მეფევ ბატონო, თუ არ გამიწყრებით, მოგახსენებთ: ქრისტე ოცდაათ ვერცხლად გაყიდეს და მეტად აღარც თქვენ ეღირებითო.

მეფეს ძალიან მოეწონა მეწისქვილის პასუხი და დაასაჩუქრა.

ქვრივი ქალი და ერთი ქოთანი ნადული

იყო ერთი საწყალი ქვრივი დედაკაცი. ჰყავდა სამი ობოლი. ცხოვრება უჭირდა: რა უნდა ეჭმია და ესმია ობლებისათვის, ლობიოსა და მჭადის მეტი არაფერი მოეპოვებოდა, იმისი შოვნაც უძნელდებოდა.

ერთ დღეს ქვრივმა ქალმა მოკრიფა ქორფა კიტრები, ჩაყარა გოდორში, მოიკიდა ზურგზე და წავიდა ბაზარში: კიტრებს გავყიდი და ბავშვებს რამეს ვუყიდიო.

დაინახა, გზაზე ეგდო ერთი ნადულით სავსე ქოთანი. ქალს ნადულის პოვნა ძალიან გაუხარდა: ჩემს ობლებს ღმერთმა საჩუქარი გამოუგზავნაო. აიღო ქოთანი და წავიდა გახარებული. შორი გზა ჰქონდა გასავლელი და მიიჩქაროდა.

ქვრივი ქალი ჩაფიქრდა. თვალწინ წარმოუდგა მისი გაჭირვებული ცხოვრება, უდროოდ დაკარგული ქმარი, საწყალი ობლები, უკაცო ოჯახი. ფიქრობს: რა კარგი დღე გამითენდა. კიტრებს გვარიან ფასად გავყიდი, ნადულშიაც ორ მანეთს ავიღებ, ამ ფულით ერთ დეკეულს ვიყიდი, გავზრდი და მარჩენალი ძროხა მეყოლებაო; ჩემ ობლებს მაშინ არც რძე მოაკლდებათ, არც ყველი და არც ნადულიო.

ქვრივს ეგონა, ეს ყოველივე ცხადად აუხდა და ძროხის წველას შეუდგა. ამ ფიქრებში წასული ქალი გზას აცდენოდა და პირდაპირ მდინარეს მიდგომოდა. უცებ ფეხი დაუცდა და შიგ მორევში გადავარდა. კიტრები და ნადუღი წყალმა წაართვა, თვითონაც ძლივს გადაარჩინეს მგზავრებმა.

ქვრივი ქალი წყლიდან ამოიყვანეს სულ დასველებული. ჯერ კიდევ აზრზე ვერ მოსულიყო. შემდეგ ცოტა რომ მოსულიერდა, ისევ შინ დაბრუნდა.

მირბოდა საწყალი სახლისკენ და მიტიროდა: ვაი, ჩემო უბედურო ობლებო, მოგიკვდეთ დედათქვენი, როგორ ხელიდან გამოგაცალეთ მარჩენალი ძროხაო!

ასეთია ღარიბი კაცის იღბალი. რა იქნებოდა, საწყალი ქვრივი ქალი წყალში არ გადავარდნილიყო! მაგრამ ხომ გაგიგონია, შენ ხარ ჩემი ბატონი, საწყალ კაცს ქვა ალმართში მიეწევაო!..

უმცროსი ძმა

იყო და არა იყო რა, ცხოვრობდა სამი ძმა. უმცროსი ძმა არ უყვარდათ უფროსებს და ისიც იძულებული გახდა სახლიდან წასულიყო. უნდოდა ვინმეს შვილად აეყვანა.

ბევრი ეძება მამობილ-დედობილი, ბევრი სოფელი მოიარა, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს, ეს ბიჭი შორეულ სოფელში შეხვდა ოხუც უშვილო ცოლ-ქმარს. მათ ბიჭის თავგადასავალი გაიგეს და იშვილეს. სამი გოჭი ჰყავდათ და შვილობილსაც მათი მოვლა დაავალეს.

მეორე დღეს ამ ბიჭმა გამორეკა გოჭები და ტყისკენ წავიდა. გაიარა შუა სოფელში. დაინახა თავადის ქალიშვილმა და აივნიდან გადმოსძახა:

— ყმაწვილო, ყიდი მაგ გოჭებსო?

— ვყიდიო, — უპასუხა ბიჭმა.

— რას აფასებო?

— ჩამობრძანდით ძირს, ახლოს გასინჯეთ გოჭები და მოვრიგდეთო.

ქალი სასწრაფოდ ჩამოვიდა. ბიჭმა ფული არ აიღო.

— კაბა აიწიე მუხლებამდის და ერთი გოჭი შენი იყოსო, — უთხრა თავადის ქალს.

ქალმა კაბა აიწია მუხლებამდის და ბიჭმაც მისცა ერთი გოჭი. საღამოს მოიყვანა შინ ორი გოჭი. მამობილი შეეკითხა: შვილო, მესამე გოჭი რაღა უყავიო?

— მგელმა მომტაცაო. — უპასუხა ვაჟმა.

მამობილმა არაფერი უთხრა. მეორე დღეს ბიჭმა ტანსაცმელი გამოიცვალა და ისევ ისე წაიყვანა ტყეში ორი გოჭი. იმავე აივნიდან კიდევ გადმოსძახა თავადის ქალიშვილმა:

— ყმაწვილო, ყიდი მაგ გოჭებსო?

— ვყიდიო, — უპასუხა ბიჭმა.

— რას აფასებო?

— ჩამობრძანდით დაბლა და მოვრიგდეთო.

ქალი მაშინვე ჩავიდა. ბიჭი ფულზე არ მოურიგდა.

— კაბა აიწიე წელამდის და ერთი გოჭი შენი იყოსო.

ქალმა აიწია კაბა წელამდის და ბიჭმაც მისცა ერთი გოჭი. საღამოს მოიყვანა სახლში ერთი გოჭი.

— შვილო, მეორე გოჭი რაღა უყავიო? — შეეკითხა მამობილი.

— მგელმა მომტაცა, ბევრი ვდიე, მაგრამ ვერ დავატოვებინეო, — უპასუხა ბიჭმა. მამობილს არც ახლა უთქვამს რამე.

მესამე დღეს ბიჭმა ისევ გამოიცვალა ტანსაცმელი, წაიყვანა ერთი გოჭი და ტყისკენ წავიდა. იმავე აივნიდან კიდევ გადმოსძახა თავადის ქალიშვილმა:

— ყმაწვილო, ყიდი მაგ გოჭებსო?

— ვყიდიო, — უპასუხა ბიჭმა.

— რამდენს აფასებო?

— ჩამობრძანდით დაბლა და მოვილაპარაკოთო.

ქალი მაშინვე ჩამოვიდა. ბიჭი ფულზე არ მოურიგდა.

— კაბა გაიხადე, ტიტველი მეჩვენე და ეს გოჭი შენი იყოსო.

ქალმა გაიხადა კაბა და ბიჭს ტიტველი ეჩვენა. ბიჭმა ტიტველ ქალს ზურგზე შენიშნა სამი თეთრი ბეწვი. მისცა ქალს ეს ერთადერთი გოჭიც და თვითონ შინ დაბრუნდა ცარიელ-ტარიელი. მამობილი შეეკითხა: შვილო, გოჭი რა უყავიო?

— ისიც მგელმა შემიჭამაო. — უპასუხა ბიჭმა. მამობილს არც ახლა უთქვამს რამე.

ერთი კვირის შემდეგ თავადმა (იმ ქალის მამამ) გამოაცხადა: ვინც ჩემ ქალს ნიშანს გაუგებს, ჩემი ქონებაცა და ქალიშვილიც იმას დარჩებაო.

მოდიან ყოველდღიურად მნახველები, უცქერიან ამ ქალს, ზოგი რას ამბობს, ზოგი რას, მაგრამ ნამდვილს ვერავინ გებუ-

ლობს. ერთ დღეს ამ ბიჭმა დაინახა, რომ კარგი ნასწავლი ყმაწვილი მოდის ეტლით, თან დიდძალი ოქრო-ვერცხლი მოაქვს. დაუხვდა წინ და ჰკითხა: სად მიბრძანდებით, ვის ეძებთო?

— თავადის მზეთუნახავთან მივდივარ, მაგრამ მისი ნიშანი კი არ ვიცი.

— მე გასწავლი მის ნიშანს, ოღონდ რაც ოქრო-ვერცხლი გაქვს, მოვეციო.

ამ ყმაწვილმა მისცა თავისი ოქრო-ვერცხლი ეტლითურთ და ბიჭმაც ასწავლა, თან დაუმატა: თავადმა რომ პირველად იკითხოს ნიშანი, ხმა არ ამოიღო; მეორედ რომ იკითხოს, მაშინ უთხარიო.

ბიჭი დაბრუნდა მამობილ-დედობილთან მოგებული სიმდიდრით. ოქრო-ვერცხლი მამობილს ჩაბარა და გასწია თავადის ქალიშვილთან. იქ თავი მოეყარა სასიძოებს, ყველას უნდოდა ამ მზეთუნახავის ხელში ჩაგდება. გამოვიდა თავადი და დაიძახა: აბა, ვინ მეტყვის ჩემი ქალის ნიშნებსო.

ბიჭი წინ წადგა და დაიწყო ნიშნის თქმა. ამას ყური რომ მოჰკრა ნასწავლმა ყმაწვილმა, მანაც უთხრა თავადს ქალის ნიშნები, მაგრამ თქმა ამ ბიჭმა დასწრო. შეიქნა დავა, თუ ვის უნდა დარჩენოდა ქალი. საქმე მორიგებით ვერ გადაწყდა. მაშინ თავადმა ასეთი პირობა დაუდო: ვინც თქვენს შორის ჩემს სამოცდაათ კურდღელს უკლებლივ შეინახავს მთაში, ჩემ ქალს იმას გავატანო.

ნასწავლმა ყმაწვილმა ვერ გაბედა კურდღლების წაყვანა. წაიყვანა უმცროსმა ძმამ.

მეორე დღეს თავადმა სხვა ტანსაცმელი ჩაიცვა და წავიდა უმცროს ძმასთან, იქნებ ერთი კურდღელი წავართვაო. ბიჭმა მაშინვე იცნო თავადი და ტკბილი საუბარი გაუბა.

— ერთი კურდღელი მაჩუქეო, — სთხოვა თავადმა.

— წაიყვანე, ოღონდ შენი შარვალი დამიტოვეო.

თავადმა დაუტოვა შარვალი და წაიყვანა კურდღელი. გახარებულია, იმას კი არ დარდობს, უშარვლოდ რომ მიდის. უცებ ხელიდან გაუსხლტა კურდღელი და ტყეში გაიქცა. დაბრუნდა თავადი შინ გაწბილებული.

მეორე დღეს თავადის ცოლი წავიდა კურდღლის მოსაყვანად. უმცროსმა ძმამ ისიც კარგად იცნო, მაგრამ თავი ისე მოაჩვენა, რომ თითქოს თავის სიცოცხლეში არ ენახოს.

— ყმაწვილო, მშიერი მგზავრი ვარ, ერთი კურდღელი მომეციო, — უთხრა ბიჭს.

— ორი წაიყვანე, ოღონდ სახსოვრად თქვენი კაბა დამიტოვეთო.

ქალმა დაუტოვა კაბა და წაიყვანა ორი კურდღელი. მორბის კახარებული. იმას კი არ დარდობს, კაბა რომ არ აცვია. უცებ წაიფორხილა და მიწაზე გაიშხლართა. კურდღლებმა ტყისაკენ მოკურცხლეს. დაბრუნდა შინ გაწბილებული. თავისი განსაცდელი კი არავის გაუმხილა.

მესამე დღეს თვითონ თავადის ქალიშვილი წავიდა კურდღლის წამოსაყვანად. შეიფუთნა ძველ ტანსაცმელში, ხელში ჯოხი დაიჭირა და ისე მიადგა ამ ბიჭს. უმცროსმა ძმამ მაშინვე იცნო თავადის ქალიშვილი, მაგრამ თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ვერ მიხვდა.

— ყმაწვილო, ერთი კურდღელი მაჩუქე, მადლიაო.

— სამი წაიყვანე, ოღონდ შენი პერანგი დამიტოვე და ნება დამრთე, ლოყაზე გაკოცოო.

თავადის ქალიშვილმა აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, ვერავინ დაინახა, უცებ გაიხადა თავისი აბრეშუმის პერანგი და ბიჭს მისცა. ბიჭმა სამჯერ აკოცა ლოყაზე, გამოიყვანა სამი კურდღელი და გამოატანა.

ქალიშვილი გახარებული გამოიქცა შინ. მორბის და ფიქრობს: სამი კურდღელი დააკლდება და მამაჩემი აბას აღარ მიმცემსო. სახლს რომ მიუახლოვდა, კურდღლები ველარ შეიმაგრა. ერთი ხელიდან გაუსხლტა. ქალი მას დაედევნა. რომ უნდა დაწეოდა, მეორეც გაუსხლტა ხელიდან, თავი ველარ შეიმაგრა და მიწაზე გაიშოტა. ამ დროს მესამე კურდღელმაც თავს უშველა.

დარჩა თავადის ქალიშვილი გაწბილებული. მოვიდა შინ გამწარებულ-დაძმარებული. მშობლებს, აბა, ხომ არაფერს ეტყოდა!

მეოთხე დღეს თავადმა შეუთვალა ბიჭს: კურდღლები ჩამოიყვანეო. ბიჭმა ჩააბარა მას სამოცდაათი კურდღელი უკლებლივ. ახლა კი თითქოს გადაწყდა საქმე უმცროსი ძმის სასარგებლოდ, ნასწავლ ყმაწვილს რაღა უნდა ეთქვა, შინ წასვლას აპირებდა. მაგრამ თავადს მაინც არ უნდოდა თავისი ქალი ამ ბიჭისათვის. ეშმაკობას ხმარობდა, რომ ის თავიდან მოეშორებინა.

ახლა ასეთი ბრძანება გასცა: ვინც სამ ტომარას ტყუილით გაავსებს, ჩემ ქალს ის წაიყვანსო.

ვერავინ გაბედა ასეთი ტყუილის თქმა. ისევ ისე ეს ბიჭი წადგა წინ და დაიძახა: მე გავავსებ ტომრებსაო!

მიუტანეს ტომრები. ბიჭმა აიღო პირველი ტომარა და დაიწყო მოყოლა იმისა, თუ როგორ მისცა თავადმა ერთ კურდღელში თავისი შარვალი, მაგრამ დამთავრება აღარ აცალა და თავადმა დაიძახა: კმარა, ეს ტომარა სავსეაო!

მეორე ტომარა რომ მოუტანეს, ბიჭმა დაიწყო მოყოლა, თუ როგორ მისცა თავადის ცოლმა ორ კურდღელში თავისი კაბა... მაგრამ ქალმა დამთავრება აღარ აცალა და დაიყვირა: კმარა, ეს ტომარაც სავსეაო!

მესამე ტომარა მოუტანეს. ბიჭმა დაიწყო მოყოლა, თუ თავადის ქალიშვილმა როგორ მისცა სამ კურდღელში თავისი პერანგი... მაგრამ ქალიშვილმა დამთავრება აღარ აცალა და წამოიძახა: კმარა, კმარა, ეს ტომარაც სავსეაო!

უმცროსმა ძმამ აჯობა ყველას და გაამტყუნა თავადი. შეირთო ცოლად მისი ქალიშვილი, ამდენი ქონება ძმებსაც გაუნაწილა და იცხოვრა ბედნიერად.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ნაცარი იქა, ფქვილი აქა...

ურჩი შვილები

ერთ ხელმწიფეს ორი ვაჟი ჰყავდა. მამას არაფერს უჯერებდნენ, საითაც გაიწევდნენ, იქით მიდიოდნენ. ხელმწიფე დაღონდა. არ იცოდა, როგორ გაეზარდა ურჩი შვილები. დამწუხრებულმა თავისი სასახლე შავად შეღება. შვილებმა ჰკითხეს:

— ყველას სასახლე წითლად და თეთრად არის შეღებილი. ჩვენი სასახლე რატომ გაგიშავებია?

— მე, შვილებო, ჯავრი მაქვს და იმიტომაო.

— ჯავრი რა არის, ნეტავ რას გვეუბნებიო! — უთხრეს შვილებმა.

— როცა ნახავთ, შვილებო, მაშინ გაიგებთო!—უპასუხა მამამ.

ჯავრის გასაგებად ბიჭები სხვა სახელმწიფოში წავიდნენ. სამი დღე და სამი ღამე იარეს და ერთი ხელმწიფის სასახლე დაინახეს. სულ წითლად ლაპლაპებდა ეს სასახლე. მივიდნენ ხელმწიფესთან და ჰკითხეს: ჩვენ ამა და ამ ხელმწიფის შვილები ვართ, მამაჩვენს სასახლე შავად აქვს შეღებილი, თქვენ კი წითლად მოგირთავთ. გვითხარით, რა მიზეზიაო.

— მე ჩემი სახელმწიფო და ცოლ-შვილი ერთგული მყავს, ხალხსაც და ცოლ-შვილსაც ჩემი ესმის. ამიტომ ჯავრი არ ვიცი და სასახლეც აფერადებული მაქვსო.

შვილები სახლში დაბრუნდნენ და, რაც ამ ხელმწიფემ უთხრა, მამას უამბეს.

— მე, შვილებო, ხალხიც კარგი მყავს, სახელმწიფოც კარგი მაქვს, მხოლოდ თქვენ გამომადექით ცუდები, ჩემი არა გჯერათ, სადღაც დაიღუპებით, ამას ვდარდობ და სასახლეც ამიტომ შევ-ღებე შავადო.

შვილებმა გადაიხარხარეს. აიღეს მშვილდისრები და სანადი-როდ წავიდნენ. მამამ ბევრი უშალა, მაგრამ არ გაუგონეს.

ცხრა მთა და ცხრა მინდორი გადაიარეს. მივიდნენ ერთ დიდ ფარეხთან. ეს ფარეხი ცხვრით არის სავსე. ძმები შიგ შევიდნენ. დაინახეს, ცეცხლი ანთია, ზედ ცარიელი შამფური დევს და ტრიალებს. ძმებმა მეცხვარეს უთხრეს: ეს რა არის, თავისით როგორ ტრიალებს ცარიელი შამფურიო?

მეცხვარემ ერთ ბიჭს დაავლო ხელი, ააგო შამფურზე და დაუწყო შეწვა. ეს მეცხვარე ცალთვალა იყო. ფარეხს ერთი კარი ჰქონდა და ისიც ჩაკეტა. უმცროსმა ძმამ დაინახა, რომ ისიც იღუ-პებოდა და მეცხვარეს უთხრა: ნუ მომკლავ და თვალს აგიხელო.

— ოღონდ ეს თვალი მომირჩინე და არაფერს დაგიშავებო.

— აბა, დაწექი და თვალში წამალს ჩაგიშვებო, — უთხრა ბიჭმა.

მეცხვარე დაწვა და საღი თვალიც მოხუჭა. ბიჭი სწვდა ამ შამ-ფურს, ჩაჰკრა მეცხვარეს და მეორე თვალიც გადმოაგდებინა. დაბრმავდა მეცხვარე. სიმწარისაგან წამოვარდა და ბიჭს დაემუქრა. მე კი დამაბრმავე, მაგრამ არც შენ გაგიშვებ ცოცხალს, სად გაიქ-ცევი, კარები დაკეტილია და ახლავე დაგიჭერო!

გამოუდგა ამ ბიჭს, დასდევს, მაგრამ ვერ იჭერს. ბიჭი ხან აქეთ გაერევა ცხვარში, ხან იქით. შეწუხდა მეცხვარე. გააღო ფარეხის კარები, ჩაჯდა კარებში და თქვა: რამდენი ბეწვი აქვს ჩემს ცხვარს დათვლილი მაქვს, სადღა წამიხვალ, ცხვარს რომ გარეთ გავრეკავ. ხელში ჩაგიგდებო.

ცხვარი გარეთ გადის, მეცხვარე ყველას სინჯავს და თვლის ბიჭი ჯავრში ჩავარდა. თავ-ბედს იწყევლის. ხერხი იხმარა: დაკლა ერთი დიდი ერკემალი, სანამ ცხვარი გავიდოდა, გაატყავა, წამოის-ხა იმის ტყავი, რქები და თავი ხელში დაიჭირა და კარებს მიადგა. მეცხვარემ ხელი გადაუსვა ზურგზე და უთხრა: — გადი, გადი, ჩემო ერკემალო, ახლა გაშუალდა ჩემი ცხვარიო.

ბიჭმა გადააბიჯა კარებს თუ არა, აიღო ეს რქები და შიგ თავში ჩაარტყა მეცხვარეს. ლაზათიანად შეუკურთხა. მეცხვარემ დაუ-

ბახა: ხომ გამექეცი, ერთი ბიჭობა მაინც გააკეთე: ამ ნაჯახს მოგცემ, საჩუქრად მიუტანე მამაშენსო.

მეცხვარემ აიღო ნაჯახი და გასტყორცნა. ნაჯახი წავიდა და, სადაც ბიჭი იდგა, იმ ხეზე მიესო თავისთავად. ჯიუტი ბიჭი დასწვდა ნაჯახს, მაგრამ მარჯვენა ხელით ზედ შეეხორცა. ვეღარ შორდება. ნაჯახიც იძახის: „დავიჭირე, დავიჭირეო!“ ბრძა მეცხვარე გამოქანდა ბიჭის დასაჭერად, მიჰყვება ნაჯახის ხმას. ბიჭმა იფიქრა: ნამდვილად შემჭამს ეს წყეულიო. ამოიღო დანა, მოიჭრა მარჯვენა, მიატოვა ნაჯახზე და გაიქცა. მეცხვარემ დაუძახა: მართალია, დამაბრმავე, მაგრამ ვერც შენ წახვედი დაუმახინჯებელიო.

დაბრუნდა ბიჭი ცალხელა. მამამ ეს რომ დაინახა, თავში წაიშინა:

— აი, შვილო, ეგ იყო ჩემი ჯავრი, ჩემი არ დაიჯერეთ, შენი ძმა სულ დაიღუპა, შენ კი დასახიჩრდიო. ეს მადარდებდა და მაჯავრებდა, ამიტომ შევღებე სასახლე შავადო!

ყველას ასე მოუვა, ვინც მამას არ დაუჯერებს!

ჭირი იქა, ლხინი იქა.

ღარიბი და სოვდაგრები

იყო და არა იყო რა, იყო სამი ძმა. აუტყდა უმცროსი უფროს ძმებს, უნდა გაგეყაროთო. აღარ მოეშვა, გაეყარა და ძალიან გაღარიბდა.

ცოლმა უთხრა: ჩემს სამშობლოში წადი და რამეს მოგცემენო.

წავიდა ეს კაცი მოყვრებში და მისცეს სამი ოქრო და ერთი ვირი. მიიყვანა ვირი სახლში.

ცოლმა უთხრა: წაიყვანე ეგ ვირი, ამა და ამ ქალაქში რომ სამი სოვდაგარია, იმათ კარზე გაატარე და თითო სოვდაგრის კარზე თითო ოქრო დააგდეო.

წაიყვანა კაცმა ვირი, მიადგა ერთი სოვდაგრის კარს და ერთი ოქრო დააგდო. ასევე მეორისა და მესამის კარზე. გამოუდგა პირველი სოვდაგარი: კაცო, კაცო, ეს ოქრო დაგივარდა, რად მინდა შენი საცოდაობა, წაიღეო.

კაცმა უთხრა: რად მინდა ეგ ოქრო, ჩემი ვირი სულ ოქროებს მიყრისო.

შეიყარა სამივე სოვდაგარი: კაცო, ვიყიდოთ ეგ ვირი, ოქროთი აგვავსებსო.

გამოუდგნენ ამ კაცს: კაცო, მობრუნდი, მობრუნდიო!

ძლივს მოაბრუნეს.

— რა გინდათო? — ჰკითხა მან.

უთხრეს: მოგვყიდე ეგ ვირიო.

— ჰე, თქვენ სად შეგიძლიათ მაგისი ფასიო, — იმან უთხრა.

— გვითხარი ფასი, იქნებ შევძლოთო.

მაშინ კაცმა უთხრა: თუ ამ ვირს ოქროში ჩაფლავთ, ისე რომ ყურების მეტი აღარაფერი გამოუჩნდება, მოგცემთო.

— კარგიო, — უთხრეს სოვდაგრებმა.

დააყენეს ვირი, შემოაყარეს ოქრო და კიდევ დააკლდათ. ისესხეს და ასე მისცეს. ღარიბმა კაცმა უთხრა: ერთ დიდ სახლში შეიყვანეთ ეს ვირი, კლიტე დაკიდეთ და შვიდი დღის შემდეგ ნახეთო. კარებისაკენ დააბით, ოქროთი რომ გაივსოს ოთახი, არ დაიხრჩოსო. დააბეს ვირი სოვდაგრებმა და მივიდნენ შვიდი დღის შემდეგ. ვირი მომკვდარა და კარებისათვის ფეხები მიუხირებია. მიაწვნენ კარებს, ვერ გააღეს. უთხრეს ერთმანეთს: სახლი ოქროთი გავსებულა და კარები აღარ იღებაო. შეიშვრიტეს — ვირის ნალი ბრჭყვინავს. დიდი სიხარული შეექმნათ, ეგონათ, ოქრო-ვერცხლით იქნებოდა სახლი სავსე. მიაწვნენ კარებს, გააღეს, ნახეს: ვირი მკვდარია და სხვა არაფერი! წავიდნენ გაჯავრებული, ვისგანაც ვირი იყიდეს, უნდა მოკლან.

ვირის პატრონმა ცოლი დაარიგა: მე წავალ სათოხნელად და შენ კარგი სადილი გააკეთეო.

ამ კაცს ორი კურდღელი ჰყავდა, უთხრა ცოლს: ერთს მე წავიყვან, იქ მეყოლება და ერთი აქ იყოს. სოვდაგრები რომ მოვიდნენ. ჩემთან გამოასწავლე და მე ვითომ იმ კურდღელს გამოგიგზავნი, სადილს დავაბარებ და იმათ დავპატიჟებო.

მოვიდნენ სოვდაგრები, ჰკითხეს ცოლს: შენი ქმარი სად არისო?

— ე ბანდ თოხნისო, — მიასწავლა ცოლმა.

მივიდნენ სოვდაგრები იმ კაცთან: უნდა მოგკლათ, რაღ დაგვღუპე, ვირი მოკვდაო.

იმან უთხრა: დაიცათ, ჯერ სადილი ვჭამოთ და მერე ვილაპარაკოთო.

აუშვა კაცმა დაბმული კურდღელი და უთხრა: წადი, ჩემს

ცოლს უთხარი, დღეს კაი სტუმრები მყავს და კაი სადილი გააკეთე-თქო.

გაიქცა კურდღელი ტყეში, იმათ კი ეგონათ, მართლა სახლში წავიდაო. წაიყვანა ამ კაცმა სახლში სოვდაგრები, კურდღელი იქ დახვდათ დაბმული. დასხდნენ სადილად. უკვირთ სოვდაგრებს. რანაირი გაზრდილი კურდღელი ჰყოლიაო. მოგვყიდეო, უთხრეს მასპინძელს. ჯი თუმანიც ამ კურდღელში მისცეს.

წამოვიდნენ სოვდაგრები და გზაში უთხრეს კურდღელს: წადი და ჩვენს ცოლებს უთხარი, კარგი სადილი მოგვიმზადონო.

გაუშვეს, კურდღელი ტყეში გაიქცა. მოვიდნენ სახლში. ცოლებს უთხრეს: ჩვენ რომ კურდღელი გამოვგზავნეთ. რატომ კაი სადილი არ გააკეთეთო?

. ცოლები ეუბნებიან: რას ამბობთ, ჩვენ კურდღელი არ გვინახავსო.

სოვდაგრები ძალიან დაღონდნენ და გული მოუვიდათ, კიდევ მოგვატყუაო.

წავიდნენ კიდევ იმ კაცთან. იმ კაცმა იფიქრა, მე ის სოვდაგრები არ მომასვენებენო და უთხრა ცოლს: მე ვითომ მოვკვდები. კუბო გამიკეთე და ისე დამმარხე, რომ მიწას ძალიან ნუ დამაყრი და სულის მოსაქცევი გამიკეთეო.

დამარხა ეს კაცი ცოლმა. მივიდნენ სოვდაგრები, ჰკითხეს: სად არის შენი ქმარიო?

— ჩემი ქმარი მოკვდა და დავმარხეო, — უთხრა ცოლმა.

— წავიდეთ საფლავიდან ამოვაგდოთ და წყალში გადავაგდოთო, — თქვეს სოვდაგრებმა.

მივიდნენ, დაუწყეს თხრა. ატაკა იმ კაცმა შამფური საფლავიდან და ერთს თვალი გამოსთხარა. მანც ამოთხარეს, შეკრეს მაგრად, მოიკიდეს და მიაქვთ, წყალში უნდა გადააგდონ.

სოვდაგრები დაიღალნენ, ეს კაცი მზეში დააგდეს და თვითონ ჩრდილში დაიძინეს. ამ შეკრულმა დაიწყო ყვირილი: გამიშვით. არ მინდა ხელმწიფობაო!

ამ დროს მოდის ერთი მეცხვარე, ათასი სული ცხვარი მოუდის. გაიგონა შეკრული კაცის ყვირილი, მივიდა და უთხრა: კაცო, თუ შენ არ გინდა ხელმწიფობა, მე ვიქნები ხელმწიფეო.

— აბა, შეგეხვენიო, — უთხრა შეკრულმა. — შენ შეგკრავ და ხელმწიფობას მოგცემენო, მე არ მინდა ხელმწიფობა და არ მეშვებიანო.

შეხსნა მეცხვარემ. ამ კაცმა შეკრა კარგა მაგრად მეცხვარე და დატოვა. ის ათასი სული ცხვარი გამოირეკა და წამოვიდა შინ.

გამოეღვიძათ სოვდაგრებს, ასწიეს შეკრული კაცი და გადაგდეს დიდ წყალში. წამოვიდნენ და გზაში ნახეს ის, ვითომ დამხრჩვალი კაცი, ცხვარს უდგას. ჰკითხეს: ვინ მოგცა ეს ცხვარი, ჩვენ ხომ წყალში გადაგაგდეთო?

კაცმა უთხრა: თქვენ რომ წყალში გადამაგდეთ, მოვუსვი ხელი და წყლიდან ეს ფარა გამოვრეკეო, იქ კიდევ უფრო ბევრი დამრჩაო.

სოვდაგრები წავიდნენ და გადაცვივდნენ იმ წყალში, უნდა ცხვარი გამოერეკათ და სამივე დაიხრჩო.

ჭირი იქ დავაგდე,
ლხინი აქ მოვიტანე.

ბიძა და ძმისწული

ცხოვრობდნენ ბიძა და ძმისწული. ძმისწული ბავშვი იყო და არაფერი შეეძლო, ბიძა კი მამაცი იყო და ძალიან ქურდი; ნაქურდლით თავსაც ირჩენდა და ძმისწულსაც არჩენდა.

ერთხელ ბიძამ დააპირა საქურდლად წასვლა კეისართან. ძმისწული შეეხვეწა: ბიძია, მეც წამიყვანეო, მაგრამ ბიძამ უარი უთხრა: შენ ჯერ პატარა ხარ, ქურდობის არა იცი რა, როცა გაიზრდები, მაშინ მე თვითონ წაგიყვანო.

ძმისწულმა მოსვენება არ მისცა და ბიძამაც წაიყვანა.

წავიდნენ. იარეს, იარეს, გავიდნენ ერთ მინდორში. იქ ერთი ალვის ხე იდგა. ზედ ყორანი იჯდა. ბიძამ უთხრა ძმისწულს: თუ ამ ყორანს ფრთას ისე მოვპარავთ, რომ ვერ გაიგებს, — ყველგან გავიმარჯვებთ, თუ არა და — ვერ გავიმარჯვებთო.

ადგა ბიძა და დაიწყო ხეზე ასვლა. იცოცა, იცოცა, მიაწია ყორანთან, მოჰპარა ფრთა და ჩაიდო უბეში. ბიძა რომ ფრთის მოსაპარავად ადიოდა, ქვევიდან აჰყვა ძმისწული და ბიძას შარვალი ისე მოჰპარა, რომ ბიძამ ვერაფერი გაიგო. ძირს რომ ჩამოვიდა, ძმისწულმა ჰკითხა: ბიძია, შარვალი რა უყავიო?

ბიძამ რომ ნახა, უშარვლოდ იყო, ძალიან ეწყინა და უთხრა თავის ძმისწულს: ეს ცუდი ნიშანია, ჩვენ ამიერიდან ვერ გავიმარჯვებთო.

მაშინ ძმისწულმა უთხრა: ნუ გამიწყრები, ბიძია, შარვალი მე გაგხადეო. ბიძას ძალიან გაუხარდა: მადლობა ღმერთს, რომ შენც ასეთი ქურდი გამხდარხარო, და წავიდნენ კეისრის ბეღლის გასატეხად.

მივიდნენ იქ, გამოიტანეს კეისრის ბეღლიდან პური და წაიღეს. კეისარმა რომ თავისი ბეღლის გატეხა შეიტყო, ძლიერ ეწყინა და მაშინვე ყადთან გაიქცა იმის შესატყობად, თუ ვინ გატეხა ბეღელი. ყადმა უთხრა: ერთი ხარის ტყავი გაშალე იქ, სადაც სამი გზა ერთად თავს იყრის, ტყავზე ვერცხლის ფული მოაპნიე, მცველები დაუყენე და, ვინც იმ ფულებს მოიპარავს, ბეღლის გამტეხიც ის იქნებაო.

კეისარმა ყადის ნათქვამი შეასრულა. შეიტყვეს ეს ამბავი ბიძამ და ძმისწულმა, იყიდეს დათვის ტყავი და შეიკერეს ქალამნები. წავიდნენ ნაძვის ტყეში და დაიფინეს ქალამნები. როცა მივიდნენ იქ, სადაც ხარის ტყავი იყო გაფენილი, გაიარეს და გამოიარეს ტყავზე: გაფინულ ქალამნებს ფული მიეკრა. ისე ამოლიეს ტყავზე ფული, რომ სამი აბაზიც აღარ დარჩენილა.

შეიტყო კეისარმა, რომ ფულებიც ტყუილად დაეკარგა და ვერც ქურდი გაიგო. უფრო შეწუხდა და მივიდა ისევ ყადთან: ყადო ბეღნიერო, მითხარი რამე, თორემ ჩემს ყოფას სიკვდილი მირჩევნიაო.

ყადმა უთხრა: ცოდვა შენზე იყოს და, თუ მაინც და მაინც გინდა შეიტყო, მოთხარე ბეღლის წინ ორმო, ჩაასხი კუპრი და ქურდი შიგ ჩავარდებაო. კეისარმა ორმო მოათხრევინა და კუპრიც ჩაასხა. მობრუნდნენ კიდევ პურის მოსაპარავად ბიძა და ძმისწული. როცა მიუახლოვდნენ ბეღელს, საიდანაც წინათ პური წაიღეს, ბიძამ უთხრა ძმისწულს: წინ შენ წადიო.

ძმისწულმა უთხრა: სანამ შეგიძლია, შენ უნდა გამიძღვე და, როცა დაბერდები, მაშინ მე გაგიძღვებიო.

ბიძა დათანხმდა და გაუძღვა წინ. ორი-სამი ნაბიჯი არა ჰქონდა გადადგმული, რომ ჩავარდა ორმოში: ვაიო! — დაიყვირა და დაუძახა ძმისწულს: ხედავ, რა უბედურება გვეწია! მე დავიღუპე, შენ მაინც არ წამოხვიდე წინო.

ძმისწული ძლიერ შეწუხდა, მაგრამ რა უნდა ექნა. დაუძახა ბიძას: ბიძაჩემო, შენ დაიღუპე, მაგრამ მეც ვიღუპებიო.

ბიბამ უთხრა: შენ რა დაგღუპავსო?

ძმისწულმა მიუგო: შენ გიცნობენ და მერმე მეც მომკლავენო.

— მაშ, მე რაც გითხრა, ის გააკეთეო, — უთხრა ბიბამ, — შენი ალმასის ჯაყვით მოჭერი თავი. თუ მონახავ ჩემს ძვლებს დასაკრძალავად, ხომ კარგი, თუ არადა, თავი მაინც წაიღე და დამარხეო.

ძმისწულმაც ძალაუნებურად აასრულა ბიბის ბრძანება, მოსჭრა თავი და შინ წაიღო.

მეორე დილას ნახა კეისარმა ორმოში უთავო კაცი. ამოიტანეს მკვდარი და მიუტანეს ყადს. ყადი გაკვირდა, ეს რა ამბავიაო. კეისარი კიდევ შეეხვეწა ყადს, ბეღლის გამტეხი აღმომიჩინეო.

ყადმა უთხრა: სამი გზა რომ ერთად თავს იყრის, იქ ერთი ბოძი ჩასვი და ზედ ეს მკვდარი ჩამოკიდე. ვისაც იგი შეეცოდება, მკვდარიც მისი იქნება და ამით ყველაფერს შეიტყობო.

კეისარიც ისე მოიქცა, როგორც ყადმა დაარიგა. არის სამი გზის თავში ბოძზე ეს მკვდარი ჩამოკიდებული.

შეიტყო ძმისწულმა ეს ამბავი, შეკაზმა ვირი და წავიდა იქ, სადაც მისი ბიძა იყო ბოძზე ჩამოკიდებული. იქ რომ მივიდა, აიღო სამი შაური და გადაუგდო, თან ეს სიტყვები დააყოლა: საწყალი ამის პატრონი, ეს რა დამართიაო.

ბოძთან, რომელზედაც მისი ბიძა ეკიდა, ერთი ხორა შენაწირი ფული ეყარა. მკვდრის მცველები ყოველთვის ლხინში იყვნენ, ერთგულად ყარაულობდნენ მკვდარს და კეისარიც მადლიერი იყო. მცველებმა ძმისწულს სთხოვეს, ღამე მათთან დამდგარიყო, მაგრამ მან უარი უთხრა: ერთი ვირი გამაჩნია მე უბედურს, ვინ იცის, ეგებ ამაღამ ეს მკვდარი ადგეს და ვირი მომპაროს, მაშინ რას მიპირებთო?

მცველებმა გაიცინეს: რას ამბობს ეს კაცი, მკვდრის ქურდობა ვის გაუგონიაო.

— მაშ, კარგიო, — უთხრა ძმისწულმა, — იმის პირობა მომეცით, რომ ქირს არაფერი დაემართება და ამაღამ მუქთად არ შეგიპამთ საქმელს, თქვენ მაგივრად ერთხანს კიდევაც ვუყარაულებ მკვდარსაო.

მცველებს უფრო გაუხარდათ. დაწოლის დროს ძმისწულმა თავისი ვირი ჩააბარა უფროს მცველს და შემდეგ დაწვნენ ყველანი.

როცა მცველებს დაეძინათ, ადგა ძმისწული, ჩამოხსნა ბოძიდან მკვდარი ბიძა, გასჭრა შუაზე, ნახევარი ხურჯინის ერთ თვალში ჩადო, ნახევარი მეორე თვალში. რაც შენაწირი ფულები იყო, თავ-

ზე დააყარა, გადაჰკიდა ვირს და სახლისკენ გაუშვა. თვითონ ისევე დაწვა და დაიძინა.

მცველები დილით ადრე ადგნენ, შეხედეს, ვირი არსადაა და დაიწყეს ჩურჩული: ან ამ კაცს რა ვუყოთ. ან კეისარს რა ვუთხრათ. რომ მკვდარი არსადაა.

ძმისწულმა ყველაფერი გაიგონა, წამოხტა და დაიყვირა: ვაიმე, ვირი არ არის! ხომ ვამბობდი, რომ თქვენ დამღუპავთ! ერთადერთი ვირი იყო ჩემი მარჩენალი და ისიც დამიკარგეთ! ახლავე მომიძებნეთ, თორემ კეისართან ვიჩივლებო!

მცველებმა ფულით მოქრთამეს ძმისწული და ისე გაუშვეს.

დასაპალნებული ვირი კარს მოადგა ბიძის ცოლს. ძმისწულს დაბარებული ჰქონდა ბიცოლასთვის: როცა ვირი კარს მოგადგეს, მაშინვე კარი გაუღე, სახლში შეიყვანე და ბარგი ჩამოხადეო.

როგორც დაბარებული ჰქონდა, ბიცოლამაც მაშინვე შინ შეიყვანა ვირი და ბარგი ჩამოჰხადა. მოვიდა ძმისწული სახლში და ბიძა დამარხა ჩუმად.

ახლა სულ აშენდა ძმისწული: ფული ბევრი აქვს და ცხოვრობს მდიდრულად.

კეისარმა შეიტყო, მკვდარი ვილაცამ მოიპარაო. მცველები სულ ამოხოცა და ისევ ყადთან წავიდა საკითხავად. ყადმა უთხრა: ერთი უღელი კამეჩი გაგზავნე შენს სამეფოში, ვის კარზეც ისინი გაჩერდებიან, ის იქნება ამისი მქნელიო.

კეისარმა შეასრულა ყადის ნათქვამი, გაგზავნა ერთი უღელი კამეჩი. კამეჩებმა დაიარეს მისი სამეფო, მაგრამ არავის კარზე არ გაჩერდნენ. ბოლოს, მივიდნენ იმ კაცის კარზე, რომელმაც მკვდარი მოიპარა. ამ დროს ეს კაცი შეშაზე იყო წასული და, როცა შინ მოვიდა, ნახა კარზე გაჩერებული კამეჩები. შეიყვანა სახლში, დაკლა ორივე და მათი ხორცი დიდ ჭურში შეინახა.

კეისარი შეწუხდა, კამეჩები რომ არ დაუბრუნდნენ, და ისევ ყადთან მივიდა. ყადმა უთხრა: ორი ვეზირი გაგზავნე შენს სამეფოში, კამეჩების ხორცი იკითხონ, ვისაც ის აღმოაჩნდება, ბოროტმოქმედიც ის იქნებაო.

გაგზავნა კეისარმა ორი ვეზირი. ვეზირებმა იარეს, იარეს და ვერსად აღმოაჩინეს კამეჩის ხორცი. ბოლოს, მივიდნენ ძმისწულის კარზე. იგი სხვაგან იყო წასული. ჭისი ბიძის ცოლს უთხრეს ვეზირებმა: ეგების კამეჩის ხორცი გაქვთ, ცოტა მოგვყიდე და, რამდენსაც გვთხოვ, იმდენს მოგცემთო.

ქალმა უთხრა: შემობრძანდით, ორი ჭური სავსეა კამეჩის ხორცით. რამდენიც გსურდეთ, იმდენი წაიღეთო.

ვეზირებს ძლიერ გაუხარდათ. შევიდნენ სახლში, ამოირჩიეს ერთი ბეჭი და წამოვიდნენ. კარზე შეხვდათ ძმისწული და ჰკითხა: როგორ ცუდი ხორცი ამოგირჩევიათ, ვინ მოგცათო?

ვეზირებმა უამბეს, რისთვისაც იყვნენ კეისრისგან გამოგზავნილი. ძმისწულმა რომ ეს შეიტყო, უთხრა: კეისრის ვეზირებს ამისთანა ცუდ ხორცს როგორ გაგატანთ, შემობრძანდით, მე მოგართმევთ კარგ ხორცსაო.

ვეზირები ნებას დაჰყვნენ და სახლში შევიდნენ. ამ კაცმა ჭურის თავზე დააყენა ისინი და უთხრა: ამოირჩიეთ, რამდენიც გნებავდეთო. ვეზირებმა როგორც კი თავები დაღუნეს, დაჰკრა ხმალი და ორივეს თავები გააგდებინა.

კეისარი ელის ამბავს. გავიდა ხანი, არც ვეზირებია, არცა ამბავი. გამოვიდა მოთმინებიდან კეისარი, მივიდა კვლავ ყადთან და უთხრა: ყადო, მითხარი რამე, თორემ შენ მოგკლავო! ყადმა უთხრა: სხვა არაფერი შემიძლია და ამას კი გეტყვი: ვისაც ამდენი შეუძლია, იმას შენი სიძეობაც შეუძლია. გამოაცხადე ხვალ: კეისარი ქალიშვილს ათხოვებს და ყველა მოვიდეს-თქო.

კეისარმაც გამოაცხადა. მეორე დღეს, ვისაც კი შეეძლო მისვლა, ყველა მივიდა კეისრისას. წავიდა ძმისწულიც. როცა საბრძანებელმა თავი მოიყარა, მაშინ კეისარმა გამოაცხადა: ვინაც მე ამოდენა ზარალი მომაყენა და ამდენი შესძლებია, იმას ჩემი სიძეობაც შეეძლებაო. ამისათვის მსურს, ჩემი ქალიშვილი მას მივცე ცოლად და, ვინც იყო, გამოტყდესო.

გამოჰკითხეს ყველას, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა. ბოლოს ჰკითხეს ქურდს, რომელმაც კეისარს ბეღელი გაუტეხა. მან უთხრა კეისარს: თუ არ გამიწყრები, გეტყვი ყველაფერსო.

— გაგიწყრები კი არა, საჩუქარსაც მოგცემო, — უთხრა კეისარმა.

ქურდმა უთხრა: ხელი მომეცი, არ მომატყუო, და გეტყვიო.

კეისარმა ხელი მისცა. მაშინ ქურდმა უთხრა: რაც შენ ზარალი მოგივიდა, ყველაფერი ჩემი ბრალიაო.

კეისარმა რომ ეს გაიგონა, უნდოდა ემტყუნა, მაგრამ ხალხმა არ დაანება. კეისარმა დაინახა, რომ ლაპარაკი ფუჭად ჩაუვლიდა, მოჰკიდა ხელი ამ ბიჭს და წაიყვანა თავის სასახლეში. ვეზირებს უბრძანა, რომ მოეტანათ მისთვის სამეფო ტანისამოსი. ამ ბიჭმა ჯვარი დაიწერა კეისრის ქალიშვილზე და იყვნენ ნეტარებაში.

შეუტყვია ეს ამბავი აღმოსავლეთის კეისარს და გამოუგზავნია ამ კეისრისათვის კაცი: ასეთი უღირსი სიძე რომ აგიყვანია, ან შენ უნდა დაანებო თავი მეფობას, ანდა შენი სიძე უნდა მოჰკლაო.

ეს რომ კეისარმა შეიტყო, გაიხადა სამეფო ტანისამოსი, ჩაიცვა გლახის ტანისამოსი, გამოჩხრიკა ნაცარი და დაჯდა ზედ. ამ დროს მივიდა სიძე თავის სიმამრთან, შეწუხდა და ჰკითხა: რა დაგემართაო?

კეისარმა უთხრა: აღმოსავლეთის კეისარს კაცი გამოუგზავნია, რომ ან შენ უნდა მოგკლა, ანდა მეფობას თავი უნდა დავანებოო.

— კარგიო, — უთხრა სიძემ, — თუ მოგიყვანო ის კეისარი აქ და თუ დავატოვებინო თავისი სამეფო, მე ვყოფილვარ შენი სიძე, თუ არადა, ნებას გაძლევ, მომკლაო.

მეორე დღეს სიძემ დათვის ტყავი იშოვა, შეაბმევინა თავის სიმამრს ოქროს ეკვნები, შეჯდა ცხენზე და წავიდა აღმოსავლეთის კეისართან. როცა იქ მივიდა, აღმოსავლეთის კეისარი აღაპს იხდიდა, მთელი სამეფო სულ დაპატიჟებული ჰყავდა.

მივიდა ეს კაცი მისი ვეზირების სახლში, ცხენი მათ მიაბარა სამი დღის ვადით და ქირად სამი აბაზი დაუტოვა. მერმე შევიდა იმ სახლში, სადაც აღაპი იყო, დაჯდა სხვა კაცებთან და დაიწყო სმა-ჭამა.

საღამოს ყოველი კაცი მადლობას ეუბნება კეისარს და შინ მიდის. ეს კაცი კი ისევ ზის თავის ადგილზე, უნდა შეიტყოს, სად დაწვებიან კეისარი და მისი ცოლი. მოვიდა დაწოლის დრო. კეისარი და მისი ცოლი დაწვნენ. ეს კაციც ამას უცდიდა.

როცა კეისარი და მისი ცოლი ღრმა ძილში შევიდნენ, ადგა ეს კაცი, აიღო დათვის ტყავი, ოქროს ეკვნებით რომ იყო შეჭედილი, დადგა კეისრის ლოგინის თავთან და დააყღარუნა. კეისარსა და მის ცოლს გამოეღვიძათ, წამოჯდნენ და დაიწყეს გაკვირვებით აქეთ-იქით ცქერა. რომ ვერაფერი დაინახეს, ისევ დაწვნენ. როცა დაეძინათ, ამ კაცმა ისევ დააყღარუნა ტყავი. კეისარმა რომ ეს მეორეჯერ გაიგონა, დაიძახა: ვინა ხარ, ღმერთი თუ კაცი, მითხარი, რა გინდაო.

ბიჭმა უთხრა: მე სული წმინდა ვარ, იესო ქრისტესაგან გამოგზავნილი, და სული უნდა მომცეთო.

კეისარმა ჰკითხა: რანაირად უნდა მოგცეთ სულიო?

ბიჭმა უთხრა: უნდა ამოიძროთ და ისე მომცეთო.

კეისარმა და მისმა ცოლმა დაიწყეს ხველება, მაგრამ ვერას გზით სული ვერ ამოიძვრეს, თუმცა ბევრს ეწვალნენ. მაშინ ამ

კაცმა უთხრა: რადგანაც ამდენს წვალობთ, გავბრუნდები ისევ ქრისტესთან, შევეხვეწები, რომ ცოცხალი წაგიყვანოთ. ხვალ მოსამსახურეებს ორი დიდი სკივრი გააკეთებინეთ, ქონება შიგ ჩაალაგეთ, თქვენც შიგ ჩაჯექით და ამ დროს მზად დამხვდითო.

ეს ბიჭი წავიდა სადღაც. კეისარმა მეორე დღეს გააკეთებინა ორი დიდი სკივრი, რომლებშიც მასაც და მის ცოლსაც თავისუფლად შეეძლოთ ჩაჯდომა. მეორე ღამეს კი, რაც რამე ძვირფასი ჰქონდათ, ყველაფერი ამ სკივრებში ჩააწყვეს და შემდეგ თვითონ ჩასხდნენ შიგ. შუაღამისას მოვიდა ეს კაცი და გააღარუნა ტყავი. კეისარმა დაიძახა: აბა, მობრძანდი, მზადა ვართო.

მოვიდა ეს კაცი. სკივრები მაგრად შეკრა, ერთი იქით და მეორე აქეთ აჰკიდა ცხენს და წაიყვანა თავის სიმამრთან.

სასახლეს რომ მიაღწია, სიმამრს დაუძახა: ჰე, ჩემო სიმამრო, მოგიყვანე თუ ვერა ის კეისარი, რომელიც შენ მეფობას გართმევდაო!

გახსნეს სკივრები, ნახეს აღმოსავლეთის კეისარი და მისი ცოლი. ამის შემდეგ სიძე აღმოსავლეთის კეისრის ქვეყანაში წავიდა და იქ დაჯდა ტახტზე. სიმამრს კი მისი სამეფო დაუტოვა.

სამი ზარმაცი

ერთ ხელმწიფეს სამი ზარმაცი ჰყავდა. გაგზავნა ბაღში, იქ იყავითო.

წავიდნენ და ერთი მსხლის ხის ქვეშ წამოწვნენ. ხეს მწიფე მსხალი ესხა.

ერთმა თქვა: ნეტავი მსხალი ჩამოვარდეს და პირში ჩამივარდესო.

მეორემ თქვა: ნეტავი უყუნწოდ ჩამოვარდეს, რომ ადვილად ჩავყლაპოო.

მესამემ თქვა: ნეტავი თქვენ, არ გეზარებათ, რომ მაგდენს ლაპარაკობთო?

ვალიანი ხარაზი

იყო ერთი ვალის მოყვარული ხარაზი. მევალე მუდამდღე მოდიოდა ამ ხარაზთან და სთხოვდა ფულს. ხარაზი აწვალებდა და ატყუებდა.

ერთხელ მოვიდა და ხარაზი არ დაუხვდა დუქანში. შეგირდსა ჰკითხა: შენმა ოსტატმა როდის უნდა მომცეს ფულიო?

შეგირდმა დაზგას ხელი დაადო და უთხრა: როცა ეს აყვავდება, მაშინ მოგცემსო.

ადგა ეს კაცი და წავიდა დაღონებული. ოსტატი როცა დაბრუნდა, ჰკითხა შეგირდს: რა პასუხი მიეცია? შეგირდმა უთხრა, რაც პასუხი მისცა. ხარაზმა დაუწყო შეგირდს ცემა: ეგ რად უთხარიო, ეგების მართლა აყვავდესო და მე იმას ფული საიდან უნდა მივცეო?

გატის ყიდვის მოწმეები

ერთმა კაცმა ერთი ბატი იყიდა, შინ წაიყვანა და ცოლს მისცა, კარგად გაასუქეო. დედაკაცმა თავის კუროს დაუკლა და აჭამა. ქმარმა მოიკითხა ბატი. ცოლმა გადაფიცა: შენ ბატი არ მოგიყვანიაო, თუ ვტყუი, აბა, მოწმე მაჩვენეო.

წავიდა ეს კაცი, კიდევ ერთი ბატი იყიდა. გრძელ ლატანს მოაბა და ზურნა-ნაღარის კვრით შინ წაიღო, დიდძალი ხალხი გაჰყვა თან. შინ რომ მივიდა, ცოლმა ჰკითხა: ეს რა ამბავიაო?

ქმარმა უთხრა: ესენი ჩემი მოწმეები არიანო.

მხოლოდ ერთი პალო წავიღეო

ერთი მდიდარი სოვდაგრის ოცი აქლემის საპალნე ძვირფასი საქონელი მიჰქონდათ. დასასვენებლად ერთ ადგილს დადგნენ, პალო დაჰკრეს და ზედ დაბეს აქლემები. ერთი საწყალი კაცი შეშას ეძებდა და ნახა ის პალო. ამოიღო და წაიღო. ოცი აქლემიც ზედ მიბმული, თან გაჰყვა.

პატრონებმა ძებნა დაუწყეს საპალნიან აქლემებს და იპოვეს. ქურდი ფიცავდა: მე არაფერში დამნაშავე არა ვარ, მხოლოდ ერთი პალო წავიღე, ზედ ერთი თოკი ებაო.

ულვაში

ერთი ულვაშიანი კაცი წავიდა საყასბოში და ყასაბს უთხრა: ერთი აბაზის ხორცი მომეცი ნისიადო.

ყასაბმა უთხრა: ბატონი ბრძანდები, მაგრამ თქვენ არ გეკადრებათ ხორცის წაღება, მსახური გამოგზავნეთ, ნიშნად თქვენი ერთი ღერი ულვაში გამოატანეთ და ხორცს იმისი ხელით მოგართძევთო.

იმ კაცმა გამოგზავნა მსახური და ყასაბს ულვაში მისცა: ხორცი მომიჭერიო.

ყასაბმა უთხრა: შენი ბატონი თვითონ აქ იყო თავისი ულვაშით, მაშინ არ მივეცით და ახლა მაგ ერთ ბალანზე ბოგცემო?

წვერზე ცეცხლწაკიდებული

ერთ კაცს წვერზე ცეცხლი მოეკიდა. მეზობელი მიეშველა, ცეცხლს უქრობდა. სხვა კაცი მივიდა და შეეხვეწა: ჯერ დაიცა, ნუ გააქრობ, ჩიბუხს ცეცხლი მოვუკიდოო.

ფული გაინაღდეო

ერთ კაცს მეორე კაცის ცოტა ფული ემართა და ვერ გადაეხადნა. ფულის პატრონი მალმალ აწუხებდა და სთხოვდა თავისას. ცოლმა უთხრა ქმარს: კიდევ თუ მომავალი დაინახო, შენ დაიმალე და მე ვიცი, როგორც დავხვდებიო.

მოვიდა ფულის პატრონი. ქმარი დაიმალა და ცოლი მიეგება. კაცმა იკითხა: სად არის შენი ქმარიო? ვალი მართებს, არ იძლევაო.

ცოლმა უთხრა: სწორედ შენ საქმეზე წავიდა, თესლი უნდა იყიდოს. მოიტანოს და ორ დღიურ მიწაზე ეკალი დათესოსო. ერევნიდან ბამბის ქარავანი გამოივლის, ეკალზე ბამბა დარჩება, შეკრებს, გაყიდის და შენს ვალს გადაიხდისო.

კაცს გაეცინა. დედაკაცმა უთხრა: გიხარია განა, ფული გაინაღდეო!

შენ მაგაზე კარგად იცი?

ერთი დედა-შვილი იყო. დაქვრივებულმა დედამ გაზარდა ეს შვილი. როცა მოიზარდა, შვილმა იფიქრა, დედაჩემმა რომ კარგად გამზარდა და ამაგი გასწია ჩემზე, იმის სიკეთეს რითი გადავიხდიო. შეუთქვა: სამჯერ ხატის კარს აკიდებულს წავიყვანო.

ორჯერ წაიყვანა აკიდებული. მესამედაც რომ მიიყვანა, ჩამოსვა. კაი სახის დედაკაცი იყო და ახალგაზრდა ბერმა როგორც კი დაინახა, მათთან მივიდა. შვილს ჰკითხა: რა დამართნია მაგ დედაკაცსაო?

შვილმა უთხრა: ჩემზე იმდენი ამაგი გაუწევია, რომ მაგისი სიკეთე სხვა ვერაფრით გადავიხადე, ხატში აკიდებული მოვიყვანეო.

ბერმა უთხრა: მაგით ვერ გადაუხდი სიკეთესაო; კარგი კაცი გეშოვნა, უფრო მადლობელი იქნებოდაო.

შვილმა სიტყვა შეუბრუნა: ამაზე მეტი გადახდა რაღა იქნებაო?

დედამ უკანიდან კისერში ჩაჰკრა შვილს: რომ ედავები, შენ მაგაზე კარგად იციო?

მკერავი

ერთი კაცი მივიდა მკერავთან და ჰკითხა: საკაბე რამდენი ადლი მომინდებაო? უთხრა, ამდენი და ამდენიო.

კაცმა თქვა: წავალ, სხვასაც ვკითხავო.

მივიდა მეორე მკერავთან. ამან ნახევარი ადლით ნაკლები უთხრა და ამას მისცა შესაკერავი.

დანიშნულ დროს მივიდა კაბის პატრონი, ნახა, პატარა ყმაწვილს, მკერავის შვილს, ტანთ მაუდის კაბა აცვია და იცნო, რომ იმის კაბის ნაჭერია. მკერავს უთხრა: მართალი მითხარი და გასამრჯელოს კარგს მოგცემო: სხვა მკერავთან მივედი და ნახევარი ადლით მეტი მითხრა და აქ შენ შვილისათვისაც კაბა შეგიკერავსო.

მკერავმა უთხრა: იმას ჩემ შვილზე დიდი ვინმე ეყოლებოდა და მეტი იმიტომ უთხოვიაო.

მართალი სიტყვა მოეწონა კაბის პატრონს და ფასი კარგი მისცა.

რძალ-დედამთილი

ერთ დედაკაცს რძალი ჰყავდა. რძალი მშვიდი ქალი იყო. მაგრამ დედამთილი სულ ეჩხუბებოდა და ებუზღუნებოდა - - ვერ შეეწყო. შვილს ჩააცივდა: თავი დაანებე, გაეყარეო.

შვილმა უთხრა: როგორ გავეყაროო, ცოლიაო!

დედამ უთხრა: სხვა შეირთეო.

გამოვიდა კაცი დაღონებული. შემოხვდა ერთი ქოსა და ჰკითხა: რამ დაგაღონაო?

კაცმა უთხრა: ასე და ასეა ჩემი საქმეო, დედაჩემი ვერ მორიგებია ჩემ ცოლსაო.

ქოსამ უთხრა: მე გიშველი, შენი ცოლი სამშობლოში წაიყვანე პატარა ხანს სტუმრადაო, მე ქალის ტანისამოსს ჩავიცვამ, შენსას წამიყვანე და მერე მე ვიცი.

წავიდა ეს კაცი, წაიყვანა ცოლი სამშობლოში და დედაკაცად ჩაცმული ქოსა შინ მიიყვანა. დედას უთხრა: აი, ჩემი ახალი ცოლიო და ახლა ვნახოთ, როგორ შეეწყობიო.

დედაკაცს გაეხარდა, რაკი ის მოიშორა, ახლა რაღა მიჭირსო. უალერსებს ახალ რძალს და სიყვარულით ეკიდება, მუშაობს და უვლის სახლს. ახალი რძალი კი აი ასე ელაპარაკება: ჰაი, შე ქოფაკო, აგრე კი არ უნდა, ასე უნდა გააკეთოო!

დედამთილი ყოველ შეტევაზე იკუნტება და იკუნტება. მოიტანა ხახვი შეჭამადისათვის და ჭრის. ახალმა რძალმა ყურზე ხელი მოავლო: ჰაი, შე ქოფაკო, დაბერებულხარ და საყურეები არა გკიდიაო. საყურეები უნდა ჩამოგკიდოო.

ყურები დახვრეტილი არ ჰქონდა. ამოიძრო თავშლიდან ნემსი. ატაკა ბიბილოში და გაუხვრიტა. ხახვის ნაჭერი აიღო და გაუყარა ყურში: აჰა, შენი საყურეო.

მოვიდა შვილი. დედამ შესჩივლა: მე იმ რძალსა ვჩიოდი, იგი ღვთის წყალობა დედაკაცი იყო, ეს აშარი საიდან გადამკიდეო. ისევ ძველი მოიყვანე, ოღონდაც ეს მომაშორეო.

წავიდა შვილი და ცოლი მოიყვანა სამშობლოდან. დედამთილი დაუტკბა რძალს და ახლა დაიწყო იმისი პატივისცემა.

რძალ-მაზლი

ერთ დედაკაცს ქმარი მოუკვდა. ტირილითა და ნაღვლით შინაურებს თავი მოაბეზრა. მაზლი გაუჯავრდა: რა დაგემართა, დედაკაცო, მოისვენე და მოგვასვენეო!

ის კიდევ იძახდა: რა მიყავი, კაცო, სად წახველ, სად დამეკარგეო?

მაზლმა დაუყვირა: ჯანაბას წავიდაო!

დედაკაცმა დაიხსომა და უნდოდა შეეტყო, ჯანაბაში როგორ იყო იმისი ქმარი. გამოვიდა გარეთ და ნახა ერთი გლეხი კაცი, დაღლილი იჯდა, ისვენებდა. მივიდა და დაუწყო კითხვა, რას აკეთებ, რად მოხველო, გააჯერა ლაპარაკით.

ბოლოს ჰკითხა: საიდან მოდიხარო?

გლეხმა უპასუხა, ჯანაბიდანაო. დედაკაცს გაეხარდა, ქმრის ამბავს მეტყვისო.

— უი, გენაცვალე, რაკი ჯანაბიდან მოდიხარ, ჩემი ქმრის ამბავი გეცოდინებაო!

გლეხმა შეატყო, რომ დედაკაცი სულელი იყო, და უთხრა: ვიცი; ძალიან შეწუხებულია, ნიორსა და ხახვს ყიდის, მაგრამ იმდენი არა აქვს, რომ მუცელი გაიძღოს, ლუკმა ენატრებაო.

დედაკაცმა უთხრა: მაშ, ერთი მადლი ქენი, ხუთას თუმანს მოგცემ, ჩემ ქმარს წაუღეო.

გლეხმა უთხრა: ბატონი ბრძანდებიო.

გამოიტანა ფული დედაკაცმა და მისცა. გლეხმა გამოართვა და წავიდა, თან უკან იხედება, ხომ არავინ მომდევსო.

მოვიდა მაზლი. რძალმა ახარა: ჯანაბიდან მოსული კაცი ვნახე. შენი ძმის ამბავი მომიტანაო. დიდ გაჭირვებაშია თურმე, ჩვენ ღვთის წყალობა არ გვაკლია, ხუთასი თუმანი ავიღე და გავუგზავნეო.

— აი, დაგექცეს ოჯახი, კაი საქმე გიქნიაო! — შეუკურთხა მაზლმა. შეჯდა ცხენზე და გამოუდგა.

გლეხმა შორიდან დაინახა, რომ ცხენოსანი მოაჭენებს, იფიქრა, მე მეძებსო. ახლოს წისქვილი იყო, შევიდა, ნახა თავმოტვლეპილი მეწისქვილე და უთხრა: ხელმწიფის ბრძანება გამოსულა, თავმოტვლეპილი კაცი საცა ნახოთ, ტყავი გადააძრეთ, დიპლიპიტოსათვის მინდაო. სამი კაცი ვნახე, თავზე ტყავი გადააძრესო. თავს უშველე მალე. აბა, ეს ტანისამოსი გავცვალოთო.

მეწისქვილემ საჩქაროდ გაიხადა ტანთ, იმ გლეხის ტანისამოსი

ჩაიცვა, გლეხმა — მეწისქვილის ტანისამოსი და ასწავლა: ხეზე ადი, დაიმალეო.

თვითონ ფქვილი შეიყარა. მივიდა მაზლი და ჰკითხა გლეხს: აქეთ ერთი გლეხი მოდიოდა, აქ შემოვიდაო.

გლეხმა ხმამაღლა უთხრა: აქ არავინ მოსულაო, მალვით კი აჩვენა: მაღლა არისო.

გამოვიდა კაცი, შეხედა ხეს და გადაცმული მეწისქვილე დაინახა. დაუწყო გინება: აქ ჩამოდი, შე მატყუარაო, ფული მოგიტაცნია და ახლა მანდ იმალებიო? გამწარებულმა მეწისქვილემ ხეზე თავი ახალა და ახალა, ნურც მე ცოცხალი და ნურც შენ ეს თავი მთელიო.

ამასობაში გლეხი კაცი შემოაჯდა მაზლის ცხენს და გაჰკურცხლა. მაზლმა ჩამოიყვანა ხიდან ის კაცი და იმანაც ყველაფერი უამბო. მაზლი ცარიელი დარჩა. შინ დაბრუნდა.

რძალმა ჰკითხა: რა ჰქენიო?

— რაღა რა ვქენი, ისეთ გაჭირვებაშია თურმე ჩემი ძმა, რომ ცხენიც იქ გავატანეო, — უთხრა მაზლმა.

ტკბილი ცოლ-ქმარი

ერთ სოფელში ერთი ცოლ-ქმარი იყო. ფური დაუბერწდათ. ცოლმა უთხრა ქმარს: წაიყვანე ქალაქში, გაყიდე ან გამოცვალეო.

გლეხმა წაიყვანა. გზაზე ფური უკან იწევს. გლეხი მოიქანცა, სულ თავბედს იწყევლის და აგინებს ფურს: მაცა, შენ თუ არ გადაგკარგოო.

მეღორემ გაიგონა იმისი ლანძღვა-გინება და ჰკითხა: რა ამბავია, რას გაუჯავრებიხარო?

გლეხმა უთხრა: ეს ძროხა გამიბერწდა, ქალაქს მიმყავს გამოსაცვლელად და ასე მაწვალებს, სულ უკან ბრუნდებაო.

მეღორემ უთხრა: რახან გამოცვლას აპირებ, მოდი გოჭებიან ღორზე გამიცვალეო.

გლეხმა იფიქრა, ღორს ადვილად ვატარებო და გადაცვალა. გაიგდო ღორი გოჭებიანად, მაგრამ აბა ღორებს მოსვენებით როგორ ატარებდა. შეწუხდა გლეხი და დაიწყო კიდევ ლანძღვა-გინება.

შემოხვდა მეცხვარე. ჰკითხა: რა გაჯავრებსო? თუ გინდა, მოდი ერთ ციკნიან თხას მოგცემ, გამიცვალეო.

გლეხმა გამოართვა, იფიქრა: მოსვენებით ჩავიყვანო. თხამა და ციკანმა უარესი უყო. გლეხმა თავბედი იწყევლა.

შემოხვდა ერთი ცხენოსანი გლეხი, ქათამი მიჰყავს გასაყიდად. თხის პატრონს ჰკითხა: რა გაჯავრებსო?

ამან უთხრა თავისი და ნახა, ცხენოსანს ცხენზე ხურჯინი უკიდია და იქიდან მამალს თავი ამოუყვია. მოეწონა და უთხრა: მოიტა, ყივანაზე გამიცვალეო.

ქათმის პატრონს, რასაკვირველია, იამა და გაუცვალა. გლეხმა გამოართვა, იღლიაში დაიჭირა და ალერსით უყვავებს ქათამს: როგორი ჭკვიანი ხარო.

მივიდა ქალაქში და გაყიდა ორ აბაზად. გზაზე დუქანში ქუდები ნახა და ერთი ქუდი მეტად მოეწონა. შეევაჭრა. ჭონმა მანეთად დაუჯასა. გლეხი იმდენს ეჩიჩინა, ორ აბაზად გამოართვა და თავისი ძველი ქუდიც სართად მისცა, გამოიყენებო. ადგა, წამოვიდა.

გზაში წყალი მოსწყურდა, წყალზე ჩავიდა და, რომ დაეწაფა, ქუდი ჩაუვარდა და წყალმა წაიღო. გლეხი გამოუდგა, ვერ დაიჭირა და კინაღამ თვითონაც მოიტაცა წყალმა.

მივიდა ჭონთან და ძველი ქუდი სთხოვა. ჭონმა უთხრა: რა კაცი ყოფილხარ, ცოლს რაღა პირით დაენახვები, ხომ შეგეპამსო!

გლეხმა უთხრა: ხმასაც არ გამცემს ჩემი დედაკაციო.

ჭონმა უთხრა: დავნაძლევდეთო, თუ შენმა ცოლმა ჩხუბი არ დაგიწყო, თქვენი სოფლისაკენ ცხვარი მყავს, წამოვალ და სანაძლეოდ ფურის ფასს, სამ თუმანს მოგცემო, თუ არადა სამი თვე მოჯამაგირედ დამიდექიო.

— კარგი, აგრე იყოსო, — უთხრა გლეხმა. ადგა ჭონი და გაჰყვა გლეხს.

სოფელში რომ შევიდნენ, გლეხი შინ არ შევიდა, ბანიდან გადასძახა ცოლსა; დედაკაცმა შინ შეიპატიჟა: გარედან რას მელაპარაკები, რატომ შინ არ შემოხვალო!

გლეხმა უთხრა: რა შემოვიდე, ძროხა წავიყვანე, გავცვალეო.

— ეგ ხომ ვიცი, მე არ გამოვაგდე სოფლის ბოლომდისაო? მერე რაში გასცვალეო?

— ღორში, თავის გოჭებითაო, — უთხრა ქმარმა.

— ეგ ძალიან კარგიო, გავამრავლებთ და გავკეთდებითო. მერე რა უყავიო?

— რაღა რა ვუყავი, გზაზე თავი მომაბეზრეს და ციკნებიან თხაში გავცვალეო.

— იფ, ეგ უკეთესიო, მოვწველით და ყმაწვილებს დავიოკებთო. მერე სად არისო?

— რაღა სად არის, ვერც ისინი ვატარე და ყივანაზე გავცვალეო.

— ეგეც კარგიაო. ბანთიადისას იყივლებს და გამოგვაღვიძებსო, მუშაობას აღარ მოვცდებითო. მერე რა უყავიო?

ქმარმა უთხრა: გავყიდე და ქუდი ვიყიდეო.

ცოლმა უთხრა: კარგი გიქნია, მაშ, ქალაქობა რაზე დაგეტყოსო? ქუდი რა უყავიო?

ქმარმა უპასუხა: რაღა რა ვუყავი, წყალი მომწყურდა, დავეწაფე, ჩამივარდა, წყალმა მომტაცა, გამოვუდექი, კინაღამ მეც წამიღოო.

დედაკაცმა ხელები თავში წაიშინა: უი, მე თვალდამდგარსა, რატომ ლიტრა არ გაგატანე, ცივ წყალს მოიტანდიო!

ჭონმა შეუკურთხა: ჰა, თქვენი ასე და ისეო, რა ხალხი ყოფილხართო! დაუთვალა გლეხს სანაძლეო ფული და წამოვიდა.

ცოლ-ქმარი

ერთი მდიდარი კაცი იყო. ქონება კარგი ჰქონდა, მაგრამ დაჭირიანებული, დაგრეხილი იყო. ცოლმა იფიქრა: ეს სიმდიდრე ხომ არსად წამივა, ჭირიან კაცს რაღას მოვუჯდეო.

ადგა და წავიდა თავის სოფელში.

ქმარი დაღონდა, მარტოობამ შეაწუხა და ერთ კაცს შესჩივლა: ცოლმა თავი დამანება და წავიდაო.

ამ კაცმა უთხრა: რას დაღონებულხარ, კაცები დავატაროთ სოფლებში კვერცხისა და ქათმების საყიდლად, ხმა დავყაროთ, ვითომ ცოლს ირთავ და ქორწილს აპირებო; ცოლი შეიტყობს და მოგივაო.

დაუჯერა მდიდარმა კაცმა და ცოლის სოფელშიც კვერცხ-ქათმის საყიდლად კაცი გაგზავნა. ცოლმა შეიტყო, ჩემი ქმარი სხვა ცოლს თხოულობსო, ადგა და ქმართან გაიქცა.

ჩხუბი არაფერზე

ერთ ტრიალ მინდორზე ორი კაცი იწვა და ერთმანეთს ელაპარაკებოდა. ვარსკვლავებით მოჭედილი ღამე იყო. ერთმა გადაავლო თვალი მინდორს და თქვა: ნეტავ ეს მინდორი ჩემი იყოსო, ვირებს გავიჩენდიო.

მეორემ თქვა: რაც ამ ცაში ვარსკვლავია, იმდენი ცხვარი მომცაო. მოუვიდათ ლაპარაკი.

— მაგოდენა ცხვარი რომ გყავდეს, ჩემ მინდორში უნდა მოძოვონ და ვირები უბალახოდ უნდა დამირჩენო? — უთხრა პირველმა.

— თუ შენ ვირებს საძოვარი უნდათ, ცხვარს კი არ უნდაო?

— მერე ვინ დაგანებებსო?

— არ დამანებებს, ძალათი შემოვრეკავო!

შეჰყვნენ ლაპარაკს, მოუვიდათ ჩხუბი და ერთმანეთს ცხვირ-პირი დაამტვრიეს. გამოიარა მგზავრმა და ჰკითხა: რა გაჩხუბებთო?

უთხრეს თავიანთი საჩივარი.

— ვაჰ, თქვენ ჭკუას! რაც არა გაქვთ, რაზე ჩხუბობთო!

ტყუილი ტირილი

ერთი ყმაწვილი ქალი იყო. წავიდა წყლის მოსატანად. წყლის პირას დაჯდა ხის ძირში. იფიქრა: მე რომ გავთხოვდე, შვილი მომეცემა, წყალზე ჩამოვა, ამ ხეზე ავაო, ხიდან რომ ჩამოვარდეს, ამ წყალში ჩამივარდება და დამეხრჩობაო — უი, შენ დედასაო!

მოჰყვა ტირილს. ამასობაში დედაც აქ მოვიდა და ქალს ჰკითხა: რა გატირებს, შვილოო?

— რაღა რა მატირებსო, — უთხრა ქალმა, — რომ გავთხოვდე და შვილი მომეცეს, აქ მოვა, ხეზე ავა, ჩამივარდება წყალში, დამეღუპება და ბებიას ვიღა დაგიძახებს, როგორ არ ვიტიროო.

— უი, შენ დედასა, ეგ რა მოგსვლიაო, — დაიწყო დედამ მოთქმა და მოჰყვა ტირილს.

მოვიდა ქალის მამა: რა გატირებთო, რა დაგმართნიათო?

ცოლმა უთხრა: ასე და ასეა, ქალი რომ გაგვითხოვდეს, შვილი მიეცეს, ამ ხეზე ავიდეს და ჩამოვარდეს, წყალში რომ დაიხრჩოს,

პაპას ვიღა დაგიძახებსო; შენ კი არ იტირებ შვილიშვილსა, პაპა ხარო?

ქმარმა უთხრა: დაიცა, ამ ხეს ტოტს მოვტეხ, რომ ყმაწვილი არ ავიდესო.

მოსტეხა და ურტყა ცოლსა და ქალიშვილს.

ცოლის მორჯულება

ორი დუნე ძმა იყო. ერთმა ცოლი შეირთო. პირველსავე ღამეს ცოლთან გაჯავრებული მივიდა. კატას მოავლო ხელი: აქაურობას სულ მტვერს ავადენო. მოიქნია და კედელს მიანარცხა. კატა მოკლა.

ცოლი მოიკუნტა, იფიქრა: ეს რა ღვთის რისხვა კაცი ყოფილაო! უჯერებდა და მორჩილი იყო.

მეორე ძმას ნებიერი ცოლი შეხვდა. არას აკეთებდა, თავს მოიავადმყოფებდა: საქმე არ შემიძლიაო.

ამ ქალის ქმარმა ძმას შესჩივლა და ჰკითხა, შენი ცოლი როგორ დაიმორჩილეო? იმანაც ასწავლა.

კაცმა მოუტანა ცოლს ხორცი, ეს მაინც მოხარშე, საღამოზე დაღლილი მოვალ, შენცა ჭამე და მეც მაჭამეო.

ცოლი ადგილიდან არ დაიძრა. დედაკაცმა თქვა: ახლა რომ სადილი გავუკეთო, დაეჩვევა და აღარ მომასვენებსო.

ძაღლმა შეჭამა ხორცი. დედაკაცი იწვა. მოვიდა საღამოს კაცი: აბა, პური მაჭამეო.

დედაკაცმა უთხრა: ძაღლმა შეჭამაო. კაცი გაჯავრდა: თუ არა ხარშავდი, შეინახავდი მაინცაო. წაავლო კატას ხელი და შუაზე გაგლიჯა.

დედაკაცი წამოდგა და თავში ჩაჰკრა: ეგ ადრევე უნდა გექნა, ახლა გვიანიაო.

უსაქმური ქალი

ერთ კაცს ცოლი უნდოდა: ისეთი ქალი უნდა შევირთო, კარგი მოსაქმე იყოსო.

ერთი დარჩენილი გასათხოვარი ქალი იყო, უსაქმური. უთხრეს:

კოპში ფერადძაფასხმული ნემსები გაიკეთე და კარზე დადექ. ეგება თვალი მოგკრას და გითხოვოსო.

ქალმა გაიკეთა კოპში ბლომად ნემსები სულ სხვადასხვა ფერის ძაფითა და კარზე იდგა. მოჰკრა თვალი იმ კაცმა და იკითხა: რა არის ამოდენა ფერადი ძაფი რომ ჰკიდია თავსაფარზეო?

უთხრეს: ძალიან მოსაქმე არის და ნემსები სულ აგებული აქვსო.

მოეწონა კაცს: სწორედ საჩემო ქალი ყოფილაო.

შეირთო. იჯდა ქალი უსაქმოდ.

ვნახოთ, მოვიდა ნამის ჭია. წამოდგა ქალი და ჭიას თავი დაუკრა: მობრძანდი, მამიდაჩემოო!

კაცმა ჰკითხა: რასა შვრები, რა ამბავიაო?

ქალმა უთხრა: მამიდაჩემიაო. გვარში მოგვდგამს საქმის სიყვარულიო. მეტის საქმით ასე დაილია და ჭიად იქცაო.

კაცმა თავი მოიკლა: ამას იქით თუ შენ ხელში ნემსი მინახავს, თავი ცოცხალი აღარ მინდაო. სულ დაუშალა საქმე.

სულელი დედაკაცი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ცოლ-ქმარი. ძალიან ღარიბები იყვნენ. წავიდა კაცი და მოჯამაგირედ დადგა, წელიწადში სამ თუმნად. ოთხ წელიწადს იყო მოჯამაგირედ. აიღო თორმეტი თუმანი და წამოვიდა შინ. ათი თუმანი ცოლს მისცა და ორი თუმანი საკაჭროდ წაიღო.

ვნახოთ, ერთ კაცს ერთი გატეხილი სადღვებელი დააქვს და იძახის: ვის უნდა ძვირფასი, ვის უნდა ძვირფასიო?

დაუძახა ამ დედაკაცმა და ჰკითხა: რას ჰყიდიო? იმან უპასუხა: ასეთ რამესა ვყიდიო, ერთი ბოლოდან რომ გაიხედო, მთელ ქვეყანას დაინახავო, მეორედანაც რომ გაიხედო, უფრო მეტს დაინახავო.

— რა ღირსო? — ჰკითხა დედაკაცმა.

კაცმა უთხრა თორმეტი თუმანიო, მაგრამ ათ თუმნადაც მივცემო.

— ათი თუმნის მეტიც არა მაქვსო, — უთხრა დედაკაცმა.

აიღო და მისცა. მოვიდა ქმარი. ცოლმა უთხრა: იცი, კაცო, ისეთი რამ ვიყიდე, რომ აქედან რომ გაიხედო, მთელ ქვეყანას დაინახავო, მეორე პირიდან რომ გაიხედო, უფრო მეტს დაინახავო.

დახედა ქმარმა, ნახა, გატეხილი სადღვებელი არის. თქვა: წავალ სხვა ქვეყანაში, თუ ამ ჩემი ცოლისთანა სულელი დედაკაცი ვნახე სხვა, ამას არ მოვკლავ, თუ ვერ ვნახე, მოვალ და მოვკლავო.

წავიდა. ნახა ერთი დედაკაცი, რომელსაც ერთი ქოსმენი ჰყავდა. დადგა ეს კაცი და უყურებს ამ ქოსმენს. დედაკაცმა ჰკითხა: რას უყურებო?

კაცმა უთხრა: ამისმა ძმამ გამომგზავნაო, ძალიან ავად არის და უნდა ამის ნახვაო.

— თუკი ასე ძალიან უნდა მაგის ნახვა, წაიყვანეო. — უთხრა დედაკაცმა.

გამოუყვანა ღორი და მისცა. წამოიყვანა კაცმა და წამოვიდა შინ. მოვიდა ამ დედაკაცის ქმარი და ცოლმა მაშინვე უთხრა: იცი, ჩვენ ქოსმენს ძმა გახდომია ძალიან ავად, იმისგან კაცი მოგვივიდა და წაიყვანაო, ნეტავი ცოცხალს შაინც მიუსწროსო.

მაშინ ამ კაცმა თქვა: წავალ სხვა ქვეყანაში, თუ იქაც ვნახე ამისთანა სულელი დედაკაცი, არ მოვკლავ ამას, თუ ვერ ვნახე, მოვალ და მოვკლავო.

წავიდა, მივიდა ერთ ქვეყანაში. ხელმწიფე მომკვდარიყო. გაიარ-გამოიარა ამ კაცმა სასახლის წინ, დაინახა ხელმწიფის ცოლმა და ჰკითხა: საიდან მოდიხარო?

კაცმა უპასუხა: იქიდანაო.

— მაშ, ჩემი ქმრის ამბავი გეცოდინებაო, — უთხრა ხელმწიფის ცოლმა, — რა იცი ჩემი ქმრისაო?

კაცმა უთხრა: მშვიდობითაო, დამაბარა თავისი ლურჯა ცხენი, თავისი ტანისამოსი და ერთი სამასიოდე თუმანიო.

გამოაყვანინა დედაკაცმა ლურჯა ცხენი და მისცა. გამოატანინა და მისცა ერთი ხელი კარგი ტანისამოსი და სამასი თუმანი. მისი მაზლი მაშინ შინ არ იყო და, რომ მოვიდა, უთხრა: იცი, შენ ძმას კაცი გამოეგზავნა და დაებარებინა თავისი ლურჯა ცხენი, ერთი ხელი კარგი ტანისამოსი, სამასი თუმანი ფულიო და გავუგზავნეო.

ადგა მაშინვე ეს ხელმწიფის ძმა თავის ნაზირ-ვეზირებით და გამოუდგა იმ კაცს. კაცმა დაინახა ესენი, იფიქრა: ჩემ საძებნელად მოდიანო და უნდა ვეშველო თავს რამეო.

იქ ახლო, ჭალაში ერთი პატარა წისქვილი იყო. ცხენიდან ჩამოხტა, ცხენი ჭალაში გაუშვა, თვითონ წისქვილში შევიდა და მეწისქვილეს უთხრა: მოიჯარადრეები მოდიან, ვისაც ბევრი მინდი აუღია, იმათ თავებს სჭრიანო.

— მიშველე რამეო, — უთხრა მეწისქვილემ, — სად დავიმალოო?

— ემანდ ხაროში ჩაძვერიო, — უთხრა კაცმა.

თვითონაც ფქვილი დაიყარა ტანისამოსზე და დაჯდა.

ჩაძვრა და დაიმალა მეწისქვილე. მოვიდა ხელმწიფის ძმა თავისი ძხლებლებით და ჰკითხა: რა იქნა ის კაცი, ახლა რომ შემოვიდაო?

კაცმა თითით უჩვენა, ემანდ ხაროში არისო. დაადგა ზემოდან მეწისქვილეს ხელმწიფის ძმა და ეუბნება: ამოდი მაღლაო!

მეწისქვილე იქიდან ეფიცება: ღმერთმანი, ბევრი მინდი არ ამიღიაო.

ამ დროს ის კაცი გაიპარა გარეთ, შეჯდა ხელმწიფის ლურჯაზე და გაკურცხლა. ამოვიდა ხაროდან მეწისქვილე, ხელმწიფის ძმამ შეიტყო ყველაფერი, მაგრამ გვიანღა იყო.

მენახირის ქალი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა ვაჟიშვილი, გულადი და ისეთი ლამაზი, რომ მასზე უკეთესი ვაჟი მთელ ქვეყანაზე არ მოიძებნებოდა. ბიჭი დასაქორწინებელი რომ გახდა, ხელმწიფემ დაიბარა და უთხრა: წადი, შვილო, და, ვინც მოგეწონოს, ის ითხოვეო.

ბიჭმა დაუჯერა მამას და გაუდგა გზას. დედამიწის ზურგი სულ შემოიარა, ბევრი ქალი ნახა, მაგრამ არც ერთი არ მოეწონა. ბოლოს, შეჯდა თავის მფრინავ რაშზე და გაფრინდა აღმოსავლეთით, ბედის მწერლის საძებრად. ცეცხლის მთა გადაიარა და პირდაპირ სამოთხის კარს მიადგა. ისეთი სანახაობა გადაეშალა, რომ იქიდან კაცს წამოსვლა აღარ მოუნდებოდა. ბევრი საკვირველება ნახა. აქეთ-იქით გაიარ-გამოიარა და შეხვდა ერთ თეთრწვერა ბერიკაცს.

— ჯერ შენი დრო არ მოსულა და აქ რამ მოგიყვანაო, — ჰკითხა ბერიკაცმა.

— ბედის მწერალს დავეძებ, იქნებ იცნობდეო, — უპასუხა ვაჟმა.

— ბედის მწერალი მე ვარ, რას თხოულობო! — უთხრა ბერიკაცმა.

ვაჟი მუხლებზე მოეხვია ბერიკაცს და ხვეწნით ჰკითხა:

— დედამიწა შემოვიარე და ქალი არ მომწონებია, მითხარი, ჩემი ბედი ვინ არისო!

— შენი ბედი ამა და ამ სოფლის ამა და ამ მენახირის ქალია, ის უნდა შეირთოო, — უთხრა ბერიკაცმა.

ვაჟი გაბრაზდა და თქვა: ეგ ხომ ტყუილია, მენახირის ქალს მე არ შევირთავ, ახლავე წავალ, იმ ქალს მოვკლავ და ეგ იქნებაო.

გამოემშვიდობა ბერიკაცს, შეჯდა თავის რაშზე, გადმოიარა ცეცხლის მთა და პირდაპირ იმ მენახირეს მიადგა კარზე. დაუძახა, გარეთ გამოდიო. გამოვიდა სახლიდან ერთი საწყალი, კონკებში გახვეული ბერიკაცი, ბიჭს მიესალმა და ჰკითხა: რას მიბრძანებ, ხელმწიფის შვილო!

ვაჟმა უთხრა: შენი უფროსი ქალიშვილი მომეცი, ცოლად უნდა შევირთოო.

— ჩემი ქალი რა შენი შესაფერისია, შენ ხელმწიფის შვილი ხარ, ის კი მენახირისა, ეგ როგორ იქნებაო! — გაკვირვებით ჰკითხა ბერიკაცმა.

— არა, ბედის მწერალმა მითხრა, უნდა შევირთოო, — უთხრა ვაჟმა.

მენახირე დათანხმდა. შეიპატიჟა შინ. შუაღამე რომ გახდა, ვაჟი წამოდგა, ქალს მუცელში ჩასცა ხანჯალი და მიაძახა: აი, თუ ჩემი ბედი ხარო?!

ქალმა კივილი მორთო: მიშველეთ, მომკლაო!

მენახირემ რის ვაივაგლახით აანთო კვარი და ნახა, ქალიშვილს მუცელი ჰქონდა გაფატრული. მამამ მაშინვე შეაბა ურემი, ქალი შიგ ჩასვა და ქალაქში წაიყვანა ექიმთან. შეხვდა ქალაქის უფროსს, რომელსაც ძალიან მოეწონა მენახირის ქალი და სთხოვა მამას: ეგ ქალი მე მომეცი, შვილი არა მყავს, მოვარჩენ, გავზრდი და გავათხოვებო.

მენახირეს რაღა უნდა ექნა. დათანხმდა, გამოემშვიდობა თავის ქალიშვილს და შინ დაბრუნდა. მართლაც, ქალი მოარჩინა ქალაქის უფროსმა, ასწავლა და გაზარდა. სულ აბრეშუმის კაბებს უკერავდა. ეს ქალი ისეთი ლამაზი გახდა, რომ ქვეყანაზე უკეთესი ქალი არ მოიპოვებოდა.

ხელმწიფის შვილი კიდევ დადიოდა საცოლოს საძებრად. ბევრი ადგილი შემოევლო და უკანასკნელად ამ ქალაქს მოსდგომოდა. დაღლილ-დაქანცულს წყაროსთან დაესვენა. აბა, ნახე ბედი! სწორედ ამ დროს ეს ქალიც ამ წყაროსთან მოვიდა. მაშინვე იცნო ხელმწიფის შვილი, მაგრამ არაფერი უთხრა. ვაჟმა ვერ იცნო, მაგრამ ძალიან მოეწონა. მიიკითხ-მოიკითხა, ვინ არის, ვისი ასულიაო. ერთმა ბებერმა უთხრა: ჩვენი ქალაქის უფროსის ქალია, მან გაზარდაო.

ვაჟმა იფიქრა: აი, ვინ არის ჩემი შესაფერისი, სხვა რაღად უნდა ვეძებოო. რაღა ბევრი გავაგრძელო, შეირთო ცოლად.

ერთხელაც ვაჟმა ქალს მუცელზე ჭრილობა შენიშნა.

— ეგ რა არისო? — ჰკითხა.

ქალმა გაიცინა და უპასუხა: შენ რომ ხანჯალი დამკარ, ის არის, განა აღარ გახსოვსო? და უამბო თავგადასავალი.

ვაჟი ახლა კი დარწმუნდა, ბედს ვერავინ გაექცევაო, და ამის შემდეგ ცოლ-ქმარი ბედნიერად ცხოვრობდა.

შერცხვენილი კაცი

ორი მონადირე იყო. მუდამ ტყეში დადიოდნენ და ერთად ნადირობდნენ. ერთი მონადირის ცოლს საყვარელი ჰყავდა, მაგრამ ქმარმა არაფერი იცოდა.

ერთხელ მეგობრები სანადირო დ იყვნენ ტყეში. ბევრი ნადირი დახოცეს, ბევრი იხეტიალეს და კიდეც დაეღამდათ. თქვეს: მოდი, ცეცხლი ავანთოთ, მწვადი შევწვათ, ვჭამოთ და შინ მერე წავიდეთო.

არც ერთს არ აღმოაჩნდა ასანთი. დაინახეს, სადღაც შორს, ტყეში ბოლი მოჩანდა. ერთი იქითკენ წავიდა ცეცხლის მოსატანად, მეორე კი შეუდგა ხმელი ფიჩხის შეგროვებას.

წავიდა ერთი მონადირე. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა იმ ადგილას, სადაც ბოლი ამოდიოდა. მართლაც, ცეცხლი ენთო და მასთან ერთი ბერიკაცი იჯდა. მიესალმა: — გამარჯობაო!

— გაგიმარჯოსო! რა გინდა, საიდან მოსულხარო? — ჰკითხა ბერიკაცმა.

— მონადირე გახლავარ, ასანთი არა მაქვს, ცეცხლისთვის მოვედიო, — უთხრა ამ კაცმა.

— რახან მონადირე ყოფილხარ, ერთი მთვარეს შემიხედე და გამიგე, სადაროა თუ საავდრო, — უთხრა ბერიკაცმა.

მონადირემ დაიდო შუბლზე ხელი და უპასუხა: საავდროაო. ამის თქმაზე ბერიკაცმა გადაჰკრა წკეპლა და მონადირე ვირად აქცია. დადგა ვირი იქვე, აზრი კაცისა აქვს, სახე — ვირისა.

მეგობარი ელოდება ტყეში. უცადა, უცადა და, რომ აღარ დაბრუნდა, წავიდა საძებრად. მოვიდა ისიც ბერიკაცთან. ისიც მიესალმა:

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოსო!

— რა გინდა, საიდან მოსულხარ, რა გაგჭირვებიაო? — ჰკითხა ბერიკაცმა.

— მონადირე გახლავარ, მეგობარი გამოვგზავნე ცეცხლისთვის, აქ ხომ არ მოსულაო?

— რახან მონადირე ყოფილხარ, ერთი მთვარეს შეხედე და გამიგე, სადაროა თუ საავდრო, — უთხრა ბერიკაცმა.

— შე კაცო, მე რომ მაგის გაგება შემეძლოს, მაშინ აქ, ტყეში კი აღარ ვიქნები, ხელმწიფობას მომცემდნენო, — უთხრა მონადირემ.

ბერიკაცს მოეწონა მისი პასუხი, მისცა ცეცხლი და ვირიც აჩუქა. წამოვიდა მონადირე, წამოიყვანა ვირი. აანთო ცეცხლი. შეწვა მწვადი. ვირი დგას ყურებჩამოყრილი, გონება ადამიანისა აქვს, მაგრამ ლაპარაკი არ შეუძლია.

გვიან ღამით აჰკიდა ვირს ნანადირევი და წამოვიდა შინ. ვირს ტვირთი მოხადა და გაუშვა ეზოში, ვირი კი მაშინვე სახლისაკენ გაიქცა, პირდაპირ საწოლ ოთახში შევარდა. მაგრამ ვაი იმ სანახავს, რაც თვალწინ წარმოუდგა: მის ცოლს გვერდზე საყვარელი ეწვა და ეალერსებოდა. გამწარებულმა ვირმა ყროყინი დაიწყო. წამოვარდა ცოლი, წამოავლო ცულს ხელი და გამოუდგა ვირს: საიდან მოთრეულხარ, აქედან დაიკარგეო!

ვირი წამოვიდა ამხანაგთან, გაჩერდა მის კარებზე და ჩამოყარა ყურები. არის დაღონებული. შეებრალა კაცს. რა იცის, რასა სთხოვს. იფიქრა, მეგობარი უნდა მოვძებნოო, და ისევ წავიდა იმ ბერიკაცთან. ვირი წინ-წინ გაიქცა. მივიდა ბერიკაცთან და დაუჩოქა მუხლებზე. ბერიკაცმა ახლა გადაჰკრა წკეპლა, ისევ ადამიანად აქცია და ჰკითხა:

— შინ რომ გაიქეცი, რა ნახე, ტყუილი არ თქვა, არაფერი დამიმალოო?

მონადირემ უთხრა:

— ჩემს ცოლს გვერდზე საყვარელი ეწვა და ეალერსებოდაო.

— შე კაი კაცო, შენ თუ საკუთარი ცოლის არა იცი რა, მთვარისა რა გეცოდინებოდა, — უთხრა ბერიკაცმა, — ამის შემდეგ ტყუილი აღარა სთქვა, ახლა კი წადიო.

მონადირე წამოვიდა შინ შერცხვენილი. ცოლი გააძევა და შემდეგ ტყუილი აღარ წამოსცდენია.

ჰირი იქ დავტოვე,
ლხინი აქ მოვიტანე.

ბატონი და მოჯამაგირე

იყო ერთი ბატონი. გულადი და ამაყი, მოქეიფე და მოჯირითე. ძალიან უყვარდა ცხენით სეირნობა. თავისი იორღა მთელ ქვეყანას ერჩია.

ერთ დღეს შეკაზმა, დაადგა ოქროს უნაგირი, წაიღო ორი დღის საგზალი, წაიყვანა თან ერთი მოჯამაგირე და გაემგზავრა მეზობელი ბატონისაკენ.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ სოფელში დაუღამდათ. ერთ ოჯახში ჩამოხტა ღამის გასათევად. თვითონ ოდაში მიიწვიეს, მოჯამაგირე კი ცხენთან დატოვა. მშვენიერი, ვარსკვლავებით მოქედილი ღამე იყო.

— ბიჭო, ღმერთი არ გაგიწყრეს, არ დაიძინო, თორემ ცხენს ვინმე მოგპარავსო, — გააფრთხილა მოჯამაგირე.

— საკუთარ თავსავით მოვუფრთხილდები, ტკბილად დაიძინეთ, არ შეწუხდეთო. — უპასუხა მოჯამაგირემ.

ბატონი დაწვა დასაძინებლად. ყველას რომ დაეძინა, ბატონი წამოდგა, მივიდა სარკმელთან და გადასძახა მოჯამაგირეს:

— ბიჭო, გძინავს?

— არა, ბატონო, რა დამაძინებს, ვფიქრობ!

— რაზე ფიქრობ, რა გაქვს სადარდებელი?

— ამ დიდებულ ღმერთს ეს ამოდენა ცა რომ გაუჩენია, რატომ ძირს არ ვარდება, ამაზე ვფიქრობ.

— ჰო, კარგია, იფიქრე, იფიქრე. ოღონდ არ დაიძინო, ცხენს მოუფრთხილდი!

დამშვიდებულ ბატონს ჩაეძინა. შუაღამისას გამოეღვიძა, მივიდა სარკმელთან და ისევ გადასძახა მოჯამაგირეს:

— ბიჭო, გძინავს?

— არა, ბატონო, რა დამაძინებს, ვფიქრობ!

— რაზე ფიქრობ, რა გაქვს სადარდებელი?

— ამ დიდებულ ღმერთს ცაზე რომ ვარსკვლავები ჩაუმწკრივებია, რატომ დაბლა არ ცვივა, ამაზე ვფიქრობ.

— ჰო, კარგია, იფიქრე, იფიქრე, ოღონდ არ დაგეძინოს და ცხენი არავინ მოგპაროს! — უთხრა ბატონმა და ისევ დაიძინა.

გათენებისას ბატონს კვლავ გამოეღვიძა, მივიდა სარკმელთან და გადასძახა მოჯამაგირეს:

— ბიჭო, გძინავს?

— არა, ბატონო, რა დამაძინებს, ვფიქრობ!

— რაზე ფიქრობ, კიდევ რაღა გაქვს სადარდებელი?

— შენი ცხენი ვიღაცას მოუპარავს და ახლა იმაზე ვფიქრობ, ეს ოქროს უნაგირი როგორ ვზიდოო. — უპასუხა მოჯამაგირემ.

ამის გამგონე ბატონმა შემოირტყა თავზე ხელი, მაგრამ რაღას იზამდა. დილით აჰკიდა ოქროს უნაგირი მოჯამაგირეს და სახლისაკენ წამოვიდა დაღონებულ-გამწარებული.

ასეთ მზეს რა გაუძლებსო?!

ერთ სოფელში ერთი ზარმაცი კაცი იყო. დღედაღამ იწვა და ეძინა, ცოლ-შვილი კი მშიერი და გაწვალებული ჰყავდა.

ერთ დღეს ცოლმა უთხრა: კაცო, შენ სულ გძინავს და არაფერს აკეთებ, აბა, ასე როგორ იქნება. ხომ ხედავ, აგერ როგორი ზამთარი მოვიდა, სიცივით ხომ არ უნდა დაგვხოცო, შეშის მოტანა მაინც ხომ შეგიძლია, ხელი გაანძრიეო!

ზარმაცმა უპასუხა: მოიცადე, ქალო, ცოტა კიდევ, აგერ ზაფხული მოვა, ამ ზამთარში წვალებას როგორ დავივიწყებ, ზაფხულში სულ შეშის ზიდვაში ვიქნებიო.

გავიდა ზამთარი, ცოლ-ქმარს სული ძლივსღა შერჩათ. ცოლმა ისევ უთხრა ქმარს: აი, ახლა შეიძლება შეშის მოტანა და ზამთრისათვის მომარაგება, ხელი გაანძრიე, ნულარ იგვიანებო.

ზარმაცი ისევ მხართეძოზე წამოწვა. ცოლმა კვლავ უსაყვედურა: რატომ გძინავს, რატომ არ ამზადებ შეშას ზამთრისათვის, ახლა ხომ თოვლი არ არის, თბილაო?

— შენ სულელი ხომ არა ხარ, ქალო, ვერა ხედავ, როგორი სიცხეა, განა ასეთ მზეს თოვლი გაუძლებსო?! — უპასუხა ცოლს და არხეინად დაიძინა.

სამი ზარმაცი და ხანძარი

იყო სამი ძმა, სამივე ერთიმეორეზე უფრო ზარმაცი. დილიდან საღამომდის სამივე იატაკზე იყო გაჟღვართული. თუ ვინმე პირში პურს არ ჩაუდებდა, მშივრები დაიხოცებოდნენ.

ერთ დღეს სახლიდან ყველა წავიდა. შინ მარტო ზარმაცი ძმები

დარჩნენ. მეორე ოთახში ბუხრიდან ნაპერწკალი გადმოვარდა და ხანძარი გაჩნდა. შავი ბოლი რომ შევიდა ამ ზარმაცების ოთახში, მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, რომ ხანძარი გაჩენილაო. დაიწყო უფროსმა ძმამ ყვირილი: დედაა, მამაა, სახლს ცეცხლი გაუჩნდა, ვიწვითო!

შემდეგ უმცროსმა დაიწყო ყვირილი: ვიწვით, მოგვეშველეთო!

შუათანა ძმა ისეთი ზარმაცი იყო, რომ ყვირილიც შეეზარა და ძმებს შეეხვეწა: მოდი, ჩემ მაგივრადაც თქვენ იყვირეთო!

უფროსსა და უმცროს ძმას ხმა რომ ჩაუწყდათ ყვირილით, სწორედ იმ დროს მოუსწრეს მეზობლებმა და ძლივს გადაარჩინეს ზარმაცი ძმები. ძმები კი გამოიყვანეს, მაგრამ სახლს ვეღარაფერი უშველეს: ფერფლად იქცა.

ერთგული ქმარი და მოღალატე ცოლი

ერთმა ცოლმა და ქმარმა ფიცი დადეს: თუ ერთი რომელიმე ჩვენთაგანი ადრე მოკვდეს, მეორემ პატივი სცეს, ხელახლა აღარ დაქორწინდეს. ქვრივად დაბერდესო. ჯერ ქალმა შეჰფიცა: ჩემს სიცოცხლეში შენ მიყვარდი, მიყვარხარ და, რომ მოკვდე, მაშინაც მეყვარები, შენს მეტს აღარავის გავყვებიო. ასევე ქმარმაც მისცა ფიცი, არავის ვითხოვო.

არ გასულა დიდი ხანი და უცებ გარდაიცვალა ცოლი. კაცმა, რაც წესი იყო, ყველაფერი შეასრულა, მდიდრულად დაასაფლავა. ქალის ცოდვითა და სიყვარულით არ შორდება საფლავს, დღედაღამ საფლავზე წევს და დასტირის საყვარელ ცოლს.

ამ დროს გამოიარა ერთმა მგზავრმა და ასეთი ტირილის მიზეზი ჰკითხა. მოტირალმა ყველაფერი უამბო. მგზავრმა უთხრა: შენ ოთხმოც წელიწადს კიდევ იცოცხლებ, სთხოვე ღმერთს, რომ ნახევარს შენს ცოლს დაუთმობ და გააცოცხლებსო.

ადგა ეს კაცი და შეეხვეწა ღმერთს: გამჩენელო ღმერთო, მე რამდენიც უნდა ვიცოცხლო, შუაზე გაყავი და ნახევარი ჩემს ცოლს უწილადეო.

ამის თქმა და ქალის საფლავიდან ამოდგომა ერთი იყო. გაიხარა ცოლ-ქმარმა და სიცილ-კისკისით სახლისკენ გასწია.

გზაში ქმარმა ქალი შეაჩერა და უთხრა: ერთი კვირა არ მიძინია, რაც შენ მოკვდი, მოდი, ჩამოვსხდეთ აგერ ქვაზე, შენს კალთაში თავს ჩავდებ და ცოტას ჩავთვლემო.

დაიძინა კაცმა ქალის კალთაში. ამ დროს გამოიარა ცხენიანმა კაცმა, რომელიც თავიდან ფეხებამდის ოქრო-ვერცხლის ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. ძალიან მოეწონა ქალი და დაუძახა: რას ჩაგიდვია ძაღლის თავი კალთაში, მოდი, ცოლად გამომყევ და ჩიტის რძეს არ მოგაკლებო.

ქალმა ქმარს თავი წამოუწია, თავქვეშ ქვა შეუდო, შემოუჯდა ამ კაცს ცხენზე უკან და წაჰყვა.

გავიდა ცოტა ხანი. ამ კაცს გამოეღვიძა, მაგრამ რას ხედავს მისი თვალები! ცოლის კალთის მაგიერ თავი ქვაზე აქვს დადებული, ქალი არსად ჩანს. კაცს ეს კიდეც ეწყინა და კიდეც გაუკვირდა. მთელი სოფელი დაიარა, მაგრამ ქალის კვალს ვერ მიაგნო. გადავიდა სხვა სოფელში, ვერა და ვერ იპოვა, ქალი არსად ჩანს.

ერთ დღეს რომელიღაც სოფელში დაუღამდა. მიადგა ორსართულიან სახლს. დაინახა, რომ მისი ცოლი აივანს გვიდა. ხომ არ მომეჩვენაო, იფიქრა, დააკვირდა კარგად, იცნო: ნამდვილად მისი ცოლია. ქალმა ნაქმრევს რომ თვალი მოჰკრა, იქიდან გაიქცა. კაცმა იფიქრა: ამ ღამეს აქ გავათევ, ქალი გამოჩნდება, მიცნობს და გამომყვება უკან, რა გული მოუთმენს, ჩემი დარჩენილი სიცოცხლის ნახევარი ხომ მას დავუთმეო!

დაუძახა მასპინძელს, ღამის გათევა სთხოვა. სახლის პატრონმაც შეიპატიჟა, მასპინძელმა სტუმარს სუფრა გაუშალა. კაცი გაკვირვებულია, რატომ ქალმა არ გაშალა სუფრა, რატომ მერიდებაო.

გათენდა დილა. ქალი კიდევ არა ჩანს. ადგა ეს კაცი და ხელმწიფესთან იჩივლა: ამა და ამ კაცმა ცოლი წამართვა, ჩემი კანონიერი მეუღლე დამიბრუნეთო.

ხელმწიფემ დაიბარა ქალი და მისი ახალი ქმარი. ქალს დაუპირდაპირა ეს კაცები: რომელია შენი ქმარი, რომელს გინდა გაუწიო ცოლობაო.

ქალმა პირვანდელი კანონიერი ქმრისკენ ხელი გაიშვირა და თქვა: მე ამ კაცს სულ არ ვიცნობ, მას პირველად ვხედავ, რამდენ კაცსაც მოვეწონები, ყველას ცოლად ხომ არ გავყვებიო?!

ხელმწიფემ დაუძახა ჯალათებს: ახლავე ჩამოახრჩვეთ ეს კაცი ასეთი ტყუილის თქმისათვისო.

კაცი შეეხვეწა ხელმწიფეს, სიკვდილის წინ ერთი სიტყვა მაინც მათქმევინეთო. ხელმწიფემ ნება დართო და კაცმაც თქვა: მე მაგ ქალს ჩემი სიცოცხლის ნახევარი ვუწილადე და ახლა ქმრად აღარა მცნობსო?! ღმერთო გამჩენელო, ნუ შეარჩენ ჩემს გამასხარავებას

მაგ ქალს, აღარა ვარ თანახმა, ჩემი სიცოცხლის ნახევარი მაგას მი-ვაკუთვნოო!

კაცმა დაამთავრა თუ არა ეს სიტყვა, ქალი უსულოდ დაეცა იატაკზე.

მოჯამაგირე და ოქროს ხანჯალი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მოჯამაგირე. დღესა და ღამეს ასწორებდა მუშაობით. ნამოჯამაგირალით ოქროს ხანჯალი იყიდა და შესანახად ბატონს მიაბარა. ბატონმაც უთხრა: როცა დაგჭირდეს, შვილო, მითხარი და დაგიბრუნებო.

გავიდა ხანი. ერთ დღეს მოჯამაგირე მივიდა ბატონთან და თავისი ოქროს ხანჯალი მოსთხოვა. ბატონმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: რა მოგიბარებია, რასა მთხოვო! პანღური ამოჰკრა და გარეთ გამოაგდო, მეტი აღარ გაბედო ასეთი რამე, მოჯამაგირეს ოქროს ხანჯალი ვინ მისცაო!

წამოვიდა გამწარებული და დაღონებული მოჯამაგირე. კი უნდოდა, ყელში სწვდომოდა მატყუარა ბატონს, ერთ გულის ჯავრს მაინც ამოვიყრიო, მაგრამ ვიღამ დააცადა. აიღეს და გარეთ გამოაგდეს. დადიოდა სოფელში მოჯამაგირე და თავის გაჭირვებას ხალხს შესჩიოდა.

ერთი მეზობლის ქალს შეებრალა მოჯამაგირე. დაისვა და ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა. ისიც კარგად იცნობდა წყეულ ბატონს, მასაც სხვანაირი თვალით უცქეროდა ბატონი, მაგრამ ვერა დააკლო რა. „მოდი, ამ საწყალ ბიჭს დავეხმარები და წყეულ ბატონებზეც შურს ვიძიებო“, — იფიქრა.

მოჯამაგირე დაარიგა: წამომყევი, მე ბატონთან შევალ, შენ ჩუმად უკან დადექი, როცა გავესაუბრები, შემოდი და ხანჯალი მოსთხოვე, თუ არ მოგცეს, მე ვიცი.

ასეც მოიქცნენ. ქალი ბატონთან წავიდა. გაღიმებული მიდიოდა. ბატონი მაშინვე გამოეგება, აი, ამ დღეს ველოდი და მოვესწარო! ქალი გვერდზე მოუჯდა ბატონს და თითქოს რაღაც უნდა ეთქვა, რომ ამ დროს მოჯამაგირე გამოჩნდა.

— ბატონო, ცოდვას ნუ ჩაიდენ, დამიბრუნე ჩემი ოქროს ხანჯალი, რად მართმევო!

ბატონს სახეზე მრისხანება დაეტყო და ზეზე წამოვარდა, მაგრამ უცებ თვალი მოჰკრა გაღიმებულ ქალს, შერცხვა, ეგ ქალი რას იტყვის, მიბარებული ნივთი თუ პატრონს არ დავუბრუნე. ძუნწად ჩამთვლისო და მაშინვე გამოუტანა ოქროს ხანჯალი.

მოჯამაგირემ ხელი დაავლო თავის ხანჯალს და ერთი ჩამოუარა. მას ქალიც აჰყვა. მშვენიერი ცეკვა გაიმართა. ბატონი ტაშს უკრავდა. ქალმა ერთი გადაიკისკისა და ბატონს უთხრა: ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთეთ, შენ კი რაღა ტაშს უკრავ, წყეული იყოს შენი სახელი!

ჩაავლო მოჯამაგირეს ხელი და გამოიქცა. ბატონი დარჩა ხახამშრალი, დაკარგა ოქროს ხანჯალიცა და ქალიც.

მოჯამაგირე და ეს ქალი დაქორწინდნენ. გამართეს სახლ-კარი და ბედნიერად იცხოვრეს.

ცხრა ძმა და მათი დედინაცვალი

იყო და არა იყო რა, ცხოვრობდა ერთი მშრომელი კაცი. ცხრა ვაჟიშვილი ჰყავდა, ყველა კარგი მონადირე. ცოლი ადრე მოუკვდა და შვილები თვითონ გამოზარდა. მოგვიანებით შეირთო მეორე ცოლი. დედინაცვალი კუდიანი და ავი გამოდგა. გერები სძულდა, მაგრამ, რაღას დააკლებდა: ყველა მოზრდილი იყო.

მამა მოხუცდა. დაიბარა შვილები და უთხრა: ხვალ სანადიროდ რომ წახვიდეთ, საღამოს თვითეულმა ტყიდან თითო სახრე მომიტანეთო.

ძმები წავიდნენ, კარგად ინადირეს, საღამოთი დაჭრეს სახრეები და მამას მიუტანეს. მამამ შეკრა სახრეები ერთად, მაგრად მოუჭირა ბაწარი, მისცა უფროს ვაჟს და უთხრა: აბა, შვილო, დაიდე მუხლზე და გადატეხეო.

ბიჭმა დაიდო მუხლებზე, მაგრამ ვერ გადატეხა. ცხრავე ძმამ ჩამოირიგა, მაგრამ ვერცერთმა ვერ გატეხა.

— აი, ხომ ხედავთ, ერთად შეკრული ცხრა სახრე ვერ გატეხეთ. თუ თქვენც, ძმები, ერთად იქნებით, მტერი ვერ დაგჩაგრავთ, თუ არა, მტერი დაგძლევთო. წადით ახლა, დაიარეთ ყველა კუთხე, სადაც ცხრა და ნახოთ, ცოლებად წამოიყვანეთო,—უთხრა მამამ შვილებს.

ძმები წავიდნენ. ბევრი იარეს, ბევრი სოფელი და ქალაქი გაიარეს და ერთ სოფელში ნახეს ღარიბ გლეხს რვა ქალი ჰყავდა. რვა ძმამ წამოიყვანა რვა ქალი, უმცროსი ძმა დარჩა უცოლოდ. მოვიდ-

ნენ თავიანთ სოფელში. მეზობელს ერთი კაი გოგო ჰყავდა, დასტაცეს ხელი და უმცროს ძმას ცოლად მოუყვანეს. ცხრანივე დაქორწინდნენ. ნადირობდნენ და ბედნიერად ცხოვრობდნენ.

მამა მოუკვდათ და საკადრისად დაასაფლავეს. დარჩათ კუდიანი დედინაცვალი. გერები ახლა უფრო შეიძულა. დედინაცვალმა რძლებს საყვარლები გაუჩინა. უმცროსმა რძალმა სხვა კაცი არ მიიკარა, დაჯდა სახლში და ნაცარს ქექავდა. სხვა რძლები კი, როცა ქმრები სანადიროდ წავიდოდნენ, საყვარლებში დროს ატარებდნენ. ქმრები რომ მოვიდოდნენ, მხიარულად ხვდებოდნენ, ნანადირევს ჩამოართმევდნენ და სიცილ-კისკისს ატეხდნენ. უმცროსი რძალი მუდამ მოწყენილი იყო. ერთ დღეს ქმარმა ჰკითხა:

— ყველა მხიარულობს, შენ რად ხარ ასე მოწყენილი. რად არ მეტყვი, რა გაწუხებს?

ჯერ ვერ გაუბედა ქმარს ყველაფრის თქმა. შემდეგ კი უთხრა:

— ხვალ სანადიროდ რომ წახვალთ, შენ ჩუმად ადრე მოდი სახლში და ჩემი დალონების მიზეზს გაიგებ.

კუდიანმა დედინაცვალმა ეს გაიგო. ერდოიანი სახლი ჰქონდათ. წაიღო ნაცარი და ირგვლივ შემოაყარა: თუ ვინმე მოვა, გავიგებ.

უმცროსი ძმა მეორე დღეს გაჰყვა ძმებს სანადიროდ. შუა გზაზე რომ მივიდნენ, ძმებს უთხრა: შინ მშვილდისარი დამრჩა, დავბრუნდები და დაგეწევითო.

სანამ ეს დაბრუნდებოდა, საყვარლები მოსულან და რძლები მათთან დროს ატარებენ. უმცროსმა ძმამ დაინახა, რძლები საყვარლებს ეალერსებიან, მისი ცოლი კი ნაცარში ზის დალონებული. დარწმუნდა ცოლის სიმართლეში, არავის ეჩვენა, წიფლის ძირში ისარი დაარჭო სანიშნოდ და ძმებთან გაბრუნდა.

კუდიანი დედინაცვალი გამოვიდა. ნაცარი დათვალიერა. ნახა ნაკვალევი, გაზომა და ზომა შეინახა. საღამოს ძმები რომ დაბრუნდნენ, დედინაცვალმა უთხრა მათ: აბა, შვილებო, ფეხები უნდა დაგიზომოთ, წინდები უნდა დაგიქსოვოთო.

აუღო ყველას ფეხის ზომა. უმცროსი ძმის ფეხი მოერგო მის ზომას. ძმებს უთხრა: — ხვალ უმცროსი ძმა შინ დატოვეთ, საფქვავი უნდა წაიღოს, ფქვილი სულ არა გვაქვსო.

დარჩა მეორე დღეს შინ უმცროსი ძმა. წაიღო წისქვილში საფქვავი. ეს ბიჭი ისეთი ლონიერი იყო, რომ ცხრა კაცი ხელს ვერ მოჰკიდებდა. საფქვავი მეწისქვილეს ჩააბარა, თვითონ ჩეროში წამოწვა და დაიძინა. ჩაისუნთქავს, ხეები აქეთ გადმოიხრება, ამოისუნთქავს — ხეები გაიმართება. სძინავს არხეინად.

ამ დროს დედინაცვალთან ხელმწიფის კაცები მოვიდნენ და ჰკითხეს: ხელმწიფეს ცალი თვალი დაუშავდა, იქნებ წამალი გვასწავლოთ, რომ მოვარჩინოთო!

დედინაცვალს გულში უმცროსი ძმის ღალატი ედო და უთხრა: ამა და ამ წისქვილში ერთმა ყმაწვილმა საფქვავი წაიღო, მას იქ ახლა ხის ჩეროში სძინავს. თუ მოჰკლავთ და მის გულ-ღვიძლს ხელმწიფეს თვალებზე მოუსვამთ, ბრმა თვალი აეხილებაო.

ხელმწიფის კაცები გამოემშვიდობნენ კუდიან დედინაცვალს და წისქვილისაკენ წავიდნენ. ნახეს, მთაკაცს სძინავს: ჩაისუნთქავს, ხეები მისკენ გადაიხრება, ამოისუნთქავს, ხეები გაიმართება. უნდა მოეკლათ, მაგრამ ერთმა თქვა: ასეთი ვაჟკაცის მოკვლა როგორ იქნება, გავაღვიძოთ, იქნებ მან სხვა წამალი გვასწავლოსო.

გააღვიძეს. უმცროსმა ძმამ თვალები ამოიფშვნიტა, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, ხელმწიფის კაცებს ზრდილობიანად მიესალმა. მათ უთხრეს: ხელმწიფე დაგვიბრმავდა, იქნებ წამალი რამე გვასწავლოო.

— ახლავე მოვდივარ, მე მოვარჩენო. — უთხრა ბიჭმა.

წავიდნენ. ცოტა გზა რომ გაიარეს, ხელმწიფეს თვალებში შუქი მიეცა.

— რაღაც ამბავია ჩემ თავსო! — თქვა.

უმცროსმა ძმამ შეიგა ფეხი თუ არა ხელმწიფის სასახლეში, ხელმწიფეს სულ აეხილა თვალი. სტუმარი სიხარულით მიიღო. კარგად გაუმასპინძლდა: ერთი კვირა სულ აქეიფა. ბოლოს, ხელმწიფემ უთხრა: ამა და ამ მთაში ცხენი გამექცა. ცხრა კვიცი შობა ერთმანეთზე უკეთესი. თუ იმ ცხენს დაიჭერ, ცხენი მე და კვიცები შენაო.

უმცროსმა ძმამ წაიღო სამი დღის საგზალი და გზას გაუდგა. ერთ მაღალ მთაზე დაინახა, ცხენი ბალახს სძოვდა და ცხრა კვიცი უკან ედგა. ესროლა ბიჭმა ქამანდი და ცხენი დაიჭირა. მაგრად ჩაობა ქამანდი, დაიჭირა კვიცებიც და ხელმწიფეს მოუყვანა. ხელმწიფის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. მთელი კვირა წვეულება და ქეიფი გრძელდებოდა.

— გხედავ, ნამდვილი ვაჟკაცი ხარ; ამა და ამ ზღვის პირას ვაზი მაქვს გაშენებული, ვაზს ფუტკარი დაეხვია და ვერავინ ეკარება, იქნებ მიწიდან ამოგლიჯო ის ვაზი და აქ მომიტანოო. — უთხრა ხელმწიფემ.

მეორე დღეს უმცროსმა ძმამ შეკაზმა მის მიერ მოყვანილი ცხენი, წაიღო სამი დღის საგზალი და გზას გაუდგა. ვაზს რომ

მოუახლოვდა, მინდორში დაკრიფა ყვავილები, შეკრა კონები, ჰკრა-
დეზი ცხენსა და ვაზთან მიაგდო. ფუტკარი ყვავილის კონებს და-
ეხვია, ბიჭმა ამოგლიჯა ძირიანად ვაზი და უკანვე გამოქუსლა.
მიართვა ხელმწიფეს მისი საყვარელი ვაზი. ხელმწიფემ ძალიან
გაიხარა. დააჯილდოვა ეს ბიჭი და თან ცხრა კვიციც გამოატანა.

უმცროს ძმას სახლი მონატრებოდა. მოაქროლებდა ცხრა კვიცს
და მოიჩქაროდა. გადაწყვიტა, ძმებისათვის ტყეში მიესწრო და
ყველაფერი ეთქვა.

მაღალ მთაზე დაინახა თავისი ძმები: წინ ირემი გამოეგდოთ და-
უკან დადევნებოდნენ. მათ იცნეს უმცროსი ძმა და გადაეხვივნენ.
დასხდნენ და თავგადასავალი გამოჰკითხეს. უმცროსმა ძმამ ყვე-
ლაფერი უამბო, მაგრამ დედინაცვლისა და რძლების ღალატზე მა-
ინც ვერ ამოიღო ხმა. ჯერ კიდევ შუადღე არ გადასულიყო, მაგრამ
შინ დაბრუნდნენ. ძმებს თითო-თითო კვიცი დაურიგა. წიფლის
ძირში რომ მოვიდნენ, ამ ბიჭმა ძმებს უთხრა: თუ ვაჟკაცები ხართ,
ამოიღეთ ისარი, ეს ჩემი დაკრულია სანიშნოდო.

ძმები სწვდნენ, მაგრამ ვერ ამოიღეს მიწიდან. უმცროსმა ძმამ
წამოჰკრა ნეკი და ამოაძრო.

— ახლა შედით სახლში და, რაც ნახოთ, დამნაშავეები არ და-
ინდოთო, — უთხრა ძმებს. თვითონ კი სამზარეულოში შევიდა, სა-
დაც მისი ცოლი მოწყენილი იჯდა და ნაცარს ქექავდა.

ძმები სახლში შეიჭრნენ. ნახეს, მათ ცოლებს საყვარლები მოუ-
პატიჟებიათ და ქეიფობენ. დაერივნენ და სულ დახოცეს. კუდია-
ნი დედინაცვალი ზედ მიაყოლეს. უმცროსი რძალი დასავით შეი-
ყვარეს და შემდეგ ბედნიერად იცხოვრეს.

ჭირი იქა, ლხინი აქა.

ვაჭარი

იყო ერთი მდიდარი ვაჭარი, ისეთი მდიდარი, რომ ბადალი იშ-
ვიათად მოეძებნებოდა მთელ ქვეყანაზე.

ვაჭარი დადიოდა სოფელ-სოფელ და ვაჭრობდა.

ერთხელ ვაჭარმა იფიქრა: მოდი, ახლა სადმე შორს წავალო.

აჰკიდა თავის ჯორს ერთი საპალნე ოქრო-ვერცხლი, თან საგ-
ზალიც წაიღო და წავიდა.

იარა, იარა და მივიდა ერთ უდაბურ ტყეში. ღამდებოდა, ის დროს

ოყო. რა უნდა ექნა, თვითონ კი ავიდოდა ხეზე, მაგრამ ჯორს ხომ ვერ აიყვანდა! გავიდა ხანი და ისე დაღამდა, ისე, რომ სულ დალურსკუმდა, თვალში თითს ვერ იკრავდა კაცი. ვაჭარმა შემოჰკრა მათრახი ჯორს და წავიდა.

იმდენი იარა, იმდენი იარა, რომ ბოლოს გავიდა ამ ბნელი ტყიდან. გაიხედა და დაინახა, ერთი პატარა ორღობე.

დაადგა ამ ორღობეს და გაჰყვა. დაინახა ერთი პატარა ჯარგვალი. იქით-აქეთ კი სულ ტყეა. ვაჭარმა ჯორი პირდაპირ ჯარგვლისაკენ წაიყვანა.

დაძახებისთანავე ჯარგვლიდან ერთი ისეთი კაცი გამოვიდა, ისეთი, რომ სულ კონკებში იყო გამოხვეული.

— რა გინდაო? — ჰკითხა ამ მოხუცებულმა კაცმა ვაჭარს.

— თუ შეიძლება, მიქენი სიკეთე და ღამე გამათევინეო, — შეეხვეწა ვაჭარი.

— სამი კი არა, ორი სული ძლივს ვეტევით ამ ჯარგვალშიო, — უთხრა მოხუცებულმა, — ცოლი ავადა მყავს და ძალიან შეწუხდებაო.

რა უნდა ექნა ვაჭარს? წასვლა შეუძლებელი იყო, რადგან ახლოშახლო სოფელი არ იყო. ბევრს ეხვეწა ვაჭარი. ბოლოს, ხუთ ოქროს დაჰპირდა და ასე იყო, თუ ისე, დაითანხმა, მაგრამ ჯარგვლის პატრონმა უთხრა: აივანზე თუ გაათევ ღამეს, თორემ შინ ვერ შოთავსდებიო.

— ოღონდ გამათევინე ღამე და, თუ გინდა, სხვენზე დავიძინებ ამ ცხემლისჭრა საღამოსო.

ვაჭარმა ჯორს საპალნე მოხსნა, ჩალა დაუყარა და შეჰყვა მოხუცებულს. თურმე ამ მოხუცებული კაცის ცოლი ორსულად ყოფილა. რომ დაღამდა, ჯერ აგუნა გადაიძახეს, მერე ვახშამი ჭამეს. შუაღამეც შეიქნა და ძილის დრო მოახლოვდა. ვაჭარი გამოვიდა გარეთ, მოხადა ჯორს ნაბადი და აივანზე მიწვა. გათენების ხანმა რომ მოაღწია, ბერიკაცმა გამოაღო კარი, გამოვარდა გარეთ, მივარდა ვაჭართან და გააღვიძა: — ჩემი ცოლი მორჩა და ყარაფინა მათხოვეო.

ვაჭარმა გამოათრია სასთუმლიდან ყარაფინა და ერთი ისეთი აჭექა, რომ სულ გააყრუა იქაურობა. მერე ჰკითხა:

— ბიჭია, თუ ქალიო?

— ბიჭიაო, — უთხრა ბერიკაცმა და ერთი ბერიკაცმაც გაისროლა.

მორჩნენ საქმეს, მერე დაწვნენ და დაიძინეს. ვაჭარმა თვალი რომ

მილულა, მოფრინდა ორი ანგელოზი და შეექმნათ დავა ერთიმეორეში. თურმე ამ ანგელოზებს ახალ დაბადებული ბავშვის ბედი უნდა ჩაეწერათ ბედის წიგნში. ერთი ლაპარაკობდა: ამ ბავშვის ბედი ასეთი უნდა იყოს: თორმეტი წლის რომ შეიქნეს, ან ხიდან ჩამოვარდეს, ან წყალში დაიხრჩოსო.

მეორე ანგელოზი ამბობდა: ამ ბავშვის ბედი უნდა ასეთი იყოს: ამ ვაჭრის მთელი ქონება მის ხელში გადავიდესო.

ბევრი იდავეს და ბოლოს, დიდი ლაპარაკის შემდეგ, ჩაწერეს ბედის წიგნში: რაც ვაჭარს ქონება აქვს, მთელი მისი სიმდიდრე გადავიდეს ამ ბავშვის ხელშიო.

ანგელოზებმა მოათავეს ლაპარაკი და გაუჩინარდნენ. ვაჭარი ყურს უგდებდა მათ. ამ დროს კიდეც გათენდა და ვაჭარიც ადგა. მოხუცებული, როგორც წესი და რიგი იყო, გაუმასპინძლდა სტუმარს. მაგრამ ვაჭარმა ისე მოიწყინა, ისე, რომ სულ აღარ ლაპარაკობდა. წასვლის დროს ვაჭარმა უთხრა: ერთ რაღაცას გთხოვ და თუ ამისრულებ, რაც აქ ოქრო და ვერცხლი მაქვს, იმის ნახევარს მოგცემო.

— რა იქნება ისეთი, რომ ამდენი ქონების საფასურად ვერ აგისრულოო? — უთხრა ჯარგვლის პატრონმა.

— ეს ბავშვი უნდა მომყიდოთო. — უთხრა ვაჭარმა.

მშობლებმა შეიცხადეს. დიდი ხვეწნის შემდეგ დათანხმა ვაჭარმა, ნახევარ საპალნე ოქრო-ვერცხლად იყიდა ბავშვი, გამოახვია ნაბადში და წაიყვანა.

ვაჭარმა იარა, იარა და მივიდა ერთ უდაბურ ტყეში. ფიქვებსა და ნაძვებს ცაში ჰქონდათ წვერი. ტომარაში ჩასვა ბავშვი, მოუკრა თავი, აიტანა ნაძვის კენწეროში, ჩამოაბა ერთ ტოტზე და ჩამოვიდა ძირს: ორბები და ჩიტები დაწიწკნიანო. ერთი კიდევ შეავლო თვალი და გაუდგა თავის გზას.

გავიდა ერთი-ორი დღე და ამ ტყეში სანადიროდ მოვიდა ამ ქვეყნის ხელმწიფე. ჯარით ნადირობდა და ტყეს რეკავდნენ. ერთმა მონადირემ დაინახა, მაღალი ნაძვის კენწეროზე რაღაცაა ჩამოკიდებული. გაიქცა ხელმწიფესთან და მოახსენა: დიდებულო ხელმწიფევ, ამა და ამ ადგილას, ერთი მაღალი ხის კენწეროზე რაღაცა ჰკიდია და იქიდან ბავშვის ტირილი ისმისო.

ხელმწიფემ მაშინვე გაგზავნა თავისი ჯარი, მივიდნენ იმ ხის ძირში, ერთი ავიდა ხეზე, ჩამოხსნა ტომარა და ნელ-ნელა ჩამოიტანა ძირს. ტომარას თავი მოხსნეს და ამოიყვანეს მტირალი ბავშვი. მიჰგვარეს ხელმწიფეს. ხელმწიფემ კი დაუძახა თავის მეჯინიბეს და

ვაატანა კოშკში. ეს ბავშვი ხელმწიფემ გაზარდა და დაარქვა ნაძვია.

გავიდა ხანი. ბავშვი გაიზარდა ისეთი კარგი, რომ ხელმწიფის მარჯვენა ხელი გახდა.

ერთხელ ამ ვაჭარს ხელმწიფის სასახლეში მოუხდა სტუმრობა. ვეზირებმა ვაჭარს დიდი პატივი სცეს. ვაჭარმა შეამჩნია, რომ ერთ პატარა ბიჭს უძახიან: ნაძვიავ, აქეთ მოდი, ნაძვიავ, იქით წადიო. იკითხა: ამ ბიჭს ნაძვიას რატომ ეძახითო?

ამ სიტყვაზე ერთ ვეზირს გაეცინა და უთხრა: ერთხელ ჩვენი ხელმწიფე სანადიროდ იყო. როდესაც ტყეს ვრეკავდით, ნაძვის კენწეროში ჩამობმული ვნახეთ, წამოვიყვანეთ, გავზარდეთ და სახელად ნაძვია იმიტომ დავარქვითო.

ვაჭარი დარწმუნდა; ეს, მე რომ ნაძვის კენწეროში ბავშვი დავიკიდე, უთუოდ ის იქნებაო.

იფიქრა, იფიქრა ამ ვაჭარმა და მოიფიქრა: მოდი, დავწერ წიგნს და გავატან ამ ბიჭს, რომ ჩემს სახლში მოკლანო.

სთხოვა ვეზირს: ეს ბიჭი შინ გამიგზავნეო.

ვეზირი დათანხმდა.

ვაჭარმა დაწერა წიგნი: „ეს ბიჭი რომ მოვიდეს თქვენთან, მაშინვე თავი მოსჭერითო“. მისცა წიგნი ბიჭს და გაუშვა.

ნაძვია მაშინვე წავიდა. იარა, იარა და შუა გზაზე შეხვდა ერთი კაცი.

— გამარჯობა შენი, საით მიხვალო? — ჰკითხა ამ კაცმა.

— მე მივდივარ ამა და ამ კაცისას, ეს წიგნი უნდა გადავცეო, — უპასუხა ბიჭმა.

კაცმა გამოართვა წიგნი და წაიკითხა: ბიჭო, ბიჭო! ეს რა ამბავიაო!

ძალიან შეწუხდა და დიდი ხნის ფიქრის შემდეგ უთხრა ამ ბიჭს: მე დაგიწერ წერილს და ის მიეცი იმ ქალს, ვისთანაც ეს წიგნი მიგაქვსო.

ამ კაცმა ამოიღო ჯიბიდან კალამი და დაწერა: „ეს ბიჭი რომ მოვიდეს, ჩემს ერთადერთ ქალიშვილზე ჯვარი დასწერეო“.

გამოართვა წიგნი ნაძვიამ კაცს და წავიდა. მივიდა თუ არა ვაჭრისას, კარებზე შეხვდა ვაჭრის ცოლი. ნაძვიამ წიგნი გადასცა. ვაჭრის ცოლმა წაიკითხა თუ არა წიგნი, მაშინვე დასწერა ჯვარი თავის ქალზე. ამ ქალსა და ვაჟს ისე შეუყვარდათ ერთმანეთი, ისე, რომ ერთი-მეორეს ვერ სცილდებოდნენ, სულ მუდამ ერთად იყვნენ.

კარგა ხანი რომ გავიდა, ვაჭარმა იფიქრა, ნაძვიას თავს მოსჭრიდნენო, და წამოვიდა შინ. როგორც კი მოუახლოვდა ეზოს, დაინახა, ნაძვია და მისი ქალი ერთად სეირნობდნენ. ამის დანახვაზე ვაჭარს ელდა ეცა, მაგრამ თავი შეიმაგრა, ვითომ ორივეს მოეფერა, როგორც შვილს, ისე ნაძვიასაც. ცოლმა მიახარა, რაც შენ შემომითვალე, შევასრულე, ჯვარი დავწერეო.

რა ქნას ვაჭარმა, ბრაზი მოსდის, კბილებს აკრაჭუნებს. რომ მოსაღამოვდა, წავიდა თავის საკირეზე და მუშებს უთხრა: ამაღამ აქ რომ კაცი მოვიდეს, უხმოდ ჩააგდეთ საკირეშიო.

ვაჭარი წამოვიდა სახლში და ცოლი გააფრთხილა: ამაღამ საკირეზე არავინ წახვიდეთ, თორემ კირის საწვავ ქურაში ჩავაგდებენო. იქ მარტო ნაძვია უნდა წავიდესო.

ეს გაიგონა ნაძვიას ცოლმა და ქმარს უთხრა: ამაღამ მამაჩემი საკირეზე გაგზავნის, შენ კი იქ არ წახვიდე, ჩადი ძირს. გაიარ-გამოიარე ცოტა ხანს და მერე მოდიო.

გავიდა ერთი საათი. ვაჭარმა უთხრა ნაძვიას: საკირეზე ჩაირბინე და მუშებს გააგებინე, რომ ხვალისათვის ერთი ოცი ფუთი კირი დაწვანო.

ნაძვიამ ჩაიცვა და წავიდა, მაგრამ იქ კი არა, სადაც ვაჭარმა გაგზავნა. ისე მოიქცა, როგორც მისმა ცოლმა დაარიგა: ჩავიდა ძირს და ცოტა ხანს მოიცადა.

ცოტა ხანი რომ გავიდა, ვაჭარმა თქვა, ახლა კი იქნება ბიჭი შეხრუკულიო და თვითონ წავიდა საკირეზე. მუშებმა იფიქრეს, ესაა, ვაჭარმა რომ დაგვიბარაო, სტაცეს ხელი და შიგ საკირეში გადაუძახეს. ვაჭარი წამსვე შეიხრუკა ძვლიან-ხორციანად.

ნაძვია გადარჩა, ვაჭარი კი დაიწვა. მთელი მისი ქონება დარჩა ამ გლეხის შვილს, ნაძვიას.

ისინი იყვნენ ჯირში
და ჩვენ ვიყოთ ლხინში.

ხელმწიფე და მწყემსი

იყო ერთი ხელმწიფე. რომელსაც იმდენი ოქრო ჰქონდა, რომ ხაზინაში ვერ ეტეოდა. იგი მეტად ძუნწი იყო და სამოწყალოდ ერთ გრამ ოქროსაც არავის აძლევდა.

ერთ დღეს ამ ხელმწიფემ თავისი ვეზირების მეშვეობით ხალხს

განუცხადა: ვინც დღემდე გაუგონარ სამ ტყუილს მეტყვის, დიდ-ძალი ოქროს ფულით დავასაჩუქრებო.

შეიძრა ხალხი. დიდხანს ფიქრობდნენ, მაგრამ ხელმწიფის წინაშე ტყუილის თქმას ვერავინ ბედავდა. ზოგს ვერც კი მოეფიქრებინა, თუ რა ტყუილი ეთქვა.

გავიდა ერთი კვირა, გაუგონარი ტყუილის მთქმელი კი არსად ჩანდა. ხელმწიფის ნათქვამმა ბოლოს ერთი მწყემსის ყურამდე მიაღწია. მან შეუთვალა ხელმწიფეს: პირველი ტყუილის თქმამდე სამი დღე დამაცადე და შემდეგ ყოველ დღე თითო ტყუილს გეტყვიო.

გაეცინა ხელმწიფეს. დარწმუნებული იყო, რომ მწყემსი გაუგონარს ვერაფერს იტყოდა და გულდამშვიდებით იჯდა თავის ტახტზე. გავიდა ერთი დღე. ხელმწიფე დაღონდა. „ნუთუ სამ დღეში მართლა მოიფიქრებს მწყემსი ჩემთვის უცნობ ტყუილსო“, — ფიქრობდა იგი. იხმო ვეზირები და უბრძანა: მოიგონეთ ყველა ის ტყუილი, რაც კი დღემდე თქმულა. ერთი დღე-ღამის შემდეგ კი ყველაფერი მომახსენეთო.

ვეზირებმა შეასრულეს ხელმწიფის ბრძანება.

გავიდა სამი დღე და მწყემსი წავიდა ხელმწიფის სასახლეში, დარბაზის კარებთან გაიხადა თავისი ქალამნები და შევიდა.

— აბა, რა ტყუილი ამბავი მოგვიტანე? — ჰკითხა ხელმწიფემ.

მწყემსმა უთხრა:

— მამაჩემს თავის ცხოვრებაში მხოლოდ ორი პატარა ყანა ჰქონდა. ერთ ყანაში ხორბალს თესავდა და ყოველ წელიწადს იმდენი მოსავალი მოჰყავდა, რომ ერთ სახელმწიფოს ეყოფოდაო.

— გაგიგონიათ ასეთი ტყუილი? — ჰკითხა ხელმწიფემ ვეზირებს.

— არაო, — უპასუხეს.

გამოემშვიდობა მწყემსი, გავიდა დარბაზიდან, ჩაიცვა ქალამნები და თავის ცხვარს მიაშურა.

მეორე დღეს მწყემსმა კვლავ გასწია ხელმწიფის სასახლისაკენ. ხელმწიფე და ვეზირები ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, რომ არაფერი გამოჰპაროდათ და გაგონილი ამბავი გაუგონრად არ ჩაეთვალათ მწყემსისათვის. მწყემსი მიადგა დარბაზს, სადაც მეფის ტახტი იყო, კვლავ გაიხადა ქალამნები და შევიდა.

— მეორე ყანაში მამაჩემი კვერცხს თესავდა და ყოველ წელიწადს იმდენი ქათამი მოჰყავდა, რომ მთელ სოფელში ვერ ეტეოდაო, — უთხრა მწყემსმა.

მოულოდნელი ტყუილით გაკვირვებულმა ხელმწიფემ გადახედა ვეზირებს და ჰკითხა:

— გაგიგონიათ ასეთი ტყუილი?

— არაო.

მწყემსმა გააღო კარი და გავიდა. მაგრამ მან კარგად იცოდა ხელმწიფის სიძუნწე. იგი დარწმუნებული იყო, რომ მისგან ადვილად ვერ მიიღებდა ამდენ ოქროს ფულს და მეორე ტყუილის თქმის შემდეგ უნდოდა გაეგო ხელმწიფის აზრი. იგი ნელა იცვამდა, აჭიანურებდა ქალამნების ჩაცმას და ცალი ყური დარბაზისაკენ ჰქონდა.

— ხედავთ, ვეზირებო! — ამბობდა ხელმწიფე, — ხელიდან მეცლება ქონება. თუ ვერაფერი მოგიფიქრებიათ, ხვალინდელი ტყუილის თქმის შემდეგ იმ მწყემს უთხარით: ეს გაგონილი გვაქვს-თქო.

მწყემსმა შეიტყო ეს სიტყვები და წავიდა. იმ დღეს საღამომდე ცხვარს აძოვებდა და ტკბილად უკრავდა თავის სალამურს.

გათენდა მესამე დღე. ხელმწიფე სრულიად დამშვიდებული იყო და წინასწარვე თავს გამარჯვებულად თვლიდა.

მოვიდა მწყემსი.

— აბა, კიდევ ერთი გაუგონარი ტყუილი, მწყემსო, და შენ ჩემსავით გაგამდიდრებო, — სიცილით თქვა ხელმწიფემ.

— მამათქვენს ბევრი მტერი ჰყავდა და ხშირი ომი ჰქონდა მათთან. ყოველ ომს დიდი ზარალი მოჰქონდა. თანდათან იცლებოდა მამათქვენის ოქროს ხაზინა. ამიტომ მას ხშირად მისი ქვეშევრდომებიც ეხმარებოდნენ. ერთხელ ასეთი გაჭირვების დროს მამაჩემსაც უსესხებია ასი ათასი ოქროს ფული მამაშენისთვისო, — უთხრა მწყემსმა და დაასრულა თავისი ტყუილი.

— ეს ცნობილი ამბავია — წამოიძახეს ვეზირებმა.

— ეს გაგვიგონია, მწყემსო! — დაუმატა ხელმწიფემ.

— თუ თქვენთვის ეს ამბავი ცნობილია, ვალდებული ხართ, როგორც მამათქვენის მემკვიდრემ, ვალი გადამიხადოთო.

გონს მოსული ხელმწიფე დიდხანს იჯდა ტახტზე ხმაამოღებლად, საწინააღმდეგოს ვერაფერს ამბობდა. შემდეგ გასცა ბრძანება, ასი ათასი ოქროს ფული მიეცათ მწყემსისათვის.

გამარჯვებულმა მწყემსმა წაიღო ოქრო, თვითონაც მოიხმარა და სხვასაც მოახმარა.

ღარიბი გლეხი

ერთ სოფელში ცხოვრობდა ერთი ღარიბი გლეხი. ჰყავდა ცოლი და ერთი რვა წლის ვაჟიშვილი. მას საყოფი მიწა არ ჰქონდა და მეტად გაჭირვებულად ცხოვრობდა. ცოლი ოჯახურ საქმეებს ვერ აუდიოდა. ქმარი კი მუდამ სხვის მიწას ამუშავებდა, მაგრამ საკმარისი მოსავალი მაინც არასდროს ჰქონდათ. ოჯახი ყოველწლიურად ვალებში იყო ჩავარდნილი. „ნუთუ ყოველთვის ასე უნდა ვიცხოვროო!“ — ამბობდა თავისთვის გლეხი და, ბოლოს, საშოვარზე წასვლა გადაწყვიტა. „ვიმუშავებ, ფულს მოვიგებ, დავბრუნდები, ვალებს გავისტუმრებ, მიწას ვიყიდი და ცოლ-შვილიც კარგად მეყოლებაო“, — ფიქრობდა იგი. თავისი გადაწყვეტილება ცოლს გაუმხილა. სახლში სულ ათი ოქრო ჰქონდა. ქმარმა სამი ოქრო აიღო, შვიდი ოქრო ცოლს დაუტოვა, მოემზადა, ორი კვირის საგზალი ჩაალაგა ჩანთაში და მეორე დღეს გზას გაუდგა.

ათი დღე-ღამე იარა და, ბოლოს, ერთ დიდ სოფელში შევიდა. სოფლის განაპირას, გზის მახლობლად, წყაროსთან დაჯდა, დაისვენა, პური ჭამა და ამდენი დღის სიარულით დაღლილ-დაქანცულს ტკბილად მიეძინა. გზაზე სამი ცხენოსანი გამოჩნდა. ისინი მოახლოვდნენ, ჩამოხტნენ ცხენებიდან და მოწყურებულები წყაროსთან მივიდნენ. ერთი მათგანი ამ სოფლის ყველაზე მდიდარი კაცი იყო, დაინტერესდა წყაროსთან მძინარე მგზავრის ვინაობით და უბრძანა მხლებლებს, გააღვიძეთო! ღარიბი წამოდგა და მივიდა მდიდართან.

— ისე ღრმად როგორ გეძინა, რომ ცხენების ფეხის ხმამ და ამდენმა ხმაურმა ვერ გაგაღვიძა?! — საყვედურის კილოთი ჰკითხა მდიდარმა.

— შორიდან მოვდივარ, ათი დღეა გზაში ვიმყოფები და დაქანცულმა ვერაფერი გავიგონეო.

— სადაური ხარ, რისთვის მოსულხარ? — კვლავ ჰკითხა მდიდარმა.

ღარიბმა გლეხმა უამბო ყველაფერი.

— თუ ჩემთან წამოხვალ, საქმეს გაგიჩენ და წელიწადში ას ოქროს მოგცემო.

ღარიბი დაეთანხმა და გაჰყვა. გლეხი ყველაფერს აკეთებდა, რასაც უბრძანებდნენ და მდიდრის ოჯახში ყველა კმაყოფილი ჰყავდა. გლეხის ოჯახს მდიდარი ყოველწლიურად სამოც ოქროს უგზავნიდა.

გავიდა ათი წელიწადი. გლეხმა გადაწყვიტა სახლში დაბრუნებულიყო. მდიდარმა მას უანგარიშა ათი წლის ჯამაგირი, ორმოცი ოქრო ყოველწლიურ ჯამა-სმასა და ჩაცმა-დახურვაში გამოუქვითა და გაისტუმრა.

გლეხი ხელცარიელი გაუდგა გზას. ჯიბეში მხოლოდ თავისი სამი ოქრო-ღა ჰქონდა. „ათი წელიწადი ვიმუშავე, ვერაფერი მოვიგე, როგორ მივიდე სახლშიო?“ — ეკითხებოდა თავის თავს გლეხი და განაგრძობდა გზას. შეხვდა ერთი მგზავრი, მიესალმა, მაგრამ გლეხს არაფერი გაუგონია. მგზავრმა სალამი კვლავ გაუმეორა. გლეხი გამოფხიზლდა და სალმითვე უპასუხა. მგზავრი მეტად დაკვირვებული კაცი აღმოჩნდა, მიუხვდა გლეხს და ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა. დიდხანს ისაუბრეს. ბოლოს, მგზავრმა უთხრა:

— ერთ ოქროს თუ მომცემ, ერთ ჭკუას გასწავლიო.

— მე სიღარიბე მაწუხებს, თორემ უჭკუო როდი ვარო, — იწყინა გლეხმა.

— ვიცი, რომ უჭკუო არა ხარ, მაგრამ ზოგი რამ შეიძლება ჩემგანაც ისწავლო და გამოგადგებაო, — უთხრა მგზავრმა.

გლეხს მოეწონა ამ მგზავრის სიტყვები და მისცა ერთი ოქრო. მგზავრმა უთხრა:

— მგზავრობისას მუდამ შორი გზით მოუარეო.

— სულ ეს არისო? — ჰკითხა გლეხმა.

— ერთ ოქროდ ეს არის. თუ ერთსაც მომცემ, კიდევ ერთ ჭკუას გასწავლიო.

მისცა ღარიბმა კიდევ ერთი ოქრო.

— რაც შენ არ გჭირდება, ნუ იკითხავო.

კიდევ ერთი ოქრო ჰქონდა გლეხს. „სამი ოქროც სიღარიბეა და ერთი ოქროცო“, — იფიქრა და უკანასკნელი ოქროც მისცა.

— სანამ საქმეში კარგად არ გაერკვევი, ნუ აჩქარდები, მოითმინე და შემდეგ იმოქმედეო, — უთხრა მგზავრმა, გამოემშვიდობა და წავიდა.

ღარიბი გლეხიც თავის გზას გაუდგა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთგან მექარავნეები შეხვდნენ. გაუამხანაგდა მათ. „ესენი საჭმელს მაინც მაჭმევენ გზაზეო“,—ფიქრობდა. დიდი მანძილი გაიარეს. ერთგან შეჩერდნენ. გზა ორად იყოფოდა: ერთი მოკლე გზა იდო, მაგრამ სახიფათო, მეორე კი გრძელი და ორივე კვლავ ერთდებოდა. მექარავნეებმა გადაწყვიტეს მოკლე გზით წასულიყვნენ. გლეხს კარგად ახსოვდა ერთ მანეთად ნაყიდი ჭკუა და შორი-

დან მოვლა ამჯობინა. გზების შესაყართან რომ მივიდა, მექარავ-ნეები არსად ჩანდნენ. გლეხმა დაიცადა, ეგებ ჩამორჩენენო, მაგრამ არავინ ჩანდა. გზა განაგრძო, მაგრამ მექარავნეები არსად იყვნენ. იგი კვლავ დაბრუნდა, მოკლე გზას გაჰყვა და ნახა, რომ მექარავ-ნეები მკვდარი ეყარნენ: ყაჩაღებს გაეძარცვათ და დაეხო-ცათ.

ღარიბი თავის გზას გაუდგა. დაღამდა. ერთგან ლამპის სინათ-ლე შენიშნა. წავიდა ამ სინათლის მიმართულებით და ფიქრობდა: „თუ მიმიღეს, დავისვენებ, ღამეს იქ გავათევ და ხვალ ისევ გზას დავადგებიო“. მიუახლოვდა სინათლეს და მის წინ დიდი ფიცრუ-ლი სახლი გამოჩნდა. დაუკაკუნა. კარი გაიღო და გამოვიდა ერთი მოხუცებული კაცი.

— მობრძანდითო, — შეიპატიჟა სტუმარი.

შევიდა გლეხი და რას ხედავს: კედლებზე ადამიანის მოჭრილი თავები, ხელები და ფეხები ცალ-ცალკე ჰკიდია. ჯერ გაუკვირდა და შეშინდა კიდეც, მაგრამ ხმა არ ამოუღია. სახლის შუაში ქალი იყო ფეხებით დაკიდებული. ერთ კუთხეში ლამაზ ტახტზე ძაღლი იჯდა და მის წინ დადგმულ სუფრაზე დაწყობილ ქათმებს, ბაკ-ლავას, ბურეღსა და ფლავს გემრიელად შეექცეოდა. ღარიბი გაშ-ტერებული იდგა. მიმოიხედა და მის გვერდით მოხუცებულიც აღარ იყო. ცოტა ხანში კვლავ გამოჩნდა, მაგრამ ღარიბს არაფერი უკითხავს.

— დაჯექი, დაისვენეო, — უთხრა მოხუცმა და კვლავ დაიკარ-გა. ცოტა ხნის შემდეგ ჭერიდან მოესმა:

— სტუმარო, შენს წინ რამდენი საკვირველი სანახაობაა, ყვე-ლაფერს კარგად ხედავ. რატომ არაფერს მეკითხებიო?

ღარიბმა აიხედა მაღლა და დაინახა მოხუცის გამხეცებული სახე.

— რაც მე არ მჭირდება, იმას არ ვკითხულობო, — უპასუხა ღარიბმა გლეხმა და შიშისაგან აკანკალდა.

მოხუცი ჩამოვიდა ჭერიდან, სტუმარს ვახშამი აჭამა და ლოგი-ნი გაუშალა. ღარიბი წავიდა დასაძინებლად, მაგრამ დილამდე ძი-ლი არ მიჰკარებია, ეშინოდა, სულ იმას ფიქრობდა: აგერ, ახლა მოვა კაციჭამია მოხუცი და ნაჯახს დამცხებს კისერზეო.

გათენდა. ღარიბი ადგა, მაგრამ ოთახიდან გასვლას ვერ ბედავ-და. შემოვიდა მასპინძელი და გააბეს საუბარი. ბოლოს, მოხუცმა უამბო:

— მე ძალიან მდიდარი ვარ. ვცხოვრობ ამ განმარტოებულ ად-

გილას. ფეხებით რომაა დაკიდული, ის ჩემი ცოლია, ტახტზე — ჩემი ძაღლი. მეტი არავინა მყავს. ცოლს ყოველთვის კარგად ვეპყრობოდი.

ერთხელ მოვიმზადეთ რამდენიმე დღის სურსათი, საყოფი ფულიც თან წავიღეთ და წავედით ქვეყნის სანახავად. თან ძაღლიც გავიყოლიეთ. გზაზე მოგვშივდა, დავჯექით წყაროსთან და ვსადილობდით. ყაჩაღები დაგვეცნენ. მე შემკრეს და ცოლთან არშიყობა დაიწყეს. ცოლი მათ ყველაფერზე დაეთანხმა და ჩემზე სრულებით არ უზრუნია. ერთად ჭამეს, სვეს, ყაჩაღები დათვრნენ და იქვე დავარდნენ. ცოლს ბევრი ვეხვეწე, მაგრამ ხელები არ გამიხსნა. ერთგულმა ძაღლმა კი კბილებით დაწყვიტა თოკი და გამათავისუფლა. ყაჩაღები დავხოცე. ცოლი წამოვიყვანე სახლში, ფეხებით დავკიდე და არა ვკლავ. ჩემს ერთგულ ძაღლს კი ვაჭმევ იმას, რასაც ადრე ცოლს ვაჭმევდი.

ამ საკვირველებით დაინტერესებული ყოველი სტუმარი მეკითხებოდა მიზეზს. ყველას ვკლავდი, ვჭრიდი თავს, ხელებს, ფეხებს და კედელზე ვკიდებდი, რადგან მეგონა დამცინოდნენ. შენ ჭკვიანი კაცი ყოფილხარ და სიკვდილს გადარჩი. ახლა შენი პატივისცემით ჩემს ცოლს გავათავისუფლებ და მოგემსახუროსო.

მოხუცმა დაამთავრა თავისი სიტყვა, გაათავისუფლა ცოლი სასჯელისაგან და სტუმრისათვის საუზმის მომზადება უბრძანა.

ისაუზმეს. მოხუცმა ოქროთი სავსე ორი ტომარა გადაჰკიდა ერთ კარგ ცხენს და ამით დაასაჩუქრა ღარიბი. იარაღიც თან გამოატანა. მადლობა გადაუხადა და ღარიბი თავის გზას გაუდგა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიუახლოვდა თავის სახლს. საღამო იყო. სახლიდან მამაკაცის ხმა ისმოდა. მივიდა სახლთან, ფანჯრიდან შეიხედა და დაინახა, რომ ვიღაც კაცი წამოწოლილა და ქალი თავზე ხელს უსვამს. გაბრაზდა ღარიბი, ამოიღო იარაღი და ორივეს მოკვლა მოინდომა, მაგრამ უცბად ერთი ოქროთი ნაყიდი ჭკუა მოუვიდა თავში: სანამ საქმეს კარგად გაარკვევ, ნუ აჩქარდები, მოითმინე და შემდეგ იმოქმედეო. შეჩერდა და ყურს უგდებდა.

— დედა, ახლა რომ მამა დაბრუნებულიყო, ხომ კარგად ვიცხოვრებდით. ორივე ვიმუშავებდით და ყველაფერი გვექნებოდაო, — მოესმა ღარიბს სახლიდან.

— კარი გამიღეთ! — შესძახა.

გაიღო კარი და ღარიბი გლეხი შევიდა თავის სახლში, გადაეხვია თავის ცოლ-შვილს და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

ნიაზი და ჰარზი

იყო ერთი ცოლ-ქმარი. ჰყავდათ ორი ვაჟი. უფროსი სამი წლისა იყო, უმცროსი კი — ერთი წლის. ქმარი მოკვდა. მარტოდ დარჩენილ ქალს ძლიერ გაუჭირდა ცხოვრება და მშობლებთან წასვლა გადაწყვიტა. ქალმა მთელი თავისი ქონება ერთ პატარა სკივრში ჩაალაგა, მოიკიდა ზურგზე, უმცროსი ვაჟი ხელში აიყვანა, უფროსი გაიყოლია და წავიდა. შორი გზა ჰქონდათ სავალი. დიდხანს იარა და მიადგა ერთ დიდ მდინარეს. ხიდი არსად ჩანდა, მდინარეში უნდა გასულიყვნენ. ქალმა უმცროსი ვაჟი სკივრში ჩასვა, მოიკიდა ზურგზე, უფროსი ხელში აიყვანა და შევიდა მდინარეში. თოკი რომ დასველდა წყალში, გაწყდა და სკივრი მდინარემ გაიტაცა. ბევრი იკივლა, იტირა ქალმა, მაგრამ შველა არსაიდან იყო. ქალი სწრაფად გავიდა მეორე ნაპირზე, ჩაჰყვა მდინარის ნაპირს, მაგრამ სკივრი არსად ჩანდა. ქალი კვლავ თავის გზას გაუდგა ტირილით.

სკივრი წაიღო მდინარემ, ბევრი უცხო ქვეყანა გადაატარა და ბოლოს ზღვაში შეაგდო. ამ ზღვის ნაპირზე ცხოვრობდა ერთი უშვილო მეთევზე. მას დიდხანს არ მიეცა შვილი. რა არ იღონა, მაგრამ არა და არა, ღმერთი არ აძლევდა. ბოლოს, მოხუცებულობაში ქალიშვილი შეეძინა და სახელად ჰარზი დაარქვა.

მოხუცი მეთევზე მუდამ ზღვის ნაპირზე ტრიალებდა. ერთ დღეს მან ნაპირთან ახლოს ზღვაზე რაღაც შეამჩნია. ნავი შეაცურა და გამოიტანა სკივრი. მოხუცს არ გაუხსნია, სახლში წაიღო და დაუძახა ცოლს:

— ქალო, მოდი, ვნახოთ, მძიმე კია და, ალბათ, ცარიელი არ იქნებაო.

გახსნეს სკივრი. ცოლ-ქმრის სიხარული ცას სწვდებოდა, როცა მასში მშვენიერი ვაჟი დაინახეს. ბავშვი ცოცხალ-მკვდარი იყო. ყველაფერი იღონეს, სითბოში ამყოფეს, ასვეს, აჭამეს და მოასულიერეს. ბავშვს სახელად ნიაზი დაარქვეს.

ამ დროს ჰარზი ერთი თვისა იყო, ნიაზი კი — ერთი წლის. გადიოდა დრო. მოხუცებული ცოლ-ქმარი ბედნიერად გრძნობდნენ თავს. ერთად იზრდებოდნენ ნიაზი და ჰარზი.

ნიაზმა დიდხანს არაფერი იცოდა თავისი ვინაობის შესახებ, მოხუცებულები მას ნამდვილ დედ-მამად მიაჩნდა. იგი თხუთმეტი წლის გახდა. ერთ დღეს მეზობლის ბავშვებთან თამაშის დროს გაიგო, რომ ზღვაზე ნაპოვნი იყო და მისი ნამდვილი დედ-მამის

აბბავი არავინ იცოდა. ჰარზია კი უფრო ადრე შეეტყო, რომ ნიაზი არ იყო მისი ნამდვილი ძმა.

მშობლები ნიაზსა და ჰარზის ყოველთვის ერთად ათამაშებდნენ, ერთად აჭმევდნენ და საქმეზეც ერთად გზავნიდნენ.

ერთ დღეს ჰარზი მარტო წავიდა წყლის მოსატანად. წყარო სახლიდან კარგა მოშორებით იყო.

ჰარზის შეაგვიანდა. დედა შეწუხდა და დაუძახა ნიაზს.

— შვილო, გაიქეცი, ჰარზი წყალზე გავგზავნე და ჯერ არ დაბრუნებულა. გაიგე, ხომ არაფერი შეემთხვაო.

ნიაზი სწრაფად წავიდა, მაგრამ ჰარზი არ დახვდა. წყაროსთან ქვაზე იდო ჰარზის ბეჭედი, რომელიც დედის საკუთრებას წარმოადგენდა და ჰარზი ატარებდა. ნიაზმა ბეჭედი აიღო და შეინახა ჯიბეში.

ცოტა ხნის შემდეგ ჰარზიმ მოიობინა და წყაროსთან რაღაცის ძებნა დაიწყო. ნიაზი მიუხვდა, მაგრამ ჯერ არაფერს უმხელდა.

— დედის ბეჭედი დავკარგე... — თქვა აკრემლებულმა ჰარზიმ და შესედა ნიაზს.

— მპოვნელი რომ გამოჩნდეს, რას აჩუქებდი?

— ჩემს სულს ვაჩუქებდიო, — უთხრა ჰარზიმ.

ნიაზმა დაუბრუნა ბეჭედი. ჰარზი დამშვიდდა. სიხარულისაგან გაბრწყინებული თვალები ნიაზისკენ გაექცა. ისინი ისე უმზერდნენ ურთიერთს, თითქოს პირველად ხვდებოდნენ ერთმანეთს თავიანთ ცხოვრებაში და სურდათ ურთიერთის ვინაობა გაეგოთ. ჰარზი სიტყვისუთქმელად მიბრუნდა და სახლისაკენ მოკურცხლა. ნიაზი დიდხანს იდგა ერთ ადგილზე, ფიქრობდა. მას თვალწინ ედგა ჰარზი. ბოლოს დედის ძახილმა გამოაფხიზლა და შინ წავიდა.

სამმა წელიწადმა განვლო. ნიაზი დავაჟკაცდა. ჰარზი კიდევ უფრო დამშვენდა. მშობლებმა გადაწყვიტეს ჰარზის გათხოვება. ყოველდღე დარბოდნენ შუამავლები. ჰარზი სასტიკ უარს ამბობდა გათხოვებაზე. ნიაზსაც მოწყენილობა ეტყობოდა. მშობლები დაეჭვდნენ, მიხვდნენ კიდეც და გადაწყვიტეს, რომ ნიაზი სადმე შორს გაეგზავნათ, დროებით მოეშორებინათ და მის დაბრუნებამდე მოესწროთ ჰარზის გათხოვება.

დედამ ავადმყოფობა მოიგონა და დაწვა. დაუძახეს ექიმბაშს.

— ათი დღის სავალ გზაზე, ერთ სოფელში ზემზემის (უკვდავების) წყალია. ის წყალი თუ მოარჩენს, მეტი არაფერიო, — თქვა ექიმბაშმა.

ნიაზი მზადებას შეუდგა. შეკაზმა თავისი ცხენი, ჰარზიმ ნიაზი-

ლი ამაღამდა და მეორე დღეს გასწია ზემოზემის წყლის მოსატანად. სამი დღე-ღამე იარა, დაიღალა, ერთ ტყეში შეჩერდა, ცხენი საბალახოდ გაუშვა და თვითონ მიწვა ხის ძირში. ჩაეძინა.

— ნიიიაააზ! — ჩაესმა ყურში ჰარზის ხმა ღრმა ძილში მყოფს. წამოხტა, შეჯდა ცხენზე და უკან შურდულივით გამოექანა. მოუახლოვდა სოფელს, ჩუმად მიდიოდა. სოფლის თავზე ავიდა და დაინახა, რომ მათი სახლის ეზოში ხალხი ირეოდა. დუდუკისა და დოლის ხმა ისმოდა. ქორწილი იყო, ჰარზის ათხოვებდნენ.

ნიაზს გულზე შემოეყარა და ცხენიდან გადმოვარდა. ცხენმა თითქოს იგრძნო მოსალოდნელი უბედურება, პატრონს ლოყა მოულოკა და მოასულიერა. ნიაზს დიდსანს არ დაუყოვნებია, შეჯდა ცხენზე, შემოჰკრა მათრახი და გასწია იქით, სადაც მწყემსები ეგულებოდა. გზაზე ერთი მწყემსი შეხვდა. მას თავისი ტანსაცმელი მისცა, თვითონ მწყემსის ტანსაცმელი ჩაიცვა და სწრაფად წავიდა სახლისაკენ.

ნიაზმა თავისი ცხენი შორიახლოს სხვა ცხენებს შორის დააბა და თვითონ ხალხში გაერია. მას ვერავინ ცნობდა.

ჰარზი, პატარძლის ტანსაცმელში გამოწყობილი, ეზოში იდგა. ხალხი მზად იყო წასასვლელად. ჰარზი ცხენზე უნდა შეესვათ, მაგრამ მას არცერთი ცხენი არ იკარებდა. ჯერი ნიაზის ცხენზე მიდგა. ცხენმა არავინ მიიკარა ახლოს. პატრონს დაუძახეს. მივიდა ნიაზი და თავისი ცხენი მიჰგვარა საპატარძლოს. ნიაზს არავინ აქცევდა ყურადღებას. იგი უბრალო მწყემსი ეგონათ და უბრძანეს, აღვირი დაეჭირა და წინ გაძღოლოდა.

დიდხანს იარეს. მზე გადაიწვერა. გზა კიდევ დიდი ჰქონდათ. ყველა ჩქარობდა. ნიაზი კი თანდათან ნაბიჯს უკლებდა, იგი ჩამორჩა მაყრებს და ჰარზის გაუმჟღავნა თავი. გაპარვა გადაწყვიტეს. ნიაზიც შეჯდა ცხენზე და გადაუხვია გზას.

მაყრებს გაახსენდათ დედოფალი და შეიცადეს, მაგრამ როცა არ გამოჩნდა, მობრუნდნენ. დედოფალი და მწყემსი არსად ჩანდნენ. ხალხი ჯგუფებად გაიყო და გამოუდგნენ მწყემსს.

ნიაზი და ჰარზი მიჰქროდნენ. მიადგნენ ზღვას. მდევარი ყოველი მხრიდან ახლოვდებოდა, გზები შეკრული იყო.

ნიაზმა თავი დაიწყევლა: მე ქვად ვიქცე და ჰარზი — ჩიტადო. ნიაზი ქვად იქცა, ჰარზი — ჩიტად და გაფრინდა. ცოტა ხნის შემდეგ ეს ჩიტი მოფრინდა, იმ ქვაზე დაჯდა და თვითონაც ქვად იქცა.

ნიაზის ცხენი ღამ-ღამობით ტყიდან გამოდის და იმ ქვას ლოკავსო.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

ჯადოსნური ზღაპრები

ც ე რ ო დ ე ნ ა (გვ. 9). თედო რაზიკაშვილის ჩაწ., ქართლი. ქართული ხალხური ზღაპრები, შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ, II, მ. ჩიქოვანის რედ., თბილისი, 1952.

ს ა მ ი დ ა (გვ. 11). თედო რაზიკაშვილის ჩაწ., ქართლი. იქვე.

ე შ მ ა კ ი ს ლ ა გ ა მ ი (გვ. 15). თედო რაზიკაშვილის ჩაწ., ქართლი. იქვე.

დ ღ ი ს ი თ მ კ ვ ლ ა რ ი (გვ. 17). მთქმელი კატო გაგნიძე, ჩამწ. გ. ლომთათიძე. რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, ელ. ვირსალაძის რედ., თბილისი, 1949.

გ ვ ე ლ ი ს ტ ყ ა ვ ზ ე ა მ ო ს უ ლ ი ა ლ ვ ი ს ხ ე (გვ. 24). მთქმელი დავით ქვრივიშვილი, ქართლი, ჩამწ. შემდგენელი. ალ. ღლონტი, ქართლური ზღაპრები და ლეგენდები, თბილისი, 1948.

გ ვ ე ლ ი ს ძ მ ო ბ ი ლ ი (გვ. 28). მთქმელი ნინო ჯავახიშვილი, კახეთი, ჩამწ. ელ. ვირსალაძე. რჩეული ხალხური ზღაპრები, ელ. ვირსალაძის რედ., თბილისი, 1949.

ტ ყ ი ს კ ა ც ი (გვ. 32). ჩაწერილი სვანეთში, ჰ. უმიკაშვილის კოლექციიდან, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის შ. რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკ. განყ. არქ., № 4263.

ც ი ე ბ ა, ც ხ ე ლ ე ბ ა დ ა ს ი კ ვ დ ი ლ ი (გვ. 33). მთქმელი დავით ქვრივიშვილი, ქართლი, ჩამწ. შემდგენელი. ალ. ღლონტი, ქართლური ზღაპრები და ლეგენდები, თბილისი, 1948.

ა ვ ი დ ე დ ა კ ა ც ი (გვ. 34). მთქმელი ვანო კაკაშვილი, ქართლი, ჩამწ. შემდგენელი. ალ. ღლონტი, ქართული ხალხური ნოველები, 1956.

გ ვ ე ლ ი დ ა გ ლ ე ხ ი (გვ. 36). მთქმელი დავით ქვრივიშვილი, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

გ ვ ე ლ ი დ ა კ ა ც ი (გვ. 37). მთქმელი დავით ქვრივიშვილი, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

ს ი კ ვ დ ი ლ ი ს ჩ ა მ ო ს ვ ლ ა დ ე დ ა მ ი წ ა ზ ე (გვ. 40). გრ. კუტუბიძის ჩაწ., გურია. იქვე.

ბ ე დ ი დ ა ი ღ ბ ა ლ ი (გვ. 41). მთქმელი ფიდა კვიწინაძე, ქართლი, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

მ ე ჩ ო ნ გ უ რ ე (გვ. 44). მთქმელი ფიდა კვიწინაძე, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

ფ ი ს ა ს ო ს ზ ღ ა პ ა რ ი (გვ. 45). თედო რაზიკაშვილის ჩაწ., ქართლი. ქართული ხალხური ზღაპრები, შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ, წიგნ. II, მ. ჩიქოვანის რედ., თბილისი, 1952.

მ ა რ გ ა ლ ი ტ ი ს ც რ ე მ ლ ი (გვ. 51). თედო რაზიკაშვილის ჩაწ., ქართლი. იქვე.

მ ო ხ უ ც ი ს ტ უ მ ა რ ი (გვ. 57). მთქმელი ემუზა გუჯეჯიანი, სოფ. ჭოლაში, ზემო სვანეთი, ჩამწ. ქს. სიხარულიძე, 1945.

ს ი ზ მ რ ი ს ა ხ ს ნ ა (გვ. 61). მთქმელი ამაიზ აზარეთის ძე კვიციანი, სოფ. უშხვანარი, ზემო სვანეთი, ჩამწ. მერი კვიციანი-მაღლაფერიძე, 1962.

ნ ა ტ ვ რ ი ს თ ვ ა ლ ი (გვ. 62). მთქმელი ილია ბენაშვილი, ქიზიყი, ჩამწ. დიმ. გონაშვილი. ქართული ხალხური ზღაპრები, შ. ძიძიგურის რედ., თბილისი, 1959.

თ ვ ა ლ ჩ ი ტ ა (გვ. 72). მთქმელი ილია ბაბალაშვილი, ქიზიყი, ჩამწ. დიმ. გონაშვილი. იქვე.

გ ლ ე ხ ი, მ ო ლ ა დ ა ე შ მ ა კ ი (გვ. 90). მთქმელი პართენ გონაშვილი, ქიზიყი, ჩამწ. დიმ. გონაშვილი. იქვე.

მ ე ნ ა ხ ი რ ე (გვ. 93). მთქმელი ევა კაცელაშვილი, ქიზიყი, ჩამწ. დიმ. გონაშვილი. იქვე.

მ ზ ე თ უ ნ ა ხ ა ვ ი ს ც ხ ვ ი რ ს ა ხ ო ც ი (გვ 101). ა. ახალშენიშვილისა და ი. ზარაფიშვილის ჩაწ., ქართლი. იქვე.

დ ე დ ი ნ ა ც ვ ა ლ ი დ ა გ ე რ ი (გვ. 109). ქს. სიხარულიძე, ხალხური ზღაპრები, თბილისი, 1938.

ა რ ვ ი ც ი ა (გვ. 114). იქვე.

უ მ ც რ ო ს ი ვ ა ჟ ი დ ა მ გ ე ლ ი (გვ. 117). იქვე.

მ უ ხ ა გ ლ ე ჯ ი ა ს ი დ ე დ რ ი ს ა დ ა ს ი მ ა მ რ ი ს ა (გვ. 119). თედო რაზიკაშვილის ჩაწ., ქართული ხალხური ზღაპრები, შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, II, 1952.

ღ ო რ ი ს თ ა ვ ი ა ნ ი ბ ი ჭ ი (გვ. 121). მთქმელი ნინო ბერიძე. ქართლი. ჩამწ. ვენერა სომხიშვილი, 1958.

ა ს ლ ა ნ ი ს გ ა ზ რ დ ი ლ ი (გვ. 125). მთქმელი ფიდა კვიწინაძე, ჩამწ. შემდგენელი. ქართული ხალხური ნოველები, 1956.

ბ ო ლ ო ლ ა (გვ. 130). ბ. მირიანაშვილის ჩაწ., ზღაპრები. 1903.

ს ა მ ი ძ მ ა დ ა მ ა თ ი დ ა (გვ. 136). ბეს. ნიკარაძის ჩაწ. ზემო სვანეთში. სვანური ზღაპრები, 1893.

უ ღ უ ნ ო დ ა ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს შ ვ ი ლ ი (გვ. 141). მთქმელი სოლო ზურაბიშვილი, მესხეთი, ჩამწ. ილია მაისურაძე, 1960.

კ ე ი ს ა რ ი (გვ. 151). მთქმელი ივანე ხაქვანი, ზემო სვანეთი, ჩამწ. ვ. თოფურია. სვანური პროზაული ტექსტები, I, თბილისი, 1938. გადმოღებული აკ. დავითიანის მიერ.

ს ი კ ვ დ ი ლ ი დ ა ყ ა ჩ ა ღ ი (გვ. 155). ან. ხინთიბიძის ჩაწ.

გურია. ალ. ღლონტი, გურული ფოლკლორი, I, თბილისი, 1937.

ქ ურ დ ი დ ა ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს შ ვ ი ლ ი (გვ. 159). მთქმელი დავით ქვრივიშვილი, ჩამწ. შემდგენელი, 1938.

ო რ ი ძ მ ი ს ა (გვ. 165). მთქმელი დავით ქვრივიშვილი, ჩამწ. შემდგენელი, 1938.

ს ო ვ დ ა გ რ ი ს შ ვ ი ლ ი დ ა ო ქ რ ო ს ი რ ე მ ი (გვ. 169). მთქმელი ფიდა კვიწინაძე, ჩამწ. შემდგენელი, 1940.

მ ე ფ ე დ ა ს კ ვ ი ნ ჩ ა (გვ. 173). სოსიკო მერკვილაძის ჩაწ., იმერეთი. ს. მერკვილაძე, ხალხური ზღაპრები, ქუთაისი, 1902.

საუოფაცხოვრებო ზღაპრები, ნოველები

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა (გვ. 176). თედო რაზიკაშვილის ჩაწ., ქართლი. ხალხური ზღაპრები, შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ, II, თბ., 1952.

ე რ თ ი მ ა ნ ე თ ი ს შ ო ვ ნ ა (გვ. 179). შემდგენლის ჩაწ., გურია. ქართული ხალხური ნოველები, 1956.

ვ ი ნ ც ს ა ქ მ ე გ ა ა კ ე თ ა, პ ა ტ ი ც ი მ ა ნ ა ჰ ა მ ო ს (გვ. 180). გ. ნათაძის ჩაწ. ქართლი. გ. ნათაძე, ხალხური ლექსები და ზღაპრები, ს. ხუციშვილის რედ., თბილისი, 1950.

უ ფ რ ო ს ი ძ მ ა (გვ. 183). მთქმელი სოფიო ხვინგია-ღლონტისა, გურია, ჩამწ. შემდგენელი. ქართული ხალხური ნოველები, 1956.

ა მ ბ ა ვ ი ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს შ ვ ი ლ ი ს ა, ქ ა ლ ი რ ო მ ა რ მ ი ს თ ხ ო ვ ე დ ა, ს ა ნ ა მ ხ ე ლ ო ბ ა ს ა რ ი ს წ ა ვ ლ ი ო (გვ. 185). თედო რაზიკაშვილის ჩაწ., კახეთი. ქართული ხალხური ზღაპრები, შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ, I, თბილისი, 1951.

ზ ნ ი ა ნ ი ქ ა ლ ი (გვ. 187). მთქმელი დავით ქვრივიშვილი, ჩამწ. შემდგენელი. ქართული ხალხური ნოველები, 1956.

ღ ა რ ი ბ ი ბ ი ჭ ი (გვ. 188). მთქმელი დავით ნოზაძე, ქართლი, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

ზ ა რ მ ა ც ი კ ა ც ი (გვ. 192). შემდგენლის ჩაწ., გურია, იქვე.

ო ქ რ ო ს ტ ა რ ი ა ნ ი ც უ ლ ი (გვ. 195). მთქმელი ფიდა კვიწინაძე, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

ს ა მ ი ტ ყ უ ი ლ ი (გვ. 197). მთქმელი სიმონ ქვრივიშვილი, ქართლი, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

ნ ა მ დ ვ ი ლ ი ტ ყ უ ი ლ ი (გვ. 198). მთქმელი ფიდა კვიწინაძე, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

ც რ უ დ ა მ ა რ თ ა ლ ი (გვ. 200). მთქმელი ფიდა კვიწინაძე, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

გ უ რ ჯ ი ს ტ ა ნ ი ს ხ ა ტ ი (გვ. 202). მთქმელი ფიდა კვიწინაძე, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

ხ ა რ ბ ი ო ქ რ ო მ ჭ ე დ ე ლ ი (გვ. 205). მთქმელი ბარნაბ თალაკვაძე, გურია, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

ღ ა რ ი ბ ი კ ა ც ი (გვ. 206). მთქმელი ფიდა კვიწინაძე, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

ძ მ ე ბ ი (გვ. 208). მთქმელი ფიდა კვიწინაძე, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

ს ა მ ი დ ა (გვ. 209). მთქმელი ფიდა კვიწინაძე, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

გ ლ ე ხ ი დ ა ვ ა ჭ ა რ ი (გვ. 211). მთქმელი დავით ნოზაძე, ქართლი, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

ბ რ ი ყ ვ ი ბ ა ტ ო ნ ი დ ა მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ე (გვ. 214). მთქმელი დავით ნოზაძე, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

ც ო ლ-ქ მ რ ი ს ა მ ბ ა ვ ი (გვ. 215). თედო რაზიკაშვილის ჩაწ., კახეთი. ქართული ხალხური ზღაპრები, შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ, I, თბილისი 1951.

ქ ვ რ ი ვ ი შ ვ ი ლ ი (გვ. 217). მთქმელი იასონ შერმადინი, ქართლი, ჩამწ. შემდგენელი. ქართული ხალხური ნოველები, 1956.

ფ ი ნ ა ჩ ი (გვ. 220). მთქმელი ფიდა კვიწინაძე, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

ჭ კ ვ ი ა ნ ი დ ა გ ი ჟ ი ძ მ ა (გვ. 224). მთქმელი დავით ქვრივიშვილი, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

გ ლ ე ხ ი ს ც ო ლ ი (გვ. 227). მთქმელი დავით ქვრივიშვილი, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

ს ტ უ მ ა რ ი (გვ. 229). მთქმელი ფიდა კვიწინაძე, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

ს ა მ ი ს ი ტ ყ ვ ა (გვ. 231). მთქმელი დიმიტრი გელაშვილი. ქართლი, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე დ ა მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ე (გვ. 233). მთქმელი დიმიტრი გელაშვილი, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

ი ვ ა ნ ი კ ა დ ა ს ი მ ო ნ ი კ ა (გვ. 234). მთქმელი ექვთიმე დოლიძე, გურია, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

ს ა მ ი მ ე ც ნ ი ე რ ი დ ა გ ლ ე ხ ი (გვ. 238). მთქმელი დავით ქვრივიშვილი, ქართლი, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

მ ე ც ნ ი ე რ ი დ ა მ ე ნ ა ვ ე (გვ. 239). მთქმელი დავით ქვრივიშვილი, ქართლი, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

ბ რ მ ა მ ე ჩ ო ნ გ უ რ ე (გვ. 240). მთქმელი ბაგრატ ტატიშვილი, ქართლი, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

გ ლ ე ხ ი დ ა ბ ა ტ ო ნ ი (გვ. 240). მთქმელი დიანოზ პავლიაშვილი, ქართლი, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

პ უ რ ი ს მ ა რ ც ვ ა ლ ი (გვ. 241). მთქმელი დავით ქვრივიშვილი, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

მ ძ ლ ე თ ა მ ძ ლ ე (გვ. 244). შემდგენლის ჩაწ., გურია. იქვე.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე დ ა მ ი ს ი შ ვ ი ლ ი (გვ. 248). შემდგენლის ჩაწ., გურია. იქვე.

მ ო ნ ა დ ი რ ე დ ა ხ ე ლ მ წ ი ფ ე (გვ. 249), შემდგენლის ჩაწ., გურია. იქვე.

ფულს ყველაფერი შეუძლია. (გვ. 251). შემდგენლის ჩაწ., გურია. იქვე.

ეშმაკი ქმარი (გვ. 253). შემდგენლის ჩაწ., გურია. იქვე.

მდიდარი და ღარიბი (გვ. 255). შემდგენლის ჩაწ., გურია. იქვე.

გლახა შვილი (გვ. 257). შემდგენლის ჩაწ., გურია. იქვე.

ამისთანა და ამის უარესი (გვ. 260). შემდგენლის ჩაწ., გურია. იქვე.

ქოსატყუილა დიაკონი (გვ. 263). შემდგენლის ჩაწ., გურია. იქვე.

გაფუფქული მღვდელი (გვ. 266). ვაქირელი ქალის (ანუსია კარგარეთელი) ჩაწ., კახეთი. „ძველი საქართველო", II, განყ. IV, თბილისი, 1914 — 1915.

მღვდლის ზღაპარი (გვ. 275). მთქმელი გიორგი ლაცაბიძე, კახეთი, ჩამწ. მიხ. ჩიქოვანი. სახალხო მთქმელები, I, თბილისი, 1956.

ცერცვი თუ ცეცხლი (გვ. 278). აპ. ცანავა, ხმალზე უფრო ძლიერად სჯრის, თბილისი, 1960.

თქვა უფალმა (გვ. 279). ს. ყუბანეიშვილი, სამღვდელოება ხალხურ სიტყვიერებაში, თბილისი, 1932.

მღვდელი და დიაკონი (გვ. 279). გ. ლომთათიძე, სამღვდელოება ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, თბილისი, 1928.

მღვდელი და ჯვარცმული ქრისტე (გვ. 279). მთქმელი ანა ედებეგაშვილი, ჩამწ. პ. უმიკაშვილი. მისივე კოლექც., ფოლკ. განყ. არქ., № 4230.

ზოგჯერ ეშმაკსაც უნდა დაუჯერო (გვ. 280). მთქმელი ეფემია ჩომახიშვილი, ჩამწ. პ. უმიკაშვილი. იქვე, № 4232.

ძუნწი ხუცესი (გვ. 280). მთქმელი ანდრია ამბაკოს ძე ღლონტი, გურია, ჩამწ. შემდგენელი. ქართული ხალხური ნოველები, 1956.

მღვდელი და ღარიბი გლეხი (გვ. 283). მთქმელი სიმონ ქვრივიშვილი, ქართლი, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

ავი მღვდელი და დიაკონი (გვ. 284). მთქმელი ბარნაბ თალაკვაძე, გურია, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

გამოქექილი ბერიკაცი და მღვდელი (გვ. 285). შემდგენლის ჩაწ., გურია. იქვე.

მღვდელი და მისი ლამაზი ცოლი (გვ. 292). მთქმელი სიმონ ქვრივიშვილი, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

მღვდლის ცოლი (გვ. 294). მთქმელი დიმიტრი ყიფშიძე, ქართლი, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

წუწკი მღვდელი (გვ. 296). მთქმელი სიმონ ქვრივიშვილი, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

მეწისქვილის ვაჟიშვილი და სამი ქოსა (გვ. 297). მთქმელი ვასილ ხრიკული, ქართლი, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

ს ა მ ი მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ე (გვ. 299). მთქმელი ფიდა კვიწინაძე, ჩამწ. შემდგენელი. იქვე.

ს ო ლ ო მ ო ნ ბ რ ძ ე ნ ი დ ა ბ ე რ ი კ ა ც ი (გვ. 301). თედო რაზიკაშვილის ჩაწ., ქართლი. ქართული ხალხური ზღაპრები, შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ, II, თბილისი, 1952.

ს ო ლ ო მ ო ნ ბ რ ძ ე ნ ი ს რ ჩ ე ვ ა (გვ. 303). მთქმელი ფიდა კვიწინაძე, ჩამწ. შემდგენელი. ქართული ხალხური ნოველები, 1956.

ს ო ლ ო მ ო ნ ბ რ ძ ე ნ ი დ ა ღ ა რ ი ბ ი გ ლ ე ხ ი (გვ. 305). მთქმელი ქიტესო ქუფარაშვილი, ქიზიყი, ჩამწ. დიმ. გონაშვილი. ქართული ხალხური ზღაპრები, შ. ძიძიგურის რედ., თბილისი, 1959.

ა რ ჩ ე ვ ა ნ ი (გვ. 308). ანეტა კაპანაძის ჩაწ. რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, II, ელ. ვირსალაძის რედ., თბილისი, 1958.

ს ა ბ რ ა ლ ო ფ ა ს ო ს ა მ ბ ა ვ ი (გვ. 310). ნ. მაღალდაძის ჩაწ., ქიზიყი. „აკაკის კრებული", III, განყ. II, 1898.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე დ ა მ ე ღ ო რ ე (გვ. 322). მთქმელი ფიდა კვიწინაძე, ჩამწ. შემდგენელი. ალ. ღლონტი, ქართული ხალხური ეპოსი, 1952.

ქ ვ რ ი ვ ი ქ ა ლ ი დ ა ვ ა ჟ ა რ ი (გვ. 323). მთქმელი ფიდა კვიწინაძე, ჩამწ. შემდგენელი. ქართული ხალხური ნოველები, 1956.

დ ა კ ა რ გ უ ლ ი შ ა რ ვ ა ლ ი (გვ. 324). მთქმელი თებრო ზირაქაშვილი, სოფ. კაკაბეთი, კახეთი, ჩამწ. გულსუნდა მჭედლიშვილი, 1962.

მ ე დ ა ი რ ე (გვ. 326). „აკაკის კრებული", XII, განყ. II, 1898.

ზ ა რ მ ა ც ი (გვ. 328). თედო რაზიკაშვილის ჩაწ., ფშავი. ქართული ხალხური ზღაპრები, შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ, I, თბილისი, 1951.

ო რ ი ც რ უ პ ე ნ ტ ე ლ ა (გვ. 332). თედო რაზიკაშვილის ჩაწ., ქართლი. ქართული ხალხური ზღაპრები, შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ, II, თბილისი, 1952.

მ უ ჭ ა ნ ა ხ ე ვ ა რ ა (გვ. 335). თედო რაზიკაშვილის ჩაწ., ქართლი. იქვე.

პ უ რ ი დ ა ხ ე ნ ა-თ ე ს ვ ა (გვ. 337). თედო რაზიკაშვილის ჩაწ., ქართლი. იქვე.

ს ა მ ნ ი ძ მ ა ნ ი (გვ. 338). თედო რაზიკაშვილის ჩაწ., კახეთი. ქართული ხალხური ზღაპრები, შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ, I, თბილისი, 1951.

ო ბ ო ლ ი დ ა ქ ო ს ა მ ა ტ ყ უ ა რ ა (გვ. 342). თედო რაზიკაშვილის ჩაწ., კახეთი. იქვე.

ს ა მ ი ძ მ ა დ ა ქ ო ს ა მ ა ტ ყ უ ა რ ა (გვ. 344). თედო რაზიკაშვილის ჩაწ., კახეთი. იქვე.

ს ო ვ დ ა გ რ ი ს შ ვ ი ლ ი (გვ. 347). ქს. სიხარულიძე, ხალხური ზღაპრები, თბილისი, 1938.

ა ლ ა ლ ი ო რ ი შ ა უ რ ი (გვ. 353). ავთანდილ ლამაზოშვილის

ჩაწ., კახეთი. ქართული ხალხური ზღაპრები, II, მიხ. ჩიქოვანის რედ., თბილისი, 1952.

ორი ძუნწი (გვ. 355). ან. ცანავა, ხმალზე უფრო ძლიერად სჭრის, თბ., 1960.

მოხერხებული მებაღე (გვ. 356). იქვე.

თავგაუტეხელი კაცი (გვ. 357). იქვე.

მეფის შვილობილი (გვ. 358). იქვე.

ახირებული დედაკაცი (გვ. 358). მთქმელი თებრო ზირაქიშვილი, სოფ. კაკაბეთი, კახეთი, ჩამწ. გულსუნდა მშედლიშვილი, 1962.

მდიდარი და საწყალი კაცი (გვ. 360). ან. ცანავა, ხმალზე უფრო ძლიერად სჭრის, თბ., 1960.

ჩემი მამაილი გზაშიც იყიელებსო (გვ. 361). იქვე.

ძუნწი ვაჭარი (გვ. 361). იქვე.

ორმოცი კაციც რომ გამომიგზავნოს... (გვ. 362). იქვე.

როგორ ანუგეშა მოჯამაგირემ ბატონი (გვ. 363). იქვე.

ფილოსოფოსი და ვირი (გვ. 364). იქვე.

ნათლიმამის მარილი (გვ. 365). ჯ. სონღულაშვილი. ხალხური სიტყვიერების მასალები, თბ., 1957.

ხელმწიფე და გლეხის ქალი (გვ. 366). მთქმელი ილო ბენაშვილი, ქიზიყი, ჩამწ. დიმ. გონაშვილი. ქართული ხალხური ზღაპრები, შ. ძიძიგურის რედ., თბილისი, 1959.

ივანე და გოგია (გვ. 370). მთქმელი ილია ჯანიკაშვილი, ქიზიყი, ჩამწ. დიმ. გონაშვილი. იქვე.

უმადური ხელმწიფე და ჭკვიანი გლეხის ბიჭი (გვ. 373). მთქმელი ქიტესო ქუფარაშვილი, ქიზიყი, ჩამწ. დიმ. გონაშვილი. იქვე.

სიმართლე (გვ. 377). ანა ახალშენიშვილისა და ი. ზარაფიშვილის ჩაწ., ქართლი. იქვე.

მატყუარა მკითხავი (გვ. 380). ანეტა კაპანაძის ჩაწ., ქართლი. ქს. სიხარულიძე, საბავშვო ფოლკლორი, თბილისი, 1938.

ვაჭარი და ღარიბი ცოლ-ქმარი (გვ. 381). მთქმელი გ. გელაშვილი, ჩამწ. ანეტა კაპანაძე. იქვე.

ორი სილა (გვ. 385). მთქმელი ვ. თარხნიშვილი, ქართლი, ჩამწ. ანეტა კაპანაძე. იქვე.

ვირის მაძებარი (გვ. 385). იქვე.

საწყალი გლეხის ნიყვები (გვ. 386). გ. ლომთათიძის ჩაწ., იქვე.

დედაბერი და ხბო (გვ. 387). იქვე.

სამი ექიმი ძმა (გვ. 387). მ. გიორგაძის ჩაწ., ქართლი. იქვე.

მოხუცი ნავეზირალის რჩევა (გვ. 389). მთქმელი შაქრო შავიშვილი, ჩამწ. ქართველი ოსებში. „აკაკის კრებული", IX, განყ. II, 1899.

ჭკუა მაქვს და სარჩოარა (გვ. 395). თედო რაზიკაშვილის ჩაწ., ქართლი, „ჯეჯილი“, VI, 1890.

მამასახლისისა და გლეხკაცის არაკი (გვ. 398). მთქმელი სონა კასრაძე-ტოლიაშვილი, ქართლი, ჩამწ. ელ. ვირსალაძე. რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, II, თბილისი, 1958.

ქალის შარი (გვ. 401). იქვე.

მოხუცი დურგალი და მისი რძალი (გვ. 403). მთქმელი სონა კასრაძე-ტოლიაშვილი, ჩამწ. ელ. ვირსალაძე. იქვე.

ძუნწი მასპინძელი (გვ. 406). მთქმელი ოლა შალიკაშვილი, მთიულეთი, ჩამწ. ელ. ვირსალაძე. იქვე.

მზეთუნახავისა და ხელმწიფის შვილის ზღაპარი (გვ. 408). თედო რაზიკაშვილის ჩაწ., ფშავი. ქართული ხალხური ზღაპრები, შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ, I, თბილისი, 1951.

ხელმწიფის გიჟი შვილი (გვ. 411). თედო რაზიკაშვილის ჩაწ., ფშავი. იქვე.

ხელმწიფის შვილისა და ხელმწიფის ამბავი (გვ. 413). თედო რაზიკაშვილის ჩაწ., ქართლი. ქართული ხალხური ზღაპრები, II, თბილისი, 1952.

ცრუ და მართალი კაცი (გვ. 413). ქს. სიხარულიძე, ხალხური ზღაპრები, თბილისი, 1938.

მეფე და მსახური (გვ. 416). იქვე.

ღარიბი კაცი და სოვდაგარი (გვ. 417). იქვე.

შრომის ყადრი (გვ. 420). მთქმელი გ. გელაშვილი, ქართლი, ჩამწ. ნ. მუმლაძე. „სოფლის ცხოვრება“, № 14, 1963.

მრუდე სამართალი (გვ. 420). მთქმელი დავით გარსევანიშვილი, კახეთი, ჩამწ. გ. შეთეკაური. „კომუნისტი“, № 48, 1962.

მზე და წვიმა (გვ. 421). ლ. მარტაშვილის ჩაწ., თბილისი. „კომუნისტი“, № 42, 1962.

პატარძალი (გვ. 422). ლ. მარტაშვილის ჩაწ., თბილისი. „კომუნისტი“, № 42, 1962.

ბატონი და ყმა გლეხი (გვ. 422). მ. ნასყიდაშვილის ჩაწ., ქართლი. „კომუნისტი“, № 42, 1962.

ჯელი მოსამართლე და მისი ცოლი (გვ. 423). მთქმელი ფიდა კვიწინაძე, ჩამწ. შემდგენელი. „კომუნისტი“, № 42, 1962.

მოჩხუბარი დედაბერი და ჭკვიანი პატარძალი (გვ. 425). მთქმელი ელო გოგებაშვილი, კახეთი, ჩამწ. დიმ. გონაშვილი. „კომუნისტი“, № 4, 1963.

ბედნიერი კაცი (გვ. 426). მთქმელი თადეოზ ჩაგუნავა, იმერეთი, ჩამწ. ვ. კახიძე. „კომუნისტი“, № 4, 1963.

ოქრუა (გვ. 426). სოსიკო მერკვილაძის ჩაწ., იმერეთი. ს. მერკვილაძე, ხალხური ზღაპრები, ქუთაისი, 1902; ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომათია, I, 1956.

ს ტ უ მ რ ე ბ ი (გვ. 432). მ. ჯანაშვილი, საინგილო, „ძველი საქართველო“, II, განყ. IV, თბილისი, 1911 — 1913.

ქ ე ლ ე ხ ი (გვ. 433). მოსე ჯანაშვილის ჩაწ., საინგილო. იქვე.

ნ ა ლ ი ს შ ე ჭ ა მ ა დ ი (გვ. 434). მთქმელი ისაკო გოგებაშვილი, კახეთი, ჩამწ. დიმ. გონაშვილი, 1959.

ყ ა ს ა ბ ი დ ა ვ ა ჭ ა რ ი (გვ. 435). მთქმელი სანდრო ოვანოვი, ქიზიყი, ჩამწ. დიმ. გონაშვილი, 1959.

ო რ ი ძ მ ა — მ დ ი დ ა რ ი დ ა ღ ა რ ი ბ ი (გვ. 437). მთქმელი ზურაბ ჯანიკაშვილი, ქიზიყი, ჩამწ. დიმ. გონაშვილი, 1959.

მ ე ც ხ ვ ა რ ე დ ა მ ი ს ი ნ ა თ ლ უ ლ ი (გვ. 439). მთქმელი ისაკო გოგებაშვილი, კახეთი, ჩამწ. დიმ. გონაშვილი, 1959.

რ ძ ა ლ ი დ ა ბ რ მ ა დ ე დ ა მ თ ი ლ ი (გვ. 442). მთქმელი პელაგია ფერაძე, კახეთი, ჩამწ. დიმ. გონაშვილი, 1959.

ბ ა ტ ო ნ ი დ ა ყ მ ა (გვ. 443). დიმ. გონაშვილის ჩაწ., კახეთი, 1959.

ჭ კ ვ ი ა ნ ი რ ძ ა ლ ი (გვ. 446). მთქმელი ე. ხარებავა, სამეგრელო, ჩამწ. მაკარ ხუბუა. მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბილისი, 1937, გადმოიღო ა. ცანავამ.

ბ ე დ ი ს მ ა ძ ე ბ ა რ ი კ ა ც ი (გვ. 449). მთქმელი ტ. ქავა, სამეგრელო, ჩამწ. მაკარ ხუბუა. იქვე, გადმოიღო ა. ცანავამ.

წ ი თ ე ლ ი კ ა ც ი ს ზ ღ ა პ ა რ ი (გვ. 452). მთქმელი მ. გვარამია, სამეგრელო, ჩამწ. მაკარ ხუბუა. იქვე, გადმოიღო ა. ცანავამ.

დ ა რ დ ი ა ნ ი (გვ. 455). მიხ. როსტომაშვილის ჩაწ., „აკაკის კრებული“, IX, განყ. III, 1898.

მ კ ვ ე ხ ა რ ა (გვ. 456). მიხ. როსტომაშვილის ჩაწ., იქვე.

პ ი რ მ ყ რ ა ლ ა (გვ. 456). მიხ. როსტომაშვილის ჩაწ., იქვე.

გ ა უ მ ა ძ ღ ა რ ი ც ო ლ ი (გვ. 457). მიხ. როსტომაშვილის ჩაწ., „აკაკის კრებული“, X, განყ. III. 1898.

მ ე ფ ე დ ა ვ ე ზ ი რ ე ბ ი (გვ. 459). პ. მირიანაშვილის ჩაწ. ზღაპრები, 1903.

ქ ვ რ ი ვ ი ქ ა ლ ი დ ა ე რ თ ი ქ ო თ ა ნ ი ნ ა დ უ ღ ი (გვ. 460). მთქმელი ექვთიმე დოლიძე, გურია, ჩამწ. შემდგენელი, 1935.

უ მ ც რ ო ს ი ძ მ ა (გვ. 461). მთქმელი ფიდა კვიწინაძე, ჩამწ. შემდგენელი, 1940.

უ რ ჩ ი შ ვ ი ლ ე ბ ი (გვ. 465). მთქმელი ფიდა კვიწინაძე, ჩამწ. შემდგენელი, 1940.

ღ ა რ ი ბ ი დ ა ს ო ვ დ ა გ რ ე ბ ი (გვ. 467). მთქმელი ნიკა ორჯონიკიძე, ქართლი, ჩამწ. ნინო ხიდირბეგაშვილი. პ. უმიკაშვილის კოლექცია, იქვე, № 4158.

ბ ი ძ ა დ ა ძ მ ი ს წ უ ლ ი (გვ. 470). ბეს. ნიკარაძის ჩაწ. სვანეთში 1871 წ., პ. უმიკაშვილის კოლექცია, იქვე, № 4173.

ს ა მ ი ზ ა რ მ ა ც ი (გვ. 476). პ. უმიკაშვილის ჩაწ., იქვე. № 4190.

ვალიანი ხარაზი (გვ. 476). პ. უმიკაშვილის ჩაწერილი, იქვე. № 4205.

ბატის ყიდვის მოწმეები (გვ. 477). პ. უმიკაშვილის ჩაწ., იქვე, № 4205.

მხოლოდ ერთი პალო წავიღეო (გვ. 477). პ. უმიკაშვილის ჩაწ., იქვე, № 4207.

ულვაში (გვ. 478). პ. უმიკაშვილის ჩაწ., იქვე, № 4208.

წვერზე ცეცხლწაკიდებული (გვ. 478). პ. უმიკაშვილის ჩაწ., იქვე, № 4209.

ფული გაინაღდეო (გვ. 478). მთქმელი მიხეილ მამულაშვილი, 1887 წ., თბილისი, ჩამწ. პ. უმიკაშვილი. იქვე, № 4221.

შენ მაგაზე კარგად იცი ო? (გვ. 479). მთქმელი მიხეილ მამულაშვილი, 1887 წ., თბილისი, ჩამწ. პ. უმიკაშვილი. იქვე, № 4223.

მკერავი (გვ. 479). მთქმელი ანა ედიბეგაშვილი, 1887 წ., თბილისი, ჩამწ. პ. უმიკაშვილი. იქვე. № 4234.

რძალ-დედამთილი (გვ. 480). მთქმელი ანა ედიბეგაშვილი, 1887 წ., თბილისი, ჩამწ. პ. უმიკაშვილი. იქვე, № 4237.

რძალ-მაზლი (გვ. 481). მთქმელი მიხეილ მამულაშვლი, 1888 წ., თბილისი, ჩამწ. პ. უმიკაშვილი. იქვე, № 4238.

ტკბილი ცოლ-ქმარი (გვ. 482). მთქმელი მიხეილ მამულაშვილი, თბილისი, 1888 წ., ჩამწ. პ. უმიკაშვილი. იქვე, № 4242.

ცოლ-ქმარი (გვ. 484). მთქმელი მიხეილ მამულაშვილი, თბილისი, 1888 წ., ჩამწ. პ. უმიკაშვილი. იქვე, № 4243.

ჩხუბი არაფერზე (გვ. 485). მთქმელი ეკატერინე კაკაშვილი, თბილისი, 1875 წ., ჩამწ. პ. უმიკაშვილი. იქვე, № 4244.

ტყუილი ტირილი (გვ. 485). მთქმელი დათა მამულაშვილი, თბილისი, 1889 წ., ჩამწ. პ. უმიკაშვილი. იქვე, № 4245.

ცოლის მორჯულება (გვ. 486). მთქმელი ეკატერინე კაკაშვილი, თბილისი, 1885 წ., ჩამწ. პ. უმიკაშვილი. იქვე, № 4251.

უსაქმური ქალი (გვ. 486). მთქმელი ეკატერინე კაკაშვილი, თბილისი, 1885 წ., ჩამწ. პ. უმიკაშვილი. იქვე, № 4252.

სულელი დედაკაცი (გვ. 487). ზ. ჯანდიერის ჩაწ., კახეთი, 1870 წ., პ. უმიკაშვილის კოლექც., იქვე, № 4239.

მენახირის ქალი (გვ. 489). მთქმელი შალვა მელიქიძე, ჯავახეთი, ჩამწ. ილია მაისურაძე, 1959.

შერცხვენილი კაცი (გვ. 491). მთქმელი ვანო კაკაშვილი, ქართლი, ჩამწ. შემდგენელი, 1948.

ბატონი და მოჯამაგირე (გვ. 493). შემდგენლის ჩაწ. გურია, 1939.

ასეთ მზეს რა გაუძლებს ო?! (გვ. 494). ჯ. ნოღაიდელის ჩაწ., აჭარაში. ჯ. ნოღაიდელი, აჭარის ხალხური სიტყვიერება, ბათომი, 1936.

სამი ზარმაცი და ხანძარი (გვ. 494). შ. ნიკარაძის ჩაწ. აჭარაში, შ. ნიკარაძე, ზემო აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1961.

ერთგული ქმარი და მოღალატე ცოლი (გვ. 495). შ. ნიქარაძის ჩაწ. აჭარაში. იქვე.

მოჯამაგირე და ოქროს ხანჯალი (გვ. 497). მთქმელი სიმონ ქვრივიშვილი, ჩამწ. შემდგენელი, 1938.

ცხრა ძმა და მათი დედინაცვალი (გვ. 498). მთქმელი დავით ნოზაძე, ქართლი, ჩამწ. შემდგენელი, 1948.

ვაჭარი (გვ. 501). კ. კალანდაძის ჩაწ., გურია. „ძველი საქართველო", ე. თაყაიშვილის რედ., IV, თბილისი, 1914 — 1915.

ხელმწიფე და მწყემსი (გვ. 505). მთქმელი მუსტაფა მემიშის ძე მემიშიში, სოფ. სარფი, ლაზეთი, ჩამწ. ზურაბ თანდილავა, 1948.

ღარიბი გლეხი (გვ. 508). მთქმელი ალი ომერის ძე ნუმანიშვილი, სოფ. სარფი, ლაზეთი, ჩამწ. ზურაბ თანდილავა. 1959.

ნიაზი დაჰარზი (გვ. 512). მთქმელი ალი ომერის ძე ნუმანიშვილი, სოფ. სარფი, ლაზეთი, ჩამწ. ზურაბ თანდილავა, 1959.

სარჩევი

*** (წინასიტყვაობა პროფ. ალ. ღლონტისა) . 5

ჯადოსნური ზღაპრები

ცეროდენა 9
სამი და 11
ეშმაკის ლაგამი 15
დღისით მკვდარი 17
გველის ტყავზე ამოსული ალვის ხე 24
გველის ძმობილი 28
ტყის კაცი 32
ციება, ცხელება და სიკვდილი 33
ავი დედაკაცი 34
გველი და გლეხი 36
გველი და კაცი 37
სიკვდილის ჩამოსვლა დედამიწაზე 40
ბედი და იღბალი 41
მეჩონგურე 44
ფისასოს ზღაპარი 45
მარგალიტის ცრემლი 51
მოხუცი სტუმარი 57
სიზმრის ახსნა 61
ნატვრისთვალი 62
თვალჩიტა 72
გლეხი, მოლა და ეშმაკი 90
მენახირე 93
მზეთუნახავის ცხვირსახოცი 101
დედინაცვალი და გერი 109
არვიცია 114
უმცროსი ვაჟი და მგელი 117
მუხაგლეჯია სიდედრისა და სიმამრისა 119
ღორისთავიანი ბიჭი 121
ასლანის გაზრდილი 125
ბოლოლა 130
სამი ძმა და მათი და 136
უღუნო და ხელმწიფის შვილი 141
კეისარი 151
სიკვდილი და ყაჩაღი 155
ქურდი და ხელმწიფის შვილი 159
ორი ძმისა 165
სოვდაგრის შვილი და ოქროს ირემი 169
მეფე და სკვინჩა 173

საყოფაცხოვრებო ზღაპრები, ნოველები

ნაცარქექია 176
ერთი მანეთის შოვნა 179
ვინც საქმე გააკეთა, პურიც იმანა ჭამოს 180
უფროსი ძმა 183
ამბავი ხელმწიფის შვილისა, ქალი რომ არ მისთხოვდა, სანამ ხელობას
    არ ისწავლიო 185
ზნიანი ქალი 187
ღარიბი ბიჭი 188
ზარმაცი კაცი 192
ოქროსტარიანი ცული 195
სამი ტყუილი 197
ნამდვილი ტყუილი 198
ცრუ და მართალი 200
გურჯისტანის ხატი 202
ხარბი ოქრომჭედელი 205
ღარიბი კაცი 206
ძმები 208
სამი და 209
გლეხი და ვაჭარი 211
ბრიყვი ბატონი და მოჯამაგირე 214
ცოლ-ქმრის ამბავი 215
ქვრივიშვილი 217
ფინაჩი 220
ჭკვიანი და გიჟი ძმა 224
გლეხის ცოლი 227
სტუმარი 229
სამი სიტყვა 231
ხელმწიფე და მოჯამაგირე 233
ივანიკა და სიმონიკა 234
სამი მეცნიერი და გლეხი 238
მეცნიერი და მენავე 239
ბრმა მეჩონგურე 240
გლეხი და ბატონი 240
პურის მარცვალი 241
მძლეთამძლე 244
ხელმწიფე და მისი შვილი 248
მონადირე და ხელმწიფე 249
ფულს ყველაფერი შეუძლია 251
ეშმაკი ქმარი 253
მდიდარი და ღარიბი 255
გლახა შვილი 257
ამისთანა და ამის უარესი 260
ქოსატყუილა დიაკონი 263
გაფუფქული მღვდელი 266

მღვდლის ზღაპარი 275
ცერცვი თუ ცეცხლი 278
თქვა უფალმა 279
მღვდელი და დიაკონი 279
მღვდელი და ჯვარცმული ქრისტე . 279
ზოგჯერ ეშმაკსაც უნდა დაუჯერო . 280
ძუნწი ხუცესი 280
მღვდელი და ღარიბი გლეხი . . 283
ავი მღვდელი და დიაკონი . . . 284
გამოქექილი ბერიკაცი და მღვდელი . 285
მღვდელი და მისი ლამაზი ცოლი . 292
მღვდლის ცოლი 294
წუწკი მღვდელი 296
მეწისქვილის ვაჟიშვილი და სამი ქოსა . 297
სამი მოჯამაგირე 299
სოლომონ ბრძენი და ბერიკაცი . . 301
სოლომონ ბრძენის რჩევა . . . 303
სოლომონ ბრძენი და ღარიბი გლეხი . . 305
არჩევანი 309
საბრალო ფასოს ამბავი 310
ხელმწიფე და მეღორე 322
ქვრივი ქალი და ვაჭარი 323
დაკარგული შარვალი 324
მედაირე 326
ზარმაცი 328
ორი ცრუპენტელა 332
მუჭანახევარა 335
პური და ხვნა-თესვა 337
სამნი ძმანი 338
ობოლი და ქოსამატყუარა 342
სამი ძმა და ქოსამატყუარა 344
სოვდაგრის შვილი 347
ალალი ორი შაური 353
ორი ძუნწი 355
მოხერხებული მებაღე 356
თავგაუტეხელი კაცი 357
მეფის შვილობილი 358
ახირებული დედაკაცი 358
მდიდარი და საწყალი კაცი 360
ჩემი მამალი გზაშიც იყივლებსო . . . 361
ძუნწი ვაჭარი 361
ორმოცი კაციც რომ გამომიგზავნოს... . . 362
როგორ ანუგეშა მოჯამაგირემ ბატონი . 363
ფილოსოფოსი და ვირი 364
ნათლიმამის მარილი 365
ხელმწიფე და გლეხის ქალი 366

ივანე და გოგია 370
უმადური ხელმწიფე და ჭკვიანი გლეხის ბიჭი 373
სიმართლე 377
მატყუარა მკითხავი 380
ვაჭარი და ღარიბი ცოლ-ქმარი 381
ორი სილა 385
ვირის მაძებარი 385
საწყალი გლეხის ნიყვები 386
დედაბერი და ხბო 387
სამი ექიმი ძმა 387
მოხუცი ნავეზირალის რჩევა 389
ჭკუა მაქვს და სარჩო არა 395
მამასახლისისა და გლეხკაცის არაკი 398
ქალის შარი 401
მოხუცი დურგალი და მისი რძალი 403
ძუნწი მასპინძელი 406
მზეთუნახავისა და ხელმწიფის შვილის ზღაპარი 409
ხელმწიფის გიჟი შვილი 411
ხელმწიფის შვილისა და ხელმწიფის ამბავი 413
ცრუ და მართალი კაცი 413
მეფე და მსახური 416
ღარიბი კაცი და სოვდაგარი 417
შრომის ყადრი 420
მრუდე სამართალი 420
მზე და წვიმა 421
პატარძალი 422
ბატონი და ყმა გლეხი 422
ჯეელი მოსამართლე და მისი ცოლი 423
მოჩხუბარი დედაბერი და ჭკვიანი პატარძალი . . . 425
ბედნიერი კაცი 426
ოქრუა 426
სტუმრები 432
ქელეხი 433
ნალის შეჭამადი 434
ყასაბი და ვაჭარი 435
ორი ძმა — მდიდარი და ღარიბი 437
მეცხვარე და მისი ნათლული 439
რძალი და ბრმა დედამთილი 442
ბატონი და ყმა 443
ჭკვიანი რძალი 446
ბედის მაძებარი კაცი 449
წითელი კაცის ზღაპარი 452
დარდიანი 455
მკვეხარა 456
პირმყრალა 456
გაუმაძღარი ცოლი 457

მეფე და ვეზირები 459
ქვრივი ქალი და ერთი ქოთანი ნადუღი 460
უმცროსი ძმა 461
ურჩი შვილები 465
ღარიბი და სოვდაგრები 467
ბიძა და ძმისწული 470
სამი ზარმაცი 476
ვალიანი ხარაზი 476
ბატის ყიდვის მოწმეები 477
მხოლოდ ერთი პალო წავიღეო 477
ულვაში 478
წვერზე ცეცხლწაკიდებული 478
ფული გაინაღდეო 478
შენ მაგაზე კარგად იციო? 479
მკერავი 479
რძალ-დედამთილი 480
რძალ-მაზლი 481
ტკბილი ცოლ-ქმარი 482
ცოლ-ქმარი 484
ჩხუბი არაფერზე 485
ტყუილი ტირილი 485
ცოლის მორჯულება 486
უსაქმური ქალი 486
სულელი დედაკაცი 487
მენახირის ქალი 489
შერცხვენილი კაცი 491
ბატონი და მოჯამაგირე 493
ასეთ მზეს რა გაუძლებსო?! 494
სამი ზარმაცი და ხანძარი 494
ერთგული ქმარი და მოღალატე ცოლი 495
მოჯამაგირე და ოქროს ხანჯალი . . . 497
ცხრა ძმა და მათი დედინაცვალი . . 493
ვაჭარი 501
ხელმწიფე და მწყემსი 505
ღარიბი გლეხი 508
ნიაზი და ჰარზი 512
შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი 515

გამომცემლობის რედაქტორი გ. ხორნაული
მხატვ. რედაქტორი ო. ჯიშკარიანი
ტექრედაქტორი რ. მელაძე
კორექტორი ნ. კუბლაშვილი

•

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/VII-64 წ.
ქაღალდის ზომა 60×90 1/16
ნაბეჭდი თაბახი 33,25
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 28,1
ტირაჟი 20.000, შეკვეთა № 2486
ფასი 1 მან. 42 კაპ.

•

გამომცემლობა „ნაკადული", მარჯანიშვილის ქ. № 5.
Издательство «Накадули», ул. Марджанишвили № 5.

გამომცემლობა „ნაკადულის" სტამბა,
თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5
Типография издательства «Накадули»,
Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.